



შსპ შსპ

შთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართულილოგის ინსტიტუტი

შ ა ვ შ ე თ ი



გამომცემლობა
„ჭოროსი XXI“
თბილისი - 2011

Shota Rustaveli State University
Institute of Kartvelian Studies

SHAVSHETI

Publishing „House Horosi XXI”
Tbilisi - 2011



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation

აღნიშნული პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

This project has been made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation (Grant N A 39-09). All ideas expressed herewith are those of the author, and may not represent the opinion of the Foundation itself”.

www.rustaveli.org.ge

უფასო გამოცემა

მონოგრაფიაში შესწავლილია ისტორიული სამხრეთ საქართველოს ერთი „ქვეყანა“-შავშეთი. საველე ექპედიციების დროს შეკრებილ მასალებზე, ისტორიულ და სამეცნიერო წყაროებზე დაყრდნობით ავტორები ცდილობენ შექმნან შავშეთის ქვეყნის ერთიანი სურათი, კერძოდ, ნაშრომში პირველადია შესწავლილი შავშეთის ისტორია, მატერიალური კულტურის ძეგლები, ეთნოლოგიური ყოფა, ფოლკლორი, ტოპონიმია, შავშური დიალექტი... წიგნს ერთვს ფოტომასალა, შავშეთის რუკა და დიალექტური და ფოლკლორული მასალები ლექსიკონითურთ.

მონოგრაფია პირველი ცდაა შავშეთის კომპლექსური შესწავლისა. ვფიქრობთ, იგი კარგ სამსახურს გაუწევს ისტორიკოსებს, ენათმეცნიერებს, ეთნოლოგებს, ფოლკლორისტებს და ისტორიული სამხრეთ საქართველოთი დაინტერესებულ მკითხველებს.

წიგნის ავტორები:

- მამია ფაღავა – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი;
- თინა შიოშვილი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი;
- შოთა მამულაძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი;
- მერი ცინცაძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი;
- მალხაზ ჩოხარაძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოც. პროფესორი;
- ზაზა შაშიკაძე – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოც. პროფესორი;
- ნუგზარ ცეცხლაძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი;
- თამაზ ფუტყარაძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოც. პროფესორი;
- მაია ბარამიძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოც. პროფესორი;
- ჯემალ კარაღიძე – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ასისტ. პროფესორი;
- ვარდო ჩოხარაძე – დოქტორანტი.

სარედაქციო საბჭო: პროფ. მამია ფაღავა (თავმჯდომარე); ასოც. პროფ. მალხაზ ჩოხარაძე (თავმჯდომარის მოადგილე), პროფ. თინა შიოშვილი, პროფ. მარინა გიორგაძე, მ/კ მერი ცინცაძე, ასოც. პროფ. მაია კიკვაძე, პროფესორ ემერეტუსი შუშანა ფუტყარაძე, ასოც. პროფ. თამაზ ფუტყარაძე, პროფ. ნუგზარ მგელაძე, პროფ. შორენა მახაჭაძე, პროფ. შოთა მამულაძე, პროფესორ ემერიტუსი ბიჭიკო დიასამიძე, პროფ. რამაზ ხალვაში, პროფ. გურამ ყიფიანი, პროფესორ ემერიტუსი ამირან კახიძე, ასოც. პროფ. მერაბ ხალვაში, მ/დ მალხაზ სიორიძე, ასოც. პროფ. ზაზა შაშიკაძე, მ/კ რევაზ დიასამიძე, მ/კ ნუგზარ ცეცხლაძე, ასოც. პროფ. ლილე თანდილავა.

რედაქტორი, პროფესორი მამია ფაღავა.

რეცენზენტები:

- ასოც. პროფ. ემზარ მაკარაძე;
- ასოც. პროფ. ნანა ცეცხლაძე;
- აკად. დოქტორი გიორგი მახარაშვილი;
- აკად. დოქტორი რუსლან ბარამიძე.

ფოტოები და რუკა მალხაზ ჩოხარაძისა.

ISBN 978-9941-407-11-6

© გამომცემლობა „პოროსი XXI“

ზეკაქტონის აგან

ჭოროხის ქვეყნების მეცნიერული შესწავლა მრავალი მიზეზის გამო ქართველთმცოდნეობის გადაუდებელი ამოცანაა. სპერი, ტაო, ოლთისი, კლარჯეთი, შავშეთი, აჭარა... ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის აკვანი ყოველთვის აღძრავდა მეცნიერულ ინტერესს, მაგრამ ამ ისტორიული ქართული პროვინციების სათანადო შესწავლა ქართველ მეცნიერთა თაობების ოცნებად რჩებოდა. თუ ქართველი მეცნიერები მსჯელობდნენ აღნიშნული ქვეყნების შესახებ, მხოლოდ იმ არცთუ მრავალფეროვან ისტორიულ წყაროებზე და ქართველ და უცხოელ მოგზაურთა და მეცნიერთა (დ. ბაქრაძე, ვ. ყაზბეგი, ზ. ჭიჭინაძე, ნ. მარი, ექვთ. თაყაიშვილი...) ცნობებზე და ჩანაწერებზე დაყრდნობით. იგრძნობოდა მასალის სიმცირე. საჭირო იყო თურქეთის საქართველოში სამეცნიერო მიზნით მოგზაურობა და შესაბამისი მასალების მოპოვება.

ჩვენს დროში (XX საუკუნის 90-იანი წლებიდან) შესაძლებელი გახდა ჭოროხის ქვეყნებში სამეცნიერო-შემკვრებლობითი მუშაობის ჩატარება. საქართველოში ამ საქმის ერთ-ერთ მოთავედ შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი გვევლინება, სადაც ისტორიული სამხრეთ საქართველოს შესასწავლად 1995 წელს ჩამოყალიბდა „ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევის ლაბორატორია“. ლაბორატორიის თანამშრომელთა ჯგუფმა იმავე წელს მოაწიეს პირველი კომპლექსური ექსპედიცია ტაოში (ექსპედიციის შემადგენლობა: დოც. მერი ცინცაძე, დოც. ლილე თანდილავა, დოც. ელგუჯა მაკარაძე, დოც. რევაზ დიასამიძე, დოც. მამია ფალავა (ექსპედიციის ხელმძღვანელი) და მძღოლი ტარიელ ნიჟარაძე. ექსპედიციის მიერ შეკრებილი ტაოური მასალების ნაწილი დაიბეჭდა: ბსუ სამხრეთ დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „კრებული“, ტ. IV. 2005.:146-174).

დაიწყო ისტორიული სამხრეთ საქართველოს კომპლექსური კვლევის ახალი ეტაპი.

2000 წელს ბათუმის უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა „მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“ (შემდეგ „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“ (2004), შემდეგ „ქართველოლოგიის ინსტიტუტი“ (2009)), რომლის კვლევის მთავარ პრიორიტეტად გამოიკვეთა „ჭოროხის ქვეყნებისა“ და ლაზეთის კვლევა. ცენტრთან ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი კომპლექსური ექსპედიცია. სხვადასხვა დროს სამეცნიერო ცენტრმა მოაწიეს ექსპედიციები ზემოაჭარის სოფლებში (ხიხაძირი, ღორჯომი), კლარჯეთში, შავშეთში, ტაოში, ლაზეთში. გამოიცა ცენტრის შრომების („კრებული“) 6 ტომი, ჩატარდა სამეცნიერო ცენტრის 8 კონფერენცია... დაგროვდა მნიშვნელოვანი მასალები და ცოდნა ისტორიული სამხრეთ საქართველოს შესახებ... დაიბადა იდეა „შავშეთის“ ქვეყნის შესახებ კომპლექსური მონოგრაფიის დაწერისა. საამისოდ შეიკრიბა მეცნიერთა ჯგუფი: დოცენტი მერი ცინცაძე, პროფესორი მამია ფალავა (დიალექტოლოგია), დოც. ნუგზარ ცეცხლაძე (ონომასტიკა), პროფ. თინა შიოშვილი (ფოლკლორი), პროფ. შოთა მამულაძე (არქეოლოგია), პროფ. თამაზ ფუტკარაძე (ეთნოლოგია), დოც. მაღსაზ ხოხარაძე, დოც. ზაზა შაშიკაძე (ისტორია). მოვლიანებით ჯგუფს შეუერთდა დოქტორანტი ვარდო ხოხარაძე. შედგა მომავალი მონოგრაფიის გეგმა:

ნაწილი I – გამოკვლევები:

- თავი 1. შავშეთის ისტორია;
- თავი 2. შავშეთის მატერიალური კულტურის ძეგლები;
- თავი 3. შავშეთის ეთნოგრაფია;
- თავი 4. შავშური კილო;
- თავი 5. შავშეთის ტოპონიმია;
- თავი 6. შავშური ფოლკლორი.

ნაწილი II. შავშური დიალექტისა და ფოლკლორის მასალები ლექსიკონითურთ.

მონოგრაფიას უნდა დართოდა შავშური ყოფისა და მატერიალური კულტურის ამსახველი ფოტომასალა.

2008 წელს ჩვენმა პროექტმა „შავშეთი – ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა“ გაიმარჯვა „ეროვნული სამეცნიერო ფონდის – რუსთაველის ფონდის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში და მოვიპოვეთ გრანტი. გადაწყდა თემის დაფინანსების პრობლემაც.

დავიწყეთ ემპირიული მასალის შეგროვებით. მოეწყო კომპლექსური ექსპედიციები შავშეთში (2005, 2009, 2010). ექსპედიციამ იმუშავა როგორც მექართულე, ისე მეთურქულე (ტერმინი ჩვენია – მ.ფ.) შავშეთის სოფლებში. შეგროვდა საინტერესო და მრავალფეროვანი ფოლკლორული, დიალექტოლოგიური და ეთნოლოგიური, არქეოლოგიური, აუდიო, ფოტო და ვიდეო მასალები.

პერიოდულ გამოცემებში დაიბეჭდა ექსპედიციის წევრთა არაერთი გამოკვლევა, წაკითხული იქნა მოხსენებები საუნივერსიტეტო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებზე... შეგვექმნა ერთიანი წარმოდგენა შავშეთისა და შავშელების შესახებ. გამოიკვეთა:

1. ისტორიული შავშეთის ერთ ნაწილში, ე.წ. მექართულე შავშეთში კარგადაა გადარჩენილი ქართული ენა (შავშური კილო), ფოლკლორი, ეთნოლოგიური ყოფა. ქართულად ლაპარაკობენ უფრო მეტად უფროსი და საშუალო ასაკის შავშელები, ახალგაზრდობამ უმეტესად ქართული აღარ იცის. როგორც ერთმა იმერხეველმა გვითხრა, ღარჭი „ბევრს უხლართავს, პამა ვერ უთქმია“.

2. შავშეთის მეორე ნაწილში, ე.წ. მეთურქულე შავშეთში ქართული ენა დაუიწყიათ. აქაური მოსახლეობის უმეტესობა მშობლიურენადაკარგული ქართველია (აქაური ცნობიერებით, ვინც ქართული არ იცის – თურქია. ამიტომაც შავშებს ქართველებად არ მოიხსენებენ, გეტყვიან „შავშეთი გურჯი არ არისო“...). ქართულის ცოდნა-არცოდნის გამო ერთმანეთისაგან გაიმიჯნა იმერხევი და შავშეთი და ისტორიულად და ტერიტორიულად ერთი კუთხე – შავშეთი ორ კუთხედ იქნა გააზრებული.

მეთურქულე შავშეთში ჯერ კიდევ გადარჩენილია ქართული ყოფის ელემენტები, თურქულით შეცვლილი ქართული ენა კი შეფარებულია აქაურთა თურქულ მეტყველებაში. ბევრი ლექსიკური ერთეული ბუნებრივად ისმის შავშელთა თურქულში... უმეტესად შენახულია ქართული გეოგრაფიული სახელები, - ამა თუ იმ პუნქტის ახალი, თურქული სახელის ერთად ახსოვთ ძველიც, ქართული.

3. შავშეთის მთელი ქვეყანა მოფენილია ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებით: ეკლესიები, ხიდები, საფორტეფიკაციო ნაგებობები – ციხე-კოშკები, დარანები (სახიზრები), მარნები, საწნახელები..., როგორც შუა საუკუნეების, ისე ადრეული პერიოდისა. „კულტურათა დიალოგი“ ამ კუთხეში (საერთოდ თურქეთის საქართველოში) განსაკუთრებული სიმწვავეით განვითარდა მატერიალური კულტურის ძეგლების მიმართ. მოსახლეობაში ვიღაცამ მიზანმიმართულად გააერცვლა აზრი, რომ ეკლესია-მონასტრებში და ციხეებში ინახება ძველად გადამალული „საზინა“, განძი – ოქრო (აღთუნის). შედეგად ამ კუთხეში (თუ კუთხეებში) ბევრს შეეყარა „ოქროს ციებ-ცხელება“. ეძებენ აღთუნს, იქ სადაც არ არის, თხრიან წინაპართა საფლავებს, ანგრევენ ჯერ კიდევ გადარჩენილ ისტორიულ ძეგლებს, შედეგად კი – შლიან წინაპრების ნაკვალევს...

ჭოროხის აუზი ერთიანი კულტურული სივრცეა, სადაც ისტორიულად ჩამოყალიბდა რამდენიმე ქართული ქვეყანა – სპერი, ტაო, შავშეთი, კლარჯეთი, აჭარა... თავისი დიალექტებით, რომლებიც ერთმანეთთან ახლოს დგანან და ქმნიან სამხრული მეტყველების პროფილს, ფოლკლორით, ეთნოლოგიური ყოფით, ისტორიით... ჭოროხის ქვეყნები არის კულტურული სივრცე, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა ერთიანი ქართული კულტურის მშენებლობაში. შესაბამისად, ქართული კულტურის ფესვების ძიება ვერ იქნება ამომწურავი ისტორიული სახრეთ საქართველოს მომაცემების გათვალისწინების გარეშე. ამიტომაც გადავწყვიტეთ ჭოროხის ქვეყნების კომპლექსური შესწავლა.

მკითხველს ვთავაზობთ ავტორთა კოლექტივის მონოგრაფიას „შავშეთი“. იგი პირველი ცდაა კონკრეტული კუთხის კომპლექსური შესწავლისა. ბუნებრივია, მას არა აქვს ამომწურავობის პრეტენზია, პირიქით, გვწამს, რომ გამოკვლევაში დასმული პრობლემები ახალ ინტერესს აღძრავს მეცნიერთა შორის. წარმოდგენილი მონოგრაფია, ვფიქრობთ, საქმის დასაწყისია, რომელიც საფუძვლად დაედება ახალ კვლევებს.

აღვნიშნავთ, რომ წიგნი საკმაოდ სქელტანიანი გამოვიდა. ვერ შეველიეთ საინტერესო და მრავალფეროვან მასალას, ვერ გავიმეტეთ შესამოკლებლად.

გვჯერა, ნაშრომი ვერ იქნება დაზღვეული ნაკლისაგან. ყველა საქმიან შენიშვნას ავტორები მადლიერებით მიიღებენ და გაითვალისწინებენ შედგომ საქმიანობაში.

მამია ფაღავა
7 იანვარი, 2011 წელი.
შობა.

ნაწილი პირველი

თავი I. შავშეთის ისტორია

§1. შავშეთი ქართულ მფლობელობაში

შავშეთის მხარე არსიანის მთის, არტანუჯის კლდის მასივსა და მდ. ჭოროხის ხეობას შორის არის მოქცეული. ადგილის სახელწოდება, როგორც ჩანს, მისი ლანდშაფტიდან გამომდინარეობს. ამასთან დაკავშირებით ვახუშტი წერს: „შავშეთი – ვითამ შავში და არა სპეტაკში, მთა კლდოვანი ტყის გამო“-ო (ვახუშტი 1973:658). ლანდშაფტი დღემდე შენარჩუნებული და შავშეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი დღესაც მუქი ფერის წიწვოვანი ტყით არის დაფარული.

მთელი ჭოროხის აუზი და მტკვრის ზემო წელი საქართველოს ისტორიაში ცნობილი იყო ტაო-კლარჯეთად (ექვთ. თაყაიშვილი 1991:197).

გიორგი მერჩულის ძეგლი „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“ შეიცავს ცნობას, რომლის მიხედვითაც ქართლ-მესხეთის სახელმწიფოს „ქართველთა სამეფო“ ეწოდება, ხოლო აქაურ ბაგრატიონებს „ქართველი ბაგრატიონები“, ანუ ე.წ. „კლარჯეთის სახლის“ მემკვიდრენი.

პაველე ინგოროყვა ეყრდნობა რა „მატიანე ქართლისაჲს“, სუმბატ დავითის ძის ქრონიკას, გიორგი მერჩულესა და სხვა წყაროებს „ქართველთა სამეფოს“ VIII-IX საუკუნეებში ცხრა მხარედ ყოფს: სამცხე, ჯავახეთი, არტაანი (არტაანი-კოლა), აჭარა, ნიგალი, შავშეთი, კლარჯეთი, ტაონი და სპერი (ი. გივიაშვილი, გ. კობლატაძე 2004:10).

ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი შავშეთს კლარჯეთის ნაწილად მიიჩნევს, თუმცა შავშეთის გეოგრაფიული მდებარეობისა და სხვა თავისებურებათა გათვალისწინებით პაველე ინგოროყვასეული დაყოფა უფრო მართებულად მიგვაჩნია. ამ მოსაზრების გათვალისწინებით, ჭოროხის ხეობაში მდებარე ისტორიული შავშეთი მოიცავს დღევანდელ შავშეთის რაიონსა და მის მომიჯნავე იმერხევის ხეობას, რომლებიც თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია და მაჭახლის ხეობას (ი. გივიაშვილი, გ. კობლატაძე 2004:10). ეს უკანასკნელი ამჟამად ორად არის გაყოფილი, ზედა ნაწილი თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია, ხოლო ქვედა ნაწილი – საქართველოს ეკუთვნის.

ისტორიულ წყაროებში სახელწოდება შავშეთი VIII ს-დან ჩნდება. იგი, როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ნაწილი, კლარჯეთთან, აჭარასთან და მესხეთის სხვა ტერიტორიებთან ერთად იყო ასპარეზი ამ ტერიტორიებზე მიმდინარე ისტორიული პროცესებისა. აქედან გამომდინარე, შავშეთის ისტორიის განხილვა საქართველოს შემადგენლობაში მთლიანი რეგიონის ისტორიის განხილვის გარეშე შეუძლებელია. ამ მხარეზე ცალკე და ვრცლად საუბრის საშუალებას არც ქართული საისტორიო წყაროები გვაძლევენ. სხვაგვარი მდგომარეობა იქმნება მას შემდეგ, რაც მესხეთი, ოსმალთა მომდევნების გამო იძულებით ჩამოშორდა დანარჩენ საქართველოს. ოსმალთა მიერ სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიების დაპყრობას შედეგად მოჰყვა ის, რომ ამ მხარის ისტორიამ თავისებური მიმართულება მიიღო (ხ. ახვლედიანი 1944:5). ყოველივე ამის გამო შავშეთის მხარის კომპლექსური მეცნიერული შესწავლა დღემდე არ მომხდარა, რაც მის ადრეულ წარსულზე უფრო ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნიდა. მიუხედავად ამისა არსებობს მასალა, რომელიც ადრეულ ქვის ხანას ეკუთვნის. ბრინჯაოს ცულები, რომლებიც შავშეთის სოფელ ბალიქლიში აღმოჩნდა ჩვ.წ.აღ-მდე დაახლოებით 2000 წლით თარიღდება და მთელი რეგიონისათვის დამახასიათებელი ფორმისაა (Halit Özdemir 2002: 12-13). სამწუხაროდ, მსგავსი მასალა ცნობილი მიზეზების გამო უხვად არ არის გამოვლენილი, თუმცა, ეჭვგარეშეა, რომ შავშეთში ადამიანის კვალი უძველესი დროიდან შეინიშნება.

შავშეთის, ისევე როგორც მთელი სამხრეთ საქართველოს კულტურული აღორძინება ბაგრატიონთა საგვარეულოს მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული.

შავშეთში თავისი კვალი დატოვა არაბთა, სელჩუკთა და უფრო მოგვიანებით – მონღოლთა ლაშქრობებმა. ამის შესახებ ზოგადი, მაგრამ საყურადღებო ცნობებია მოცემული „ქართლის ცხოვრებაში“ (ქ. ცხ. I, 1955:317,319,320; II, 1959:49,55,81,141).

IX ს-დან, ისევე როგორც მთლიანად სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, შავშეთის მხარეშიც დიდი აღმშენებლობა დაიწყო. საქართველოს გაერთიანების ინიციატორად სწორედ მესხეთი მოგვევლინა (ხ.ახვლედიანი 1944:10). შავშეთი ისევე მესხეთთან ერთად შედიოდა საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის ფარგლებში. X ს-ის დასაწყისში გურგენ კურაპალატის ძის აშოტ კუხის მიერ აშენებული ტბეთის ტაძარი ამავე სახელწოდების საეპისკოპოსოს ცენტრი გახდა (ქ. ცხ. I, 1955:380). აქვე შეიქმნა არაერთი ძველი ძველი ქართული კულტურისა.

XIII საუკუნიდან იწყება საქართველოს პოლიტიკური რღვევის პროცესი. როდესაც ფეოდალური საქართველოს მონარქიის გამთიშველმა ძალებმა იჩინეს თავი, სამცხე-საათაბაგოს მთავრებმაც პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ იწყეს ლტოლვა. ასევე დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდნენ საქართველოს სხვა მსხვილი ფეოდალებიც. რამდენადაც ეს პროცესი ძლიერდებოდა, იმდენად საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება სუსტდებოდა. საქართველოს პოლიტიკური დაშლის პროცესი ხანგრძლივი აღმოჩნდა, მაგრამ ბოლოს მაინც დაშლა-დანაწევრებით დამთავრდა. საქართველოს მეფეთა ხელისუფლება სეპარატისტ მსხვილ ფეოდალებს ებრძოდა. ფეოდალურ-სახელმწიფოებრივი განდგომისათვის იბრძოდნენ კახეთი, იმერეთი, სამცხე-საათაბაგო.

XV საუკუნის შუა ხანებისათვის საქართველოს პოლიტიკური რღვევის პროცესი საკმაოდ შორს იყო წასული. სამცხის ათაბაგი ყვარყვარე II თავისი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის მეფე გიორგი VIII-ს (1446-1466 წწ.) ებრძოდა. მან სცადა მესხეთის ეკლესიის ქართული ეკლესიისაგან გამოყოფაც, მაგრამ, საბედნიეროდ, ამჯერად ეს მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. მეფე გიორგი ყველანაირად ცდილობდა შეენარჩუნებინა ერთიანი საქართველო, მაგრამ ამაოდ.

სამცხე-საათაბაგომ XV ს-ის სამოციან წლებში მოიპოვა პოლიტიკური დამოუკიდებლობა და იგი ჩამოცილდა საქართველოს. ეს იყო გამოყოფის პირველი ეტაპი. ათაბაგები ამით არ კმაყოფილდებოდნენ და ცდილობდნენ სამცხე-საათაბაგოს ეკლესიის ჩამოშორებას ქართლის საკათალიკოსოსაგან. მათ სურდათ, საკუთარი საკათალიკოსოს დაარსება. ათაბაგები ცდილობდნენ სამცხე-საათაბაგოს სასულიერო პირები კურთხეულიყვნენ “უმცხეთოდ” სამცხეში და მცხეთის კათალიკოსიც არ მოეხსენიებინათ სამცხის ეკლესიაში (თ. ჟორდანიას 1897:269). ამ მიზნით ყველაზე აქტიური ბრძოლა მზეჭაბუკ ათაბაგმა გააჩაღა და მალე მიზანსაც მიაღწია. მესხეთის ეკლესიამ მიიღო თვითმწყემსობის უფლება (თ. ჟორდანიას 1897:269).

ამ მოვლენების პარალელურად საქართველოს სამხრეთით ახალი სახელმწიფო იწყებს ფორმირებას. აღმოსავლეთიდან მოსულმა თურქთა მომთაბარე ტომებმა მცირე აზიის ტერიტორიაზე ყარა-ჰისარის მცირე სახელმწიფო დააარსეს. XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე წარმოქმნილი ოსმან-ოღლუს ბეილიქი XV-XVI საუკუნეებში სამხედრო-ფეოდალურ სახელმწიფოდ და უზარმაზარ იმპერიად იქცა. მან სერიოზულ წარმატებებს მიაღწია ევროპისა და აზიის კონტინენტებზე, სადაც გამუდმებული დაპყრობითი ომების გზით მისი სახელმწიფოს პოლიტიკურ საზღვრებს სწრაფად აფართოვებდა (ს. ჯიქია 1960:131).

ეს მოვლენები ქართულ წყაროებში თითქმის არ არის გაშუქებული, რაზეც ივანე ჯავახიშვილი წერს, რომ “თითქოს ქართველებს ყველა ეს ამბები გამოჰპარვოდეთ, თითქოს შინაური ბრძოლითა და ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტით გართულნი, ისინი ვერც კი ამჩნევდნენ, როგორ შეიქმნა მათ მახლობლად ახალი დიდი და ძლიერი ოსმალეთის სახელმწიფო, რომელმაც შეუწერებელი ძლევამოსილებით დედამიწის ზურგიდან აღგავა ოდესღაც ბრწყინვალე მბრძანებელი ბიზანტია” (ივ. ჯავახიშვილი 1982:287).

საქართველოს ტერიტორიებს სამხრეთით თანდათანობით უახლოვდებოდა ოსმალთა უძლიერესი სახელმწიფო, რომელმაც ეს-ეს იყო მოიშუშა თემურ ლენგის მიერ მიყენებული ჭრილობები და ახალი ტემპით დაიწყო განვითარება და გაფართოება. იგი თვით ბიზანტიის დიდებული სატახტო ქალაქის ბატონ-პატრონადაც იქცა (ივ. ჯავახიშვილი 1982:287). 1453

წლის 29 მაისს ოსმალეთის სულთანმა მეჰმედ II-მ (1420-1481 წწ.) ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი აიღო.

ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ ქრისტიანულ სამყაროზე. ყველასათვის ნათელი გახდა, თუ რაოდენ სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა ოსმალეთი ქრისტიანული ქვეყნებისათვის. განსაკუთრებით საშიში იყო იგი მეზობლებისათვის – მცირე აზიის, შავი ზღვის სანაპიროს, აღმოსავლეთ ევროპის, აპენინისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულების ხალხებისათვის (მ. სვანიძე 1990:116). ამ მიზეზით ევროპაში კვლავ იბადება ჯვაროსნული ლაშქრობის იდეა, რომლის ინიციატორად ისევ რომის პაპი გვევლინება.

ოსმალთა თავდასხმის საფრთხის ქვეშ აღმოჩენილი ქართველი მეფე-მთავრებიც ცდილობენ ევროპასთან კავშირების მოძებნას, სადაც იყო ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მცდელობა. 1454 წლის ზაფხულში ოსმალები თავს დაესხნენ აფხაზეთისა და სამეგრელოს შავი ზღვის სანაპირო ტერიტორიებს, რამაც ქართველი მეფე-მთავრები დიდად შეაშფოთა.

თავის მხრივ დასავლეთიც ცდილობდა ოსმალთა წინააღმდეგ მოკავშირეების მოძებნას ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. ამ მიზნით რომის პაპმა შუამავლებიც კი გამოავაზა ქართველ მეფე-მთავრებთან. მათ მოახერხეს ქართველი მეფე-მთავრების შერიგება და ამ იდეის გარშემო გაერთიანება. რომის პაპის ელჩს ლუდოვიკო ბოლონიელს მეფე გიორგი VIII-მ და ყვარყვარე ათაბაგმა დასავლეთში წერილები და ელჩებიც კი გააყოლეს (ე. მამისთვალაშვილი 1981:42).

ყვარყვარე ათაბაგი ბურგუნდიის ჰერცოგს წერილში ჰპირდებოდა, რომ ერთი ზაფხულის განმავლობაში დაიპყრობდნენ მთელ ანატოლიას და ყველა ქვეყანას, რომელიც ოსმალებს ეჭირათ აღმოსავლეთით. ხოლო “იმის მეორე კერძო ადგილებს, რომელიც საბერძნეთია და რომელსაც შავი ზღვა ჰყოფს” ევროპელებს უტოვებდა დასაპყრობად. ყვარყვარეს მიაჩნდა, რომ მისი აღება ადვილი იქნებოდა, რადგან სულთანი ასე ორ ჯარს შორის მოექცეოდა და დამარცხდებოდა, შედეგად კი მოსპობდნენ მას (ე. მამისთვალაშვილი 1981:44-45).

ქართველი მეფე-მთავრები ამ დროისათვის ევროპელებს დიდი ძალის გამოყვანას ჰპირდებოდნენ, თუმცა საბოლოოდ ანტიოსმალური კოალიციის შექმნა ვერ მოხერხდა და მცდელობის ჩაშლის შემდგომ ქართველ მეფე-მთავრებს შორის კვლავ განხეთქილება დაიწყო.

ივ. ჯავახიშვილი ამბობს: “შესაძლებელია ქართველი დესპანები დასავლეთ ევროპითგან ჯერ დაბრუნებულნიც კი არ იყვნენ, ან, უფრო საფიქრებელია, ახალი მოსული იქნებოდნენ, თვით საქართველოშიც წინანდელზე უფრო გამწვავებული დაუნდობელი ბრძოლა ატყდა. ყვარყვარე ათაბაგსა, გიორგი მეფეს და დანარჩენ მონაწილეებს ასე მალე დაავიწყდათ თავიანთი შეთანხმების ამბავიც და ისიც, თუ როგორ ტყბილად უგალობდნენ დასავლეთის ქრისტიანებს ერთობა-თანხმობის ჰანგებს” (ივ. ჯავახიშვილი 1982:300-301).

1461 წელს ოსმალებმა დაიპყრეს ტრაპიზონის იმპერია. ამ მოვლენამ საქართველო უდიდესი საფრთხის წინაშე დააყენა. ტრაპიზონის დაპყრობის შემდეგ ოსმალები უშუალოდ მოადგნენ სამცხე-საათაბაგოს საზღვრებს და დაიწყეს იერიშები მის წინააღმდეგ. ვახუშტი წერს: “დაიპყრო ხონთქარმან ტრაპიზონ-არზრუმი და ეკირთებოდნენცა ოსმალნი მცირედ-მცირედ კლარჯეთსა და ჭანეთს” (ვახუშტი 1913:236).

ყვარყვარე მეორემ კავშირი შეკრა ბაგრატთან, რომელმაც 1462 წელს თავი იმერეთის დამოუკიდებელ მეფედ გამოაცხადა. იმავე წელს გიორგი მეფემ ბაგრატის წინააღმდეგ გაილაშრა. ჩიხორთან მომხდარ ბრძოლაში მეფე გიორგი დამარცხდა. მაშინ “ბაგრატმან დაიპყრა იმერეთი, აღიღო ქუთაისი და ეკურთხა მუნ მეფედ” (ვახუშტი 1973:300-305). მალე ბაგრატი თავის მოკავშირე ყვარყვარეს მიეშველა დამოუკიდებლობის მოპოვებაში. ათაბაგმა დახმარება სთხოვა აგრეთვე კახაბერ გურიელს, რისთვისაც მას აჭარა და ჭანეთის ნაწილი დაუთმო. “მისცა ყვარყვარემ აჭარა და რომელიმე ჭანეთისა გურიელსა კახაბერს” [ვახუშტი 1973:704-705]. გურიელიც პირობისამებრ დაეხმარა ყვარყვარე ათაბაგს.

1465 წელს გიორგი მეფემ კვლავ გაილაშქრა ყვარყვარეს დასასჯელად. ფარავნის ტბასთან მომხდარ ბრძოლაში მეფე გიორგი სასტიკად დამარცხდა და ტყვედ ჩაუვარდა მოწინააღმდეგეს. დატყვევებული მეფე შემდგომში იძულებული გახდა განთავისუფლების ფასად დამოუკიდებლობა ებოძებინა ყვარყვარეს მემკვიდრე ბაადურისათვის (1466-1475 წწ.).

ამრიგად, სამცხე-საათაბაგომ XV ს-ის სამოციან წლებში მოიპოვა პოლიტიკური და მოუკიდებლობა და იგი ჩამოცილდა საქართველოს. ეს იყო გამოყოფის პირველი ეტაპი. ათაბაგები ამით არ კმაყოფილდებოდნენ და ამასთანავე ცდილობდნენ სამცხე-საათაბაგოს ეკლესიის ჩამოშორებას ქართლის საკათალიკოსოსაგან. მათ სურდათ საკუთარი საკათალიკოსოს დაარსებას. ათაბაგები ცდილობდნენ სამცხე-საათაბაგოს სასულიერო პირები კურთხეულიყვნენ “უმცხეთოდ” სამცხეში და მცხეთის კათალიკოსიც არ მოესხენიებინათ სამცხის ეკლესიაში (თ. ჟორდანიას 1897:269).

ამ მიზნით ყველაზე აქტიური ბრძოლა მზეჭაბუკ ათაბაგმა გააჩაღა და მალე მიზანსაც მიაღწია. მესხეთის ეკლესიამ მიიღო თვითმწყემსობის უფლება და ჩამოშორდა ქართლის საკათალიკოსოს (თ. ჟორდანიას 1897:269). ათაბაგმა შეძლო ქართლის მეფისაგან თავისი სამთავროს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვება და აგრეთვე სამცხე-საათაბაგოს ეკლესიის ქართლის საკათალიკოსოსაგან ჩამოცილება, რაც “მტრის გაბატონებას საუკეთესო ნიადაგს უმზადებდა” (ივ. ჯავახიშვილი 1971:172).

XV ს-ის მეორე ნახევარში ოსმალეთი ჯერ კიდევ არ ისახავდა მიზნად სამხრეთ საქართველოს ინკორპორაციას და მხოლოდ მისი მოხარკეობით კმაყოფილდებოდა, მაგრამ ასეთი დამოკიდებულება ოსმალეთს თანდათან აღარ აკმაყოფილებდა.

XVI საუკუნის პირველ ნახევარში თანდათან იცვლება ოსმალეთის პოლიტიკა სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიმართ. ამ პერიოდისათვის ოსმალეთი უკვე ძლიერი იმპერიაა და მისი არსებობის მთავარი წყარო სხვა ქვეყნების დაპყრობა-დამორჩილებაა.

XVI ს-ის დასაწყისში გარკვეული პოლიტიკური ცვლილებები მოხდა ირანშიც. 1502 წელს შეიქმნა ირანის სეფიანთა სახელმწიფო, რომელიც დააარსა ისმაილ პირველმა (1502-1524 წწ.). სეფიანთა სახელმწიფოს შექმნაში აქტიურად მონაწილეობდა შვიდი ყიზილბაშური ტომი. ამის გამო სეფიანთა სახელმწიფოს ყიზილბაშთა სახელმწიფოსაგან უწოდებდნენ, რადგან ისმაილის მომხრე თურქული ტომები წითელხოლიან თავსაბურავებს ატარებდნენ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მეფე-გამგებლები ისმაილის მომხრედ გამოდიოდნენ. ამ დროს საქართველო თეთრბატკიანთა მოხარკე ქვეყანა იყო და ისმაილი, გამარჯვების შემთხვევაში, ქართველებს ხარკისაგან განთავისუფლებას პირდებოდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ისმაილმა დანაპირები არ შეასრულა და თანმიმდევრობით ახორციელებდა საქართველოს მიმართ ირანის შაჰების ტრადიციულ პოლიტიკას (მ. სვანიძე 1990:156-157).

ამგვარად, XVI საუკუნის დასაწყისისათვის დაშლილ-დანაწევრებული საქართველო ორი ძლიერი სახელმწიფოს გარემოცვაში აღმოჩნდა.

ოსმალეთი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სამცხე-საათაბაგოს. მის დაპყრობით გეგმებში სამცხე-საათაბაგოს უაღრესად დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ოსმალეთს გზას უხსნიდა მთელ ამიერკავკასიაზე და ჩრდილოეთ ირანზე. სწორედ ამით აიხსნებოდა ის შეუპოვრობა, რომელსაც იგი სამცხე საათაბაგოს სრული და საბოლოო დამორჩილებისათვის იჩენდა (მ. სვანიძე 1971:38). მესხეთის დაუფლების გარეშე ოსმალეთის ყველა პოლიტიკური წარმატება ამიერკავკასიაში საეჭვო ხდებოდა (H. Бердзенишвили 1938:31).

სეფიანთა ირანი არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა სამცხე-საათაბაგოს გეოგრაფიულ მდგომარეობას. ირანს აღმოსავლეთ საქართველოში ბატონობა მხოლოდ სამცხე-საათაბაგოს შემომტკიცებით შეეძლო.

სამცხე-საათაბაგოს არ შეეძლო საკუთარი ძალებით გამკლავებოდა ირანს, ან ოსმალეთს. თვითონ ფეოდალური საქართველოს ერთი ნაწილი, მესხეთი, თავის მხრივ, როგორც ერთი პოლიტიკური ერთეული, ოცდაორი ფეოდალური სახლის კრებულს წარმოადგენდა (H. Бердзенишвили 1938:31). წარმოებდა სისტემატური შიდა ბრძოლები ერთი მხრივ, ფეოდალური სახლის მეთაურებსა და სახლის წევრებს, მეორეს მხრივ, ათაბაგსა და ათაბაგის სახლის წევრებს შორის. შინაკლასობრივი ბრძოლის საფუძველზე მესხეთში იქმნებოდა, როგორც ოსმალეთის, ისე ირანის მომხრეთა ფეოდალური დასები.

ოსმალთა და ქართველთა შორის პირველი კონტაქტები სამხრეთ საქართველოს ტერიტორიებზე ჯერ კიდევ სულთან მეჰმედ მეორე ფათიჰის დროს დაიწყო. სულთნის ბრძანებით, მომავალი სულთნის ბაიაზიდის ლალამ (აღმზრდელმა) რაკა სინან ბეიმ თორული დაიპყრო,

რომელიც ახლანდელი არდაშენის ერთ-ერთ კაზას წარმოადგენს. იმ დროს თორული ერთ მცირე სამთავროს წარმოადგენდა. გადმოცემის მიხედვით, მისი მმართველი მხარს უჭერდა სულთნის მოწინააღმდეგე უზუნ ჰასანს, რის გამოც ოსმალებმა გადაწყვიტეს თორულის დაპყრობა. ზოგიერთი თურქული წყაროს მიხედვით, თორულის აღების შემდეგ ოსმალებმა დაიკავეს საქართველოს კუთვნილი მიწებიც (M. Danişmend 1, 1971:344). ზოგიერთი თურქი ავტორი ვერ ასახელებს ამ ტერიტორიებს, ხოლო ზოგი ბათუმის შემოგარენს და მაჭახლის ხეობას მოიხსენიებს, რომლებიც შემდგომში (თუ როდის დაზუსტებით არ არის ცნობილი) განთავისუფლდნენ, მაგრამ საბოლოოდ, XVI ს-ის შუახანებში ოსმალეთმა მაინც მოახერხა მათი დაპყრობა (F. Kirzioğlu 1998:43).

XVI საუკუნის დასაწყისისათვის საგრძნობი ხდება არზრუმისა და ტრაპიზონის ფაშების მოძალეობა სამცხე-საათაბაგოს საზღვარზე.

1510 წელს ოსმალთა ლაშქარი, რომელსაც სათავეში ედგა ოსმალეთის მომავალი სულთანი, იმხანად კი ტრაპიზონის გამგებელი – სელიმი, სამცხე-საათაბაგოს საზღვრებს მოადგა. მზეჭაბუკ ათაბაგი ოსმალთა სარდალთან გამოცხადდა და მას მორჩილება გამოუცხადა. სარდალმა შეიწყნარა მზეჭაბუკი და მოსთხოვა მას “საზრდელი და ყოლაუზობა იმერეთსა ზედა”, რაზეც მზეჭაბუკი დათანხმდა. მან ოსმალთა ლაშქარი სამცხე-საათაბაგოზე გაატარა და წარუძღვა ოსმალებს იმერეთზე სალაშქროდ. ოსმალები საათაბაგოს გავლით იმერეთში შეიჭრნენ და დაარბიეს იგი.

ამ დროისთვის ათაბაგის ოსმალეთთან პოლიტიკური დამოკიდებულების ფორმა მოხარკეობის საფუძველზე იყო დამყარებული. ათაბაგი რჩებოდა სამცხე-საათაბაგოს გამგებლად ათაბაგის ტიტულის შენარჩუნებით; სამაგიეროდ ვალდებულებას კისრულობდა, რომ ეხადა ხარკი ოსმალებისათვის და საჭიროების შემთხვევაში ლაშქრით გამოცხადებულიყო ოსმალთა მხარეზე და მოემარაგებინა მისი ჯარი სურსათ-სანოვაგით.

სამეგრელოსა და იმერეთისაგან განსხვავებით, რომელთაც სელიმი ებრძოდა ტრაპიზონიდან წასვლამდე, სამცხე-საათაბაგოს ათაბაგებთან იგი მშვიდობიან პოლიტიკას ატარებდა. ათაბაგები ოსმალების მოხარკეები იყვნენ, უფრო მეტიც, ისინი მათ ქვეშევრდომებადაც ითვლებოდნენ. ამას ადასტურებს ოსმალებისადმი მზეჭაბუკის მხარდაჭერაც. ოსმალთა მხარდაჭერას ათაბაგებისადმი განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის, რადგანაც ქართლისა და იმერეთის მეფეები ცდილობდნენ საათაბაგოს ხელში ჩაგდებას (ქ. ლ. ბაკე-გრამონი 1978:99).

1512 წელს ოსმალეთის სულთანი გახდა სელიმ I (1512-1520 წწ.). სელიმის დროს განსაკუთრებით ძლიერდება აგრესიული პოლიტიკა აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართულებით. სწორედ ამ დროს ოსმალეთსა და ირანს შორის დაიწყო ხანგრძლივი სისხლისმღვრელი ომები, რომელიც მცირე შესვენებებით მთელი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. ამ ომების დროს საომარი მოქმედებების ერთ-ერთი მთავარი ასპარეზი ამიერკავკასიის ქვეყნები და კერძოდ საქართველო იყო. ოსმალეთი, ისევე როგორც ირანი, დაჟინებით ცდილობდა ამ ქვეყნებში გაბატონებას.

1514 წლის აგვისტოში ჩაღდირანის ველზე ბრძოლაში ოსმალებმა სასტიკად დაამარცხეს ირანის ლაშქარი. შაჰ ისმაილ პირველის დამარცხების შემდეგ სელიმი შეუდგა არაბული ქვეყნების დაპყრობას. მოვლენების განვითარებას ახლო აღმოსავლეთში ფრთხილად ადევნებდნენ თვალყურს საქართველოში და მათ შორის სამცხე-საათაბაგოშიც (გ. გაბაშვილი 1954:51).

1516 წელს გარდაიცვალა მზეჭაბუკი და სამცხის ათაბაგი გახდა ყვარყვარე III (1516-1535 წწ.), ქაიხოსრო პირველის ძე. მზეჭაბუკის გარდაცვალების შემდეგ სამცხე-საათაბაგოში დაიწყო ბრძოლა ხელისუფლებისათვის. მოწინააღმდეგეები ცდილობდნენ, ამ ბრძოლაში გარეშე ძალების – ირანისა და ოსმალეთის გამოყენებას და მათი დახმარებით ძალაუფლების ხელში ჩაგდებას.

1516 წელს ყვარყვარე მესამეს აუჯანყდა მანუჩარი, მისი ბიძა და ყვარყვარე მეორის ძეძვეს შვილი.

ბრძოლაში ყვარყვარე დამარცხდა და შაჰისათვის დახმარების სათხოვნელად თავრიზში გაიქცა. შაჰ ისმაილ პირველმა, დივ სულთან რუმლუს სარდლობით, სამცხეში მანუჩარის წინააღმდეგ ლაშქარი გამოაგზავნა. მანუჩარმა ლაშქარს გზაში მოციქულები დაახვედრა, მაგ-

რამ ირანელებმა მოციქულები დახოცეს და სამცხისაკენ გაემართნენ. მანუჩარი ოსმალეთში გაიქცა. ირანელებმა აიღეს თმოგვის ციხე, რის შემდეგაც ხელისუფლება ყვარყვარეს ჩააბარეს და უკან გაბრუნდნენ.

ოსმალეთში გაქცეული მანუჩარი მათი დახმარებით ცდილობდა ხელთ ეგდო ძალაუფლება სამცხეში. ყვარყვარესა და მანუჩარის ბრძოლა ასუსტებდა სამცხის ფეოდალურ სამთავროს და მის თავდაცვისუნარიანობას. ოსმალეთი და სპარსეთი მარჯვედ იყენებდნენ შიდა ფეოდალურ ომს სამცხე-საათაბაგოში და “დახმარების” საბაბით იპყრობდნენ და არბევდნენ მას (ვ. გაბაშვილი 1954:53).

ოსმალეთში მანუჩარი დაუკავშირდა სელიმ პირველის ამირას ყიზილ აჰმედ ოღლუს და მისი დახმარებით მოინდომა ყვარყვარეს წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ 1518 წელს ბრძოლა ყვარყვარე ათაბაგსა და მანუჩარის მომხრე ოსმალთა ლაშქარს შორის, რომელიც ყარაარდაანში მოხდა, ყვარყვარეს გამარჯვებით დამთავრდა. მანუჩარის მცდელობა, ოსმალთა დახმარებით დაემარცხებინა ყვარყვარე, უშედეგოდ დამთავრდა.

1520 წელს, სელიმ პირველის გარდაცვალების შემდეგ, სულთნის ტახტი მისმა შვილმა სულეიმანმა (1520-1566 წწ.) დაიკავა. სულეიმანის მეფობის პერიოდში ოსმალეთის იმპერიამ თავისი ძლიერების პიკს მიაღწია. მამისაგან განსხვავებით, სულეიმან I კანუნი დასავლეთის ფრონტსაც დიდ ყურადღებას აქცევდა. იგი მონაცვლეობით იბრძოდა დასავლეთსა და აღმოსავლეთში. როგორც ჰამერი ამბობს, “ოსმალელები მთელი ორი საუკუნის განმავლობაში რიგ-რიგობით ებრძოდნენ სპარსეთსა და უნგრეთს. ისე, რომ ამ ორ სახელმწიფოთაგან ერთ-ერთთან ზავის დადება მეორესთან ომის დაწყებას ნიშნავდა” (Hammer 1998:120).

XVI საუკუნის 20-იან წლებში სამცხის მიმართ აქტიური საბრძოლო პოზიცია არც ოსმალეთს ეჭირა და არც ირანს. ორივე მის შინაურ საქმეებში ჩარევითა და საური-ხარაჯის მიღებით კმაყოფილდებოდა (ვ. აბულაძემ 1983:15).

იმერეთის მეფე ბაგრატ III (1510-1565 წწ.) ვერ ივიწყებდა წყენას მხეჭაბუკ ათაბაგისაგან, რომელიც გამოჰყვა ოსმალეებს იმერეთში ლაშქრობის დროს. ამასთან ბაგრატს უნდოდა ათაბაგ ყვარყვარე მესამის თავისი გავლენის ქვეშ მოქცევა. ყვარყვარეს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ქართლის მეფე დავითთან, რაც ბაგრატის ინტერესებში არ შედიოდა. ამიტომ ბაგრატმა ომი გამოუცხადა ათაბაგს. ბაგრატი დაუკავშირდა გურიისა და ოდიშის მთავრებს და ისინიც თავის მხარეს დაიყენა. 1535 წლის 13 აგვისტოს, ახალქალაქთან ახლოს სოფელ მუჯახეთთან, სასტიკი ბრძოლა მოხდა ათაბაგსა და მოკავშირეებს შორის. ათაბაგი დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა. ბაგრატმა დაიპყრო სამცხე-საათაბაგო (ვახუშტი 1913:242). ათაბაგობა დროებით შეწყდა. ოსმალეთის სულთანმა შეიკედლა ათაბაგის შვილი ქაიხოსრო, რომელიც სტამბოლში ჩაიყვანა ოსმალეთის მომხრე ფეოდალთა ჯგუფმა შალიკაშვილების მეთაურობით. ოსმალეთს კარგი საბაბი ეძლეოდა უფრო აქტიურად ჩარეულიყო ქვეყნის საშინაო საქმეებში.

1536 წლის 4 ივლისს, საფიქრებელია, რომ ქაიხოსროს მხარდასაჭერად, არზრუმის ბეგლარბეგის – ზულკადირლი (ზოგჯერ იგი დურკადირლიდაც მოიხსენიება) მეჭმედ ხანის მეთაურობით ოსმალთა ლაშქარი საათაბაგოს ტერიტორიებს შემოესია. რადგან ამ დროს არზრუმი დანგრეული იყო და ცენტრი დროებით გადასული იყო ბაიბურთში, ოსმალთა ლაშქრობაც ამ ქალაქიდან დაიწყო (M.Danişmend 2, 1971:190). ამ ლაშქრობაზე თურქი ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი მოგვითხრობს, თუმცა იგი არ აზუსტებს თუ რა ტერიტორიებზე იყო იგი. “943 წელს, წმინდა მუჰარემის 15-ს [=1536.4.VII.] ბაიბურთის მმართველმა, სახელოვანმა ემირმა მეჭმედ ხანმა მაგ [ბაიბურთის] მხარის ძლევამოსილი ჯარი თავდამსხმელთა რაზმში გაიწვია და ლაშქარი რომ შეკრიბა, შეესია საქართველოს და მისი აოხრება დაიწყო. ამასობაში ქართველი ურჯულოებიც მომზადებულიყვნენ და ისლამის ლაშქარს წინ აღუდგნენ. დიდი ომისა და ბრძოლის შემდეგ გამარჯვება ისლამის [ლაშქარს] ერგო... აურაცხელი დასამიწებელი ურჯულო გაწყდა. გადარჩენილები რომ დაიფანტნენ, ასქერები ეძგერნენ საშოვარს და იმდენი ნადავლი ჩაიგდეს ხელში, რომ გადმოცემა ძნელია. ასეთი მაგალითის შემდეგ სამმა-ოთხმა სასანჯაყო ადგილის [მოსახლეობამ] მორჩილება გამოაცხადა და სულთანს ვალისა და მმართველის დანიშვნა სთხოვა” (ი. ფეჩევი 1964:25).

როგორც ვხედავთ, ავტორი არც სანჯაყებად გამოცხადებული ტერიტორიების სახელწოდებებს გადმოგვცემს, მაგრამ თვითონ ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ოსმალეთი უკვე იწყებს ქართული ტერიტორიების ინკორპორაციას.

XVI ს-ის 40-იან წლებში სამცხეში განახლდა ბრძოლა ათაბაგის ხელისუფლებისათვის. ბაგრატის ტყვეობაში მყოფი ყვარყვარე მესამე გარდაიცვალა. ყვარყვარეს ვაჟმა ქაიხოსრომ სცადა თავისი მომხრე მესხი ფეოდალების დახმარებით ხელთ ეგდო ძალაუფლება სამცხეში, მაგრამ ცდები, ჩანს, უშედეგოდ დასრულდა. სწორედ ამ დროს იწყებენ ოსმალები სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიების დაპყრობას და აქტიურად ერევიან მის საშინაო საქმეებში. ქაიხოსრომ გადაწყვიტა, ოსმალთა დახმარებით დაემარცხებინა ბაგრატ III და აღედგინა ათაბაგის ხელისუფლება სამცხეში.

სულთანის სიამოვნებით გამოვიდა ქაიხოსროს მფარველის როლში, რადგან მას ძალიან კარგად ესმოდა, რომ ოსმალთა დახმარებით ქაიხოსროს გაათაბაგება გააძლიერებდა სამცხეში ოსმალთა გავლენას (მ. სვანიძე 1971:58).

1543 წელს საქართველოში კვლავ შემოვიდა ოსმალთა 22 ათასიანი ჯარი. ბაგრატ მესამემ და გურიელმა ბასიანში დაამარცხეს ოსმალები და მთლიანად განდევნეს ისინი სამცხე-საათაბაგოდან. ამ ფაქტმა განარისხა სულთანი და კვლავ “წარმოავლინა არზრუმისა და დიარბაქირის ფაშანი სპითა სუაზს იქითა” (ვახუშტი 1913:244).

ბაგრატმა დახმარებისათვის ქართლის მეფე ლუარსაბს მიმართა. 1545 წელს სოხოისტასთან მომხდარმა ბრძოლამ ბოლო მოუღო მეფე ბაგრატ მესამის ბატონობას სამცხე-საათაბაგოში. ოსმალთა ბანაკში იმყოფებოდნენ ათაბაგის მემკვიდრე ქაიხოსრო და ოთარ შალიკაშვილი. ქაიხოსრო ოსმალთა დახმარებით საათაბაგოს დაბრუნებას ცდილობდა, ოსმალეთი კი საქართველოს ძალთა ასეთ დაქსაქსულობას თავისი პოლიტიკის გასატარებლად იყენებდა.

ქართველთა დამარცხების შემდეგ ოსმალებმა საათაბაგო დაიჭირეს და ქაიხოსროს უბოძეს, მაგრამ ოსმალებს მაინც არ შეეძლოთ სამცხე-საათაბაგოს სწრაფად დაპყრობა და მისი გაოსმალეობა.

1548-1549 წლებში არზრუმის, დიარბაქირის, სივასის და ყარამანიის ბეგლარბეგთა ხელმძღვანელობით ოსმალთა ლაშქარი არაერთხელ შემოესია სამხრეთ საქართველოს და დაიპყრო რიგი ტერიტორიებისა.

ოსმალებმა დაიპყრეს ათაბაგის დაქვემდებარებაში მყოფი თორთომი, ფანასკერტი, ანზავი (?), ნიხახი, ოლთისი და სხვა.

იბრაჰიმ ფეჩევი გადმოგვცემს, რომ დატოვებულ იქნა თხუთმეტი ციხესიმაგრე, ხოლო დანარჩენები მიწასთან იქნა გასწორებული (ი. ფეჩევი 1964:28).

ამ ბრძოლების საბოლოო შედეგი იყო ის, რომ ოსმალეთმა სამცხეში ოთხი სასანჯაყო ტერიტორია დაიპყრო. თურქებმა მრავალი ციხესიმაგრე აიღეს და უამრავი ტყვე და ნაღველი ჩაიგდეს ხელში (H. Özdemir 2002:97).

ფ. კირზიოღლუს ჩამოთვლილი აქვს ოცდაცხრამეტი ციხესიმაგრე, რომლებიც ოსმალებმა წაართვეს ქართველებს (F. Kirzioğlu 1998:203). დაპყრობილი ადგილები დაიყო ოთხ სანჯაყად. ესენია: თორთომი, აქჩაკალე, ქემხისი და ლივანის ხეობა (ახლანდელი ართვინი). ეს სანჯაყები არზრუმის საბეგლარბეგოს დაექვემდებარა. აჰმედ ფაშას მიერ ამ ლაშქრობების შედეგად დაპყრობილ ციხეთა შორის იყო აგრეთვე ჭოროხის აუზში მდებარე ბარანაქის, ყუმუხის, ფანაკის (ბანა?-ზ.შ.), სამისკარის და ახას (ახის, ახიზის?) ციხეებიც (N. Gümüş 1999:138).

როგორც ვხედავთ, ზემოხსენებული ლაშქრობების შესახებ საუბრისას კონკრეტულად შავშეთს ვერ ვხვდებით, თუმცა ოსმალთა აგრესია მის საზღვრებსაც ემუქრება. როგორც საისტორიო წყაროები გვამცნობენ, შავშეთის დაპყრობაც ზემოთ განხილული პროცესების თანმდევი იყო. სხვა ტერიტორიებთან ერთად შემდგომში ისიც ოსმალთა იმპერიის პროვინციად იქცა.

§2. შავშეთი ოსმალეთის იმპერიაში

ოსმალთა ბატონობის დაწყებასთან ერთად ქართულ ისტორიოგრაფიაში თითქმის მთლიანად წყდება ცნობები სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ. ამ მხრივ მდგომარეობა მეტ-ნაკლებად გამოსწორდა 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად ქართული ტერიტორიების შემოერთების შემდეგ, როდესაც ქართველმა მეცნიერებმა: დ. ბაქრაძემ, ნ. მარმა, ე. თაყაიშვილმა იმოგზაურეს უკვე კარგა ხნის მიტაცებულ ქართულ ტერიტორიებზე, მათ შორის შავშეთშიც. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მათი შრომები გარკვეულ მიმართულებებს უკავშირდება და საისტორიო საკითხი ნაკლებად არის შესწავლილი.

შავშეთის ოსმალეთისადმი დაქვემდებარების ზუსტი თარიღი უცნობია როგორც ქართული, ისე თურქული ისტორიოგრაფიისათვის. ისტორიული წყაროებისა და ცნობების არქონის გამო ქართველ ისტორიკოსთა დიდმა ნაწილმა ქართულ საისტორიო ლიტერატურაში დაამკვიდრა არასწორი მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. იმის გამო, რომ 1595 წლით დათარიღებულ „გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარში“ შავშეთ-მაჭახელი, აჭარა და სამხრეთ დასავლეთ საქართველოს სხვა ტერიტორიები არ არის რეგისტრირებული, ქართველი ისტორიკოსები თვლიდნენ, რომ ეს მხარე ოსმალებმა უფრო მოგვიანებით, XVII ს-ის დასაწყისში დაიპყრეს. ამასთან მიღებული იყო აზრი, რომ აღნიშნული დავთარი მთლიანად მოიცავდა იმ ქართულ ტერიტორიებს, რომლებიც აღნიშნული პერიოდისთვის უკვე დაქვემდებარებული იყო ოსმალეთის იმპერიისადმი. თუმცა, ბოლო პერიოდში, მას შემდეგ, რაც ხელმისაწვდომი გახდა თურქეთის არქივებსა და წიგნთსაცავებში დაცული საისტორიო დოკუმენტები და შესაძლებელი გახდა თანამედროვე თურქი ისტორიკოსების ნაშრომების გაცნობა, არაერთ მსგავს საკითხს მოეფინა ნათელი. გაირკვა, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (მათ შორის შავშეთიც) ოსმალებმა უფრო ადრე დაიპყრეს, ვიდრე სამცხე და ჯავახეთი. მიზეზი იმისა, რომ ისინი „ვერ მოხვდნენ“ „გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარში“, მხოლოდ და მხოლოდ ადმინისტრაციული დაყოფა იყო. ბათუმი, აჭარა, მაჭახელი, იმერხევი და შავშეთი არზრუმის ვილაეთის შემადგენლობაში იყვნენ გაერთიანებული.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში შავშეთის ისტორია უფრო ხშირად მთლიანი რეგიონის კონტექსტში, თუმცა ფრაგმენტულად, მაინც მეტ-ნაკლებად არის ასახული. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თურქ ისტორიკოსთა უმრავლესობის გამოკვლევები ქართული ტერიტორიების („ოსმალეთის საქართველოს“) შესახებ, ძირითადად ტენდენციურ ხასიათს ატარებს და მათი გაცნობის შემთხვევაში საკითხების უფრო ღრმად შესწავლა გემატებას.

ზოგადად იკვეთება, რომ ოსმალებმა ქართული ტერიტორიების ინკორპორაცია XVI ს-ის 40-იანი წლებიდან დაიწყეს. ზემოთ განხილულიდან ჩანს, რომ სამცხე-საათაბაგოს საკმაოდ ფართე ტერიტორიების დაპყრობის მუხედავად, შავშეთი კვლავ ათაბაგის დაქვემდებარებაში რჩება.

1550 წელს ოსმალებმა ორჯერ ილაშქრეს ქართულ ტერიტორიებზე. პირველ ლაშქრობას არზრუმის ბეგლარბეგი მუსტაფა ფაშა (1549-1550 წწ.) ედგა სათავეში. ამ ლაშქრობით მათ ხელში ჩაიგდეს მამირვანი და ტაოსკარი ოთხი ციხით. მეორე ლაშქრობას ტრაპიზონის სანჯაყბეგი მუსტაფა ფაშა ხელმძღვანელობდა. ეს ლაშქრობა წყაროებში გონიოს ლაშქრობის სახელწოდებით იხსენიება. სტამბოლის მინისტრთა საბჭოს ოსმალურ არქივში დაცულ ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც ჰიჯრით 957 წლის 28 ზილ-ჰიჯეთი თარიღდება (1550.08.12), ფიქსირდება ინფორმაცია ჯალაბა თავადისა და სპირიდონის ძეების მიწებზე ოთხი ციხესიმაგრის აღების შესახებ. ერთ-ერთ ბრძოლაში მაჭახლის ციხეში მებრძოლ აზნაურებს თავები მოჰკვეთეს და ციხე დაანგრეს (BOA KKT 209:137). ეს გახლავთ ოსმალთა მიერ მაჭახლის ხეობის აღებასთან დაკავშირებული ფაქტი.

სხვა დოკუმენტებიდან დგინდება, რომ მაჭახელს, შავშეთს და იმერხევს სპირიდონის ძეები ფლობდნენ. სავარაუდოა, რომ „დანარჩენი“ შავშეთის მმართველებს ოსმალთა ბატონობის აღიარება არზრუმის ბეგლარბეგმა 1551 წელს არტანუჯისა და არტაანის აღების შემდეგ აიძულა.

1551 წელს ისქენდერ ფაშამ (1550-1553 წწ.) გამოილაშქრა საქართველოში და დაიპყრო არტანუჯის ციხე, არტაანი, ფარნაკი (ფანაკი) და არსიანის მთამდე ტერიტორიები ოსმალეთის იმპერიას შეუერთა (F. Kirzioğlu 1998:72).

ზემოხსენებული ლაშქრობების შემდეგ ოსმალთა მიერ ქართული ტერიტორიების დაპყრობა და მათ ხარჯზე არზრუმის საბეგლარბეგოს საზღვრების გაფართოება კვლავ ინტენსიურად გრძელდება.

რა თქმა უნდა, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ოსმალეთმა აღნიშნულ ტერიტორიებზე მოკლე ხანში მოიკიდეს ფეხი. მათი დამკვიდრება აქ საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყო. ამას მოჰყვებოდა ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება, ანტიოსმალური გამოსვლები, ზოგიერთი ტერიტორიის გათავისუფლება მტრისგან, თუმცა რამდენადაც შემდგომ განვითარებული მოვლენები გვიჩვენებს – დროებით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ის, რომ აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენდა ირან-ოსმალეთს შორის მიმდინარე ხანგრძლივი ომების ასპარეზს, სადაც ტერიტორიები ხშირად მონაცვლეობით გადადიოდა ერთი ან მეორე მხარის ხელში.

სტამბოლის თოფქაფი-სარაის მუზეუმში დაცულ მუჭიმე (მნიშვნელოვანი მოვლენების აღმრიცხველ) დავთარში გვხვდება 1552-1553 წწ-ით დათარიღებული ცნობა, რომელიც გადმოგვცემს, რომ ირანული ორიენტაციის ქართველმა თავადებმა, ლუარსაბმა და ქაიხოსრომ (მათი ვინაობა უცნობია, თუმცა ვფიქრობთ, რომ ესენი ქართლის მეფე ლუარსაბი და ათაბაგი ქაიხოსრო უნდა ყოფილიყვნენ – ზ. შ.), 1552 წლის ივნისში ოსმალეთის კუთვნილი რამდენიმე ციხესიმაგრე დაიკავეს, თავს დაესხნენ არტაანს და გაიტაცეს [იქიდან] ხალხი. ისქენდერ ფაშამ მათ მომხრე ირანულ ძალებთან ერთად დაამარცხა ისინი. ამის შემდეგ შავშეთის, ლივანას (ართვინის – ზ. შ.) და აჭარის ქართველი თავადები იძულებულნი გახდნენ ოსმალთა მმართველობა ელიარებიანთ (Aydn Dünder 1998:72). ამავე წლის ოქტომბერში ფანასკერტი ოჯაქლიქის (შთამომავლობითი მმართველობის – ზ.შ.) წესით შევიდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. 1553 წლის 23 დეკემბრით დათარიღებულ დოკუმენტში შავშეთიც მოხსენიებულია როგორც ოჯაქლიქი (BOA, KKT 212:60-61). უნდა ითქვას, რომ “ოსმალთა მმართველობის აღიარება” ხშირ შემთხვევაში არ ნიშნავდა ამა თუ იმ ტერიტორიის იმპერიის შემადგენლობაში შესვლას. იგი უბრალოდ ოსმალთა სიუზერენიტეტის აღიარება უნდა ყოფილიყო. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ აჭარისწყლის ხეობის შეერთება ოსმალეთის იმპერიასთან მოგვიანებით, 1561 წელს მოხდა, როდესაც იგი სპერის სანჯაყს შეუერთეს, ხოლო ცალკე სანჯაყად იგი მხოლოდ 1564 წელს გამოცხადდა (ზ. შაშიკაძე 2002:152-153).

1553 წლის დოკუმენტის მიხედვით, არტანუჯის სანჯაყისადმი დაქვემდებარებულ სოფელ სამისკარს, როგორც მისი ძველი მფლობელი, ქართველი თავადი იოსებითი მოითხოვს (BOA, KKT, R 209: 165). 1554 წლის 26 ივნისით დათარიღებულ დოკუმენტში ხსენებული იოსებითი შავშეთის სანჯაყებგად მოიხსენიება (H. Özdemir 2002:111).

1555 წელს ამასიაში დადებული ზავით დროებით შეწყდა ომი ირანსა და ოსმალეთს შორის. ზავის პირობებით ირანმა ცნო ოსმალეთის უფლებები დასავლეთ საქართველოზე, ხოლო ოსმალეთმა ირანის უფლებები აღმოსავლეთ საქართველოზე. მესხეთი გავლენის სფეროებად გადანაწილდა, რაც აიხსნებოდა იმით, რომ არცერთ მათგანს არ სურდა მიეცა მოწინააღმდეგისათვის საშუალება ფეხი მოეკიდებინა აქ. სამცხის დაპყრობას ოსმალეთისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმდენად, რამდენადაც აქედან მას გზა ეხსნებოდა ქართლ-კახეთსა და აღმოსავლეთ კავკასიაში შესატრელად (მ. სვანიძე 1971:80).

ამასიის ზავის პირობებით ბასიანი, არტაანი და არტანუჯი ოსმალეთის გავლენის ქვეშ გადავიდა, ხოლო სამცხე ირანს დარჩა. თურქი ისტორიკოსი ფ. კირზიოღლუ, როდესაც საუბრობს ამასიის ზავზე, აჭარასა და შავშეთს ოსმალეთის მოსაზღვრე ტერიტორიებად მოიხსენებს (F. Kirzioğlu 1998:247).

სავარაუდოა, რომ რიგ სხვა ტერიტორიებთან ერთად შავშეთიც ოსმალეთის იმპერიას საბოლოოდ უფრო მოგვიანებით, 60-იან წლების დამდეგს შეუერთდა; მიუხედავად სამშვიდობო ხელშეკრულებისა და მისი პირობებისა, ოსმალეთი მესხეთის ტერიტორიების დაპყრობას მაინც აგრძელებდა. ამავე დროს ოსმალეთის აგრესიას მესხეთის მიმართ აჩქარებდა ირანის

წარმატება აღმოსავლეთ საქართველოში. ამას კი ოსმალეთი, რომელიც თვითონ აპირებდა მთელს ამიერკავკასიაში გაბატონებას, ვერ შეურიგდებოდა. ამიტომ იგი სისტემატურად არღვევდა ზავის იმ პირობას, რომელიც სამცხე-საათაბაგოს ნაწილს ირანის გავლენის სფეროდ აცხადებდა და თანდათანობით ართმევდა მას ამ ტერიტორიებს.

1563 წლის სექტემბრით დათარიღებულ დოკუმენტში შავშეთის სანჯაყბეგად მკჷმედ ბეგია დასახელებული (BOA, KK, RD 218:11). ვფიქრობთ, რომ იგი ზემოხსენებული იოსებითია. თუ რატომ, ამას ქვემოთ მოგახსენებთ.

სტამბოლში მინისტრთა საბჭოს ოსმალურ არქივში ინახება არზრუმის ლალა მუსტაფა ფაშას მეჩეთის ვაყუფნამეს (სავაყუფო წიგნის) ასლი, რომელიც ჩვენი რეგიონის ისტორიისათვის ძალზე საინტერესო ცნობებს შეიცავს. ვაყუფნამეში აღწერილია აღნიშნული მეჩეთის კუთვნილი სოფლები, რომელთა უმრავლესობა ქართველი თავადებისგან არის შესყიდული. ნიშანდობლივია, რომ შავშეთის და იმერხევის ნაჷიეებში (რაიონებში) მდებარე ყველა სავაყუფო სოფელზე მითითებულია, რომ ისინი შესყიდულია მკჷმედ და აჷმედ სპირიდონის ძეებისაგან, რომლებიც არიან შავშეთ-იმერხევის მმართველები (BOA, EV. VKF, Dosya 20, Gömlek 16). როგორც უკვე ვთქვით, მაჭახლის ციხეებიც სპირიდონის ძეების მფლობელობაში იყო. ამ ცნობებს ამყარებს სხვა, კერძოდ, არზრუმში დაცული ჯაყელ ათაბაგთა შესახებ შედგენილი ოსმალური დოკუმენტებიც. მათზე დაყრდნობით თურქი ისტორიკოსი მუსტაფა ოზდერი წერს, რომ მაჭახელ-აჭარის ჯაყელი ბეგები თავდაპირველად შავშეთ-იმერხევიში მოსულან და ამ მხარეში პირველი სანჯაყბეგები განხდარან. მათგან სპირიდონ ბეგის ძეს იოსებით ბეგს აჷმედის სახელი მიუღია. მისი ძმები მკჷმედ, მაჷმუდ და სეფერ ბეგები იმერხევი-მაჭახელ-შავშეთის მხარეებში მოწილე სანჯაყბეგები გამხდარან (M. A.Özder 1971:6).

ვფიქრობთ, ეს გახლავთ ერთ-ერთი საინტერესო მომენტი შავშეთის ისტორიიდან. ეს არის გარდამავალი ეტაპი, როდესაც ქართველი მმართველები ოსმალეთის იმპერიისადმი დაქვემდებარების შემდეგ ისლამის აღიარებით ინარჩუნებენ ქონებას და სოციალურ მდგომარეობას. ხაზი უნდა გაეკვას იმას, რომ ეს პროცესი ანალოგიურად მიმდინარეობდა სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყველა რეგიონში, რომელიც ოსმალებმა დაიპყრეს.

პირობითად შეიძლება ითქვას, რომ XVI საუკუნის 60-იან წლებში დამთავრდა ოსმალთა მიერ ქართული ტერიტორიების ინკორპორაციის პირველი ეტაპი. 1578 წლამდე, როდესაც ლალა მუსტაფა ფაშამ „აღმოსავლეთის ლაშქრობის“ შედეგად სამცხე და ჯავახეთი დაიპყრო და ახალციხის საფაშო დააარსა, ოსმალებს დაპყრობილი ჰქონდათ არტაანი, აჭარა, შავშეთ-მაჭახელი, ნიგალი, კლარჯეთი და ტაონი (ამიერ და იმიერ ტაო).

თურქ ისტორიკოსს დინდარ აიდინს მონოგრაფიაში, რომლის ქრონოლოგიურ ჩარჩოსაც წარმოადგენს 1535-1566 წლები, არზრუმის საბეგლარბეგოს შემადგენლობაში ჩამოთვლილი აქვს შემდეგი ქართული სანჯაყები (სადროშოები): ისფირი (სპერი), ფასინი (ბასიანი), მამერვანი, აქჩაკალე, ოლთუ (ოლთისი), ბათუმი, თორთომი, ფერთეჷრეჷი, ტაოსკარი, ქემისი, ფანასკერტი, არტანუჯი, ლივანა, არტაანი, ქურთქალე (მგელციხე), შავშეთი, მცირე არტაანი, აჭარა, მაჭახელი და ფოთი (Dündar Aydın 1998:VII). თუმცა, უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ მათგანზე (მაგ. ფოთი, მგელციხე), გარკვეული პერიოდი ოსმალთ მმართველობა მხოლოდ ნომინალურად ვრცელდებოდა.

შავშეთი, იმერხევი და მაჭახელი ოსმალეთის იმპერიაში ცალცალკე სანჯაყებს (სადროშოებს) წარმოადგენდნენ. ისინი იმპერიაში იურთლუჷქის და ოჯაჷქლიჷქის წესით იყვნენ გაერთიანებულნი. აღნიშნული ტიპის სანჯაყებში სხვა სანჯაყებისაგან განსხვავებით მმართველობა შთამომავლობით გადადიოდა. 1609 წლამდე შავშეთის სამივე სანჯაყი არზრუმის საბეგლარბეგოს ექვემდებარებოდა, რის გამოც იგი არ არის რეგისტრირებული “გურჯისტანის ვილაეთის დიდ დავთარში.” ოსმალეთის იმპერიაში ხშირი იყო ადმინისტრაციული რეფორმები და შავშეთის სანჯაყიც ხშირად მონაცვლეობდა სხვადასხვა საფაშოს შემადგენლობაში. 1609 წლიდან 1631 წლამდე იგი ჩილდირის საბეგლარბეგოს შემადგენლობაშია. 1631 წელს შავშეთი კვლავ არზრუმის საბეგლარბეგოს უბრუნდება, ხოლო XVII ს-ის ბოლოს ისევ ჩილდირის საფაშოს დაქვემდებარებაშია. 1839 წელს გამოსული თანხიმათის ფირმანით ოსმალეთის იმპერიაში ახალი ადმინისტრაციული მმართველობა დაინერგა. სანჯაყბეგებმაც დაკარგეს ოფიციალური ფუნქცია (H. Özdemir 2002:112).

1878 წლის 13 ივლისის ბერლინის მოლაპარაკების თანახმად, შავშეთი ართვინთან, არტანუჯთან, ბორჩხასთან და სხვა ტერიტორიებთან ერთად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს შემოუერთდა. ამ ზავით დადგენილი საზღვრები რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის 1918 წლის 3 მარტამდე არ შეცვლილა, სანამ ბოლშევიკურმა რუსეთმა და ოსმალეთმა ბრესტ-ლიტოვსკის ზავს არ მოაწერეს ხელი. ამ ზავის შემდეგ შავშეთი ისევ ოსმალეთის შემადგენლობაში გადადის.

§3. შავშეთი ხესეთის იმპერიის შემადგენლობაში

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად შემოერთებულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა ორი ოლქი – ყარსისა და ბათუმის. ყარსის ოლქში კოლა-არტანთან და ოლთისთან ერთად მოექცა ისტორიული სომხეთის მიწების ნაწილიც. ბათუმის ოლქში შევიდა აჭარა, მაჭახელი, ბათუმი, ქობულეთი, ლივანა, შავშეთი, არტანუჯი და ლაზისტანის ნაწილი (გონიო, სარფი, მაკრიალი, ლიმანი). რუსეთთან შეერთებამდე ყოფილი ლაზისტანის სანჯაყი, რომლის ტერიტორიაზეც ჩამოყალიბდა ბათუმის ოლქი, თურქული დაყოფით ითვლიდა 7 მხარეს, ანუ ნაჰიეს: ბათუმის, ჩურუქ-სუს (ქობულეთის), ზემო აჭარის, ქვემო აჭარის, მაჭახლის, ართვინისა და გონიოს. ყოველი სასოფლო თემის სათავეში იდგა მოსახლეობის მიერ არჩეული მუხტარი. რამდენიმე თემი შეადგენდა ნაჰიეს, რომელსაც სათავეში ედგა მუდირი. ორი ნაჰიეს გაერთიანება შეადგენდა კაზას (მხარეს), რომელსაც კაიმაკამი ხელმძღვანელობდა. კაიმაკამს ნიშნავდა ბათუმის მუთესარიბი (გუბერნატორი) (А.Френкель 1879: 4).

ბათუმისა და ყარსის ოლქებს რუსეთის იმპერიისათვის განსაკუთრებული სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ ოპერატიულად იქნა შემუშავებული ამ ოლქების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და მმართველობის სტრუქტურა. 1878 წლის 20 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალმა მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვმა ხელი მოაწერა ბათუმის ოლქის ადმინისტრაციული მმართველობის დროებით დებულებას. დებულებით, რომელიც 14 მუხლისაგან შედგებოდა, ბათუმის ოლქი დაიყო სამ ოკრუგად და ცხრა საპოლიციო უბნად:

- ა) ბათუმის ოკრუგი – ბათუმის, კინტრიშისა და გონიოს უჩასტკები (უბნები)
- ბ) ართვინის ოკრუგი – არტანუჯის, ართვინისა და შავშეთის უჩასტკები
- გ) აჭარის ოკრუგი – ზემო აჭარის, ქვემო აჭარის და მაჭახლის უჩასტკები (А.Френкель 1879:122).

ბათუმი, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის ნავსადგური, ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყვეს და უშუალოდ გუბერნატორს დაუქვემდებარეს.

ბათუმის ოლქში შემოღებული მმართველობა სამხედრო-პოლიციური ხასიათისა იყო. ოლქის გუბერნატორი, ოკრუგების უფროსები და მათი თანამშემწეები მხოლოდ კადრის სამხედრო ოფიცრები უნდა ყოფილიყვნენ. რუსული მმართველობის განმტკიცებისა და სრულყოფის მიზნით 1879 წლის 5 თებერვალს გამოიცა ახალი დებულება, რომლის საფუძველზეც კიდევ უფრო გაფართოვდა ოლქის სამხედრო გუბერნატორის უფლებები, გაძლიერდა და განმტკიცდა სამხედრო-საპოლიციო მართვის სტრუქტურა და აპარატი. გატარებული ღონისძიებების მიზანი აშკარა იყო – რაც შეიძლება სწრაფად განხორციელებულიყო ახლად-შემოერთებული მხარის კოლონიზაცია. დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის გამო ბათუმისა და ყარსის ოლქების მმართველობა უშუალოდ კავკასიის არმიის მთავარსარდალს დაექვემდებარა. ოლქების სამხედრო გუბერნატორების მთავარი მოვალეობა მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების აღკვეთა და კოლონიური რეჟიმის განმტკიცება გახდა. ამ მიზნით გუბერნატორებს მიეცათ სამხედრო-საპოლიციო რაზმების შექმნის უფლებაც. მათვე უნდა დაეყენებინათ ხელისუფლების წინაშე საგამგეო ოლქებიდან მთავრობის არაკეთილმო-სურნეთა გაძევების საკითხიც.

ოლქის სამხედრო გუბერნატორს მხოლოდ დაბალი თანამდებობის მოხელეთა დანიშნის უფლება ჰქონდათ. მაღალი საგნის მოხელეებს: ოკრუგების უფროსებს, სამხედრო

კანცელარიის, სამხედრო-სამოქალაქო საქმეების გამგებლებს გუბერნატორების წარდგინების საფუძველზე ნიშნავდა კავკასიის მეფისნაცვალს. ყველა უმნიშვნელოვანეს თანამდებობებზე რუსი ეროვნების მოხელეები ინიშნებოდნენ. ცხადია, მკვიდრი მოსახლეობისათვის ძნელი ასატანი და შესაგუებელი იყო უცხო, რუსული მმართველობის ხელაღებით შემოღება. ამას ემატებოდა ცარიზმის აშკარა კოლონიური პოლიტიკა, რომლის მიზანი მხარის ათვისება, შემოერთებულ მხარეებში არაქართველი, უპირატესად რუსი კოლონისტების ჩამოსახლება და მათთვის ახალშენების მოწყობა იყო. რაც მიაჩნდათ ცარიზმის ბატონობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საფუძველად. სწორედ ცარიზმის პოლიტიკის შედეგი იყო, რომ სამუსლიმანო საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოეთში გადაიხვეწა. „დროება“, რომელიც იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის პოზიციას გამოხატავს, ეხებოდა რა სამხრეთ საქართველოში შექმნილ ვითარებას, აქაურთა მუჰაჯირად წასვლის ძირითად მიზეზად რუსულ მმართველობას და სამართალს მიიჩნევდა: „ჩვენი მხარე ვერანდება, ხალხი დიდი და პატარა, ფუხარა და შეძლებული, ყველაკაი სტოვებს თავის სახლ-კარს, დედულ-მამულს და მიეშურება ხონტქრის სამკვიდრებელში... სადმე რომ სამართალი იყოს და მთავრობას სურდეს ამ გავერანებას ბოლო მოუღოს, კვლავად გადასახლება შეაჩეროს და ჩვენს ხალხს გული გაუკეთოს – ერთი რაღაცის შემოღების მეტი არაფერი იქნება საჭირო. ამ ერთს რაღაცას სახელად ჰქვია სამართალი. სამართლის მეტი ჩვენ არაფერი გვინდა. იგი დაგვაკმაყოფილებს სულ მთლად. იგი მოგვიბრუნებს გულს, ხელს აგვადებინებს გადასახლებაზე, შეგვაყვარებს რუს-მმართველობას და ტირილით გარდახვეწილ მუჰაჯირებსაც კი დააბრუნებს („დროება“ №4, 1881). აღნიშნული მდგომარეობის მიუხედავად, ხელისუფლება კოლონიზაციის ტემპებით კმაყოფილი არ იყო, ამას ცხადყოფს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის კავკასიის მეფისნაცვლისადმი 1910 წელს გაგზავნილი წერილი: „რუსეთის სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, სასურველია, ადგილობრივი მოსახლეობის ემიგრაციაში წასვლა, უპირატესად იმ რაიონებიდან, სადაც კარგი ბუნებრივ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობები, მდიდარი წიაღისეულია. ასეთი რაიონებია კინტრიშის უბანი, გონიოს უბანი, ართვინიდან-მურდულის ხეობა” (ა.მ.ხ.ფ. ს.220,ფ.41-42). ცარიზმის ასეთ პოლიტიკას მოსახლეობა წინააღმდეგობას უწევდა. 1895 წელს ზემო აჭარისა და შავშეთის გლეხებმა მთავარმართებულ დონდუკოვ-კორსაკოვს გადასცეს თხოვნა-საჩივარი, რომელშიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მამა-პაპეულ ადგილებზე თავიანთი უფლებების შელახვის გამო და მოითხოვდნენ ტყეების, საძოვრებისა და სათიბების ძველი წესით, თავისუფლად სარგებლობის უფლების აღდგენას. საქმეში თავდაცვის მინისტრიც ჩაერია, რომელმაც კავკასიის მმართველობას ურჩია ძველი წესის – მამულების მოსახლეობის მფლობელობაში დატოვება, მაგრამ მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამინისტრო პოზიციას არ იცვლიდა. მაშინ მოთმინებადაკარგულმა მოსახლეობამ ბრძოლის თავისებურ ხერხს მიმართა და ორი წლის მანძილზე ტყეების დიდი ნაწილი გაახმო. თ. სახოკია წერდა: „გული გწყდება ადამიანს ამ გავერანებული ტყის ყურებაზე და თანაც ვერ გაგიმართებია ეს საცოდავი ხალხი და ვერც თუ სულ გაგიმტყუნებია” (თ. სახოკია 1985:220). გლეხობა პროტესტის სხვა ფორმებსაც მიმართავდა. XX ს. დასაწყისიდან საერთო რევოლუციური გამოსვლების გავლენით შავშეთის გლეხთა გამოსვლებიც გააქტიურდა. 1905 წელს გაზაფხულზე ართვინის ოკრუგის გლეხები მასობრივად უარს ამბობდნენ გადასახადების გადახდაზე. მარტში შავშეთის 66 სოფლის გლეხებმა 441 კაცის ხელმოწერით საპროტესტო განცხადება გადასცეს პოლიცემისტერს, რომელშიც გამოდნენ არსებულ სასოფლო მმართველობის წესს და უარს ამბობდნენ მასთან დაკავშირებული გადასახადების გადახდაზე. ანალოგიური ვითარება იყო ართვინის მხარის სხვა უბნებშიც. შეშინებულ ოკრუგის უფროსი ბათუმის სამხედრო გუბერნატორს მოახსენებდა, რომ გლეხთა მღელვარება კიდევ უფრო გაძლიერდა და თხოვდა დახმარებას (აცსა,ფ.1.ს.159,ფ.1). ასეთივე ხასიათის წერილს უგზავნიდა ართვინის ოკრუგის უფროსი ოლქის გუბერნატორს 1905 წლის ნოემბერში (აცსა, ფ. 1, ს.207, ფ.5-6.). 1906 წ. დასაწყისში ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა იმოგზაურა ბათუმისა და ართვინის ოკრუგების სოფლებში. შეხვედრისას გლეხებმა გამოთქვეს უკმაყოფილება და გუბერნატორისაგან მოითხოვეს მუჰაჯირთა მიწების, შენობა-ნაგებობების სოფლის საზოგადოებისათვის გადაცემა. გუბერნატორმა მართლაც აღძრა შუამდგომლობა მუჰაჯირების მიწებისა და სხვა უძრავი ქონების სოფლის საზოგადოების გამგებლობაში გადა-

ცემის შესახებ. სამწუხაროდ მთავრობამ გუბერნატორის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა (სცსსა,ფ.231,ა.1,ს.387,ფ.21). იყო შემთხვევები, როცა გლეხებს სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებსაც ართმევდნენ, განსაკუთრებით იმ სოფლებში, სადაც სამთამადნო საწარმოები არსებობდა. მაგალითად, 1907 წლის 19 მაისს ართვინის ოკრუგის ს. ძანსულის გლეხებმა (სულ 43 კაცის ხელმოწერით) საჩივარი გადასცეს კავკასიის მეფისნაცვალს, რომელშიც უჩიოდნენ სამთამადნო ამხანაგობას მიწების მიტაცების თაობაზე, კატეგორიულად მოითხოვდნენ მადნის დამუშავების შეწყვეტას და მიწების ძველი მფლობელებისთვის დაბრუნებას (სცსსა, ფ. 231, ს. 428, ფ. 3). ასეთი მდგომარეობა გლეხებს მამა-პაპეული ადგილებიდან წასვლას აიძულებდა. ამას თვით ხელისუფლების მოხელეებიც აღიარებდნენ. 1906 წლის 26 დეკემბრით დათარიღებულ მოხსენებაში ართვინის ოკრუგის უფროსი ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს მოახსენებდა, რომ ადგილობრივ მკვიდრთა გადასახლება საადგილმამულო საკითხის მოუწესრიგებლობით და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებით არის გამოწვეული. ამის გამო მარტო 1906 წლის მეორე ნახევარში ართვინის ოკრუგიდან ოსმალეთში წასულა 420 სული, ხოლო წასასვლელად მზად ყოფილა 1200 ადამიანი. მშობლიური ადგილებიდან მოსახლეობის გადასახლების პროცესი შემდეგ წლებშიც გრძელდებოდა. 1912-1917 წლებში ართვინის ოკრუგის მოსახლეობის ნახევარზე მეტი უცხოეთში გადასახლებულა. თუ 1911 წელს აქ 63379 სული ცხოვრობდა, 1917 წლის ბოლოს მხარის მოსახლეობა 30179 სულამდე შემცირებულა (календарь 1911:233)

რომ არა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა, შავშეთი გაცილებით უფრო სწრაფად განვითარდებოდა. მხარეს მდიდარი წიაღისეული რესურსები და სოფლის მეურნეობის განვითარების ფართო შესაძლებლობები გააჩნდა.

შავშეთი მადნეული რესურსებით მდიდარი მხარეა. ბათუმის ოლქის გუბერნატორი საგანგებოდ მიუთითებდა მხარის სამრეწველო განვითარების სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე. „რაიონი განსაკუთრებით მდიდარია სპილენძის, მარგანცისა და სხვა წიაღისეულის საბადოებით, რომელთა დამუშავება აუცილებელია არა მარტო ოლქის მოსახლეობის ინტერესებისათვის, არამედ სახელმწიფო ხაზინისთვისაც“ (აცსა,ფ.ნ.ა.1,ს.716,ფ.1) XX ს. დასაწყისში ართვინის ოკრუგში უკვე მიკვლეული იყო სპილენძის 34, ვერცხლისა და ტყვიის 14, თუთიის, გოგირდის, მარგანცისა და გრანიტის არა ერთი საბადო („ბათუმის გახეთი“, №68, 1911). საკმაოდ სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა წიაღისეული რესურსების, განსაკუთრებით სპილენძის საბადოების დამუშავება. 1901 წელს ბათუმის ოლქში წიაღისეულის დამუშავებას ეწეოდა 14 სამთო-სამრეწველო ორგანიზაცია, რომელთა უმრავლესობა უცხოური კომპანიები იყო (Батумь 1906: 21).

შავშეთის მხარე ხელსაყრელი იყო სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. XX ს. დასაწყისისთვის დაწინაურებული იყო მეხილეობა, მევენახეობა, მეთამბაქოეობა. 1912 წ. ართვინის ოკრუგში ვენახის ფართობს ეჭირა 1512 დესეტინა ფართობი (სცსსა, ფ.13, ა.10, ს.297, ფ.13). შავშეთის მშრალი კლიმატი ხელსაყრელი იყო ზეთისხილის გაშენებისათვის. ამ მიზნით ს. ლომაშენში მოეწყო ზეთისხილის სანერგე, ქ. ართვინში გაიხსნა ზეთისხილის ქარხანა. ართვინის მხარეში საშუალოდ წელიწადში 16.000 ფუთი ზეთისხილი მოდიოდა (სცსსა, ფ.13,ა.10,ს.297,ფ.14)

შავშეთის განვითარებას სერიოზულად აფერხებდა უგზობა. ძირითადი სატრანსპორტო არტერია ჭოროხი იყო, რომლის მეშვეობითაც შავშეთიდან ბათუმში შემოდის დიდი რაოდენობით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, მაგრამ ჭოროხი წელიწადის ყველა დროს ნაოსნობისათვის ერთნაირად ვარგისი არ იყო. ართვინიდან მომავალი ნაგები ძირითადად კაპანდიტან ჩერდებოდნენ. აქედან ბათუმამდე დაახლოებით 10 კილომეტრი იყო, ამ გზას ართვინიდან მომავალი ნავი მცირე წყლიანობის დროს 6-7 საათში ფარავდა, ხოლო აპრილსა და მაისში, როცა ჭოროხი ადიდდებოდა, გამოცდილი მენავე ერთნახევარ საათში (К. Д. Вейденбаут 1901:140). გაცილებით მეტ დროს ანდომებდნენ ნავით ბათუმიდან ართვინამდე მისვლას. ჟან მურიეს ცნობით „ართვინში ასავლელად 4 დღე იყო საჭირო“ (ჟ. მურიე 1962:16)

თვით ოკრუგის ადმინისტრაციულ ცენტრამდეც კი არ მიდიოდა ნორმალური გზატკეცილი. მხარის მოსახლეობა ყოველნაირად ცდილობდა ამ პრობლემის მოგვარებას. არაერთი

თხოვნა იქნა გაგზავნილი ხელისუფლების მისამართით, მაგრამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა მაინც ვერ ხერხდებოდა. იგივე საკითხი ადგილობრივებს დაუყენებიათ სათათბიროს დეპუტატ ა. ჩხენკელის ართვინში სტუმრობისას 1913 წლის სექტემბერში. „ა. ჩხენკელს შეხვედრა ჰქონდა ქ. ართვინის წარმომადგენლებთან. ქ. ართვინს არ ჰქონია თვით ართვინში შესავლელი გზატკეცილი. მთავარი გზა მას ოთხი ვერსის მანძილზე გაუვლის და მაღლობზე გაშენებულ ქალაქში ან ფეხით, ან ცხენით უნდა ავიდეს ქალაქში შემსვლელი. მცხოვრებლებს უთხოვნიათ დეპუტატისათვის დახმარება, რათა მთავრობას გაეყვანა ქალაქში შესავლელი გზატკეცილი. დეპუტატი და გუბერნატორი დაჰპირდნენ აღნიშნულ საქმეში დახმარებას („ბათუმის გაზეთი“, №69, 1913 წელი). სამუშაოები გზის გასაყვანად მართლაც მალე დაიწყო. „ამ დღეებში მუშაობაა შოსე-გზის კეთებაზე, რომელიც უერთდება ბათუმ-არდაგანის შოსეს. გზის გასაკეთებლად მთავრობას გადადებული აქვს 250 ათასი მანეთი.... ამ გზის გაყვანით შავშეთი ბათუმისათვის ერთ დასახმარ კუთხედ გადაიქცევა, რაც მაზანდას გაუხსნის აქაურ წარმოებას და უჭკველია დიდ გავლენას იქონიებს შავშეთელების ქონებრივსა და გონებრივს მდგომარეობაზე“, – იუწყებოდა 1913 წლის ნოემბერში „ბათუმის გაზეთი“ („ბათუმის გაზეთი“, №83, 1913).

შავშეთში მეტად რთული იყო ვითარება კულტურის განვითარების თვალსაზრისით. ობიექტურ მიზეზს, ოსმალეთის ბატონობის მიძიმე შემკვიდრებას ემატებოდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მზაკვრული მიზანი – მოეხდინა ახალშემოერთებული ტერიტორიების სრული რუსიფიკაცია. სწორედ ამიტომ კულტურის განვითარება ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობდა. დაბალი იყო მოსახლეობის წერა-კითხვის მცოდნეობის დონე. 1897 წლის აღწერით, ართვინის ოკრუგში (ქ. ართვინის გამოკლებით) წერა-კითხვის მცოდნე ყოფილა მოსახლეობის 6.6% (Батым1906:17). თუმცა, ხელისუფლების წინააღმდეგობის მიუხედავად, მდგომარეობა ნელა, მაგრამ მაინც გაუმჯობესებისაკენ მიდიოდა. „თუ ადრე ართვინის ნორმალურ სკოლებში ერთ ქართულ მუსლიმანსაც ვერ იპოვნიდით.... დღეს აქ მრავალი მუსლიმანი სწავლობს“ („ბათუმის გაზეთი“, №30, 1911).

1914 წელს დაწყებულმა პირველმა მსოფლიო ომმა სამხრეთ საქართველო საერთოდ და, კერძოდ, შავშეთი კვლავ დიდი სახელმწიფოების ინტერესების ობიექტი გახდა.

§4. შავშეთი ჰიხველი მსოფლიო ომის შემდეგ

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში თურქებმა არტაანისა და ყარსის ტერიტორიებთან ერთად დროებით მოახერხეს ართვინის ოკრუგის, მათ შორის შავშეთის ხელში ჩაგდება, თუმცა შემდგომში მოვლენები უფრო სხვანაირად განვითარდა და საბოლოოდ საზღვრები დიპლომატიური გზებით დადგინდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, შენარჩუნება და საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების მოპოვება.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ოსმალეთისათვის მოულოდნელი, მაგრამ მისაღები აღმოჩნდა. ოსმალეთს აღარ გაუჭირდებოდა პატარა ქვეყნისაგან ოკუპირებული ტერიტორიების მითვისება.

1918 წლის 3 მარტს ბრესტში ბოლშევიკურ რუსეთსა და გერმანიას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ბათუმის, ყარსის და არტაანის ოლქები თვითგამორკვევის საფუძველზე უნდა გამოსულიყო რუსეთის საზღვრებიდან და აღდგენილიყო რუსეთ-ოსმალეთის 1877 წლის საზღვრები. ეს საკითხი განსაკუთრებული აქტივობით განიხილებოდა ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციებზე.

1918 წლის 31 მაისს ბათუმში დაიწყო კონფერენცია, რომელიც რამდენიმე დღის წინ შეწყვეტილი ტრაპიზონის კონფერენციის გაგრძელებას წარმოადგენდა. კონფერენციაზე საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს კი არა, ცალკე სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ.

4 ივნისს ხელი მოეწერა საქართველოსთვის ყოველად მიუღებელ ზავს, რომლითაც მისი საზღვრები ოსმალეთთან 1829 წლის ადრიანოპოლის ზავის წინა პერიოდის შესაბამისი უნდა ყოფილიყო. ოსმალეთის ხელში ბათუმის, არტაანის და ყარსის გარდა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებიც გადადიოდა.

ბათუმის ხელშეკრულების რატიფიკაცია არ მომხდარა და ძალაშიც არ შესულა. მისი ერთ-ერთი დადებითი მხარე საქართველოსთვის ის იყო, რომ ოსმალეთი დე ფაქტოდ აღიარებდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

1919 წლის მაისიდან ოსმალეთში დაწყებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა გენერალი მუსტაფა ქემალ-ფაშა, რომელიც 1920 წლის აპრილში დიდი ეროვნული კრებისა და მთავრობის თავმჯდომარედ აირჩიეს. ანტანტის სახელმწიფოების წინააღმდეგ ბრძოლაში ქემალ ათათურქის მთავრობამ კურსი საბჭოთა რუსეთისაკენ აიღო.

საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის იმედით ოსმალეთისადმი მხარდაჭერა და დახმარების გაწევა ხელს უწყობდა რუსეთის პოზიციების განმტკიცებას უაღრესად ხელსაყრელ რეგიონში. ამასთანავე, რუსეთის მიერ ქემალ ათათურქის მთავრობასთან დამყარებული კავშირი გულისხმობდა ახალი საგარეო-პოლიტიკური კურსის განხორციელებასაც. ათათურქის მთავრობისათვისაც იმ ეტაპზე ბოლშევიკურ რუსეთთან ურთიერთობები არანაკლებ მომგებიანი იყო, ამიტომაც იგი რუსეთის ამიერკავკასიურ მიზანსწრაფულობას გაგებით ეკიდებოდა.

1921 წლის თებერვალში რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ თურქეთმა რუსეთის მიმართ პოზიცია შეიცვალა, კატეგორიულად დაუჭირა მხარი საქართველოს დამოუკიდებლობას. იგი შეეცადა პოზიციების გამყარებას და ბათუმის ოლქზე საკუთარი ხელისუფლების აღდგენას, რაც ნაწილობრივ მოახერხა კიდეც. საბოლოოდ ყველაფერი მაინც რუსეთსა და ოსმალეთს შორის მოლაპარაკების გზით გადაწყდა.

1921 წლის 16 მარტს მოსკოვში თურქეთის მეჯლისისა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლებს შორის ხელი მოეწერა მოლაპარაკებას, რომლის მიხედვითაც რუსეთის ფედერაცია აღიარებდა თურქეთის საზღვრებს. შეთანხმების თანახმად ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი (ართვინის ოკრუგი შავშეთით) თურქეთის შემადგენლობაში შედიოდა. მოლაპარაკების რატიფიცირება უფრო მოგვიანებით რუსეთმა 20 ივლისს, ხოლო თურქეთმა 31 ივლისს მოახდინა. მხარეებმა სიგელები 1921 წლის 22 სექტემბერს გაცვალეს, რის შემდეგაც შავშეთი საბოლოოდ დაექვემდებარა თურქეთს.

ამავე პერიოდში, 1921 წლის 13 ოქტომბერს დაიწყო მოლაპარაკებები ყარსში ერთის მხრივ სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებს და, მეორეს მხრივ, თურქეთს შორის რუსეთის ფედერაციის მონაწილეობით. მოლაპარაკების შედეგები ძალაში შევიდა 1922 წლის 11 სექტემბერს. ყარსის მოლაპარაკება საზღვრების საკითხში ფაქტიურად წარმოადგენდა მოსკოვის მოლაპარაკების გავრცელებას ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებზე. მან უფრო გაამყარა თურქეთის საერთაშორისო მდგომარეობა.¹

შავშეთის ილჩე 1921 წლის 27 თებერვალს არტაანის სანჯაყს დაექვემდებარა. იმავე წლის 7 ივლისიდან, იგივე ილჩეს სახით ართვინის ილის შემადგენლობაშია.

¹ მონოგრაფიის ფორმატის მოთხოვნებიდან გამომდინარე, შევეცადეთ, მოცემული თავი შექმნისდაგვარად მოკლე და ინფორმაციული ყოფილიყო. რუსეთ-ოსმალეთის ამ პერიოდის ურთიერთობის საკითხები ქართველ ისტორიკოსთა მონოგრაფიებსა და კრებულებში ჯერჯერობად არის გაშუქებული. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ლ.თოიძის, ა.მენთეშაშვილის, მ.სვანიძის, ნ.ზოსიძის, მ.სიორიძის, ო.გოგოლიშვილის, შ.ვადაჭკორიას, ვ.გურულის, მ.ვანხაძის და სხვათა გამოკვლევები, ემიგრანტული ლიტერატურა უმთვრესად საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობას ეხება. ასეთია ზ.ავალიშვილის, ვ.ნოზაძის, ნ. ჟორდანიას, გ.მაზნიაშვილის, დ. შალიკაშვილის და სხვების შრომები. რუს ავტორთაგან ვ.სიროტკინის, ა. იუსუპოვის, ს. კუხნეცოვის გამოკვლევები. თურქი ავტორის გენერალ ალი ფუად ჯებესოს მოგონებები ფაქტოლოგიური მასალის თვალსაზრისით გამოიყენა პროფესორმა ლევან თოიძემ, რომლის წიგნში „ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებით გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც“ გამოკვლეულია რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების და მასთან საქართველოს დამოკიდებულების მრავალი საკითხი. თურქ ისტორიკოსთაგან საინტერესოა ესინ დაის, ჰალით ოზდემირის და სხვათა გამოკვლევები.

თურქული მონაცემების მიხედვით, შავშეთის ილჩე ცენტრისა და 70 სოფლისაგან შედგება. მისი ფართობი 1317 კვადრატული კილომეტრია. 2007 წლის აღწერის მიხედვით მოსახლეობა 18780 კაცია (ქალაქ შავშათში 7652, სოფლად 11 128). 1990 წლის მონაცემებით ეს რიცხვი 32279-ს შეადგენდა (ქალაქი – 4850, სოფლები – 27429). როგორც დინამიკა გვიჩვენებს ქალაქში მოსახლეობა მატულობს, ხოლო სოფლები თანდათან იცლება. ეს კი, როგორც წესი, იმით, რომ სოფლის მოსახლეობა ქალაქში გაედინება სამუშაო ადგილების საშოვნელად.

იგივე თურქული მონაცემებით ილჩეს 65%-ს ყივჩაღური, ხოლო 35 % ქართული წარმოშობის მოსახლეობა წარმოადგენს,² თუმცა ეს უკანასკნელი ცნობა შეიძლება არ იყოს რეალობის ამსახველი და გადამოწმებას საჭიროებდეს.

² მოცემული ციფრები გამოქვეყნებულია თურქულ ოფიციალურ ვებგვერდებზე და ისინი არსებითად არ განხვავდებიან ერთმანეთისაგან.

თქი II. შავშეთის სოფლები

§1. შავშეთის სოფლები მოგზაუხითა და მეცნიერითა ჩანანეხების მიხედვით

„და არს ესე შავშეთი ტყიანი, გორა-მთიანი, დელე-დრანტოიანი, იწრო და მაგარი, ვენახ-ხილიანი. ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი თვინიერ ბრინჯ-ბამბისა. პირუტყვნი, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი და ნაყოფიერებს ფრიად მიწა ამის, რაოდენიც იხმარების სივიწროვედ“ (ვახუშტი 1973.:680). – ასე ახასიათებდა ბატონიშვილი ვახუშტი შავშეთს. მსგავსი ზოგადი ცნობებითა იცნობდნენ XVIII თუ XIX საუკუნის ქართველები ისტორიულ სამხრეთ საქართველოს, აწ უკვე ოსმალეთის პროვინციად ქცეულ ვრცელ მიწა-წყალს, ოდესღაც ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის აკვნად სახელდებულს.

XVI-XVIII საუკუნეების ტრაგიკულმა მოვლენებმა თითქოს დანარჩენი საქართველოს ყურადღების მიღმა ჩაიარა. დაშლილ-დანაწევრებული, მტრებით გარშემორტყმული ქვეყნის ხალხსა და მეფე-მთავრებს თავიანთი გასჭირვებოდათ და აქაურობისთვის ვეღარ იცლიდნენ, თუ იცლიდნენ – ვერაფერს ახერხებდნენ. XIX საუკუნეში კი, როცა თითქოს გაჩნდა ორად გახლეჩილი ერის გამთლიანების შანსი, ქართული ენა ამოდენა რეგიონის უმეტეს ნაწილში მივიწყებულიყო, ან სულს დაფავდა. სადაც დარჩა, იქაც საფრთხე ემუქრებოდა ახალი ბატონისა და პატრონის (რუსეთის იმპერიის) პოლიტიკის გამო.

სამწუხაროდ, XIX საუკუნის დასაწყისში, 1828-29 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, ქართველ საზოგადოებას ამ მხარის მიმართ დიდი ინტერესი არ გამოუჩენია. „1828 წელს თითქოს განხორციელდა ერეკლეს ოცნება... ადრიანოპოლის ხელშეკრულებით ჩამოერთვა ოსმალეთს ორი უმთავრესი ნაწილი, ძველი მესხეთი – ახალციხე და ჯავახეთი. მაგრამ საუბედუროდ, სამშობლოში დაბრუნებულ მესხებს არავინ მიეგება დედის გულით“ – გულისტკივილით აღნიშნავდა სამსონ ფირცხალავა (ს. ფირცხალავა 1915.:39). როგორც შ. ლომსაძე მიუთითებს, 20-იანი წლების ქართულ საზოგადოებას ინდიფერენტული განწყობილებები დაუფლებოდა და შემოერთება-შემომტკიცების იმპულსი მოდუნებული ჰქონდა. თითქოს საოცარია, მაგრამ ფაქტია, – ერეკლესდროინდელი შეხედულებები საქართველოს აღდგენა-გაერთიანებისა, სამცხე-საათაბაგოს შემოერთებისა და იქ ქართველი ხალხის გადარჩენისა, რომელნიც „ძალით იყვნენ გარდაქცეულნი მაჰმადიანობაზედ“, ახლა საოცრად დაკნინებულიყო, ჩრდილი ჰქონდა მიმდგარი ეროვნული ერთიანობის იდეას (შ. ლომსაძე 1975.:320).

მოგვიანებით, სამოღვაწეო ასპარეზზე სამოციანელთა გამოსვლის შემდეგ, „ოსმალის საქართველოს“ მიმართ ინტერესი თანდათან აღორძინდა და გაღვივდა. მწირი და ზოგადი ცნობები ვეღარ ავსებდა ქართველთა ცნობისმოყვარეობას. ამიტომ უკვე გულისტკივილით აღიქმებოდა გიორგი ყაზბეგის შენიშვნა: „გეოგრაფიულმა მეცნიერებამ უნდა აღიაროს, რომ თურქეთის საქართველოს ზოგიერთი ნაწილის, მაგალითად, შავშეთის ან მთანი ლაზისტანის შესახებ უფრო ცოტა იცის, ვიდრე შიდა აფრიკაზე“ (გ. ყაზბეგი 1995.: 29).

1873 წელს დიმიტრი ბაქრაძემ მოიარა სამუსლიმანო საქართველო. ერთი წლის შემდეგ კი გიორგი ყაზბეგმა იმოგზაურა აჭარაში, შავშეთში, კლარჯეთში, ტაოსა და ლაზეთში. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდისათვის ყველაზე სრულყოფილი ცნობები შავშეთის ქართული სოფლების შესახებ სწორედ გიორგი ყაზბეგს ეკუთვნის. მან, როგორც აღვნიშნეთ, 1874 წლის ივნისში იმოგზაურა ამ მხარეში. იგი ჩართული იყო ამაღლაში გენერალ გრიგოლ გურიელისა, რომელიც ფორმალურად თითქოს თურქეთის საქართველოში მცხოვრები ნათესავების, აჭარელი და შავშელი ხიმშიაშვილების მოსანახულებლად მოგზაურობდა, სინამდვილეში ეს იყო დაზვერვითი ექსპედიცია რუსეთ-თურქეთის მოსალოდნელი ომის წინ.

ყაზბეგი შავშეთში ზემო აჭარიდან გადავიდა. გზა სოფელ ბაკოზე გადიოდა, მდ. სხალთისწყლის მარცხენა შენაკადის გაყოლებით სამხრეთ-დასავლეთით ჩირუხის მთამდე და მერე არსიანის მთის თხემის გავლით თვით მთა არსიანამდე. აქედან იგი მდ. ყვირაღას

ხეობით შავშეთში დაეშვა სოფ. მიქელეთამდე. შემდეგ გარელობისა და ტბეთის გავლით – ველსა და სათლელში. ყაზბეგმა შავშეთში ათიოდე დღე დაჰყო და ამ ხნის განმავლობაში თითქმის მთელი ეს მხარე მოიარა.

ამ მოგზაურობებმა არათუ ძვირფასი ცნობებით შეავსო ქართველთა ცოდნა რეგიონის შესახებ, არამედ კიდევ უფრო გააღრმავა ინტერესი. 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, როცა ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უმეტესი ნაწილი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა, ილია ჭავჭავაძის, სერგეი მესხის, გიორგი წერეთლის და მრავალი სხვა ქართველი მოღვაწის წერილებმა (რომლებიც უხვადაა გაბნეული ამ პერიოდის პრესაში) შეავსო ცოდნა „ოსმალის საქართველოს“ შესახებ და ხელი შეუწყო საზოგადოების ობიექტური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას გამაჰმადიანებული თანამოქმედების მიმართ.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული პრესა აქტიურად ეხმებოდა ყველა საჭირობო პრობლემას, რომელიც აწუხებდა სამუსლიმანო საქართველოს, აღწერდა აქაურთა ყოფას, წარსულთან, მშობლიურ ენასთან, ქრისტიან თანამოქმედებთან დამოკიდებულებას და ა. შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრივ შავშეთის შესახებ, აჭარა-ქობულეთისაგან განსხვავებით, პრესის მასალები მწირია.

ფასდაუდებელია ზაქარია ჭიჭინაძის ღვაწლი, რომელმაც XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ფეხით დაიარა აქაური სოფლები და მრავალი უნიკალური ჩანაწერი დაგვიტოვა. სამართლიანად წერდა აპოლონ წულაძე: „საქართველოს სხვა დიდებული და ნასწავლი პირები თუ მხოლოდ წერდნენ გრძნობიერ წერილებს და სხვებს მოუხმობდნენ, დაეხმარეთ, გაანათლეთ და დაიხლოვეთ ქართველი მუსლიმანებო, ეს პატარა კაცი მარტო წერას და სიტყვას არ ჯერდებოდა. ის პირდაპირ საქმესაც აკეთებდა, მან რამდენჯერმე თავის ფეხით მოიარა აჭარა-ქობულეთი, პირადად გაეცნო ხოჯებსა და სხვა გავლენიან პირებს, პირისპირ ძმურად ელაპარაკა ყველას... ბლომად დაარიგა ქართული წიგნები და ანბანი, აღწერა ყველა სოფლები, გაეცნო ძველ ისტორიას. თავისი წერილები დააბეჭდვინა გაზეთში და მერე, რამდენიმე სქელტანიანი წიგნი, მის მიერ დაწერილი, დააბეჭდვინა. ერთი სიტყვით, ზაქარიას შრომა და ღვაწლი დაუფასებელია“ (ა. წულაძე 1991:42).

XX საუკუნის დასაწყისში ექვთიმე თაყაიშვილის (უპირატესად ტაოში, 1902, 1907, 1917 წ.წ.) და ნიკო მარის (შავშეთ-კლარჯეთში) ექსპედიციებმა და გამოკვლევებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს ამ ვრცელი რეგიონის შესწავლის საქმეში.

ნიკო მარმა 1904 წელს, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოხსენიებულ სავანეთა ძიების მიზნით იმოგზაურა სამხრეთ საქართველოში. შავშეთში იგი არდაჰანიდან შევიდა, სულისის, აგარისა და დაბაწვრილის გავლით. მოიარა უპირველესად შავშეთისწყლის მარჯვენა სანაპიროს სოფლები და ნორგიალის გზით გადავიდა კლარჯეთში. ყაზბეგის მოგზაურობიდან 30 წელი იყო გასული და, უნდა ითქვას, რომ მონაცემთა შედარება ერთობ საინტერესო სურათს წარმოაჩენს.

პირველი მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ცნობები შავშეთის ქართული სოფლების შესახებ სწორედ ზემოხსენებულ ავტორთა ნაშრომებში გვხვდება. ამ დროისათვის უკვე ცნობილია, რომ თურქეთის ქართველობაში ეროვნული იდენტობის ყველაზე მყარი ელემენტი აღმოჩნდა ენა, მაგრამ ოსმალური სოციალ-პოლიტიკური წყობის დამყარებას, მოსახლეობის გამაჰმადიანებას მაინც მოჰყვა ქართული ენის ჯერ შესუსტება, შემდგომში კი, სამუსლიმანო საქართველოს არაერთ რეგიონში, საერთოდ დაკარგვა. დიმიტრი ბაქრაძის დაკვირვებით ისლამის მიღებიდან თუ მესამე თაობა წინაპართა ენის სიწმინდეს ინახავდა, მეოთხე თაობა მერყეობდა და მშობლიური ენის წიაღში უხვად უშვებდა უცხო ენის ნაკადს. მეხუთე თაობა უკვე ფიქრობდა და აზროვნებდა ძალით თავსმოხვეულ ენაზე და მშობლიურ ენას მხოლოდ შინაურობაშიდა ხმარობდა. ასე თაობათა სიღრმეში, უცხო რელიგიური, პოლიტიკური და სოციალური გარემოს გავლენით, დავიწყებას ეძლეოდა მესხეთის ქართველთა შორის ქართული ენა“. რასაკვირველია, ყველა რეგიონს ერთ საზომს ვერ მოვარგებთ, მაგრამ ტენდენცია, ვფიქრობ, სწორადაა დანახული. „ისლამის ბრალია, - შენიშნავდა დ. ბაქრაძე. – რომ ქართული ენა სულ ერთიან დათრგუნულია, ხოლო ზოგან სრულიადაც გაქრა თურქეთის საქართველოში, სადაც მაჰმადის რელიგია ადრე დამკვიდრდა“ (დ. ბაქრაძე 1987:73). მოგვიანებით იგივე ავტორი უფრო ფართოდ ეხება მექართულე გურჯების თემას და,

ბუნებრივია, შავშეთსაც ახსენებს: „ქართული ენა სრულიად ხელშეუხებელი დარჩა იმერხევის ზემო ნაწილებში და ყვირალა-წყლის ხეობაში, რომელიც შეადგენს შავშეთის ჩრდილოეთ ნაწილს; ე. ი. დარჩა იმ ადგილებში, რომელთაც მისვლა-მოსვლა ჰქონდათ აჭარასთან; ის აღარ იხმის შავშეთის დასავლეთის ნაწილში” (ბაქრაძე 1887:3).

როგორც XIX საუკუნის მოგზაურთა უმრავლესობა მიუთითებდა, ამ პერიოდში შავშეთში მოსახლეობა თითქმის მთლიანად ქართული იყო: ქართველები მოსახლეობის 90%-ზე მეტს შეადგენენ.

ქართულად კარგად ლაპარაკობდნენ თითქმის მთელ იმერხევში, პრაქტიკულად ყველა სოფელში. მხოლოდ ყვირალას ხეობის სათავისკენ, ასევე საკუთრივ იმერხევის ზემო წელში – დიობანში, შოლტისხევისა და წყალსიმერში უჭირდათ.

ქართული კარგად ახსოვდათ იმერხევის მომიჯნავე მცირე ხეობებში – უსტამისსა და ჩიხისხევიში.

საკუთრივ შავშეთში, იმერხევს მიღმა, მხოლოდ რამდენიმე სოფელში ლაპარაკობდნენ ქართულად. ეს სოფლები შავშეთის ჩრდილოეთითაა და ზოგჯერ მათ იმერხევსაც მიაკუთვნებენ. მხედველობაში გვაქვს გარყლობი, ჯუარები (//ჭუარები), შავშთა (//შავთა), წითურეთი, ახალდაბა, სინკოთი.

ამდენად, თუ იმერხევს არ მივიღებთ მხედველობაში, უნდა ვთქვათ, რომ შავშეთის სხვა სოფლებში ქართული ენა თითქმის აღარ ახსოვთ უკვე XIX ს. II ნახევარში. თუმცა, „აღარ ახსოვთ” მაინც პირობითად ნათქვამია. როგორც ჩანს, შავშეთში ქართული ენის დავიწყების პროცესი მთელი XIX საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. აქ დავიმოწმებთ ერთი შავშეთის ნაამბობს, რომელიც ზაქარია ჭიჭინაძეს მოჰყავს: „შავშეთში ამ 40 წლის წინათ ყველა მოხუცმა – ქალმა და კაცმა იცოდა ქართული ლაპარაკი. ამის შემდეგ აქ ხმები მოჰფინეს, რომ გურჯიჯას ენაზე ლაპარაკს თავი გაანებეთ, თორემ დღეს თუ ხვალ რუსი მოვა აქ, ტბეთს აიღებს და მაშინ, ვინც ქართულად იტყვის რაიმეს, იმას უეჭველად გააქრისტიანებენ. შავშელთ დიდად ეშინოდათ ამისი და ამიტომ ყოველი შავშელი თავის შვილს მხოლოდ მაჰმადიანურს ლაპარაკს და წერა-კითხვას ასწავლიდა. ასე და ამრიგად, შავშეთში ქართული ენის ძირიანად ამოვარდნის დრო 1840 წლიდან იწყება” (ზ. ჭიჭინაძე 1915:30). რაც არ უნდა კრიტიკულად მოვეკიდოთ ამ ჩანაწერს, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ XIX საუკუნის შუა ხანებში აქ ჯერ კიდევ ლაპარაკობდნენ ქართულად, მაგრამ გაოსმალების შესაბამისად, მშობლიური ენის თურქულით ჩანაცვლების პროცესს უკვე შეუქცევადი ხასიათი ჰქონდა.

მართალია, ამ შემთხვევაში კონკრეტული თარიღის დასახელება მოცემულ ინფორმაციას ვერც დამაჯერებლობას ჰმატებს და ვერც სოლიდურობას, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ სწორედ 1840-იანი წლებიდან იწყება თანხიმათის ცნობილი რეფორმები ოსმალეთის იმპერიაში, რომ ამ რეფორმებს ოსმალთს საქართველოში დიდი უკმაყოფილება და აჯანყებებიც კი მოჰყვა, რომ თანხიმათის შემდეგ უფრო განმტკიცდა ოსმალეთის ფაქტობრივი ბატონობა და გადრმავდა ასიმილაციური პოლიტიკა, უნდა ვადიაროთ, რომ XIX საუკუნის 40-იანი წლების ხსენება არაა ლოგიკურ საფუძველს მოკლებული.

გიორგი ყაზბეგის ცნობით, „შავშეთის მთელი მოსახლეობა ორი ეროვნებისაგან შედგება, ქართველებისა და სომხებისაგან. იმერხევის ჩათვლით აქ 58 სოფელია, რომელთაგან საკუთრივ შავშეთისაა 36. ხელისუფლების აღწერით კომლთა რიცხვი 1740-მდე აღწევს, სინამდვილეში 2000-ზე მეტია. თითოეულ კომლზე 6-7 სულს თუ ჩავთვლით, შავშეთის მთელი მოსახლეობის რიცხვი 12-დან 14 ათასი სული იქნება. ეს მოსახლეობა 145 კომლი სომხის (900-მდე სულის) გამოკლებით სუფთა ქართველურ რასას მიეკუთვნება. საოჯახო ყოფაში ისინი სუფთა ქართულით, მთიანი საქართველოს მოსახლეობის, ე.ი. კავკასიის მთიულების აქცენტით ლაპარაკობენ. გარდა ამისა აქაურ მეტყველებაში ხევსურული კილოსთვის დამახასიათებელ მრავალ სიტყვას შევხვდებით. საკუთრივ შავშეთში ქართულად ყველა არ ლაპარაკობს. მრავალ სოფელში ეს ენა სრულიად გაქრა და მის ადგილას პროპორციულად განვითარდა თურქული ენა, რომელმაც სხვათა ენისგან მიიღო მრავალი სიტყვა. საჭიროა აღინიშნოს, რომ დიდი გზის გასწვრივ განლაგებული სოფლების მცხოვრებლებმა მთლიანად დაივიწყეს ქართული ენა, თუმცა ყველა მათგანი დაუფარავად ამბობს, რომ მათი მამები გურჯები იყვნენ. რაც უფრო ვუახლოვდებით არტანუჯს, მით უფრო ნაკლებად გვხვდებოდა

ქართული ენის მცოდნე, თუმცა, გობიხვეწიას მთის შემოგარენში მდებარე 12 სოფელს ხალხი გურჯისტანს უწოდებს” (გ. ყაზბეგი 1995.:90).

კიდევ ერთხელ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ყაზბეგმა ოსმალთა საქართველოში 1874 წელს იმოგზაურა, ანუ სწორედ ოსმალეთის ქვეშევრდომი გურჯები აცხადებენ დაუფარავად ქართული წარმომავლობის შესახებ. ყაზბეგისვე ცნობით, „შავშეთში ყველამ იცის, რომ მათი მხარე ძალით მოწყვეტილია საქართველოზე და რომ მათი წინაპრების რელიგია ქრისტიანული იყო” (გ. ყაზბეგი 1995.:94).

ნიშანდობლივია, რომ თუმცა არტანუჯისკენ ქართულ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი კლებულობს, შავშეთიდან არტანუჯისკენ მიმავალ გზაზე ყაზბეგი არ უარყოფს მექართულეთა არსებობას: იგი ამბობს, რომ ნაკლებად გვხვდებოდა ქართულის მცოდნეო. „ნაკლებად გვხვდებოდნასა” და „არ გვხვდებოდას” შორის დიდი განსხვავებაა, ე.ი. მაინც გვხვდებოდა.

არტანუჯისკენ მიმავალმა გ. ყაზბეგმა შავშეთისწყლის მარცხენა სანაპიროზე შავშეთის შემდეგი სოფლები გაიარა: შინდობანი, ანკლია, ჩივთლული (//ჩივთლიქი), მოქთა. ამ სოფლებში დღეს ქართული არ იციან, მაგრამ „წინაპრები გურჯები იყვნენო”, – ამის მთქმელი შეიძლება ნახო. ამ მიდამოებშია ვერხნალის ცნობილი ციხე, ბევრია ნაქილისვარი ადგილები, ანკლისგან მომცრო მდინარე ყოფს გურნათელს, ამ მდინარის პირზეც ერთი ნაეკლესიარი თუ ნატაძრალია, იქნებ გრიგოლ ხანძთელისეული გუნათლეს ვანიც... ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, 1874 წლის მახლობელ ხანებში, როგორც ჩანს, აქ ჯერ კიდევ შეიძლებოდა ქართულის გაგონება.

რაც შეეხება არტანუჯისკენ მიმავალ გზას, დღეს შავშეთიდან ზემოსხენებულ მარშრუტით სამანქანე გზაც გადადის, კერძოდ შავშეთისწყლიდან მოყოლებული შავშეთის სოფლებს – შინდობანს, ანკლიას, ჩივთლიქს და მოქთას (ან, მეორე მხრით, სათაფლიასა და ცორცელს) მოსდევს არტანუჯის კაზის სოფლები: გოროშეთი, სამწყარო, ანაკერტი, ანჭკორი, ბაცა (ანჩა და ბიჯა მარცხნივ რჩება, თუმცა ამ გზითაც შეიძლება არტანუჯამდე მისვლა). ქართული აღარც არტანუჯის მხარეს იციან, თუმცა წარსულის ხსონა აქაც ტოპონიმებმა და მშობლიურენადაკარგულ ადგილობრივთა მეხსიერების კუნჭულებმა შემოინახა.

გ. ყაზბეგი მართალია, ჩამოთვლის შავშეთის სოფლებს, მაგრამ სამწუხაროდ, არ აზუსტებს, მის მიერ დასახელებულ კონკრეტულად რომელ სოფლებში იციან ქართული და რომელში არა. მიუხედავად ამისა, ზოგადი სურათი საკმაოდ ნათლადაა დახატული და ამ მონაცემების შევსება შეიძლება სხვა მოგზაურთა ჩანაწერებით.

კერძოდ, ზაქარია ჭიჭინაძე არაერთხელ მიუთითებს, რომ ქართული ენა შემორჩენილია იმერხევში. მისი აზრით (რომელიც ადგილობრივთა მონათხრობს ეყრდნობა) ქართული აქ იმიტომ შემორჩა, რომ „იმერხევში ერთობ ცუდი ადგილებია, გონჯი და აქაურებს ოსმალები არ ეტანებოდნენ, ცხოვრება უძნელდებოდათ” (ზ. ჭიჭინაძე 1913.:293). მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის 90-იან წლებისთვის აქაც შეპარულია ოსმალური ენა. მაგალითად, იგივე ავტორი შენიშნავს, რომ „სოფელ წყალსიმერში ქართველ მაჰმადიანთა ბავშვები უკვე ოსმალურად ეჩვევიან ლაპარაკს, მე თვით ვნახე ლომინადის და სხვების ოჯახებში, რომ ბავშვები ოსმალურად ლაპარაკობდნენ. სახლობაში თუმცა ქართული იციან და მე ქართულად მელაპარაკებოდნენ, მაგრამ ოსმალური უფრო ეხერხებოდათ (ზ. ჭიჭინაძე 1913.:294).

წყალსიმერს ნიკო მარიც ახსენებს. კერძოდ, იგი შენიშნავს, რომ „იმერხევში ქართული ყველგან როდი იციან, ან თუ იციან, ძალიან ცუდად, მაგ: დიობანში, შოლტისხევში, აგარაში წყალსიმერის მახლობლად” (ვიმოწმებთ: შ. ჯაფარიძე 1996.:112). წყალსიმერის შესახებ აკონკრეტებს, რომ „ქართული ენა აქ სახლში გამოიყენება, თუმცა ადგილი აქვს თურქულის შერევასო (შ. ჯაფარიძე 1996.:56).

დასახელებულ ავტორთა ცნობით, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე იმერხევში ჯერ კიდევ არაერთი სოფელია, სადაც ხალხმა ქართულის გარდა სხვა ენა არ იცის. თურქული უფრო გზის პირის მდებარე სოფლებშია გავრცელებული. ზაქარია ჭიჭინაძე ჩამოთვლის შავშეთის 36 სოფელს, სადაც ქართულ ენაზე ლაპარაკობენ. მოვიყვანოთ ამ სოფლების ჩამონათვალს დედნის ორთოგრაფიით და ავტორისავე ზოგიერთი შენიშვნით. 1. ხოხლეური; 2. აგარა; 3. შოლტისხევი; 4. წყალსიმერი (თათრული ენა შესულა ხმარებაში. ეკლსიაზე ჯამე დგას მინარეთიანი); 5. წითლოეთი; 6. დიობანი (ახლოს, მთაზე ეკლესიაა); 7. იფხრევი (ძველი მებატონე სავარსამიძე ყოფილა); 8. ივეთი; 9. გზათა (თათრული არავინ იცის, ცხოვრობენ

ზაქარიადენი); 10. სურევანი; 11. უბე; 12. ძიოსი; 13. ხემწვრილი; 14. დაბა (დაბა დევადეების სოფელი); 15. ბულტიეთი; 16. ზაქიეთი; 17. ბაზგირეთი; 18. ლეონიძე (ძველად დასაბომი); 19. ჩიხარი; 20. ჩიხისხევი; 21. უსტამისი; 22. გრილ აგარა; 23. ფხიკური (აქ ცხოვრობენ გასომხებული ქართველები); 24. ლივანის ძირი; 25. ჩაქველთა (ხეობაში დარჩენილია პატარა ეკლესია); 26. შავმთა; 27. ხარსანა; 28. გორგოტხანა; 29. ოქროს წუა; 30. ახალდაბა; 31. გარყლუფი; 32. ჯუარები; 33. მიქელეთი (თათრულ-ქართულს ლაპარაკობენ); 34. მანატბა; 35. წყეთისბარი; 36. დევაგულა (ზ. ჭიჭინაძე 1913.:294).

ავტორის თქმით, სიაში არ მოხვდა ბევრი წვრილი სოფელი, რადგან ისინი ერთმანეთზეა მიწვრილი.

ამ ჩამონათვალში იმერხევსმიდმა შავშეთის სოფლებიცაა დასახელებული. სახელდობრ, შავმთა (//შავთა), ახალდაბა, გარყლუფი (//გარყლობი), ჯუარები (//ჭუარები). საკუთრივ შავშეთის მექართულე სოფლებს ზ. ჭიჭინაძე სხვაგანაც არაერთხელ ახსენებს. საინტერესოა ჩანაწერები ახალდაბის შესახებ. კერძოდ, გურჯების მიერ ზექერიად სახელდებული მოგზაურის თქმით, „ახალდაბა შუაგულ შავშეთში დევს, გარშემო სულ სოფლები აკრავს, სადაც თათრულ ენაზე მოსაუბრე ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. აქ ას კომლზე მეტია და ყველამ ქართული ენა იცის.” მიზეზად თურმე ახალდაბელები იმას ასახელებდნენ, რომ გვიან გამაჰმადიანდნენ და ამის შემდეგ კარგა ხანს („ორმოცდაათი წელი“) ფარულად ქრისტიანობდნენ. ამის გამო უამრავ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ: „საქმე იქამდის მიადწია, რომ ახალდაბელებმა შავშეთის სხვადასხვა სოფლების ხალხთან ნათესაობა მოსპეს, არავის ეკარებოდნენ ახლოს, ქალს არავის აძლევდნენ ცოლად, არც თვითონ თხოულობდნენო. სხვა სოფლის ხალხი მათ სძულდათ და პირდაპირი მიზეზი ეს არის, რომ შავშეთელებმა დაჰკარგეს ქართული ენა, ახალდაბელებმა კი შეინახესო” (ზ. ჭიჭინაძე 1913.:285). ნამდვილად ღირს ამ ერთი შეხედვით გულუბრყვილო ჩანაწერზე დაკვირვება. მასში არა მხოლოდ დამპყრობელთან, არამედ რელიგიურად აჭრელებულ ქართველთა შორის წინააღმდეგობაც არის ასახული.

ზ. ჭიჭინაძე იმერხევსმიდმა შავშეთის მექართულე სოფლებს შორის სინკოთს არ ასახელებს. სამაგიეროდ ნიკო მარი შენიშნავს, რომ ამ სოფელში „ქალები და ბავშვები ერთმანეთში და სახლში ქართულად ლაპარაკობენ” (შ. ჯაფარიძე 1996.:124).

ისტორიული სამხრეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ოთხ-ნახევარი საუკუნე გავიდა. ოსმალეთის მიზანი იმთავითვე იყო რეგიონში მყარად დამკვიდრება, ამიტომაც მიზანმიმართულად ცდილობდა არსებული ეთნოკულტურული სისტემის ძირფესვიანად მოსპობას და ოსმალური სოციალ-პოლიტიკური წყობის დამკვიდრებას.

ოსმალეთის სახელმწიფოში ქართველთა ინტეგრაცია-დამკვიდრების პროცესი ძალაუნებურად მოითხოვდა თურქულ ენაზე უპირატესობის მინიჭებას. ამას, ცხადია, უპირველესად ხელს უწყობდა თვით ოსმალეთის სახელმწიფოს იმპერიული ბუნება. ეს პროცესი უფრო დაჩქარებულად წარიმართა განაპირა მხარეებში; ასევე დიდი თუ მცირე ადმინისტრაციული ცენტრების მიდამოებში, სადაც ოსმალეთის სახელმწიფოებრივი ზეგავლენა მეტი იყო.

როცა ინტეგრაცია-დამკვიდრების, შეგუების, რეალობაზე მორგების მეტად ხანგრძლივ, დამქანცველ და მტკივნეულ პროცესზე ვსაუბრობთ, ამ პროცესის თვითდინებასაც ვგულისხმობთ და ასევე, რაც გაცილებით უფრო არსებითი და მნიშვნელოვანია, სახელმწიფოებრივი ზეწოლისა და ზეგავლენის მრავალნაირი მეთოდის გამოყენებას.

ერთ-ერთი უმთავრესი საყრდენი სახელმწიფო პოლიტიკისა რელიგია იყო. მას შემდეგ, რაც ისლამმა მყარად მოიკიდა ფეხი, ოსმალური პროპაგანდა ქართულ ენას გიაურის ანუ ურჯულთა ენად მიიჩნევდა და რჯულის ენის, ანუ ოსმალურის დაუფლებისკენ მოუწოდებდა. „ჩვენი სოფლის ხალხი კეთილია, უფროსის სიტყვის გამგონი. მათ მოისმინეს მთავრობისა და მოლა-ხოჯების თხოვნა, თურქული ენის შესწავლა დაიწყეს, თურქული ენის შესწავლის დროს ქართული ენის შენახვის თავი აღარ ჰქონდათ, ამიტომ დაჰკარგეს ქართული ენა, დაავიწყდათ”, – ასე უყვებოდა ზემოხსენებული პროცესის შესახებ ერთი შავშელი გლეხი ზაქარია ჭიჭინაძეს XIX საუკუნის მიწურულს.

ცხადია, ეს ყველაფერი ასე მარტივად და უცებ არ მომხდარა, მაგრამ ხალხის მეხსიერებამ საუკუნეებში გაწელილი პროცესის ზოგადი სურათი მაინც შემოინახა. საილუსტრაციოდ მოვიტანთ კიდევ რამდენიმე ჩანაწერს:

უკვე 1896 წლისათვის მუსლიმანი ქართველები ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებდნენ. „ქართველს გიაურს უწოდებდნენ. იტყოდნენ, თქვენი არაფერი გვინდა, არც წიგნი, არც ენა, არც სწავლა და არც სამშობლო ქვეყანა. ჩვენ თათრები ვართ, ჩვენი ენა, წიგნი, ისტორია და სამშობლო თათრობა არის, ყველაფერი თათრულია და ჩვენც თათრები ვართო“ - წერდა ზ. ჭიჭინაძე. უნდა ითქვას, რომ მისი ცნობა, მიუხედავად უკიდურესობისა, გარკვეული რეალობის შემცველიცაა – ბევრი გამაჰმადიანებული ქართველისათვის ქართველობა ქრისტიანობის სინონიმად იქცა და ქრისტიანული წარსულის მოცილებას ენის დაივიწყებითაც ცდილობდა (მ. ფაღავა 2006:9).

„ოსმალის საქართველოს“ ცალკეული რეგიონებიდან და მათ შორის იმერხევისმიდმა შავშეთიდან ქართული ენის გაქრობის ერთ-ერთი მიზეზი იყო მოსახლეობის მიგრაცია: XVI-XVIII საუკუნეებში, ერთი მხრივ, ომიანობისა და, მეორე მხრივ, გაოსმალეების პროცესზე თავის არიდების ერთ-ერთი გზა მამა-პაპათა სამკვიდროდან აყრა-გადასახლება იყო. გამოთავისუფლებულ ტერიტორიებზე ოსმალები ათასი ჯურისა და გვარ-ტომის ხალხს ასახლებდნენ, რაც აჩქარებდა მოსახლეობის ეროვნულ აჭრელებას და ასიმილაციას (შ. ლომსაძე 1975:321).

ეს პროცესი გრძელდებოდა XIX საუკუნეშიც, რუსობის დროს. მიგრაციას ამ დროს სხვა საფუძველი ჰქონდა, მაგრამ შედეგი იგივე იყო – ისტორიული სამხრეთ საქართველო მკვიდრი მოსახლეობისგან იცლებოდა.

გარდა საისტორიო წყაროებისა, ხსოვნა ამ ტრაგიკული პროცესების შესახებ ჯერ კიდევ შენახული იყო XIX საუკუნის გურჯების მეხსიერებაშიც. აქ სრულად მოვიტანთ ფრაგმენტებს ზაქარია ჭიჭინაძის ჩანაწერებიდან, რომლებშიც შავშეთზეა საუბარი, მაგრამ რეალურად მთელი სამუსლიმანო საქართველოს სურათია ასახული:

I. „შავშეთის ხალხი გამაჰმადიანებულა, ბევრი მათგანი აჭარაში გაქცეულა, რადგანაც გამაჰმადიანება არა სდომნიათ; შავშეთის სოფლები განახევრებულა, ისე, რომ თითო სოფელში 10-15 კომლი მოსახლე დარჩენილა, ამაზე მეტი ცარიელი სახლები. ამ ცარიელ სახლებში საცხოვრებლად ოსმალებს თურქები და ქურთები მოუყვანიათ და დაუსახლებიათ. ამ დროს შავშელნი გამაჰმადიანებულან. მერე გამაჰმადიანებულს ქართველებს, თურქებს და ქურთებს შუა ნათესაობა ჩამოვარდნილა, ერთმანეთს ქალებს მიათხოვებდნენ, ქირვად გაჰყვებოდნენ. რადგანაც ქართველები გამაჰმადიანდნენ, ამიტომ მათ თათრული ენის შესწავლა იწყეს; შავშელთ მალე შეისწავლეს თურქული, თურქებმა და ქურთებმა კი ვერ დაისწავლეს ქართული, ამათვის არც იყო საჭირო, რომ დაესწავლათ ქართული ენა. ყველას თათრული უნდა სცოდნოდა, რადგანაც ხემწიფე და მთავრობაც თათრის იყო.

ყველა დიდი კაცები თათრულად ლაპარაკობდნენ, ამიტომ ქართველებმა დაივიწყეს ქართული ლაპარაკი, ოსმალურად დაიწყეს საუბარი. ეს საქმე მაშინ უფრო წავიდა წინ, როცა ქართველებს, ოსმალებს და ქურთებს შორის ნათესაობა ჩამოვარდა. შავშელნიც ხშირად ირთავდნენ ოსმალს და ქურთის ქალებს. რომელ ოჯახშიაც თურქის, ან ქურთი ქალი შესულა ცოლად, იმ ოჯახის შვილებს ქართული მალე დაივიწყებიათ. მე მოვესწარი ისეთ მოხუც ბერ კაცებს, რომელთაც ქართული ლაპარაკი კარგად იცოდნენ. დღეს, მათ შვილის შვილებმა კი ქართული აღარ იციან, რადგანაც ზემოსხენებულ მოხუცებულთა ახალგაზრდობაში ზოგს ქურთის ქალი მოეყვანა ცოლად და ზოგს თურქისა“.

II. „მთელი შავშეთის სოფლის ხალხნი სულ ქართველები ვართ, ეს ადგილებიც საქართველოა, ამას ფიქრი არ უნდა. აი ტბეთის ტაძარი, ოპიზის და სხვების მიტომ გაუკეთებიათ, რადგანაც აქ საქართველო ყოფილა. ყველა აქაურ სოფელს, მთასა და ხეობას ქართული სახელები აქვს, აი მეც ქართული გვარი მაქვს: ჯინჭაროღლი-ჯინჭარაშვილი, თუმცა ერთი სიტყვა ქართული არ ვიცი. მამჩემი კი იტყოდა, რომ ჩვენმა ძველებმა ყველამ იცოდნენ ქართულიო. აქ ქართული ენა მიტომ ამოვარდნილა, რადგანაც ფადიშაჰის (სულთნის) ბრძანება ყოფილა.

გარდა ამისა, ჩვენ ძველ კაცებს ბრძანება მოსვლიათ, რომ თქვენ შვილებს დღეის შემდეგ ქურთის ან თურქის ქალები უნდა შერთოთ, რომ ყმაწვილებმა თურქული ენის ლაპარაკი დაისწავლონო. ვინც ჩვენ ბრძანებას არ შეასრულებს, იმას სასტიკად მოვეკიდებითო, დავსჯითო. შავშელები ბრძანების შესრულებას შეუდგნენ, იწყეს არდაჰანისკენ მგზავრობა, იქიდან ქურთის და თურქის ქალები მოჰყვანდათ ცოლებად, თავიანთ ქალებს კი ქურთებს

და თურქებს აძლევდნენ ცოლად. აი ამის გამო დაისწავლეს შავშელთ ყმაწვილებმა თურქული ენა და ქართული დაავიწყდათ. თორემ ეს რომ ასე არ მომხდარიყო, მაშინ ვინ დაავიწყებდა ქართულს ლაპარაკს შავშელ კაცს!”

III. „შავშეთი საქართველოა, ჩვენც გურჯები (ქართველები) ვართ, ხოლო გურჯული ენა აღარ ვიცით. ჩემი გვარი გორდაძეა, სოფ. ციხისთაველი ვარ. მე ბერი კაცი ვარ და ჩვენი ბერი-კაცებისაგან შემიტყვია ასე:

შავშეთში ქართულის დავიწყება თავის ნებით იქმნაო. გამაჰმადიანების შემდეგ ქართული ენა ჩვენთვის აღარ იყო საჭირო, ჩვენ ჩვენს სჯულის ენაზე ვიწყეთ სწავლება და ქართული მთლად დაგვავიწყდა. ამის მოდავე არავინ იყო. ჩვენ თვითაც დიდად ვსცდილობდით, რომ ჩვენი სჯულის ენა დაგვესწავლა, სხვა თუნდ დაგვევიწყებოდა, ეს არაფერი სადარდელი საქმე იქნებოდა. ჩვენმა ძველმა კაცებმა ქართული კარგად იცოდნენ, თათრული მძიმედ, იმათ შვილებმა და შვილის-შვილებმა ვიმეცადინეთ და თათრული ენა კარგად დავისწავლეთ, ამიტომ ქართული დაგვავიწყდა...

ოსმალები იმერხევს არ ეტანებოდნენ, ქვიანი ადგილია, იქ მცხოვრები კაცი მხნე, მუშა კაცი უნდა იყოს და მასთანავე იცოდეს იქაური ადგილების საქმეები. ამიტომ ოსმალები იქ არავის ასახლებდნენ გარედან მოყვანილებს. იმერხეველებს იმიტომ შერჩათ ქართული ენა. შავშეთიც რომ ასე ყოფილიყო, მაშინ აქაც ასე იქნებოდა, მაგრამ შავშეთი ლამაზი ქვეყანა არის, კარგი ადგილებია, ოსმალებმა ეს ადგილები ვერ დასთმეს, აქ ქურთები და ოსმალები მოიყვანეს და დაასახლეს, ჩვენი ძველები იმათში არეულან და მიტომ დავიწყებიათ ქართული ლაპარაკი.

დღეს შავშეთში ნახევარი თუ ქართველის კაცის არის დარჩენილი, ნახევარი ქურთთურქების. და ყველა ესენი ისე ჰგვანან ერთმანეთს, რომ იგინი ერთმანეთისაგან ვეღარ განირჩევიან; ყველას თავის ძველების ამბები დავიწყებიათ და ამბობენ, რომ ჩვენ ძველთაგანვე აქ ვსცხოვრებდით შავშეთშიო, ყველას გურჯად მიაჩნია თავისი თავი. ეს დღეს უფრო გახშირდა, რადგანაც აქაურებს ეშინიანთ, რომ გურჯად არ ვსთქვათ ჩვენი თავები, მაშინ შეიძლება, რომ ოდესმე აქედან გაგვრეკონო, რადგანაც ეს ადგილები გურჯისტანია და თქვენ კი თათრებსა და ქურთებს აქ რა ადგილი გაქვთო” (ზ. ჭიჭინაძე 1915:44-47).

ამ მონათხრობებში აშკარად ჩანს, რომ ძველ შავშეთში ენის დავიწყება-გაოსმალების მიზეზებად რამდენიმე ფაქტორს მიიჩნევდნენ: 1. სახელმწიფოებრივი ზეწოლა; 2. სარწმუნოებრივი ზეგავლენა („სჯულის ენაზე” უპირატესობის მინიჭება); 3. შერეული ქორწინებანი და მოსახლეობის ეთნიკური აჭრელება; 4. მოხერხებული მდებარეობა, სავაჭრო გზები, ლამაზი, ნაყოფიერი გარემო, რაც მომხდურს იზიდავდა.

ყველა ეს ფაქტორი, მეტ-ნაკლები ინტენსივობით, ყველა ეპოქაში იყო დამახასიათებელი მთელი „თურქეთის საქართველოსათვის”, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრივ შავშეთისთვის (ასევე ლივანისთვის და კიდევ რამდენიმე რეგიონისთვის თანამედროვე თურქეთის საქართველოში) მოსახლეობის შერევისა და ეთნიკური აჭრელების მასშტაბის გაზვიადება, ვფიქრობთ, არ ღირს. იმავე ზაქარია ჭიჭინაძის ჩანაწერებიდან და ასევე სხვა წყაროებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ XX საუკუნის შავშეთის მოსახლეობის მამა-პაპათა თაობა ქართულად ლაპარაკობდა. მაშასადამე, XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე მთელმა შავშეთმა იცოდა ქართული ენა. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ XIX საუკუნის შუა ხანებში მთელ შავშეთში ჯერ კიდევ ფლობდნენ მშობლიურ ენას. ეს ცნობა ეყრდნობა ხალხის ხსოვნას წინა თაობის შესახებ, ამიტომ მასზე ნდობა შეიძლება. თანამედროვე შავშეთშიც ბევრი მიიჩნევს, რომ „ართვინში (იგულისხმება ვილაეთი) თურქი არაა. ბელქიდა ამ შავი-ზღვისპირეთშიც თურქი არ არი. ბერძენი, სომეხი, გურჯი, ლაზი არი!..”

ქართული ენის დაკარგვის მიზეზი შავშეთში უფრო ისაა, რომ ეს მხარე იოლი მისაწვდომია, აქ გადიოდა სავაჭრო გზები და ოსმალური ზეგავლენაც მეტი იყო. ცხადია, უცხოტომელ ჩასახლებულთა ზეგავლენაც არ უნდა გამოვრიცხოთ, მაგრამ თუ გავაანალიზებთ წყაროების მონაცემებს და თანამედროვე ვითარებას, უფრო სარწმუნო ჩანს ის მოსაზრება, რომ ამჟამინდელი აქაური მოსახლეობის 80 %-მდე მაინც ქართული წარმოშობისაა.

პრაქტიკულად თანამედროვე თურქეთში ქართული ენა ან ხსოვნა ქართული ენის ცოდნის, საკუთარი ქართული წარმომავლობის შესახებ შემორჩენილია სწორედ იმ რეგიონებში, სადაც მოსახლეობის შერევა-აჭრელება უფრო ნაკლებად ხდებოდა (აქ, ცხადია, მუჰა-

ჯირთა შთამომავლებს არ ვეხებით). ყველაზე მკაფიოდ ეს ჩანს ლივანაში – მარადიდიდან ართვინამდე ჭოროხის ორივე სანაპიროზე მურღულითა და წვრილ-წვრილი ხეობებითურთ, მდინარე შავშეთისწყლის თითქმის მთელ ხეობაში, ზედა მაჭახელსა და პარხლისწყლის მიდამოებში. ისეთი ადგილები, სადაც ქართველობის ხსოვნა ბუუტავს, თანამედროვე თურქეთში სხვაგანაც დაიძებნება (თვით შორეულ სპერშიც კი), მაგრამ, სამწუხაროდ, ნაკლებად!

ნიშანდობლივია, რომ ამ მხარის რუსეთთან შეერთების შემდეგ თურქული ელემენტის გაძლიერების ტენდენცია არ მოშლილა. ამის უპირველესი მიზეზი ის იყო, რომ რუსული მთავრობა ადგილობრივთ, რელიგიური მრწამსის გამო, თათრებად მიიჩნევდა. თუ ოსმალთაში აქაურები თავს გურჯებად მიიჩნევდნენ და ამას არც ქვეყნის ბატონ-პატრონები უარყოფდნენ, ახალმა მთავრობამ მათი გურჯობა ეჭვქვეშ დააყენა. ამ მხრივ დამახასიათებელია ერთი ადგილობრივის სიტყვები: „ჩვენს ქართველობაზე თქვენ დაგარწმუნებთ, რომ ჩვენ ნამდვილი ქართველები ვართ, ვიდრე რუსეთი მიგვიღებდა, მანამდის ჩვენს თავებს ქართველებად ვადიარებდითო” (ზ. ჭიჭინაძე 1913.:32).

სამეცნიერო ლიტერატურაში, გამოქვეყნებულ საარქივო მასალებში და სიძველეთა საცავებში დაცულ დოკუმენტებში არაერთგზის გვხვდება შესაბამისი მაგალითები. ა. ფრონელი წერს: „სამცხე-საათაბაგო დაიჭირა გრაფმა პასკევიჩმა... აქაურ მკვიდრს მესხის მაგიერ თათარი დაარქვა მთავრობამ. ეს უდიდესი შეცდომაა და წინააღმდეგი როგორც ბუნებისა, აგრეთვე მეცნიერებისა” (აღ. ფრონელი 1991.:131). ადგილობრივთა თურქებად მონათვლის მავნე პრაქტიკას რუსეთის პოლიტიკის დიდ შეცდომად მიიჩნევს ე. ვეიდენბაუმი. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომის შემდეგ აჭარაში შექმნილი ვითარების აღწერისას ის ამბობს: „არ უნდა გავიმეოროთ ის შეცდომები, რომელიც ჩვენ 1829 წელს დავეუშეთ ახალციხეში. ჩვენ არ ვიცოდით, ან კიდევ დავივიწყეთ, რომ აქ ბევრი გამაჰმადიანებული ქართველია და ვთვლიდით მათ თურქებად” (ე. ვეიდენბაუმი 2005.:54).

შეცდომები განმეორდა არანაკლები მასშტაბით: 1879 წლის რუსეთ-ოსმალეთის კონსტანტინოპოლის ტრაქტატით საზღვრისპირა მოსახლეობას 3 წლის განმავლობაში საზღვარგარეთ თავისუფალი გადასახლების უფლება მიეცა. ამ ტრაქტატით გადაიშალა კიდევ ერთი შავი ფურცელი საქართველოს ისტორიაში. დაიწყო მუჰაჯირობის ახალი ტალღა. ეს ტალღა, ბუნებრივია, შავშეთსაც შეეხო.

ზაქარია ჭიჭინაძის მიერ XIX საუკუნის 90-იან წლებში შავშეთში შეკრებილი მასალების მიხედვით შავშეთიდან გადასახლებულა დაახლოებით 15000 სული. მათ შორის 5000 იმერხევიდან. ზ. ჭიჭინაძის ინფორმაცია ადგილობრივთა მონათხრობს ეყრდნობა და, ბუნებრივია, დასაზუსტებელია. თუ გავითვალისწინებთ, რომ გ. ყაზბეგის ცნობით მთელ შავშეთში 1874 წელს კომლთა რიცხვი დაახლოებით 2000 იყო, ხოლო მოსახლეობის რიცხვი 12-14 ათასს აღწევდა (გ. ყაზბეგი 1995.:90), უნდა ვთქვათ, რომ შეუსაბამობა ამ ცნობებს შორის აშკარაა. თუმცა, არც ისაა საკამათო, რომ გადასახლებულთა რიცხვი მეტად ბევრი იყო. იმავე 90-იან წლებში, მუჰაჯირობის, ასე ვთქვათ, ცხელ კვალზე, გლეხები მიუთითებდნენ, რომ „თუმცა იმერხევი კლდედრიანი ადგილებია, მაინც აქ სოფლები ხალხით სავსე იყო. ეხლა კი აქ აღარავინ არის, განახევრდა, დაცარიელდაო” (ზ. ჭიჭინაძე 1912.:141).

უნდა ვივარაუდოთ, რომ მას შემდეგ, რაც სამხრეთ საქართველოს ტერიტორიების ნაწილი თურქეთმა ხელმეორედ მიიერთა, აქედან აყრილი მოსახლეობის ნაწილი, შესაძლოა, უკან დაბრუნდა, ვერც რუსების მიერ ჩასახლებული არამუსლიმანი ხალხი დამაგრდებოდა აქ, მიუხედავად ამისა, მუჰაჯირობის მიერ მიყენებული ჭრილობების მოშუშება იოლი არ იქნებოდა და იმ პირველი ტალღის შესახებ ხსოვნას დღესაც შეიძლება წააწყდე შავშეთში.

საინტერესოა, რომ ქართულ ენაზე მოლაპარაკე შავშელთა შორის ითვლებოდნენ აქაური სომხები – გრიგორიანელებიც და კათოლიკეებიც. სომეხთა რიცხვი ამ მხარეში ბევრი არ იყო (145 კომლი – 900-მდე სული). ისინი შავშეთის ოთხ სოფელში ცხოვრობდნენ (სათლე, ოქრობაგეთი, ფხიკიური, მამანელისი), ჰქონდათ სამი კათოლიკური და ერთი გრიგორიანული ეკლესია (ზ. ჭიჭინაძე 1913.:276).

მართალია, ზოგიერთი ავტორი ოქრობაგეთს ქართველ მაჰმადიანთა სოფლად ასახელებს (კ. მაჭავარიანი 1894.:2), მაგრამ აქ უფრო გაუგებრობასთან უნდა გვქონდეს საქმე და, ბუნებრივია, თვითმხილველთა ინფორმაცია უფრო სანდოა.

სომხურ-ქართული ურთიერთობანი ისტორიულ სამხრეთ საქართველოში უამრავი საინტერესო ფაქტის შემცველია და ქართულ მეცნიერებას ამ თვალსაზრისით ჯერაც ბევრი აქვს საკვლევი. აქ კი უნდა აღვნიშნოთ, რომ XIX საუკუნის მოგზაურები, როგორც თვითმხილველები, უხვად აღნიშნავენ ქართველთა გასომხების ფაქტებს. ქართველები ქრისტიანად გადარჩენის იმედით გადადიოდნენ სომხურ ტიპიკონზე და ამ პროცესს ხელს უწყობდა ოსმალეთის პოლიტიკა მართლმადიდებელთა მიმართ.

აღ. ფრონელი წერს, რომ, „ოსმალის მთავრობა მტრის თვალთ უყურებდა ლათინურსა და ქართულ წირვა-ლოცვას; ლათინური ევროპას აგონებდა, იმ ევროპას, რომელმაც არაერთხელ წელში გაზნიქა ოდესმე ქედმაღალი ოსმალეთი. ქართული კიდევ შეუპოვარ გურჯისტანს, რომლის დამსობა შეადგენდა მაჰმადიანური ოსმალეთის პოლიტიკისა და დიპლომატიის ენას. ამიტომ გააფთრებულმა და გააღმასხებულმა ოსმალეთმა სასტიკადაც დაუწყო დევნა ლათინურ და ქართულ ენაზე წირვა-ლოცვას და ღვთისმსახურებას; სომხური ენა კი მიჩნეული ჰქონდათ მაშინდელ ოსმალებს. სომხებისა არ ერიდებოდნენ და დიდი თავაზიანობით ეკიდებოდნენ თვით სომხეთის ერსა” (აღ. ფრონელი 1991:38).

ამდენად, ქრისტიანობის შენარჩუნებისკენ მისწრაფება, ერთი მხრივ და, მეორე მხრივ, ოსმალეთის განსაკუთრებული დამოკიდებულება სომხური ეკლესიების (როგორც გრიგორიანულის, ასევე კათოლიკურის) მიმართ (რაც, მეოცე საუკუნის დასაწყისამდე, სომხებს პრივილეგიურულ მდგომარეობაში აყენებდა), ასევე სომხური ეკლესიების აქტიურობა განაპირობებდა ჩვენებურთა ერთი ნაწილის თანდათანობით გასომხებას.

ზაქარია ჭიჭინაძე ირწმუნება, რომ აქაური სომხების შესახებ ამბობს იმას, რაც საკუთარი თვალთ უნახავს ან სომხებისგანვე სმენია. ეს ნანახ-გაგონილი კი უტყუარად ადასტურებს, რომ „სომხები და კათოლიკენი (ანუ გრიგორიანელი და კათოლიკე სომხები) ძველთაგანვე აქაურნი არიან, ქართული გვარისანი.” იგი აღნიშნავდა: „ამბობენ, ქართველთა დევნილობის დროს ზოგიერთმა ქართველმა, რომელთაც სურდათ მაჰმადიანობიდან თავი გადაერჩინათ, თავი კათოლიკედ აღიარა და კათოლიკეს სარწმუნოებას შეუერთდაო; შემდეგ ამ ქართველ კათოლიკეებისათვის ენად სომხური ენა გარდიქვა. მას შემდეგ ქართველებმა იწყეს სომხურად ლაპარაკის მიხვევა და დროის განმავლობის მეოხებით მათ სამშობლო ენად სომხური ენა გარდაიქცაო. აი ასეთი კათოლიკეების რიცხვს მიეკუთვნებიან არდანუჯის, შავშეთის, ართვინის და ბევრი სხვა ადგილების კათოლიკეები, რომლებიც დღეს თავიანთ ვინაობას სომხობით ხატავენო. ამ აზრის დასამტკიცებლად კმარა ისიც, რომ ჯერაც კიდევ მათში ქართული ენის სიტყვები არ აღმოფხვრილა და ლაპარაკის დროს ესენი ძალიან ბევრ ქართულ სიტყვებს ხმარობენ. ისეთ სიტყვებს, რომლებსაც არავითარი მსგავსება და ნათესაობა არ აქვთ სომხურთან. გრიგორიანელებიც ასევე არიან ქართველობიდან გასულნი” (ზ. ჭიჭინაძე 1915:303).

თავად განსაჯეთ: XIX საუკუნის II ნახევრის იმერხევსგარე შავშეთში ქართულ ენაზე ლაპარაკობენ მხოლოდ სომხური სოფლების მცხოვრებნი. შავშელ გურჯებს მშობლიური ენა დავიწყებული აქვთ და, შესაბამისად, ფსიკიურის გარდა ყველა სხვა სოფელში გამორიცხულია იმის დაშვება, რომ სომხებმა ადგილობრივ მცხოვრებთან ურთიერთობისას აითვისეს ქართული. იქნებ ისიც გვეფიქრა, რომ აქაური სომხების წინაპრებმა ადრევე ისწავლეს ქართული, როცა შავშელები ჯერ კიდევ მხოლოდ მშობლიურ ენას ფლობდნენ, მაგრამ მას შემდეგ იმდენი დრო გავიდა, თავად ქართველებს დაავიწყდათ ქართული და სომეხთა თაობები რად შეინახავდნენ? მეტადრე, როცა ამის პრაქტიკული საჭიროება არ არსებობდა. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ კათოლიკური ეკლესიის წიაღში მშობლიური ენის დავიწყების პროცესი უფრო ნელა მიდიოდა და გასომხებულ ქართველებს წინაპართა ენა ახსოვდათ.

ამდენად, XIX საუკუნეში, XX საუკუნის დასაწყისშიც კი, სამუსლიმანო საქართველოში გასომხების პროცესი დასრულებული არაა და ამ პერიოდის მოგზაურები თუ მეცნიერები პროცესის დასკვნითი ეტაპის დამკვირვებლად გვევლინებიან. ნიშანდობლივია ჩანაწერები კარლ კოხისა, რომელმაც XIX საუკუნის პირველ ნახევარში ორჯერ (1836 და 1843-44 წლებში) იმოგზაურა კავკასიაში. იგი ადასტურებს კავკასიაში ქართველთა გასომხების ფაქტს და აღნიშნავს: „სავაჭრო საქმეს ჩვეულებრივ, ქართველები განაგებენ. ეს ის ქართველებია, რომლებსაც სომხური სქიზმა აქვთ მიღებული და ამიტომ სომხებად იწოდებიან. ისინი უმთავრესად ართვინში ცხოვრობენ” (კ. კოხი 1981:192).

ზემოხსენებული ისტორიის თემატური გაგრძელებაა უკვე XX საუკუნის დასაწყისში ნიკო მარის მხლებლის არტანუჯელი კათოლიკე სომხის, ამბარცუმ ტოპსუჯიანის ამბავი: „ჩემი წინაპრები ქართველი კათოლიკეები იყვნენ, – უთქვამს ამბარცუმას, – მე ქართული არ ვიცი, მამაჩემმა ქართული იცოდა, ბაბუაჩემმა კი საერთოდ არ იცოდა სომხური“ (ვიმოწმებთ: შ.ჯაფარიძე 1996.:180). ამასთან, ნ. მარი ადასტურებს შავშელი სომხების მეტყველებაში ქართულ ლექსიკას. კერძოდ, იგი წერს: „ოქრობაგეთელი სომხების სალაპარაკო ლექსიკაში შევნიშნე ბევრი ქართული სიტყვა: გოგო, სარწყავი, ჩიტი, ძერა და სხვა“ (ვიმოწმებთ: შ. ჯაფარიძე 1996.:41).

ჭოროხის აუზის ქართველთა გასომხების ამბავი კიდევ ერთი გულსაკლავი, ამავე დროს ვრცელი, რთული და ასე თუ ისე ცნობილი ისტორიაა. ჩვენ არც დაგვისახავს მიზნად ამ ისტორიის თხრობა და ანალიზი. ამჯერად მხოლოდ იმაზე მითითება გვინდა, რომ XIX საუკუნეში გასომხებულმა ქართველებმა ჯერ კიდევ იციან თავიანთი წარმომავლობის შესახებ და, რაც ასევე მნიშვნელოვანი ფაქტია, მათი ნაწილი კვლავაც ინარჩუნებს წინაპართა ენას.

ამდენად, XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე შავშეთში ქართულ ენა იციან მთელ იმერხევეში, სხვა რამდენიმე სოფელში და, ასე თუ ისე, სომხებითა და გასომხებული ქართველებით დასახლებულ სოფლებში. ქართული ენის მცოდნე უფროსი თაობის წარმომადგენელს სხვაგანაც წააწყდებოდა კაცი. ამ რეგიონში ყველამ კარგად უწყოდა ქართული წარმომავლობისა და წინაპართა ვინაობის შესახებ.

თვითმხილველთა დაკვირვებით შავშელები მშვიდობისმოყვარე ხასიათით გამოირჩეოდნენ. მეტიც, მეზობელ მაჭახლელებთან და ზემო აჭარის მცხოვრებლებთან შედარებით ერთობ დაბეჩავებული იყვნენ. ისტორიულ ბელუკუდმართობას დიდი გავლენა მოუხდენია აქაურებზე: წინათ „ეს ხალხი გამოირჩეოდა თავისი სიმამაცით, გამბედაობით, მათ არაერთხელ იხსნეს საქართველო უბედურებისაგან, ახლა კი იმდენად მშიშარები გამხდარან, რომ აჭარლებს სალაპარაკოდ ექცათ. შავშელების ხასიათი ზემო აჭარიდან მოსულ მოგზაურს თვალში სცემს“ – შენიშნავს გ. ყაზბეგი.

განსაკუთრებით მძიმე დღეში ყოფილან ყვირაღას მკვიდრნი. გ. ყაზბეგის თქმით, „მათ საცოდავი სახე აქვთ და გონებრივადაც განუვითარებლნი არიან. აქ ერთ ყოჩაღსაც ვერ ნახავ – ყველა ძონძეშია, მჭმუნვარე და დაბალი ტანისანი არიან. სიბუნჯე ყველა მათგანის სახეზე იკითხება, ამის გვერდით კი შეინიშნება სიღარიბე“.

აქვე უნდა ითქვას, რომ ყვირაღას მცხოვრებთა უკიდურესი მდგომარეობა გამონაკლისია შავშელთათვის, სხვაგან გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, თუმცა, გ. ყაზბეგისვე აზრით, საცოდავი სახე და ზნეობრივი დაძაბუნება ყველგან შეინიშნება. „ოჯახურ ყოფაში იმერხევის ხეობის მცხოვრებლები უფრო ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებენ, ვიდრე საკუთრივ შავშეთისა: ისინი პირქუშინი, მაგრამ შავშელებზე უფრო მამაცნი და ლამაზები არიან. იმერხევეში ქართული ტიპი სუფთაა. აქ ძალზე ლამაზ სახეებსაც შეხვდები“ (გ. ყაზბეგი 1995.:91).

შავშელთა თვინიერი ხასიათის შესახებ არაერთი ცნობა გვხვდება მოგზაურთა ჩანაწერებსა თუ XIX-XX საუკუნის მიჯნის ქართულ პრესაში. ამ შრომისმოყვარე გურჯებს იარაღის სიყვარული მაინცდამაინც არ ახასიათებდათ და როცა XIX საუკუნის 60-იან წლებში გამოვიდა ბრძანება იარაღის ტარების აკრძალვის შესახებ, სულთნის ეს ნება ქართველ მაჰმადიანთაგან მხოლოდ შავშელებმა აღასრულეს. აჭარლებმა, ლაზებმა და მაჭახლელებმა უარი თქვეს იარაღის აყრაზე და საქმეც ამით მოთავდა. ამ თვისებათა მატარებელ შავშელებს ხშირად აგრესიული მეზობლებისაგან თავის დაცვის ნიათიც აღარ ჰქონდათ და ძალადობის მსხვერპლნი ხდებოდნენ. გ. ყაზბეგი აღწერს ყაჩაღთა ძალადობის არაერთ შემთხვევას, რასაც ადგილობრივნი ვერაფერს უპირისპირებდნენ (გ. ყაზბეგი 1995.:92).

იგივე განწყობაა შავშელების მიმართ ათეული წლების შემდეგაც. ზ. ჭიჭინაძის თქმით, იშვიათია თოფ-ხანჯალ-ხმალ-დამბაჩიანი სოფელი. იარაღის მიმყოფი ხალხი არ ვართო, – ამბობენ, – ჩვენი იარაღი თოხი, ბარი, ნიჩაბი და გუთანიაო. „შავშელი კაცის ყაჩაღობა არც ძველად და არც შემდეგ არ გაგონილა, – წერს ზ. ჭიჭინაძე, – იქნება აქა-იქ მომხდარა, მაგრამ ეს ყოფილა იშვიათად და კანტი-კუნტად. ყაჩაღობა ამათში არ ყოფილა და თუ ყოფილა,

ისიც ქურდობის მიზეზით კი არ დაბადებულა, არამედ სხვა რამ საპოლიტიკო და მოქალაქური მხარეების მეოხებით; ისიც კი უნდა შეინიშნოს, რომ შავშელეთაგანი თუ ვინმე ყაჩაღად გავარდნილა, ის უნდა რაიმე განწირულობაში ყოფილიყო ჩავარდნილი და ან სხვადასხვა თემთა მცხოვრებთაგან გამოსულ ყაჩაღებს უნდა მიეზიდოთ, მაგალითებრ, შავშელები აჭარლებს მთლად ყაჩაღებად სთვლიან, ასე ამბობენ, რომ აჭარლების ხელობა არისო, ნამეტურ მაჭახელებისა – ძველათ იმათ ყაჩაღობისგან მოსვენება არ გვექონდა, ისინი არ მუშაობდნენ, მთელი წელიწადი ყაჩაღობდნენ და მითი ცხოვრობდნენო” (ზ. ჭიჭინაძე 1913.:270).

ვფიქრობთ, რომ მოგზაურთა ჩანაწერებში დაფიქსირებული არაერთი კონკრეტული ფაქტის მიუხედავად, მოსახრებები შავშელთა ბეჩაობის შესახებ გადაჭარბებული უნდა იყოს და იგი უფრო აგრესიული მეზობლების ქედმაღალ შეხედულებებს ემყარება. ცალკეულ შემთხვევათა განზოგადება ობიექტურ სურათს ვერ ხატავს. შავშელთა მშვიდობიანი ხასიათი აშკარად ჩანს, მაგრამ მშვიდობისმოყვარეობა ყოველთვის როდი ნიშნავს ლაჩრობას და თუ ვაუკაცობა მაინცდამაინც ყაჩაღების სიმრავლით იზომება, მაშინ შეიძლება დავიმოწმოთ ნიკო მარი, რომელმაც არაერთი „ყაჩაღური სიმღერა” ჩაიწერა იმერხევში...

გ. ყაზბეგი აღნიშნავს, რომ შავშეთში ოსმალეთის გავლენა ძალზე ძლიერია და ამის მთავარ მიზეზად ასახელებს ერთი მხრივ იმას, რომ ეს რეგიონი ადვილად უკავშირდება ოლთისს, ერზრუმს და ახალციხეს, მეორე მხრივ, იმას, რომ შავშელები აჭარლებზე ადრე გამაჰმადიანდნენ. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, შავშეთში რელიგიური ფანატიზმი ნაკლები იყო ოსმალოს საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით. ამის შესახებ ყველაზე დაბეჯითებით ზ. ჭიჭინაძე მიუთითებს. მისი თქმით, როცა „ამათთან ვინმე ქრისტიანი მივა, ისინი მას სჯულის შესახებ კი არ დაუწყებენ ლაპარაკს, არამედ გამოკითხავენ ქვეყნის ამბებს, სადაურობას, მოსავლიანობას, მთავრობის ვითარებას და სხვა. ყველაფერს დიდი კმაყოფილებით და სიამოვნებით მოისმენენ და მიიღებენ, მცირე რამესაც ვერ შენიშნავთ, რომ ისინი ქრისტიან კაცს ეჭვით უმზერდნენ. ისინი უყურებენ მას ისე, როგორც სტუმარს და არ იციან, როგორ ასიამოვნონ, როგორ ემსახურონ, რა მიართვან, როგორ აამონ...” (ზ. ჭიჭინაძე 1913.:269). უნდა ითქვას, რომ ზაქარია ჭიჭინაძეს რელიგიურ ნიადაგზე ბევრი უსიამოვნება შემთხვევია აჭარაში, ამდენად, მისი დაკვირვება სულაც არაა საფუძველს მოკლებული. მეტიც, ზოგჯერ ლოცვასაც აკლდებიან, მეტადრე მაშინ, როცა სამუშაო აქვთ. ასეთ დროს „დღეში ხუთჯერ არ ლოცულობენ ისე, როგორც ეს სხვა მაჰმადიანმა ქართველებმა იციან და ნამეტურ აჭარა-ქობულეთელ ქართველ ფანატიკოს მაჰმადიანებმა.” ზ. ჭიჭინაძეს რეალური ფაქტი მოყავს აჭარელთა და შავშელთა შედარებისათვის: შავშეთის ერთ-ერთ სოფელში ყოფნისას, როცა ლოცვის დრო მოვიდა, ზ. ჭიჭინაძის მსლებელმა აჭარლებმა ლოცვა დაიწყეს, შავშელებმა კი საუბარი გააგრძელეს. „საქმე ისე მოეწყო, რომ შავშელებს აჭარლების შერცხვათ ლოცვის შეუსრულობის გამო და ამიტომ მათაც ილოცეს, თუმცა, როგორც შევატყვევ, არაფრად ეპიტნავათ აჭარლების საქციელი, მაგრამ რას იზამდნენ: ულოცველი მუსლიმანი მუსლიმანი არ იქნებო” (ზ. ჭიჭინაძე, 1913.:268).

ფრთხილად შევნიშნავთ, რომ ეს შედარებით თავისუფალი დამოკიდებულება რელიგიური რიტუალების მიმართ შავშეთში (იმერხევში) დღესაც შეინიშნება, რაც, ცხადია, არ გამოირიცხავს იმას, რომ აქაურები ჭეშმარიტი მორწმუნენი და ისლამის ერთგული მიმდევრები არიან.

რელიგიური ფანატიზმით ნაკლებად შებოჭილი იყვნენ იმერხვეელი ქალებიც. მართალია, ისინი პირბადით დადიოდნენ, მაგრამ „ისე არ ფანატიკოსობდნენ. როგორც აჭარელი ქალები”. ზაქარია ჭიჭინაძე იხსენებს ერთ შემთხვევას, როცა გზად, ტყეში, იმერხვეელი ქალი შემოხვდათ, რომელმაც შორიდანვე დაიწყო ლაპარაკი. მოკითხა მგზავრების სადაურობა, გამოკითხა მათი ამბები და თავისიც უამბო. აჭარელ თანამგზავრს ასეთი თავისუფალი ქცევა გაუკვირდა, მიუღებლად მიიჩნია და ისღა დარჩენოდა, ცუდად მოესხენებია აქაურები: „იმერხველები მევირეები არიან და არაფერი დაეძრახებათო” (ზ. ჭიჭინაძე 1913.:291).

როგორც ითქვა, XIX საუკუნის მთელ შავშეთში ახსოვდათ ქრისტიანული წარსული. XIX საუკუნის მიწურულს ჯერ კიდევ გაიხსენებდნენ, რომ მაგალითად, 1878 წელს გარდაცვლილი ვინმე დარჩიძის ბებია ქრისტიანი ქალი ყოფილა (ზ. ჭიჭინაძე 1913.:293). ყაზბეგის თქმით, ოქრობაგეთის ეკლესია, მეცადინეობით ორი-სამი გურული ქალისა (ისინი ცოლად

ჰყავდათ შავშეთის ბეგებს), 70-იან წლებამდე მოქმედებდა, აქაური ქართული ტაძრის პატივისცემა ხალხში კარგა ხანს ცოცხლობდა: „ოქრობაგეთის ძველი ეკლესიის ნანგრევთან არის სასაფლაო, ქვის ფილებზე ჩვენ ვნახეთ სანთლებიც, რომლებიც ვიდაცას მიცვალებულთა სულის სალოცად ენთო. ეს არის ძველი კეთილმოსაგონარი დროის და გვარის პატივისცემა.” (გ. ყაზბეგი 1995:94). აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ოქრობაგეთი მაშინ სომხებით (თუ გასომხებული ქართველებით) იყო დასახლებული, მაგრამ აშკარაა, რომ მართლმადიდებლობის კვალი აქ ჯერ კიდევ იგრძნობა.

ქრისტიანობის ხსოვნა და რიტუალები XX საუკუნეშიც შემოუნახავს ზიარეთობის ტრადიციას. ზიარეთში წასვლა წმინდა ადგილების მონახულება-მოლოცვას გულისხმობს. მართალია, ამ ტრადიციაში მუსლიმანურთან და ქრისტიანულთან ერთად წარმართული შრეებიც საგრძნობია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის დასაწყისში წმინდა ადგილებზე მისულები ჯერ კიდევ ანთებდნენ შინ დამზადებულ სანთელს. ალბათ ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ ნიკო მარის თქმით, ხოჯები გამწარებული იბრძოდნენ ამ უძველესი ტრადიციის წინააღმდეგ. ისინი აცხადებდნენ, რომ მთებში არ არის არავითარი „ზიარეთი“ (მოსალოცი წმინდა ადგილი), მაგრამ ხალხი არ უჯერებდა და ამბობდა, – ასეთია ჩვენი უძველესი ადათიო! (ვიმოწმებთ: შ. ჯაფარიძე, 1996:70)

ზიარეთობის ტრადიცია დღემდე შემორჩენილი შავშეთში და სხვაგანაც, მაგრამ სანთლებს აღარავინ ანთებს. მიუხედავად იმისა, რომ ტაო-კლარჯეთის რომელიმე ზიარეთი შეიძლება ნაეკლესიარზე ან მის მახლობლად იყოს, ასეთი ადგილები თანამედროვე გურჯების შეგნებაში აღარ უკავშირდება ქრისტიანობას. დამკვირვებლისთვის მოულოდნელი ზოგიერთი ფაქტი უფრო ტრადიციის ძალა თუ გაუცნობიერებელი ინერციაა (მ. ჩოხარაძე 2010:9)

როგორც უკვე ითქვა, შავშელები განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდნენ სხვა მხარის გურჯებისგან. „შავშელი კაცის დაკოჟრილი ხელები ცხადად ამტკიცებს მათს მაღალ მიზიდველობას შრომა-მეცადინეობებისადმი,” – შენიშნავს ზაქარია ჭიჭინაძე (ზ. ჭიჭინაძე 1913:268). XIX საუკუნეში აქაური გურჯები ძირითადად სოფლის მეურნეობას და მესაქონლეობას მისდევდნენ. ვაჭრობა-ხელოსნობით ძირითადად სომხები იყვნენ დაკავებული, თუმცა, როგორც ნ. მარი შენიშნავს, რუსების გაბატონების შემდეგ ქართველმა მუსლიმანებმაც გამოიღეს ხელი და ვაჭრობა დაიწყეს..

რამდენადაც ნაყოფიერი და ვრცელია საკუთრივ შავშეთის სახნავ-სათესი მიწები, იმდენად მწირია იმერხევის კლდე-ღრეებიანი მიდამო. „იმერხევეში ყველა მიწის უკმარისობაზე ჩივის. არ ყოფნით არც სათესი და არც საძოვრები. ადრე საქონელს აჭარის მთებში ერეკებოდნენ, ახლა მათ იქ არ უშვებენ. აჭარლები ამბობენ, რომ საძოვრები ეკუთვნით მათ...” – აღნიშნავს ნ. მარი (ვიმოწმებთ: შ. ჯაფარიძე 1996:68)

ალბათ ეს გარემოებაც იყო მიზეზი იმისა, რომ იმერხეველები სარჩოს საპოვნელად სხვა გზებსაც ეძებდნენ. გ. ყაზბეგის თქმით, „იმერხეველები კარგი მექისეები არიან და ბევრი მათგანი საშოვარზე კონსტანტინეოლში მიდის” (გ. ყაზბეგი 1995:96). ეს ფაქტი აჭარელთა მხრიდან იმერხეველების დაცინვის საფუძველი გამხდარა. 1881 წელს გაზეთი „დროება“ იუწყებოდა, რომ „იმერხეველებში და ბევრ ლივანის სოფლებში სუფევს ერთი რამ ურიგობა, რომელიც განდენიათ ჩვეულებად: აქ რაგინდ ყოჩადი და გულადი კაცი გამოვიდეს, უბრალო ჯაგლაგი აჭარელი დაახლის პირზე: „შენ რა უნდა გელაპარაკო, ერთ დროში აბანოში თარლაქი (მექისე) ყოფილხარო”. მართლაც, აქაური ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი ცამეტი წლიდან ვიდრე ოც-ოცდასამ წლამდე აბანოში თარლაქად არი. დღესაც ნახავთ ბათუმში, არტაანში, ყარსში და ყველა ახლო ოსმალის ქალაქებში, რომ უკეთუ აბანოში „თარლაქია”, ახალგაზრდა ან იმერხეველი უნდა იყოს, ან შავშელი და ლივანელი” (დროება 1981).

შავშელებს წინაპართაგან შემორჩათ მრავალი წესი და ჩვეულება, რომლებშიც ძალუმიად იგრძნობა ძველი საქართველოს სული. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში აქ უპირატესად ქართულია სიმღერა, ცეკვა, საქორწინო რიტუალები და ა.შ. დიმიტრი ბაქრაძე აღწერს შემთხვევას, თუ როგორ მოისმინა აჭარაში შავშელთა მაყრული: „საუბრის დროს ქართული მაყრული მომესმა... ზენდიდელი ბეგი თურმე შავშეთელი ბეგის ქალზე ქორწინდებოდა და შავშეთიდან მას სიმღერით მოაცილებდა კარგა მოზრდილი მაყრიონი. აქ

ბევრები ძველთაგანვე ერთმანეთს უმოყვრდებიან. აქაური საქორწინო წეს-ჩვეულება ბევრ რამეში ჰგავს ქართულს: მაგალითად, წინასწარი მოლაპარაკება მშობლებს შორის შუამავლის მეშვეობით, მზითვის პირობა და თვით მზითვეი, დაწინდვა და მისი ცერემონია, სიძე-პატარძლის სახელები ქორწინების დროს: მეფე, დედოფალი; ასევე პატარძლის მხლებელთა სახელი – მაყრები; სიმღერა, რომელსაც ამ დროს ასრულებენ – მაყრული, მისი სიტყვები და კილო, თვით ქორწინების ზეიმი – სამ დღეს ქორწილი, – ყველაფერი ეს წმინდა ქართულია და იგი შემონახულია არა მარტო აჭარაში, არამედ ყველგან ამ მხარის მუსლიმანებში” (დ. ბაქრაძე 1987.:58).

ნიშანდობლივია, რომ სასულიერო პირები უშლიდნენ გურჯებს ქართულ ჰანგზე სიმღერას, შედეგად თანდათანობით დავიწყებას ეძლეოდა წინაპართა ხმები. ზაქრია ჭიჭინაძის ცნობით, ქართული შეწყობილი ხმები ყველგან იცოდნენ, მაგრამ ყველაზე უკეთ – აჭარაში. სხვაგან ხოჯა-მოღების ქადაგებებს ეს სიმღერები თითქმის მთლიანად მოუსპია” (ზ. ჭიჭინაძე 1913.:81). ამ ქადაგებათა შესახებ მიუთითებს ნიკო მარიც, თუმცა XX საუკუნის დასაწყისში იგი ჯერ კიდევ ნახულობს ქართულ ჰანგზე მომღერლებსაც, მოცეკვავეებსაც და ქართულ მუსიკალურ ინსტრუმენტებსაც, რომელთა ცალკეულ ნაწილთა დასახელებაშიც კი ჯერ კიდევ შერჩენილა ქართული ელემენტი (შ. ჯაფარიძე 1996.:49)

ამრიგად, მიუხედავად ზოგიერთი ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებისა, შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის შავშეთში თვალნათლივ იგრძნობა ქართული სული, განსაკუთრებით, მექართულე სოფლებში. აქაურთ დაუცავთ ქართული ენაც, ქართული ყოფისთვის დამახასიათებელი ბევრი წესი და რიგი, წინაპართა ტრადიციები. მათ იციან ქრისტიანული წარსულის შესახებ, ქრისტიან ქართველებთან ნათესაობის შეგნებაც აქვთ, სტუმარსაც აფასებენ, დუხჭირი ცხოვრების მიუხედავად, მასპინძლობაც შეუძლიათ და შეძლებისდაგვარად ინახავენ თავიანთ ქართველობას ამ ღვთისგან და მთავრობისგან მივიწყებულ მხარეში.

§2. თანამეცხოვე მავშეთის სოფლები

თანამედროვე სამხრეთ საქართველოს სამწუხარო სინამდვილე ისაა, რომ მშობლიურმა ენამ აშკარად დათმო პოზიციები. ქართული ენა იციან მხოლოდ იმერხევის ოცდათხუთმეტამდე სოფელში (17 სამუხტრო), ლივანისა და მურღულის ორმოციოდე სოფელში, ზედა მაჭახლის ყველა სოფელში (მაჭახელი დღემდე ითვლება ჩვენებურებში ქართველობის ეტალონად) და ტაოს სამ სოფელში. ამდენად, მთელს შავშეთსა და ტაო-კლარჯეთში, დაახლოებით 13000 კვ. კმ. ტერიტორიაზე, ქართული ოთხმოცდაათამდე სოფელშიდა იციან.

უნდა შევნიშნოთ ასევე, რომ მექართულე სოფლების ზუსტი რაოდენობის დასახელება ჭირს, რადგან იქაური ადგილობრივი მართვის ორგანო, სამუხტრო ზოგჯერ აერთიანებს რამდენიმე დასახლებულ პუნქტს და ამ პუნქტებს როგორც ადგილობრივები, ასევე მეკლევრები ხან ერთ, ხან რამდენიმე სოფლად მიიჩნევენ. გარდა ამისა, ზოგჯერ ერთი სოფლის უბნები (მეკლევები) ხეობაში ისეა გაფანტული, ზოგიერთი ავტორი მათ დამოუკიდებელ სოფლად ასახელებს და არა უბნად.

იმერხევისა და მიმდებარე ხეობებში (შავშეთისწყლის მარჯვენა სანაპიროზე) ქართული ენის გავრცელების გეოგრაფია დაახლოებით ისეთივეა, როგორც XIX საუკუნეში იყო. ცხადია, იმ განსხვავებით, რომ ა) გაღარიბებულია ქართული ლექსიკა; ბ) ლექსიკაში გაცილებით უფრო მეტადაა შერეული თურქიზმები; გ) იშვიათად შეხვდებით ახალი თაობის წარმომადგენელს, მშობლიური ენა რომ იცოდეს: საშუალო და უმცროსი ასაკის ყმაწვილებმა აღარ იციან ქართული.

ქვემოთ წარმოვადგენთ იმერხევისა და მიმდებარე ხეობების (ჩრდილოეთ შავშეთის) იმ სოფლების სიას, რომლებშიც ზემოხსენებული მდგომარეობა შენარჩუნებულია დღემდე. მეტი სინათლისათვის სოფლები დაჯგუფებულია სამუხტროების მიხედვით. ჩვენ ვცადეთ, სამუხტროს შემადგენლობაში გამოგვეყო შედარებით უფრო განცალკევებული, დამოუკიდებელი და-

სახლებული პუნქტი. უფრო წვრილი ერთეულები (მეჭვლეები) ჩამონათვალში არაა ასახული. ასევე მეზრეები და დაილები. თავდაპირველად დასახლებულია სამუხტროს ცენტრალური სოფელი (სადაც მუხტარი ზის). თუ ქართული დავიწყებული აქვთ ამ სოფელში, იგი გამოტოვებულია:

I. დასამობი, ფხიკიური, დავლათი, ნიოლითი; II. ჯვარისხევი, წყალთბილა, ოთხკილდე; III. ჩიხორი, დიგიეთი, ბრილი, აგარა; IV. ჩაქველთა; V. სვირევანი; VI. უბე, ფარნუხი, დაბა; VII. ხევეწრული; VIII. ბაზგირეთი, გამეშეთი; IX. ზიოსი; X. ზაქიეთი; XI. აგარა (იმერხევის აგარა), წეთილეთი; XII. ხოხლევი; XIII. მანხატეთი, მანატბა; XIV. ბზათა; XV. შოლტისხევი (წყალსიმერის სამუხტროა. წყალსიმერში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში უჭირდათ ქართული. დღეს დავიწყებულია); XVI. იფხრეველი; XVII. ივეთი; XVIII. უსტამისი; XIX. ჩიხისხევი (ჩიხისხევიში დღეს ერთგვაროვანი სურათი არაა, ხეობაში არის უბნები და სოფლები, სადაც ქართულად ლაპარაკობენ: კოკბერეთი//კოკვერეთი, ქორიენთი, დუტბეთი, ბაღლარი, სამწყარი (სოფელი პრაქტიკულად დაცლილია), მოკლიეთი, დერელარი, ჩავლიეთი). ზოგან ძალიან უჭირთ ლაპარაკი: მამლიეთი, ზუბიეთი, ზეგზათი, იშხნიეთი; ზოგან კიდევ სრულიად დავიწყებულია, მაგ. ხოზაბარში (—რა ვიცი, რატომო, - მთხრობელმა და თან შეუკურთხა...).

იმერხევის რამდენიმე სოფელში დღეს ქართული აღარ ახსოვთ. ესენია: დიობანი, წყალსიმერი და მთელი ყვირალას ხეობა (მიქელეთი, ჯინალი...). საგულისხმოა, რომ აქ ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში უჭირდათ მშობლიურ ენაზე საუბარი.

რაც შეეხება საკუთრივ შავშეთის იმ სოფლებს, სადაც XIX საუკუნის მიწურულს ჯერ კიდევ საუბრობდნენ მშობლიურ ენაზე: სამწუხაროდ, დღეს აქ ქართული არ ისმის, მაგრამ საინტერესოა, რომ იმერხევიში ჯერ კიდევ გეტყვიან ზოგიერთი ზემოთ დასახლებული სოფლის შესახებ, რომ მოხუცებთან ქართულად ლაპარაკი შეიძლებაო. ჩვენ ასეთ მოხუცებს ვერ წავაწყდით, თუმცა რამდენიმე ფაქტი აუცილებლად იმსახურებს ყურადღებას:

ციხისძირელმა თემურხან ათაბაგმა გვითხრა: გარყლობსა და ჭურებში შეიძლება იცოდეს ვინმემ ქართული ენაო.

დავლათში გვითხრეს, ახალდაბაში იციან გურჯიჯა, ციხისძირშიცო, - ბერებმა (მოხუცებმა) იციანო.

ახალდაბაში, ძირითადად, იციან, ქართველთა შთამომავლები რომ არიან. 75 წლის ზიეთდინ გუნდუზმა გვითხრა: მამაჩემმა იცოდა გურჯიჯაო. თავად ორიოდ სიტყვას იტყვის ქართულად, გურჯებში ვიყავ და იქედან ვიციო...

ქართულის მცოდნე ახალდაბელიც ვნახეთ - ჰუსეინ ქარაპანი, მაგრამ - დედა მყავს ჩაქველთიდანო, - ასე აგვიხსნა, - ჩვენს ოჯახში ქართულად საუბარი არ იყო უცხო, თან დედულეთთანაც მუდამ მქონდა ურთიერთობაო.

ჭუარებში 80 წლის ბერიკაცი ბინალი სუთჯი ქართულად გველაპარაკა. წინაპრების ენას ცუდად ფლობდა, მაგრამ ნათქვამის გაგებინებას ახერხებდა. განაცხადა, რომ გურჯი ვარ და ამ სოფელში სულ გურჯები ცხოვრობენო. ჩემსავით მოხუცებს ქართულად საუბარი შეუძლიათ, თუმცა, ბევრი დავიწყნიათო, თანაც ძალზე ცოტანი დარჩნენ, ვინც იცისო.

მრავლისმეტყველია აქაური ტოპონიმებიც: ნადირაული, ურემაძირი, პატარაჭალა, ლექტიყანა, ჩემიყარა, სერიყანა, ნაწისქვილევი, ეგულოზირი.

ბინალს დედა ჰყავდა იმერხევიდან და ამიტომ იცის ქართულიო, - გვითხრა ერთმა ჭუარებელმა, - სხვებმა არ იციან, ვერავის ვიხსენებ სხვას, ქართულის მცოდნესო. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ წინათ ქართველები ვიყავითო. მეორემ, აშკარად ქართული იერის ხანშიშესულმა კაცმა - ახალციხელი თურქები ვართო.

ბინალის თქმით, ქართულის მცოდნეს გარყლობშიც შეხვდები, ახალდაბაშიც, ამ უკანასკნელში უფრო ბევრიაო.

ქართულის მცოდნე მოხუც ქალს ციხისძირშიც წავაწყდით. უჭირდა ერთობ, ამტკრეველა. იმანაც - „დედა მყავდა ჩაქველთურიო“.

ნათელია, რომ იმერხეველი გურჯი ქალების გათხოვება მეთურქულე შავშეთში ერთი საინტერესო თემაა. ასეთ ოჯახებში გაზრდილებმა, როგორც წესი, ასე თუ ისე, ქართული იციან, მშობლიურ წიაღში აბრუნებდნენ მეთურქულე შავშელებს იმერხეველი ქალბატონები...

ნიშანდობლივია, რომ სინკოთში, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება იმერხევის მარცხენა სანაპიროს ქართულ სოფელ ნიოლეთს, მშობლიური ენა დავიწყებულია. აქაური ჯებრაილ

ქაია ამბობდა, ბებიაჩემმა ქართული იცოდა, მაგრამ უბედან იყო და იმიტომ. მან საერთოდ უარყო სინკოთელთა ქართული წარმომავლობა, შესაძლოა, გურჯები ოდესღაც იყვნენ აქ, მაგრამ თუ იყვნენ, დიდი ხნის წინ. ჩვენ თურქები ვართ და არა ქართველები.

როცა ვუთხარი, XX საუკუნის დასაწყისში აქ ჯერ კიდევ იცოდნენ ქართული, ასე ასხნა: ჩვენ ინტენსიური ურთიერთობა გვაქვს იმერხევთან, ბევრია იქედან აქეთ გამოთხოვილი (აქედან იქით – უფრო ნაკლებად თხოვდებიან) და ქართულიც იმათ იციან. ბაბუაჩემმა 80 წლის წინ იმერხეველი (უბელი) ქალი რომ მოიყვანა, მისგან ისწავლა ქართული.

ჯებრაილ ქაია სტამბოლში ცხოვრობს, მხოლოდ ზაფხულობით ჩამოდის მშობლიურ სოფელში (ესეც ტიპური შემთხვევაა აქაურობისათვის). საკმაოდ ნაკითხია და ბევრი რამ გაგება. ძნელი სათქმელია, მართლა ასეთი წარმოდგენა აქვს სანკოთელთა წარმომავლობაზე თუ სახელმწიფო იდეოლოგიის პროპაგანდისტია. შავშეთლებში ხომ დღეს ჩვეულებრივი მოვლენაა საკუთარი წარმომავლობის მიმართ ინდიფერენტული დამოკიდებულება და ფესვების მალვა.

არც სინკოთელებს აქეთ დიდი ინტერესი სიძველის მიმართ. ზემოხსენებულმა თანამოსაუბრემ, მაგალითად, იცოდა, რომ სანკოთის ძველი ეკლესია გურჯების აშენებული იყო. სამაგიეროდ საუბარში შემოსწრებულმა ამსოფელმა, რომელიც ერთ დროს ბორჩხის იმამად მუშაობდა (მთავარეპისკოპოსადო, – იხუმრა ჯებრაილმა), ისღა გვითხრა, – როგორც ჩანს აქ რაღაც სახელმწიფო დაწესებულება იყო. როცა ავუხსენით, ნაკლესიარიაო, არ შეგვწინააღმდეგებია.

ზოგიერთმა აქაურმა ტოპონიმი სინკოთი დაუკავშირა სიტყვას „კოლი“ („სინკოლი“), გვითხრეს, ეს ქართული სიტყვა წისქვილს უკავშირდება, ჩვენში ასე იციან, დასახელებიდან გამომდინარე, „წისქვილის სოფელია“ სინკოთიო.

ამდენად, შავშეთის იმ ნაწილში, სადაც XIX საუკუნის ბოლოს ჯერ კიდევ ახსოვდათ მშობლიური ენა, დღეს ქართული პრაქტიკულად დაკარგულია. გარელობაში, ჭუარებში, შავშეთში, წითურეთში, ახალდაბასა და სინკოთში თუ ქართული იცის ვინმემ, მხოლოდ იმიტომ, რომ დედა ან იქნებ ბებია ჰყავდა მექართულე შავშეთიდან. ნიშანდობლივია, რომ აქაურთა მექართულეობის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ ბუუტავს მთელ შავშეთში.

რაც შეეხება შავშეთის იმ ნაწილს, სადაც არც წინათ ახსოვდათ ქართული, ბუნებრივია, რომ ქართულის მცოდნეს აქ ვერ წააწყდები. შეიძლება გაიამბოს ვინმემ, ჩემმა წინაპარმა ქართული იცოდაო, მაგრამ დღეს ძნელია, დაადგინო, იმერხეველი დედის დამსახურება იყო ეს თუ ძველების ინერცია. არსებულ ვითარებას და ტენდენციას კარგად გამოხატავს 78 წლის ჩართულეთელი მოხუცის ეუბ ქაიას სიტყვები: „აქაურები ქართული მოდგმისანი არიან, მაგრამ გადაბრუნდენ, გათურქდნენ. ქართულ წარმომავლობას ზოგი აღიარებს, ზოგი – არა...”

მართლაც, ძველი გურჯობის შესახებ ხსოვნა შავშეთისწყლის როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენა სანაპიროს სოფლებში ჯერ კიდევ ბუუტავს. შესაძლოა, თავად უარყონ ქართული წარმომავლობა, მაგრამ წინათ აქ რომ ქართველები ცხოვრობდნენ, უმრავლესობამ იცის.

2009 წლის ექსპედიციის დროს, მას შემდეგ, როცა დავიარეთ შავშეთისწყლის მარცხენა სანაპიროს სოფლები (სოფორო, ჩართულეთი, ქვათეთრისი, ხანთუშეთი, ვერვხნალი, მოროხოზი, ზენდაბა, ზიარეთი, გურნათელი, ვანთა), ქალაქ შავშეთში ადგილობრივ ახალგაზრდებთან საუბარს შევეყვით. მათი პოზიცია დამახასიათებელია საერთოდ თურქეთის საქართველოსთვის, ამიტომ ამ დიალოგის ფრაგმენტებს მოვიყვან: კითხვაზე – რა ხალხი ცხოვრობს ამ სოფლებშიო, გვიპასუხეს, თურქები არიანო.

ერთ-ერთმა მათგანმა, სოფოროელმა დააზუსტა: მე, მაგალითად, თურქმანი ვარო და მეორის შენიშვნაზე: აქ თურქმანს რა უნდაო, უპასუხა:

– მე მსგავსი ისტორიები არ მაინტერესებს. მთავარი ისაა, რომ მუსლიმანი ვარ და თურქი ვარო.

თანამოსაუბრემ კვერი დაუკრა: რა თქმა უნდა, მთავარი ეგაა, მაგრამ წარმომავლობის ამბავი მაინც საინტერესოაო.

სახელმწიფო იდეოლოგია და ასევე საუკუნეთა განმავლობაში თაობათა ცვლის პროცესი გამორიცხავს სხვაგვარ დამოკიდებულებას. ტიპური გამონათქვამებია აქაურებისთვის:

„წინათ შესაძლოა გურჯები ცხოვრობდნენ, მაგრამ ახლა... არ ვიცით, ვინ ვართ.” ეს „არ ვიცით” უკვე ნიშნავს მესხიერების წიაღში მიყუჩული ქართველობის ქექვას. ესეცაა, ზოგჯერ ძველი ქართული ამბების მოკითხვა აღიზიანებს აქაურებს და აგრესიასაც გამოხატავენ. თუმცა ასეთი რამ მაინც იშვიათია. ძირითადად თბილად, სტუმართმოყვრულად გვხვდებოდნენ, სწორედ ჩვენი ქართველობის გამოც!

ქართული ენისადმი დამოკიდებულება მთელს შავშეთში (იმერხევის ჩათვლით) არაერთგვაროვანია. მეთურქულე შავშეთში „დამოკიდებულების” საკითხი საერთოდ არ დგას. ერთადერთი იმაზე შეიძლება ყურადღების გამახვილება, რომ ქართულის მცოდნე და ენადავიწყებულ გურჯებს შორის ერთგვარი ჯიბრია.

დავლათში გვითხრეს: შავშები, ვინც გურჯი არ იცის, ჩვენ „ფისს” გვიძახიან (ფისი უწოდდნენ ჩამოსხმულს, უგვანს ნიშნავსო, – აგვისხნეს), ჩვენ კიდევ მათ – გრძელნოხიანებს ვეძახით და ამით ვაბღეზებთო.

– ბურსას კიდევ, ვინც გურჯიჯა არ იცის, ან სხვა ტომისაა, კუდიანებს ვეძახითო.

„ვისაც ქართული დავიწყნია, გურჯს არ ვეტყვიო, გვითხრა აგარის ჯამის ხოჯამ (ჩიხისხეველმა) ვაჰიდ სეჩკინმა, იმიტომ, რომ გურჯიჯას არ ლაპარაკობენო; პაწასაც ვაბღეზებთ: ჩვენ რომ ვიცით, იმათ რატომ დეივიწყეს, – ვიტყვიო ერთმანეთში”.

დამახასიათებელია, რომ უფროსი და რამდენადმე საშუალო თაობის იმერხეველთა ურთიერთშორის სასაუბრო ენა, ოჯახშიც და ოჯახს მიღმა, როგორც წესი, ქართულია. თურქულს მხოლოდ მაშინ იყენებენ, როცა სხვა ეთნოსის წარმომადგენლებთან უხდებათ ურთიერთობა, ან კიდევ ოფიციალურ გარემოში იმყოფებიან.

„გურჯობის” განმსაზღვრელი თანამედროვე იმერხევეში (და საერთოდ, მთელ თურქეთის საქართველოში) ქართული ენაა. ადგილობრივთათვის გურჯი ის არის, ვინც ქართული ენა იცის. „ესკი (ძველად, წინათ) გურჯები ვიყავით” თუ გეტყვის ჩვენებური, ცხადია, იმას გულისხმობს, წინაპრები ქართველები იყვნენ, ჩვენ კი აღარ ვართ ქართველებიო. და იქვე მიგითითებს: ქართველები იმერხევეში ცხოვრობენო. ქართული ენის დავიწყება გურჯობაზე უარის თქმის ტოლფასია. შეიძლება ასეთი ფორმულირებაც გაიგონო: „მე გურჯი ვარ, ჩემი შვილი არ არის გურჯი”. იგულისხმება, რომ შვილმა ქართული ენა არ იცის. ასეთსაც გაიგონებ: „ჩვენი ღარჭები (ბავშვები) რომ გეიზრდებიან, გურჯები იქნებიან... სისხლი ექნებათ, ენა – არა.”

როგორც ვთქვით, მეთურქულე შავშეთში XIX საუკუნის ბოლოს უკვე ქართულად აღარ ლაპარაკობდნენ, მაგრამ მაშინ საკუთარი გურჯობის შესახებ კარგად უწყობდნენ.

დღეს კი ბევრი უარს ამბობს ქართულ წარმომავლობაზე, ზოგი შეგნებულად, ზოგიც – შეუგნებლად. თუმცა, უნდა ითქვას, რომ გურჯობა მათში მაინც თვლემს.

სამწუხაროდ, იმავე გზას ადგას იმერხევის ქართველობაც. იმერხევეში დღეს ის სურათია, რაც ალბათ მეთურქულე შავშეთსა თუ ართვინსზედა კლარჯეთში იყო XIX საუკუნის დასაწყისსა და შუა ხანებში.

უმცროსმა თაობამ აღარ იცის ქართული და ათეული წლების მერე იქ ასული კაცი იმასდა გაიგებს, „ესკი გურჯები ვიყავითო”, რამდენიმე თაობის შემდეგ კი ვაითუ ესეც გაქრეს.

იმერხევეში უფროსი თაობა განიცდის ქართული ენის კვდომის პროცესს. ცხადია, გულგრილობის ფაქტებსაც წააწყდები („ჯავრი მაქ, თუ დეივიწყენ...”), მაგრამ უფრო ხშირად გულსტიკივლით ყვებიან მიმდინარე პროცესზე, თუმცა, მისი შეჩერების ძალა აღარ შესწევთ.

უმცროს თაობაში ქართული ენის გაქრობის რამდენიმე მიზეზს ასახელებენ იმერხევეში:

სოფლები პრაქტიკულად დაცლილია. ზამთრობით თითებზე ჩამოსათვლელი ოჯახიღა რჩება. ამან სოფლის სკოლების დახურვა გამოიწვია. ბავშვებს შორს უწევთ სასწავლებლად სიარული. იქ, სადაც თურქულის გაგლენა მეტია. ამდენად, ისინი ბავშვობიდან მოწყვეტილი არიან ქართულენოვან გარემოს. წინათ თითქმის ყველა სოფელში იყო ხუთწლიანი სკოლა მაინც. იგივე ვაჰიდ სეჩკინი გვიყვებოდა: „უწინ სოფლებში მექთებები (სკოლები) იყო. ახლა აღარაა. ღარჭები დაცოტავდენ, წევდენ ისტამბულ, ბურსას, ამიტომ დაყაფანდა მექთებები. ვინც ღარჩა, ერთგან მოყარეს.”

თანამედროვე შავშეთში სულ რამდენიმე სკოლაა. მათი უმრავლესობა ქალაქ შავშათშია თავმოყრილი. აქ ორი რვაწლიანი სკოლაა და 4 სხვადასხვა ტიპის ლიცეუმი. ერთი

რვაწლიანი სკოლა ჯარათშია, შავშათის მიმდებარე სოფელში. დიობანში მხოლოდ ლიცეუმი.

აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავლის“ გიმნაზიის პერიოდის ფრაგმენტები გაგვახსენა ისტორიებმა, რომელთაც ხშირად მოისმენ შავშეთში საშუალო და უფროსი თაობის წარმომადგენელთაგან. ისინი ამბობენ, რომ სკოლაში ქართულად ლაპარაკს კატეგორიულად გვიშლიდნენო. ქართულად თუ იტყვი რამეს, – გვიყვება ერთი ბაზგირეთელი, სასჯელს ვერ აიცილებდი: ასეც ხდებოდა, შეშას გააპობდნენ, ნაპობში ენას ჩაგაყოფინებდნენ და დაგკიდებდნენ. პირველ თუ მეორე კლასში ვიქნებოდი, მეც დამკიდეს ენაზე ნაპობი. არადა, მაშინ თურქული არ ვიცოდი და მასწავლებელიც გურჯი იყო.

აქაურთა აზრით, ქართულის სიძულვილი როდი ამოძრავებდათ მასწავლებლებს. სახელმწიფო ენის გამართულად ფლობა თვითდამკვიდრების აუცილებელი პირობაა ნებისმიერ საზოგადოებაში. ქართულ ენაზე ლაპარაკის აკრძალვას პრაგმატული მიზანი ჰქონდა: პატარებს თურქული უნდა აეთვისებინათ სრულფასოვნად. მერე და მერე დაშლაც აღარ იყო საჭირო, პროცესი გაღრმავდა და ტენდენციამ ისე მოიკიდა ფეხი, გარედან ჩარევა აღარ სჭირდებოდა.

ენის დავიწყების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია თანამედროვე გარემო და ცივილიზაციის მონაპოვრები: სოფლის ოჯახებშიც თითქმის აღარ არსებობს იდილიური საღამოები, მშვიდი ხელსაქმე და ძველებური „ხებრები“, ზღაპრები და გაზღაპრებული ისტორიები წინაპართა შესახებ, ნადი და შაირები...

ეს ყველაფერი ტელევიზორმა თუ კომპიუტერმა ჩაანაცვლა. წინაპართა ენასთან ცოცხალი ურთიერთობისათვის ამათი გამოყენებაც შეიძლება, მაგრამ სურვილი აღარ არსებობს.

უფროსი თაობის გაღიზიანება ქართულის დაკარგვის გამო ერთი უსტამისელი დედაკაცის სიტყვებშიც გამოიხატა: „ქართულს არ ლაპარაკობენ იმიტომ, რომ არ კადრულობენო“, ასე გვითხრა და უფრო იმათ გულისხმობდა, ვინც მხოლოდ ზაფხულობით ჩამოდის ხოლმე სოფლებში. უნდა ითქვას, რომ ამგვარი განწყობა ლივანასა და მურღულშიც დავაფიქსირეთ. შესაძლებელია, დიდ ქალაქებში გადასახლებულთა შთამომავლებში ზოგჯერ მართლაც არსებობს ტენდენცია, ქართულ ენაზე ლაპარაკი ცუდ ტონად, იქნებ ჩამორჩენილობადაც ითვლება. თუმცა ეს ზოგიერთი ადგილობრივის აზრია, იმათი, ვინც ახალგაზრდების მიერ მამა-პაპათა ენის უარყოფას მტკივნეულად განიცდის. ჩვენი დაკვირვებებიდან გამომდინარე კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თუ ასეთი ტენდენცია არსებობს, იგი იშვიათია და მეტად მკრთალადაა გამოხატული.

იმერხევში დღესაც შეხვდებით დედაბრებს, ქართულის გარდა სხვა ენას რომ არ ფლობენ, მაგრამ ასეთი რამ იშვიათია. ძირითადად ყველამ იცის თურქული, რომელიც აღმატებულია, სახელმწიფო ენაა, ქართული კი შინაურ, საოჯახო ენად რჩება. ამ თვალსაზრისით შეიძლება კუროოსაც წააწყდე: მართალია, ჩაქველთელმა მუჰამედ უზუნმა კითხვაზე: გურჯიჯა უკეთ იცი თუ თურქულიო, – გურჯიჯაო, გადაჭრით გვიპასუხა, მაგრამ როცა, იქნებ ავაღლაპარაკოთო და ჩავეძიეთ, რატომაა, აქაურები „ჰემ თურქჩას ლაპარაკობთ, ჰემ გურჯიჯასო?“ მისმა ცოლმა, აქეთ გვკითხა გულწრფელი გაოცებით: ღარჭები (ბავშვები) თქვენც გეყოლებათ და რომ კითხულობენ (სწავლობენ), რა ენაზე კითხულობენო? აქაოდა ჩვენთან განათლების მისაღები ენა თურქულია და განა თქვენთან სხვაგვარადააო?

გურჯები თავიანთი ამჟამინდელი სამშობლოს, თურქეთის ერთგული მოქალაქეები არიან და თავიანთი რწმენის, ისლამის ჭეშმარიტი მორწმუნენი. ამით თავი მოაქეთ და ამასთან ბევრი მათგანისათვის ქართული წარმომავლობა სიამაყის საფუძველია. ერთმანეთის თანადგომაც შეუძლიათ და ბევრი დაწინაურებულა სახელმწიფოებრივ თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე. უკანასკნელ ხანებში ახალგაზრდებშიც იგრძნობა ინტერესის გაღვივება ფესვებისა და წინაპრების მიმართ და ზემოთ დახატული არასახარბიელო სურათის მიუხედავად, სწორედ ეს შეიძლება იქცეს საფუძვლად ოპტიმიზმისა, რომ ჩვენებურებში ქართველობის შეგნება და ქართული ენა არ ამოიძირკვება.

თავი III. შავშეთის მახიანური ხელის ძეგლები

სამხრეთ საქართველო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის განვითარების ისტორიაში. იგი კულტურის უძველესი კერაა, სადაც ეპიპალეოლითის და განსაკუთრებით კი ნეოლითის საფეხურიდან იწყება მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა. მომდევნო ეპოქებში ჭოროხის აუზში აღმოცენდა სწორედ გვიანბრინჯაო ადრერკინის ხანის (ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანები) ბრწყინვალე თვითმოფადი კოლხური კულტურა. აქვე დაირწა ქართული სახელმწიფოებრიობის აკვანი. ეს მხარე უაღრესად მდიდარია ბრინჯაოს მეტალურგიისათვის აუცილებელი მეტალებით, განსაკუთრებით სპილენძის საბადოებით. ამ მხრივ მარტო მურღულის სპილენძის საბადოების დასახელებაც საკმარისია. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტსაც, რომ რეგიონი უძველესი ეპოქებიდან წარმოადგენდა აზიური, ცოტა მოგვიანებით კი ევროპული ცივილიზაციების შეხვედრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს.

ასურული (თუქულთი ნინურთა II - 1248-1209 წწ; ტიკლათფილისერ I - 1115-1077 წწ; სალმანასარ III - 859-824 წწ) და ურარტული (მენუა 810-786 წწ; არგიშტი I - 786-765 წწ; სარდურ II 765-735 წწ) წყაროების მიხედვით, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაშივე ჭოროხის აუზში არსებობდა პირველი ქართული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები: **დაიაენი - დაიუნა** (ძვ.წ. XIII-IX სს) და **კოლხა** (ძვ.წ. XII-VIII სს). ადრეული საფეხურიდან შეინიშნება სამხრეთ საქართველოს მჭიდრო კონტაქტები წინა აზიურ-ახლო აღმოსავლურ თუ ეგეოსურ ცივილიზაციებთან, ძვ.წ. პირველი ათასწლეულის შუა ხანებიდან კი ანტიკურ სამყაროსთან. ეს ურთიერთობანი საგრძნობია რომაული და განსაკუთრებით ბიზანტიური ეპოქებისათვის. ადრეშუასაუკუნეებში ჭოროხის მაგისტრალური ხეობა თავის მრავალრიცხოვანი განშტოებებით წარმოადგენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლს, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს აკავშირებდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან.

შავშეთ-კლარჯეთის აღმავლობა განსაკუთრებით აშოტ I ბაგრატიონის მოღვაწეობის ეპოქიდან იწყება. არაბებთან დამარცხებული ქართლის ერისმთავარი თავისი ოჯახითა და მცირე ამალით სწორედ სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რეგიონში - შავშეთ-კლარჯეთში გადადის. ეს ტერიტორია უშუალოდ ბიზანტიას ესაზღვრებოდა და ისინი მასზე ოფიციალურად აცხადებდნენ პრეტენზიას. ბიზანტიის ხელისუფლებაც დაინტერესებული იყო არაბების წინააღმდეგ მებრძოლი ერისმთავრის გაძლიერებით და მას უმაღლესი საკარისკაცო ტიტული - კუროპალატობაც უბოძეს. აშოტის გონიერება იმაშიც გამოიხატება, რომ მან შესანიშნავად გამოიყენა ეს სიტუაცია და მთელი ძალები მოახმარა დიდი სამთავროს შექმნას. მის შემადგენლობაში დროთა განმავლობაში მოექცნენ: შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, ნიგალი, აჭარა, სპერი, სამცხე, ჯავახეთი და არტაანი. მან დიდი სამთავროს ცენტრად არტანუჯი აირჩია. აღადგინა არაბთა შემოსევებით განადგურებული ვახტანგ გორგასალისდროინდელი არტანუჯის ციხე, წმინდა მოციქულების - პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძარი ააშენა და იგი თავის საძვალედ და კარის ეკლესიად აქცია. ქალაქი, რომელიც სავაჭრო გზების შესაყარზე მდებარეობდა, მალე დაწინაურდა და სამხრეთ საქართველოს ძირითად ცენტრად იქცა. აშოტ პირველისა თუ სხვა ბაგრატიონების დროს, სამხრეთ საქართველოს ეკონომიკურ აღმავლობას თან მოჰყვა კულტურული დაწინაურებაც. სწორედ VIII საუკუნის დასასრულიდან, როგორც კლარჯეთში, ისე შავშეთში, განსაკუთრებით მძლავრად გაიშალა სამონასტრო მოძრაობა. ამ დროიდან ჩნდება და შენდება დიდი საეკლესიო-კულტურული ცენტრები. „ქვეყნის შეუვალობას“, ბუნებრივია, გამართული თავდაცვის სისტემაც სჭირდებოდა. როგორც მთლიანად ტაო-კლარჯეთში, ისე შავშეთშიც ციხე-სიმაგრეები შენდება. აქ არსებული საფორტიფიკაციო ნაგებობების ადგილმდებარეობიდან ჩანს, რომ შავშეთის (იმერხევი, სათლელი, ფიქალთა და სხვა) თითოეულ ხეობას თავისი გამაგრების სისტემა ჰქონდა. ისინი თავის მხრივ ჩართული იყვნენ მთლიანი ქვეყნის ერთიანი თავდაცვის სისტემის ქსელში. შავშეთის ციხეების დიდი ნაწილი (იფხრეული, დაბაწვრილი,


ციხისძირი, ხანთუშეთი, ქვათეთრისი და ა.შ.) აშენებულია არსიანის მთაგრეხილის ძირში, მთისა და ბარის გასაყარზე. ისინი იფხვერელიდან მოკიდებული არტანუჯის საზღვრამდე უზრუნველყოფდნენ მთის წინა ზოლსა თუ ბარში არსებული უზარმაზარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სივრცეების, მთისა და ბარის დამაკავშირებელი, და რაც მთავარია, არსიანის მთებზე არსებული უღელტეხილებით შავშეთსა და ნაწილობრივ არტანუჯში შემომავალი გზების გაკონტროლებას. მოკლედ რომ ვთქვათ, შავშეთის ქვეყნის მთისწინა ზოლი, ზურგი „ქვეყნის“-ა, მთელ სიგრძეზე საგულდაგულოდაა გამაგრებულ-დაცული. რაც შეეხება „ქვეყნის“ შესასვლელს, მის გაკონტროლებას უსტამისის ციხესთან ერთად უზრუნველყოფდა სათლელის ციხე. ეს უკანასკნელი სწორედ იქაა აშენებული (მერისა და სათლელისწყლის ხერთვისი), სადაც თავს იყრის ქვეყნის მეზობელ მხარეებთან თუ გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი გზები.

შავშეთის ქვეყნის საეკლესიო ნაგებობებზე (განსაკუთრებით ტბეთი, ამ ბოლო ხანს სინკოთი, სათლელი) შექმნილია საკმაოდ საინტერესო სამეცნიერო გამოკვლევები (ვრცლად იხ. დ.ხოშტარია 2005, იხ. იქვე ლიტერატურა). თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა (ჯ.სამუშია 2008, იხ. იქვე ლიტერატურა), ამას ვერ ვიტყვით საფორტიფიკაციო ნაგებობებზე, რომლებიც ელოდებიან მკვლევარს.

§1. შავშეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი

1.1. სათლელის ციხე

სათლელის ციხე აგებულია მერისა და სათლელისწყლების ხერთვისში. იგი თანამედროვე შავშეთის ცენტრიდან 1 კმ-თაა დაშორებული. სათლელისწყალი არსიანის მთების ძირიდან იღებს სათავეს და ციხიდან 4 კილომეტრის დინების შემდეგ უერთდება მდ. იმერხევს. საკუთრივ ციხე დაშენებულია მერისა და შავშეთის წყალგამყოფი ქედის ბოლო მონაკვეთში, კლდოვან ბორცვზე (ტაბ I, 6; II, 1). ბორცვი აღმოსავლეთით ქედისაგან საკმაოდ ვიწრო ყელითაა გამოყოფილი. მისი დანარჩენი სამი მხარე (სამხრეთი, დასავლეთი და ჩრდილოეთი) საკმაოდ მკვეთრად დახრილი კლდოვანი ფერდობებით სათლელის თუ მერის წყლების სანაპირო ზოლამდე ეშვება. ციხის გეგმას აქაც ძირითადად კლდოვანი რელიეფი განსაზღვრავს. მთელი ანსამბლი შერწყმულია კლდესთან. მისი შიდა ფართობი დაახლოებით 3 000 კვმ შეადგენს. ციხე საკმაოდ დაზიანებულია. გალაგნის კედლებსა თუ ციხის შიდა ტერიტორიაზე შეინიშნება მისი შეკეთებისა თუ აღდგენის კვალი. ციხის გაბატონებულ ელემენტს წარმოადგენს დასავლეთის კოშკი. იგი ციხის უკიდურეს დასავლეთ მონაკვეთშია აშენებული. მისთვის ბორცვის ყველაზე შემადლებული კლდოვანი კონცხი შეურჩევიათ. კოშკის კედლები, კლდის ფრიალო შევრილებზე ისეა დაშენებული, რომ თვით კოშკი ფუძე-კედლის გაგრძელებას წარმოადგენს. კლოდოვანი ბორცვის აღმოსავლეთი მონაკვეთი რამდენადმე სუსტადაა დაცული. ციხის მშენებლებს იგი საგულდაგულოდ გაუმაგრებიათ დამცავი კედლით, რითაც კოშკი მიუვალი ხდებოდა. კოშკის სიმაღლე 19 მ-ია. იგი ექვსსართულიანია. კოშკის შიდა, ანუ ციხის ნაწილი, ნახევარწრიული მოყვანილობისაა, ხოლო გარე მხარე-დაკუთხულია. კოშკის შიდა სივრცეში 2009 წელს წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გაშენდილი იქნა 6 მეტრი სიმაღლის ნაყარი ფენა. კოშკში დიდძალ არქეოლოგიურ მასალასთან ერთად 2 თონეც აღმოჩნდა. ისინი საკმაოდ კარგადაა დაცული. ორივე მათგანი დახშული ტიპის თონეებია. კოშკთან ახლოს სამხრეთ-აღმოსავლეთით დასტურდება კარიბჭე. იგი ჯერ-ჯერობით ერთადერთი შესასვლელია ციხეში. მას ზემოთ აღწერილი კოშკი აკონტროლებდა. შესასვლელს დამატებით იცავს გალაგნის კედლის პარალელურად ამოყვანილი დამცავი კედელი, რომელიც კოშკთან მიახლოებისას ქმნის საკმაოდ ვიწრო შესასვლელს. გალაგნის კედელსა და დამცავ კედელს შორის მთელ სიგრძეზე შესასვლელი და კედლებს შორისი სივრცე იმდენად ვიწროა, რომ ერთდროულად რამდენიმე კაცი თუ მოახერხებდა შიგ შეღწევას. საკუთრივ კარის ზომებსა და ფორმაზე წარმოდგენის შექმნა არ ხერხდება.



ოსმან ათეჟინის მიხედვით

გალაგნის კედელი სამხრეთ-აღმოსავლეთით მეორე კოშკამდე უსწორმასწორო მოყვანილობისაა. შემორჩენილი ნაშთებისა და მოგვიანებით დაშენებული კედლების მიხედვით ჩანს, რომ იგი თავის დროზე გაცილებით მაღალი უნდა ყოფილიყო. ციხის ამ მონაკვეთში შემორჩენილი კედლის მაქსიმალური სიმაღლე 8-10 მ-ს აღწევს. ციხის მეორე კოშკი სამხრეთ-აღმოსავლეთით კედლის შუა ნაწილშია ჩაშენებული. იგი გალაგნის კედლისაგან გარეთაა გაზიდული, კარგად იკითხება კოშკის გარე ფასადი. რაც შეეხება მის შიდა ნაწილს, იგი თითქმის საძირკვლის დონემდეა მორღვეული და მიწის საკმაოდ სქელი ფენითაა დაფარული. კოშკი ნახევარწრიული ფორმისაა. როგორც გარე შემორჩენილი ნაშთებიდან ჩანს, მისი მაქსიმალური სიმაღლე 15 მ-ს აღწევდა. ციხის ამ მონაკვეთიდან გალაგნის კედელი კლდოვანი რელიეფის შესაბამისად აღმოსავლეთისაკენ უხვევს. მის შუა მონაკვეთში ჩასმულია, დაახლოებით 17 მ სიმაღლის სწორკუთხა კოშკი (ტაბ. I, 4,5,7). იგი ციხის კედლის გარე მასებს ოდნავ (1,5მ) სცილდება და გალაგნის კედლის სიმაღლეს 6 მ-თაა აცილებული. კოშკი ოთხსართულიანი მაინც უნდა ყოფილიყო. დასავლეთის კოშკის ანალოგიურად, როგორც ჩანს, ამ კოშკის ძირითადი ფუნქცია ციხის შიდა ტერიტორიის კონტროლი უნდა ყოფილიყო. კოშკზე შემონახულია თაღოვანი გადახურვის ნაწილი. 2010 წელს არქეოლოგიური სამუშაოები სწორედ ამ მონაკვეთში მიმდინარეობდა. გათხრებმა დაადასტურა, რომ ამ კოშკის ციხისაკენ მიმართული თავდაპირველი კედლები საძირკვლის დონემდეა მორღვეული. კარგად ჩანს, რომ თავდაპირველი კედლების ნაშთების შიგნით ხელახლა ამოუშენებიათ ახალი კედლები (ტაბ. I, 4,5). ჟამთა სიავეს ისინიც დაუნგრევია. მხოლოდ ნაწილობრივია შემორჩენილი. ჩანს, რომ თავდაპირველ და მეორე საამშენებლო დონის კედლების საძირკვლებს შორის ძვეს საკმაოდ მძლავრი სტერილური ფენაც. უფრო მეტიც, აღდგენილი კოშკის ჩრდილოეთი კედლის საძირკვლებიც ადრეული ეპოქის კულტურულ ფენაში დაფიქსირებულ ქვევრებზე ზემოდანაა დაშენებული (ტაბ. I 3,5,8). გათხრებმა დაადას-

ტურა, რომ კოშკის პირველი სართული სამეურნეო დანიშნულებისათვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული. მის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში აღმოჩნდა დიდი ზომის ქვევრი, რომელიც მიწაში იყო ჩასმული (ტაბ. III, 8,9). მისი გარე ზედაპირი ბრტყელი ზომის ქვევრით და კირდულაბის ნარევის საკმაოდ თხელი ფენითაა დაფარული. იგი, აშკარად ჩანს, წყლისთვის განკუთვნილი ჭურჭელი იყო.

ამ კოშკიდან 4 მეტრის დაცილებით, გალაგნის კედელს შიგა მხრიდან ედგმის 19 მეტრი სიმაღლის საკმაოდ მოზრდილი ფორმის კოშკი (ტაბ. I, 3,4). იგი ციხის კედლის გარე მასებს არ სცილდება და გალაგნის კედლის სიმაღლეს 5 მ-თაა აცილებული. ჯერჯერობით დაუდგენელია, თუ რამდენ სართულიანი უნდა ყოფილიყო იგი. არაა გამორიცხული, ესეც ექვსსართულიანი მაინც ყოფილიყო. ეს კოშკიც, პირველი კოშკის მსგავსად, შედარებით კარგადაა შემონახული. როგორც ჩანს, ამ კოშკის ძირითადი ფუნქციაც ციხის შიდა ტერიტორიის კონტროლი იყო. არაა გამორიცხული, მისი ქვედა სართული ყაზარმად ყოფილიყო გამოყენებული. გალაგნის სამხრეთი კედელი შიდა მხრიდან საკმაოდ მძლავრი კონტრფორსებითაც იყო გამაგრებული (ტაბ. I, 2).

კოშკის შემდეგ, გალაგნის კედელი აღმოსავლეთით ოდნავ გარეთ იწევეს და ქმნის, რელიეფის შესაბამისად, ნახევარწრისებურ მორკალებას. კედლები თანდათანობით სიმაღლეში კლებულობს. მათი ძირითადი ნაწილი მორღვეულია. მიუხედავად ამისა, აღმოსავლეთი კედელი, თითქმის მთელ სიგრძეზე, ინარჩუნებს სწორხაზოვან მოყვანილობას და ჩრდილოეთის კედელთან მიახლოებისას საკმაოდ მკვეთრად იხრება შიგნით. რაც შეეხება ციხის ჩრდილოეთ კედელს, იგი ცუდადაა შემონახული. ის საძირკლის დონემდეა მორღვეული. აქა იქ შემორჩენილი ნაშთების მიხედვით მაინც შესაძლებელი ხდება მის ფორმაზე წარმოდგენის შექმნა. იგი, როგორც ჩანს, ემორჩილება კლდოვანი რელიეფის კონფიგურაციას და არასწორხაზოვნად უერთდება დასავლეთით პირველ კოშკს.

გალაგნის კედლების სისქე ციხის სხვადასხვა ნაწილში არაერთგვაროვანია. დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლები 2 მეტრი სისქისაა, ხოლო აღმოსავლეთისა – ზოგიერთ ადგილას 3 მეტრსაც აღემატება. კედლების წყობა ძირითადად რეგულარულია. იგი გრანიტისა და ბაზალტის საშუალო ზომის (40X40, 30X30 სმ და ა.შ.) კვადრებით თუ უხეშად დამუშავებული ქვებითაა ნაგები. გვხდება რიყის ქვების გამოყენების შემთხვევებიც. მათ შემაკავშირებლად თეთრი ფერის კირხსნარია ნახმარი.

ციხის ტერიტორიაზე 2009 წელს დაიწყო არქეოლოგიური გათხრები. ეს ჯერჯერობით ერთადერთი ძეგლია მთელი ტაო-კლარჯეთის ქართულ ძეგლებს შორის, რომლის არქეოლოგიური შესწავლაც ხდება. სამუშაოებს ხელმძღვანელობს პროფესორი ოსმან აითექინი. გათხრები ძეგლზე 2010 წლის ზაფხულშიც გაგრძელდა. ექსპედიციას უწევს საკმაოდ შრომატევადი სამუშაოების შესრულება. საქმე იმაშია, რომ როგორც კოშკების, ისე ციხის შიდა ტერიტორიაზე საკმაოდ მძლავრი ნაყარია დანგრეული შენობა-ნაგებობებისა თუ მიწისა. 2009 წლის ზაფხულში მარტო პირველი კოშკიდან გაიტანეს 6 მეტრი სიმაღლის ქვალორდისა და მიწის ფენა. 2010 წლის ოქტომბერში, ამ ტერიტორიის დათვალიერებით ნათელი გახდა, რომ არანაკლები სისქის ნაყარი იყო ციხის შიდა ტერიტორიაზეც. ორი წლის მანძილზე გათხრები ძირითადად წარმოებდა № 1,3,4 კოშკებისა და ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიებზე. № 4 კოშკში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე 2010 წელს წარმოებული გათხრების მიხედვით ჩანს, რომ აქ საქმე გვაქვს ორ საამშენებლო პერიოდთან. ეს განსაკუთრებით კარგად იკვეთება № 3 კოშკის შიდა ტერიტორიასა და მის წინა მონაკვეთში. როგორც ზემოთაც აღინიშნა, მესამე კოშკის შიდა ძირითადი ნაწილის თავდაპირველი კედლები სამხრეთ საძირკვლების დონემდეა მორღვეული. დაცულია მხოლოდ ციხის შიდა ტერიტორიისაკენ მიმართული გვერდითი კედლების მცირე ნაწილი. ამ მონაკვეთის გათხრების შემდეგ დადასტურდა, რომ ძველი, დანგრეული კედლების ნაცვლად მოგვიანებით ახალი კედლები ამოუშენებიათ. ისინი კოშკის ძველი კედლების მონგრეულ ნაწილზე კი არაა მიშენებული, არამედ მათგან შიგნითაა შეწყული ისე, რომ ძველი კედლების ნაშთები თავდაპირველ მდგომარეობაში დაუტოვებიათ (ტაბ. I, 3,4). კოშკის ძველი, დანგრეული და ახლად ამოშენებული კედლების საძირკვლებს შორის დევს საკმაოდ სქელი სტერილური შრე. უფრო მეტიც, კოშკის ახლადამოყვანილი ჩრდილოეთი კედლის საძირკვლებიც უშუალოდ

ძველი მარნის ქვევრების ნაწილზეა დაშენებული (ტაბ. I, 3,5,8; ტაბ. II, 3,4). მეორე საამშენებლო დონისა ჩანს კოშკის ჩრდილოეთით მდებარე ახლად აღმოჩენილი ნაგებობის ნაშთებიც. ეს ნაგებობა (5,70X6,50 მ) არცთუ ისე დიდი ზომისაა. მისი შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 1,70 მ-ს აღწევს. სისქე კი-70-80 სმ-ია. კედლების შიგნით იატაკის დონეზე სამხრეთ (აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთით) მთელ სიგრძეზე დატანილი აქვს პატარა ზომის სტანდარტული თახჩების სამ-სამი რიგი. მათი ნაწილი მოშლილია (ტაბ. I, 10). საყურადღებოა ისიც, რომ აღმოსავლეთი კედლის უკიდურეს ჩრდილოეთ და დასავლეთი კედლის, ასევე უკიდურეს სამხრეთ ნაწილში თაროების დონეზე, კედლებში ჩასმულია მცირე ზომის ქვევრები თუ დერგები. მათი დიდი ნაწილი დაზიანებულია. აქაც შესანიშნავად ჩანს, რომ ამ ნაგებობის სამხრეთი კედლის საძირკველი უშუალოდ ადრე არსებული მარნის ქვევრებზეა დაშენებული (ტაბ. I, 8; ტაბ. III, 3,4). არაა გამორიცხული, ეს ნაგებობა თავის დროზე აფთიაქი ყოფილიყო, ხოლო თაროების დასაწყისში, კედლებში ჩასმული პატარა მოცულობის ქვევრები თუ დერგები კი – სამკურნალო სითხეებისათვის განკუთვნილი ჭურჭლები. 2010 წელს თურქ არქეოლოგებს სამუშაოები გაუფართოებიათ ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთითაც. იგი ჯერჯერობით არაა დასრულებული. აქაც მხოლოდ შეინიშნება როგორც ციხის მშენებლობის თანადროული, ისე მოგვიანო პერიოდის არქიტექტურულ ნაგებობათა ნაშთები. მათ გეგმასა და დანიშნულებაზე სამუშაოების დამთავრებაზე საუბარი შეუძლებელია.

ძველის ბოლო პერიოდის გათხრების შედეგად აღმოჩენილ მასალათაგან ყურადღებას იქცევს მარანი (ტაბ. III, 3,4). იგი განთავსებულია ციხის თანადროულ ფენაში. ქვევრების ნაწილზე, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მოგვიანო პერიოდის ნაგებობათა საძირკვლებია დაშენებული. განათხარში ჩანს მხოლოდ ქვევრების მცირე ნაწილი. აქ ჯერჯერობით სულ 5 ქვევრია ფიქსირებული. არაა გამორიცხული მეტიც იყოს. ისინი ერთიმეორის გვერდითაა მიწაში ჩასმული. ყველა მათგანი დაზიანებულია. დაცულია მხოლოდ მათი ძირის, ტანისა და ყელის ნაწილი. ქვევრები სხვადასხვა ზომისაა. მათ მუცლის არეში გარს უვლის დაძველებილი პორიზონტალური ქვები. ქვევრის ნატეხები ბლომდაა ჩაყრილი ახლად აღმოჩენილი, „დაწუნებული“ მასალებისათვის განკუთვნილ ორმოში (ტაბ. II, 13). მათზე დაკვირვებით ჩანს, რომ ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქვევრები მრავალრიცხოვნებითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. დასტურდება, რომ აქ მოპოვებულ ქვევრებს ჰქონიათ საკმაოდ მასიური შესქელებული, ბრტყელი ქობა. ფართო ყელი, არცთუ ისე მაღალი ტანი და მასიური ძირი. გადანაყარ ქვევრებში შეიძლება გამოიყოს სადა ზედაპირიანი და რელიეფური წიბოებით შემკული ქვევრები. ფართოდაა გამოყენებული სხვადასხვა სახის ორნამენტი, რომლებითაც ძირითადად ქვევრების ყელი და მხარეა შემკული. ორნამენტებს შორის ხშირად გვხვდება: მიჯრით განლაგებული წრიული ნატეხები, ხშირი ნატეხებით შემკული რელიეფური წიბოები, მეჩხერი, მძიმისებური ნატეხები და ა.შ. მათი კეცი ღია მოყვითალო ან მოყავისფროა. გამოწვის ხარისხი დამაკმაყოფილებელი. ნატეხების სიმრავლის მიხედვით, დასტურდება, რომ ციხის შიგა ტერიტორიაზე საკმაოდ მრავლად უნდა ყოფილიყო ჩაფლული წყლისთვის თუ ღვინისთვის განკუთვნილი ქვევრები.

მარანთან ახლოს, სამხრეთ-დასავლეთით აღმოჩნდა თონეც (ტაბ. I, 8). მისი ნაწილიც სამედიცინო დანიშნულების ნაგებობის საძირკვლის ქვეშაა მოქცეული. იგი საშუალო ზომის დახშული ტიპის თონეა. ზედა ნაწილი მორღვეულია. აქვს არც თუ ისე სქელი კედელი, რომელსაც გარს აკრავს საშუალო ზომის ქვების, მიწისა თუ დუღაბის საკმაოდ სქელი ფენა. 2010 წელს თურქი არქეოლოგების მიერ კიდევ ერთი თონე იქნა აღმოჩენილი ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში (ტაბ. I, 9). იგი შედარებით დიდი ზომისაა. მონგრეული აქვს ზედა ნაწილი. აქაც თონის კედლებს გარს აკრავს ქვების, მიწისა თუ დუღაბის ნარევის საკმაოდ სქელი ფენა. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ორი თონე აღმოჩნდა №1 კოშკის შიდა ტერიტორიაზეც. ყველა მათგანი დახშული ტიპის თონეა, რაც იმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ ციხის შემოგარენი ტყით მდიდარი ტერიტორია იყო. სასულიანი თონეები ისეთ რაიონებში ჩანს გავრცელებული, სადაც ტყე ნაკლებია და საწვავ მასალად „წივაა“ გამოყენებული (დ.ხახუტაიშვილი 1965:25). როგორც აკადემიკოსი გ.ჩიტაია აღნიშნავდა, თონეს გამოყენებასთან დაკავშირებულია თავისებური ფორმის პურის გამოცხობა: გომიჯი, შოთი, ლავაში და სხვა (გ.ჩიტაია 1951:380). ასევე თონე გარკვეული პურის ჯიშებს ახლდა და

გარკვეული ზოლის მეურნეობისათვის იყო დამახასიათებელი (ბარი და ზეგანი, დოლის პური, თავთუხი, კევრით ლეწვა და სხვა) (გ.ჩიტაია 1951:376, 380). თონეში პურის ცხოხაც, ამავე დროს, წმინდა საქმედ ითვლებოდა.

მსგავსი თონეები ფართოდ ჩანს გავრცელებული საქართველოს სხვა რეგიონებშიც, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოში (ვ.ჯაფარიძე, ვ. ართილაყვა 1971:64; გ. ჯაფარიძე 1971:76-77; ლ. მუსხელიშვილი 1954:403-413; გ. ლომთათიძე 1988:17-19; 1968:8). დასავლეთ საქართველოში ჯერ-ჯერობით ისინი აჭარისწყლის ხეობის განვითარებული შუასაუკუნეების ძეგლებზე იქნა ფიქსირებული (იხ. შ. მამულაძე 1993:62-63).

სათლელის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალაში საკმაოდ დიდი რაოდენობითაა მოპოვებული თიხის კეცებიც (ტაბ. II, 2,4,6). მათი ძირების მიხედვით შესაძლებელი ხდება ორი ჯგუფის გამოყოფა: პირველი ჯგუფის კეცებს –ძირებზე აქვთ მორჩისებური გამონახარდები, მეორე ჯგუფისა კი სადაა, ისინი სხვადასხვა ზომისაა. მათ აქვთ დაბალი, ოდნავ გადაშლილი გვერდი, მომრგვალებული პირბაკო და ბრტყელი ძირი. ორივე ჯგუფის კეცები დღემდე შემონახულია აქაური მკვიდრი მოსახლეობის ეთნოგრაფიულ ყოფაში. დამზადების ტექნოლოგიისა და ფორმების განვითარების თვალსაზრისით მათში რაიმე ცვლილებები დღემდე არ შეინიშნება.

სათლელის ციხის შიდა ტერიტორიაზე ორმოებში ჩანაყარ დამტვრეულ მასალებში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი სამზარეულო ჭურჭელი. პირველ რიგში აღსანიშნავია ქოთნები (ტაბ. II, 2,5,7,13). მათ ახასიათებთ მოშავო-მონაცრისფრო კეცი და ძლიერ გამჭლე-ვებული თიხა. მასალები ფრაგმენტულია, მაგრამ პირის, მხრის, ტანისა და ძირების მიხედ-ვით მათ ფორმებზე მიახლოებითი წარმოდგენის შექმნა მაინც შეიძლება. გამოიყოფა მორ-ჩისებურყურიანი ქოთნები. მორჩისებური ყურები მეტწილად დაძერწილია ჭურჭლის ყელზე, ზოგჯერ პირთან ახლოს. ამ ტიპის ქოთნების დიდ ნაწილს პირ-ბაკო გადაშლილი აქვთ, ნაწილს კიდევ სწორი. საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება ყურიანი ქოთნებიც. მათ ძირი-თადად ახასიათებთ პირზე და მხარზე, ან პირის სიახლოვეს მიძერწილი მრგვალი თუ ოვალურგანივკვეთიანი ყური. ცალკეული ნატეხებით ჩანს, რომ მათ ჰქონიათ საკმაოდ ფარ-თე პირი, არცთუ ისე მაღალი ყელი, ოდნავ მომრგვალებული ტანი და ბრტყელი მასიური ძირი. გადანაყარ მასალაში გვხვდება უყურო ქოთნების ნატეხებიც. მათი ნაწილის პირი სწორი და სადაა, ნაწილის პირქობა-გადაშლილია. აქვს დაბალი ყელი და ფართო დაქანებუ-ლი მხრები, მომრგვალებული ტანი და ბრტყელი ძირი. ამ ტიპის ჭურჭლის უმეტესობა მორგვზეა ნაკეთები, მცირე ნაწილი კი ხელითაა ნაძერწი; ბევრი მათგანი ბრტყელძირიანია, თუმცა შეინიშნება ქუსლის გამოყოფის ტენდენცია.

გადანაყარ მასალებში დიდი რაოდენობით გვხვდება დოქებიც. ნატეხების მიხედვით ჩანს, რომ მათში წარმოდგენილია როგორც ტუჩიანი (ნისკარტიანი), ისე მომრგვალებული პირის მქონე ნიმუშები. ზოგიერთი მათგანი შედარებით მოზრდილი ზომის, ხოლო ზოგიერთი კი - მცირე ზომის თხელკედლიანი ჭურჭლებია. ჩანს, რომ აქ აღმოჩენილ დოქებს ჰქონია შემადლებული ყელი, მომრგვალებული ან ოდნავ წაგრძელებული ტანი, ბრტყელი ძირი და ყური, რომელიც უპირატესად ჭურჭლის ყელსა და მხარზეა დაძერწილი. ამ რიგის მასალებში ჭარბობს ყურის ნატეხები, რომელთა უმეტესობა მასიური და ბრტყელგანი-ვკვეთიანია, არის ოვალურ და ოთხკუთხაგანივკვეთიანი ყურებიც. ზოგიერთი ყურის ბოლოზე ღრმა ჭდეებია გაკეთებული, ზოგიერთზე კი – თითის ანაბეჭდებია დატანილი. გადანაყარ მა-სალაში გვხვდება წერნაქით მოხატული დოქების ყელის, მხრის, ტანისა და ყურის ნატეხებიც, რომლებიც იმდენად ფრაგმენტულია, რომ დეკორის შინაარსის გარკვევა ჭირს. ეს წესი უძველესი ეპოქებიდან ფართოდ ჩანს გავრცელებული ამიერკავკასიაში, განსაკუთ-რებით კი შუასაუკუნეებში (ვ. ჯაფარიძე 1956:19-20; თ. არჩვაძე 1974:174-188; შ. მამულაძე 1993:67-68). სათლელის ციხეზე აღმოჩენილ ზემოთ აღწერილ მასალებს (ქოთნები, ქვევრები, კეცები, დოქები და სხვა) დიდძალი პარალელები მოეპოვება განვითარებული შუასაუკუ-ნეების ხანის საქართველოს ნაქალაქარებსა თუ ნამოსახლარებზე აღმოჩენილ მასალებში და თარიღდება XI-XIII საუკუნეებით.

სათლელის ციხის გადანაყარ მასალებში დადასტურებულია სასმისები, განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა ჯამები და ა.შ. სასმისები იმდენად ფრაგმენტულია, რომ მათ ფორმებზე წარმოდგენის შექმნა შეუძლებელია. რაც შეეხება ჯამებს (ტაბ. II, 2,3,5,7,13; ტაბ. III, 6,7),

ისინი შედარებით სრულყოფილი სახითაა შემონახული და შესაძლებელი ხდება მათში რამდენიმე ვარიანტის გამოყოფაც კი, კერძოდ:

ა) ჯამები, რომლებიც შედარებით დაბალია, აქვთ დამრეცი კალთები, შიგნით ჩაზნექილი პირი და ქვემოდან შეღრმავებული მკვეთრად გამოყოფილი ქუსლი.

ბ) ჯამები, რომლებსაც აქვთ ბრტყელი ან მომრგვალებული ბაკო, აკეცილი ვერტიკალური გვერდი, დამრეცი კალთა და მკვეთრად გამოყოფილი შიგნით შეზნექილი ქუსლი. ამ ტიპის ჯამების ნაწილს პირის ქვემოთ აკეცილ გვერდზე შემოუყვება წრიული ღარები.

გ) პირმოყრილი ღრმა ჯამები, რომელთაც აქვთ თანაბრად მომრგვალებული შიგნით გადახრილი პირგვერდი, დამრეცი კალთები და მკვეთრად გამოყოფილი შიგნით შეზნექილი ქუსლი.

დ) ცალკე შეიძლება გამოიყოს ბრტყელძირა ქუსლიანი ჯამები. პირი შიგნითაა ჩაკეცილი, ნაწილს კი – აქვს სწორი პირი.

ე) გვხვდება ჯამები, რომელთათვისაც დამახასიათებელია თხელი დამრეცი, ოდნავ პროფილირებული კალთა, მკვეთრად გამოყოფილი შიგნით შეღრმავებული ქუსლი.

შედარებით სრულყოფილ ჯამებსა თუ სხვა მასალებზე, რომლებიც გადატანილია თურქეთის რესპუბლიკის ნივთსაცავებსა თუ მუზეუმებში, ბუნებრივია, ჩვენ ხელი არ მიგვიწვდება.

ჯამების თიხა ძირითადად მოყავისფროა, არის ლეგა-ნაცრისფერიც. გვხვდება ღია მოვარდისფროც. მათ დიდ ნაწილს ემჩნევა ცეცხლში მოხვედრის კვალი.

ზემოთ განხილულ ჯამებს მოეპოვებათ არაერთი ანალოგი საქართველოს თითქმის ყველა თანადროული ძეგლიდან. ისინი ძირითადად შეიძლება XI-XIII საუკუნეებით დათარიღდეს. თუმცა გვხვდება მოგვიანო პერიოდის ნიმუშებიც.

2009 წელს სათლელის ციხეზე ყოფნის დროს შესაძლებლობა მოგვეცა გვენახა ერთფრად თუ მრავალფრად მოჭიქული ჭურჭლის ნიმუშებიც. მათში აბსოლუტური უმრავლესობა ჯამებია (არის თითო ოროლა მოზრდილი ჭურჭლის ფრაგმენტებიც). აქ აღმოჩენილი მოჭიქული ჯამებისათვის დამახასიათებელია სუფთად განღეჭილი, მოყვითალო ან მოვარდისფრო კეცი. ფორმით თითქმის ერთნაირია – ღრმა, სწორი, ზოგჯერ გარეთ გადაკეცილი ან კიდევ შიგნით ჩაკეცილი პირი. აქვთ გამოყვანილი, არცთუ ისე მაღალი ქუსლი და შიგნით შეწეული ძირი. ჯამები უფრო მეტად საშუალო და მცირე ზომისაა. აღმოჩენილ მასალებში მცირე რაოდენობით გვხვდება ერთფრად (მწვანედ და ყვითლად) მოჭიქული კერამიკა. მათში სჭარბობს მწვანედ მოჭიქული ნიმუშები, რომელთა ანგობით დაფარული შიდა ზედაპირი მოჭიქულია ღია მწვანე ფერის ჭიქურით. როგორც ჩანს, აქაური მეთუნეები, აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსად, ყვითელ ფერს, მხოლოდ როგორც დამხმარეს, იყენებდნენ მწვანე და თეთრ ფერთან ერთად. ამ ტიპის კერამიკა მრავლადაა აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ძეგლებზე და ისინი ძირითადად XI-XII საუკუნეებით თარიღდებიან (მ. მიწიშვილი 1969:23-28; მ. მიწიშვილი 1979:29-30; ვ. ჯაფარიძე 1956:24-28; ზ. მაისურაძე 1953:27-37). სათლელის ციხეზე მოპოვებული ერთფრად მოჭიქული კერამიკაც ექცევა საერთოკავკასიურ, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ქართული მოჭიქული კერამიკის წარმოების ტრადიციების ზოგად სფეროში და ისინიც ამავე პერიოდით უნდა დათარიღდეს.

სათლელის ციხის ტერიტორიაზე მოპოვებულ მასალებში შედარებით დიდი რაოდენობით გვხვდება მრავალფრად მოჭიქული კერამიკა (ტაბ. II, 8-12). შესაძლებლობა მოგვეცა მხოლოდ რამოდენიმე ნატეხის გადაღებისა. ისინი უმთავრესად პირის, ტანისა თუ ძირის ნაწილებითაა წარმოდგენილი. მათზე დაკვირვებით ჩანს, რომ ჯამების ზოგიერთი ნაწილის თეთრი ანგობით დაფარულ შიგა ზედაპირზე ცალმაგი, უფრო მეტად კი ორმაგი ხაზებით ამოკაწრულია რომბები თუ ოვალები. ისინი, როგორც ჩანს, ენაცვლებიან ერთმანეთს და ხშირად მოიცავენ ჯამის მთლიან ზედაპირს. გვხვდება ზოგიერთი ნიმუში, როცა ჯამის შიგა პირის ნაწილი როგორც ტანისაგან, ისე ქობისაგან გამოყოფილია ამოკაწრვით შესრულებული წრიული ორმაგი ზოლით და მათი შუა სივრცე დაფარულია ასევე ნაკაწრი ოვალებით, ხოლო ტანი – სპირალური ხეივებითა თუ წრეებით. მათი შიგა ზედაპირი თუ ორნამენტული მოტივების გამმიჯნავი ზოლი შევსებულია მწვანე, ყვითელი და ყავისფერი საღებავით. გამოყენებულია ანგობის თეთრი ფერიც, რის გამოც ჯამი პოლიქრომიული ხდება და დაფარულია გამჭვირვალე ჭიქურით.

ზოგიერთი მათგანის ძირზე დატანილია მხოლოდ სპირალური ხეები და მათი შიდა თუ სპირალების გამმიჯნავი სივრცე შევსილია ასევე მწვანე, ყვითელი თუ ყავისფერი საღებავებით და დაფარულია გამჭვირვალე ჭიქურით.

გვხვდება ისეთი ნიმუშებიც, სადაც წამყვანი ჩანს ოვალებისა და წრეების ურთიერთმონაცვლე ორნამენტი. აქაც გამოყენებულია მწვანე, ყვითელი და ყავისფერი ფერები.

ყურადღებას იქცევს რამდენიმე ჯამის ძირი, როდესაც ჭურჭლის ფსკერზე სამმაგი ნაკაწრი ზოლებით დატანილია მრავალკუთხედები (ძირითადად ექვსკუთხედები) და ისინი შემდგომი გაგრძელების კვეთაში იძლევიან სამკუთხედებს (ტაბ. II, 12). სამკუთხედების შიგნით კი დატანილია წრიული თუ სპირალური ფორმის ორნამენტი. მრავალკუთხედის შიგა სივრცე შევსილია ყვითელი, ხოლო სამკუთხედების – მწვანე, ყვითელი და ყავისფერი საღებავების ურთიერთმონაცვლე ფერებით. ესენიც დაფარულია გამჭვირვალე ჭიქურით.

გვხვდება ჯამის ნატეხები, რომელთა შიდა ზედაპირზე დატანილი ორნამენტის სრულყოფილ ფორმაზე წარმოდგენის შექმნა არ შეიძლება. ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ შიდა ზედაპირზე ამოკაწრვა-ამოფხეკის წესით დატანილია სხვადასხვა სახის (ერთმაგი თუ ორმაგი ზოლები, რომბები, სპირალისებური ხეები, წრეები, ოვალური ფორმის ზოლები და ა.შ.) ორნამენტები. მათი შემკობისას ტრადიციულად გამოყენებულია მწვანე, ყვითელი თუ ყავისფერი ფერები, ზემოდან კი გადავლებული აქვთ გამჭვირვალე ჭიქური.

მოჭიქული კერამიკის ნატეხებში გვხვდება თითო-ოროლა ფრაგმენტი ბიზანტიური მოჭიქული კერამიკისა. მათი სიმცირისა და ფრაგმენტულობის გამო ამჯერად მათზე აღარ შევჩერდებით.

სათლელის ციხეზე აღმოჩენილი მრავალფერად მოჭიქული კერამიკა ძირითადად პარალელებს საქართველოს თანადროულ ძეგლებზე აღმოჩენილ მასალებთან პოულობს. დასავლეთ საქართველოს მასალებს შორის მრავალფერად მოჭიქული კერამიკა შედარებით მცირეა, მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში უმრავლესობას შეადგენენ (მ. მიწიშვილი 1976:40) და აღმოჩენილია სხვადასხვა ძეგლებზე (მ. მიწიშვილი 1969:33-52; ზ. მაისურაძე 1953:27-37; ვ. ჯაფარიძე 1956:28-35). მცირეა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშიც. ბიზანტიის კი საერთოდ არაა წარმოდგენილი (მ. მიწიშვილი 1976:30-41). ამ ტიპის კერამიკა თითქმის ყველგან XII-XIII საუკუნეებითაა დათარიღებული. ამავე პერიოდისა ჩანს სათლელის ციხეზე აღმოჩენილი მრავალფერად მოჭიქული კერამიკაც.


ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, გალაგნის კედელთან ახლოს, დასტურდება მცირე ზომის ეკლესიის ნაშთებიც (ტაბ. I, 3). ციხის ამ ნაწილშიც არქეოლოგიური გათხრები დაუწყიათ 2010 წელს. ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით ნაყარი ფენის ნაწილი აულიათ. აქ ჩანს ზედა საამშენებლო დონის ნაგებობათა საძირკვლები. მათ შორის ეკლესიის მომიჯნავე ტერიტორიაზე შედარებით კარგად დამუშავებული ქვების წყობაც. ჭრილში ისინი საკმაოდ კარგად იკითხება. თუმცა მათი ნაწილი კვლავ მიწითაა დაფარული. ამიტომ ჭირს დადგინდეს აქვთ თუ არა მათ რაიმე კავშირი საეკლესიო ნაგებობასთან. არაა გამორიცხული, იგი ეკლესიის სამხრეთი კედლისა თუ მინაშენის საძირკვლების ნაწილი იყოს. ამ მონაკვეთში გათხრების დასრულების შემდეგ ყველაფერი დაზუსტდება. ამჟამად შემორჩენილი ნაშთების მიხედვით ჩანს, რომ ეკლესია პატარა ზომის დარბაზული ტიპის ნაგებობა იყო. შედარებით კარგადაა შემონახული ჩრდილოეთი კედელი მთელ სიგრძეზე. მისი ზედა ნაწილი მონგრეულია. მაქსიმალური სიმაღლე 3,5 მეტრს აღემატება. ჩრდილოეთი კედლის უკიდურესი დასავლეთი ნაწილისათვის კედლის ბუნებრივი შევრილებიცაა გამოყენებული. შემორჩენილია აფსიდის დიდი ნაწილიც – 5,70 მ სიმაღლემდე. რაც შეეხება ეკლესიის სამხრეთ მხარეს, როგორც ზემოთაც აღინიშნა, დანგრეულია საძირკვლის დონემდე და დაფარულია მიწისა თუ ჩამონგრეული თაღოვანი გადახურვის ნაყარით. კედლებს პერანგები უმეტეს ნაწილში შემოცლილი აქვს. აქა-იქ დარჩენილი ნაშთებიდან ჩანს, რომ მათ მშენებლობაში გამოყენებულია სხვადასხვა ფორმისა და ზომის რიყის თუ კლდის ფლეთილი ქვები. მათი ნაწილი უხეშადაა დამუშავებული. აქა-იქ გვხვდება თლილი კვადრებიც. ეკლესიის თარიღის ზუსტი განსაზღვრა შესაძლებელი გახდება უახლოეს მომავალში, როცა დასრულდება ეკლესიის ტერიტორიაზე დაწყებული არქეოლოგიური სამუშაოები.

საკუთრივ სათლელის ციხე მშენებლობის სტილითა და აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების მიხედვით შეიძლება XI საუკუნით დათარიღდეს. რაც შეეხება ციხესთან დაკავშირებულ მოსაზრებებს, შედარებით ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი.

12. წყლის (უსტამისის) ციხე


უსტამისის (წყლის) ციხე მდებარეობს შავშეთისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, იმიერხევ-შავშეთის ხერთვისიდან ართვინისაკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს. იგი ცენტრალური გზიდან სოფელ უსტამისის შევლით, სოფლის თავში, ყიშლების დასაწყისშია აგებული. ციხე მეტად ხელსაყრელ ადგილას მდებარეობს. ციხისათვის განკუთვნილი ტერიტორია კარხლის მთების მონაკვეთიდან შავშეთისწყლის ხეობისაკენ წინწამოწეული უსტამისის ქედის ყველაზე შემადლებულ კლდეთა სისტემის თხემზეა დაშენებული. ამ ქედს ორმხრივ, ჩიხორისა და ახრანთხევის ხეობები მიჯნავს დანარჩენი სივრცისაგან. საკუთრივ უსტამისის ქედი სოფლის ამჟამინდელი ყიშლების მონაკვეთიდან ორად იტოტება. ერთი ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩიხორის ხეობამდე ეშვება და უსტამისის ქედის მარჯვენა მხარეა, ხოლო მეორე მონაკვეთი – ახრანთხევამდე, რომელიც ქვემოთ შავშეთისწყლამდე გრძელდება. სოფელი უსტამისი სწორედ ამ ორ ირიბად დაშვებულ ქედებს შორის მდებარე ფერდობზე თუ მოვაკებაზეა გაშენებული. ციხეს იმის გამო, რომ უსტამისის ქედზეა დაშენებული ადგილობრივი მოსახლეობა უსტამისის ციხეს ეძახის. ხოლო იმ ადგილს, სადაც კონკრეტულად ციხეა აშენებული წყფთას ეძახიან. ამიტომ მას ზოგჯერ „წყლის ციხის“ სახელითაც მოიხსენიებენ. როგორც ჩანს, მართლაც ეს ის ციხეა, რომელიც ისტორიულ წყაროებში და, უპირველეს ყოვლისა, „ქართლის ცხოვრებაში“ „წყლის ციხის“ სახელით მოიხსენიება.

ციხის ტერიტორიიდან ქედი უცებ მკვეთრად ეშვება ფრიალო კლდეებით შავშეთისწყლისაკენ. იგი თავისი ხელსაყრელი ადგილმდებარეობის გამო ბატონობს მთელ ხეობაში. იშვიათად თუ მოიძებნება საფორტიფიკაციო ნაგებობა, საიდანაც ასე კარგად ჩანდეს ხეობა ოთხივემხრივ. აღმოსავლეთით შესანიშნავად ჩანს შავშეთ-იმიერხევის წყალგამყოფი ქედი თავისი ხევ-ხუვებითა და სოფლებით. კარგად ჩანს მთლიანი შავშეთის ხეობა სათავეებამდე, არტაანისაკენ გადასასვლელი გზები, არსიანის მთათა სისტემა. ასევე აჭარა-შავშეთის მთების ფერდობებზე შეფენილი სოფლები ალპური საძოვრების ჩათვლით. სამხრეთით მთელი შავშეთ-ბერთის წყლის მარცხენა მხარეს არსებული მთები, ხეობები, სოფლები მთელ სიგრძეზე თითქმის ართვინამდე, იქამდე, სადაც ერთმანეთს ერთვის შავშეთისწყალი და ჭოროხი, ან კიდევ არტანუჯის წყალი და ჭოროხი. მოკლედ რომ ვთქვათ, ციხე თავისი სტრატეგიული ადგილმდებარეობით შესაშურ ადგილასაა აშენებული (ტაბ. IV, 1,4,5,13). შეიძლება ითქვას, იგი მთლიანად აკონტროლებს ისტორიული შავშეთის ქვეყანას. იგი აჭარა-შავშეთის და არსიანის მთებით შექმნილ ქვაბულში არსებულ მთელ ტერიტორიას ფარავს და აქცევს თავის სივრცეში. ციხე შავშეთის ქვეყნის ერთიანი თავდაცვის სისტემის ჯაჭვის ძირითადი ნაგებობაა, საიდანაც კარგად მოჩანს შავშეთის ქვეყნის ყველა ძირითადი ციხე.



წეფთის ციხის გეგმა. შეასრულა გ. ყიფიანმა

ციხე ზღვის დონიდან 1876 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. მის გეგმას კლდოვანი ზედაპირის კონტურები განსაზღვრავს. იგი სამხრეთ მიუვალია. აქვს ერთადერთი, საკმაოდ რთული მისადგომი ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან. ციხის გალავნის კედლებიდან შედარებით კარგადაა შემონახული სამხრეთ-აღმოსავლეთი მონაკვეთი. აქ დაცული კედლების მაქსიმალური სიმაღლე 8-10 მეტრია. რაც შეეხება ციხის გალავნის კედლის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთს, იგი თითქმის საძირკვლის დონემდეა მორღვეული. ციხე სწორედ ამ მხრიდანაა ყველაზე კარგად ბუნებრივად დაცული და მიუვალიც. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 10-15 მეტრია. მათი სისქე სხვადასხვაა და მერყეობს 1 მ-დან 1,70 მ-ს შორის. ციხეს ჰქონია ორი კოშკი. პირველი მათგანი განთავსებულია ციხის სამხრეთ-დასავლეთით, იგი გალავნის კედლიდან 2,40 მ-თაა წინ გაზიდული და ნახევარწრიული მოყვანილობისაა. კოშკის დანარჩენი ნაწილი გალავნის კედლის შიგნითაა მოქცეული, რომელიც თითქმის საძირკვლის დონემდეა მორღვეული. ჩანს, რომ კოშკში შესასვლელი ციხეს შიგა ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთი მონაკვეთიდან უნდა ჰქონოდა. ასე, რომ კოშკში მოხვედრა მხოლოდ და მხოლოდ გალავნის შიდა სივრციდან შეიძლებოდა. კოშკი საკმაოდ დიდი მოცულობის ყოფილა. მისი ზომებია: სიგრძე-7,80 მ წინ გაზიდული ნახევარწრიული მოყვანილობის სივრცის ჩათვლით. სიგანე კი - 6,50 მ-ია. გალავნის შიგნით მოქცეული კედლების სიფართოე 1-1,20 მ-ია. რაც შეეხება გალავნის კედელში ჩართულ წინ გაწეულ ნახევარწრიულ კედელს, მისი სისქე 1,70 მ-ს აღწევს.




წყუთის ციხის ეკლესიისა და აკლდამის გეგმა და ჭრილი.
შეასრულა გ. ყიფიანმა

ციხეს ჰქონია მეორე კოშკიც, რომელიც გალავნის კედლის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთშია ჩართული. იგი ნახევარწრიული ფორმისაა. მისი რადიუსი 5 მ-ს უტოლდება. შემორჩენილი კედლების სიმაღლე აქ 9 მ-ია. საკუთრივ კოშკის მაქსიმალური სიგრძე 7 მ-ს აღწევს, სიგანე კი – 6 მ-ია. აქაც კოშკის სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებად გამოყენებულია საკუთრივ გალავნის კედლები. ამიტომაცაა, რომ ისინი შედარებით ფართეა და მათი სისქე 1,60 მ-ს აღწევს. საკუთრივ ამ კოშკის შიგა კედლები, რომლებიც თითქმის საძირკვლის დონემდეა მორღვეული, შედარებით ვიწროა – 1 მეტრი.

ციხის გალავნის კედლების წყობა ძირითადად შედგება გრანიტის მსუბუქად დამუშავებული კვადრებისაგან. წყობა რეგულარულია და შემაკავშირებლად კირხსნარის მკვრივი და სქელი მასაა გამოყენებული. განსხვავებულია სამხრეთ-დასავლეთი კოშკის საპირე წყობა. იგი შედგენილია ვერტიკალურად აღმართული ფიქალებით, რომლებიც ზემოდან და ქვემოდან ისაზღვრება ჰორიზონტალურად განთავსებული ფილაქვებითვე. ერთი შეხედვით გვიანანტიკური ხანის ფსევდოისოდომურ წყობას მოგვაგონებს.

ციხის გალავნის შიგნით მოქცეულ ტერიტორიაზე ქვის თუ დუღაბის დიდი ზომის ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ აქ უნდა ყოფილიყო სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები. ისინი დროთა განმავლობაში დანგრეულა. ზოგიც იქაურ „არქეოლოგებს“ – განძისმაძიებლებს დაუნგრევიათ. შედარებით კარგადაა დაცული ციხის შიგნით, ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში არსებული ეკლესიის ნაშთები (ტაბ. IV, 2). ნაგებობა უშუალოდ გალავნის კედელს ედგმის. ეკლესია საგრძნობლადაა გადახრილ-დამხრობილი ჩრდილოეთისაკენ. მისი გარე ზომებია: სიგრძე – 5,50 მ; სიგანე – 3,30 მ. შეიცავს საკმაოდ ღრმა ნახევარწრიულ აფსიდას. ეკლესიის შიდა სივრცის ზომებია: სიგრძე აფსიდითურთ 3,80 მ; სიგანე – 2,15 მ. კარი, ყველა ნიშნის მიხედვით, დასავლეთიდან უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამჟამად კარის ღიობი არ შეინიშნება. საკუთრივ ეკლესიის კედლები, ციხის გალავნის კედლების მსგავსად, გრანიტითაა ნაგები კირხსნარის სქელ ფენაზე. აქა-იქ ჩართულია ქვიშაქვის კვადრებიც. საპირე მხარეს ქვები ჩამოსწორებულია. დასავლეთის, აღმოსავლეთის და სამხრეთის კედლების სიგანე 60 სმ-ია, ხოლო აღმოსავლეთის კედლის სიფართოე 1 მეტრია. კედლების საშუალო სიმაღლე 60-70 სმ-ია, ხოლო აფსიდის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე 2 მეტრამდეა შემორჩენილი.

ეკლესიას სამხრეთის მხრიდან ედგმის აკლდამა, რომლის იატაკი ეკლესიის იატაკიდან 2,50 მ სიღრმეზეა ჩაშვებული (ტაბ. IV, 3). განძისმაძიებლებს იგი გაუძარცვათ. აკლდამის დასავლეთ კედელზე შიდა მხრიდან იკითხება, რომ იგი თაღოვანი გადახურვისა იყო. თაღის შემორჩენილი ნაშთების მიხედვით ჩანს, რომ ნაგებობა ბრტყელი ფილაქვებით იყო გამართული. აკლდამის შიდა სივრცის სიგანე 2 მ-ია. ხოლო სიგრძე – 3,50 მ. კედლების სისქე კი – 60 სმ-ია. აკლდამის ჩრდილოეთი კედელი უშუალოდ მიშენებულია ეკლესიის სამხრეთის კედელზე. აკლდამის ინტერიერი კარგად განლექილი სქელი ფენით იყო შელესილი.



წვეთის ციხის მარანის გეგმა და ჭრილები.
შეასრულა გ. ყიფიანმა

ციხის ჩრდილო-დასავლეთით 20-30 მეტრის დაცილებით მდებარეობს ე.წ. ღვინის სახლი – „მარანი“. იგი ციხის ჩრდილოეთით მდებარე წოწოლა კლდის ძირშია გამართული (ტაბ. IV, 5-10). ნაგებობა დამხრობილია სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო – აღმოსავლეთისაკენ. იგი წარმოადგენს გრძივ ცენტრალურ ნაწილში ორად გაყოფილ სათავსოს. მისი საერთო სიგრძე შიდა მხრიდან 18,10 მ-ია. მათგან ჩრდილო-აღმოსავლეთი სათავსოს სიგრძე – 7,60 მ-ია, ხოლო სიგანე – 3,60 მ-ია. სამხრეთ-დასავლეთი სათავსოს სიგრძე 10,90 მ-ია, სიგანე – 4,80 მ. ე.ი. შედარებით ფართოა. ორივე სათავსო კამარითაა გადახურული. კამარის წყობა გარკვეული შუალედებით განთავსებულ საბრჯენ თაღებს შორის არის მოქცეული. კამარა ოდნავ შეისრულია. ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთის კედელი მთლიანადაა მორღვეული. გრძივი ფასადის გარე კედლები არ იკითხება – მიწითაა დაფარული. ნაგებობის სიმაღლე (ინტერიერი) დაახლოებით 3,40 მ-ია. უკეთ არის შემორჩენილი ჩრდილო-აღმოსავლეთის საფასადე კედელი. კედლის სიგანე 85 სმ-ია. ამავე ფასადზეა დაცანილი კარის ღიობი,

რომელიც ჩრდილოეთ კუთხეშია განთავსებული. მისი სიგანე 1,35 მ-ია, სიმაღლე – 2,10 მ. იგი ამავე დროს თაღოვანია. თაღი შეისრულია. ტიხარი 80 სმ სისქის კედელია და კარის ღიობი, რომელიც სათავსოებს აკავშირებს ერთმანეთთან, ასევე ჩრდილოეთითაა გაჭრილი. მისი სიგანე 1,25 მ-ია. სიმაღლე დაახლოებით 1,20 მ-ია. ჩრდილოეთის მხრიდან იგი არქიტრავითაა გადახურული. არქიტრავის ზომებია: სიგრძე – 1,30 მ, სიმაღლე – 55 სმ. სამხრეთის მხრიდან კი კარის ღიობი თაღოვანია და სიმაღლე დაახლოებით ისეთივეა (1,20). ინტერიერში დიდი სათავსოს კედელში ნიშებიც არის შექმნილი. მათი ზომებია 30X60 სმ. ნაგებობა შიგნით მთლიანად გადათხრილია. მცირე სათავსოში გარღვეულია კედლებიც. როგორც ჩანს, განძისმაძიებლების ნამუშევარია. ნაყარში დიდი რაოდენობით ქვევრის ნატეხები იქნა მიკვლეული. ისინი ფორმით, ორნამენტით საკმაოდ ადრეულები ჩანს. ეს ნაგებობა, როგორც ჩანს, გამოყენებული იყო მარნად. იგი არ შეიცავს სარკმლებს, არც კერასა და შესაბამისად არც საკვამურს. აღმოსავლეთის მხრიდან თითქოს საგანგებოდაა დაცული კედლის მასივით და სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ აქ მარნის არსებობა.

ციხის შიდა თუ გარე მიმდებარე ტერიტორიაზე აქა-იქ ჩანს მიმოხეული არქეოლოგიური მასალების ნატეხებიც. მათში უმთავრესად წარმოდგენილია დოქების, ჯამების, საოჯახო შინსახმარი კერამიკის, ქვევრების, დერგების პირის, ტანის, მუცლისა თუ ძირის ფრაგმენტები. ისინი იმდენად უსახურია, რომ მათზე დაყრდნობით რაიმე სერიოზული დასკვნების გაკეთება შეუძლებელია.

ციხე საკმაოდ ადრეული ნაგებობა ჩანს. იგი შეიძლება დაახლოებით VIII-IX საუკუნეებით დათარიღდეს. მის შესახებ მწირი, მაგრამ საინტერესო ცნობები გვხვდება წერილობით წყაროებში. მათზე შედარებით ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი.

13. ხანთუშეთის (ყარაღაჯის) ციხე

არსიანის (იგივე ქვაყრილის) მთებიდან ქვემოთ, ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ეშვება შავშეთის უკიდურეს დასავლეთ მონაკვეთის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ქედი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ხანთუშეთის სახელით მოიხსენიებს.

ქედი, რომელზედაც ციხეა აღმართული, დასაწყისში საკმაოდ მკვეთრად განსაზღვრული რელიეფით ხასიათდება. მისი ორივე მხარე ფრიალო კლდეებითაა წარმოდგენილი კარგა მოზრდილ მანძილზე. იგი ბუნებრივი საზღვარია მთისწინა ზოლში არსებულ ორ დიდ სოფელს – ხანთუშეთსა (ხანლი) და ვერხვანალას (ყარაღაჯი) შორის. ორივე მათგანს აქვს კარგად გაშლილი მდიდარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და საძოვრები. ქედი ორი პატარა მდინარის – ხანთუშეთის და ვერხვანალისწყლების წყალგამყოფიცაა. ორივე მდინარე ქედის შუა წელზე არსებულ დადაბლებაზე ერთმანეთს ერთვის და ორი კილომეტრის დინების შემდეგ ფიქალთასწყალს უერთდება. უკანასკნელი კი, თავის მხრივ, შავშეთის წყლის მარცხენა მხარის შენაკადია. ვერხვანალა ხეობის სათავეში შავშეთსა და არტანუჯს შორის ბოლო სოფელია. მისი განაპირა მხარე უშუალოდ არტანუჯ-შავშეთის გამმიჯნავი, ბარევანის ქედის დასავლეთი ფერდობებია. ბარევანის ქედზე არსებულ უღელტეხილზე გადადიოდა სწორედ შავშეთისა და არტანუჯის დამაკავშირებელი ძველი გზაც.

ხანთუშეთის ციხე განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ადგილმდებარეობითა და სტრატეგიული თვალსაზრისით. იგი სწორედ ფრიალო კლდეებით წარმოდგენილი ქედის შუა მონაკვეთში, ყველაზე მიუვალ კლდოვან ბორცვზეა დაშენებული (ტაბ. V, 1,4,5,6,7). აქედან შესანიშნავად ჩანს მთლიანი შავშეთის ქვაბული. იგი პირდაპირ გადასცქერის აჭარა-შავშეთის ქედზე, კარჩხლის მთებსა და მის ფერდობებზე შეფენილ სოფლებს, მთლიანი იმერხევისა და სათლესწყლის ხეობებს. არსიანის ქედის ძირში და ბარში მთელ სიგრძეზე არსებულ საძოვრებსა თუ ალპურ მდელოებს. ხანთუშეთი, შეიძლება ითქვას, შავშეთის ერთ-ერთი ძირითადი საფორტიფიკაციო ნაგებობაა. იგი პირდაპირ კავშირშია კარჩხალის მთების ძირში კედლის თავზე დაშენებულ წიფთის (უსტამისის), იმერხევის ხეობაში არსებულ ჩაქველთას, იფხვრელის ციხეებთან, არსიანის ქედის სამხრეთი ფერდობების ძირში არსებულ დაბაწვრულის, ციხისძირის, ქვათეთრისის, ჩართულეთის ციხეებსა თუ კოშკებთან, მთლიანი შავშეთის ერთ-ერთ ყველაზე დიდ სათლეს ციხესთან და ა.შ. ეს ციხე თავისი ადგილმდებარეობით არა მარტო შავშეთის, არამედ კლარჯეთის ერთ-ერთი მთავარი ციხეცაა. იგი

ასევე კარგად მეთვალყურეობს არტანუჯის მთისწინა თუ მთის ზოლს კარგა მანძილზე. ციხე ამავე დროს აკონტროლებს არსიანის მთებზე არსებული ზეკარებით შავშეთისაკენ თუ არტანუჯისაკენ მიმავალ თითქმის ყველა გზას.

ტერიტორია, სადაც ციხეა დაშენებული, კლდოვანი ქედის წინ წაზიდული ნაწილია. მთლიანი ზედაპირი სხვადასხვა ზომისა და ფორმის კლდის შვერილებითაა წარმოდგენილი. ციხის ფართობი დაახლოებით 600 კვ.მ-ია. იგი სოფელ ხანთუშეთის მხრიდან მიუვალა. ამიტომ იძულებული გაეხდით ძეგლს ვერხვანლის მხრიდან მივახლოვებოდით, რომელიც, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ხანთუშეთის ქედსა და არტანუჯ-შავშეთის გამყოფი ბარეკანის ქედის შუა ქვაბულშია გაშენებული. ციხეს აქვს ერთადერთი მისასვლელი სოფლის თავში მდებარე ჯვორიყანას მიდამოებიდან (ტაბ. V, 1). აქედან მკვეთრად დაქანებულ ფერდობს მიუყვება 2,5 კმ-ის სიგრძის ძალიან ვიწრო და ძნელად სავალი ბილიკი. მცოცავი ბილიკით მიადგები ქედის ყელს, საიდანაც სამხრეთ-დასავლეთით იწყება ციხის ტერიტორია. ციხის მშენებლებს სწორედ ამ ვიწრო ყელზე დაუშენებიათ ოთხკუთხა ფორმის გარეკუთხეებ მომრგვალებული კოშკი (ტაბ. V, 2,3). ასე რომ, ეს ერთადერთი ძნელად მისადგომიც საგულდაგულოდ ჩაუკეტიათ. კოშკი მონუმენტური ნაგებობაა. იგი საკმაოდ კარგადაა დღემდე მოღწეული. მისი საძირკველი უსწორმასწორო კლდოვანი რელიეფის მქონე შვერილებზეა დაშენებული. აღმოსავლეთით, სადაც რელიეფი მკვეთრად დახრილია, ბუნებრივად არსებული უსწორმასწორო კლდე ქვის წყობებითა და დუღაბითაა შევსილ-გამაგრებული. კოშკის საძირკველი ამ მხარეს კლდეტან ერთად ერთ მთლიან მონუმენტურ კედლად გამოიყურება. კოშკი საკმაოდ მაღალია, იგი დაახლოებით 14 მეტრამდე აღწევს. მისი გარე ზომებია: სიგრძე – 5,90 მ, სიგანე – 5,70 მ. შიდა ზომებიც განსხვავებულია. სიგრძე 3,30 მ-ია, ხოლო სიგანე – 3 მ. ნაგებობას აქვს საკმაოდ სქელი კედლები და იგი 1,30-1,50 მ-ს შორის მერყეობს. კოშკი სამხართულიანი მაინც უნდა ყოფილიყო. დღემდე მოღწეულ კოშკს აქვს თაღოვანი გადახურვის პრინციპზე მოწყობილი სახურავი. ბურჯები აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლებს ეყრდნობა. თაღის ქვებისათვის გამოყენებულია კარგად დამუშავებული მოგრძო ფორმის ქვები. რაც შეეხება სახურავის ზედა ნაწილს, იგი სხვადასხვა ზომის ბრტყელი ფორმის ქვებითა და დუღაბითაა დაფარული. კოშკის კედლების მშებენლობაში გამოყენებულია კარგად დამუშავებული საშუალო ზომის ქვები. წყობა რეგულარულია.


ციხის გალავნის კედლებიც ამ კოშკიდან იწყება. ციხის საერთო გეგმას აქაც რელიეფი განსაზღვრავს. გალავნის კედლები კლდის გარეკიდებებს მიუყვება და ხშირ შემთხვევაში ქმნის ერთ მთლიანობას. მათი დიდი ნაწილი თითქმის საძირკველის დონემდეა მორღვეული. აქა-იქაა შემორჩენილი მათი ნაშთები. ჩანს, რომ ისინი იწყება სწორედ ზემოთ აღწერილი კოშკის მიდამოებიდან. გალავნის აღმოსავლეთი კედელი მიშენებული იყო კოშკის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში და რელიეფის შესაბამისად მეორე კოშკამდე ქმნიდა ნახევარწრისებურ მორკალებას. იგი მეორე კოშკს ებმის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში. გალავნის კედლის ეს ნაწილი, მცირე გამონაკლისების გარდა, საძირკველის დონემდეა მორღვეული. აქა-იქაა შემონახული მხოლოდ ქვის წყობის მცირე ფრაგმენტები და კლდის შვერილებზე შემორჩენილი დუღაბის ნაშთები. მეორე კოშკის გარეკედლიდან აღმოსავლეთი გალავნის კედელი, როგორც შემორჩენილი ნაშთების მიხედვით ჩანს, ოდნავ შიგნით იხრება და ებმის კლდის ბოლო თხემზე დაშენებულ მესამე კოშკს.

რაც შეეხება დასავლეთი გალავნის კედელს, ისიც პირველ კოშკს ებმის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთში. კედელი აქაც, კლდოვანი რელიეფის შესაბამისად, გარეთ ჩრდილო-დასავლეთით იწევს, თითქმის მთელ სიგრძეზე ქმნის ნახევრადწრისებურ მოყვანილობას და ებმის მესამე კოშკს. მთელ სიგრძეზე აქა-იქაა შემონახული საძირკველის ნაშთები, ისე, რომ კედლის მიმართულებასა და ფორმაზე წარმოდგენის შექმნა შეიძლება. შემორჩენილი კედლების მიხედვით ჩანს, რომ მათი სისქე 1,20 - 1,30 მეტრს შორის მერყეობს. კედლების შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 3,5 მეტრს აღწევს. მათ წყობაში გამოყენებულია გარე-ზედაპირ ჩამოსწორებული, მოგრძო ფორმის მოზრდილი თუ საშუალო ზომის ქვები.

ციხის ტერიტორიაზე, ზემოთ აღნიშნული კოშკის გარდა, არის კიდევ ორი კოშკი და წყლის რეზერვუარი.

მეორე კოშკი ციხის აღმოსავლეთი გალავნის თითქმის შუა მონაკვეთშია ჩაშენებული (ტაბ. V, 9). აქ, როგორც შემორჩენილი ნაშთებიდან ჩანს, კოშკისთვის გათვალისწინებული

ტერიტორია საკმაოდ მკვეთრად დახრილი აღმოსავლეთით. ამიტომ, ციხის მშენებლებს აღმოსავლეთიდან საძირკველისათვის ამოუშენებიათ საკმაოდ მაღალი (3,30 მ) კედელი. აღმოსავლეთი და გვერდითი კედლების ამოშენების ხარჯზე შექმნეს მშენებლობისათვის საჭირო მოედანი. კოშკი თითქმის საძირკველის დონემდეა დანგრეული. შემორჩენილია კედლების მცირე ნაწილი. ჩანს, რომ იგი ოთხკუთხა ფორმისაა. კოშკი გალავნის კედლის შიგნითაა შეწყული. მისი საერთო სიგრძე 3,50 მ-ია, სიგანე – 3,10 მ. მშენებლობაში აქაც გამოყენებულია არც თუ ისე კარგად დამუშავებული ქვები, თუმცა ქვის წყობის რიგები მეტნაკლებად დაცულია.



ხანთუშეთის ციხის გეგმა და ჭრილი.
შეასრულა გ. დუმბაძემ

მესამე კოშკი მდებარეობს ციხისათვის განკუთვნილი ტერიტორიის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში (ტაბ. V, 8). იგი ციხის ყველაზე სტრატეგიული ადგილია. მას წინა მხრიდან იცავს ზემოთ აღწერილი ორი კოშკი, გალავნის კედლები და, რაც მთავარია, სამხმსრივ (ჩრდილოეთით, დასავლეთით და აღმოსავლეთით) კედლის ფრიალო შევრილები, რომლებიც, ერთი მხრივ, ხანთუშეთის წყლამდე, ხოლო, მეორე მხრივ, სოფელ ვერხუნაღამდე ეშვება. კოშკის დასასრულს, საკუთრივ კედლოვან ქედს აქვს უზარმაზარი ღრმა და საკმაოდ ფართო უფსკრული, რომელიც აქედან მტრის შემოდევების ყოველგვარ შანსს სპობს. კოშკი საკმაოდ დიდი მოცულობისაა. იგიც გეგმაში პირველი კოშკის მსგავსია. მისი გარე კუთხეებიც მომრგვალებულია. ნაგებობა აქაც თითქმის საძირკველის დონემდეა მორღვეული. გარე ზომებია: სიგრძე – 7,70 მ, სიგანე – 6,20 მ. შიგა ზომები: სიგრძე – 4,60 მ, სიგანე – 3 მ. კედლის სისქე – 1,60 მ-ია.

ციხის შიგნით, ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთში, გალავნის კედელთან ახლოს, პირველი კოშკისაგან დაახლოებით 9-10 მეტრის დაცილებით არის წყლის მოზრდილი რეზერვუარიც (ტაბ. V, 7). იგი კედლოვან ქანში საკმაოდ ღრმადაა ჩაჭრილი. რეზერვუარი წრიული ფორ-

მისაა. მისი გვერდითი კედლები ამოშენებულია. მიწის ზემოთ შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 1,70 მ-ია. რეზერვუარის შიდა ზომებია: 2,20 X 2 მ, კედლის სისქე – 70 სმ-ია. წყლის რეზერვუარის შიდა კედლები დაფარულია საკმაოდ სქელი დუღაბის ფენით. რეზერვუარი ციხის ყველაზე დაბალ ადგილასაა გამართული, რაც წვიმის წყლების შეგროვების შესაძლებლობას იძლეოდა. ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, ციხეს სოფელ ხანთუშეთის მხარეს უნდა ჰქონოდა კლდეში გაჭრილი გვირაბიც. თუმცა ციხის ტერიტორიაზე მისი არსებობის კვალს ვერ მივაგენით. კედლების წყობაში გამოყენებულია ბაზალტისა თუ კლდის ფლეთილი ქვები, მათი ნაწილის გარე ზედაპირები უხეშადაა ჩამოსწორებული. გვხვდება მოგრძო შედარებით ვიწრო და ამავე დროს ოთხკუთხა ფორმის საშუალო თუ მცირე ზომის ნიმუშებიც. წყობებს შორის არსებული ღრიტოები შევსებულია პატარა ზომის ქვებით, რიგები აქა-იქაა დაცული. კუთხეებში კედლების გადაბმისას გამოყენებულია ძირითადად მოგრძო ფორმის შედარებით თხელი ფორმის ქვები.

ციხე მშენებლობის სტილით, ტექნიკითა და კოშკების ფორმებით საკმაოდ ადრეული ნაგებობა ჩანს. შეიძლება ითქვას, იგი ორი „ქვეყნის“ შავშეთისა და კლარჯეთის (არტანუჯის) საზღვარზე დგას და მეტნაკლებად ერთნაირად აკონტროლებს როგორც ერთი, ისე მეორე რეგიონის უზარმაზარ ტერიტორიებს და აქ გამავალ გზებს. იგი ერთმანეთთან აკავშირებდა მთლიანი შავშეთისა და კლარჯეთის თავდაცვით სისტემებს და საერთო ჯამში ქმნიდა ერთიანი კლარჯეთის „ქვეყნის“ დაცვის საკმაოდ საიმედო სისტემას. ხანთუშეთის ციხე მშენებლობის ხელოვნებითა და ისტორიული რეალიების გათვალისწინებით შეიძლება VIII-IX საუკუნეებით დათარიღდეს.

14. ქვათეთრისის ციხე


ციხე მდებარეობს სათლელის წყლის მარცხენა მხარეს მდებარე პატარა მდინარის ფიქალთას წყლის ხეობაში, სოფ. ქვათეთრისში.

სოფლის თავზე არსებული მოვაკებული ტერიტორიების ბოლო მონაკვეთიდან რელიეფი რამდენადმე იცვლის სახეს. აქედან ქვემოთ, სამხრეთით იკვეთება არცთუ ისე მაღალი, მაგრამ საკმაოდ მკვეთრი დახრილობის მქონე ფიქალთას ქედი. იგი წყალგამყოფიცაა. ქედის დასაწყისიდან მარცხენა მხარეს სათავეს იღებს პატარა მდინარე, ე.წ. კოშლეთის, ხოლო მარჯვენა მხარეს – ფიქალთას წყალი. ისინი ქედის ძირში დაახლოებით 8-10 კმ-ის დინების შემდეგ სოფ. ქვათეთრისის (თანამედროვე სახელწოდება ქირჩელი, რაც კირიან ადგილს ნიშნავს) ბოლოს ერთმანეთს უერთდება. აქედან კი ერთიან მდინარეს მოსახლეობა ფიქალთას წყალს უწოდებს. იგი შავშეთის წყლის მარცხენა შენაკადია. სოფელი ქვათეთრისის სწორედ ამ პატარა მდინარეების შეერთებამდე, მდ. ფიქალთას წყლის როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა სანაპიროზე არსებულ პატარ-პატარა დავაკებებზე თუ ფერდობებზეა შეფენილი.

მდინარეები სოფლის დასასრულს უახლოვდებიან ერთმანეთს და ქმნიან ქედის ბოლო მონაკვეთში საკმაოდ ვიწრო ყელს და ორმხრივ ღრმად ჩაჭრილ ხეობებს. ყელის გაგრძელება კი წარმოადგენს ხეობისაკენ წინ წაზიდულ კლდოვან ბორცვს, რომელიც ყველაზე სტრატეგიული ადგილია ამ მიდამოებში. ადგილობრივ მცხოვრებლებს სწორედ ამ ბორცვზე დაუშენებიათ ციხეც. აქედან შესანიშნავად მოჩანს მთელი შემოგარენი კარგა მანძილზე. იგი პირდაპირ გასცქერის უსტამისის (წყფთის) ციხეს და ერთვება მთლიანი შავშეთ-კლარჯეთის თავდაცვის სისტემაში. ციხე უშუალოდ აკონტროლებდა არსიანის (ყალნუ-ქედზე) არსებულ უღელტეხილებზე კოლა-არტანდიან გადმომავალ იმ გზას, რომელიც არსიანის მთების სამხრეთ ფერდობებზე ეშვებოდა და ფიქალთას ხეობის გავლით სოფელ ქვათეთრისში უერთდებოდა შავშეთ-არტანუჯისაკენ მიმავალ გზას და ბარეგანის უღელტეხილის გადავლით ჩადიოდა არტანუჯში.

ციხე საინტერესოა თავისი ადგილმდებარეობითაც. იგი მდებარეობდა მთისა და ბარის ეკონომიკური რაიონების შესაყარზე, მთისწინა ზოლში. ბუნებრივია, ციხე ბატონობს მთელ ხეობაზე, ასევე მის შემოგარენსა და განსაკუთრებით სოფლის ზემოთ, არსიანის მთების ძირში არსებულ უზარმაზარ სამეურნეო დანიშნულების სივრცეზეც. ასევე მისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია უნდა ყოფილიყო მთასთან, საზაფხულო იალაღებთან დამაკავშირებელი გზების მეთვალყურეობაც. როგორც ცნობილია, შავშეთის ყოველი მთავარი ციხე-სიმაგრისა

და ამავე დროს მნიშვნელოვანი ტერიტორიის მფლობელი იყო. არაა გამორიცხული, ქვათეთრისი რომელიმე მთავრის რეზიდენცია ყოფილიყო.



ქვათეთრისის ციხის გეგმა და ჭრილი.
შეასრულა გ. დუმბაძემ

ციხე (ტაბ. VI, 1,5-8) ოთხივე მხრიდან ბუნებრივადაა დაცული. მისი დასავლეთი მხარე ფრიალო კლდეებით მდ. კოშლეთის ღრმად ჩაჭრილი ხეობის ძირამდე ეშვება. რაც შეეხება ჩრდილოეთსა და დასავლეთს, ეს მხარეებიც ციხის მიდამოებიდან კლდოვანი რელიეფითა თუ მკვეთრად დახრილი ფერდობებით ქვემოთ თანდათანობით იშლება მდ. ფიქალთას ნაპირებამდე. შედარებით სუსტადაა დაცული ციხის აღმოსავლეთი მონაკვეთი. ქედი ამ მონაკვეთში თანდათანობით კარგავს მკვეთრ დახრილობას და ტერასისებურად დაბლდება ციხის მისადგომებისაკენ და ქმნის საკმაოდ ვიწრო ყელს იმ შემადლებულ ბორცვთან მიმართებაში, რომელზედაც ციხეა აშენებული. ციხის მშენებლებს თავის დროზე გაუთვალისწინებიათ ეს და შედარებით სუსტად დაცული ციხის ყელზე დაუშენებიათ საკმაოდ დიდი ზომის წრიული ფორმის კოშკი.

ციხეს მოზრდილი ფართობი უკავია. იგი დაახლოებით 700-800 კვ.მ-ია. ციხის გეგმას მთლიანად ბორცვის რელიეფი განსაზღვრავს. გალანის კედლები მთელ ფართობზე გარე კედლებს მიუყვება. ციხის გეგმა არაწესიერი სამკუთხედის ფორმისაა. ციხის აღმოსავლეთ მონაკვეთში, იქ სადაც იგი შედარებით თითქოსდა დაუცველია, როგორც ზემოთაც აღინიშნა, აღმართულია საკმაოდ დიდი მოცულობის წრიული ფორმის კოშკი (ტაბ. VI, 8-6). მისი შიგა დიამეტრი 5 მ-ია. აქვს საკმაოდ სქელი (1,70 მ) კედლები. კოშკი რამდენიმე სართულიანი უნდა ყოფილიყო. მის მშენებლობაში აშკარად ჩანს ორი საამშენებლო პერიოდი (ტაბ. VI, 2,6). პირველი საამშენებლო დონის კედლების სიმაღლე 5,4 მ-ია, ხოლო შემორჩენილი მეორე

საამშენებლო დონისა – 2,5 მ. ჩანს, რომ თავდაპირველი კოშკის კედლების სიმაღლე გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, მისი ზედა ნაწილი მოანგრის და შემდეგ მოგვიანებით დააშენეს ახალი კედლები. პირველი საამშენებლო დონის არქიტექტურა სრულიად განსხვავებულია მეორისაგან (ტაბ. VI, 2-4,6). აქ კედლების წყობაში გამოყენებულია დიდი ზომის (50X70; 80X40; 60X35; 40X25; 20X15 სმ) კარგად დამუშავებული გარე ზედაპირის მქონე ქვები. რიგებს შორის წყობა რეგულარულია (ტაბ. VI, 4). კოშკს შიგნიდან აქვს ორი, ისრისებური ფორმის სათვალთვალთ: ერთი მათგანი სამხრეთით და მეორე – ჩრდილოეთით. კედლის სისქის შესაბამისად მათი სიღრმე – 1,70 მ-ია. სიფართო შიგნიდან 50 სმ., სიმაღლე – 60 სმ. ისინი თანდათანობით ვიწროვდებიან ისრისებურად.

შესასვლელი კარი კოშკის ჩრდილო-დასავლეთის კედელშია დატანილი (ტაბ. VI, 3). იგი დანამედროვე ზედაპირიდან 4 მ-ის სიმაღლეზეა განთავსებული. როგორც ჩანს, კარი ასაწვევი კიბით იხმარებოდა კოშკის II სართულზე მოსახვედრად. მისი სიმაღლე 2,20 მ-ია, სიგანე 1,20 მ. კარის დიობის შუა ნაწილის კედლებში დატანილია ურდულისათვის განკუთვნილი ბუდეები. მარცხენა მხარის საურდულე ბუდის სიგრძე 1,60 მ-ია, ხოლო მარჯვენასი – 0,60 მ. პირველი საამშენებლო დონის კოშკის შიდა კედლების წყობაც კარგად დამუშავებული ქვებითაა გამართული. აქაც ისეთივე ფორმისა და ზომის ქვებია გამოყენებული, როგორც გარეთა კედლების წყობაში. წყობის ჰორიზონტალური რიგები აქაც დაცულია, რაც შეეხება კოშკის ზედა ნაწილს (II საამშენებლო დონე), იგი თავისი არქიტექტურით, საამშენებლო მასალით აშკარად მოგვიანო პერიოდისაა.

საკუთრივ დედაციხის გალავნის კედლები საკმაოდ დაზიანებულია. ჩანს, რომ გალავნის აღმოსავლეთი კედლები ორივე მხრივ გარედან უშუალოდ კოშკის შუა ნაწილშია მიშენებული. კოშკის დიდი ნაწილი გალავნის კედლებისაგან წინაა გაზიდული. მისგან სამხრეთით დაშვებული აღმოსავლეთი გალავნის კედლის დიდი ნაწილი (3,2 მ) მორღვეულია საძირკვლის დონემდე. შემორჩენილია მხოლოდ ფუნდამენტის ნაშთები. დანგრეული კედლის შემდეგ მთელს სიგრძეზე შემონახულია 4,5 მ სიმაღლისა და 9,5 მ სიგრძის კედელი გალავნის სამხრეთ კედელთან შეერთებამდე. კედლის საფასადე ქვების დიდი ნაწილი როგორც გარეთ, ისე შიგნით არცთუ ისე კარგადაა დამუშავებული. განატეხში ჩანს, რომ პერანგებს შორის სიცარიელე შევსილია თეთრი ფერის კირდუღაბისა და საშუალო თუ მცირე ზომის ქვების ნარევისაგან. კედლის სისქე ამ მონაკვეთში 0,90-1 მ-ია. ციხის სამხრეთი გალავანი შედარებით სწორხაზოვანია. კარგადაა შემორჩენილი კედლების შეერთების კუთხიდან კედლის დასაწყისი 2 მ-ზე. დანარჩენი ნაწილი (30,5 მ) მთელს სიგრძეზეა მორღვეული. აქ-იქ დაცულია მხოლოდ საძირკვლის ნაშთები.

რაც შეეხება ჩრდილოეთის კედელს, იგი დასაწყისიდანვე, რელიეფის შესაბამისად თანდათანობით გარეთ იხრება. შუა ნაწილში კი - შიგნით იწვევა და კოშკს ებმის ცენტრალურ მონაკვეთში. გალავნის ჩრდილოეთი კედლის საერთო სიგრძე 26,5 მ-ია. შედარებით კარგადაა დაცული მისი სამხრეთ-დასავლეთი მონაკვეთი. აქ შემორჩენილია 8,5 მ სიგრძისა და 3,5 მ სიმაღლის კედელი. მისი გაგრძელება 9 მეტრის სიგრძეზე საძირკვლის დონემდე დანგრეული. შემდეგ კვლავ გვხვდება ცენტრალურ მონაკვეთში 6,5 მ და 2,5 მ სიმაღლის კედელი. აქედან კოშკამდე კი (12 მ-ის სიგრძეზე) მხოლოდ აქ-იქ დაცული საძირკვლის ნაშთებია წარმოდგენილი.

ციხის შიდა ტერიტორიაზე ზედაპირულად შეინიშნება სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთებიც. ყველა მათგანი საძირკვლის დონემდეა დანგრეული ისე, რომ არცერთი მათგანის გეგმა არ იკითხება.


ციხე თავისი მშენებლობის სტილით საკმაოდ ადრეული ნაგებობა ჩანს. იგი შეიძლება დაახლოებით IX-X საუკუნეებით დათარიღდეს. შეინიშნება მოგვიანო პერიოდში მისი განახლებისა თუ გამოყენების კვალიც.

15. დაბაწვრილის ციხე

ციხე მდებარეობს არსიანის მთების შავშეთის ხეობისაკენ დაშვებული ერთ-ერთი ქედის ძირში არსებულ მოვაკებულ ტერიტორიაზე, სოფელ დაბაწვრილში //დაბაწვრულში. სოფლის თანამედროვე სახელწოდებაა მეშელი. აქ არსებული ტერიტორიები საკმაოდ დიდ სივრცეს

მოიცავს. სოფლიდან 3 კმ-ში მდებარეობს ე.წ. ყარაგოლის ტბა, რომელიც შავშეთის ცენტრიდან 23 კმ-თაა დაშორებული. იგი არცთუ ისე დიდი ზომისაა. მას დაახლოებით 12-15 ჰა ფართობი უჭირავს. ტბა, როგორც ჩანს, ძირითადად მიწისქვეშა წყლებით იკვებება. მის ირგვლივ რაიმე სერიოზული დასახლება არ ჩანს. გამოყენებულია მხოლოდ საზაფხულო დასავენებელ თუ გასართობ ცენტრად. ტბიდან, რამდენიმე კილომეტრში საზაფხულო იალაღებია. საკუთრივ სოფელი დაბაწრული 7 მაჰალესაგან (უბნისაგან) შედგება. ესენია: თავხეთი, ჭოლაძელარ (ჭოლაძეები), აგარა, მუყალელარ, კობაძელარ (კობაძეები), ხარაძელარ (ხარაძეები), დემირჯილარ (დემირჯები), ყარაბელარ. უშუალოდ ციხე კობაძეთა უბანშია აშენებული. იგი სოფლის ცენტრალური მონაკვეთია. მისთვის შემადგენელი პირამიდისებური ფორმის ბორცვი შეურჩევიათ. აქედან შესანიშნავად მოჩანს მთელი სოფელი, არსიანის ქედის სამხრეთ ფერდობებზე შეფენილი სოფლები თუ ტყიანი ზოლი. იგი ზემოდან გადაჰყურებს მთლიან შავშეთის ხეობას და პარალელურად აკონტროლებს (უყურებს, როგორც შავშეთში იტყვიან) აჭარისაკენ, ფოცხოვისა თუ არტაანისაკენ აქ გამავალ გზებს. ციხე მთისწინა ზოლში არსებული საფორტიფიკაციო ნაგებობაა. როგორც ჩანს, იგი მეფეაღყურებდა აქვე არსებულ საკმაოდ დიდი მოცულობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს, საძოვრებს და, რაც მთავარია, ალპურ საძოვრებთან დამაკავშირებელ ძველ გზებსაც. არაა გამორიცხული იგი ამ ტერიტორიების მფლობელი რომელიმე ფეოდალის რეზიდენციაც ყოფილიყო. საკუთრივ ციხემ ჩვენამდე საკმაოდ დაზიანებული სახით მოაღწია (ტაბ. VII, 1-10). შემორჩენილია კოშკის, გალავნის კედლების, კარიბჭის და დამატებითი დამცავი კედლების მცირე ნაწილი. ბორცვი საკმაოდ ძნელად მისადგომია. მისი ფერდობები წვერიდან მკვეთრად იხრება სოფლის სხვადასხვა მხარეებისაკენ. ბორცვის წვერზე თავის დროზე დაშენებული იყო წრიული ფორმის საკმაოდ დიდი მოცულობის კოშკი. იგი თითქმის საძირკვლის დონემდეა მორღვეული. შემორჩენილი ნაშთების მიხედვით, მის კონფიგურაციასა და ზომებზე წარმოდგენის შექმნა შეიძლება. კოშკის შიდა დიამეტრი 4,5 მეტრია. კედლების სისქე 1,10-1,20 მ-ია. აქა-იქ შემორჩენილი წყობებისა და ნაყარის მიხედვით ჩანს, რომ მის მშენებლობაში გამოყენებული იყო საკმაოდ კარგად დამუშავებული საშუალო ზომის ქვები. წყობაში რიგები მკვეთრად დაცულია (ტაბ. VII, 5,6,10). კოშკს სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან მიშენებული ჰქონდა საკმაოდ კარგად გამაგრებული და არქიტექტურული თვალსაზრისით კარგად გადაწყვეტილი კარიბჭე. იგი კოშკზე მიდგმულია სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან. კოშკი მინაშენიდან საკმაოდ წინაა გაწეული. სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში – კი უშუალოდ ბორცვის კედელზეა მიბჯენილი. ციხის მშენებლებს სწორედ ამ მონაკვეთში გაუმართავთ კოშკში შესასვლელი და შესაბამისადაც გაუმაგრებიათ. კერძოდ, კოშკის ამ მონაკვეთში ბორცვის ხარჯზე ჩაუჭრიათ 3,80 მ სიმაღლისა და 8,5 მ სიგრძის თხრილი. შემდეგ კი მთელ სიგრძეზე მიუშენებთ საკმაოდ ფართე (1,15 მეტრი) კედელი. კარიბჭის მონაკვეთში ორივე მხარეს ამოუყვანიათ 70 სმ. სისქის და ასევე 3 მ სიმაღლის დამცავი კედელი. იგი ძირითად კედელზეა მიდგმული. დამცავი კედლის შემდეგ, დამატებით, კარიბჭის თაღოვანი გადახურვისათვის ამოუშენებიათ მესამე რიგი კედლისა, რომელიც თავის მხრივ მიდგმულია დამცავ კედელზე. მისი სისქე 1,70 მ-ია. ასე რომ კარიბჭის მონაკვეთში არსებული სამმაგი დამცავი კედელი, რომელთაგანაც ბოლო, თაღოვანი გადახურვისთვისაა განკუთვნილი, რაც ციხის ამ მონაკვეთს საკმაოდ მიუვალსა და საიმედოდ დაცულს ხდიდა. ამჟამად დაცულია მხოლოდ თაღოვანი გადახურვის ნაწილი. უშუალოდ კარის მონაკვეთი თუ როგორ იყო გამართული, არ ჩანს. იგი, ალბათ, კოშკის დონეზე, საკმაოდ მაღლა, პირველ დამცავ კედელში უნდა ყოფილიყო დატანილი. შემორჩენილი ნაშთების მიხედვით ჩანს, რომ კარიბჭის გვერდითი კედლები, რომელიც ორივე მხრივ დამოუკიდებლად თუ მინაშენების ხარჯზე იყო შექმნილი, საკმაოდ მაღალი უნდა ყოფილიყო. მათგან კარიბჭის მარჯვენა მხარის კედლის დიდი ნაწილი მორღვეულია და საერთო ჯამში 3,80 მ-ის სიმაღლეზეა დაცული. მისი სიფართოე 1,70 მ-ია. სამაგიეროდ შედარებით კარგადაა შემონახული მარცხენა მხარის გვერდითი კედლის ნაწილი. მისი ორივე მხარე, როგორც კოშკის, ისე კარიბჭის მონაკვეთიდან დაზიანებულია. სამაგიეროდ, შემონახულია შუა ნაწილი 2,80 მ სიგრძეზე. გადარჩენილის მაქსიმალური სიმაღლე 7,5 მ-ს აღწევს. სიფართოე კი – 1,90 მ-ია. რაც შეეხება კარიბჭის ცენტრალური მონაკვეთის სიფართოეს, გვერდით კედლებს შორის 4,70 მ-ია.

ციხეს სამხრეთ-დასავლეთით ბორცვის ფერდობზე მთელს სიგრძეზე ჰქონდა დამატებითი დამცავი კედლების ორი რიგი. ისინი ტერასისებურადაა გამართული. პირველი მათგანი, კარიბჭის მონაკვეთიდან დაახლოებით 7-8 მ-ით იყო დაცილებული. იგი, როგორც შემორჩენილი ნაშთებიდან ჩანს, ბორცვს მთელ სიგრძეზე მიუყვებოდა და კარიბჭის წინ ქმნიდა საკმაოდ დიდ საბრძოლო მოედანს. ამჟამად დაცულია მისი მხოლოდ სამხრეთი მონაკვეთი – 4,5 მეტრის სიგრძეზე. იგი, როგორც ჩანს, საკმაოდ მაღალიც უნდა ყოფილიყო. ზედა ნაწილი მორღვეულია. დაცულის სიმაღლე – 2,80 მ-ია.



დაბაწვრილის ციხის გეგმა და ჭრილი.
შეასრულა გ. დუმბაძემ

მეორე რიგი დამცავი კედლისა პირველისაგან 5,6 მეტრითაა დაცილებული და თითქმის ბორცვის შუა მონაკვეთშია გაჭიმული 35 მ-ის სიგრძეზე. ჩანს, რომ იგი თავის დროზე საკმაოდ მაღალი უნდა ყოფილიყო. ამჟამად დაცული კედლების მაქსიმალური სიმაღლე 3 მ-მდე აღწევს, ხოლო მათი სისქე – 80-90 სმ-ია.

ასე რომ, დაბაწვრილის ციხის არქიტექტურა, რელიეფის სვეციფიკურობიდან გამომდინარე, საკმაოდ ორიგინალურადაა გააზრებული და გადაწყვეტილი. პირამიდისებური ფორმის ბორცვს, რომელიც სამხრეთ-საკმაოდ მკვეთრად დახრილი ფერდობებითაა წარმოდგენილი, დამატებით იცავდა ბორცვის წვერზე დაშენებული კოშკი. რაც შეეხება მის სამხრეთ-დასავლეთ კარიბჭის მონაკვეთს, სადაც ფერდობი შედარებით გაშლილია, შეუქმ-

ნიათ დამატებითი გამაგრების სისტემები, ბარიერები, რის გამოც ციხე მიუღვომელი ხდებოდა. ციხე თავისი მშენებლობის სტილით საკმაოდ არქაული ჩანს. კედლების შიგა და გარე პერანგებად გამოყენებულია კარგად დამუშავებული საშუალო ზომის ქვები. წყობის რიგები რეგულარულია. პერანგებს შორის სივრცე შევსილია ასევე საშუალო და მომცრო ზომის ქვებითა და თეთრი ფერის კირხსნარით. ნაგებობა შეიძლება, დაახლოებით, VIII-IX სს დათარიღდეს.

1.6. ბარაცხე (ჩაქველთა)

იმერხევის ხეობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განშტოებაა შავშეთისწყლის ხეობისა. ეს რეგიონი საგულდაგულოდ ყოფილა ჩაკეტილ-გამაგრებული და გადაჯაჭვული მთლიანი შავშეთის ერთიანი დაცვის სასიმაგრო ნაგებობათა სისტემასთან. ამ სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბარაცხის (ჩაქველთა, ციხისყელი) საფორტიფიკაციო ნაგებობას.

ჩაქველთას ციხე მდებარეობს მდ. იმერხევის შუაწელზე, მარცხენა მხარეს, მდ. ჩაქველთასწყლისა და იმერხევის ხერთვისში ხეობისაკენ წინ წამოხიდულ, უზარმაზარ შემადლებულ კლდოვან ბორცვზე (ტაბ. VIII-14,8). აქედან შესანიშნავად ჩანს როგორც იმერხევისწყლის მთელი ხეობა ოთხივე მიმართულებით, ისე შავშეთისწყლის აუზი კარგა მოზრდილ მანძილზე. იგი პირდაპირ გასცქერის ბაზგირეთისწყლის შუაწელზე მდებარე ხევწრულის, იმერხევის ხეობის სათავის ჩამკეტ იფხვრელის, უსტამისის (წყვთის) და სხვა ციხეებს, რითაც იგი შესანიშნავად ერთვება შავშეთის „ქვეყნის“ ერთიან თავდაცვის სისტემაში. საკუთრივ ციხე დაშენებულია არსიანის მთების ხეობისაკენ დაშვებული ქედის (მას ადგილობრივი მოსახლეობა ციხისყელსაც ეძახის) ბოლო მონაკვეთში არსებულ ვიწრო ყელის შემდეგ ბუნებრივად შექმნილი კლდოვანი სისტემის ერთ-ერთ წვერზე. იგი ზღვის დონიდან 982 მეტრზეა. ციხის სამხრეთი მონაკვეთი მთელ სიგრძეზე (მდ. ჩაქველთასწყლის მხარე) მკვეთრად დაქანებული კლდოვანი რელიეფითაა წარმოდგენილი და მიუვალია. ასეთივეა დასავლეთი მხარეც. ჩრდილოეთი დამრეცი ფერდობი ქვემოთ თანდათანობით ვაკდება და იმერხევისწყლისაკენ იშლება. რაც შეეხება ციხის აღმოსავლეთ მონაკვეთს, იგი შედარებით დაბალი კლდოვანი ფერდობითაა წარმოდგენილი. ციხეს აქვს ერთადერთი, ისიც საკმაოდ რთული და ვიწრო მისასვლელი გზა ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან. ციხის გეგმა მთლიანად ემორჩილება კლდოვან რელიეფს და მის მოხაზულობასაც ის განსაზღვრავს. ციხე წაგრძელებული ფორმისაა და რელიეფის შესაბამისად ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენაა გაწოლილი. კლდოვანი მასივი, რომელზედაც ციხეა აშენებული ონაგირის ფორმისაა. მის ორ საპირისპირო საერთო რელიეფისაგან ამოხიდულ კლდოვან კონცხზე ორი კოშკია დაშენებული. კოშკებს შორის არსებული სივრცე კი გალავნის კედლებს შიგნითაა მოქცეული. არსებული მონაცემების მიხედვით, ციხის მშენებლობაში ორი საამშენებლო დონე შეიძლება გამოიყოს. ადრეული (IX-X სს) საამშენებლო დონე შედარებით კარგადაა დაცული ციხის სამხრეთი და ჩრდილოეთი გალავნის კედლების შემორჩენილ ნაშთებში. აქ ერთბაშად გვხვდება ორი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული გალავნის კედლების წყობა. ადრეულისათვის დამახასიათებელია შედარებით რეგულარული წყობა და საგანგებოდ შერჩეული, გარეხედაპირჩამოსწორებული თანაბარი ზომის ქვები. ამასთან მათი შემაკავშირებელი დუღაბის ფერიც სრულიად განსხვავებულია და უფრო მოთეთროა. მათი ნაშთები, რომელიც აქა-იქაა წარმოდგენილი თითქმის საძირკვლის დონემდეა მორღვეული. შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე – 40-70 სმ-ს აღწევს. მშენებლობაში გამოყენებულია თეთრი ფერის კირხსნარი. როგორც ჩანს, ციხე, რომელიც ადრე ფუნქციონირებდა, მტრის შემოსევების შედეგად დაინგრა და გვიანშუასაუკუნეებში იქვე აღმართეს ახალი საფორტიფიკაციო ნაგებობა. მისი მშენებლობის ხელოვნებაც სრულად განსხვავდება ადრეულისაგან. აქ ციხის გალავნისა თუ კოშკების მშენებლობისას გამოყენებულია ქვიშა-ქვის, ფიქალის თუ აქა-იქ რიყის დამუშავებული ქვები. ისინი ერთმანეთთან გვერდებით კარგადაა მორგებული და შეკრულია მოვარდისფრო კირხსნარით. ქვის წყობაში რიგები არაა დაცული. ორი სხვადასხვა ეპოქის საამშენებლო დონეები გვხვდება ციხის გალავნის სხვა მონაკვეთებშიც. რაც შეეხება ციხის საერთო გეგმას, იგი არაწესიერი


ტრაპეციისებური ფორმისაა და მისი მოხაზულობა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, რელიეფის თავისებურებითაა განპირობებული. მშენებლებს ციხის გეგმა რელიეფისათვის მოურგაოთ და ბუნებრივი შესაძლებლობანი, უპირველეს ყოვლისა კედლის ფრიალო შევრილები, რაციონალურად გამოუყენებიათ. მისი შიდა ფართობი დაახლოებით 700-800 კვადრატული მეტრია.

ციხის კომპლექსში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აღმოსავლეთის კოშკი. იგი ციხის საერთო რელიეფიდან აზიდულ შემადგებულ კლდოვან კონცხზეა დაშენებული (ზღვის დონიდან 989 მ). იგი ოთხკუხა ფორმისაა, გარედან მომრგვალებული კუთხეებით. კოშკი კუთხეებით ქვეყნის მხარეებისაკენაა მიმართული. იგი მრავალსართულიანი ჩანს. ამაჟამად შემორჩენილია მხოლოდ ორი სართული. ქვედა სართული კარის ღიობს არ შეიცავს. როგორც ჩანს, მასში შესვლა მეორე სართულიდან შეიძლებოდა, სადაც იატაკის დონიდან 2,80 მ-ის სიმაღლეზე დასავლეთის მხრიდან შექმნილია კარის ღიობი. მისი სიმაღლე 1,40 მ-ია, სიგანე – 82 სმ. კოშკის ქვედა სარტყლის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში დატანილია ვიწრო ღიობი, რომელიც, როგორც ჩანს, სინათლის ერთადერთი წყარო იყო. მას ამავე დროს სათვალთვალო ფუნქციაც უნდა ჰქონოდა. მისი სიმაღლე 45 სმ-ია, სიგანე – 25 სმ. კოშკის შიგნით, ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლებში 2,30 მ-ის სიმაღლეზე დატანილია სართულშუა გადახურვისათვის საჭირო კოჭების ბუდეები. კოშკის შიდა ზომებია: 2,30X1,90 მ; კედლის სისქე კი – 1,80 მ-ია. მთლიანი კოშკის შემორჩენილი ნაწილის მაქსიმალური სიმაღლე – 5,90 მ-ია.

კოშკის დასავლეთით, ციხის საერთო რელიეფიდან შემადგებულ კლდოვან ბორცვზე დაშენებულია მეორე კოშკიც (ზღვის დონიდან 989 მ). კოშკები ერთმანეთისაგან დაცილებულია 26,5 მეტრით. დასავლეთის კოშკი შედარებით მცირე მოცულობისაა და 3 მეტრით მაღლაა ზღვის დონიდან პირველ კოშკთან შედარებით. ისიც ოთხკუთა ფორმისაა, ოღონდაც გარედან I კოშკის მსგავსად, გარდა დასავლეთის კედლისა, კუთხეები აქვს მომრგვალებული. ეს კოშკიც მრავალსართულიანი უნდა ყოფილიყო. მისი პირველი სართულიც არ შეიცავდა კარის ღიობს. მასში შეღწევაც კოშკის აღმოსავლეთით, ციხის შიგნით მოქცეულ კედელში 2,5 მ-ის სიმაღლის შესასვლელით შეიძლებოდა. II სართულის იატაკისათვის 2,40 მ-ზე კედელში დატანილია კოჭებისათვის განკუთვნილი ბუდეები. კოშკის ამაჟამად შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 5,20 მ-ია. კედლების სისქე კი – 1,80 მ-ია.

რაც შეეხება ციხის გალავნის კედლებს, ისინი საკმაოდ დანგრეულია. აღმოსავლეთის გალავნის კედლების მოყვანილობა არასწორხაზოვანია. მის ცენტრალურ მონაკვეთში ჩაშენებულია ზემოთ აღწერილი კოშკი. შედარებით კარგადაა დაცული აღმოსავლეთი გალავნის კედლის ის მონაკვეთი, რომელიც კოშკზე ჩრდილო დასავლეთითაა მიშენებული. იგი რელიეფის შესაბამისად კლდოვან ფერდობზე დასავლეთით ეშვება, შემდეგ ქმნის მართ კუთხეს და ჩრდილოეთის გალავნის კედელს უერთდება. მისი ბოლო მონაკვეთი საძირკვლის დონემდეა მორღვეული. რაც შეეხება გალავნის აღმოსავლეთი კედლის სამხრეთ მონაკვეთს, ისიც თავის დროზე კოშკზე იყო მიშენებული. კედლის შევრილებზე შემოჩენილი დუღაბისა და ქვის წყობის ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ კედელი აქაც, რელიეფის შესაბამისად, დაბლა ეშვებოდა და ებმოდა დასავლეთის კედელს. გალავნის კედლის სიფართე ამ მონაკვეთში 1,20 მ-ს არ აღემატებოდა.

გალავნის დასავლეთი კედლის მოხაზულობასაც რელიეფი განსაზღვრავს. შუა ნაწილში აქაც მეორე კოშკია ჩაშენებული. კოშკის ორივე მხარეს მიშენებული კედლებისათვის საძირკვლად სალი კედლის ბუნებრივი შევრილებია გამოყენებული. შედარებით კარგადაა დაცული გალავნის დასავლეთი კედლის ჩრდილოეთი მონაკვეთი. იგი ირიბად ეშვება ქვემოთ და ჩრდილოეთის კედელს ებმის. აქ კედლის წყობის რამდენიმე რიგია შემონახული. მაქსიმალური სიმაღლე 1,20 მ-ს აღწევს. კედლის სიფართე კი – 1 მეტრია. რაც შეეხება კოშკიდან სამხრეთით გალავნის კედლის გაგრძელებას, ისიც უცვებ ეშვება ქვემოთ და გალავნის სამხრეთ კედელს ებმის. გალავნის დასავლეთი კედლის ეს მონაკვეთი თითქმის მთლიანადაა დანგრეული. აქა-იქაა შემორჩენილი მხოლოდ საძირკვლის ფრაგმენტები.



ბარაცის (ჩაქველოს) გეგმა .
შეასრულა გ. ყიფიანმა

ციხის სამხრეთი გალავნის კედელიც არასწორხაზოვანია. მისი ადრეული საძირკვლის ნაშთები, თუ შედარებით მოგვიანო პერიოდის კედლების დიდი ნაწილი უშუალოდ კლდეზე, ხოლო ცენტრალური მონაკვეთი თიხნარ ქანზეა დაშენებული. ეს უკანასკნელი დროთა განმავლობაში ჩამორეცხილა და ბუნებრივია ზედ აღმართული გალავნის კედელიც ჩამოშლილა. ასე, რომ მთელს სიგრძეზე მხოლოდ და მხოლოდ კედლის ნაშთები შემოგვრჩა უკიდურეს დასავლეთ და აღმოსავლეთ კუთხეებში. შედარებით სწორხაზოვანია ციხის ჩრდილოეთი გალავნის კედელი. იგი ამავე დროს შედარებით უკეთაა შემონახული. მის საძირკვლად უმეტესწილად გამოყენებულია კლდის შეკერილები, თუმცა აქა-იქ გვხვდება თიხნარ ნიადგზე დაფუძნებული კედლებიც. გალავნის კედლის ამ მონაკვეთშიც საკმაოდ კარგად შეინიშნება ორი საამშენებლო პერიოდი, თუმცა შემორჩენილი კედლების დიდი ნაწილი II საამშენებლო დონისაა. გალავნის კედელი თითქმის მთელ სიგრძეზე საკმაოდ კარგადაა დაცული. მთლიანად ჩამოშლილია მხოლოდ მისი უკიდურესი აღმოსავლეთი მონაკვეთი 5,5 მ-ის სიგრძეზე. როგორც ჩამონაშალი კედლის მასაზე დაკვირვებით ჩანს, სწორედ აქ უნდა ყოფილიყო შიდა მხრიდან მიშენებული საკმაოდ დიდი მოცულობის წყლის რეზერვუარი.

შემორჩენილი გალავნის კედლის მაქსიმალური სიმაღლე 6,6 მ-ს აღემატება, კედლის სისქე 1,20 მ-ს აღწევს.

ციხის შიდა ტერიტორიაზე დაკვირვებით ჩანს, რომ აქ თავის დროზე გამართული უნდა ყოფილიყო სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები. ისინი დროთა განმავლობაში საძირკვლის დონემდეა გასწორებული. დღემდე მოაღწია მეტ-ნაკლებად დაზიანებული სახით წყლის ორმა რეზერვუარმა (ტაბ. VIII, 5,7). მათგან პირველი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, გალავნის ჩრდილოეთი კედლის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში იყო გამართული. წყლის I რეზერვუარი ნახევარწრისებური ფორმისაა. იგი ჩამონაშალი გალავნის კედელთან ერთად იქვე ახლოსაა შემოკავებული. ჩანს, რომ რეზერვუარი შიგა მხრიდან უშუალოდ კედელზე იყო მიშენებული. მისი ამჟამად შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 3,20 მ-ია, დიამეტრიც – 1,30 მ. რეზერვუარის შიგა კედლების ძირი საკმაოდ სქელი (10-15 სმ) კირხსნარის მასითაა დაფარული. მეორე რეზერვუარიც საკმაოდ კარგადაა შენახული. ამჟამად მისი შემორჩენილი მაქსიმალური შიდა სიმაღლე ძირიდან 2,35 მ-ია. მისი დიამეტრიც – 1,30 მეტრი. ამ რეზერვუარის კედლებიც და ძირიც სქელი კირხსნარითაა დაფარული. ორივე მათგანი წვიმის წყლების შესაგროვებლად იყო გამოყენებული.

ციხის შიდა ტერიტორიაზე, როგორც ყველგან, აქაც ჩანს ე.წ. „მოხალისე არქეოლოგების“ საქმიანობის საკმაოდ ძლიერი კვალი. ამონაყარი მიწის გროვებში მრავლად გვხვდება სხვადასხვა დანიშნულების კერამიკული ნაწარმი. ისინი უმთავრესად ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი. მათში ჭარბობს დოქების, სასმისების, ჯამების, ქოთნების, ქვევრების, დერგების თუ სხვათა ნატეხები. გვხვდება თითო-ორთა ცალი ერთფრად (მწვანედ, ყვითლად) თუ მრავალფრად მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტებიც. ეს მასალები თავისი ფორმებით, დამზადების ტექნიკით ძირითადად XI-XIII საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. თუმცა გვხვდება უფრო ადრეული თუ მოგვიანო პერიოდის ნიმუშებიც.

ციხის არქიტექტურაზე დაკვირვება საშუალებას იძლევა მის მშენებლობაში გამოვეყნოთ ორი პერიოდი. ადრეული კედლებისათვის, რომელიც შეიძლება IX-X საუკუნეებით დათარიღდეს, დამახასიათებელია შედარებით რეგულარული წყობა და საგანგებოდ შერჩეული გარეხედაპირჩამოსწორებული თანაბარი ზომის ქვები. ისინი დაწყობილია დუღაბის საკმაოდ სქელ ფენაზე. შემაკავშირებელი დუღაბის ფერიც განსხვავებულია და უფრო მოთეთროა. წყობაში ძირითადად გვხვდება 20-25 სმ სისქის ქვები. მისი სიგრძე 25-35 სმ-ის ფარგლებშია. უფრო იშვიათად, ძირითადად კუთხეების გადაბმის ადგილას გვხვდება 40-45 სმ სიგრძის ქვებიც. რაც შეეხება მეორე საამშენებლო დონეს, რომელიც შედარებით მოგვიანო პერიოდისაა, სრულიად განსხვავდება პირველისაგან. ამ ეპოქის გალავნის თუ კოშკების ახლად-დაშენებული კედლების გამართვისას ძირითადად გამოყენებულია ქვიშა-ქვის, ფიქალისა თუ აქა-იქ მდინარის რიყის დამუშავებული ქვები. ისინი ერთმანეთთან გვერდებით კარგადაა მორგებული და შეკრულია მოვარდისფრო კირხსნარით. ქვის წყობაში უმეტესწილად რიგები არაა დაცული. ვიწრო ქვები შედარებით ღრმადაა ჩამჯდარი კედელში, რაც უზრუნველყოფს პერანგის და საერთოდ კედლის სიმტკიცეს. განსხვავებულია I და II საამშენებლო დონის ქვების ფერიც და ზომებიც. რეგიონის ისტორიული პროცესების გათვალისწინებით, არქიტექტურულ და მწირ არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით უნდა ვიფიქროთ, რომ ციხე აქ ჯერ კიდევ საკმაოდ ადრე, დაახლოებით IX-X საუკუნეებში აღუშენებია. შემდეგში იგი დაინგრა, ხოლო მოგვიანებით, ოსმალთა შემოსევების წინა პერიოდში, კვლავ აღადგინეს. ეს ბუნებრივია, რადგან ციხეს თავისი სტრატეგიული ადგილმდებარეობის გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ყველა დროში. მას ხეობის სათავეში მდებარე იფხვრელის ციხესთან ერთად შეეძლო ჩაეკეტა მდინარის სათავეები და ამავე დროს გაეკონტროლებინა შიდა თუ გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი გზები.


17. იფხვრელის ციხე

იფხვრელის ციხე მდებარეობს იმერხევის ხეობის სათავეში, მდინარის მარცხენა სანაპიროზე. ადგილობრივი მოსახლეობა მას იმნიშნის ციხესაც უწოდებს.

ხეობა შუა წელს ზემოთ, რაც მაღლა მიდის თანდათანობით ვიწროვდება და მისი ფრიალო, კლდოვანი ფერდობები მდინარის ნაპირებს უფრო და უფრო უახლოვდება. ხეობა

სოფ. იფხრეულის მისადგომებიდან შედარებით იშლება და მდინარის მარცხენა სანაპიროზე ქმნის კარგა მოზრდილ შემადღებულ ტერასას, რომელზედაც თანამედროვე სოფელია გაშენებული. სოფელში არსებული მიწისზედა მატერიალური თუ ნივთიერი კულტურის ძეგლების (ციხე, სახიზარები, ქვის თაღიანი ხიდი, ნასაყდრალი, ქვევრის ნატეხები და სხვა) სიმრავლით დასტურდება, რომ აქ ადრეული ეპოქებიდან, განსაკუთრებით შუა საუკუნეებში, საკმაოდ ინტენსიური დასახლება უნდა ყოფილიყო.

სოფლის შესასვლელში არსიანის მთებიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მერიდიანულად ეშვება უსახელო ქედი. ეს განშტოება მთავარი ქედისა ვიწრო ყელით უერთდება ხეობისაკენ წინ წაზიდულ შემადღებულ კლდოვან ბორცვს და ქმნის დიდ ბუნებრივ სიმაგრეს. სწორედ ამ კლდოვან ბორცვზე ზღვის დონიდან 1364 მეტრზეა დაშენებული ციხეც (ტაბ. IX, 1-4). აქედან შესანიშნავად ჩანს მთელი ხეობა ყველა მხრივ. იგი პირდაპირ გასცქერის აჭარა-შავშეთის, კარჩხლის თუ არსიანის ქედების მწვერვალებს და მათ ფერდობებზე შეფენილ სოფლებს თუ ალაპურ საძოვრებს. ციხე ჩართულია შავშეთის ერთიანი თავდაცვის სისტემაში. იგი გაჰყურებს ჩაქველთას, უსტამისის (წეფთის) თუ სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობებს, რომლებიც თავის მხრივ მთლიანი რეგიონის წამყვანი ძეგლებია. შეიძლება ითქვას, იფხრელის ციხე ბატონობს მთელს ხეობაზე და ამავე დროს მის ძირში თუ ზემოთ არსებულ სამეურნეო დანიშნულების საკმაოდ დიდ სივრცეზე. ამასთან ციხის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია უნდა ყოფილიყო მთასთან, საზაფხულო იალაღებთან, ზემო აჭარის სხვადასხვა (სხალთის, მარეთის, უჩამბის) ხეობის და მთლიანად აჭარისწყლის ზღვისპირეთთან თუ ხიხანის ციხის ძირში სამცხე-ჯავახეთისაკენ გამავალი გზების გაკონტროლება.



იფხრეულის ციხის გეგმა.

შეასრულა გ. ყიფიანმა

ციხე რელიეფის შესაბამისად ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენაა დამხრობილი. იგი სამხრივ – აღმოსავლეთით, სამხრეთით და ნაწილობრივ დასავლეთით მიუვალია და ფრიალო კლდეები თითქმის ვერტიკალურად საკმაოდ ღრმად ჩატრილი ხეობისაკენ ეშვებიან. ციხეს აქვს ერთადერთი საკმაოდ ვიწრო მისასვლელი ჩრდილო დასავლეთიდან. ციხის გეგმას საკუთრივ კლდოვანი ბორცვის კონფიგურაცია განსაზღვრავს. გალაენის კედლები კლდის გარეკიდებზეა დაშენებული ისე, რომ კედლები ხშირ შემთხვევაში ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს, ციხის შიდა ტერიტორიის მაქსიმალური სიგრძე 21 მეტრია, სიგანე – 13,5 მეტრი.

ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთი გალაენის კედელი, კლდოვანი რელიეფის შესაბამისად რკალს ქმნის, იგი საკმაოდ დაზიანებულია და ზოგან თითქმის საძირკვლის დონემდეა მორღვეული. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 7-8 მეტრს აღწევს, სიფართო

კი – 1,20-1,30 მეტრს. შედარებით კარგადაა შემონახული ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. იგი ტეხილი მოყვანილობისაა. ცენტრალურ ნაწილში კედლები ორ ტეხილ მონაკვეთს შორის რამდენადმე შიგნითაა შეწეული. აქ შემორჩენილი კედლის მაქსიმალური სიმაღლე 8 მ-ს აღწევს, ხოლო მათი სისქე – 0,9-1 მ-ს შორის მერყეობს. კედლის სივიწროვე ამ მხარეს, მისი ბუნებრივი დაცულობით უნდა აიხსნას. აღმოსავლეთის მხრიდან კედლები შედარებით კარგადაა შემორჩენილი. ისინი დიდ სიმაღლეზე აპირკეთებენ კლდოვან მასივს და 15-18 მ-ის სიმაღლეს აღწევენ. დასავლეთი კედლის მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთი მონაკვეთია დაცული. რაც შეეხება მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს, იგი საძირკვლის დონემდეა მორღვეული. მის კონფიგურაციაზე წარმოდგენა მხოლოდ კედლის გარეკედების მიმართულებისა და აქა-იქ შემორჩენილი დუღაბის ფრაგმენტებით თუ შეიძლება ვიქონიოთ.

გალაგნის კედლების დიდი ნაწილის წყობა არარეგულარულია. აქა-იქ გვხვდება რეგულარული წყობის ნაშთებიც. საპირე ქვებად გამოყენებულია უხეშად გარეხედაპირჩამოსწორებული სხვადასხვა ზომისა და სიფართის ქვები. დუღაბი მოთეთრო ფერისაა.

ციხის შიდა ტერიტორიაზე ნანგრევებს შორის ჩანს სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები. მათგან შეიძლება გამოიყოს ციხის შიდა სივრცეში, ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, უშუალოდ კედელთან მიშენებული თაღოვანი ნაგებობის ნაშთები. შესაძლოა, იგი აკლდამაც იყოს. მისი თაღი რამდენადმე შეისრული მოყვანილობისაა.

ციხე შეიძლება დაახლოებით IX-X საუკუნეებით დათარიღდეს. თუმცა არაა გამორიცხული მისი მოგვიანო პერიოდში შეკეთება-გამაგრება და შესაბამისად გამოყენებაც კი.

სოფლის შუა ნაწილში, იქ სადაც აქაური მცხოვრებლების მეჭმედ ქესკინის, ჰასან თურანის, ოსმან ავჯის და სხვათა მიწის ნაკვეთებია, არის მონოლითური ქვებისაგან ნაგები სახიზარები (ტაბ. IX, 5-8). ვიზუალურად კარგად ჩანს ის ნაგებობა, რომელსაც ცენტრალური შესასვლელი მეჭმედ ქესკინის ეზოს მხრიდან აქვს. კედლების მიხედვით ჩანს, რომ იგი საკმაოდ დიდი მოცულობისაა და სოფლის თავში არსებული დამრეცი ბორცვის ძირშია მიდგმული. მისი კედლები სამხრეთ (აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით) კარგად ჩანს, რაც შეეხება ჩრდილოეთ მხარეს, მას ფერდობი ფარავს. ნაგებობა წრიული ფორმის ჩანს. მისი კედლები საკმაოდ მაღალია. მაქსიმალური სიმაღლე 5-6 მეტრს აღწევს. კედლების წყობაში გამოყენებულია დიდი ზომის რიყის ქვები. სახიზარის დიდი ნაწილი საკმაოდ დიდ ფართობზე სწორია, ნაწილი ფერდობის სიღრმეშია შეჭრილი და არ ჩანს. ნაგებობას აქვს ერთადერთი შესასვლელი სამხრეთ-დასავლეთიდან. შესასვლელის მარჯვენა მხარის ორი, ხოლო მარცხენასი სამი რიგი ნაგებია განსაკუთრებით დიდი ზომის ქვებით. მისი კამარა (სისქე – 60-70 სმ) თაღოვანი გადახურვისაა. სიმაღლე ძირიდან 2,7-3 მ-ს აღწევს, მთლიანი შესასვლელი მონაკვეთის სიგრძე 5 მ-ია, სიფართე – 3,70 მ. ცენტრალური შესასვლელიდან 5 მეტრის სიღრმეში, ჩამკეტი კედელი ასევე დიდი ზომის ქვებითაა ამოყორილი. მის მარჯვენა მხარეს დატანილია შედარებით პატარა ზომის კარი. ეს სივრცე კარისა, ამჟამად ჩამოწოლილი ქვებითაა შევსილი. ადგილობრივთა გადმოცემით, ადრე ამ კარით საკმაოდ ღრმად შეიძლებოდა შიგნით შესვლა. ქვის წყობები შიგნითაც გრძელდებოდა. ცენტრალური შესასვლელის გვერდითი კედლები საკმაოდ ფართოა. მისი სისქე გარეპირთან 1,5-2 მ-ია. როგორც კედლების, ისე თაღოვანი გადახურვის მონაკვეთში გამოყენებულია 60-70 სმ სიგრძისა და 20-25 სმ სისქის ქვები. ისინი თაღიანი ხიდების მშენებლობის პრინციპზეა დალაგებული. მსგავსი სახიზარები ბევრია სოფელში. ნაგებობის კედლებისა თუ ცენტრალური შესასვლელი მონაკვეთის კედლების წყობაში დუღაბი არაა გამოყენებული. ნაგებობა საკმაოდ ადრეული ჩანს.

მოსახლეობის ინფორმაციით, სოფელში ეკლესიაც უნდა ყოფილიყო. იმ ადგილს, სადაც ეკლესიის არსებობაზე მიუთიებენ, ნასაყდრალს უწოდებენ. ტერიტორიის დათვალიერებით ზედაპირულად არაფერი არ ჩანს. მიწის დიდი ნაწილი ამჟამად სიმინდის თუ ლობიოს ნათესებისათვისაა გამოყენებული.


სოფლის ბოლოს, იქ საიდანაც ჩირუხისაკენ თუ აჭარის სხვა სოფლებისაკენ გზები მიემართება, არის კარგად დაცული ქვის თაღიანი ხიდიც. მას ადგილობრივი მოსახლეობა „ტაშქოფრის“, იფხრეელის ხიდს უწოდებს. მის შესახებ სხვა ადგილას გვექნება შედარებით ვრცლად საუბარი.

სოფელ იფხვრელში სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობების კონცენტრაცია შემთხვევითი არაა. ჩანს, რომ სოფელი ადრეულ ეპოქებში და განსაკუთრებით შუა საუკუნეებში, საკმაოდ ინტენსიურად ყოფილა დასახლებულ-ათვისებული. აქ არსებული ციხის გეოგრაფიული მდებარეობა მკაფიოდ გვიჩვენებს მისი წარმოქმნის ეკონომიკურ საფუძველს. მას გაბატონებული მდგომარეობა ეკავა ხეობის სათავეში არსებულ საკმაოდ მოზრდილ ველზე, მთისწინა ზოლის მდიდარ საძოვრებზე და რაც მთავარია სოფელთან ახლოს მდებარე საზაფხულო იალაღებზე, რომელთაც მესაქონლეობის განვითარებისათვის საარსებო მნიშვნელობა ჰქონდა. ციხე, რომელიც სოფელს ზემოდან გადმოჰყურებს, კეტავს მთლიანად ხეობას სათავეებში. იგი შესანიშნავად აკონტროლებს აქ გამავალ ცენტრალურ ტრასას, რომელიც ერთი მხრივ ს. ივეთისა და ფაფართის უღელტეხილით გადადიოდა გოგაძეებში, უჩამბის (სამოლეთის) წყლის ხეობით ეშვება ოქროპილაურის ციხემდე, ხოლო შემდეგ უერთდება აჭარის წყლის ხეობაზე გამავალ ცენტრალურ ტრასას. ამ ტრასას აკონტროლებდა საკუთრივ იმერხევის ხეობაში არსებული ჩაქველთას და ხევწრულის გარდა, აჭარა-შავშეთის ქედს გადმოდმა უჩამბის წყლის ხეობაში არსებული ცინარეთისა და ოქროპილაურის ციხეებიც. იგი ერთ-ერთი უმოკლესი გზა იყო აჭარის წყლის ხეობის შუა წელის მოსახლეობის შავშეთთან და შემდეგ არტანუჯთან დაკავშირებისა. მეორე მხრივ ხეობის სათავეებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა გადავიდოდა ჩირუხში და იქედან ცნობილი ხიხანის ციხის ძირში, ან კიდევ კალთის წყლის დაყოლებით ციხისყელისა და ვარდციხის მიდამოებში უერთდებოდა ბათუმ-ახალციხე-არტანის ცენტრალურ ტრასას. ჩირუხიდან მარეთის წყლის ხეობით დარჩიძეების (გოგოლაურის) ციხის ძირში გავლით ასევე შეიძლებოდა შუახევში, აჭარის წყლის ხეობაში გამავალ ცენტრალურ არტერიასთან დაკავშირება. ასე, რომ იფხვრელის ციხე ჩაქველთას, თუ სხვა საფორტიფიკაციო ნაგებობებთან ერთად, არამარტო ახორციელებდა კონტროლს აქ გამავალ მაგისტრალზე, არამედ ამ გზით დაკავშირებულ მხარეებზეც.

1.8. ხევწრულის ციხე

ციხე იმერხევის წყლის მარჯვენა შენაკად ბაზგირეთის ხეობაში, სოფელ ხევწრულშია აშენებული. აქაც, როგორც მთლიანად შავშეთში, მოსახლეობა თავისი სოფლის სახელწოდებით მოიხსენიებს მდინარეების სახელწოდებას. ისე კი, როგორც ჩანს, მთლიანად ამ ხეობას, ბაზგირეთის ხეობა ჰქვია. ბაზგირეთია სწორედ ხეობის სათავეში და ამავე დროს ყველაზე დიდი სოფელიც. მისი სახელი გამოჰყვა მდინარესაც და, შესაბამისად, ხეობას ბოლომდე. რაც შეეხება ხევწრულს, იგი ბაზგირეთის მარცხენა მხარეს მდებარეობს. ციხეც სოფლის განაპირა მხარეს ზღვის დონიდან 1452 მეტრზე, ხეობისაკენ წინ წაზიდული კლდის თხემზეა დაშენებული (ტაბ. X, 1-5). ხეობა განსაკუთრებით ამ მონაკვეთში ღრმადაა ჩაჭრილი და ამავე დროს ვიწროცაა. არაა გამორიცხული სოფლის სახელწოდებაც (ხევწრული) სწორედ თვით ხეობის ხასიათიდან მომდინარეობდეს. ციხის გეგმას თვით კლდის რელიეფი განსაზღვრავს. იგი წარმოადგენს ოვალური მოყვანილობის ზედაპირს, რომელიც განაპირობებს ციხის კონფიგურაციას. თხემის სიგრძე – 10,50 მეტრია, ხოლო სიგანე – 8 მეტრი. მთლიანი ციხის შიდა ფართობი დაახლოებით 80-90 მ²-ია. შედარებით კარგადაა შემონახული ციხის აღმოსავლეთი, ნაწილობრივ სამხრეთი და ჩრდილოეთი გალავნის კედლების ნაშთები. დანარჩენი თუ მხედველობაში არ მივიღებთ აქა-იქ დაცული კედლების ფრაგმენტებს, თითქმის საძირკვლების დონემდეა მორღვეული. ციხე სამხრეთ – სამხრეთით, დასავლეთით და ნაწილობრივ აღმოსავლეთით მიუვალი იყო. რაც შეეხება ჩრდილოეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის ნაწილს, სადაც ციხის კონცხი ქედთან ვიწრო ყელითაა მიბმული, შედარებით სუსტადაა დაცული. ციხის მშენებლებს ეს თავის დროზე კარგად გაუთვალისწინებიათ და შესაბამისად გალავნის კედელი აქ ორმაგი წყობით გაუსქელებიათ და საგულდაგულოდ გაუმაგრებიათ. კედლის სისქე ამ მონაკვეთში 2,40 მ-ს აღწევს. აქვე დაუტანებიათ ორი სათვალთვალო ღიობი. მათგან ერთერთი ისრისებური ფორმისაა. იგი დასაწყისში შედარებით ფართო და მაღალია (40X50სმ), გარეთ თანდათანობით ვიწროვდება. შედარებით ყველაზე კარგადაა მოღწეული ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. აქ გალავნის კედლები უშუალოდ ბაზგირეთის წყლამდე დაშვებული ფრიალო კლდის თავის შვერილებზეა დაშე-

ნებული, ისე რომ კლდე კედლებთან ერთად ქმნის მწკობრ გამაგრებულ, მიუვალ მთლიანობას. კედლები აქ კლდის შვერილების შესაბამისად სხვადასხვა სიმაღლისაა. ცენტრალურ მონაკვეთში დღემდე შემორჩენილი კედლის მაქსიმალური სიმაღლე 11 მეტრს აღემატება. სისქე კი – 1,20 მეტრია. რაც შეეხება ციხის სამხრეთი მონაკვეთის დიდ ნაწილს და დასავლეთი კედლის სამხრეთ მონაკვეთს, თითქმის საძირკვლის დონემდეა დანგრეული. შემორჩენილი ფრაგმენტებისა და კლდის შვერილებზე დარჩენილი დუღაბის ნაშთების მიხედვით შესაძლებელი ხდება გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ ციხის ამ მონაკვეთის კედლების კონფიგურაციაზე. გალაუნის კედელი სწორედ ამ მონაკვეთში ქმნიდა ნახევარწრისებურ მორკალებას, შემდეგ კი ვრცელდებოდა სწორხაზოვნად ჩრდილოეთით. საკუთრივ ციხის დასავლეთი კედლიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ მცირე ნაშთებმა. შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 1,70 მეტრია. პერანგშემოცლილი კედლის სისქე კი – 80 სანტიმეტრია. დასავლეთით კედლის ჩრდილოეთი მონაკვეთი და ჩრდილოეთი კედლის დიდი ნაწილი მთლიანად დანგრეულია. ციხეს ემჩნევა მოგვიანო პერიოდში გამოყენების კვალიც. ეს კარგად ჩანს გალაუნის კედლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში დღემდე მოღწეული ნაშთებითაც. სწორედ აქ შეინიშნება ადრეულისაგან სრულიად განსხვავებული მშენებლობის ტექნიკა. დაცულია მოვარდისფრო ქვითკირისა და დაუმუშავებელი, სხვადასხვა ზომის ქვებისაგან შექმნილი კონტრფორსების მსგავსი შესქელებანი. მისი დიდი ნაწილიც ამჟამად დაზიანებულია. რაც შეეხება ციხის ძირითადი ნაწილის კედლების მშენებლობის ხელოვნებას, იგი არქაული ხასიათისაა. წყობაში გამოყენებულია საშუალო ზომის (30X30სმ) კვადრები. მათი საფასადო გარე ზედაპირი საკმაოდ კარგადაა დამუშავებული. წყობა რეგულარული ხასიათისაა და გამოყენებულია თეთრი ფერის კირხსნარის საკმაოდ სქელი მასა.



ხევწრულის ციხის გეგმა.
შეასრულა გ. ყიფიანმა

ციხის შიდა ტერიტორიაზე შეინიშნება სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთებიც. ისინი საძირკვლის დონემდეა მორღვეული. მათი ფრაგმენტები აქა-იქ ჩანს განძის-მაძიებელთა განათხარ ფენებში.

ვფიქრობთ, ციხე თავისი მშენებლობის ტექნიკით საკმაოდ ადრეული ეპოქებით, კერძოდ IX-X საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. თუმცა ჩანს მისი მოგვიანო პერიოდში გამოყენებისა და შესაბამისად აქა-იქ მისი აღდგენისა თუ გამაგრების კვალიც.

ციხე, როგორც ჩანს, მეტნაკლები დატვირთვით ყველა დროში ფუნქციონირებდა. მისი ძირითადი დანიშნულება უნდა ყოფილიყო ბაზგირეთისწყლის ხეობის ბოლო მონაკვეთის ჩაკეტვა. ხეობა სათავეებში ალპური მდელოებითა და საკმაოდ რთული ბუნებრივი რელიეფით ისედაც კარგად იყო დაცული. ციხე უზრუნველყოფდა ბაზგირეთისა და იმერხევის წყლების შესართავიდან ალპურ მდელოებამდე არსებული საკმაოდ დიდი მონაკვეთის გაკონტროლებას, დაცვას.

ასევე ციხის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია უნდა ყოფილიყო აქ გამავალი გზების კონტროლიც. იგი უშუალოდ გადაჰყურებდა და კეტავდა იმ გზას, რომელიც იმერხევისა და ბაზგირეთისწყლების ხერთვისიდან იწყებოდა, გაივლიდა სოფლებს უბეს, დაბას, ხევწრულს, ბაზგირეთს, გამეშეთს და აღიოდა საზგირელზე, სადაც ალპური საძოვრებია. თავის მხრივ საზგირელი ის წყალგამყოფი ქედია (ზღვის დონიდან 2357 მ), საიდანაც საკმაოდ ბევრი მდინარე იღებს სათავეს. მათი დიდი ნაწილი ერთვის შავშეთის, ნაწილი კი – იმერხევის წყლებს. შესაბამისად ეს ის ადგილია, სადაც სხვადასხვა მიმართულებით გადიოდა ძველი გზებიც. შეიძლება ითქვას, იგი გზების საყარიცაა და გასაყარიც. ამ მიდამოებშია დღემდე ექვსამდე სოფლის დაილებიც. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სწორედ საზგირელის მთის ამ მონაკვეთში არსებულ მოვაკებულ ტერიტორიაზე ყოფილა აშენებული X-XI საუკუნეების საკმაოდ მოზრდილი საეკლესიო ნაგებობა, რომლის ნაშთებმაც ჩვენამდე მოაღწია. იგი იაღაღებზე ამომსვლელთათვის, ან კიდევ სხვადასხვა მხრიდან მოსულ თუ წამსვლელ მგზავრთათვისაც უნდა ყოფილიყო გამოყენებული. საზგირელის (ადგილობრივი მოსახლეობა მას ქილისესერსაც ეძახის) სტრატეგიულ მნიშვნელობაზე წარმოდგენა რომ ვიქონოთ, მოკლედ შევეხებით ზოგიერთ იმ გზას, რომლებიც აქ გაივლიდა სხვადასხვა მიმართულებით.

საზგირელიდან ერთ-ერთი გზა გადადიოდა მაჭახლის ხეობისაკენ. აქედან მგზავრს უნდა გაეწყო ლეკობნი სერი (ქედია), უნდა ჩასულიყო ხერთვისისა და ქვაბითავის დაილებში, შემდეგ უნდა ასულიყო ინაწმინდის სერზე, საიდანაც ეშვებოდა ლოდივაკეში (მაჭახლელების ყიშლა), აქედან ჩადიოდა ს. ჩუგათში (ამჟამად იქ 9-10 კომლი ცხოვრობს), ევრატში, ქვაბითავით გადიოდა ს. ხერთვისში, აღიოდა ზედვაკეში, გაივლიდა სოფლებს: აკრიას, მინდიეთს და აგრძელებდა გზას მაჭახლისწყლის ხეობის იმ ნაწილით მდ. ჭოროხამდე, რომელიც ამჟამად საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაშია.

ეს გზა უერთდებოდა იმ ტრასას, რომელიც ისტორიულ ტაო-კლარჯეთს აკავშირებდა ზღვისპირეთთან.

საზგირელიდან მეორე გზა ეშვება კარჩხლისწყლის ხეობით ართვინისაკენ. მგზავრს უნდა ჩაეწყო ჯანჯირადაილით (ბაზგირეთლების დაილა), ჩავლიეთი (ციხისხეველების ყიშლა), კარჩხალი (ბაზგირეთლების უბანი), შაინას ახლში (დიდვენახის უბანი) და პირდაპირ ჩადიოდა კარჩხლისწყლის შესართავთან ცენტრალურ ტრასაზე, საიდანაც ართვინი ახლოსაა.

საზგირელზე გაივლიდა გზის ის მონაკვეთიც, რომელიც აქაურობას აკავშირებდა უსტამისის (იგივე წყეთის) ციხის ჩავლით შავშეთ-არტანუჯთან დამაკავშირებელ ცენტრალურ ტრასასთან. საზგირელიდან უნდა გასულიყო მგზავრი დედოფალ ავაზანაზე (აქაურთა გადმოცემით თამარა დედოფალი იქ გადიოდა და სვამდა ცივ წყალს), იქედან კი საბუზარა სერით უსტამისურ დაილაში, ჩაივლიდა უსტამისის ყიშლებს, ზეგანს, ციხის მიმდებარე ტერიტორიას (წყეთას) და სოფელ უსტამისით დაეშვებოდა ცენტრალურ ტრასაზე.

საზგირელის მიდამოებიდან იღებს სათავეს ჩიხორის წყალიც (მას მეორენაირად ბასილათწყლის ხეობასაც უწოდებენ). აქ თეთრაქეთის, ვარდიყანის, ბერიეთის, წყურიეთის, ჭალათის, დიდჩიხორის, მახრიეთის, ჭედრულის და შარაბულის გავლით გადიხარ შერთულს, საიდანაც ასევე შეიძლება სხვადასხვა მიმართულებით წასვლა.

ასე რომ, საზვიერელი (ქილისე სერი), რომელიც ბაზვიერეთის ხეობის სათავეში მდებარე ადგილია, მეტად მნიშვნელოვანი და სტრატეგიული პუნქტია. აქედან პირდაპირ მოჩანს უსტამისის ციხე, მეორე მხრივ მთელი ბაზვიერეთის ხეობა და ბუნებრივია ხევწრულის ციხეც. ხევწრული კი პირდაპირ გასცქერის ჩაქველთას ციხეს. ჩაქველთა კი იმერხევის ხეობის ერთიანი თავდაცვითი სისტემის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ქვემოთ უსტამისის (წეფთის) ციხესთანაა დაკავშირე

ბული. უსტამისი კი თავის მხრივ შავშეთ-იმიერხევის ერთიანი თავდაცვითი სისტემის ჯაჭვის ძირითადი რგოლი და დედა ციხეა. ხევწრულის საფორტიფიკაციო ნაგებობაც ზემოთ დასახელებული ციხეების მეშვეობით, ჩართული იყო მთლიანი რეგიონის ერთიან თავდაცვის სისტემაში.

* * *

შავშეთის ციხეების განლაგების მიხედვით შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ მათ შეეძლოთ უზრუნველყო მთლიანი „ქვეყნის“ თავდაცვა. ყველა ციხე ერთიანი თავდაცვითი სისტემის ჯაჭვზეა ასხმული. არა თუ მთლიანად რეგიონს, არამედ ცალკეულ ხეობებსაც კი თავისი თავდაცვითი სისტემა გააჩნდა. ისინი თავის მხრივ ჩართულნი იყვნენ ქვეყნის ერთიანი უსაფრთხოების ქსელში. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ იმერხევის ხეობა, რომელიც მთელ სიგრძეზე იმერხევა-შავშეთისწყლის ხერთვისიდან მოკიდებული სათავეებამდე საგულდაგულოდაა ჩაკეტილ-გამაგრებული. ხეობის შესავალს, კარებს სინკოთის ციხე-კოშკთან ერთად კარგად აკონტროლებდა კარჩხლის მთისწინა ზოლში მდებარე წეფთის (უსტამისის) ციხე, საიდანაც შესანიშნავად ჩანს იმერხევის შუაწელზე მდებარე ჩაქველთას (იგივე ბარაციხე) და ხეობის სათავეში მდებარე იფხრეველის ციხეები. თავის მხრივ ჩაქველთას ციხე წარმოადგენდა იმ რგოლს, რომელთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული იმერხევის მარჯვენა შენაკადის, ბაზვიერეთისწყლის ხეობის თავდაცვის სისტემაც. ბაზვიერეთის ხეობის დასაწყისში არსებული ხევწრულის ციხე აკონტროლებდა ბაზვიერეთ გამიშეთზე საზვიერელისაკენ გამავალ გზებს, საიდანაც ისინი სხვადასხვა მიმართულებით იქსაქნებოდა. იგი ამავე დროს კეტავდა მთლიანად ხეობას და ჩაქველთას ციხესთან ერთად ერთეულად მთლიანი იმიერხევისა და საერთოდ შავშეთის „ქვეყნის“ ერთიანი თავდაცვის სისტემაში. თავის მხრივ ჩაქველთას ციხე სტრატეგიული ადგილმდებარეობით შესანიშნავად მეთვალყურეობდა არა მარტო ხეობის შუაწელს, არამედ ხეობის სათავეებისაკენ თუ განსაკუთრებით იმიერხევის მარცხენა შენაკად ყვირალის ხეობაზე გამავალი გზის დასაწყისს. იგი ამავე დროს უშუალო კავშირში იყო ყვირალას და საკუთრივ იმიერხევის წყლების სათავეებში არსებულ გარყლობისა და იფხრეველის ციხეებთან, რომელთა ძირითადი ფუნქციაც უნდა ყოფილიყო იქ არსებული სამეურნეო სივრცეების, უპირველეს ყოვლისა მთისა და ბარის თუ მეზობელ რეგიონებთან აჭარის სხვადასხვა (სხალთის, კალოთის, მარეთის და უჩამბის წყლების) ხეობებთან თუ ხიხანის ციხის ძირში მდებარე სოფ. ბაკოზე ახალციხე, არტან, ფოცხოვ, სამცხესთან ან კიდევ სხალთის, ხოლო შემდეგ აჭარისწყლის ხეობებით ზღვისპირეთისაკენ მიმავალი გზების გაკონტროლება. გარყლობის ციხეს სხვა ფუნქციაც ჰქონდა. სწორედ აქედან იწყება შავშეთის ვაკე ნაწილი, რომელიც ტერასებად მიემართება სამხრეთ-დასავლეთით და სოფელ ველთასა და სათლელამდე აღწევს. იგი ციხისძირის ციხე-კოშკთან ერთად კეტავდა სწორედ ყვირალას ხეობიდან შავშეთის ვაკე ადგილებისაკენ შემოსასვლელ გზებსაც.

საინტერესო სურათია სათლელის წყლის მარცხენა სანაპირო ზოლში არსებული ციხეების განლაგების თვალსაზრისითაც. მათი დიდი ნაწილიც მთისწინა ზოლშია აშენებული. საქმე იმაშია, რომ არსიანის (ქვაყრილის) ქედზე სხვადასხვა ადგილას არსებული უღელტეხილებით შეიძლებოდა შავშეთსა თუ არტანუჯის ხეობებში შემოდწევა. აქაური ციხეები სწორედ საგულდაგულოდ კეტავდნენ არა მარტო შავშეთს, არამედ არტანუჯისაკენ გამავალ ზოგიერთ გზასაც. სათლელის წყლის მარცხენა მხარეს არსებულ ტერიტორიაზე ციხეების სიმრავლე იმანაც განაპირობა, რომ საკუთრივ ეს რეგიონი, არტანუჯისა და შავშეთის გამყოფი ბაჰრევანის ქედის მიდამოებამდე, მრავალფეროვანი რელიეფით ხასიათდება. გვხვდება არსიანის მთებიდან ვერტიკალურად დაშვებული მაღალი ქედები, ღრმად ჩაჭრილი ხეობე-

ბი, მათ ფერდობებსა თუ ხეობებს შორის გაშლილი სოფლები, დიდი რაოდენობით სახნავ-სათესი მიწები, ჭალები, საძოვრები და ა.შ. აქ არსებულ პატარ-პატარა ხეობებსაც კი (ფიქალთა, ხანთუშეთი, ვერხნალა) თავთავისი გამაგრებითი სისტემები ჰქონდათ, რომლებიც თავის მხრივ ერთმანეთს უკავშირდებოდნენ და ამავე დროს ჩართულნი იყვნენ ქვეყნის ერთიანი თავდაცვის სისტემაში.

როგორც ზემოთაც დავინახეთ, შავშეთის ციხეების დიდი ნაწილი (იფხრეველი, გარყლობი, ციხისძირი, დაბაწერილი, ქვათეთრისი, ჩართულეთი, ხანთუშეთი და სხვა) მთისწინა ზოლშია განლაგებული. მათი ძირითადი დანიშნულება უნდა ყოფილიყო მთისწინა ზოლსა თუ ბარში არსებული უზარმაზარი სასოფლო-სამეურნეო სივრცეების, მთისა და ბარის დამაკავშირებელი გზების, აჭარიდან, სამცხე-ჯავახეთიდან, ერუშეთიდან, ფოცხოვიდან და განსაკუთრებით კოლა-არტაანიდან მთაგრეხილებზე არსებული უღელტეხილებით შავშეთში, ნაწილობრივ კლარჯეთში შემომავალი თუ გამავალი გზების გაკონტროლება. მოკლედ რომ ვთქვათ, შავშეთისა და ნაწილობრივ კლარჯეთის მთისწინა ზოლი ამ ციხეებით საგულდაგულოდაა გამაგრებულ-დაცული. უფრო მეტიც, შავშეთის ციხეების ნაწილი (წეფთა და ხანთუშეთი) კლარჯეთის ტერიტორიებზე არსებულ ციხეებთანაც იყვნენ დაკავშირებული და ქმნიდნენ შავშეთ-კლარჯეთის ერთიანი თავდაცვისა და ქვეყნის შეუღწევადობის საიმედო სისტემას.

რა მდგომარეობაა „ქვეყნის“ დასაწყისში, იმიერხე-შავშეთისწყლის ხერთვისში, საიდანაც გზები ქვეყნის სიღრმისაკენ იშლებიან? ზოგადი წარმოდგენისათვის მოკლედ გადავხედოთ იმ ისტორიულ პროცესებს, რომლებიც აქაურ ციხე-სიმაგრეებთანაა დაკავშირებული. ციხეებიდან განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს წეფთის ციხე. იგი წყაროებში რამდენიმეჯერ მოიხსენიება. ერთხელ, როდესაც 988 წელს ბაგრატ მესამესა და მისი მამის (გურგენის) წინააღმდეგ იდგა შეერთებული მხედრობა ქართველთა, გვასპურაკანელთა, სივნიელთა და ალბანთა, რომლებიც დაბანაკებულნი იყვნენ **დღივს** ჯავახეთში და საიდანაც დავით კურაპალატმა „გაგზავნა ლაშქარი გურგენს ზედა. მიეგებნეს წინა გურგენს და შეიბნეს გარდათხრილთა, თავსა შავშეთისასა“, და დამარცხებული გურგენი „შთაიხვეწა მეოტი, და შევიდა ციხესა წეფთისასა“ (ქ. ცხ. I:277). ხოლო ბაგრატ III თავისი ლაშქრითურთ თრიალეთში მივიდა და სოფელ კარუშეთში დადგა. შემდეგ კი მარტო ეახლა დავით კურაპალატს და „ითხოვა შენდობა“ და შერიგდნენ. მეორეჯერ „მატიანე ქართლისა“-ში წეფთა გარყლობის ციხესთან ერთად იხსენიება ბიზანტიელთა გამოჩენის შემდეგ. ბაგრატ IV-ის გამეფებისთანავე „მასვე ჟამსა წარვიდეს აზნაურნი ტაოელნი საბერძნეთს: ვახე კარიჭისძე და ბანელი ეპისკოპოსი იოვანე, და მათ თანა სიმრავლე აზნაურთა ტაოელთა. ხოლო კონსტანტინე მეფემან მოქცევასა ოდენ წელიწდისასა გამოგზავნა პარკიმანოზი ლაშქრითა ურიცხვთა, მივიდა და ჩამოდგა და, მოაოჭრნა იგივე ქვეყანანი, რომელნი ბასილი მეფესა მოეოჭრნეს“. ამის შემდეგ მიადგა უშუალოდ „თრიალეთს ციხესა ქუეშე კლდე-კარსა“, რომელიც იმდროისათვის „ჰქონდეს ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავსა, ძესა ლიპარიტისასა“, რომელმაც მოახერხა „შემოეკრიბნა აზნაურნი, დაუდგეს განძთა და შეებნეს ციხესა ქუეშე. რაჟამს იხილა პარკიმანოზმან, რომელ ვერას ავნებდა, შეიქცა გარე“ (ქ. ცხ. 1955:292). მართალია, თრიალეთს ვერაფერი დააკლო, მაგრამ, როგორც ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს, ის კი მოახერხა, რომ ზოგიერთი ქართველი დიდებული კეისრის მხარეზე გადაიბირა (ივ.ჯავახიშვილი 1983:137) და „მასვე ჟამსა წარვიდა ჩანჩახი ფალელი საბერძნეთს, მისცა ციხე გარყლობისა, მიერთო ბერძენთა, და არჯევან ჰოლოლას-ძემან მისცა ბერძენთა ციხე წერეფთისა“ (ქ. ცხ. 1955:292). ბერძენთა მეფის სარდლის ზემოთ დასახელებული ლაშქრობა საქართველოში, ქართველ აზნაურთა გადაბირება და დალატი აღწერილი აქვს აგრეთვე სომეხ ისტორიკოსს არისტაკეს ლასტივერტეცს (არისტაკე ლასტივერტეცი, ისტორია, 1974), რომელიც ამ ამბის თარიღად ასევე კონსტანტინე კეისრის მეფობის მეორე წელიწადს, 1028 წელს ასახელებს (ივ.ჯავახიშვილი 1983:137-138).

რაკი სხვა ღონე აღარ იყო და დიდებული აზნაურები თავიანთი დალატითა და ვერაგობით სხვებსაც რყვნიდნენ და ქვეყანასაც ღუპავდნენ, ამ საქმეში ტბეთის ეპისკოპოსი ჩაერთო და როგორც „მატიანე ქართლისა“ მოგვითხრობს, „საბა მტბევარმან ეპისკოპოსმან, რომელ შავშეთს არღარა იყო სხუა ღონე, აავო ციხე თავსა ზედა ტბეთისასა (სუმბატ დავითისძის მიხედვით „მახლობლად ტბეთის ეკლესიასა“) და სახელ-სდვა მას სუეტი (ქ. ცხ. 1955:386),

დაიჭირა ქვეყანა შავშეთისა, ქმნა დიდი ერთგულება ბაგრატ აფხაზთა მეფისათჳს” (ქ. ცხ. 1955:392). საბა მტბევარმა, სუმბატ დავითისძის მიხედვით, „... შეკრიბა მაშინ ... ერი თჳსი და შევიდეს მას შინა თჳთ საბა მტბევარი ეპისკოპოსი, და ეზრა ანჩელ ეპისკოპოსი, და შავშეთის აზნაურნი, და განძლიერდა მას შინა” (ქ. ცხ. 1955:386).

როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, მღვდელთმთავარი სამშობლოსა და სამეფოს დამცველად გამოვიდა, უნებლიედ სამხედრო ხელისუფლად, გულად მეომრად და ქვეყნის გამგედ გახდა (ივ.ჯავახიშვილი 1983:138). სტეფანე მტბევარის ამ გაბედულმა ნაბიჯმა შედეგი გამოიღო და შავშეთი ბიზანტიელთა მიტაცებისაგან იხსნა. „მატიანე ქართლისაჲს“ მიხედვით, იმავე 1028 წლის მიწურულს მომხდარა ბიზანტიელთა წასვლა კონსტანტინეპოლში, როდესაც გარდაიცვალა კეისარი კონსტანტინე VIII. ქვეყანამ ამის შემდეგ ცოტა ხნით მაინც იგრძნო შვება.

აი, სწორედ ამ მოვლენებთან დაკავშირებით წყაროებში კიდევ ერთი საფორტიფიკაციო ნაგებობა, სვეტის ციხე იხსენიება, რომელიც გახდა ანტიბიზანტიური ძალების თავშეყრის ძირითადი ცენტრი და ქვეყანა იხსნა განადგურებისაგან.

ისტორიულ წყაროებში მოხსენებული წყფთისა და გარყლობის ციხეების ადგილმდებარეობა დღეისათვის დადგენილია. წყფთის ციხე, როგორც ზემოთაც აღინიშნა, შავშეთის-წყლის მარჯვენა მხარეს, კარჩხლის მთების ძირში, თანამედროვე სოფ. უსტამისის თავში, ზღვის დონიდან 1876 მეტრზეა აშენებული. ციხე, რომელიც შავშეთის „ქვეყნის“ შესასვლელ კარიბჭეს მეთვალყურეობდა, ამავე დროს თავისი ადგილმდებარეობით წარმოადგენდა შავშეთ-კლარჯეთის ერთიანი თავდაცვითი სისტემის ძირითად საფორტიფიკაციო ნაგებობასაც. მისი მხედველობის არეალი საკმაოდ დიდი სივრცეა. აქედან შესანიშნავად მოჩანს შავშეთის ქვაბულში არსებული თითქმის ყველა ციხე-სიმაგრე და აკონტროლებს მთლიანად იმერხე-შავშეთისწყლის ხეობებს მოკიდებული სათავეებიდან თითქმის ჭოროხ-შავშეთისწყლის ხერთვისამდე, შერთულამდე.

ცნობილია გარყლობის ციხის ადგილმდებარეობაც. იგი მდ. ყვირაღას ხეობის მარცხენა მხარეს, მთისწინა ზოლშია აშენებული. რაც შეეხება სვეტის ციხის ლოკალიზაციას, მას არა ერთი მოგზაური თუ მკვლევარი შეეცადა (ვრცლად იხ. ჯ.სამუშია 2008), მაგრამ საკითხი დღემდე აზრთა სხვაობის საგანია.

მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ სვეტის ციხე არსიანის მთების ერთ-ერთი ვერტიკალური ქედის ბოლო მონაკვეთში, სოფ. ციხისძირის ზემოთ, ე.წ. ჯამი მეჭულეს თავზე არსებულ კლდოვან ბორცვზე დაშენებული ციხე-კოშკი უნდა იყოს. ამ მოსაზრების ავტორები თვლიან, რომ ბიზანტიელთა შემოტევამდე წყფთისა და გარყლობის ციხეებშიც მათი ჯარები იყვნენ ჩაყენებული, რომ ბიზანტიელებმა სწორედ გარყლობიდან შემოუტყეს შავშეთის ცენტრს და ამ გზაზე ტბეთამდე ერთადერთი ჩამკეტი ციხე ციხისძირშია, რომ სტეფანე მტბევარმა სწორედ აქ „ააგო ციხე თავსა ზედა ტბეთისასა“, სუმბატ დავითისძის მიხედვით კი – „მახლობლად ტბეთის ეკლესიისა“ და სხვა.

საკითხთან დაკავშირებით გვაქვს ჩვენი მოსაზრება.

უნდა ვიფიქროთ, რომ ბერძენთა მიერ გადაბირებული ჩანჩახ ფალელისა და არჯევან ჰოლოლასძის მიერ ბიზანტიელთა მხარეზე გადასვლა „და მასვე ჟამსა“ წასვლა საბერძნეთს, არ უნდა ნიშნავდეს წყფთისა და, განსაკუთრებით, გარყლობის ციხეებში ბიზანტიელთა ძალების ჩაყენებას. მითუმეტეს, თუ გავიხსენებთ ტაოელ აზნაურთა საქციელს, როდესაც ბაგრატ IV გამეფდა, მათაც მიატოვეს თავიანთი ციხეები თუ სამფლობელოები და წავიდნენ საბერძნეთს, მაგრამ უცებ არ მომხდარა მიტოვებული ციხეებისა თუ ტერიტორიების დაუფლება ბიზანტიელთა მიერ. „კონსტანტინე მეფემან მოქცევასა ოდენ წელიწდისასა გამოგზავნა პარკიმანოზი ლაშქრითა ურიცხვთა, მოვიდა და ჩამოდგა და მოაოჭრნა იგივე ქვეყანანი, რომელნი ბასილ მეფესა მოეოჭრნეს“. ვფიქრობთ, ტაოს აოხრებისა და თრიალეთში დამარცხების შემდეგ პარკიმანოზი ვეღარ მოახერხებდა თავისი ძალების ნაწილის ჩაყენებას წყფთისა და გარყლობის ციხეებში. თუ დავუშვებთ, რომ მართლა მოახერხეს ბერძნებმა შავშეთის უამრავ ციხეთაგან მხოლოდ ამ ორ ციხეში ჯარების ჩაყენება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ თრიალეთთან დამარცხებულ ბიზანტიელებს „მასვე ჟამსა“ აღარ გაყვებოდნენ ამ ციხის მფლობელები. ისინი აქ დატოვებულ ბიზანტიელთა ძალებისათვის ძალზე საჭირო

და დასაყრდენი პირები იქნებოდნენ. მათ ადგილებზე მომხრეთა გაჩენისათვის მარტო აზნაურები ან დიდებულები არ ყოფნიდათ. ისინი მოსახლეობის გადაბირებისათვისაც კი ყველანაირ ხერხს მიმართავდნენ. გავისხენოთ თუნდაც კლარჯეთ-შავშეთის დასაპყრობად მობრუნებული ჯარების წინა მომენტი, როდესაც „...გააგზავნა პარკიმანოზმან და პროედროსმან იოვანე ბანელი ხარტულარი, წარიყვანა თანა ვალანგი ლაშქრითა დიდითა და მისცა თანა დემეტრე კლარჯი სუმბატისი, რეცა შესატყუევენელად ქუეყანისა კაცთათჳს” (ქ. ცხ. 1983.:292). დემეტრეს (ეს ის დემეტრეა ბაგრატონთა შთამომავლობის შტოდან, რომელიც ბაგრატ III დროს, თავისი მამის ციხეში ჩამწვედვის შემდეგ, 1012 წელს კონსტანტინეპოლში გაიქცა და ამით სიკვდილს გადაურჩა) გამოყოლებით ბიზანტიელებს სურდათ ხალხისთვის ეჩვენებინათ, რომ ისინი საქართველოს მეფის მიერ განდევნილი და დათრგუნული უფლებების აღსადგენად იბრძოდნენ მხოლოდ. სინამდვილეში კი იგი კლარჯეთის მცხოვრებთა მისაზიდად დაგებული მახე იყო და მეტი არაფერი.

ვფიქრობთ, გარყლობსა და წეფთის ციხეებში რომ მდგარიყვნენ ბიზანტიელთა ჯარები, მაშინ ციხის მფლობელებს გასაქცევად აღარ ექნებოდათ საქმე. ისინი მათ უსაფრთხოებასაც უზრუნველყოფდნენ და, პირიქით, მოსალოდნელი ომისათვისაც შესანიშნავად გამოიყენებდნენ ამ სიმაგრეებს.

დავუშვათ, წეფთის და გარყლობის ციხეები ბიზანტიელთა ხელშია, ხოლო მოგვიანებით გარყლობის ციხიდანვე უტყვენ და აპირებენ ტბეთისა თუ მისი შემოგარენი ტერიტორიების დაპყრობას. ისმის კითხვა, საიდან, როგორ და რა გზით მოახერხებს ბიზანტიელებმა წეფთის ციხეში და განსაკუთრებით კი მისგან 50-55 კმ-ით დაცილებულ შავშეთის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, შავშეთ-იმერხევის სხვა ციხეებით გარშემორტყმულ არსიანის მთისწინეთში არსებულ გარყლობის ციხეში დამკვიდრება და მეორედ მოსვლის შემდეგ ტბეთისაკენ შეტევა?

გარყლობის ციხეში ბიზანტიელთა ძალების არსიანის მთების უღელტეხილებზე გამავალი გზებით შემოსვლა ნაკლებად სავარაუდოა და, ვფიქრობთ, არც იყო მოსალოდნელი. ბუნებრივი სირთულეების გარდა, გარყლობამდე მისასვლელ გზებს მთისწინეთში მთელ ზოლზე იფხრულიდან მოკიდებული ხანთუშეთის ჩათვლით არსებული სხვა ციხე-სიმაგრეები კეტავენ. ამ გზებით მტერი თუ გარყლობამდე შეადწევა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ტბეთიცა და სხვა მომიჯნავე ტერიტორიებიც მათ ხელში იქნებოდა.

ბიზანტიელთა შემოსვლა მოსალოდნელი იყო ასევე არტანუჯ-სათლელის გზით. ისინი არტანუჯის წყლის მარჯვენა შენაკად ღონგოთხევით ბარეჯანის ქედზე არსებული უღელტეხილით გოროშეთ-გვარაშენ-ანკლია-შინდობანით უშუალოდ მოადგებოდნენ სათლელის ციხის მიდამოებს. ეს გზაც შავშეთისწყლის მარცხენა მხარის საკმაოდ ნაყოფიერ სოფლებს გაივლის და ამ სივრცესაც საკმაოდ კარგად მეთვალყურეობს ხანთუშეთის, ქვათეთრისის, ჩართულეთის თუ საკუთრივ სათლელის ციხე-სიმაგრეები.

თუ დავუშვებთ, რომ ბიზანტიელთა შავშეთში გამოჩენის ძირითადი მიზანი იყო გამცემი დიდებულების მიერ ნაბოძები წეფთისა და გარყლობის ციხეებში ჯარების ჩაყენება, ხოლო მოგვიანებით ტბეთზე შეტევა, მაშინ უფრო რეალური ჩანს, მათი შემოსვლა ჭოროხ-შავშეთისწყლის ხერთვისიდან ხეობაზე ან კიდევ შავშეთისწყლის მარჯვენა მხარის ფერდობებზე არსებული გზებით. წეფთის ციხე სწორედ ამ გზებით იქნებოდა ყველაზე იოლი მისადგომი ბიზანტიელთათვის. წეფთის ციხის დაუფლებით ბიზანტიელებს, მართალია, შეეძლოთ ჩაეკეტათ ჭოროხ-შავშეთისწყლით შემომავალი გზები, მაგრამ ვერ მოახერხებდნენ შავშეთის „ქვეყნის” ძირითად ნაწილზე კონტროლის განხორციელებას. წეფთის ციხე მაშინაა ეფექტური, თუ იგი სხვა ციხეებთან კავშირშია. მართალია, ციხე იმერხევი-შავშეთის, ან კიდევ მერთისა და სათლელის წყლების ხერთვისებს ზემოდან დაჰყურებს, მაგრამ იგი საკმაოდ შორსაა. აქედან შერთულამდე დაახლოებით 15-16, ხოლო სათლელამდე -27 კილომეტრია და, შეიძლება ითქვას, რომ მას შავშეთის „ქვეყნის” სიღრმეებისაკენ მიმავალი გზების ჩაკეტვა კონკრეტულ შემთხვევაში გაუჭირდებოდა. რა გზით უნდა შესულიყვნენ ბიზანტიელები გარყლობის ციხეში? გარყლობაში წეფთიდან ორი გზით შეიძლებოდა შეეღწია მტერს. პირველი, ეს გახლავთ იმერხევისა და მისი მარცხენა შენაკადის, ყვირაღას ხეობით და მეორე, თითქმის ორჯერ მოკლე და უკეთესი გზებით – მერთისა და სათლელის წყლის ხერთვისის მიდამოებიდან.

პირველი გზა მეორესთან შედარებით გრძელია და, ამავე დროს, ცუდიც.

წევითიდან იმერხევით გარყლობში შეიძლება რამდენიმე გზით მოხვედ: ერთ-ერთი მათგანით შეიძლება დაეშვა შავშეთისწყლის მარჯვენა სანაპირომდე (დაახლოებით 12 კმ), გახვიდე შერთულამდე (დაახლოებით 4 კმ) და აქედან იმერხევის ხეობით ყვირაღას ხერთვისამდე (დაახლოებით 22-23 კმ), შემდეგ ყვირაღას ხეობით ახვიდე სოფ. მიქელეთამდე (დაახლოებით 12 კმ) და აქედან კი გადახვიდე გარყლობის ციხეში (დაახლოებით 4-5 კმ). წევთის ციხიდან შეიძლება ჩიხორისა და ჩიხისხევის გადაკვეთით ბაზგირეთისწყლის ბოლო მონაკვეთში გასვლა, საიდანაც იმერხევამდე ეშვები და შემდეგ აგრძელებ სვლას გარყლობისაკენ. ეს გზა პირველთან შედარებით მოკლეა, მაგრამ ძნელად სავალი. არის კიდევ ერთი ვარიანტი, წევითიდან შეიძლება ახვიდე სოფ. უსტამისის იაილებში, შემდეგ აღპურ ზონაში საზგირელის (იგივე ქილისე სერის) უდელტეხილით დაეშვა და ს. გამეშეთითა და ბაზგირეთის ხეობით ჩახვიდე იმერხევზე გამავალ ცენტრალურ ტრასამდე. გზის ეს მონაკვეთი საკმაოდ გრძელია და გარკვეულად დაცულიც, მას ხევწრულის ციხე იცავს. მოკლედ რომ ვთქვათ, წევითიდან გარყლობის ციხემდე იმერხევი-ყვირაღას ხეობით გამავალი ყველა გზა საკმაოდ გრძელია და რთული რელიეფის გამო ყველაზე ცუდიც. როგორც გ. ყაზბეგი აღნიშნავდა, იმერხევის მთავარი ხეობა ყველაზე მკაცრი ტოპოგრაფიული პირობების ურთიერთშეხამების ნიმუშად ითვლება. ეს არის გიგანტურ მთის მასებს შორის არსებული ნაპრაღი, რომლის თავზე დაკიდულია ძალზე მკაფიო კონტურების მქონე შიშველი კირქვოვანი კლდეები. საითაც გაიხედავ, თქვენს თვალწინ ამოიხიდება კლდე, რომლის იქეთ წამოწვდილია ათეულობით სხვა ქარაფი, უფრო მაღალი და დამრეცი. ირგვლივ ერთი სტიქიური ძალაა, რომელიც თრგუნავს სიცოცხლეს (გ. ყაზბეგი 1995:84-85). არანაკლებ ცუდი რელიეფია და თითქმის გაუვალი ვიწრო ბილიკები საკუთრივ ყვირაღას ხეობაზეც. ს. მიქელეთიდან „მდინარე ყვირაღა იმერხევისწყალთან შეერთებამდე, მიედინება დასავლეთით, საკმაოდ ღრმა, თითქმის მიუწვდომელ ხეობაში” (გ. ყაზბეგი 1995:76). იმერხევისა და, განსაკუთრებით, მდ. ყვირაღას პირქუში ხასიათი, ბუნებრივია, რამდენადმე მაინც განაპირობებდა აქ გამავალი გზების ხარისხსაც. არანაკლებ რთული რელიეფითა და აღმართებით ხასიათდება ს. მიქელეთიდან გარყლობამდე არსებული გზის მონაკვეთიც. ბუნებრივ სირთულეებს დაემატება ისიც, რომ იმერხევის წყლის ხეობა მთელ სიგრძეზეა გამაგრებულ-დაცული ბიზანტიელთაგან თავისუფალი სინკოთის, ხევწრულის, ბარაციხის (ჩაქველთა) საფორტიფიკაციო ნაგებობებით, მაშინ შესაძლოა გამოირიცხოს გამცემი აზნაურის გარყლობის ციხეში ბიზანტიელთა ჯარების ნაწილის დატოვება, ხოლო მოგვიანებით კი აქედან შავშეთის ცენტრალური ნაწილისაკენ მათი შეტევა.

ასე, რომ ბიზანტიელების მიერ შავშეთის ორ ციხეში, წევთასა და გარყლობში, ამ იზოლირებულ სივრცეში, როცა მთლიანი შავშეთის დანარჩენი ტერიტორიები ბიზანტიელთაგან თავისუფალია და გარემოცულია სხვა ციხეებით, ვფიქრობთ, გარნიზონის მცირე ნაწილის აქ დატოვებას აზრი არ ექნებოდა. ეს განსაკუთრებით შეიძლება ითქვას გარყლობის ციხეზე, რომელიც მდ. ყვირაღას სათავეს მარცხენა მხარეს, მთისწინა ზოლშია აშენებული და ირგვლივ იზოლირებულია მკაცრი გეოკლიმატური პირობებითა და გარყლობისაკენ მომავალი საარსებო გზების ჩამკეტი ისეთი ციხეებით, როგორცაა სინკოთი, ბარაციხე, იფხრევი, ციხისძირი, დაბაწვრილი თუ ზურგიდან აჭარა-სამცხიდან ყვირაღას ხეობით შავშეთისაკენ მომავალი გზების სათვალთვალო ხიხანისა და გოგოლაურის ციხეებით, რომელსაც ბაგრატ IV აქტიური მხარდამჭერი აბუსერისძეები ფლობენ. გარყლობის ციხე აჭარა-შავშეთის და არსიანის მთისწინეთში მთელ სიგრძეზე არსებული თავდაცვითი ნაგებობების ჯაჭვის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო და მათთან ერთად კავშირში ფუნქციონირებდა კარგად. სხვა შემთხვევაში იგი უმოქმედო, იზოლირებულ ნაგებობად იქცეოდა. გამოირიცხულია მისი კავშირი კარჩხლის მთების კლდეზე ზღვის დონიდან 1876 მეტრზე არსებული წევთის ციხესთანაც, რადგან ისინი ერთმანეთისაგან საკმაოდ შორს - დაახლოებით 50-55 კილომეტრით არიან დაცილებულნი და მათ დამაკავშირებელ გზებსაც, როგორც ზემოთაც აღინიშნა, შესანიშნავად კეტავდნენ იგივე სინკოთის, ხევწრულის, ჩაქველთას (ბარაციხე), ციხისძირის, დაბაწვრილის, სათლელის თუ სხვა ციხეები. ე.ი. გამოდის, რომ ორ, ერთმანეთისაგან ამდენად დაშორებულ ციხეებში ბიზანტიელებმა დატოვეს მათი საჯარისო დანაყოფები. ვფიქრობთ არა.

არსებობდა გარყვობის ციხეში ბიზანტიელთა შეღწევის მეორე გზაც. თუ დავუშვებთ, რომ წყლის ციხეს ბიზანტიელები ფლობდნენ, მაშინ მათთვის მერთის და სათლელის წყლების ხერთვისიდან შავშეთის ცენტრისაკენ გზა ხსნილია. მათ ორჯერ უფრო მოკლე და უკეთესი გზებით შეეძლოთ ტბეთ-დაბაკეთილ-ციხისძირ-წიწვეთის გავლით გარყვობის ციხემდე მისვლა. გამოდის, რომ თუ ამ გზით გადაადგილდებოდნენ ბიზანტიელები და გარყვობის ციხეში ჩააყენებდნენ მათ ძალებს, მაშინ ტბეთი და მისი შემოგარენი ტერიტორიაც მათ ხელში აღმოჩნდებოდა და მომავალ ომს მათი ხელახლა დაუფლებისათვის, ბუნებრივია, აზრი აღარ ექნებოდა. მსგავსი რამ წერილობით წყაროებშიც არაა ფიქსირებული და ვერც დაფიქსირდებოდა ის, რაც არ მომხდარა. ჩანს მხოლოდ ის, რომ ტბეთიცა და მისი შემოგარენიც თავისუფალია და ბიზანტიელები მოგვიანებით მოდიან მის დასაპყრობად. აშკარაა, რომ ზემოთ დასახელებულიო აზნაურები, როგორც ზ. პაპასქირი შენიშნავს, საქართველოს ხელისუფლებას გაურბიან და შველას ბიზანტიის იმპერიაში ექებენ. მითუმეტეს, ბიზანტიური ორიენტაციის დიდებულებს სამეფო კარზე დიდი პატივით ღებულობდნენ და ჩინს სოფლებითა თუ დაბებით სამარადისო სამემკვიდრეოდ აძლევდნენ (ვრცლად იხ. ზ. პაპასქირი, 1980: 128-150, იხ. იქვე ლიტერატურა).

წერილობით ძეგლებში არც ისაა ფიქსირებული, რომ სათლელისა და მერთის წყლების ხერთვისში, საიდანაც გზები იყრება და იტოტება სხვადასხვა მიმართულებით, დგას რაიმე ისეთი ნაგებობა, რომელიც ამ სივრცეს კარგად აკონტროლებდა. როგორც ჩანს, ბერძენთა გამოჩენამდე ხეობის ჩამკეტი ციხის მოვალეობას წეფთა ასრულებდა. მოლაღატე ციხის მეპატრონე არჯევან ჰოლოლას ძე კონსტანტინეპოლს გაიქცა და ციხე ბიზანტიელებს გადასცა. სტეფანე მტბევარი, როგორც ჩანს, ხედავს, რომ წეფთის ციხე, რომელიც აკონტროლებდა იმერხევე-შავშეთისა და სათლელ-მერთის წყლების ხეობებით ქვეყნის სიღრმეში შემავალ გზებს, ბიზანტიელთა გავლენის ქვეშაა და იგი შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ვეღარ ასრულებს თავის ძირითად ფუნქციას. აქედან მოსალოდნელი ომის წინ ბიზანტიელებს შეეძლოთ „ქვეყნის“ სიღრმისაკენ თავისუფლად გადაადგილება. მართალია იმერხევის ხეობას აქვს თავისი თავდაცვითი სისტემა და იგი იფუნქციონირებდა, მაგრამ მდ. სათლელის წყლის როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა სანაპირო ზოლისაკენ და განსაკუთრებით შავშეთის ცენტრ ტბეთისაკენ გზები ხსნილია. სტეფანე მტბევარმა დარჩენილი დრო, როგორც ეს „ქართლის ცხოვრებიდან“ ჩანს, მაქსიმალურად გამოიყენა – „დაიჭირა ქვეყანა შავშეთისა“ და „მახლობლად ტბეთის ეკლესიასა“ ააგო სვეტის ციხე. იგი ადრეულ წერილობით ძეგლებში ერთხელ იხსენიება და ისიც სწორედ ბიზანტიელებთან მიმართებაში. მოსალოდნელი ომის წინ შავშეთის ქვეყნის დაცვა, ვფიქრობთ, მხოლოდ და მხოლოდ სათლელ-მერთის წყლის ხერთვისში აგებული ციხით შეიძლებოდა. იგი სწორედ ხეობის დასაწყისში მაღალ კლდეზე დაშენებული ნაგებობაა, საიდანაც იტოტება როგორც შიდა, ისე გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი გზები. ეს იყო ყელი გზებისა და ქვეყნის შიგნით შეღწევისა. შეიძლება ითქვას, ვინც ფლობდა სათლელის ციხეს, ის ფლობდა შავშეთის ქვეყნის გასაღებსაც. მსგავსი სიდიდისა და არქიტექტურის მქონე საფორტიფიკაციო ნაგებობა შავშეთში ადრეც და შემდეგშიც არ აშენებულა. ციხე ადრე რომ ყოფილიყო აგებული, თავისი ადგილმდებარეობისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე, გვჯერა, რაღაცნაირი ფორმით ადრეულ წერილობით ძეგლებში მაინც აისახებოდა. ვფიქრობთ, ციხე, რომელიც ააშენა სტეფანე მტბევარმა „ტბეთის ეკლესიის მახლობლად“ (სულ 10 კილომეტრია მათ შორის დაცილება), სათლელის ციხე უნდა იყოს. იგი, როგორც ჩანს, სწორედ XI საუკუნიდან იწყებს ფუნქციონირებას, რასაც რამდენადმე მხარს უჭერს აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური გათხორების შედეგად აღმოჩენილი მასალებიც.

§2. შავშეთის საეკლესიო ნაგებობანი

შავშეთი, ისევე როგორც მთლიანად ტაო-კლარჯეთი, ძალზე მდიდარია საეკლესიო ნაგებობებით. აშოტ I-სა თუ სხვა ბაგრატიონების დროსაც სამხრეთ საქართველოს ეკო-


ნომიკურ აღმავლობას თან მოჰყვა მისი კულტურული დაწინაურებაც. სწორედ VIII საუკუნის დასასრულიდან, როგორც კლარჯეთში, ისე შავშეთში განსაკუთრებით მძლავრად გაიშალა სამონასტრო მოძრაობა. მის მეთაურად გვევლინება გრიგოლ ხანძთელი და მისი მოწაფეები. სწორედ ამ დროს ჩნდება და შენდება დიდი საეკლესიო-კულტურული ცენტრები. მათით ადრე თუ ჩვენს დროში არაერთი ქართველი თუ უცხოელი მეცნიერი დაინტერესებულა (დ.ხომტარია, 2005 იხ. იქვე ლიტერატურა). მათ გვერდით დიდი რაოდენობით იყო მცირე ზომის საეკლესიო ნაგებობანიც. ისინი აქ ძირითადად ბაზილიკური თუ დარბაზული ტიპის ეკლესიებითაა წარმოდგენილი. შავშეთში ვერ ნახავთ სოფელს, სადაც ორი თუ არა ერთი საეკლესიო ნაგებობა მაინც არ ყოფილიყო. დიდი ნაწილი თითქმის საძირკვლის დონემდეა მორღვეული. მათი განადგურების პროცესს რამდენადმე აჩქარებს ე.წ. „მოხალისე არქეოლოგების“ მიერ წარმოებული „სამუშაოებიც“. ეს პროცესი თუ გაგრძელდა, არა მარტო შავშეთში, არამედ მთლიანად სამხრეთ საქართველოში, ამ ტიპის ეკლესიები მთლიანად აღივსება მიწისაგან პირისა. დიდი მოცულობის ცნობილ საეკლესიო ნაგებობებს შედარებით ყურადღებითა და სიფრთხილით ეკიდება სახელმწიფოც და მოსახლეობაც, მაგრამ მივარდნილ ხეობებსა თუ სოფლებში არსებული მცირე ზომის საეკლესიო ნაგებობანი უმოწყალოდ ნადგურდება. ამიტომაც გადავწყვიტეთ, შეძლებისდაგვარად სწორედ ამ ტიპის ძეგლების აღნუსხვა და მკითხველისადმი მათზე მცირე ინფორმაციის მიწოდება.

2.1. გურნათელის ეკლესია

სოფელი გურნათელი მდებარეობს შავშეთისწყლის მარცხენა მხარეს, პატარა მდინარის ორთვალწყალის (ორთვალსუს) მარჯვენა სანაპიროზე. იგი შავშეთის წყლის მარცხენა შენაკადია. ადგილობრივთა გადმოცემით, მდინარეს ორთვალისი ჰქვია იმიტომ, რომ სოფელს ზემოთ ორი პატარა უსახელო ხეობა უერთდება ერთმანეთს. სოფელი შავშათიდან 5-6 კილომეტრითაა დაცილებული. სოფლისთვის განკუთვნილი ტერიტორია უსწორმასწორო რელიეფით ხასიათდება. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ფართობები აქ ძირითადად ფერდობებზე, მცირედ მოვაკებულ ტერიტორიებსა თუ ტერასებზეა წარმოდგენილი. სოფელში დღესაც გვხვდება ცალკეული უბნებისა (მაჰალეს) თუ ადგილის სახელწოდებები: კოკოშაური, ძველყანა, წიწვლთა, აღნაური, ბალათი, ბუჩათი, პატარყანა, ნაურმა, ჭილღული, ჯაფარათწყარო და სხვა. აქაურთა გადმოცემით სოფელში ადრე სამი ეკლესია და სხვა ნაგებობათა ნაშთები ყოფილა. ორი მათგანი სოფლის თავში, ქედის ძირში, არსებული ფერდობის სხვადასხვა მხარეს ყოფილა აშენებული. ერთ-ერთი მათგანი სოფლის გარეუბან ბალათში ყოფილა აგებული. იგი სოფლის თავში მდებარე მაჰალეს – კოკოშაურს უშუალოდ ესაზღვრება. საეკლესიო ნაგებობა შავშეთიდან მომავალი საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს 1 კილომეტრითაა დაშორებული. ადგილს, სადაც ეკლესია იყო აშენებული, ადგილობრივი მოსახლეობა „ნატარვეს“ უწოდებს. ეკლესიისათვის თავის დროზე ფერდობის მცირედ მოვაკებული ტერიტორია შეურჩევიათ. აქ ამჟამად მცირე ნანგრევებია შემორჩენილი (ტაბ. XI, 14-17). ერთიმეორის გასწვრივ მდებარე ამ ორი ეკლესიიდან, როგორც ჩანს, ნიკო მარმა სწორედ ეს ძეგლი მოინახულა. იმ დროს ეკლესია ჯერ კიდევ მთლიანად არ იყო დანგრეული. ნიკო მარი აღნიშნავს: ეკლესია ტყეში, მაღალ ადგილასაა აშენებული. ამ ადგილს ეწოდება კოკოშაური. ეკლესია ტიპურად შავშურია. წაგრძელებული ოთხკუთხა, შიგნით ნახევრად მომრგვალებული საკურთხევლით. აქვს ერთი კარი სამხრეთის მხრიდან. იგი აშენებულია პატარა, მსხვილი, უხეშად დამუშავებული ქვებით. როცა ეკლესიის შენობას ვაკვირდებით, ჩანს, რომ საკმაოდ ძველი ნახელავია. ეკლესია განსაკუთრებით სამხრეთის მხრიდანაა ძლიერ ჩამონგრეული. უფრო კარგადაა შემორჩენილი საკურთხევლის კედელი. საკურთხევლის შიგნით შემორჩენილია ტრაპეზი. ეკლესიის შენობა მიმართულია აღმოსავლეთით. აქ ძალიან ბევრია ჯვრისგამოსახულებიანი ქვები (შ. ჯაფარიძე 1996:53).

მეორე ეკლესია, რომლის არსებობაზეც მიუთითებენ აქაური მცხოვრებლები, მდებარეობდა იგივე ქედის ძირში, ადგილებს ველთასა და კოკოშაურს შორის არსებულ ე.წ. „ნაქილისევის“ ტერიტორიაზე. ზედაპირულად აქაც აღარაფერი არ შეინიშნება. ნიკო მარი ნაქილისევის შესახებ წერს: იქვე ტყეში, ეკლესიის სიახლოვეს, ადგილს, რომელსაც ველთა ეწოდება, დევს გამოთლილი ქვა ჯვრის გამოსახულებით, მაგრამ იგი დამსხვრეულია (შ.

ჯაფარიძე 1996:53). როგორც ჩანს, ნიკო მარის დროსაც აქ არსებული საეკლესიო ნაგებობა აღგვილი იყო პირისგან მიწისა. ამ ორი ეკლესიიდან დღეისათვის შემორჩენილია მხოლოდ აღგილის სახელწოდებები „ნატაძრევი“ და „ნაქილისევი“. აქაურთა გადმოცემით ნატაძრევის ტერიტორიაზე ამ 20-30 წლის წინათ შემორჩენილი იყო ნაგებობის მცირე ნაშთები. მათ საბოლოო გაქრობა-განადგურებაში, სხვა ფაქტორებთან ერთად, დიდი როლი შეასრულეს ჩვენებური ძეგლების „შემსწავლელმა“ „არქეოლოგებმა“.



გურნათელის ეკლესიის გეგმა
შეასრულა გ. დუმბაძემ

სოფელში არსებობდა მესამე ეკლესიაც. იგი სოფლის ბოლოს იყო აშენებული. აქაურობას ტრანსპორტი არ უდგება. კოკოშაურის უბნიდან ძეგლამდე 3-4 კილომეტრია. გზა სოფლიდან განზე, ჭალების გავლის შემდეგ, რელიეფის შესაბამისად, საკმაოდ მკვეთრად ეშვება ქვემოთ მდინარე ორთვალისის შუა წელისაკენ. ძეგლთან მისვლამდე გზის მარჯვენა მხარეს შეინიშნება ადრეულ ნაგებობათა ნაშთები. მათ დანიშნულებაზე წარმოდგენის შექმნა შეუძლებელია. ძეგლთან მიახლოებისას კლდოვანი ბორცვი თანდათან დაბლა ეშვება მდინარის სანაპირო ზოლისაკენ და ქმნის უსწორმასწორო რელიეფის მქონე არცთუ ისე დიდ ტერიტორიას. ჩანს, რომ კლდოვანი ბორცვის ბოლო მონაკვეთის ჩაჭრისა და მდინარის კიდეზე შექმნილი სუბსტრუქციის ხარჯზე შეუქმნიათ მოედანი ეკლესიისა თუ სხვა დანიშნულების ნაგებობის მშენებლობისათვის. ამ აღგილს მოსახლეობა „ქილისეს“ ეძახის. ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით, კლდოვანი ქედის ძირში არის პატარა-პატარა დავაკებები თუ ტერასები, რომელიც ტყითა თუ ეკელბარდითაა დაფარული. ადგილობრივთა გადმოცემით ეს ადგილები ადრე სახნავ-სათეს ფართობებად თუ საძოვრებად გამოიყენებოდა. საკუთრივ ეკლესია, თავის დროზე კლდოვანი ბორცვის ძირში ხელოვნურად შექმნილ

მოვაკებაზე დაშენებული (ტაბ. X, 1-5). ამჟამად იგი თითქმის მთლიანადაა დანგრეული. შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთი კედლის უკიდურესი დასავლეთი და დასავლეთი კედლის უკიდურესი ჩრდილოეთი მონაკვეთები 3,5 მეტრის სიგრძეზე. კედლების მაქსიმალური სიმაღლე ამ მონაკვეთში 1,3 მეტრს აღწევს. საძირკველის დონეზე მცირე ნაშთებია დაცული ეკლესიის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში. შესაძლოა გადარჩენილი იყოს უფრო მეტიც, მაგრამ ეკლესიის ეს ნაწილი თითქმის მთლიანად დაფარულია განძის მაძიებელთა ნათხარი და გადანაყარი მიწითა და ქვებით. განსაკუთრებით დაზიანებულია ეკლესიის შიდა ტერიტორიაზე არსებული კულტურული ფენები და სამარხები. ეკლესიის შემოგარენში დიდი რაოდენობითაა მიმოფანტული სამარხებიდან ამოყრილი მიცვალებულთა ჩონჩხების ნაწილები (ტაბ. XI, 8,9), სახურავისათვის (არაა გამორიცხული აკლდამისთვის) გამოყენებული კრამიტის მთლიანი თუ დაზიანებული ნიმუშები (ტაბ. XI, 10-13), ჯამების თუ სხვა დანიშნულების ჭურჭლის ფრაგმენტები და ა.შ. შემორჩენილი ნაშთების მიხედვით შეიძლება მისი მიახლოებითი გეგმის დაჭერაც. იგი დარბაზული ტიპის ნაგობა ჩანს. რაც შეეხება მის ზომებს, შეიძლება მხოლოდ მიახლოებით სიგანე განისაზღვროს – დაახლოებით 7,5 მეტრი. ეკლესიის კედლების სისქე 80 სმ-ია. საპირეებად გამოყენებულია საშუალო ზომის არცთუ ისე კარგად დამუშავებული ქვები. ისინი 30-40 სმ სიმაღლის რიგებად იყო დალაგებული. ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით და მიმდებარე ტერიტორიაზე დასტურდება სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები (ტაბ. XI, 6,7). მათი დანიშნულების შესახებ საუბარი ჭირს.

სოფლის ცენტრში, „ნაფუძარში“ დასტურდება შენობის საძირკვლებიც. ადგილობრივთა გადმოცემით, აქ მიწის სამუშაოების შესრულების დროს ხშირად ხვდებოდა სხვადასხვა ზომის კარგად დამუშავებული ქვები თუ არქიტექტურული დეტალები (ტაბ. XI, 18-21). ზედაპირული დათვალიერებით აქა-იქ დასტურდება მოზრდილი ნაგებობის საძირკველის ნაშთები. მის გეგმაზე წარმოდგენის შექმნა არ ხერხდება. არქიტექტურული დეტალებისა და კარგად დამუშავებული ქვების მიხედვით, ჩანს, რომ აქ თავის დროზე მონუმენტური ნაგებობა უნდა მდგარიყო. აქედან წაღებული ქვების დიდი ნაწილი გამოყენებულია იქვე მდებარე სახლების მშენებლობაზე. ყურადღებას იქცევენ ორი ნიმუში. ერთ-ერთი მათგანი მოზრდილი ზომის (58X30) კარგად დამუშავებული ქვაა. მის გარეხედაპირზე სხვადასხვა ინტერვალთა დატანილია 4 კვეთილი ვერტიკალური ხაზი (ტაბ. XI, 19,20). ქვის ზურგი დაუმუშავებელია. იგი, როგორც ჩანს, კედელში ჩასმისათვის იყო გათვალისწინებული.

სასახლესთან ახლოს, 20-30 მეტრში არის წყლის ძველი რეზერვუარიც (ტაბ. XI, 22). ადგილობრივები მას „მუსლულს“ უწოდებენ. იგი ფერდობის ძირში გამოძავალი წყაროს წყლის შეგროვებისათვის გათვალისწინებული მოზრდილი ნაგებობაა. ვიზუალურად ჩანს მისი წინა მხარე და გადახურვის ნაწილი. დანარჩენი მიწაშია შესმული და ბუნებრივია, არ ჩანს. რეზერვუარის სიგანე დაახლოებით 3 მეტრია, სიმაღლე – 1,20 მ. წინა კედლის მშენებლობაში სხვადასხვა ზომის ქვებია გამოყენებული. მათი ნაწილი კარგად დამუშავებული კვადრებია, ნაწილს კი მხოლოდ გარე ზედაპირი აქვს ჩამოსწორებული. წყობებს შორის დრიტოების შესავსებად გამოყენებულია მცირე ზომის ქვები. რეზერვუარს აქვს თაღოვანი გადახურვა. მისი ძირი ქვითკირისაა. წინა კედლის ცენტრალურ ნაწილში, ძირიდან 30 სმ-ზე დატანილია წრიული ფორმის სადინარი, სადაც ამჟამად ხის ღარია ჩასმული. ამ წყალს სასმელად ადგილობრივი მოსახლეობა დღესაც იყენებს. მოგვიანებით მარცხენა მხარეს, ფერდობის ძირში მთელ სიგრძეზე, მშრალი წყობით ამოუყვანიათ ქვის კედელი. მის წყობაში აქა-იქ გამოყენებულია „ნაფუძრის“ ტერიტორიაზე არსებული ნაგებობის ნანგრევებიდან მოტანილი კარგად დამუშავებული ქვები.

აქაურთა გადმოცემით სათლელის ციხის წყლით მომარაგება ხდებოდა სოფლის ზემოთ არსებული წყაროდან. აქ დღემდე შემორჩენილია წყალგაყვანილობის სისტემებისა და სათავე ნაგებობის ნაშთები. წყალგაყვანილობის თიხის მილები საშუალო ზომისაა. მათი ნაწილი დროთა განმავლობაში აქაურ მოსახლეობას გამოუყენებია ღუმელის საკვამურების გასამართავად.

ასე რომ, სოფელ გურნათელში გვხვდება საკმაოდ ბევრი და ამავე დროს მრავალფეროვანი ძეგლები. მათი აქ არსებობა მოწმობს, რომ ეს სოფელი ადრეშუასაუკუნეებშიც საკმაოდ გამორჩეული და დაწინაურებული ადგილი უნდა ყოფილიყო. სამი ეკლესიისა და

სხვა მონუმენტური ნაგებობის მშენებლობა აქაურთა მაღალ ეკონომიკურ შესაძლებლობებზეც მიუთითებს.

ბოლო ხანს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა კიდევ ერთი მოსაზრება, რომ ნუკა-საყდარი, რომელიც კარჩხლის მარჯვენა ნაპირზე აღმართული კლდოვანი მთის კონცხზეა დაშენებული (ნ. ხოშტარია 2005:206-213), არის გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მოხსენებული გუნათლეს ვანი (დ.კლდიაშვილი 1988:162-189). ამ საკითხთან დაკავშირებით ახლახანს გაზეთ „აჭარაში“ გამოქვეყნდა ასოც. პროფ. მ. ჩოხარაძის საკმაოდ ვრცელი წერილიც. ავტორი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაზე დაყრდნობითა და შავშეთში შეგროვებული მასალების მიხედვით გამოთქვამს მოსაზრებას, რომ გუნათლეს ვანი უნდა იყოს არა ნუკა საყდარი, არამედ შავშეთის სოფელ გურნათელში არსებული სამი ეკლესიიდან ერთ-ერთი (მ. ჩოხარაძე 2010:4-6). ნუკას საყდართან დაკავშირებით სრულიად განსხვავებული მოსაზრებები აქვს გამოთქმული პროფ. მ. ფაღავასაც (მ. ფაღავა 2007; 2008; 2010). მათ განხილვას აქ ჩვენ არ შევუდგებით. გუნათლეს დედათა სავანის ადგილმდებარეობის შესახებ ჩვენც გვსურს გამოვთქვათ ზოგიერთი მოკრძალებული მოსაზრება, რომელიც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასა და გურნათელში ექსპედიციის დროს შეგროვებულ მასალებს ეფუძნება. გაბრიელი „იყო ვინმე აზნაური დიდებული“ აშოტ კურაპალატის (გ. მერჩულე 1982:102) კარზე დაწინაურებული პიროვნება, „ერისმთავარი“. „...მეფესა აშოტ კურაპალატსა აუწყა გაბრიელ ერისმთავარმა სანატრელისა მამისა გრიგოლის ღირსებად“. აზნაური, რომელიც „...შემკული იყო ყოვლითა სისრულითა და სიმდიდრითა, სიბრძნითა, ჰასაკითა და ახოვნებითა, ყოველსა ზედა საქმესა განმარჯვებითა და კეთილად მორწმუნოებითა ქებული“ (გ. მერჩულე 1982:102). როგორც ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს, თითოეული აზნაური „დიდებული“-ად არ ითვლებოდა, არამედ „დიდებული“ განსაკუთრებული აზნაურობისაგან განსხვავებული ჯგუფის წევრის აღმნიშვნელი ტერმინი იყო (ივ.ჯავახიშვილი, 1989:41).

გაბრიელი ერისმთავარიც იყო. გრიგოლ ხანძთელის თხზულებიდან და სხვა წყაროებიდან არ ჩანს, თუ რომელი რეგიონი იგულისხმება აქ. არაბულ წყაროებში დამოწმებულ ქართლის შემადგენელ ქვეყანათა სიისა და სხვა მონაცემების მიხედვით, დ. მუსხელიშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ VII ს-ის 50-იანი და VIII ს-ის 40-იან წლებში შავშეთი ცალკე ადმინისტრაციული ერთეულია, მაგრამ შემდგომში იგი ერთ-ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციის კლარჯეთის შემადგენლობაში იგულისხმება. ეს რომ ასეა, ამას მოწმობს ის, რომ ლეონტი მროველთან და ჯუანშერთან თუ ყოველთვის არა, მეტწილად კლარჯეთის ცნება გულისხმობს შავშეთსაც (დ.მუსხელიშვილი 1980:70-71).

ამ ყველაფრის მოტანა აქ ჩვენ იმისთვის დაგვჭირდა, რომ გაბრიელს „დიდებული“ აზნაურს, „ერისთავს“, „სიმდიდრითა და სიბრძნით“, სხვაგვარად რომ ვთქვათ „ყოვლითა სისრულითა“ შემკულ პიროვნებას, რომელსაც „აქუნდეს ზოგნი სოფელნი მახლობლად ვანსა ნეტარისა გრიგოლისსა“, სად უნდა პქონოდა მას სხვა მიწები? ტექსტიდან ასევე არ ჩანს, შედიოდა თუ არა სოფელი გუნათლე გაბრიელ დაფანხულის საკუთრებაში მყოფ სოფლებში. თუ დავაკვირდებით „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“, დავინახავთ, რომ კლარჯეთის ძირითადი ტერიტორიები, რომელიც არტანუჯის შემოგარენშია განთავსებული, მეფისა თუ მისი ოჯახის წევრების საკუთრებაა. აშოტ კურაპალატმა შესწირა სწორედ გრიგოლ ხანძთელს „ადგილნი კეთილნი და შატბერდისა (დღევანდელი ენირაბათი) ადგილი აგარაკად ხანძთისა“. გრიგოლმა „ვეითარცა ადგილნი იგი მოითვალნა და კურთხევად მიანიჭა კურაპალატს და ძეთა მისთა... მოვიდა ხანძთად მონასტრად თვისა და ახარა ძმთა ყოველი იგი...“ (გ. მერჩულე 1982:102). შატბერდი (ენი რაბათი) და მისი შემოგარენი ტერიტორია მდებარეობს მდინარე არტანუჯისწყლის მარჯვენა შენაკად ე.წ. ლონგოთხევის მარჯვენა ნაპირზე. იგი არტანუჯიდან 14 კმ-ით არის დაშორებული და მის ზემოთ მდებარე ბარევანის ქედით და მისი დასავლეთი ფერდობებით უშუალოდ ემიჯნება შავშეთს. ტექსტის მიხედვით გაბრიელ დაფანხულს „...ზოგნი სოფელნი მახლობლად ვანსა ნეტარისა გრიგოლისსა ე.ი. ხანძთის მახლობლად აქვს, სადაც „სათესავი ყანად და სათიბელი ქვეყანად რადთურთ არა არს, არცა იქნების ღირდოლოვანთა მათ ფიცხელთა მწუერვალთა მათ დადოთადას“. თუ დავაკვირდებით შავშეთის წყლის ხანძთის გასწვრივ ტერიტორიას ჭოროხის შესართავამდე, აქაც სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწები საკმაოდ მცირეა. ეს ტერიტორიებიც კლარჯეთის

შემაღვანელობაში შედის და უნდა ვიფიქროთ, რომ რაც იყო ისიც სამეფო კარის საკუთრება უნდა ყოფილიყო. მაშ, სად უნდა ვეძიოთ ამ „დიდებული“ აზნაურის, „ერისმთავრის“ დანარჩენი სოფლები? მთელ შავშეთში ყველაზე ნაყოფიერი მიწები სწორედ სათლელის წყლის როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხარესაა კონცენტრირებული. ისინი ძირითადად ბარსა თუ მთისწინა ზოლშია განლაგებული. ამ ზოლში იფხრეულიდან მოკიდებული არტანუჯის საზღვრამდე მთისა და ბარის გასაყარზეა აშენებული შავშეთის ციხეების დიდი ნაწილიც (იფხრეულის, დაბაწრულის, ციხისძირის, ქვათეთრისის, ხანთუშეთის და სხვა), რომელთა ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაც უნდა ყოფილიყო მთისა და ბარის დამაკავშირებელი გზებისა თუ აქ არსებული სამეურნეო სივრცეების გაკონტროლება. მოკლედ რომ ვთქვათ, აქ არსებობდა ყოველგვარი პირობა, როგორც მიწათმოქმედების, ისე მესაქონლეობის განვითარებისათვის. უნდა დავუშვათ ვარაუდი, რომ ამ ტერიტორიების გარკვეული ნაწილი, უფრო მეტად კი სათლელის წყლის მარცხენა სანაპირო ზოლში არსებული სოფლები, რომელშიც შედიოდა გურნათელიც, სწორედ „დიდებული“ აზნაურის გაბრიელ დაფანჩულის საკუთრება უნდა ყოფილიყო. ჩვენი აზრით, ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს რამდენიმე სხვა ფაქტიც.

1. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში გიორგი მერჩულე მოგვიანებით კვლავ ახსენებს სოფელ გუნათლეს, სადაც ცხოვრობს გაბრიელ დაფანჩულის შვილის აბულასათის ოჯახი. „...და აბულასათ ესევე ამცნო ცოლსა თვისსა, რამეთუ იყო გუნათლეს და თვით წარვიდა სხვად ქვეყნად“ (გ. მერჩულე 1982:102). ე.ი. შვილი თავისი ოჯახით ცხოვრობს გუნათლესში, არ უნდა გამოირიცხოს, რომ მამის გაბრიელ დაფანჩულის ოჯახიც აქ ცხოვრობდა. მითუმეტეს უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ეპოქაში მოქმედი წესის მიხედვით „დიდებულ“ აზნაურს „ერისთავს“ თავისი საგამგებლო ტერიტორია (ეს იქნებოდა საერისთავო, საციხისთავო თუ სხვა სამფლობელო) მას უკვე მემკვიდრეობით ან საკუთრად ჰქონდა დაჩემებული და, ბუნებრივია, ასევე მემკვიდრეობით მიიღებდა მას შვილიც.

2. სახლში დაბრუნებულმა გაბრიელმა შეიტყო გრიგოლ ხანძთელის სტუმრობის შესახებ, გაუხარდა და „...მსწრაფლ ხოლო დაწერა წიგნი ვედრებისად“ და სთხოვა კვლავ მობრძანება. გრიგოლი „...მორჩილ იქმნა სიტყუათა მისთა და წარჰყვა კაცთა მათ მოვლინებულთა“ (გ. მერჩულე 1982:102). გაბრიელი თხოვს გრიგოლს: „...წმიდაო მამაო, სავანე კეთილი, ადგილი დედათათვის სამკვიდრებელად გამონახეთ...“ (გ. მერჩულე 1982:102). „...გრიგოლ ძიება ყო გულისმოდგინედ და პოვა ადგილი კეთილი გუნათლეს მახლობლად, ჯვარი დასწერა და მუნ აღაშენეს მონასტერი დედათათაჲ, რომელსაც აწ ქვიან გუნათლის ვანი“ (გ. მერჩულე 1982:102). ე.ი. გრიგოლმა დიდი ძიების შემდეგ გამონახა „ადგილი კეთილი“ და არა ისეთი, როგორც ხანძთასა და მის მიმდებარე ნუკას-საყდრის შემოგარენშია: „ღირღლოვანი“ (კლდოვანი), „ფიცხელი“ (სასტიკი,სალი), „ღადოი“ (კლდოვანი მთა), სადაც „სათესარი ყანად და სათიბელი ქვეყანად არა არს“.

ასეთ „კეთილ ადგილად“ გვესახება გუნათლეს მახლობლად (და არა სოფელში) მდინარე ორთვალისის მარჯვენა კიდეზე არსებული ტერიტორია, სადაც ეკლესიაა აშენებული. იგი მართლაც და სოფლის მახლობლად სამი-ოთხი კილომეტრის მოშორებით მყუდრო, იზოლირებული გარემოა. ეკლესიის ტერიტორიაც და შემოგარენიც ტრადიციულად ეკუთვნოდა და ეკუთვნის სოფელ გურნათლეს. ეკლესიის სიახლოვეს არსებობს ის საარსებო სივრცე, რომელსაც შეეძლო უზრუნველყო დედათა მონასტრის შენახვა. ეკლესიის ტერიტორიასა და მის მიდამოებში დასტურდება სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთებიც. არაა გამორიცხული ისინი დედათა მონასტრისათვის საჭირო ნაგებობებისათვის ყოფილიყო განკუთვნილი. ძეგლზე (ეკლესიის შიგნით და გარეთ) მოხალისე არქეოლოგთა გათხრებმა დაადასტურა სამარხების არსებობა. შესაძლოა აქ არსებული კრამიტებიც მათი გამართვისათვის ყოფილიყო გამოყენებული. როგორც ცნობილია, კლარჯეთში (რომელშიც შავშეთიც შედის) არსებული მონასტრების გვერდით დიდი რაოდენობით იყო მცირე ზომის საეკლესიო ნაგებობანიც, ასეთ პატარა მონასტრებს შედარებით მცირე ზომის ბაზილიკური ან დარბაზული ეკლესიები ემსახურებოდა. გურნათელში არსებული საეკლესიო ნაგებობაც სწორედ პატარა ზომის დარბაზული ტიპის ეკლესიაა. ვფიქრობ, იგი დამხმარე ნაგებობებითა და თვითკმარი გარემო სივრცით სავსებით საკმარისი იქნებოდა დედათა სავანისათვის.


3. თუ ეს ასეა, მაშინ სად უნდა ყოფილიყო საკუთრივ სოფელში გაბრიელ დაფანჩულის საცხოვრებელი სახლი? გვსურს გამოვთქვათ კიდევ ერთი მოსაზრება. თუ ტაძარი „გუნათლეს მახლობლა“, მაშინ სოფელიც ტაძრის მახლობლად უნდა იყოს. ტაძრისაგან ასეთი სოფელი სწორედ გურნათელია. სოფელსა და ეკლესიას შორის დაცილება, როგორც ზემოთაც აღინიშნა, სამი-ოთხი კილომეტრია. არაა გამორიცხული, სოფლის ცენტრში ყველაზე გამორჩეული ვაკე ადგილ „ნაფუძარში“ არსებული მონუმენტური ნაგებობის ნაშთები, თავის წყლის რეზერვუარით იყოს ის ადგილი, სადაც დაფანჩულთა ოჯახი ცხოვრობდა. საინტერესოა საკუთრივ სოფლის ადგილმდებარეობაც. იგი, შეიძლება ითქვას, სათლელის წყლის მარცხენა მხარეს არსებული სივრცის ცენტრადაც მოიაზრო. მის ზურგს შესანიშნავად იცავს ქვათეთრისისა და ხანთუშეთის ციხეები, ხოლო წინა მხარეს შავშეთის წყლისკენ დაშვებული დამრეცი კლდოვანი ფერდობები და სათლელის ციხე, რომელიც შავშეთის „ქვეყნის“ გასაღებს წარმოადგენდა.

4. თუ დავუშვებთ, რომ გუნათლეს დედათა მონასტერი თანამედროვე სოფელ გურნათელშია და იქაა გაბრიელ დაფანჩულის ოჯახიც, მაშინ რამდენადმე გასაგები იქნება გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში დაცული ერთი ცნობაც, როცა სტუმრად მოსულ გრიგოლს გაბრიელის მეუღლე, მარიამი ატანს კაცებს და თხოვს: „ამათ კაცთა ასწავე გზაი მონასტრისა შენისაჲ (ე.ი. გზა ხანძთისა – ავტ.), რამეთუ არ დაგაკლდეს სახლისა ჩვენისა“... ჩანს რომ მარიამის მიერ წარგზავნილმა კაცებმა არ იციან გზა ხანძთისა. გრიგოლზე მათი გაყოლების ძირითადი მიზანი ის იყო, რომ შეესწავლათ ხანძთის გზა, ე.ი. გაბრიელ დაფანჩულის ოჯახი, სადაც „მიიწია“ გრიგოლი, საკმაოდ შორსაა ხანძთისაგან. ხანძთა რომ სოფელთან ახლო ძველი ყოფილიყო, მაშინ გზა ისედაც ცნობილი იქნებოდა მათთვის და, ბუნებრივია, ეს გზა დამატებით შესწავლას არ მოითხოვდა. ე.ი. გზა, რომელიც ხანძთისაკენ მიდის, უცნობია აქაურთათვის. სწორედ ამიტომაც თხოვს მარიამი გრიგოლს „ასწავე გზაი მონასტრისა შენისაჲ“. თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე გურნათელისა და ხანძთის ადგილმდებარეობას, ისინი მართლაც ერთმანეთისაგან საკმაოდ შორი-შორს მდებარე გეოგრაფიული პუნქტებია. მათ შორის მანძილი დაახლოებით 25 კმ-ია. თუ გავითვალისწინებთ რელიეფის სირთულესაც, „ფიცხელ“, კლდოვან მთებსა და ხეობებს ხანძთისაკენ მიმავალი გზა მართლაც ძნელად გასაკვლევია იქნებოდა. ეს გარემოებაც ხომ არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მოხსენებული გუნათლე იგივე თანამედროვე გურნათელია და არა ნუკა-საყდარი, რომელიც ხანძთისაგან 4 კმ-ითაა დაშორებული და ზოგიერთი მკვლევარის მიერ მიჩნეულია გუნათლეს ვანად?.

2.2. დაბაკეთილის (იაშარქის) ეკლესია

სოფელი დაბაკეთილი (იაშარქი) შავშეთისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, სოფელ ციხისძირსა და ტბეთს შორის მდებარეობს. იგი თანამედროვე შავშეთის ცენტრიდან 16 კილომეტრითაა დაშორებული. ამ სოფელსაც, ციხისძირის მსგავსად, აქვს საკმაოდ დიდი ტერიტორიები. რაც ქმნიდა მეტად ხელსაყრელ პირობებს მიწათმოქმედებისა და, განსაკუთრებით, მესაქონლეობის განვითარებისათვის. ერთ ზოლზე მდებარე სოფლები – ტბეთი, დაბაკეთილი, ციხისძირი და სხვა საკმაოდ დაწინაურებული უნდა ყოფილიყვნენ შუასაუკუნეებში. ამაზე მიუთითებს აქ არსებული ამ ეპოქის ძეგლების სიმრავლე და აქ გამავალი ის ძველი გზები, რომელიც ამ რეგიონს აკავშირებდა კლარჯეთთან, აჭარასთან თუ სამცხე-ჯავახეთთან. ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ამ სოფელში თავის დროზე ორი ეკლესია ყოფილა. ერთი მათგანი ადგილია მიწისაგან პირისა. ადგილს მხოლოდ სახელი – ნაქილისევი (ნაეკლესიარი) შემორჩენია. რაც შეეხება მეორე ეკლესიას, იგი მდებარეობს სოფლის თავში, საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს, 50 მეტრში, სოფელ ციხისძირსა და დაბაკეთილს შორის საზღვარზე. ეკლესია უშუალოდ დაშენებულია ქედის ბოლო მონაკვეთის შემადგენელ ბორცვზე (ტაბ. XII, 1-10). აქედან შესანიშნავად მოჩანს მთელი შემოგარენი კარგა მანძილზე. დაზიანებული ეკლესია თავის დროზე შავშეთში მოგზაურობისას ნიკო მარსაც უნახია. იგი ტაძრის სიახლოვეს მიუთითებს ტბის არსებობაზეც. ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით არსებულ ვაკეზე ტბა დღესაც დასტურდება.

ოღონდაც უფრო დამცრობილი. როგორც ჩანს, იგი თავის დროზე შედარებით დიდი უნდა ყოფილიყო. ირგვლივ საკმაოდ დიდ ფართობზე შეიმჩნევა ტბისათვის დამახასიათებელი მცენარეული საფარის არსებობაც.




დაბაკეთილის ეკლესიის გეგმა
შეასრულა გ. ღუმბაძემ

დღემდე მოღწეული ეკლესია საკმაოდ დაზიანებულია. თუმცა მის გეგმაზე წარმოდგენის შექმნა შესაძლებელი ხდება. დაბაკეთილის ეკლესია წარმოადგენს მცირე ზომის დარბაზული ტიპის ერთნაგიან ნაგებობას, რომლის აფსიდაც სწორკუთხედშია ჩაწერილი. ეკლესიის სიგრძე 9,5 მეტრია, სიგანე – 5,50 მეტრი, ხოლო მისი კედლების სისქე – 70 სმ. ეკლესიის ძირითადი ნაწილი თითქმის საძირკვლის დონემდეა მორღვეული. შემორჩენილია მხოლოდ აფსიდის და კედლების მცირე ნაწილი. მის გაგრძელებაზე საძირკვლისა და კედლების უმნიშვნელო ნაშთები დაცულია ეკლესიის დასავლეთითაც. აფსიდის ცენტრალურ ნაწილში 4 მ სიმაღლის კედელი დანგრეულია 1,5 მეტრის სიგრძეზე. შემორჩენილ კედლებს როგორც შიგნით, ისე გარეთ პერანგები ძირითადად შემოცლილი აქვს. აქა-იქ შემორჩენილი ნიმუშებისა და კედლებზე არსებული ფოსოების მიხედვით ჩანს, რომ პერანგებად გამოყენებული უნდა ყოფილიყო შედარებით კარგად დამუშავებული კვადრები. ქვების წყობაში რიგები დაცულია. კვადრებს შორის სივრცეებში შევსებულია დუღაბითა და წვრილი ნატეხი ქვით. ეკლესიის ცენტრალური შესასვლელი არ ჩანს. არაა გამორიცხული იგი სამხრეთის ან დასავლეთის კედლებში ყოფილიყო დატანილი. ეკლესიის როგორც მიმდებარე, ისე შიგა ტერიტორია განძის მაძიებელთა მიერ გადათხრილია.

2.3. ახალდაბის (თეფექის) ეკლესია

შავშეთის ცენტრიდან სოფელ ახალდაბამდე 14 კილომეტრია. სოფელი არსიანის მთებიდან ხეობისაკენ დაშვებულ ქედებს შორის ქვაბულში, უზარმაზარ მოვაკებულ ტერიტორიაზეა გაშენებული. იშვიათად თუ მოიძებნება შავშეთისწყლის მარჯვენა მხარეს ისეთი ლამაზი და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისათვის უხვნიადაგიანი ტერიტორია, როგორც ახალდაბაშია. სოფლის ცენტრში, იქ სადაც ამჟამად ჯამეა, დაახლოებით 200 მეტრის დაცილებით მდებარეობს შუასაუკუნეების ეკლესიის ნაშთები. ეკლესია თავის დროზე აუშენებიათ საკმაოდ დახრილი ფერდობის მცირედ მოვაკებულ ტერიტორიაზე. აქედან შესანიშნავად ჩანს მთელი სოფელიც და შავშეთისწყლის ხეობის დიდი ნაწილიც. ეკლესიისათვის განკუთვნილი ტერიტორია, როგორც ჩანს, თავის დროზე დამატებით მოუსწორებიათ და გაუფართოვებიათ. მთლიანი ფართობი დაახლოებით 400-500 კვ.მეტრია. ეკლესია თითქმის საძირკვლის დონემდეა მორღვეული. აქა-იქაა შემორჩენილი მხოლოდ კედლებისა თუ საძირკვლის ნაშთები (ტაბ. XIII, 1-6).




ახალდაბის ეკლესიის გეგმა
შუასრულა გ. ღუმბაძემ

შედარებით კარგადაა დაცული ეკლესიის აფსიდის ჩრდილოეთი მხარისა და ჩრდილოეთი ნავის ნაშთები. აფსიდის ამ ნაწილში კედლის შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე 3,5 მეტრს აღწევს. აფსიდიდან ეკლესიის ჩრდილოეთის კედელი დასავლეთით 3,5 მეტრი გრძელდება. შემდეგ კი საძირკვლის დონემდეა მორღვეული. კარგადაა შემონახული ეკლესიის ჩრდილოეთი მინაშენის უკიდურესი აღმოსავლეთი მონაკვეთიც 4 მეტრის მანძილზე. აქ დღემდეა შემორჩენილი კედლების პერანგებიც. ჩანს, რომ ეკლესიის კედლები როგორც შიგნით, ისე გარეთ, თავის დროზე კარგად დამუშავებული კვადრებით იყო შემოსილი. ამჟამად მოღწეული კედლის მაქსიმალური სიმაღლე ამ მონაკვეთში 3 მეტრს აღწევს. კედლის სისქე 80 სმ-ია. რაც შეეხება ეკლესიის ცენტრალური ნავის შემორჩენილი აფსიდის კედლებს, მათ პერანგები მთლიანად შემოცლილი აქვს. ემჩნევა მხოლოდ საშუალო ზომის კვადრებისათვის განკუთვნილი ბუდეების კვალი. ჩანს წყობის რიგები დაცული იყო.

ეკლესიის უკიდურეს დასავლეთ მონაკვეთშიც აქა-იქ დაცულია საძირკვლის ნაშთებიც. მათზე დაყრდნობით შეიძლება ეკლესიის მიახლოებითი გეგმის აღდგენა. ჩანს, რომ ეკლესია თავის დროზე პატარა ზომის დარბაზული ტიპის ნაგებობა იყო. ძეგლს აქაც ემჩნევა „მოხალისე არქეოლოგების” ძლიერი კვალი. ეკლესია შავშეთისათვის დამახასიათებელი დარბაზული ტიპის ნაგებობაა და იგი შეიძლება IX-X საუკუნეებით დათარიღდეს.

24. ციხისძირის (ყაიადიბის) ეკლესია

სოფელი ციხისძირი მდებარეობს შავშეთისწყლის მარჯვენა სანაპიროზე. შავშეთის ვაკე, რომელიც საკმაოდ დიდ და ნაყოფიერ ტერიტორიებს მოიცავს სამხრეთ-დასავლეთით ტერასებად იშლება. ერთ-ერთ ტერასაზე სწორედ სოფელი ციხისძირია გაშლილი. იგი შავშეთიდან 19 კილომეტრითაა დაცილებული, ხოლო ცნობილი ტბეტიდან – 3 კილომეტრით. თანამედროვე ყაიადიბი, ანუ ციხისძირი საკმაოდ დიდი სოფელია. იგი რამდენიმე მაჰალესაგან (უბნისაგან) შედგება. მათგან აღსანიშნავია: თეთრიკლდე, ბეჯიდოღლუ, ჯინშენლარ, ასლიოღლუ, კორდეზელერ, ახალჯამმაჰალესი, სასონგილი და სხვა. აქაური მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება და მესაქონლეობაა. ციხისძირი საინტერესო სოფელია თავისი წარსულითაც. აქ, როგორც ადგილობრივ მოსახლეობასთან საუბრებით დადასტურდა, ყოფილა ორი საეკლესიო ნაგებობა და სოფლის თავზე, ჯამმაჰალეში არსებულ წოწოლა კლდის თავზე დაშენებული ციხე-კოშკი. სოფელი XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც მოწინავეობს.



ციხისძირის ეკლესიის გეგმა
შეასრულა გ. დუმბაძემ

გ. ყაზბეგი აღნიშნავდა, რომ ციხისძირში ცხოვრობს შავშეთის მუდირი. მუდირის აქ ყოფნამ ციხისძირი მთელი შავშეთის ცენტრად გადააქცია. სოფელში არის ხულოს მსგავსი დუქნები, მაგრამ აქ ვაჭრობენ მხოლოდ ართვინელი სომხები (გ. ყაზბეგი 1995:78). ამჯერად მოვახერხეთ მხოლოდ ჯამმაჰალეს უბანში არსებული საეკლესიო ნაგებობის ზედაპირული შესწავლა. ეკლესია მდებარეობს თანამედროვე სოფლის ჯამის ზემოთ არსებულ საკმაოდ დახრილი ფერდობის მცირედ მოვაკებულ ტერიტორიაზე. ნაგებობისათვის განკუთვნილი ტერიტორია დაახლოებით 300 კვ.მეტრ ფართობს მოიცავს. ეკლესიის დიდი ნაწილი თითქმის საძირკველის დონემდეა მორღვეული (ტაბ. XIII, 7-8). მიუხედავად ამისა, შეიძლება გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ ეკლესიის გეგმაზე. იგი დარბაზული ტიპის საეკლესიო ნაგებობაა. შემორჩენილია აფსიდისა და ჩრდილოეთი კედლის ნაწილი. ასევე მცირე ნაშთებია დაცული ეკლესიის უკიდურეს დასავლეთ მონაკვეთში. მთლიანი ეკლესიის ნაგებობის სიგრძე 10,5 მეტრი უნდა ყოფილიყო, სიგანე კი – 7,5 მეტრი. აფსიდის მხარეს შემორჩენილი ნაწილის მაქსიმალური სიმაღლე 2,80 მ-ია. აფსიდიდან ჩრდილოეთი კედელი დასავლეთისაკენ 4 მეტრის სიგრძეზეა შემორჩენილი. ეკლესიის მზიდი კედლების სისქე 80 სმ-ია. ჩვენამდე მოღწეული ნაშთების მიხედვით ჩანს, რომ თავის დროზე ეკლესიის როგორც ცოკოლი, ისე კედლების პერანგებიც, არც თუ ისე კარგად დამუშავებული ქვებით ყოფილა აშენებული. პერანგებს შორის სიცარიელე შევსებულია დუღაბით და წვრილი ნატეხი ქვებით. სხვა

ეკლესიებისაგან განსხვავებით, აქ არ გვაქვს კედლის სვეტები, პილასტრები, რაც ნაგებობის შედარებით მცირე ზომების გამო, კონსტრუქციულადაც არ იყო საჭირო.


2.5. საზვირველის ეკლესია

საზვირველის ეკლესია მდებარეობს კარჩხლის წყალგამყოფი მთების თხემზე არსებულ მოვაკებულ ტერიტორიაზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა საზვირველის ვაკეს, „დუხს“ უწოდებს. მას ქილისე სერსაც ეძახიან. ქედის სამხრეთი ფერდობიდან სათავეს იღებს ბაზვირეთის, ხოლო გადაღმა მხრიდან – კარჩხლის, ჩიხორის (ბასილათწყლის) და ახრანთხევის წყლები. სწორედ აქ შავშეთისწყლის ხეობისაკენ მიმართული ექსპოზიციის დასაწყისში არსებულ მოვაკებებსა თუ ფერდობებზეა თავმოყრილი ახლომდებარე ხეობების სხვადასხვა სოფლების საზაფხულო იაღალები. საზვირველი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ადგილია ქედზე. იგი ზღვის დონიდან 2353 მეტრზე მდებარეობს. აქედან კარგად ჩანს მთლიანი შავშეთის ქვაბული და იმერხეგ-შავშეთისწყლის აუზის ცალკეული ხეობები სოფლებითურთ, სათავეებიდან მოკიდებული თითქმის ჭოროხ-შავშეთისწყლის ხერთვისამდე. ამ ტერიტორიას ამავე დროს ჰქონდა მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა. აქ სხვადასხვა მიმართულებით გადიოდა გზებიც.

ეკლესია საზვირველის მთის მოვაკებული ტერიტორიის ყველაზე ღამაზ და შემადგებულ ადგილზეა აგებული. იგი დროთა განმავლობაში დანგრეულა (ტაბ. XIII, 9-10). მიუხედავად ამისა, ჩანს პერანგშემოცლილი კედლების თუ შედარებით კარგად დაცული ცოკოლის ნაშთები. ნაგებობის არქიტექტურაზე მეტნაკლებად სრული წარმოდგენის შექმნა შეიძლება. ტერიტორიის დათვალიერებით ნათელი გახდა, რომ განძისმაძიებლებს საკმაო კვალი დაუმჩნევიათ მისთვის. ნათხარია ეკლესიის შიდა და გარე – ჩრდილოეთი, ნაწილობრივ აღმოსავლეთი სექტორები. დროთა განმავლობაში ეკლესიისათვის, როგორც შიგნით, ისე გარეთ შემოუცლიათ პერანგის ქვები. ისინი ადგილობრივ მოსახლეობას გამოუყენებია სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა მშენებლობისათვის.

ეკლესიის გეგმა მთლიანად კვადრატს მიახლოებულ სწორკუთხედშია ჩაწერილი. მისი სიგრძე 10 მეტრია. სიგანე მინაშენის ჩათვლით კი – 10,30 მ-ი. ეკლესია დარბაზული ტიპისაა, საკმაოდ დრმა ნახევარწრიული აფსიდით, სამხრეთის მინაშენით და კარიბჭით. მინაშენის სამხრეთ-აღმოსავლეთი სათავეს კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთისა - აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმართული გრძივი სწორკუთხედი. კედლების სიგანე საშუალოდ 1 მეტრია. ნაგებობის ცოკოლი, რომელიც შედარებით კარგადაა დაცული, კირქვის დამუშავებული ან ნაწილობრივ დამუშავებული საკმაოდ მოზრდილი ქვებითაა შემოსილი. რაც შეეხება ეკლესიის კედლებს, შემორჩენილი ნაშთების მიხედვით ჩანს, რომ პერანგები შედარებით ფაქიზად დამუშავებული კირქვის კვადრებით ყოფილა შემოსილი. ერთი მეტრის სიმაღლემდეა შემორჩენილი საკურთხევლის აფსიდის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე და მინაშენის სამხრეთ-აღმოსავლეთი სათავეს შიდა ნაწილიც. აქაც კედლები შედარებით კარგად დამუშავებული კირქვითაა ნაშენები.

ნაგებობა საგრძნობლადაა გადახრილი ჩრდილოეთისაკენ. მისი სრულყოფილი გაწმენდის გარეშე შეუძლებელი ხდება დაზუსტდეს, თუ საიდან ჰქონდა მას კარის დიობი. თუ გავითვალისწინებთ ამ ტიპის ეკლესიების უმრავლესობას, არაა გამორიცხული მასაც ცენტრალური შესასვლელი სამხრეთით, ან დასავლეთით ჰქონოდა. ნაგებობის შენების თარიღზე გადაჭრით რაიმეს თქმა არ შეიძლება.



საზვირელის ეკლესიის გეგმა
შეასრულა გ. ყიფიანმა

საყურადღებოა ისიც, რომ ძეგლის გარშემო არავითარი დასახლების კვალი არ შეინიშნება და ბუნებრივი პირობების გამო იგი არცაა მოსალოდნელი. ვისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი 2353 მეტრის სიმაღლეზე, ალპურ ზონაში, აგებული ეკლესია? ეს ტერიტორია თავისი ადგილმდებარეობითა და ბუნებრივი რესურსებით ქმნიდა მეტად ხელსაყრელ პირობებს მესაქონლეობის განვითარებისათვის. მას საარსებო მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ახლომდებარე სოფლების მეურნეობისათვის. ეს ადგილი ამავე დროს წარმოადგენდა გზაჯვარედინსაც. საზვირელის დუხს სამხრეთ-დასავლეთით ლეკობნისერი, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით საბუზარა სერის საკმაოდ მაღალი მთები იცავდა. მთისა და ბარის დამაკავშირებელ მთავარ გზებზე იდგა უსტამისის (წუფთის) და ხევწრულის ციხეებიც. ისინი ცხადია ახორციელებდნენ კონტროლს აქ გამავალ გზებზეც და, ბუნებრივია, ამ გზებით დაკავშირებულ მხარეებზეც. თუ გავითვალისწინებთ იმას, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საზვირელის ვაკესა და მის მიმდებარე ტერიტორიებს აჭაური მოსახლეობისთვის, მაშინ გასაგები უნდა იყოს აქ არსებული ეკლესიის დანიშნულებაც – იგი საზაფხულო იალაღებზე ამოსული მოსახლეობისათვის და მგზავრთათვის განკუთვნილი ღვთის სახლი უნდა ყოფილიყო.

* * *

როგორც ვნახეთ, შავშეთის „ქვეყნის“ განხილული ყველა ეკლესია უგუმბათოა. ამ ტიპის ძეგლები სამ ჯგუფად იყოფა: 1. ბაზილიკური, სამ ნავად შინაგანი სვეტებით; 2. სამეკლესიანი ბაზილიკური და 3. ერთნავიანი დარბაზული ეკლესიები (გ.ჩუბინაშვილი 1936:189).

შავშეთში ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა ბოლო, მესამე ტიპის საეკლესიო ნაგებობანი. ისინი დარბაზული ტიპის ეკლესიებია, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული მთლიანად

ჭოროხის ქვეყნებში და განსაკუთრებით შავშეთში. დარბაზული ტიპის ეკლესიების თემას ფართო გავრცელება ჰქონდა ადრეული პერიოდებიდან (V-VI სს-დან) თითქმის XIX საუკუნის ჩათვლით (Г.Чубинашвили 1971:39). იგი ერთადერთი ფორმა იყო უგუმბათო ეკლესიებისა, რომელიც გაჩენის დღიდან ბოლომდე დარჩა გუმბათიანი ტაძრების „თანამგზავრად“ (ვ.ბერიძე 1974:26). შავშეთში ექსპედიციების დროს განხორციელებული დაზვერვებით დასტურდება, რომ ამ ტიპის ეკლესიები შავშეთისათვის ძირითადია. ისინი თითქმის საძირკვლების დონემდეა დანგრეული, ან კიდევ საერთოდ აღგვილია მიწისაგან პირისა.

ჩვენს მიერ შესწავლილი ეკლესიებისათვის დამახასიათებელია წარგებლებული სწორკუთხედი, რომელიც შიგნით, აღმოსავლეთის მხარეს ნახევარწრიული აფსიდით მთავრდება. აფსიდა სწორკუთხედის ფარგლებში რჩება. მათი სახურავი ორფერდაა, შესასვლელიები ჩვეულებრივ სამხრეთით ან დასავლეთით აქვთ, თუ მოზრდილია-ორივეგან. ამ ტიპის ტაძრების შინაგანი სივრცეც უფრო მარტივი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, ჩანს, ხუროთმოძღვარი შიდა სივრცის მაღალმხატვრული არქიტექტურული გადაწყვეტით მნიშვნელოვან ეფექტს მაინც აღწევს.

ამ ტიპის ყველა ძეგლი ერთნაირი არაა. თითოეული მათგანი თავისი დროის ნიშნებს ატარებს. აყვავების ხანის ძეგლები (მაგ. საზვირელი) უფრო დახვეწილია და ყოველთვის იგრძნობა შესრულების შედარებით მაღალი სტილი. ამ ტიპის ეკლესიების ერთი ნაწილი სოფლის ან კარის სამლოცველოები უნდა ყოფილიყო. ესენიც ყურადღებას იქცევენ მშენებლობის დახვეწილი მანერით. შავშეთში შესწავლილი დარბაზული ტიპის საეკლესიო ნაგებობების მცირე ნაწილს (საზვირელი) აქვს სამხრეთის მინაშენი. იგი სრულყოფილი სახით არცერთ ძეგლზე არაა დაცული. როგორც არ უნდა განვიხილოთ ეს ნაგებობანი, შენობის თანადროულად თუ შემდეგ აგებულად, ისინი მაინც ბუნებრივად თავსდება შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების აყვავების ხანაში. რადგან, როგორც ცნობილია, საქართველოში X-XI საუკუნეებიდან სტოა ტაძრის თითქმის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა (ვ.ბერიძე 1942:105). ზემოთ განხილული ეკლესიების აბსოლუტური უმრავლესობა საერთო პროპორციებით, საშენი მასალის დამუშავების ხასიათით ძირითადად შეიძლება IX-X საუკუნეებით დათარიღდეს. რაც შეეხება საზვირელის ეკლესიას, იგი ცოტათი მოგვიანო პერიოდის (XI ს) ძეგლი ჩანს.

დარბაზული ტიპის ეკლესიები ბევრია კლარჯეთში, ტაოში, ჯავახეთში, სამცხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, შიდა ქართლში (Г.Чубинашвили 1971:27-66) და ა.შ. სვანეთში იგი ერთადერთ მიღებულ თემას წარმოადგენდა (Г.Чубинашвили 1965:69). ასე ჩანს იგი აჭარის-წყლის ხეობაშიც (შ. მამულაძე 1993:72-142). ამ ტიპის საეკლესიო ნაგებობანი იმდენად ბევრია შავშეთში, რომ მათ ნიკო მარი შავშურ-იმერხევეურსაც უწოდებს (Н. Мара 1911).

§3. შუა საუკუნეების შავშეთის მოსახლეობის სამეურნეო ყოფიდან

ბოლო წლებში შავშეთში განხორციელებული ექსპედიციების დროს დაგროვდა არც თუ ისე მცირე მასალა, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ შუა საუკუნეების აქაური მოსახლეობის სამეურნეო ყოფაზე. ადრეფეოდალური ხანის ქართულ სამთავროებს შორის ტაო-კლარჯეთი ერთ-ერთი მდიდარი და ეკონომიკურად დაწინაურებული მხარეა. სამთავროს ერთ-ერთი გამორჩეული რეგიონი შავშეთი უნდა ყოფილიყო. იგი არსიანის, აჭარა-შავშეთის, კარჩხლისა და ბაჰრევიანის მთის ქედებს შორის მოქცეული საკმაოდ დიდი სივრცეა და წარმოადგენს ერთ დიდ ქვაბულს. ამ ტეროტორიას გ. ყაზბეგი, პირობითად ორ ნაწილად ყოფს: მთიან და დაბლობად. პირველი შედგება იმერხევის ხეობებისაგან, ხოლო მეორე სათლელის წყლის აუზისაგან. მთიანი ნაწილი აჭარისას წააგავს, მაგრამ მისგან განსხვავდება უფრო მკვეთრი კონტურებით (გ. ყაზბეგი 1995:53). იმერხევის მდინარეები მკვეთრ დაღმართებზე მიედინება და დასახლებული ადგილები დაჯგუფებულია ხეობათა ფერდობებზე, აქა-იქ არსებულ ტერასებზე თუ მცირედ მოვაკებულ ტერიტორიაზე. შედარებით გაშლილი სივრცეები განთავსებულია იმერხევის, ყვირალის,

ფაფართის, ჩაქველთას და ბაზგირეთის წყლების ხეობათა სათავეებში. აქ არსებული სოფლები უშუალოდ მთისწინა ზოლშია გაშენებული და შედარებით ხელსაყრელი პირობებია მესაქონლეობის განვითარებისათვის.

შავშეთის ბარის, ანუ სამხრეთი ნაწილი სხვა ხასიათისაა. აქ არსიანის მთის განშტოებები დიდ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების ფართობებად იშლება და დასახლებებიც მეტ-ნაკლებად ხეობიდან გამოდის. აქ ადამიანები მდინარეთა ნაპირებს არიან მიჯაჭვული. სოფლები იშლება დიდი ველებზე, სადაც აქვთ სახნავი და სათიბი ადგილები. შავშეთის როგორც სოფლებში, ისე მთისწინა ზოლში მრავლადაა საძოვრებიც. სოფლებთან საკმაოდ ახლოსაა საზაფხულო იაილებიც. არსიანის ქედი, რომელიც შავშეთს ჩრდილოეთით გამოყოფს კოლა-არტაანისაგან, საკმაოდ საინტერესო ტერიტორიაა. იგი, როგორც გ. ყაზბეგი შენიშნავდა, მერიდიანის მიმართულებითაა გადაჭიმული. ამ ქედზე სამხრეთით აღმართულია არსიანის მთის ბლაგვი მწვერვალი, აქვე თითქმის გვერდით აწვეტილია ჩირუხის მთის კონუსი, საიდანაც რადიუსებად მიემართებიან შავშეთისა და კარჩხლის მთები (გ. ყაზბეგი 1995:53), რომლის გადმოღმა მხარეს შავშეთ-იმერხევის, ხოლო გადაღმა მხარეს აჭარისწყლის და მისი ცალკეული ხეობების ფერდობებზე მდებარე სოფლებია შეფენილი. არსიანის ქედი კი თავის მხრივ მთელ თავის სიგრძეზე ერთგვაროვანია. მისი ფართო თხემი ბრტყელ ზოლად არის გადაჭიმული და დაფარულია მდიდარი ალპური მდელოებით. როგორც გ. ყაზბეგი შენიშნავდა, აქაურობა ერთი მეტად ვრცელი საძოვარი ადგილია (გ. ყაზბეგი 1955:54-55). მათგან განსაკუთრებით გამოირჩევა ჩირუხი. აქ მთელი ფართობი წარმოადგენს ერთ გაშლილ მწვანე ხალჩას, რომელიც თვალწარმტაცი ალპური ფლორითაა დაფარული. ამიტომაც გასაგები იქნება ახლომდებარე მხარეების მეურნეობისათვის ჩირუხის მდელოებს თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა (გ. ყაზბეგი 1955:71).

ზაფხულის დადგომისთანავე, შენიშნავს გ.ყაზბეგი, აქ სხალთის, მარეთის (აჭარა), იმერხევის, შავშეთის, ფოცხოვის, არტაანის ხეობებიდან და კახაბრის ვაკიდანაც კი საქონელს მიერეკებიან. ამ დროს უმრავლეს დაილებში, რომლებიც ჩირუხის მიდამოებშია გადაჭიმული, მწყემსთა ცხოვრება გამოცოცხლდება ხოლმე. გაზაფხულობით ეს მინდორი აქაურობის საუკეთესო ადგილად გადაიქცევა (გ. ყაზბეგი 1955:71). არანაკლებ საინტერესო მდელოები და საზაფხულო იაილებია განლაგებული არსიანის მთის აღმოსავლეთით გაგრძელებაზე იდღირის, საპარის, ალაჩამის, ბილბილადალის თუ სხვა მთების სახელწოდებებით ცნობილ ტერიტორიებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი სიმრავლე და სოფლებთან სიახლოვე. მათ ძირითადად სათლელის წყლის მარცხენა მხარეს არსებული სოფლების თუ ნაწილობრივ კლარჯეთის მოსახლეობა იყენებდა და იყენებს დღესაც. აქაურ სოფლებშიც და მთისწინა ზოლშიც მრავლადაა სახნავ-სათესი ფართობები თუ საძოვრები. ასე რომ, შავშეთის „ქვეყნის“ ეკონომიკურ სიძლიერეს დიდად უწყობდა ხელს ამ რეგიონის მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნება. ყველაფერი ეს კი ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს მეურნეობის ცალკეული დარგების და განსაკუთრებით მემინდვრობისა და მესაქონლეობის განვითარებისათვის.

შავშეთში მეურნეობის ტრადიციული დარგი მიწათმოქმედება იყო. პურეული კულტურის ფართო გავრცელებაზე და ჯიშებზე იმდროინდელ წყაროებში პირდაპირი მითითება არ გვაქვს. მხოლოდ ძალზე მწირი ცნობებია დაცული გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში. ჩანს, რომ აქაურთა ყოფაში მარცვლეული კულტურებიდან გამორჩეული ადგილი უნდა სჭეროდა ფეტვს: „და აღუთქვა მიცემად სამი გრივი ფეტვი და წარავლინა ხანცთად მოკლვად მამისა გრიგოლისა“ (გიორგი მერჩულე 1982:304). ამავე ნაწარმოებიდან ჩანს, რომ ადრე შუასაუკუნეებში ასლის კორკოტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკვები ყოფილა. „შვილო გაბრიელ, საოსტიგნით ცხელი საჭმელი კორკოტისაი მომართვი“ (გიორგი მერჩულე 1982:326). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ასლისაგან ამზადებდნენ კორკოტს, უნდა დაგუშვათ, რომ აქაურ მარცვლეულ კულტურებში მასაც ერთ-ერთი გამოკვეთილი ადგილი ეჭირა. ასლი, როგორც მოკლე სავეგეტაციო პერიოდის მქონე კულტურა, მთის პირობებშიც დროულად ასწრებდა შემოსვლას. იგი სიცხის ამტანი, გვაღვაგამძლე ხორბალია და დიდი შემგუებლობით გამოირჩევა (ლ. დეკაპრილოვიჩი 1955:28). ბიოლოგიური თვისებებით იგი სრულიად შესატყვისი მარცვლეული კულტურაა შავშეთის როგორც ბარის, ისე მთისწინა ზოლის გეოკლიმატური პირობებისათვის.

როგორც ცნობილია, მესხეთი ფეოდალური საქართველოს პურეულის ერთ-ერთი ძირითადი ბაზა იყო (მ.ლორთქიფანიძე 1963:215). ვახუშტი წერდა: „და არს ესე შავშეთი ვენახილიანი, ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი, თვინიერ ბრინჯ-ბამბისა. პირუტყვნი, ნადირნი, ფრინველი და თევზი მრავალნი. და ნაყოფიერებს ფრიად მიწა ამის, რაოდენიც იხმარების სივიწროვედ“ (ვახუშტი 1941:136).

გ.ყაზბეგი აღნიშნავდა, რომ შავშეთისა და ყარსის პურით მარაგდებოდა არამარტო ჭოროხის ქვემო წელის მოსახლეობა, არამედ ზღვისპირეთიც. აქაურ მარცვლეულს დიდი მოწონება ჰქონდა უცხოურ ბაზარზეც კი. მისივე ცნობით, შავშეთის პურის შესყიდვა დაიწყო ინგლისელი ვაჭრების კომპანიამ. 1874 წელს ერთ-ერთი კომპანიის აგენტმა 44 ათასი ფუთი ხორბალი გაგზავნა ინგლისში (გ. ყაზბეგი 1955:115). ვფიქრობთ, შავშეთი წარმოადგენდა ადრე თუ განვითარებულ შუასაუკუნეებში კლარჯეთის, ხოლო შემდეგ ყარსთან ერთად ტაო-კლარჯეთის მარცვლეულით მომარაგების ერთ-ერთ ძირითად და მნიშვნელოვან ცენტრს. არაა გამორიცხული, არტანუჯი რომ მთლიანი შავშეთ-კლარჯეთის ძირითადი ცენტრი იყო, სხვა მიზეზებთან ერთად, სწორედ ამიტაც უნდა ყოფილიყო განპირობებული.

მეურნეობის ამ დარგის განვითარებაზე მეტყველებს შავშელთა სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებული დღემდე მოღწეული მასალებიც. ირკვევა, რომ მათ მემინდვრობაში დღემდე შემორჩენილი ხორბლეულის ისეთი ჯიშები, როგორცაა: ქერი, ბუღდაი, თეთრი, ჭვავი, წმინდა, დოლის პური, ფეტვი და ა.შ. ამის დასტურია მემინდვრობასთან დაკავშირებული ტოპონიმების (კალო, ნაკალოვი, საქერი, ჭუავის საგორებელი, ნადიკვარი, კალო, დოლიანთა, ნაკალევეთი, ნაფეტვარი...), შრომის იარაღების (მერული, კვერი, არუნაი, ფორჩხი, ფიწალი...), გასაღვ-გასანიავებელი მოწყობილობების (ხვაი მაქინა), ბზისა და პურის გასარჩევ-გასანიავებელი მოწყობილობების (ჩქნოლი, ხვიმირი), სამეურნეო ნაგებობების (ქორი, საბზელი) და სხვათა არსებობა (თ.ფუტყარაძე 2010). როგორც ტერმინოლოგია, ისე სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული იარაღ-მოწყობილობანი და ყოფითი თავისებურებანი ნათელყოფს, რომ შავშეთი საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან ერთად წარმოადგენდა ერთ სამეურნეო-ეკონომიკურ ერთეულს. ისტორიის სიღრმეში ჩამოყალიბებული ქართული სამეურნეო ერთეულებიდან სამხრეთ საქართველო გარკვეული პერიოდის განმავლობაში უცხო სახელმწიფოს საზღვრებში აღმოჩნდა, მაგრამ ჩვენებურებმა მაინც მოახერხეს ქართული სამეურნეო ყოფითი თავისებურებების შენარჩუნება.

შავშეთში მიწათმოქმედების განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელი უნდა იყოს სარწყავი სისტემების ძველი ტრადიცია, რომელმაც დღემდე შემოინახა აქ თავი. ნიშანდობლივია, რომ შავშეთის სოფლებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ნათესების მორწყვას. ამიტომაცაა შემოღებული აქ ე.წ. „სუჯის“ ინსტიტუტი (სუ-წყალი, სუჯი-სარწყავი წყლის (რუს) მეთვალყურე). უსტამისში სარწყავი წყალი 10 კმ მანძილიდანაა გამოყვანილი. სუჯი ვალდებულია, ყოველდღიურად დაათვალიეროს სარწყავი არხი, უზრუნველყოს მისი ნორმალური ფუნქციონირება. ამისათვის მას მოსახლეობა უხდის გარკვეულ თანხას (ერთი ოჯახი იხდის 20 ლირას). სარწყავი რუს მეთვალყურეს ირჩევენ რიგ-რიგობით. ერთ წელიწადს ერთია, შემდეგ სხვებს ევალებათ, თუმცა შესაძლოა ერთი და იგივე პიროვნება, თუ ის კარგად ასრულებს თავის სამუშაოს, იყოს რამდენიმე წელი. ანაზღაურებას სუჯს უხდიან ზაფხულის ორ თვეს. იგი რუს წყალს ანაწილებს რიგრიგობით (სირით). „დღეს ერთი მუადენს, ხვალ მეორე“.

შუა საუკუნეებში შავშეთი რომ მეხილეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა იყო, გარდა წერილობითი წყაროებისა, ამას მოწმობს დღემდე შემორჩენილი ჯიშების სიმრავლე (მათ შორის აბორიგენულიც), მდიდარი ტერმინოლოგია, ტრადიციები, ეთნოგრაფიული მასალების სიუხვე და გადმოცემები. აქ გავრცელებული ხეხილის ჯიშებიდან შეიძლება დავასახელოთ:

ვაშლის ჯიშები: თეთრი, წითელვაშლა, ბუმბულა (ბუმბულაღმა), წოწოლა, ბაღალმა, წალკოტა, იმერხეველმასი, შეწერაღმა, კედელლიაღმა, კნატუნა, ხაშხაშელმასი, ბექთებელმასი, ურუსეთელმასი, მორელმა, მაჯარულა (მაჭარულა?), ღირტო, მესვეთ ვაშლი (მრგვალ-მრგვალი), ბერკავაშლი, წითელვაშლი, ბათიყმელა, კვერცხა, ბუჯურულა, თხაშუნა, ჯანანა ვაშლი;

მსხლის ჯიშები: მოჩოჩაღა, ნამყენა, ირიოლა, თავრეჯული, კუტაღა, პანტი, საჭურა, აღარმუდი/ბეგარმუთი, შეწერარმუთი, პეტრულა („ძაღლის ყვერსავით გაშავდება“), მსხა-

ლოქრო („გამოზაფხულეულზე იქნება“), ბოქშვა, ეჯემეთი, ჭანური, ამასიის მსხალი, დადარ-
მუდი (იგივეა, რაც ყაბარდული მთიან აჭარაში), თავკეშა (იგულისხმება კანმაგარი//„ტყავა-
შა“), წოწოლა, ხეჭეჭური, იშიღმემედი (იგივეა, რაც სხალთაფლა), ინჯირა, კალოპირული,
მერულა, მარიობა, სართულა, რერდულა, პლაკე სხალი, ხეჭეჭურა, ფქვილა, ტარყირანა,
ქოთანა, შაშხანა, ბორბალა;

ქლიავის ჯიშები: შავი, თეთრი, ტყუბა, ყაბარახმუდი, წაკულაკა, ჭანჭურა, დედო-
ფალა, დამასხა, ნასხითბი;

ტყემლის ჯიშები: კატიყვერა, დედოფალა, წყალქლიავა;

ბლის ჯიშები: თეთრი ბალი, შავი ბალი, კახამბალი, ფიშნაბალი;

კაკლისა და თხილის ჯიშები: ბათმანა, ზილკაკალა, კოკბა, თხილა, კერკეტა, სიძე
თხილი, წვერა და ა.შ. (თ.ფუტკარაძე 2010)

შავშეთში საკმაოდ კარგად ჩანს განვითარებული მევენახეობა-მეღვინეობაც. გროგოლ
ხანძთელის ცხოვრებიდან კარგად ჩანს ვენახების სიმრავლე. გრიგოლ ხანძთელმა „უბრძანა
დიდსა ზენონს, ძმაო, შთავიდეს ვენაჰად, რომელ არს გზასა თანა ოპიზასასა. რამეთუ ჟამი
იყო რთულისად. შთავიდეს ორნივე ზოგან ვენაჰსა მას, შენებულსა მისსა, კეთილად ნაყო-
ფიერსა“ (გიორგი მერჩულე 1982:175).

მევენახეობა-მეღვინეობას შავშეთის შუასაუკუნეების სოფლის მეურნეობაში მეტად
საპატიო და, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირა. ამაზე მიუთითებს შავ-
შეთის სხვადასხვა სოფლებში შემთხვევით აღმოჩენილი საამისო ნივთიერი მასალებიც.

ექსპედიციების შედეგად დასტურდება, რომ ხეობაში თითქმის არ მოიპოვება სოფელი,
სადაც საშუალო და დიდი ზომის ქვევრები არ იყოს აღმოჩენილი. განსაკუთრებულ ყურად-
ღებას იქცევს მარნებისა თუ საწნახელების სიმრავლე, რომლებიც უმთავრესად სათლელის-
წყლის ხეობის როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხარის სოფლებშია ფიქსირებული. დას-
ტურდება, რომ შავშეთში ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივ-სამეურნეო პირობები არსებობდა
ბარისა და მთისწინა ზონის სოფლებში.

შავშეთში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია ქვაში
ნაკვეთი და ქვითკირით ნაგები საწნახელების არსებობაც. მათი დიდი ნაწილი და განსაკუთ-
რებით ამოშენებულკედლიანი საწნახელები თითქმის განადგურებულია და აქა-იქ ფრაგმენ-
ტების სახითაა შემორჩენილი. მათ დაჩქარებულ განადგურებას ხელს უწყობს ისიც, რომ აქ
გავრცელებული მთარული ხმების მიხედვით ქვითკირით ნაშენი და განსაკუთრებით კი
საეკლესიო ნაგებობის საძირკვლებში თითქოსდა ოქროა (ალთუნი) ჩაყოლებული. ამ სახის
ღვინის საწური ჭურჭელი კარგადაა გავრცელებული ისტორიულ ტაო-კლარჯეთში. მსგავსი
საწნახელები დიდი რაოდენობით გვხვდება საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, განსაკუთ-
რებით კი აღმოსავლეთ საქართველოში (ა. ბოხოჩაძე 1963:97-99).

შუა საუკუნეების შავშეთის მევენახეობა-მეღვინეობის დაწინაურებაზე მიუთითებს ასევე
აქაური მოსახლეობის მიერ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების, შენობა-ნაგებობათა მშენებ-
ლობის და გზების გაყვანის დროს აღმოჩენილი ქვევრების თუ მარნების სიმრავლაც. ადგი-
ლობრივი მოსახლეობა ქვევრებს „შარაფის“ ჭურჭელს უწოდებს. აქაური მარნები ძირი-
თადად ორი სახისა: დახურული და ღია. დახურული ტიპის „სადვინე სახლიდან“ ცალკე
უნდა გამოიყოს სასიმაგრო ნაგებობის ტერიტორიაზე, თუ მათთან ახლოს მეოფი სპეცია-
ლური ნაგებობები. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია სათლელის ციხის შიდა ტერიტო-
რია. აქ, როგორც ზემოთაც აღინიშნა, 2009 წლიდან მოკიდებული მიმდინარეობს არქეოლო-
გიური გათხრები. ციხის შიდა ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში სხვადასხვა ტი-
პისა და დანიშნულების ნაგებობების გვერდით, აღმოჩნდა ერთ ადგილას კონცენტრირებული
5 ქვევრი, რომელიც, როგორც ჩანს, ერთ სახურავს შიგნით მოქცეული მარანია. გათხრები
მომავალშიც გაგრძელდება და არაა გამორიცხული უფრო მეტი ქვევრი დაფიქსირდეს. და-
ხურული ტიპის მარნებიდან განსაკუთრებით საინტერესოა წყეთის (უსტამისის) ციხის ჩრდი-
ლო-დასავლეთით არსებული სპეციალური სადვინე სახლი, რომელზედაც ზემოთ გვქონდა
საუბარი. მსგავსი ძეგლების არსებობა დამოწმებულია ჩაქველთას, ქვათეთრისის თუ სხვა
ციხეების ტერიტორიაზეც.

შავშეთში მარნებისა და განსაკუთრებით საწნახელების სიმრავლეზე მიუთითებს ნიკო მარიც (H.Mapp 1911).

ირკვევა, რომ ღია ტიპის მარნები უმთავრესად შემთხვევითი აღმოჩენების გზითაა ცნობილი, როგორც სათლელის მარცხენა (ციხისძირი, ტბეთი, ახალდაბა, დაბაკეთილი და სხვა), ისე მარჯვენა მხარეს (ვანათი, გუნათლე, სათაფლია, შინდობანი და ა.შ) მდებარე სოფლებში. ქვევრების დიდი ნაწილი დამტკრეულია ან დაუმტკრევიათ. თუ ვერ დაუმტკრევიათ (განსაკუთრებით დაკირული ქვევრები) საკუთარი ნაკვეთებიდან მოუცილებიათ და მივარდნილ ადგილებში გადაუყრიათ (ტაბ. IV, 11,12).

შესწავლილი მარნების მიხედვით ჩანს, რომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მათთვის გასამართ ტერიტორიას. უმთავრესად შერჩეულია ქვიშნარი, მომადლო და მშრალი ადგილები.

შავშეთში შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრების ნაწილი დაფიქსირდა მთის ზონის სოფლებში, სადაც ვენახი არ ხარობს. მთის ზოლში მარნების არსებობა უნდა აიხსნას იმით, რომ წარჩინებულ ზედა ფენას შუა ზოლსა თუ ბარში ჰქონდა მიწები, მამულები, სადაც ხდებოდა ვახის მოყვანა და შემდეგ ყურძნის თუ მზა წვენის ატანა და მარნებში შეტანა. ამ მხრივ საინტერესოა შავშეთის სოფელ ანკლიის მცხოვრებ იაშარ გიულერის მონათხრობი. მისი თქმით ს. ოთლუჯანის (სათაფლიას) თავზე უხარმაზარ ბორცვზე ყოფილა ეკლესია. იქ იჯდა „ფაფაზი“ და აკონტროლებდა ყველაფერს. ხალხს ავალებდა ყურძნის ამოტანას ქვემო მიწებიდან. ღვინოს აყენებდა და მერე შარაფობდა. ამასვე ადასტურებს ვახუშტის ასეთი ცნობა: „ტკბილს მოიტანდნენ ბარიდამ, ჩაასხამდნენ აქა და დადგების ღვინო კეთილი და გემოიანი“ (ვახუშტი 1941:42).

შავშეთში, ისევე როგორც მთლიანად ტაო-კლარჯეთში, განვითარებული ჩანს მესაქონლეობაც. საამისო მწირი, მაგრამ საკმაოდ საინტერესო ცნობები დაცულია ისტორიულ წყაროებში, განსაკუთრებით „გროგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“. აღვნიშნავთ, რომ როგორც შავშეთში, ისე მის მეზობელ რეგიონებში, მეურნეობის ამ დარგის განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელი პირობები იყო (საზამთრო და საზაფხულო საძოვრების სიმრავლე, დასახლებულ პუნქტებთან სიახლოვე, საქონლის გასარეკი გზები და ა.შ.). სამხრეთ საქართველოს, კერძოდ, ჯავახეთის საძოვრები მთელი საქართველოს მასშტაბით იყო ცნობილი და გამოყენებული.

თავი IV. შავშეთის ეთნობიოგრაფია

§1. გვარ-სახელები შავშეთში

შავშეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის, ადგილმონაცვლეობის (მიგრაციის), ზოგადად ისტორიულ-ეთნოგრაფიული სურათის დასახასიათებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გვარობრივი სტრუქტურის შესწავლას. თითოეული გვარი ერის ისტორიის ერთი პატარა აგური, მათი ერთობლიობა კი ამ ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ამ საკითხების რეალში ექცევა ისტორიული საქართველოდან თანამედროვე საქართველოში (და პირიქით) მოსახლეობის „მიმოქცევები“. უმრავლეს შემთხვევაში, გვართა სადაურობის, წარმომავლობის შესახებ შეკრებილი ეთნოგრაფიული მონაცემებით მიგრაციის მოტივაციის შესწავლაა შესაძლებელი.

შავშეთი (ისევე, როგორც ზოგადად საქართველო, განსაკუთრებით მისი მთიანეთი) მეტად რთული სტრუქტურისაა დასახლების მორფოლოგიის თვალსაზრისით. მასში აშკარად იკვეთება გვართა ადგილმონაცვლეობანი, შიგასახეობო „მიმოქცევები“, საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონებიდან გადასახლებული ფენები. ცხადია, ადგილი ჰქონდა პირუკუ პროცესებსაც. აქ მკვიდრობდა იმერეთიდან, გურიიდან, აჭარიდან, სამცხე-ჯავახეთიდან სხვადასხვა მიზეზების გამო განსახლებული ან ლტოლვილი არაერთი საგვარეულოს წარმომადგენელი. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ჯერ კიდევ ფეოდალური ხანიდან სხვადასხვა მიზეზით ლტოლვილი მოსახლეობა მიუვალ, მთიან ადგილებში აფარებდა თავს. ეთნოგრაფიული მონაცემები, ხალხური გადმოცემები, ისტორიული დოკუმენტები ნათლად ადასტურებენ აჭარაში შავშეთი (და პირიქით) ელემენტების კვალს, მაგ: ხელვაჩაურის რაიონის თხილნარსა და ჭარნალში მაჭახლის ხეობიდან ჩამოსახლებული გაბრუშიძეების წინაპრები შავშეთიდან არიან გადმოსახლებულნი. თხილვანელი (ხულოს რაიონი) ქამაშიძეების საგვარეულო შტოს წარმომადგენლებითაა დასახლებული შავშეთის ერთ-ერთი სოფელი. შავშეთიდან ჩანან მოსულები კვირიკაძეების, მიქელაძეების, დავითაძეების, ლომსაძეების, გამიშიძეების, ბოლქვაძეების და ზოგიერთი სხვა საგვარეულოს ცალკეული წარმომადგენლები. საგულისხმოა, რომ შავშეთში არსებობს შესაბამისი ტოპონიმები: გამეშეთი, დავლათი, დავითეთი, თურმანიძე/თურმანიზე, შუახევი, შუბანი, ბრილი და ა.შ. იმერხევის სოფელ ხევწრულში არის ტოპონიმი „მეგრელები“, სადაც ცხოვრობენ მეგრელი შვილები. სვირევანში მცხოვრები „ფუტები“ ფუტკარაძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები უნდა იყვნენ (ფუტკარაძეები ცხოვრობენ ბორჩხის რაიონის სოფელ ტრაპენსა და მურღულის რაიონის სოფელ ისკებშიც).

შავშეთის მოსახლეობის გვარობრივი შემადგენლობის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „ტბეთის სულთა მატთანეს“ (იხ. „მატიანე“ 1977. დოკუმენტი აღმოაჩინა გ. ყაზბეგმა 1874 წ. ტბეთის ტაძარში). ეს ძეგლი სწორედ შავშეთში, საკუთრივ ტბეთში იწერებოდა. იგი გამოირჩევა ისტორიულ-გენეალოგიური მასალის სიმრავლით. მასში 348 გვარ-სახელი და 21 ტოპონიმი მოხსენებული (აღნიშნავთ, რომ ზოგიერთი გვარი ჯერ კიდევ არაა ფორმირებული. ისინი უფრო ჩამომავლობის სახელებია და არა გვარი ტრადიციული გაგებით). ეს სახელები მიეკუთვნება შავშეთს, კლარჯეთსა და ნაწილობრივ აჭარას. გვართა უმეტესობა უკავშირდება პროფესიულ საქმიანობას, ამა თუ იმ ნაკეთობათა წარმოებას, რაც დასახლებულ საგვარეულოთა სოციალური მდგომარეობის დასახსიათების საშუალებასაც იძლევა. მაგ. მჭედელი – მჭედლიძე, მეფუტკრე – მეფუტკრიძე და ა.შ. დაბალი სოციალური ფენების გვარებთან ერთად მოხსენებულნი არიან საეკლესიო ფენების წარმომადგენლებიც (დიაკონი, მღვდელი და ა.შ.).

საგულისხმოა, რომ თურქეთში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობას შეუცვალეს -**ძე** და -**შვილ**-სუფიქსიანი გვარები და მათ ნაცვლად გაბატონდა **ოდელი** დაბოლოება, თუმცა ქართველებმა შეძლეს უფრო ძველი ფორმანტის – **„ენთი“** დაბოლოებიანი გვარების შენარჩუნება.

ოფიციალურ დოკუმენტებში ისინი თურქული გვარებით არიან რეგისტრირებულნი, არაოფიციალურად კი მრავლადაა ძე, შვილი, ურ, ულ, ში, ია და უფრო ძველი – ენთი-თ დაბოლოებული გვარები: აბასისძე, შატრიკისძე, ახალასძე, ახალაური, სახმარაული, ფოთელაური, ბაზანდრისშვილი, გათენიაენთი, ტომარაენთი, ეგნატეი, ერგელი, საფიტი, ტრაპეზისძე, ფობოტიშვილი, ქერტაში, შაფიტყი, წანგარი, წანლოა, ხებელი და ა. შ. (მატიანე 1977). გვარსახელები დაედო საფუძვლად შავშეთში ზოგიერთი სოფლისა და ადგილის სახელწოდებას.

ეთნოგრაფიული და მატიანისეული მონაცემებით ირკვევა, რომ იმერხევში მოსულეზად ითვლებიან ყასმიენტების, ცვარიენტების, ბოლქვაძეების, ფალაზების, ბალაძეების, აბდიოღლების, ფუქშების, ბაირახტაროღლების, ასლანიენტების, გორგაძეების, სეფინოღლების, მეგრელიშვილების, ტალახაძეების, ქურციკიძეების, ფანჯიკიძეების, გოჩიშვილების, სარაჯიშვილების, თედორაძეების, ზაზალაშვილების, მოლაშვილების, დარჩიძეების, ჭივიძეების საგვარეულო შტოს წარმომადგენლები. რესპონდენტთა ინფორმაციით, ზოგი მათგანი მუჰაჯირთა შთამომავალია, ნაწილი სხვადასხვა მიზეზით ჩამოსახლებულა, ძირითადი ნაწილი კი ადგილობრივი - „იერლია“ (თ. ფუტყარაძე 2009).

შავშეთში საკმაოდაა წარმოდგენილი თურქული ელემენტიც, რაც პოლიტიკური მიზანდასახულობით განპირობებულ მიგრაციულ პროცესებთან არის დაკავშირებული. რესპონდენტები აღასტურებენ, რომ იმერხევში ადრე მრავლად მოდიოდნენ თურქი ეროვნების რელიგიის მსახურნი, პედაგოგები, სხვა დარგის სპეციალისტები, რომლებიც შემდეგ აქ მკვიდრდებოდნენ: „თურქი მოვდა ხოჯად, მასწავლებლად და აქ დარჩა, ისტამბულ კაცი მოკლა, გამეიქცა და აქ დარჩა“. აღნიშნულმა ფაქტორმა რამდენადმე შეცვალა რეგიონის ეთნიკური სურათი.

გვარსახელების კვლევა დაკავშირებულია სერიოზულ სირთულეებთან. იგი მკვლევრისაგან მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, ისტორიის, ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერების... მიღწევათა გამოყენების აუცილებლობას. ამ სირთულეების გამო აღნიშნულ სფეროში კვლევა-ძიების აშკარა დეფიციტია. ვერც ჩვენ შევავსებთ არსებულ ხარვეზს. ამჯერად ჩვენი ამოცანაა შავშეთში სავსე ექსპედიციების დროს შეკრებილი მონაცემების საფუძველზე წარმოვადგინოთ ამ მეტად მრავალმხრივ საინტერესო კუთხის გვარობრივი შემადგენლობა.

სოფელი	უბნები	ამჟამინდელი გვარი	ძველი ქართული გვარი	საიდან გადმოსახლდნენ
ბაზვირეთი	ქომუბანი	ბეზინგაროღლი	ბეზვიენთი	მკვიდრი
		კეფუოღლი	კეფოძე // კეფოენთი	
		თეთროღლი	თეთრაძე//თეთრიენთი	
		ბისონოღლი	ბისონიენთი	
		ჯივანოღლი	ჯივანიენთი	
	ხემუბანი	ეინაროღლი	-	
		ხოჯიოღლი	-	
		ყასმოღლი	ყასმიენთი	კარჩხალიდან
		თამთოღლი	ცვარიძე (ცვარიენთი, დაბლიენთი)	ციხისხევიდან
		ალიოღლები//ერთექინ	ბოლქვაძე	მოსულან არტანუჯიდან
	გამეშეთი	სირიანოღლი	გამეშიძე	
		დელჰასანოღლი	-	
		ბოიანნიოღლი	ბოიანნიშვილი	შავშეთის სინქოითიდან
	კარჩხალი	ყასმოღლი	ყასმიენთი	

		მემედოლი	მეკმედიენთი	
		დელიპსანოლი		
ზიოსი	ზემო მაჰალე	მოლოლი		
		თურანოლი	სარვანიძე	ადგილობრივი (იერლი)
		ფალაზოლი// ფალაზები		„გურჯისტანი დან მოსულობას იტყვიან“
		ჭიმურები		
	ქვემო მაჰალე	ხეირულოლი	ბალაძე	არდაანიდან
		აბდიოლი		ფოცხოვიდან
ხევეწრული	მიხელემაზე	გიუმიშ	ჭენჭაძე	ბათუმიდან
		ზაბითოლი	-	
		ხეირულოლი	-	
	ფუქშები	გიულ	ფუქშები	მაჭახლიდან
		სევეინოლი	-	მაჭახლიდან
	მეგრელები	აკან	მეგრელიშვილი	მაჭახლიდან
	რევაზოლები	აიდინ	რევაზიენტები	
			ოდიენტები	
			ფალაზიენტები	
	ჯამიშეკლე	დემირელი	ტალახაძე	მაჭახლიდან
		ახალთუნ	ქურციკიძე	გორიდან დიობანში, დიობანიდან ხევეწრულში
		ილმაზ	ფანჯიკიძე	იმერეთიდან
		ოზჯან	დავლაძე	იმერეთიდან
	ჯიმუხები	გუენ	ჯიმუხაძე	
		ბილირ	ფუქშები	მაჭახლიდან
	გონოლები	გონოლი/თექინ	გონიშვილი, სარაჯიშვილი	ბათუმიდან
	ბერკიეთი	ბულბულ	თედორაძე	ერგედან
სუნერ		გამრეკლიძე		
ოსქან		დავლაძე	სამტრედიიდან	
ილდუზ		ზაზალაშვილი	ბათუმიდან	
ზაქიეთი	უნილები// თურანოლები	უნიალ		ორდუდან
	შობერები	ჩითინყაია აიდენ/ჯიროლი		
	ჩაქურიძეები	აითექ	ჩაქურიძე	
	მიქაძეები	იაშარ	მიქაძეები, გოგჩიგნები ჯარაბიძეები	
	ხევი	ილდრინ, ყავეჯოლი		

	ჯამბეჰე	იაზიჯ		
დაბა	დევიეთი	ჭედელოლი ქოროლი შირინოლი თათაროლი გონოლი		მაჭახლიდან ზაქიეთიდან მიქელეთიდან წყალსიმერი- დან
	ხემო მაჰალე	ტაბიკოლი ტადაშოლი ხიდოლი სანიოლი		ერზრუმიდან ზაქიეთიდან
	ჯამე მაჰალე// ტბეთი	რეჯებოლი შირინოლი მაზმანოლი მუსოლი ჰაჯიოლი		
სვირევანი (დუთლუ)	ოთხკლდე// (უღუქენდ)	ბაირახტალოლი უსუფოლი ხუჩოლი პეტროლი ლაზოლი თანოლი ყარალოლი იქიენთი სვირევი კუკუები ასლანიენთი		მაჭახლიდან მაჭახლიდან
		ფუცხები მურუკები სუსანიენთი შარიენთი		იფხრევიდან
	კუთალეთი (ულახლი)	ყავაზები უსუფოლი ფუტები ემრეფოლი	დარჩიძე უხვანჯურები მუყალიძე იზიენთი ფუტები ბუტიძეები// ბუტიენთები დღვაბიძეები	შუახვევიდან მაჭახლიდან ოთხკალიდან იფხრევიდან უბიდან
	ჯამბეჰე	ზაზალოლი ლაზოლი თანოლი პეტროლი სუსანოლი	ზაზალიძე ხაჯალიძე შარაძე იქიეთები ასლანიენთი	უბიდან იფხრევიდან
	დავითეთი (იამურლუ მაჰალესი)	ქოსოლი შარმათოლი		
	ფარნუს/ბაღბაში ი მეჰელესი	მელიქოლი	ჭალაძე ჭივაძე კახიძე	

	ჯვარისხევი (სებზელი მეჰელე)			
	დღვაბიზელა		ფუტკარაძეები	
	დიდმერე			
	სხალფილა			
უბე	ორთამეჰელე	დუმან	პაჭალიძე (შესადლოაკიკნაძე)	
		ილმაზ	ზობიშვილი	გიუმრიდან
	იბიშა მაჰალე	გიუმში		
		ალთუნ	მოლაშვილი	შუახევიდან, ახალდაბიდან
	გორგიეთი	ილდეზ// შუბაშოდლი		
		მეიდან	დავრიშაშვილი	ბათუმიდან
		ბილურ	გორგაძე	მაჭახლიდან
	ჭივიეთი	გიულ (ვარდი)	ჭივიძე	აჭარიდან
		ყაიან	ჭივიძე	აჭარიდან
	კორტოხაზე მეჰელე	დურსუნ	ბოლქვაძე	კორტოხიდან (ხულო)
თურან		ბოლქვაძე	კორტოხიდან	

წარმოდგენილ მონაცემებს არა აქვთ ამომწურავობის პრეტენზია. აღნიშნულ საკითხებზე მუშაობა გრძელდება. ჩვენებურთაგან ზოგიერთს აღარ ახსოვს თავისი ნამდვილი გვარი და ჩვენ გვთხოვს დაზუსტებას. ზოგიერთს (მცირე ნაწილს) კი თავის ქართულ წარმომავლობაშიც ეპარება ეჭვი და მიიჩნევს, რომ მისი სამოსახლო ადრე „თურქების“ ან „ერმელების“, ზოგჯერ სხვათა, სამკვიდრო ყოფილა. შესაბამისად ქართული კულტურის ძეგლებს – ეკლესიებს, თაღიან ხიდებს, ციხეებს არაქართველების შემოქმედებად მიიჩნევს. ცხადია, აღნიშნული ტრანსფორმაცია ისტორიული ბედუკუდმართობის შედეგია. დასახელებულ კულტურის ძეგლებთან ხდებოდა მათი ეროვნული იდენტიფიკაცია, რაც იქ არსებული რეჟიმის პირობებში ერთობ სარისკო იყო. ყოველივე ამან ღრმა კვალი დააჩნია ჩვენებურთა ცნობიერებას. ამიტომაც აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ისტორიული სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის გვარობრივი სტრუქტურის საკითხების შესწავლას. ჩვენი ცდაც ამ ამოცანას ემსახურება.

§2. თუხუცი ნახმომავლობის ანთიჰონიმები შავშეთში

შავშეთი და საქართველოს ზოგიერთ სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონში ისტორიული ბედუკუდმართობის შედეგად მოექცა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში, რამაც განაპირობა ქართულ ანთროპონიმთა ფონდში არაქართული წარმომავლობის, უპირატესად, თურქული საკუთარი სახელების გაჩენა. ზოგადად, არაქართული წარმომავლობის ანთროპონიმები ჩვენს ქვეყანაში მკვიდრდებოდა და მკვიდრდება ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უძველესი დროიდან დღემდე. ძველ სპარსეთთან, საბერძნეთთან, არაბეთთან, ოსმალეთთან, ევროპისა და აზიის ქვეყნებთან ხანგრძლივმა ურთიერთობებმა ხელი შეუწყო სპარსული (ქეთევან, როდამ, ნარგული, ნაზი, ლოლა, გულნაზ, ნოშრევან, გურანდუხტ, გულნარა, გულიზარ, გიული (შემოსულია თურქულის გზით), ჯანსუღ, შადიმან, ფარსადან, ფარნაოზ, ნუგზარ, კირილე, თეიმურაზ, თამაზ...), ბერძნული (ათანასე, ავქსენტი, აგაბო, ალექსანდრე, ამბროსი, ამბერკი, ანანია, ანდრია, ანთიმოზ, ანტონ, არისტო, არკადი, ბასილ, პანტელეიმონ, სევასტი, ლარისა, ტატიანა, რიმა, ბესარიონ, გენადი, გერასიმე, დიონისე,

ევგრაფი, თედორე, იასე, კვირიკე, მარკოზ, ნიკოლოზ...), ებრაული (სუსანა, მარია, ლილი, ევა, სოლომონ, სიმონ, სამსონ, მოსე...), არაბული (ფიქრია, ნისა, ნაირა, მარეს, ზეინაბ, ასია, შერმადინ, სულხან, რამაზ, ნური, მურად...), ლათინური (ნატალია, მარინე, კლავდია, ივლიტა, დიანა, ღომნა, ბაბილინა, ტიტე, სევერიან, კლიმენტი...), სლავური (სვეტლანა, ნინელი, ნადეჟდა, ლუბა, ლუდმილა...), ეგვიპტური (ნონა, რამზე...), ქალდეური (ვარლამ...), ასურული (სარგის...), სომხური (არუთინ, არტურ, ძაგან...) და სხვა ანთროპონიმების მომრავლებას (ზ. ჭუმბურიძე 1992:92-184).

თურქული წარმომავლობის ანთროპონიმების პოვნეირება ისტორიულ სამხრეთ საქართველოში შედეგია როგორც ოსმალთა ბატონობის, ისე რელიგიის ზეგავლენისა. მართალია, ამ სახელებიდან ზოგიერთი ადრეც იყო ცნობილი საქართველოში, მაგრამ მათი რაოდენობა ოსმალთა დაპყრობების შემდეგ განუზომლად გაიზარდა, ტაო-კლარჯეთსა და შავშეთში კი ფაქტობრივად განდევნა ქართული საკუთარი სახელები, თუმცა ზოგჯერ ხდებოდა სახელის თარგმნაც ქრისტიანული და მუსულმანური სახელების თანაარსებობისა და შეგუების, ასევე შეფარვის მიზნით, იქცეოდა იგი საალერსო, არაოფიციალურ სახელად, უფრო მეტად კი მეტსახელად (მეტსახელს ჩვენებურები **ლადაბს**, ბორჩხა-მურღულში კი **ძეგლს** ეძახიან), რამაც განაპირობა ჩვენამდე მათი შეფარვით მოღწევა. მაგ. **ჭიბონაი**, **მუზიკაჯი**, **ფაქიზე**, **გუდა**, **წრინაი**, **შაში**, **მიწროი**, **თხუნელაი**, **კაკი** და ა. შ., მაგრამ ამ გზით გადარჩა თითო-ოროლა სახელი, უმრავლესობა კი თანდათანობით დაივიწყებას მიეცა და უკვალოდ დაიკარგა. მათი ადგილი დაიკავა მუსულმანურმა სახელებმა, რომელთა უმეტესობა თურქული წარმომავლობისაა.

სამეცნიერო ექსპედიციების დროს მოგვეცა შესაძლებლობა ჩაგვეწერა ისტორიულ საქართველოში გავრცელებული ადამიანთა საკუთარი სახელები და „ძეგლები“//„ლადაბები“ (მეტსახელები). როგორც ითქვა, ქართული შემორჩა ძირითადად მეტსახელებში: **ჭიმური** (კერძის სახელი), **არავეთელა** (წარმომავლობის მიხედვით), **ქათამი**, **კიკინო**, **კატა**, **ბანგაჲ**, **ბასოჲ**, **შხმუილბეგი**, **ცხვირაჲ**, **კაკი**, **ღუფოჲ**, **ფოცხვერი**, **ბენოჲ**, **ჭიჭყინაი**, **წრინაჲ**, **ტანკოჲ**, **ბასოჲ**, **ტიტოჲ**, **გუდა** და სხვა (თ. ფუტყარაძე 2007). ზოგიერთი სახელი თუ მეტსახელი ძველისძველია, მაგ., **კაკი/კაკა**. ფიქრობენ, რომ იგი წარმოშობით ხურიტული უნდა იყოს (ზ. ჭუმბურიძე 1992:17). ამავე რიგშია: **კანკა**, **კიკა**, **კიკო**, **კაკული** და ა. შ. მათგანაა წარმოქმნილი **კაკიტელაშილი**, **კიკიანი**, **კანკავა**, **კაკაშილი** და სხვა გვარი, რაც დასახელებულ ანთროპონიმთა სიძველის მანიშნებელია. ნიშანდობლივია, რომ ისინი შემოგვინახა მეტსახელებმა. **კაკი**, **აკაკის** საალერსო, მოფერებით ფორმად ჩანს, სინამდვილეში კი ის სულ სხვა წარმოშობის დამოუკიდებელი სახელია, თუმცა მეტსახელის სახით მისი შენახვა შესაძლოა ქართული საკუთარი სახელების შენარჩუნების აუცილებლობით არის განპირობებული და ემსახურება ეთნიკური თვითმყოფადობის, ქართველობის დაცვის ინტერესებს. იგივე შეიძლება ითქვას სხვა ანთროპონიმების შესახებაც.

თანამედროვე თურქეთის ქართულ მოსახლეობაში გავრცელებული თურქული ანთროპონიმები (ზოგიერთი მათგანი თურქულში შესულია არაბული, სპარსული და სხვა ენებიდან) სემანტიკური თვალსაზრისით სხვადასხვა შინაარსს გამოხატავენ. თურქულში, ისევე როგორც ბევრ სხვა ენაში, ცნობილია ანთროპონიმები, რომლებიც გამოხატავენ სიბრძნეს, გამძლეობას, გამირულ, ვაჟკაცურ საწყისს. ისინი პრესტიჟულ სახელებს განეკუთვნებიან. მათი რაოდენობა საკმაოდ დიდია. მაგალითად:

ჰიქმეთ (Hikmet)-„სიბრძნის“ აღმნიშვნელი სახელია.

ასიე (Asiye)-ქალის სახელია. გადმოცემით მას წყლიდან ამოუყვანია მოსე და გაუზრდია. იგი არაბულიდან შევიდა თურქულში და აღნიშნავს მუამბოხე, შურიან ქალს (გავრცელებულია აჭარაშიც).

იმდათ (Imdat)-„დასახმარებლად მოვლენილი ძალა“.

რაიფ, რაიფე (Raif, Raife)-„მოწყალე“, „გულკეთილი“.

ეროლ (Erol)-ვაჟკაცი.

ემინე (Emine)-„უშიშარი“ (გავრცელებულია აჭარაშიც).

მუსტაფა (Mustafa)- „რჩეული“, „სუფთა“, „წმინდა“-მუჰამედის ერთ-ერთი ეპითეტი. შესულია არაბულიდან (გავრცელებულია აჭარაშიც).

აჰმედ/ახმედ (Ahmed)-„ქებული“ (გავრცელებულია აჭარაშიც).

მუჰამედ/მუხამედ (Myhammed)-„მრავალნაქები“, „ღვთის მადიდებელი“ (გავრცელებულია აჭარაშიც).

ყიმეთ (Kiymet)-„ფასეული“, „საპატიო“, „ძვირფასი“.

ნური (Nuri)-„სინათლისა“, „განათებული“, „გასხივოსნებული“ (გავრცელებულია აჭარაშიც).

ფევიზი (Fevzi)-„გამარჯვებული“ (გავრცელებულია აჭარაში ფევიზული/ფევიზულის ფორმით).

ქემალ (Kemal)-„სრულყოფილი“, „ფასეული“, „უნაკლო“ (გავრცელებულია აჭარაშიც).

მირგუნ (Mirgun)-კომპოზიტია mir-„მბრძანებელი“, **gun**-„დღე“.

მაჰმუდ/მახმუდ (Mahmud)-„სანაქებო“, „ქებული“ (გავრცელებულია აჭარაშიც).

კაზიმ (Kazim)-„სიბრაზისა და ჯავრის დამამარცხებელი“ (გავრცელებულია აჭარაშიც).

გუნერ (Guner)-„ვაჟკაცობის“ გამომხატველი კომპოზიტია (giun-დღე, er-ვაჟკაცი).

ზეკიე (Zekiye)-„სუფთა“, „ჭკვიანი“, „ბრძენი“ (გავრცელებულია აჭარაშიც).

ორჰან (Orhan)-ძველი სახელია, აღნიშნავს „ურდოს“, „არმიას“ (or-ურდოს შემოკლებული ვარიანტია).

ქადრიე (Kadriye)-„ძვირფასი“, „საპატიო“, „ღირებული“.

საბრი/საბრიე (Sabriye)-„მომთმენი“, „გამძლე“ (sabr-„მოთმინება“. აჭარაში „საბრი“, მამაკაცის სახელი, საბრიე - ქალის).

ერვა (Erva)-„მამაცი“, „გულადი“ (აღნიშნავს „ძალიან ღამაზსაც“).

სელიმე (Selime)-„უნაკლო“, „ჯანმრთელი“ (აჭარაში – სელიმ, მამაკაცის სახელი).

ჯენგიზ (Gengiz)-„მებრძოლი“.

ნებაეთ (Nebahat)-„დიდების“, „პატივის“ აღმნიშვნელი.

ფეჰიმე (Fehime)-„ჭკვიანი“, „გამგებანი“.

ჯესურ (Gesur)-„მამაცი“, „გულადი“.

ემირჰან (Emirhan)-კომპოზიტია, „მბრძანებელი ხანი“.

მუზაფერ (Muzaffer)-„გამარჯვებული“.

შევექეთ (Sevket)-„სიდიდის“, „სიდიადის“ აღმნიშვნელი.

ჰიდაეთ (Hidayet)-„სწორი“, „მართალი“ (აღნიშნავს „გზის მისწავლებასაც“).

სებაეთ (Sebati) - „სიტყვის კაცი“.

ჰადი (Hadi)- „გზამკვლევი“, „წინ მიმავალი“ (მუჰამედის ერთ-ერთი ეპითეტი).

ერქან (Erkan) - „მეთაური“, „ღიღერი“.

კადირ/ყადირ (Kadir) - „ძლიერი“, „დიდი ძალის პატრონი“.

მანსურ/მანსურე (Mansure) - „ალაჰის შეწევნით გამარჯვებული“, „წარმატებული“.

მეთინი (Metin) - „ჯანმრთელი“, „გამრჯე“.

გალიფ (Galip) - „გამარჯვებული“, „მოგებული“.

შორეთ (Sohret) - „დიდება“, „სახელი“, „პატივი“ (გავრცელებულია აჭარაშიც)...

ანთროპონიმთა ნაწილი ციური სხეულების, მნათობების, სინათლის გამომხატველია, ასეთებია:

აიჰან (Ayhan) - კომპოზიტია, Ay-მთვარე, han-ს აქვს სხვადასხვა მნიშვნელობა, კერძოდ: „ხანი“, „სახლი“, „სასახლე“, „წამკითხველი“, „ღამდახებელი“.

ნურჰან (Nurhan) Nur-სინათლე, განათებული.

ნურეთინ (Nurettin) - „სარწმუნოების სინათლე“.

ნეჯმიე (Necmiyye) - ვარსკვლავთა და დაკავშირებული.

მუნევერ (munevver) - „განათლებული“, „გაბრწყინებული“ (ქართული-ნათელა).

აითენ (Aiten) - მთვარისტანიანი კომპოზიცია. Au-მთვარე, ten- ტანი.

ბედრი/ბედრიე (bedr) - „საესე მთვარე“.

ფარიე (Feriyye) - „მბრწყინავი“, „მანათობელი“.

მუნირე/მინირე (Munire) - „ბრწყვიალა“, „მანათობელი“.

გიუნა (Gunay) კომპოზიცია, Gun-მზე, დღე, Ay-მთვარე.

ილქაი (Ilkay)-„პირველი მთვარე“.

ულქერ (Ulker) - „თანავარსკვლავედი“, „ვარსკვლავთა ჯგუფი“ (აჭარაში გავრცელებული ფორმაა **ჰუნქერ**)...

თურქულ ენაში გვხვდება ანთროპონიმები, რომელთა შემადგენლობაში გამოიყოფა საბრძოლო **იარაღის, ცეცხლის, ნაკვერჩხლის, მოსიყვარულე ადამიანის, სილამაზის, ხელ-გაშლილობა-მადლიანობის, ხასიათის, ნაცვრის, ოცნების** გამომხატველი ფუძეები:

კორჰან (Korhan) კომპოზიცია, kor-ნაკვერჩხალი (ნიშნავს ჯარის ნაწილსაც).

შაზიე (Sazyye) - „მშვილდი“.

სინან (Sinan) - „ხიშტი“.

სევილე (Sevili) - „მოსიყვარულე“ (აჭარაში გავრცელებული ფორმაა **სებილე**).

იაშარ (Yasar) - „დღეგრძელი“ (აჭარაში გავრცელებულია იაშა//იაშარ ფორმა).

ოზდემ (Ozdem) - „ნაღდ/წმინდა სისხლიანი“ (იგივეა, რაც **ოზქან/ოზგან**).

შექურე (Sekure) - „მადლიანი“ (აჭარაში და შავშეთში გვხვდება **შექრო**).

ექრემ (ekrem) - „დიდად პატივცემული“, „ხელგაშლილი“.

ჰილმი (Hilmi)- „სათნო“, „აზიზი“.

ჰიზირ (Hizir) - „ჰქვია მოციქულს“, რომელმაც დალია უკვდავების აბი განსაცდელში მყოფთა დახმარების მიზნით.

ბედი (Bedi) - „შეუდარებელი“, ტოლ-სწორი რომ არ ჰყავს ისეთი.

ფიქრიე (Fikriyye) - „ფიქრიანი“, „დაფიქრებული“ (გვხვდება ფორმები **ფიქრო//ფიქრიე**).

მურვეთ (Muruvvet) - „კეთილი“, „ადამიანური“, „გმირული“.

ჰაიათ (Hayat)-„სიცოცხლე“.

ჰასან/ხასან (Hasan) - „ლამაზი“, „კარგი“.

ქანი (Kani)- „მიმნდობი“, „დამჯერი“.

სევინურ (Sevinur) - „ძლიერი სიყვარულის მატარებელი“.

რამი (Rami) - „მორჩილი“, „თავმდაბალი“.

რაფეთ (Refef) - „გულმოწყალე“, „მფარველი“.

ნეზაკეთ (Nezaket) - „თავაზიანიობა“, „სინაზე“.

ფაქიზე/ფაქიზო (Pakize) „სუფთა“, „წმინდა“, „ხალასი“.

ხეირიე (Hayriyye) - „სიკეთესთან“, „ბედნიერებასთან დაკავშირებული სახელი“ (გავრცელებულია აჭარაშიც).

საიდ (Said) - „მალაღი“, „მალღებელი“.

შადიე (Sadiye) - „ლამაზხმიანი“, „მომღერალი ან მეღეჰსე“ (გავრცელებულია აჭარაშიც).

შეფიე (Sefik) - „შემწყნარებელი“, „გულკეთილი“.

ნებიე (Nebi) „კურიერი“, „ამბის მიმტანი“, „შუამავალი“ (გავრცელებულია აჭარაშიც).

ჯემალ (Cemal) - „ლამაზსახიანი“ (გავრცელებულია აჭარაშიც).

მუქერემ/მუხერემ (Mukerrem)-„საპატიო“, „წმინდა“, „სათაყვანო“. **Muherem**-მთვარის კალენდრის ერთ-ერთი დღეცაა, გამოხატავს აკრძალვას (გავრცელებულია აჭარაშიც).

მელაჰთ (Melahat) - „ლამაზსახიანი ქალი“.

ჰუსეინ/ხუსეინ/უსეინ (Husein) - „მოსიყვარულე“ (გავრცელებულია აჭარაშიც).

ჯოშკუნ (Coskun) - „მღვდვარე“, „აბობოქრებული“.

ესმა/ესმე (Esma) - „ჩქარი“, „სწრაფი“ (გავრცელებულია აჭარაშიც).

სევდა (Sevda) - „სიყვარული“, „ვნება“, „სწრაფვა“. მისი ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმაა **სევდია**, ქართულ სინამდვილეში მეტ-ნაკლებად ცნობილი სახელი.

ფერიდე (Feride) - „მარტოხელა“, „მარტოსული“ (გავრცელებულია აჭარაშიც).

ემელ (Emel) - „სურვილი“, „ნატვრა ოცნება“.

ჰევა/ევა/ჰავა (Heva) - „ნატვრა“, „ხალისი“, „სიხარული“.

მურად (Murad) - „ნატვრა“, „სურვილი“ (გავრცელებულია აჭარაშიც).

ისმეთ (Ismet) - „უდანაშაულობა“, „უბიწობა“ (გავრცელებულია აჭარაშიც).

თალიფ (Talip) - „სურვილი“, „სასურველი“.

შენაი (Senai) - კომპოზიტი. **Sen** მხიარული, **ay**- მთვარე.

რაჰიმე (Rahime) - „ნახშიანი“, „ტკბილხშიანი ქალიშვილი“.

ბიუშრა (Busra) - „სასიხარულო“.

გონული (gonul) - „გული“.

სახელთა ერთი ჯგუფი სიმდიდრის, განძის ქონების გამომხატველი ანთროპონიმებია:

ფირუზე (Piruze) - „ფირუზის ქვა“.

სერვეთ (Servet) - „სიმდიდრე“, „განძი შემოვიდა“ (გავრცელებულია აჭარაშიც).

მეთეჰან (Metehan) - **Metelik**-„სიღარიბე“, „უფულობა“.

ნესერ (Neser) - „ქვა“.

ბედრიე (Bedriyye) - „ოქროთი სავსე ქისა“...

როგორც ცნობილია, სხვადასხვა ხალხში არც თუ იშვიათად ანთროპონიმებად გამოყენებულია ცხოველთა, ფრინველთა, და მცენარეთა სახელწოდებანი. ქართულში ასეთია: დათვია, ვეფხვია, ღომა, ღომინა, ფოცხვერა, ჩიტო, ენძელა, ვარდო, ია და სხვა. ასეთი სახელები უფრო მეტად შემორჩენილია მთაში. მათგანაა ნაწარმოები გვარებიც: ღომინაძე, ღომიძე, ღომაძე, გელოვანი, მიმინოშვილი, შევარდნაძე და ა. შ. მცენარეთა და ცხოველთა სახელები ანთროპონიმებად გამოყენებულია თურქულშიც:

ბურჯო (Borcu)-„არმატი“, „სურნელი“.

იასემინ (Yasemin) - „იასამანი“.

ჩიიდემ (Cigdem) - „მრავალფერიანი ყვავილოვანი მცენარე“.

ესედ (Esed) - „ლომი“.

გულფენ (Gulten)-„ვარდისტიანი“ (მისი შესატყვისია ქართული - ვარდო)

ასლან (Aslan)-იგივეა, რაც არსლან-„ლომი“. ეს სახელი გავრცელებულია

აჭარაშიც. მისგანაა ნაწარმოები ასლანის კნინობითი ფორმა-ასლანიკა და გვარები: **ასლანიძე**, **ასლანაძე**, **ასლანიკაშვილი** და ა. შ.

ზოგჯერ ესა თუ ის ანთროპონიმი ნასესხებია, მაგრამ იგი გააზრებულია მსესხებელი ენის ლექსიკური ფონდის საფუძველზე და ეროვნულ საკუთარ სახელთა ფონდშია მოქცეული. შესაძლოა, იგი გამოიხატოს კომპოზიტის სახით, რომლის მეორე ნაწილი მსესხებელი ენის ლექსიკური ფონდიდან იყოს წარმოდგენილი. მაგ. ქალის სახელი **ნაზი** დასტურდება ირანული ენის განვითარების ყველა სტადიაზე. ძველ ირანულში მას არქმევდნენ კაცებსაც. ახალ სპარსულში ეს სახელი დაუკავშირდა ქალს და აღნიშნავს „პრანჭიას“, „ნაზ ქალბატონს“, „ნაზ ფერიას“ (თ. ჩხეიძე 1987:101). ეს ანთროპონიმი გვხვდება შავშეთსა და აჭარაშიც, მაგრამ პირველში წარმოდგენილია კომპოზიტის სახით. მაგ. **ნურიანაზი** (ნურიე - თურქულად სამოთხის ღამაზმანს, განათებულს, გასხივოსნებულს ნიშნავს). შესაძლოა ეს ირანული სახელი თურქიზირებული სახით აჭარაში თურქულის გზით შემოვიდა, მაგრამ მოექცა ქართულ ეთნიკურ სახელთა რიგში. ნაზი – საქართველოში ერთ-ერთი ფართოდ

გავრცელებული სახელია. მასთანაა დაკავშირებული სხვა ანთროპონიმებიც, კერძოდ: **გული-ნაზი**, **სელვინაზი**, **ბირნაზი**, **შექერნაზი**, **ნაზიბროლა** და ა. შ. დასახელებულ კომპოზიტთა პირველი ნაწილი აიხსნება თურქული ენის საშუალებით. **ბირ-ერთს** ნიშნავს, **სელვი** – სევილის სახენაცვალი ფორმაა და გამოხატავს „მოსიყვარულე“ ადამიანს, **შექერ** – შაქარს და ა. შ. დღეს ქალის სახელები: **ნაზი**, **გულნაზი**, **გულინაზი** – ქართველ კაცს ჩვეულებრივად ესმის, როგორც ქართული ანთროპონიმები. ჯერ თურქულ, შემდეგ კი ქართულ ნიადაგზე მისი გააზრების გამო ისინი იქცნენ ქართულ საკუთარ სახელებად. ამდენად, ყველა ნასესხებ ანთროპონიმს არ შეიძლება ერთნაირი ახსნა მიეცეს. ზოგიერთი სახელი შეეგუა მსესხებელი ენის ბუნებას და დაკარგა უცხოურობის გაგება.

თურქულ ონომასტიკაში მრავლად გვხვდება რელიგიურ-თეოფორული სახელები, რომელთაგან ზოგიერთი აჭარაშიცაა გავრცელებული. მაგალითად:

მელექ (Melek)-„ანგელოზი“.

ელიფ (Elif)- არაბული ანბანის პირველი ასო-ბგერა.

შერიე (Seriyye)-„შარიათის კუთვნილი“, „მასთან დაკავშირებული“.

შაბან (Saban) -„პიჯრის კალენდრის ერთ-ერთი დღე“.

აბდული--აბდულაჰის შემოკლებული ფორმა **abdullah**- ალაჰის მონა.

ჰურიე/ნურიე (Huriiyye)-სამოთხის (ჯენნეთის) ლამაზმანი, შეყვარებული.

სეიჰან (Seuhan)- ქალაქი, სადაც მდებარეობს მოსეს საფლავი და მდინარე, რომელიც ჩაედინება ალექსანდრიის ყურეში.

შუქრიე/შუქრი (Sukriyye)-„უფლის მადლიერი“ (გავრცელებულია აჭარაშიც).

ჰამდი (Hamdi)-„ღვთისმოყვარე“, „ღვთისმოშიში“, „ღვთისმადიდებელი“.

ხენიფე (Henif) -„ისლამთან მჭიდროდ დაკავშირებული“.

მურსელ (Mursel)-„მოგზაენილი“, „მოვლენილი“.

შერიე (Seriyye)-კანონიერი, დაკავშირებულია შარიათთან.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ცალკეულ შემთხვევებში ადგილი აქვს აღმოსავლური (თურქული) სახელების ქართულ ნიადაგზე გადმონერგვის შემთხვევებს. ამის საუკეთესო მაგალითია ანთროპონიმი „ბერდია“. წარმოშობით იგი თურქულია და ნიშნავს „უფლის ნაჩუქარს“, „ღვთით ბოძებულს“ (რ. გაჩეჩილაძე 1976), მაგრამ ქართველი კაცი მას სიბერის აღმნიშვნელ ფუძეს უკავშირებს.

ცალკე უნდა შევეხოთ ანთროპონიმ „იუსუფს“. იგი ფართოდაა გავრცელებული როგორც ტაო-კლარჯეთსა და შავშეთში, ისე აჭარაში. მისგანაა ნაწარმოები გვარი „უსუფა-შვილი“. იუსუფი//უსუფი მომდინარეობს ებრაული „იოსებთან“ და ნიშნავს „მომმატებელს“.

ეს სახელი შესულია მსოფლიოს მრავალი ხალხის ანთროპონიმიაში განსხვავებული ფორმებით. მაგალითად: ბერძნულში – **იოსეფ**, რუსულში – **იოსიფ**, უკრაინულში – **ოსიპ**, ინგლისურში – **ჟოზეფ**, იტალიურში – **ჯუზეპე**, ყაზახურში – **ჯუსუპ**, თურქულში – **იუსუფ** და ა. შ. (ზ. ჭუმბურიძე 1992:22).

ამრიგად, ჩვენ წარმოვადგინეთ ისტორიულ შავშეთში (სამხრეთ საქართველოს სხვა რეგიონებშიც) ფართოდ გავრცელებული ანთროპონიმები, ქალისა და კაცის სახელები, რომლებიც მოწონებით სარგებლობს იქაურ მოსახლეობაში. ისინი უფრო მეტად თურქულია (ან ზოგადად, აღმოსავლური), თუმცა ზოგიერთი სახელი, ძირითადად მეტსახელი, გაქართულდა. უმეტეს შემთხვევაში დაიხრდილა, ან სულაც გაქრა ამა თუ იმ სახელში მისი თავდაპირველი მნიშვნელობა; გადავიდა რა ერთი კულტურიდან სხვა კულტურაში იცვალა პირვანდელი ფონეტიკური სახეც. ამის გამო ანთროპონიმთა ნაწილის ეტიმოლოგიის დადგენა ვერ ხერხდება, ნაწილი კი დაცლილია საგნობრივი მნიშვნელობისაგან.

§3. დასახლების სტიქსუხა შავშეთში

შავშეთი უძველესი ისტორიული მხარეა საქართველოსი, სადაც ბოლო დრომდე შემორჩა დასახლების ძველქართული ტიპი. აქაური დასახლება აჭარულს, კლარჯულს, ტაოურს... მოგვაგონებს. თითოეულ სახლს ირგვლივ აკრავს ეზო-კარმიდამო. შავშეთის სოფლები წარმოდგენილია ჯგუფ-ჯგუფად გაფანტული სახლებით. ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული არიან საერთო ადმინისტრაციითა და სამლოცველოთი-მეჩეთით. დასახლების ასეთი ძველქართული ტიპი განპირობებულია ადგილმდებარეობის ტოპოგრაფიული თავისებურებებით. სოფლები გაშენებულია ხეობების გასწვრივ და სახლების ცალკეული ჯგუფების სახითაა წარმოდგენილი.

დასახლების ძირითადი ერთეულიც სოფლების ცალკეული ჯგუფების გაერთიანებაა. დასახლების მსგავსი სტრუქტურა შენიშნა ა. რობაქიძემ მთიან აჭარაში (ა. რობაქიძე 1960:16).

წარმოიდგინოთ შავშეთის სოფლების დასახლების სტრუქტურას მდინარე იმერხევისწყლის მარჯვენა შენაკადის ბაზგირეთისწყლის ხეობის რამდენიმე სოფლის მაგალითზე. საილუსტრაციოდ ავიღოთ ხეობის უკიდურესი სოფელი-ბაზგირეთი//ბაძგირეთი, სადაც ამ თვალსაზრისით რამდენადმე განსხვავებული მდგომარეობაა. იგი ზღვის დონიდან 1900 მ. სიმაღლეზე მდებარეობს და განფენილია მდინარე ბაზგირეთის წყლის შუა წელზე კლდოვანი ფერდობების ერთ მხარეს. სახლები ერთმანეთის მიჯრითაა განლაგებული.

ტოპონიმი „**ბაზგირეთი**“ ფლორონიმია და ბუჩქნარს, „**ბაძგს**“ უკავშირდება. მისი პირვანდელი ფორმა უნდა იყოს **ბაძგირეთი** (მ/ზ მონაცვლეობა კარგადაა ცნობილი ქართულში. იხ. მ. ძიძიშვილი 1960; მ. ფაღავა 2004...). საბას განმარტებით **ბაძგარი** არის „ეკლიანი, ჭყორნალი, ბარდნალი“. ხალხური გადმოცემით **ბაზგარი** არის პატარა ხე, ზეთისხილის მსგავსი მცენარე. სოფლის სახელწოდების შესახებ არსებობს სხვა ვერსიაც. მთხრობელთა ერთი ნაწილი აღნიშნულ ტოპონიმს ბაზრობის ადგილსაც უკავშირებს. თურქები ამ სოფელს **მადენ ქლის** (ქართულად **მადანი**) ეძახიან.

შავშეთის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში **ბაძგირეთს** მოიხსენიებს გ. ყაზბეგი, ნ. მარი და სხვა მოგზაური მკვლევარები (იხ. ნ. ცეცხლაძე 2004:19,21,24).

ბაზგირეთი მრავალგვარიანი სოფელია და აერთიანებს 4 მეჰელეს//მაჰალეს (უბანს): **ქომუბანი**, **ზემუბანი**, **გამეშეთი**, **კარჩხალი**. ბაზგირეთში დარღვეულია უბნების მონოგენურობა (თუმცა ხეობის სოფლების ზოგიერთ უბანში ვხვდებით მონოგენურ დასახლებებსაც).

ზემუბანი (ზემო უბანი) დასახლებულია **ყასიმოდლები//ყასმიენტებით** (რომლებიც აქ კარჩხალიდან გადმოსულან), **თამთოდლები//ცვარიენტებით** (ცვარაძეები მოსულან ციხისხევიდან) და **აღიენტები//აღიშვილებით**(ბოლქვაძეები), გადმოსულან არტანუჯიდან XIX საუკუნეში). **ცვარაძეებს** აქ **დაბელიენტებსაც** ეძახიან.

ქომუბანში (ქვემო უბანში) ცხოვრობენ: **ბეზგიენტები//ბეზინგაროდლები**, **თეთრიენტები** (თეთრაძეები), **კეფუნები** (კეფოძეები), **ჯივანიენტები//ჯივანოდლები**, **ბისონიენტები//ბისონოდლები**, **ეიჩარები** და **ხოჯიენტ//ხოჯიოდლები**.

სარიანოდლები//გამეშიძეები, **დელი-ჰასანოდლები**, შავშეთის სინქორიდან მოსულან. **ბოიანჩაროდლი//ბოიანჩარიშვილები** დასახლებული არიან გამეშეთის მეჰელეში, ხოლო **ყასმიენტები//ყასიმოდლები**, **მეჰმედიენტ//მემედოდლები** და **დელიჰასანოდლები** - კარჩხალის მეჰელეში სახელობენ.

უბნების ნაწილი ძველია, ზოგიერთი კი წარმოქმნილია მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის საფუძველზე. მაგ. **ქომუბანში** პირველად **კეფოძეები//კეფუნები** დასახლებულან. მათი წინაპრები აქ ბათუმიდან ასულან, გაუჩხიათ ტყე და სოფელი გაუშენებიათ, ჯივანოდლები შემდეგ არიან დამკვიდრებული და „ახალციხიდან მოსულობას იტყვიან“.

სოფელში შეინიშნება ძველი ნასახლარების ნაკვაღევი და მატერიალური კულტურის ნაშთებიც. სოფლის სათიბების ერთ-ერთი მონაკვეთს საზგირელი ჰქვია, გადმოცემით იქ ყოფილა

ქართულწარწერიანი ქვები. ამ ადგილას ხალხის რწმენით თამარ მეფეს („დედა თამარას“) სასახლე ჰქონია, სადაც ზაფხულობით ჩამოდოდა დასასვენებლად, აქვეო მისი საფლავიც (სასვენნი).

სოფელში მრავლადაა სამეურნეო საქმიანობის, ისტორიული წარსულის გამომხატველი ტოპონიმები. მაგალითად: **სვანეთი/სვანიხევი, ბაღმიეთი** (უკავშირდება ბაღმიეთა საგვარეულოს), **სადრამეთი, ჩირველი, ურისაკლავი, კოფტო** (ბევრია რკო), **სანეკრე** (ნეკერის საკავი ადგილი), **ლეკნათი, კენათი, საქერი ხევი, ასკინარა** და ა.შ. ერთ-ერთ ტოპონიმს აქაურები **იაღისადნობს** ეძახიან. გადმოცემით მაჭახლიდნ ერთ-ერთ პიროვნებას მსხალი წამოუღია და იაღზე (ერბოზე) გადაუცვლია. გადაცვლილი პროდუქტი „ჩახვი“ (ნაჭრისგან შეკერილი „თორბა“) მოუთავსებია და ცხენზე გადაუკიდია. ჩახვი დასველებულა. ამიტომ იაღი გაუფენია, გაშრესო, თავად კი თვალი მოუტყუებია. ერბო სიცხეში გამდნარა. პატრონს ეს ცხენისათვის დაუბრალებია და მოუკლავს. ამიტომ ჰქვია ამ ადგილს **იაღისადნობი**.

სოფლის ძველი და ტრადიციული უბნები (ქომუბანი, ზემუბანი) გამოირჩევა მოსახლეობის სიმჭიდროვის მაღალი კოეფიციენტით, ვიწრო გასასვლელებითა და ქუჩებით. სახნაგ-სათესი მიწების (ყანები) უმეტესი ნაწილი სოფლისგან მოშორებით მდებარეობს. სახნავი ფართობები ვერტიკალურ გეგმაშია წარმოდგენილი.

იმერხევის ხეობაში დასახლების ძირითადი ერთეული იყო და არის სოფელი. მაგრამ განსახლების წესი, დასახლებული პუნქტების მორფოლოგიური და ბუნებრივი ნიშნები გვაფიქრებინებს, რომ ძველად დასახლების ძირითადი ერთეული დასახლებული პუნქტების უფრო ფართო გაერთიანება იყო.

ნორმალური სამეურნეო საქმიანობისათვის აუცილებელი ყველა პირობა - სახნავი, ტყე, წყალი - ამ გეოგრაფიული ერთეულის ფარგლებს შიგნით იყო მოქცეული. იმერხევი (შავშეთში ზოგადად) დასტურდება შორი ადგილებიდან საცხოვრებელ სახლამდე წყლის გამოყვანა როგორც კერამიკის, ისე **ხის მიღებით**. საგულდაგულოდაა შენახული ხის მილები **მოლიძეების** (ამჟამად ალთუნები) ოჯახში (ს. უბე). 2 მეტრამდე სიგრძისა და 20-25 სმ. დიამეტრის ხეები შუაგულშია გახვრეტილი და ისე მჭიდროდაა შეერთებული, რომ წყალს არ უშვებს. ყველა სოფელში რამდენიმე წყაროა. წყაროს წყალი ამოღარულ დიდ ხეში - ავაზანში ჩაედინება.

ბუნებრივი მატების შედეგად მოსახლეობის ზრდამ განაპირობა სიმჭიდროვის მაღალი კოეფიციენტი, რამაც განაპირობა სახნაგ-სათესი ფართობების ნაწილის გადანაცვლება მიმდებარე ტერიტორიებზე.

შავშეთის სოფლების განლაგება ტერასობრივი ხასიათისაა. განსახლება არის ხაზოვანი, მისდევს სერებს, გზა-ქუჩებს, ზოგან კი უწესრიგოა.

რელიეფის მკვეთრი დასერილობა დასახლების აღნიშნული ფორმის ბუნებრივი პირობაა. ბაზირეთი ადრე ერთი თემი იყო, მისი უბნებად დაყოფა კი განვითარების იმ საფეხურის ამსახველია, როცა თემში შემავალი ერთი დასახლებული პუნქტი იქცა სოფლად, რომელიც ისევე ცალკე უბნებად დაიყო.

საყურადღებოა, რომ შავშეთში, ისევე როგორც სამცხე-ჯავახეთში, ჰქონიათ სამალავი დარანები. სოფელ იფხრევლში რამდენიმე ასეთი დარანი არსებობდა, რომელთაგან ერთი ახლაცაა შემორჩენილი. თითოეულ დარანში 60-70 კაცი ეტეოდა.

ერთი სიტყვით, შავშეთის დასახლება თავისი მორფოლოგიური და ბუნებრივი თავისებურებით ემსგავსება მთიანი აჭარისთვის დამახასიათებელ ტიპს და ხასიათდება დასახლების მაღალი სიმჭიდროვით, კომლთა საშუალო და შედარებით დიდი რაოდენობით (რაც სოფლების უბნებად დაყოფას გულისხმობს) და ტერასობრივი განლაგებით.

§4. საცხოვრებელი ნაგებობანი შავშეთში

ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებისა და მიკროკლიმატის განსხვავება-კონტრასტულობა უხსოვარი დროიდან ადამიანისათვის სხვადასხვა საცხოვრებელ გარემოს ქმნიდა. აღნიშნულმა ფაქტორებმა ხელი შეიწყო თანამედროვე და ისტორიული საქართველოს საკმაოდ მცირე ტერიტორიაზე სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი ნაგებობების წარმოშობას და განვითარებას (ი. ადამია 1967:3).

ისტორიული საქართველოს მხარეთა შორის თავისი მომხიბლავი ბუნებით გამორჩეულია შავშეთი, საკუთრივ იმერხევის ხეობა, სადაც დღემდე უხვადაა შემონახული ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლები. მათი შესწავლა და გამოკვლევა იმსახურებს სპეციალისტთა ყურადღებას. საცხოვრებელი ნაგებობების კონსტრუქციულ-მხატვრული დახვეწილობით გამოირჩევა ბაზგირეთისწყლის ხეობა.

საცხოვრებელი სახლების სახეების დასადგენად არსებობს უამრავი მასალა, მაგრამ უძველეს ტიპებთან მათი დამაკავშირებელი ხაზი, თავდაპირველი ტიპის თანმიმდევრული ევოლუცია სრულად არაა გამოკვეთილი (იხ. გ. დავითაშვილი 1974:3). ამიტომ საკითხის შესასწავლად ავირჩიეთ საცხოვრებელი სახლის ერთი ტიპი, კერძოდ შევქეთ ყარალოღლის სახლი სოფელ სვირევანში.

შევქეთ ყარალოღლის საცხოვრებელი მდებარეობს საკარმიდამო ნაკვეთში, სოფლის ცენტრალური ჯამი-მეჭელეს ტერიტორიაზე (მეჩეთიდან ასიოდე მეტრის მოშორებით), გზის მარცხენა მხარეს. კარ-მიდამო დასახლების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია და გულისხმობს საცხოვრებელი და შრომის ადგილის ერთიანობას (შდრ. გ. ჩიტაია 1953:201). თვით კარ-მიდამო თავისთავში აერთიანებს როგორც საკარმიდამო მიწის ფართობს, ისე მასზე განლაგებულ საცხოვრებელ და სამეურნეო კომპლექსს, რომელთა მშენებლობის ტექნიკა, ესთეტიკური გემოვნება, კულტურათა შეხამების თავისებურებები, ბუნების აღქმის სახე ეფუძნება ხალხის ემპირიულ ცოდნა-გამოცდილებას.

სვირევანისათვის ტრადიციული კარმიდამოს ტიპი დღესაცაა შენარჩუნებული, ყოველ შემთხვევაში კარგადაა დაცული კარ-მიდამოს მოწყობის ძირითადი საფუძვლები. დაკვირვებული თვალი შენიშნავს კარ-მიდამოს სტრუქტურის უმნიშვნელო ცვლილებებსაც. შევქეთ ყარალოღლის კარ-მიდამოს, გარკვეული მოსაზრებით, შეიძლება ვუწოდოთ ტიპური, კლასიკური იმერხეული კარ-მიდამო, რომლის ტერიტორიაზე აშენებული საცხოვრებელი ხით ხურობის ტექნიკის მაღალ დონეზე მეტყველებს.

საინტერესო და მრავლისმთქმელია ის გარემოება, რომ იმერხეველები საცხოვრებელი სახლის დერეფანს „ეზოს“ უწოდებენ, ხოლო ეზოს-„კარს“. აქედან უნდა იყოს ჩვენში ფართოდ დამკვიდრებული ტერმინი „ეზო-კარი“. მის გარეთ არსებულ ტერიტორიას მიწითა და სამეურნეო კომპლექსით - „კარ-მიდამო“ ჰქვია. ტერმინი „ეზო“ საცხოვრებელი სახლის გარშემო მდებარე საკარმიდამო ნაკვეთია. დღევანდელ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში „ეზო“ ამავე მნიშვნელობით დასტურდება აჭარაში, გურიაში, სამეგრელოში, სამცხე-ჯავახეთში, კახეთში თუშეთში (ქეგლ III), თუმცა ზოგან „ეზოს“ აღმნიშვნელი ტერმინი საერთოდ არ არსებობდა. მაგ. თრიალეთის ურუმ მოსახლეობაში (თ. ცაგარეიშვილი 1974:22).

ხევსურეთში „ეზო“ შედიოდა საცხოვრებელ კომპლექსში და მოქცეული იყო სახლის პირველი სართულის წინა მხარეს, „ქარიანს“ და „სენეს“ შორის (თ. ცაგარეიშვილი 1974:22) - შეშისა და სხვა საოჯახო საგნების შესანახად. დაახლოებით ამავე მნიშვნელობისაა „ეზო“ შავშეთში. ამ საკითხს თავის დროზე ყურადღება მიაქცია ნ. მარმა. მისი თქმით, „სურევანელი დერეფანს უწოდებს ეზოს“ (H. Mapp 1911:75). ვფიქრობთ, რომ იმერხევეში ზემოთ დაფიქსირებული ტერმინების ასეთი გაგება ქართული ბუნებისა და ისტორიული რეალობის ამსახველი უნდა იყოს. ერთიან გენეტიკურ ფესვებზე უნდა მიუთითებდეს სამშენებლო მასალისა და მშენებლობასთან დაკავშირებული ძველქართული ტერმინოლოგია, რომელთაგან ზოგიერთი - ჩვენთან მივიწყებულია, მაგ. ვირხიდაი (სახურავის ქირიში, რომელზეც ეწყობა ორთი), დოკანი (ქირიშების საყრდენი), ზაღდა (სახურავის გადაშვერილი ნაწილი), დირეგი//დირედი (ბოძი), ყოშატი (სიგანგზე დაწყობილი ქირიშები), კვანტი (სიგრძეზე დაწყობილი ქირიშები), ქოშა//ქოშაქვა//ქვეშაქვა (ქვის ბინები), ყავარი (ხის სახურავი), საბერველაი//საბე-

რაგი (სახურავის ფიცარი, რომელზეც ეწეობა ყავარი), **ლური** (ორთი), **ფინი** (იატაკი), **ზირზა//საყროლი** (რკინის საკეტი, „ზირზა“ შესაძლოა უკავშირდება **რაზა**-ს, საყროლი – **საყრელ**-ს), **ქორი** (თივის შესანახი, სათიფე. „ქორ“ ჩვენთან აღნიშნავს სახლსაც), **საბზელი//საბძელი** (ბზის შესანახი ნაგებობა) და ა. შ. მთავარ ოთახს, რომელშიც იკრიბებიან ოჯახის წევრები, ოთურმა სალონს უწოდებენ, ხოლო პროდუქტების შესანახ სათავსოს – **ამბარს//ქილერს//მუთვალს//ბედელს**.

რამდენადმე განსხვავებულია ტერმინოლოგია ბორჩხის, მურღულისა და ართვინის რაიონებში. საბინე ქვას ს. **ქართლაში** (ართვინის რ-ნ) **თემელის** (საფუძვლის) ქვასაც ეძახიან; **თემელა** ქვებზე გადებულ ხეს – **ბოი ხე//ბოიადაჯი**, იატაკს – **დოშანა**, ფანჯრის გასამაგრებელ ჩარჩოს – **ფერვაზი**, კარისას – **ქასა**, სახლის შუაწელის მთავარ ბოძს – **ბაბა დირევი** (შდრ. ქართ. დედაბოძი), სახურავის მოწეობილობას – **ჩათი**, სახურავის გადაშვერილ ნაწილს – **სარაი ბალი**, სახურავს – **საჯი**; ბუხარს – **ბაჯა//ოჯალი** და ა. შ. ჰქვია.

შევქეთ ყარალოღლის სახლი სამსართულიანია. სახლის ეზო ათიოდე მეტრის სიგანი-საა, ხოლო სიგრძე გზამდე ვრცელდება (დაახლოებით სამი მეტრი). აქ არის საბეთმეხე მოწეობილობა და **ბეთმეხის** (ბაქმახის) მოსადუღებელი ადგილი, რომელსაც „**ხონოსაც**“ ეძახიან (საბეთმეხე მოწეობილობა წარმოადგენს ამოღარულ ხის ჯარას. მასში ჩაიდგმება მოწეული პატარა გოდორი, რომელშიც ჩაიყრება მოდუღებული თუთა. თუთა დაიწურება და ჯარასთან მიერთებული ხის ღარით ჩაედინება ქვებში. წვეს ერთ-ორ საათს აღუდებენ ბეთმეხის მისაღებად, დარჩენილ ჭაჭას კი იყენებენ საქონლის საკვებად. ამზადებენ მსხლის, ყურძნის ბეთმეხსაც). იქვე არის საშეშე-შეშის დასახეხი ადგილი – **კარაპანი**. მის მარჯვნივ არის ფიცრის გრძელი სკამი და „**ჭაჯეთების**“ (შრომისა და სამშენებლო იარაღ-ხელსაწყოები) შესანახი კარადა. სახლიდან ათიოდე მეტრის მოშორებით დგას **მერევი//ქორი//სათიფე**. სახლი ზურგით ყანისაკენაა მიმართული.

საცხოვრებელი სახლის პირველი სართული – ქვეშა სახლი წარმოადგენს საქონლის სადგომს – ახორს. აჭარული ახორისაგან განსხვავებით, შევქეთ ყარალოღლის სახლს არ აქვს სანათური – პატივის გადასაყრელი ღიობი. საქონლის პატივი გროვდება **სანარწყალში**, საიდანაც გარეთ იყრება ხის ნიბებით. ახორი ორგანყოფილებიანია: საცხვრე და მსხვილფეხა საქონლის. ახორის აივანზე მოწეობილია სასკე.

იმერხეული სახლებისაგან განსხვავებით, ზოგიერთ საცხოვრებელს არ აქვს პირველი სართულიდან ახორში ჩასასვლელი კიბე (რაც ტრადიციულია აჭარული სახლებისათვის). შევქეთ ყარალოღლის სახლში შესასვლელი არის აივნიდან, რომელსაც იქაურები **ტანთრაფას//ტანტრაბას** უწოდებენ. ეს ტერმინი დღემდე გვხვდება მარეთის ხეობის სოფლებში. აივანი სახლს გასდევს მთელ სიგრძეზე. აივნის ბოლოში არის **ზედა ყათში** (მეორე სართულზე) ასასვლელი კიბე, მარცხენა მხარეს კი მიშენებული აქვს დამხმარე სათავსო – **მუთვალი**, სადაც ზაფხულობით მზადდება საჭმელი. იქვე არის **დოლაბი** – ჭურჭლეულის შესანახი სათავსო ზაფხულის პერიოდში. აივანზეა აგრეთვე **აბდესლუდი//აბდესხანა** – ლოცვის წინ განსაბანი ადგილი. აივნიდან არის შესასვლელი **ოთურმა სალონში**, სადაც თავს იყრიან ოჯახის წევრები. აქვე მოწეობილია ხის ტახტი – **სექვი**. ეზო-სალონიდან არის მეორე აივანზე გასასვლელი და ბედელში (პროდუქტების შესანახი სათავსო) შესასვლელი კარი. **ოთურმა-სალონი** კარებით უკავშირდება აგრეთვე ორ საძინებელ ოთახს. სახლის მესამე მხარეს, მესამე აივანზე გასასვლელ კარებთან მოწეობილია გუგუმების (თუნგების) დასაწეობი, ხელის დასაბანი აბდესხანა და საპირფარეშო. ამ აივნიდან კიბით აღიხართ შემდეგი სართულის აივანზე, სადაც მოწეობილია სექვის მსგავსი ხის ტახტი – **ქოსქი**. მეორე სართულზე ოთახები პირველი სართულის მსგავსადაა განლაგებული და განკუთვნილია სტუმრებისათვის, ბავშვებისათვის, ახალდაქორწინებული წყვილებისათვის. იმერხევის სოფელ ბაზგირეთში დავაფიქსირეთ თეთრიენთების 156 წლის ცალპირა სახლი, რომელშიც „**ერთიანობის**“ დროს 3 ძმა გაუყრელად ცხოვრობდა. სამმო სახლები მრავლადაა ბორჩხისა და მურღულის რაიონებშიც. მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ რამდენიმე ბუხრიან სახლთან ერთად დავაფიქსირეთ **სამაბანოიანი** (ბანიო) სახლები, რაც, ბუნებრივია, სხვადასხვა საქორწინო წყვილისათვის არის გათვალისწინებული.

დერეფნის ნაწილს, რომელიც კარებით უკავშირდება საძინებელ ოთახებს, იქაურები **პარალელსაც** უწოდებენ (ზემო აჭარის ზოგიერთ სოფელში ამ ტერმინით აღინიშნება სახლის იატაკი).

კონსტრუქციული სტრუქტურის თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს საცხოვრისში ბუხრის მოწყობის ტრადიცია.

უმარტივესი კონსტრუქციის საშუალებით ბუხრის მთელი სიმძიმე ეყრდნობა დირეგს (ბოძს), რომელიც თავისი აგებულება – დანიშნულებით ქართული სახლის დარბაზულ სისტემაში არსებულ ე.წ. „დედაბოძს“ მოგვაგონებს (შდრ. ი. ადამია 1967:8-9).

იმერხვეელები სახლის ასაშენებლად არჩევენ მაგარ და მშრალ ადგილს. სველ ადგილას სახლს არ ააშენებენ. ადგილის სიმშრალის შესამოწმებლად მიწას ღრმად ამოთხრიან, რათა დაადგინონ, სიღრმეში არის თუ არა წყალი, ან კიდევ: დადებენ ქვას. თუ ქვის ქვეშ ჭიანჭველები დაიბუდებენ, ადგილი მშრალია. ნიშანდობლივია, რომ მიწის სიმშრალის შესამოწმებლად ასეთივე მეთოდს იყენებენ მთიან აჭარაშიც. სახლის მშენებლობისას ითვალისწინებენ აგრეთვე წყალთან და გზასთან სიახლოვეს.

შევქეთ ყარალოღლის საცხოვრებელ სახლში ყველა სათავსოს, ყველა ელემენტს კონკრეტული ფუნქცია აქვს დაკისრებული. ძნელია განსაზღვრო მასში წამყვანი ელემენტი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში „ოთურმა სალონს“. იგი კარგადაა შერწყმული როგორც სამეურნეო საქმიანობასთან, საოჯახო ურთიერთობების გაბატონებულ ტრადიციებთან, ისე სვირევეანის ბუნებასთან. ერთი ნახვით რჩება შთაბეჭდილება, რომ საცხოვრებელი იმერხვეის ბუნების განუყოფელი ნაწილია და თვით ბუნების მიერაა შექმნილი. საცხოვრისის თითოეული ელემენტი ერთიანობაში ქმნის მთლიანს, განუყოფელს, რომელსაც ჩვენებურები „ეზო – კარს“ უწოდებენ.

მშენებლობის ტექნიკით, კონსტრუქციულ-მხატვრული თვალსაზრისით სპეციალისტთა ყურადღებას იქცევს ბორჩხისა და მურღულის რაიონებში გავრცელებული საცხოვრებლები. ძირითადად ისინი ლაზი ოსტატების მიერაა აშენებული და ლაზური სახლის ანალოგიურია. შიგა კედლები ხისაა, გარედან კი ქვის ან აგურის. ზოგიერთი სახლის კედელი შემკულია მცენარეული ორნამენტით. ეს ჩვენის აზრით იგივეა, რაც სიცოცხლის ხე. როგორც ჩანს, ორნამენტებს საცხოვრებელი ნაგებობების კონსტრუქციაში აქაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და შესაბამისად გარკვეული ფუნქციის მატარებელია.

ამ ტიპის ორნამენტში ვაზთან ერთად ფიგურირებს სხვა მცენარეებიც. მაგ. მუსულმანი ბულგარელების სოფელ რიბნოვოში დავაფიქსირეთ საცხოვრებელი, რომლის კედელზე პალმის გამოსახული.

ორნამენტის ეს სახე თავისი მოტივების წარმოშობით უძველეს კულტურას ეკუთვნის, მომდინარეობს ძველი ტრადიციებიდან (გ. ჩიტაია 2000:215) და პარალელებს პოულობს ქართულ, ზოგადკავკასიურ, წინააზიურ თუ ბალკანურ სინამდვილეში (თ. ფუტყარაძე 2008).

წარმოდგენილ ეთნოგრაფიულ მასალას სრულიადაც არ აქვს სისრულის პრეტენზია. კვლევა ამ მიმართულებით კვლავაც უნდა გაგრძელდეს, მაგრამ ჩვენს მიერ განხილული მწირი მონაცემებიც იძლევა საშუალებას ტრადიციული კულტურით მდიდარ შავშეთში წარმონდგეს საცხოვრებლის იმერხვეული თავისებურებანი, ქართულ (აჭარულ) საცხოვრებელთან გენეტიკური სიახლოვე და მისი ადგილი ქართულ, უფრო ზუსტად დასავლურ ქართულ საცხოვრებელ ნაგებობათა შორის.

§5. ოხოვლა ეხა

ოჯახისა და საოჯახო ცხოვრების წესებთან დაკავშირებულ მატერიალური კულტურის ელემენტებს შორის განსაკუთრებულია კერა, როგორც საოჯახო ურთიერთობის ძირითადი მაკორდინირებელი მრავალფუნქციური ცენტრი. კულტურის ამ ელემენტების შემონახვით გამოირჩევა ისტორიული საქართველო, საკუთრივ შავშეთი. აქაური კერა წარმოადგენს ქართული კერის შავშურ ვარიანტს თავისი ლოკალური სახესხვაობებით.

ლიტერატურაში გამოყოფენ კერის ორ ტიპს: ღია და დახურული კერა (თ. ჩიქოვანი, 1989:48). დახურული კერა წარმოდგენილია ძირითადად ბუხრის სახით, ხოლო ღია კერა სხვადასხვა ტიპისაა, კერძოდ: უშუალოდ მიწაზე გამართული ორი ცეცხლგამძლე ქვის ბლოკისაგან შედგენილი კერა (ყველაზე არქაული ფორმა); მრგვალი მოყვანილობის კერამიკული უძირო ჭურჭელი, რომელსაც ტანის შიგნით აქვს პატარა შევრილ-სადგარები (დასტურდება განათხარ მასალებში) და მინიატურული თონის ფორმის მრგვალი მოყვანილობის უძირო კერამიკული ჭურჭელი (გავრცელებულია თრიალეთსა და ჯავახეთში) (თ. ჩიქოვანი, 1989:48), რომლის არსებობა შეპირობებულია საწვავი მასალის, წივის სპეციფიკურობით. თ. ტუნაძე გამოყოფს აგრეთვე საქართველოში ფართოდ გავრცელებული მართკუთხა ფორმის ქვისა და ფუნქციურად მის შემცვლელ რკინის კერას (თ. ტუნაძე 2000:172).

თავისი კონსტრუქციული აგებულებით, პრაქტიკული დანიშნულებით, სპეციფიკურობით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შავშეთში, კერძოდ იმერხევის სოფელ ჩაქველთაში დაფიქსირებული პორიზონტალური ორთვალისანი ღია კერის ტიპი კვამლის გასასვლელი მილით, რომლის მსგავსი არ შეგვხვდრია არც ერთ სხვა დასახლებულ პუნქტში. აღნიშნული კერა განთავსებულია საცხოვრებელი სახლის ეზოში.

თავისი ფორმით კერის ზედაპირი მრგვალი მოყვანილობისაა. მისი დიამეტრი 62 სმ, სიღრმე კი 38 სმ-ია. კერა აგებულია ცეცხლგამძლე მეკრივი სახეობის კირქვით. ზედაპირი მრგვალადაა შემოღესილი ცეცხლგამძლე თიხით. შემოღესილობის სიგანე 10-15 სმ-ია. ქვების პარალელურ წყობას შორის მანძილი 52 სმ-ია. სწორკუთხა უჯრედი 35X37 სმ. ზომისაა. ყორეთი შემოსაზღვრულ ფართობსა და სწორკუთხა უჯრედებს შორის ტიხარი 12 სმ-ია.

მესამე უჯრედის ბუხრის ყელის შემოსაზღვრულობა 30 სმ-სიმაღლისაა. თავად ყელის ზომა 25X25 სმ-ია. იგი თითქმის წრიული ფორმისაა. მისი დიამეტრი 24-25 სმ-ია.

კერა ორთვალაა. იგი წარმოდგენილია სხვადასხვა ზომისა და სიდიდის ორი სადგამით და გათვალისწინებულია განსხვავებული სიდიდის ჭურჭლების დასადგმელად. კერის გვერდითი კიდეები შემოღესილობისაგან წინ არის გამოწეული, რითაც შექმნილია ჭურჭლის სადგამისათვის განკუთვნილი ზედაპირი.

აღნიშნული კერა საქართველოში ფართოდ გავრცელებული ორი ქვის ბლოკით შედგენილი მარტივი კერისაგან განსხვავდება როგორც ფუნქციონალური დანიშნულებით, ისე აგებულებით. იგი საკმაოდ რთული კონსტრუქციისაა. მსგავსი კერა ჩვენ ვერ დავადასტურეთ საკუთრივ შავშეთის სხვა სოფლებშიც კი. ასეთი კონსტრუქციის კერა ფართო გამოყენებას პოულობს ისეთ რეგიონებში, სადაც სიმბიოზურადაა განვითარებული მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. იგი არაა გათვალისწინებული ყოველდღიური სამზარეულო საქმიანობისათვის.

აღნიშნული კერა აქტიურად გამოიყენება შემოდგომაზე, როცა ფართო მაშტაბებს იღებს ბეთმეხის მოღუდება, იგი გამოიყენება აგრეთვე რძის პროდუქტების დამზადების დროსაც. სწორედ ამ ფუნქციას ასრულებს კერა იმერხევის სოფელ ჩაქველთაში, რაც მთიანი შავშეთის ბარული ცხოვრების პირობებში მისი გამოყენების საინტერესო და იშვიათი შემთხვევაა. აქაც, ისევე როგორც თანამედროვე საქართველოში, ფართოდაა გავრცელებული ორი პარალელური ქვის კონსტრუქციით წარმოდგენილი მარტივი კერა, რომლებიც გვხვდება შავშეთის ალპურ ზოლშიც.

იმერხევის ზემოთ დასახლებულ სოფელში ორთვალა კერა ეზოში, საოჯახო მეურნეობის მეტად მარტივი, ყავრით დახარული ნახევრად ღია ნაგებობის სახითაა წარმოდგენილი, რომელიც შემოდგომაზე სამზადისის ფუნქციასაც ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ რკინის ღუმელებმა ზოგადად შეასუსტა როგორც ღია, ისე დახურული კერების მნიშვნელობა, შავშეთში ცალკეული შემთხვევების გარდა, იგი კვლავაც ინარჩუნებს თავის დანიშნულებას.

საველე მონაცემების მიხედვით აშკარაა, რომ შავშეთის სოფლები პრაქტიკულად იცვლება მოსახლეობისაგან. მასობრივი ხასიათი მიიღო მიგრაციულმა პროცესებმა. ჩვენებურები მკვიდრებიან დიდ ქალაქებში, მაგრამ ცდილობენ შეინარჩუნონ პირველსაცხოვრისთან კავშირი. ამიტომაც ზაფხულობით ადიან სოფლებში და მამაპაპისეული ტრადიციებით აგრძელებენ ცხოვრებას. საპენსიო ასაკის ადამიანები სოფლებში რჩებიან ზამთრობითაც. ისტორიული საქართველოს ამ ნაწილში ტექნიკური სიხალეები ძნელად იკაფავს გზას, რაც

სოფლის ცხოვრების ნოსტალგიით და ძირძველი ყოფითი კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნების სურვილით უნდა აიხსნას.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი კერა პრაქტიკული დანიშნულებით სამზარეულო საქმეს უკავშირდება. ამაზე მეტყველებს მისი კონსტრუქციული აგებულება. ორთვალა კერა ისეა წარმოდგენილი, რომ მოსახერხებელია მასზე ჭურჭლის შემოდგმა. ქვისა თუ კირქვის გამოყენება ჭურჭლის სადგამად უცხო არ არის კავკასიური სინამდვილისათვის (მ. ჩართოლანი 1961:56,57,58). სოფელ ჩაქველთაში დაფიქსირებული კულტურის აღნიშნული ელემენტი კერის საკვალიფიკაციო სისტემაში შესაძლოა „ორთვალა კერის“ სახელწოდებით წარმოვადგინოთ. იგი ჭურჭლის სადგამი კონსტრუქციის საუკეთესო და მოხერხებულად მოწყობის ბრწყინვალე ნიმუშია, რომელიც ქრონოლოგიურად შორეულ წარსულს უკავშირდება, გენეტიკურად კი ქართული კერის ლოკალურ სახესხვაობად შეიძლება მივიჩნიოთ. ჩაქველთა იმერხევის სხვა სოფლებთან ერთად გამოირჩევა ყოფითი კულტურის ელემენტების მდგრადობით, რაც ნათლად ჩანს წარმოდგენილი კერის აღწერილობიდანაც.

კონსტრუქციული თავისებურებებითა და ლოკალური სპეციფიკით გამოირჩევა დახურული კერებიც. ერთ-ერთი ასეთი კერაა სოფელ **ბრიღში**. იგი საცხოვრებელი სახლის სამხრეთის კედლის გარეთ, გზის მხარეზე ქვით ამოშენებულ ყორეშია ჩატანებული. პრაქტიკულად იგი არის ბუხარი, რომლის გარე კედლის თალი არის ოვალური ხე. მასზეა დაშენებული ბუხრის ქვები. კვამლის გასასვლელიც ერთიანი სახურავის ქვეშაა მოქცეული. სახლსა და ბუხრის კედელს შორის მანძილი (რომელიც ასრულებს ეზოს ფუნქციასაც) 2-2,5 მეტრია. იქვეა მოწყობილი საშეშე და წისქვილი.

ბუხარი, როგორც ყოფის უცხოეთნიკური ელემენტი ღია კერასთან შედარებით მატერიალური კულტურის უფრო მაღალი საფეხურია, მაგრამ მაინც ვერ შეძლო ღია კერის ამოგდება ტრადიციული ყოფიდან. ღია კერა კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიაში იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომელიც რიტუალური თვალსაზრისით უფრო ფართე სივრცესა და განზომილებას ქმნის, ვიდრე ბუხარი. კერის დახურული ტიპი – ბუხარი თავისთავად მიგვანიშნებს იმ გარკვეულ შეზღუდვებზე, რომელიც მას გააჩნია ღია კერასთან შედარებით (თ. ტუნაძე, 1996:94).

ამრიგად, შავშეთის მოსახლეობის ტრადიციულ ყოფაში დაფიქსირებული კერა ტიპოლოგიური თვალსაზრისით საკლასიფიკაციო სისტემაში შესაძლოა ცალკე იყოს წარმოდგენილი „ორთვალა კერის“ სახელწოდებით. ფუნქციონალურად იგი სამზარეულო საქმიანობას უკავშირდება. ქრონოლოგიურად აღნიშნული კერა უძველესი, მარტივი კერის შემდგომი საფეხურია.

§6. შავშეთი სამზარეულო

მეურნეობრივი პროფილით, მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების სიმბიოზური განვითარებით, ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებებით შავშეთი ძალიან ახლოს დგას მთიან აჭარასთან. თითქმის იდენტურია ხალხური კერძები და მათი მომზადების ტექნოლოგია.

შავშელთა კვების სტრუქტურაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც მცენარეული, ისე ცხოველური კერძები.

შავშელები რძისაგან ამზადებენ შემდეგი სახის პროდუქტებს: იაღი//კარაქი, ყველი (ფშნილა, გორჯოლო...), ნაღები, მაწონი და ა. შ. იაღი, ყველი გათვალისწინებული იყო წლის განმავლობაში შესანახად. მას ინახავდნენ მოკაბიწებულ გვარდაში.

იაღი//კარაქი მიიღება როგორც **ნაღების//ყაიმადის**, ისე გამოუხდელი მაწონისაგან. სულხან-საბას განმარტებით ნაღები არის „რძის მონაგდები“ (საბა, 1966:578). ხარისხიანობისა და თავდაპირველი თვისებების შესანარჩუნებლად კარაქი საგულდაგულოდ ირეცხება. გარეცხილ კარაქს დაამარილებენ და **გვარდაში** (საგანგებო ხის ჭურჭელი) ინახავენ. მაწონიდან დაღის მოდღვების შემდეგ რჩება **დო** (აირანი): „**მაწონ შედღობავ, დო გაკეთდება, დაღ ამიღებ, ჩოქალუას გააკეთებ, უკან ჭუკი დარჩება**“. **დო** არის საუკეთესო გამაგრილებელი

სასმელი. მაწონთან შედარებით მას აქვს რიგი უპირატესობა. ზომიერად ცხიმოვანი ღო უფრო სასიამოვნო და სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის.

დიდი მოწონებით სარგებლობს **მაწონი**. იგი არის კვების ერთ-ერთი ძირითადი პროდუქტი. მას იყენებენ ხალხურ მედიცინაშიც (სიცხიანობის დროს, კუჭ-ნაწლავით დაავადებულთა სამკურნალოდ, ანთებითი პროცესების საწინააღმდეგოდ და ა. შ.). **მაწონის, ძაღის ღოს** წარმოების ტექნოლოგია ისეთივეა, როგორც მთიან აჭარაში.

შავშელები დახელოვნებული არიან **ყველის** დამზადებაშიც. ამზადებენ **გორჯოლო, მოშუშულ, ფშენილა (ფუნჩხა)** და „**ჭიჭიკონ**” – **დაწუნლ**, ანუ **ჩლეჩილ** ყველს. განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს **გორჯოლო ყველი**. ყველს ძირითადად ძროხის რძისაგან ამზადებენ, თუმცა ადრე თხისა და ცხვრის რძესაც ურევდნენ. ყველს ინახავენ **კროჭებში/ქილაკებში**. **კროჭი** არის ხის თავსაბურიანი ვედროსმაგვარი ჭურჭელი. იგი გამოიყენებოდა წყლისათვისაც. **ტაოში** კროჭის აღმნიშვნელად გამოიყენება ტერმინი „**კოლი**”. ყველს ინახავდნენ აგრეთვე თხის ტყავისაგან დამზადებულ **გუდაშიც**.

გამოხდილ რძეს ისინი **გობმაწონას** ეძახიან, **გაწურულ მაწონს** კი - **დონთბარს**. **ფშენილა** ყველის დასამზადებლად **გობმაწონას** ჩაასხამენ ქვაბში, შეაცხელებენ, კვეთის საშუალებით ამოიღებენ ყველს, დარჩენილ შრატს ჩაასხამენ **ჩახვში**, რომლის გაწურვის შენდევ მიღებულ მასას „**ლამაზად** შესრიმენ, ჰანი ჭად მოხელენ ისე, დაახურებენ ბეხერს (თბილ ნაჭერს შემოახვევენ), თბილათ რომ იყოს. ის შეთბება, სამი-ოთხი დღე იქნება, მერე ახლიან, მარილ მუაყრიან ზედა (რომ არ დამატლოს), უურევენ გობში. მემრე იმა **კანდრაში** (ხის ჭურჭელი) ჩატენავენ ხელებით (ზიოსში ფეხებით), ქვებ ჩაცხობენ, ჩატენავენ, თავ დაახურვენ და შეინახავენ” (სოფელი ზიოსი).

გვარდას (ხის ჭურჭელი) ისინი კროჭსაც ეძახიან.

ჩვენებურთა კვების რაციონში დიდია **დონთბარის//დონთბა** (გაწურული მაწონი) მნიშვნელობა, განსაკუთრებით ზაფხულში, როცა საქონელი მთაშია. მთიდან გაგზავნილ **დონთბარს** წყალში გაღვსავენ და ისე დაღვევენ, უპირატესად სიცხეში.

რძის პროდუქტებისგან ამზადებენ არაერთ კერძს: **ქალაჯოს, დოშორვას, თხელდოშორვას (მაწონის შორვას), სუთლს, ხავიწს** და ა. შ. სიმინდის ან პურის ფქვილისაგან აცხობენ **გევრეგს** (ნაღებში მოხელილი და თიხის კეცებში გამომცხვარი მჭადი ან პური), **ბიშს, ლუხუმს, სინორს, ერიშტას, მაკარნას** (მაკარონი) და სხვ. აღნიშნული კერძები უცხო არაა მთიანი აჭარისათვის, თუმცა მათგან განსხვავებით, შავშელები აცხობენ პურის ცომში ლუხუმის მსგავსად შეხვეულ ფიდეს.

ფართო გამოყენება აქვს ბოსტნეულისა და პარკოსანი მარცვლეულის კერძებს, განსაკუთრებით ღობიოს. ამ კერძს შავშეთში ღობიოშორვას ეძახიან. ის მზადდება როგორც „ხმელი, ის ძეშილი” (კაკალი ღობიო და ახალი ღობიო) ღობიოსაგან. შავშელები ახალი ღობიოსაგან ამზადებენ კონსერვებსაც. კაკალ ღობიოს ნახარშს აქვს სამკურნალო დანიშნულებაც. ღობიო შეიცავს ცილების დიდ რაოდენობას და კუჭ-ნაწლავით დაავადებულ ადამიანების სამკურნალოდ გამოიყენება.

ფხალეულისაგან ამზადებენ: **ფხალს, ფხალ-ღობიოს, ჭინჭრის, ჭარბადელოსა** და **დვალურას** (ბალახოვანი მცენარეები) შორვას, ასევე, **ლახნის** („ფხალი დარცხანა წყალში, ყურწები დაატეხო, ყაბში (ჭურჭელი) ჩაყარო, წყალი'ნა დაასხა, თავი'ნა დააყაფანო (დაახურო), 15-20 დღე იქით ჟავე იქნება”) მუავე, თუთის, ყურძნის მსხლის, ვაშლის, მოცვის ბექმეზს (აჭარაში მას ბეთმეზს ეძახიან და ამზადებენ მხოლოდ მსხლისა და ყურძნისაგან). მის მოსადუღებლად ნაყოფს მოხარშავენ „**ფახირის** (სპილენძის) ქვაბში, მერე გადაასხამენ **ჯვალში (ჩახვი)**, გეიწურვის, დაჭყლეტავენ და ჩადებენ გობში. გობ აქ საცერისნაირი ნახრეტები. გობ დადებენ ქვაბზე, ქვაბში ჩავა წვენი. მერე წვენ ჩაასხამენ თეშთში (სპილენძის დიდი, მრგვალი ჭურჭელი), მუადუღებენ და გამოვა ბექმეზი”.

იქაურთა კვების რაციონში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს **მერჯიმექ ჩორბას** (წითელი, წვრილი მარცვლოვანი მცენარის ნაყოფისაგან), **ჰელიმე შორვას** (პურის ფქვილს კარაქში შეხრაკავენ, დაუმატებენ ცოტა წყალს, ურევენ შეთხელებამდე და აადუღებენ), **ფორინჯ (ბრინჯი) შორვას** („უმხანაში (ჭურჭელი) ჩავდებთ ფორინჯ, წოვაში ამუშურე პური

ფქვილ, აადუღებ, ცალკე დად გაადნობ, დაღში შიგან ერთიდრამ (ცოტაოდენ) ფურბობერ (წიწაკა, პილპილი) ჩაყრი, ცოტა ნანეს (მწვანილი) დუუმატებ, მერე დაასხამ შეკახმულ დაღ), ყართოფი (კარტოფილი) შორვას („აადუღებ და ხრაკავ უგუთღელ ყართოფ, მერე გაფცქნი, მოზელ კარგა ხელით, პაწა ხახვ დაწვაგ დაღში, ერთ კოვზ ფქვილ ჩაყრი დაღში, მოხრაკავ, მერე გაღესილი ყართოფის წვენ ჩაასხამ, აადურებ, ჩაყრი მარილ და მიიღებ ყართოფიშორვას“).

ხიღეულისაგან ამზადებენ აგრეთვე ფურუნჯს (შემწვარი მსხალი), ფურუნჯის წვენს (აჭარაში მას ხოშაოსაც უწოდებენ), ყორავას (ვაშლისაგან ბექმეხის მსგავსად დამზადებულ ითხევადი საკვები, რომელსაც „შესქელებამდე ადუღებენ. მუუნდებათ წყალ დაასხამენ და მოღალულზე დაღევენ“) და ა. შ.

ხორცეულისაგან უყვართ ყაურუმმა, ძვლის წვნიანი, შემწვარი და მოხარშული ხორცი.

მრავალფეროვნებით გამოირჩევა შავშელთა საქორწინო სუფრა. სუფრაზე გამოაქვთ: ქუფთა (პურისა და ხორცის ნარევი), ბიბერის (წიწაკის) ტოღმა, კაკალ ლობიო, ფილაგი, თხლად დაჭრილი შემწვარი კარტოფილი, საღათა, ბაქლავა, ბიში, ვარდის მურაბა (რომელსაც ლენერსაც ეძახიან), ბორეგი, ხიღეული. კერძებს ისინი მიირთმევენ საერთო თეფშიდან.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პურის ცხობის ტრადიციები. შავშეთში პურს აჭარღების მსგავსად კეცებში აცხობენ, მაგრამ ჭოროხის ხეობაში ადრე სცოდნიათ ასევე ვერტიკალური საცხობი, რომელსაც ისინი ჭურს ეძახდნენ. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში ჭური იგივეა, რაც თონე, თუმცა ეს ტერმინი დღეს მათში არ გამოიყენება. რესპონდენტთა თქმით, „ჯერ ჭური იყო, კეცები გვიანდელია“. სოფელი სინკოთი (შავშეთი) წარმოადგენდა კერამიკული წარმოების ცენტრს. აქ ამზადებდნენ დერგებს (მაწვნის შესადღებელი ჭურჭელი), კეცებს, ჭურებს, კოკებს და ა. შ.

განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა მჭადი. ბაზგირეთში არის „ჭიმურების“ ნათესაური გაერთიანება. ჭიმური (დამწვარ დაღში (კარაქში) ჩაფშენილი ცხელი მჭადი) დელიკატესად ითვლება შავშეთის მოსახლეობაში. გადმოცემით, დასახელებულ ნათესაურ გაერთიანებას აღნიშნული სახელი სწორედ ამ კერძის სიყვარულის გამო მიუღიათ. ჭიმური დიდი მოწონებით სარგებლობს აჭარაშიც.

ჩვენი ყურადღება მიიქცია შავშელთა მიერ კევის დამზადების ტექნოლოგიამ. კევის ისინი ამზადებენ არყისაგან. მთხრობელი შემღეგნაირად აღწერს კევის დამზადებას: „არყის ტყავი'ნა გაფრიწო წვრილად, თიხის დერგში'ნა ჩატენო, ფსკერი ჭიჭრიანი'და იყოს – საანივით რაცხა'ნა იყოს, იქში შიგან ფსკერი'ნა ჩაარიგო, ყაფაღზე ძალიან მიწით'ნა შეხუჯო, ქვეშა თერეფიც მიწით'ნა შეხუჯო, მას მერე ცეცხლი'ნა ნაკუღებით მუუნთო, ის დედწის შიგან. მისი ქაფი შიგ ჩადინდება. მას მერე იმას გადმიღებ. მიწები არ'ნა ჩაცვივდეს შიგან. მას მერე წყალი იმ ღვიორებზე'ნა დაღვა და ადუღო. იმასა ამიღებ წველაი, ამიღებ ერთი წველაი, წყალში შიგან ჩააწვეთო'და. თუ გასქელებულია, ის გაკეთებულია. იმის მერე ერთი დიდი კოვზი წყალში ჩაასხა'ნა, ცქვიტათ'და მოურიო. იშტა ისე გაკეთდება კევი“.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი მასალა ნათლად ადასტურებს შავშელთა ხალხური სამზარეულოს მსგავსებას აჭარულ, ზოგადქათულ კულინარიულ ხელოვნებასთან, რაც მიუთითებს ერთიან გენეტიკურ ფესვებზე. თითოეული კერძის უკან დგას შავშელთა თავისებურება, ბუნებრივ-კლიმატური გარემო, ყოფა და კულტურა. ხალხს კარგად ესმოდა ამა თუ იმ რაციონის ავკარგიანობა და მისი გავლენა შესაბამის ლოკალურ გარემოს შეგუებულ ორგანიზმზე. სწორედ ამიტომ გამოირჩეოდა შავშეთი ხანდაზმულთა სიმრავლით. შთამომავლობით შეთვისებული ცოდნა-გამოცდილების მეშვეობით, გლეხი აკვირდებოდა ამა თუ იმ საკვების ავკარგიანობას ორგანიზმის ჯანმრთელობისათვის. ტრადიციული კერძები ზომიერად ამარაგებდა ადამიანის ორგანიზმს აუცილებელი ნივთიერებებით, უზრუნველყოფდა კევის მაღალკალორიულობას, რაც წარმოადგენდა სიცოცხლის გახანგრძლივების აუცილებელ პირობას.

§7. შავშუხი ფაჩხი // ფორჩხი

თანამედროვე და ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე გუთნური მიწათმოქმედება ვითარდება ენოლითის გვიანდელ საფეხურსა და ადრებრინჯაოს ხანაში (გ.ჩიტაია, გ. ჯალაბაძე 1985:52)

კვრები, ურმები, ფარცხები, უღლები, ფოცხები და სხვა სამეურნეო იარაღები უცილობლად მეტყველებენ, რომ გამწვევ ძალად პირუტყვი გამოიყენებოდა, კერძოდ: ხარი, კამეჩი, ცხენი და ა.შ. მათ იყენებდნენ აგრეთვე ხალხურ სატრანსპორტო საშუალებებში.

გამწვევ ძალასთან იყო დაკავშირებული ფარცხის გამოყენება, რომელსაც შავშეთში „**ფორჩხს**“ ეძახიან. **ფარცხი//ფორჩხი**, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, არის სასოფლო-სამეურნეო იარაღი, რომელიც გამოიყენება ხნულის ბელტის დასაშლელად, მიწის გასაფხვიერებლად და თესლისათვის მიწის მისაყრელად (ქველ 1990: 963). შავშეთის სოფელ ზიოსში ფორჩხს „**კანჯასაც**“ უწოდებენ.

როგორც ცნობილია, ფარცხვა არის მოხვნისა და თესვის შემდგომი პროცესი, როდესაც ხდება ნიადაგში თესლის მიბარება-ჩათესვა. ამავე მიზანს ისახავს **აოშვაც**, რომლის დროსაც ხდებოდა ანეულის ხელახლა გადახვნა და დამწვარი ანეულის გაფხვიერება მოხვეული თესლის მიწაში გარკვეულ სიღრმეზე მოხვედრის გასაადვილებლად. აოშვისათვის გამოიყენებოდა მსუბუქი სახვნელი - კავი.

აოშვას მოსდევდა **დაფარცხვა //დაფორჩხვა**, რაც გულისხმობს ნიადაგში თესლის დაფარვას. აღნიშნული სამუშაოს შესასრულებლად გამოიყენება **ფარცხი//ფორჩხი**, რომელსაც შავშელები **კაბდოს** ან **დასარეკს** ეძახიან. სულხან-საბას განმარტებით, **კაბდო** „საფარცხავის ფიცარია“ (საბა 1966: 343). იგი წარმოადგენს **ხელნებიან** ფიცარს, რომელზედაც გამოებმება ფარცხი. ერთ-ერთი ხალხური ლექსი მკაფიოდ გამოხატავს დასახელებული იარაღის დანიშნულებას:

„კაბდომ იცის სამართალი,
მაღალ-დაბალს გაასწორებსო“.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შავშური **ფორჩხი**. შავშელები განასხვავებენ ფორჩხის ორ სახეობას: **მოწნულსა** და **ფიცრის**. კაბდოზე მიმაგრებული ფორჩხი წარმოადგენს სამ ჯოხზე წნელებით დაწნულ საგანს. ჩაწნული ფიჩხის ცერები მოქცეულია ფარცხის ქვეშა ზედაპირზე, რაც აადვილებს ბელტების დაშლას, „ნიადაგის მოწრფელებას“, რასაც ძველქართულად „ქვეყნის მოქნა“- საც ეძახდნენ (გ. ჩიტაია 2001:125). შავშელთა თქმით, „დაფორჩხვით თესლი ჩაფარდება მიწაში“. **ფორჩხის//ფარცხის** მეორე სახე წარმოადგენს ბრტყელ ფიცარს, რომლის სიგრძე 1-1,20, სიგანე კი 25-30 სმ-ია. მისი სიდიდე დამოკიდებულია ბუნებრივ-გეოგრაფიულ პირობებზეც. მთის პირობებში იგი შედარებით პატარა ზომისაა, ბარში კი - პირიქით.

ფორჩხის გასაკეთებლად ფიცარს ბურღით დახვრეტენ ისე, რომ ნახვრეტები ერთმანეთის მიმართ განლაგებულ იყოს ჯვარედინად. ნახვრეტები კეთდება ორ რიგად, ლუწი რაოდენობის - 12, 14, 16 და ა.შ. მათში „ჩაარიგებენ“ ეწოთი გამოთლილი 10-15 სმ. სიგრძის თითებს. საფორჩხე ფიცარს შუაში წინა მხარეს, სისქეშიც გახვრეტენ, სადაც „ხელს ჩაარიგებენ“ და ამაგრებენ ხის ჩივით, ან ლურსმნით. **ხელს ჩხნოლით//ჩხნოლით** (წკნელი) გადაებმება უღელი, რომელშიც გამწვევი ძალა შეიბმება. ფორჩხის თითები ქვედა ზედაპირის მხარესაა. რაც აადვილებს ჩათესვასა და „ნიადაგის მოწრფელებას“. ამის შემდეგ ფორჩხს გადმოაბრუნებენ და მისი სწორი ზედაპირით მოასწორებენ, „დატკეპნიან“, „დაადუზებენ“ ნიადაგს.

მსგავსი იარაღები დამოწმებულია სხვა მიწისმოქმედი ხალხის სამეურნეო ყოფაში - სომხეთში, აზერბაიჯანში, წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში.

შავშეთში ჩვენ მიერ დამოწმებული ფორჩხი უშუალო კავშირშია საანეულო და ზოგჯერ ნიადაგის დამუშავების რთულ სისტემასთან და მიწათმოქმედების განვითარების მაღალი დონის მანიშნებელია.

§8. სამეუხნეო ყოფა

იმერხევის ხეობა ეთნიკური ქართველებით დასახლებული რეგიონია შავშეთის ქვეყანაში. იგი მთაგორიან ქედებს შორისაა მოქცეული და მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობით ხასიათდება. თავისი სტრატეგიული მდებარეობის გამო იგი მუდამ იქცევდა მომხდურთა ყურადღებას. მასზე გადიოდა მაჭახლისაკენ, ფაფართის მთებისაკენ (საქორიას დაილების გავლით), ტაოსაკენ, არდაანისაკენ და აჭარისაკენ მიმავალი გზები.

ხეობის მთავარი მდინარეა **იმერხევის წყალი**, რომელსაც უკავშირდება მრავალი გვერდითი ხეობა (ყვირალა, ბაზგირეთის წყალი...), რაც განაპირობებს რელიეფის სირთულესა და დანაწევრებულ ხასიათს. ალპური ზონა, ზოგიერთი დასახლებული პუნქტი (**ზიოსი, უბე, დაბა**...) და სოფლის ცალკეული უბნები ვაკე რელიეფით გამოირჩევა, ტერიტორიის ნაწილი კი მთაგორიანია. ყოველივე ეს ხეობის სამეურნეო განვითარებასა თუ ყოფაზე ახდენს თავისებურ გავლენას, რაც განსაზღვრავს ეკონომიკის მრავალპროფილიანობას მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებებით.

იმერხევის ხეობა აერთიანებს შემდეგ სოფლებს: **ბაზგირეთი, გამეშეთი, ხევწრული, დაბა, უბე, ზიოსი, სვირევანი, წეთილეთი, წყალისმიერი, დიობანი, ივეთი, იფხრეველი, დასამობი**... ისტორიულად შავშეთის მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობა ფრიად მასშტაბურ და ინტენსიურ ხასიათს ატარებდა. კუთხე ცნობილი იყო საუკეთესო და უხვმოსავლიანი პურეულით, ხილით, ბოსტნეულით, მესაქონლეობის პროდუქტებით, რაზეც მეტყველებს როგორც ისტორიული წყაროები, ისე სამეურნეო დანიშნულების მატერიალური კულტურის ძეგლები, ფოლკლორული გადმოცემები.

უკვე არქეოლოგიურ ძეგლებად ქცეული თუ ამჟამად არსებული სხვადასხვა ხასიათის სამეურნეო დანიშნულების მატერიალური კულტურის ძეგლები მიუთითებენ იმაზე, რომ როგორც გვიანფეოდალურ ხანაში, ისე შემდგომ პერიოდში შავშეთისათვის დამახასიათებელი იყო მრავალპროფილიანი სოფლის მეურნეობა - მემინდვრეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა. ეს დარგები ინტენსიურ და ფართო ხასიათს ატარებდა.

შავშეთში სიმბიოზური ფორმითაა განვითარებული მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. კუთხის სამეურნეო სპეციფიკა შეპირობებულია ბუნებრივი პირობების ხასიათით. იგი ბარის, მთისწინეთისა და მთის ხასიათს ატარებს. შავშეთში მეურნეობის ტრადიციული დარგი მიწათმოქმედებაა. მარცვლეული კულტურებიდან ითესებოდა პურეულის სხვადასხვა ჯიშები. მეურნეობის ამ დარგის განვითარებაზე მეტყველებს დღემდე შემორჩენილი ტოპონიმები: საქერი ხევი, ნაკალიევა, ჭუავის საგორებელაი, ნაკოდიკალო, დოლიანთა, ნაკალევეთი... თითოეულ სოფელში შემორჩენილი ტოპონიმი „კალო“ - ხორბლის გასალეწი ადგილი, ასევე - სათანადო ინვენტარი: მერული, კევრი, ხვაი მაქინა (ბზისა და პურის გასარჩევა-გასანიავებელი მოწყობილება), საბზელი - ბზის შესანახი სამეურნეო ნაგებობა და ა.შ. პურის ჯიშებიდან რესპოდენტები ასახელებენ: **ქერს, ჭვავს, სიმინდს, ბუდას, ყარაყიღჩის**. ბორჩხაში დაფიქსირდა პურის ჯიშში **ყიღჩხილი**. მთხრობელთა გადმოცემით იგი არის „ზირათის თეთრი პური“, მიღებულია „აგრონიმით“, აქვს „წვერიანი ფხა“ და გამოირჩევა უხვმოსავლიანობით.

XIX საუკუნის მე-2 ნახევარიდან შავშეთში შემოდის სიმინდის კულტურა. მთხრობელთა გადმოცემით, აქ ითესება სიმინდის სხვადასხვა ჯიშში, კერძოდ: **ალთუნაი, შვიდკვირაი, ფათფათაი, თეთრი სიმინდი, ჯიმისირი** (შავშეთში), **თეთრი, წითელი, ჩათბათი** - იგივე კალხუნა (ბორჩხა-მურღულში) და ა. შ. ჩათბათი იგივე ფათფათა უნდა იყოს, რადგან ორივე „რომ გაათბობ, სკდება, იფურჩქნება“. სოფელ გურბინში (კლარჯეთი) სიმინდის აღნიშნულ ჯიშს „კანკულას“ ეძახიან. „ჩუვათი“ კი სიმინდის ისეთი ჯიშია, როლის ღეროც ძალიან მაღალზე იზრდება, აქვს დიდი ტარო და მსხვილი მარცვლები.

განსასხვავებენ **ჩათბათის** თეთრ და წითელ ჯიშებს. ბაზგირეთლებს ჩაუტანიათ კახური სიმინდის თესლი, მაგრამ „არ უხეირია“. ნიშანდობლივია, რომ აქ გავრცელებული სიმინდის ჯიშები უცხო არაა მთიანი აჭარისათვისაც, კერძოდ, **შვიდკვირაი, ალთუნაი**. ჩვენის აზრით, „ალთუნაი“ იგივეა, რაც აჭარის მთაში გავრცელებული **ჯორიელა**. ვერტიკალური

ზონების მიხედვით ვხვდებით სიმინდის ისეთ ჯიშებს, რომლებსაც ახასიათებთ ვეგეტაციური პერიოდის სხვადასხვაობა.

„ზემო მთებში მალე ზამთარი მოდის და იქ შეიძლება (შეიძლება მალე მოსაგვლე-ლი წითელი ჯიშია) ვთესავთ, სხვა სიმინდი იქ ვერ მოასწრებსო“ - მოგვითხრობს ზიოსელი რეჯებ ფალაზოდლი. სიმინდის ყანაში ითესება აგრეთვე ლობიო. აქაურები განასხვავებენ ლობიოს ორ ჯიშს: **კუტი** და **ხაშრის** ანუ **ბარბუნია ლობიო**. გურბინში მოყავთ თეთრი, შავი, ყირმიზი, ბრეში ბეჟანი („გადარეული თეთრი“) ლობიო. სიმინდის ყანაში თესავენ კუტ ლობიოს, ასევე **ხაპს/კვასს**, რომელსაც იმერხველები „მოჩონდას“ ეძახიან.

საკარმიდამო ნაკვეთებში ითესება აგრეთვე კარტოფილი. ადრე იგი სიმინდშიც გამოი-თესებოდა, ახლა კი ცალკე ითესება, რადგან სოფლის მოსახლეობის ნაწილი ქალაქშია გადასახლებული და სახნავ-სათესი ფართობის დიდი ნაწილი ჭალებადაა ქცეული. კარტო-ფილს იმერხველები **მიწის ხაპსაც** ეძახიან, ბორჩხა-მურღულში კი „ფათათისის“ სახელითაა ცნობილი.

მთხრობელთა ცნობით, ითესება როგორც თეთრი, ისე ყვითელი ყართოფი (კარტოფი-ლი). განსაკუთრებით ნაყოფიერია თეთრი კარტოფილის ჯიშში. იგი გემოთიც გამოირჩევა. „რომ მოხარშავ, გედეოფქნება და ძალიან გერმელია (გემრიელია)“. კარტოფილის ფართო-ბებიდან უპირატესობას ყამირს ანიჭებენ. კარტოფილი ირგვება რიგებში, „გააკეთებენ რუს, ჩააწყობენ 2-3 ცალს-სიდიდის (დიდებს გაჭრიან) მიხედვით (30-40 სმ-ის დაშორებით). რიგებს შორის მანძილი „ერთი მტკაველია“. „ჩიხეგ (ყვავილს) რომ მისცემს, მაშინ უნდა მორწყვა“. რესპონდენტის თქმით, ჩერნობილის კატასტროფამ აქაც უარყოფითი გავლენა მოახდინა მოსავლიანობაზე.

საყურადღებოა ერთი მეტად საინტერესო გარემოება. აქაური ქართველები ადღოს უდებენ დროის მოთხოვნას და იმ კულტურის წარმოებაზე გადადიან, რომელიც მათთვის უფრო შემოსავლიანია. ადრე ასეთი იყო კარტოფილი, ახლა კი - თხილის მონოკულტურა.

ბოსტნეული კულტურებიდან მოჰყავთ: **კიტრი, პომიდორი, ჭარხალი, თაღგამი, ბოლოკი, ხახვი, ქინძი, მაკიდო, წიწმბატი**, ასევე **მწვანე ფხალი, ლახანაი, თოფლახანა** (კომბოსტოს ჯი-შები), **მიწივამლა** და ა.შ.

სამეურნეო საქმიანობისას შავშელები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ხალხურ რწმენა-წარმოდგენებს. ხალხის რწმენით, „ახალ მთვარეზე ხესაც არ მოჭრიან, ბოტოტი დაჩიჩაეს, იმიზე არ დეითესება ახალ მთვარეზე, ერთი კვირა და გვედესო“. შავშელები ერიდებიან პარასკევს - „ჯუმა დღეს“ მუშაობასაც, რადგან სწამთ, რომ „ჯუმას რომ იმუშაო, ხარს შვიდი სარტყელი მეებმება წელზე და ძალა არ ექნებაო“.

საგაზაფხულო სამუშაოები შავშეთში იწყება აპრილის მეორე ნახევარში. ხენა-თესვის ვადები განსხვავებულია ცალკეული სოფლების მიხედვით. მაგ. ბაზგირეთი მაღალმთიანი სო-ფელია და თოვლიც შედარებით გვიან დნება. შესაბამისად გვიან იწყება ხენა-თესვაც. აღ-ნიშნული მომენტი ერთი ხეობის შიგნით ვერტიკალური ზონალობის მიკროკლიმატის თვალსაზრისით მართლაც საყურადღებო მოვლენაა. აქ ნაკვეთების მზით განათებას, ანუ რელიეფის ექაპოზიციას ერთ-ერთი მთავარი როლი ეკისრება (ნ. კახიძე 1974:39). ხალხის რწმენით, სიმინდი მანამ არ დაითესება, სანამ მიწა არ გამოშრება, მაგრამ თუ დათესვა დააგვიანე, ნაყოფი დამწიფებას ვერ მოასწრებსო; ერთი სიტყვით, ხალხმა მშვენივრად იცო-და ნიადაგის დამუშავებასთან დაკავშირებული აგროკულტურის წესები, რაც ხალხური გამოცდილებით შემუშავებულ ემპირიულ ცოდნას ეფუძნებოდა. საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებამდე წინასწარ მოამზადებდნენ სახნავ-სათეს ფართობებს. თებერვალ-მარტში ყანაში გაიტანენ ნაკელს მარხილით ან ცივით, რომელსაც აქაურები „ლეკურას“ ეძახიან. იმერ-ხველებმა, აჭარლებისაგან განსხვავებით, არ იციან ნაკელ-ნეხვ წყლით სახნავი ფართო-ბების განოყიერება. თითოეულ კომლს საშუალოდ აქვს 20 დონუმი (1 დონუმი -1000 მ.) სახ-ნავ-სათესი და სათიბი. სახნავ ფართობებს ერთმანეთისგან ასხვავებენ მზის მიმართ მდებარეობით, ნიადაგის სიმძიმითა და სიმსუბუქით, ტენიანობა-სიმშრალით, საცხოვრებელთან და-შორებით, ნოყიერებით და ა. შ. აქ გავრცელებული ტერმინი „ყანა“ ძირითადად შეესაბამება ისტორიულ და თანამედროვე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში შესაბამისი ცნების შინაარსს. ყანა მოსახნავად განკუთვნილი მიწაა. იქ სადაც ბაღია გაშენებული, აღარაა ყანა.

ნიადაგი იხვნება როგორც ტრაქტორით, ისე გუთნით. „ძველად იყო შეშის გუთანი - არუნაი, ახლა შამოვდა კინის (რკინის) გუთანი“. მასში ებმებოდა უდელი ხარი (კორდის ხვნის დროს - ყვეარი). მესაქონლეობა ეფუძნება ყიშლებისა და დაილების სისტემას. მაისში ერთი თვით ჯერ ყიშლებში აღიოდნენ, შემდეგ დაილებში. საქონლის მოვლა-პატრონობასა და რძის პროდუქტების დამზადებაზე პასუხისმგებელია მემთევრი, რომელსაც ბორჩხელები „შაშორდს“ უწოდებენ. შემოდგომაზე „კოტორობამდე“, სიმინდის მოსავლის აღებამდე, ისევე ყიშლებში ბრუნდებოდნენ.

ნიადაგის მოხვნის შემდეგ „მიწას თოხით დაჩეკავენ, მიწას დააპაწავენ (დააწვრილებენ), სიმინდ მოაპნევენ და ფორჩხ (ფარცხი) გაარუნებენ, რომ სიმინდი ჩეიტანოს მიწაში. სიმინდი რომ ამუა, თოხით გაფხაჭავენ (გათოხნიან). დერო რომ გაიზრდება, წყალს შეუშვებენ - გაკეთებული რუებიდან“ (თ. ფუტკარაძე 2005:19).

ნიშანდობლივია, რომ შავშეთის სოფლებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ნათესების მორწყვას. ამიტომაცაა შემოდებული „სუჯის“ ინსტიტუტი (სუ-წყალი, სუჯი - სარწყავი რუს უფროსი, მერუე, წყლის მეთვალყურე). უსტამისში სარწყავი წყალი 10 კმ. მანძილიდანაა გამოყვანილი. სუჯი ვალდებულია ყოველდღიურად დათვალიეროს სარწყავი არხი, უზრუნველყოს მისი ნორმალური ფუნქციონირება. ამისათვის მას მოსახლეობა უხდის გარკვეულ თანხას (ერთი ოჯახი იხდის 20 ლირას). სარწყავი რუს უფროსებს ირჩევენ რიგ-რიგობით. ერთ წელიწადს ერთია, შემდეგ სხვებს ევალებათ, თუმცა შესაძლოა ერთი და იგივე პიროვნება, თუ ის კარგად ასრულებს თავის სამუშაოს, იყოს რამდენიმე წელიც. ანაზ-ლაურებას სუჯს უხდიან ზაფხულის ორ თვეს. იგი რუს წყალს ანაწილებს რიგ-რიგობით (სირით). „დღეს ერთი მუადენს, ხვალ მეორე“.

ყურადღებას იპყრობს ხვან-თესვასთან დაკავშირებული ძველი ქართული, არქაული ლექსიკური ერთეულების შემონახულობა. **არუნა** (ხის სახვნელი), **ფორჩხი** (ფარცხი), **დაჩეკვა** (დაწვრილება), **გაფხაჭვა** (გათოხვნა), **დაქუნვა** (სიმინდის გარჩევა) და ა. შ. **თონხას/ფხაჭვას** მთიან აჭარაში **ფხეკასაც** ეძახიან (თ. ფუტკარაძე, ნ. ვარშანიძე 2001:44).

ყანას იმერხეველები ძირითადად სიმინდის მოუტეხავად იღებენ. სიმინდს მოჭრიან დეროიანად, დააწობენ კონებად, ჭელებად (ალაგ-ალაგ დაწვობილი სიმინდიანი ჩალის დერები), მოატეხავენ სიმინდის ტაროებს, ღერებს კონებად შეკრავენ და აასხამენ ზვინზე. მოტეხილ სიმინდს კი წაიღებენ სახლში, „დაქუნავენ“ (გაარჩევენ), ტაროებს გადააბამენ ქუნჩალით ერთმანეთზე და დაკიდებენ „ტანთრაფის“ (აივნის) ჭერში მიმაგრებულ მავთულზე. სიმინდი გახმობის შემდეგ იფშენება და ხაროში იყრება.

სამეურნეო ციკლთანაა დაკავშირებული ამინდის მართვის ხალხური ჩვეულებანი. ასეთია ლაზარობა, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა სახელითაა ცნობილი: ღორჯომის ხეობაში **ჰამბალის/აზალიკოს**, ხოლო იმერხევეში „**ნაზარობას**“ ეძახიან. სასურველი ამინდის გამოსაწვევად იმერხევეში დარტყები (პატარა ბიჭები) შეიკრიბებიან, ცეკვა-სიმღერით შემოივლიან თანასოფლელების ოჯახებს, იმხიარულებენ, სახლის შესასვლელებთან - კარებზე წყალს მოასხურებენ (სანაცვლოდ მიიღებენ ყველს, კარაქს, ყაიმაღს...) სიმღერით:

„ნაზარ, ნაზარ, ნააგეზარ, შიმშილი ხათუნ ნე ისტირ,

ყაშუდინარ იაღისტარ, საჰანინა უნისტარ,

ჩით მარაში მაშინა, ცალი მქარი მიმიღო.

ღმერთო მოგვე წვიმა წყალი,

შეგვეწვიანა მზე და მთვარე. აამინ“

მურღულელები ასეთივე რიტუალს ასრულებენ განსხვავებული ტექსტის თანხლებით:

„კოვზი, კოვზი, იაღი მომე,

კოვზი, კოვზი, ფქვილიც მინდა,

შენიდან ლამაზი წვიმა მინდა“

რიტუალის შინაარსობრივი და სანახაობითი მხარე ისეთივეა, როგორც მთიან აჭარაში. ხინაძირის ხეობაში მოწმენდილი, „მოსარკული“ ამინდის გამოსაწვევად აკეთებენ დედოფალას - „**ქეფნა ხათუნს**“, რომლის შემკულობაში ზოგან სარკვე ფიგურირებს.

გვალვის დროს **იმერხვევლები** სხვა საშუალებასაც მიმართავენ. შეიკრიბებიან მამაკაცები და ხოჯასთან ერთად წავლენ მთებში, სადაც წყალთან „ღუას იქმენ“ და ღმერთს გაწვიმებას თხოვენ, ან კიდევ სასაფლაოზე მოკრეფენ ქვებს, ჩაყრიან „თორბაში“, „აიტანებენ სერებზე, ღუას იქმენ“ და წყალში მოათავსებენ. ამ რიტუალს იმერხვევლები „ჰაჯეთ ნამაზს“ ეძახიან. ბორჩხელები ღმერთს თხოვენ, რომ უხვად მისცეს „ყანაში ტალახი, გობში ცომი, ყანაში წვიმა-წყალი“. ამ მიზნით ისინი გველს მოკლავდნენ, კუდით ჩამოკიდებდნენ ან დაწვავდნენ, ასევე, ლოკოკინას (ყარაბუდა) ცაში აიქნევდნენ. იცოდნენ აგრეთვე „კატის დაც-დაც“: „კატა თათებით ბუკ რომ დეობანს, უნდა დაცო. თუ კარისკენ შეხედა, გაწვიმდება, თუ ცეცხლისკენ – გამეიდრება“.

საყურადღებოა, რომ მსგავსი რიტუალი ჩაიწერა აკდ. გ. ჩიტაიამ 1933 წელს აჭარაში პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გვალვის დროს რიყის ქვებს ყრიან ამავე პერიოდში მოქსოვილ-დაწულ გოდორში. ხოჯასთან ერთად ქვებს წაიღებენ მდინარესთან, თითო ლოცვის თავზე თითო ქვას ჩააგდებენ წყალში. ხელისგული ქვევითკენ უნდა იყოს მიმართული (წყლის წამოსვლის სურვილის გამოსახატავად). წვიმის დროს კი სოფელში ხარს დაკლავდნენ, ან სოფლის რჩეულ ადამიანებს მთიდან წყალს ჩამოატანინებდნენ (თ. ფუტკარაძე, ს. მოწყობილი, ნ. ფუტკარაძე 2003:181-182). ამინდის მართვის დასახელებული წესები ისტორიულ და თანამედროვე საქართველოში, ვარიაციული სახესხვაობების მიუხედავად, ერთ საფუძველზეა აღმოცენებული. მისი შემონახულობა გენეტიკური ერთიანობისა და ტრადიციის უწყვეტობის ნათელი მაგალითია.

შავშეთის სოფლები მეხილეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერაა. ამას მოწმობს ჯიშების სიმრავლე (მათ შორის აბორიგენულიც), მდიდარი ტერმინოლოგია და ტრადიციები, ეთნოგრაფიული მასალების სიუხვე და გადმოცემები. აქ გავრცელებული ხეხილის ჯიშებიდან შეიძლება დავასახელოთ: თეთრი, წითელვაშლა, ბუმბულა (ბუმბულაღმა), წოწოლა, ბაღაღმა, წალკოტა, იმერხვევლმასი, შექერაღმა, კედელლიაღმა, კნატუნა, ხაშხაშელმასი, ბექტებელმასი, ურუსეთელმასი, მორელმა, მაჯარულა//მაჭარულა, ღირტო, მისვეთ ვაშლი (მრგვალ-მრგვალი), ბერკავაშლი, წითელვაშლი, ბათუქმელა, კვერცხა, ბუჯურელა, თხაშუნა, ჯანანა ვაშლი - ვაშლის ჯიშები; მოწოხიღა, ნამყენა, ირიოლა, დარისხალი, თავრეჯული, კუტალა, პანტა, საჭურა, მაღარმული//ბეგარმუთი (იგივეა, რაც ყაბარმული მთიან აჭარაში), შექერარმუთი, პეტრულა („ძაღლის ყვერსავით გაშავდება“), მსხალოქრო („გამოზაფხულებულზე იქნება“), ბოქშვა, ეჯემთი, ჭანურა, ამასიის მსხალი, ტაკეკმა (იგულისხმება კანმაგარი//“ტყავკემა“), წოწოლა, ხეჭეჭური, იშიღმემედი (იგივეა, რაც სხალთაფლა), ინჯირა, კალოპირული, მერულა, მარიობა, სართულა, ღერღულა, პლაკე სხალი, ხეჭეჭურა, ფქვილა, ტარყირანა, ქოთანა, შაშხანა, ბორბალა - მსხლის ჯიშები; შავი, თეთრი, ტყუბა, ყაბარახმული, წაკულაკაი, ჭანჭურაი, დედოფალაი, დამასხა, ნასხითბი - ქლიავის ჯიშები; კატიყვერა, დედოფალა, წყალქლიავა - ტყემლის ჯიშები; თეთრი ბალი, შავი ბალი, კახამბალი, ფიშნაბალი - ბლის ჯიშები; ბათმანა, ხილკაკალა, კოკბა, თხილა, კერკეტა, სიძე თხილი, წვერა თხილი - ნიგოზისა და თხილის ჯიშები და ა. შ.

ხილეულის ზოგიერთი სახეობისაგან ამზადებდნენ მწნილსაც. მაგ. მსხლის ჯიშში „სართულა“ საუკეთესო სამწვნილე მასალად ითვლება. წნილის ჩასადებად იყენებენ ჭურებს. მასში ინახავენ აგრეთვე თაფლს, ბეთმეხსა დასხვა პროდუქტებს. ხილეულისაგან ამზადებენ დიდი რაოდენობის ჩირს.

შავშეთში მიწათმოქმედების განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს აგრეთვე სამეურნეო იარაღების ტექნიკურად დაწინაურებული, მოდიფიცირებული ნაირსახეობანი – **არუნა, კვერი, მერული, უღრული, ფორჩხი, ფოცხი, კვერი** და ა.შ., რომლებიც ეთნოგრაფიული კვლევის საინტერესო ობიექტებს წარმოადგენენ.

§9. მეფუტყეობა

მეფუტყეობა მეურნეობის უძველესი და ტრადიციული დარგია შავშეთში. იგი იყო ქართული ეკონომიკის ერთ-ერთი საფუძველი. ქართულ ეთნოლოგიაში მეურნეობის ამ დარგის შესწავლას არა ერთი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა, რომლებშიც გამოვლენილია მეფუტყეობასა და ფუტყის მოვლის საქმეში საუკუნეების მანძილზე ხალხის ემპირიული გამოცდილებით მიღებული ცოდნა-გამოცდილება. თანამედროვე თურქეთის საქართველოში, საკუთრივ შავშეთში დაწინაურებული მეურნეობის ეს დარგი სწორედ აღნიშნულ გამოცდილებას ეფუძნება.

მთხრობელთა გადმოცემით, იმერხევში თითოეულ ოჯახს საშუალოდ 20-30, ზოგიერთს ასი ფუტყის ოჯახი ჰყავს. ხეობაში არიან „გვაროვნული ტრადიციების“ მატარებელი ოჯახებიც. აქ მეფუტყეობის სამივე (შინაურული, ნახევრადშინაურული და ტყიური) ფორმაა განვითარებული. აქაურ კლიმატს, ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოს კარგადაა შეგუებული კავკასიური (იგივე კავკასიური მთური მონაცრისფერი) ფუტყარი. იგი „თაფლ კაძს აკეთებს, ნექტარი გრძელი აქვს, სხვა ფუტყარი აქ ვერ იხიერებს, მალე გაფუჭდება“.

ხეზე შემოდებულ სკაში ფუტყის ოჯახის დაბინავებას „ყავლანის გასულებას“ ეძახიან (შდრ. აჭარული „სკის გაცოცხლება“).

ყავლანი, იგივე **თეფეხანა**, იგივე **ფიჭის სახლი** სკის სახელად შემორჩა აქაურთა მეტყველებაში. ზოგან **ყავლანს ყოვანსაც** (ყავლანი>ყავანი>ყოვანი) ეძახიან.

განასხვავებენ **ფიჭის სახლის** რამდენიმე სახეობას. „გახეთქილი ხისაგან გაკეთებულ საფუტყრეს **სკას** ვეტყვით, გვალ და შიანედან გამოდარულს – **ყავლანს**“. **ყავლანს** ეძახიან **ჩარჩოიან სკასაც**, რომლის უპორატესობა გამოიხატება იმაში, რომ ასეთ სკაში შესაძლებელია ჩარჩოს ამოღება და შესაბამისად გაკონტროლება – ჰყავს თუ არა ოჯახს დედა ფუტყარი „ხომ არაა დაავადებული, ჰყავთ თუ არა ტილი“ და ა.შ. სასკე ცაცხვს ჭრიან ზამთარში. ამ დროს წყალი ფესვებისაკენ ინაცვლებს და, შესაბამისად, ხე მსუბუქია. ყავლანის სიგრძე 3 მტკაველი (დაახლოებით 55-60 სმ.) უნდა იყოს. ხეს გულს გამოუღარავენ და ორივე მხრიდან უკეთებენ ე. წ. „თაფას“ (გვერდითი სახურავები), რომელსაც დატანებული აქვს ჭუჭრუტანები ფუტყის სამოდრად. ყავლანის დიამეტრი 47-50 სმ-ია და იტევს 35 კგ-მდე თაფლს.

ყავლანისაგან განსხვავებით **სკა** მზადდება წაბლისაგან, რადგან „ის შუაზე ადვილად სკდება“. სკა არის ასახდელი საფუტყრე, რომლის სიგრძე ერთი მეტრი, დიამეტრი კი 40-47 სმ-ია. საფუტყრეს შუაში „გუუხიდებენ“ მისივე სიგრძის თხილის ჯოხს ან კვარს. თხილი ადვილად იდრიკება, რის გამოც მყარად ჩაჯდება სკაში, მაგრამ უპირატესობას ანიჭებენ კვარს. ის შეიცავს ფისს, რომლის სუნიც იზიდავს ფუტყარს. ასეთ საფუტყრეში ადვილად ბინავდება ფუტყის ოჯახი. ამ მიზნით იყენებენ აგრეთვე **ფიჭას** (რომელსაც ფაჭსაც ეძახიან).

ფუტყის ოჯახის მისაღებად გამზადებულ ყავლანს ზოგჯერ ხეზე, უპირატესად წიფლის ხეზე შემოდებენ, რადგან დათვს უჭირს ამ ხეზე ასვლა. წიფელს თხელი კანი აქვს, ადვილად შორდება მცენარეს და დათვი ფეხს მასზე ძნელად იკიდებს. ყავლანის ხეზე ასატანად იყენებენ „ჭაპანს“ (თოკი, შდრ. ქვემოაჭარული **ხალათი** – მსხვილი თოკი), რომელსაც მოაბამენ საფუტყრეს და აიტანენ ზემოთ. სკიანი ხე ითვლება დასაკუთრებულად.

მზვერავ ფუტყარს **კოლაუზ** ფუტყარსაც ეძახიან. იგი აწვდის ინფორმაციას ფუტყის ოჯახს სასურველ საფუტყრეში დაბინავების შესახებ. რესპონდენტთა თქმით, სკაში ერთი დედა ფუტყარია, მაგრამ „ზოგი ფუტყარი მას არ მუუსმენს. ამიტომ გამოზრდიან მეორე დედას, რომელიც გამეიხეკება 13 დღეში“. დედაფუტყარი (შდრ. დედოფუტყარი) შეეცდება ახლადგამოჩეკილის მოკვლას, მაგრამ ამის საშუალებას არ აძლევენ. ამიტომ იგი ტოვებს ოჯახს თავის „მომხრებთან“ ერთად და ეძებს ახალ საფუტყრეს. კოლაუზი ფუტყარი აწვდის სასურველ ინფორმაციას (სასურველია ის საფუტყრე, სადაც მოთავსებულია ფიჭა ან **ყავლანის** შუაში კვარის ხეა გადებული). რესპონდენტთა მტკიცებით დედა ფუტყარი ცოცხლობს შვიდი წელი, მაგრამ კვერცხების დებისათვის გამოსადეგია 4 წლის განმავლობაში. მის შემდეგ იგი „გაბიჭდება“.

თაფლს ხილავენ აგვისტოში. ხილვის წინ სკასთან ახლოს დაანთებენ ცეცხლს და სკაში „შეუფუტებენ“. ფუტკარი ამ დროს იწყებს თაფლის ჭამას („შეეძახება“), რაც იძლევა სკის თავისუფლად ხილვის შესაძლებლობას („**ფუტკარი თაფლ წოვს, პირი თაფლით აქ საფსე და ვერ გიკბენს**“ – განმარტავენ მეფუტკრეები).

თაფლის ფიჭისაგან გამოცალკევებისათვის ხშირად იყენებენ სპეციალურ მოწყობილობას, რომელსაც „თაფლის გამოსაწურავ მანქანას“ ეძახიან. იგი წარმოადგენს ოვალური ფორმის სამფეხა დანადგარს, რომლის სიმაღლე 70-80 სმ., დიამეტრი კი 25-30 სმ-ია.

მბრუნავ ღერძს მოძრაობაში მოჰყავს ჩარჩოს ჩასადგმელი მოწყობილობა (ეწეობა 4 „**ჩერჩევი**“//**ჩარჩო**), რაც თაფლის ფიჭისაგან გამოცალკევების შესაძლებლობას იძლევა. გამოცალკევებული თაფლი გამოედინება სპეციალური „**მუსლულიდან**“ (ონკანიდან).

ფუტკრის დაავადებებისაგან დაცვის მიზნით აქაურები იყენებენ ემპირიულ ცოდნას, რომელიც გადაეცემა თაობიდან თაობას. სკის ახლოს ითესება კანაფი, რაც ფუტკარს იცავს „**ვაროვასაგან**“ (ფუტკრის ტილი). ასევე, შარბათში გაურევენ სპეციალურ წამლებს (აპაჭინი, ფოლივიტი) და შეასხურებენ სკაში, ან კიდევ „შეაფუტებენ წამლიან ფუტს“.

განსაკუთრებული დანიშნულება აქვს სანთელს. იგი გამოიყენება სამკურნალოდ, ასევე აქვს რიტუალური ფუნქციაც. რესპონდენტთა თქმით, „ბავშვი ძალიდან და რაცხიდან რომ დაბეჩდეს, სანთლით მუუხნოლებენ“; ახალი ღარჭი რომ დეიბადება და ფეხზე ვერ დადგება, ფეხიდან გამუუხნათლებენ“ (ფეხს დაადგმევიანებენ), დაუქუილობისას წაისვამენ „შავი სისხლის ამოსაწოვად“ და ა. შ. სანთელს შავშეთში აქვს პრაქტიკული გამოყენებაც, კერძოდ, მას იყენებენ „სხლერტის“ (<სასხლე(რ)ტი, ხაფანგი) გასამართავად (კანაფით თოკ დავერიხავთ, ჩხიკვ სხლერტ დუუდებთ, თოკ დუუხანთლავთ – კარგად მეხეუპება სხერტი“), თოვლის გადმოსაყრელი ნიჩბის გასასანთლავად და ა. შ.

შავშელებს სწამთ „თვალის ცემის“, ბოროტი ძალების ზემოქმედების. ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ავი თვალისაგან ფუტკრის ოჯახის დაცვას. ამ მიზნით საფუტკრეებთან ახლოს მოათავსებენ ეკალს, ჩამოკიდებენ ან მიაჭედებენ თხის ან ხარის რქას და ა. შ. საიდუმლოდ ინახავენ ფუტკრის ოჯახისა და თაფლის რაოდენობას, თაფლს გასცემენ მხოლოდ გარკვეულ დღეებში. კატეგორიულად იკრძალება თაფლის გაცემა სამშაბათს, ოთხშაბათს (საქმე წინ არ წავაო) და პარასკევს (ღმერთის დღე).

ქართულ სინამდვილეში ფუტკარს ჰყავდა მისი მფარველი ღვთაება, არსებობდა შესაბამისი დღესასწაულიც, თუმცა იქ ამის შესახებ არაფერი იციან.

მეფუტკრეობის სხვა მნიშვნელოვანი საკითხები ჩვენს ყოფაში არსებულის იდენტურია. ამიტომ მათ შესახებ აქ აღარ ვისაუბრებთ. იგი კარგადაა შესწავლილი ქართულ ეთნოლოგიაში. აღვნიშნავთ მხოლოდ შავშეთის ქართულ მოსახლეობაში (და არა მარტო ქართულ მოსახლეობაში) მეფუტკრეობა მეურნეობის ერთ-ერთ დაწინაურებულ დარგად რჩება დღესაც. აქაურებმა კარგად აითვისეს საუკუნეების განმავლობაში ქართველი ხალხის მიერ დაგროვილი გამოცდილება და ეს დარგი შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ აქციეს. თურქეთში დღეს განთქმულია აქაური თაფლი, რომლის კილოგრამის ფასი 20 ლირაზე მეტია.

§10. მახცვლეულის გასაღენი და გასანიავებელი იახალ-მონყობილობანი

ისტორიული ქართული პროვინცია – შავშეთი გამოირჩევა მარცვლეულის გასაღეწი და გასანიავებელი ორიგინალური იარაღ-მოწყობილობების მრავალფეროვნებით.

პრაქტიკული, სამეურნეო და კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით სპეციალისტთა ყურადღებას იქცევს **კვერი**. ჩვეულებრივ კვერი არის ერთ, ორ და სამფიცრიანი. განასხვავებენ კვერის თრიალეთურ და ქართულ სახესხვაობებს (გ.გასიტაშვილი 1985: 78). **ქართული კვერი** თავიანია, თრიალეთური კი – ბრტყელი, ოდნავ თავახრილი. ამის გამო კალოზე ლეწვის დროს ქართული კვერი ნამჯას არ იხვეტავდა, თრიალეთური კი – პირიქით, რის შედეგადაც ლეწვა რამდენადმე ძნელდებოდა (გ.გასიტაშვილი 1985: 78). თავისი აგებულებით ქართულს ჰგავს

შავშური კვერი. იგი ქართული კვერის სახესხვაობაა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელი ერთფიცრიანია.

შავშური კვერი წარმოადგენს 1-1,5 მ. სიგრძის ფიცარს, რომლის წინა ნაწილი, მარხილის საცურავის მსგავსად, ამოღუნულია, თავახრილი. საკვერედ არჩევენ წაბლის, თელის, ნაძვის, იფნის მასალას. იმერხევეში უპირატესობას ანიჭებენ ნაძვის ხეს, როგორც დასამუშავებლად შედარებით ადვილს. საკვერედ უროკო ხეებს შეარჩევდნენ. ფიცრის სისქე იყო 5-7 სმ. მისი ქვედა ზედაპირი იხვრიტებოდა 3-3,5 სმ-ის სიღრმეზე, რომელშიც ჩაეწყობოდა კაჟის ქვები. რაც უფრო მეტი ნახვრეტი ჰქონდა კვერს, მით უფრო კარგი იყო ლეწვის ხარისხი. შავშურ კვერს დაახლოებით 250 ნახვრეტი მაინც აქვს.

საკვერე მასალას ოდნავ შეაშრობდნენ. მისი გახმობა არ შეიძლებოდა, რადგან ლეწვისას ხე ვერ დაიჭერდა კაჟის ქვებს (ქართულ ყოფაში მას კოხებს ეძახიან). მისი გათლა იწყებოდა მსხვილი თავიდან. გამძლეობის ხარისხის ასამაღლებლად საკვერე მასალას ცეცხლის ალზე მოტრუსავდნენ. შემდეგ აღნიშნავდნენ კაჟის ქვების ჩასაწყობელ (საკოხე) ადგილებს ისე, რომ ქვები ერთ რიგში მოხვედრილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში ლეწვისას კვერი თავთავს აიხვეტავდა. ხმარების დროს ზოგჯერ კაჟი ცვდებოდა, ამიტომ დროდადრო კვერს პირს „მოუკოდავდნენ“, განაახლებდნენ. დაკოდნილ კვერს წყალს ასხამდნენ ხოლმე, რომ წყლით გაჟღენთილ ფიცარს „ქვებისათვის მოეჭირა“.

კვერს წინა მხრიდან ჩქნოლით (წენელი) მიეხმება უდლიანი კავი. სიმძიმისათვის კვერზე ჯდებიან კიდეც. იმისათვის რომ კვერმა ხორბალი „დაჭრას//დააწკრილოს“, ხარები მოძრაობენ წრიულად. გაღეწილ ხორბალს მოყრიან ერთ ადგილზე და ჩაყრიან ბზისა და მარცვლის გასანიავებელ მოწყობილებაში – ხვავე მაქინაში.

ქართულ სინამდვილეში ხვავის გასანიავებლად – მარცვლებისაგან ბზის, ქვების, სარვევლების მოსაშორებლად, გამოიყენებოდა იარაღები, რომლებიც იყოფოდა 3 ჯგუფად: ა) სანიავებელი, ბ) გასაცხავებელ-გასაცხრილავე, გ) დასაკაზმავე და დასარკვევი (გ. ჩიტაია, ბ. ხაზარაძე 1985: 84).

სანიავებელი იარაღებია: **ნიჩაბი, ხელვარცლი, ტაბაკი, საფრეელა//ფეთქი**. გასაცხავებელი და გასაცხრილავე აერთიანებს **ცხავსა და ცხრილს**, ხოლო დასაკაზმავე იარაღებიდან ცნობილია: **ტაბაკი, ხელვარცლი, რიჭი, გობი** (გ. ჩიტაია, ბ. ხაზარაძე 1985: 84, 85, 91).

შავშეთში მოძიებული ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, რომ ჩვენებურები მარცვლეულის გასანიავებლად იყენებდნენ მოწყობილობას, რომელიც **ხვავე მაქინას** სახელწოდებითაა ცნობილი.

ეს არის ემპირიული გამოცდილებით შემუშავებული ხელსაწყო. ცნობილია, რომ XIX საუკუნის ბოლოს ჩნდება ფაბრიკული წარმოების სანიავებელი მანქანა, მაგრამ მისი ყიდვის შესაძლებლობა მხოლოდ შეძლებულებს ჰქონდათ, **ხვავე მაქინის** გაკეთება კი შესაძლებელი იყო კუსტარულ პირობებშიც. იგი დამახასიათებელი იყო მემინდვრეობის მაღალი კულტურისა და ტრადიციების მქონე რეგიონებისათვის.

ხვავე მაქინა წარმოადგენს ოთხკუთხა ჯარას. მის ზედა-წინა მხარეს არის **ხვიმირი** – ბზის ჩასაყრელი მოწყობილება დამრეცი ფიცრით. ხვიმირის ბოლოში მოთავსებულია მოძრავე ვიწრო **ფიწალი**. იგი მოძრაობაში მოჰყავს მბრუნავ ღერძს. ღერძზე დამაგრებულია ფირფიტები, რომელიც ბრუნვისას წარმოქმნის ქარს და აცალკევებს პურის მარცვალს. მარცვალი მძიმეა, ქარი მას ვერ ერევა, ამიტომ იგი ძირში იყრება, ბზეს კი ქარი ცალკე ყრის. მბრუნავი ღერძი მოძრაობაში მოდის ტარის საშუალებით. ფიწალს ქვემოდან აქვს საცერი. მარცვლების უფრო სუფთად გასარჩევად საცერი ხშირად იცვლება.

ბზის თანდათანობით მისაწოდებლად (საცერში ერთდროულად რომ არ ჩაუშვას) ხვიმირს ჩაუდებენ პატარა ფიცარს, რომელსაც **თახთას** უწოდებენ.

ყურადღებას იქცევს გასაღეწ-გასანიავებელ მოწყობილობებთან დაკავშირებული ტერმინოლოგია: **ჩქნოლი, დაწკრილა** (დაჭრა), **ხვავე მაქინა, ხვიმირი, ფიწალი** და ა.შ. როგორც ტერმინოლოგია, ისე სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული იარაღ-მოწყობილობანი და

ყოფითი თავისებურებანი ნათელყოფს, რომ შავშეთი, საქართველოს სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებთან ერთად, წარმოადგენდა ერთ სამეურნეო-ეკონომიკურ ერთეულს. ისტორიის სიღრმეში ჩამოყალიბებული ქართული სამეურნეო ერთეულებიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველო გარკვეული პერიოდის განმავლობაში უცხო სახელმწიფოს საზღვრებში აღმოჩნდა, ხოლო ისტორიული ტაო-კლარჯეთი დღესაც მეზობელი სახელმწიფოს შემადგენლობაშია, მაგრამ ჩვენებურებმა მაინც მოახერხეს ქართული სამეურნეო ყოფითი თავისებურებების შენარჩუნება. ესეც იყო ოსმალობის წინააღმდეგ ბრძოლის გზა და შეესაბამებოდა ქართველობის შენარჩუნების.

§11. ხაზი ახაზა

ხალხურ საზიდ საშუალებათა შორის იმერხევში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს **უღრულსა** და **ხარი არაბას**. უღრული აჭარაში გავრცელებული **მარხილის** სინონიმია. კონსტრუქციულადაც თითქმის იდენტური, რადგან აგებულება-მოხმარების თავისებურებების, რელიეფის, გზების, ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების იდენტურობა განაპირობებდა ხალხური სატრანსპორტო საშუალებების აღნიშნული სახეობის ფართოდ გავრცელების შესაძლებლობას. შავშეთში ამ საზიდი საშუალებებით ახლაც გადააქვთ თივა, ჩალა, ნაკელი, შეშა, სამშენებლო მასალა და ა. შ. **უღრულის/მარხილის** კონსტრუქცია, დამზადების ტექნოლოგია, ტერმინოლოგია ისეთივეა, როგორც მთიან აჭარაში. მისი მთავარი ნაწილებია: **საცურავი, კოფო, საყარი, ხელი, კოტა, უღელი**.

ცალუღელა მარხილში (მარხილის ერთ-ერთ სახეობას „ხიზეკსაც“ ეძახიან) უღელის ფუნქციას ასრულებს „საქედური“.

საზიდ საშუალებებს შორის ტექნიკური თვალსაზრისით უფრო გამართულია **ხარი არაბა**, რომელსაც ჩვენში ურემს ეძახიან (ტერმინი „არაბა“ თურქულში არაბულიდან შევიდა). ურემი თანამედროვე და ისტორიული საქართველოს ყველა კუთხეშია გავრცელებული. აგებულების მიხედვით ხარი არაბასა და ორბორბლიან ურემს შორის არაა განსხვავება, თუმცა განსხვავებულია ტერმინოლოგია.

ხარი არაბას ძირითადი ნაწილებია: **თექირი, მაზი, უღელი**.

თექირი არის ხის ბორბალი, რომელსაც ირგვლივ რკინის (დემირის) სალტე აქვს შემორტყმული. რკინის სალტეს კარგად გააცხელებენ და თექირს ისე შემოუჭერენ. გაცივების შემდეგ სალტე მჭიდროდ ეკვრის ბორბალს.

ხის ბორბალს მეორენაირად „**მარანს**“, რკინისსალტიან ბორბალს კი „**თექირს**“ უწოდებენ. ურემის ღერძს იმერხევში „**მაზს**“ ეძახიან. მაზ-თექირზე (ღერძ-ბორბალი) იდგმება ხარი არაბას **უბე**, რომელიც უღელს ემაგრება **კლავებით** (ხელნებით). კლავებს ერთმანეთთან აერთებს „**დანდლები**“ (ოთხკუთხედად გათლილი ხის ღერები). დანდლებზე იდგმება ტვირთის დასაწყობი „**საფენელი**“. დანდლებს გარდა ხარი არაბაზე მაგრდება ოთხკუთხედად გათლილი ხის წვრილი ღერები. დანდლების პარალელურად კეთდება **კოფო**. დანდლები ემაგრება ხარი არაბაზე პარალელურად მიმაგრებულ, ორივე მხრიდან ამოღარულ ორ ხეს – „**ეგრიჯას**“. **მაზი** ჯდება **კლავში**, რომელსაც უკეთებენ სპეციალურ საბრუნავს შეუფერხებელი მოძრაობისა და გამძლეობის უზრუნველსაყოფად.

კლავებისა და მაზ-თექირის სიმაგრე განაპირობებს ხარი არაბის გამძლეობას, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ოსტატობას და მათი დამზადების ხარისხს.

ხარი არაბის აგებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება **უბისა** და **მაზის** გაწონასწორებას. როგორც ცნობილია, წინა ნაწილი უკანაზე მოზრდილია. გამწვევი ძალის შებმის შემდეგ უზრუნველყოფილია ხარი არაბის შეუფერხებელი მუშაობა.

დადმართში მოძრაობისას დაგორების თავიდან ასაცილებლად ხარი არაბის უბეზე მაგრდება გრძელი ხე – „**გოთლუდი**“. იგი დაგორების შემთხვევაში ხვდება **ხარი არაბის** უკანა ნაწილს და ანელებს ურემის მოძრაობას.

ავტოსატრანსპორტო ტექნიკის განვითარების მიუხედავად, შავშეთში კვლავაც აქვს ფართო გამოყენება ხალხური სატრანსპორტო საშუალებების ამ უძველეს სახეს. ჩვენს მიერ წარმოდგენილი აღწერილობითი მასალიდან ირკვევა, რომ კონსტრუქციულად **შავშური ურემი** აჭარულის ანალოგიურია, თუმცა არის ტერმინოლოგიური სხვაობა. ამ თვალსაზრისით თურქეთის საქართველოს ხალხური სატრანსპორტო საშუალებების შესწავლა ფასეულია ზოგადად ქართული ხალხური ტრანსპორტის ისტორიის შესასწავლად.

§12. ქოხნილი შავშეთში

უცხო ეთნიკურ გარემოში მცხოვრებთათვის ქორწინება ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ეთნიკური თვითშეგნების შენარჩუნების ძირითადი უჯრედი ოჯახია, ოჯახის საფუძველი კი - ქორწინება. სწორედ ოჯახში, ამ ძირითად სოციალურ უჯრედში ხდება ტრადიციების, ადათ-წესების, მორალურ-ზნეობრივი ნორმების მეტკვიდრებით გადაცემა (გ. გოცირიძე 1987:13).

საქორწინო ურთიერთობის შესახებ ქართულ ეთნოლოგიაში უამრავი აღწერილობითი მასალა თუ სამეცნიერო ნაშრომი დაიწერა. ამ თვალსაზრისით ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვით რ. ხარაძეს, ი. ჭყონიას, ა. რობაქიძეს, მ. ბექაიას, ნ. მაჩაბელს, თ. იველაშვილს, გ. გოცირიძეს, ვ. ითონიშვილს, რ. თოფჩიშვილს, ლ. მელიქიშვილს, ნ. ხარჩილაკას და სხვა მკვლევარებს. მნიშვნელოვანია გ. ყაზბეგის, დ. ბაქრაძის, თ. სახოკიას, ს. მაკალათიას, ნ. ხიზანიშვილის, ა. ოჩიაურის, შ. ფუტკარაძის და სხვა ავტორთა ეთნოგრაფიული მონაცემები. ლიტერატურის ასეთი სიმრავლის მიუხედავად, არ არსებობს ქორწინების სრულყოფილი აღწერა ყველა კუთხის მიხედვით. ისტორიულ საქართველოში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების სოციალური ურთიერთობის საკითხები ბოლო დრომდე არავის გაუხდია კვლევის საგნად, უფრო მეტიც, არ არსებობს ჩვენებურთა ქორწინების ეთნოგრაფიული აღწერილობაც კი. ჩვენი ამოცანაა, შავშელთა საქორწინო ურთიერთობებში წარმოვაჩინოთ ძველქართული წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების კვალი, ერთმანეთს შევადაროთ თურქეთის საქართველოსა და თანამედროვე საქართველოს საქორწინო წეს-ჩვეულებანი, მოვძებნოთ მსგავსი მაგალითები საქართველოს სხვადასხვა კუთხის სინამდვილიდან. ზოგჯერ ამა თუ იმ რიტუალს აქვს თურქული სახელწოდება, შინაარსი კი ქართულია. ამიტომ, ისეთი რიტუალებისა და წეს-ჩვეულებების დაფიქსირება გვიხდება, რომლებიც ქართულ ყოფაში ტრანსფორმირებულია, ან სრულიად გამქრალი, მაგრამ შემორჩენილია თურქეთის ქართულ მოსახლეობაში. ამ „დაკონსერვებული“ მასალებით ოსმალთაგან დასავლეთის საქორწინო ტრადიციების რეკონსტრუქციაცაა შესაძლებელი. ამ თვალსაზრისით უადრესად საინტერესოა ბაზგირეთის წყლის ხეობა, სადაც შემორჩენილია ქართული ყოფისა და კულტურის არქაული ელემენტები, დაკონსერვებულია ქორწინებასთან დაკავშირებული ძველქართული ადათ-წესები და ტრადიციები.

ოჯახი და ქორწინება ჩვენებურებში განიხილება, როგორც ქართველობის შენარჩუნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა. ოჯახის შექმნისას ჩვენებურები უპირატესობას ქართველებს ანიჭებენ: „დაქორწინებისან გურჯი'ნა ითხუო და ლაპარიკი არ გედევრევა, ოჯადი გურჯი დარჩება. დედაც გურჯი მყავან და მამაც, იმითვინ ვიცი გურჯიჯე“ (შ. ფუტკარაძე 1993:178). მოტანილი მაგალითიდან ნათელია, რომ ოჯახი და ქორწინება აქაურებში განიხილება, როგორც ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი და ემსახურება ქართველობის დაცვის ინტერესებს. ამ თვალსაზრისით ისინი ბავშვებისათვის ქართული ენის შესწავლას ანიჭებენ უდიდეს მნიშვნელობას: „კად იქნება გურჯიჯეს ასწავლებდეთ დარჩებას“ – შენიშნავს ერთი რესპოდენტი.

დასაქორწინებელ ვაჟს იმერხეველები „დელიყანს“, ხოლო დაქორწინებას – „დასახლებას“ ეძახიან. აღნიშნული ტერმინები ფართოდაა გავრცელებული მთიან აჭარშიც. გათხოვება-დაქორწინება ხდება უფროსობის პრინციპით. ოჯახის გაყოფა-განაწილებაც ამ პრინციპს ეფუძნება. დაქორწინებული ძმა „გარიგდება“ (გაიყოფა) მხოლოდ მეორე ძმის დაქორ-

წინების შემდეგ, რაც სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის თავისებურებებითაა განპირობებული.

თანამედროვე პერიოდში ქალ-ვაჟის ქორწინების ასაკი 18 წელია. ასაკგადაცილებულ, გაუთხოვარ ქალს „**ღამზაღს**“ (დარჩენილს) ეძახიან. ადრე საქორწინო ასაკის ათვლა 13-14 წლიდან იწყებოდა. დღეს არასრულწლოვანის ნებაყოფლობით გათხოვების შემთხვევაშიც კი გოგოს უკან დააბრუნებენ და არ გაათხოვებენ მანამ, სანამ არ შეუსრულდება 18 წელი. ქალის მოტაცების შემთხვევაში ახლობლები მდგომარეობას ართულებენ. შერიგების სანაცვლოდ ითხოვენ გარკვეულ თანხას. მოლაპარაკების („**რაზის**“-თანხმობა) შემთხვევაში საქმროს მანც ახდევინებდნენ გარკვეულ თანხას. მსგავს სიტუაციაში ზოგჯერ მიმართავდნენ შურისძიების სხვადასხვა ფორმებს, თუმცა შავშეთში სისხლის აღება არ სცოდნიათ (შ. ჯაფარიძე 1986:63). „მოტაცება ზორითაა (ძალითაა), და ჭკალაშია, და გზაშია ბავალად და მიეტაცებენ, ჰამა ზოგჯერ ბავალად მისით გექცევა,“ მოგვითხრობს რესპოდენტი. ერთი ხალხური ლექსი ასახავს „გაქცევის“ მსურველი ქალის განცდებს:

„ჩაფულევი გიმიფწდა, ახლა ვინ'და მიყიდოს
ამელამ'და გევიქცე, კარი ვინ'და გიმიდოს.“

ქალის „გაქცევაში“ ხელშემწყობის როლს ზოგჯერ დედა, ან მეზობელი ასრულებდა, რაც ხშირად გამხდარა უკმაყოფილების მიზეზი. კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით გამოთქმული ლექსის მიხედვით, დანიშნული გოგოს „გაქცევას“ **მუხსენამ (დედა)** შეუწყო ხელი. განაწყენებულმა სადედამთილომ ქალის დედას მკაცრად მოსთხოვა პასუხი:

„შე **მუხსენავ**, შე პირშავო, რა უყავ ჩემი დედოფალი,
დილას ავდექ, შინ არ იყო, მე რა ვიცი ი ძუნკალი,
ტყვილად ნულა ფიცავო, შე სომეხო, შე ფოშაო,
წუხელ დილამდე ვიტირე, ნუთბოს კითხე ჩემი ჰალი“.

ზოგჯერ ახალგაზრდა ქალ-ვაჟის გადაწყვეტილებას დედა ეწინააღმდეგება. ერთ-ერთ ხალხურ ლექსში გადმოცემულია სასიდედროს პოზიციით განაწყენებული სასიძოს განცდები:

„ძივიანი ღაჩავი, კონწალ-კომწალ კიღია,
ი შენი ჯაზი ანად, მე ნუ ჩამომკიღია.
მაწონი შევაყენე, ე რა ჯავე გამოდგა,
ციცად კი მუარჯულე, ანად ჯაზი გამოდგა“

შვილების გათხოვება-დაქორწინებაში გადაწყვეტ როლს ასრულებენ მშობლები. ალიე შუბლაძის თქმით, „ადრე ბავალას (გოგოს) და ღარჭს (ბიჭს) არავინ არ ეკითხებოდა“ გათხოვება-დაქორწინებას, „ის უფრო კად წესი იყო, ახლა ღარჭი არ **გვიდინგლავს** (არ გვისმენს).“ გოგოს გამორჩევა ხდება სხვადასხვა დროსა და გარემოში, მაგრამ გასათვალისწინებელი იყო ახალგაზრდების ფიზიკური მოწიფულობა. ხალხის რწმენით, მოწიფულობის ასაკში ქალ-ვაჟს დაესიზმრებათ საპირისპირო სქესის ახალგაზრდა და სიზმარში მასთან ამყარებენ სქესობრივ კავშირს. ეს არის მათი ფიზიკური და სქესობრივი მოწიფულობის მანიშნებელი. ასეთ ახალგაზრდებს ჩვენებურები „**თავმოსწრილებს**“ უწოდებენ. საყურადღებოა, რომ სქესობრივი მოწიფულობის აღსანიშნავად იგივე ტერმინი გამოიყენება აჭარაში. ქართლში მას „შედერებულს“, გურიაში კი „მოღერებულს“ ეძახიან. „თავმოსწრა“-ქალის სქესობრივი მოწიფულობის ასაკს ემთხვევა. აჭარაში „თავმოსწრილი“ ქალიშვილი ჩაიცვამდა ისეთ ჩასაცმელს, რომ სხვისთვის შესამჩნევი ყოფილიყო მისი გათხოვების შესაძლებლობა.

დროულ ქორწინებასთან დაკავშირებით შავშეთში შემორჩენილია ზოგადქართულ სინამდვილეში ფართოდ გავრცელებული გადმოცემა, რომლის მიხედვით თავმოსწრილ ახალგაზრდას სამუშაოზე გული აუცრუვდა. შეწუხებულმა მშობლებმა დაიწყეს ბჭობა შვილის გაზარდაცების მიზეზის შესახებ. ერთ საღამოს ცოლმა ქმარს შვილის დაქორწინება მოთხოვა.

-კი მარა, ნიშანი რით ვუყიდოთო? - იკითხა ქმარმა.

-იი, ჭრელი დეკეული რომ გვიბია ახორში, ის დავეკლათ! – თქვა დედამ.

ბიჭი თურმე ისმენდა ამ საუბარს, რამაც მას შრომის ხალისი დაუბრუნა, მაგრამ როცა კვლავ გაჭიანურდა მისი დაქორწინება, დედას თავად შეახსენა: „ჭრელი დეკუელის ამბავი რატომ დაგავიწყდათო.“

საპატარძლოს გამორჩევაში პროორიტეტი ენიჭება დედას, დას, ზოგჯერ რძალსაც, ასევე ახლო ნათესავებს. „ბაჯალას“ „გამოსარჩევად“ ზოგჯერ ღარჭიც (ბიჭიც) აქტიურობდა. „გამორჩევისას“ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქალის მიხედვრილობას, სისუფთავეს, წარმომავლობას და ა.შ. ბორჩხელი ქართველები „ბაჯალას“ მიხედვრილობის შესამოწმებლად კართან დააგდებენ ცოცხს. ქალი თუ ცოცხს აიღებს, „გამოდგება“, თუ არა და დაიწუნებენ. შესაძლოა ქალი დაიწუნონ იმ შემთხვევაშიც, თუ მისი მშობლების ხელებზე შენიშნავენ მოუწესრიგებელ ფრჩხილებს, ოჯახში უსუფთაობას და ა. შ.

აღიე შუბლაძის თქმით, მისი მომავალი მეუღლე ექრემი სტუმრად მისულა სასიმამროს ოჯახში ისე, რომ მისი მისვლის ნამდვილი მიზეზი არავისთვის გაუმხელია: „მოვდა ჩემთან. მე არ ვიცოდი, მეგემ ჩემი დანახვა უნდოდა. წყლის დასაღვეად გვედა, ჰამა მე არ გიმიშვეს - არ დიგინახოსო. ისე დავრჩი უდუნახავი, დიენახა, ბელქი არ მევეწონებოდი. წვედა უდუუნახავი.“ ასეთ შემთხვევაში ვაჟს შეეძლო დახმარება ეთხოვა გოგოს მეზობლის ან რომელიმე ნათესავისათვის: „ერთი ემიაშვილი (ბიძაშვილი) მყავდა, იმისთვის შუუჩივლია, ვერ დევნახეო. იმას უთქვამს: დილა რომ გახდება, ტანთრაფას (აივანი) დაგვის და დეინახეო. არაბაში (ავტომანქანა) შიგან შესულა, იქიდან დამცო და დიმიინახა“. გადამწყვეტი სიტყვა მაინც მშობლებს ეკუთვნოდათ: „ბაბომ (მამა) ბიჭი დეინახა და ისე მედწადინა, მე არ მკითხა, მათ თახუმს (სანათესაოს) იცნობდა“. მოწონებული გოგოს ან ვაჟის შესახებ ინფორმაცია მათი ვინაობის, ჯიშის „ნესლი-ვარესის“ **გაკითხვა** შავშელებისათვის (და არა მარტო შავშელებისათვის) საქორწინო ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფეხური იყო.

ქალ-ვაჟის ბედის გადაწყვეტისას დედის ძმის აზრს, ისევე როგორც აჯარაში და აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, აქაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ქორწინების კონკრეტულ შემთხვევაში ითვალისწინებენ სოციალურ მდგომარეობას და ქონებრივ მომენტსაც.

გოგოს მოწონების შემდეგ შეარჩევენ **ელჩს** (შუამავალს, მაშვალს). ელჩობა იმართებოდა ხუთშაბათს, საღამოს საათებში. ხშირად ელჩობას სამამამთილო საკუთარ თავზე იღებდა. შესაძლოა, ელჩი დედის ძმა, სხვა რომელიმე ნათესავი, მეზობელი, ქირვა (ნათლია), ან გაველიანი პირი ყოფილიყო. ეს ძირითადად მაშინ ხდებოდა, თუ ვაჟს არ ჰყავდა მამა. თურქული მოსახლეობისაგან განსხვავებით (პირველსავე ელჩობაზე მიაქვთ ტკბილეული), გურჯებს პირველ დღეს არაფერი არ მიაქვთ ქალის სახლში. ელჩობა შესაძლოა გახანგრძლივებულიყო, თუმცა ზოგჯერ ორ-სამ ელჩობაზეც წყდებოდა საკითხი, განსაკუთრებით მაშინ, თუ სასიძოს ოჯახი იყო მდიდარი: “თუ ზენგილი (მდიდარი) ხარ, ერთ მისლად მოქცემენ.“ ელჩობებს შორის ერთი კვირა მაინც უნდა გასულიყო. თუ ელჩად მისვლა დაემთხვა ვახშობას, მაშინ სუფრას გაუშლიან, სხვა შემთხვევაში ვახშამს არ შეთავაზებენ. ელჩობის საღამოს გოგოს მომსახურება, სტუმრისათვის წყლის, ან ყავის მიტანა თანხმობის ნიშანია. ზოგჯერ ელჩობა ისე ჩაივლიდა, რომ გოგოს მის შესახებ არავითარი ინფორმაცია არ ჰქონდა. შეთანხმების შემთხვევაში ელჩი ტოვებს ნიშნის ბეჭედს („ნიშან ეუზუგი“). დაითქმება ნიშნობის დრო. ნიშნის მიტანა შეიძლება ნებისმიერ დღეს. დათქმულ დროს ქალის ოჯახში ამზადებენ სხვადასხვა სახის საჭმელებს: **ერიშტას, მაკარინას, ხავიწს, მოხრაკულს, ქოფთეს** (დაკეპილი ხორცისგან შემწვარი მწვადი). წინათ ნიშნობაზე ალკოჰოლი მიუღებელი იყო, ნაწილობრივ დღესაც ასეა, თუმცა ზოგან „დასაღვეი დუგუნის (ქორწილის) სააბზეა“. ნიშნობაზე დამსწრეთა რაოდენობა განსაზღვრული არაა. ღონისძიებას ესწრებიან როგორც ვაჟის, ისე ქალის ახლობელ-ნათესავები და საპატარძლოსათვის მიაქვთ როგორც ჩასაცემელი (ურბა), ისე სამკაულები - ოქროს საათი, სამაჯური, საყურეები და ა.შ. მათი რაოდენობა აუცილებლად კენტი უნდა იყოს. დედოფალს ჩუქნიან აგრეთვე ფულსაც (ვინც რამდენს გაიმეტებს). შესაბამისად, საპატარძლოც დამსახურებლებს აჯილდოებს საჩუქრებით, უპირატესად მის მიერ მოქსოვილი წინდებით, ასევე მაისურებით, მოქარგული „იაზით“ (თავსაბურავი), პირსახოცი და ა.შ. შავშეთში გავრცელებული ხალხური ლექსის მიხედვით სასიძო თხოვს საცოლეს მოუქსოვოს მისნაირი წინდები:

„გაღმა ფერდში გელები,

და ლამაზი ეფლები,
მეც ანნი მომიქსუე,
აანი გეკონდეს ჭრელები”.

აჭარის სინამდვილეში ნიშნობის დღეს საპატარძლოს ოჯახში მიჰქონდათ ტკბილეული, ზოგჯერ გამომცხვარი „ლუხუმი”, რომელთაგან რამდენიმეში მიივები იყო მოთავსებული. ლუხუმი მხოლოდ პატარძალს უნდა შეეჭამა. ზოგან პატარძალს სიძის დაღეული ჭიქიდან შარბათს დააღევიანებდნენ, ან მის მონაკებე ტკბილეულს შეაჭმევდნენ. აღნიშნული ჩვეულება სიყვარულზე თანხმობის ნიშანია.

ეს წესი აჭარის მთაში არსებული ჩვეულების ანალოგიურია, როცა ქალს ვაჟი მის მიერ მოკბენილ ვაშლს უგზავნიდა. ეს ასპექტი აისახა ფოლკლორში. ვაშლი ფიგურირებს თურქების, ბერძნების, სომხების საქორწინო ცერემონიაში. სხვა შემთხვევაში ვაშლს განსხვავებული დატვირთვა აქვს. მაგალითად, ზოგიერთის მოსაზრებით, ვაშლის სიმბოლიკა ბიბლიური მოტივის ამსახველია. იგი, როგორც განხეთქილების ჩამგდები სიმბოლო, თავს იჩენს ადათობრივი სამართლის სარიტუალო სისტემაში. თავშეყრის ადგილებში უბრალოდ მყოფ პირთა შეხვედრისას ვაშლის გაგორება მათ შორის შუღლის ჩამოგდებისა და მტრობის ნიშანი იყო (თ. ფუტკარაძე 2001:87).

ნიშნობიდან ქორწინებამდე პერიოდი ადრე შეიძლება 5 წლამდეც გახანგრძლივებულიყო. დღეს ეს პერიოდი შემცირდა რამდენიმე თვემდე, ან კვირამდე, თუმცა ცალკეულ შემთხვევაში იგი შეიძლება ერთი ან ორი წელი გაგრძელდეს. იმერხევის ცალკეულ სოფელში ქალ-ვაჟი ქორწინებამდე საერთოდ არ ხვდებიან ერთმანეთს - „ჰინ არ დიმიანახავს, არ ვიცნობდი, ჩემ ანა-ბაბოს მოწონდა. დემენახა მინდოდა ჰამა, ჩუმსაც არ ვიღებდი“- მოგვითხრობს რესპოდენტი. ჩვენი დაკვირვებით, ისტორიული სამხრეთ საქართველოს ზოგიერთ სოფელში დღემდე უნდა იყოს შემორჩენილი სიმამრის სახლში დანიშნული ქალ-ვაჟის შეხვედრის ძველი ადათი, რომელიც ქართულ ეთნოლოგიაში **ნიშანლობის** სახელითაა ცნობილი. რესპოდენტები ამ საკითხზე პირდაპირ პასუხის გაცემას გაურბიან, ხშირად უარყოფენ კიდევ აღნიშნული ინსტიტუტის არსებობას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქორწინება საზოგადოებრივი ყოფის მეტად ფაქიზი საკითხია და გარეშე კაცი მის შესახებ ვერ მიიღებს ამომწურავ ინფორმაციას, თუმცა ჩვენთვის საინტერესო საკითხზე პასუხის გაცემა მაინც მოხერხდა. ოთარ ფუტკარაძის ცნობით (იმერხევეში იმყოფებოდა 1990 წელს) ნიშანლობა ფართოდ ყოფილა გავრცელებული ყვირალას (შავშეთი) ხეობაში. მისი ინფორმაციით, სასიძოს დედოფლისათვის პირბადის ახდის უფლება მანამ არ მისცეს, სანამ გარკვეული რაოდენობის თანხა არ გადაახდევინეს. „ნენი, პირბადის ახდაში ამდენი ფული რომ გამოართვეს, დანებება რა დაუჯდება სიძეს?“ –უკითხავს მორიდებით ჩვენს ინფორმატორს. „მაგი ნენი კაი ხანია მოთავსებულია. ჩვენ ნიშანლობა ვიცით - 2-3 წელი.“ ამ დროის განმავლობაში საქმრო დადის საცოლის ოჯახში და მასთან წვება. აღნიშნულის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ნ. მარიც. ეხება რა ქორწინების საკითხებს, იგი აღნიშნავს, რომ მოლაპარაკების დასრულების შემდეგ ქალის ოჯახში იმართება ღხინი, ხოლო შემდეგ საქმრო „რჩება უახლოეს ნათესავეებთან ერთად, ამ დროს პირველად საცოლეს ჩადრს ახდიან პირზე. ამის შემდეგ საცოლის სახლში, როგორც ქმარი, რჩება სამი დღე, მას ქალს ანებებენ. სამი დღის შემდეგ ქმარი მიემგზავრება, ხოლო ცოლი რჩება სახლში მშობლებთან ორი თვე ან ორ წლამდეც კი” (ვიმოწმებ: შ. ჯაფარიძე 1996:63). ამიტომაც იშვიათი არ იყო ქალის მამისავე ოჯახში დაფეხძიმება და მშობიარობა. აჭარაში ნიშანლობის პერიოდში გაჩენილ ბავშვს მოფერებით **სასელას** (ნადრევი) ეძახდნენ. ასაკოვან ხალხს დღესაც ახსოვთ ქორწინების ეს მეტად საინტერესო მომენტი, რომლის გავრცელების არეალი მარტო საქართველოთი არ შემოიფარგლებოდა. იგი სხვადასხვა ვარიაციით დასტურდება მრავალი ხალხის ყოფაში და იმ ეპოქის მეტკვიდრეობა უნდა იყოს, როცა ქორწილის შემდეგ ქალი კვლავ მშობლების სახლში რჩებოდა (იხ. М. Косвев 1960:121).

ნიშნობის დღეს ან შემდეგ (რძლის მიყვანამდე, მეფე-დედოფლის შეყრამდე) სრულდება ქორწინების ოფიციალური გაფორმების რიტუალი, რომელიც „**ადლის ქნის/გაჭრის**” სახელითაა ცნობილი. იმერხევეში მას „**იმამ ნიქაშსაც**” უწოდებენ. ამ რიტუალზე მეფე-დედოფლის დასწრება აუცილებლობას არ წარმოადგენს. ადრე მათ ამის შესახებ არც ატყობინებდნენ.

აღდის გაჭრის ცერემონიალი სრულდება არა ჯამეში, არამედ ერთ-ერთი მექორწილის სახლში. ხოჯა შედის ცალკე ოთახში, ეძახის ქალ-ვაჟის წარმომადგენლებს, რათა მათგან მიიღოს თანხმობა დასაქორწინებელთა ვეკილების თაობაზე. თანხმობის შემდეგ ხოჯა კითხულობს - რაიმე მიზეზი ხომ არ არის, რომელიც ხელს შეუშლის ქორწინებას. ვეკილები ვაღებულები არიან აღიარონ სიმართლე. მათ სწამთ, რომ სიმართლის თქმის შემთხვევაში (მაგ. ავადმყოფობის) ახალგაზრდებს მოეხსნებოდათ ხელისშემშლელი მიზეზები. ამის შემდეგ ხოჯა კითხულობს ლოცვას, ქალ-ვაჟს ცოლ-ქმრად აცხადებს და მათ წარმომადგენლებს დასალევად გამოატანს „ნაკითხ“ წყალს. აღდის გაჭრის გარეშე ქალ-ვაჟის შეუღლება მოუხდელ ცოდვად ითვლებოდა. ხალხის რწმენით ცოდვილი იქნება მათი შვილიც. ქალ-ვაჟის ფიზიკური სიახლოვე მხოლოდ „აღდის გაჭრის“ შემდეგაა შესაძლებელი. ხოჯის მიერ წაკითხული ლოცვის შინაარსის მიხედვით, ქორწინებას აკურთხებს ალაჰი და მიესალმება ახალგაზრდათა დაოჯახებას. ლოცვა ითვალისწინებს „**მეჰრი მუეჯჯილის**“ - გარკვეული თანხის გადახდას ცოლის მშობლებსათვის გაყრის ან გარდაცვალების შემთხვევაში. მუსულმანურ ჯერისწერასთან (აღდის ქნა) დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ იქნება შესადარებელი მასალის წარმოდგენა მთიანი აჭარის, კერძოდ ღორჯომის სინამდვილიდან. აღნიშნულ ხეობაში გავრცელებული ტრადიციის მიხედვით ამ რიტუალის შესრულების დროს ქალის „**გასადების**“ მიზნით მშობლების მიერ ავადმყოფობის (თუ დაავადებულია) დამალვა ოჯახის დაშლის მიზეზი ხდება. ამ შემთხვევაში ქალის მოტანილი მზითვეი შუახე იყოფა.

ღორჯომის ხეობაში ორგვარი აღდია გავრცელებული: „**ნედლი**“ და „**ხმელი**“. პირველი-ქალის ოჯახში ქორწილის მსგავსად კეთდებოდა, მეორე კი „ჯამეში იქნებოდა“. აღდთან დაკავშირებულ ხარჯებს ვაჟის მხარე იხდიდა (თ. ფუტკარაძე 2004:130).

უვაჟო ოჯახში მოძმეების თანხმობით და ძმებისა და ბიძების მათ ქონებაზე პრეტენზიის თავიდან აცილების მიზნით, „ოჯადი რომ არ გალენდეს“ ადგილი აქვს **ჩასიძებას**. ჩასიძებას ვაჟის მხრიდან განაპირობებს ეკონომიკური ხელმოკლეობა და მრავალვაჟიანობა. სხვა გვარის კაცის ჩასიძების შემთხვევაში, ზესიძეს სიმამრის გვარი უნდა მიეღო. ამ შემთხვევაში გამოსასყიდი თანხის გადახდა საჭირო აღარაა. მინიმალურია სხვა ხარჯებიც. ჩასიძებას შავშელები „**სიძეობად წასვლას**,“ ხოლო ჩასიძებულს ზოგჯერ „**გათხოვილსაც**“ ეძახიან, რაც მის დაქვემდებარებულ მდგომარეობაზე მეტყველებს. ჩასიძებულის მდგომარეობის დასახასიათებლად აქაც ყვებიან „ქათმიპარია“ მელიას ამბავს, რომელიც ქათმების პატრონმა ფეხებით ჩამოკიდა და ქვემოდან ცეცხლი შეუნთო, მაგრამ მისი მდგომარეობით დაინტერესებული კაცისათვის მელიას უპასუხია: „ფეხებით ჩამომკიდეს, ქვემოდან ცეცხლი დიმიანთეს, მაგრამ ჩასიძებულს მაინც ვჯობივარო“.

დანიშვნის ასაკი სხვადასხვა იყო. არსებობდა დაბადებამდე და აკვანში ნიშნობა. ასეთ შემთხვევაში მთავარი იყო მშობლებს შორის წინასწარი შეთანხმება, რომლის დარღვევაც დიდ ცოდვად ითვლებოდა. ნიშნის მიტანა კი ხდებოდა და ხდება საქორწინო ასაკის მიღწევის შემდეგ. მსგავსი მოვლენები დასტურდება აჭარაში და საქართველოს სხვა კუთხეებშიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ ზოგად მოვლენას ოსმალთა ბატონობამ დაუმკვიდრა არაქართული ტერმინი-„**ბეშიქერთმა**“. ასეთ შემთხვევაში საჭირო აღარ იყო გამოსასყიდის - „**ბაშლულის**“ გადახდა. გამოსასყიდი - ქალის შრომითი შესაძლებლობების გადასახადია, რომელმაც მსოფლიოს ბევრი ხალხის ყოფაში უძველესი პერიოდიდან დაიკავა თავისი ადგილი. ისლამმა ხელი შეუწყო მის კონსერვაციას. მდიდარი სასიძოს ელჩს უადვილდება თავისი მოვალეობის შესრულება და შესაძლოა საკითხი ერთი მისვლითაც გადაწყვიტოს. დების ან შვილების გაცვლის შემთხვევაში „**ბაშლულის**“ გადახდა აღარ იყო საჭირო. თანამედროვე პირობებში გამოსასყიდის გავრცელების გეოგრაფიული არეალი შემცირდა, თუმცა იგი კვლავ განაგრძობს არსებობას. ქორწილი (**ქორ**-ი სახლი, **წილ**-ი -კუთვნილი წილი, ე.ი. **სახლის წილი** ახალდაქორწინებულთათვის) ტარდება წელიწადის ყველა დროს. ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა 30-ივნისს (2005 წ.) დავსწრებოდით ქორწილს სოფელ ბაზვირეთში და დაგვეფიქსირებინა ჩვენთვის საინტერესო თავისებურებანი. გამეშეთის მეჭელედან (ბაზვირეთის უბანი) **ემინე ყაია** (გამეშიძე) თხოვდებოდა ბაზვირეთელ **აიშან სეჩერზე** (იენჩარიშვილი). ემინე ყაია დანიშნული იყო ერთი წლის განმავლობაში. სიძე ტრადიციისამებრ სიმამრის ოჯახში გა-

მართულ საქორწინო ცერემონიაში მონაწილეობას არ ღებულობს. იგი პატარძალს ელოდება სახლში; თუმცა ბოლო დროს სიძის „მისვლა“ ქორწილის დღეს საცოლის ოჯახში სირცხვილად აღარ ითვლება.

ქორწილის წინა დღეს საპატარძლოს ოჯახში გზავნიან მაყარს (ახლობლები, მეზობლები 15-20 კაცის შემადგენლობით). ზემოთ დასახელებულ ქორწილში მაყარს გამოაყოფეს სასიძოც. საპატარძლოს წინა დღით მოამზადებენ, მიყავთ „ბერბერში“ (სალონი), მოუწესრიგებენ თმის ვარცხნილობას, წარბებს და ა.შ. დიდ სირცხვილად ითვლება სიძის ხალხში გამოყვანა. ის მარტო, მხოლოდ მამიდის თანხლებით ზის ცალკე ოთახში და ელოდება ცერემონიალების დასრულებას. კატეგორიულად დაუშვებელია საპატარძლოსა და სასიძოს შეხვედრა მამისეული სახლიდან წაყვანამდე. მაყართაგან ერთ-ერთს მიაქვს **ინა**. იგი დედოფალს ხელში ჩაუდებს „აღთუნს“- ოქროს ყელსაბამს, შემდეგ კი ინას. დედოფალი ხელს მანამ არ გაშლის, სანამ ოქროს არ ჩაუდებენ. დედოფალს მისი ერთ-ერთი დედ-მამიანი ნათესავი წრიულად წაუსვამს ინას ხელის გულზე, თითებზე, შემდეგ ხელს „მოახუჭინებენ“ და „წითელ ფარჩას“ (ხელთათმანს) „წამუაცვამენ“.

აღნიშნული რიტუალი ბორჩხისა და მურღულის რაიონებში „**ყინა გეჯეს**“ სახელითაა ცნობილი (**ყინა/ინა, გეჯე/ღამე**). მამისეულ ოჯახში წაყვანამდე ერთი დღით ადრე სასიძოსთან ერთად პატარძალს სტუმრობენ ვაჟის ახლობლები. იმართება ღხინი. საპატარძლოს დასვამენ ოთახის შუაში, გარს უვლიან ცეკვა-სიმღერით. ერთად აცეკვებენ სიძე-დედოფალს, შემდეგ კი გოგოს დაახურავენ „ფულიან იაზმას“ (თავსაბურავს) და თავზე დაადებენ სანთელანთებულ სინს (უნდა იყოს იმდენი სანთელი, რამდენი წლისაცაა საპატარძლო). სადედამთილომ ქალს ინა უნდა დაადოს, მაგრამ ქალი ხელს არ გახსნის მანამ, სანამ ხელის გულში ფულს არ ჩაუდებენ. ამის შემდეგ ქალს ხელის გულზე, ხოლო ვაჟს ნეკა თითზე ადებენ ინას წრიულად. „ყინა გეჯეს“ ცერემონიალი სრულდება სიმღერის თანხლებით:

„მაღალ-მაღალ მთებიდან, სახლი არ დადგან,
დაბანჯ მემღეჭეთში გოგო არ მიცე,
ყინა მეიტანე, ანე, თითი დააწე, ანე,
ამელამ მუსაფირი ვარ, ჩემ უკან დაწე, ანე“.

ინა ისლამურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული საგანია. მას აქვს როგორც სამკურნალო-კოსმეტიკური (ამაგრებს თმის ძირებს, სპობს ქერტლს... სხვათაშორის შავი საღებავით თმასა და უღვაშებს იღებავენ შავშელი მამაკაცებიც), ისე მაგიური ფუნქციაც. ინა წითელი ფერისაა. წითელი ფერისაა აგრეთვე დედოფლის თავსაბურავი (ვალა). წითელი ფერი ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში მანათობელი ღვთაებების სიმბოლო, მათი თვისებების გამოქვეყნების გამოხატულებაა (ვ. ბარდაველიძე 1953:130). ამ მოსაზრებას ადასტურებს ისიც, რომ ინას უსვამენ წრიულად, რგოლის სახით, რაც მნათობთა წრიულ ბრუნვას უკავშირდება (ვ. ბარდაველიძე 1953:130). გ. გოცირიძის აზრით, ინის მაგიურობა უკავშირდება ხალხურ რწმენას, რის მიხედვითაც მას ადამიანის ავი სულისაგან დაცვა, სხეულის ჯამრთელობის, უვნებლობის, ქორწინების დროს მოსალოდნელი „სქესობრივი აქტის ჩაკეტვის“, ქალის უშვილობის თუ ვაჟის სქესობრივი უძლურობის წინააღმდეგ მოქმედება მიეწერება (გ. გოცირიძე 1987:85). იგი ფართოდაა გავრცელებული ფერეიდანელი ქართველების ყოფაშიც.

მაყარი მთელ დღეს ატარებს სასიძოს ოჯახში. შორიდან მოსულ მაყარს მეზობლები ან ქალის ნათესავები გაათევენებენ ღამეს. მეორე დღეს მაყარი ემზადება საპატარძლოს წასაყვანად. პატარძალი მიყავთ საღამოს, მანამდე კი იმართება საქორწინო ზეიმი, ცეკვა-სიმღერა, რომელშიც მონაწილეობს თითქმის ყველა მექორწილე. შავშეთის ქართველთა ქორწილი რამდენიმე დღეს გრძელდება. თუ სამეურნეო საქმიანობა „მოთავებულია“, მაშინ ქორწილი შეიძლება ერთი კვირაც გაგრძელდეს. მთელი ამ ხნის განმავლობაში არ წყდება ცეკვა-სიმღერა და გართობა.

პატარძლის გამოყვანის მოლოდინში ეზოში მექორწილეებთან სინით ჩამოატარებენ „ჩერეხს“ (ჩაროხი – თ.ფ.) (გატეხილი და შემწვარი თხილი). საქორწინო სუფრა საპატარძლოს ოჯახში მხოლოდ შორიდან მოსული სტუმრებისთვის თუ გაიშლება. 15-20 კაცზე

გათვალისწინებულ ე. წ. „პალატაში“ დასაჯდომ ფიცრებზე „ქილიმებს“ დააგებენ. სუფრაზე გამოაქვთ: ქუფთა (პურისა და ხორცის ნარევი), ფასტა, ბიბერ დოლმა (პილპირის ტოლმა), კაკალი ღობიო, ფლავი, შემწვარი კარტოფილი, სალათა, ბაქლავა, ბიში, ბორეგი, რეჩერი//ლეჩერი (ვარდის მურაბა), ხილი. საჭმელს სტუმრები მიირთმევენ საერთო თეფშიდან. აღკოპოლური სასმელი იქაურ ქორწილში მიღებული არაა.

დედოფლის მამისეული სახლიდან გამოყვანას წინ უსწრებს ე. წ. გარიგება-ვაჭრობა. საპატარძლოს მხარე მოითხოვს ყოფს ან მისი ღირებულების თანხას, რომელსაც უმრავლეს შემთხვევაში რძალს დაუბრუნებენ („რძლის სახელზე იქნება“). აქაურთა ყოფაში დღემდე შემორჩა „სეისხანა“ - კარის დაყრის რიტუალი. ბორჩხაში იგი „ყაფი ხარჯის“ სახელითაა ცნობილი. ვაჟის მხარემ უნდა გადაიხადოს აგრეთვე „რძის წილი“ (რასაც აჭარაში „ძუძუს ფარას“ ეძახიან). იგი ძირითადად ჩასაცმელის სახით ეძლევა პატარძლის დედას. მას მეორე-ნაირად „სუთახსაც“ უწოდებენ. „სუთახი“ ზოგჯერ ნიშნობის დროს ეძლევა. საპატარძლოს მხარეს გარკვეული თანხა უნდა გადაუხადონ აგრეთვე პატარძლისათვის მისი ძმის მიერ „წითელი“ (ეს ფერი არა ერთხელ ფიგურირებს, რომლის სიმბოლური დანიშნულების შესახებ უკვე ვისაუბრეთ), ყუშაყის//ქემერის შემოხვევისას (ძმა სამჯერ „შეეცლება“ პატარძლისათვის ქემერის შემოხვევას, რომელიც „არ წვდება“ წელზე ფულის გადახდამდე), საჩუქრებისათვის (წინდები, იაზმა-ქალის თავსაბური), სადედოფლო სკიერის გამოტანისას (პატარძალს დასვამენ სკივრზე და სანამ გარკვეულ საფასურს არ გადაახდევინებენ, მანამ არ მისცემენ მისი გარეთ გამოტანის საშუალებას). მამისეული სახლიდან გამოყვანის წინ მამამთილი პატარძალს სამჯერ დასვამს ბალიშზე და წამოაყენებს, თავზე გადააყრის შაქარს, ტკბილეულობასა და ხურდა ფულს. გარკვეული საფასურის გადახდის შემდეგ საპატარძლოს სახლიდან გამოაქვთ „ჯეიზი“ (მზითევი). მზითევიში შედის: ლოგინი, ნოხები, ჩასაცმელი, ჭურჭელი („ყაბი-ყაჯადი“), ტელევიზორი და ოჯახის საჭიროებისათვის აუცილებელი სხვა ნივთები. მზითევიში ატანებენ აგრეთვე ძროხასაც. მათი რწმენით, თუ მზითევიში ძროხა არაა, მშობლის გარდაცვალების შემდეგ „სულს ვერ უხსენებ“, რადგან ქმრის ოჯახიდან გაცემული სულის სახსენებელი გარდაცვლილ მშობლამდე ვერ მიაღწევსო. ქალის ოჯახისათვის ფულითა და სხვა სამახსოვრო ნივთებით დასაჩუქრება მიღებული არაა.

ზემოთ დასახელებული რიტუალის დასრულების შემდეგ პატარძალი ძმისა და დადეების (ხელისმოკიდე) თანხლებით გამოყავთ ეზოში. პატარძლის გამოყვანისას კარების ორივე მხარეს „მიასობენ ჩაქი დანებს“. იგივე რიტუალი სრულდებოდა ვაჟის სახლშიც. სავალი გზის ორივე მხარეს „დაყრიან ყურშუმებს (ტყვია) და ნაცარს“, რათა მეფე-დედოფალი დაიცვან „დააკოჭვისაგან“.

მუსიკოსები დაუკრავენ დედ-მამის ასატირებელ „გენილ ბუირუმს“:

„გენილო, გენილო, კართავი მაღალი,
ნელ-ნელა გადმედარე, გენილო,
დაში, დაში, ჰანი, გენილო,
ყარდაში სადაა მოვდეს,
გედგეხვიოს და იტირეთ“.

ამის შემდეგ სრულდება დედის, მამისა და ქალიშვილის რიტუალური ტირილი. ტირიან ახლობლებიც. პატარძლის მამა ერთხელ კიდევ მოეფერება თავის ქალიშვილს, შემდეგ გაისმის „დოლ ყაიდა“-ს (გზის „ყაიდა“) მუსიკალური ჰანგები. მეფე-პატარძალი, პატარძლის ძმა, მისი ცოლი და ხელის მოკიდეები ჯდებიან სადედოფლო ავტომობილში.

აჭარაში ფართოდ იყო გაგრძელებული **სამახარობლო ბალიშის** (მუჟდა ბალიში) გაგზავნა, რომელსაც მახარობელს გაატანდნენ სიძის ოჯახთან მაყრის მიახლოების დროს. ეს ბალიში დედოფლის მიერ იყო მოქარგული. შუაში ჩატანებული ჰქონდა სარკე. ნალიასთან ჩამალული სიძე გამოდიოდა გზაზე მახარობლის მოთხოვნით. მახარობელი „აწვადებდა“, ბოლოს ბალიშს გაუქნევდა. თუ ვაჟი ბალიშს ვერ დაიჭერდა, დაცინვას დაიმსახურებდა.

ეს ბალიში დაძველებამდე იყო ჩამოკიდული დედოფლის საწოლთან. სარკე, როგორც გარეგნობის ამრეკლავი საშუალება, ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, დაკავშირებულია სულთან. სარკე ზოგიერთ ხალხში უკავშირდება უარყოფით მაგიას, ბევრგან კი პირიქით—დადებითი მაგიის საგანია. ჩვენი აზრით, ოთახის კუთხეში ჩამოკიდებული ბალიშის

სარკეს უარყოფითი მაგიისაგან მეფე-დედოფლის დაცვის დანიშნულება ჰქონდა. გარდა რიტუალურ-საკრალური ფუნქციისა, მუჟდა ბალიშს პრაქტიკული დანიშნულებაც ჰქონდა. პირველი სქესობრივი აქტი სწორედ მუჟდა ბალიშზე უნდა ჩაეტარებინათ. მას დაემხნეოდა ქალწულობის ნიშნები. უკმაყოფილების, ან რაიმე გაუგებრობის შემთხვევაში ქალი ქმარს მუდმივად შეასენებდა თავის უბიწოებას: „შენ შემოგწირე ჩემი ქალიშვილობა და პატივისცემით უნდა მომექცეო“.

ყოფის ეს ელემენტი ბოლო დრომდე იყო შემონახული აჭარის მთიანეთში. იმერხევში თანამედროვე პირობებში მისი არსებობის ფაქტი ვერ დავადასტურეთ, თუმცა ერთ-ერთი რესპოდენტის გადმოცემით იგი უცხო არ ყოფილა შავშეთის სინამდვილისათვისაც.

ბავშვების მიერ მაყრონისათვის „გზის გადაკეცვა“ მნიშვნელოვანი ელემენტი იმერხეველთა საქორწინო ურთიერთობაში.

ჰაერში თოფის მრავალჯერადი გასროლით გამოიხატება ახალდაქორწინებულთა ბედნიერების სურვილი და საერთო სიხარული. მაყრები ერთმანეთს ეჯიბრებიან ლექს-სიმღერებსა და შაირებში. ქალის მაყრებს ვაჟის მხარე „გოდრიანებსაც“ ეძახიან. ქალის მაყარი მექორწილებს შუა გზაზე შეაჩერებს - „დაგჩხვერაო“ (ე.ი. კუჭი დაგვეწვაო). ამ შემთხვევისათვის წინასწარ გამზადებულ ქადას ან სხვა საკვებს ჩამოურიგებენ ქორწილის მონაწილეებს. თუ პატარძალი მანქანით მიჰყავთ, შესაძლოა მძღოლს მანქანაც გააჩერებინონ - „მანქანას საწვავი დაეღია და რახი ან წყალი მოიტანეთ“. სასიძოს სახლთან მაყრონის მისვლისას ვაჟი „ადის ყავარზე“ (სახურავზე). სადედოფლო ტრანსპორტიდან (მანქანა, ცხენი) ჩამოყვანისას დედოფალს ფეხს დაადგმევენებენ წითელნაჭერგადაფარებულ ჩაბრუნებულ ქვაბზე. ქვაბი მურიანი უნდა იყოს. ამ რიტუალში გამოიხატება სიმაგრისა (რკინასავით მაგარი) და ჯამრთელობის სურვილი. სიმბოლური დანიშნულება აქვს მურსაც. ამით ისინი პატარძალს იცავენ „ავი სულებისა“ და „თვალის ცემისაგან“.

სახლთან მყოფ დედოფალს სიძე სახურავიდან გადმოაყრის ტბილეულსა და ხურდა ფულს. სიძეს სახურავზე აყვება რამდენიმე ახლობელი, ძირითადად ბიძაშვილი და მამიდაშვილი. სახურავზე ასვლისას „გოდრიანები“ (გოგოს მაყარი) ცდილობენ სიძეს ფეხში ჩაავლონ ხელი და არ მისცენ სახურავზე ასვლის შესაძლებლობა რაიმე მოთხოვნის შესრულების გარეშე. ტბილეულის გადმოყრის შემდეგ სიძის თანმხლები პირები რამდენიმეჯერ გაისვრიან ჰაერში.

შემდეგ ქალის ახლობლები სიმღერით მოითხოვენ საჩუქარს მსხვილფეხა ან წვრილფეხა პირუტყვის სახით, მას ყურზე გაუკეთებენ შესაბამის ნიშანს და თხოვენ, რომ ეს პირუტყვი დედოფლის სახელზე დააბან ახორში.

სახლში შესვლამდე პატარძალმა მარჯვენა ფეხის ერთი დარტყმით უნდა დაამტვრიოს ყავის ჭიქა. ზოგან ფინჯანთან ერთად გასატეხად დაუდებდნენ კოვხსაც. თუ დედოფალი ერთი დარტყმით ვერ შეძლებდა მათ დამტვრევას, მის გვერდით მდგომს უნდა შეესრულებინა ეს ამოცანა. ჩურსინის აზრით, ჭურჭლის გატეხვა ქმრის სახლიდან ბოროტი სულების განდევნას ემსახურება (თ. ფუტკარაძე 2001:89). სიმბოლური დანიშნულება აქვს აგრეთვე პატარძლისათვის ტბილეულისა და ხურდა ფულის გადაყრას (რაც მრავალი ხალხის ყოფაში გვხვდება). ტბილეული ერთად ტბილადაბერების სურვილის გამოხატულებაა, ხურდა ფული კი ნაყოფიერებას, რკინასავით მტკიცე ოჯახის შენარჩუნებას, სიუხვეს, ბარაქიანობას და ახალდაქორწინებულთა ავი სულებისაგან დაცვას ემსახურება. ხალხის რწმენით, დედოფალზე გადაყრილი კამფეტის ბალიშის ქვეშ შემოდების შემთხვევაში დასაქორწინებულ ახალგაზრდებს მათი მომავალი საბედო დაესიზმრებათ (საბედოს ამოსაცნობად სხვა ხერხებსაც მიმართავენ: ახალგაზრდა იმერხეველები ვაშლს ისე გათლიან, რომ არ გაწყდეს ნათალი, შემდეგ მას დაახვევენ და სიზმარის ნახვის იმედით ბალიშქვეშ შემოდებენ; ან კიდევ, პურს ან მჭადს დააყრიან ბევრ მარილს, შეჭამენ და საბედო დაესიზმრებათ და ა. შ.).

პატარძალს პირველად დედამთილი ესალმება, პირში შაქარს ჩაუდებს, შეიყვანს „მუთფაღში“, ბუხარში (ბუხარს, კერას იქ „ოჯაღს“-აც ეძახიან) ჩამოკიდებულ „მურიან“ ჯაჭვზე ხელს მოაკიდებინებს, ან ფქვილში თუ ცომში ჩააყოფინებს და კედელზე, კერის თავზე („ოჯადითავში“) ჩამოასმევენებს. პატარძალს ზოგჯერ ლურსმანსაც მიაჭედებინებენ. ბარაქიანობის სურვილის გამოსახატავად, ბელელში უყრიან პურის მარცვალს და ლოცავენ:

„ღმერთმა ღარჭი მოგცეს“, „ბევრი იცოცხლე“, „კაცს არ წეკინკლო“. დედოფლის „ოდაში შეყვანა“, მასთან სიძის შეშვება, დედოფლის ოთახიდან ხელისმომკიდის (დადე) გამოსვლა და ქალ-ვაჟის მარტოდ დატოვება დედოფლის ძმისა თუ ხელისმომკიდისათვის ვაჟისა და მისი მამისაგან შესაბამის თანხის გადახდას გულისხმობს.

დედოფალი არ ერთვება საქორწინო ცერემონიაში. ის ზის თავის ოთახში - **(გერდგე-ში)**. მას იქვე გაუშლიან სუფრას, მექორწილეები კი - ქალები და კაცები ცალ-ცალკე ჯდებიან საქორწინო სუფრასთან. ზოგჯერ ქალებისა და კაცების ღხინი და გართობა სხვადასხვა დღესაა. ერთ დღეს მამაკაცები ერთობიან, მეორე დღეს - ქალები.

მეორე საღამოს სრულდება მეფე-დედოფლის ფულით დასაჩუქრების ცერემონიალი. ახალდაქორწინებულთა დასაჩუქრების მიზნით ვაჟის სანათესაოს ერთ-ერთი წარმომადგენელი მექორწილეებში „სინს მოარუნიებს“, რომელზეც „დაიყრება“ ფულადი საჩუქარი. შემოსული თანხის რაოდენობა ხმამაღლა გაცხადდება. ვინც მეტ ფულს დადებს, ის უფრო ღირებულ საჩუქარს მიიღებს დედოფლისაგან (ძირითადად მის მიერ მოქსოვილი წინდები, თავსაბური და ა. შ.). აღნიშნული რიტუალი წარმოადგენს უძველესი ქართული ტრადიციის „შაბაშის“ სახენაცვალ ფორმას, რომელიც იმერხველმა ქართველებმა დღემდე მოიტანეს „ბახშიშის“ სახელით (ტერმინი თურქულია, შინაარსი - ქართული). იგი შემოინახეს ფერეიდნელმა ქართველებმაც „შაბოს“ (<შაბაში) სახელწოდებით (გ. გოცირიძე 1987:130). მას გარკვეული მაგიურ-რელიგიური მნიშვნელობაც მიეწერება. შაბაშის შეგროვება ხდებოდა შენდევანირად: სხვადასხვა გასართობებს შორის ქორწილში ერთ-ერთი თავშესაქცევი იყო „ბახტის ჩაბმა“. ამ თამაშის შემდეგ მექორწილეები შედიან სახლში და ქეიფობენ. შუა ქეიფის დროს ქალებში მეოფე პატარძალს გაიყვანენ ნეფესთან, დაუკრავენ ლეკურს და ნათლია აცეკვდება. ამ დროს აირჩევენ მეშაბაშეს. იგი თეფშით ჩამოუვლის ხალხს და შაბაშის ფულს აკრებს. თამაშის დასრულების შემდეგ პატარძალი თავის ადგილს უბრუნდება, მეშაბაშე კი ფულს დაითვლის და შემოსული თანხის რაოდენობას ხმამაღლა გამოაცხადებს (ნ. მაჩაბელი 1978:64).

შაბაშის შესახებ ცნობას გვაწვდის ე. გაბაშვილი. „თინას ლეკურის“ მთავარი მოქმედი პირი, თინა ბატონის სახლში პატარძალთან ერთად ცეკვავს. მისი ცეკვის მომხიბვლევლობით აღტაცებული მექორწილეები მას „შაბაშის“ ფულს აძლევენ. შაბაში მოგვიანებით მუსიკოსების შრომის ანაზღაურების წყაროდ გადაიქცა (ნ. მაჩაბელი 1978:127).

იმერხვეში პატარძლის დასაჩუქრება ხდება განსხვავებული წესითაც, კერძოდ, ნაჩუქარ ფულს პირბადესა და კაბაზე ქინძისთავებით უმაგრებენ. ქალაღდის ფულს მანამ ჰკიდებენ, სანამ „მიწაზე არ ჩამოკორწილდება“, თანაც ისე, რომ ფული დედოფალს სახეს, ნეფეს კი მკერდს მთლიანად უფარვს.

მსგავსი რიტუალი სრულდება ბორჩხისა და მურღულის რაიონებში, ოღონდ იქ საჩუქრები ქინძისთავებით ემაგრება კისერზე შემოხვეულ 10-15 სმ. სიფართისა და 2-2,5 მეტრის სიგრძის თეთრ ან წითელ ნაჭერზე, რომელსაც **კორდელას** ეძახიან. კორდელას ორივე ბოლოში აბნევენ ბეჭდებს, რომლებსაც გადაბმული კორდელათი უკეთებენ ქალ-ვაჟს და ზევით ააწევენებენ გადაბმულბეჭდიან ხელებს. დალოცვის შემდეგ ვაჟის ახლობელი მიმართავს მექორწილეებს: „რა ვუყოთ ამ გოგოს, ენა მოვაჭრათ თუ ხელიო“. ამის შემდეგ ქორწილის წამყვანი კორდელას ჭრის შუაზე და იწყება დასაჩუქრება, რომელიც ცხადდება საჯაროდ. საჩუქრები ქინძისთავებით ემაგრება კორდელაზე. ვაჟის მხარე ასაჩუქრებს ვაჟს, ქალის ნათესავები კი პატარძალს.

შავშეთის ქართულ მოსახლეობაში საინტერესოა პირბადის (ვალა) ახდის რიტუალი. დანის წვერით პირბადის ახდისას მამამთილი ეკითხება პატარძალს: „კიწი (თავი) მოვაჭრა თუ ენაო“. მამამთილის შეკითხვას პასუხს სცემს ხელისმომკიდე: „კიწ (თავს) რომ მააჭრი, ენაც იქ წაყვებო“. ყვირალას ხეობაში კი ამავე რიტუალს განსხვავებული ვარიაციით ასრულებს მაზლი. იგი პატარძალს დანის ტრიალით ემუქრება, რითაც აგრძნობინებს: „ენა არ დამიგრძელო, თორემ ამ დანით წაგაჭრიო, თუ მუშაობა დაგეზარა, მაშინ ხელებს წაგაჭრიო“. თუმცა ჩანს, პირბადის ახდა მაინც მამამთილის მოვალეობაა, რიტუალის შესრულების შემდეგ მამამთილი პატარძალს ასაჩუქრებს.

ჩამოფარებული პირბადის ახლას დანის წვერით ცდილობს სასიძოც, მაგრამ პატარძლის ახლობლები ვაჟს ამის საშუალებას არ აძლევენ მანამ, სანამ გარკვეულ თანხას არ გადაახდებიან.

დანით ან ხანჯლით დედოფლისათვის პირბადის ახლა ფართოდაა გავრცელებული სხვადასხვა ხალხის ყოფაში. ღორჯომის ხეობაში მოპოვებული მასალების მიხედვით, დედოფლის ოთახიდან ყველაზე ბოლოს გამოდის დედამთილი (სხვათა შორის, ჩვენებურებში მკაცრადაა დაცული უმძრახობის ჩვეულება. პატარძალი დედამთილ-მამამთილს „უსულაჲ ელაპარიკება“. ბავშვის დაბადების შემდეგ შეუძლია დაელაპარაკოს ხმამაღლა მხოლოდ დედამთილს). იგი აფრთხილებს შვილს, რომ დედოფალს თვითონ ახადოს ფატა - ცოლი დამჯერი იქნებაო. აღნიშნული რიტუალი უძველესი ქართული ტრადიციის სახეცვლილი ფორმაა, რომლის მიხედვით სადედოფლო ოთახში მარტოდარჩენილ პატარძალს პირბადე ნეფემ დანით უნდა ახადოს, შემდეგ კი ხდება მათ შორის საჩუქრების გაცვლა. ქალი ჩუქნის მის მიერ მოქარგულ ცვირსახოცს, ხოლო ვაჟი - სამკაულს. ქალი თავისი საჩუქრით ვაჟს უმტკიცებდა, რომ ის მანამაღე ხელშეუხებელი იყო, ვაჟი - ასეთი ქალის ერთგული იქნებოდა, დანა კი გაფრთხილებაა.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ შავშელთა თანამედროვე ყოფაში დადასტურებული პირბადის ახლის რიტუალი ამ შესანიშნავი ტრადიციის სახესხვაობაა, რომელიც დღემდე მოიტანეს (გადმოცემის სახით მაინც) აჭარიდან XIX. 80-იან წლებში ადიგენის რაიონის სოფ. კიკიბოში ჩასახლებულმა მიგრანტებმა.

განსხვავებულია შავშელთა საქორწილო სუფრა სასიძოს ოჯახში. ყვირალას ხეობაში იგი მხოლოდ ერთი დასახელების კერძისაგან (გუფთა) შედგება, რომელსაც დააყოლებენ აირანს და ლიმონათს. ბაზგირეთისწყლის ხეობაში საქორწინო სუფრა შედარებით მრავალფეროვანია. საკუთრივ ბაზგირეთში ბავშვების დასაძინებლად წასვლის შემდეგ არ ერიდებიან ალკოჰოლური სასმელის დალევისა. იციან საჭმლის მოთხოვნაც:

„ვოსა, ვოსა, ვოდელია ნანინა,
ხუთი ბაქლაგა, ერთი ტოლმა,
ერთი ლივერიც მოიტანეთ“...

ბორჩხასა და მურღულში სუფრა საერთოდ არ იშლება. ქორწილის მსვლელობისას საგორებელი მაგიდით დარბაზში შემოაქვთ მრავალსართულიანი „ღუგუნ ფასტა“ (ტორტი), რომელსაც დაჭრის პატარძალი და ვაჟს (ვაჟი კი ქალს) მიართმევს ერთ ნაჭერს. ტორტის ნაჭრები ნაწილდება მექორწილეებზეც. ქორწილში ძირითადი დრო ცეკვა-სიმღერას ეთმობა.

იმერხეველთა ქორწილში პატარძალთან ყველაზე ბოლოს რჩება ქალის დადე (ხელისმომკიდე). პატარძალთან შესულ სიძეს დადე მიაწოდებს შარბათს, რომლის ნახევარს ვაჟი დაღვეს, ნახევარს - ქალი. ამის შემდეგ ხელისმომკიდე ოთახიდან გასვლისათვის ითხოვს საჩუქარს.

პატარძალი ფიზიკური სიახლოვის წინ წარმოთქვამს ქალწულობის გამოტირება-გამოთხოვების ფიცს. ახალდაქორწინებულებს პირველ სამ დღეს სქესობრივი თანაცხოვრების შემდეგ არ მოეთხოვებათ „განწმენდის“ რიტუალით გათვალისწინებული წესების შესრულება (ტანის დაბანა), რადგან აქ რამდენიმე დღეს გრძელდება ქორწილი. ხალხმრავლობაში კი თბილი წყალითა და ტაშტით სადედოფლო ოთახის უზრუნველყოფა გარკვეულ უხერხულობასთანაა დაკავშირებული. სხვა შემთხვევაში, რელიგიური მოტივით შემაგრებული „განწმენდის“ რიტუალი აუცილებლად უნდა შესრულდეს, რადგან „ჯანაბეთის“ (ცოდვილის), განუწმენდელის მიწაზე ფეხის დადგმა ისლამური ნორმების მიხედვით მიუტევებელ ცოდვად ითვლება. აღნიშნული რიტუალის შესრულება, რა თქმა უნდა, ჰიგიენური მოთხოვნისაა არის განმტკიცებული. ამავე დროს, წყალს (რითაც უნდა მოხდეს განწმენდა) თავისთავად მიეწერება გამანაყოფიერებელი ძალა (რასაც ადასტურებს აჭარაში, სამცხე-ჯავახეთში, აღმოსავლეთ საქართველოს მთაში წყალთან დაკავშირებით გავრცელებული გადმოცემები). ხალხური რწმენით, პატარძალი უნდა ეზიაროს წყლის გამანაყოფიერებელ ძალას, რათა უნაყოფო არ დარჩეს (თ. ოჩიაური 1975:165) ამიტომაცაა, რომ ფერეიდნელი ახალგაზრდა ქორწილის წინა დღეს ასრულებდა „აბანოს რიტუალს“. ფართოდ იყო ქალის წყალზე გაყვანის ტრადიცია ფშავეში, ხევსურეთში, აჭარაში. ჩვენ ვერ შევძელით შავშეთში დაგვეფიქ-

სირებიანა მეფე-პატარძლის ერთად „შეყრამდე“ სრულდება თუ არა წყალთან დაკავშირებული რაიმე რიტუალი, მაგრამ განბანვა-განწმენდის საზოგადოდ გავრცელებული წესი დანიშნულებით უნდა იყოს (ჰიგიენურთან ერთად) ქალისა და მამაკაცის წყალთან ზიარების ჩვეულება. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ განწმენდისას მათ მოეთხოვებათ სავალდებულო ლოცვის წარმოთქმა, რომელშიც ჩანს თხოვნა-ვედრება მაგიური ზებუნებრივი ძალისადმი განწმენდის თაობაზე. ამ რიტუალის შესრულების გარეშე ქალს უფლება არა აქვს ხელი შეახოს წმინდა საგნებს-პურს, ფქვილს, ჭურჭელს და. ა. შ.

ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ წყალი ამ შემთხვევაშიც ატარებს საკულტო ფუნქციის ელემენტებს, რაც მას ბედნიერების, შვილიერების მიმნიჭებელი ძალის ხასიათს ანიჭებს. განწმენდის რიტუალს რა თქმა უნდა ჰიგიენური დანიშნულებაც აქვს როგორც მუსულმანებში, ისე სხვა რელიგიური აღმსარებლობის მოსახლეობაში, მაგრამ ამოსავალი მაინც არის საკრალური ფუნქციის მატარებელი - წყალი. ამავე მიზანს ემსახურება ქორწინების მეორე დღეს სპეციალურად ქალის წყალზე გაყვანა და საესე ჭურჭლით-„გუგუმებით“ წყლის სახლში მიტანა. წყლის კულტს უკავშირდება უშილო ქალის ტბაში (ბაგინის თბილი, სამკურნალო წყალი, არდაშენის წყალი, ვანგოლი (ტბა, რომლის თევზსაც იყენებენ უშილოების წინააღმდეგ...) ბანაობის რიტუალი. ხალხური გადმოცემით, კარჩხალის ტბაში არის წყლის ბუდა, რომელიც „ეჭვდება სოფლის ხარებს.“ მათი რწმენით სწორედ ეს ბუდაა შვილიერების მიმნიჭებელი. წყალს ჩვენებურთა წარმოდგენებში ავი სულებისაგან თავდაცვის ფუნქციაც ეკისრებოდა. ამ მიზნით ახლობლები დედოფალს წყალში ჩაახედებენ, რათა მან დაინახოს „ჯაზები“ (ავი სული) და მომწუსხველი (მომჯადოებელი). ასეთ ქალს ისინი „ბახიჯი//ფალჯი//ჯინჯი-ს“ ეძახიან. მათ სწამთ, რომ დუშმანს (მტერს) შეუძლია ნალოცი წყალი მოახსხას ქალს, ან „დომუხის (დორის) დაღი წუხსვას“ ოჯახის დასაშლელად, ამიტომ ქალს „წყალზე უკითხავენ, ნაკითხ წყალს ასმევენ და ფხედუღემელ ადგილზე დაახამენ“, რათა დაზღვეული იყოს შესაძლო საფრთხისაგან. წყალს შეახამენ შორსმიმავალ ადამიანსა თუ ტრანსპორტს წინსვლისა და გამარჯვების უზრუნველსაყოფად.

ქორწინებიდან სამი დღის განმავლობაში ლოგინი და თეთრეული არ უნდა შეიცვალოს. პირველი ღამის შემდეგ ხელისმომკიდე (დადე) მეფე-დედოფლის არყოფნის მომენტში, მათგან შეუმჩნეველად შედის პატარძლის ოთახში და შეამოწმებს თეთრეულს - აქვს თუ არა ქალწულობის ნიშანი. რესპოდენტის თქმით, ქორწილი გრძელდება იმ შემთხვევაშიც, თუკი ქალი არ აღმოჩნდება ქალიშვილი (ხელისმომკიდე სიძესთან შეუთანხმებლად არ გაამჟღავნებდა), რაც საეჭვოა, რომ ასე ყოფილიყო.

სხვათა შორის, მსგავსი რიტუალები გვხვდება ერთმანეთისაგან განსხვავებული არა ერთი ხალხის ყოფაში. XVIII ს. მოგზაური ადამ ოლეარიუსი აღწერს პირველი ღამის თავისებურებებს ირანის მოსახლეობაში. მისი გადმოცემით „ძველად მიღებული წესის თანახმად, თუ ქალი ქალწული არ აღმოჩნდება, ვაჟს შეეძლო მისთვის ცხვირი ან ყური მოეჭრა და ისე გამოეგდო გარეთ. ახლა ეს უსიამოვნება მხოლოდ იმით მთავრდება, რომ პატარძალი თავის მეგობრებთან ერთად უხმოდ ტოვებს იქაურობას. იმ შემთხვევაში კი, როცა ყველაფერი რიგზეა, პატარძლის მხლებელი მოხუცი ამ ფაქტს ყველასათვის სარწმუნოს გახდის“ (გ. გოცირიძე 1987:123). რ. ვალუნოვის ინფორმაციით, ძველად, ირანის სოფლებში საქალწულო ზეწარს დოღზე გადაჭიმავდნენ და ხმამაღლა უკრავდნენ, რათა მთელი სოფელი შეყრილიყო მის სანახავად. უფრო მეტიც, პატიმრის ციხიდან გათავისუფლებაც იყო შესაძლებელი, თუ კი მას ოჯახის რომელიმე წევრის საქალწულო ზეწარი აღმოაჩნდება (P.Галунов 1990:193-195).

პირველი ღამის რიტუალი და საქალწულო ზეწარის შემოწმების ჩვეულება სხვადასხვა ხალხის ცხოვრებაში (ებრაელებში, სომხებში, ოსებში...) შემორჩენილი იყო XIX ს. დასაწყისამდე. მაგ. შუა აზიაში, ტაჯიკეთში გავრცელებული იყო „საქალწულე ზეწარის“ დაგების, ზოგან კი თეთრეულის მზითევთან ერთად „გამზევრების“ ჩვეულება (გ. გოცირიძე 1987:124). ზოგიერთი ავტორი ამ რიტუალში პირველყოფილობის ელემენტებს ეძებდა. ივანე ჯავახიშვილის აზრით, აღნიშნული ჩვეულება, თავისი ველურობის მიუხედავად, ძველი არ უნდა იყოს, რადგან პირველყოფილ მდგომარეობაში ქალწულობის ასეთი შემოწმება წარმოუდგენელია (ივ. ჯავახიშვილი 1928:158-159).

იმერხვეის სინამდვილეში დაფიქსირებული ქალწულობის შემოწმების ზემოაღნიშნული ჩვეულება გვაფიქრებინებს, რომ მას საქართველოს სხვა რეგიონებშიც ჰქონდა ადგილი.

ნიშანდობლივია, რომ ღორჯომის ხეობაში (ხულოს რაიონი, 2002 წ. ექსპედიციის მასალები) ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილ ცალკეულ გადმოცემაში დაფიქსირდა ამ რიტუალის არსებობა, თუმცა ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში მსგავსი რამ არ გვხვდება. სავარაუდებელია, რომ იგი ძალიან ძველად იყო და დაიკარგა, ან არ იყო და თურქთა ბატონობის პირობებში შეიძინეს დამპყრობლებისაგან. საყურადღებოა, რომ იმერხეველთა გადმოცემით, პატარძლის ქალწულობას ამოწმებს **დადე** (ხელისმომკიდე). „დადე“, არნ. ჩიქობავას განმარტებით, „დის“-განაა ნაწარმოები (არნ. ჩიქობავა 1938:29). იგი პატარძლის ნათესავი, მისი მეგვარე და ინტერესის დამცველია. **დადის//ხელისმომკიდის** ინსტიტუტი უძველეს დროს უნდა გაჩენილიყო. დადე პატარძლის გამყოლი და მასზე მზრუნველია. მას იმთავითვე ეკისრებოდა საკრალურ-რელიგიური ფუნქცია (ავი სულეებისაგან მეფე-პატარძლის დაცვის მიზნით იგი წვებოდა სადღეღოფლო ოთახის კარის უკან, ლოგინში ჩაუდებდა ხანჯალს და ტკბილეულს. ვაჟიანობის დაბედების სურვილით პატარძალს პატარა ბიჭსაც ჩაუჯენდნენ კალთაში და. ა. შ.) და ამავე დროს პრაქტიკული ამოცანა - პატარძლისადმი მზრუნველობა. ქორწინებას შეიძლება მოყოლოდა ქალის ფსიქოლოგიური ტრავმირება, ფიზიკური დასუსტება, სქესობრივი ცხოვრების მოშლა და. ა. შ. დადე ასეთ შემთხვევაში ქალს დედის მაგივრობას უწევდა.

პირველი დამის ზოგადეთნოგრაფიული რიტუალი და ქალწულობის აღნიშნული წესით შემოწმება საეჭვოა რომ სრულდებოდეს. შავშეთის ქართულ მოსახლეობაში იგი მხოლოდ გადმოცემაში ფიქსირდება. მან დაკარგა თავისი პირვანდელი სახე და ქორწილის მხატვრულ გაფორმებად იქცა.

ამრიგად, შავშური ოჯახი და ქორწინება სოციალური ურთიერთობის ის მძლავრი ინსტრუმენტია, რომელმაც ხელი შეუწყო აქაურთა ყოფაში ქართული ტრადიციების შემონახვასა და, შესაბამისად, ეთნიკური იერსახის შენარჩუნებას. ამ წეს-ჩვეულებათა შედარებითი ანალიზი საშუალებას იძლევა დავინახოთ აშკარა მსგავსება ზოგადქართულ ტრადიციებთან. მსგავსება უფრო ხელშესახებია აჭარულ ქორწილთან მიმართებაში, რაც აჭარელთა და შავშთა ისტორიული ბედის გარკვეული ერთობით (ოსმალთა ბატონობის სპეციფიკა) არის განპირობებული, თუმცა თურქებთან თანაცხოვრების, ეთნიკური შერევისა და ადაპტაციის ხანგრძლივი პროცესის შედეგად, უკანასკნელნი არ არიან დაცული თურქული ელემენტებისაგან (იმერხევეში მიღებულია ქორწინება დეიდაშვილებს, ბიძაშვილებს, ბიძაშვილ-მამიდაშვილებს შორის, ასევე არაა აკრძალული ცოლის დის შერთვაც), რის გამოც ხშირად უჭირთ თურქული და ქართული ყოფითი ტრადიციების ერთმანეთისაგან გარჩევა. ამის გამო, გაუთვითცნობიერებელ ადამიანს შეიძლება სამართლიანად გაუჩნდეს ეჭვი და დასვას კითხვა: ქართველობა შავშელთათვის ცნობიერებაა თუ ტრადიცია? მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით; დაკვირვებული თვალი მაშინვე შენიშნავს საკუთარ ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს პოლიტიკურ საზღვრებში მცხოვრები ქართული მოსახლეობის მიერ საკუთარი ძირძველი ქართული ტრადიციების შემონახულობას, რაც სხვასთან ერთად ვლინდება საქორწინო ურთიერთობების განსაზღვრულ წინაპირობებში, საქორწინო ასაკში, ოჯახის წევრთა უფლებრივ მდგომარეობაში, ახალი წევრის ინკორპორაციასა და რძლის სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებში და ა.შ. ორთოდოქსალურმა ისლამურმა გარემომ ვერ აიძულა შავშები დაერღვიათ ტრადიციული ქართული ოჯახის საფუძვლები და თურქებისაგან განსხვავებით ბოლომდე შეინარჩუნეს მონოგამიური ოჯახი.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი მონაცემები მხოლოდ ნაწილობრივ წარმოაჩენს შავშურ ქორწინებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ბევრი პრობლემა მოითხოვს შემდგომ კვლევას. ჩვენი კვლევა მხოლოდ დასაწყისია შემდგომი რთული და საინტერესო მუშაობისა. ერთი რამ შეიძლება დანამდვილებით ითქვას: ისლამურ გარემოში ცხოვრების მიუხედავად შავშეთის ქართველობამ ბოლომდე დაიცვა ქართული ყოფისა და კულტურისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი, რითაც იგი დაუპირისპირდა ისლამურ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებულ ოსმალური ცხოვრების წესს.

§13. სტუმარ-მასპინძლობა შავშეთში

თანამედროვე თუ ძველი საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქების ტრადიციული საზოგადოების სოციალური მოდელი ტიპოლოგიურად არ არის ერთნაირი. ქართველთა საზოგადოებრივ ცხოვრებას გათავისებულები აქვს თანამედროვე ცივილიზაციის ცალკეული ელემენტები, მაგრამ ამავე დროს ხასიათდება ადრეული ეპოქების ყოფითი კულტურის თავისებურებების შემონახულობითა და ლოკალური სპეციფიკით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შავშეთი, საკუთრივ იმერხევის ხეობა (მექართულე შავშეთი) და ამ ხეობაში მცხოვრები მოსახლეობის სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციები.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ სტუმარ-მასპინძლობასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში ყველაზე მეტად ვლინდება იმერხეველთა გენეტიკური ნათესაობა დანარჩენი საქართველოს მოსახლეობასთან. ისევე როგორც ყოფითი კულტურის სხვა ელემენტებმა, სტუმარ-მასპინძლობამაც უცხო სახელმწიფოს პოლიტიკურ საზღვრებში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობაში შეიძინა ეთნიკური ფუნქცია და ემსახურება (და ემსახურებოდა) ქართველობის დაცვის ინტერესებს.

იმერხეველებმა დღემდე თითქმის სრულად მოიტანეს სტუმარ-მასპინძლობისათვის დამახასიათებელი ზოგადეთნიკური (ზოგადქართული, ზოგადკავკასიური) თავისებურებები. ამ თვალსაზრისით ისინი ემსგავსებიან აჭარლებს. დახვედრა, გამასპინძლება, კერძები და ამ ჩვეულებასთან დაკავშირებული სხვა წეს-ჩვეულებები თუ რიტუალები გვაფიქრებინებს, რომ სტუმრად ხარ რომელიმე აჭარულ ოჯახში. თ. სახოკიამ თავის დროზე საინტერესოდ აღწერა აჭარელთა სტუმარმასპინძლობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. „გამასპინძლება, წერს იგი, ყოველ მოლოდინს აღემატება. მეტისმეტი სიფრთხილე და ცდა მართებს უცხო კაცს, რომ აქაურ სუფრაზე ადგილობრივი ეტიკეტი პირნათლად აღასრულოს და თავისი ქცევა უზრდელობაში არ ჩამოერთვას. საჭმელთა სიმრავლეა, რომ კაცს ოფლს აწურინებს! ჭამის წინ მსახურს (რა თქმა უნდა მამათა სქესისას) შემოაქვს მეტად თავისებური ტასტი, რომელშიაც საწურსავით დაცხრილული სპილენძის ხუფი თავდაყირაა ჩამხობილი, რომ ტაშტში ჩასული წყლის წინწკლები ზევით არ ამოვიდეს და სტუმარს არ მოხვდეს. ამ ტასტს მსახური დაჩოქილად გაწვდით და ისე გაბანინებთ ხელს. მეორე მსახურს ხელსახოცი უჭირავს. ყველას რომ ჩამოვილიან, მერე შუაში დგამენ მრგვალ ხის სუფრას, მრგვალფეხიანს, სწორედ რომ საეკლესიო ფეშხუმის მსგავსს. საყურადღებო ის არის, რომ სახელადაც ამ სუფრას აქ ფეშხუმს ეძახიან. სტუმრები და მასპინძელი ამ ფეშხუმს გარშემო უსხდებიან. ზედა დგამენ რიგ-რიგად თითო საკმაროდ დიდ სინს სპილენძისას, რომელიც ყველასათვის საერთოა და შეიცავს ერთ ხელ საჭმელს. დანარჩენი ხელი საჭმელები ამნაირივე სინებში მოქცეულები, აქვე მახლობლად ტახტზე აწყვია, თავდახურული, გაუცივებლობისათვის. ამ სინის გვერდით აწყვია სქელი მჭადის ნაჭრები, ცხელ-ცხელი. ყველანი სათითაოდ ამ მჭადს გასაცივებლად ხელში აგუნდავებენ, მერე ერთი გაუღენთილ შეჭამანდს ამოავლებენ და ასე გაპოხილი ლუკმაც ადვილად პოულობს გზას. აი, თვით მენიუ სადილისა: 1) შორვა (ჩიხირთმის მსგავსი), 2) სუთლი (რძეში მოხარშული ბრინჯი), 3) ფლავი, 4) ქათმის ტაბაკა, 5) ყველი და კვერცხი ერთმანეთში არეული და ერთი მოხრაკული, 6) ბორანი (ერბოკვერცხი), 7) ცხვრის ხორცი მოხარშული, 8) ბურღული (დაღერდილი ხორბალი ერთში მოხარშული, 9) ხინკალი ყველისა და ბოლოს ყავა! სასმელად აქაურ ბროლივით ანკარა და ყინვასავით ცივ წყალსა ხმარობენ. ყოველი ხელი საჭმელი ჭარბად მოაქვთ და ადგილობრივი პოლიტესი მოითხოვს სტუმარმა ყველას გემო მაინც ნახოს, თუ გულმოდგინედ ვერა სჭამს, ანუ როგორც აქ ამბობენ, ვერ შეურიგდება“ (თ. სახოკია 1985:266, 267)

თ. სახოკიას აღწერილობის შემდეგ სტუმარ-მასპინძლობის წესებში ბევრი რამ დღესაც უცვლელი დარჩა. იმერხეველი მასპინძლები დღესაც განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ სტუმარს, უმზადებენ ტრადიციულ კერძებს, ცდილობენ სახეიმო განწყობილების შექმნას, მისი თხოვნის შესრულებას, გამხიარულებას, სიმშვიდის უზრუნველყოფას. იმერხევი დაუშვებელია სტუმრის მიღებაზე უარის თქმა. სტუმარს შეუძლია მოველინოს ოჯახს დღისა და ღამის ნებისმიერ დროს. ყველა სახლს აქვს ცალკე სტუმრის//მოსაფირის ოდა, მოსაფირის ჭურჭელი, მოსაფირის ლოგინი, მოსაფირის ხელსახოცი და ა. შ.

ბაზგირეთში ჩვენი ექსპედიციის წევრებს გვიმასპინძლა მეიდან ყადიოღლი-ბოლქვაძემ. სუფრის გასაწობად მასპინძელმა მეზობელ მანდილოსანს სთხოვა დახმარება (ოჯახის დიასახლისი მთაში იმყოფებოდა). აქაური კერძები იდენტურია აჭარული კერძებისა. გაგვიმასპინძლდნენ **გაწურული მაწონით** (წყალში გაღესილი), **თაფლით**, **ერიშტით**, **ბიშითა** და **ჩაით**. ნიშანდობლივია, რომ საჭმელებს ისინი მიირთმევენ საერთო თევზიდან. მასპინძელი ცდილობს, რომ სტუმარი უკმაყოფილო არ გაუშვას სახლიდან. წამოსვლისას მოვიბოდიშეთ, რომ მყუდროება დაფურღვიეთ, მაგრამ დაგვამშვიდა: „არ გავწუხებულვარ (შევწუხებულვარ), კიდევ მესტუმრეთ“.

სოფ. სვირევანსა და უბეში სუფრაზე სტუმრის მიპატიუებისას მასპინძელი იყენებს ტერმინს - „**ბრძანეთ ბატონო**“ ე.ი. მიირთვითო. სხვათა შორის იგივე ტერმინი თავის დროზე აჭარაში, საკუთრივ ღორჯომის ხეობაში დააფიქსირა თ. სახოკიამ. მოგზაური წერს: „პატარა მალხაზმა ბიჭმა გუგუში გაარბენინა და თვალის დახამხამებაში მშვენიერი ცივი, ანკარა წყაროს წყალი მოიტანა. ჯერ ხელი დამაბანინა და ერთმა მოხუცებულმა, რომელმაც მასპინძლის როლი იკისრა, დიდის თავაზიანობით მითხრა: „ბრძანე ბატონო!“ პირველად ვერ გავიგე იმისი ქართული და ჩემს თავსა ვკითხე, რის თქმა უნდა-მეთქი, მაგრამ იმისმა საჭმლისაკენ გამომშვერილმა ხელმა მიმახვედრა, რომ საჭმლის ჭამასა მთხოვდა“(თ. სახოკია 1985:266, 267).

ზოგან მასპინძელი სუფრის გაშლამდე სტუმარს აირანს ან ჩაის შესთავაზებს.

ჩაის დაღვევის შემდეგ ჩვეულებრივ ჭიქას ამოაბრუნებენ, ან ჭიქაზე ზემოდან კოვზს დაადებენ, რაც იმის ნიშანია, რომ მეტის დაღვევა აღარ გინდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაის ხელახლა დაგისხამენ.

იმერხევში სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციები შეურყვნელადაა დღემდე შემონახული, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად იგი განიცდის ტრანსფორმაციას. თანამედროვე პირობებში აღარაა საჭირო გზისპირა მოსასვენებელი სახლები, რადგან უამრავი სასტუმრო, ტურბაზა თუ კემპინგია, მაგრამ რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ეს ტრადიცია იმერხევში კვლავაც ძველებურად აგრძელებს არსებობას, როგორც ადამიანთა ურთიერთობის საზოგადოებრივი ქცევის ნორმა.

§14. გლობალიზაცია და გენდეხედი ცნობიერების ასახვა შავშელთა ყოფაში

ქალისა და მამაკაცის იერარქიული პოზიციები, უფლებრივი მდგომარეობისა და სტატუსის, სოციალური ფუნქციის კვლევა ყოველთვის შედიოდა ქართველი ეთნოლოგების ინტერესთა სფეროში. აღნიშნული საკითხის შესწავლა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ისტორიულ საქართველოში, სადაც რელიგიური ტრანსფორმაცია (ისლამური აღმსარებლობა) გახდა ქალისა და მამაკაცის სოციალური მოდელის განსაზღვრის ერთ-ერთი განმპირობებელი ფაქტორი. ისლამი გარკვეულწილად ადამიანის სოციალიზაციის, ქალისა და მამაკაცის საქმიანობის სფეროს, შესაძლებლობების, ქცევის ნორმებისა და ღირებულებების განმსაზღვრელადაც იქცა ჩვენებურთა ყოფაში. თუმცა არც სხვა ფასეულობების უგულებელყოფა შეიძლება. ისტორიულად შემუშავებული ემპირიული ცოდნა-გამოცდილება, ტრადიციული ადათ-წესები, სქესობრივი კუთვნილების მიხედვით ადამიანთა სოციალიზაციის სპეციფიკური თავისებურებანი დაღეპილია ჩვენებურთა ცნობიერებაში და ცალკეულ შემთხვევებში იგი გამოხატულებას პოულობს ყოველდღიურ ყოფაში.

ისლამი ქალისა და მამაკაცის გენდერულ ცნობიერებასა და სტერეოტიპებზე ახდენს მნიშვნელოვან გავლენას, თუმცა იგი ცვალებადია ერთსა და იგივე ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებშიც კი. მიუხედავად ამისა, იგი არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ქალისა და მამაკაცის ბუნების, მათი როლისა და სოციალური სტატუსის შესახებ არსებული წარმოდგენების საბაზისო მსოფლმხედველობა. ჩვენებურთა შეხედულებები არსებულთან დაკავშირებით ეფუძნება ტრადიციულ-ქართულ წარმოდგენებს, რომლებმაც ტრანსფორმაცია განიცადა ახალ გარემოში, მაგრამ საფუძველი მაინც ქართული დარჩა.

შავშელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში (იმერხეველთა მაგალითზე) ქალისა და მამაკაცის გენდერული ფუნქციები საკმაოდ ნათლადაა დიფერენცირებული. როგორც ქალს, ისე მამაკაცს გააჩნია კონკრეტული ადგილი და მკაცრად განსაზღვრული ფუნქცია. ადამიანის საქმიანობა, ისევე როგორც ზოგადად საქართველოში (იხ. გ. ჯალაბაძე, 2009:194) დაყოფილია სქესობრივი და ასაკობრივი ნიშნის მიხედვით. სოციალური ქცევის ნორმები, გენდერული აკრძალვები ამ პრინციპებს ექვემდებარება.

შავშურ ოჯახში დაცულია მამაკაცის უპირატესობის წესი, თუმცა იგი არ შეიძლება მხოლოდ ისლამურ წარმოდგენებს დაუკავშირდეს. ოჯახში მამაკაცის უპირატესობა დამახასიათებელია მსოფლიოს მრავალი არაისლამური აღმსარებლობის ხალხისთვისაც. საქართველოში, განსაკუთრებით მის მთიან რეგიონებში, ეს წესი დღესაც ინარჩუნებს თავის აქტუალობას (გ. ჯალაბაძე 2008:194). მამაკაცი აქ არის ოჯახის უფროსი, **სახლის დიდი**. საოჯახო საქმეების გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მისი დასტურით. რესპოდენტის თქმით, „სახლის დიდის (უფროსის – თ.ფ.) სიტყვა სრულდება, თვითონაც ისაქმებს“. იგი ასაკითაც უფროსი უნდა იყოს, მაგრამ „თუ ჭკუას უსტია, უფროსი იმის მიმტანო იქნება“ (თ. ფუტყარაძე, 2009). ოჯახის საშინაო და საგარეო საკითხების მოგვარება-გადაწყვეტაზე პასუხისმგებლობასაც სახლის დიდი იღებდა. თუ ოჯახში მამაკაცები არ არიან, ბუნებრივია, პასუხისმგებლობას იღებს ქალი.

რაც შეეხება ბავშვების აღზრდას, ფუნქციები აქაც დიფერენცირებულია. მამა ბავშვებს „იმის მემრე შეხედავს, ღარჯი (ბიჭი) რომ გასუფთავდება და ქვეშ აღარ იქს, ბაჭალას (გოგოს) გათხუებამდე ანაჲ (დედა) შეხედავს“ (თ. ფუტყარაძე, 2009). მამა ძირითადად ხელმძღვანელობს ვაჟის აღზრდას, ასწავლის სამეურნეო საქმიანობას (ხვნა, თესვა, შეშის დამზადება, თიბვა და ასე შემდეგ). ასაკის ზრდასთან ერთად იზრდება ბავშვის დატვირთვა. ქალი ქმრის მორჩილია, თუმცა საოჯახო საქმეებში პრიორიტეტი მას ენიჭება. უფროსი ქალი ახდენს საოჯახო საქმიანობების ორგანიზაციას, შრომის განაწილებას, ხელმძღვანელობს მთობის პერიოდში რძის პროდუქტების (ყველი, ძაღი (კარაქი), წუა (ნადუდი და ა.შ) წარმოებასა და მომარაგებას. მისსავე ფუნქციებში შედის საოჯახო და საგვარეულო ტრადიციების, ადათ-წესების შენახვა, თაობიდან თაობისათვის გადაცემა. ნიშანდობლივია, რომ კონფლიქტურ სიტუაციებში უფროს ქალს შეუძლია წონადი სიტყვის თქმა, რასაც აუცილებლად გაითვალისწინებენ. ისლამური ტრადიცია, ცხადია, არ აძლევს ქალს ამის უფლებას. უცხო რელიგიური გარემოს პირობებშიც კი, ჩვენებურებში ქალმა შეძლო ცალკეულ შემთხვევებში თავისი პრიორიტეტული როლის შენარჩუნება, რაც, რა თქმა უნდა, ქართველობის დაცვის ინტერესებს ემსახურება.

ქალი მონაწილეობს არამარტო შიდა საოჯახო საქმეებში, არამედ მის გარეთაც. რესპოდენტის დახასიათებით, „ქალი პურ გააკეთებს, საქონელ შეხედავს, თივას დუჟურის, დუჟვის, მოწველავს, წყალ ასვამს, ურბას გარეცხავს, სადილ გააკეთებს, სახლ გაასუფთავებს, ჰამა ჭალაშიც წაყვება კაც, მანგლით მოთიბავს, დაფოცხავს და ათაფულებს“. როგორც ვხედავთ, აქური ქალის შრომა საკმაოდ მძიმეა, თუმცა გასათვალისწინებელია მათი შრომის ასაკობრივი დიფერენციაცია. შიგასაოჯახო საქმეებს ძირითადად იჯახის ასაკით უფროსი ქალები უძღვებიან: „ბერ-დედაბერს ცოტას ამუშავებენ. დიდ ანაჲ (ბებია) პურ ჩაასხამს (დააკრავს), სახლ დაგვის, მემთევრად წავა, დედედ (ბაბუა) ნენეს დეეშეველება (დაეხმარება)“.

მკაცრადაა განსაზღვრული მამაკაცების შრომითი საქმიანობის სფეროც. კაცი „ძიმე საქმეს აკეთებს“. ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფა, თვითა და შეშით მომარაგება მამაკაცის ფუნქციაში შედის. „ქალებ ფარიან ალაგას არ ასაქმებენ, მუსლიმანობა არ იჯება“. სამაგიეროდ ეს ფუნქცია მამაკაცებს აქვთ დაკისრებული. მამის ფუნქციებში შედის შვილების დაოჯახების საქმეც, თუმცა „ბაჭალას“ გათხოვებისას ითვალისწინებენ დედის აზრსაც. თუ დედა წინააღმდეგია, მაშინ „ბაჭალას ჰკითხავენ“. ნიშანდობლივია, რომ ადრე შვილების აზრს საერთოდ არ ექცეოდა ყურადღება. დღეისათვის ახალგაზრდების აზრს ამ თვალსაზრისით გარკვეულ ანგარიშს უწევენ. „ბაჭალას ახლა ჰაცხა უნდა იქ წავა“. აღნიშნული ტრანსფორმაცია საზოგადოებრივი განვითარების წინსვლით არის განპირობებული.

თანამედროვე პირობებში ამა თუ იმ ხალხის ეთნიკური კულტურა შეეჯახა მაშტაბურ, გლობალურ პრობლემებს, რომლებიც გარკვეულწილად კულტურული და სულიერი კრიზისის წინაპირობებს ქმნიან. დღესდღეისობით იშვიათია ქვეყანა, რომელიც მეტ-ნაკლებად არ იყოს ჩართული ამ პროცესში. ცხადია, ამ პროცესების მიღმა ვერ დარჩება თურქეთი. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ დასავლეთისა (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია) და აშშ-ისთვის დამახასიათებელი კულტურის ელემენტები ფართოდ ვრცელდება დანარჩენ სამყაროში. ისიც ცნობილია, რომ ევროპული კულტურისათვის მთავარია ინდივიდუალიზმი, სასტიკი კონკურენცია, რამაც საბოლოოდ უნდა განსაზღვროს შედეგი – პიროვნების წარმატება. თურქეთის ევროპულ ნაწილში სახეზეა აღნიშნული რეალობა, თუმცა განაპირა რეგიონებში იგი ფეხს ძნელად იკიდებს.

ჩვენი ინტერესების სფეროში შედის გენდერული სუბკულტურის ადგილი და მნიშვნელობა გლობალიზაციის პირობებში ეთნიკურ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაში, რომლებიც დღეს იმყოფებიან სხვა სახელმწიფოს პოლიტიკურ საზღვრებში. გენდერულ სუბკულტურაში ვგულისხმობთ ქალთა შეხედულებების, ღირებულებებისა და ქცევის ნორმების ერთობლიობას, მათ ადგილსა და როლს საზოგადოებაში. დასავლეთში აღნიშნული სუბკულტურის ჩამოყალიბება უკავშირდება ქალთა ემანსიპაციას, მათ ჩართულობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ცხოვრების დამოუკიდებლად წარმართვის შესაძლებლობას და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი მჭიდრო კავშირშია დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკურ აღმავლობასთან.

თურქეთის ევროპული ნაწილისგან განსხვავებით, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, საკუთრივ ისტორიულ ტაო-კლარჯეთსა და შავშეთში, ქალთა დამოუკიდებლობა, ემანსიპაცია, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმა მოქცეულია განსაზღვრულ ჩარჩოებში. შეიძლება ითქვას, რომ მას აქვს სიმბოლური ხასიათი. იგი ავტონომიურია, ჩაკეტილი და მოწოდებულია შეინარჩუნოს თავისი სოციალ-კულტურული ნიშნები, გაემიჯნოს ევროპულ კულტურულ სამყაროს, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ფასეულობათა ლოკალური კომპლექსები არღვევენ საკუთარი კულტურული გარემოს ჩარჩოს და ცდილობენ ახალი კულტურული ღირებულებების დამკვიდრებას. ის, რომ დღეს „ბაკალას ჰაცხა უნდა იქ წავა“ არის მათი წინაპრებისა და მშობლების კულტურული ღირებულებების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების სურვილი, ანუ გარკვეული აზრით კონტრკულტურა (კულტурология XX век, 1998:322). გასათვალისწინებელია, რომ გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებულია ქალის როლი. ბევრი რამ სწორედ ქალზე დამოკიდებული, კერძოდ, როგორ მიიღებს ის იმ კულტურულ ფასეულობათა და ზნეობრივ-მორალური ნორმების ცვლილებებს, რომელიც თან მოაქვს გლობალიზაციას. ის, რომ „ადრე ბაკალას და დარჯს არვინ არ ეკითხებოდა“ გათხოვება-დაქორწინებას და დღეს რომ „დარჯი აღარ გვიდინგლავს (გვისმენს), ბაკალას ჰაცხა უნდა იქ წავა“, ამ ცვლილებათა კონკრეტული გამოხატულებაა.

დღეისათვის ისტორიულ საქართველოში პირობითად შეიძლება გამოიყოს ე.წ. გენდერული სუბკულტურის შედეგების ძირითადი ტენდენციები, კერძოდ:

1. ქალები რომლებიც ოჯახთან ერთად მუდმივ საცხოვრებლად გადავიდნენ თურქეთის ევროპული ნაწილის დიდ ქალაქებში და ცდლობენ დასავლეთ ევროპასთან ინტეგრირებას;
2. ქალები, რომლებიც ინარჩუნებენ თავიანთ საცხოვრისს ტაო-კლარჯეთში, ზაფხულობით ბრუნდებიან მამა-პაპისეულ სახლებში, წელიწადის სხვა დროებში კი ცხოვრობენ ქვეყნის დიდ ქალაქებში;
3. ქალები, რომლებიც ეკონომიკური პირობების გამო ვერ ახერხებენ სხვაგან გადასვლას, რჩებიან ადგილზე და მასმედიის საშუალებით ეცნობიან ახალ ფასეულობებს (რომელთაგან ზოგიერთი ნებისთ თუ უნებლიედ, შეუმჩნეველად, მაგრამ მაინც, ინერგება ყოფაში);
4. ქალები, რომლებიც უარყოფენ ყოველგვარ სიახლეს და მისდევენ ადათობრივ ტრადიციებს, რომლებიც ძირითადად ისლამის დოგმებს უკავშირდებიან.

პირველ შემთხვევაში ქალებს (და მამაკაცებსაც) უწევთ ურთიერთობა დიდ ქალაქებში მცხოვრებ მოსახლეობასთან, მათ შეხედულებებთან, ღირებულებათა სისტემასთან. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო კონსერვატიულია, რასაც ამყარებს ისლამური დოგმები, ნელა, მაგრამ მაინც, აქაც ხდება დასავლური ღირებულებების

ცალკეული ელემენტების დანერგვა. ამდენად მათი ქცევის ნორმებისა თუ ცხოვრების წესის ათვისებას თავისუფალი ხასიათი აქვს. იძულების მექანიზმები არ მოქმედებს, რადგან თვითონაა დაინტერესებული მოხდეს **ასოციებში მისი ინტეგრირება**. ინტეგრირების დონე და ხარისხი დამოკიდებულია თავად პიროვნებასა და შესაბამის გარემო პირობებზე. არსებობს თეორიული შესაძლებლობა იმისა, რომ მოხდეს ტრადიციულ ფასეულობათა სისტემის სრული ტრანსფორმაცია და ახლით ჩანაცვლება, თუმცა უფრო მოსალოდნელია ადაპტაცია.

მეორე შემთხვევაში ხდება თავიანთი ნეგატიური თუ პოზიტიური გამოცდილების გადმოტანა მამა-პაპისეულ დასახლებაში და შესაბამისი გარემო პირობების ვითარებაში ხდება მისი გავრცელება.

მესამე შემთხვევაში ქალებისათვის სრულიად არაა მისაწვდომი დიდ ქალაქებში შემოსული ელემენტები. ამიტომ სრულიად ვერ ხერხდება მისი ათვისება. იგი მხოლოდ მასმედიაზეა დამოკიდებული. ცალკეულ შემთხვევაში შესაძლოა გაუნდეს ქალს ამა თუ იმ სფეროში ბრმად მიბადვის სურვილი, რასაც შემდეგ მოჰყვება კულტურის მარგინალიზაცია-ველგარიზაცია, თუმცა თურქეთის ქართულ სოფლებში არსებული გარემო პირობები ამის შესაძლებლობას პრაქტიკულად არ იძლევა.

ბოლო შემთხვევაში იგულისხმება არსებული კულტურის იზოლაციისაკენ სწრაფვა, რასაც გლობალიზაციის პერიოდში შედეგად მოჰყვება კულტურული უძრაობა” (რ. მიქაუტაძე, ქ. ჟორჯოლიანი 2007: 244). ამ ტიპის მოსახლეობაში უფრო შენარჩუნდება ქართული ყოფისა და კულტურის ზოგადეთნიკური თავისებურებები.

გენდერული ცნობიერების ცალკეული ასპექტები მკვეთრად აისახება შავშელთა ჩვეულებით სამართალში. მამაკაცის უპირატესი როლი და უფლებები ვლინდება სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტაში, კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებისას, სისხლის აღების ტრადიციაში (რომლებშიც ქალს მონაწილეობა საერთოდ ეკრძალება), ეკონომიკური, საოჯახო თუ ადათობრივი სამართლის ნებისმიერ სფეროში.

განსხვავებული იყო და არის ოჯახურ საკუთრებაში ქალის ქონებრივი წილი. ცხადია ასეთი გენდერული ტრანსფორმაცია მარტო ისლამური დოგმებით არ აიხსნება. იგი ნათლად ჩანს ზოგიერთ ქართულ ჩვეულებით სამართალშიც. მთიან აჭარაში, ასევე საქართველოს სხვა მთიან რეგიონებში, დღემდე მკვეთრადაა გამოხატული აღნიშნულ სფეროში მამაკაცის უპირატესობა. ტრადიციული ნორმები განსაკუთრებული მდგრადობით მთიან რეგიონებში არის შემორჩენილი. შავშელთა სამართლებრივ ცნობიერებაში იგი წინარე ქართული ეპოქის რელიქტად უნდა იქნეს მიჩნეული.

გენდერული ქცევის ნორმების მკაცრ დაცვას მოითხოვდა სტუმართმასპინძლობის ტრადიციები. თურქეთის საქართველოში სტუმრის მიღება დიფერენცირებული იყო სქესობრივი ნიშნის მიხედვით. მართალია, თანამედროვე პირობებში სტუმარს შემოიპატიუებს როგორც მამაკაცი, ისე დიასახლისი, მაგრამ ქალ სტუმართან (თუ ის ახლობელი არაა) მამაკაცები არ ჯდებიან და, პირიქით, კაც სტუმართან ქალები ერიდებიან დაჯდომას. სტუმრად მისულ უცხო მამაკაცს კაცი ემსახურება, სუფრასთან თვითონ შეუტანს კერძს „მოსაფირის“ (სტუმრის) ოთახში. ცალკეულ სოფლებში (მაგ. ბაზგირეთი, სადაც საჭმელს მიირთმევენ საერთო თევზიდან) მამაკაცს შემოიპატიუებენ დიასახლისებიც, თუმცა მამაკაცი სტუმრის მიღებაზე ქალთაგან არც უარის თქმაა გამორიცხებული.

გენდერული სტრატეგიკაცია ზოგადად გამოიხატება ქართულ ტრადიციულ საცხოვრებელში, სადაც დედაბოძი (მაგ. აღმოსავლეთ საქართველოს მთა) ყოფდა სახლს სადედაკაცო და მამაკაცო მხარეებად (ნ. ჯალაბაძე 2009:194). ასევე იყო აჭარულ საცხოვრებელშიც. კერის ერთი მხარე **სახლის დიდისა** და მამაკაცებისთვის იყო განკუთვნილი, მეორე მხარე კი – ქალებისთვის. შესაბამისად, კერის ორივე მხარეს გამართული იყო სექვი (ხის ტახტი). მამაკაცები და დედაკაცები თავიანთ მხარეს საქმიანობდნენ, სუფრაც ცალ-ცალკე იშლებოდა. თურქეთის საქართველოში რესპოდენტები ვერ იძლეოდნენ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პასუხს, არ ადასტურებდნენ საცხოვრისში ქალებისა და მამაკაცების მხარეების არსებობას, თუმცა ტრადიციული ძველი საცხოვრისის (რომელიც წარმოადგენს ქართული საცხოვრისის ლოკალურ ვარიანტს) ინტერიერი იძლევა სახლის გენდერული სტრატეგიკაციის შესახებ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. იმერხევის სოფელ ხევწრულში სურვი

ილმაზის სამსართულიანი, ორასწლოვანი საცხოვრებლის „სახლი“ (თავშეყრის ოთახი) სწორედ რომ ბუხრის მხარეების - „საქალებო“ და „საკაცებო“ ნაწილად დაყოფის პრინციპითაა აშენებული. ნიშანდობლივია, რომ ეს საცხოვრებელი წარმოადგენს „ერთობის სახლს“, სადაც ადრე გაუყრელად ცხოვრობდნენ ძმები და ბიძაშვილები. შესაბამისად, იგი წარმოდგენილი იყო 6 ბუხრით, რომელთაგან დღეს 2 ფუნქციონირებს, რამდენიმე „მოსაფირის“ (სტუმრის) ოთახითა და საპირფარეშოთი.

ამრიგად, ქალისა და მამაკაცის სოციალური მოდელისა და გენდერული ცნობიერების შესახებ საუბრისას თურქეთის ქართულ მოსახლეობაში იკვეთება ისლამით განმტკიცებული ქალთა საქმიანობის მარგულირებელი ნორმები, რომლებიც ზღუდავენ საზოგადოებრივ საქმიანობაში მათ ჩართულობას და ხელს უწყობდნენ მამაკაცის უპირატესობათა დემონსტრირებას, თუმცა ცალკეულ საკითხებში (საქორწინო ურთიერთობები, შიგა საოჯახო საქმიანობის ცალკეული მომენტები) ფიქსირდება ქალის წინანდელი, ტრადიციული უპირატესობის გადმონაშთებიც. შავშეთში დღემდე არსებობს ქალისა და მამაკაცის ქცევის ნორმების, უფლებრივი მდგომარეობის, სტატუსის, ფასეულობებისა და შეხედულებების სტერეოტიპთა მთელი სისტემა, რაც განსაზღვრავს საყოფაცხოვრებო და რიტუალური ქცევის მთელ სპექტრს, რომლის ზოგიერთი ელემენტი ეფუძნება ძველ ქართულ ტრადიციებს, ზოგიერთი კი უცხოეთნიკურ გარემოში ყოფნის შედეგია, თუმცა ყველა წესი, რიტუალი თუ ტრადიცია შავშელთა (ზოგადად თურქეთის საქართველოს) ცნობიერებაში ისლამური დოგმებითაა ასსნილი.

§15. ხალხური ელემენტები

შავშეთის ქართული მოსახლეობის სანახაობით თამაშებსა თუ ხალხურ დღესასწაულებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მარიობის ფესტივალი. იგი გართობა-სანახაობით ფუნქციასთან ერთად უძველეს ხალხურ რწმენა-წარმოდგენებთან, ასევე წინაისლამურ რიტუალურ წესებთან არის დაკავშირებული, რაც განსაკუთრებით ზრდის მის მნიშვნელობას.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დღესასწაულის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში გამახვილებულია გარკვეული ყურადღება, მაინც აუცილებლად გვეჩვენება მისი დაწვრილებითი აღწერა, დაგროვილი მასალისა და დაკვირვების სისტემური წარმოდგენა.

მარიობის დღესასწაული იმართება აგვისტოს დასაწყისში და იგი მთობის შუა პერიოდს უკავშირდება. ამ დღესასწაულის დამკვიდრებას ხელი შეუწყო მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბოლური ფორმით განვითარებამ და უშუალოდაა დაკავშირებული წლიურ სამეურნეო საქმიანობასთან (ნ. კახიძე 1985).

რესპონდენტ ისა აღთუნის თქმით “მთობა რომ შუაში იქნება და ბარის სამუშაოები მთავრდება, მაშინ არის მარიობა”. აღნიშნული არგუმენტი გვაფიქრებინებს, რომ მარიობა ჩვენთან არსებული შუამთობის, ანუ მთობის შუა პერიოდის დღესასწაულის ვარიაციული სახესხვაობა უნდა იყოს (და არა 28 აგვისტოს მარიობის დღესასწაულისა). ამ დღესასწაულის გავრცელების არეალი მოიცავს ლიგანის ხეობის სოფლებსაც (მურდული, დევსქელი, ქლასკური) (რ. მაღაყმაძე 2002) და ატარებს მასობრივ ხასიათს. შავშეთში მას **მარიამობაშის** სახელითაც მოიხსენიებენ. იგი ადრე ერთ კვირასაც გრძელდებოდა.

მარიობაზე/შუამთობაზე წასვლის თარიღი წინასწარ განისაზღვრებოდა. დათქმულ დღეს სოფლის მოსახლეობა უმოკლესი გზით მიემართებოდა საზაფხულო დაილებისაკენ. ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა მონაწილეობა მიგველო უსტამისის დაილებზე გამართულ მარიობის დღესასწაულში. მისი რეპერტუარი მკაცრად იყო განსაზღვრული. პირველ დღეს ბარის მოსახლეობა მიემართება საზაფხულო საძოვრებისაკენ ხორავით, საჩუქრებით. ბარიდან ასულები მოიკითხავდნენ მემთევრებს, ხდებოდა ერთმანეთთან გადაპატიჟება, განსაკუთრებით ახალშეუღლებელი წყვილისა. ზოგჯერ გადაიპატიჟებდნენ დანიშნულ საპატარძლოსაც. მარიობის დღესასწაულზე ხდებოდა საპატარძლოს გამორჩევა, რაც ქალის პრიორიტეტის ერთგვარი გამოხატულებაა და დღესასწაულის თავდაპირველ ბუნებაზე მიუთითებს

(შესაძლოა იგი ადრე ქალთა დღესასწაული იყო). აღნიშნული თავისებურება დამახასიათებელია აჭარის ალპურ საძოვრებზე გამართული შუამთობის დღესასწაულისათვის, რაც კიდევ უფრო ამტკიცებს ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას მარიობისა და შუამთობის იდენტურობის და მისი უძველესი ქართული ფესვების შესახებ.

დღესასწაულის მონაწილენი მიმოვივლიან ალპური საძოვრების შემაღლებულ ადგილებს, სერებს, შემდეგ კი თავს იყრიან დაილის წინასწარ შერჩეულ წმინდა ადგილზე, სადაც იმართება ცეკვა-სიმღერები და სხვადასხვა თამაშობანი. იქვე ახლოს, ბაზრობაზე იყიდება სხვადასხვა გამაგრილებელი სასმელი და პროდუქტი. ამდენად, მარიობა//შუამთობა, როგორც ქართული ხალხური კალენდარული დღესასწაული გარკვეული თვალსაზრისით რელიგიური ხასიათის დღესასწაულის ელემენტებსაც შეიცავს. ცეკვა-სიმღერის დაწყებამდე იმართება თამაში. წამყვანი აცხადებს წინასწარ შედგენილი ბილეთების მომგებიან ნომრებს. დღესასწაულის რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა როგორც ზეპირსიტყვიერ და მუსიკალურ ფოლკლორს, ისე მასობრივ სანახაობებსაც. ყოველივე ამან განაპირობა დღესასწაულის სიცოცხლისუნარიანობა.

დღესასწაულზე იწვევენ მუსიკალური ხელოვნების ოსტატებს, მომღერლებს, მოცეკვავეებს, მოლექსეებს. უსტამისის დაილებზე ასეთი იყო ზიოსელი მეჰმედ ილმაზი, საუკეთესო მექართულე, პატრიოტი, ქართული სიმღერების კარგი შემსრულებელი. საკრავებს შორის უპირატესობა ენიჭება აკორდეონს. მის მიერ იქნა შესრულებული სიმღერები: “ჯინველო”, “პატარა გოგო დამეკარგა”, “შამ-შალახო, შალახო” და სხვა. სრულდება სხვადასხვა სახის ცეკვები: ხორუმი, დუხხორუმი, ყოლსამა, ონდორთი (ონ-ათი, დორთ - ოთხი, ე.ი. თოთხმეტი. რესპონდენტის თქმით, არის რევოლუციის სახეობა, რომელშიც თავსდება 14 ტყვია და ძალზე სწრაფად ისვრის. ეს ცეკვაც ჩქარია და ამიტომ დაერქვა ონდორთი), ჯინველო (სრულდება სიმღერით), ბეშავრი (ამ სახელწოდების ტოპონიმია ართვინში), გადმოცემით ეს ცეკვა მოწონებია ათათურქს, ამიტომ მის საპატივცემულოდ ამ ცეკვას ათაბარსაც ეძახიან), ლახხორუმი (ცეკვობს ყველა მსურველი წრეში), ქურთბარი, ორთაბათუმი და ა.შ. ადრე ფართოდ ყოფილა გავრცელებული აგრეთვე შაირიც.

მარიობის რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სანახაობით თეატრალიზირებულ წარმოდგენებსაც. ერთ-ერთი ასეთი იყო “ბერობნობა”, რაც, ჩვენის აზრით, უძველესი ქართული ხალხური დღესასწაულის “ბერიკაობის” ვარიაციული სახესხვაობა უნდა იყოს. იგი წარმოდგენილია სხვადასხვა ცხოველებითა და გადაცმული ნიღბოსანი პერსონაჟებით. მასში აშკარად ჩანს წარმართობის კვალიც. რესპონდენტ ისა ალთუნის (წითელაძე) თქმით, “ბერობნობა ქალის და კაცის მოკაზმვაა”. ცხვრის ტყავისგან ამზადებენ “წოწოლა დასახურავს”, პერსონაჟები იკეთებენ სხვადასხვა ცხოველის ნიღაბს. მასში მონაწილენი მამაკაცები არიან. ისინი ჩაიცვამენ “ძველებურ, მოჭუჭნულ, ხვანჯარგაკეთებულ შარვალს”, ჩექმას ან ქალამანს, სახეზე კი ნიღაბს-თხის წვერით. ქალის როლის შემსრულებელი მამაკაცები კი ჩაიცვამენ ქალის ტანსაცმელს, წელზე იკეთებენ სარტყელს. თამაშის მსვლელობისას ხალხში შემოვარდება ვირზე ან ცხენზე მჯდარი მხედარი (შეიძლება ერთი ან ორი კაცი), რომელიც ასახიერებს მტერს. იგი ცდილობს მოიტაცოს ცხვარი და ქალები, მაგრამ ხალხი მტერს დაიჭერს, ცემს და ნაქურდალსაც უკან იბრუნებენ, ხოლო “დაჭრილებს წყალში დაასველებენ”. ამის შემდეგ იმართება ლხინი, ცეკვა, სამღერა. ისა ალთუნს ახსოვს მისი ბავშვობის დროს მთებში გამართული ასეთი თეატრალური სანახაობა.

წარმოდგენილი აღწერითი მასალიდან ნათლად ჩანს აღნიშნული რიტუალის სანახაობრივი მსგავსება და იდეური იდენტურობა ბერიკაობასთან. იგი, როგორც საერთო-სანახაობითი ფუნქციის მატარებელი თეატრის უძველესი სახე, წარმართული მითოლოგიის წიაღიდან იღებს სათავეს და ასახავს წარსულის ცალკეულ ეპიზოდებს. რაც შეეხება “ბერობნობის” რელიგიურ ასპექტს, ცნობილია, რომ თხის ნიღაბი დაკავშირებულია მიწის კულტთან, უხვმოსავლიანობის სურვილთან. თვით თხას, ან ცხვარს გამანაყოფიერებელი ძალაც მიეწერებოდა.

ბერობნობის/ბერიკაობის რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხალხის მიერ “დაჭერილების” წყალში დასველებას. მარიობის მონაწილენი კოლექტიურად მოინახულებდნენ მდინარეებსა თუ ტბებს. მსგავსი რიტუალი დასტურდება ლიგანის და მურღულის

მოსახლეობაშიც. რ. მაღაყმაძეს ჩაუწერია წყლის კულტთან დაკავშირებული გადმოცემა, რომლის მიხედვით დევსქელის, ბაგინის, შუახევის, ქლასკურის მოსახლეობა დადიოდა **ვარსკვლავა გოლსა** და **თეთრ წყალზე** და ასრულებდა სხვადასხვა წესებს. გადმოცემით ვარსკვლავა გოლში ბინადრობდა წყლის ხარი, რომელიც ხშირად ამოდიოდა წყლიდან, ეჭიდებოდა ბულებს, ძროხებს კი ანაყოფიერებდა. ვარსკვლავა გოლს მიეწერებოდა სამკურნალი თვისებებიც. მასში შვილიერების მინიჭების მიზნით უშვილო ქალები ბანაობდნენ (რ. მაღაყმაძე 2002:95-96). წყლით დასველების ამ წესს ახლაც მიმართავენ სოფლებში. ეს ჩვეულება სხეულის მაგიური განწმენდის ფუნქციასაც ასრულებდა და ატარებდა წყლის კულტის იმ ელემენტებს, რომლის მიხედვითაც წყალს აქვს შვილიერების, ბარაქიანობის და ნაყოფიერების მიმნიჭებელი ძალა (რ. მაღაყმაძე 2002:96). წყალს ანალოგიური დატვირთვა ჰქონდა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში (ჯ. რუხაძე 1999:96), მათ შორის აჭარაშიც.

ამრიგად, მარიობა ქართული კალენდარული ციკლის დღესასწაულია, რომლის წარმოშობა უშუალოდ უკავშირდება მიწათმოქმედება-მესაქონლეობის ინტერესებს და მთიან აჭარაში გავრცელებული “შუამთობის” იდენტურია. ე.ი. მარიობა იგივე შუამთობის დღესასწაულია, ხოლო “მარიობის” რეპერტუარის “ბერობნობა” – ბუნების ნაყოფიერება-აღორძინებასთან დაკავშირებული აგრარული დღესასწაული – ბერიკაობაა, რომელმაც ისლამური გარემოსა და უცხო კულტურის ზეგავლენის მიუხედავად შეინარჩუნა თავდაპირველი არსი და მნიშვნელობა.

თეატრალიზებული წარმოდგენები იმართება ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებითაც. ართვინის რაიონის ცალკეულ სოფლებში ასეთი წარმოდგენები იმართება 13 იანვარს, „ახალი წლის წინა ღამეს“. დათქმულ დროს სოფლის ცენტრში შეიკრიბებიან „გენჯები“ (ახალგაზრდები) და ცეკვა-სიმღერით შემოივლიან სოფელს, ცალკეულ ოჯახებს. ერთ-ერთ მოთამაშეს ხელში უჭირავს ჯოხი, მეორე კი ქალის ტანსაცმელშია გამოწყობილი და განასახიერებს დედოფალს. წრის შუაგულში ცეკვობენ გოგო-ბიჭები. ერთ-ერთი მოთამაშე – **ბერიკა** ქალს თხოვს ცოლობას, მაგრამ დანარჩენი მოთამაშეები არ აძლევენ ქალთან მიახლოების საშუალებას და ჯოხით სცემენ. ამ დროს ერთ-ერთი „გოდრიანი“ მოთამაშე მიდის იმ ოჯახის უფროსთან, რომლის ეზოშიც არიან შეკრებილები. მას გოდორში ჩაუყრიან ლობიოს, სიმინდს, სხვა პროდუქტებსაც. ამის შემდეგ მოთამაშეები გადადიან სხვა ეზოში. ასე შემოივლიან მთელ სოფელს. რესპონდენტის თქმით, ახალი წლის ღამეს ყველა „გუგუმს“ (თუნგს) თავსახურს დაახურავდნენ „კონჭოლიზებმა“ (დემონური ძალა) არ ჩააშარდონო“.

ახალ წელს უკავშირდება აგრეთვე „ხიდირილეზის//ხიდირილიასის“ დღესასწაული, რომელიც იმართება 14 იანვარს (ზოგან 6 მაისს). დათქმულ დროს შეკრებილი ახალგაზრდები სოფლის ცენტრში დაანთებენ ცეცხლს. სპეციალურ ფურცელზე იწერება ოცნება-სურვილები, რომელსაც ჩაიდებენ ხელში და ცეცხლს სამჯერ გადაახტებიან. ხალხის რწმენით, თუ მოთამაშე ცეცხლის თავზე ჰორიზონტალურად მოწყობილ „ღირვეს“ გადაახტებოდა, სურვილი აუსრულდებოდა. ჩვენი აზრით, აღნიშნული დღესასწაული ქართულ ყოფაში ცნობილი ჭიაკოკონობის იდენტურია, რომელიც აისახა მხატვრულ ლიტერატურასა (ნ. ლომოურის „ქაჯანა“) და კინოხელოვნებაში (ფილმი „ქაჯანა“). ზოგან ჩვევად აქვთ ახალი წლის ღამეს ოჯახში ცხვრის შეყვანა, რომელსაც სიმინდის მარცვალს ან ხორბალს გადააყრიან, შემდეგ „სარცვალს“ (მარცვალს) მოხარშავენ და მიირთმევენ. აღნიშნული რიტუალი საქონლის გამრავლებისა და უხემოსავლიანობის გამომხატველი უნდა იყოს. ამ მიზნით შავშეთში ახალი წლის ღამეს იციან ახორში ნაძვის ტოტის მიტანა. გავრცელებულია აგრეთვე მეკვლეების ინსტიტუტი, რასაც ჩვენებურები „თერჯებს“ ეძახიან.

ყოფის სხვა ელემენტებთან ერთად ხალხურმა დღესასწაულმაც ოსმალთა პოლიტიკური ბატონობის პირობებში შეიძინა ეთნიკური ფუნქცია, რამაც უზრუნველყო ისტორიულ საქართველოში ქართველობის შენარჩუნება.

§16. სასტიკი ცეკვები შავშეთში

შავშეთში მკვეთრად გამოხატული ქართული ყოფისა და კულტურის ზოგადქართული თავისებურებანი როგორც სამეურნეო და მატერიალურ, ისე სულიერ კულტურაში. ეს განსაკუთრებით თვალში საცემია ჩაკეტილ ხეობებსა და მიუვალ დასახლებულ პუნქტებში.

შავშელეები ცდილობენ არ დაივიწყონ მშობლიური ენა, ქართული ყოფა, ცეკვა, სიმღერა. ამიტომაც ერიდებიან მათ სოფელში სხვა ეროვნების ადამიანების ჩასახლებას, შერეულ ქორწილებს. ერთი რესპოდენტის თქმით, “სხუა ხალხს, გურჯის გარდა არ ვუშვებთ ჩვენს სოფელში, იმიტომ რომ სისხლმა და ენამ არ გადატრიალდეს (შეიცვალოს), სამა (ცეკვა) და სიმღერა ჩვენი დარჩეს. სხვას დაუდუმლება, მა ღარჟი (ბიჭი) დასახლება იმიდან, მა ბაქალა (გოგო) გათხოვდება იმაზე”. თქმული დებულების ჭეშმარიტებაში დარწმუნდება ყველა, ვინც იქაურ ფესტივალებსა და ქორწილს დაესწრება და ჩვენებურების მიერ ოსტატურად შესრულებულ ნატიფ ცეკვებს, მის ცალკეულ ილეთებსა და სიმღერებს დააკვირდება (თუმცა აშკარაა აღმოსავლურის გავლენაც). ცეკვებში შესრულებული მოძრაობები დასტურია იმისა, რომ ქართველებს სისწრაფეში ბადალი არ ჰყავთ” (მ. სვანიძე, მ. არიფი 1996:110). მათ არ დავიწყებიათ და ახლაც ცეკვავენ “ყოლსამას”, “ჯაყდანანას”, “თარიანინას”, “ღუზ ხორუმს”, “ჯინველოს”, “თექიანებს”, “შემორბენილას”, “გაზრომილას”, “ბაზგირულას”. მღერაინ “მაყრულს”, “თეთრო მამალოს”, “მეზავრულს”, “ვოსას”, “ოზურგეთს”, “მერიას”, “პატარა გოგოს”, “ჯინველოს”, “ვინ მოგიტანა” და ა. შ.

ბაზგირული ცეკვების უმეტესობა სატრფიალო ხასიათისაა. თითოეული ცეკვა იწყება უფროსის მიმართ თავაზიანი თავდახრით (შ. ჯაფარიძე 1996:49)

“შემორბენილად” სრულდება სწრაფი მოძრაობით. ბაჭალა (გოგო) გარბის, ღარჯი (ბიჭი) “ეფეცხება”, დაეწევა, შერიგდებიან და იცეკვებენ”...

“ღართულად” – გოგო ნართს ართავს, ვაჟს სურს სიყვერულის ახსნა და ქალის ყურადღების მისაქცევად იყურება სარკეში, ივარცხნის თმებს, მაგრამ ქალი მის მიმართ არავითარ ინტერესს არ ამჟღავნებს. სასოწარკვეთილი ვაჟი ცუდად ხდება და ძირს დაეცემა. გოგოს გული დაწყდება. ვაჟს შეურიგდება და “ერთად ისამებენ”(იცეკვებენ)...

„ხელგაშლილად” – ცეკვობს ორი გოგო მანდილით ხელში. ცეკვის დამთავრებისას გოგონები მანდილს “მათ რჩეულს გააკრავენ”. ვაჟები მოცეკვავე გოგონებს აძლევენ ფულს, ან რაიმე ნივთით ასაჩუქრებენ. ხელგაშლილი ირგველივ შემოუვლიან გოგონებს და ცეკვავენ.

„ბაზგირულად” – სრულდება სიმღერა შესაბამისი ჟესტიკულაციით:

“დაბა და ბაზგირეთი, ზემოდან ზაქიეთი.

ორი დღეა აღარ ვარ, მომსურდა ბაზგირეთი,

სიდევრი ბაზგირელი, მოდი ჩამართვი ხელი,

სიცოცხლეში ვიაროთ, ჯანჯირი ბაზგირეთი”...

ჩვენი ყურადღება მიიქცია **ხორუმმა**. მისი თითოეული ილეთი სრულდება მოცეკვავეთა გრძნობების ემოციური გამოხატვის ფონზე, ამავე დროს შეუძლებელია ვერ შევნიშნოთ ქართველთა ისტორიული ბედით განპირობებული ტკივილი და უზარმაზარი სევდა. რაც აშკარად გამოიხატება თითოეული მიცეკვავის გამომეტყველებაში. ცეკვა სრულდება შესაბამისი ჟესტიკულაციით და აზარტული შეძახილებით: “მისცხე-მოსცხე”, “მოდი, გადატყდი”, “იანზე-განზე” და ა.შ.

ხორუმი ზოგჯერ სრულდება სიმღერასთან ერთად:

“შამშალახო, შალახო, მოგლეჯილო ბალახო,

თეთრი კაბა გაცვია, ბაჭალ არ გაატალახო.

შამშალახო, შალახო, მოგლეჯილო ბალახო,

მაგ ბაჭალა ჰად მიგყავს, დეგეწიო, გაგლახო”.

ან კიდევ: “ბარში მივდიოდი, ბარში,

ერბო დამრჩა მარანში,

ვინცხად ნათქვამ ვერ ითხოვს,

დაბერდეს უნდა სახლში”.

დროდადრო ხდება ჩამუხლება, რომელსაც იქაურები “ბუქნას” ეძახიან.

შავშური ცეკვების შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ნ. მარი. იგი აღწერს “ღელი ხორუმს”, რომელსაც ცეკვავენ ტბეთელი (ეხლანდელი ჯევიზლი) ახალგაზრდები. აღნიშნული ცეკვის აღწერისას ავტორი იყენებს სიტყვა “ბუქნას”. იგი აღწერს აგრეთვე თურქული ცეკვა “ყარშიბერ“-ს, რომელშიც მონაწილეობს ორი მოცეკვავე. ცეკვა სრულდება მუცლების მოძრაობით. ნ. მარის თქმით, ეს უნდა იყოს სატრფიალო ცეკვა, მაგრამ ქალებს მასში მონაწილეობის უფლება არ ჰქონიათ. ტბეთელ ახალგაზრდებს ნ. მარისათვის აუხსნიათ, რომ აქ არსებულა ქალების ცეკვა “ვარდა”, რომელსაც ისინი განსაკუთრებულ შემთხვევაში ცეკვავენ. თუ მოცეკვავე ქალების ახლობლები შეამჩნევდნენ ცოლის ან ოჯახის წევრი რომელიმე ქალის ცეკვას უცხოთა თანდასწრებით, მას ადგილზე მოკლავდნენ (შ. ჯაფარიძე 1996: 49-50).

ჩვენს მიერ ჩამოთლილ ცეკვებს და მათ აღწერილობას სისრულის პრეტენზია არა აქვს. ამ მიმართებით მუშაობა კიდევ უნდა გაგრძელდეს. ერთი რამ კი ცხადია: ისტორიული ბედუკუდმართობის პირობებში ქართველი ხალხის სულიერი კულტურაც ყოფის სხვა კომპონენტებთან ერთად შეივსო ახალი ეთნიკური ფუნქციით, რამაც უზრუნველყო უცხო ქვეყნის საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიებზე ქართველობის შენარჩუნება.

§17. ლეფიკი – უძველესი ქართული თამაში

ისტორიულ საქართველოში, საკუთრივ იმერხევის ხეობის (შავშათის რაიონი) ქართულ სოფლებში დღემდეა შემონახული ქართული ყოფისა და კულტურის ზოგადეთნიკური თავისებურებანი. იგი ნათლად ვლინდება სხვადასხვა სახის ხალხურ გართობა – თამაშობებშიც.

როგორც ცნობილია, თამაში დიდ გავლენას ახდენს ამა თუ იმ ხალხის ბუნებისა და ხასიათის ჩამოყალიბებაზე (Т. Мамаладзе 1899:59-60) და ემსახურება ვაჟის ფიზიკურ წვრთნას, გონების ვარჯიშს, სიმარდეს, წონასწორობას, თავდაჭერილობას, ნებისყოფის გამომუშავებას, გონებამახვილობას, მოქნილობას და, რა თქმა უნდა, გართობას. სიმარდის გასავითარებლად წვრთნა იწყებოდა გარკვეულ მანძილზე სირბილით (შედარებით უფრო ადვილად შესასრულებელი ვარჯიში), ცალ ფეხზე დგომით, სიარულით, ხტომით (როგორც სიგრძეზე ისე სიმაღლეზე) და ა.შ. თამაშს ბავშვები იწყებენ 6-7 წლის ასაკიდან. ასაკის მატებასთან ერთად თამაშიც რთულდებოდა (სწორ, უტოტო ხეზე ასვლა-ცოცვაში ვარჯიში; ხის ტოტზე გასვლა – გამოსვლა წონასწორობის შესანარჩუნებლად; ხელების გადაწევა ან ბაგირის გადაქაჩვა – ღონის გამოსაცდელად და ა.შ). ნიშანდობლივია, რომ შეჯიბრებითი თუ სპორტული ხასიათის ანალოგიური თამაშობანი ფართოდაა გავრცელებული ქართული მოსახლეობის თანამედროვე ყოფაშიც (ნ. დოღობერიძე 1980:131-153).

ამჯერად შევჩერდებით იმერხევის ხეობის ქართულ სოფლებში ფართოდ გავრცელებული სპორტული ხასიათის ორიოდ თამაშზე, რომელთაც ჩვენებურები „ლეფიკსა და „ბილაჯოსს“ ეძახიან.

ლეფიკი ქართული ხალხური თამაშის უძველესი სახე უნდა იყოს. ალიე შუბლაძის (შავშათი) გადმოცემით, ასეთი თამაში უცნობია თურქი მოსახლეობისათვის. ეს თამაში ემსახურება თვალზომას, მიზანში მორტყმას. თამაშში მონაწილეობს თითო ან ორ – ორ კაციანი ორი ჯგუფი. შეარჩევენ „წოწოლა“, ქვებს, - რომლებსაც განალაგებენ ორ რიგში. რიგებს შორის მანძილი ათი მეტრია. თითოეულ რიგში, თითო მეტრის დაშორებით ერთმანეთზე დააწყობენ სამ – სამ ქვას. თამაშის პირველდამწყები გუნდის გასარკვევად აიღებენ ბრტყელ ქვას და ერთ მხარეს „დააჯუტებენ“, (დააფურთხებენ). წინასწარ შეთანხმდებიან, ვინ უნდა დაიწყოს (მშრალის თუ „დააჯუტებულის“) თამაში პირველად. გამარჯვებული პირველი ისვრის ქვას მიზანში სიმაღლეში დაწყობილი ქვების დასაშლელად. პირველი სროლის შემდეგ, თუ წააქცია ერთი მწკრივი, მეორესაც თვითონ ისვრის, თუ ვერ წააქცია, მაშინ მისი გუნდის სხვა წევრზე გადადის ამ ფუნქციის შესრულება. იგებს ის, ვინც საბოლოოდ დაშლის მოწინააღმდეგის ყველა მწკრივს. თამაშის ბოლოს წამგები გამარჯვებულს

შეისვამს ზურგზე და ქვის რიგებს შორის რამდენიმეჯერ (შეთანხმების მიხედვით) გაატარა-გამოატარებს (თ. ფუტკარაძე 2005).

ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული თამაში გარკვეული ვარიაციული სახესხვაობით გვხვდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მაჭახლის ხეობაში ანალოგიურ თამაშს „კოლ-ტაშს“ (კოლ-ტაში-თურქ კოლ-მეკლავი, ტაშ-ქვა) ეძახიან. საყურადღებოა, რომ აღნიშნული ტერმინი თურქულია. იგი დღემდე გამოიყენება მოთამაშე მაჭახლელთა სასაუბრო ლექსიკაში, მაშინ როცა თურქეთის საქართველოში აღნიშნული თამაში შემორჩა ქართული „ლეფიკის,, სახელწოდებით. გურიაში ამ თამაშს „ქვის დაყუდებას,, ეძახიან. ერთ – ერთი თამაშის - „პოკუჩის,, იგივე „ზუკუტურის“ (ნ. ლოლობერიძე 1980:137) (ზურგზე მოგდება) დროს დიდ ქვაზე შემოდებენ პატარა ქვას და რიგ-რიგობით ესვრიან. ვინც მიზანში სროლით გადააგდებს ქვას, ის შეაჯდება ზურგზე მოწინააღმდეგეს და ქვამდე მიაყვანინებს.

შავშელთა შეჯიბრებითი ხასიათის თამაშობებს შორის მნიშვნელოვანია აგრეთვე „ბილა ჯოხი“ (ბილა - სამღერალო დაცდენა. საბა 1966:100) თავისი ორი სახესხვაობით. თამაშის პირველი ვარიანტი ასეთია: შეარჩევენ მსხვილ ჯოხს „დონა“-ს (დონა-ფუნდუკის სასვენებელი. საბა 1966: 22), ჩაასობენ მიწაში, ისე რომ მისი სიმაღლე წელამდე სწვდებოდეს მოთამაშეს. ზემოდან დაადებენ 10-15 სმ. სიგრძის ჯოხს – ბილას და დაარტყამენ გრძელ ჯოხს – გარგანს, რომლის სიგრძე 60-70 სმ.-ია. მოწინააღმდეგე ცდილობს დაკოდოს ბილა. დაკოდვის შემთხვევაში მოთამაშეები ადგილებს შეიცვლიან, თუ ვერ დაკოდა, უკან ხელით გამოიქნევს ბილას, რომელსაც მოქნევით უნდა დაახვედრო გარგანი მისი შორს გატყორცვის მიზნით. რაც უფრო შორს დაეცემა ბილა, მით უფრო მეტი ქულა დაიწერება. ქულები იზომება გარგანის სიგრძის მიხედვით. დონადან გარგანით გადაიზომება მანძილი. რამდენი გარგანის სიგრძეცაა მანძილი დონასა და ბილას შორის, იმდენი ხუთი ქულა იწერება.

მეორე ვარიანტის მიხედვით შემოხაზულ წრეში მდგომი მოთამაშე გარგანს დაიჭერს ხელში, ხოლო ბილას დაიდებს მომუჭულ მუშტზე – ზემოდან, აიქნევს ბილას და გარგანით შორს გაისვრის. მოწინააღმდეგე ცდილობს ბილას „დაკოდვას“. „დაკოდვის“ შემთხვევაში მოთამაშეები ადგილებს შეიცვლიან, ხოლო თუ ვერ დაკოდავს, მაშინ მოწინააღმდეგე ბილას ხელით გაიქნევს. თუ ხელით გაქნეული ბილა დაეცა შემოხაზულ წრეში, მაშინ მოწინააღმდეგე მარცხდება და ხდება ადგილების გაცვლა. თამაშში შეიძლება მონაწილეობდეს როგორც თითო, ასევე სამ - სამი, ოთხ - ოთხი თუ ხუთ - ხუთი კაცი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ თამაშის ეს სახე ფართოდაა გავრცელებული მაღალმთიან აჭარაში სახეცვლილი ფორმით. მარეთის ხეობაში ანალოგიურ თამაშს რიკი – ჯოხს (ზოგან ბილა ჯოხს) ეძახიან. იგი შავშურის ანალოგიურია, ოღონდ ზოგჯერ განსხვავებული ტერმინოლოგიით, კერძოდ. ერთ-ერთი მოთამაშე შემოხაზული წრის ნაცვლად დგას ერთმანეთზე შემოდებული საკმაოდ დიდი და მაღალი ბრტყელი ქვების წყობასთან – ე.წ. „ყალღე“-სთან. აქაც ერთ მომენტს უნდა მიექცეს ყურადღება. როგორც მთიან აჭარაში, ისე თურქეთის საქართველოში თამაშს ტრადიციული ელფერი შემორჩა, მაგრამ ჩვენთან ცალკეულ შემთხვევებში ქართულის ნაცვლად დამკვიდრდა თურქული ტერმინები (მაგ. „ყალღე“), რასაც იმერხეველი მოთამაშეები საერთოდ არ იყენებენ.

წარმოდგენილი მასალები საფუძველს იძლევა გარკვევით ითქვას, რომ უცხო გარემოში მყოფი ჩვენებურებისათვის ყოფით კულტურას, მათ შორის ხალხურ თამაშობებსაც დაეკისრა ეთნიკური ფუნქცია, რამაც განსაზღვრა ეროვნული ტრადიციებისა თუ წეს-ჩვეულებების სიცოცხლისუნარიანობა.

თავი V. შავშუხი ფოცხოხი

ისტორიული ბედუკუდმართობის გამო, XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ ოსმალეთის იმპერიამ საქართველოს წაჰკვარა მისი ერთ-ერთი უმშვენიერესი და უდიდესი ნაწილი – აკვანი ქართული სახელმწიფოებრიობისა – მესხეთი და მისი პროვინციები: ტაო, კლარჯეთი, კოლა, არტაანი, ერუშეთი, ჯავახეთი, სამცხე, შავშეთ-იმერხევი, ჩირდილი, ბასიანი, სპერი, აჭარა და ლაზეთი.

„გურჯისტანის ვილაიეთად“, იგივე „ახალციხის საფაშოდ, წოდებული ისტორიული ქართული ტერიტორიები, სამწუხაროდ, საერთოქართული სოციალურ-კულტურული სპექტრიდან ხელოვნურად ამოგდებული, ფაქტობრივად XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე ქართველ მეცნიერთათვის თვალშეუდგამი აღმოჩნდა; საგულდაგულოდ დაგმანული საზღვრის მიღმა დარჩენილი ჩვენებურებისა და ძირძველ ქართულ ტერიტორიებზე ჩვენი წინაპრების ნაღვაწი ძეგლების თაობაზე ცნობილი იყო მარტოოდენ გამოჩენილი თურქი მოგზაურისა და მკვლევრის – ევლია ჩელების მიერ XVII საუკუნის პირველ ნახევარში ამ რეგიონში მოგზაურობის შედეგად დაწერილი ნაშრომი „მოგზაურობის წიგნი“ (ევლია ჩელები 1971). მართალია, ისტორიული მესხეთის შესახებ ინფორმაციას ვხვდებით ვახუშტი ბაგრატიონთანაც, მაგრამ მას პირადად არ უმოგზაურია სამხრეთ საქართველოში და მისეული ცნობები ემყარება სხვადასხვა ინფორმატორთა გადაუმოწმებელ ცნობებს.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიაში გასაბატონებლად რუსეთის იმპერიამ დაიწყო ბრძოლა ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგ, რაც XIX სკ-ის 70-იანი წლების ბოლომდე (1877–1878) გაგრძელდა.

დაუცხრომელი ინტერესი და სურვილი ძირძველი ქართული სულიერი თუ მატერიალური ყოფის გასაცნობად ჯერ კიდევ ომის ბოლო ეტაპის რუსთა გამარჯვებით დაგვირგვინებამდე გამოიხატა ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში, რომელთა მიზანიც „ოსმალთა საქართველოს“ დაბრუნება და ჩვენებურებთან შეხვედრა იყო. სწორედ ამ დროს, 1874 წლის მაის-ივნის-ივლისში, მოეწყო ჩვიდმეტკაციანი ექსპედიცია (ხელმძღვანელი გრიგოლ გურიელი) ზემო აჭარაში, შავშეთში, არტანუჯში, ლივანსა და ჭანეთში, რომლის შემადგენლობაშიც იყო გიორგი ყაზბეგი („საისტორიო მოამბე“ 2000–2001:59, 60).

სან-სტეფანოს დროებითი ზავისა და ბერლინის კონგრესის შედეგების თანახმად, რუსეთმა შეიერთა ისტორიული ქართული ტერიტორიის ნაწილი: შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, აჭარა, არტაანი და ოლთისი. 1878–1921 წლებში, ვიდრე ეს ძირძველი ქართული პროვინციები ჯერ რუსეთის, შემდეგ კი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა, დანატრებულ ქართულ კუთხეებში იმოგზაურეს და შთაბეჭდილებები თავიანთ დიდებულ ნაშრომებში გამოხატეს: დიმიტრი ბაქრაძემ, ზაქარია ჭიჭინაძემ, ექვთიმე თაყაიშვილმა და ნიკო მარმა; „დროების“, „ივერისა“ და სხვა ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე იბეჭდებოდა სერგეი მესხის, ლევან მჭედლიშვილის, ალექსანდრე ნათაძის, დავით წერეთლის, ივანე გვარამაძის („ვინმე მესხი“), ივანე ჯაიანის, ალექსანდრე ყიფშიძის („ფრონელი“), ვასილ კოპტონაშვილის, სერგი გორგაძის, ვლადიმერ გოგიაშვილის, სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელის და სხვათა საინტერესო პუბლიკაციები, რომლებითაც მთელი საქართველო ეცნობოდა ახალშემოერთებული ისტორიული მესხეთის მიწაზე მცხოვრებ ჩვენებურთა ყოფა-ცხოვრებასა და სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლებს. მართალია, პუბლიკაციებში, ამა თუ იმ პრობლემაზე მსჯელობისას, მოხსენიებულია ჩვენებურთა ზეპირსიტყვიერების ზოგიერთი ნიმუში, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ნიკო მარის მეტს, რომელმაც შავშეთსა და კლარჯეთში 1904 წლის ზაფხულში იმოგზაურა, სისტემური ფოლკლორულ-შემკრებლობითი მუშაობა არავის უწარმოებია; თუმცა, ჯერ კიდევ 1875 წელს რაფიელ ერისთავი გრიგოლ გურიელის მიერ მიწოდებულ მასალაზე დაყრდნობით დაწერილ

სტატიაში „ცნობანი ოსმალის საქართველოზე“ ქართულ საზოგადოებას მოუწოდებდა: „ძველებურის სიმღერების, ლექსების, ისტორიის მასალების და სხვა ამგვარების შემკრებლებს ურჩევთ, გაისეირნონ ოსმალის საქართველოში: იმათი შრომა უნაყოფო არ დარჩება“ (რ. ერისთავი 1875:1-2).

ნიკო მარმა – შავშური ზეპირსიტყვიერების პირველმა ფიქსატორმა – სულზე მიუსწრო ამ კუთხის ფოლკლორულ შემოქმედებას და მისთვის ჩვეული დიალექტოლოგიური სიზუსტით ჩაიწერა მრავალი ნიმუში, რომელთა დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, ჩვენს დრომდე აღარ შემონახულა.

6. მარის მიერ ისტორიული შავშეთის სოფლებში დაფიქსირებულია საგმრო – საისტორიო, საწესჩვეულებო, საყოფაცხოვრებო და სატრფიალო ლექს-სიმღერები; თქმულება – გადმოცემები, იგაგები, ფირალის ეპოსის ნიმუშები და სხვა, რომლებზეც თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია დასკვნისათვის, რომ ეს უმდიდრესი მასალა საერთოქართული ფოლკლორის ორგანული ნაწილია, ძირძველი ქართული ტრადიციების გამოსატყულება, ჩვენებურთა სულიერი და მატერიალური კულტურის ისტორიის წარმოჩენაა.

1921 წლის შემდეგ, რაც რუსულ-თურქული გარიგების შედეგად ისტორიული ქართული პროვინციები ისევ თურქთა ხელში აღმოჩნდა, დიდხანს ფარულ ოცნებად იყო გადაქცეული ჩვენებურებთან შეხვედრა და იქ მიმდინარე სოციალურ-კულტურული ვითარებისათვის თვალის გადევნება.

ნიკო მარის შემდეგ პროფ. შუშანა ფუტყარაძე იყო ის ქართველი მეცნიერი, რომელმაც სარფის კარის გახსნისთანავე, 1989–1993 წლებში, იმოგზაურა თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მოქცეული ისტორიული საქართველოსა და ქართველი მუჰაჯირებით დასახლებულ რეგიონებში და უხვად დააფიქსირა ჩვენებურთა, და მათ შორის შავშთა, ფოლკლორი. ამ საშვილიშვილო საქმეში განუზომელი წვლილი შეიტანა შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ 2005, 2007 და 2009 წლებში მოწყობილმა ექსპედიციებმა.

1875 წელს გაზეთ „დროებაში“ (№76) სერგეი მესხი წერდა: „აჭარა, შავშეთი, ლაზისტანი ერთ დროს საქართველოს ნაწილები ყოფილან. დღეს, სხვადასხვა ისტორიულ გარემოებათა წყალობით, ოსმალის პროვინციებად შექმნილან. საუკუნეებს გაუვლია, რაც ეს ქვეყნები ოსმალის დაუპყრია, რაც ოსმალს ცდილობს, რომ იქაური ქართველები გაეთათრებინა, მაგრამ დახეთ ქართველი ტომის სიმტკიცეს – რჯულის მეტი იმათ არა შეუცვლიათ რა და ისიც მხოლოდ ძაღდატანებითა და სხვადასხვა ოსმალური ოინებით შეაცვლევიანს. სამშობლო ენა, ხალხის ხასიათი, ჩვეულებანი, თითქმის ცრუმორწმუნობაც და ცხოვრება ისევ ძველი, ქართველური აქვთ“.

ამის დასტურია წინამდებარე გამოკვლევა, რომელიც ეფუძნება შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ 2005 წელს მოწყობილი კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციისა და შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის გრანტის ფარგლებში (გრანტი A 39-09) 2009 წელს ამავე ცენტრის მიერ მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიციის დროს მოპოვებულ ფოლკლორულ მასალას.

§1. ჰასიხოსური ექსეუბი

ქართველი ხალხის ტვირთმიძიე ისტორიის მანძილზე, უცხოელ დამპყრობლებთან ბრძოლასა თუ შინაური შუღლისას, ეროვნული თვითმყოფადობისა და საერთოქართული ცნობიერების, ერთიანი ეროვნული ფსიქოლოგიის შენარჩუნებაში, საგმრო-პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებასა და მის ტრადიციად ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის პატრიოტული ხასიათის ხალხურ ლექს-სიმღერებს, რომლებშიც გადმოცემულია ქართველთა თავგანწირვა მამულისადმი და მისი მსახურების ზნეობრივი კოდექსი (თ.შიოშვილი 2004:3-7).

მრავალსაუკუნოვანი ხალხური პოეზიის პატრიოტული ნაკადით მდიდარია საქართველოს ყველა კუთხე. ბუნებრივია, პატრიოტული ლირიკის არაერთი დახვეწილი ნიმუში შეიქმნებოდა ჩვენი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, კერძოდ – ისტორიულ შავშეთში, რომლის წიაღშიც აღზრდილა მრავალი სასახელო მამულიშვილი, რომელთა საგმირო საქმეთ ხოტბა-დიდებას შეასხამდნენ სახალხო მეღეჟესენი. სამწუხაროდ, ისტორიული ბედუკულმართობის გამო, აქაურთა მესხიერებას არ შემორჩენია ამა თუ იმ კონკრეტულ ისტორიულ ფაქტებთან თუ პიროვნებებთან დაკავშირებული პატრიოტული ლექს-სიმღერები და არც გმირობა-ვაჟკაცობისა და მამულიშვილობის განზოგადოებულ შეხედულებათა ამსახველი პატრიოტული ლირიკის ნიმუშები. ეს სავსებით გასაგებიც არის, რადგან მათთვის საუკუნეთა განმავლობაში გაუცხოვდა ერთიანი ქართული სივრცე, ხოლო მუსულმანურ სამყაროში ჩარჩენილთათვის ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეალებიც გაუფერულდა; ახსოვდათ, რომ გურჯები იყვნენ, მაგრამ ნებისთ თუ უნებლიეთ ქართულ ტრადიციებთან გარკვეულმა გაუცხოვებამ და სამშობლოსათვის მსახურების შეგნებული ნებელობის არქონამ მათ პატრიოტულ სულისკვეთებას გარკვეული დაღი დააჩნია. მიუხედავად ამგვარი პერიპეტიებისა, შავშელთა პატრიოტულმა სულისკვეთებამ მაინც ჰპოვა გამოსავალი მშობლიური სოფლებისადმი გამოხატულ გრძნობებსა თუ წინაპრებისაგან შეთხზულ ლექგენდებში ჩარჩენილ „გადაკარგულ“ დიდ ისტორიულ სამშობლოზე.

სოფელ უსტამისში მცხოვრებ 12 წლის იუსუფ გუნერისაგან 2009 წლის აგვისტოში ჩვენ მიერ ჩაწერილ პატრიოტულ ლექსში „...თეთრო მამალო“ გამოთქმულია ღრმა სევდა იმის გამო, რომ „გადაკარგულა“ მშობლიური სოფელი, სადაც სახლის კარებზე ჰქონდათ ამოტვიფრული „ნიშანი“, რომელიც, ჩვენი აზრით, მათი ქართველობის და, ამდენად, შესაძლებელია, მართლმადიდებლობის ნიშანიც იყო; თუმცა, თანამედროვენი ვეღარ აკონკრეტებენ, რა და რისი ნიშანი იყო. ჩემს მთქმელს ეს ლექსი, რომელიც მან სიმღერით შეასრულა, დედისაგან უსწავლია; მის დედასაც თავისი წინაპრისაგან და ასე თაობიდან თაობაზე გადმოსულა მონატრება „თეთრი მამლის“ ყივილისა, რომლის ალევორიაშიც ერთიან, დიდ სამშობლოზე ფიქრი, ოცნება და სევდაა გამოხატული:

თეთრო მამალო,
რატომ არ ყვირი?
ლამაზი ქალო,
რატომ არ ტირი?
ჩვენ სახლი კარზე
იყო ნიშანი,
გადაკარგულა ჩვენი სოფელი.
ბუკრი უკნედან
იყო შეშები,
მოკდნენ ბერები,
დარჩნენ ახლები.

შავშელთა ამ უადრესად ორიგინალურ პატრიოტულ ლექს-სიმღერაში გამოთქმულია გაკვირვებაც, რომ თანამედროვე გურჯი ქალები მათი წინაპრების დარად აღარ ტირიან, რადგან „დრო ყველაფრის მკურნალია“ და ისინიც შეგუებულნი არიან რეალურ ვითარებას; სწორედ ამიტომაც აღარ ყივის მათი დამცხრალი სული-„თეთრი მამალი“ და თავადაც აღარ იცრემლებიან, თუმცა ახსოვთ, რომ მათი სახლების კარზე „იყო ნიშანი“ და ამ ნიშნით აღბეჭდილი წინაპრებიც მარადისობის მკვიდრნი გამხდარან; თუმცა, „დარჩნენ ახლები“, რაც ლექსის სევდიან განწყობილებას ოპტიმისტურად ასრულებს.

ლექსი „...თეთრო მამალო“ მრავალ ვარიანტად არის გავრცელებული შავშურ ზეპირსიტყვიერებაში. სოფელ ბაზგირეთში პროფ. რამაზ ხალვაშის მიერ 2005 წლის ივლისში ერენ თორუნისაგან (გამეშიძე) ჩაწერილ ერთ-ერთ ვარიანტში კიდევ უფრო გამძაფრებულია დედის გაღმა დარჩენილი მშობლიური სახლებისა და წინაპართა მონატრება:

დელე გაღმაა
ჩვენი სახლები,
მოკვდნენ ზველები,
დარჩნენ ახლები.

ღამაზო ქალო,
რატომ არ ტირი?
თეთრო მამალო,
რატომ არ ყივი?

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პროფ. შუშანა ფუტკარაძემ საანალიზო ლექსის ვარიანტი 1989 წელს დააფიქსირა ინეგოლში ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის:

თეთრო მამალო,
რატომ არ ყივი,
ღამაზო ქალო,
რატომ არ ტირი?
შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე.
შენი თვალ-წარბი მე შემიცვალე!
ღელე გაღმაში
ჩუენი სახლები,
მოკდენ ბერები,
დარჩენ ახლები.
შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე,
შენი თვალ-წარბი მე შემიცვალე... (შ. ფუტკარაძე 1993:53–54).

მოქმედმა აღნიშნა, რომ ეს სიმღერა „ძუგლების ნათქვამია“. ახლა ძნელია იმის დადგენა, ჩვენებურთა წინაპრების ეს ამონაკვეთი, რომელმაც ჩვენს დრომდე მოიტანა ქართველთა პატრიოტული სულისკვეთება, მუჰაჯირთა ნოსტალგიამ შექმნა თუ ისტორიულ ქართულ მიწაზე მცხოვრებ შავშელთა გულისტკივილმა მტერთაგან დაწიაწებული სამშობლოს გამო; ერთი კი ნამდვილად ცხადია: ლექსი გამსჭვალულია ღრმა მამულიშვილური სულისკვეთებით და ისტორიული ბედუკუდმართობით გამოწვეული მოუნელებელი წუხილით.

სარფის კარის გახსნამ და „ღიდ“ საქართველოსთან ურთიერთობამ ჩვენებურები ახალი რეალობის წინაშე დააყენა, თუმცა, მათ მანამდეც კარგად ჰქონდათ გააზრებული, „ვისი გორისანიც“ იყვნენ. 2005 წლის ივლისში უსტამისელმა ეუბ ალთუნმა პროფ. რამაზ ხალვაშს უთხრა: „– მე ვებნეოდი ამხანაგებ, ეს ემე, ჯელი გაჭარით, სისხლი დაწერავს ქართულათ“. ჩვენთან ურთიერთობის შემდეგ კი გაუჩნდათ სურვილი, განაახლონ, გაიხსენონ, „გურჯიჯა“ სიმღერები, რომლებიც დროთა ვითარებაში თანდათან დავიწყებას ეძლეოდა.

სოფელ მანხატეთში მცხოვრები 76 წლის პუნქერ ქაიასაგან 2009 წლის აგვისტოში ჩვენ მიერ ჩაწერილ ლექსში ნათქვამია:

გაღმა სერში ქათმები,
მიმოდევან ზერები.
ახლათ'და დევიწყოთ
გურჯიჯა სიმღერები!

ამ ლექსის იდენტური ვარიანტი ჯერ კიდევ 1993 წელს დააფიქსირა პროფ. შუშანა ფუტკარაძემ ს. ხოხლევიში ბაჰალი ჯენიგლისაგან (ოზიშიდი). სხვა ვარიანტით, რომელიც 2005 წლის ივლისში სოფელ ბაზგირეთში ჩავიწერე 36 წლის სევეგიე თემურისაგან (სვარიზაშივილი), ხაზგასმით არის მინიშნებული, რომ ახლა დადგა დრო, როცა გურჯებმა გურჯული სიმღერები უნდა იმღერონ:

რა მაღალი ყოფილა,
ატიანის სერები!
ახლა ჩვენ' ნა ვიმღეროთ
გურჯიჯა სიმღერები!

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უფრო ადრე, 1983 წელს, ოფიციალურ დელეგაციაში ვიმყოფებოდი ქ. რიზეში, სადაც იმხანად 20 წლის ბაზგირელი ქემალ ქამეშიძისაგან, რომელიც სწავლობდა რიზეს შავი ზღვის ინსტიტუტის საამშენებლო ფაკულტეტზე, ჩავიწერე ამ ლექს-სიმღერის ვარიანტი:

რა მაღალი ყოფილა,
ატიანის სერები!
ახლა მე'ნა ვიმღერო
ქართველი სიმღერები!

ქემალმა სიამაყით აღნიშნა, რომ ეს სიმღერა ბაზგირეთში ყველამ იცოდა.

ჩვენებურთა უდიდესი სურვილი საქართველოში ჩამოსვლისა და ქართველებთან ურთიერთობისა მშვენიერად გამოთქვა 70 წლის ბაზგირეთელმა ქალბატონმა სარე ბულბულმა (თეთრაძე); 2005 წლის 24 ივლისს ბაზგირეთში ასულ ექსპედიციის წევრებს მან ასე მოგვი-
ლექსა:

საკუპრიაზე – ხარებო,
ქვაკიბეში – ღარებო.
ჩვენ თქვენთან გამოსლა გვინდა,
არა გვაქ კი ფარებო.

იმერხევის უღამაზესი სოფელი ბაზგირეთი (ბაძგირეთი) აქაურთა კანონიერი სიამაყის ობიექტია. ბაზგარეთლები უზომოდ არიან შეყვარებულნი თავიანთ სოფელზე და, დღეისათვის თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში გაფანტულნი, ყოველ ზაფხულს ადიან მშობლიური კერის მოსანახულებლად და საპატრონოდ; თუმცა, ბევრი ოჯახი მუდმივად იქ ბინადრობს. ბაზგირეთის სანახები მათთვის ყველაზე დიდი რელიქვიაა და მის შემოგარენში სიარული კი – უდიდესი ამქვეყნიური ჯილდო:

– სადევრი?
– ბაზგირელი!
– მოდი, ჩამართვი ჭელი!
სიცოცხლეში ვიაროთ
ჯანჯირი – ბაზგირეთი! [რ. ხალვაში 2007:311].

თავისი სოფლის პატრიოტ ბაზგირეთლებს ორი დღითაც კი არ შეუძლიათ, მოშორდნენ მას:

დაბა და დევიეთი,
ზემოდან – ზაქიეთი.
ორი დღე აღარ ვარ,
მომსურდა ბაზგირეთი!

ეს ლექს–სიმღერა 2009 წლის აგვისტოში ჩაგვაწვრინა 24 წლის ალი ილდიზმა, რომელიც ცხოვრობს ქალაქ იზმითში; იგი წარმოშობით ბაზგირეთელია და ყოველ ზაფხულს სტუმრობს მშობლიურ სოფელს. აღსანიშნავია, რომ ბაზგირეთის მონატრების მოტივის შემცველი ეს ლექს–სიმღერა ფართოდ არის გავრცელებული არა მარტო ბაზგირეთლებს შორის; მისი ვარიანტები 2005 და 2009 წლებში დავაფიქსირეთ სოფელ ჯვარიტევში (მთქმელი 80 წლის ზულფეთ გუნეში), სოფელ ხევწრულში, (მთქმელი 45 წლის ნიგარ ორალი) და სოფელ უსტამისში (მთქმელი 64 წლის შაჰზენე ბილგინი). ამ ლექს–სიმღერის გავრცელების ფართო არეალმა და მასიურობამ (მას სახალხო მომღერლები, ანუ ეგრეთწოდებული „გარმონჯები,“ ასრულებენ მარიობის დღესასწაულებზე, ანუ ეგრეთწოდებულ ფესტივალებზე) განაპირობა, რომ იგივე სიტყვიერი ფაქტურით გაფორმებული პატრიოტული ლექს–სიმღერა ხალხმა თავიანთ სოფლებზეც შექმნა. სოფელ აგარას ერთ–ერთ უბანში – ვარდიქეში, ანუ ვარდიეთში, მცხოვრები 40 წლის სონერ მოსიძისაგან 2009 წლის 8 აგვისტოს ჩავიწერეთ შემდეგი ვარიანტი:

დაბა და დევიეთი,
ზემოდამ – ზაქიეთი.
ორი დღე აღარა ვარ,
მომსურდა ვარდიეთი!

მშობლიური მიწის ყოველი მტკაველი ძვირფასია შავშეთელი გურჯებისათვის. სოფელ ხევწრულის (ჩაღლიანი) მკვიდრმა ქალბატონმა, ტიპიურმა სახალხო მთქმელმა, ნიგარ ორალმა, გულისტკივილით მოგვითხრო ბელტიეთში გაჩენილი ხანძრის შესახებ და იქვე ლექსადაც დაამღერა:

აველ ნაციხვარაზე,
გამოჩნდა ჩაქვიეთი.
ე რავად გული მეწვის,
დაწვილა ბელტიეთი!

ჩვენებურთა იმედიანი განწყობილება, რომ გურჯული სიმღერები, რომლებიც წინაპრებისაგან დაუსწავლიათ, საყოველთაოდ არის გავრცელებული და მომავალი თაობაც არ დაივიწყებს, ისმის სოფელ ბაზგირეთში 18 წლის იუსუფ ჩელიქისაგან (ცხვარიძე) 2005 წლის 24 ივლისს პროფ. რამაზ ხალვაშის მიერ ჩაწერილ ლექს-სიმღერაში:

მადლა სერში ჩიტები,
დაყარონ'ნა შეილები.
ამ სიმღერას იტყვიან
ჩვენი ბიზაშვილები.

ამრიგად, პატრიოტული ხასიათის ლექს-სიმღერები შავშური ზეპირსიტყვიერების ორგანული ნაწილია; მართალია, ჩვენებურთა მესსიერებას ვერ შემორჩა ტრადიციული პატრიოტული თემატიკის ამსახველი ნიმუშები, მაგრამ მამულის სიყვარული, მშობლიური გარემოსადმი განსაკუთრებული სათუთი დამოკიდებულება შავშური ფოლკლორის ერთ-ერთი სამშვენისია.

§2. სასტილიალო პოეზია

ყველა ხალხის, და მათ შორის ქართველთა, ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ერთ-ერთი წამყვანი დარგია სატრფიალო ლირიკა, რომელიც მრავალთა მიერ განცდილისა და გულისნადების გამოვლინებაა და მშვენივრად გამოხატავს ხალხის თვალსაზრისს საზოგადოებრივ მოვლენებზე, ადამიანთა გრძნობებზე, ცხოვრების იდეალებზე. შავშურ ზეპირსიტყვიერებაშიც, ბუნებრივია, სატრფიალო პოეზია ერთ-ერთი გამორჩეულია. ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკის სახეობათაგან აქაურ ქართველებში უმთავრესად ვხვდებით შაირის ფორმის ქების, ელეგიისა და ნატვრის ლექს-სიმღერებს, რომლებშიც გადმოცემულია ჩვენებურთა თვალსაზრისი სიყვარულის ობიექტზე და ხოტბა-დიდება გამოთქმული სასურველი ადამიანის მიმართ; შექებულია სატრფოს გარეგნული და სულიერი სილამაზე; წარმოჩენილია მიჯნურთა სურვილები და ოცნებები.

საერთოქართული სატრფიალო პოეზიის დარად, შავშური სატრფიალო ლექს-სიმღერების უმთავრესი ადრესატია ქალი. ტრადიციულად ქართული სატრფიალო ლექსი ქალის გარეგნულ სიმშვენიერეს გადმოსცემს არა აღწერით, არამედ ერთი რომელიმე შტრიხით ქმნის განწყობას. ეს შტრიხი ხშირად სატრფოს ხილვაა:

ერთი შენი შემოხედვა

ათას სევდას დაჰკარგავსო... (ელ. ვირსალაძე 1968 : 269).

მღერის ქართლელი შეყვარებული. შავშური სატრფიალო ლირიკა ამ თვალსაზრისითაც ერთიანი ქართული ფოლკლორული სივრცის ნაწილია. სატრფოს დანახვა შეყვარებულ ვაჟისათვის სამოთხის ხილვის ტოლფასია:

ატიანის სერებზე

ვერავინ ვერ ახტება.

მე რომ შენ დიგინახავ,

საჯენნეთო გახდება!

ამგვარად გადმოსცა გულისსწორის დანახვით გამოწვეული სიხარული ტიპურმა სახალხო მთქმელმა, 29 წლის თანერ (თანო) იშექმა (ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ბაზგ.).

იგივე აზრი და, ამავე დროს, სასურველ სამოსელში სატრფოს ხილვის სურვილია გამოთქმული სოფელ ხევწრულში ჩაწერილ ლექსში (მთქმელი გამზე თანრივერდი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ.):

ჩოხა გეიჯადე, ჩოხა,
ფელეგი მოგიხდება.
შენი ერთი დანახვა
ჯენნეთი გემიხდება!

ან კიდევ:

ეგ ლამაზი ჯაქეთი
ე რა ფენა გიხდება!
ერთი შენი დანახვა
ჯენნეთი გემიხდება!

(მთქ. სედათ სერგინი (თათვიანა). ჩაიწერა რ.

ხალვაშმა 2005 წ. ს. უსტ.).

სატრფოს ხილვით გამოწვეული სიხარული იმდენად დიდი ბედნიერებაა, რომ შეყვარებულ ვაჟს სჯერა, რომ აღარ დაბერდება:

საყვეარას ფერდები,
საკუპრიას გვერდები.
მე რომ შენ დეგინახავ,
ჰეი აღარ დაბერდები!

(მთქ. თანერ (თანო) იშეკი (მჭედლიძე).

ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ბაზგ.).

სასურველის სიზმარში ხილვაც დადებით ემოციებთან არის დაკავშირებული:

ციყელიზირ კლდი ძირში
მივჯექ ერთ ნაძვი ძირში.
ჩემი დარი დევნახე
გუშინდელ გერმელ ძილში.

(მთქ. ენსარ ქელიჩი (ხაჯიენთი).

ჩაიწერა რ. ხალვაშმა 2005 წ. ს. დ.).

ფიქრობთ, ამალღებულ ადგილას, კლდის ძირში, სიზმრის ნახვა უნდა უკავშირდებოდეს ეგრეთწოდებულ ზიარეთს, სადაც მორწმუნეები მიდიოდნენ და ლოცულობდნენ, რათა განკურნებულიყვნენ, მისცემოდათ შვილი და შესრულებოდათ სათხოვარი. ზიარეთი, ანუ სალოცავი, წმინდა ადგილია, სადაც მორწმუნე დაიძინებს და სიზმარში სასურველ რჩევებს მიიღებს. ზიარეთში სიარულის და იქ დაძინების ჩვეულებას იცნობს აჭარის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სინამდვილე. 1972 წელს მეკლევარ ზურაბ თანდილავას მიერ ხულოს რაიონის სოფელ სკვანაში 73 წლის მემედ ჯაიანისაგან ჩაწერილი ლეგენდის – „ლაზი ხოჯები“ (ნბიფა, №70: 186–190) - თანახმად, ზიარეთი შეიძლება იყოს წმინდანის საფლავიც.

ზიარეთის შესახებ მასალა მოიპოვა ნიკო მარმა იმერხევის სოფელ თეთრაქედში, რომელიც, იმდროინდელ მცხოვრებთა თქმით, ახალი დასახლება იყო და სოფელ გიგიეთიდან გადმოსულ ათიოდე კომლს მოიცავდა (ნ. მარი 1911:78, 80). თეთრაქედელები, მარის თქმით, ყველანი მუსულმანები იყვნენ; მათ მოუყოლიათ ზიარეთში სიარულის ტრადიციის შესახებ: „ზიარეთში წავალთ, მუმს გავაკეთებთ, გავადნობთ, ძაფს ჩავეყოფთ და ამევიღებთ, წავიღებთ. ზიარეთათ ფორტას წავალთ და მერის[ს], აჭარას“. როგორც იმ დროისათვის მარის 65 წლის ინფორმატორისაგან ვკებულობთ, იმერხევიდან ზიარეთში მოდიოდნენ აჭარაში, კერძოდ – მერისის ხეობაში.

ფორთაში „ზიარეთად წასვლის“ თაობაზე და მთელ რიტუალზე საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მარისეული ჩანაწერი: „ფორტის ზემოთ არი ჩვენი ზიარეთი, ერთ საათ გოუწევს. ზიარეთზე მარტოდ მოშენებული სახლი არი ქვიდან, ყულად; მოშენებული, ყულანდელი, მაშინდელი.

ზიარეთში დაწვებიან, სიზმარში ნახვენ. ეტყვის სიზმარში, ეს დაკალიო, და ფული ანუქქო, შინ დაკალიო, და აქ დაკალიო. რაცხასაც რომ ეტყვის, დაკლავს. ყოჩ (მამალი ცხვარი), ცხვარ ეტყვის, ჯარ, ზროხას ეტყვის. ქათამი გაგვიგონია, სხვ ჩიტი არ გაგვიგონია“.

მარისეული ცნობის თანახმად, ზიარეთში დადიან ქალებიც და კაცებიც. „კარი არა აქ, შვეა შიგ კაცი და ქალი, პერანგს ჩაიცვამს მარტო. ოქრო, ვერცხლი არ იქნება, მარტო პერანგი და ნიფხავი“.

ზიარეთში მლოცველი ანთებს სამ, ხუთ, შვიდ ან ცხრა სანთელს და დაწვება, რათა ნახოს სიზმარი იმის შესახებ, რაც აწეხებს. თუ არაფერი ესიზმრა, არ ეშველება, ხოლო „თუ ნახა, თვალს დააბანიებს სიზმარში (მოუტანს რაცხას, ისე ეჩვენება), ასვამს და ეტყვის ყურბანიო...“

როგორც ნ. მარის მთხრობელი მიუთითებს, მათი „ზიარეთად წასვლა“ ხდება ქრისტიანულ ეკლესიაში (ნ. მარი 1911:79). ქრისტიანულ სალოცავებში ღამისთევით წასვლა ჩვეულებრივი მოვლენაა საქართველოს ყველა კუთხეში, რაც იმერხევიც შემონახულა.

სოფ. ბაზგირეთის მახლობლად მდებარე ზიარეთის შესახებ ცნობას ვხვდებით ერთ-ერთ სატრფიალო ლექსშიც:

ჯანჯირის ბაწრებიდან
გეიარ, გახვალ ზიარეთ.
სულ აღარ მავიწყდება,
ჩვენ რომ ერთად ვიარეთ.

(მთქ. მესუთ ქოჯა. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ა.).

აღსანიშნავია, რომ ზიარეთში წასვლის ჩვეულება დასტურდება დღეს თურქეთის გამგებლობაში მოქცეულ მაჭახლელთა შორისაც. 1989 წელს ქ. რიზეში 32 წლის სულეიმან ოზჯანისაგან (სელიმოდლი, ქოთაროდლი), რომელიც დაბადებული და გაზრდილია მაჭახელში, სოფელ ზედვაკეში, ჩავიწერე ლეგენდა „ზიარეთის გული“ (ნბიფა, საქმე № 284:103–104). ამ ლეგენდის თანახმად, ზიარეთის ტბის ჭალებში „ინსანი დაწვებოდა. რაცხა თავზე უნდა გადახდეს, თელ ელაპარაკებოდა წვერიანი დედე. ეს დედე კარგი ინსანია. ის სიზმარში ელაპარაკება. მერე ადგება ინსანი, ვინმეს ვერ დეინახავ“.

შავშური სატრფიალო ლირიკის თანახმად, შეყვარებულის ყოველი გამოხედვა უდიდესი შვება და სიხარულია:

თაზე მივდოდი, თაზე,
ვეიარე ჭალებში.
რა ღამაზათ მიყურეფ,
გენაცვალე თვალებში!

(მთქ. თანერ (თანო) იშექი (მჭედლიძე). ჩაიწერა
თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ბაზგ.).

შავში ვაუისათვის მუდამ სანატრელია კარგ ხასიათზე მყოფი გულისსწორის ხილვა. ს. ბაზგირეთში აიჰან სენერისაგან ჩაწერილი ლექსის თანახმად, შეუბრალებელი სატრფო დღე და ღამე ატირებს ვაჟკაცს:

გადი ყანი დარეზე,
გადი – გამოფ, მიყურე.
ერა ზალუმი იყავ,
დღისით–ღამით მატირე!

ამიტომაც ნატრობს ვაჟი შეყვარებულის თეთრი კბილების ხილვას და პირდება, რომ სათუთად შეინახავს უბეში:

საფექროში დგიმები,
შენი თეთრი კბილები.
გეიცინე, დეგინახო,
უბეში შეგინახო.

(მთქ. მესუთ ქოჯა. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ა.).

განაწყენებული, გაბუტული სატრფო არ არის შავშური სატრფიალო ლირიკის სასურველი ადრესატი:

ჩარში ფრინავს კუკული,
რაზე ხარ გაბუკული?
გეიცინე, დეგინახო,
უბეში შეგინახო!

(მთქ. შაჰზენე ბილგინი, ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009წ. ს. უსტ.).

ანდა:

გედცინო, დიგინახო,
უბეში შიგინახო.
მემეპარე კარიდან,
აჯაფ, სა დიგინახო!
(მთქ. ბინალი თათუიშვილი. ჩაიწერა მ. ცინცაძემ. 2005 წ. ს. უსტ.).

ლექსის ზოგიერთ ვარიანტში შეყვარებული ვაჟი ქალს მარანში შენახვას პირდება:

გოგლი, გოგლი, გოგოჯან!
გეიცინე, დიგინახო
მარანში შიგინახო!

(მთქ. ფუნარ ალთუნი, ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. უსტ.).

მარანს ჩვენებურები ბელელს უძახიან. ბელელში შენახვა კი ამ შემთხვევაში ნოყიერად, ფუფუნებით ცხოვრებაზე უნდა მიანიშნებდეს.

სატრფოს ხილვა შავში შეყვარებულისათვის ტანჯვაც არის და გულის დაწვაც, თუკი მოწონება და სიყვარული ცალმხრივია:

ტაფაზე დავედ დადი,
ე რა ფენა დემეწვა!
სერი რომ გედეიარე,
ე რა გული დემეწვა!

(მთქ. ემინე აქგუმუში. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. იფხ).

ზოგჯერ სატრფოს უიმედო ხილვა უძილო დამეებსაც იწვევს:

მერეთა, მაჭახელი,
გოგო, რა გაქ სახელი?
გუშინ რო დეგინახე,
ვერ ვიძინე წუხელი.

(მთქ. ნიგალ ორალი, ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ხევწ.).

საბოლოოდ კი, შავშური სატრფიალო ღირიკის თანახმად, ჟრუანტელისა და გულის კანკალის გარეშე შეუძლებელია სატრფოს ხილვა:

გაღმა სერში ქათამი
დამუდარა და კაკანობს.
მე შენ რომ დიგინახავ,
გულში გამაკანკალებს.

(მთქ. შაჰზენე ბილგინი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. უსტ.).

ანდა:

გაღმა სერში თიკანი
გამოღმა მოკაკანებს.
ერთი შენ დიგინახავ,
გულში გამაკანკალებს.

(მთქ. სურმელ ილდიზი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. იფხ).

აჭარის სატრფიალო პოეზიაში თითქმის იდენტური სტრიქონებით არის გამოხატული შეყვარებულის აფორიაქება, ოღონდაც ამჯერად ქალის გრძნობებია გამოხატული:

გაღმა ქათამი გავდენე,
გამოღმა გამოკაკანეფს.
ბიჭოვ, შენი სიყვარულით
მაციეფს და მაკანკალეფს.
(ნბიფა №14:147).

გამუდმებით შეყვარებულისაკენ გაურბის თვალი შავშს, რაც სათანადოდ აისახა სატრფიალო ლექს-სიმღერაშიც:

თაზე მიმყავს ორი ხბო,
იქით-აქეთ მექცევა.
მე რომ შენ დეგინახავ,
თვალი შენკენ მექცევა.

(მთქ. მესუთ ქოჯა. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ა).

ლექსის სხვა ვარიანტის თანახმად, შეყვარებულის ხილვისას „ეს გული გემექცევა“ (მთქმელი ილიას ალთუნი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. კოკბერეთში). ამავე დროს, შავშური სატრფიალო ლირიკის მიხედვით, შეყვარებულისათვის თუნდაც ერთჯერ თვალის შეველებაც კი საკმარისია, რომ თვალებში სამუდამოდ დარჩეს მისი ხატება:

გაღმა სერში ნაზვი დგას,
ნაზვი შიგან წყალი დგას.
ჩემ კარზე რომ გეძარე,
ჰალა თვალებში დგას.

(მთქ. არზუ ავჯი. ჩაიწერა რ. ხალვაშმა 2005 წ. ს. იფხ).

სატრფოს ხილვის თემატიკის შავშური ლექს-სიმღერებში ზოგჯერ ეროტიკაც გამოერევა:

ღელე-ღელე მივლოდი,
ღელე ბალახიანი.
ერთი გოგო დევნახე
ზუზუტალახიანი.

(მთქ. სევეგიე თემური (სვარიზაშვილი). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. ბაზგ).

ანდა:

გავიდენა ტყიაში,
მევიტანო ზესმელი.
ერთი გოგო დევნახე,
ტანსუქანი, პირხმელი.

(მთქ. თანო (თანერ) იშექი (მჭედლიძე). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ბაზგ).

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ შავშური სატრფიალო პოეზიისათვის დამახასიათებელია გარკვეული სითამამე სიყვარულის ახსნაში; ამ თვალსაზრისით აქაურთა დამოკიდებულება ტრფობის ობიექტისადმი სიახლოვეს ავლენს ფშაურ სატრფიალო ლირიკასთან. შავში ჭაბუკი არ ერიდება, სატრფოს მიუმღეროს:

ფეხზე ჩევიცვი ფოთინი
ოდნავ წამოდებული.
ამეზლამ დევიზინოთ
ჯელი ჩამოდებული.

(მთქ. სონერ მოსიძე. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ვარდ).

ანდა:

ჩაფულეები დიმიცლა,
ოთუზ სექიზ ნუბარა.
ამეზლამ შენთან მუალ,
არ' და მიყო დუბარა.

(მთქ. აჰმეთ იალიჯი. ჩაიწერა რ. ხალვაშმა 2005 წ. ს. იფხ).

ანდა კიდევ:

ჭიჭლიყ ემო, მეველუდ ემო.
შავ ტყეშია გელი ბუდე,
მოდი, ქალო, ჩემეხუტე!

(მთქ. ეუბ სეჩინი. ჩაიწერა რ.ხლვაშმა 2005 წ. ს. ბაზგ.).

ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკისათვის ყველაზე ნიშანდობლივია სატრფოს, უმთავრესად, ქალის, სილამაზის შექება. ამ მხრივაც არ ღალატობს შავშური სატრფიალო ლირიკა საერთოქართულ ტრადიციას:

ნაფუნევის ზედედან
ატიანი დუზია.
ი ჩემი საყვარელი
ბითევზე ღამაზია.

(მთქ. აიშე იღმაზი (მოლოდლი). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს.ზ.).

ანდა:

ბაზგირეთის უკნედან
საზგირელი დუზია.
ერთი გოგო დვენახე,
ბითევზე ღამაზია.

(მთქ. თანერ (თანო) იშექი (მჭედლიძე). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ბაზგ.).

ტანკენარობასთან ერთად, შავშური სატრფიალო ლირიკის ადრესატი შემკული უნდა იყოს მშვენიერი თმითაც:

წვიმა წვიმს და ნამი არა,
სულ კაბაში გამიარა.
ღელე-ღელე გავიარე,
ღელე ბალახიანი.
ერთი გოგო დვეინახე,
წელი წმინდა, თმიანი.

(ო. ფუტკარაძე 1991: 13)

ანდა:

გაღმა ჯარი გავდენე
დაბალი და ქიანი.
ერთი გოგო შეყვარე
ღამაზი და თმიანი.

(მთქ. აჰმეთ იალიჯი (სუმაში); ჩაიწერა რ. ხალვაშმა 2005 წ. ს. იფხ).

აღსანიშნავია, რომ შავშელთა სატრფიალო ლირიკაში სატრფოს სამოსელ-სამკაულთა ქება მისი გარეგნული ქების ტოლფასად აღიქმება:

დილაღ გამუელ კარზე,
მიხვიდოდი თი გზაზე.
რა ფენა გიხდებოდა
თეთრი ელბისე ტანზე!

(მთქ. ქემალ ჩალიშქანი (ჯივანოღლი). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. ბაზგ.).

ანდა:

ტაფა მოიტანეთ, ტაფა,
მოადულო'ნა ფაფა.
რა ღამაზათ გიხდება
შენ თავზე თეთრი კაბა!

(მთქ. თანერ (თანო) იშექი (მჭედლიძე). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ბაზგ.).

ან კიდევ:



ზივიანი ღეჩევი
რა ღამაზათ გიხდება!
ერთი შენი დანახვა
ჯენნეთი გიმიხდება!

(მთქ. ნინო დურმუში (მოსიაშვილი). ჩაიწერა რ. ხალვაშმა 2005 წ. ს. უსტ.).

სატრფოს სიღამაზის შედარება ციურ მნათობებთან – მზესთან და მთვარესთან – ქართული ხალხური სატრფიალოს პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო თვისებაა; ეს ტრადიციული სახე ზოგჯერ მხატვრული შედარებით არის წარმოდგენილი, ზოგჯერ კი ხალხური აზროვნების არქაულ სახეებს უკავშირდება (ელ. ვირსალაძე 1968:273–276). შავშურ სატრფიალო ლირიკაში საყვარელი ქალის სახე ერთდროულად არის შედარებული მზესთანაც და მთვარესთანაც:

... ი ჩემი საყვარელი
ბზეამოსულ თვარეს გაეს.

(მთქ. თანერ (თანო) იშეკი (მჭედლიძე). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ბაზგ.).

შავშურ სატრფიალო ლირიკაში სრულიად ბუნებრივად გამოსჭვავის შეყვარებულის მუდმივი თანამდგევი სევდა:

ჯანჯირის ახალ გზაში
სამი თანეჲ ვირაუი.
ინგუარ დერდში ჩამაგდე,
ვერა ვნახე ილაჯი.

(რ. ხალვაში 2007:313).

სიყვარულის სევდა-წუხილის გამომხატველ სახასიათო ლექს-სიმღერას „...გაღმა სერში თეთრი ქვა“ მღერიან შავშეთის თითქმის ყველა ქართულ სოფელში:

გაღმა სერში თეთრი ქვა,
დავევევ ჰელი, არ ამყვა.
ე ბათაჯალი სევდა,
საცხა წაველ, იქ წამყვა.

(მთქ. ჯაფერ თორუნი (გამეშიძე). ჩაიწერა რ. ხალვაშმა 2005 წ. ს. ბაზგ.).

ანდა:

იგერ, გაღმა, თეთრი ქვა,
ჩამოველ აქ, ჩამომყვა.
შენმა სევდამ, სიყვარულმა,
სადაც წეველ, იქ წამყვა.

(ო. ფუტკარაძე 1991:12).

ან კიდევ:

ფენჯერეზე ორი ქუა,
ჰელი დავჰკარ, არ ამყუა.
ე გამოვსილი სევდა
საცხა წეველ, წამომყუა.

(შ. ფუტკარაძე 1993:220).

ტრადიციული, პარალელიზმის ხერხზე აგებული, ეს ლექს-სიმღერა ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში; მისი იმერული ვარიანტი ამგვარია:

მინდორშია თეთრი ქვაო,
დაგკარ ხელი, თან ამყვაო.
გოგო, შენი სიყვარული
სადაც წაველ, თან წამყვაო.

(ქრესტ., 1970:387).

შავშმა მიჯნურმა სასიყვარულო სევდას ერთგვარი „წამალიც“ მოუძებნა:

ეჭლოჯან, ეჭლოჯან,
ორ ზიგარას წუუკიდე,
ერთი შენ სვი, ერთი - მე.
ორთავე დაწვილი ვართ,
ერთი შენ თქვი, ერთი - მე.

(მთქ. შაჰზენე ბილგინი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. უსტ.).

ანდა:

ორ სიგარას წუუკიდე,
ერთი შენ სვი, ერთი - მე.
ორთავე აშული ვართ,
ერთი შენ თქვი, ერთი - მე.

(მთქ. გულსარე დუზგუნი (ჯივანაშვილი). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. ბაზგ.).
შავშ შეყვარებულს სატრფოს გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია:

ხეზე აველ უჯელო,
ვერ ჩამუელ უფეხო.
რატომ დიდი შემიყვარდი,
ვერ დავდგები უშენოთ!

(მთქ. ჰალიმ სეჩქინი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ა.).

ანდა:

ჩვენ ჯანჯირის აღმართში
სამ საათზე ვერ ევალ.
დავწვები შავ მიწაში,
მე შენიდან ვერ გევალ!

(მთქ. ფატმა მეიდან (ყარამემედოღლი). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. ბაზგ.).
შეყვარებულის ნათქვამი ყოველი სიტყვა სამუდამოდ გულის ფიცარზე აქვს აღბეჭდილი
შავში მიჯნურს:

ჩვენ ჯანჯირის შუაში
ცივი წყალი ამოდის.
დარ, შენი ნათქვამები
გულიდან არ ამოდის.

(მთქ. გულსარე დუზგუნი (ჯივანაშვილი). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. ბაზგ.).
შავშურ ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ არის გავრცელებული საქართველოს ყველა კუთხე-
ში ასევე პოპულარული სატრფიალო ლექს-სიმღერის“ – წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“ – ვარიან-
ტები, რომლებიც ფაქტობრივად იდენტური სიტყვიერი ქსოვილით არიან გაფორმებულნი:

ღელეს მიაქ ნაფოტი,
კატრის ჩამონათალი.
შედეგ, ღელეგ, მითხარი
დარის შემონათვალი!

(რ. ხალვაში 2007:313).

ანდა:

ნარდანიანა, ნინაანა,
ნარდანიანა, ნინაანა,
ნარდანიანა, ნინაანა,
ნარდანიანა, ნინაანა.
ღელეს მიაქ ნაფოტი,
აღვის ჩამონათალი.

შედევ, ღელევ, მითხარი
დარის შემონათვალი!
ნარდანიხა, ნინაძნა,
ნარდანიხა, ნინაძნა,
ნარდანიხა, ნინაძნა,
ნარდანიხა, ნინაძნა.

(ო. ფუტკარაძე 1991:29).

ამ ლექს-სიმღერის ქართული (მესხური) დიალოგური ვარიანტი კი ამგვარია:

წყალსა მოჰქონდა ნაფოტი
აღვის ხის ჩამონათალი.
- დადექ წყალო, და მიაძბე
მოყვარის შემონათვალი!
- შენი მოყვარე ტანწვრილი
შუა გზას ენახე დაჭრილი.
დავჯექ და ბევრი ვიტირე,
ზედ მივაყარე ქვა-წვრილი.

(ქართ. ხალხ. პ., ტ. VI, 1978:149).

საინტერესოა, რომ ლექსის ზოგიერთ აჭარულ ვარიანტში ნაფოტი აღმასის ჩამონათალია („წყალსა ნაფოტი მოქონდა აღმასის ჩამონათალი“) (ა. ხ. პ. I, 1969:112).

ზოგი ვარიანტით ჭოროხს მოაქვს კვიპარისის ნაფოტი:

ჭოროხ ნაფოტი მიაქ
სელვის ჩამონათალი.
შედევ, წყალო, მითხარი,
დარის შემონათვალი!

(ნბიფა №150:75).

ლექსი დიალოგური ხასიათისაა, აგრეთვე, ქართლურ, კახურ და იმერულ ვარიანტებში (ქართ. ხალხ. პ., ტ. VI, 1978:381:384); თუმცა, აჭარული ვარიანტები ოთხსტრიქონიანია და თითქმის შავშურის იდენტურია. ჩვენებურების მესხიერებასაც, სამწუხაროდ, მხოლოდ ლექსის პირველი ნაწილი შემოუნახავს. ამ ლექს-სიმღერის კომენტარებისას ცნობილმა ფოლკლორისტმა ვახტანგ კოტეტიშვილმა თავის დროზე აღნიშნა, რომ აქ ნახსენები ნაფოტი არქაული მსოფლმხედველობის ნაშთია და სცილდება ქართული ფოლკლორის საზღვრებს. იგი ვარაუდობდა, რომ ლექსი რომელიღაც ვრცელი თქმულების ფრაგმენტია და „ის მთელია საძიებელი, რომლის „ნაფოტსაც“ ეს ლექსი წარმოადგენს“ (ვ. კოტეტიშვილი 1961:345-346). სამწუხაროდ, ლექსის შავშური ვარიანტები კიდევ უფრო ფრაგმენტულია და ვერაფრით გვეხმარება მთელის პოვნაში.

შავშურ ფოლკლორში ძალზე გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში პოპულარული ლექს-სიმღერა „...მინდორში, ბალახ-ბულახში“, რომლითაც გადმოცემულია შეყვარებულთა ფარული პაემნის შესახებ. საქართველოში დაფიქსირებული ვარიანტებისაგან განსხვავებით („მინდორში, ბალახ-ბულახში ამოსულიყო იაო“), შავშური ლექს-სიმღერის თანახმად, მინდორში ეკალია ამოსული, რაც სიმბოლურად შეყვარებულთა შორის არსებულ პრობლემათა მოგვარებაზე უნდა მიანიშნებდეს, რადგანაც ეკალი შავი მაგის გამაუვნებელმყოფელი, ავი თვალისაგან დამცავი სიმბოლოა. აღსანიშნავია, რომ ძველ ეგვიპტეში აკაციის ეკალი ადამიანთა მფარველი ქალღმერთის – ნეიტის ატრიბუტად აღიქმებოდა, ხოლო ეკლის გვირგვინი, რომელიც ჯარისკაცებმა, დაცინვის ნიშნად, თავს დაადგეს იესო ქრისტეს, ვითარცა „იუდეველთა მეფეს“, ბიბლიის მკვლევართა უმეტესობის აზრით, კვრინხის ბუჩქისა იყო და „ძეპვის გვირგვინად“ მოიხსენიება, მაგრამ ბიბლიის ქართულ თარგმანში დაინერგა გამოთქმა „ეკლის გვირგვინი“. ამდენად, ეკალმა ორგვარი სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა: ერთის მხრივ განასახიერებს მაცხოვრის მოწამეობრივ გზას, საზოგადოდ კი

– წამებასა და განსაცდელს, და, მეორე მხრივ, იმავდროულად, სიმბოლური ინვერსიით – ამ განსაცდელის უვნებელყოფასა და მისგან თავდაცვას (სიმბოლოთა ენციკლოპედია, 2006: 64).

საანალიზო ლექს-სიმღერის მეორე ნაწილში გადმოცემულია სურვილი, ერთად „კაკლის ტეხვის“ ან „ქათმის შეჭმისა“, რასაც, ჩვენი აზრით, ნაყოფიერების სიმბოლური დანიშნულება უნდა ჰქონდეს. უძველეს ხალხებში, და მათ შორის ქართველებშიც, ახალდაქორწინებულებს თავზე კაკალს გადააყრიდნენ, რაც მათი შვილიერების აუცილებელი გარანტი იყო (Г. Бидерманн 1996:190). არქაული რწმენა–წარმოდგენების თანახმად, ქათამი თუ ქათმის კვერცხი, აგრეთვე, ნაყოფიერების სიმბოლოა (Г. Бидерманн 1996:140).

შავში სახალხო მთქმელიც სატრფოს პირდება, რომ, თუკი კარებს ღია დატოვებს, ერთად მოაგვარებენ პრობლემას:

მინდორში, ბალახ-ბულახში

ამოსულიყო ეკალი.

ამეზლამ შენთან მოვდივარ,

ერთათ' და ვტეხოთ კაკალი.

(მთქ. სონერ მოსიძე. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ვარდ.).

ანდა:

ამოსულ ბალახ-ბულახში

ამოსულიყო ეკალი.

ამეზლამ შენთან მოვდივარ,

ერთად' და ვჭამოთ ქათამი.

(მთქ. შაჰინ ვარდიძე. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ვარდ.).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თურქულ-ქართული სახელმწიფოებრივი ურთიერთობის დათბობამ და ჩვენებურებთან მეზობლურ-ნათესაური თუ კულტურული ურთიერთობის განახლებამ პოზიტიური როლი შეასრულა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ სფეროში. გარდა იმისა, რომ ჩვენ შევძელით, კარგად გავცნობოდით საუკუნეთა განმავლობაში ერთიანი ქართული კულტურულ-ისტორიული სივრციდან მოწყვეტილ ჩვენებურთა ყოფიერებასა თუ სულიერებას და დაგვენახა, რომ მათი ფოლკლორული შემოქმედების სათავე საერთოქართული წიაღის ნაწილია, მათაც მიეცათ საშუალება, ჩვენგანაც გაეგონათ მოწყურებული ქართული სიტყვა და შეესწავლათ რაღაც ახალი. ამის ნათელი დასტურია სოფელ აგარის ერთ-ერთ უბანში – ვარდიძეში (იგივე ვარდიეთში) ჩაწერილი ვარიანტი ზემოთ განხილული ლექს-სიმღერისა:

მინდორში, ბალახ-ბულახში

ამოსულიყო იაო.

ამეზლამ შენთან მოვდივარ,

კარი დატოვე ღიაო.

მთქმელმა, 40 წლის სონერ მოსიძემ, ღიმილით გვაუწყა: „– ეს სიმღერა ნერგიზამ გვასწავლა“ (ნარგიზა ქუთაისელი ქალბატონის სახელია, რომელიც აგარაში ერთ-ერთ ოჯახს სტუმრობდა).

შეყვარებულთან მალული პაემნის სურვილის შემცველი ლექს-სიმღერა დავაფიქსირეთ სოფელ ბაზგირეთშიც:

ატიანის უკნედან

გაყოლაა მადრები.

ამეზლამ თქვენთან მუალ,

არ დუუყარო კარები!

(მთქ. თანერ (თანო) იშეკი (მჭედლიძე. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ბაზგ.).

ფარული პაემნების გარდა, შავშური სატრფიალო ლირიკის თანახმად, შეყვარებულებს გარკვეული სანიშნებელი სიმბოლიკებიც გააჩნიათ:

გაღმა ფერდში ვაჩაგი,
არ ხარ ფენა ქონეგი.
სახში რომ არ იქნები,
კარში დადევ ღაჩაგი.

(მთქ. მესუთ ქოჯა. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ა.).

სხვა ვარიანტში ვაჟი სთხოვს „თვალჭირულ“ გოგოს, ღეჩაქის გაფენით მიანიშნოს მასთან ერთად გაპარვის („გაქცევის“) სურვილზე:

გაღმა სერში ვაჩაგი,
არ ხარ ფენა ქონეგი.
გამოქცევენა თუ გინდა,
გამომინთე ღაჩაქი.

(შ. ფუტკარაძე 1993:226).

შავშური სატრფიალო ლირიკის თანახმად, შეყვარებული ძალზე ეჭვიანია, არ მოსწონს, თუკი მისი რჩეული სხვისკენ გაიხედავს. ჩვენ მიერ სოფელ უბეში 57 წლის სუმმან გუმიშისაგან (იბიშოდლი) 2005 წელს ჩაწერილ ლექს-სიმღერაში ნათქვამია:

ღელეს იქით ჯვალაია,
ეპლოჯან, ეპლოჯან!
ის ვერ ემიტანია,
ის ვერ ემიტანია.
შენ რო სხვას უყურები,
ეპლოჯან, ეპლოჯან,
ის ვერ გემიტანია,
ის ვერ გემიტანია,
ეპლოჯან, ეპლოჯან!

(თ. შიოშვილი 2005:8; მ. ფაღავა 2008:82).

სხვისკენ გამხედვარე შეყვარებულის პატრონი წყევლასაც არ ერიდება:

სახლი'ნა გავაკეთო,
ეპლოჯან, ეპლოჯან!
გავთალო' ნა დოკანი,
გავთალო' ნა დოკანი.
არ გეგეზარდა, დედავ,
ეპლოჯან, ეპლოჯან!
დეგეწვა' ნა აკვანი.
ეპლოჯან, ეპლოჯან!

(თ. შიოშვილი 2005:8; მ. ფაღავა 2008:82).

თუმცა, იქვე აღიარებს, რომ მისი შეყვარებულისთანა სამყაროში არ მოიძებნება:

ზემოდან ჩამოიარე,
ეპლოჯან, ეპლოჯან!
ვერ ვიპუე შენთანა,
ეპლოჯან, ეპლოჯან!
ე დუნია მევიარე,
ე დუნია მევიარე,
ვერ ვიპუე შენთანა,
ეპლოჯან, ეპლოჯან!

(თ. შიოშვილი 2005:8; მ. ფაღავა 2008:82).

ვერც აგარელი მელექსე ეგუება, როცა მისი რჩეული სხვას უყურებს და ტირილის ხასიათზე ღგება:

გაღმა ფერდში თიკნები,
ვეკხლები და ვიქნები.
შენ რომ სხვას უყურები,
ვიტირეფ და ვიქნები.

(მთქმელი მესუთ ქოჯა. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წელს, ს. ა).
სხვა ვარიანტით, გაწბილებული შეყვარებული სატროფოზე სიმღერებს სჯერდება:

გაღმა ფერდში თიკნები,
მე გამოღმით ვიქნები.
შენ თუ მე მომატყვილეფ,
გიმღერეფ და ვიქნები.

(შ. ფუტკარაძე 1993:288).

შავში სატროფო არ მაღაგს, რომ გულისსწორის გარეშე თეთრად ათენებს დამეებს:

ნაფუზარში სიმინდი
კონწალ-კონწალ კიდია.
უშენ დამიებში
სულ ვერ დემიზინია.

(მთქ. მესუთ ქოჯა. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ა.).

შავშური სატროფიალო ღირიკის თანახმად, შეყვარებულნი მაღულად იწვიან და იტანჯებიან, რითაც ემსგავსებიან „ვეფხისტყაოსნის“ მიჯნურებს, რომელთათვისაც დამახასიათებელია „სიყვარულის მაღვა“; შავშ მიჯნურთა ტანჯვის მოწამე კი მხოლოდ ღმერთია:

სოჭი ძირში გევიარე,
ღამაზავდა თლათ წიწვი.
ის ანჯახ ღმერთმა იცის,
მე რომენ შენთვინ ვიწვი.

(მთქ. ემინე აქგუმუში. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. ივხ).

ამიტომაც ძნელია, გარეგნული ფაქტორებით შეფასდეს ის გრძნობები, რომელსაც განიცდის მიჯნური:

ერთი ღექსი ჩამოვწეროთ
ამდენ ხალხის ზეგნიდანა.
დაწვილი ვარ შიგნიდანა,
არ მეტყობა გარედანა.

(მთქ. სელიმ დემირი. ჩაიწერა რ. ხალვაშმა 2005 წ. ს. ივ.).

ანდა:

ახლა მუალ ბარიდან,
რას მიყურებ კარიდან!
დაწვილი ვარ გულიდან,
არ მეტყობა გარედან.

(მთქ. შაჰზენე ბიღგინი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. უსტ.).

გულდაკოდილი შავში შეყვარებული მოთქვამს:

სახახვიას ფერდები
ნისლებით დახვევლია.
ჩემი დარალი გული
ბანდებით შეხვევლია.

(მთქ. ალი ილდიზი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ბაზგ.).

უიმედოდ შეყვარებული მოკრძალებული შავში ზოგჯერ მზად არის, სხვებიც ჩაახედოს სიყვარულით დამწვარ გულში:

გაღმა ფერდში ნაზვია,
რა ფენა აწვილია!
მოფ, ჩემ გულში ჩამხედეთ,
რა ფენა დაწვილია!

(მთქ. აიშე გულიაზი (მიღმათი). ჩაიწერა რ.ხალვაშმა 2005 წ. ს. დ.).

ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკა ხაზგასმით მიანიშნებს, რომ ტრფობის ობიექტმა ღამაზი ცეკვა-სიმღერა უნდა იცოდეს, მოხდენილად უნდა გაიარ-გამოიაროს:

გაგლა-გამოვლა გიხდება,
ღერწამი წელის ჭირიმე!
სიმღერას რომ დეიძახებ,
ყარყარა ყელის ჭირიმე!

(ელ. ვირსალაძე 1968:271).

შავში ვაჟი კი ასე მიმართავს „თვალჭირულს“, რომელიც მეწყვილე გოგონასთან ერთად კეკლუცად ცეკვავს შავშეთში შემორჩენილ ტრადიციულ ქართულ ცეკვას „ხელგაშლილას“, რომელიც მანდილებით სრულდება, ხოლო ცეკვის დამთავრების შემდეგ გოგონები მანდილებს თავიანთ რჩეულებს „გააკრავენ“:

ხელგაშლილაა გაშლილა,
სამა არ დაგიშლია.
გოგო, რავად გიხდება
სამა და ხელგაშლილა!

(მთქ. მესუთ ქოჯა. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ.ს.ა.).

შეყვარებული შავში ვაჟკაცი სიმღერით აგებინებს „თვალჭირულს“ გულის ხვაშიადს, თუმცა ზოგჯერ ამოდ დაშვრება ხოლმე:

სახტომელას უკნედან
გაყოლაა კატრები.
ე რა ჰალი ვიმღერე,
არ არიან ბაჯლები!

(მთქ. თანერ (თანო) იშეკი (მჭედლიძე). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ბაზგ.).

ქალმა, შავშური (და საერთოქართული) სატრფიალო პოეზიის თანახმად, ხელსაქმეც უნდა იცოდეს. ზოგადქართული სატრფიალო ლირიკის მსგავსად, შავში შეყვარებული ვაჟი ოცნებობს სატრფოს ნახელავზე. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ ნატვრის ტიპის ლექს-სიმღერებში იგი თავის რჩეულს სთხოვს, მისნაირი წინდები მოუქსოვოს:

გაღმა სერში გელები,
მიმოდევან ზერები.
რას იქს, მეც მიმიქსუე,
ერთი გეკონდეს ჭრელები!

(მთქ. ილიას ალთუნი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. კოკბ.).

ანდა:

ვაკეთ უკან დელები,
რა ღამაზი დელები!
გოგოვ, მეც მომიქსუე,
ერთი გეკონდეს ჭრელები!

(მთქ. მესუთ ქოჯა. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ა.).

აღსანიშნავია, რომ იგივე სათხოვარი აქვს აჭარელ ვაჟს სატრფოს მიმართ:

გოგოვ, შენი წელი წმინდა,
მომიქსოვე ჭრელი წინდა!
შენი ძმაი ყადნათ მინდა,
შენი თავი ცოლათ მინდა!

(ა. ხ. პ., I, 1969:118)

იმავეს სოხოვს გულისწორს ქართლელი შეყვარებულიც:

ატენის ხეობაზედა
წყალი ჩამოდის წმინდაო,
ნეტავი, ქალო, ჩამაცო
შენი ნაქსოვნი წინდაო!

(ქართ. ხალხ. პ., ტ. VI, 1978:71).

შავშური სატრფიალო პოეზიის თანახმად, შეყვარებული მუდმივად ზრუნავს გულისწორისათვის:

თაზე მივდოდი, თაზე,
ბუხრუკან დეგინახე.
ერთი ქადა შევჭამე,
ერთი შენ შიგინახე.

(მთქ. თანერ (თანო) იშექი (მჭედლიძე). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ბაზგ.).

ანდა:

ყვავმან კვერცხი ჩამაგდო,
ჰამან ბუკზე მამაგდო.
შენითანაჲ ღამაზი
აქ რავაჲ ნა გაგაგდო?!

(მთქ. ნიხო ღურმუში (მოსიაშვილი). ჩაიწერა რ. ხალვაშმა 2005 წ. ს. უსტ.).

ან კიდევ:

სახახვიას ფერდები,
საკუპრიას გვერდები.
არ გეიარო, გოგოჯან,
გეიარ, დიმიგორდები!

(მთქ. თანერ (თანო) იშექი (მჭედლიძე). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ბაზგ.).

ზოგჯერ შეყვარებულისადმი ზრუნვა იუმორისტულ ელფერს ატარებს:

ზემთო–ზემთო ნუ მიხვალ,
ქომთო ჩამოარდები!
მემრე შენ, შეყვარულო,
ხელში ჩიმივარდები!

(მთქ. სურმელ ილდიზი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. იფხ.).

ორთა ტრფიალებას ბევრი მტერი ჰყავს. ამიტომაც აფრთხილებს შავში შეყვარებული „თვალჭირულს“, არ აჰყვეს სხვათა ლაპარაკს, რასაც მათი დაშორება მოჰყვება:

ზემთო–ზემთო ნუ ახვალ,
ჩატეხილში გედეიარ!
არ აჰყვე დუშმანი სიტყვას,
შენაც ჩემიდან გეიარ!

(მთქ. ემინე აქგუმუში. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. იფხ.).

ამ ლექს–სიმღერის ერთ–ერთ ვარიანტში, რომელიც პარალელიზმის ხერხზეა აგებული, შეყვარებული არიგებს გულისწორს, რომ როგორც „რუსიეში“ (რუსეთში) გადასვლაა არასასურველი, ასევე – მტრის სიტყვას აყოლა:

ჩატეხილში ნუ ახვალ,
რუსიეში გედეიარ!
არ აჰყვე დუშმნის სიტყვას,
მემრე ჩემიდან გეიარ!

(რ. ხალვაში 2007:310).

ლექსი საინტერესოა, აგრეთვე, რუსეთისადმი ჩვენებურების ტრადიციული დამოკიდებულების გასაცნობადაც.

შავში შეყვარებულებისათვის ერთმანეთის გვერდით ყოფნა უდიდესი ბედნიერებაა. ერთმანეთისაგან შორს ყოფნა კი – მიუღებელი და შეურიგებელი:

ინაწმინდას ცხვარი ძოვს,
იმან რად' ნა მეიწველოს?
შენ – გაღმით, მე – გამოღმით,
გულმა რაგად მვისვენოს?

(მთქ. თანერ (თანო) იშექი (მჭედლიძე). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ბაზგ.).
ამიტომაც მცირე ხნითაც რომ უწევდეს გულისსწორთან განშორება, ამშვიდებს:

ართუინის ახალ გზაში
მე ეშილ ტახსით მუალ.
არ იტირო, ღამაზო,
წავალ და ისევ მუალ!
ავაყუდე მესარი,
ჩემი სიტყვა ეს არი.

(მთქ. გუნერ ილმაზი. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2005 წ. ს. დ.).

შავშური სატრფიალო პოეზიის ლირიკულ გმირს სჯერა, რომ შეყვარებულთა დაშორება უფლის რისხვას იწვევს:

ტანტრაბაზე ხელ ვიბან,
გადავარდა საპონი.
მე და შენ გაგვარჩიან,
გადარეველა ბატონი.

(მთქ. თანერ (თანო) იშექი (მჭედლიძე). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ბაზგ.).

შავშური სატრფიალო პოეზიის თანახმად, შეყვარებულებს კარგად უნდა ესმოდეთ ერთმანეთისა, „ერთი ჭკუისანი“ უნდა იყვნენ; სხვანაირად მათი „შეფერება“ შეუძლებელია:

სახახვიას ფერდები,
საკუპრიას გვერდები.
ჩვენ რომ ერთ ხუიზე არ ვართ,
ჩვენ რა სოდ შევფერდებით?

(მთქ. ფატმა მეიდან. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. ბაზგ.).

არც ვერშემდგარი მიჯნურობის წუხილია უცხო შავშური სატრფიალო ლირიკისათვის. ვაჟი ასე აყვედრის წუნია ქალიშვილს:

ჭალა მოვთიბე, ჭალა,
ვერ დავლიე ნაპირი.
შენ მე არ მომიწონე,
დამჯდარხარ და რას ტირი?!

(მთქ. ს. ბაზგ. მცხ. ქემალ ქამეშიძე. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 1989 წ. ქ. რიზეში).

თუმცა, თვითონაც ვერ მაღავეს ცრემლებს:

თაზე მივალ, კორდებზე
ფეხები' ნა დივხოცო.
ერთი მენდილი მომე,
ცრემლები' ნა მევხოცო.

სატრფოსთან გატარებული ყოველი წუთი ძვირფასია შავში შეყვარებულისათვის:

ჯანჯირიდან – დანბეგი
გეიარ, გახვალ ზიარეთ.
ჰინ არ დამავიწყდება,
ჩვენ რომ ერთათ ვიარეთ.

(მთქ. გულსარე დუზგუნი (ჯივანაშვილი). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. ბაზგ.).

მიჯნურის მიერ განვლილი გზაც ძვირფასია შავშისათვის:

აკვანასი ფერდები,
კარეთისა გვერდები.
შენ გავლილ ალაგებზე
გვეიარ, მომაგონდები.

(მთქ. გამზე თანრივერდი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. ხევწ.).

ამიტომაც მოუწოდებს სატრფოს, ერთად იარონ მშობლიურ ადგილებში:

გაველ გურთუკლი სერზე,
დავუდე' ნა წითელ ქვაზე.
მოდ, გოგოვ, ვიაროთ
ჯანჯირში კლავი კლავზე!

(მთქ. თანერ (თანო) იშექი (მჭედლიძე). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ბაზგ.).

შავშელი შეყვრებული გამოუსწორებელი ოპტიმისტია; მას სჯერა, რომ „თვალჭირული“ მართლაც მისთვის არის გაჩენილი, მისთვის იზრდება და კდემამოსილებით ადვსილ გოგონას ასე უმღერის:

ნარდანინა, ნინანა,
ნარდანინა, ნინანა,
ნარდანინა, ნინანა,
ნარდანინა, ნინანა.
ეგერ, გაღმა, ტრედები,
გოგოვ, რას მერიდები.
მაგრე რო ღამაზი ხარ,
შენაც ჩემთვის იზრდება.
ნარდანინა, ნინანა,
ნარდანინა, ნინანა,
ნარდანინა, ნინანა,
ნარდანინა, ნინანა.

(ო. ფუტკარაძე 1991:30).

შავშური სატრფიალო ლირიკა, ისევე, როგორც საქართველოს ამ უძველეს რეგიონში დღემდე შემორჩენილი ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრები, გამოხატავს ქართველი კაცის ოდინდელ შეხედულებებს სიყვარულზე, ტრფობის ობიექტზე, მიჯნურთა გულისთქმაზე, სატრფოსადმი მოკრძალებასა და მისდამი სწრაფვაზე, ქალის გარეგნულსა და სულიერ სილამაზეზე და საზოგადოდ – ადამიანურ ურთიერთობათა ზნეობრივ ღირებულებებზე.

მიუხედავად ერთიანი ქართული სოციალურ-კულტურული სივრციდან საუკუნეთა განმავლობაში შორს ყოფნისა, შავშელთა სატრფიალო ლექს-სიმღერები ქართული ფოლკლორული შემოქმედების ორგანული ნაწილია; ერთის მხრივ შემოინახა ტრადიციული მოტივები და სახეები და, ამავე დროს, მშვენივრად გამოხატა ამ რეგიონში მცხოვრებ ქართველთა განცდები.

§3. საქორწილო ლექს-სიმღერები

ქორწილი მსოფლიოს ყველა ხალხის, და მათ შორის ქართველთა, ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, რასაც თან ახლავს მრავალმხრივ საინტერესო რიტუალი, რომელშიც წარმოჩენილია ერის ისტორიული ყოფიერება, სოციო-კულტურული განვითარების დონე და მომავლისადმი დამოკიდებულება; ეს ყოველივე კი, ბუნებრივია, ხალხის იერსახის, მისი იდენტურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა. ამდენად, საქორწილო რი-

ტუალი, მთელი მისი წეს-ჩვეულებებითა და მასთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერებით, ერის კულტურულ-ეკონომიკური ცხოვრების სარკეა, რომელშიც ნათლად ირეკლება ყველა ეპოქისა და სოციალური ფენისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები და ტრადიციები, რაც საქორწილო რიტუალსა და მასთან დაკავშირებულ ზეპირსიტყვიერებას უდიდეს ისტორიულ ღირებულებას ანიჭებს.

ქართული საქორწილო წეს-ჩვეულებები და ზეპირსიტყვიერება საკმაოდ არის შესწავლილი ეთნოგრაფებისა და ფოლკლორისტების მიერ (ნ. ხიზანიშვილი, ბ. ნიჟარაძე, თ. სახოკია, რ. ხარაძე, ვ. ითონიშვილი, ს. მაკალათია, ქს. სიხარულიძე, მ. ჩიქოვანი, ჯ. ნოღაიძე, ალ. მსხალაძე, ზ. თანდილავა, მ. ბექაია და სხვები); თუმცა, როგორც თავის დროზე პროფ. ქს. სიხარულიძე მიუთითებდა, “შეტად რთული და ლამაზი საქორწილო ცერემონიალის მთლიანად ახსნა ძნელია, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ხერხდება ცალკეული წესის თავდაპირველი სოციალური ფუნქციის დადგენა და ამ წესთან დაკავშირებული პოეტური ტექსტის მხატვრული პროცესის გათვალისწინება (ქს. სიხარულიძე 1960:225). ამ პრობლემის მეცნიერულ გადაწყვეტაში, ბუნებრივია, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ყველა კუთხის მასალათა გაანალიზებასა და ურთიერთშეჯერებას. სწორედამ ამ გზით ხორციელდება საქორწილო ჩვეულებებისა თუ ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრების შესწავლა ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან (თეიმურაზ მეორე 1939:16-74) დღემდე, მაგრამ, სამწუხაროდ, საერთოქართული საქორწილო სპექტრის მიღმა დიდხანს რჩებოდა დღევანდელი თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი ისტორიული საქართველოს კუთხეების, და მათ შორის შავშეთის, მცხოვრებთა მიერ შემონახული ძირძველი საქორწილო ტრადიციები და მათთან დაკავშირებული ფოლკლორი. ამ თვალსაზრისით მცირეოდენი მასალა მოიპოვა ნ. მარმა. 1904 წლის ზაფხულში მან იმერხევეში ჩაიწერა ერთი მაყრული ლექს-სიმღერა. ნ. მარის შემდგომ ისტორიულ საქართველოში იმოგზაურეს გიორგი ყაზბეგმა, ექვთიმე თაყაიშვილმა და ზაქარია ჭიჭინაძემ, თუმცა ზეპირსიტყვიერების ნიმუშები არ დაუფიქსირებიათ. ამ მხრივ თითქმის საუკუნოვანი სიცარიელე ამოავსო პროფესორმა შუშანა ფუტკარაძემ, რომელმაც 1989-1993 წლებში მოიარა ისტორიული ქართული ტერიტორიები და წიგნით “ჩვენებურების ქართული” მრავალმხრივ საინტერესო ფოლკლორული და დიალექტოლოგიური მასალა შესძინა ქართულ მეცნიერებას; მან უხვად ჩაიწერა ჩვენებურთა საქორწილო რიტუალები (შ. ფუტკარაძე 1993: 93, 178, 208, 248, 256, 316, 321, 3335), თუმცა, როგორც მთქმელები მიანიშნებდნენ, საქორწილო ლექს-სიმღერათა ქართული ტექსტები აღარ ახსოვდათ, მაგრამ ტრადიციაზე კი მიუთითებდნენ: “ზუელათ დოდოფლის სიმღერას იტყოდენ” (შ. ფუტკარაძე 1993: 256); “ძუელათ დუგუნზე, დოდოფლი მოყუანისან, იტყოდენ ბევრ რამიებსა” (შ. ფუტკარაძე 1993:316). ბაზგირეთელი მერიემ ალთუნელი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ძველებური ქართული საქორწილო სიმღერები დაავიწყდათ (“ქართულად აღარ იციან მღერა, მღერიან თურქზე”), თუმცა იქვე ხაზგასმით მიუთითებს, რომ “თურქებმა ეს სიმღერა (საქორწილო – თ.შ.) არ იციან, გურჯების სიმღერაა თურქზეზე გადატანილი” (შ. ფუტკარაძე 1993:248).

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ცენტრის მიერ 2005 და 2009 წლებში ისტორიულ შავშეთში მოწყობილი კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციების დროს დაფიქსირდა უაღრესად ღირებული მასალა ყველა სფეროში და მათ შორის – ზეპირსიტყვიერებაში. აღმოჩნდა, რომ ჩვენებურთა ერთმა ნაწილმა ბოლო დრომდე შემოინახა წინაპართა წეს-ჩვეულებები და ფოლკლორული ნააზრევი, რომელთა შორის საქორწილო რიტუალებსა და ზეპირსიტყვიერებას ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ისტორიულ შავშეთში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, საქორწილო წესები რამდენიმე ეტაპისაგან შედგება. მართალია, საქართველოს ამ უძველესი კუთხის მცხოვრებთ, საუკუნეთა განმავლობაში თურქულ გარემოცვაში ყოფნის გამო, ძირძველი საქორწილო ტრადიციების ყველა მხარე და, შესაბამისად მათი ამსახველი ზეპირსიტყვიერება, ვერ შემოუნახავთ, მაგრამ წეს-ჩვეულებებისა და ზეპირსიტყვიერების ის ნაწილი, რაც კიდევ შემორჩა აქაურთა მეხსიერებასა და ყოფას, დასტურია ამ ტრადიციის საერთოქართული სივრცისადმი სისხლხორცეულობისა.

დღეისათვის შავშეთში შემორჩენილია საქორწილო წეს-ჩვეულებათა შემდეგი ეტაპები: 1. საპატარძლოს დაკვლევა-შერჩევა, ანუ გარიგება, 2. ნიშნობა, 3. საქორწილო სამზადისი, 4. პატარძლის წამოყვანა საქმროს სახლში, 5. ქორწილი და მასთან დაკავშირებული მაგიური რიტუალები (დედოფლის თავზე ტკბილეულისა და ხურდა ფულის გადაყრა, საჩუქრების დარიგება, ჭიქის გატეხვა დედოფლის მიერ, კერიასთან ზიარება, დედოფლის დასაჩუქრება, პირბადის ახდა, ქალწულობასთან გამოთხოვება და “განწმენდა” და ა.შ.), 6. მაყრული ლექს-სიმღერები, 7. პატარძლის დამოდგრა. ყოველ ეტაპს თან ახლავს შესაბამისი ლექს-სიმღერები, რომლებიც ამ ძირძველი კუთხის ქართველთა ყოფა-ცხოვრების ერთგვარი ზეპირ-პოეტური ისტორიაც არის. მათი მეცნიერული შესწავლა კი ცხადყოფს, რომ ისინი ერთი მხრივ არქაულ ქართულ წეს-ჩვეულებათა გამოძახილია და, ამავე დროს, თანადროულობასაც ესმინება.

3.1. საცოლის დაკვლევა-შერჩევის ლექს-სიმღერები

საცოლის დაკვლევა-შერჩევა, ანუ გარიგება, თითქმის თავდაპირველი ხიბლით შემოუნახავს შავშურ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ სინამდვილეს. საცოლედ შერჩეულს იქაურები “ნათქვამს”, “თვალჭირულს” ეძახიან, დაქორწინებას კი, ისევე, როგორც აჭარა-გურიაში, – “დასახლებას”.

საპატარძლოს შერჩევა-დაკვლევის თემატიკის მრავალი შაირი ჩავიწერეთ იმერხევის ულამაზეს სოფლებში, სადაც საქორწილო გოგო-ბიჭის მიერ ერთმანეთის დაკვლევა ლაღი და გარემოს შესაფერისია. ამ არქაული ქართული ჩვეულების ამსახველ ლექს-სიმღერებში ხაზგასმულია ქორწილის ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა – ქალ-ვაჟის მიერ ერთმანეთის მოწონება და შეთანხმება.

საათი მევბი კლაფზე,
აველ საზგირელაზე.
იქიდან გადმოგხედე,
გამოგარჩიე კარზე.
(თ. შიოშვილი 2009:202)

ანდა:

თაზე მივდოდი თაზე,
ხელში ჩანთა მიჭირავს.
ათი წელიწადია,
შენზე თვალი მიჭირავს.

(მთქმ. თანერ (თანო) იშექი (მჭედლიძე). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ბაზგ.).

შეყვარებულ ვაჟს სჯერა, რომ მისი “თვალჭრული” ღმერთს მისთვის გაუჩენია და ასე უმღერის:

კატარ შეხედე, კატარ, –
ნაზარდი მუუცემია.
შენ სოფ ლამაზი გოგო
ღმერთ ჩემთინ გუუჩენია!
(რ. ხალვაში 2007:313)

უფლისეულ ნებას წმინდა წიგნითაც “ამაგრებენ”:

აველ კოთელა სერზე,
გადავხედე მერე თას.
შენ ჩემი ნესიბი ხარ,
ჩავახედე მითხეთას.

(მთქ. ელჰინა თურანი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. ხევწ.).

უსტამისელი მელექსე არწმუნებს ლამაზ გოგონას, რომ მასაც ისევე აკლია გათხოვება, როგორც ვაჟს – დასახლება, ანუ დაქორწინება:

გაღმა სერში აკრიაო,
დასახლება მაკლიაო.

ღამაზი ხარ, გოგოჯან,
შენც გათხოვნა გაკლიაო.

(მთქმ. ალადინ ალთუნელი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. მან.).

დიალოგური ხასიათის ლექსში ვაჟი წყალს სთხოვს “თვალჭირულს” და პირდება, რომ სწორედ მას ითხოვს ცოლად:

– ე ღამაზი დუნია,
წყალი მასვი, მწყურია.
– წყალ გასვამ, შერბეთ – არა!
– მე შენ გითხოვ, სხვას – არა!

(მთქმ. შაჰზენე ბილგინი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. უსტ.).

შავშურ სატრფიალო ლექს-სიმღერებში ვაჟი “თვალჭირულ” გოგოს ძვირფას საჩუქრებს პირდება:

წამამყევ, ჯანო, წამამყევ,
არ წამამყვები, რად გინდა?
წამამყევ, ჯანო, წამამყევ,
არ წამამყვები, რად გინდა?
თორმეტი ალთუნ ეგიღებ,
ლაილონ წინდებ ჩაგცვამ.
თორმეტი ალთუნ ეგიღებ,
ლაილონ წინდებ ჩაგცვამ!

(მთქმ. შერაფედინ იშილი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ბზ.).

ნივთიერ საჩუქრებთან ერთად შეყვარებული ვაჟი ქაღს წითელი მამლის ჩუქებასაც პირდება:

ჯანო, წამამყევ, ჯანო, წამამყევ,
არ წამამყვები, რად გინდა?
წითელ მამალ დიგიკლაგ,
თორმეტი ალთუნ მეგიტან.

(მთქმ. ქემალ ჩელიქი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ბრ.).

მამლის ხსენება საცოლის დაკვლევა-შერჩევის ლექს-სიმღერებში შემთხვევითი არ უნდა იყოს. მამალს უაღრესად მრავალფერი და შთამბეჭდავი სახისმეტყველება გააჩნია მსოფლიოს უძველეს ხალხთა რწმენა-წარმოდგენებში; იგი სიფხიზლის, სიმამაცის, წინასწარგანჭკვრეტისა და საიმედოობის სიმბოლოა; გარიჟრაჟისას მისი ყვირილი არამარტო ახალი დღის დაწყებას, არამედ სულიერ აღორძინებასაც მოასწავებს; თავად მამალი კი მზესაც განასახიერებდა და, ხალხური რწმენის თანახმად, ღამის აჩრდილები მამლის პირველსავე დაყვილებაზე ქრებოდნენ; ჩინელებისათვის მამლის სახელწოდება (“კუნ”) ილბლიანობის ომონიმია, წითელი მამალი კი სახლის დამცველია (სიმბოლოთა ენციკლოპედია, 2006:130-131).

ხშირ შემთხვევაში ვაჟი გადაკრულად, ნართაულად მიანიშნებს ქალიშვილს, რომ თვალი დაადგა და მისი “ნათქვამი”, ანუ “თვალჭირულია”:

ე რა მე ბალი მინდა,
გრილოს წყალი მინდა.
შორიდან რომ მიყურეფ,
ჩემ ანას ზალი უნდა.

(თ. შიოშვილი 2009:207).

შეყვარებული ქალ-ვაჟი ეკრძალებიან მშობლებს, რაც კარგად ჩანს საპატარძლოს დაკვლევა-შერჩევის ლექს-სიმღერებში:

შავ ფოშეთში ბალი მაქ,
გოგო, შენზე თვალი მაქ.
შენ ანამა შეგვიტყვა,
ე რავა იყბალი გვაქ!

(თ. შიოშვილი 2009:207).

შეყვარებული “ჭეჭლოს” მშობლებისაგან უარის თქმა დიდ უბედურებად აღიქმება შავში ჭაბუკის მიერ:

ჩვენ კარიდან გეგხედე,
ჭეჭლოს დაზმა კიდია.
ჭეჭლოს თუ არ მომცემენ,
ლოცვა-კითხვა ცუდია!

(მთქმ. ალაღინ ალთუნელი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ.ს.მან.).

ზოგჯერ ამგვარ გულისტკივილში მარტო დარჩენის შიშიც გამოერევა, რაც საყოფიერო პრობლემებთან იგივედება; თუ ვაჟს სასურველ ქალს არ გაატანდნენ, ერთის მხრივ მისი შრომისუნარიანობა ქვეითდებოდა, მეორეს მხრივ კი ცალუღელა რჩებოდა, შრომაში დამხმარე არ ეყოლებოდა მთის უმძიმეს პირობებში:

ჭეჭლოაო კანჭალა,
მივალ ქედი კარჭალას.
ჭეჭლოდ რო მე არ მომცენ,
რა'ნა ვქნა ყანა-ჭალას?!

(თ. შიოშვილი 2009:205).

ლექს-სიმღერის ზოგიერთი ვარიანტის თანახმად, “თვალჭირულ” გოგოს სხვა უპოვია:

შავ კალათში ბალი მაქ,
გოგო, შენზე თვალი მაქ.
შენაც სხვა გიპოვნია,
ეს რა სოფ იღბალი მაქ!

(მთქმ. მესუთ ქოჯა. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ა.).

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ძველად საცოლის შერჩევა-დაკვლევა და, ამავე დროს, შეყვარებულთა შეხვედრა, სოფლის თავყრილობებზე, უმეტესად კი – ქორწილში ხდებოდა. ამის დასტურია იმერხეული ლექს-სიმღერა, რომლის თანახმადაც ვაჟი ქორწილში ეპატიჟება სასურველ ასულს:

ბაზგირეთის უკნედან
ბათუმის ჰუდუდია.
ადექ, წამომყევ, გოგოვ,
ბაზგირეთ ქორწილია!

(მთქმ. თანერ (თანო) იშექი (მჭედლიძე). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ბაზგ.)

ერთ-ერთ ლექს-სიმღერაში კი გამოთქმულია წუხილი იმის გამო, რომ სატრფო არ მივიდა ქორწილში:

ჩიხისხეური ბალი
რა ღამაზად მოსულა!
ი ჩემი საყვარელი
ღუგუნში არ მოსულა!..

(თ. შიოშვილი 2009: 207).

“თვალნაჭირ” გოგოზე (ბაკალაზე) იმერხეველი ბიჭები სასტიკად ეჭვიანობენ, არ მოწონთ, გოგო თუ სხვისკენ გაიხედავს. საქორწილო ღხინში სამღერ ლექსში, რომელიც 2005 წელს სოფელ უბეში ჩაიწერეთ სუმმან გუმიშისაგან (იბიშოღლი), ნათქვამია:

ღელეს იქით ჯვალაია,
ეპლოჯან, ეპლოჯან!
ის ვერ ემიტანია,
ის ვერ ემიტანია.
შენ რომ სხვას უყურები,
ეპლოჯან, ეპლოჯან!
ის ვერ გემიტანია,
ის ვერ გემიტანია,
ეპლოჯან, ეპლოჯან!..

არცთუ იშვიათად გამხდარა საღექსოდ ქალ-ვაჟის შეუთანხმებლობაც. ამგვარ ლექსებში გაწბილებული და გულნატკენი მხარის საყვედურები გაისმის:

ცეცხლი ძირში რომ დაფჯექ,
დაფჯექ და ვედარ გავთბი.

არ'ნა ვითხოვ, გითქვამს,
ეგ პასუხი რაგად თქვი!

(თ. შიოშვილი 2009:205)

“ნათქვამი” (“დაპირებული”) ქალ-ვაჟის ვერშემდგარი ერთობისა და ჩაშლილი ქორწილის სევდა-წუხილი დასდევს შემდეგ ლექს-სიმღერებს:

თაზე მივალ თი გზაში,
შარაბი მაქ ჩანთაში.
დარი რომ გემითხუეს,
ადარა ვარ ჭკუაში!

(მთქმ. აიპან სეჩერი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. ბაზგ.)

უიღბლო სიყვარული და “ნათქვამი” ქალის გათხოვება ზოგჯერ გაწბილებული ვაჟის დაავადების მიზეზიც გამხდარა. სოფელ სვირევეანში ნებიერ იშველისაგან (პეტროლელი) 2005 წელს ჩვენ მიერ ჩაწერილი თქმულების თანახმად, რომელსაც მთქმელმა “ძველი გურჯული” უწოდა, ვაჟმა ვერ გაამხილა, რომ ბიძაშვილზე “თვალი დეიჭირა” და მისი “თვალნაჭირი” გოგო მისმა ძმამ შეირთო. ქორწილში “იმანა თვალნაჭირი დეინახა, სიმწარე გულზე მოხდა, ავით გახდა”. ვაჟი 7 წელი ღლონად იყო ჩავარდნილი, ვერაფერმა უშველა. ერთი “დობტური” მიმხვდარა და უთქვამს: “ – იმას თვალი დუჭიჭირავს, იმად ავით გამხდარა. ამისი თვალნაჭირული ბაკალა რაგვარცხა დოდოფლობაში შეკაზმული იყო, აინი შეკაზმული მეიყვანეთ, ამის ბალიშზე დააქდუმდეთ, ისე დეინახოს, ჯანი მისცეს”. მართლაც, მოუყვანიათ სადედოფლოდ გამოწვობილი ძმის ცოლი და, როგორც თქმულება გვამცნობს, “იმაზე ყურება-ყურებაში ჯან მიცემს მოკვდენამდე”.

იმერხეული ტრადიციის თანახმად, რაც საერთოქართულის გამოძახილია, განსაკუთრებულ მძიმე მდგომარეობაში ვარდება ქალი, რომელიც დაიწუნეს ან სხვა მიზეზის გამო არ წაიყვანეს; სიცილი და ღხენა მას მწუხარებად ექცევა:

გაღმა ფერდში თიკნები,
ვიცინებ და ვიქნები.
შენ რო მე არ წემიყვან,
ვიტირებ და ვიქნები.

(თ. შიოშვილი 2009:205)

არც დაწუნებული ვაჟია ნაკლებ დღეში:

გაღმა სერში ქათამი
მუა და მოკაკანობს,
შენ ქი მე არ მომყვე,
გულში გამაკანკალებს.

(თ. შიოშვილი 2009:205)

სოფელ უბეში (ობაქოი) 2005 წელს ჩვენ მიერ სუმმან გუმიშისაგან (იბიშოლელი) ჩაწერილ შაირში “დაპირებულისაგან” უარის თქმა “ყიამეთს”, ანუ მეორედ მოსვლას, ედარება:

ართვინის ახალ გზიდან
ეშმილი ტაქსი მუა.
შენ რო მე არ მომყვები,
ყიამეთი მაშინ მუა.

(თ. შიოშვილი 2009:205)

დასახლების მოსურნე შავში ვაჟი, რომელსაც “თვალჭირული ბაკალა” გაუთხოვეს, ჩივის თავის ბედზე:

შავ ფოშეთში ბალი მაქ,
გოგოვ, შენზე თვალი მაქ.
წვიყვანეს, გემითხუეს,
რა ფისი იღბალი მაქ!

(თ. შიოშვილი 2009:204)

ანდა:

თაზე მივალ თი გზაში,
შარაბი მაქ ჩანთაში.

თვალნაჭი გემითხუეს,
აღარა ვარ ჭკუაში!

(მთქმ. აიპან სეჩერი (გენწაროდლი). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. ბაზგ.)
მგრძნობიარე შეყვარებულისათვის სიკვდილის ტოლფასია, თუკი “ნათქვამ” გოგოს ვერ
ითხოვს:

კუტალეთის წინედამ
დაჩიეთ წისკვილია.
ვინცხა ნათქვამ ვერ ითხოვს,
უეჯლო სიკვდილია.

(მთქმ. ალი დურანი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. უ.)
ერთის მხრივ სიღარიბით განაწამებ, მეორეს მხრივ კი სასურველი საქმროს დაწუნებით
გულდაჩაგრული ქალიშვილის ამონაკვესია ღექს-სიმღერა:

ე რა ფუხრად გევიზდი,
ლობიო შორვა დევისხი.
შენ რომ მე არ მითხუე,
შევაღ ცეცხლში დევიწვი!

(მთქმ. ნიგარ ორალი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. ხევწ.)
ვაჟის დამწუნებელსა და შემდგომში მონანიე ბაჭალას კი ასე მიუღექსებენ:

ჭალა მოვითბე ჭალა,
დამჩენოდა ნაპირი.
გითხუე და არ მომყევე,
დამჟდარხარ და რას ტირი?!

(თ. შიოშვილი 2005: 103)

დაწუნებულთა თუ უარყოფილთა მხრიდან გამოთქმულ სევდიან სტრიქონებს შორის
შავშურ ფოლკლორში, ისევე, როგორც საქართველოს ყველა კუთხის ზეპირსიტყვიერებაში,
ზოგჯერ წყველა-კრულვაც გამოერევა ხოლმე:

დაილაში მინავალი
დაჭახული შეშები.
შენ რო მე არ მომყევები,
მიგიდინდეს ღეშები!

(თ. შიოშვილი 2009: 206).

დაწუნებული ქალიშვილი ხშირად ძმასაც ამუქრებს თავის დამწუნებელს:

მე ლუქუსი ავანთე,
მატყელი’და ვაჩეიო.
შენ რო მე არ მითხუე,
ზმას’და გავათქლეშიო!

(მთქმ. არზუ ავჯი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. იფხ.)

ამრიგად, საცოლის შერჩევა-დაკვლევა, რაც ტრადიციული ქართული საქორწილო
რიტუალის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, იმერხევის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ სი-
ნამდვილეს თავდაპირველი ხიბლით შემოუნახავს. საცოლედ შერჩეულს აქურები “ნათქვამს”,
“თვალჭირულს” ეძახიან, დაქორწინებას, დაოჯახებას კი – “დასახლებას”. დასახლების
მოწადინე ვაჟებმა და ვაჟკაც ქმრებზე მეოცნებე გოგონებმა, ვიდრე საწადელს მიაღწევენ,
ზნეობრიობით აღსავსე ფაქიზი ურთიერთობის, ანუ “შორით კვდომის”, გზა უნდა გაიარონ.

32. ნიშნობის ამსახველი ღექს-სიმღერები

საპატარძლოს შერჩევა-დაკვლევას (“ნათქვამობას”) შავშეთში, ისევე, როგორც საქარ-
თველოს სხვა კუთხეებში, მოსდევს ნიშნობა. ამ საქმის მოგვარება ევალება “ელჩს”. ამ როლს
ხშირად სამამთილო, დედის ძმა ან სხვა ახლობელი კისრულობდა.

ელჩი საპატარძლოს სახლში დატოვებს ნიშნის ბეჭედს (“ნიშან უზული”) და დათქვამენ
ნიშნობის თარიღს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იმერხევიში, ისევე როგორც საქართველოს

სხვა კუთხეებში, თუნდაც ორივე მხარე (ქალისაც და ვაჟისაც) თანახმა ყოფილიყო ქალ-ვაჟის შეუღლებისა, მაინც იმართებოდა რიტუალური მოლაპარაკება, რის შედეგადაც დათქვამდნენ ოფიციალურ ნიშნობას.

ნიშნობა შავშური საქორწილო რიტუალის ერთ-ერთი მთავარი მომენტი. ნიშნობისას საპატარძლოსთან მიაქვთ საჩუქრები (ტანსაცმელი, სამკაულები, ტკბილეულობა, ფული); თავის მხრივ ნიშნობაზე მისულთ საპატარძლოც ასაჩუქრებს მის მიერ მოქსოვილი წინდებით, თავსაბურავებით, პირსახოცებით და სხვა სახის ხელნაქმარით. ეს წეს-ჩვეულება კარგად აისახა შავშურ ზეპირსიტყვიერებაში. ალბათ ამიტომაც არის, რომ ლექს-სიმღერებში ვაჟი მომავალ მეუღლეს სთხოვს, მოუქსოვოს მისნაირი წინდები:

გაღმა სერში გელები,
მიმოდევან ზერები,
რას იქს, მეც მიმიქსუე,
ერთი გვქონდეს ჭრელები.

(მთქმ. ილიას ალთუნი, ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. კოკ.)

წინდებითა და საკუთარი ხელით მოქსოვილი-დამზადებული ნივთებით ასაჩუქრებს პატარძალი ნიშნობისა და ქორწილის დღეს სასიძოს მხრიდან მისულ სტუმრებს ტრადიციული აჭარული საქორწილო რიტუალითაც. სწორედ ამგვარი ტრადიციის ასახული როგორც შავშეთში, ისე აჭარაში გავრცელებულ სატრფიალო ლექს-სიმღერებში, რომელთა თანახმადაც ვაჟი ქალისაგან ითხოვს წინდის მოქსოვას, რაც მომავალი მეუღლეობის საწინდრად მიიჩნევა. აჭარის ზეპირსიტყვიერებაში მრავალ ვარიანტად გავრცელებული ერთ-ერთი ამგვარი შაირია:

გოგოვ, შენი წელი წმინდა,
მომიქსოვე ჭრელი წინდა!
შენი ძმაჲ ყაინათ მინდა,
შენი თავი ცოლად მინდა!

(ა. ხ. პ., 1969:118)

ლექს-სიმღერის ზოგიერთი აჭარული ვარიანტის თანახმად, ვაჟი, გამოუტყდება რა ქალიშვილს სიყვარულში, მის ნათესავეებს თავად პირდება წინდებით დასაჩუქრებას, რაც კონკრეტული მაგალითია იმისა, რომ წინდის ჩუქება დამოყვრების სიმბოლოა:

გოგოვ, შენი წელი წმინდა,
შენი თავი ჩემთვის მინდა!
შენი ბაბოჲ სიმამრათ მინდა,
შენი ანაჲ სიდედრათ მინდა,
იმათ'ნა ვაჩუქვო წინდა.

(ნბიფა, საქმე №162:16)

შავშელთა ყოფაში არცთუ იშვიათია დანიშნული ქალის “გაქცევა”. ეს უკიდურესი საქციელი ძირითადად უკავშირდება საპატარძლოს არასრულწლოვანებას ანდა სხვა რაიმე ყოფით მიზეზს, რის გამოც ქალის მხარე ხელს უწყებს მას გაქცევაში. ეს სოციალური მოვლენაც, ბუნებრივია, სათანადოდ აისახა ზეპირსიტყვიერებაში. გასაქცევად გამზადებული ქალის ფსიქოლოგიური პორტრეტი დახატული შემდეგ შავშურ ლექს-სიმღერაში

ჩაფულები დემიფსდა,
ახლა ვინ'ნა ემიდოს?
ამეზლამ'ნა გევიქცე,
კარი ვინ'ნა გემიდოს?

(მთქმ. აიშე გულიაზი. ჩაიწერა რ. ხალვაშმა 2005 წ. ს. ზ.)

ამ ლექს-სიმღერის ვარიანტი დააფიქსირა პროფ. თამაზ ფუტკარაძემ:

ჩაფულები გიმიფსდა,
ახლა ვინ'და მიყიდოს!..
ამელამ'და გევიქცე,
კარი ვინ'და გიმიდოს!..

(თ. ფუტკარაძე 2009:7)

ჩვენ მიერ ქ. შავშათში აღიე გონიერებისაგან (შუბლაძე) ჩაწერილ ლექსში საუბარია ერთ-ერთ ასეთ “გაქცევაზე”. როგორც მთქმელმა გვაუწყა, დანიშნული ქალი გაქცეულა და მის დედეს, ანუ ბაბუას, გამოუთქვამს ლექსი, რომელსაც იუმორისტული ელფერი დაჰკრავს. დანიშნული გოგო სოფელ უბედან ყოფილა; “გოგო გაქცეველა. გოგო რომ გაქცეველა, ჩემ ანას ბაბომ, ჩემ დედემ, ლექსი გამოუთქვა”. სამწუხაროდ, მთქმელს ლექსი სრულად არ ახსოვდა, თუმცა ის, რაც მის მეხსიერებას შემორჩა, საკმაოდ კარგად ასახავს როგორც საკუთრივ ნიშნობის ტრადიციას, ისე – დანიშნული ქალიშვილის გაქცევის ჩვეულებას.

ლექსის თანახმად, სადედამთილო მართოს მაჭანკლად (ელჩად) გაუგზავნია კოჭლი ფატყუმე, რომელსაც საქმე კარგად მოუგვარებია და უბელი გოგოც დაუნიშნავს:

უბედური მართო აბლაღ,
მეიყვანა თოფალი ფატყუმ.
დილა-საღამ იქ იარა,
დენიშნა დოდოფალი.
ნიშნად ბეჭედი მუუტანა,
ბეჭედ ქონდა ღურჯი თვალი.

დანიშნულ გოგოს “გაქცევანაში” დედა დახმარებია, რის გამოც სადედამთილოსაგან მკაცრი საყვედური მიუღია. დედას კი თავი უმართლებია, უთქვამს, რომ ეს ამბავი ძალზე მტკივნეულად განიცადა და მოწმედ მეზობელი ლუტფიე დაუსახელებია. მათ შორის გამართულა დიალოგი:

– შე მუხსინევ, შე პირშავო,
რა უყავ ჩემი დოდოფალი?!
– დილას ავდექ, შინ არ იყო,
მე რა ვიცი ი ზუნკალი!
– ტყუილ-ტყუილად ნუღარ ფიცავ,
შე სომეხო, შე ფოშაო!
– წუხელ დილაძე ვიტირე,
ლუტფოს კითხეთ ჩემი ჰალი!

გასათხოვი გოგოს გაქცევანა, ანუ გაპარვა, შავშათში ჩვეულებრივი მოვლენაა. ამაზე მიუთითებს სოფელ დასამობში პროფესორ შ. ფუტკარაძის მიერ დაფიქსირებული ლექს-სიმღერა, რომლითაც ვაჟი მიმართავს “თვალჭირულ” გოგონას:

გაღმა სერში ვაჩავი,
არ ხარ ფენა ქოჩევი.
გამოქცევნა თუ გინდა,
გამომინთე ლაჩაქი.

(შ. ფუტკარაძე 1993:226)

3.3. საქორწილო სამზადისის ამსახველი ლექს-სიმღერები

ნიშნობას, როგორც ქართული ტრადიცია მოითხოვს, გარკვეული დროის შემდეგ მოსდევს ქორწილი. შავშათში პატარძლის საქორწილო სამზადისის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია ხელზე ინის დადება. პატარძლისათვის ინა მიაქვს წინა დღეს სიძის ოჯახიდან მოსულ ერთ-ერთ მაყარს, რომელიც დედოფალს ხელში ჯერ ოქროს ნივთს ჩაუდებს, შემდეგ კი – ინას, რომელსაც მისი ერთ-ერთი გამორჩეული (დედმამიანი) ნათესავი წრიულად წაუსვამს ხელის გულზე და ფრჩხილებზე, შემდეგ კი ხელზე წითელ ხელთათმანს ჩააცმევინ. ხელზე ინაწასმული და თეთრ ხელთათმანებში გამოწყობილი დედოფლები ექსპედიციის წევრებმა არაერთხელ თავადაც იხილეს საქორწილო ცერემონიალის დროს ქალაქ შავშათში.

დედოფლისათვის ხელის გულზე და ფრჩხილებზე ინის წასმას უსათუოდ პროფილაქტიკური მაგიური დანიშნულება უნდა ჰქონდეს და ბოროტი, ავი სულებისაგან დედოფლის დაცვას უნდა ითვალისწინებდეს; ინის წასმის განსაკუთრებული (წრიული) წესი კი მზის სიმბოლიკაზე უნდა მიაწინებდეს (ვ. ბარდაველიძე 1953:130). მკვლევარ გ. გოცირიძის ცნობით, საქორწილო ცერემონიალში ინის გამოყენებას ადგილი აქვს ფერეიდნელ ქართველთა შორისაც. აქაც ამ მცენარეს პროფილაქტიკური მაგიური ფუნქცია მიეწერება, რაც ავი სუ-

ლებისაგან ადამიანის დაცვას, ქორწინების დროს მოსალოდნელი “სქესობრივი აქტის ჩაკეტივის”, ქალის უშვილობისა და ვაჟის მამაკაცური უძლურების აცილებას გულისხმობს (გ. გოცირიძე 1987:85).

დედოფლისათვის ხელზე და ფრჩხილებზე ინის დადება იცოდნენ აჭარაშიც. ერთ-ერთი ჯანმრთელი და ქმარშვილიანი დედოფლის ნათესავი ქალი ეხმარებოდა მას; ამ ქალის დახმარებით იგი წინა დღით ხელებს და ფრჩხილებს იღებავდა ინით (მ. ბექაია 1974:61).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კოსმეტიკური თვალსაზრისით ფრჩხილების შეღებვა ინით ისლამურ სამყაროში მიღებული და საკმაოდ გავრცელებული წეს-ჩვეულება იყო, რაც სათანადოდ აისახა კიდევც ხალხურ პოეზიაში. აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულ სატრფიალო შაირში ნათქვამია:

ხელზე ინა დევდევო,
თითი მომწვარი მქონდა.
მე ბიჭის მერაყისგან
გული დამწვარი მქონდა.

(ნბიფა, საქმე №150:64)

ამ ლექსის ვარიანტი, სამწუხაროდ, შავშეთის სოფლებში ვერ დავაფიქსირეთ, მაგრამ ისტორიული კლარჯეთის (მურღულის ხეობა) ერთ-ერთ სოფელში – ბუჯურში, რომელიც ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით იმავე სივრცეს განეკუთვნება, 2007 წელს 70 წლის ხატიჯე ილმაზისაგან (ქესკინოლდი), რომელიც გამოთხოვილია სოფელ დევსქელიდან, ჩავიწერე ზემოთ მოხმობილი აჭარული შაირის თითქმის იდენტური ვარიანტი, რომელსაც მთქმელი სიმღერით ასრულებდა;

ხელზე ინა დევდევო,
თითი დამწვარი მაქვა.
მე სიმღერა რავად ვთქვა,
გული დამწვარი მაქვა.

დედოფლისათვის ხელის გულზე და თითებზე ინის დადების რიტუალს შავშეთში “ყინა გეჯეს” ეძახიან (“ყინა” – ინა, “გეჯე” – ღამე). ეს ცერემონიალი სიმღერის თანხლებით სრულდება:

მაღალ-მაღალ მთებიდან
სახლი არ დადგან.
იაბანჯ მემღეკეთში
გოგო არ მიცე!
ყინა მეიტანე, ანე,
თითი დააწე, ანე,
ამელამ მუსაფირი ვარ,
ჩემ უკან დაწე, ანე!

(თ. ფუტკარაძე 2009: 4-15)

“ბაკლის თერეფი ყინას იღებენ, სიძესაც ლეკი თითზე დაადებენ. იმ ღამე დოღოფალ ატირებენ, სიმღერას მოუმღერებენ”, – გვითხრა 70 წლის ქალბატონმა ფიქრიე ორალმა (მცხ. ს. დასამობის უბანში – ნიოლეტში).

3.4. საქორწილო ღვინო და მაცრული ლექს-სიმღერები

შავშურ ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილია როგორც უშუალოდ საქორწილო რიტუალის ამსახველი, ასევე ქორწილში სამღერი სხვადასხვა თემატიკის (უმეტესად – სატრფიალო) შაირის ფორმის ლექს-სიმღერები.

75 წლის ბაზგირეთელი ფათმა დეზგუნის თქმით, “დუგუნში” მღეროდნენ:

ჰაიდე, წვედეთ ბათუმში,
ვაწერიოთ დახები.
ადე, გუზელ, ვისამოთ,
ვასეიროთ ღამაზები!

ლექს-სიმღერაში აქცენტის გამახვილება ცეკვაზე შემთხვევითი როლია. ცეკვა, სიმღერასთან ერთად, ჩვენებურთა საქორწილო რიტუალის ერთ-ერთი აუცილებელი და, ამასთანავე, წამყვანი ატრიბუტია. იმერხევის მაღალმთიან სოფელ ბაზგირეთში დადასტურდა ცეკვათა შემდეგი სახეობანი: ბაზგირულა, ხორუმი, დუხხორუმი, თექიანები, ჯინველო, შემორბენილა, გაზრომილა, ხელგაშლილა, ყარშიბერი, დართულა და სხვა (რ. ხალვაში 2007:310-311; თ. ფუტყარაძე 2009:16-18). ეს ცეკვები ფაქტობრივად ხალხურ დრამას წარმოადგენენ და ცალკე შესწავლის საგანია; ჩვენ მათ განვიხილავთ იმდენად, რამდენადაც ისინი საქორწილო ღვინის დროსაც სრულდება. ეჭვს არ იწვევს, რომ შავშურ ცეკვებს თავის დროზე სასიმღერო ტექსტებიც ახლდა (ამჟამად უმეტესობა მუსიკის აკომპანემენტით სრულდება), რასაც ადასტურებს ცეკვა “ბაზგირულა”, რომელიც სრულდება შემდეგი ლექს-სიმღერის თანხლებით:

დაბა და დვევითი,
ზემოდან ზაქიეთი.
ორი დღეა, აღარ ვარ,
მომშურდა ბაზგირეთი.
– სიდევრი? – ბაზგირელი,
– მოდი, ჩამართვი ხელი!
სიცოცხლეში ვიაროთ
ჯანჯირი-ბაზგირეთი!
ჯანჯირის ბაწრებიდან
გეიარ, გახვალ ზიარეთ.
სულ არ დამავიწყდება,
ჩვენ რო ერთათ ვიარეთ.

(რ. ხალვაში 2007:311)

ცეკვა “ბაზგირულში” სამღერო ტექსტის მოკლე ვარიანტი ჩაწერილია ჩვენ მიერ სოფელ უსტამისში (ესქიყალე) ზულეისა დემირისაგან:

ორი დღე არ ავალ,
მომშურდა ბაზგირეთი.
ჯანჯირის ბაწრებიანი
გევიარ, გავალ ზიარეთ.
აღარ მავიწყდება,
ერთათ თუ ვიარეთ.

ზოგჯერ “ხორუმიც” სიმღერით სრულდება. აქ ძირითადად იყენებენ სატრფიალო ხასიათის ტექსტებს, რომელთა თემატიკის დიდი ნაწილი საქორწილოა. ასეთებია:

აველ საზგირელაზე,
ერთი დავაკიჟინე.
მე რომ შენ არ’ნა წამოგყვე,
აქ რაღა დემეჯინე!

(მთქმ. გულსარე დუზგუნი (ჯივანაშვილი). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. ბაზგ.)
ანღა:

თაზე მიმყავს ორი ხბო,
იქეთ-აქეთ მექცევა.
მე შენ რო ვერ გითხუო,
შავი დღე მემექცევა.

(მთქმ. ზექიე ილდიზი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. დ.)

აღსანიშნავია, რომ თავის დროზე იმერხეული ცეკვებით ნიკო მარიც დაინტერესდა. მან აღწერა ტბეთელი ახალგაზრდების მიერ შესრულებული “დელი ხორომი” და მიანიშნა, რომ ამ ცეკვის შესრულებისას მოცეკვავენი “ჩამუხლებას”, ანუ “ბუქნას”, იყენებენ; მისთვის უამბნიათ, რომ იცოდნენ ქალების ცეკვა “ვარდა”, რომელსაც განსაკუთრებული შემთხვევების დროს ასრულებდნენ; უცხოებთან მისი ცეკვა სასტიკად იკრძალებოდა და სიკვდილით ისჯებოდა (H.Mapp 1911).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული ხალხური მაყრული ლექს-სიმღერის – “მოგყავს და მოგვიხარია” – ერთ-ერთი საინტერესო ვარიანტი იმერხევში ჩაიწერა აკადემიკოსმა ნიკო მარმა 1904 წლის ზაფხულში მოგზაურობისას სეიდი აღანიძისაგან. ლექსი დიალოგური ხასიათისაა, მას მღერიან მაყრები, როდესაც მამის სახლიდან მიჰყავთ პატარძალი:

– მოგყავს და მოგვიხარია,
შინდი გურკა მხრეტელი.
– მაგასაც გოუხაზირეთ
მუხა – სოლი უდრეკელი!

(H. Mapp 1911: 52)

ქართული ხალხური მაყრული ლექს-სიმღერა დასაწყისით “მოგყავს და მოგვიხარია” ფართოდ არის გავცელებული საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. ასე მაგალითად:

მოვდივართ, მოგვიხარია,
მოგყავს დედალი ხოხობი,
თვალ-წარბ გადახატული
ქალია ძუძუ-კოკობი.

(ქს. სიხარულიძე 1960:257)

ანდა:

მოვდივართ, მოგვიხარია,
მოგყავს წითელი პეპელა,
ქალი-რძალი მშვენიერი,
პირვარდი, ალვა, კეკელა...

(ქს. სიხარულიძე 1960:258)

ნიკო მარისეული ჩანაწერი მაყრული ლექს-სიმღერის ვარიანტი კი ჯერჯერობით არც შავშეთში და არც საქართველოს სხვა კუთხეებში არ დაფიქსირებულა. ამდენად, ეს მასალა, ფოლკლორისტიკის ისტორიოგრაფიისათვის დიდად ღირებულია.

შავშეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა ეთნოგრაფიულ კუთხეებში, საქორწილო ცერემონიალს ამხიარულებს მაყრული ლექს-სიმღერები. დედოფლის სახლიდან სიძის სახლამდე ქალისა და ვაჟის მაყრები ერთმანეთს ეჯობრებიან, ცდილობენ, შაირით გაკენწლონ მოწინააღმდეგე მხარე და საკუთარი უპირატესობა დაამტკიცონ. ეს ერთგვარი “მტრობის” გათამაშების სცენაა, რომელსაც კარგად იცნობს მსოფლიოს მრავალი ხალხის საქორწილო წეს-ჩვეულება და მასთან დაკავშირებული ფოლკლორული შემოქმედება.

“მღერობენ... ჩემმა ნენემ ბევრი იცოდა... გზაში სიმღერა იქნება, მღერობენ; გზაში ჭიბონ უკრენ,” – უამბო ექსპედიციის წევრებს ქ. შავშათში მცხოვრებმა ალიე გოჩიენთმა და მოაყოლა მაყრულში სამღერი ლექს-სიმღერები, რომლებიც სატრფიალო ხასიათისაა:

ვაკეთკენ მიმავალი
ქვაზე ფეხი წამოგკარ.
უკნესკენ მინავალი
ჩემ დარ თვალი წამოგკარ.

ანდა:

ეს აჯარა ღომიაო,
ჩიქინი ქმარი გეოლიაო.
ის გააგდე და მე მომყევ,
სირცხვილი ნუ გგონიაო.

ან კიდევ:

გაღმა სერში ქათამი
მივა და მიკაკანებს.
მე რომ შენ დეგინახავ,
გულში გამაკანკალებს.

მაყრები ზოგჯერ ერთმანეთს მეტსახელებითაც მოიხსენიებენ, რაც მსუბუქ იუმორს არ უნდა გასცდეს. დედოფლის მაყრებს ნეფის მაყრები “გოდრიანებს” უწოდებენ, რაც, ალბათ, სოციალურ ვითარებაზე უნდა მიანიშნებდეს. აღსანიშნავია, რომ იმავე ტერმინით მოიხსენიებიან დედოფლის მაყრები აჭარულ მაყრულშიც:

ამ დედოფლის მაყრებო,
ფეხტატაშად ბლაცევიო.
ზრუგში კიდიან გოდრები,
შით გუურბიან კრუსები.

(ნბიფა, საქმე №65:46).

თუ მაყრებს გრძელი გზა აქვთ გასაველელი, შავშეთის ქართულ სოფლებში მიღებულ იქნეულთა თანახმად, ქალის მაყრონი შუა გზაზე შეჩერდება და მუცლებზე ხელის მოსმას იწყებს, რითაც იმაზე მიანიშნებს, “დაგეხვერა”, კუჭი აგვეწვა შიმშილითო; თუ ვაჟის მხარეს წინასწარ თადარიგი არ აქვს დატყერილი, სირცხვილს ჭამს: “გზა განახვერდება, მაყარი დასხდებიან ორივე. დახვერავენ, რაცხა უნდათ იგზე. ავად გავხდითო, კუჭიო... რაცხა საჭმელი გვინდაო... რაცხა გაკეთებული ექნებიან, რაცხას ქი გააკეთებენ; ქალის თერეფ ღუურებიგებს” (მ. ფაღავა, მ. ცინცაძე 2007:273).

სიძის სახლთან მაყრონის მისვლისას, ისევე როგორც მთელ გზაზე, შავშეთში იმართება შაირობა, რომელიც, როგორც ყველა მაყრული, ორპირული შესრულებისაა და მეორე მხარის გაკენწვლას, “ნაძირვას” ისახავს მიზნად.

ამგვარი ურთიერთობა ქალისა და ვაჟის მაყრებს შორის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორი გუნდის პრინციპზე დაფუძნებული არქაული ქართული, ეგრეთწოდებული “მტრობის” გათამაშებაა, რასაც საბოლოოდ იუმორისტული ხასიათი ეძლევა და საქორწილო ცერემონიაში თავისებური მხიარული ელფერი შეაქვს. ამგვარი, სიძისა და დედოფლის მაყართა გუნდების შეჯიბრის პრინციპზე დამყარებული, მაყრული ლექს-სიმღერის 2 ტექსტი დავაფიქსირეთ სოფელ იფხრეველში (თაშქოფრუ). ტექსტები არსებითად ერთი და იგივე სიტყვიერი ქსოვილით არიან აგებულნი:

- დოდოფალი მოყავან,
- საჩუქარი რა გყავან?
- მუნიანი თხა ჰყავან!

“ - დოდოფალ ქი მოიყვანებენ, იმღერებენ”, - გვითხრა 65 წლის სურმელ ილდიზმა. თითქმის იდენტური ვარიანტი ჩაგვაწერინა 87 წლის ვეფსიე დემირმა.

დიალოგური ფორმის ეს მაყრული ლექს-სიმღერა ბოლო დრომდე გავრცელებულია აჭარის საქორწილო რიტუალშიც (მ. ბექაია 1974:65; ჯ. ნოღაიდელი 1971:51), თუმცა გვხვდება მცირედ განსხვავებული ვარიანტებიც (ნბიფა, საქმე №171:13; საქმე №183: 10), რომლებშიც მინიშნებულია, რომ საჩუქრად ჰყავთ ერთი “მუნიანი”, “იორდამელად”, “თოფალი”, “პირსანათაჲ” თუ “პირსაღარაჲ” თხა. ერთ-ერთ ვარიანტში კი მინიშნებულია, რომ საჩუქრად სამი თხა ჰყავთ:

- დედოფალი მოყავან,
- საჩუქარი რა ყავან?
- სამი თავი თხა ყავან!

(ნბიფა, საქმე №166:5)

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში დაცულია ამ მაყრული ლექს-სიმღერის ერთ-ერთი სრულყოფილი, მუსიკალური აკომპანემენტის ბგერითი გადმოცემით გაფორმებული, ტექსტი (ნბიფა, საქმე №175:41), რომელიც 1972 წელს ნ. ჭყონიას ჩაუწერია ხულოს რაიონის სოფელ წაბლანაში ხამზე შაინიძისაგან სათაურით “ვორი-როგო”; მთქმელის განმარტებით, იგი საქორწილო სიმღერაა:

- ვო - რი - რო - ვო - ო - ო - ო - ო!
- დილაგ - ო - ო - ო - ო - ო.
- დილაგ - ო - ო - ო - ო - ო - ჰეი!
- დედოფალი მოყავანო,
- საჩუქარი რა ყავანო?
- პირსანათაჲ ძროხა ყავანო!
- ვო - რე, ვო - რე, ვო - ო - ო.
- ვო - რი, რო - ვო - ო - ო - ო - ო!
- დილაგ - ო - ო - ო - ო - ო,
- დილაგ - ო - ო - ო - ო - ო - ჰეი!

ეს მაყრული სიმღერა ძველ საქართველოში უშუალო გამოძახილი უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი საქორწილო ჩვეულებისა, რაც დედოფლისათვის ვაჟის ოჯახის მიერ შესაწევარი “ყურბნის” მირთმევას გულისხმობს.

აჭარული წეს-ჩვეულების თანახმად, “... სიძის ეზოში რომ მოვდოდენ, იყვირებდენ, ყურბანი მოგვიყვანეთო. ოჯახის პატრონი გამოიყვანდა ცხვარს ან ძროხას. მას თავს შემოავლებდნენ და მას მემრენ ის დედოფლის საკუთრებად ითვლებოდა... იძახიან გოგოს მაყრები, საჩუქარი რა გაქვან, გოგო რომ შემოიყვანოთო. იტყოდენ, საჩუქრად ძროხა გვეყავსო... ძროხას ყურს შააჭრიდენ” (ნბიფა, საქმე №191: 9, 17).

მკვლევარი მზია ბექაია მიუთითებს, რომ ქალის მხრიდან საჩუქრის მოთხოვნა დედოფლის “უზანგის საჩუქარია”; იგი ცხენიდან არ ჩამოვა, ვიდრე უზანგის საჩუქარს არ მიიღებდა. ძველად საჩუქრად ყოჩს მიაართმევდნენ; “მას დედოფლის ცხენს შემოუტარებდნენ გარშემო სამჯერ და იქვე კლავდნენ. შემდეგ კი წესად შემოსულა “პატიება” – დაკვლის იმიტაცია ყოჩის ყურის შეჭრითა და სისხლის გამოდენით (მ. ბექაია 1974: 65).

ვაჟის ოჯახის მიერ დედოფლისათვის საჩუქრის, ანუ შესაწევარი ყურბნის, მირთმევის ჩვეულება იციან შავშურ ქორწილშიც. აქაც დედოფლის მაყრონი ზემოთ მოხმობილი სიმღერით (“დედოფალი მოყავან”) მოითხოვდა საჩუქარს, რაც მსხვილფეხა ან წვრილფეხა პირუტყვია, რომელსაც ყურზე ნიშანს გაუკეთებენ (არც კლავენ და არც ყურს აჭრიან) და მოითხოვენ, რომ დედოფლის სახელზე იყოლიოს ოჯახმა.

აღსანიშნავია, რომ გარდა პირუტყვის სახით წარმოდგენილი საჩუქრის “გამსუბუქებისა”, შავშურ მაყრულ სიმღერაში გაქილიკებულია სიძეც:

დოდოფალი მოყავანო,
საჩუქარი რა ყავანო?
– დორდამელაჲ თხა ყავანო,
მეფე თოფალი ყავანო.

(მთქმ. ფატმა (ფატყიმე) ილდიზი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ა.)

შავშურ ქორწილში ერთ დროს, ალბათ, მდეროდნენ ქართულ სუფრულ სიმღერებს და წარმოსთქვამდნენ დალოცვა-სადღეგრძელოებს, თუმცა დღეისათვის ეს ტრადიცია მივიწყებულია. იციან მხოლოდ საჭმლის მოსათხოვი ლექს-სიმღერა, რომელსაც უფრო იუმორისტული ხასიათი აქვს და აქაც “ორი გუნდის პრინციპი” მოქმედებს. ქალის მაყრები ცდილობენ, “ჩიხში” მოაქციონ მასპინძლები – სიძის მხარე. ამას სუფრის “დაჭირვას” ეძახიან. ბაზგირულ ქორწილში დავაფიქსირეთ ამგვარი ლექს-სიმღერა:

ვოსა, ვოსა, ვოდელია ნანა,
ხუთი ბაქლავა, ერთი ტოლმა,
ერთი ლივერიც მოიტანეთ!

(თ. ფუტკარაძე 2009:29)

უსტამისელი ქალბატონის – შაჰზენე ბილგინის ცნობით, “მევდოდენ მაყარი (გოგოს მაყარი – თ. შ.), დაჟდებოდენ, მოთლიდენ. თელი მოითხოვენ, მათანიებენ. არ ჭამენ, ისე ადეთია, ძველათ ისე იყო – სუფრას დიგიჭირვენ, არ ადგებიან დოდოფლის თერეფი”. მანვე ჩაგვაწერინა “სუფრის დასაჭირავი” ლექს-სიმღერა:

მოლა, მოლა,
ფენგა გესლინო,
ფემეგი ვჭამოთ,
ყართოფი ვჭამოთ,
ყათმენი ვჭამოთ!

“სუფრის დაჭირვა” (“დაჭერა”) აჭარულ ქორწილშიც იცოდნენ. “ მაყარი დაჯდება სუფრაზე. ცოტა ხნის შემდეგ ქალის მაყარი სიძეს მეთხოვს. სიძე მოყვება კაცს, რომელსაც ლენგერზე დაყრილი მუაქ ხილი, ტებილეულობა ...” (ნბიფა, საქმე №191:74); “ქორწილის მეორე დღეს, დილას, იმართებოდა სუფრის დაჭერის წესი – რუსუმი. მოითხოვდნენ ისეთ რამეს, რაც იშვიათი იყო” (ნბიფა, საქმე №91:51); ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მაღლაკონში მცხოვრებმა ეთერ ზაქარაძემ 1972 წელს ფოლკლორისტ ეთერ ზოიძეს უამბო: “ქორწილში იყო სუფრის დაჭირვაც”. მოვითხოვდით ქათამს, შემწვარ ბატკნებს. თუ არ შეიტანდნენ, მაშინ ვიტყოდით ამ სუფრის სიმღერას. ხანდახან ერთ დღე-ღამესაც დევჭირავდით სუფრას,

იმფერი უინიანი ხალხიც იყო. თუ ლამაზათ შეძლებდა, მეიტანდა, ისვენ მას ვაჩუქებდით; თუ საქმეს უხერხულად მუუდგებოდა, მაშინ თოფსაც ისროდენ” (ნბიფა, საქმე №166:12).

“სუფრის სიმღერა”, მთქმელის განმარტებით, იყო “მასვინძელო”. ამ სიმღერის ერთ-ერთი, ხულოში დაფიქსირებული, ვარიანტი სათაურით “ვერიდა” ამგვარია:

ვერიდაა!
მასვინძელსა მხიარულსა
ორირეო, ნანინადაა.
ქალამნისას თავრიელი,
ჰვერი და ჰპარალო.
სუფრა დაგვრჩა ცარიელი,
ჰვერი და ჰპარალო.
ვერი და მასვინძელსა და
ორირეონანო და,
უნდა მეიტანოთ ძალში შემწვარი ქათამი,
ჰვერი და ჰპარალო!
მოსამსახურება და ჩანჩალო!

(ნბიფა, საქმე №171:26-27)

მთქმელის განმარტებით, “ამ სიმღერას მღერის დედოფლის მაყარი”.

ერთ-ერთ უძველეს ქართულ საქორწილო ჩვეულებას – “სუფრის დაჭერას”, რაც სიძის ოჯახის სტუმართმოყვარეობისა და შეძლების ერთგვარი გამოცდაც იყო, აჭარაში მიმართავენ როგორც ქორწილში, ისე სხვა წვეულებების დროს. 2008 წელს ჩვენ მიერ შუახევის რაიონის სოფელ გოგინაურის მკვიდრის – ნოდარ გოგიტიძისაგან ჩაწერილი ერთი ასეთი ლექს-სიმღერა “ძვერი მასვინძელსა” ამგვარია:

მასვინძელო მხიარულო, ძვერი არაღეო,
სუფრა არის ცარიელი, ძვერი არაღეო.
მაღე ქენი, მოიტანე, ძვერი არაღეო.
ერთი ფუთი თეთრი ღვინო, ძვერი არაღეო.
მოაყოლეთ კასრით თაფლი, ძვერი არაღეო.
რომ არ იყოს გამოხდილი, ძვერი არაღეო.
აჭარული ხაჭაპური, ძვერი არაღეო.
ერთი კოდი ვაშლი ჩირი, ძვერი არაღეო.

მთქმელის განმარტებით, “ჩამოთვლიან სხვადასხვა საჭმელ-სასმელს“. ამ სიმღერას, როგორც აღვნიშნეთ, მღერიან ქორწილშიც და სხვადასხვა წვეულებების დროსაც. თუ მონათხოვს ვერ მიუტანდნენ, არ ექნებოდათ, მაშინ შეუცვლიდნენ მაყარიონთან შეთანხმებით.

მკვლევარი მზია ბექაია “რუსუმის“ თაობაზე მიუთითებს: “ქალის მაყრები აწვადებდნენ მასვინძელს, ჭირვეულობდნენ – “გეგეზობდნენ” – მასვინძელს სუფრას უწუნებდნენ, ახალ-ახალ კერძებს მოითხოვდნენ” (მ. ბექაია 1974:67).

მიუხედავად თურქულ გარემოში ჩვენებურთა ხანგრძლივი ცხოვრებისა, შავშური საქორწილო წეს-ჩვეულების ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა ეტაპმა – მაყრულმა ლექს-სიმღერებმა, ისევე როგორც მთელმა საქორწილო რიტუალმა, შეინარჩუნა ქართული ხასიათი.

3.5. პატარძლის დასამოდვრავი ლექს-სიმღერები

შავშურ საქორწილო რიტუალში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დედოფლის, როგორც ოჯახის ახალი წევრის, დასამოდვრავი ლექს-სიმღერები, რომლებიც ჯერ სრულდება მშობლიურ სახლთან პატარძლის გამომშვიდობებისას:

გენილო, გენილო, კართავი მაღალი,
ნელ-ნელა გადმეიარე.
იაშა, იაშა, ჰანი გელინო ყარდაში?
მოვდეს, გედეგეხვის და იტირეთ...

(თ. ფუტკარაძე 2009:21)

ამ სიმღერას მოსდევს მშობლისა და ქალიშვილის რიტუალური ტირილი; იგივე სიმღერა სრულდება სიძის სახლში მისვლისას:

გამეიარე, ზალო, გამეიარე!
მამამთილი ბაბოია, დედამთილი ანაია,
მაზლი ზმა არი, მული და არი!

ჩიხისხევის ერთ-ერთ მშვენიერ უბანში – კოკბერეთში მცხოვრებმა მოქმედმა ილიას ალთუნმა სიმღერას დაურთო კომენტარი: “თურქულად ამბობენ გურჯები. მუა ზალი, მაშინ ამბობენ. იტყვიან და ამ ყურიდან შევა, ამ ყურიდან გავა”, – დააყოლა ხუმრობით

ეს ლექს-სიმღერა მრავალი ვარიანტით არის გავრცელებული აჭარის ზეპირსიტყვიერებაში. მას ასრულებენ მაშინ, “როცა ქორწილი დამთავრდება და შინაურ ქალებს რძალი შეჰყავთ სამზარეულოში... სრულდება ერთ ხმაზე გამოთქმით:”

გელინო, გელინო,
აბძანდი ზეზე, აბძანდი, გელინო!
ნელა-ნელა წამობძანდი, გელინო!
მამამთილი მამასავენ, გელინო!
დედამთილი დედასავენ, გელინო!
მაზლები გყავს ძმასავენ, გელინო!
მულები გყავს დასავენ, გელინო!

შემდეგ, მოქმედის განმარტებით, “გადადის საფერხულო სიმღერაზე “ნად, ნად, ნი-ნა-ნა” (ნბიფა, საქმე №46:24-25).

“გელინოს” ერთ-ერთი ვარიანტის მოქმედის – ჭარნალელი მერი ქავთარაძის თქმით, “ეს ძველებური, გაკიდებული სიმღერაა” (ნბიფა, საქმე №226:29). ამ ლექს-სიმღერის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ვარიანტი 1971 წელს ნ. ნოლაიდემა ჩაიწერა ჯოჯოში სოფელ ხებიდან (ამჟამად თურქეთის რესპუბლიკაშია) გამოთხოვილი 66 წლის ემინე გორგოშაძისაგან; აღსანიშნავია, რომ ამ სიმღერას იუმორისტული დასასრული აქვს:

გელინო, გელინო!
კერიას უკან ქოთანი,
გელინო, გელინო!
ესაა შენი ვათანი.
გელინო, გელინო!
ნელ-ნელა გადმობრძანდი,
გელინო, გელინო!
კარი თავი მაღალია.
გელინო, გელინო!
ერთი მული გყავს დასავეთ,
გელინო, გელინო!
ერთი მაზლი გყავს ძმასავეთ.
გელინო, გელინო!
ერთი შვილი გყავს ღორსავეთ.

(ნბიფა, საქმე №150:63)

დასამოდგერავ-დასარიგებელ ლექს-სიმღერებში შავშები პატარძალს ავალებენ საოჯახო საქმეების უზადოდ შესრულებას და დედამთილის პატივისცემას:

ღოდოფალო, მოდი, სახლი დაგავე!
არ აათოზო!
დედამთილით პასუხი არ ქნა!

(მოქმ. მუასერ უზუნი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. დავ.)

ამ ლექს-სიმღერის ვარიანტებსაც იცნობს აჭარის ზეპირსიტყვიერება:

გელინო, გელინო, სახლი დახვეტე,
მაგრამ მტვერს ნუ დააყენებ!
დედამთილებმა ბევრი ლაპარაკი იციანო,
ყველაფერს ყურს ნუ დაუგდებო,
რძლებო, ყველაფერს ფეხქვეშ ნუ მოიგდებო!

(ნბიფა, საქმე №226:29-30)

ამრიგად, შავშურ ზეპირსიტყვიერებაში დამოწმებული პატარძლის დასამოდვრავი ლექს-სიმღერები ემსახურება ოჯახში შემოსული ახალი წევრის გაშინაურებას, მეორეს მხრივ კი მათში წარმოჩენილი დიდაქტიკურ-აღმზრდევლობით იდეალები მშვენივრად გამოხატავს ქართველი ხალხის მისწრაფებას მშვიდობიანი ოჯახური ცხოვრებისადმი, ოჯახის წევრთა ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემისადმი.

შავშური საქორწილო ზეპირსიტყვიერების წმინდა ქართულმა ხასიათმა, სხვა ადგილობრივ საწესჩვეულებო რიტუალებთან ერთად, განაპირობა ამ ძირძველი ქართული რეგიონის ყოფა-ცხოვრებაში ქართული ტრადიციების შემონახვა, რაც უმნიშვნელოვანესი პირობაა თურქულ გარემოცვაში მცხოვრები ჩვენებურებისათვის ეროვნული იერსახის შესანარჩუნებლად.

§4. სასულიერო პოეზია

შავშურ ზეპირსიტყვიერებაში ძალზე გავრცელებულია რელიგიურ-ფოლკლორული ხასიათის ვრცელი ლექსი სახელწოდებით „გურჯიჯა ვაიზი“, „გურჯი ვაიზი“, „გურჯული ვაიზი“, რომელსაც სამოდვრო-დიდაქტიკური ფუნქცია აკისრია და გულისხმობს მორწმუნე მუსლიმანთა ზნეობრივ განწმენდას, მათ დარიგება-დამოდვრას („ვაიზი“ არაბული სიტყვაა და ნიშნავს დარიგებას, შეგონებას, ქადაგებას); ჩვენებურები მას „ქართულ მეფულს“ უწოდებენ (შ. ფუტკარაძე 1993:453). სათაურიდანვე ჩანს, რომ ეს ვრცელი ლექსითი ქადაგება ქართულ ენაზეა შექმნილი და მას ღვთისმსახურებისას იყენებენ ქართულენოვან სოფლებში იმამები, ანუ, როგორც აქ უწოდებენ, ხოჯები.

„გურჯული ვაიზის“ ვრცელი ვარიანტი ერთ-ერთმა პირველმა დააფიქსირა პროფ. შუშანა ფუტკარაძემ 1989 წელს სოფელ მანატბაში ხოჯა ნიაზ ჯიჯანიძის თქმით (შ. ფუტკარაძე 1993:271-275). ამ სასულიერო-რელიგიური ლექსის ვარიანტი სათაურით „გურჯი ვაიზი“ სოფელ მანატბაში იმავე მთქმელისაგან 2009 წელს ჩაიწერა პროფესორმა მამია ფაღავამ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ქადაგების ვრცელი ვარიანტები იციან მხოლოდ ხოჯებმა და მრევლს უკითხავენ; მოსახლეობაში კი მისი ცალკეული ფრაგმენტებია გავრცელებული, რაც ექსპედიციამ დააფიქსირა ს. ბაზგირეთსა და წეთილეთში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „გურჯი ვაიზი“ რელიგიური ხასიათისაა და განკუთვნილია მორწმუნე მუსულმანთა დასამოდვრავად; ყოველი სტროფი სრულდება უფლისადმი ვედრებით: „ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!“ ლექსის დასაწყისი სტრიქონები ერთგვარი მოწოდებაა, რომელიც მსმენელთა მობილიზებას გულისხმობს:

ახლა უნდა ვთქვათ გურჯიჯა ენით,
გამჩენელი დევეჯეროთ სულით, გულით.
ვეხვეწნეთ გამჩენელს სულ ყოლა ენით.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

სათაურიდან – „გურჯიჯა ვაიზი, (ანუ „ქართული სწავლება, ქადაგება“) – და პირველივე სტრიქონებიდან ხაზგასმულია, რომ ქადაგება უნდა წარიმართოს ქართულ („გურჯიჯა“) ენაზე. ამგვარი შესავალი, ალბათ, ერთგვარი თავის მართლებაა, რადგან დარღვეულია მუსლიმან მლოცველთა ტრადიცია ღვთისმსახურების არაბულ ენაზე შესრულებისა. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ვაიზის შავშურ ვარიანტებში ქართული ენისადმი განსაკუთრებული პატივისცემა გამოსჭვივის, რაც ყველაზე უკეთ არის გამოვლენებული შ. ფუტკარაძის მიერ დაფიქსირებულ ვარიანტში.

გარდა პირველივე სტრიქონში გაცხადებულისა („ერთი ვაიზი ვქნათ გურჯიჯა ენით“), მეორე სტროფის დასაწყისი, ჩვენი აზრით, არის ერთგვარი „ქება და ღიღობა ქართულისა ენისა“ და დამაჯერებლად არის ნათქვამი, რომ საიქიოს ენაც ქართულია („ჩვენებურია“):

იცოდე, გურჯული რომ ქართულია,
ქართული ენა მეტად ტკბილია.
იმ ღუნის ენა ჩვენებურია.

(შ. ფუტკარაძე 1993:271).

ლექსის დასასრული კი წარმოადგენს ქართველთა დამოძღვრას, რათა იამაყონ მშობლიური ენით, შეინახონ, გულში ჩაინერგონ და მუდამ ახსოვდეთ, ვინ არიან, საიდან მოვიდნენ, ვისი სისხლი უჩქეფთ ძარღვებში; არ დაივიწყონ, რომ ქართული მოდგმისანი არიან:

ნეტაი შენ, რომ გაქ ენა ქართული,
სხუაზე რათ გექცევა თუალი და გული!
შეინახე ენა გულში ჩარგული...
გახსოვდეს, ვინ ხარ, სიდან მოსული,
ვისი სისხლი გაქ ტანში გართული.
იცოდე, რომ გაქ სისხლი ქართული,
ქართულ ქოქზე ხარ ამომართული...
ქართული ენა გულში დამალე...

(შ. ფუტყარაძე 1993:275).

აღბათ, ყველა თაობის ჩვენებურთა გულისწადილია გაცხადებული სიტყვებით: „ქართული ენა გულში დამალე“. ამავე დროს, მართალია, ვაიზით გაცხადებულია, რომ უფალს ერთნაირად უყვარს ყველა ხალხი და ყველა ენაზე ესმის ღოცვა-ვედრება, მაგრამ ქართველთა ვაღია, მშობლიურ ენაზე ელაპარაკონ მას, რადგანაც „ყველა მიღლეითი ღმერთ ეხვეწება თავის ენაზე“ და „იმ ქვეყნის ენაა ჩუენი ქართული“:

დიდ ბატონს უყვარს ყველაი მიღლეითი,
ყველა ენაზე ესმის სათქმელი,
ღმერთ შეეხუეწე, შეთხუე სამოთხე,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
ღმერთ შეეხუეწე ღამაზ ქართულით,
ღმერთის ემანეთი ტკბილი გურჯულით,
ღმერთ ესმის ჩუენი გულში ფურჩულიც.
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
ტკბილი ქართულით, ტკბილი გურჯულით
ღმერთ ეხუეწება სულ ჩუენი გული.
იმ ქვეყნის ენა-ჩუენი ქართული,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

(შ. ფუტყარაძე 1993:275).

აღსანიშნავია ისიც, რომ „გურჯული ვაიზის“ ამ ვარიანტში გამოთქმულია რწმენა, რომ უფალი გურჯებს ქართულ ენას დაუბრუნებს:

ღმერთო, სამოთხის ქოშქზე ამყოფე
მწერაჲ-მკითხავი, დამყურებელი!
შენიდან ველით ყველა კარგობას,
შენ ხარ მიღლეეთის დამპურებელი,
ქართული ენის დამბრუნებელი!

(შ. ფუტყარაძე 1993:275).

აშკარაა რომ ხოჯა ნიაზ ჯიჯანიძის მიერ ზეპირად თქმული ვარიანტი უფრო მეტი პატრიოტული მუხტის შემცველია, ვიდრე მის პირად რვეულში არსებული ჩანაწერი (ჩაწერილია ქართულად თურქული შრიფტით) ვარიანტი, რომელიც პროფ. მ. ფაღავამ ჩაიწერა. ყოველივეს მიზეზად კი ის გარემოება გვესახება, რომ ქალბატონმა შუშანამ ხოჯა ნიაზ ჯიჯანიძისაგან ეს ვაიზი ვიდუფირზე ჩაიწერა უშუალოდ მთქმელის შესრულებით, რომელმაც იცოდა, რომ ეს ჩანაწერი საქართველოში მოხვდებოდა და ამიტომაც ნაკლებად ნიღბავდა ქართული ენისადმი და ქართველობისადმი თავის პატრიოტულ დამოკიდებულებას; პროფ. მამია ფაღავა კი ისეთ დროს შეხვდა მოხუცებულ ხოჯას, რომელიც მძიმედ იყო ავად, ზეპირად ვერ შეძლო თქმა და საკუთარი ჩანაწერი გადასცა, სადაც, ბუნებრივია, თვითცენზურის ფაქტორიც მოქმედებდა, რადგანაც მისი გავრცელების არეალი არ იყო საქართველო; თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხოჯა ნიაზის ვაიზის ვარიანტის როგორც შ. ფუტყარაძისეულ, ასევე მ. ფაღავასეულ ჩანაწერებში, ორივეგან, საერთოა და თითქმის იდენტური სტროფი, რომელიც, აგრეთვე, მიუთითებს იმაზე, რომ „გურჯული ვაი-

ზი“, რომელიც ფაქტობრივად „ყურანის“ შეგონებათა ქადაგებაა, განკუთვნილია ქართულ-ნოვანი მსმენელებისათვის.

პროფ. შ. ფუტკარაძის ჩანაწერი:

შენ თუ არ იცი არაბხა, თურქნა,
ახლა ხომ გეგონე ვაიზი გურჯიჯა...

(შ.ფუტკარაძე 1993:275).

პროფ. მ.ფაღავას ჩანაწერი:

შენ თუ არ იცი არაფჯა, თურქნა,
შენ ხომ გეგონე ვაიზი გურჯიჯა...

„გურჯი ვაიზი“ შეახსენებს მსმენელებს, რომ წუთისოფელში დროებით ვართ სტუმრად („ამ დუნიაში ჩვენ მოსაფირი ვართ“), რომ მუდმივი სამყოფელი არის „ის დუნია“ და ჭეშმარიტი მორწმუნე ვალდებულია, რელიგიურ-ზნეობრივი სათნოებებით იცხოვროს. ვაიზში ჩამოთვლილია ადამიანთა ცოდვები: ლოცვის უარყოფა („ლოცვა და კითხვა დეიკარქა, წვედა“), ქალების გაამპარტავენება („ქაღმა მაგ კაცის უმფოსი გახდა“) და თავნებობა („ქმარის უიზნოთ სოფლებში დარბიან“), ცეკვა-თამაშითა და გართობით გატაცება:

ვაიზ გეგონებენ, ბუკე მაარიდებენ,
სიმღერის გამეერს თავ-პირ დეიჩეხვენ,
მეგებენ ცოდვას, სახლებში მოვლენ...

ქართული ვაიზის თანახმად, უდიდეს ცოდვად მიიჩნევა უსუფთაობა, სმა-ჭამას გადაყოლა; ვაიზი აფრთხილებს ყველას, რომ მატერიალური ფასეულობები „ამ დუნიას“ რჩება, საიქიოს კი მკაცრად შეფასდება „დუნიაში მოგებული პელაღი და პერამი“ და თუ ადამიანი ამქვეყნად მორწმუნე იქნება, საფლავეში ჩაჰყვება მადლი და, მაშინ მისი სული მოისვენებს სამოთხეში; ურწმუნო ადამიანს კი ელის ჯოჯოხეთის ცეცხლი და ვერც გარდაცვლილ შვილებს ნახავს ოდესმე. ამიტომაც ქადაგებს ვაიზი:

ილოცე, იკითხე, ღმერთი დეიჯერე,
ამ დუნეას ცხელი ცრემლით იტირე!
ჭკვაში მოი, დუნეაში კარგა დეფიქრე,
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!
ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე!

მორწმუნე ადამიანისთვის, „გურჯი ვაიზის“ თანახმად, კუბო გადაიქცევა „ჯენნეთის კოშკად“, ანგელოზები გაუდებენ ამ კოშკის კარებს და სადარდებელიც აღარაფერი ექნება.

ვაიზი არწმუნებს ადამიანებს, რომ თუ ალაღ ლუკმას შეჭამენ, დღეში ხუთგზის ილოცებენ, არ შეიძულებენ მეზობელს, ეყვარებათ წინასწარმეტყველი მუჰამედი, მზურველობით მოეპყრობიან მშობლებს, შეიწყალებენ გაჭირვებულებს და ეყვარებათ სტუმარი, მაშინ მათ სულებსაც ეშველებათ, რადგანაც

დაგიდებენ ლოცვა-მადლის დეფთრებ,
ეწერება, აქ რაცხა ისაქმე.
გამოაჩენენ სულ თელ დამალულ ცოდვევ,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

ვაიზში დახატულია სამოთხის მიმზიდველი სურათი:

ჯენნეთი იცოდე, რაფერი არი,
ერთ კაც ეყოღვის შეიდასი ჰური.
ტკბილათ ცხოვრება და სეფა არი,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!
.....

არ არის ჯენნეთში დერდი და ტკივილი,
ჰემ არ იქნება ვინმეს სიკვდილი.
არ არის სიბერე, ყველაჲ –ახალი,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

სამოთხის („ჯენნეთის“) სიკეთეს რომ ჩამოთვლის, ვაიზი მიმართავს ურწმუნოს:

... ლოცვა არ გახსოვს სამია თუ ხუთი,
რაფერნა მოგცეს ინსანს ჯენნეთი!...

„გურჯული ვაიზი“ დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო ისტორიული შავ-შეთის სოფლებში, არამედ მას კარგად იცნობენ დღეისათვის თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი ისტორიული საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში; ეს სამოდვრო-მოთხრობითი ხასიათის ლექსი ფართოდ არის გავრცელებული, აგრეთვე, აჭარელ მუსლიმანთა შორის.

2007 წელს კლარჯეთის ერთ-ერთი ჯერ კიდევ ქართულენოვანი სოფლის – ჯივანის – ხოჯამ, თახსიმ ჩელიქმა, რომელიც წარმოშობით მაჭახლეელია, ჩაგვაწერინა ორი გურჯული ვაიზი; ერთი მათგანი („გურჯიჯე ვაიზი“) ზემოთ განხილულის ვარიანტია, მეორე კი დღეს თურქეთის რესპუბლიკაში შემავალ ისტორიულ ქართულ სოფლებში მცხოვრებთა და აჭარელ მუსლიმანთა შორის დიდად პოპულარული რელიგიურ-ფილოსოფიური ლექსის – „ოე ყიამეთის“, ანუ „ყიამეთის დესთანის“ – ვარიანტია. ხოჯა თახსიმსაც, როგორც ყველა გურჯ ხოჯას, რვეულში ჰქონდა ჩაწერილი ეს ვაიზები თურქული შრიფტით. ჩვენ ეს ვარიანტებიც გადმოვიწერეთ და ინახება შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის არქივში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული კიდევ ერთი დასტურია, რომ ჩვენებურთა შორის ესოდენ გავრცელებული ლექსითი ქადაგებანი, ანუ ვაიზები, რომლებიც მუსლიმანთა წმინდა წიგნით – „კურანით“ – საზრდოობენ, ქართული ნაწარმოებებია, გამიზნულია არაბულ-თურქული არმცოდნე მორწმუნეთათვის და, რადგანაც ჩვენებურებმა ქართული წერა-კითხვა დიდი ხანია, აღარ იციან, მათ ჩაწერას თურქული შრიფტით ახდენენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შავშეთის სოფელ მანატბაში პროფ. შ.ფუტკარაძემ დააფიქსირა „გურჯული ვაიზი“ (შ. ფუტკარაძე, 1993 : 271–275), ხოლო შიდა თურქეთში, ბურსის ვილაიეთის ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეში, რომელიც დასახლებულია მაჭახლიდან წასული მუჰაჯირებით, ჩაიწერა „ქართული ვაიზი“ (იგივე „...ყიამეთი ახლოს არი...“). ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში მრავლად მოიპოვება „გურჯული ვაიზისა“ და „...ოე ყიამეთის“, ანუ „ყიამეთის დესთანის“, ვარიანტები (საქმე №134:168–169; №136:99–103; 104:107; საქმე №185:144–154 და სხვა).

ქართულ ვაიზებზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა შევჩერდეთ მათი ავტორის საკითხზე. მკვლევარი ზურაბ თანდილაგა, განიხილავს რა ცნობილი ჭვანელი სახალხო მთქმელის – რეჯებ ქემალის ძე მჟავანაძის რეპერტუარს, რომლის დიდი ნაწილიც რელიგიურ-ფილოსოფიური ხასიათისაა, ასკვნის, რომ „ყიამეთის ლექსისა“ და სხვა დიდაქტიური ხასიათის ვერეთწოდებული „ბეითების“ ავტორიც რეჯებ მჟავანაძეა. ამ დასკვნამდე მკვლევარი მიდის იმის გამო, რომ მუსლიმანური სკოლის – მედრესეს კურსდამთავრებული სახალხო მელექსე, რომელსაც მოლას წოდება მიუღია (ხალხი მას მოლა რეჯების სახელით იხსენიებდა), საყოფიერო თემატიკის ლექსებს გარდა, თხზავდა რელიგიურ-ფილოსოფიურ ლექსებს, რაშიც ხელს უწყობდა „სასულიერო-რელიგიურ წიგნებში ჩახედულობა და ღვთისმეტყველებაში ერთგვარი განსწავლულობა“ (ზ. თანდილაგა 1982:16–19). მართალია, ზ. თანდილაგა არაფერს ამბობს ჩვენ მიერ გაანალიზებულ „გურჯი ვაიზზე“, რომლის აჭარული ვარიანტებიც მისთვის კარგად იყო ცნობილი, მაგრამ მის მიერ მოხმობილი ლექსებიც სწორედ ამგვარი ხასიათისაა; ამასთანავე, ის გარემოება, რომ ვაიზის გავრცელების არეალი მოიცავს აჭარასა და დღეს თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფ ისტორიულ ქართულ ტერიტორიებს და, აგრეთვე – მუჰაჯირ ქართველობას, გვაფიქრებინებს, რომ ამ ვაიზის ავტორიც რეჯებ მჟავანაძეა, რომელიც დაიბადა შუახევის რაიონის სოფელ გომარდულში 1873 წელს, დაამთავრა ჭვანის მედრესე და ერთ ხანს სასულიერო მოღვაწეობასაც ეწეოდა, თუმცა მისი ჭეშმარიტი მოწოდება ზეპირსიტყვიერების მსახურება იყო. რუსული მმართველობისადმი შეურიგებლობამ რეჯები ტყვეში გააგდო ფირადად, შემდეგ კი ისიც მუჰაჯირობის მძიმე გზას გაუყენა თურქეთისაკენ. რეჯებ მჟავანაძე 56 წლის ასაკში 1929 წელს გარდაიცვალა ქალაქ ედრემითის ეფენიჯეს რაიონში; დაკრძალულია ეგეოსის ზღვის სანაპიროზე, ქალაქ ჩანაქყალეს ეფენიჯეს რაიონის ჰამდი-ბეის საბჭოს დედ-ლიქის სასაფლაოზე (ე. დავითაძე 1933:69–76).

„გურჯული ვაიზის“ რეჯებ მჟავანაძის ავტორობას გვაფიქრებინებს ლექსის გავრცელების წერილობითი ტრადიციაც. ცნობილია, რომ რეჯებმა ქართული წერა-კითხვა არ

იცოდა; ლექსებს თხზავდა და რვეულში იწერდა, ბუნებრივია, არაბულ-თურქული ასოებით. როგორც ერთხმად მიუთითებენ, ლექსთა კრებულები მას სულ თან დაჰქონდა და ზოგჯერ ახლობლებსაც ჩუქნიდა. ლექსების ერთი ხელნაწერი მას დაუტოვებია სოფ. ღორჯომში, ერთი – ჭვანაში (ნბიფა, საქმე № 182:111-114); ერთი ასეთი რვეული 1919-1920 წლებში გადაუწერია სოფ. კურცხლების მკვიდრს მუხამედ ჯორბენაძეს (ზ. თანდილავა 1982:22), თუმცა, დღემდე ვერცერთ კრებულს ვერ მიაკვლიეს. ბუნებრივია, არ ვიცით, ეს ლექსები რომელი შრიფტით იყო გადაწერილი, მაგრამ ვიცით, რომ რეჯებმა ქართული წერა-კითხვა არ იცოდა და ჩანაწერებსაც თურქული ან არაბული შრიფტით ასრულებდა. სავარაუდოა, რომ უფრო თურქულ შრიფტს გამოიყენებდა, რადგანაც ამ სახით ადვილად გავრცელდებოდა ხალხში, რაც ნამდვილად მოხდა კიდევ – რეჯებ მჟავანაძის პოეზია დიდი პოპულარობით სარგებლობდა როგორც აჭარაში, ისე – ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ გურჯებს შორის; ამავე დროს, თუკი სადავო არ არის, რომ რელიგიურ-ფილოსოფიური ხასიათის ლექსი „ყიამეთის დესტანი“ რეჯებ მჟავანაძეს ეკუთვნის (ზ. თანდილავა 1982: 18; ე. დავითაძე 1993:77), მაშინ არც ის უნდა იყოს სადავო, რომ იმავე ხასიათს, იმავე სტილითა და განწყობით შეთხზული „გურჯიჯა ვაიხის“ ავტორ-მთქმელიც რეჯებ მჟავანაძეა; ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები ჯივანელი ხოჯის – თახსიმ ჩელიქის რვეულშიც ერთად იყო მოქცეული „გურჯიჯა ვაიხი“ და „ოე ყიამეთი“, ანუ იგივე „ყიამეთის დესტანი“. სხვა საკითხია, რომ ისევე, როგორც პოპულარული სახალხო მთქმელის – რეჯებ მჟავანაძის მთელი რეპერტუარი, ეს ვაიხიც მასიური გახდა და მრავალი ვარიანტი გაიჩინა; ჭეშმარიტი ხალხური ქმნილების ცხოვრების გზაც სწორედ ეს არის.

§5. საყოფაცხოვრებო ლექს-სიმღერები

ტრადიციული ქართული ხალხური პოეზიის ერთ-ერთი საინტერესო უბანია საყოფაცხოვრებო ლექს-სიმღერები, რომლებშიც ასახულია ოჯახური ურთიერთობა, სოციალური პრობლემები, ადამიანთა დამოკიდებულება ტრადიციული წეს-ჩვეულებებისადმი. შავშურმა ფოლკლორმაც შემოინახა საყოფიერო თემატიკის შემცველი ზეპირპოეტური ნიმუშები, რომლებშიც ვეცნობით საქართველოს ამ ძირძველი კუთხის მკვიდრთა წეს-ჩვეულებებს, ოჯახურ ყოფას და მის ცალკეულ ნიუანსებს.

როგორც საქართველოს ყველა ეთნოგრაფიული რეგიონის საყოფიერო ზეპირსიტყვიერებაში, შავშელთა საყოფიერო ლექს-სიმღერებშიც ერთ-ერთი წამყვანი თემაა ოჯახი და მის წევრთა შორის არსებული ურთიერთმიმართება. ამ კუთხის ქართველთა მსოფლმხედველობა ამ პრობლემისადმი დამოკიდებულებაში ტრადიციულ (და, ამავე დროს, ზოგადკაცობრიულ) ზნეობრივ ნორმებს ეთანადება და გვასწავლის, რომ მაღალზნეობრივი, რაფინირებული ადამიანური ურთიერთობის სათავე ოჯახში, ოჯახის წევრთა შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებაშია საძიებელი. ამ სენტენციის რეალიზებას შავშური საყოფიერო ლირიკა ზოგჯერ ნეგატიურის ჩვენებითაც აღწევს, რაც, აგრეთვე, დამახასიათებელია საერთოქართული ზეპირსიტყვიერებისათვის. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა რძალ-დედამთილის ციკლის ლექს-სიმღერები, რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ შავშური ზეპირსიტყვიერება საერთოქართული ფოლკლორული სივრცის ორგანული ნაწილია.

რძალ-დედამთილის ურთიერთობის ასახვაზე ქართულ ზეპირსიტყვიერებაში მრავალრიცხოვანი ლექს-სიმღერებია შექმნილი. მათი უდიდესი ნაწილი სატირულ-იუმორისტული ხასიათისაა და გვაცნობს რძალსა და დედამთილს შორის სხვადასხვა საოჯახო პრობლემებთან დაკავშირებულ უთანხმოებებს, თუმცა, ბუნებრივია, მოგვეპოვება მათ შორის არსებული ჰუმანური, ზნეობრივი ურთიერთობების ამსახველი ნიმუშებიც.

აღსანიშნავია, რომ შავშელთა ზეპირსიტყვიერებაში ძირითადად შემორჩენილია რძალ-დედამთილს შორის არსებული ნეგატიური ურთიერთობის ამსახველი იუმორისტული ხასიათის ლექს-სიმღერები. ერთ-ერთი ბაზირული საყოფაცხოვრებო ლექსით გადმოცემულია

რძალ-დედამთილს შორის არსებული არაჯანსაღი დამოკიდებულება, რაც ორივე მხარის აგრესიას წარმოაჩენს:

გაღმა სერში აკრი ხე,
ერთი თოკი დაგვრისხე.
დედამთილი გიყვირებს,
ჰამან კიწი მუუგრისხე.

(მთქ. საინურ მეიდანის (ყასუმოდლი). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. ბაზგ.).
ზოგიერთი ლექს-სიმღერის თანახმად, ურჩი რძალი ისჯება და მშვიერი რჩება:

დელე-დელე ჩევიარე,
ვერ ავამსე გუგუმი.
დედამთილი გავაბღეზე,
არ მაჭამა ვახშამი.

(ო. ფუტკარაძე 1991:25).

ანდა:

ბოსტანშია ლობიო,
იმა უნდა ხაშარი.
გამოვსილ დედამთილმა
არ მომართუა ვახშამი.

(შ. ფუტკარაძე 1993:221).

ამგვარ ლექს-სიმღერათა ზოგიერთი ვარიანტის თანახმად, დედამთილი ისჯება:

ყანაში დავასეე ხაშარი,
დედამთილმა გამაბღეზა,
არ ვაჭამე ვახშამიო.

(მთქ. ალაღინ ალთუნელი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. მან.).

დედამთილისადმი რძლის აუცილებელი დამოკიდებულება ჩანს შავშეთის სოფლებში გავრცელებული მინიატურულ ლექს-სიმღერაში:

ბუხრუკენდან მორია,
დედამთილი ღორია.

(მთქ. შაჰხენე ბიღგინი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. უსტ.).

აჭარაში გავრცელებულია ამ ლექს-სიმღერის თითქმის იდენტური ვარიანტი:

ჯამეს უკან ფხლიძირი,
დედამთილი ხინძირი.

(ნბიფა საქმე №245:4).

რძლის მიერ ოჯახის წევრთა დახასიათებაა მოცემული ჩვენ მიერ 2009 წელს სოფელ ბზათაში ფაქმა ყიშლასაგან ჩაწერილ ლექს-სიმღერაში, რომლის თანახმადაც რძლის რისხვა უმთავრესად მიმართულია მახლის ცოლისა და მულისადმი, რაც ხშირად სჩვევია პატრიარქალური ოჯახის წევრ ქალთა ურთიერთობას; დედამთილ-მამამთილის დახასიათებას კი ვერც უარყოფითს ვუწოდებთ და ვერც დიდად ჰუმანურს; თუმცა, მახლის მიმართ, ტრადიციულად, უაღრესად დადებითი ემოციებია გამოხატული:

დედამთილი – იისა,
მამამთილი – ბიისა,
შილი – შექერ –შხამისა,
მახლი – ვარდი გულისა,
მული – მუხი კუნძისა.

ამ ლექს-სიმღერის აჭარული ვარიანტით, მოყვარული რძლის მიერ ოჯახის წევრები ასე არიან დახასიათებულნი:

დედამთილო – ილისაო,
მულო – მარგალიტისაო,
შილო – შუშალამპისაო,
მახლო – ია-ვარდისაო,
მამამთილო – შევარდენო,
მისო შვილო – საყვარელო!

(ნბიფა საქმე № 269:331–332).

ერთ-ერთი იუმორისტული ლექს-სიმღერით რძალი ეუბნება მულებს:

მოით, მულებო, დაჯექით,
სინში შიგან ტათლი მაქ.
მე თქვენ ანას ყოლდღე ვცემ,
კიდონ თქვენი ხათრი მაქ.

(მთქ. ისმაილ ოზანი (ბიბიენთი). ჩაიწერა რ. ხალვაშმა 2005 წ. ს. იფხ).

შავშური საყოფიერო ღირიკის თანახმად, ოჯახისა და ქმრის ერთგული ქალი ზოგჯერ გადამეტებულად ეჭვიანია და მეტოქეთა მიმართ ხშირად წყევლასაც არ ერიდება:

ე რავად ბუქი მოვდა,
ყავარი' ნა ახადოს.
ვინცხა ჩემ კაც შეხედავს,
ღმერთმა ფელჯი გახადოს!

(მთქ. გამზე თანრივერდი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. ხევწ).

შავშური საყოფიერო ღირიკისათვის მიუღებელია გათხოვილი ქალის მიერ განზე გახედვა, სხვათა თვალთვალი და კეკლუცობა:

წყალში მივა დიდი თევზი,
თავს აქანებს, კუდს – არაო.
ახლანდელი ქალიშვილი
სხვას უყურებს, ქმარს – არაო.

(მთქ. დურსუნ სანჯერი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. იფხ).

ანდა:

წყალში თევზი პარპალობს,
კუდსა იქნევს, თავსა – არა .
ახლანდელი გოგუები
სხვას უყურებენ, კაცს – არა.

(მთქ. აჰმეთ ძაღჯი (სუბაში). ჩაიწერა რ. ხალვაშმა 2005 წ. ს. იფხ).

უპასუხისმგებლო დიასახლისია გაკიცხული ერთ-ერთ საყოფიერო ლექს-სიმღერაში, რომელიც წარმოადგენს ქმრის საყვედურს ცოლის მიმართ, რომელმაც უპატრონოდ მიატოვა სახლ-კარი:

ავდექ, გაველ ბაღჩაში,
ვაშლ ფურცელი გუყურია.
სად წევიდა ჩემი ქალი? –
სახლი-კარი დუყურია!

(მთქ. შერაფედინ იშიდი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ბზ.).

უკუღმართი ცოლის პორტრეტი დახატული ერთ ბაზგირულ საყოფაცხოვრებო ლექს – სიმღერაში, რომელიც, აგრეთვე, ცოლისადმი ქმრის საყვედურს გამოხატავს:

ქენა, ქენა, ქენენა,
თაში ქალი დიმირჩა.
ვუთვალე, არ ჩამოვდა,
გზაში თვალი დიმირჩა.

(რ. ხალვაში 2007:313).

ამგვარი ცოლის პატრონს შეუძლია, დაადანაშაულოს სიდედრი, რომელმაც სათანადო ჩვევები ვერ ჩაუნერგა ქალიშვილს:

შავ თხამა თიკანი ქნა,
ერთ კვირაზე გაზარდა.
მე შენ დედაზე ვბუცობ,
მაგ სოდ რა სოდ გაგზარდა?!

(მთქ. თანერ (თანო) იშექი (მჭედლიძე). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ბაზგ.).

არცთუ იშვიათად შავში ვაჟკაცი, რომელსაც არ მოსწონს ქალიშვილის გაზრდილობა და ამაში დედამისს ადანაშაულებს, მოურიდებლად ამბობს:

თაზე მივდოდი თაზე,
აველ კაპანთი წყალზე.
პოლოტიკა არა მაქ
შენ გაზდილ ბაჭალაზე.

(მთქ. თანერ (თანო) იშექი (მჭედლიძე). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ბაზგ.).
ლექსის სხვა ვარიანტებში, რომლებიც თითქმის იდენტურ სიტყვიერ ქსოვილს იმეორებენ, პროტესტია გამოთქმული არასასურველი ადამიანის ნახელავზე:

თაზე მივდოდი თაზე,
აველ კაპანთი წყალზე.
პოლოტიკა არა მაქ
შენ შმორიან ქადაზე.

(მთქ. თანერ (თანო) იშექი (მჭედლიძე). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ბაზგ.).
შავშელთა საყოფიერო ღირიკაში უპასუხისმგებლო ქალების მიმართ ზოგჯერ გამოერევა სოლმე წკეპლის გამოყენების რჩევაც:

ჭალაში' ნა გევიდე,
ვბოები' ნა მუასხა.
ჩემ საყვარელ თვალი ცემს,
უზნები' ნა დავასხა.

(მთქ. მესუთ ქოჯა. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ა.).

ერთი იუმორისტული საყოფიერო ლექსი რეალურ ამბავზეა აგებული. მთქმელის განმარტებით, შავშელ კაცს „გექცა ქალი და გამოუთქვეს“:

გაღმა სერში ყვაავია,
ყვაავია თუ ყორანი?
ჩემი ქალი გათხოვილა,
ტყუილია თუ მართალი?

(მთქ. შაჰზენე ბიღგინი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. უსტ.).

პარმონიული ოჯახური ურთიერთობის ჩამოყალიბებას, შავშელი მელექსის თანახმად, ხშირად ხელს უშლის ქალის დედა, ანუ სიდედრი:

მაწონი შევაყენე,
ერა ჯავე გამოდგა!
ბაჭალა მოარჯულე,
ანად ჯაზი გამოდგა!

(მთქ. გამზე თანრივერდი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. ხევწ.).

სიდედრის „მორჯულების“ შემდეგ ზოგჯერ სიმამრის მიმართაც გაისმის საყვედურები:

მაწონი შევაყენე,
ერა ჯავე გამოდგა!
ანად მუარჯულე,
ბაბად გონჯი გამოდგა!

(მთქ. ისმაილ ოზანი (ბიბიენთი). ჩაიწერა რ. ხალვაშმა 2005 წ. ს. იფხ.).

ხშირად სასიდედროსაგან დაწუნებული სასიძო თუ სიდედრისაგან თავმოებურებული სიძე მოურიდებლად მიუღექსებს ცოლს:

ძივიანი ღაჩაგი
კონწალ–კონწალ კიღია.
ი შენი ჯაზი ანად
მე ნუ ჩამომკიღია!

(მთქ. ჯიჰათ ილდიზი (ჯიჯვიენთი). ჩაიწერა რ. ხალვაშმა 2005 წ. ს. დ.).

შავშური საყოფიერო ღირიკის ზოგიერთ ნიმუშში მსუბუქი იუმორით არის გაქილიკებული უნიათო ქმარი, რომლის ცოლზეც სხვას უჭირავს თვალი:

ეს აჯარა ღომია,
ჩიქინი ქმარი გყოლიაო.
ის გააგდე, მე მომყევ,
სირცხვილი ნუ გგონიაო.
(მ. ფაღავა, მ. ცინცაძე 2007:272).

ანდა:

შავი პირი, თეთრი კბილი,
საყვარელო, რატომ ტირი?
მე შენი კაცი დევნახე,
რა ყოფილა – მრეში ვირი!
(მთქ. სონერ მოსიძე. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ვარდ.).

„ბლაცვი“ ქმრის პატრონს მოურიდებლად მიუმღერებენ:

შამ შალახო, შალახო,
თეთრი კაბა აცვია.
მე შენი კაცი ვნახე,
ერა ბლაცვი კაცია!
(მთქ. ზულეიჰა დემირი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. უსტ.).

ზოგიერთ ლექს-სიმღერაში დასცინიან „თვალჭირული“ ქალის ქმრის ჩაცმულობას:

დილას წაველი ტყეში,
მეგტანე მერულიო.
შენი ქმარიც დევნახე,
შალგარი აქ ბერულიო.
(მთქ. ეიუფ სენქინი. ჩაიწერა რ. ხალვაშმა 2005 წ. ს. ბაზგ.).

შავშურ ზეპირსიტყვიერებაში ძალზე პოპულარულია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გავრცელებული შაირის ფორმის იუმორისტული ლექს-სიმღერა „...შამ შალახო, შალახო“:

შამ შალახო, შალახო,
მოგლეჯილო ბალახო.
თეთრი კაბა გაცვია,
გოგოვ, არ გაატალახო!
(მთქ. ზულეიჰა დემირი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. უსტ.).

სხვა ვარიანტით ლექსის დასაწყის სტრიქონებს მოსდევს მუქარა „მოტაცებული“ გოგოს ახლობლების მხრიდან:

შამ შალახო, შალახო,
მოგლეჯილო ბალახო.
მეგ ბაჯალა სა მიგყავს,
მეგეწიო, გაგლახო!
(მთქ. იუსუფ ჩელიქი. ჩაიწერა რ. ხალვაშმა 2005 წ. ს. ბაზგ.).

ამ ტრადიციული ლექსის აჭარული ვარიანტებით, თავად თეთრი კაბის პატრონი იჩენს სიფრთხილეს:

აჰ, შალახო, შალახო,
მოგლეჯილო ბალახო.
თეთრი კაბა მაცვია,
არ წამეცხო, ტალახო!
(ნბიფა საქმე № 14:147).

საქართველოში ბიძას (დედის ძმას) ძველთაგანვე გამორჩეული როლი ეკისრება დის შვილის მიმართ. იგი, ქართული საოჯახო ტრადიციის მიხედვით, მშობლებზე მეტად არის ვალდებული, იზრუნოს დისწულის პრობლემათა მოგვარებისათვის. თავის მხრივ დისწულიც ანგარიშვალდებულია ბიძის მიმართ. ასევეა შავშურ სინამდვილეშიც. ერთ-ერთი ლექს – სიმღერით დისშვილი მიმართავს ბიძას („ტაიას“):

გაღმა კუთხე კატარი,
ძირში ცეცხლი ენთობა.
ნუ მამტყუნებ, ჩემო ტაიავ,
ფუშში ცეცხლი მენთობა!

(მთქ. სარე თეთრაძე. ჩაიწერა რ. ხალვაშმა 2005 წ. ს. ბაზგ.).

დედისადმი პატივისცემა ქართული ხალხური პოეზიის ოდინდელი ლაიტმოტივია. შავშური საყოფიერო ლირიკა არც ამ თვალსაზრისით დალატობს ტრადიციას; დედას დროებით განშორების ჟამსაც კი ამგვარად ანუგეშებენ:

ართვინი ახალ გზიდან
წითელ არაბით მივალ.
არ იტირო, ანაჯან,
წავალ და ისევ მოვალ!

(მთქ. ნიგარ ორალი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ხევწ.).

შავშური საყოფიერო პოეზია, ისევე როგორც ზოგადქართული ზეპირსიტყვიერების ყველა უბანი, უაღრესად აფასებს მშობლებს, მათ მზრუნველობას შვილებისადმი. ერთ-ერთი საყოფიერო ლექს-სიმღერის თანახმად, უმამოდ დარჩენილს ძალზე უჭირს მთის მძიმე ცხოვრების გამკლავება და დამწუხრებული ამბობს:

აველ კოთელა სერზე,
გადავხედე მერე თას.
მე რომ ბაბაა არა მყავს,
რაი' ნა ვქნა იმგვარი თას?!

(მთქ. გამზე თანრივერდი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. ხევწ.).

შავშური საყოფაცხოვრებო ლირიკისათვის უცხო როდია ეროტიული მოტივები. სახალხო მთქმელის ადრესატები ხშირად ხდებიან მსუბუქი ყოფაქცევის ახალგაზრდები:

გოგოვ, გოგოვ, ფაციაო,
წითელი კაბა გაცვიაო.
ერთი გოგო დევნახე,
ბიჭმა წამოაქციაო.

(მთქ. თანერ (თანო) იშექი (მჭედლიძე). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ბაზგ.).

ანდა:

ქათამი ჭრიახ – ჭრიახ,
მამალი ზერას მიაქ.
ერთი გოგოც დევნახე,
შალვარი ჯელით მიაქ.

(მთქ. აჰმეთ იაღჯი (სუბაში). ჩაიწერა რ. ხალვაშმა 2005 წ. ს. იფხ.).

ზოგიერთი საყოფაცხოვრებო შაირი გარკვეული მონანიებაა ზნეობრივი ნორმებიდან გადახვევის შემდეგ; თუმცა, ამგვარ ლექს-სიმღერებს ჩვენებურები იუმორით მღერიან:

ჰაიდუ, წვედუთ ბათუმში,
იქ ვიყიდოთ შუშები, კინა.
იმ კაციდან მე რა მქონდა,
წელი – ფეხი ამატკინა!

(მთქ. ჰალიმ სეჩქინი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ა.).

ანდა:

ჰაიდენ, წვედეთ ბათუმში,
იქ ვიყილოთ შუშე-კინა.
იქ ქალის ერთათ რა მქონდა,
წელი – ფერდი ამატკინა!
(მთქ. ჯაფერ თორუნი (გამეშიძე).
ჩაიწერა რ. ხაღვაშმა 2005 წ. ს. ბაზგ.).

მექალთანეს ასე ამხელს შავში მელექსე:

სადგირელის უკნედან
მიბრუნდები, მიბრუნდები.
საცხან ღამაზს დედნახავ,
შენ იქ გადაბრუნდები.

(მ. ფაღვა, მ. ცინცაძე 2007:273).

შავში მელექსე აქილიკებს, აგრეთვე, მექალთანე კაცებს, რომლებიც ნაშოვარს ქალებთან გართობაში ხარჯავენ. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა შავშეთის თითქმის ყველა სოფელში გავრცელებული ლექს-სიმღერა:

ამ ბათუმის პარახოტი
ადეშიდან ბრუნდებოდა.
ჩვენი მონაგები ფული
გოგოებში რიგდებოდა.

მთქმელის – 72 წლის დურსუნ სანჯერის (მცხოვრები სოფ. ივეთში) განმარტებით, ეს ლექსი „ზველათ გაგონილია“. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ლექსში ნახსენებია ისეთი გეოგრაფიული სახელები, როგორცაა ბათუმი და ოდესა, რომელთა პარალელიზმად გამოყენებაც არ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი აქაურთა ძირძველი აზროვნებისათვის; მით უფრო – ლექსში ნახსენები რუსიციზმი („პარახოტი“) უჩვეულოა აქაურთა მეტყველებისათვის; სოფ. ხოხლევი დაფიქსირებულ ვარიანტში კი ვხვდებით სიტყვას „ბარიშნა“:

მიდის – მოდის პარახოტი,
ადესაში რიგდება.
ჩემი მოგებული ფარა
ბარიშნებში რიგდება.

(შ. ფუტკარაძე, 1993:200).

თუ გაეითვალისწინებთ შავშეთის მკვიდრთაგან ლექს-სიმღერაში უჩვეულო სიტყვიერი ქსოვილის გამოყენების ფაქტს, მთქმელის განმარტებას, რომ „ზველად გაგონილია“ და იმასაც, რომ ეს სასიმღერო ტაეპი ფართოდ არის გავრცელებული აჭარის ზეპირსიტყვიერებაში, მაშინ შესაძლებელია, ვივარაუდოთ, რომ ეს ლექს-სიმღერა თავის დროზე აჭარიდან არის გადასული შავშურ ფოლკლორში, რისი არაერთი მაგალითიც სახეზე გვაქვს და რაც სრულიად ბუნებრივია მომიჯნავე რეგიონთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის. საანალიზო ლექსი ფართოდ არის გავრცელებული ქობულეთურ ფოლკლორშიც. პროფ. მამია ფაღვას მიერ მერიემ შაქარიშვილისაგან ჩაწერილი ვარიანტი ამგვარია:

მიდის-მოდის პარახოტი,
ადესაში ბრუნდება;
ჩემი ნაშვარი ფულები
ამ ბარიშნებს უნდება.

შავშური საყოფაცხოვრებო ღირიკის იუმორისტული ნაკადი საღალღობო-გამოსაჯავრებელი ხასიათისაა და ეხმაურება ჩვენებურთა ყოფიერების თითქმის ყველა მხარეს. 64 წლის უსტამისელი მთქმელის – შაჰზენე ბილგინისაგან ჩვენ მიერ 2009 წელს ჩაწერილ ერთ-ერთ საყოფიერო-საღალღობო შაირში გამოთქმულია „პროტესტი“ დედაბრების მიმართ და სასურველად დასახულნი არიან ახალგაზრდა გოგონები („ბაჭლები“):

სახლუენედან ბიბრები,
დამუდარან დედაბრები.
– ადექით, დედაბრებო,
გამოგზავნეთ ბაჯლები!

სხვა ვარიანტით კიდევ უფრო მკაცრი „განაჩენია“ გამოტანილი ხანშიშესულთა მიმართ:

სახწინედან ბიბრები,
მოდინ დედაბრები.
– დედაბრებო, თქვენ წადით,
გამოგზავნეთ ბაჯლები!

(მთქ. ალი ილდიზი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ბაზგ.).

სახალხო მეღექსის მახვილ თვალს არ გამოჰპარვია უნიათო, ხელმოცარული განათლებულის მდგომარეობა და იუმორნარევი კილოთი მიუღექსავს:

ჯელში ავსწიე შიში,
დავჰკარგე საქონელში.
იმდენი ქი იკითხე,
რა დასუალ სოხახებში!

(შ. ფუტკრადე, 1993:221).

საერთოდ, უნდა აღინიშნოს რომ ჩვენებურთა საყოფიერო ლექს–სიმღერები შეზავებულა მსუბუქი იუმორით. ერთმანეთის „გაბლაყუნება“ ჩვენებურთათვის სრულიად უმტკივნეულოდ აღიქმება და ამაზე მღერიან კიდევ:

თაზე მივალ, თი გზაში
შარაბი მაქჩანთაში.
გიჟურეფ, გაბლაყუნეფ,
ვეღარ მოხვალ ჭკუაში.

(მთქ. ნიგარ ორალი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ხევწ.).

სშირად სახალხო მომღერლები საკუთარ თავს „აბლაყუნებენ“; მთიელთათვის წილხვედრ მძიმე შრომას ვითომდა თავიდან იცილებენ:

მე ლენხბერ ვერ მივყვები,
დილაზე ვარ ვერ დუუდეფ.
მეჰმური თელზე კადა,
ჭლიკი ჭლიკზე გადავდეფ.

(მთქ. ისმაილ ოზანი (ბიბიენთი), ჩაიწერა რ. ხალვაშმა 2005 წ. ს. იფხ).

სალაღობო და თავშესაქცევი იუმორისტული ლექს–სიმღერები ჩვენებურთა თავყრილობების მუდმივი თანამდევია; ასეთია ლექს–სიმღერა „ვაიმე, ჩემო მიმინავო“, რომელიც რ. ხალვაშმა ჩაიწერა 2005 წელს ბაზგირეთელი ერენ თორუნისაგან:

ვაიმე, ჩემო მიმინავო,
ნიინიიი, ჰოორირამმა!
ფაციაფ, ჩემო შირინავ,
ფაციაფ, ჩემო შირინავ,
მირალად რომ გამაგზავნე,
მირალად რომ გამაგზავნე,
მითხარ, როგორ ვიზინავო?!
მითხარ, როგორ ვიზინავო?!

შავშურ ფოლკლორში, როგორც ტრადიციულად საქართველოს ყველა კუთხის ზეპირ-სიტყვიერებაში, გავრცელებულია პიროვნებათა თუ ცალკეულ სოფელთა განმაქიქებელი ანდა საქებარი საყოფიერო ლექს–სიმღერები. მაღალმთიან სოფელ ბაზგირეთზე მღერიან:

ბაძგირეთი ვის უქია,
მარიობის თვეში უბუქია.

(მთქ. თანერ (თანო) იშექი მჭედლიძე). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ბაზგ.).
ვინმე ზექარიას კი უქებენ შაქარივით ტკბილ ვაშლს:

ზექერია, ზექერია,
შენი ვაშლი შექერია.

(მთქ. თანერ (თანო) იშექი (მჭედლიძე). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ბაზგ.).
ჩვენებურთა საყოფიერო ლირიკაში არცთუ იშვიათია სოციალური პრობლემებით გამოწვეული სევდა-წუხილი. ხევწრულის მკვიდრმა, ხელმოკლედ მცხოვრებმა მთქმელმა ნიგალ ორალმა თავისი მდგომარეობის შესახებ საუბარს შემდეგი სიმღერა მოაყოლა:

სიმღერების მღერაში
ერა მე ხმა ჩემეხნო!
ანა, რაზე გამზარდე,
აკვანშივე მეგეხნო!

შავში სახალხო მომღერლები, ეგრეთწოდებული „გარმონჯები“, ხალხის ჭირისა და ღხინის მოზიარენი არიან. ასე იყო ყველგან საქართველოში და ასეა დღესაც. ჩვენებურთა მოლექსე-მომღერლებიც თავიანთი ხალასი სიტყვით ხალხს ხან ატირებენ და ხანაც მწუხარებას უქარვებენ. „... მე აქედან წვედე' ნა, ვატირო' ნა ხალხი“, – გვიმღერა 64 წლის უსტამისელმა ქალბატონმა შაჰზენე ბიღინმა, რომელსაც, როგორც ჩანს, ამ კერძო შემთხვევაში ტრადიციული „გლოვის მგოსნის“ ფუნქცია ეკისრებოდა; სხვა შემთხვევაში კი იმავე სახალხო მთქმელმა ხალხის გართობაზე ორიენტირებული ლექს-სიმღერა შეგვისრულა:

ჰაიდე, წვედეთ მექტებში,
ვაწერიოთ დახები!
მოდი, გუზელ, ვისამოთ,
ვასეიროთ ლამაზები!

ამ ლექს-სიმღერის ერთ-ერთ ბაზგირეთულ ვარიანტში ბათუმში წასვლას, იქ ცეკვა-თამაშის გამართვას და ლამაზების შერჩევას ეპირებიან:

ჰაიდენ, წვედეთ ბათუმში,
ვაწერიოთ დახები.
ვისამოთ და ვიმღეროთ,
ვარჩიოთ ლამაზები!

(რ. ხალვაში 2007:313).

შავშელთა საყოფაცხოვრებო პოეზიაში გაკიცხულნი არიან ისეთები, რომლებსაც დიდი („ბეთონის“) სახლები აქვთ, მაგრამ სტუმარი არ უყვართ, შიგნით არავის უშვებენ:

ბეთონის სახლი აქვან,
შიგან ფეკ ვერ შიადგამ.
მე ვისმეს არ ვუყურეფ,
ნუსხაფზე ჯელ დავადგამ.

(მთქ. ისმაილ ოზანი (ბიბიენთი). ჩაიწერა რ.ხალვაშმა 2005 წ. ს. იფხ).

შავშელთა საყოფაცხოვრებო ლექს-სიმღერებში ზოგჯერ წყველაც გამოერევა ხოლმე; ეს ის შემთხვევაა, როცა დაწუნებული და თავმოყვარეობაშელახული ქალიშვილი გაიმეტებს ვაჟს:

სახლუკნედან საშეშე,
მე შენზე' ნა გავლეშდე.
დიგიქორდეს თვალები,
ტყვილ დუნიაში მომჩეჩე!

(თ. შიოშვილი 2005:103).

მართალია, შავშეთის სოფლებში მიცვალებულებს მუსულმანურად უგებენ წესს, მაგრამ ძირძველი ქართული ტრადიცია – „გლოვის მგოსანთა“ მიერ სამგლოვიარო ლექს–სიმღერათა შექმნისა მაინც შემორჩენილა. ამაზე მიუთითებს ჩვენ მიერ 75 წლის სვირევანელი ქალბატონის – ნებიე იშედისაგან (პეტროლლი) 2005 წელს დაფიქსირებული მომაკვდავის სულის ამოსასვლელი ლექს–სიმღერა, რომელიც პოეტურად არცთუ გამართულია, თუმცა მასში საკმაოდ ტევადად არის აღწერილი მიცვალებულის გაპატიოსნების ცერემონია:

ორი თანე ხოჯა მოვლენ,
გამბანებენ.
იმა უკან თაბუთში ჩამდებენ.
თაბუთი ქვეშ წასაღებად
შენ ქი მოხველ.
წიმიყვანებენ, მეზერში ჩამდებენ
მიწად დასაყრელად
შენ ქი მოხველ.

მოქმედის განმარტებით, ადამიანს „მოკედენამდი ამ სიმღერას ეტყვი, ჯანი ამოვა“.

ამრიგად, შავშეთი საყოფაცხოვრებო ლექს–სიმღერები თავიანთი თემატიკითა და იდეოლოგიური დატვირთულობით საერთოქართული ფოლკლორული სამყაროს ნაწილია და საუკეთესოდ გამოხატავს საუკუნეთა მანძილზე თურქულ გარემოში მყოფ ჩვენებურთა ქართულ ხასიათს, რაც მათი იდენტურობის ერთ–ერთი ნიშანია.

§6. შ ე ლ ო ც ვ ე ბ ი

შავშეთი ფოლკლორი მდიდარია ზეპირსიტყვიერების ერთ–ერთი არქაული ჟანრით – შელოცვით. აქაურთა მეხსიერებას დღემდე შემოუნახავს როგორც სამკურნალო, ისე სამეურნეო ხასიათის შელოცვები, რომლებიც საქართველოს სხვა რეგიონებში გავრცელებულ შელოცვათა ღირებულებას ვარიანტებია და განსაკუთრებულ სიახლოვეს ავლენენ აჭარულ ნიმუშებთან. სიტყვის მაგიური ძალის რწმენაზე დაფუძნებულ ამ ძალზე პოპულარულ ჟანრს აქაურები „ღუას“ ეძახიან, რაც არაბულად მუსლიმანურ ლოცვას ნიშნავს; ფაქტობრივად, ქართულ ფოლკლორულ სინამდვილეშიც ტერმინ „შელოცვას“ ხშირად ენაცვლება „ლოცვა“.

საყურადღებოა, რომ შელოცვის პროცესს შავშეთში „კითხვას“ („ჩაკითხვას“) ეძახიან, რაც, აგრეთვე იხმარება საქართველოში, განსაკუთრებით – დასავლეთ რეგიონებში.

შავშეთში დავიწყებული აქვთ ქართული სახელი „შელოცვა“ და არც არქაულ სახელწოდებას – „სახრვას“ – იცნობენ, მაგრამ საკუთრივ შელოცვათა ტექსტებითა და მათი შესრულების წესებით ეს ჟანრიც საერთოქართული ფოლკლორული სივრცის ნაწილია.

ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, შავშეთშიც სჯერათ, რომ შელოცვა, განსაკუთრებული შემთხვევის გარდა, სხვას არ უნდა ასწავლო, თორემ აღარ გასჭრის, აღარ შეერგება ავადმყოფს. 75 წლის ბაზგირეთელმა ქალბატონმა ფათმა დუზგუნმა გვითხრა: „ლოცვები ანემ იცოდა. ვუთხარი ქი, მაწავლე–მეთქი. მე რო გაწავლო შენო, მე რო ულოცო სხვასო, აღარ კვთავსო, სოდრა გაწავლიო“.

6.1. სამკურნალო შელოცვები

შავშეთა შორის შემორჩენილია გათვალისწინებული შელოცვა, ანუ, როგორც აქაურები ეძახიან, „თვალის ღუა“. სოფელ სვირევანის მკვიდრმა, 75 წლის ქალბატონმა ნებიე იშედმა, რომელიც აქაურებს პროფესიონალ შელოცველად მიაჩნიათ, 2005 წლის ზაფხულში გვითხრა: „ინსანი ავად გახდება, თვალი ეცაო, იტყვიან. უკითხავ და გაწორდება“. ნებიე იშედისა-

გან ჩაწერილი გათვალისწინებული შელოცვა, იგივე „თვალის დუა“, ზოგადქართულ გათვალისწინებული შელოცვის მოკლე ვარიანტია:

აპარე პარესა,
ტაპიკი პანტისა.
გასკდეს ავი თვალისა!
შენი თვალის მაცემარსა
თვალი უხმებოდა,
ხორცი უშრებოდა!
შენთან მშვიდობა და
კარგა ყოფნა!

(თ. შიოშვილი 2005.:105).

თვალის შელოცვის ჯვარიხევეური ვარიანტი (მთქმელი ზულფეთ გუნეში. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წელს) ასევე, ზოგადქართულის მოკლე ვარიანტია; აქ არ გვხვდება „თვალისცემითა“ ფართო ჩამონათვალი, მაგრამ საყურადღებოა იმით, რომ მასში შემონახულია შელოცვის დასასრულის ერთ-ერთი კარგად ცნობილი ფორმულა:

აღელისა, მალელისა,
თვალისცემია ქალებისა,
ღარჭებისა, კაცებისა.
ცული ტარი ცულ არგია,
ჩემი კითხვა დეგნის ბაჯალას არგია.

შელოცვა სრულდება სამჯერ. დასრულების შემდეგ შემლოცველმა უნდა შეუბეროს ავადმყოფს: „ – შეუბერავ, აინი კიდე ისე უნდა უთხრა სამი პირი“.

შელოცვის ბოლო ფორმულის ამ ვარიანტის ზოგადქართული სახე ამგვარია:

ცულის პირით მონაჭარი
ცულს თუ ტარად დეეგება,
ეს ჩემი ღოცვა – წამლობა
ამ ქალს წამლად დეეცხება.

(ქართ. ხალხ. შელ., 1994:11–2)

ანდა:

ცულის პირით მონაჭერი
ცულსა ტარად დეეგება,
ჩემი პირით შენალოცი
ამ ავანტყოფს შეერგება.

(თ. ოქროშიძე 1960:307).

ტრადიციულად საქართველოში ზოგიერთი შელოცვა ორი (ვრცელი და მოკლე) ვარიანტის სახით არსებობს, რადგანაც ხშირი იყო შემთხვევა, როცა დღეში რამდენიმე ავადმყოფისათვის უნდა შეელოცათ, ერთი და იმავე ტექსტით შელოცვა კი არ შეიძლებოდა. ამიტომაც შელოცვათა ძირითადი ტექსტების გვერდით მოიპოვებოდა მოკლე ტექსტებიც, რაც პროფესიონალ შემლოცველებს ვარიანტების საშუალებას აძლევდა. ვფიქრობთ, ამდაგვარ მოკლე ვარიანტებს წარმოადგენენ თვალის შელოცვათა შემდეგი ვარიანტები:

აღელისა, მალელისა,
თვალი გეცა აღემისა.

(მთქ. ფუნარ ალთუნი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. უსტ.)

აღელისა, მალერისა,
თვალი გეცა ქალებისა.

(მთქ. რაფიე ილდიზი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. წეთ.)

შავშურ ზეპირსიტყვიერებაში განსაკუთრებით პოპულარულია „მატავრის შელოცვა („დუა“), რომლის ვრცელი ვარიანტებიც ჩაიწერეთ სხვადასხვა სოფლებში. ტრადიციული დიალოგური ფორმის ეს არქაული შელოცვა ძალზე ახლოა ზოგადქართულ ვარიანტებთან. მისი შესრულების წესიც, ფაქტობრივად, იდენტურია: შეულოცავენ სამჯერ და შელოცვის დამთავრების შემდეგ ავადმყოფს შეუბერავენ. ერთ-ერთი ვარიანტის მთქმელმა – სვირევ-

ნელმა ნებიე იშელმა მატავრის შესახებ გვითხრა: „მატავრი, რაცხა ერთი ჩიბანი გამუა, ხან ყიაში აჭრიახებენ. მატავრი უჭირავ ყიაში და ეს კითხვა (შელოცვა – თ. შ.) იმითვინ კარგია; და ყური ატკივდება, და თვალი ატკივდება, იმითვინ კარგია“.

ნებიე იშელისაგან ჩაწერილი მატავრის შელოცვა ამგვარია:

– შე მატავრო, სა მიხვალ?
– ადამიენსა.
– ადამიენსა რა საქმე გაქ?
– ბილი საჭმელად, ზვალსი სახრელად.
– იმისი ანა, იმისი ბაბოღ
გელია, დათვია!
არც მოგართვამს ბილსა,
არც მოგართვამს ზვალსა!
წევ მოქონდა შავი გველი,
ავსჭარი, დავსჭარი შავტარიან დანით,
ჩაყვარე დიდ კოჭობში,
ვადუღე და ვაქაფქაფე,
გივტანე მადლა სერზე,
მივეც ქარსა, ნიავსა.
ასეა, ასეა!
სულეიმანის ბეჭედია!
ამინ!

(თ. შიოშვილი 2005.:104; მ. ფაღავა 2008:85).

ყურადღებას იქცევს მატავრის შელოცვის შავშური ვარიანტების დასასრული („... ასეა, ასეა! სულეიმანის ბეჭედია!“; „... არსიან–ქალიან სულეიმანი ბეჭედია“). არქაული რწმენა–წარმოდგენების თანახმად, ბეჭედი ხშირად უკავშირდებოდა მაგიურ ძალებს. ბიბლიური სოლომონის ბეჭედი და მასთან დაკავშირებული სასწაულები კარგად იყო ცნობილი მსოფლიოს ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერებაში. მუსლიმანური რელიგიის აღმსარებელთა ზეპირსიტყვიერების თანახმად, სულთან სულეიმანი, იგივე სოლომონ ბრძენი, ოკულტური სიბრძნის მფლობელიც იყო. ექვსქიმიანი ვარსკვლავით, რომელიც სულეიმანის ბეჭედის („ხათიმ სულაიმან“) სიმბოლოა, იგი ბეჭდავდა თავის ბრძანებებს ჯინებისა და შეითნებისათვის. „სულეიმანის ბეჭედი“ ისლამურ სამყაროში ფართოდ გავრცელებული მაგიური ნიშანი და თილის-მაა. მას ხშირად გამოსახავდნენ საყოფიერო თუ საკულტო ნაგებობებზე, ჭურჭელზე, მონეტებზე და სხვა. აჭარაში მცხოვრები მუსლიმანების რწმენით, სულეიმანის ბეჭედი ხუთქიმიანი ვარსკვლავია და ხუთი კონტინენტის მპყრობელს ნიშნავს (თ. შიოშვილი 2010:210).

სულეიმანის ბეჭედი, როგორც ბოროტი ძალების დათრგუნვისა და ავადმყოფის განკურნების უტყუარობის სიმბოლო, ხშირად მოიხსენიება სხვადასხვა სახის სამკურნალო შელოცვებში. ანალოგიური ფუნქციით არის ნახსენები იგი ზემოთ განხილულ შავშურ „მატავრის დუაშიც“.

„მატავრის შელოცვის“ სვირევენულ, აგარულსა და ნიოლეთურ ვარიანტებშიც, ზოგად-ქართულის მსგავსად, დაავადებას ემუქრებიან ქვაბში (კოჭობში) ჩაჭრითა და დამღუღვრით, შემდეგ კი ქარისა და ნიავისათვის გატანებით.

„მატავრის დუის“ მოკლე ვარიანტი დავაფიქსირეთ სოფელ ბზათაში (მთქმელი აიშე გოგჩე):

– შე მატავრო, ჰად მიხვალ,
ჰად მიბრძანდები?
ზვალში ხარ, ბილში გამოდ,
ბილში ხარ, კარში გამოდ!

შავშეთში შემორჩენილი „სირსველის ლოცვა“, იგივე „სირსველის დუა“, ანალოგიურია საქართველოს სხვა რეგიონებში დაფიქსირებული ვარიანტებისა:

სირსველად ხნევდა ყანასა,
მიაყრიდა ქვიშასა.

ჯარ აპეური გაწვევტია,
სირსველას თაგი წამოწვევტია!

(მთქ. სეიფეთინ ქურთი, ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. სვირ.).

შესრულების წესიც ზოგადქართულის ანალოგიურია. მთქმელის განმარტებით, „წერავ, შეუბერავ; ყელემზე ჰემ დაწერავ“.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და, ამავე დროს, ვრცელი „შეშინებულის შელოცვა“ შავშეთში ძალზე მოკლე, მაგრამ საინტერესო ვარიანტით დავაფიქსირეთ. მასში პოეტურად არის წარმოდგენილი შიშის სინდრომი, დახატულია შეშინებულის პორტრეტი, რასაც არ იცნობს ზოგადქართული ვარიანტები:

აშინა, მაშინა,
ღორმა, დათვმა შემაშინა.
სად წევდე, სად წევდე!
ცალი ხარი მიმელო,
ენა-პირი შიმიკოჭა!

(მთქ. შექერნაზა ყუში (შექროდ ნენე). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ნიოლ).

მთქმელის განმარტებით, შელოცვა სრულდება სამჯერ („სამი პირი ჩეიკითხო“).

სამკურნალო შელოცვათაგან შავშეთში იციან თიის, ანუ ძელის შელოცვა. სოფ. სვირევეანში დავაფიქსირეთ ამ შელოცვის ვრცელი ვარიანტი (მთქმელი ნებეი იშელი), რომელიც ძალიან ახლოსაა აჭარაში გავრცელებულ ვარიანტთან:

ძელი ელინდა,
მელი მელინდა.
თიის ქარი რას მელინდა?
ქეთ-ქეთ ზადლი ჩამორბოდა
ფეხწითელი, ბაუჟი,
შე ურჯულო ძელის ქარო,
უკბინე და გოუში!
საყედიმოთ გოუში!
იაგ, თიაგ, წარეგ, კუხეგ,
რას ძელევი ცასავეგ,
რას ბრუნევი ჯარსავეგ!
ეიარე, დეიარე,
დააღაღდი ქვასავეგ!

(თ. შიოშვილი 2005.:104; მ. ფაღავა 2008:86).

შელოცვა სრულდება შვიდჯერ („შვიდ პირ უკითხეგ“); თუკი წყალს შეულოცავენ, შელოცვილ წყალს ფეხს არ დაადგამენ.

თიის შელოცვის, იგივე „ძელის დუას“, მოკლე ვარიანტი კი ამგვარია:

შავი ძელი, წითელი ძელი,
თეთრი ძელი, წყალი ძელი.

(მთქ. შექერნაზა ყუში (შექრო ნენე). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ნიოლ).

შელოცვის ეს ვარიანტი ორიენტირებულია წყლის შელოცვაზე, რათა წყალმა წაიღოს დაავადება.

6.2. სამეურნეო შელოცვები

საქართველო, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი მიწათმოქმედი ქვეყანაა, ოდითგანვე მდიდარია სამეურნეო-აგარარული რიტუალებითა და მათთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერებით. ამ ტრადიციულ არქაულ უბანს, რომელსაც ამინდის მართვის ფუნქცია ეკისრებოდა, მნათობთა კულტის ამსახველ საგალობლებთან და ამინდის, ანუ ტაროსის, ღვთაებათადმი მიმართულ სავედრებლებთან ერთად, განეკუთვნება სამეურნეო ხასიათის შელოცვები. სიტყვისა და მოქმედების მაგიათა რწმენაზე დაფუძნებული ეროვნული ფოლკლორული შემოქმედების ამ უძველესი ნიმუშების გამოყენებით ჩვენი მეურნე წინაპრები ცდი-

ღობდნენ, მათთვის სასურველად წარემართათ ბუნებრივი მოვლენები, დაერეგულირებინათ ამინდი. ამ თვალსაზრისით, ისევე როგორც სულიერ-კულტურულ მონაპოვართა სხვა სფეროში, საერთოქართული ტრადიციის ჩარჩოებში ექცევა ისტორიული შავშეთიც. აქაურთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულმა ყოფამაც, მიუხედავად საუკუნეობრივი თურქული გარემოცვისა, კარგად შემოგვინახა სამეურნეო-აგრარული ხასიათის შელოცვათა ნიმუშები.

რსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ 2005 და 2009 წლებში მოწეობილი კომპლექსური ექსპედიციების დროს საკმაოდ დაფიქსირდა ეროვნული ზეპირსიტყვიერების ეს არქაული უბანიც და მისი შესრულების წეს-ჩვეულებებიც.

ისევე როგორც მთელს საქართველოში, შავშეთშიც აქტუალური ყოფილა ტაროსის ღვთაების საკულტო კარნავალი „ლაზარობა“, რომელსაც აქაურები, აჭარლების მსგავსად, „ნაზარობას“ უწოდებენ. ისტორიული საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში ბოლო დრომდე შემორჩა სსოვნა ამინდის მაგიური მართვის ამ ძველთაძველი რიტუალისა, რამაც საშუალება მოგვცა, მრავლად დაგვეფიქსირებინა ლაზარობის საგალობელი ტექსტის ვარიანტები და გავცნობოდით თავად რიტუალს.

67 წლის ზიოსელი გუღდისხან ბილირისაგან 2005 წელს ჩავიწერეთ წვიმასა თუ გვალვაში შესასრულებელი ლაზარობის ვარიანტები და შესრულების წესები. მთქმელის განმარტებით, „ღარტები მეიყრებოდენ, მეიარდენ. კარზე მოვლენ და დაგვიძახებდენ. წყალ მივასხამდით ქი, გაწვიმდესო“. გამუდმებული წვიმების დროს კი მზესა და მთვარეს შესთხოვდნენ ღმერთს, სჯეროდათ, რომ ამის შემდეგ „ეიყრებოდა ღურბელი“. შელოცვა დიალოგური ფორმისაა. გვალვის დროს მღეროდნენ:

ნაზარ, ნაზარ, ნაგეზარ.
– შემშირე ბაჯი, რაა უნდა?
– ერთი საჰანი ფქვილი უნდა,
ერთი კოვზი ძალი უნდა.
შეგვეწყინა ბზი და მთვარე,
ღმერთო, მოგვე წვიმა – წყალი!

წვიმის დროს კი მზესა და მთვარეს შესთხოვდნენ:

... შეგვეწყინა წვიმა – წყალი,
ღმერთო, მოგვე ბზი და მთვარე!

საყურადღებოა, რომ შავშეთშიც, ისევე როგორც ყველგან საქართველოში, ლაზარობის დროს მორთულ-მოკახმული ცოცხის ჩამოტარება იცოდნენ: „ცოცხ შეგკახმევდით, კარზე ისე მივდოდით, დედოფალი მოვდაო“.

ლაზარობაზე (იგივე „ნაზარობაზე“) მოსიარულე ბავშვების სამღერ წვიმის (თუ მზის) გამოსაწვევ ტექსტებში ხაზგასმულია, რომ კარდაკარ მოსიარულეთ მოსახლეობა ასანქურება და სხვადასხვა სახის სანოვაგით, რაც პროდუქტიულ მაგიას გამოხატავდა. ბილირ გუღდისხანისეულ ვარიანტში ამ პრობლემასთან დაკავშირებით დიალოგიც კია გამართული.

– შემშირე ბაჯი, რაა უნდა?
– ერთი საჰანი ფქვილი უნდა...

ლაზარობის ტექსტის ერთ-ერთ იფხრევლურ ვარიანტშიც (მთქმელი 50 წლის სულთან ალთუნი) მითითებულია, თუ რა უნდა მიართვან ლაზარობის რიტუალის მონაწილეთ:

ნაზარ, ნაზარ ნაგეზარ,
ნაზარ, ბურდა, ნეგეზარ!
კოვზი, კოვზი ძალი,
თეფსი, თეფსი ფქვილიშტა.
მოგვეწყინა ბზი და მთვარე,
ღმერთო, მოგვე წვიმა წყალი!

ლაზარობის შავშურ ვარიანტთა ერთი ნაწილი თავისუფალია მიმართვის არქაული ფორმისაგან („ნაზარ“) და პირდაპირ დემიურგისადმი მიმართვით იწყება, რაც უფრო გვიანდელი ფორმაა:

ღმერთოჯან, შეგვეწყინა მზე და მთვარე,
ღმერთმა მოგვცეს წვიმა წყალი!

(მთქ. შექერნაზა ყუში (შექრო ნენედ). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. ნიოლ.).

თურქულმა ენობრივმა გარემომ, ბუნებრივია, თავისი გავლენა ლაზარობის ტრადიციულ ქართულ ტექსტებზეც მოახდინა და მის სიტყვიერ ქსოვილში თურქული სიტყვები თუ ფრაზები ჩაანაცვლა. 2005 წელს 66 წლის ზექიეთელი შააზიე ათეფჯინისაგან (ჩაქვრიძე), რომელიც ამინდის მართვის მაგიურ რიტუალში თავადაც მონაწილეობდა ბავშვობისას, სწორედ ამგვარი ვარიანტი ჩავიწერეთ:

ნაზარ, ნაზარ, ნაა,
ისტარ ყაშუღინან დაღ.
ისტარ სანანინან,
უნ ისტარ ჩითმარაში მაშინა.
ცალიმ ჯარი მიმიღო.
ღმერთო, მოგვე წვიმა წყალი,
შეგვეწვინა მზე და მთვარე!
ამინ!

მოქმელი საგანგებოდ გახაზავს შელოცვის სიმღერით შესრულების ტრადიციას და რწმენას, რომ ამ რიტუალის შემდეგ აუცილებლად გაწვიმდებოდა: „ნაზარ ვიმღერებთ ქი, ასე დაცხება და არ გაწვიმდება, მაშინ იარებოდენ ბაჯლები, შეევედრებოდენ ღმერთ და გაწვიმდებოდა“.

როგორც აღვნიშნეთ, ლაზარობის შავშური, ისევე როგორც ზოგადქართული, რიტუალის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია ცოცხი. ჩვენი მოქმელები ერთხმად მიუთითებენ, რომ კარდაკარ მოსიარულე ბავშვებს დააქვთ ქაღურად მორთული ცოცხი: „გააკეთებდენ ერთ რამეს, ბაჯალასავთ შეკაზმავდენ ცოცხ, დაბურავდენ ლაჩაქით, წავდოდენ იქით-აქეთ“ (მოქმელი ს. აგარაში მცხოვრები ჰალიმ სეჩქინი). „ბაღვები წავლენ, ცოცხ შეკოჭვენ. იქზე რაცხას მუშმღერებენ. იქიდანაც მისცემენ დაღ, ფქვილ. წყალ მიასხმენ ბაღვებ, ქი გაწვიმდესო. გაწვიმდება“ (მოქმელი 52 წლის აიშე ქურთი. მცხოვრები სოფ. სვირევანში).

ლაზარობის რიტუალის დასასრულს მონაწილენი ცოცხს გააშიშვლებდნენ და წყალში ჩადებდნენ, რათა დასველებულიყო: „იმღერებდენ და დაღ და ფქვილ მოთხოვდენ; ბიშ გამააცხოვდენ, მეიარებდენ, დუას იტყოდენ და ჭამდენ, ერთად მეიყრებოდენ. დოდოფალ შეკაზმევდენ, – ცოცხი იყო, იმით მოივლიდენ. გახდიან ურუბას და წყალში ჩადებენ“ (მოქმელი სოფ. დაბის მკვიდრი ზექიე ილდიზი).

ლაზარობის კარნავალის მონაწილეთა მიერ ცოცხის წყალში დასველება მაგიური ქმედებაა, რომელსაც, ხალხის რწმენით, წვიმა უნდა მოჰყოლოდა. ასევე, წყლის მაგიური სხურება ხორციელდება მონაწილეთა მიმართაც, რაც, აგრეთვე, წვიმის გამოწვევის, გამოსმობის იმიტაციაა; ამ რიტუალს იცნობს საქართველოს ყველა კუთხე. წყალში თოჯინას (დედოფალას) დასველების აჭარულ რიტუალზე მიუთითა ცნობილმა მკვლევარმა ჯონ ფრეზერმა; იგი აღნიშნავდა, რომ აჭარლებს შორის გავრცელებულია «*одряд купанья куклы во время засухи*» (Дж. Фрезер 1931:88); შავშეთში დაფიქსირებული ეს არქაული რიტუალი კი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ აქაურთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ყოფა საერთოქართული სივრცის ნაწილია.

საყურადღებოა, რომ შავშეთში სეტყვის დროს სცოდნიათ კედელზე ცოცხის მიკვრა, რითაც სეტყვის შეჩერებას იწვევენ. უსტამისელი ეუბ ალთუნის (დათუნაშვილი) თქმით, „ხოშკაკალად რო იქნება, კედელზე ცოცხ მიაკვრენ, დადგესო ხოშკაკალად“. სოფელ სვირევანში ხოშკაკალის დროს ლოცულობენ: „ღმერთოჯან, შენ შიგვინახე, სიციელი არ დეგვიშვა!“ (მოქმელი აიშე ქურთი).

შავშთა ყოფაში შემორჩა, აგრეთვე, ამინდის მართვის კიდევ ერთი არქაული რიტუალი – მთაზე ასვლა, ქვების ატანა და ტაროსის ღვთაებისაგან სასურველი ამინდის გამოთხოვა. ამ რიტუალში მონაწილეობენ მხოლოდ მამაკაცები და ისიც – ზნეობრივად წმინდა ადამიანები, უცოდველები. „გაწვიმებისთინ თაზე წავლენ. ვინცხა ბოზობა არ უქნია, ჰარამი არ უქნია, იმან ქვიები ჩაყარონ უნდა. ავლენ მოლოცვაზე კაცები, ქალები – არა“, – გვითხრა ეუბ ალთუნმა (ს. უსტამისი); უბელი (ობაქოი) გუღჰან ბილირის ცნობით, „ხოჯები წვეი-დოდნენ სერებზე და იკითხებდენ“.

მთაზე ასლა გვალვის დროს და იქ ლოცვა გასაწვიმებლად თედო სახოკიამ 1897 წელს დააფიქსირა აჭარაში: „ხალხი ყველაზე მაღალ სერზე ადის და იქ ლოცულობს, რაც სამ დღეს გრძელდება. სამი დღის შემდეგ ჩამოდიან ჯამესთან, კლავენ შესაწირავს (ხარი, ძროხა, ყონი) და მახლობელ მდინარეში ჩადგმულ გოდორში მოღების მიერ შელოცვილ კენჭებს ყრიან. კენჭებს მოღები თურქულად ულოცავენ: „ – ღმერთო, წვიმა გვიწყალობე, შეწუხებული ვართ, შენი წყალობა მოგვანიჭე! ყველასი, დიდისა თუ პატარასი, მწყალობელი შენ ხარ!“ (თ. სახოკია 1950 : 202–203). ეს რიტუალი, სახელწოდებით „ოთხმოცი ათასი ქვის კენჭის შელოცვა“ ვრცლად აქვს აღწერილი მკვლევარ ჯემალ ნოღაიდელს. მისი ვარაუდით, ამ რიტუალში შერწყმულია მაჰმადიანური და წარმართული რიტუალები (ჯ. ნოღაიდელი 1971:133–134).

2005 წელს სოფ. სვირევეანში (დუთლუქოი) 31 წლის სევეგიე ქურთისაგან ჩაიწერე ამინდის მაგიური მართვის, კერძოდ მნათობთა კულტის, ამსახველი არქაული შელოცვა. ეს არის საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ფართოდ გავრცელებული მზის საგალობელი:

მზე, მზე, გამოდი,
ქატო – მარილ დიგიყრი,
ყონ დიგიკლავ!
თუ ვერ შეჭამე,
მეც დეგეშველები.

როგორც მთქმელმა შენიშნა, ამ ლექსს, „მზე თუ არ გამოიდა, მაშინ იტყოდენ“. ლექსის ქართლური ვარიანტი, რომელიც თედო რაზიკაშვილმა ჩაიწერა, ასეთია:

მზეო, მზეო, გამოდი,
ჩვენს ეზოში ჩამოდი!
მიანათე ბაკებსა,
ცხვარს დაგიკლავ მაკესა (ქრესტ. 1970:37).

ამ შელოცვის ერთ–ერთი აჭარული ვარიანტი უფრო ახლოს არის შავშურთან:

... მზევ, ჩამოდი ვაკესაო,
ცხვარს დიგიკლავ მაკესაო!
შიგიწვავ, შიგიმარილავ,
შამოგიდევ თავქვეშო.
თუ მოხვალ, შენ შეჭამო,
თუ არა და მე შევჭამო.

ნიშანდობლივია, რომ შავშუბმა შემოინახეს ეს არქაული მაგიური ტექსტი, რომელსაც, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ისე იქაც, დღეისათვის დაკარგული აქვს ძველი ფუნქცია და საბავშვო ფოლკლორის კუთვნილებად არის ქცეული; თუმცა, ყველა შემთხვევაში შემორჩენილია მნათობთათვის მსხვერპლშეწირვის არქაული ჩვეულების გამომხატველი სტრიქონები.

შავშურ ეთნოგრაფიულ–ფოლკლორულ სინამდვილეში, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, ამინდის მაგიური მართვის ფუნქცია ენიჭება, აგრეთვე, ნისლის შელოცვას. 2005 და 2009 წლებში ისტორიული შავშეთის სოფლებში ნისლის შელოცვის მრავალი ვარიანტი დავაფიქსირეთ; მათი ნაწილი მსგავსი ან იდენტურია აჭარაში გავრცელებული ანალოგიური ტექსტებისა, ნაწილი კი განსხვავებულია და, შეიძლება ითქვას – უფრო დახვეწილიცაა და პოეტურიც. ამის ნიმუშია პროფესიონალი შემლოცველის – სოფ. დასამობში მცხოვრები 81 წლის შექერნაზა ყუშისაგან 2009 წელს ჩაწერილი ნისლის შელოცვა, რომელშიც ერთმანეთს ენაცვლება ნისლის აყრისა და მზის გამოსვლის მაგიური თხოვნა, რაც სამჯერ მეორდება; აქვე ხაზგასმულია უზენაესი მნათობის – მზისადმი მსხვერპლის შეწირვის არქაული ჩვეულებაც:

ნისლო, წადი, ეიყარე,
მზედ გამევედოსო!
ნისლო, ეიყარე, ბზევ, გამოდი!
ნისლო, ეიყარე, ბზევ, გამოდი!
ნისლო, ეიყარე, ბზევ, გამოდი!
ცხვარ დიგიკლავ, ბზევ, გამოდი!

შემცივდა! ბზევ, გამო!
კალოზე ყონ დიგიკლავ,
ბზევ, გამოდ, გამათბე!

44 წლის ზაქიეთელი აილად იაზიჯისაგან 2005 წელს ჩაწერილი ნისლის შელოცვა აჭარაში გავრცელებული ვარიანტების მსგავსია:

ნისლო, ნისლო, ეიყარე,
ღელე-ღელე შეიარე!
შენ ქალ დარჭი ყოლია.
ერთი – ქორი, ერთი – თოფალი.
დროზე მიხვალ, მოგირჩება,
შენი გოგო შენ დაგჩება.

ამ შელოცვის ერთ-ერთი შუახვეური ვარიანტი ამგვარია:

ნისლო, ნისლო, ეიყარე,
ცხრა მთას იქით გედეიყარე!
შენი ქალი დაწოლილა,
სამი ბადვი ყოლიაო:
ერთი კუტი, ერთი ლალი,
ერთი – სულ ყველაზე კარგი.
ღელე-ღელე შეიარე,
კოპით წყალი უშტანე.
მალე ახვალ, მოგირჩება,
გვიან ახვალ, მოგიკვდება! (ქართ. ხალხ. შელ. 1994:29).

შავშეთის ფოლკლორულ ყოფაში ბოლო დრომდე ძალზე გავრცელებული ნისლის შელოცვის მოკლე ვარიანტი ამგვარია:

ნისლი გავაქციე,
ქუდი გამოვაქციე.

შელოცვის იდენტური ვარიანტები დავაფიქსირე სოფლებში: უსტამისში (მთქმელი შაჰ-ზენე ბილგინი), დაბაში (მთქმელი ზეკიე ილდიზი), სვირევანში (მთქმელი აიშე ქურთი), აგარაში (მთქმელი ჰეირიე აიდინი). შელოცვის თქმისთანავე შემლოცველი ქუდს გადმოაბრუნებს და ასე დატოვებს, ვიდრე ნისლი გაიფანტება. ამ შელოცვის უფრო ვრცელი, ზემოთ განხილულ ვარიანტთან კონტამინირებული, ტექსტი ჩაგვაწერინა 81 წლის ნიოლეტელმა (სოფ. დასამობის ერთ-ერთი უბანი) შექერნაზა ყუშმა:

ქუდი გამოვაქციე,
ნისლი გავაქციე.
ღმერთოჯან, ნისლი გააქციე!
ეიყაროს,
ცხრა მთას იქით გედეიყაროს!

67 წლის ზიოსელი ბილირ გულდიხანისაგან ჩაწერილ ნისლის შელოცვაში გამოთქმულია სურვილი, ნისლის ცხრათვალა მზით შეცვლისა, რაც მშვენიერი ეპითეტით არის გამოხატული:

ნისლო, ნისლო, ეიყარეო,
ცხრა მზი თვალში გედეიყარეო!

სხვა მოკლე ვარიანტში ნისლს „ცხრა მთას იქით“ აგზავნიან:

ნისლო, ნისლო, ეიყარე,
ცხრა მთას იქით გედეიყარე!

(მთქ. გულჰარ ბილირი. ჩაიწერა თ. შიოშიელმა 2005 წ. ს. უ.).

შავშური ნისლის შელოცვის ერთ-ერთმა ვარიანტმა შემოინახა ტაბუირების (ამ შემთხვევაში ტაბუს დარღვევის) კავშირი ნისლის ჩამოწოლასთან:

აქედან წადი ნისლო,
მე კვერცხი არ მიჭამია!
ვინცხამ ქი ჭამაო,

იმასთან წადიო!
ქუდი გამოაქციეო,
ნისლი გავაქციეო.

(თ. შიოშვილი 2005.:105).

კვერცხი, როგორც სიცოცხლის დაბადების ხილული მისტერია, ვიზუალური ფენომენი შესაქმისა, უძველესი სახე-სიმბოლოა მსოფლიოს ყველა არქაული ხალხის რწმენა-წარმოდგენებში. სწორედ კვერცხის მოთხოვნაა ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ლაზარეს რიტუალზე კარდაკარ მოსიარულეთა მიერ შესასრულებელ ტექსტებში. კვერცხის, როგორც სიცოცხლის კოსმიური მოდელის, ტაბუირება ნისლის შელოცვაში შემთხვევითი როდია: კვერცხი, როგორც უკვდავებისა და ნაყოფიერების თვალსაჩინო განსახიერება, გაზაფხულ-შემოდგომის ბუნობის არქაულ დღესასწაულთა ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტი იყო, რითაც მზეს უფრო მეტი ცხოველმყოფელობა უნდა შესძენოდა; მისი შეჭმა კი, ბუნებრივია, ტაბუს დარღვევად აღიქმებოდა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული „შელოცვა ამინდზე“ (ნბიფა, საქმე №107:52), რომლის თანახმადაც, სასურველი ამინდის გამოსათხოვრად მთას კვერცხს სწირავენ:

ალათასა, მალათასა,
თითო კვერცხი თითო თასა.
აღარ გვინდა მზისა თვალი,
ღმერთო, მოგვე წვიმა წყალი!
ამინ!

ამრიგად, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი რეგიონის – შავშეთის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულმა ყოფამ ბოლო დრომდე შემონახა სხვადასხვა ავადმყოფობათა პროფილაქტიკისათვის გამიზნული სამკურნალო შელოცვები და ამინდის მაგიური მართვის რიტუალებთან დაკავშირებული შელოცვები, რომლებიც ასევე საქართველოს სხვა კუთხეებისთვისაც ტრადიციულია. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიანიშნებს სისხლის იმ ყივილზე, რაზედაც თავად არაერთხელ აღუნიშნავთ ჩვენებურებს და რაც ერთი ჯიშისა და გენის ადამიანთა სულიერ ერთობას, იდენტურ მსოფლგაგებასა და პრობლემების ერთი დედის წიაღიდან ჭკრეტას გულისხმობს.

§7. ნ ყ ე ვ ც ე ბ ი

წყველა, ანუ დარისხვა, დაკრულვა, ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი არქაული ჟანრია. იგი სიტყვის მაგიური ძალის რწმენაზე აგებული ფორმულაა და ანიმისტური მსოფლმხედველობიდან მოყოლებული დღემდე მანვე ქმედების აღსაკვეთად, მტრისა და მოშურნის შესაწვენებლად, ბოროტების დასათრგუნავად და ჯადოქრობის გასაუვნებლად გამოიყენება.

ადამიანებს ძველთაგანვე სწამდათ, რომ სამყარო სავსე იყო ბოროტი და კეთილი სულებით; კეთილ სულებს თავყანს სცემდნენ, ლოცავდნენ, ატარებდნენ მათ გულისმოსაგებ რიტუალებს, ხოლო ავსა და ბოროტ სულებს სწყველიდნენ და კრულავდნენ, რათა გაექროთ და გადაეშენებინათ; სჯეროდათ სიტყვის მაგიური ძალისა და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ წყველას სასურველი შედეგი მოყვებოდა. ამდენად, როგორც დალოცვასა და შელოცვას, წყველასაც პროფილაქტიკური მაგიის დანიშნულება აქვს და ადამიანთა თვითდამკვიდრების ხანიერი გზის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია.

წყველას მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერება იცნობს; იგი გავრცელებულია ქართულ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ყოფაშიც როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. ხალხში ზეპირად არსებულ წყველას ოდიტგანვე საყოფაცხოვრებო ხასიათი აქვს და ადამიანთა ყოველდღიურ ურთიერთობაში იხენს თავს; წერილობითი წყველა კი შთამომავლობაზე ან ტაბუს დამრღვევზე გადადიოდა.

წყველის ფორმულები შესულია უძველეს სიგელ-გუჯრებში, სამართლებრივ-იურიდიულ ძეგლებში, რათა მათით გამაგრებულიყო საბუთისეული პირობები და სანდოობა.

ქართულ ზეპისიტყვიერებაში უმთავრესად გვხვდება წყევლის სამი სახე: 1. დემონოლოგიური, 2. საყოფაცხოვრებო და 3. კულტურულ-ისტორიული.

ქართული ხალხური წყველა, ისევე როგორც ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრები, რაკი ყოველდღიური ყოფის ერთ-ერთი თანამდევია იყო, უხვად შეიცავს ჩვენი ხალხის სულიერი და მატერიალური ცხოვრების ამსახველ ელემენტებს. დღემდე შემოგვრჩა ძველად ძალზე აქტიური წყევლის ფორმულები იმ დროისათვის ისეთ უკურნებელ დაავადებებზე, როგორიც იყო ქოლერა, ციება, შავი ჭირი და სხვა.

ქართული ხალხური წყევლის ფორმულებში გათავისებულია ისტორიული ძნელბედობის ხანა (“– შენამც წასულხარ ოსოქოლოში!”, “– შე საღეკევე, შენა!”); შემუშავებულია უპატრონოდ დარჩენილი საცხოვრისის ტრაგიკული სახეც (“– ჭინჭარიც ამოსულა შენს ეზო-კარში!”); დაგმობილი და დაწვევლილია ქვეყნის შინაური და გარეული მტრები, ქვეყნისა და ტოლ-სწორის მოღალატეები და მოშურნენი, თავკერძა და ხარბი სახელმწიფო მოღვაწენი და საერთოდ – ყოველგვარი ზნეობრივი მანკიერებანი.

წყველა-კრულვა შესულია ზეპისიტყვიერების თითქმის ყველა ჟანრში და მშვენივრად გამოხატავს ხალხის დამოკიდებულებას სოციალური, ეროვნული თუ საყოფაცხოვრებო პრობლემებისადმი. ასე მაგალითად: ქართულ ხალხურ საისტორიო ლექს-სიმღერებში დაწვევლილი და შერისხულია ზურაბ არაგვის ერისთავი, რომელმაც დალატით ჩაახოცინა ხევსურები; ერეკლეს ვაჟი გიორგი XII, რომელმაც რუსის ჯარი შემოიყვანა საქართველოში; უამრავი წყველა შეიქმნა ჩვენში პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს; მათში დაწვევლილია “საღდათობის” მომგონი, მეფე ნიკოლოზი, ფაშიზმი და ა.შ.

წყველათა ერთი ნაწილი რაფინირებულ პოეტურ ფორმულებად არის ჩამოქნილი. ეს ფორმულები უაღრესად საინტერესოა სიტყვის მხატვრული ღირებულებისა და მეტაფორული აზროვნების თვალსაზრისითაც (“– შე მიწის საკერებელო!” “– შე მიწის ლუკმაგ!” “– შე შავს ვარკვლავზე დაბადებულო!” და ა.შ.)

წყველა საოცრად ცოცხალი და ქმედითი ჟანრია. მის ფორმულებში უკვე აისახა ბოლო ხანებში ჩვენში დატრიალებული პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური მოვლენები (“– შენი შვილი მანახა ღმერთმა ჩოლოქზე!” “– შენი ძაღლი აყმუვლდა ბასმანასავით!” “– შენი ჩაი დააღვიათ სამსახურში!” “– სოროსს ეყვავებიერ ტროას ცხენით!” “– გაგყინა და გაგფინა ჩვენი პენციასავით!” “– ქათმის გრიპი შეგყარა ღმერთმა!” და ა.შ.)

წყველა მიუღებელია ნებისმიერი რელიგიისათვის და მით უფრო – ქრისტიანობისათვის, რომელიც მტრის სიყვარულს ქადაგებს, “წყვეა არს ბოროტი თავად, მას არამც შესწევს ძალა ბოროტის დასათრგუნავად” (ქადაგებანი ..., 1913: 123).

როგორც აღვნიშნეთ, წყველა ზეპირსიტყვიერების არქაული ჟანრია და მას იცნობს საქართველოს ყველა რეგიონი. ბუნებრივია, იგი გავრცელებულია ისტორიული საქართველოს, კერძოდ შავშეთის, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც, რაც დაადასტურა 2005 და 2009 წლებში შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მუდმივმოქმედმა კომპლექსურმა ექსპედიციამ ისტორიული შავშეთის სოფლებში. აღსანიშნავია, რომ ენობრივ ფენომენტთან ერთად აქაურ ქართველთა ეროვნული თვითშეგნება ოდნავადაც არ შებღალულა; “ხელი რომ გამჭრათ, ჩემი სისხლი ქართულათ დაწერავს”, – გვითხრა სოფელ უსტამისის (ესქიყალე) მკვიდრმა ეუბ დემირმა (რ. ხალვაში 2007: 308).

შავშური ფოლკლორის გაცნობით ექსპედიციის წევრებმა სასიხარულო რეალობა დაგაფიქსირეთ: ჩვენებურებმა ბოლო დრომდე შემოინახეს წინაპართა წეს-ჩვეულებები და ფოლკლორული ნააზრვეი, რომელთა შორისაც, ბუნებრივია, ისეთი ყოფითი ჟანრი, როგორიც წყველაა, საკმაოდ დომინირებს; თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შავშელები ერიდებიან წყევლის წარმოთქმას, რადგანაც ამჟამინდელი მათი რელიგიაც კრძალავს წყველას, როგორც ბოროტებას. სოფელ დაბის (დემირჯი) მცხოვრებმა ზექიე ილდიზმა წყველა კი ჩაგვაწერინა, მაგრამ დააყოლა, ადამიანის დაწვევლა არ შეიძლებაო. ჩვენს შეკითხვაზე, “მაშ, რატომ იცოდა წყველა”, გვიპასუხა: “– თუ გული დაწვა, მაშინ იტყვიანო”, “– არ სწყევლო არავის!” – გაგვაფრთხილა იფრხეველმა (თაშქოფრუ) ქალბატონმა, 87 წლის ვეფსიე დემირმა, თუმცა იქვე მიანიშნა, რომ გაბრაზებულზე თავადაც იყენებს ამ საჩოთირო ფორმულებს: “ვინცხაზე გავრეხილდებით, გაჰვრსდებით, ვწყევლით”; სოფელ ჩაქველთის მკვიდრმა ესმა

დემირმა კატეგორიულად განაცხადა: “დასწევლი, შენვე მეგობრუნდება! კაი არ არი წყევლა, ეს რა თქმა არი!” მანხატეთელმა ქალბატონმა, 76 წლის ჰუნქერ ქაიამ აგვისნა, რომ “წყევლა კაი არავისთვის არ არი”; ბაზგირეთელმა ჭაბუკმა თანერ იშექმა კი საანდაზო ფორმულით გვითხრა, რომ “წყევლა წყევარისა არი!”

ამ თვალსაზრისის წარმოსახენად საინტერესოდ გვესახება აჭარელ მუსლიმანთა შორის გავრცელებული “თქმულება ფეილამბერზე” (მთქმელი მერდიან ხუსეინის ძე თურმანიძე, დაბ. 1905 წ., მცხოვრები ქედის რაიონის ს. მერისში. ჩამწერი მაია ფარტენაძე, 2008 წ.): გზად მიმავალ ფეილამბერს (წინასწარმეტყველს) შეხვდა შეითანი, ქუდი წაადრო და ჰკითხა:

“– ადამიანს წყევლა რამდენ ხანს ვერ მისწვდება?”

ფეილამბერმა უპასუხა, 70 წელსო. შეითანი გაიქცა და თან წაიღო ქუდიც. ფეილამბერმა დასწევლა:

“– ღმერთმა არ შეგარჩინა!”

შეითანმა მცირე მანძილი გაიარა და დაეცა.

“– ხომ მითხარი, 70 წელს არ მოგეწევა წყევლა?” – ჰკითხა მან ფეილამბერს.

“– ეს სხვისი დაწვევლილი შეგისრულდა, ჩემი ჯერ არ მოგწევიაო”, – უპასუხა ფეილამბერმა.

შეითანი მიხვდა, რა საშინელება ყოფილა წყევლა და ქუდი დაუბრუნა ფეილამბერს.

ისტორიული შავშეთის სოფლებში (ზიოსი, ხევწრული, ზაქიეთი, დაბა, ივეთი, იფხრევილი, ჩაქველთა) ჩაწერილი წყევლის ნიმუშები ძალზე დიდ სიახლოვეს ავლენენ საერთო-ქართულ, განსაკუთრებით კი – აჭარულ, წყევლის ფორმულებთან როგორც შინაარსობრივად, ისე სიტყვიერი გაფორმების თვალსაზრისით. ამგვარი წყევლებია: “– მეხი დეგეცეს!”, “– სიციელი დეგეცეს!”, “– ღმერთმა ანტრად გაქციოს!”, “– ღმერთმა კაი დღე არ დაგანახოს!”, “– შავ და უკუღმა გატაროს!” და სხვა.

შავშურ წყევლის ფორმულებში შესულია საქართველოს ისტორიული ვითარების ამსახველი დეტალებიც. სოფელ იფხრეველში (თაშქოფრუ) 65 წლის სურმელ ილდიზისაგან ჩავიწერეთ წყევლა: “– ღმერთმა რუსიე (რუსეთი) გადაგარონოს!” ძნელი არ არის, ამ მაგიურ ფორმულაში ქართველი ადამიანის გულისწუხილისა და შუაზე გახლეჩილი სამშობლოს საუკუნოვანი ტკივილის დანახვა. სოფელ დაბის (დემირჯი) მკვიდრმა, 45 წლის ზექიე ილდიზმა გვითხრა, რომ როცა დედას გააბრაზებდნენ ასე სწყევლიდა შვილებს: “– შე კითო-ლიკი შვილო!” სამწუხაროდ, ბედის უკუღმართობის გამო, ძირქველი მართლმადიდებელი ქრისტიანებისათვის კათოლიკობა (ამ შემთხვევაში იგივე ქრისტიანობა) საწყევარი სიტყვა გამხდარა. რუსულ-თურქული ურთიერთობის გამოძახილია, აგრეთვე, წყევლა: “– შე მოსკოვიშვილო!” ანდა: “– შე მოსკოველო!”

შავშელთა წყევლაში ხშირად ვხვდებით მეტაფორული აზროვნების ნიმუშებს: “– ჭინჭარი ამოვიდეს შენ ოჯახში!”, “– კარი გამოზრას!”, “– ღმერთმა გაგბარგოს”, “– ღმერთმა საცხა გადაქფუნხოს!”, “– ღმერთმა გაგაბჯინოს!”, “– ფუშში ცეცხლი ჩეგვიარდეს!”

მუსულმანური აღმსარებლობის ჩვენებურთა წყევლის ფორმულებში შესულია სათანადო რელიგიური და თურქულენოვანი ლექსემებიც: “– ღმერთმა ჯეჰენებში წეგიყვანოს!”, “– ღმერთმა იმ დუნიას წეგიყვანოს ჯეჰენებში!”, “– ღმერთმა ყანსერში ჩაგაგდოს!”, “– ღმერთმა ფელჯი გაგხადოს!”, “– ღმერთმა დაგაქოროს!”, “– ღმერთმა მემლექეთში არ ჩეგიყვანოს!”.

შავშეთის სოფლებში, ისევე როგორც საქართველოს ყველა კუთხეში, ძალზე გავრცელებულია ურჩი პირუტყვების წყევლა: “– ღმერთმა გააბჯინოს, ზეირი-ზუსუმი გუუხდეს იკვერცხი!” – დასწყევლიან აბეზარ ქათამს; “– გელემა შეგჭამონ!”, “– ღმერთმა გაგხეთქოს!”, “– გელმა შეგჭამოს და მოგარჩინოს!” – დასწყევლიან დაუმორჩილებელ ძროხას.

პროფესორ შუშანა ფუტკარაძის მიერ იმერხევის სოფელ ხოხლევიში ჩაწერილ “ქათმები სიმღერაში” დაწყველილია მელია, რომელმაც ქათამი შეუჭამა გლეხს:

ვიყიდე ქათამი,
ვერ ვქენი ქარი,
მეგერ ღია დიმიჩა
საქათმი კარი.
უსულათ ეყურებოდა,
მეგერ იქ არი.

გამჩნელმა სულამდი
გარწყიოს, მელო!
(შ. ფუტკარაძე 1993:213)

შავშური საოჯახო-საყოფიერო თუ საწესჩვეულებო პოეზიის ნიმუშებიც უხვად შეიცავენ წყევლის ფორმულებს. ერთ სატრფიალო შაირში გაწბილებული ვაჟი ასე მიმართავს ქალს:

სახლუკნედან საშეშე,
მე შენზენა გავლემდე.
დიგიქორდეს თვალები! –
ტყუილ დუნიაში მომჩეჩე!

(მთქმ. აიჰან სეჩერი (გენჩაროღლი), ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. ბაზგ.).
ასევე დაწუნებული ვაჟის ნათქვამია:

ნაცარა თის ზემოდან,
აჭახული შეშები.
შენ თუ მე არ მომყვები,
მიგიდინდეს ლეშები!

(მთქმ. ერგუნ თუნჯერი (ფალაზოღლი), ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. ზ.).
წყევლაში არც ქალიშვილები ჩამორჩებიან ვაჟებს და აფრთხილებენ გულისსწორს:

ავდექ, ჩაველ ახორში,
დავჯექ ზროხის წველაზე.
შენ თუ მე არ მითხუე,
დავდგენა შენ წყევლაზე!

(მ. ფალავა 2007:97),

ანდა:

თაზე მიმყავს ორი ხბო,
იქით-აქეთ მექცევა,
შენ რო მე არ მითხუო,
შავი დღე მეგექცევა!

(მთქმ. აიშე ილმაზი (მოლოღლი), ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. ზ.).

ჩვენებური ქალები ძალზე უფრთხილდებიან თავიანთ კაცებს, ქმარი იქნება ის თუ შეყვარებული, და მათ შესანარჩუნებლად წყევლასაც არ თაკილობენ:

ე რავად ბუქი მოვდა,
ყავარი'ნა ახადოს.
ვინცხა ჩემ კაც შეხედავს,
ღმერთმა ფელჯი გახადოს!

(მთქმ. გამზი თანრივერდი, ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. ხევწ.).

შავშელთა შორის ზოგჯერ წყევლად გამოყენებულია ამა თუ იმ ლექსის ცალკეული სტრიქონი (“კიწი ამოგივარდა!” ”მოგიდინდეს ლეშები!” “ღმერთმა ფელჯი გაგხადოს” და სხვა); თუმცა, შესაძლებელია, პირიქითაც იყოს – წყევლის ფორმულები იქნას გამოყენებული ლექსში.

წყევლა, როგორც ბოროტი სულის, ავადმყოფობის საწინააღმდეგო ფორმულა, შესულია შავშურ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულ შელოცვებში და ამ თვალსაზრისითაც ჩვენებურთა ფოლკლორული ტრადიციები ზოგადქართულს არ დასცილებია. ასე მაგალითად: იელის, ანუ თიის შელოცვაში ავადმყოფობის მიმართ ნათქვამია:

... იავ, თიავ, წარეგ, კუხეგ,
რას იელევი ცასავებ!
რას ბრუნევი ხარსავეთ!
ეიარე, დეიარე,
დაალავდი ქვასავებ!

(მთქმ. ნებიე იშელი (პეტროღლი), ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წ. ს. სვირ.).
“გათვალულის შელოცვაში” კი ავი თვალის პატრონი ასეა დაწყველილი:

... შენი თვალი მაცემარსა
თვალი უხმებოდა,
ხორცი უშრებოდა!..

(თ. შიოშვილი 2005:105)

“სირსველას შელოცვაში” კანის ამ დაავადებას ასე სწვევლის სვირევენელი სეიფეთინ ქურთი:

... ხარ აპეური გაწვევტია,
სირსველას ძირი წამოწვევტია!

(თ. შიოშვილი 2005.:105).

ხშირად შავშური წვევლის ფორმულად გამოდის ამა თუ იმ შელოცვათა ცალკეული ფრაზები (“– მატავრო, ჰა მიხვალ!”)

ქართველთა შორის გავრცელებული წვევლის ნიმუშები ძალიან დიდ სიახლოვეს ავლენ საერთოქართულ, განსაკუთრებით კი – აჭარულ წვევლასთან, როგორც შინაარსობრივად, ისე სიტყვიერი გაფორმების თვალსაზრისით; მათში წვევლის ფორმულებში შესულია საქართველოს ისტორიული ვითარების ამსახველი დეტალები.

შავშური წვევლები, ისევე როგორც ზოგადქართული წვევლის ფორმულები, მეტაფორული აზროვნების ნიმუშებია და ძალზე საინტერესოა სიტყვის მხატვრული ღირებულების თვალსაზრისით.

გარდა საკუთრივ წვევლებისა, წვევლის ფორმულებს შეიცავს შავშური საოჯახო-საყოფიერო და საწესჩვეულებო პოეზიის ნიმუშები, რაც დამახასიათებელია, აგრეთვე, ზოგადქართული ფოლკლორისთვისაც.

შავშურ წვევლაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ეროვნული ზეპირსიტყვიერების ეს უძველესი უბანი, ისევე როგორც ისტორიული შავშეთის ქართულენოვანი სოფლების ზეპირსიტყვიერების ყველა ჟანრი, კვლავაც ეროვნულ ფოლკლორულ სივრცეშია მოქცეული, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ თურქულ გარემოცვაში მცხოვრებ ჩვენებურებს ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვთ ეთნიკური იერსახე.

§9. ე ა ც ო ს ვ ე ბ ი

დალოცვა ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი არქაული ჟანრია და, შელოცვისა და წვევლის მსგავსად, სიტყვის მაგიური ძალის რწმენაზეა აგებული. ამგვარი რწმენის გენეზისი კი, ჩვენი აზრით, უფრო ქრისტიანულ მსოფლმხედველობაშია დასაძებნი, ვიდრე – წინაქრისტიანულში. სიტყვა, როგორც ხმა და საქმე უფლისა, უდიდესი ძალის შემცველია. წმინდა გრიგოლ ნოსელის თანახმად, “სიტყვაჲ ღმერთისაჲ საქმე არს და ყოველი დაბადებული სიტყვითა მისითა დაიბადების ... ყოველთა არსთა შორის სიტყუაჲ ბრძენი და ხელოვანი დაწესებულ არს” (წმ. გრ. ნოსელი 1988:236). მწერალი კონსტანტინე გამსახურდია მიუთითებდა: “ძველად ესმოდათ, რომ თქმა ქმნაზე უფრო დიდია, რომ თქმას დიდი მორიდება უნდა; სიტყვა ბევრ რამეს იწვევს, სიტყვა სულს იწვევს და სულიერს... ჩვენ მუდმივ ფერისცვალებას განვიცდით და ამას უთუოდ საგნების ხსენება და შეხება იწვევს” (კ. გამსახურდია 1959:96-97). შემთხვევითი არ არის, რომ ქართული საზღაპრო ეპოსის დასასრულ ფორმულაში გამოთქმულია სიტყვები, რომლებსაც პროფილაქტიკური და პროდუქტიული მაგიის დანიშნულება აქვთ:

ჭირი – იქა, ლხინი – აქა,
ქაბო – იქა, ფქვილი – აქა.

ანდა:

მთქმელსა და გამომგონებელსა
ჭირი გაშოროთ ყველასა!

ან კიდევ:

აივსენით ქონებითა,
ჭკუითა და გონებითა!

არც ის არის შემთხვევითი, რომ ქართული ხალხური ნოველისტური ზღაპრის ბრძენი გმირი, რომელიც მოჯამაგირეობს, გასამრჯელოდ სამ სიტყვას (რჩევა-დარიგებას) ამჯობინებს, რაც შემდგომში მისი კეთილდღეობის საწინდარი ხდება (ჯ. ნოღაიძე 1972:132-135).

საქართველოს ყველა კუთხის ხალხური სიტყვიერება მდიდარია დალოცვათა ლაპიდარული ფორმულებით, რომლებიც სწორ შემთხვევაში ცალკეულ ფრაზეოლოგიზმებსაც წარმოადგენენ და ამდიდრებენ ენის ლექსიკურ ფონდს. ბუნებრივია, ძირძველი ქართული რეგიონის – შავშეთის ზეპისიტყვიერებასაც შემორჩა დალოცვები, რომლებიც, ფაქტობრივად, იდენტურია ზოგადქართულისა.

საქართველოს ყველა კუთხეში ბოლო დრომდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაშია დალოცვა-სადღეგრძელოები, რომლებიც ჩამოყალიბებული რიტმული წყობის პოეტური სადღეგრძელოებია და ძირითადად წარმოითქმება ღვინის, უმთავრესად – ქორწილის დროს და მისი ადრესატები ძირითადად არიან ნეფე-დედოფალი, მეჯვარეები და ნეფე-დედოფლის ახლობლები; დასავლეთ რეგიონებში (აჭარა, გურია, რაჭა, იმერეთი) კი ძველად დიდი პოპულარობით სარგებლობდა მესტირეთა, მეჭიბონეთა თუ მეწონგურეთა დალოცვები, რომელთა ადრესატი განუსაზღვრელი იყო, თუმცა შესრულების ადგილი – განსაზღვრული; ამგვარი ლექსითი დალოცვა-სადღეგრძელოები წარმოითქმებოდა სუფრასთან, რასაც, ბუნებრივია, თან ახლდა ღვინის სმა; ამდენად, სრულიად ბუნებრივია, რომ მუსულმანური რელიგიის გამოსვლით, შავშურმა ყოფამ ვერ შემოინახა პოეტური დალოცვა-სადღეგრძელოთა ტრადიცია, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათ ყოველდღიურ მეტყველებას უხვად ასაზრდოებს დალოცვის მოკლე, ლაპიდარული ფორმულები, რომლებიც, ისევე როგორც ზოგადქართული მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი, ძირითადად წყველათა ანტითეზებია:

წყველა: – კაი დღე არ მოგცეს!

დალოცვა: – კაი დღე მოგცეს!

წყველა: – ღმერთმა სიმწარე მოგცეს!

დალოცვა: – ღმერთმა სიმწარე არ მოგცეს!

წყველა: – შენი გულისა არ მოგცეს ღმერთმა!

დალოცვა: – შენი გულისა მოგცეს ღმერთმა!

წყველა: – გაგაბჯინოს!

დალოცვა: – გაგახაროს! და ა.შ.

შავშურ დალოცვათა ფორმულებში, ზოგადქართულის მსგავსად, გამოთქმულია სურვილი ადამიანის ჯანმრთელობისა და ხანგრძლივი სიცოცხლისა:

– ბევრი ჯანი მოგცეს!

– გამჩენმა ჯანი საღი მოგცეს!

– ღმერთმა ომრი მოგცეს!

– ღმერთმა წყალსავენ ბევრი დღე მოგცეს!

– ღმერთმა დღით, ომრით გაგაძღოს!

შავშურ დალოცვებში განსაკუთრებით გამორჩეულია ჯანსაღი და ხანიერი ცოლქმრული ურთიერთობის სურვილი; ამიტომაც ახალშეუღლებულებს დალოცავენ:

– ღმერთმა ერთ ბალიშზე დაგაბერონ!

– ღმერთმა ერთ კლავზე დაგაბერონ!

– ღმერთმა ქალი-კაცი ერთ ბალიშზე დაგაბერონ!

– ღმერთმა ერთად გამცხოვრონ!

აღსანიშნავია, რომ აბსოლუტურად იდენტური დალოცვის ფორმულებია გავრცელებული საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში.

შავშები დედოფალს დალოცავენ:

– ღმერთმა მაგ სახში დაგაბეროს!

– ღმერთმა მაგ სახში გერმელობა მოგცეს!

დედამთილი კი ასე დალოცავს პატარძალს: “ – ღმერთმა გერმელთით, მშვიდობით, ჩემ შვილის უკან დაგაბეროს!”

დასაოჯახებლებს უსურვებენ კარგ მეორე ნახევარს:

– ხას ქალ შეგყაროს!

– ღმერთმა კაი ქალი მოგცეს!

- შენი გულისა მოგცეს ღმერთმა!
- ღმერთმა ღამაზი ქალი მოგცეს!
- ღმერთმა კაცის პირი დაგანახოს!

ქართველი კაცის ოდინდელი მისწრაფება გამრავლებისადმი სათანადოდ აისახა შავშთა დალოცვის ფორმულებში;

- ღმერთმა შეიღები თავამდი მოგცეს!
- ბაღეები მოგცეს ღმერთმა!
- ღმერთმა ბევრი ბაღეები მოგცეს!
- ღმერთმა კაი ბაღანა მოგცეს!
- ღმერთმა შეილი დაგანახოს!
- ღმერთმა მშვიდობით, გერმელობით შენი შეიღები შენ მოგცეს!

ბუნებრივია, შავშთათვისაც სასურველია ოჯახის მომავალი ბურჯის – ვაჟიშვილის დაბადება, რაც სათანადოდ აისახა კიდევ დალოცვის ფორმულაში: “ - ღმერთმა შეილი კაცი მოგცეს!”

შავშურ დალოცვებში წინა პლანზეა წამოწეული ოჯახი, მისი სიძლიერე, ოჯახის წევრთა ჯანმრთელობა და სიცოცხლე:

- მამის ოჯახზე გაცოცხლოს ღმერთმა!
- ოჯახთან მშვიდობით მიგასხას!
- ღმერთმა ანაჲ – ბაბაჲ მოგცეს!
- ღმერთმა დაგანახოს ანაჲ, ბაბაჲ, იმის ერთათ გაგზარდოს!
- ღმერთმა მშვიდობით, გერმელობით შენი შეიღები შენ მოგცეს!

ჩვენებურთა დალოცვაში ყურადღებას იქცევს ადამიანური თავმოყვარეობის ფაქტორიც:

- ღმერთმა ვინცხას ამარა არ გაგხადოს!
- ღმერთმა კაი გენშიში მოგცეს!

შავშელთა დალოცვის გამორჩეული ადრესატია ახალგაზრდობა:

- ახლებმა იცოცხლეთ!
- დიდი კაცი გაგზარდოს!
- ღმერთმა გაგზარდოს, შეილოჯან!

შავშურ დალოცვათა დიდი ნაწილი ცხოვრებაზე, ადამიანის სიცოცხლის არსსა და მიზანზე ხანგრძლივი დაკვირვება-გამოცდილების შედეგად შემუშავებული ფორმულებია, რომელთა წარმოთქმითაც გამოხატულია სურვილი ათასგვარი ხიფათითა და მოულოდნელობით სავსე ადამიანური ცხოვრების თანამდევი დაბრკოლებებისაგან განთავისუფლებისა და უფლის წყალობისა:

- ღმერთის ღუა შენ ზეიდან იყოს!
- ღმერთმა ღამაზი თვალებით შეგხედოს!
- ბელადან, ყაზადან ღმერთმა შეგინახოს!
- არა დერდი არ მოგცეს!
- გზა-კვალი გიგისხნას!
- საცხან წახვალ, გზა-კვალი გიგირჩიოს!
- ღმერთმა გზები გიგირჩიოს!
- კარგობა მოგცენ!
- კარგ მურადს შეგყარონ!
- ღმერთმა დერდი გიგიქარვოს!

აღსანიშნავია, რომ ქართული ხალხური დალოცვა ერთგვარი დამოძღვრაც არის, რათა ადამიანს ზნეობრივი საფანელი არ შემოკლდეს, არ აჰყვეს წუთისოფლის საცთუნებლებს: “ - ღმერთმა ღამაზად გაცოცხლოს!” “ ღმერთმა ფეხი არ წამოგაკვრევიოს ქვაზე!” – დაგლოცავენ ჩვენებურები და ამით გისურვებენ, არაფერი შეგშლოდეს, ბოლომდე პირნათლად მოგეხადოს ადამიანური ვალი.

ისტორიულად მტრებით გარემოცული ქართველობისათვის, ბუნებრივია, მნიშვნელოვანი იყო დალოცვაში გამოხატული სურვილი იმისა, რომ მტერი არ ჰყოლოდა; ამაზე მიუთითებს

დალოცვა: “ – ღმერთმა დუშმანი არ მოგცეს!” თუმცა, ტოლერანტ შავშთა დალოცვა მტრებსაც კი ერგოთ და გამოითქვა სურვილი მათი გაკეთილშობილება-გაადამიანურებისა:

- დუშმანმაც თავითვინ იცოცხლოს!
- იმასაც (დუშმანს) ინსნობა მიცეს!

საერთოდ კი, უნდა აღინიშნოს, რომ შავშურ მეტყველებაში ძალზე პოპულარულია სიტყვები: “მშვიდობა”, “კარგობა” და “გერმელობა”, რაც მშვიდ, წყნარ, ურთიერთსიყვარულსა და გაგებაზე დამყარებულ ურთიერთობას გულისხმობს და რაც დალოცვებშიც ხშირად გვხვდება:

- მშვიდობით, გერმელობით იყავ!
- ღმერთმა გერმელობა მოგცეს!
- ღმერთმა გერმელი, საღი ჯანი მოგცეს!
- ღმერთმა გერმელობით ჩაცმა გადირსოს!
- ღმერთმა გერმელობით დაგაფრეწოს ახალი ურუბა!
- ღმერთმა საცხა წახვალ, კარგობა მოგცეს!
- ღმერთმა კარგი მოგცეს დანი!
- ღმერთმა მშვიდობით გარონოს!
- მშვიდობით წადი!
- ღმერთმა მშვიდობით წიგიყვანოს, მშვიდობით მიგიყვანოს!

ისტორიულ ძნელბედობათა გადამტანი ერისათვის თეთრ ტანსაცმელში დაბერება სანატრელი იყო ყოველთვის. “თეთრ ლენაქში დაბერდი!” – ამგვარი დალოცვა ქართველი დედისათვის უთუოდ ყველა დალოცვაზე მეტად ფასობდა. შავშთა ზეპირსიტყვიერებაშიც, ბუნებრივია, პოპულარულია დალოცვები:

- ღმერთმა თეთრ საკვალში დაგაბეროს!
- ღმერთმა თეთრ აზმაში დაგაბეროს და შავები აღარ ჩაგაცვას!
- ღმერთმა თეთრ წვერში დაგაბეროს!
- ღმერთმა კაი უბით დაგაბეროს!

მუსულმანურმა აღმსარებლობამ შავშთა დალოცვის ტექსტებშიც შეიტანა თურქულენოვანი რელიგიური ლექსემები:

- ჯენნეთი მოგცეს!
- ღმერთმა ჯენნეთში წიგიყვანოს!
- ღმერთმა ხეირ-სელამეთი მოგცეს!
- ღმერთის დუა შენ ზეიდან იყოს!

შავშურ დალოცვაში არ ავიწყდებათ ეკონომიკური მხარეც; გაჭირვებულთა და მუდამ საშოვარზე (“მოსაკებელზე”) მყოფთა ლექსიკაში სრულიად ბუნებრივად შევიდა ამგვარი დალოცვებიც:

- ღმერთმა ბევრათ მოგაგებინოს!
- ღმერთმა სულ ბევრი მოგცეს!

ხეხილის პირველ ნაყოფს რომ დააგემოვნებენ ჩვენებურები, დაილოცებიან: “ – კიდევ მეესწრა ამ დუნიას!” ამ დალოცვის ზოგადქართული ვარიანტია: “ – ღმერთმა მრავალს მოგასწრას!”

შავშთა დალოცვაში სამეურნეო-აგრარული პროფილაქტიკური მოტივიც დავაფიქსირეთ: “ – ღმერთმა გამჩენმა შენ ეზოში სეტყვა არ მიეყვანოს!”

ჩვენებურებმა ექსპედიციის წევრებიც დაგვლოცეს:

- ღმერთმა მშვიდობით მიგასხათ შინ!
- ღმერთმა სელამეთით მიგასხან!
- ღმერთმა სახში მშვიდობით მიგიყვანონ!
- ღმერთმა ჩიტვიით გარონოს!

და ისურვეს, კვლავაც გვდირსებოდა ერთმანეთთან შეხვედრა: “ – კიდევ გვედირსოს ერთმანეთის ნახვა!..” – ეს კი ოდინდელი სურვილია ყოველთა ქართველთა.

§9. ანდაზები

მსოფლიოს ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი სამშენისია ფორმით მცირე, მაგრამ თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით უთვალსაჩინოესი ჟანრი – ანდაზა, რომელიც ცხოვრების თითქმის ყველა მხარეზე ამახვილებს ყურადღებას და სხარტი, ლაპიდარული, მოხდენილი ფორმით გვთავაზობს პასუხს მრავალ კითხვაზე, გვმოდღვრავს, გვაძლევს რჩევა-დარიგებებს, გვაქებს და გვახალისებს, გვეკიცხავს და პირუთენელად გვამხელს; ყოველივეს შედეგი კი უცილობელი ზნეობრივი კათარზისია.

ანდაზური მეტყველება, რაც თავისთავად ენის ლექსიკური სივრცის სიმდიდრესა და მოქნილობაზე მიუთითებს, ყოველთვის ამშვენებდა და ამშვენებს ჩვენს ეროვნულ ფოლკლორულ შემოქმედებას; იგი ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების, მისწრაფებების, ზნეობრივ-მორალური იდეალებისა და შეხედულებების ნათელი ანარეკლია; მასში ცხოველმყოფლად და ლაკონურად არის ასახული და გადმოცემული ჩვენი წინაპრების მიერ სამყაროზე, ადამიანთა საზოგადოებაზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად შემუშავებული ზნეობრივ-მორალური კოდექსი, რის გამოც ანდაზა ყოველთვის იყო და რჩება ხალხის დამოძღვრის, დიდაქტიკურ-მორალური კომუნიკაციების საუკეთესო საშუალებად, ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთ უტყუარ და გულმართალ ტრიბუნად.

ქართული ხალხური ანდაზების დიდი მონაგე თედო სახოკია წერდა: „ანდაზა სხარტულად გამოთქმული სიბრძნეა ხალხისა, მთელი საუკუნეების დაკვირვების შედეგი და წარმონაშობი. ისე მკაფიოდ არსად იხატება დაკვირვება ამა თუ იმ ხალხისა, როგორც ანდაზაში. კიდევ ამიტომა აქვს საპატიო ადგილი ანდაზას ხალხის ზეპირსიტყვიერებაში“ (თ. სახოკია 1898:75–76).

საანდაზო მეტყველება, რომელსაც მთლად არქაულს ვერ ვუწოდებთ, ოდითგან ახასიათებდა ჩვენს ერს; ანდაზების ჩამოქნა-დახვეწას, მართალია, ხანიერი გზის გამოვლა სჭირდება, მაგრამ ერთ-ერთ საანდაზო ფორმულაზე – „ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს“ – თვალის გადავინებაც საკმარისია დასკვნისათვის, რომ ხალხის მიერ ერთხელ შემუშავებული ბრძნული თეზა საუკუნეებს უძლებს: „ახალი აღთქმის“ ქართული თარგმანის მიხედვით პავლე მოციქულის მიერ თესალონიკელთა მიმართ წარმოთქმული ეს ანდაზა ამგვარად გამოითქმის: „უკუეთუ ვისმე არა უნებს საქმის, ნუცა ჭამნ“ (ახალი აღთქმა, 1963 : 495); X საუკუნის ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ამ ანდაზამ იგივე აზრი ამგვარად გამოსატა: „რომელი არა შურებოდეს, ნუცადა ჭამნ“ (თავი XXI).

ანდაზათა დაფიქსირება, მისი სპეციფიკურობის გამო, ძალზე საძნელოა; მის წარმოთქმას აუცილებლად სჭირდება სათანადო გარემო და სიტუაცია; სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ შავშეთში ორჯერ (2005 და 2009 წწ) მოწყობილი ექსპედიციების დროს სულ 21 ანდაზის ჩაწერა შეეძლოთ სოფლებში: მანხატეთი, სვირევანი, ივეთი, ხევწრული, ჯვარიხევი, მანატბა, უბე, ბაზირეთი და ჩაქველთა. მიუხედავად ამგვარი სიმწირისა, შავშთა საანდაზო მეტყველებაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ჩვენი სისხლისა და ხორცის ნაწილი ჩვენებურები ისევე ჭვრეტდნენ და ჭვრეტენ სამყაროს, ისეთივე დასკვნები გამოაქვთ ამა თუ იმ საზოგადოებრივ მოვლენებზე და ადამიანთა ურთიერთობებზე, როგორც ყველგან მთელს საქართველოში; რომ შავშელთა ანდაზებიც, ისევე როგორც სხვა ყველა ჟანრი მათეული ფოლკლორული შემოქმედებისა, საერთოქართული ზეპირსიტყვიერების ორგანული ნაწილია.

ქართულ მეტყველებაში ფართოდ გავრცელებული ანდაზა „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე“ შავშეთში ასე გამოითქმის: „ანაჲ ნახე, დაჲ ნახე, შვილი ნახე, მადლიაო“; „ანას შეხედე – ბაჭალა ითხუე, ქენერზე შეხედე – ეიდე“. ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, შავშთა შორის გავრცელებული ამ ანდაზის სიბრძნეც ცალსახად მიუთითებს, რომ მოზარდი თაობის აღზრდა - ფორმირება დიდად არის დამოკიდებული იმ სოციალურ გარემოზე, რომელშიც იზრდება; ამ მხრივ კი ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება ოჯახს, მშობლებს.

ქართულ ხალხურ ანდაზებში უდიდესი გულისტკივილია ჩაქსოვილი სოციალური უთანასწორობის გამო; გაკიცხულია ქონებრივი მდგომარეობით გამედიდურებულ-გაამაყებელი ადამიანი და მას უპირისპირდება თავმდაბლობა და მოკრძალებულობა. იგივე აზრია გამოთქმული შავშურ ანდაზებში: „გაზენგილებულა და ცხვირი გაუზღიაო“; „კაკლის ხეჭოდან გამოიდა, კაკლის ხეჭოს აღარ წონულობსო“; „კაკლის ხეჭოდან გამოსულა და ჩვენი თავი არ მოწონსო“. ბოლო ორი შავშური ანდაზის აჭარული ვარიანტი ასეთია: „წაბლი ბუჭიდან გამოვდა, ბუჭი აღარ იკადრაო“.

საქართველოში ყოველთვის დიდად ფასობდა კუთხე-მეზობლობა, ხალხის, თემის სამსახური და ურთიერთანხმობა და მზრუნველობა. ეს შესანიშნავი ჰუმანური ტრადიცია კარგად აისახა ქართულ ხალხურ ანდაზებში. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ძალზე პოპულარულია კეთილმეზობლური ურთიერთობის, მეზობლისადმი უშურველობისა და ხალასი ადამიანური დამოკიდებულების აღმნიშვნელი ანდაზა „მეზობელს რომ მუცელი ასტკივდება, შენც მუცელზე ხელი უნდა მოისვაო“. ეს უაღრესად კეთილშობილური, ჰუმანური იდეით გაჟღენთილი ანდაზა თითქმის იგივე სიტყვიერი ქსოვილით გადმოიცემა შავშურშიც: „მეზობელ ქი დაჩხვერს, შენ ფუშზე ხელი'ნა დეიდგაო“.

სტუმართმოყვარეობა ჩვენი ძირძველი ეროვნული ტრადიციების ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. სტუმარი „ღვთისაგან გამოგზავნილად“ შერაცხა ჩვენმა წინაპარმა და ამით დიდებულად გამოხატა მისადმი სიყვარული და პატივისცემა. ზოგადქართული ანდაზა „მოსვლა სტუმრის ნებაა, წასვლა – მასპინძლისაო“ შავშურშია ზეპირსიტყვიერებამ უცვლელად შემოინახა: „მოსლა შენ თქმით არი და წასლა შენ თქმით არ არიო, – სტუმარს უთხრა მასპინძელმაო“.

დასაბამიდან ებრძვის ერთმანეთს კეთილი და ბოროტი, დასაბამიდან აწვადებს და აინტერესებს ადამიანსაც ეს ორი ურთიერთსაპირისპირო საწყისი, მათ არსში ჩაწვდომისა და განჭვრეტის წადილი. ქართული ზეპირსიტყვიერების ყველა ჟანრი ქადაგებს სიკეთის სამსახურს; ცხოვრებაზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად მიღებული გამოცდილება, რომ ბოროტების გზა მოკლეა, რომ ადრე თუ გვიან მას სიკეთე ამარცხებს, შავშურში საანდაზო მეტყველებაში ამგვარად არის ფორმულირებული: „გონჯობიდან რამე არ გამოუაო“; „ხორცი არ იჭმება, ქონიც არ იჭმება, ინსნობა კადა“.

სიკეთის მსახურების ცნებას, ზნემაღალ ადამიანურ თვისებებსა და სათნოებას უშუალოდ უკავშირდება ამა თუ იმ პიროვნების მიმართ საზოგადოებაში შემუშავებული აზრი, რაც ადამიანის ავტორიტეტს, მის სახელიანობასა თუ პირიქით – მის უზნეობასა და უსახელობას გახაზავს. „ვეფხისტყაოსნისეული“ სიბრძნე „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“ ქართული ხალხური ანდაზების ერთ-ერთი აქტუალური თემაა და გვასწავლის: „სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობია“; „სახელი ჯობს ქონებასო, მამჩემის ცხონებასო“; შავშური საანდაზო სიბრძნე კი გვმოძღვრავს, რომ სახელიანობა ადამიანს არა მარტო მიწიერ ცხოვრებაში, არამედ საიქიოშიც სჭირდება: „სახელი იმ დუნიასაც გვინდაო“. ეს დიდებული ანდაზა კიდევ უფრო მეტ კორექტურობასა და ადამიანურობას ავალებს ადამიანს, რათა წინაპართა საუფლოს სახელიანი წარუდგეს.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გავრცელებული ხალხური ანდაზების – „თაფლი რომ წინ გედოს, თითი უნდა გაილოკო“, „ვინც თაფლი ჭამა, თითიც იმან უნდა გაილოკოსო“ – ანტითეზურია შავშური ანდაზა „სხვამ თაფლი ჭამოს და შენ ტიტვირები ილოკეო“.

შავშურ ანდაზებში, სხვა ქართულ რეგიონებში გავრცელებული ანდაზების მსგავსად, ყურადღება ექცევა საყოფიერო თემატიკასაც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა რძალ-მუღს შორის არსებული ნეგატიური ურთიერთობის ამსახველი ანდაზა „რძალს მუღი მუხი ესობაო“. ბრძენ შავშ მთქმელთა მახვილ თვალსა და გონებას არ გამოპარვია უმაღური შვილების მშობელთა მდგომარეობაც და შეუთხზავთ ანდაზა „შვიდი ვირი გაგზარდე და ჩემი ძუქი არ მომეხსნაო“. ქართული ხალხური საყოფიერო ანდაზა „წყველა მწყველელისა არიო“ იდენტურად არის შემონახული შავშელთა შორის: „წყველა წყვეარისა არიო“. არც დარდი და სევდაა უცხო ქართველი კაცისათვის; ამიტომაც ქადაგებს შავშური ანდაზა: „უღერდელი იმ დუნიას არიანო“.

შავშური ანდაზების ერთ-ერთი მტკივნეული თემაა სიკვდილ-სიცოცხლის ძველი და მარად ახალი პრობლემა. მრავალჭირგამომეღილმა ქართველმა ყოველთვის კარგად იცოდა,

რომ „სიკვდილი გადასახდელი ვალია“ და მის წინაშე შიში ვერაფერი ვაჟკაცობაა; ამიტომაც შავშური პარემია პირდაპირ, შეულამაზებლად აცხადებს: „ცხრა მერთეჟი გვიცდისო“ და ამით კიდევ ერთხელ აფრთხილებს ადამიანებს, ახსოვდეთ სიკვდილი, რათა ამქვეყნად მიზანმიმართულად და ზნეობრივად იცხოვრონ.

ამრიგად, შავშეთის ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილი ანდაზები ერთის მხრივ გვაცნობენ ჩვენებურთა ყოფიერებისა და სულიერების შუქჩრდილებს, მათ მსოფლგაგებას, ზნეობრივ იდეალებსა და ინტერესებს, მეორე მხრივ კი ნათლად ადასტურებს, რომ ჩვენებურთა ეს ზეპირსიტყვიერი უბანიც ერთიანი ქართული ფოლკლორული წიაღის ნაწილია.

§10. თქმულება-გადმოცემები

დღემდე შემორჩენილ შავშურ ზეპირსიტყვიერებაში დომინანტობს პოეზია, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ჟანრის ლაპიდარულობისა და, აგრეთვე, ჩვენებური „გარმონიკების“ დამსახურებაა. მიუხედავად ამისა, შავშეთის სოფლებში ჯერ კიდევ ახსოვთ ზოგიერთი საისტორიო თქმულება-გადმოცემა. აღსანიშნავია, რომ საისტორიო ფოლკლორი ქართული ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი მდიდარი უბანია; თავის დროზე, ალბათ, ამგვარი ვითარება იქნებოდა ძირძველ ქართულ რეგიონში – შავშეთში, თუმცა, ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, დღეისათვის ძალზე მწირად გამოიყურება. რუსეთ-ოსმალეთის ომის ბოლო ეტაპის (1877–1878) დაწყების წინ, 1874 წლის გაზაფხულზე, ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ისტორიული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ აჭარაში, შავშეთსა და კლარჯეთში, რუსეთის მთავრობის დავალებით დაზვერვითი სამუშაოს ჩასატარებლად იმოგზაურა და ეს რეგიონები აღწერა გიორგი ყაზბეგმა ნაშრომში „სამი თვე თურქეთის საქართველოში“. შავშთა საისტორიო ზეპირსიტყვიერების თაობაზე იგი მიუთითებდა: „ისტორიული გადმოცემები შავშეთში ძალზე ღარიბია. ყველა მონათხრობი იმეორებს ბეგების გვარის ისტორიას. შავშეთში ასეთი სამია: ძველი სამცხის ათაბაგები, იმერხევის ათაბაგები და ბეგები ხიმშიაშვილთა გვარიდან“ (გ. ყაზბეგი 1995 : 94).

მიუხედავად საისტორიო თქმულება-გადმოცემათა სიმწირისა, შავშეთში, ისევე როგორც საქართველოს ყველა რეგიონში და განსაკუთრებით აჭარაში, ძალზე დიდი პოპულარობით სარგებლობს თამარ მეფის სახელი. ხსოვნა ქართველთა საამაყო მეფე ქალისა ამ კუთხის მკვიდრთა მესხიერებასაც შეუბღალავად შემოუნახავს. თავის დროზე თედო სახოკია მიუთითებდა აჭარელთა მიერ ყოველი ნაგებობის თამარის ეპოქაში აშენებულად მიჩნევაზე (თ.სახოკია 1950:200); შავშთა შორისაც იგივე ვითარება დავაფიქსირეთ; აქაური ქართველებიც ყოველ ხიდსა თუ ციხე-სიმაგრეს „თამარ დოდოფალს“ მიაკუთვნებენ და დიდი ენთუზიაზმით ყვებიან საარაკო მეფის შესახებ.“ აქაური თამარას ყალები არიან. ხევიდან დუშუშკრივებია კაცები, ხელიდან ხელში აძლევენ ქვებს, ჩვენი (ს. სვირევის – თ.შ.) ყალე ისე უუშენებია“, – სიამაყით განუცხადა პროფ. მერი ცინცაძეს 75 წლის სვირევენელმა ვაჰად ყისამ (მ. ფაღავა, მ. ცინცაძე 2007:279). ექსპედიციის მიერ დაფიქსირებული შავშური გადმოცემაც სვირევანის ციხის აშენების თაობაზე სწორედ ამგვარ გადმოცემათა ციკლს განეკუთვნება და ეხმიანება საერთოქართულ ფოლკლორულ ტრადიციას.

ზემოთ დასახელებულ ნაშრომში გიორგი ყაზბეგი, საუბრობს რა ტბეთის სახელგანთქმული ტაძრის გრანდიოზულობასა და მის აშენებაში გამოყენებულ მასალაზე, წერს: „სოფლის გარეუბნებში ამ ჯიშის ქვა არ მოიპოვება. ამიტომ ყურადღებას იმსახურებს ხალხური გადმოცემა იმის შესახებ, რომ მთელი სამშენებლო მასალა დაამზადეს ამ სოფლიდან ოცი ვერსის დაშორებით. ქვებს ხელიდან ხელში გადასცემდნენ აუარებელი მშენებლები, რომლებიც ერთ რიგად იყვნენ ჩამწკრივებული ქვის სამტეხლოდან სამშენებლო მოედნამდე. მსგავსი იგაგები თურქეთის საქართველოს სხვა დიდი ტაძრების შესახებაც გავიგონე“ (გ. ყაზბეგი 1995:79).

თამარ მეფეს, როგორც ეკლესია-მონასტრებისა და ციხე-სიმაგრეების დაუღალავ მშენებელს, კარგად იცნობს ზოგადქართულ ფოლკლორში თავჩენილი თქმულება-გადმოცემები.

ერთ-ერთი აჭარული თქმულების თანახმად, „ეს ყალიბი, ეს ციხეები გააკეთა თამარ დედოფალმა. მაგას ყავდა ბევრი მოწინააღმდეგე; მისდევდნენ, მოსდევდნენ, მარა თამარი გევდოდა, გააკეთებდა ყალეს; მოაწევდა ისე საქმე, ვეღარ დადგებოდა, გევდოდა სხვა ყალეში. ყალეს აკეთებდა ასე: დააგროვებდნენ ქვას, ეიწკაპებოდნენ, აძლევდნენ ხელიდან ხელში და კეთებოდა მაგრე. იმფო და იმფო მაგარს აკეთებდა“.

სამშენებლო მასალის ხელიდან ხელში მიწოდების ამგვარ ხერხს თამარის ეპოქის მშენებლობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა ქართული თქმულება—გადმოცემა იცნობს (თ.შიოშვილი 2004:284). ერთ-ერთი მათგანია აჭარაში გავრცელებული ხირხათის ციხის მშენებლობასთან დაკავშირებული თქმულება—გადმოცემა, რომლის დასასრულსაც მთქმელი სიამაყით აღნიშნავს: „... დელიდან ხირხათის ჭიშკრამდინ ხელიდან ხელში აქვან ატანილი ქვები. იმდენი ხალხი ჰყავდა თამარ მეფეს, იმფერი ძალა ჰქონდა თამარ მეფეს! (თ.შიოშვილი 2004:285).

თამარის მიერ წარმოებული მშენებლობის ამ სტილზე მიუთითებს, აგრეთვე, მამია ფაღავასა და თინა შიოშვილის მიერ 2005 წელს სოფელ უსტამისში ჩაწერილი გადმოცემა, რომლის თანახმადაც „უსტამისის ყალე თამარა დედოფალმა გააკეთა. ქომოთ ჰვეიდან ხელში უძლევიან ქვა, ისე ამუშტანიან“.

თამარ მეფის მიერ აშენებულ ციხე-სიმაგრეთა შორის არსებულ დამაკავშირებელი გვირაბების თემა ძალზე პოპულარულია ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. ამ ციკლის გადმოცემა დააფიქსირა პროფ. რამაზ ხალვაშმა სოფელ უსტამიში 2005 წელს (მთქმ. ეუბ ალთუნი): „ამბობენ ქი, ჰვეიდან ჰველზე ქვები ამუშტანიან ყალეზე ჭორულიდან თამარა დედოფალი დროში... ქვები დუუგზელებიან და დუუკოჭიან... შავშეთ ყალე არია, იქამდე გადიოდა თუნელი“.

ქართულ ფოლკლორში ფართოდ არის გავრცელებული თქმულება—გადმოცემები და ლეგენდები თამარის გარდაცვალებასა და გასაიდუმლოებული საფლავის თემაზე, რომელთა მიხედვითაც საქართველოს თითქმის ყველა კუთხე იჩემებს, რომ დიდებული მეფე სწორედ იქ მარხია. შავშურმა ზეპირსიტყვიერებამაც შემოინახა ლეგენდა თამარ მეფის გარდაცვალებისა და დასაფლავების ადგილის შესახებ. ამ ლეგენდის თანახმადაც, ისევე როგორც საერთო-ქართული ფოლკლორული წყაროების მიხედვით, თამარს მტრები ყავდა, „დუშმანებ მეკლესნა“; მან კი დაიბარა თავისი ხალხი და უბრძანა, მოეკლათ და ისეთ ადგილას დაესაფლავებინათ, სადაც მტერი ვერ მიაგნებდა; შემდეგ კი თავები დაეხოცათ, რათა საიდუმლო არ გაეცათ: „—ენ წინ მეწა მომკლათ, იმითანა ალაგ ჩამფლათნა ქი, ვერ შემეყარნენ ჩემ მეზარზე. მე ქი ჩამფლავთ, თქვენი თავიწა დედვოცოთნა! და ერთმანეთი დუუხოციან“ (რ.ხალვაში 2007:312).

იმერხევში, სოფელ ბაზგირეთის ზემოთ მდებარე საზგირელას მთაზე, ადამიანის ძვლები უპოვიათ და ლეგენდის მთქმელის — ეუბ ალთუნის — გადმოცემით, ეს „ძვლიები თამარა დედოფლის ყორუმის ძვლიები არიო“.

მართალია, უსტამისურმა ლეგენდამ ვეღარ შემოინახა ხსოვნა იმისა, თუ ვინ იყვნენ თამარის დუშმანები და რატომ ემტერებოდნენ, მაგრამ თავად ლეგენდა ზოგადქართულ ფოლკლორში კარგად ცნობილ თამარის გარეშე მტრებისა თუ ჯიუტი ხელის მოხონელი სულთნების თემას განეკუთვნება და თვალნათლივ მიუთითებს, რომ თამარის ციკლის შავშური საისტორიო ფოლკლორი საერთოქართულის ორგანული შემადგენელი ნაწილია, თუშცა — ჩვენებურთა მესხიერებაში ერთობ კინიანდ შემონახული.

შავშეთში მოგვითხრობენ აჭარის ფოლკლორულ—ეთნოგრაფიულ ყოფაში ფართოდ გავრცელებული „ქვა—კაცების“ შესახებ. სოფელ ჩაქველთას მკვიდრმა ზაფერ თექეშუშმა (ბაირახტაროღლი) პროფ. რ.ხალვაშთან საუბარში აღნიშნა, რომ ხოსლევისა და ჩაქველთას საზღვარზე არის ორი ქვაკაცი: „ვოკლეველების და ჩვენ ჰუდუღზე არიან ქვაკაცი, ორი თანე. იმ ალაგ ორთვალას ეძახიან, ებნევიან. ორი წყაროა“. მართალია, ამ მოკლე გადმოცემაში ინფორმატორის მეხსიერებამ ვეღარ შემოინახა ცოდნა იმის თაობაზე, თუ რა ფუნქცია ეკისრებოდა მთაზე აღმართულ ქვაკაცებს, მაგრამ თავად ფაქტის დაფიქსირებაც უკვე აშკარად მიუთითებს, რომ ქართველთა არქაულ რწმენა—წარმოდგენებთან გვაქვს საქმე; ხოლო მთქმელის მითითება იმის თაობაზე, რომ იქ, ქვაკაცების საუფლოში, „ორი წყაროა,“

ადასტურებს ქართულ მეცნიერებაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ეგრეთწოდებული „ქვაკაცები“ იგივე მეგალითური კულტურის ძეგლებია, რომელთაც ჩვენი წინაპრები შესთხოვდნენ სასურველ ამინდს, ჭირნახულის სიუხვესა და ოჯახურ სიკეთეს.

აჭარაში გავრცელებული რწმენის თანახმად, ქვაკაციდან ქვის გადაგდება დიდი ცოდვაა, რაც ადასტურებს, რომ ისინი სალოცავ კერპებს წარმოადგენდნენ, ქვადვთაებებად იყვნენ მიხნეულნი და, ვეშაპოიდების მსგავსად, ამინდისა თუ წყლის გამგებლის ფუნქცია მიეწერებოდათ. ყოველივე ეს კი, როგორც მკვლევარი ზურაბ თანდილაგა მიუთითებს, მოწმობს იმას, რომ ეგრეთწოდებული „ქვაკაცები“ ამინდის მაგიურ მართვას უკავშირდებოდნენ, „წყლის სიუხვის ორგანიზების რწმენასთან უნდა ყოფილიყვნენ დაკავშირებული და ამას გარკვეული კავშირი უნდა ჰქონოდა ლაზარობის ჩვეულებებთან“ (ზ.თანდილაგა 1974:22).

საყურადღებოა, რომ აჭარაში, მართისა და სხალთის ხეობებს შორის მდებარე მთაზე, ეწ. „ჰაჯეთლამა სერზე“ არსებულ „ქვაკაცებთან“ შესასრულებელი რიტუალიც ამინდის მაგიურ მართვას წარმოადგენს; მის ირგვლივ კი არის წყაროები, მდინარეები და ტბები (ზ.თანდილაგა 1974:13-15). ამასვე მიუთითებს შავშური გადმოცემა „სარიჩაირის ქვაკაცები“, რომლის თანახმადაც, ორი ქვაკაცის ახლოს ორი წყაროა, რაც განამტკიცებს ჩვენს ვარაუდს, რომ ეს გადმოცემაც „ჰაჯეთლამა სერზე“ აჭარაში დაფიქსირებულ თქმულებათა რიგში უნდა განვიხილოთ.

შავშური ტოპონიმიური თქმულება სოფელ მანატბაზე მოგვითხრობს: „მანატბა რაზე დუურქმევიან, იცი? რატომ და კაცი მანაა, ქალი – ტბა. უთქვამენ ქი, მანა ტბასა, კაცის მანა გუუშვი ტბაშიო“ (მთქმ. აჰმეთ იაღჯი. ჩაიწერა რ.ხალვაშმა 2005 წ. ს. იფხ.). სვირევანში დაფიქსირებული საყოფიერო გადმოცემა მოგვითხრობს: ორ ბიძაშვილს ერთი გოგონა, ისიც ბიძაშვილი, შეუყვარდა. ერთმა გაამჟღავნა და ცოლადაც შეირთო. მეორე კი, როგორც კი ქორწილში დედოფალი დაინახა, დაავადმყოფდა და შვიდი წელი ლოგინად იყო ჩავარდნილი. ექიმი მიხვდა მის გასაჭირს, სადედოფლოდ გამოწყობილი „თვალჭირული“ მოაყვანინა და დასვა ავადმყოფის სასთუმალთან. ქალი „ავადმყოფსა უბეში ჰელ ჩუყოფს, ერთ ხელსაც ხელზე წაავლებს. იმაზე ყურება-ყურებაში ჯან მიცემს“. ამ გადმოცემას, ბუნებრივია, არაფერი აქვს საერთო ზოგაქართულთან; მით უფრო რომ მასში მოთხრობილია ბიძაშვილთა ქორწინებაზე, მაგრამ მაინც საინტერესოა მუსულმანურ სამყაროში მცხოვრები ჩვენებურების ყოფიერებისა და ადათ-წესების გაცნობის თვალსაზრისით.

ამრიგად, შავშურმა ზეპირსიტყვიერებამ ბოლო დრომდე შემონახა თამარ მეფის ციკლის საისტორიო თქმულება-გადმოცემები, რომლებიც ეხებიან თამარის ეპოქისათვის დამახასიათებელ გრანდიოზული მშენებლობებს; თამარის სიკვდილისა და დასაფლავების საიდუმლოს თემატიკის თქმულება-გადმოცემები; აქვე ვხვდებით ამინდის მაგიურ მართვასთან დაკავშირებულ ფრაგმენტულ თქმულებას „ქვაკაცების“ შესახებ, რაც ამ რეგიონის ფოლკლორული აზროვნების საერთოქართულ ძირებზე მიუთითებს.

§11. მითები და ლეგენდები

მსოფლიოს ყველა უძველესი ხალხის სულიერი კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია მითებისა და ლეგენდების უსასრულო და საინტერესო სამყარო, რომელშიც, ვითარცა სარკეში, თვალნათლივ არის ასახული მისი შემქმნელი ერის მსოფლმხედველობა, მისწრაფებები და იდეალები; მართალია, ეს წარმოდგენები პრიმიტიული, ფანტასტიკური, ილუზორული შეხედულებებია ბუნების მოვლენებსა თუ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, მაგრამ მათი გენეტიკური მეხსიერება უხვად ინახავს წინაპართა სულიერი სამყაროს ადეკვატურ სურათს, რაც ყოველ ცივილურ ერს სჭირდება საკუთარი იდენტობისა და თვითშემეცნებისათვის, სამომავლო არსებობის გარანტიისა და სრულყოფისათვის.

მდიდარი და ხანიერი წარსულის მქონე ქართველობამ, ბუნებრივია, შექმნა მითებისა და ლეგენდების მრავალმხრივი ნიმუშები, რომლებითაც ჩვენი შორეული წინაპრები ცდილობდნენ,

ჩასწვდომოდნენ ბუნებისა თუ საზოგადოებრივი ცხოვრების კუთხე-კუნჭულთა საიდუმლოებებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართულ მითოსს ჩვენამდე სრული სახით არ მოუღწევია, რადგანაც წარმართული მითოსური პანთეონის ბუნებრივი განვითარება ახალმა რელიგიურმა კონფესიამ – ქრისტიანობამ შეაფერხა; მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ძველ ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებშიც სრული სახით ვერ ვპოვა ასახვა მითოსურმა სიუჟეტებმა, ზეპირმა ტრადიციამ მაინც შემოინახა მათი ხსოვნა, რასაც თავის მხრივ ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენებიც ჩაენაცვლა, ანდა ტრანსფორმირება განაცდევინა.

ისტორიულ ვითარებათა გამო მუსულმანურ სამყაროში მოხვედრილი ჩვენებურების მითოსურ მეხსიერებას კი, საერთოქართული მიზეზების გარდა, მუსულმანური რელიგიური პლასტიც დაემატა, თუმცა, საბედნიეროდ, უნდა ითქვას, რომ შავშურ ზეპირსიტყვიერებაში მწირად, მაგრამ მაინც შემორჩა მითოსური თქმულებანი და ლეგენდები, რომელთა პარალელებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, განსაკუთრებით კი აჭარაში, მოგვეპოვება.

ჩვენებურთა ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ფანტაზიებს, ისევე როგორც ზოგადქართულსათვის არის დამახასიათებელი, აპურებს რწმენა-წარმოდგენები კუდიანების, ანუ, როგორც თავად ეძახიან, „ჯაზების“, დემონების ანუ „ჯინების“, „შეითნების“ ანუ ეშმაკების, ტყის კაცებისა თუ კაციჭამიების შესახებ. მართალია, შავშელთა მეხსიერებას ისეთი სიმკვეთრით ვეღარ შემორჩა ამ დემონოლოგიურ პერსონაჟთა შესახებ საქართველოს სხვა კუთხეთათვის ბოლო დრომდე დამახასიათებელი სიუჟეტები, მაგრამ ის ფრაგმენტული მონაცემებიც, რისი დაფიქსირებაც მოვახერხეთ, სათანადო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა.

რწმენა-წარმოდგენები კუდიანების შესახებ საქართველოს ყველა კუთხის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის არის დამახასიათებელი და ბოლო დრომდე მრავალი მასალაა დაფიქსირებული და მეცნიერულად შესწავლილი. შავშურ სინამდვილეში ვერ დავაფიქსირეთ ამ ავსულთა ფუნქციებისა და გენეზისის ამსახველი სიუჟეტები, მაგრამ იციან, რომ „ინსებიდან არიან ჯაზები, იმათ კუდები აქვენო“; სჯერათ, რომ ეშმაკები, ანუ „შეითნები“, მუსულმანური რელიგიის აღმსარებელთა შორისაც არიან, თუმცა მათი დანახვა შეუძლებელია; ხოლო მათ საწინააღმდეგო პროფილაქტიკად ლოცვა მიაჩნიათ: „შეითანი ჩვენ დინში, მუსლიმებში, არიან. თუ არ ილოცავ, შეითნის გზაშიაო, იტყვიან. ქალები თავზე თუ არ იხურვენ, შეითნის გზაშიაო, იტყვიან“.

შავშთა წარმოდგენით, ჯინები, ანუ დემონები, ადამიანებს ემსგავსებიან („ინსებზე დემონებიან“). მათი დანახვისას კი „ყურან იკითხებენ, რაცხა არ დამმართონო“. სოფელ მანხატეთში დავაფიქსირეთ თქმულება ჯინებისა და ადამიანთა ურთიერთობაზე, რომელიც საქართველოს ყველა კუთხეში კარგად გავრცელებული თქმულების ერთ-ერთი, საბედნიეროდ, კარგად შემონახული და ღირებული ვარიანტია. თქმულების თანახმად, ერთ კუზიან კაცს შემოაღამდა და ღამის გასათევად წისქვილში დარჩა. შუაღამით მოვიდნენ ჯინები, დაიწყეს ცეკვა და თან მღერიან: „ – ხუთშაბათი, ხუთშაბათიო!“ კუზიანიც აჰყვა ჯინებს, მათთან ერთად დაიწყო ცეკვა – სიმღერა და გაიძახოდა, „ხუთშაბათი, ხუთშაბათიო“.

ჯინებმა დააფასეს კუზიანის თანადგომა: „დაფანტვიხან უთქვიან ქი: „ – აი ჩვენსავეფ სამობდა, „ხუთშაბათი-ხუთშაბათიო“, თქვა; ჩვენებურია, მოე, გავასწოროთო“ და კუზი მოაციდეს, „გაასწორეს ად კაცი და დედფანტნენ“.

სოფელში დაბრუნებულ ყოფილ კუზიანს თანასოფელი შეხვდა. ისიც კუზიანი იყო; „კითხა, რაგვარ გასწორდი კუზიდანო“. კაცმა გულწრფელად მოუთხრო ყოველივე: „ – წისქვილში ვიყავ, ვისამეთ, „ხუთშაბათია-ხუთშაბათი“ ვთქვით... ჯინებმა გამასწორეს კუზიდანო“.

მეორე კუზიანმაც წისქვილს მიაშურა. შუაღამით კვლავ მოვიდნენ ჯინები და დაიწყეს ცეკვა და „ხუთშაბათი – ხუთშაბათის“ ძახილი, კუზიანი კი გაიძახოდა, „ჯუმაო“. გათენებისას, დაშლის წინ, ჯინებმა ერთმანეთს ჰკითხეს: „ – რად ედღუგი ვუყოთ ამას?“ და გადაწყვიტეს, მეორე კუზიც

დავამატოთ. „დაამატეს კუზი. მოვიდა ად კაცი სოფელში ორი კუზით“, – დასძენს თქმულება (მთქმ. იბრაიმ ჩაქმაქი (გორგაძე), მცხ. ს. მანხ. ჩაიწერა მ. ფაღავამ 2009 წ.).

როგორც აღვნიშნეთ, ეს სიუჟეტი ფართოდ არის გავრცელებული ქართულ ფოლკლორში. მისი ერთ-ერთი აჭარული ვარიანტი, სათაურით „კუზიანი და ეშმაკები“, ზურაბ თანდილაევამ ჩაიწერა 1974 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა კვირიკეში მემედ მესხიძის თქმით. შავშურისაგან განსხვავებით, თქმულება სრულყოფილია და გვამცნობს, რომ კუზიანი კაცი ღამე გარეთ იმიტომ დარჩა, რომ ცოლმა თავი მოაბეზრა, გამუდმებით კუზიანობას აყვედრიდა. ის დღე, კუზიანი რომ წისქვილში დარჩა ღამის გასათევად, ორშაბათი იყო; მართალია, ძალიან გაუკვირდა, ეშმაკები რომ „ხუთშაბათს“ იძახდნენ, მაგრამ არაფერი თქვა, აპყვა მათ, ჩაება ხორუმში და ისიც გაიძახოდა, „– ხუთშაბათია, ხუთშაბათიო!“

აჭარული ვარიანტითაც გამთენიისას „ეშმაკებმა მოხსნეს კუზი ამ კაცს და ღელიპირში შეინახეს“; მეზობელ სოფელში მცხოვრებმა კუზიანმაც მიბაძა კაცს და წავიდა წისქვილში ღამის გასათევად. იმ დღეს პარასკევი იყო. ეშმაკები ცეკვავდნენ და დილაძღე გაიძახოდნენ, „ხუთშაბათიო“, ეს კაცი კი იძახდა, „პარასკევიო“. გამთენიისას „ეშმაკების უფროსმა ბრძანა: – შენახული კუზი მეიტანეთ და ისიც ამ კუზიანს დააბითო. მეიტანეს ეშმაკებმა ღელიპირზე შენახული კუზი და ამ კუზიანს მიატყვეს“.

პროფ. მამია ფაღავას მიერ ხელგაჩაურის რაიონში, ს. ორთაბათუმში დაფიქსირებული იდენტური ვარიანტი (მთქმელი მერიემ შაქარიშვილი-ვარშანიძე): ჯაზებთან ხორუმში ჩართული კუზიანი გამთენიისას ჯინებმა დააჯილდოვეს და კუზი გაუსწორეს, მეორე კუზიანი კი, რომელიც შეეწინაღმდეგა ჯინებს და „ხუთშაბათის“ ნაცვლად „ჯუმა“ დაიძახა, რადგანაც მართლაც ჯუმა ღამე იყო, დაისაჯა; „იალონზე, დაშლიხან, ჯაზებმა თქვეს: – აი ჩვენი კაცი არაა. ჩვენ „ხუთშაბათი“ ვთქვით, ამან – „ჯუმაო“. მოი, დავსაჯოთო!... და გადაუწყვეტათ: გუშინ კაცს კუზი რომ მოვხსენით, ამას დავადგათო. მოვდა დილაზე აი კაცი ორი კუზით“.

თქმულებისეული სენტენცია, რომელიც ჩვენ მიერ განხილულ სამივე (შავშური, ქვედა კვირიკული და ორთაბათუმური) თქმულების სიუჟეტიდან ერთმნიშვნელოვნად ცხადია, კიდევ უფრო დაკონკრეტებულია აჭარულ ვარიანტებში: ზედა კვირიკული ვარიანტის თანახმად, სოფელში დაბრუნებულ ორკუზიანს მეზობელმა ჰკითხა:

„ – სა იყავიო?

– კუზის წამლის საშოვნელათ ვიყავიო, – უთხრა კუზიანმა. მეზობელმა შეხედა: ამ კაცს ერთი კუზი ხონდა, ახლა ორი აქ! გუუკვირდა და უთხრა:

– აბა, ეს რაა, კაცო, ორი კუზი გაქ ახლათ!

– როცა ყველა იძახის „ხუთშაფათიო“ და შენ „პარასკევს“ დეიძახებ, კუზიც მოგემატება და რქაცო, – უპასუხა კუზიანმა“.

ორთაბათუმური ვარიანტის სენტენცია კიდევ უფრო ბრძნულია: იგი ერთის მხრივ ურჩევს ადამიანებს სხვათა ხორუმში ჩაურევლობას, მაგრამ თუკი ჩაებმება, მათებურად ცეკვას მოუწოდებს: „ასეა, სხვის ხორუმში რომ ჩიებმები, მათებურად უნდა ისამო!“

შავშთა შორის ექსპედიციამ დააფიქსირა რწმენა ტყის კაცის შესახებ; აქაურები მას „გელიკაცსაც“ უწოდებენ და სჯერიათ, რომ „ტყი კაცი, გელიკაცი, რავარც შენ დიელაპარაკები, ისიც დეგელაპარაკება“; წარმოდგენილი აქვთ მისი პორტრეტიც, რომლის თანახმადაც ტყის კაცი წელზევით ადამიანია, წელსქვევით – ბანლიანი ცხოველი და ადამიანს ებაძება. მართალია, ვერ შევძელით თქმულება-გადმოცემის ჩაწერა ამ დემონოლოგიურ პერსონაჟზე, მაგრამ ჩვენებურთა რწმენა-წარმოდგენა მის შესახებ აშკარად ზოგადქართულის იდენტურია.

გარესამყაროს შეცნობის გზაზე შავშთა რწმენა-წარმოდგენებს აპურებს რწმენა გოლიათი ადამიანების შესახებ. ტოპონიმურ თქმულებაში „ურისაკლავი“ წარმოჩენილია უზარმაზარი ადამიანი, რომელიც ისეთი გრძელი ყოფილა, რომ სოფელ ბაზგირეთიდან საკმაოდ მოშორებული ადგილიდან – ურისაკლავიდან ბაზგირეთში ტბას სწვდებოდა და წყალს სვამდა. „რომ მომკვდარა, შვიდათ გუუჭრიან და საფლავში ისე ჩუუდვიან“ (რ. ხალვაში 2007:312).

შავშურ ზეპირსიტყვიერებას შემოუნახავს სსოვნა ქართულ ფოლკლორში გავრცელებული ლეგენდისა დათვისა და ქალის ურთიერთობის შესახებ. მანხატეული იბრაიმ

ჩაქმაქის (გორგაძე) მონათხრობის თანახმად, დათვმა ქალიშვილი მოიტაცა, წაიღო თავის სოროში და იქ ამყოფებდა, როგორც ცოლს. დათვი მზრუნველობას იჩენდა ქალის მიმართ, „თაფლ უზიდავდა“: ქალი დაფეხმძიმებულია და „ბაღვები“ (ბავშვები) გაუჩენია. დათვის ბუნაგთან სოფლის კაცები მისულან, უნდა ესროლათ და მოეკლათ, მაგრამ დათვმა „ორი ტოტვი მაღლა ასწია“ და დაინდეს. დათვი გასცლია იქაურობას, ქალი და ბავშვები კი სოფელში დაუბრუნებიათ.

ეს ლეგენდა თავის არქაიკაში, ალბათ, უფრო ვრცელი და ტყვადი იყო, თუმცა ეს ფრაგმენტული მონათხრობიც საკმარისია იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ დათვისა და ადამიანის ურთიერთობის გენეზისსა და მოტივაციაზე.

მითოპოეტური რწმენა–წარმოდგენების თანახმად, დათვი ადამიანთა წინაპარია, ადამიანის ნათესავია და ხშირ შემთხვევაში – ტოტემი. ამგვარმა წარმოსახვამ მსოფლიოს მრავალი ხალხის ფოლკლორულ–ეთნოგრაფიულ ყოფაში საფუძველი დაუდო მრავალრიცხოვან სიუჟეტებს დათვებისა და ადამიანების დანათესავებაზე, დათვებისაგან ქალების მონუსხვაზე და – პირიქით. სწორედ ამგვარი რწმენის გამოხატულებად მიგვაჩნია ჩვენ მიერ შავშეთში დაფიქსირებული ლეგენდაც. ამ სიუჟეტს იცნობს აჭარის ზეპირსიტყვიერებაც. ლეგენდაში „დათვი და გოგო“, რომელსაც მთქმელი „ჰქეიას“ (ზღაპარს) უწოდებს, მოთხრობილია: ცხემლის ფოთლების საკრეფად წასული გოგო დათვმა თავის ბუნაგში შეიყვანა და დაიწყეს ერთად ცხოვრება. ქალი დიასახლისობდა, ეყოლა შვილიც. ერთ დღეს ქალმა ბავშვი აკვანში ჩააწვინა და წყალზე წასვლა მოიმიზეზა. დათვი არ ენდობოდა და წელზე ჯაჭვის ერთი ბოლო შემოაბა, მეორე კი ხელში დაიჭირა. წყალთან მისვლამდე გოგომ ჯაჭვი კუნძს გამოაბა და სოფელში გაიქცა. დათვი მიხვდა ცოლის ეშმაკობას და უკან დაედევნა სიტყვებით: „ – მარიამ, მოდი, ბაღვი ტირისო“. ქალი არ დაბრუნდა, თავის სახლს რომ მიუახლოვდა, მამის ძაღლები იხმო და დათვი დააჭმევინა (მთქმ. ომერ ვახტანგიძე. ჩაიწერა ნ. ქავჯარაძემ 2010 წ. შუახევის რ-ის ს. გორგაძეებში. მასალა მოგვაწოდა ჩამწერმა). ამ სიუჟეტში აშკარად ჩანს, რომ ლეგენდურ პლასტებს მართლაც შერეულია საზღაპრო ეპოსისათვის (განსაკუთრებით – ცხოველთა ეპოსისათვის) დამახასიათებელი დეტალები, მაგრამ წარმოშობით, რა თქმა უნდა, ლეგენდაა, რომელთანაც ძალზე ახლოს დგას შავშთა მეხსიერებაში შემონახული ლეგენდაც.

ლეგენდის ორთაბათუმური ვარიანტი (მთქ. ფატი ვარშანიძე-ფაღავა, ჩამწ. მამია ფაღავა) კიდევ უფრო ცხოვლად წარმოაჩენს არქაულ რწმენა–წარმოდგენებს ადამიანისა და დათვის ურთიერთობებზე: „ძველ დროში დათვს ქალი მუუტაცია, ერთათ ცხოვრობდენ. ბაღანა ეყოლათ. ქალი დედ-მამასთან დაბრუნებას ფიქრობდა, კაცი (დათვი) არ უშვებდა. ერთ დღეს ქალმა ბაღანა აკვანში ჩააწვინა, ოჯახში ცეცხლი დაანთო, კეცი მიაფიცხა, ცომიდა მოვზილო, ჯენჯირზე გუგუმით წყალი დაკიდა. წყალს მოვტანო, ბაღანა დათვს დუუტია და... სახში გეიპარა. ქალი არ დაბრუნდა. ბაღანამ გეიღვიდა, შია, ტირილი დეიწყო. წყალი აღუღდა, კეცი გახურდა; შეწუხდა დათვმა და კაცის ხმით დუუწყო ქალს ძახილი:

წყალი დუდუ,
კეცი ხუხუ,
ბაღანად ტირის,
ქალო, მოდი!”

არქაულ რწმენა–წარმოდგენებს დათვზე, როგორც ადამიანის წინაპარზე, ეხმიანება აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გაგრძელებული ლეგენდა „დათვი ადამიანის მოდგმა“ (ნბიფა, საქმე №182:1973). მკვლევარ ზურაბ თანდილაევს მიერ ს. ჭვანაში (შუახევის რ–ნი) მუხამედ ქათამაძისაგან ჩაწერილი ამ ლეგენდის თანახმად, ძველად დათვი ადამიანი ყოფილა, მწყემსი. ერთხელ ღმერთს მასთან ანგელოზი გამოუგზავნია და უთქვამს:

„ – წადი და მაგ მწყემსს მატყლი თხოვე, გამოცადე, გეგმეტება თუ არაო“.

მწყემსს მატყლის გორა ედგა, მისკენ მომავალი კაცი რომ დაინახა, ამ გროვამი შეძვრა, არ დამინახოსო. ღმერთმა დაწყევლა მწყემსი:

„ – იყავ სულ მუდამ ტყეში! ის მატყლი შენი ბანალი იყოს მუდამ, ნუ იქნები ადამიანიო!”

ამგვარად, დათვისა და ქალის ურთიერთობის შესახებ არსებული აჭარული და შავ-შური ლეგენდები ეფუძნება საერთო არქაულ რწმენა-წარმოდგენებს, რომლის თანახმადაც დათვი ადამიანის ტოტემია და მისი მოქმედებებიც ადამიანისას ემსგავსება.

მსოფლიოს ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერება იცნობს წარღვნის ლეგენდებს; იგი დამახასიათებელია როგორც მაღალგანვითარებული, ისე განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხისთვის. შავშურ ზეპირსიტყვიერებაშიც, ზოგადქართულის მსგავსად, გავრცელებულია დიდი და მცირე წარღვნის ლეგენდები. ს. ჩაქველთაში მ. ცინცაძემ და თ. შიოშვილმა დააფიქსირეს დიდი წარღვნის ლეგენდის („ნუს ფედლამბერი“) მოკლე ვარიანტი, რომელიც, აჭარული ვარიანტების მსგავსად, ჰადისური ლეგენდაა და ძველი ალექსის ამბავს, კერძოდ უფლის რჩეული ნოეს (ნუხის) მიერ კაცობრიობის გადარჩენას, ეხმიანება. შავშური ვარიანტი ძალზე ფრაგმენტული და კინია, თუმცა თავის მიერ გემის გახვრეტისა და გველის მიერ გემის გადარჩენის ხსოვნა შემოუნახავს; არც ნოე გამოიყურება სრულყოფილ პერსონაჟად და უფლის რჩეულად. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ დიდი წარღვნის შავშური ლეგენდა საერთოქართულ ლეგენდათა ჭრილში უნდა განვიხილოთ.

სოფელ დაბაში დაფიქსირებული მცირე წარღვნის ლეგენდის თანახმად, ღმერთმა დასაჯა პირის გამტეხი კაცი, რომელმაც ღმერთს მსხვერპლის („ყურბანდის“) დაკვლა დაპირდა და შემდეგ კი უბიდან ტილი ამოიღო, ფრჩხილებშორის გაჭყლიტა და თქვა: „- აჰა, ყურბანო!“ „... მემრე ზამთარში წამოიდა ქარი და ბუქი და წვილო ისინი და ღელეში ჩეიტანა“ (მთქმ. იბრაიმ ღვერიშოღლი. მცხ. ს. დაბაში. ჩაიწერეს მ. ფაღავამ და თ. შიოშვილმა 2005 წ.). მართალია, ლეგენდა ადგილობრივ, ლოკალურ გარემოს უკავშირდება და მთქმელმა წარღვნის ადგილიც ზუსტად მიუთითა (ხევწრულის ძაღის უკანა მხარე), მაგრამ მასში გამოხატული მოტივაცია (უფლის გაწერომა ადამიანის უზნეობისა და უპირობის გამო და წარღვნის მოვლინება) ზოგადქართული და მსოფლიოს სხვა ხალხთა ფოლკლორისათვის ერთობ დამახასიათებელია, რაც სათავეს უნდა იღებდეს ბიბლიური რწმენა-წარმოდგენებიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ ნუს ფედლამბერის გემის, ანუ ნოეს კიდობნის, დაბმის ადგილად შავშები კარჩხალის მთას მოიხსენიებენ (მთქმ. მეასერ უზუნი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. დავ.).

ჩვენებურთა შორის დაფიქსირდა ხსოვნა მუსლიმანური სამყაროსათვის კარგად ცნობილი ლეგენდური პერსონაჟისა – ლუყმან ექიმისა, თუმცა, სამწუხაროდ, მის სახელთან და საქმიანობასთან დაკავშირებულ ლეგენდებს, რომლებითაც ესოდენ მდიდარია აჭარის ზეპირსიტყვიერება, ვერ მივაკვლიეთ. შავშებმა იციან მხოლოდ, რომ „ლუყმან ექიმი ყოფილა, თელი წამალი მოკლამისა უპოვანია და იშტე, ხიდზე გავლიხან, გუუფრენია ფურცლები და დიეკარგა ბევრი წამლები“ (მთქმ. ეუბ ალთუნი. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წ. ს. უსტ.).

შავშურ ზეპირსიტყვიერებაში დასტურდება აჭარაში გავრცელებული ლეგენდა გაქვაგებული მაყრონის შესახებ. ტოპონიმური ლეგენდა „ზულვართი“ მოგვითხრობს, რომ ეს ამბავი „თამარას დრომდე მოხდა. გასათხოვი გოგო მოუტაციათ. სადედამთილოს არ ჰყვარებია ქალის ოჯახი და დაუწყევლია, „ღმერთმა ქვა გაგხადოსო“. გაქცეულებს წყველა ზულვართის ტყეში მისწევია და გაქვაგებულან „ორი დადე და ერთი დოდოფალი“ (მთქმ. ქაზიმ ერდემი. ჩაიწერა რ. ხალვაშმა 2005 წ. ს. უსტ.).

უსტამისური ლეგენდა არ აკონკრეტებს წყველის მიზეზს, მიუთითებს მხოლოდ რომ „დედამისს, ვინცხასთან ქი გეძეცა, იმათი თავი არ ყვარებია“. ამ „საიდუმლოს“ ფარდას ხდის აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ამ ლეგენდის სრულყოფილი ვარიანტები, რომელთა თანახმადაც, სადედამთილოს რისხვის მიზეზი რძლის ბოროტ ხასიათში უნდა ვეძიოთ. ერთ-ერთი ტბეთური (შუახვევის რ-ნი) ვარიანტის თანახმად, დედოფლის მოსაყვანად გაგზავნილი მაყრონის დასახვედრ სამზადისში მყოფმა დედამთილმა, რომელიც სიხარულით ემზადებოდა რძალთან შესახვედრად, შეიტყო, რომ რძალმა, ცხენზე შეჯდა თუ არა, თქვა: „- გამასწართ და დედამთილი სახში არ დამახვედროთო!“.

ეს ამბავი რომ შეიტყო, დედამთილს ხელში ციცხვი ეკავა და ქვებს ურევდა; შეცბა, ხელი ქვებში ჩაუვარდა და დაეწვა; გამწარებულმა დაიწყევლა:

„- ღმერთო, ჰაცხა არი, იქ გააქვავე!“

და მექორწილენი მართლა გაქვაგებულან.

ტბეთური ლეგენდის თანახმად, გაქვავებული მაყრიონის ადგილსამყოფელია კარჩხალი (მთქმ. თამარ კონცელიძე. ჩაიწერა ნინო ბახტაძემ 2010 წ. ს. ტბეთში. მასალა მოგვაწოდა ჩამწერმა).

ამრიგად, შავშთა მითოპოეტური აზროვნება სავსებით ეთანადება საერთოქართულს; საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში დღემდე შემორჩენილი მითოსი და ლეგენდები საქართველოს სხვა კუთხეებში, განსაკუთრებით კი აჭარაში, გავრცელებული სიუჟეტების ვარიანტებია და ნათლად მეტყველებენ ერთიანი წიაღიდან მომდინარეობაზე.

§12. მახვილსიტყვაობა

ხალხური მახვილსიტყვაობა, რომელმაც თავისი ჟანრობრივი ფორმა მცირე მოცულობის ხალხურ ნოველებსა და ნაკვესებში, ანუ ანეგდოტებში, ჰპოვა, მსოფლიოს ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერი შემოქმედების ლაღი და უაღრესად სახასიათო უბანია. მართალია, მათი ფინალი სასაცილოა, მაგრამ სრულიად მიზანმიმართული ფუნქციით არის აღჭურვილი. მახვილსიტყვაობაზე აგებული ნოველები და ანეგდოტები სინამდვილის ასახვის თავისებურ ხერხს ეფუძნება: უაღრესად ლაკონურად, ლაპიდარულად, მოზომილად გადმოსცემს სათქმელს და მიზანში ამოღებულ ცხოვრებისეულ მანკიერებას ერთი დარტყმით უსწორდება (ა. ცანავა 1960:120); მართალია, მსმენელში თუ მკითხველში სიცილს იწვევს, მაგრამ ამ სიცილით, რადგან მას საკმაოდ მნიშვნელოვანი სოციალური და კლასობრივი დატვირთვა გააჩნია, საუკეთესოდ მიიღწევა მიზანი – საზოგადოების გაკეთილშობილება, რადგანაც სატირიკოსის მახვილ თვალს არ გამორჩება არც ერთი ცხოვრებისეული საჩოთირო მხარე.

საქართველოში მახვილსიტყვაობა ოდითგან იყო ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი ცოცხალი და ქმედითუნარიანი ჟანრი; წერილობითი წყაროებითა თუ ზეპირი ტრადიციით ცნობილია მახვილსიტყვაობის მრავალი ოსტატი, იგივე ხუმარა, თუმცა მათი რეპერტუარის ჩაწერა ძალზე გვიან, მე-19 საუკუნეში, დაიწყო.

მახვილსიტყვაობის ტრადიცია, როგორც ჩანს, ძლიერი ყოფილა შავშთშიც. საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში დაფიქსირდა მახვილსიტყვაობის ლაპიდარული ნიმუშები – ნაკვესები, ანუ ანეგდოტები, რომლებშიც წარმოჩენილია ჩვენებურთა ლაღი, უშურველი, ადამიანური დამოკიდებულება სხვადასხვა ცხოვრებისეული პრობლემების მიმართ და უაღრესად ლაკონურად არის წინა პლანზე წამოწეული გონებამახვილური ჩანაფიქრი, რომლის რეალიზებითაც ხორციელდება უმტკივნეულო მხილება.

ექსპედიციის მიერ მოპოვებული შავშური ნაკვესები ძირითადად საყოფაცხოვრებო თემატიკისაა; გვხვდება კუთხეებისა და სოფლების შესახებ შექმნილი ანეგდოტებიც, რომლებშიც თავჩენილია ცალკეული სოფლისა თუ ზოგიერთი კუთხის მცხოვრებთა თავისებურებანი, რაც მახვილსიტყვაობის ყურადღებას იმსახურებს და რომელიც სატირისა და იუმორის ობიექტად აქცევს მას, თუმცა, დაცულია ზომიერება და არავითარ შემთხვევაში არ გადადის სარკაზმში.

შავშთში ყველაზე მეტ ანეგდოტს ბაზგირეთლებზე ჰყვებიან. ერთ-ერთი მთქმელის განმარტებით, „ბაზგირელებ გემასხარებიან, თქვენ თაზე მალლა კი ხართო და ჭკვა არ გაქვენო“. იმერხევის ამ უმშვენიერესი სოფლის მცხოვრებლებზე შექმნილი მახვილსიტყვაობა მათ წარმოაჩენს გულუბრყვილო, ალალ ადამიანებად, რომელთაც დათვი ადამიანი ჰგონიათ და ესაუბრებიან, მკვდარი თხა – გაცინებული, ფეხმძიმე ცხვარი კი – ავადმყოფი, რის გამოც დაკლავენ.

შავშურ ანეგდოტებში არანაკლები იუმორისტული მახვილია მიმართული მაჭახლელებს მიმართ. ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს უმტკივნეულო და მსუბუქ იუმორთან. ისიც აღსანიშნავია, რომ მახვილსიტყვაობის ზოგიერთ ნიმუშში ბაზგირეთლები და მაჭახლელები ერთად არიან, ანუ ერთიანდებიან ერთი „იდუის“ გარშემო, რაც საბოლოოდ სიცილს იწვევს. ამის დასტურია ტოპონიმ „დაღის სადნობთან“ დაკავშირებული ანეგდოტი: „მაჭახლე უყიდა ერბო ბაზგირეთში. ერბო ჩუუდვიან გუდაში. ამ ალაგზე გასულა, დაღი

სადნობზე, ჭკირთი ჩამუღლია, ფიქალზე დუღგმია, გახმესო. თვითონაც დუუზინია ეთამ ხან. გამუღღვიძავს, დაღი აღარა. ცხენ შეეკითხა:

– შენ მიჭამე ერბო?

ცხენსაც ბუზები ეხვევიან, ისაც თავ აქანებს. მაჭახლეღი ამეღღებს დარად და ცხენ მოკლავს“ (რ. ხალვაში 2007:312).

აღსანიშნავია, რომ „დაღის ტრანსპორტირების“ თემა მაჭახლეღებზე შეთხზულ ანეგლოტებში ძალზე პოპულარულია. ერთ–ერთი მათგანი – „მაჭახლის ჰალი“ – მოგვითხრობს: „მაჭახლეღებ დოდოფალი მიყავან. შინედან დაღი ჩუუღღევს ჭიპთან:

– წაიღე და შეგჭირღებო.

ღარჭის სახში რო მიღღენ, საჭმელში დაღი ვერ ნახეს.

– ჩვენ გოგოს ჭიპში ჩუუღღვეითო, – და წამუაქციეს და კოვზებით იქ ჩხრიკეს“ (მოქმ. ირფან ჩაფქუნი. ჩაიწერა რ. ხალვაში 2005 წ. ს. ივ.).

შავშთა მახვიღ მზერას არც ღახების გულუბრყვიღობა გამორჩენია. შავშურ ფოღკლორში პოპულარულია ანეგლოტი მარიღის დამთესავ ღახებზე, რომელთა „მეურნეობაც“ ერთ–ერთი ძმის სიკვდიღით დამთავრდა.

თავშესაქცივი და გასამხიარულეღელი სახასიათო ანეგლოტია შექმნიღი შავშეთში სატვირთო მანქანისა და გულუბრყვიღო ბერიკაცის შესახებ: მძღოღი გოღორმოკიღებულ ბერიკაცს დასვამს ძარახე და გაემასხრება:

– „გოღორი არ მეიხსნა ქი, ამეზე ამძიღებსო“.

მოხუცი ასეც იქცივა. მეორე მგზავრი ეკითხება:

„ – რახე არ იხსნი სიციხეში, მეიხსენი და დაღე ემეზო“.

ბერიკაცი პასუხობს:

„ – შოფერმა მითხრა ქი, არ ამძიღოს იმფოვო“.

ტოპონიმ „საციღარასთან“ დაკავშირეღული ანეგლოტი მოგვითხრობს კარჩხალიღან დაიღისკენ მიმავალი კაცის გულუბრყვიღობახე: გზაბაწარახე გავღისას ცხენზე აკიღებულღი ტვირთი კღღეს გაღოღღო, ცხენი ღელეში ჩავარდა და მოკვდა. კაცი მადღიღან დაჭყურებს თავის ცხენს, რომელსაც კბიღები დაუკრეჭია და ეტყვის:

„ – იციღე, იციღე, თუ გიგიტეხია სემერი, დაგაგღეჯ კბიღებსო“ (რ. ხალვაში 2007:312).

შავშთა შორის გავრციღებულღია ანეგლოტები, აგრეთვე, მაჰმადიანური აღმოსავლეთის ენამოსწრეღული სასულიერო პირის – მოღა ნასრეღინის შესახებ, რომელიც, ბოღოღროინღელი გამოკვღეღების თანახმად, ისტორიული პიროვნეღა ყოფიღა (რ. ბაქრაღე 2003:152–153).

ამრიგად, შავშურ მახვიღსიტყვაობაში, ზოგადქართუღის დარად, კომიკური სიტუაციების შექმნიღთ დაგმობიღი და გაკიცხულია სიბრიყვე, რომღის შეფასეღა სატირულ–იუმორისტული ხერხებით საბოღოღოდ საზოგადოების სულიერ და გონებრივ გაჯანსაღებას ემსახურეღა, სოციუმის სიფხიზღესა და მღღრადობას იწვევს; ამღენად, შავშური ფოღკლორული შემოქმეღების ეს უბანიც საერთოქართული აზროვნების განუყოფელი ნაწიღია.

თავი VI. შავშუხი ხილი

ჭოროხის აუზის ქართულს სამხრულ მეტყველებას ვუწოდებთ, ხოლო ამ მეტყველების დიფერენციაციის შედეგს – სამხრულ კილოებს. სპეციალურ ლიტერატურაში აჭარული და იმერხეული მიჩნეულია ქართული ენის დიალექტთა სამხრულ-დასავლურ ჯგუფად (იხ. არ. მარტიროსოვი 1972.:15; ტ. ფუტკარაძე 1987; შ. ფუტკარაძე 1995). ბ. ჯორბენაძე კი სამხეთ-დასავლურ კილოკავებად მიიჩნევს მესხურსა და ჯავახურს (ბ. ჯორბენაძე 1989.:374), რამდენადაც ისინი გავრცელებული არიან აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში, ხოლო გურულს, აჭარულსა და იმერხეულს უწოდებს დასავლეთ საქართველოს ქვემო ზონის დიალექტებს (ბ. ჯორბენაძე 1989.:514-515). ვფიქრობთ, ჩვენი ტერმინი – სამხრული კილოები უფრო მოხერხებულიცაა და რეალობის ამსახველიც (იხ. მ. ფადავა 1999.:36-44). აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ სპეციალურ ლიტერატურაში არის მოსაზრება, რომ თურქეთის საქართველოს მკვიდრთა მეტყველება არის ერთიანი და მას ერთნი იმერხეულ კილოს უწოდებენ (H.Я. Mapp 1911; ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ივ. ქავთარაძე 1961; არ. მარტიროსოვი 1972.:78), მეორენი – იმერხეულთან ერთად კლარჯულს (ვ. თოფურია 1963.:164.:ბ. ჯორბენაძე 1989.:574). აზრთა სხვაობა იმითაა გამოწვეული, რომ ნ. მარის შემდეგ თითქმის 90 წლის განმავლობაში არავის უკვლევია ადგილზე სამხრული მეტყველება (გამონაკლისია აჭარული კილო) ცნობილი მიხეხების გამო. ე.წ. იმერხეულ თუ კლარჯულ კილოზე საუბრობდნენ იმ მცირე მასალაზე დაყრდნობით, გასული საუკუნის დასაწყისში (1904 წელი) რომ ჩაიწერა და გამოქვეყნა ნ. მარმა (H.Я. Mapp 1911.:47-71). XX საუკუნის 90-იანი წლებიდან შესაძლებელი გახდა ჭოროხის ქვეყნებში სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა, ინდივიდუალური გასვლები, შედეგად მოპოვებულ იქნა საყურადღებო ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და დიალექტოლოგიური მასალები, რომელთა ანალიზი, ისტორიული რეალობის გათვალისწინებით, საშუალებას გვაძლევს სამხრულ მეტყველებაში გამოიყოს რამდენიმე დიალექტური ერთეული, კერძოდ: ტაოური, კლარჯული, შავშური და აჭარული.

ამჟამად აჭარულის გარდა სხვა სამხრული კილოები ძირითადად თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრებშია. ძირითადად ვამბობთ იმიტომ, რომ კლარჯეთის ნაწილი, ჭოროხის ხეობა ერგეს ზემოთ და ისტორიული შავშეთის ნაწილი, მაჭახლის ხეობის ქვემო წელი საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვრებშია. თურქეთის რესპუბლიკაში ქართულად ლაპარაკობენ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში განსახლებული მუჰაჯირთა შთამომავლებიც. მათი მეტყველება ვერ განიხილება ცალკე დიალექტურ ერთეულად, იგი ძვირფასი დამატებითი მასალაა სამხრული კილოების, უმთავრესად აჭარულის შესასწავლად.

მკითხველს ვთავაზობთ ნარკვევს შავშური კილოს შესახებ.

შავშური დიალექტი გავრცელებულია ისტორიული შავშეთის ტერიტორიაზე. შავშეთი დადოს მთებით იყოფა ორ ნაწილად: დასავლეთი შავშეთი – მაჭახლის ხეობა და აღმოსავლეთი შავშეთი – მდინარეების შავშეთისწყლისა და იმერხევის (ფაფართის) ხეობები (იხ. საქართველოს ისტორიული რუკა, ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბ. 1923; ასევე: თ. კუკულაძე 1990.:92-93). თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც, კერძოდ, ვახუშტი ბატონიშვილისა, რომელიც შავშეთს ასე შემოსაზღვრავს: „აღმოსავლით მთა არსიანი, ... სამკრით მზღვრის კლდე არტანუჯსა და შავშეთს შორის, ვითარცა კედელი, რომელიც ჩამოვალს არსიანის მთიდან დასავლეთად, ვიდრე კინდა ჭოროხამდე და განვლის მას კლდესა შინა გზა, ვითარცა კარი და თვნიერ მისა არა არს გზა. დასავლით მთა შავშეთისა, შავშეთსა და ჭოროხს შორის, ჩრდილოთ მთა არსიანიდამ ჩამოსული დასავლით ჭოროხამდე (ვახუშტი ბატონიშვილი 1973.:679-680). ვახუშტის მიხედვით მაჭახელი აჭარის საზღვრებშია მოქცეული (იქვე, 676, 17-21), ქობულეთი კი – არა. თუმცა ფეოდალურ საქართველოში საზღვრების ცვლა არ იყო უცხო.

საკუთრივ შავშეთს, შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, ორ ნაწილად ვყოფთ: მექართულე შავშეთი (იმერხევი ხეობის ქართულად მოლაპარაკე სოფლები, ასევე უსტამისი, ჩი-

ხისხვეი...) და მეთურქულე შავშეთი – შავშეთისწლის ხეობის უმეტესი სოფლები, რომელთა მკვიდრნი უმეტესად მშობლიურენადაკარგული ქართველები არიან, თუმცა მათ მეტყველებაში ჯერ კიდევ შეიმჩნევა ქართული ელემენტი. მეთურქულე შავშეთში ასსოვთ ძველი ქართული გეოგრაფიული სახელები, კარგადაა შენახული ქართული ზემო მაჭახელში (თურქეთის მაჭახელში), აღარაფერს ვამბობთ ქვემო მაჭახელზე.

შავშურ კილოში, დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, გამოყოფთ ორ კილოკავს – იმერხეულსა და მაჭახელურს. თუმცა არსებობს სხვა დაყოფაც (შ. ფუტკარაძე 1995.:5).

გამოკვლევა ემყარება შავშეთის ქართულ სოფლებში რსუ ქართველოლოგიის ინსტიტუტის მუდმივმოქმედი კომპლექსური ექსპედიციის მიერ მოპოვებულ დიალექტოლოგიურ მასალებს, ნაშრომში სათანადოდაა გათვალისწინებული სხვათა მიერ ჩაწერილი დიალექტოლოგიური ტექსტებიც.

I. ფონეტიკა

§1. შავშეთის ბგეხითი შედგენილობიდან

შავშურ კილოში დასტურდება **ფ, ჳ, ჭ, ჳ** ბგერები, იშვიათად დანდება **რ** და **ჟ** უმლაუტები.

11. შავშურში პალატარული ნახევარხმოვანი **ფ** უმეტეს შემთხვევაში დამავალი დიფთონგის ნაწილია, ჩვეულებრივ – სხვადასხვა პოზიციაში **ი** ხმოვნის დასუსტების შედეგი.

V-#: ხმოვნის მომდევნო პოზიციაში **ფ** გვხვდება, როგორც სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, ისე სიტყვაში:

ღღღღ ბათომიდამ მოვლოდა (ზ.); ოსმან **ღღღღ**... იღებდა იქ ყველაფერ (ზ.); ზაქიეთურია **ბექირა** ... (ზ.); ვაშლი აქ ბევრია: **ორთასულა**, **წოწოლა** ვაშლი, **მაჭახელა** (ზ.); **მუზიკა** რატომ არ **მოიტა**? (ზ.); **ა** ეუტაბალია (ხევწ.); [მსხალი] **თავრეჯულა** არი, **ღევაგრა** არი ... (უ.); **ი** დიდი ბიჭია და **ა** **პაწა** (ჩაქ.)...

ჩამეღღღ, ჭო, რადა (ბაზგ.); ... დაბის **ზედამ** დაბური დაილაა (უ.); [სახლი] ... ჩვენი **ემო**ს განაყარისა (უ.); [ბულები] ... **ღეჭელებოდენ** (ზ.); მაწონს დაღვეთ, **აღრანსა?** (ზაქ.).

აღვნიშნავთ, რომ სიტყვის შიგნით ხმოვნის მომდევნო პოზიციაში **ი** ყოველთვის არ გვაძლევს **ფ**-ს, ზოგჯერ სრული **ი** ისმის. აქ რაიმე ნორმის დადგენა ვერ ხერხდება.

V-#-V: ინტერვოკალურ პოზიციაში **ი** სისტემებზე გვაძლევს **ფ** ნახევარხმოვანს:

ისაც ჩემი **ძადა**... (ნოლ.); ქორი **ადა**, მერეგსაც ვეტყვი (ჩაქ.); დრომან **გეღეარა** (უსტ.); ... კარჩხალში **გეღეარდენ**, ასე თიებიდან (უსტ.); **ა** ცეკვა **ჩვენებურა** (სვირ.); წყალი **ცოტა**, არ აბრუნეფს (ბაზგ.); ეს სახლი მისი **ტადა** სახლია (ბაზგ.); გურჯები გაგაგდებენ, **გეარებენ**, წველენ (უ.); ხასან **ტადა** იცის (უ.); ერთი **ემეა**, დიობანი (უ.); ბიჭი **ამაზე პაწა** (უ.); **გეღეარ**, ლეკობანია (უ.); გურჯი **სოდა** დევრიშაშვილი (უ.); დაბლა **წყარო**ა (უ.)...

ხმოვანთშორის პოზიციაში აჭარულში, უფრო ზემოაჭარულში, **ი** ხშირად იკარგება (**ი>ფ>0**), ზოგჯერ ისმის **ფ**: **გეარა** (გეარა<გაიარა) წვედა (ხიხ.).

#-V: ხმოვნისწინა პოზიციაში **ფ** გვხვდება თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში **ყ** ხმოვნის გადმოსაცემად (მ. ფაღავა 2004.:16):

... **ფუზ** მეთრო გზაც არ იქნება (ჩაქ.); **ფერლი** ვარ, ნენი, **ფერლი** (სვირ.); ჩიქუნეთური **დაილები**ს მხრიდან არის გოლი (ზ.); ჯენევიზები ემეები არიან, რუმების ძველები, **დანი**... (უ.); თურქის იღარეთი იყო და ანჯახ **ფერლი** (უ.); წააგებდა **დაგანი** [1:1 კამათელზე] (ხევწ.); **გაფერი** ქვაა რომ თქვან, არ შეინახვენ (ხევწ.)...

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში აღმავალ დიფთონგში **ფ** გვხვდება სიტყვის თავშიც და სიტყვაშიც. აღვნიშნავთ, რომ ხმოვნისწინა პოზიციაში საკუთრივ ქართულ სიტყვებში **ფ** არ დასტურდება (შდრ. აჭარული: ჯ. ნოლაიდელი 1936.:7; შ. ნიჟარაძე 1957.:94. შდრ. მ. ფაღავა 1995).

ა'ს ხმარების თვალსაზრისით შავშური მისდევს სამწერლობო ქართულს (შდრ. ივ. ქავთარაძე 1964.:60).

12. უ შავშურში. შავშურ კილოში უ ვ'ს ფონეტიკური გარდაქმნის შედეგი ჩანს. სუსტდება სხვადასხვა პოზიციაში, კერძოდ, ხმოვანსა და თანხმოვანს და თანხმოვანსა და ხმოვანს შორის მდგომი ვ.

ვ>უ: ახლა მიტხტი განა. ჩუენ აქ ვსაქმობთ (ბაზგ.); კარზე მიტდენ, ნობეთხებმა არ შეუშვეს...(ქდ 384); ბიჭმა წყალი სტა (ბსკიფ 47)...

ნ. მარის იმერხეულ ტექსტებში ზოგჯერ ერთსა და იმავე სიტყვაში ხან ვ არის, ხან უ: ატდექ ჩაველ მიღმა ტყეში (ნ. მარი 49). შდრ. ატდექ იქიდან მუელი (იქვე).

ვ და უ გრაფემები ძველი და საშუალო ქართულის ძეგლებშიც ირეოდა ხშირად, რაც აღნიშნულია კიდევ სამეცნიერო ლიტერატურაში (იხ. ივ. ქავთარაძე 1964.:89 და შემდეგ; მ. ცინცაძე, მ. ფალავა 1998.:10).

შ. ფუტკარაძე, მსჯელობს რა უმარცვლო უ'ზე იმერხეულში, აღნიშნავს, რომ შეინიშნება „უ'ს მოშლის ტენდენცია, ვ'დ ქცევა: იფხრეველი (<იფხრეუთლი ტოპონიმი), აგადეველი (<ავადეუთლი)“ (შ. ფუტკარაძე 1995.:6). შევნიშნავთ, რომ მოყვანილ მაგალითებში არ ჩანს „უ'ს მოშლის ტენდენცია“. ვფიქრობთ, უ კი არ გვაძლევს ვ'ს, არამედ: უ>ვ//უ: იფხრეული>*იფხრეველი//იფხრეუთლი (მ. ფალავა 2007.:3; 2004.:17).

ოვ>ვ>უ: სეტყვა მტა, არ არი კაა (ბაზგ.).

შავშურში უ გვხვდება C-V, V-C პოზიციებში.

ჩანს, შავშურში, ისევე როგორც სხვა სამხრულ დიალექტებში, უ დასტურდება ხმოვინსა და სონანტის წინა პოზიციაში. სხვაგვარად: შავშურში უ რეალიზდება იმავე პოზიციაში, ძველ ქართულში რომ იხმარებოდა, ოღონდ ერთი განსხვავებით: შავშურში უ არ გვხვდება თანხმოვნის შემდეგ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, როგორც ეს ძველ ქართულში გვქონდა (იხ. თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი 1965.:40; შდრ. მ. ცინცაძე, მ. ფალავა 1978.: 10-11; მ. ფალავა 2004.: 17; 2007.:6).

13. ჯ შავშურში. შავშურ კილოში გვხვდება ფარინგალური ჯ თანხმოვანი. მაგალითები:

ჯარები შევლოდენ მადარაში (ზ.); ჯარ აღარ ვინახავთ (უ); დაბლა ჯიღია, ქემერიანი ჯიღი (უ); [მეჰმედამ] ... იკითხა, იკითხა, დოსტორი გაჯდა (უ); ჯარ აღარ ვინახავთ, მოვჯნავთ, ყანეები წვრილია... (ნიოლ.); არა, ჯევწრულიდამ არა, ნაჯვენე დერე, ჯვენიანი დერე, წყალი (ბაზგ.); ფერჯი, ჯევი, ჯარი, მჯარი ... ჩვენში ბზე ვიცით (ბაზგ.).

ნ. მარი აღნიშნავს, რომ იმერხეულში ზოგჯერ ჯ განირჩევა ხ'საგან. მაგალითად, ზაქიეთში მე ნათლად განვასხვავეო ერთმანეთისაგან ეს ბგერები, როცა ყურადღება მივაქციე ქუხილს, ზაქიეთელმა კითხვაზე: რა არის ეს? მიპასუხა: ახლა ქუხს, დაიქუხა. რომ მქონოდა კ'ს მაგალითები მე შევეკითხე მთის პატარა მდინარის შესახებ, თუ რა ერქვა მას. მიპასუხეს, ამას ჯევი ქვია, – ჯევი. პატარა რომ იქნება, დღეს ვეტყვით, დიდი – ჯევია. ასევე ჯ და არა ხ წარმოთქვა მან სიტყვებში: ფევი, ჯარი, ჯელი, ვმელი ... ზუსტად ისევე, როგორც ძველ ქართულშია (H.Я. Мapp 1911.:81). ნ. მარის შავშურში მოგზაურობიდან საუკუნეზე მეტი გავიდა, დღესაც ჯ შემონახულია შავშეთის თითქმის ყველა მექართულე სოფლის მეტყველებაში. მნიშვნელოვანია, რომ ჯ და ხ ერთმანეთის მონაცვლედ იხმარებიან და ვერ ქმნიან ოპოზიციას: ხიდი//ჯიდი; ფეხი//ფევი...შეგვატყო რა დაინტერესება, ერთმა ბაზგირეთელმა აგვიხსნა: ხელი – ჯელი სხვა არ არი... (ბზგ.). (იხ. მ. ფალავა 2005.:47; 2004.:17-18).

14. გ შავშურში. შავშურში გარკვეულ პოზიციაში დასტურდება ნეიტრალური ხმოვანი გ. იგი იგივე ბგერა უნდა იყოს, გ. ახვლედიანი რომ ახასიათებს სვანურში: „თავშემყრილ თანხმოვანთა შუა ჩაერთვის ნეიტრალური ხმოვანი გ: ხგნსგა „ნახევარი“, კვლდე „კვლდე“, ჯგრელ „ჯრელი“ (გ. ახვლედიანი 1949.:223).

შავშურში გ წარმოითქმის ერთგვარი დაჭიმვით. იგი სხვადასხვა პოზიციაში გვხვდება:

ა. გ წარმოადგენს ანაპტიქსურ ხმოვანს:

გურჯისტანი თვლათ ოსმანლისა იყო (უ); მადარა ასე დაფლატულა, კვლდეები დაყაფანებულა (უ); ჩვენი გვარი, დათუნაშვილი ქობღლეთ ყოფილა (სვირ.); ... გაღმა კვლდეები

რომაა, იქ დადგებიან (ჩაქ); **ხეზო**, კოტიკი ... (მაჩხ.); **კვლდიზირი** [ტოპონიმი] (ახალდ.); **ცხისპირი**, **თეთრკვლდე** (<თეთრკვლდე) (ციხ.).

ბ. გ. განვითარებულია თანხმონის მომდევნოდ და წარმოადგენს რომელიმე ბკერის (ძირითადად უ, ი) პოზიციურ ვარიანტს:

ზარმელი არი ახლა, ჰა! აირანიც **არგ** (<არი<არის) (უ.); ნაზლიჯან, ნაზლიჯან, ვეტყოლით ... **ჩემოყრიდა** (მაჩხ.); **ჩეხორ** (<ჩიხორ) აღარ წავდივარ (ნიოლ.); **ჩეხისხევის** (<ჩიხისხევის) აღგიღებია... (ჩიხ.).

შავშურში გ'ს პოზიციურებამ შეიძლება წარმოშვას კითხვა: ხომ არ არის იგი თურქული ენის გავლენით სრულხმონობისაკენ სწრაფვის ტენდენცია? ვფიქრობთ, არა. ჩვენს ვარაუდს მხარს უჭერს, ერთი მხრივ, ქართული ენის სხვა კილოების (ხევსურული, ინგილოური, მესხური, ჯავახური, აჭარული, იმერული, ლეჩხუმური) მონაცემები (ბ. ჯორბენაძე 1998.:51-52), მეორე მხრივ გ'ს არსებობა ქართული ენის ისტორიულ ძეგლებში (ივ. ქავთარაძე 1964.:72-73. შდრ. მ. ფაღავა 2004(1):3-8; 2004.:18).

1.5. უძლაუტი შავშურში. შავშურში, ისევე როგორც სხვა სამხრულ კილოებში, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება უძლაუტის შემთხვევები. ჩანს, იგი მეტ-ნაკლები ინტენსივობით დამახასიათებელი იყო ქართული ენის ყველა ქვესისტემისათვის, მაგრამ ქართულმა ენამ ვერ იგუა იგი, უფრო სწორად, უძლაუტი ქართული ენისათვის დარჩა გამოუყენებელ შესაძლებლობად.

შავშურში დასტურდება ო და უ პალატალური ხმოვნები, ორივე – ფონეტიკური გარდაქმნის შედეგია:

ვი>უ: ჩხოკობიხან **ღმერთისთუნ**, **ბატონისთუნ** შეპირობია (უ.); იმათოვინ, **ქართველებისთუნ** ეს აღგილი წმინდა არი (უ.); მერე **ჩვენთუნ** მუუციან (სვირ.).

ვი>უ გვაქვს შემდეგ მაგალითებშიც:

ხემწრტლი დაილის უკნელამ ერთი ჩვენი რუ არი (უ.); **დაბაწრტლი** (სოფ. შავშეთში)...

ხევწრტლი (<*ხევწრვილი<ხევწვრილი);

დაბაწრტლი (<*დაბაწრვილი<დაბაწვრილი).

ვა>რ: ცაცხვის ყრვილი (მან).

ვე>რ: ჩონ ღმერთი ხელში ვართ, ჩონ ხელში არაფერი არ არი (მაჩხ.);

აკვან **ხრწვენ** (ბაზგ.); ახალდაბა **ჩონი** სოფელია (ახალდ.).

პალატალიზებული ო ჩანს შემდეგ მაგალითებშიც: **ჩონჩხერი** (<ჩანჩქერი), **რგრვდენ** (<რგავდენ).

§2. ფონეტიკური მოვლენები

შავშურ კილოში მეტ-ნაკლებად გვხვდება ყველა ფონეტიკური მოვლენა, რაც ცოცხალი ქართული მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი.

2.1. ასიმილაცია. მრავალფეროვანი და ფართოდ გავრცელებულია ზმნისწინის, ზმნის ფუძისეული ხმოვნებისა და ხმოვანი პრეფიქსის შეხვედრის შედეგად მომხდარი ფონეტიკური პროცესები, – ხმოვანთკომპლექსების მონაცვლეობა.

აე>ე სრული, რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე:

იმფრათ იგზე **დეხევა** (ბაზგ.); უკნელან **წეკიდა** (ბაზგ.); ქვაბ ჩააბრუნებდენ, ფეხი არ **გეემუროსო** (შავშ.); აქ უწინ გოგოს ვერ **დეელაპარიკებოდი** (ჩაქ); ჯინები ინსნებ **დეემგანებოდენ** (მაჩხ.)

ასიმილაცია ხდება მაშინაც, როცა **აე** კომპლექსი გათიშულია ზმნის ფუძისეული **ვ** თანხმონით და სუბიექტური პირველი, ობიექტური პირველი და მეორე პირების ნიშნებით: **გ-მ-გვ-** მაგალითები:

აე ხმოვანთკომპლექსი გათიშულია ზმნის ფუძისეული ვ თანხმოვნით:
იქ **წვევდი** (ნიოლ.); მემრე **წვევდი** (უ.); ხასები არ **წვევდი** (იფხ.); შვიდ საათზე **წვევდი**, შვიდ-რვა საათში **ჩვევდი** (ბაზგ.); **წვევდი**, თივა ვზიდეთ (ხევწ.)...

შეიძლება დაიკარგოს ფუძისეული თანხმოვანი:

მე ვერ **წვევი** (შოლტ.). შდრ. ყურბეთში არ **წვევდი** (იფხ.); ახორში **წვევი** (ბაზგ.); შარშან თველზე ქი **ჩვევი**... (ხევწ.)...

ველ ზმნური ფუძის მესამე პირის მრავლობითის ფორმაში სუბიექტური პირის ნიშნის (-ენ) ხმოვნის გავლენით იკარგება ფუძისეული ვ:

კაცები ჯამეზე **წვევდენ**(**წვევდენ**) (ზ.)...

აე ხმოვანთკომპლექსი გათიშულია სუბიექტური I პირის ნიშნით:

სხვისას არ **წვევაკარები** (ხევწ.); **დევეშვიდობეთ** (ზაქ.)...

აე კომპლექსი გათიშულია I და II ობიექტური პირების ნიშნებით:

ენა **დეშება** (მან.); **გემეპარე** უკანა კარიდან (უსტ.); ორ წელწად არ **დევევლაპარაკენ** (ზაქ.); ქომოთ **ჩვეგესხა** (ზაქ.)...

თმა **გეგეშავებია** (ზაქ.); **გეგეხანება** (უ.); მოკალ, ცოდვა არ **დეგედვა** (ბაზგ.)...

შეიძლება შეიცვალოს რთული ზმნისწინის ორივე ხმოვანი:

იმდენი ჭკვაში მოსულიყო, საბანი **გედევურა** (ბაზგ.); ნიხით ზიბილი იქნა **გედემექნია** (დ.)...

ამ ცვლილების პირველი საფეხური – მეორე რიგის ფორმები (**გადევურა**, **გადემექნია**) შავშურში არ ჩანს.

აი>ე (>ეა) ნაწილობრივი, რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე:

გეიქეცი, ქი მოდიანო (ზაქ.); **გეიყიდებოდა** ადგილი (უსტ.); ვერაფერი ვერ **დეიწავლა** (ბაზგ.); **დეიმდერე**, შვილო! (ბაზგ.); **დეინახე** მოტანილი თივა? (ზაქ.); ბზენა **ჩეიწუროს** (ზაქ.); ღარჭი **წეიყვანა** (ბაზგ.); აგზე **ეიარებენ** (ხევწ.)...

ეია (ეაა) კომპლექსში ზოგჯერ ი იკარგება: **ეიარებენ>არებენ**.

ასიმილაციის საფუძველზე რთული ზმნისწინის ორივე ხმოვანი შეიძლება შეიცვალოს:

გედეიწმინდაო, ვიტყვით (მანხ.); ასე **გედეიფშნება** (ზაქ.)...

აღნიშნული ცვლილების პირველი საფეხური – **გადეიწმინდა**, **გადეიფშნება**, არ დასტურდება.

დამოწმებული ტიპის ფორმებში ზოგჯერ ისმის ა:

გინდა, **ეიდებ**, **წეიდებ** (ბაზგ.); იმგვარად გათოვლდება, ქი **ეფსება** თოვლი (ზაქ.); გულმა რავარ **გეფსენოს?**(ბაზგ.); ვიყავით ჰამა **გეფკრიფენ** (მან.); **გეფარს**, წევა (ბაზგ.); ბერი ხარი რქიებ ქვემოთ **დეფდებს** (მანხ.); ძველები, ძველები **დეფხოცნენ** (ზაქ.)...

აი კომპლექსში ასიმილაციის პროცესს არ აბრკოლებს მასში ჩართული ზმნის ფუძისეული ვ, სუბიექტური I და ობიექტური I და მეორე პირის პრეფიქსები: **ვ**, **მ**, **გვ**, **გ**. მაგალითები:

აი კომპლექსში ჩართულია ფუძისეული ვ:

მე ახლა ჯამეში'ნა **ჩევიდე** (ზაქ.); **ევიდეთ** სათავეში (უ.); ღარჭობის დროს **გევიდოლით** ბაჭლები (ზაქ.); ისინი **წევიდნენ** (ზაქ.); ყველა წელწად **წევიდოდა** ბაბოს სახში (ზაქ.)...

აი კომპლექსში ჩართულია I სუბიექტური პირის ნიშანი:

მე **გევიპარე** (ზაქ.); **გევინათლებ**, გევიარ (ზაქ.); **დევინახე**, ეს ჩენი ვინცხაა-მეთქინ (ზაქ.); შვიდი წლის უკან თურქნა **დევიწავლე** (ზაქ.); ხელები **დევიბანოთ** (შავშ.)...

აი>ე პროცესს ზოგჯერ ერთვის ზმნის ფუძისეული ვ ბგერისა და პირველი სუბიექტური პირის ნიშნის მომდევნო მაასიმილირებელი ი ხმოვნის დაკარგვა:

მაღლა **ეგდა** (ბაზგ.); ყაზა ქნა და მაღევე **წეგდა** (მანხ.); ჩიხეთაში **წეგდენ** (მანხ.); ესე-ნიც ვერ **ეგდენ** (უსტ.); ბზე **ჩეგდა** (ა.); ერთი **გეგდეთ**, ვიმდეროთ (უსტ.)...

მაზუთი **ეგდე** (ზაქ.); არა, არ **გეგპარე**, მითხვა (უსტ.); მე ისე **გეგვე** (ზ.მ.); **გეგხედავ**, არვინ არაა (უსტ.); ოფლი დამასხა, **დეგდალე** (ბაზგ.); არ **გეგეცევი**, არა (ივ.); ვერ **დეგეტირე** რემეზანი (ბაზგ.); ფარა **გეგეგხადე** (ა.)...

შავშურისათვის უფრო დამახასიათებელი ჩანს წვეიდა, დევიჭირე... ფორმები, ხმოვნის დაკარგვა აჭარულისთვის არის ნორმა.

აი კომპლექსში ჩართულია პირველი და მეორე ობიექტური პირის ნიშნები:

ამელაჲ კაჲ (=კარგად) არ იყო, **გემისკდა** გული (ზ); გაზომეს, რამდენი **გემივლია** (ჩაქ); ისენიც ამოწყდა, **დეგვიტეხეს** (ბაზგ.); არ **დეგვივიწყოთ** (ზენ.)...

გული არ **გეგისკდეს** გზაზე (ხევწ.); ბაჯლებმა დაამზადეს და **დეგიდგეს** (უ); **დეგისხა** კილო ერთი, **დეგისხვა** (ზაქ); ფეხი **დეგიცურდა**, რა'ნა ქნა?(ზაქ); ჩევიდეთ, ჭადი **ჩეგისხა** და გაჭამოთ (უ); **გეგიჩდება**, რა'ნა ქნა?(ბაზგ.)...

ხაზგასმული ფორმებით შავშური კილო განსხვავდება ქართული ენის სხვა დიალექტებისაგან, მათ შორის აჭარულისაგან, რომელშიც ასიმილაცია ერთსაფეხურიანია და სრული: **დამინახე>დომინახე**, **გამინხდა>გომინხდა**... წინა საფეხურის, ნაწილობრივი ასიმილაციის ფორმები აჭარულში არ ჩანს. მართალია, შავშურშიც არის სრული ასიმილაციის ფორმები, მაგრამ, როგორც ნაწილობრივი ასიმილაციის მომდევნო საფეხური.

პატრობის დროს ბევრი **დიმივიწყდა** (სვირ.). შდრ. ... თელი **დამავიწყდა** ისტამბულ (სვირ.); ძმა ამოვლოდა, შიშას **დიმიპობდა** (უსტ.); **დიმიმღერე**, ქი დევძინოლ (ზაქ); მირთმევა **გიმიხარდება** (მანხ.); ბეჭელი შვა თითზე ვერ **გიმიტანია** (ბაზგ.); იქიდან **დიგვიწავლეს** (ბაზგ.)...

ერთი და იმავე ფუძის ზმნა გვხვდება ორივე სახით – ნაწილობრივი და სრული ასიმილაციით:

არ **გემიგონია** მაგვარი (უ). შდრ. შატბერდი არ **გიმიგონია** (უ); შენი დანახვა ჯენნეთი **გემინდება** (შავშ.) შდრ. ავით **გიმინდა** კაცი (უსტ.)... ეგეფხანება **გეგარს** (უ). შდრ. გულში არ **გიმიარდა**, გნახევლით (მანხ.); მეც იქ ვიყავ, **დემინახეთ?** (ივ). შდრ. ასე **დიმინახე**, გეხსომები (სვირ.)...

ზოგჯერ ერთსა და იმავე წინადადებაში არის ორივენაირი ფორმა:

სამოც დღე ვიხმარეთ წყალი, **დეგვიშრეს** სოფელმა, იმათი სიმინდი კაჲ მოდის და ჩვენი არ მოდისო, **დიგვიშრეს** წყალი (მან.)...

აი კომპლექსის ნაწილობრივი ასიმილაციის ერთი ფორმა იმერხევის მეტყველებიდან დასტურდება „ქართულ დიალექტოლოგიაში“ გამოქვეყნებულ ტექსტში:

ამ ყონახზე მობძანებულ ეფენდიმა არ **დემივიწყოს** (ქდ 388).

ანალოგიური შემთხვევები გვხვდება „ჩვენებურების ქართულში“ (შ. ფუტკარაძე 1993):

გემიყუანეს (199); **დეგინახონ** (202); **მეგიტანა** (203); **დეგვიცადე** (205), **გეგვიშვა** (211); **გეგიშავდება** (211)...

დიმინახა (196); **დიგინახავს** (220); **გიმიხარდა** (204)...

ოუეე სრული რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე:

დათვმა და გელებმა **მეერიენენ** (ჩაქ); საქმემ **მემერიაო**, ჩემი ბაბოჲ იტყოდა (მანხ.); არა-ბანი **მეგესალნენ** (უსტ.)...

ზოგიერთი ფორმის ამოსავლად შეიძლება მი- ზმნისწინიანი ფორმაც ვიგულისხმოთ: **მიერიენენ**, **მიეტანა**.

რთული ზმნისწინის პირველი ხმოვანი არ იცვლება:

არ **გამემიშვეს** (შავშ.). შდრ. **გამომიშვეს**; **გამემიღოს**, ტიტველი არ ვარ (სვირ.); რომ არ **გამეეჭრევენებია**, არ ემეს იქმოდა (მანხ.)...

ოი>ეი ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაციის შედეგად:

მეიკიდე აკვანი ზრუგში (უსტ.); აქ **მეიხედე** (ბაზგ.); ახლა **გამეიცვალოს** (ბაზგ.)...

ზოგჯერ კომპლექსის ი ხმოვანი უმარცვლო ხდება:

მაშინ რაცხას **მეიტანდა**, **მეიტანდა** (ჩაქ); ჩვენი საჭმელები არ **მეიწონა** (შავშ.)...

არ ფუძის ზმნაში მასიმილირებელი ი იკარგვის:

ამეარეთ იქ (უსტ.); სარფიდან **გადმეარეთ** (უსტ.); ეზიათიც **გამეეარეთ** (უსტ.); გენჯობა **გეარა**, წვედა (უსტ.); ისე'ნა **ეარო** (უსტ.)...

ამოიარეთ>ამეიარეთ>ამეეარეთ>ამეარეთ.

ასიმილაცია მაშინაც ხდება, როცა კომპლექსში ჩართულია ზმნის ფუძისეული **გ**, პირველი სუბიექტური, პირველი და მეორე ობიექტური პირების ნიშნები: **გ-**, **მ-**, **გგ-**, **გ-**

ჩართულია ფუძისეული **ფ**:

ერთი აღმანი **მევიდა**, იურისტი (ბაზგ.); ახლა მარტო ბალი **მევიდა** (ზ.); გზაში დადექ, არ **წამევიდეს** (ხევწ.); ერთი კამიონი არაბად **ჩამევიდა** იქიდან ჩომათი (ხევწ.)...

კომპლექსში ჩართულია I სუბიექტური პირის პრეფიქსი:

მევიდალე, ქორში ვიყავ (ხევწ.); ახლა მივალთ, **მევიტანოთ** (ჩაქ.); იქიდან **წამეველე** (დ.)...

შეიძლება ბგერათკომპლექსში ვ'ს მომდევნო ი დაიკარგოს.

ოგო>ეგი>ეგ:

ახლა **გამეველა**, უწინ არ იყო (ბაზგ.); ბზე **ამეველაო**, ვიტყვით (ა.); ახლა ამოსულიყო დღე და არ **ამეველა**, ბაკვალა. **ამეველა** და ველარ **წამეველა** (ბაზგ.); ძველათ ფენა გვეწმინოდა, გარეთ ვერ **გამეველოდით** (კოკ.); შიშას **მევეტანო** კამიონით (მან.)...

გამოვყოფთ მო- ზმნისწინიან ფორმებს, რომლებშიც ოი კომპლექსი გათიშულია I და II ობიექტური პირების ნიშნებით (მ-, გგ-, გ-). ანწილობრივი, რეგრესული ასიმილაციით მიღებულია ზმნის ასეთი ფორმები:

ჩვენ (=ჩვენმა) მეზობელმა ძე **მემიტანა** (დ.); იმან **მემიპარა** ცხენზე (დ.); მე არ **მემიკითხეს** (მანხ.); თავის თორუნი მეფევანა, **მემიაროსო** (მანხ.)... საჭმელს **მეგვიტანდენო** საქმის ადგილზეო (ზაქ.); შენ **მეგვიტანე**, ჩვენ ჭკამთ თაფლ, მემიტანე (უსტ.)...

ძილი **მეგივიდა** (უ.); თორმეტ ალთუნ **მეგიტანო** (ბრ.); ანაძ ქი **მეგიკლება** (ბაზგ.)...

რამდენიმე ფორმა ამ წარმოებისა გავხვდებით „ჩვენებურების ქართულში“ (შ. ფუტკარაძე 1993):

რამდენჯელ **მეგიკითხე** (246); **მეგიტანოთ** და წამოიო (259); ნენეი ფაფას **მეგიდულებსო** (270).

ნაწილობრივ ასიმილაციას შეიძლება მოჰყვეს სრული რეგრესული ასიმილაცია. ამდენად, პროცესი ორსაფეხურიანია: **ოი>ეი>იი**. სრული ასიმილაციის შედეგად მო- ზმნისწინი ემსგავსება **მი-** ზმნისწინს. ჩვენი დაკვირვებით და სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვითაც, ეს მოვლენა არ გვხვდება ქართული ენის სხვა დიალექტებში, არც აჭარულში, რომელთანაც ბევრი საერთო აქვს შავშურ კილოს:

ვერ **მიმიწველია** (<მემიწველია<მომიწველია) ძროხა (უსტ.); ბაბოე მეფევანეს, იმან **მიმარა** (ბაზგ.); დედამთილ-მამამთილი არ მყავს, მალე **მიმიკდენ** (უსტ.); ეს ახლა **მიმიტანა** ბაღანამა (ბაზგ.); მეზობლები **მიგიტანებენ** (მეგიტანებენ<მოგიტანებენ) (ბაზგ.); **მიგიტანო** ჩაი?(უსტ.); არ **მიგიდინებენ** წყალ? (უსტ.)...

ახლა წყლები **მიგვიყვანეს**, ა, იქიდან **მიგვიყვანეს** (<მეგვიყვანეს <მოგვიყვანეს) კარჩხლიდან (უსტ.); ხარლი **მიგვიყვანეს** (უსტ.)...

ერთსა და იმავე წინადადებაში გვხვდება ორი სხვადასხვა ფორმა – შეუცვლელი, ამოსავალი და ასიმილირებული (სრული ასიმილაციით):

წყალი, ორი წელიწადია, **მოგვიყვანა** ბაშქანმა, ჩვენ წყალი არ გექონდა, ფერდიდან **მიგვიყვანა** (ნიოლ)

ზოგიერთ ფორმაში **მი-** ელემენტს გადაჭრით ვერ მივიჩნევთ მო- ზმნისწინისაგან მომდინარედ: გურჯიჯა ვერ **მიგვიფერებია** (უსტ.); ვერ **მიმიცლია**, ყანას ვთიბ (სვირ.); ვერ ჩავსულვარ, ვერ **მიმიცლია** (უ.)...

ხაზგასმულ ზმნებში მო- ზმნისწინიც შეიძლება გექონდეს: **მოგვიფერებია**, **მიმიცლია**.

აუ>ოუ ნაწილობრივი, რეგრესული ასიმილაციით:

ამათ ვიზე **გოუკეთა** (<გაუკეთა) (ზაქ.); **გოუგზანნიან** ისენი (დავ.); ამრეველი თუ არი, **ოურიეთ** (ზაქ.); **გოუღე** ჯენნეთის კარი (მან.); რამდენი მეტრო **გოუგლია** (ჩაქ.)...

ნაწილობრივი ასიმილაციის გაგრძელებაა სრული ასიმილაცია: **აუ>ოუ>უუ**:

ურბას **უუღებენ** (უსტ.); ჭვირთი **უუმიმდაო** ცხენს (მან.); ორი წელიწადი არ **უუთავებია** (ბაზგ.); თხილი ვერ **გუუყიდვან** (ნიოლ.)

ჭარბობს სრული ასიმილაციის ფორმები. **უუ** ენაცვლება არა მარტო **აუ** კომპლექსისაგან მიღებულ, არამედ პირველად **ოუ**-საც:

დოდოფალ ოდას **მუუწყობენ** (<მოუწყობენ) (უსტ.); გურჯიჯა ვერ **მუუფერებიან** (<მოუ-
ფერებიან) (ხევწ.)...

ზოგიერთი, **უუ** კომპლექსიანი ზმნის ამოსავლად შეიძლება ვივარაუდოთ, როგორც **მო-**,
ისე **მი-** ზმნისწინიანი ფორმა:

ნიშან **მუუტანებენ** (უსტ.). **მოუტანებენ**, **მიუტანებენ** (>**მუუტანებენ**);

იმას ჭიბ **მუუბრუნებდენ** (წით.); შორიდან **მუუშიერე** და **გათბი** (ბაზგ.)...

სხვადასხვა ფორმა გვხვდება ერთსა და იმავე წინადადებაში:

ხახე **ჩუურევთ**, სარჩას **ჩუურევთ**, ლამაზათ მოურევთ, მოვხრაკავთ (უსტ.).

ეუ>უუ სრული, რეგრესული ასიმილაციით:

იმისთინ **შუუნივლია**, არ დამანახვესო (შავშ.); ბიბერი'ნა **შუურიო**, რენგი მიცეს (უ);
ლამაზათ **შუურევთ** (უსტ.).

დასტურდება ხმოვანთა ასიმილაციის სხვა შემთხვევებიც, რომლებიც არ არის დაკავ-
შირებული ზმნისწინებთან: **ზომთ** (<ზემთ) ზაქიეთური დაილაა(ჩაქ).

კითხვითი ნაცვალსახელი **რა** და ზმნა **იქნა** აღიქმება ერთ სიტყვად (ენკლიტიკის
შემთხვევა), რომელშიც ხდება ნაწილობრივი რეგრესული ასიმილაცია:

რე იქნა მანქანა? (ხევწ.); **რე იქნა** არ ვიცი (შავშ.); **რე იქნა** ფაჩაფრა? (ზაქ).

ასიმილაციაა მომხდარი **ცა**, და ნაწილაკდართული რა ნაცვალსახელის მოქმედებითი
ბრუნვის ფორმაში: **რაცხეით** (<რაცხაით) გინდა (ჩაქ).

ასევე ამ ნაცვალსახელის უნაწილაკო და ნაწილაკიან **ებ**'იან მრავლობითში:

რეები იცით თეკენ? (დ.); **რაცხეები** (<რაცხაები) აქვან-მეთქი (ზაქ); შდრ. **რაცხებს** აჩუ-
ქებენ (შავშ.); ჩვენთან უფრო ბევრი **რაცხაები** იციან (ზაქ).

ასიმილაციაა უარყოფით ნაცვალსახელში (ვინ ნაცვალსახელის ი ხმოვნის გავლენით):

აქ **არევის** არ წავა (ჩაქ);

იქვე გვხვდება:

არავის არ მიხტომია, **არავისთვის** არ უკებნია (ჩაქ).

ნაწილობრივი პროგრესული ასიმილაციის მაგალითია ნაწილაკიანი ზმნიზედა **იქეც**:

იქეც (<იქაც) არაფერი არაა (ნიოლ.); **იქეც** ასკერი არი (ნიოლ.).

ასევე: **შეკიკი<შაკიკი**:

თავი ტკივილი გექნება, **შეკიკი**, დეკიდო'ნა (ზაქ).

სრული ასიმილაციის სხვა მაგალითებია:

დოდოფლობა ახლა ისე აღარ არი (ჩაქ); **დოდოფლობაში** შეკაზმული იყო (სვირ.). შდრ.
ჩემი ბაკალა იმისი **დედოფალია** (ჩაქ); **ხოშეკოლამ** (ხოშეკაკალამ) ჩაწყვიტა (ხოხ.).

გეოგრაფიული სახელი **მაჭახელი** გვხვდება სხვადასხვა ფორმით: **მაჭახელი**, **მაჭიხელი**,
მაჭენელი, **მეჭენელი**. ვფიქრობთ, სამი უკანასკნელი ფორმა ასიმილაციით უნდა იყოს მიღე-
ბული: რეგრესული, ნაწილობრივი ასიმილაციით: **მაჭახელი>მაჭიხელი**; სრული, რეგრესული
ასიმილაციით: **მაჭენელი(<მაჭახელი)**, **მეჭენელი (<მაჭენელი)**:

მაჭახელი: მაწყინარი თაფლი **მაჭახელშია** (ჩიხ.); აგზე **მაჭახელია**, **მაჭახელის**

ხერთვისში ვიყავ (ზაქ); **მაჭახელიდან**, იქიდან ძველათ გადმოსულან ჩვენი დიდვანი
დედიები (უსტ.); **მაჭახელ** აკრიადამ გათხოვილი ყოფილა (უსტ.); მამალიშვილები **მაჭახლი-**
დან მოსულან (ჩიხ.).

მაჭიხელი: ხალაჲ იქ, **მაჭიხელ** გათხოვილი ყავდა (ბაზგ.); ჩემ ნენედ იქიდან იყო,

მაჭიხელიდან (უსტ.); **მაჭიხელი** გურჯია (ჩაქ); **მაჭიხელელებმა**, ამათ იციან (ივ.).

მაჭენელი: **მაჭენელში** რომ გადახვალ, გვარ მედითხვენ (ბაზგ.); **მაჭენელური**

წამალი მაქ (ბაზგ.); მეც ვთქვი, **მაჭენელ** გედევალ (ბაზგ.); ახლა ემეი მოგვყავს
მაჭენლიდან (უსტ.); მღერა, ქორწილი თქვენი და **მაჭენელელებისა** ერთია (სვირ.).

მეჭენელი: დედედ იქედან გადმოსულა, **მეჭენელ** ეტყვიან (ბაზგ.).

მეჭენელი ინდივიდუალური ფორმა ჩანს.

ინდივიდუალური უნდა იყოს **ცაკვა** (ცეკვა). საინტერესოა მოუბრის განმარტება: „ცქვი-
ტათ (სწრაფად) სამას „**ცაკვა**” უთხრეს. „**ცეკვაიდან**” „**ცაკვა**” გახდა (ა). თურქ. „**სამას**” ანა-
ლოგიით სწრაფი ტემპის ცეკვას დაარქვეს „**ცაკვა**” (პროგრესული ასიმილაციით).

შავშურში ფართოდაა გავრცელებული თანხმოვანთა ასიმილაცია.

რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაციის საფუძველზე მომხდარა თანხმოვანთა შემდეგი ცვლილებები:

სღ>ზღ: **ამეზღამ** (=ამაღამ) აქ ხართ? **ამეზღამდელი** დუგუნი აგზეა (უსტ.).

ამეზღამ მიღებულია ჩვენებითი ნაცვალსახელის (ეს) მიცემითი ბრუნვის ფორმის (ამას) და არსებითი სახელის **ღამე** (>ღამ) შეერთებით: **ამასღამ>ამაზღამ** ასიმილაციას ერთვის ხმოვანთა რეგრესული დისიმილაცია: **ამაზღამ>ამეზღამ**. გვხვდება **ამღამე** ფორმაც: **ამღამე** ბაზგირეთ დუგუნია (დ.).

შეენიშნავთ, რომ გვიანი პერიოდის ორიგინალურსა და ნათარგმნ ქართული ლიტერატურის ძეგლებში დასტურდება სწორედ ეს ამოსავალი ფორმა – ამას ღამე (ცალ-ცალკე სიტყვებად): მე ვარ **ამას ღამე** ტალაო (ამირ. 148); **ამას ღამე** შენ მიმასპინძლე (რუსულ. 39,32); ბედნიერობა იყო ჩემი **ამას ღამე** შენი ჩემთვის ესეთი სიქუშე (ვისრ. 330); **ამას ღამე** შენთანა ვიქნები (ყარამ. 176)...

სამწვერლობო ენაში გვხვდება **ამაზღამ** ფორმაც. „რუსულანიანში“ იგი ვარიანტებშია გატანილი (624, B), „როსტომიანიდან“ და „შაჰ-ნამედან“ „**ამეზღამ**“ დამოწმებული აქვთ ივ. ჭავთარაძეს (ივ. ჭავთარაძე 1964.:271), ა. მარტიროსოვს (ა. მარტიროსოვი 1954.:57) და მ. ძიძი-შვილს (მ. ძიძიშვილი 1960.:78).

ამეზღამ გავრცელებულია აჭარულში (ქობულეთური კილოკავის გამოკლებით), იშვიათია **ამაზღამ** (მ. ცინცაძე, მ. ფაღავა 1998.:25-26). **ამეზღამ** და **ამაზღამ** ფორმებს იმოწმებს შ. ფუტყარაძე (შ. ფუტყარაძე 1995.:7,16). ქართული ენის სხვა დიალექტებში ეს ფორმები არ გვხვდება.

ეფიქრობთ, **ამეზღამ** კარგი მაგალითია სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული იმ მოვლენისა, როცა სახელთა ფორმები „ბრუნვათა პარადიგმიდან გამოსვლის შემდეგ იქცევიან ზმნიხედებად, ანუ გარემოებებად“. ამ მოვლენის ერთ-ერთ ნიმუშად თ. უთურგაიძე იმოწმებს სწორედ არსებით სახელს „**ღამე**“: „**ღამე**, როგორც სახელი, კვეცადია, მაგრამ სახელობითში არასოდეს კარგავს ბოლო ხმოვანს... როგორც ზმნიხედა კი იცვლება და ბოლო ხმოვანს კარგავს გარკვეულ შემთხვევებში: „**დღე და ღამ** შრომობს...“ (თ. უთურგაიძე 1986.:96). ჩვენი მხრით დაგუმატებთ, რომ შავშურ კილოში ანალოგიურ კონტექსტში ბოლო ხმოვნის გარეშეა „**საღამო**“: ხვალ არი დუგუნი, ხვალ **საღამ** არი (ივ.).

ბოლო ხმოვანი ეკვეცება თურქულიდან შესულ სიტყვას „**სირა**“ (sira) „**რიგი**“, „**მწკრივი**“, როცა იგი „წინა“ ზმნიხედასთან ერთად აღნიშნავს დროს: **წინა სირ** ორი თეშტი მოვადულე (ხევწ.).

აჭარულში ფართოდაა გავრცელებული „**ხვალსაღამ**“, „**ამსაღამ**“, **გუშინ საღამ**“.

სჭ>შჭ: ნიორი ილაჯია, ბაბოღ **შჭამდა** (წით.); წანდიღ მოხარშვენ და

შჭამენ (ჩაქ.); **შჭრიან**, ახმობენ (ჩაქ.).

გჟ>ქჟ: ვირები **ქჟყავდა** (უსტ.); მეფყვანონ და **მოქჟყიდონ** (უსტ.); ოთხი თანე

ბიჭი **ქჟყავს** (ჩაქ.).

გჟ>კჟ: **წამოკყვეს** და პასუხი მოგე (ჩაქ.); შდრ. არ **წამოგყვათ?** (ჩაქ.).

გქ>ქქ: საქონელი **ქქქონდა** (ჩაქ.).

გჭ>ქჭ: წისქვილი აღარ **ქჭჭირია** (ჩაქ.).

გხ>ქხ: მოკდე, არ **შექხედავენ** (ჩაქ.).

გც>ქც: **მოქცემ** სამას დოლარს (ბაზგ.); საჭმელი **მოქცე**, ჭამდე (უსტ.). შდრ.

მოცემდა ბეგი კვერცხ (ზაქ.).

გკ>კკ: **დაქკრავ** ამ გარგან (ხევწ.).

ბშ>ფშ: ქვიან **ალაგეფში** არის (ჩაქ.).

სხვადასხვა ფორმაა ერთსა და იმავე წინადადებაში: „ჩადებ გობში, დახრეტიღ **გოფში**, გედწურვის (ბაზგ.).

ღჟ>ტჟ: იქ, ისტამბოლ, არის, **აგატყოფია** (ბაზგ.); **აგატყოფებს** უყურებთ?

(ჩაქ.).

თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაციის შემთხვევები შედარებით ნაკლებია:

ცდ>ცხ: კითხვით ნაცვალსახელებს და ზმნიზედებს დაერთვის **ცა, ღა** ნაწილაკები, შედეგად **ცა** ნაწილაკისეული ა იკარგვის, სპირანტი **ღ ც** თანხმონის მეზობლად ყრუვდება:
ცღ>ცხ: რაღაცა>რაცღა>რაცხა:

რაცხა შეგივარდება თვალში ... ამის ნათქვამი ბევრი **რაცხაღსთინ** იქნება (ჩაქ).

ვინცაღა>ვინცღა>ვინცხა: **ვინცხას** რომ მათყვეილფ (ჩაქ).

ანალოგიური მაგალითებია: „**რომელცხამ** ქი გაამქლავნა, იმან ითხვა (სვირ.); **რაგარცხა** ქი დოდოფლობაში შეკაზმული იყო (სვირ.).

ასეთი შემთხვევები ქართული ენის სხვა დიალექტებიდანაც არის ცნობილი.

ცღ>ზღ: ახლოა, **ოზღაათ** დეყეზე ახვალ (ხევწ.).

რჩ ფუძის ზმნებში **რ** სონორი იცვლება **ს** სპირანტით: **სჩება**. რეგრესული ასიმილაციით **სჩ>შჩ:** დიდი თუთა **დაშჩა** (ხევწ.).

პროგრესული ასიმილაციის შემთხვევები ნაკლებია.

კღ>კტ: კაცი **მოკტა** ოთხმოცდამეცხრეტი წლისა (ბაზგ.); ციხეც, **მოგიკტეს** ამშენებელი (მაჩხ.).

ჭარბობს უასიმილაციო ფორმები:

რამდენი ხანია მოკდნენ (ბაზგ.); **მოკდები**, აგზე ჩაგდებენ (უ); ახლა ისიც აღარ მყავს, **მოკდა** (უსტ.); ანამისი არ ჰყავდა ზათი, **მომკდარი** იყო (ჩაქ).

ამ მხრივ ერთგვაროვნება არ არის აჭარულშიც: ქობულეთურისათვის ჩვეულებრივია ასიმილირებული ფორმები: **მოკტა, სიკტილი...** სხვაგან – **მოკდა, სიკდილი...** არის გავრცელებული.

ხღ>ხტ: ვერ **მიემხტარვარ**, თქვენ **მიხტებით** (ბაზგ.).

ხღ>ხთ: ემჯამი ერთ დოხტურმა **მიხთა** (სვირ.).

ქღ>ქთ: პურს მოვხელავთ, **გასუქდება** (ჩაქ).

2.2. დისიმილაცია. დისიმილაციის შემთხვევები ასიმილაციასთან შედარებით ნაკლებია. დისიმილაცია ხდება **ვალ** ფუძის ზმნის ფორმებში:

არსათ არ **წევალ** (ჩაქ); სოფელში **წევალთ** (მან.); იქიდან **ჩეხვალ** მაჭეხელში (ბაზგ.); მეც ვთქვი, მაჭეხელ **გედევალ** (ბაზგ.).

შდრ. ჯანჯირი დაილაში **ჩახვალ** (ბაზგ.); თუ დიგვიდახებს, **წავალთ** (ჩაქ); მემრე **ყავეში** წადიან (შოლტ.);

გამოვიტანო **მიორე** (<მეორე)? **მიორეც** გამეფტანე (ზაქ); **მიორე** მოსლაზე აათავეფ (მან.); **მიორეები** არ არიან დაქორწილებული (ნიოლ.).

მიორე’ს გვერდით გვხვდება **მევრე (ო>ე):**

მევრე აჩული გამოდგა (სვირ.); **მევრე** დღეს მეფრებიან ქალები (საფშ.); ერთი მაჰალე გურჯი არის, **მევრეები** თურქია არიან (ზ.მ.).

გვხვდება **მიერე**, რომელიც პროგრესული ასიმილაციით **მიორე** ფორმისაგან უნდა იყოს მიღებული:

ერთი არ იყო ღამაზი, **მიერეები** ღამაზები იყვენ (ჩაქ); **მიერე** წელიწადსაც მე წამუელ (ბაზგ.); **მიერედ** მოხვალთ (მან.).

ჭალაში **შიაგდებ** (ხევწ.); არავისაც არ **შივატმეფ; შიშას** მეტან კამიონით (მან.).

დისიმილაციის მაგალითად ითვლება **ლაპარიკობს<ლაპარაკობს** (ბ. ჯორბენაძე 1989.:405):

გოგო **მელაპარიკება** ტელეფონზე (მან.); თელი მიხდებიან, ვერ **ილაპარიკებენ** (იფხ.); არ **დემელაპარიკება**, ცხვენია (ზაქ); ისინი ვერ **გველაპარიკებიან** (მაჩხ.).

უფრო მეტია უდისიმილაციო ფორმები:

ეფედ **ილაპარაკეთ** (კოკ.); სახში გურჯიჯა არ **ლაპარიკობენ** (ა.); ბევრხან არ **ველაპარაკებოდი** (უსტ.); შენ **ილაპარაკებ**, ჩემ კაც, ასეო? ის **ილაპარაკებდა** (ჩაქ).

ოა>უა>უე რეგრესული დისიმილაციის საფუძველზე (**ოა<ოვა; ოე<ოვე**). ეს მოვლენა ხშირია **ვალ/ველ** ფუძეების ზმნებში:

იზინი თუ მიცეს, **მუა** (<მოა<მოვა) (ჩაქ); ჩვენ კარიდან გავხედე, ქარიშხალი **მუაო**; ჯარში წაველ, მასუკან **მუელ** (<მოელ<მოველ) (ჩაქ); დელე-დელე აგზე **მუელით** (მოელით<მოველით) (ხოხ.); აქ **გადმუელ** (<გადმოელ<გადმოველ) (ბაზგ.).

ოა>უე; ოე>უე პროცესის სხვა მაგალითებია:

ხერხით **მუახვეთ** (ნიოლ.); აგზე გვამდერეს, ვერ **მუაფერეთ** (უსტ.); **გამუაცხოთ** იშტე (ბაზგ.); პური'ნა **გამუაცხოთ** (ა.); ზოგს გავახმობთ, ზოგ ამა დავაჭრით, გამუასუფთებთ (ჩაქ).

ერთი და იმავე პირის მეტყველებაში გვხვდება დისიმილირებული და ამოსავალი ფორმები: ფშნილას **მუაყრით...** დავჭრით ასე ყართოფ, ფშნილას **მოვაყრით** (ბაზგ.); ჩომას **ვაძუებდი** და დემიჭირეს; ძროხებ **აძოვებს** (ჩაქ).

თანხმოვანთა დისიმილაციის მაგალითებია:

პირპილი<პილპილი: **პირპილ** არ ვიხმარებდით (წით.).

წრეველ<წრეულ<წლეულ: ახლა ისიც აღარ მყავს, **წრეველ** მოკდა (უსტ.).

არალი<არ არის: შინ **არალიან** (ზ.მ.); ჰალა **არალი** არაფერი (ხოხ.).

თუმცა სხვა შემთხვევაში დაცულია ორი **რ**: **არაფერ** არ ვიტყვით (ჩაქ); თორუნებიც მყავს, **ორ-ორი** თანე (ნიოლ.).

2.3. ბგერის დაკარგვა. დასტურდება ბგერის დაკარგვის მრავალი შემთხვევა.

იკარგება ს. ხშირია მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა, განსაკუთრებით თანხმოვანფუძიან სახელთა მხოლოდობით რიცხვსა და საერთოდ -ებ'იან მრავლობითში. მნიშვნელობა არა აქვს, სახელი აქტანტაა – ზმნასთან შეწყობილი პირია თუ გარემოება (აღვილისა ან დროის):

იქ ჭამ **პურ** (ჩაქ); ჩემ **შვილ** ჰამერი ყავს (ბაზგ.); **სიმინდ** ვთესავთ, **ქერ** ვთესავთ (ბაზგ.); იმას დეველაპარიკებოლით **ყველაფერ** (ჩაქ); **ბაზგირეთ** (<ბაზგირეთს) დუგუნია (დ.); იქ გაზდილა, **მურღულ** (<მურღულს) (უსტ.);

იშვიათად **-ს** იკარგება ხმოვანფუძიანებთანაც:

სიძე (<სიძეს) თქვენ რას ეტყვით? (ზაქ); გურჯიჯა **ქუფელა** (<ქუფელას „ყურის ბიბილო“) ებნევიან (ჩაქ); **ჩულა** (<ჩულას „შალის ქსოვილს“) დუუგებთ წინედან (ბაზგ.)...

-ებ'იანი მრავლობითი:

თქვენ **ღარჭებ** ასწავლით, არა? (ჩაქ); **ვირებ** აკვიდებდით ზრუგზე (უსტ.); დუუძახებდით **მეზობლებ** (უსტ.); **სიმინდებ** რომ მოჭრიან, იმ დროზე (ბაზგ.); **ძველებ** ეცოდინებიან ბელქი (ჩაქ).

იშვიათად **-ს** არ არის დაკარგული:

მე რა ვიცი, რას შეეხვეწებიან **ღმერთს** (ჩაქ); ბუზანკალია, **ხარს** ეხვევა (ჩაქ); **დოდოფალს** ქი მიეყვან, არ ისამებ? (უსტ.); ჩვენ **ყავეს** ვებნევით (მან.); პურ ვაჭმევ, **თიფას** (ჩაქ); ახლა მარტო **ყართოფას** ვთესავთ (ბაზგ.); **კონსერვებს** გავაკეთებთ, ჟავეს (უსტ.)...

ერთსა და იმავე წინადადებაში სახელი ორგვარად არის წარმოდგენილი: მიცემითი ბრუნვის ნიშნით და უნიშნოდ:

ზოგს გავახმობთ, **ზოგ** ამა (<ამას) დავაჭრით (ჩაქ); შიგან **დად** დასწუავ... **ჩომის** დადს, ერბოს (ბაზგ.); **კარებ** ვაკეთებ, **ფანჯრებს**, **რამკებს** ფუტკრისთინ (ბაზგ.)...

მიცემითის ნიშანი ხშირად იკარგება ჩვენებით-პირის ნაცვალსახელთან:

იმა<იმას:

ბობოლ **იმა** ვეტყვით (ჩაქ); **იმა** ძველათ ქერ ეტყოდენ (ბაზგ.); სიმღერას გამუუთქმევდენ **იმა** (ჩაქ); **იმა** ფული აართვით ბოლათ (ბაზგ.).

ამა<ამას:

ამა არ უყვარს (ბაზგ.); **ამა** საღონ ვუძახით (მან.); **ამა** ზენაგარა ქვია; **ამა** სონერი ქვია (ბაზგ.); **ამა** დააბრალებდენ, აბა?! (ჩაქ).

იშვიათად შენარჩუნებულია **ს**:

იმას კოშისთვინ ვიტყვით (ჩაქ); **იმას** წასწევდენ წინ (ჩაქ); „თავ“ ვეტყვით **ამას** ჩვენ (ჩაქ); **ამას** ეკალი ქვია (ჩაქ); დუზგარი აქ **იმას**, ფერვანები აქ იმა (ბაზგ.); **იმას** ციცინათელას ვებნევით, ღამით ანთობს იმა (ჩაქ); რა იჯება, **რას** იჯება? ამეზღამ **რას** იჯება? (ჩაქ).

მიცემითი ბრუნვის ნიშანი იკარგება –**თან** თანდებუდიან ხმოვანფუძიან სახელებთან:

სარეთან (<სარესთან) სიდედრი ყავს (დ.); **ჯამეთან** (<ჯამესთან) რომ იყო, ის არი (უ.); **მუსათან** (<მუსასთან) ვერაფერ ვერ დამახსენებს (ხევწ.); აქ ჩემ **დათან** (<დასთან) ახვალთ (ბაზგ.).

იკარგება ნათესაობითი ბრუნვისნიშნისეული –**ს** მსაზღვრელ სახელებში:

ქორწილში, **პური ჭამაში** სუფრას დეიჭირვენ (უსტ.); **ჯანი მიცემამდე** ჭკვა ქონდა (მანხ.); **ტყი ღორები** სუქანი არიან (ზაქ.); **კარი გამღებელი** არა... (უსტ.)...

ს იკარგება თანა თანდებუდიან ნაცვალსახელთან:

არც ხორცი იქნება გერმელი **იმითანა** (ბაზგ.); ჩვენც ჩავსხამთ **მაგითანასა** (ა.).

ამ ფორმათა ანალოგიით უნდა იყოს დაკარგული მსაზღვრელი კუთვნილებითი ნაცვალსახელის – **თავისი ს**:

იქ არი **თავი** (<თავის) ბაბოსთან, **თავი** ანასთან (ბაზგ.); **თავი** ანას უნდოდა ჩემი თავი (შავშ.).

იშვიათად შენარჩუნებულია ნათესაობითის ბრუნვისნიშნისეული **ს**:

ყრალი სული უდინს **ანწლის** ფურცელ (მან.); ყართოფ **ყანის** ქენერზე ვთესავთ (უსტ.); თავი ტკივილი გექნება, შეკიკი, დეიკიდონა, **თავის** ტკივილი მეც მჭირს (ზაქ.).

გვხვდება თანხმოვანთა დაკარგვის სხვა შემთხვევები:

ხშირია სახელის თავიკიდურა თანხმოვნის დაკარგვა.

იკარგება **მ**:

ოთხი წელწაღია არ ავსულვარ **თაზე** (ზაქ.); **თელმა** არ იციან (წეთ.); თქვენ **ძიმე** ხართ (სვირ.); **თავრობაში** ვიყავ, **თავრობაში** (ივ.); ჟაუნად (<მჟაუნად), ჰო, ემეა (სვირ.); უმუუსლელი **კვახეა** (ნიოლ.); არიან **გელეები** (მან.); ყრალი სული უდინს **ანწლ** (მან.); ჩვენი დედე **ჭედელი** იყო, **ჭედელიძე** გვარი არიო (მან.); ჩვენ ვიცით **წვანე** ლობიო (იფხ.); ეს არ იჭმის, **წარეა** (ნიოლ.).

იკარგება **რ**:

ზემთ ახვალ **კოც** არი (უ.); შენ **ძალი** იქვერი გყავს? (უსტ.).

შდრ. **რძალი** უარდა... მე **რძალთან** ვარ (იფხ.)

რ'ს დაკარგვის სხვა შემთხვევებია:

საიდან **ბძანდები**? (სვირ.); არ დეგელაპარიკება, **ცხვენია** (ზაქ.); რა სირცხვილი იყო, **მცხვენია** (უსტ.); მე ხომ კაცი არ ვარ, რატომ'ნა **შეგცხვეს** (სვირ.); ჩვენც ერთი თუთა **დაგვჩა** (ხევწ.).

ახალგაზდები დიდ ქალაქებში არიან (ჩაქ.); აქ არ **გაზდილა**, ის **გაზდილა** მურღულ (უსტ.); **ღმა** დელიებში წევდეთ (უსტ.); **გძელი** ემე არი-ა? (ჩაქ.); **ფთხილად** შეხედეთ თქვენ თავს (ა.); დაბუყებისთინ კად არი, **ფჩხილებზე** წევსვამთ (ჩაქ.); ძველათ **ფჩხილ** არ დავაჭრიდით (მანხ.);

შდრ. **ფჩხილით** წამოკარ, თუ თეთრია, კადა (ივ.).

სიტყვის დასაწყისში ზოგჯერ იკარგება ორი ბგერა:

გვალი ვაშლი არი (ჩაქ.).

რ'ს დაკარგვას სამხრულ კილოებში განიხილავს მ. ფაღავა (იხ. მ. ფაღავა 2002(1):189-199).

რ'ს დაკარგვის შემთხვევები დასტურდება სამწერლობო ქართულშიც.

ზრდ ფუძეში რ'ს დაკარგვის ერთ შემთხვევას X საუკუნის ხელნაწერიდან (Sin 39) იმოწმებს მ. ძიძიშვილი: საზდელი (მ. ძიძიშვილი 1960.:106). ამ ფუძეში ძველ ქართულში რ არასოდეს არ იკარგებოდა (ივ. ქავთარაძე 1964.:137). გვიანი პერიოდის ქართული ლიტერატურის ძეგლებში რ'ს დაკარგვა ხშირია:

„რუსუდანიანი“:

ხელმწიფის შვილს **ზდა** დაუწყო (269,11); იყო ერთი ხელმწიფე, **დავდომილთა გამზდელი** (461,24); **გამოზდელი** უძღურსა (144,28); გრძნეულთაგან **გაზდელი** გრძნებით შექნილი გახდა (54,4); **შემობძანდა**, მიიხედ-მოიხედა (226,31); მაგისტანა ქართულსა რასათვის მიბძანებ? (365,27).

მაგალითები სხვა ძეგლებიდან:

რა იცნა, მაშინვე **ბძანა** (ყარ.386); კარგად **ბძანე** (არჩ. 450); მას თავი დაახსნევინა, **მობ-ბანდა** (არჩ.)...

ანალოგიურ მაგალითებს არჩილის თხზულებებიდან განიხილავს ლ. კობიაშვილი (ლ. კობიაშვილი 1976.:83).

იკარგება ს: სამხრული მეტყველების ერთ-ერთი გავრცელებული თავისებურებაა **ს** თანხმოვნის დაკარგვა **სწავლა**ში და ამ ფუძის ზმნებში:

დაჯექ, დაჯექ, **აწავლე** (უსტ.); არც არავის **ვაწავლი**, არც იმათი **წავლა** მინდა (უსტ.); გაწვიმდა, რაი'და **ვაწავლო!** (უსტ.); ოქულში დადიან და იქ **დეიწავლიან** (ჯვარ.); აქ, სკოლაში, არ **გვაწავლიან** გურჯულს (წეთ.); **ვიწავლე** ქართული (ჩიხ.).

ს'ანიანი ფორმა იშვიათია:

მალარა **გასწავლათ** (ჩაქ.); მე არ მცალიაო და შენ **ასწავლეო** (ჩაქ.).

ს იკარგება სხვა სიტყვებშიც:

არ **მოვწრებივარ** (ივ.); ჰო, **წორეა** (სვირ.); **წორეს** ამბობს, დაღამდა (ბაზგ.).

შდრ: **სწორეთ** არ ასულან, **სწორეთ** არ მისულან აქ (უ.).

ს ბგერის დაკარგვა წინაენისმიერ სამეწულებთან საერთოდ გავრცელებულია ქართული ენის დიალექტებში. ხშირია ეს მოვლენა სხვა სამხრულ კილოებშიც.

ს ბგერის დაკარგვის ანალოგიურ მაგალითებს იმოწმებს შ. ფუტკარაძე (შ. ფუტკარაძე 1995.:24).

ივ. ქავთარაძე **ს**'ს დაკარგვას საერთოქართველურ მოვლენად მიიჩნევს. იმოწმებს მაგალითებს გვიანი პერიოდის ლიტერატურული ძეგლებიდან: **გავწორდებით, დავიწარი, დავწრებივართ** (ივ. ქავთარაძე 1964.:140). შდრ. მიწასთან **გააწორა** და მოკლა (ყარ. 566).

ს იკარგება ასეთ შემთხვევებშიც:

შორ იყო, საცხან (ბაზგ.); აქიდან ფეხით ვერ დარ, **შორ** არი (ბაზგ.); ჰაჯერად ჰად **არიო**, ქომო **არი-მეთქი** (ხევწ.)...

ბგერათა დაკარგვის სხვა შემთხვევებია:

იკარგება დ: მე **კარგა** არ ვიცი (ჩაქ.); ბაღვი **სა** წვიფვანეს? (ბაზგ.); **სა**

იყავით გუშინ? (ჩაქ.).

შდრ. **სად** წახველი? (ზაქ.).

იკარგება ვ: ძველი სახელი **გამოცლილია** (ჩაქ.); მექთების **მასწალებელი** ვარ

(უ.); **ქრივი** იყო (ხევწ.); **ექსი** თვე აქ ვარ, **ექსი** თვე იქ ვარ (ივ.)

ქვა **გახრეტილი** ყოფილა (ჩაქ.); კაცი **მოიდა** (სვირ.); **წამოიდა** და

ახლა იქ არიან (ბაზგ.).

კვდ ფუძეში ვ'ს დაკარგვის შემთხვევები ასიმილაციასთან დაკავშირებით ზემოთ განვიხილეთ.

იკარგება გ: **რავარი** ქალი იყო?! (ხევწ.); წინ-წინ **რავარ** ვიყავით (ივ.); **რავარ**

გითხრა, ვერ გვილაპარაკნია (ჩაქ).

შდრ. **რავარ** უსაქმიან? (მანხ.).

რავაი//რავად იკარგება ორი თანხმოვანი **გ** და **რ:** **რავგარი>რავარი>რავაი(დ):**

რავად ვიყავით დაილაში (უსტ.); **რავად** გითხრა (უსტ.).

ამ ფორმებს აქვთ ზმნიზედის მნიშვნელობა. **ი (>დ)** გაჩენილი უნდა იყოს იმ ფორმათა ანალოგიით, როგორიცაა: **ადვილაი//ადვილაი, ქართულად, ჩვენებურად...**, რომლებშიც ხმოვან-ფუძიან სახელთა ანალოგიით ვითარებითი ბრუნვისნიშნისეული **დ**'ს დაკარგვის შემდგომ დართულია **ი//დ**.

იკარგება ლ: **სკინტ** (<სკინტლ) გუულებსევედით (წეთ.).

იკარგება ნ: სიმინდ ვთესევედით, ამდენი **სიმინდი** მოვიდოდა (ჩაქ.).

იკარგება ორი ბგერა:

მოლი ბგერი **გვაქ** (<გვაქეს)(უ.); სახლი დაყრილი **მაქ**(<მაქეს)(ბაზგ.); წყალი **მიმაქ** (<მი-მაქეს)(ზ.)...

ცოტა **ფთხალი** (<მფრთხალი) ძროხაა (ხოხ.).

ზოგჯერ ზმნას აკლია ბოლო მარცვალი:

ღმერთო, **მოგვე** (<მოგვეცი) წვიმა-წყალი (ხევწ.); ფარა **მომეო** (ჩაქ.); ფარა თექრენ უკან **მივე**; საქონელი გასაკეებლად **მიე** (ხევწ.).

თურქული **თანე** „ცალი“ ახლავს რიცხვით სახელებს: ორი **თანე**, ათი **თანე**... „ერთი“ ამ სიტყვასთან გვხვდება როგორც სრული სახით, ისე ბგერამოკვეცილი (ჩამოშორებული აქვს სახელობითი ბრუნვის ნიშანი და ფუძის ბოლოკიდური თანხმოვანი:

ანად ზათი **ერთი თანე** არი, გქელი არი, ანად **ერთანე** არი (ბაზგ.); ბაკალასაც ერთი ბიჭი ყავს, **ერთანე** კაცი (უსტ.).

„ერთი“ **თანე** სთან გვხვდება ფუძის სახითაც:

ახლა **ერთთანე** ვერ მუუტანიან (მან.).

ასევეა რიცხვითი სახელი **შვიდი**:

შვიდი თანე აათავე, რაცხა გინდა, **შვიდი თანე** აათავე... მარილიც **შვიდთანე** (ჩაქ.); **შვიდთანე** და აათავო (ჩაქ.).

ორი თ შენარჩუნებულია თურქულ რიცხვით სახელთან **ღორთ** „ოთხი“:

შვილი ორი თანე დამჩა, **ღორთთანე** მყავდა (უსტ.).

ხმოვანთა დაკარგვა იშვიათია, მაგრამ მაინც დასტურდება:

ა: ახლა **სიდამ** (<საიდამ) მოდიხართ? **სიდან** ბძანდები, **სიდან** მოხვალ? (სვირ.).

ე: ჩვენი **ნახვარი** (ნახევარი) ქართული ენაა (ხევწ.); **ნახვარი** მიღეთი ვეღარ მიცნია (ბაზგ.).

შდრ. **ნახევარ** კოვზი ურთო'ნა (ზენ.).

ო: ოთხი **წელწადი** ვიკითხე (უ); ორი **წელწადი** მარტო ვარ (მან.).

2.4. ბგერათა ჩართვა. ბგერის დაკარგვის პარალელურად არის ბგერის ჩართვის შემთხვევები, თუმცა შედარებით ნაკლებად.

ჩართულია ვ: იმსოდ ცივა, ქი **ყვინავს** სიცივე (ჩაქ.); ზემოდან ასე **გაღობვილი**

ყოფილა (უსტ.); **მღუღვარე** ამოდის ცხელი წყალი (ჩაქ.); მოვთიბავ, **შეკვდამ**, **მასკვან** გაყვიდავ (ხევწ.); **მასკვან** წეფყვანა ართვინ (უსტ.).

შდრ. რაცხა რომ ახლა **მოდლობილია** (ბაზგ.).

მასკან გვხვდება აჭარულში, მისი მნიშვნელობაა **შემდეგ**, მიღებულია ორი სიტყვის შეერთებით: **მას უკან>მასკან>მასკვან**.

ჩართულია მ: **ყველამფერი** მავიწყდება (დავ); იქ **რაცხამფერი** მიქონდენ (ჩაქ);

აქ ემეები არ **მცხოვრობენ**, აქ ვინცხა **მცხოვრობენ**, იმათიდან'და მოკრიფონ (ზ.მ.); ჯენევიზების **სამცხოვრო** არი (უ).

შდრ. იქ ცხოვრობენ (ნიოლ).

ზმნიზედა „უმფო“ მომდინარეობს ზედსართავისაგან **უმფროსი**, რომელშიც **მ** ჩართულია **უმცროსის** ანალოგიით (**რ** დაკარგულია):

ის **უმფო** ხას პურს აცხობდა (ბაზგ.); ის ადეთი **უმფო** კად იყო (შავშ);

გვხვდება დისიმილირებული **იმფო**:

მე თურქია **იმფო** არ ვიცი (დ); ეს სობა **იმფო** არ აცხობს (ბაზგ.); მეშველადც **იმფო** მოკლეა (ჩაქ.).

ჩართულია ნ: **ყრალი** სული **უდინს** ანწლის ფურცელ (მან.).

შდრ: ის იჭმის? სული **უდის** (ზაქ).

აქნიდამ (<აქიდამ) ვერ გადავალთ (უსტ.); შენ საქმე **დაგლეგნია**

(ხევწ.); იმისთინ არ **მითიბნებია** (ხევწ.); **ემერთმეგნია** თელი (ხევწ.);

დრო აქვან, **მოხეგნის** დრო (ჩაქ). (იგულისხმება ტყეში ხის მოჭრის, „მოხევის“ დრო).

ჩართულია რ: ზემოთ ახვალ **ცხრემლა** არი (უ);

შდრ. დაგკაფო'ნა **ცხემლები** (ჩაქ).

აქ **სათივრებია**, ჭალებია (ზ.).

ჩართულია პ: ბაკალა არიო, ნაწნები, თმებშიო ასე ჩასული აქო (ჩაქ);
შდრ. წელზე ასხია ნაწნები (უსტ.).
მთქმელი განმარტავს: „ნაწნები” – ორი თანე თუა, „ნაწნავი” –
ერთი თანე (მანხ.).

ჩართულია ლ: ცხენით მეფეანეს ქი, ჩამუახტუმლებენ (ჩაქ); არ გედვისტუმლება და
იმაზე ამბობენ (ჩაქ).

ჩართულია ლ: აქ თოვლია, ჟღავია (<ჟვაი) (უ.).

2.5. სუბსტიტუცია. მრავალია სუბსტიტუციის – ბგერათა შენაცვლების მაგალითი
(მათ შორის სხვა დიალექტებიდანაც ცნობილი).

მ/ბ: ბზემ დამწვა (ხევწ.); ბზე აღგება, ბზათა ქვია (წეთ).

მ/ნ: არ გაწვიმდება, კანკამებს (<კამკამებს) (უსტ.); ღარჭმა მენდონა (იფხ.).

შდრ. მეგემ იმის ბაჯოს შვილი მინდონა ჩვენმა ღარჭმა (მანხ.).

ვ/ნ: ზოგი მახსონს (უ.); კიდენ დადიან ესენი (ჩაქ).

ვ/მ: სიმაგრმა ბარსამხან არბენია (ჩაქ). შდრ. ესეც ჩემი სიმამრის ზმაა
(ნიოლ.).

ნ/მ: ამამ (<ამან) არ მამღერა, დიმიშალა (მანხ.).

ნ/ლ: დადგა ბეთი სული, ყრალი სული (შავშ.).

ჟ/ჯ: ე რა ჯავე (<ჟავე<მჟავე) გამოდგა (უსტ.); ჯავეს ჭამს (სვირ.); ჯავეს

ჩავდებთ (ნიოლ.); იი აღარ დამჯავდება (ბაზგ.); დათვი ანჯავეს და ისე
ჭამს (უ.).

ბოლო მაგალითში ჟ/ჯ შენაცვლებას ერთვის მ/ნ ბგერათა სუბსტიტუცია. ეს
მონაცვლეობა (აფრიკატიზაცია) განპირობებული უნდა იყოს თურქული ენით, რომელშიც არ
არის ჟ ფონემა.

ძ/ზ: თურქული ენის გავლენით უნდა აიხსნას ძ/ზ თანხმოვანთმონაცვლეობა – დეზაფ-
რიკატიზაცია (თურქულს არა აქვს ძ):

თურმანიზე სოფელია (ჩაქ); **ზველი** ბინა იყო (უსტ.); ესეც ჩემი **ზმაა** (ნიოლ.); აქ მარტო
აზოვებენ (უსტ.).

შდრ. ცხელა და არ ძოვენ, არ ძოვს ჩემიც (ხევწ.).

ეს ნაზვია (უ.); აიშეს დუუზან (ზ.); ყურზენი ფენა მოდიოდა (უსტ.).

შდრ. ადესა, დათუნა ყურძენია (უ.); გუუზლონა და (ხევწ.).

ერთსა და იმავე წინადადებაში გვაქვს ფონეტიკურ ნიადაგზე მიღებული და ამოსავალი
ფორმაც:

არ დაგვაძინეს, არც მათ დეძინეს (უსტ.).

გვხვდება საპირისპირო შემთხვევაც: **ზ** თანხმოვნის ნაცვლად არის ძ:

ესკიდან მარილი ბათუმიდან უწიკავთ ძრუგით (ბაზგ.).

ც/ს მონაცვლეობის საფუძველიც დეზაფრიკატიზაციაა:

ძველი ჭურჭელის (=ჭურჭელიც) აღარ არი (ჩაქ). ზათი კითხვაც არ ვისით (<ვიციით)
(უსტ.); ნენიეფ უფრო ესოდინებიან (<ეცოდინებიან) (ნიოლ.); ლაზების (<ლაზებიც) ქართ-
ველები არიან (ხევწ.); ახლა ოსდაექსი (<ოცდაექსი) არიან (ხევწ.); სხვამა არ ისიან (<იციან),
მე ვისი (<ვიცი) (ბაზგ.); მე თელ მივსემ (<მივცემ) (ჩაქ); მეს (<მეც) გაგონილი ვარ (ბაზგ.).

პარალელური ფორმებია ლიცე/ლისე:

ლიცეში აქ. ემეში, იყო, ართვინ (ჩაქ). შდრ. მარჩინა ლისე (მან).

ს/პ: იმაპაც (<იმასაც), ამაპაც (<ამასაც) „კოშ” ვეტყვით (ჩაქ); შა (სა<სად)

მიხვალ? (ივ.); არ ვიცი მე, შიდამ ჩდება (ბაზგ.).

შ/ჩ: შორვას ვხარჩავდი (<ვხარშავდი) (ჩაქ). შდრ. იმას ქი მოჰკრეფენ,

მონარშვენ (ხევწ.).

ქ/კ: აქ კლიავი, თხილი იცის (ნიოლ.). შდრ. ქლიავებიც არი (ბაზგ.).

პ/ფ: ესენიც გახდენ ფატრონი (ნიოლ.).

პატრონი>ფატრონი თურქული ენის გავლენის შედეგი ჩანს.

სიტყვის ბოლოში მქდერი თანხმოვანი ყრუვდება, გვაქვს მქდერ და ყრუ თანხმოვანთა მონაცვლეობა:

ბ/ფ: ვდერდოფ, გული მეწვის (ხევწ.); შედეფ, შეინახავ (ჩაქ).

ერთი და იმავე პირის მეტყველებაში დადასტურდა **ბ/ფ** მონაცვლეობა:

კაკლით ბორეგ ვაკეთეფთ, იმასაც ვაკეთებთ, პარკი
ლობოსაც (უსტ)..

დ/თ: ძველათ წვედოლით (უსტ.); ღმერთი სათ არი, შენი საქმე არ არი (მან).

სტ/შტ: დოუშტინეთ (დოუუსტინეთ< დავუსტინეთ), უკან გამეძქცა (მანხ).

დადასტურდა ხმოვანთა მონაცვლეობის რამდენიმე შემთხვევა:

ი/ე: სახელ უკნედან (<უკნიდან) ტყიმალი, კუნწალ-კუნწალ კილია (მან).

ო/ე: საღამემდე (<საღამომდე) ყვიროდა (ბაზგ.); წინედან გაძღომა უნდა,

უკნედან აინაღს დაჭირვა უნდა (უსტ.). შდრ. სოფლის უკნიდან გოლია
(ბაზგ.).

გვხვდება ხმოვანთა კომპლექსების მონაცვლეობაც:

აუ>აგ: უ ვიწროვდება, იქცევა ვ თანხმოვნად: უ>ტ>გ:

აქავრი ქალი იყო ჩემი ანაღული (ბაზგ.); ჩვენი ბაღები იყენენ, იქავრი (უსტ.).

საზგასმული ფორმების პარალელურად გვაქვს დისიმილირებული აქევრი (<აქავრი) და ასიმილირებული იქევრი (<იქავრი):

აქევრი უფრო თეთრი არიან ჩვენ ჩინეგზე (ბაზგ.); იქევრი წყალი დაჰა კადა (ნიოლ).

ამავე რიგის ჩანს სიდევრი:

მე სიდევრი ვარ, იცი? ამ სოფლისა ვარ (ბაზგ.).

სადაური>სიდაური>სიდატრი>სიდავრი>სიდევრი.

უი>ვი: ტყვილი ტყვილს იპოვს; თქვენ ტყვილი არ ყოფილიყავით, ტყვილ კაც არ იპოვილით (ჩაქ); ტყვილ-ტყვილს ნუ იფიცავთ (შავშ).

ტყვილი>ტყტილი>ტყვილი.

ძველი ქართული ენის ძეგლებში ხშირია ტყვილი და ტყვილი ფორმათა მონაცვლეობა.

ეუ>ევ: გარევილი არიან (ბაზგ.).

გარეული>გარეული>გარევილი.

2.6. მეტათეზისი. შავშურში ბევრია მეტათეზისის – ბგერის გადასმის შემთხვევები.

ხს>სხ: საერთოდ სამხრულ კილოებში ფართოდ გავრცელებულია მეტათეზისი ხსნ ძირის შემცველ ფორმებში:

გასხნა კონსერი (შავშ.); გზა არ გედსხნა (უსტ.); გზა გედსხნება, გათოვდება, ჰუქუმეთი გასხნის გზას (ჩაქ); დუქანი მაქ გასხნილი (სვირ).

ზოგჯერ ერთსა და იმავე წინადადებაში გვაქვს ორივე ფორმა:

გათოვლდა ამაღამ, ხვალ გასხნის, გეგვისხნის ჰუქუმეთი, გეგვისხნის (ჩაქ).

მღ>ღმ: ღმერა არ არის (სვირ.); აქ იმდენ იღმერებენ, ქი ვერ დაწერავ (ჩიხ).

შდრ. თქვენ გურჯი მღერა გინდანან (ბაზგ.); ამანაც კაღ მღერა იცის
(უსტ.).

ზურ(//>ზრუ) გავრცელებულია მთელ სამხრულ მეტყველებაში:

ზრუგზე (<ზურგზე) ვეკიდებლით (უსტ.); ზრუგზე მედკიდავ (ჩაქ).

სხვა კილოებშიც ცნობილი ფორმებია: თუთხმეტი, ღურბელი, ძვილაღ:

თუთხმეტი (//თხუთმეტი) სოფლის ქილისა ყოფილა (ა.); ღმერთმა აქევრი ღურბელი (//ღრუბელი) არ დაგანახვოს (ხევწ.); ძვილაღ კალთით მეგტან (ხოხ).....

შავშურში ნორმა ჩანს გერმელი<გემრიელი. მეტათეზისს ერთვის ი'ს დაკარგვა:

რა გერმელი იყო ყველაფერი (ბაზგ.); გერმელათ ლაპარაკობდა (ბაზგ.).

ამ სიტყვისაგან ნაწარმოებია გერმელობით, გააგერმელებს:

იცოცხლეთ გერმელობით, გერმელობით წადით, გერმელობით მოდით (ჩაქ); მარილს ემეს იჯებინ, გააგერმელებს (ჩაქ).

მეტათეზისის მაგალითია **ლესკი** (<ლექსი). ბგერის გადასმას ერთვის სუბსტიტუცია: მე **ლესკები** არ ვიცი (ბაზგ.); ჩემ ანას ბაბომ, დედემ გამუთქვა **ლესკი** (შავშ.).

შავშური კილოს ერთ-ერთი გავრცელებული თავისებურებაა პირველი სუბიექტური პირის ნიშნის მეტათეზისი.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია **ვ** პრეფიქსის მეტათეზისი ძველ ქართულში **ხ**, **ჰ** თანხმოვნების მომდევნოდ: **შეხნაბთ>შეხვაბთ>შეხუაბთ**; **გხეტყვ>ხვეტყვ>ხუეტყვ** (ა. შანიძე 1986.:278). თ. უთურგაიძის აზრით, „მეტათეზისი ძველ ქართულში ხდება ფონოლოგიური მოთხოვნისგან. **გხეტყვი** ფორმაში **ვ** ფონოლოგიურად შეუთავსებელია **ხ**-ს მომდევნოდ“. მკვლევარი აქვე შენიშნავს, რომ დიალექტებში იძებნება მეტათეზისის შემთხვევები ამ კომბინაციაში (თ. უთურგაიძე 2001.:55). ამ მოვლენაზე ყურადღებას ამახვილებს მ. სუხიშვილი. იმოწმებს სხვა მკვლევართა მიერ ქართული ენის ზოგიერთ დიალექტში დადასტურებულ სამ ზმნას: **ტვირი**(<**გვირი**), **დვაობ** (<**ვდაობ**), **დვგები** (<**ვდგები**). დასკვნა ასეთია: „სუბიექტური პირველი პირის (ვ-) მორფემის პოზიცია სამწერლობო ქართულსა და ქართული ენის დიალექტებში, სხვა ქართველურ ენებში არაა მყარი“ (მ. სუხიშვილი 1986.:55). მოვლენის მიზეზი **ვ**-ს ბუნებაში უნდა ვეძიოთ. მეტათეზისი მოუდის არა მარტო პირის ნიშან **ვ**-ს, არამედ ზოგადად **ვ** თანხმოვანს გარკვეულ პოზიციაში.

შავშურში **ვ**-ს გადასმა (რამდენიმე ზმნაში) გავრცელებული მოვლენა-ნორმაა.

ყიდი ჰო, **ჭვამთ**, სახში (ბაზგ.); ღორი აქ ბევრია, ჰამა ჩვენ არ **ჭვამთ** (უსტ.); მემრეც გამუაცხოვთ, **ჭვამთ** (უსტ.); **ჭვამთ** ღამაზად (ჩაქ.); გერმელათ ვილაპარაკეთ, ახლა **ჭვამთ** (შავშ.); აგზე მესხუს **ჭვამ**, ქი მიღეთი მოიდეს და ერთათ **ჭვამთ** (მანხ.); ზამთარში **ჭვამთ** (დავ.); ჰადღე, პური **ჭვამთ** (მანხ.); რად გვაქ, რად **ჭვამთ**? (მანხ.); ახლა აღარ **სვამობთ**, ძველათ **სვამობდით** (უსტ.);

ამ თვალისაგან სწორედ ვერ **ხვედავ**, ამიდან **ხვედავ**, ამიდან ვერ **ხვედავ** (ბაზგ.).

აქაც **თვესავთ**, **ჭვამთ** (უსტ.).

ვ გადასმულია ხმოვნის მომდევნოდაც:

მე ლიმონ **ურევე** (<ვურევე). შდრ. სამი ხარი გყავს, ძროხებში არ **ვურევეთ** (ხევეწ.); ლობიო **ვურევეთ** (ჩაქ.).

გადასმული **ვ** უმარცვლო უთი არის შეცვლილი, აღქმულია ფუძისეულ ბგერად, ამიტომ ზმნას ერთვის პირის ნიშანი – პრეფიქსი **ვ**:

ველაგთ და არ **ვჭვამთ** (უსტ.).

საპირისპირო ჩანს შემდეგი ფორმა:

ჰემ **სვამ**, ჰემ მივართვამთ (მანხ.).

საზგასმულ ფორმაში ფუძისეული **ვ** გაგებულია გადასმულ პირის ნიშნად (ისევე როგორც **ვჭამ** ზმნაში), ამიტომ არა გვაქვს **ვ** თავსართი – პირველი სუბიექტური პირის ნიშანი. **სვამ** რომ პირველი პირის ფორმაა, ჩანს მეორე ზმნით „**მივართვამთ**“.

დასტურდება **სვავთ**: „ჩაის გავაკეთებთ, **სვავთ** (ხოხ). აქაც გადასმულია პირველი სუბიექტური პირის ნიშანი, -ამ თემის ნიშანი შეცვლილია -ავით.

ვ გადასმულია რიცხვით სახელში **რვა**:

ვრა წელიწადი გახდა (ბაზგ.); **ვრა** თანე დერგი იყო (უსტ.); წყალ დაარუნებ **ვრა** დღეში (უსტ.); შვიდი-**ვრა** კაცი იყვენ (მან.); შუათანა **ოცდავრა** წლისაა (უ.); თორუნები ავსილი არიან – ათი და **ვრა** (მანხ.).

მსაზღვრელად გამოყენებულ ნათესაობითის შეკვეცილ ფუძეშიც გადასმულია **ვ** (დაკარგულია ბრუნვის ნიშნისეული ს): **ვრი** თვისაა (ბაზგ.).

2.7. ბგერათა შერწყმა.

ვა>ო:

სხოგან გერმელი წყალი არ არი (ბაზგ.); ძველი **გორი** მესხაძეებია (ხოხ.); ცაცხვის ყოფილი ჩემ ძალმა მოკრიფა (მან.); თქვენი სიმღერები **რავორი** არიან?(ბაზგ.).

პარალელური ფორმებია **კვამლი** და **კომლი**, **მარტვა** და **მარტო**:

ახლა სამოცი **კვამლია** (ჩიხ.); ოცი თანე რჩებიან, ოცი **კვამლი** (ჩაქ.).

შდრ. თორმეტი კომლი დარჩება (ჯვარ.);

მარტვა ქი დაჭი, **მარტვა** (ბაზგ.); **მარტო** დაჭი ფენა (უსტ.); **მარტო** დახვედა ასე შეშას (უსტ.); მე და ხოჯა ვრჩებით **მარტო** (ბაზგ.).

გვხვდება საპირისპირო შემთხვევა: მოსალოდნელი ო'ს ნაცვლად არის **ვა**:

დიდრვანი (<დიდრონი) ფოტოები იყო (მან.); **დიდრვანები** ლაპარიკობენ (იფხ.); **დიდრვანები** დეფხოცნენ, გენჯები არ მოდიან (უ).

შდრ. **დიდრონები** ლაპარიკობენო (დავ.); [ლახანა] ასე თეთრი თავებია, **დიდრონი** (უსტ.).

გოგოვ შენზე თვალი მაქ, შენ ანამ არ **შეგვიტყვას** (ბაზგ.); მოჰკლავ, არ'ნა **შიგიტყვან** (ჩაქ).

გუ: დაგასხა **კილო** (<კიდეე)? (ზაქ); **კილო** მიდიან იქა (ნიოლ).

გუ: **ქომო** (ქვემო) სოფლიდან ვერ ამადინეს (უსტ.); დირეგი(ს) **ქომოდან**

წისკილია (უსტ.); **ქომო** ცოტა დუშულია (უსტ.); მუსაფირ **დაჩოვლი**

(<დაჩვეული) ვართ (დ).

უ დავიწროვდა: **უზ**:

თქვენ ღვინოზე **დაჩვეული** ხართ (ზაქ); **დაჩვეული** ვარ გურჯა (უსტ.); **ჩონ** ღმერთი(ს) ხელში ვართ, **ჩონ** ხელში არაფერი არ არი (მანხ.); ახალდაბა **ჩონი** სოფელია (ხალდ.); **ყოლაფერი** (<ყველაფერი) მოგაგონდება (ხევწ.); აქ **ყოლაფერი** მოვა (დავ.); **ყოლა** (<ყველა) მედარეთ? (ჩაქ).

ვე არ არის შერწყმული:

ყალე არაა დანგრეული, **ეტყვება** (დას.); მეტი წუნკერია, თავის თავმა დააბერა, **ეტყვება**, ვერ ხელავ? (ბაზგ.); ერთ წელიწადზე შვიდი მოზვი, შვიდი სული გაყილო, ახორ **დეეტყვება?** (ბაზგ.); ფული თუ გაქ **ყველაფერი** გაქ (ჩაქ).

2.8. კონტამინაცია. „გარეთ“ ზმნიზედის მნიშვნელობით შავშურში (აჭარულშიც) იხმარება **გარში**. იგი მიღებული უნდა იყოს „გარეთ“ და „კარში“ სიტყვათა შერწყმით. ეს ზმნიზედები ხშირად გვხვდება ადგილის გარემოების მნიშვნელობით:

კარში არ გუშუშებდით, არ შუუქციოსო (წეთ.); ათი თანედან ცხრა **კარში**, გარეთ არიან (ივ.); ჩვენ ავწევთ, გამევიტანთ **კარში** (ზ.); ჩემზე ძალად არიან, ვერ გაქანებულან, **გარში** ვერ გასულან (ივ.); ასი კაცი სოფელშია, ექვსასი – **გარში** (მან).

„ბევრი“ და „მრავალი“ სახელების კონტამინაციით ჩანს მიღებული „ბრველი“: ყალეც არი, **ბრველიც** არი (ჩაქ).

2.9. ფონეტიკური ცვლილებები ნასესხებ სიტყვებში. ფონეტიკური ცვლილებები დასტურდება თურქული ენიდან შესულ სიტყვებშიც. ამ ცვლილებათა წყარო შეიძლება იყოს თურქული ენის დიალექტები ან თვით ქართული ენა – მასში მოქმედი კანონები.

ფონეტიკური პროცესების შედეგად შავშურ კილოში გვხვდება თურქულიდან შესული ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვანაირი ფორმა, რომელთა საფუძველი ჩანს ასიმილაცია, დისიმილაცია, ბგერის დაკარგვა, ჩართვა, სუბსტიტუცია...

1. ასიმილაციის საფუძველზე უნდა იყოს მომხდარი შემდეგი ცვლილებები:

Asker „მეომარი“, „ჯარისკაცი“, „არმია“ – **ასკერი/ესკერი**:

ამ **ასკერს** ერთი თანე გურჯი ახლავს (ჩაქ); იქვე **ასკერი** არი (ნიოლ); ჩვენმა **ასკერებმა** დიმიტირეს (დავ.)...

აქიდან ჩვენი **ესკერი** წვიდა (ივ.); წვედა ჩემი კაცი **ესკერში** (უსტ.); **ესკერში** წასული არ იყო ჯერ (ბაზგ.)...

Kenar „განაპირა“, „კიდე“ – **ქენარი/ქენერი**:

სარფი(ს) დენიზი(ს) **ქენარში** ჩამოსული ვარ მე (ზაქ); იგზე ჩემი ტყუპები იყვენ ყანი(ს) **ქენერზე** (სვირ.); **ქენერს** შეხედე (სვირ.); ყართოფ ყანი(ს) **ქენერზე** ვთესავთ (უსტ.); მინდორი სადაც არ მუუდგება, მანგლით ვკოლავთ **ქენერებზე** (ა.)...

Mahale „უბანი“ – მაჰალე/მეჰელე:

ქომო **მაჰალე**(ს) ჰენ თურქია არ დუულაპარაკია (ჩიხ.); **მაჰალეში** დგას (ხევწ.); იმ **მაჰალეში** გახვალ, იპონი (ჩიხ.); მე ქომოდან გამოთხოვილი ვარ, ჰევი(ს) **მეჰელედან** (ზ.)...

Tekrar „ისევ“, „ხელახლა“ – **თექრე/თექრენ/თექრენად**:

თექრე ჩამოხველით? (ზ.); **თექრენ** მოდიან, წადიან (ზ.); წვედეთ **თექრენ**, წვეიდენ, **თექრენ** მოიდენ (შავშ.); დაბრუნდებით **თექრენად** (უსტ.)...

ამ ფორმებში მონაცვლეობს **რ/ნ** თანხმოვნებიც.

2. ქვემოთ დასახელებული ფორმების საფუძველი დისიმილაციაა:

Biteviye „მთლიანი“, „მთლიანად“, „ყველა“ – **ბითევი/ბითევათ/ბითავი/ ბითავე/ბითთავა**:

ზამთარში ზოგი წავედენ, **ბითევი** არა (ივ.); **ბითევათ** ვერ ვაფერებთ სიტყვას (ბაზგ.); **ბითავი** სირათ არ ვიცი (ბაზგ.); [წარბები] **ბითავე** გავყარე (ხევწ.); **ბითთავა** ლურსი ამას აწვება (მან.)...

Bütün „ყოველთვის“, „მუდამ“ – **ბუთუნ/ბითუმ**:

დუზები **ბუთუნ** დათხრილია (უსტ.); დედასავთ **ბითუმ** კაძნა იყოს (იფხ.); ამფერი **ბითუმ** იქნებოდეთ (ბრ.)...

Eziyet(ti) „წვალება“, „ტანჯვა“, „ჩაგვრა“, „შეწუხება“ – **ეზიეთი/ეზიათი**:

ეზიეთ ვერ მივცემ (დ.); „ჯან აძღვესო“ ვიტყვით, „სულის **ეზიეთშია**“ (ბაზგ.); ბევრი **ეზიათი** გამეყარე (უსტ.); ფენა **ეზიათი** იყო (ბაზგ.); ლახანას არ ვთესავთ, ჰაზირ ვიღებთ ჩვენც, რატონ **ეზიათი** ვწიოთ? (უსტ.)...

Yegen „ძმისშვილი“, „დისშვილი“ – **ეგენი/ეგანი**:

ეს ჩემი **ეგანია** (ივ.); **ეგანი** ორთავა – დისშვილი, ძმისშვილი. ჩემ **ეგანმა**წაწა წიგნი-ვანონ (უ.); მემედად ჩვენი **ეგანი** ყოფილა (ივ.); აქვერი **ეგანია** (ბაზგ.)...

Ogretmen „მასწავლებელი“ – **ორეთმენი/ორითმენი**:

მე ქართული არ ვიცი, **ორეთმენი** ვარ (მანხ.); **ორეთმენები** ხართ? (ჩაქ.); ბათუმიდან იყვნენ, ერთი **ორითმენი** ესლენ (ბაზგ.); ჩემი კაცი **ორითმენია** (დ.); იქავრულები **ორითმენები** ყოფილან (ჩაქ.)...

Pençere „ფანჯარა“ – **ფენჯერე/ფენჯერა**:

კარ ვაკეთებ **ფენჯერას** (ბაზგ.); ათოლიე გვაქ, კარებ ვაკეთებ, **ფენჯერებ** (ბაზგ.); ქართველმა უთხრა, **ფენჯერზე** დადგიო (შავშ.)...

Ramazan „მარხვა“ – **რამაზანი/რემეზანი**:

რამაზანს ვიჭირავთ (მან.); ჩვენი **რემეზანი** ყოფილა ერთ თვეში ყოლთინ (მან.); **რემეზანზაირამი** ვიციოთ, **რემეზანს** დევეჭირავთ (ზ.)...

Zengin „მდიდარი“ – **ზენგინი/ზენგილი**:

მოსულან მეგერ სამი ეშხია და **ზენგინს** უთქვია (ბაზგ.); ... ჰამა ი **ზენგილი** იყო, მე არ ვარ **ზენგილი**, რა მიმეცა, თუ **ზენგილი** ხარ, იქ (ხოხ.); **გაზენგილებულა** და ცხვირი დიდი გუუზდია (მანხ.)...

3. ბერის ჩართვა:

Urba „ტანსაცმელი“ – **ურბა/ურუბა**:

ურბას უუტანებენ (ზ.); **ურბას** გუურცხი (მანხ.); შეეკაზმავთ, **ურუბას** ჩავაცვამთ, გავაკეთებთ (ზ.); ნიშნის გაცლაში **ურუბა** მუუტადთ ბიჭის თერეფ (სვირ.)...

4. სუბსტიტუცია.

შედარებით მეტი ჩანს სუბსტიტუციის შემთხვევები:

Aferin „აფერუმ“, „ყოჩაღ“, „შესანიშნავია“ – **აფერუმ/აბერუმ**:

აფერუმ, ღმერთმა ყველა ყეზადან გადაარჩინოს (ხევწ.); თორუნები გყავს? **აფერუმ!** ღმერთმა მოგცეს (მანხ.); **აბერუმ!** მე იქ ვარ (ხოხ.)...

Akşanamaz „სალამოს ლოცვის დრო“ – **ახშანამაზ-ი/ახშალამაზ-ი**:

ახშანამაზზე ბზე ჩედურვის (ჩაქ.); **ახშალამაზიხან** გადადგომია დათვი ზემოდან, ტყილამ (ხევწ.)...

Ancak „ძლივს“, „როგორც იქნა“, „მხოლოდ“ – **ანჯახს/ანჯად**:

ანჯახ გავთბი (ხევწ.); ანჯახ მოკკრიფე (ზ.); ის ანჯახ ღმერთმა იცის (იფხ.); თაფლ არ ვყიდავთ, ანჯახ ვყოფნილობთ (ჩიხ.); ათ და ხუთ ანჯად ვართ (მან.)...

Bakir „სპილენძი“ – ბახირი/ფახირი:

იმ ემეში ბახირი და ალთუნი არი მიწაში (უ.); ფახირიღამ გაკეთებულა კარდალა (მაჩხ.).

Deniz „ზღვა“, **Karadeniz** „შავი ზღვა“ – დენიზი/დენისი:

ჩემი ღარჭი დენიზში მოხარშულა (სვირ.); ყარადენიზი არი თქვენში? (მან.); წუხელი თელევიზიონში ვუყურებდი, ყარადენისი ტიროდა (ნიოლ.).

Hemenki „თითქმის“ – ჰემენქი/ჰამანქი:

ჰემენქი ბევრი არი (უ.); ჰამანქი დუხელლი ხასთანში ვიარე (ხევწ.); დედამთილი, სამი წელიწადია, მოკდა, მამამთილი – ჰამანქი ოცი წელიწადი გახდა (ბაზგ.)...

Heralde „როგორც ჩანს“, „ყოველ შემთხვევაში“ – ჰერალდე/ჰერალდა:

ისე ჰერალდე ღვინოზე დაჩვევლი ხართ (ზაქ.); ისე უთხრა ჰერალდა (ჩაქ.); ჰერალდა შარავ აკეთებენ (უსტ.)...

Hiç „სრულად“ – ჰიჩ/ჰიჩ:

სობას ჰიჩ არ ვაპარებთ (მან.); ცუდეთ დარეს, ჰიჩ არ იყაბულეს (უ.)...

Yşte „ერთი სიტყვით“, „ამგვარად“, „ამრიგად“ – იშტე/იშტა:

დავდივარ იშტე (ბრ.); ესენი რომ წამოგეყვანა, ახლა იქ ვიქნებოდით იშტე (ბაზგ.); ხან-ხან ურევს იშტე (უსტ.); აქვერი დოღრი გურჯები არიან იშტა (ბაზგ.); ჩემი ღარჭი იშტა, მკჰმედა, ალი ალთუნის ბაბოდ იყო (უსტ.).

Meger „თურმე“ – მეგერ/მეგემ/მეგრემ/მეგერა:

მეგერ მას უნდოდა ჩემი თავი (შავშ.); მეგემ იმის ბაღის შვილი მეინდონა ჩვენმა ღარჭმა (მაჩხ.); მეგერა რუსმა გადმაყარა შექერი (უ.); ძველათ მეგრემ აქ მაჭკხელეს ცხენით დალი მიაქ (ბაზგ.)...

ფორმაში მეგრემ გადასმულია ე და ჩართულია მ.

Misafir „სტუმარი“ – მუსაფირი/მოსაფირი:

მუსაფირ დახოვლი ვარ (ხოხ.); ეგანია, ჰამა მოსული მოსაფირია (ბაზგ.)...

Mutfak „სამზარეულო“ – მუთმალი/მუთბალი:

მუთმალი პურის საჭმელი ოდაა (მან.); ეს ტანტრაბაა, ეს მუთბალია (ნიოლ.).

Pekmez „ხილის დადუღებული წვენი“ – ბექმეზი/ბეთმეზი:

თუთიდან ბექმეზ ვაკეთებთ (უ.); ბექმეზია, ღენერს მოჩოთაა უნდა (სვირ.); შვიდ დოხტრის ილაჯია ბეთმეზი (დავ.); ბეთმეზ მოვადუღებთ (დავ.).

Sarap „ღვინო“ – შარაფი/შარაბი:

ჰერალდა შარავ აკეთებდენ (უსტ.); შარაბი იყო იშტე ბევრი (უსტ.)...

Zaten „ისეც“, „ისედაც“, „უწინ“ – ზათენ/ზათინ/ზათი:

ზათენ აღარვინ აღარ წავლენ იქ (ჩაქ.); ზათინ ბევრი გყავდა ხარები (წეთ.); ჩემ დედამთილ ზათი სამი ბიჭი ყავს (ჩაქ.)...

5. ზოგი პარალელური ფორმის საფუძველი არის თურქული **h**-ს შესაბამისი **ჰ** თანხმოვნის დაკარგვა, ჩართვა ან მისი შენაცვლება **ხ** თანხმოვნით:

დაკარგულია **ჰ**:

Hükümet „მთავრობა“ – ჰუქუმეთი/უქუმეთი:

ქართველებ ჰუქუმეთი არ ქონიან, არეველი ვიყავით (უ.); უქუმათი არ გვეშველება (ნიოლ.).

შდრ. გათოვლდა ამაღამ, ხვალ ჰუქუმეთი გეგვისხნის (ჩაქ.); გიგვიერსდეს ჰუქუმეთმა (უ.).

Muhacir „ღტოლელი“ – მუჰაჯირი/მუაჯირი/მოაჯირი:

ზოგი წახული არიან, მოაჯირად წვედენ (ბაზგ.). შდრ. ქართველი მუჰაჯირათ წვედა (ჩიხ.).

Şehir „ქალაქი“ – შეჰერი/შეერი:

შეერშიც ჩავდივარ ბაღნებთან (ბაზგ.); შენ **შეერიდან** მოხველ? (ბაზგ.); გურჯების **შეერი** ბათომი იყო (ზ.). შდრ. ისენი ქალაქში არიან, **შეჰერში** (ჩიხ.); ბათუმ **შეჰერში** ვარო (იფხ.)...

Vallahi „ღმერთმანი“ – **ვალლაჰა/ვალლაა:**

ვალლაა, მე არ ვიცი (ბაზგ.). შდრ. **ვალლაჰა**, არ გემეგნება (ბაზგ.).

h-ს დაკარგვის შემთხვევა ბევრი არაა, იგი უმეტესად შენარჩუნებულია: **haydi** „ჰაიდე“, **hem** „ჰემ“, **hemen** „ჰამან“, **hiç** „ჰიჩ//ჰეჩ“, **hazir** „ჰაზირი“, **hemşire** „ჰემშირი“, **hemenki** „ჰემენქი//ჰამანქი“...

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **ჰ**-ს შენარჩუნებას „შესაძლებელია ხელს უწყობდეს თურქული, რომელშიც **ჰ** ბგერა სრულფასოვანი ფონემაა“ (ს. ჯიქია 1974.:122). **ჰ** ჩართულია სიტყვაში ან დართულია დასაწყისში:

Ama „მაგრამ“ – **ამა/ჰამა:**

მე არავისი არამი არ მინდა, **ამა** არვისაც არ შივატმევე, **ამა** სხვისას არ წვევკარები (ხევწ.); ყველაფერ ჩვენ ვიქდით, **ამა** ახლა ვეღარ გვიქნია (ჩაქ.).

შდრ. ბალახი არი, **ჰამა** ბევრი არ ვიცი (უსტ.); დილაზე იპუეს, **ჰამა** შეტმული (უსტ.).

Yaşli „ასაკოვანი“, „ხანდაზმული“ – **აშლი/ჰაშლი:**

იტყოდენ წინ-წინ ბერები, **აშლები** (მან.); ცოტა **აშლი** არი (ბაზგ.); ი ქალი მოიდა, **აშლი** იყო (წეთ.); ჩვენ მარტო **აშლი** კაცები დავრჩით (ჩაქ.); ჰიჩ არ მეშინია, **ჰაშლი** ვართ (იფხ.).

Saat „საათი“ – **საათი/საჰათი:**

[ფუტკრები] ჭკვიანი არიან, **საათი** არიო, მიხდებიან (ბაზგ.); **საჰათი** შევბი კლაგზე, აველ სადგირელაზე (ბაზგ.).

შეინიშნება „**ჰ**-ს გაძლიერებისა და მისი **ხ** თანხმოვანში გადასვლის შემთხვევები“ (ს. ჯიქია 1974.:123). მაგალითები:

Hasta „ავადმყოფი“, **hastalık(ği)** „ავადმყოფობა“, **hastanhane, hastane** „საავადმყოფო“ – **ჰასტანე/ხასტანე, ჰასტანლული/ხასტანლული:**

თქვენში **ჰასტანები** არის? (ხევწ.); **ჰასტანლული** რომ იქნებიან, უგოვლეელი **ჰასტანლული**, იმა ისე ატმევენ (ჩაქ.); ავადმყოფი, დანი, **ხასტა** დედამთილია (ბაზგ.); [ნიაზი] რიზეში იყო, **ხასტანეში** იყო (ა.); ერთი ნენეა, **ხასტანლული** ნენეა (უსტ.); ორი დღეა, **ხასტადურ** (ზაქ.); ჰამანქი დუხელლი **ხასტანიშ** ვიარე (ხევწ.); დოხტორი გახდა, ერთნახევარ წელიწად **ხასტანეში** ისაქმა (უ.).

Hesap(bi) „ანგარიში“, „ფიქრი“, „ვარაუდი“ – **ჰესაბი/ხესაბი:**

ისევე ამ დუნიას, ამ დუნიას **ჰესაბი/თავზე** გადაგხდება თელი **ჰესაბი** (მან.); ჰაიკიდი, ჩემ **ხესაბში** არვინ არ იყო (უსტ.).

Allah „ალაჰი“, „ღმერთი“ – **ალლა/ალლაჰ/ალლახ:**

ალლაჰ რაზი ოლსუნ, კაე რძალია (მანხ.); რა ვიცი, **ალლახ**, ღმერთმა იცის (ბაზგ.); **ალლა** რაზი ოლსუნ (ხევწ.)...

ეს მონაცვლეობა (ჰ//ხ) დასტურდება იმ სიტყვაშიც, რომლის თურქულ შესატყვისში **h** არ არის:

Ark „სარწყავი არხი“ – **ჰარდი/ხარდი:**

ჰარდი თუ არ არი, არ მოდის ეს წყალი (უსტ.); **ხარდი** გიგვიკეთეს იქა (უსტ.).

უკანასკნელ ფორმაში (Ark), როგორც ვხედავთ, საერთოდ არ არის **h** ბგერა.

იშვიათად **h**-ს შესატყვისად არის **ჰ/დ:**

Hudut(du) „საზღვარი – **ჰუდუდი/დუდუდი:**

აგზე თქვენი **ჰუდუდია**. აქიდან თქვენი **ჰუდუდია**, მაწყვალთა არი (მან.); ჩვენგან თქვენ **ჰუდუდში** დარჩენ, ჩვენ აქ დავრჩით (მან.).

ჩვენ თავზე ავდივართ, **დუდუდ** ვუძახით (მან.); ჩვენ დაილაღან გამოვდივართ, **დუდუდზე**, ჩვენი კაცი დიგვიტირეს იქა (ბრ.).

6. სიტყვა, რომელიც თურქულში შეკუმშული და შეუკუმშავი ფუძით გვხვდება, შავშურში შესულია შეუკუმშავი – სხვადასხვა ფუძისეული ხმოვნით:

Yzin(ni) „ნებართვა“, „შეგებულება“ – **იზინი/იზანი/იზენი**:

ჰუქუმეთი **იზინს** მოგვცემს, მოჭრი, მეტან (მან); **იზინი** თუ მიცეს, მუა (ჩაქ); დევლეთ იზინ აღარ აძლევს (ჩაქ); გამოიარეს ასკერებმა... **იზანი** თუ გაქვანო (იფხ.); ახლა აქ **იზენზე** მუელ (ნიოლ).

7. შავშურ კილოში დასტურდება თურქული ბოლოკიდური ყრუ თანხმოვნის გამჟღერების შედეგად მიღებული სხვადასხვა ფორმა ერთი და იმავე სიტყვისა: თურქული **k**-ს მჟღერი ვარიანტი **ğ** ქართულში გადმოდის **გ** და **ღ** თანხმოვნებით – გვაქვს პარალელური ფორმები:

Borek(ği) „ნამცხვარი“ – **ბორეღი/ბორევი**:

კაკლის **ბორეგ** ვაკეთებთ (უსტ.); **ბორელს** აყრი ყართოფს, მოხარშონა (ხევეწ.); **ბორედ-მორედ** ვაკეთებ და ვყიდი (სვირ.); ბევრი საჭმელები იყო: ყაურმა, ფაფა-მაფა, **ბორეღი** (შავშ.).

Direk „ბოძი“ – **დირეგი/დირეღი**:

დირეგი(ს) ქომოდან წისქვილია (უსტ.); ჩემი ბაკალა ჩემი **დირეღია**, არ გაგატანო (ხევეწ.).

Düşük „დაბალი“ – **დუშუგი/დუშუღი**:

ჰემ **დუშუგი** ალაგიც არი (უსტ.); ქომოთ ცოტა **დუშუღია** (უსტ.).

Yemek „საკვები“, „საჭმელი“ – **ემეგი/ემეღი/ემელი**:

დუგუნში ბიშ ჩამოურიგებენ, **ემეგ** (ჩაქ); ჯამეს ქი აკეთებენ კაცები, **ემეგზე** ამასხა (ჩაქ); **ემეგ** აკეთებენ, ჩაის სმენ (უსტ.); მე **ემეგ** ვაკეთებო-და... (ჩაქ); ყველაფერ გააკეთებ, **ემეღს** (ჩაქ); [კაკალს] ხმარობენ აქა, **ემეღებზე** ხმარობენ (ბაზგ.); ხაპის **ემეღია**, მოწოდდა (ა.).

იშვიათად **ქ** თანხმოვანიც იხმის:

იგირმი ოთუხ **ემექებ**... იმათ მივართვავთ (ხობ.); **ემექებ** აკეთებენ, ასე **ემექებ** (ჩაქ).

ამ ცვლილებათა საფუძველია თურქულ ენაში არსებული „ზუსტად გარკვეული და ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე მოქმედი წესი: ხმოვნის დართვისას ფუძისეული ბოლოკიდური ყრუ ველარი **k** გადადის **ğ(ღ)** თანხმოვანში, ხოლო ფუძისეული ბოლოკიდური პალატალური **k' - g'** თანხმოვანში“ (ს. ჯიქია 1974.:119).

შავშურის მიხედვით საერთოდ **k**-ს შესატყვისად არის ორივე თანხმოვანი – **გ**, **ღ**.

შენიშნავთ, რომ **çiçek** „ყვავილი“ შავშურში შეგვხვდა მხოლოდ ერთი ფორმით – **ჩიჩეგი**: ვაშლს ბევრი **ჩიჩეგი** ესხა (ზ.).

ორი შესატყვისი აქვს შავშურში თურქულ სიტყვას **düğün** „ქორწილი“: **დუგუნი/დუღუნი**:

ხუთ დღეში აქ **დუგუნი** იქნება (ბაზგ.); **დუგუნი** ვქენეთ, ვისამეთ (უსტ.); **დუღუნ** დუღუცადეთ (ბაზგ.).

„**დუღუნი**“ გვხვდება ლაზურშიც. ს. ჯიქია აღნიშნავს, რომ სპეციალურ ახსნას მოითხოვს ასეთი ცვლილება შუა პოზიციაში. „შესაძლებელია ისიც, რომ ამ შემთხვევაში თურქული სინამდვილე იყოს ასახული“ (ს. ჯიქია 1974.:119).

8. პარალელური ფორმების საფუძველია თურქული **t(თ)** თანხმოვნის შესაბამისად **ტ**, **თ** თანხმოვნების მონაცვლეობა. თურქულს მკვეთრი თანხმოვნები არა აქვს, ქართულში **t**-ს შეესაბამება **თ**, ასეა შავშურ კილოშიც:

Takim „მოწყობილობა“, „ჯგუფი“, „კომპლექტი“ – თახუმი;

Tabut „კუბო“ – თაბუთი;

Tavan „ჭერი“ – თავანი;

Tembel „ზარმაცო“ – თემბელი;

Tepe „ბორცვი“ – თეფე;

Tohum „თესლი“ – თოხუმი;

Torba „ტომარა“, „პარკი“ – თორბა;

Tofal „კოჭლი“ – თოფალი;

Torun „შვილიშვილი“ – თორუნი.

ამ და სხვა უამრავი სიტყვის გვერდით არის სიტყვები, რომლებშიც თურქული t-ს შესატყვისად არის არა **თ**, არამედ **ტ**:

taş „ქვა“ – **ტაშ**; **tavşan** „კურდღელი“ – **ტაოშანი**; **tuz** „მარილი“ – **ტუზ**. რამდენიმე სიტყვა ჩვენს ტექსტებში ორი სახით (**ტ** და **თ** თანხმოვნებით) გვხვდება:

muxtar „სოფლის (უბნის) მამასახლისი – **მუხთარი/მუხტარი**:

მუხტრის სახლი მკითხეს (უ.); ამის კაცი **მუხტარი** იყო (ჩაქ.); **მუხტარმა** მითხრა, წაყვიო (ბაზგ.); ონ იქი სენე **მუხტრობა** ქნა ამან (ჩაქ.); **მუხტარი** შინ არ არი (უ.); ჩემი **მუხთრობის** დროში (ჩაქ.).

Istersen „გინდ“, „თუნდ“ – **ისტა/ისტა, ისტერ/ისტარ/ისტერ**:

ისტერ ქალი იყვეს, **ისტერ** ქმარი (მან.); **ისტა** დაღში მოხარშავ, **ისტა** ცეცხლში ჩადევ (ხოს.); **ისტა** ძალი იყოს, **ისტა** დედამთილი, საბრი ყაბი ედვსობა.

ერთსა და იმავე სიტყვაში ერთი t-ს შესატყვისია **თ**, მეორისა – **ტ**:

tatli „ტკბილი“, „ტკბილეული“ – **ტათლი: ტათლის** გააკეთებენ (ჩაქ.).

9. პარალელური ფორმების არსებობის ერთ-ერთი საფუძველი დაკავშირებულია გემინირებულ თანხმოვნებთან. „ორი ერთნაირი თანხმოვანი თურქულში, როგორც წესი, არ გვხვდება, მაგრამ ოფიციალურ ორთოგრაფიაში სავალდებულოა თანხმოვნების გაორკეცებულად წერა“ (ს. ჯიქია 1978:128). შავშურში გვხვდება თურქულიდან შესული ერთი და იგივე სიტყვა როგორც გემინირებული, ისე ერთი თანხმოვნით (ზოგჯერ თურქული ენისაგან დამოუკიდებლად):

Millet „ხალხი“ – **მილლეთი/მილეთი**:

არაბა, არაბა! **მილლეთი, მილლეთი!** (უსტ.); აჰმედად **მილლეთ** ვექილი იყო (უ.); ესკი **მილეთი** არიან (დ.); რომელი **მილეთიდან** იყვეს, ჩემი პრობლემა არ არი (ჩიხ.); **მილეთი** აქ იკითხავდა, ოქულში (მანხ.); ჩვენი **მილეთი** იქ დეიზარდენ (მანხ.); ეშინოდენ **მილეთ** (მან.).

Bile ნაწილაკი ც, ც კი, კიდევ – **ბილლე/ბილლა/ბილე/ბილა/ბილა**:

ოთხმოცის **ბილლე** იქნებოდა (მანხ.); გურჯული ჩვენ **ბილლე** დაგვაგიწყდა (ა.); სოკო **ბილლა** მათქვან (ბაზგ.); კარშიც **ბილე** არ გამემიშვეს (შავშ.); გურჯიჯა **ბილე** არ იცის (ჩიხ.); სომეხები **ბილა** ყოფილან და წამუესხრეკიან (უ.); წარბები **ბილა** არ მქონდა (ხევწ). [კაკალს] სალათშიც **ბილა** ურევენ (სვირ.).

მოყვანილი მასალის მიხედვით დასტურდება, რომ ეთნიკური ქართველების მეყველებში არის მიდრეკილება თანხმოვანთა გამკვეთრებისაკენ ქართული ენის ფონეტიკის შესაბამისად (იხ. ს. ჯიქია 1974; ს. ულენტი 1938; 1953).

Belli „ნათელი“, „ცხადი“, „გარკვეული“ – **ბელლი/ბელი**:

ბელლი არაა, სად'ნა იკითხოს (იფხ.).

Kale „ციხესიმაგრე“ – **ყალლე/ყალე**:

აქავრი თამარადს **ყალლები** არიან (სვირ.); [შარაბის ქუეები] ამ **ყალლეზეც** ბევრია (უსტ.); მე ესკი **ყალედან** ვარ (უსტ.).

გემინირებული თანხმოვნები თურქულ სიტყვაში მომხდარი ასიმილაციის შედეგია:

Türlü „სხვადასხვა“, „მრავალნაირი“ – **თულლი/თული**:

თულლი-თულლი ემელებს გავაკეთეფთ (ჩაქ.); ყველა **თულლი** ისამებენ (ზ.); ყველა **თული** სიმდერა იციან (ჩაქ.); [კარტოფილი] არი, არი! **თული-თულია** (ჩაქ.).

Yerli „ადგილობრივი“ – **ყერლი/ყელლი**:

აქ ძველი **ყერლი** არ არიან (ჩიხ.); **ყერლები** არ არიან აქა, მოსულები ვართ (ჯვარ); **ყერლი** ვართ, ნენი, **ყერლი** (სვირ.).

ანჯახ თურქი **ყელლი** ემეები... აქ ბევრი სომეხები ბილა ყოფილან (უ.).

§3. კონუხი მახვილი.

შავშურში, ისევე, როგორც სხვა სამხრულ კილოებში (გამორჩეულად ტაოურში) შეიმჩნევა ტონური მახვილი. იგი უკვე მიღებულია და გარკვეულ პირობებში იჩენს თავს. ტონური მახვილი „ფართოდ გავრცელებული მოვლენის ნაშთს წარმოადგენს“ (არნ. ჩიქობავა 1936.:42).

ტონური მახვილი ფიქსირებულია. იგი სიტყვაში მოუდის ბოლოდან მეორე ხმოვანს (შდრ. გ. როგავა 1963.:8).

ბათუმი ქა³შიმ დიაბექირმა, ათათურქმა მეიგო (უ.); ეს კაკალი³ა (უ.); სიტალინსა იხტი-ბარი ქი უქნი³ა... (უ.); ბევრი საღამი, საღა³ში (სვირ.); ამეძარეთ, ყალე არ სჩა³ნდა? (სვირ.); აბა არ არი³ან, სავსე (ჩაქ.); დიობანში იყა³ვით? (ნიოლ.); მიწის სახელი ა³რი! გიგიმა³რჯოს (ნიოლ.)...

აღვნიშნავთ, რომ სიტყვაში ტონურმახვილიანი ხმოვანი გრძლად წარმოითქმის და გრძელი ხმოვნის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ტონური მახვილის პოზიციებით შავშური სხვა სამხრულ კილოებთან ერთად გვერდში უდგას ქართული და სხვა ქართველური ენების დიალექტებს (იხ. მ. ფაღავა 2003.:54-59; 2004.:35-37).

II. მოხუროლოგია

§1. სახელები

1.1. სახელის ფუძე. ფუძეთა მიხედვით შავშურ კილოში სახელთა ორი ჯგუფი გამოიყოფა, მაგრამ ზოგიერთი არსებითი სახელი ორგვარი ფუძითაა წარმოდგენილი.

თუთა//თუთი: ბალი მიყვარს, **თუთა** – არა (ხევწ.); **თუთა** მოგიტანე, ჭამე (ხევწ.); მე ახლა **თუთა**’ნა მეჭამა... (ჩაქ.); **თუთა** დიგირხიო? (სვირ.)...

აქ დაჰა ბევრია **თუთი** (სვირ.); აქ არი **თუთი** (ჩაქ.); **თუთს** აქანებენ, არხევენ (ხევწ.); ყალე ქი არი, იქ **თუთი** არი (ჩაქ.).

ხმოვანფუძიანი ვარიანტია ამ ხილის ერთ-ერთი სახეობის სახელში – კომპოზიტში „**თუთაყურსი**“:

თუთაყურსი, თეთრი **თუთა** რომ გაწითლდება, ისაა (დავ.).

მრავლობითის ფორმაში, ბუნებრივია, ამოსავალი ფუძე არ ჩანს:

თუთები გვაქ, ვაშლები გვაქ (უსტ.).

ამ სახელის თურქული შესატყვისია **du. თუთი** გვხვდება მეთურქულე შავშელთა თურქულ მეტყველებაშიც.

ჯინჭველი//ჯინჭველა: **ჯინჭველმა** გიკბინა, დეგანჯან, **ჯინჭველმა?** აქ ბევრი

ჯინჭველა არი (უ.).

აჭარულში გავრცელებულია ხმოვანფუძიანი ვარიანტი. **ჯინჭველი** არქაულია. იგი ეკუთვნის იმ სახელთა რიცხვს, რომელთაც ძველ ქართულში ფუძე თანხმოვანზე უთავდებოდათ, დროთა განმავლობაში კი იქცნენ ხმოვანფუძიანებად (ალ. მანჯგალაძე 1956.:171-186).

შდრ. რადსაებრ უკუე განეყოფვის კაცი **ჯინჭველსა?** (ამონ. ერმ. 92,34); **ჯინჭველი**

შეიპყარ (სიბრძ. 7); მცონარს სოლომონ აძაგებს, **ჯინჭველი** მოსწონს ქებითა (ქილ.დამ. 3).

ხმოვანფუძიანია სალიტერატურო ქართულისა და მისი დიალექტების **წამწამი, ჭარხა-**

ლი:

ეს წარბი, ეს **წამწამა** (ჩაქ.); **ჭარხალას** ვთესავთ (ზ.).

არსებითი სახელი **ღარი** შედგენილ შემასმენელში მეშველი ზმნის მესამე პირის შეკვეცილ ფორმასთან ა(<არის) ე ხმოვნით არის წარმოდგენილი, მიუხედავად იმისა, რომ სტროფში მას ერთმება ია³ზე დაბოლოებული ზმნა – **მწაღია:**

მოყორილში წვიმა წვიმს,

დიობანში **დარეა**,
სამი წელიწადია,
დასახლება **მწადია** (უსტ.).

თანხმოვანფუძიანი **წვერი** სალიტერატურო ქართულისა ბოლოვდება ა ხმოვანზე, აღ-
ბათ სართიმო სიტყვის გამო:

აველ გორი **წვერაზე**,
დავჯექ მაზი წერვაზე (უსტ.).

თურქულიდან შესული ზოგიერთი ხმოვანფუძიანი სახელი სხვადასხვა ხმოვნით ბო-
ლოვდება:

ბაბაჲ/ბაბოჲ:

ჩემი **ბაბაჲ** იყო კონდრაბადზე (უსტ.); **ბაბაჲ** იტყოდა (მანხ.).

ანაჲ, **ბაბოჲ**, ხუთი წლის ვიყავ, მომიკდა (ა.); იმის **ბაბოჲ** იქ წევდა (ხევწ.); ჩემი **ბაბოჲ**
ვის ელაპარაკებამეთქი? (შავშ.); ჩემ **ბაბოჲ** ჩვენი თერევის უმფო მეღწადინა (სავშ.).

ბაჯი/ბაჯოჲ:

ამისი დედამთილი ჩემი კაცისა და იყო, **ბაჯი** (სვირ.); წასლისან ჩამაცვეს ამის **ბაჯის**
მოტანილი (შავშ.)...

ი რომ ფუძისეულია, ჩანს წოდებითის ფორმაში:

ანი, შენ ჩაი? შენ **ბაჯი**? (ზაქ.).

ეს ამისი ემე არი, **ბაჯოჲ** (სვირ.); აგზე გელაპარაკებოდა ამისი **ბაჯოჲ** (ნიოლ.); **ბაჯოჲ**
ბაჯოს ბაჯალას თხიენილოფს (წეთ.)

ბიბი/ბიბიაჲ/ბიბოჲ:

ძალს თავის **ბიბის** სახელი ქვია, **ბიბისაც** ისმინაზი ქვია (ბაზგ.); ჩვენი **ბიბიაჲ** იყო აგ-
ზე და მოკდა (იფხ.); ერთი **ბიბოჲ** მყავდა, **ბაბოსი** და (ბაზგ.); ხალაჲ ანაჲს დაა, **ბიბოჲ** – ბა-
ბოს და (ჩაქ.); დღვან იმისი **ბიბოჲს** ბაჯალა გათხოვილა (იგ.).

ქილისე/ქილისა:

მე შევიდოდი **ქილისეში**, ქომოთ არი **ქილისე** (დ.); **ქილისე** არ არი, ყალე არი (უსტ.); ის-
ტამბულ **ქილისე** აქვან ხრისტიანებ (მანხ.); ერთი **ქილისე** რაბათში იყო (მან.); იქაც **ქილისას**
ნანგრევები არი (ჩაქ.); იქა და **ქილისა** იყო, და-და ასკერი (ჩაქ.); თუთხმეტი სოფლის **ქილისა**
ყოფილა (უ.).

თურქული ხმოვანფუძიანი სახელი შავშურში თანხმოვანფუძიანი ვარიანტიც გვხვდებ-
ა:

შოშე/შოში:

ადის არაბაჲ, იგზე დუზია, **შოშე** გზაა (ჯვარ.); ამ **შოშედს** დელეებში ჩახვალ (ხოს.); აქ
შოში არი და, ქვეშედან **შოში** მუა, იქიდან **შოშით** ბელქი წევდენ, **შოში** დელეედამ იშტე
ჩეველით **შოშში** (ხოს.).

ფართოდ გავრცელებული ჩანს ხმოვანფუძიანი ვარიანტი.

ტათლი:

ტათლის გააკეთებენ, ყაურმას (შავშ.); **ტათლი** არ ვაკეთებთ (ჩაქ.); [კაკალს] **ტათლზეც**
ხმარობენ (ბაზგ.).

თურქული **anne** და **ana** (დედა) ასევე ორი სახითაა შესული შავშურ კილოში:
ანნეჲ/ანნეჲ/ანნაჲ:

ანნეჲ არ დავგაძახნია, **ანნეჲ** ერთი თანე გყავანო, **ანნაჲ** და ბაბოჲ და არ ქნა (ბაზგ.);
ანნეჲ თაზე წევდა (დ.); კათოლიკის შვილო, ჩვენი **ანნაჲ** გვეტყოდა (დ.); ჩემი **ანნაჲ** და მისი
ანნაჲ დები არიან (ზაქ.).

უფრო გავრცელებულია ა ხმოვანი ვარიანტი.

თურქულში ე ხმოვნით დაბოლოებული სახელის ფუძე შავშურში ა ხმოვანიანია, ი ხმოვ-
ნიანი ე ხმოვანზე ბოლოვდება:

ქოლა (მდრ. Kole „მონა“, „მოჯამაგირე“):

იმათი **ქოლა** ვყოფილიყავ? (ბაზგ.).

ეს ფუძე დაცულია ამ სახელისაგან ნაწარმოებ ზმნაშიც:

წამუელ, რათ'ნა ვეკოლაგო, ვეხიზმეთქარო? (ბაზგ.); შენ ქორ ქალ'და ვეკოლაგო? არ ვეკოლაგე (ბაზგ.).

ქოშა (შდრ. Koşe „კუთხე“):

[მოჭრილ ჭიპს] ჯამის **ქოშეზე** ჩამოდებდენ (წეთ); ციხევე, მოგიკდეს ამშენებელი, გარედან **ქოშა** მიმშენებელი (მანხ.).

ქოშე და **ქოლა** ორივე ფუძე აჭარულში ე ხმოვნით ბოლოვდება (შ. ნიჟარაძე 1971.:358,359).

ჯამე (შდრ. Cami „მეჩეთ“):

ჯამე დავასუფთეთ (უ); **ჯამეს** ქი აკეთებენ (ჩაქ).

თურქულიდან შემოსული თანხმოდანფუძიანი სახელები დაირთავენ სახელობითი ბრუნვის ნიშანს:

ადეთი (Adat „ჩვეულება“): **ადეთი** არ არი აქა (ბაზგ.);

ადუმი (Adum „ნაბიჯი“): ორი **ადუმი** გადადგა (ჩაქ);

ბაირამი (Bayram „დღესასწაული“): **ბაირამი** არ არი... რაა'ნა ვიმდერო? (ბაზგ.);

ხებერი (Haber „ამბავი“): შენ **ხებერი** არ გაქ (უ);

ხაჩი (Haç „ჯვარი“): ეგ რა გკიდია შენ, **ხაჩი**? (ზაქ).

ქითაბი (Kitab „წიგნი“): მე **ქითაბი** მუატანიე (უსტ.)...

12. ბრუნვის ნიშნები; მრავლობითი რიცხვის წარმოება, მავრცობი ხმოვანი

ბრუნვის ნიშნების მხრივ შავშურში ბევრი თავისებურება არ ჩანს.

ა. ხმოვანფუძიანი საზოგადო და საკუთარი სახელების სახელობით ბრუნვაში ერთ-მანეთს ენაცვლებიან უნიშნო, **ი** და **ე** ნიშნიანი ფორმები:

მიწის ქვეშ სამი თანე **გზა** არი (ა); ღმერთო, **წვიმა** მოგვეც (მანხ.); მალე'და დეილიოს, ქი [ჩაი] **გემო** გეველოთ (მანხ.).

სხვებიც ზმა არი, **ძია** არი (ნიოლ); **ძიგარა** გინდა, მოუკიდებ (ჩაქ); მარილი **ცოტაა'ნა** ჩაყარო (ჩაქ); საქონელი ბევრი იყვენ, ახლა **ცოტაა** (უსტ.); **სიძე** ძველათ დოდოფალ არ დეენახვებოდა (სვირ).

ბაბოიც ხუჯუზი მყავდა (ბაზგ.).

ბ. ხმოვანფუძიანი სახელების უკვეცველ ფუძეებში ნათესაობითსა და მოქმედებითში ზოგჯერ არის **ე**, ზოგჯერ – არა:

ანა კაცი ჩემი ემოდ იყო (მანხ.); ჩემ **ბაბოს** ხიზმეთქრობას ვიზამ (ბაზგ.); ჩამუელ ჩემ **ბაბოს** სახში (ბაზგ.); ლიბანი ჩემი **ანა**ს მაჰალეა (ა); **მერიემას** ჯინსიდან არიან (მანხ.); **ენოდთ'ნა** დაკეპო (ბაზგ.)...

გ. რამდენიმე სახელი მოთხრობით ბრუნვაში -მან დაბოლოებით შეგვხვდა:

დედჭირა **დათემან** (უსტ.); **დრომან** გედეარა (უსტ.); **ძველებმან** იცოდენ (უსტ.); **ბაჭა-ლამან** და ბაღანამ მედწონა, თამამ (უსტ.).

დ. ხმოვანფუძიან სახელებს უმეტეს შემთხვევაში აქვს –**მა** ნიშანი:

ბაბუამა მოთხრა... (ბაზგ.); მისმა **დედამა**, **მამამა** არ მოდიან სოფელში (ზ); **ქვამა** რა'ნა გიქნას (ზაქ); მისმა **ბაჭალამა** ბაჭალა გაათხვა (კოკ.); **დედ-მამამა** „არ მინდა“ თქვას, წაყვება გოგო (შავშ.); გაწუხდენ, **მზემა** ემე ქნა (ბაზგ.); მოსულ **მზემა'ნა** უყუროს, ამოსულ **მზემა**, ჩასულ **მზემა'ნა** დახედოს (ბაზგ.); მე მოვკრიფავ, **სხვამა** არ იციან (უსტ.); ისა, **მეორემა** თქვა (ბაზგ.); ახლა მიმიტანა **ბაღანამა** (უსტ.); იგზე გვისხია, **სეტყვამა** გაყარა (ბაზგ.)....

ასევეა თურქული ენიდან შესულ სახელებში:

ბიბიამა რაცხა იცის, ისაა (წეთ); **დედმა** მაწავლა (უსტ.); ზორით მიმცა **ბაბომა** (ხოს.); **ანამა** ზორით ღარჭი დუგუნში წეიყვანა (სვირ.); დოუშტვინეთ, უკან გამეიქცა **ხოჯამა** (მანხ.)...

ე. სახელის მრავლობითს აწარმოებს –**ებ**, **ნ/თ** სუფიქსები. ნორმა ჩანს –**ებ**იანი წარმოება, **ნარ-თან**იანი წარმოება იშვიათია:

არაბანი მეგეშალენენ? (უსტ.); სამი ძმანი ყოფილან (სვირ.); სხვანი თიბვენ და მე ფარას მაძღვეენ (ბაზგ.); ჰადე, წად ახლა, სხვანი ალაპარაკეთ (ბაზგ.); ორნი ვართ (ჩაქ).

„დეგანი“ ორთავეა: ძმისშვილი, დისშვილი (უ).

-თა სუფიქსი შეზრდილია ფუძესთან, რომელსაც დაერთვის ბრუნვის ნიშანი: ამ ემოს ღარჭებმა, ორთამა ემოს ბაჭაღაზე თვალი გამოდგა (სვირ.).

ვ. შავშურ კილოში პროდუქტულია მავრცობი ხმოვანი მიცემითსა და ნათესაობითში, შედარებით ხშირია მიცემით ბრუნვაში, ორივე რიცხვში:

მიცემითი:

ღმერთსა ეწყინა (უ); საჭმელსა შავშეთ ვიღებთ (მანხ.); აქ ფუში არ უძღება კაცსა (ხოს.); (რ)ძალსა არ უნდა (მანხ.); ჩემ შვილსა ბაჭლევი ყავან (მანხ.); ჩაისა დაჰა დიდი ჭიქით სვამენ (მან.); ძროხებსა ინახევდენ (უ).

ნათესაობითი:

თუ არა და, გახდება დედოფლისა (ჩაქ); ღარჭი ყავს ორი წლისა (ბაზგ.); ერთი წლისა უკან ქირვას დააყენებენ (წეთ.); კაა თაფლი წაბლისა არი, შქერისა არი (ბაზგ.); ქართველებისა დუგუნია (ბაზგ.).

ზ. თანხმოვანფუძიანებში ჩვეულებრივ გამოიყოფა კუმშვადი და უკუმშველი სახელები.

- სალიტერატურო ქართულის მიხედვით კუმშვადი სახელები შავშურში უკუმშველია:

ასე გუთანით... ემეს ვებნევით ჩვენ, „ჯიღლა“ (ნიოლ.); ამას წამალადაც ხმარობენ (ბაზგ.); ამას კითხავს: ეს კაცი ქმარად გინდა, თუ არაო (შავშ.); ჭამა არი, ჰამა წყალით არი გერმელობა (ბაზგ.); დოდოფალი(ს) წაყვანამდე დადები წვედოდნენ (შავშ.); ცხვარის ხორცი გერმელია (ზაქ).

გვხვდება შეკუმშული ფუძეებიც:

ცხვრის შვილი კრავია, (მ)გელის – ლეკვი (მანხ.); ზოგი ქმრის სახში დალოგინდებოდა (წეთ.); წყლის სირა გვაქ (ზ.); აქ ხორბლი(ს) ყანები იყო (ახალდ.); ჭიაზე ყაბლი(ს) (<ყაბალის) გულ მიართმიდენ (წეთ).

ზოგჯერ ერთი და იმავე სახელის შეკუმშული და შეუკუმშავი ფორმები დასტურდება ერთსა და იმავე წინადადებაში:

საჭმელი საქონლისა გვაქ, ათი თანე, ოცი თანე საქონელიდან ორ-სამ გაყიდის აქავრი (ბაზგ.);

დადასტურდა შემთხვევა, როცა ცალკე აღებული სახელი უკუმშველია, კომპოზიტში კი იკუმშება:

ჯამიკრი ღელე (ა). შდრ. აქ არის ჯამი კარის წყალი (ივ).

-შეუკუმშველი ფორმები ხშირია –ებთან მრავლობითში:

სტუმარები მიხვალთ (ბაზგ.); (მ)გელები შიერები დაწყდებიან (წეთ.); გერმელი წყალებია (ივ.); წყალებ ვადენტ (ზ.); დათვმა და გელებმა მეერივნენ (ჩაქ); ბებერები არიან (ჩიხ.); სომეხები ბილა ყოფილან (უ); ესკიდან სომეხები ყოფილან (დას.); ერმენები, სომეხები ყოფილან ჯენევიზებში (უ)...

სომეხი უკუმშველია –ეთ სუფიქსიან გეოგრაფიულ სახელშიც: სომეხეთი (შოლტ.).

ახალე ცოტა ვერ დუულაპარანიან ჩვენსავე (ჩაქ); აწავლე ახალე (უსტ.).

შეკუმშული ფორმები იშვიათია:

სიმინდი კოტრებ გედეკეთებს (ხევწ.); კოტორი ხოშ თელი მუსლიმნები არ ღოცულობენ (ხევწ.); ძველები დეიხოცნენ, ახლებმა არ იციან (ჩაქ); დღესაც კიდევ სტუმრებსა საჭმელ დუულდემენ (სვირ.).

- გეოგრაფიულ სახელებშიც დასტურდება კუმშვადი და უკუმშველი ფორმები:

სვირენიდან აქ მოხველით (ჩაქ).

კარჩხალის ჰამან უკნედანაა (ჩაქ); კარჩხალიდან ჩენი სოფელი ჩანს (ზ.მ.). შდრ. წყალი მიგვიყვანეს, იქიდან მიგვიყვანეს, კარჩხლიდან (უსტ.); წყალი ქი მიქონდა კარჩხლიდამ (სვირ.).

- ასევე პარალელური ფორმებია თურქულიდან შესულ სიტყვებში:

ქითაბი (Kitaf „წიგნი“):

ძველათ **ქითაბის** სახელს არქმევდნენ (წეთ.); ხანდახან **ქითბებს** ემე იჯება, კითხულობს (ბაზგ.); ქონდა **ქითბები** დაწერილი (მანხ.); მე **ქითბები** ვიკითხე (ივ.).

ასკერი/ესკერი (Asker „მეომარი“, „ჯარისკაცი“):

ასკრებმა თოფი მუჟღირეს (მანხ.); რუსების **ესკრებმა** მე დემიჭირეს (ჩაქ.); გამოიარეს **ასკრებმა** (იფხ.); ისინი დუჟკავიან **ასკერეფ** (მან.).

-ებთან მრავლობითში შეკუმშულია **ხებერი, ჩობანი, მეზარი, ეგვანი**:

ჩობნები ვლაპარაკობთ (ჩაქ.); ყერიბი **მეზრებია** (სვირ.); ჩამოდიან **ეგვნები**, გურჯები (მანხ.); **ხებრები** მოდის... (დავ.)...

მოყვანილ მაგალითებში ნასესხები სახელები ექვემდებარებიან ქართულ ენაში მოქმედ წესებს. ისინი აგებულიან კუმშვადი ფუძეებია და იკუმშება კიდევ. ზოგჯერ თუ მოსალოდნელია კუმშვა, მაგრამ სახელი არ იკუმშება, ეს უკვე დიალექტის, ცოცხალი მეტყველების ნორმაა.

13. კვეცა და კუმშვა შავშურში. ა და ე ხმოვნებზე დაბოლოებული სახელები უმეტესად უკვეცელია:

ჩვენ **საქმედან** ვერ მოვრჩებით (ჩაქ.); ერთი კამიონი არაბად ჩამევიდა იქიდან **ჩომათი** (ხევწ.); შიში(ს) **ღელეღამ** იშტა ჩაველით შოშში (ხოს.). შდრ. იქეთა **ღელიღამ** ... მუალთ (ხოს.); დოდოფალი თხუთმეტი **ღღისა** გახდა, მივიდოდით (ჩაქ.); ჩემ **ყანიდან** ვინცხა ხართო (ნიოლ.); წყალი **თიდან** მუშუშვეს (ზ.მ.).

პარალელური ფორმები დასტურდება ხმოვანფუძიან გეოგრაფიულ სახელებში:

აჭარაიდამ გადმოსულან (მანხ.); **ყვირილაიდამ** არი გურჯი (მანხ.); **აჯარაიდან** გადმოსული ვარო, ბაბომა თქვა (ჩაქ.); ჩვენი დედენუმ დედე **აჭარაიდან** მოსულა (ჩაქ.); **ხოფადან** კან კილომეტრია ბათუმი? (სვირ.); სამ თვეს იქ იყო, **ხოფაიდამ** მოსულა (ჩიხ.); **ხოფადან** მოსულან შავშეთში (დავ.); **აგარადანა** ვარ (ზენ.).

შდრ. ერთი კაცი **აგარიდამ** წეფეყანეს (დავ.); **ანკარიდან** ახლოა (ჩაქ.); ეს, აქეთა მაჰალე **ჩაქველთასია** (ზენ.); ეს **ჩაქველთას** ყალეა (ჩაქ.); **ჩაქველთაის** ბარადა ეს, ჰო, **ჩაქველთის** (ჩაქ.); ეს **ჩაქველთის** გზა არი (ჩაქ.)...

პარალელური ფორმებითაა წარმოდგენილი ზოგიერთი თურქული სახელიც:

ჩემი **არაბათ** წამუალ (უ.); თქვენები ჩამოიდნენ **არაბათ** (იფხ.).

შდრ. კიდო მეეტანა **არაბით** (ზ.); **არაბით** ამოიდნენ (ჩაქ.).

ამ შეუკუმშველი სახელის შეკუმშული ფორმა ინდივიდუალურია: **არაბათ** მოსულა (უ.).

საჩმა (Saçma „საფანტი“): აქ დელებში დეჭირავ **საჩმათ** (ხოს.).

მაქინა (Maşine „მანქანა“, „ძრავა“, „მექანიზმი“): **მაქინაიდან** ნაღებ გამაადენ (ნიოლ.); **მაქინათ** ჭლიკი ჩამოთალეს (მან.).

ძიგარა (Sigara „სიგარეტი“): თავი ტკივა, **ძიგარას** ბრალია, აბა?! (ჩაქ.); **ძიგარათ** ვარ (იფხ.).

ჯამე (Cami „მეჩეთი“) იკვეცება მხოლოდობითში:

[მოჭრილ ჭიპს] **ჯამის** ქოშაზე ჩამოდედნენ (წეთ.).

ბ. დასტურდება კუმშვად-კვეცადი სახელების სხვადასხვა ფორმა:

ბაჯალა: **ბაჯლის** კაცის ანას ახლა წელიდან ზორი აქ (ბაზგ.). იმისი

ბაჯლები ვნახე... **ბაჯლებ** ეცოდინებიან (უსტ.).

ლახანა: შორვას თელზე ვაკეთებთ ... **ლახნის** შორვას (მანხ.); თეთრი ფქვილი'და ამუჟკიდო **ლახნის** ჩორბას (ბაზგ.); ჯავეს ჩადებენ, **ლახნის** ჯავეს (ჩიხ.).

ბაღანა: შეერში ჩავდივარ **ბაღნებთან** (ბაზგ.); **ბაღნები** გეიქცენ, ბურსას სამობენ (მანხ.).

შდრ. ჩვენი **ბაღანები** (=ბაღანებმა) არ იციან (მანხ.).

ფუძის სახით არის წარმოდგენილი ა და ე ხმოვნებზე დაბოლოებული სახელები (უმეტესად ე ხმოვანზე), რომელთაც თანდებულთა ფუნქციით ერთვის ზმნიზებები. ასეთი სახელები გამოხატავენ მოქმედების ადგილსა და დროს (უფრო ხშირად დროს):

[გზა] **მადარა ქვეშ** გაჭრილია, ჰამა ჩაწვა (სვირ.); შეხვალ **დელე გაღმა**, ჰო (ზენ.); ათ **დელე უკან** მივალ იქა (მან.); დილაზე თუ მოკდა, **შუადლე უკან** ჩადებენ (ბაზგ.); ერთ **კვირე უკან** მოსულიყავ, კად იყო (უ.); ლაზების ჭკვა **შუადლემდე** ისაქმებს, **შუადლე უკან** – არაო (ხევწ.).

ანალოგიურია საწყისიანი კონსტრუქცია:

ქირეზა მილეწინან ამოვლენ (უსტ.); **დაწოლა უკან** წავალთ ოდებში (მან.).

ფუძის სახითაა ა ხმოვანზე დაბოლოებული სახელი (უბრალო დამატება) მიმდებარის-თან:

დავნი მარტო, ედ, **შეშა** დამპობელი არა (უსტ.); ციხევე, მოგიკდეს ამშენებელი, გარედან **ქოშა** მიმშენებელი (უსტ.).

უფიქრობთ, რომ ეს, ხაზგასმული სახელები, ნათესაობითი ბრუნვის შეუკვეციელი ფორმებია და არა მიცემითი ბრუნვის ნიშანდაკარგული ფორმები: ამ მნიშვნელობათა გადმოსაცემად ანალოგიურ კონსტრუქციებში უმეტესად გამოყენებულია ნათესაობითი ბრუნვა სრული სახით, ან ბრუნვის ნიშნის თანხმონითი ნაწილის მოკვეციტ ორივე ჯგუფის – თანხმონი-ფუძიან სახელებთან. ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში ბრუნვის ნიშანი სრულადაა წარმოდგენილი:

- თანხმონიფუძიან სახელებთან:

ეს არის **იმერხევის გადაღმა** (ზენ.); **შავშეთის ქომოდან** არი (ჩიხ.); წეთვეთი **შავშეთის უკანაა** (დავ.); დაილაზე ვიყავთ **კარჩხალის** ჰამან **უკნედან** (ჩაქ.); **ჯანჯირის ზემოდან** დუხეა (უსტ.); ერთი დაილა არი **გამეშეთის ზემოთ** (ზ.); **სადგირელის უკნედან** მიბრუნდები, მობრუნდები (შავშ.); ერთი ამ **სოფლის ბოლოშია** (ზ.); შვიდი **წლის უკან** თურქა დევიწავლე (უ.).

- ხმოვანფუძიან სახელებთან:

ამ **გზის ზემოთ** სერში არის (ჩაქ.); **გზის გადაღმა** სარაჲ ყოფილა (დავ.); ამ **მთის გადაღმა** ბაძგირეთია (უ.); [ძოხა] აგზე ჩეიყვანე, **ხის ქვეშ** ჩააგდე (ხევწ.); ოთხი **კვირის წინ** იქ ვიყავ (ივ.); ჩემი ერთი ბიჭი ოთხი **დღის წინ** ბათუმ იყო (ჩაქ.).

- დაკარგულია ბრუნვის ნიშნისეული ს:

ჩიხორი ამ **სერი გადაღმა** არი (ჩიხ.); **ჯინალი უკნედან** აჭარაა (დავ.); **დირეგი ქომოდან** წისკილია (ჩაქ.); ერთი გელინი ბაიბურთული, ერთი დაბანი, **ართვინი გარედან** (უ.).

მიწი ქვეშ სამი თანე გზა არი (ა.); ქილისე აგზე იყო, **გზი ქვეშ** (დავ.).

- თანხმონიფუძიანი სახელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი:

შერთულ ზემოთ გურჯებ ებნევიან (უ.); მე იქეთ ვიყავ, **სერ იქეთ** (ჩაქ.); **სერ იქეთ** ლამაზი არ არი (დას.); ყიშლა გეკონდა **სერ იქეთ** (ჩაქ.); **სერ გადაღმა** თურქები არიან (დავ.); მეიყვანებენ **ყვავილ ქვეშედან** დოდოფალ (ზ.).

როგორც მოყვანილი მასალიდან ჩანს, ამ მნიშვნელობათა გადმოსაცემად აღნიშნულ კონსტრუქციაში ბუნებრივი ჩანს სახელის ნათესაობითი ბრუნვა.

მიცემითი ბრუნვის გამოყენების თითო-ოროლა შემთხვევა დასტურდება შავშურში:

ბრილს უკნედან ერთი აგარაა (დავ.).

საინტერესოა ა და ე ხმოვნებზე დაბოლოებულ სახელთა –ებ'იანი მრავლობითის ფორმები.

გეხვდება სხვადასხვა შემთხვევა (წამოვადგენთ თურქული ენიდან შესულ სახელებსაც). ა ხმოვნით დაბოლოებული სახელები.

შეკვეცილი ფორმები:

გზა: გზები ყაფანდება (ივ.).

ქვა: ქვები დუშუწყე (ხევწ.); ეს **ქვები** მეზობელმა მოყარა (უ.);

ოღა: სიმინდ ოღებში ვინახავთ (ხევწ.).

ქილისა: იქ ქილისები ქვები დამჩალა (ჩაქ.); აქ არ არი ჩვენი **ქილისები** (კოკ.).

ხოჯა: ჯინდარ ხოჯებ ეტყვიან (წეთ.).

შეუკვეცელი, ასიმილირებული ფორმები:

გზეები (<გზაები): **გზეები** არი (ჩაქ).

ყანეები (<ყანაები): **ყანეები** წვრილია, მაქინა არ შედის (უ).

ხოჯეები (<ხოჯაები): მე და მუფთი **ხოჯეების** ემე ვართ, ბაშქანი (მანხ).

ამათ გვერდით დასტურდება შემდგომი საფეხურის – დისიმილაციით მიღებული ფორმები:

გზიები (გზეები<გზაები): კარგი **გზიებია** (უსტ).

ქვიები (<ქვეები<ქვაები): იქა **ქვიებზე**, მაღლა დაზებია (ჩაქ).

თმიები (<თმეები<თმაები): **თმიები** ასე ჩასული აქ (ჩაქ).

რქიები (<რქეები<რქაები): ბერი ხარი **რქიებ** ქვემოთ დეილებს (მან); (რ)ქიები ექნება (ჩაქ).

თხიები (<თხეები<თხაები): აქ იქნება **თხიები** (ჩაქ).

(მ)თიები (<მთეები<მთაები): ესენი ბაზვირეთ ასულან **თიებზე** (სვირ).

ძმიები (<ძმეები<ძმაები): **ძმიები** ყავს (ჩიხ).

სკიები (<სკეები<სკაები): ზველათ **სკიები** (=სკებს) დააკეთებდენ (უსტ).

პაპიები (<პაპეები<პაპაები): არიან ჩვენიდან, **პაპიებიდან** (უსტ).

ხოჯიები (<ხოჯეები<ხოჯაები): **ხოჯიების** კითხვა არ მიყვარს (მან).

ბახჩიები (<ბახჩეები<ბახჩაები): **ბახჩიებში** არაფერი არ მოდის (წეთ).

ე ხმოვნით დაბოლოებული სახელები:

ე ხმოვნით დაბოლოებულ სახელებში, როგორც მოსალოდნელი იყო, **-ებ** ნიშნის დართვით ორი ე გვაქვს:

დელე: აქ გოლი არ არი, **დელეებია** (უსტ).

ხე: აქ ხეები უნდა, **ხეები** (უსტ).

კლიტე: ერთათ მიბმული იყო **კლიტეები**? (ხევეწ).

ჯამე: ბევრი **ჯამეები** ჩემ ალაგშია (მანხ).

ყალე: აქავრი თამარას **ყალეები** არიან (სვირ).

ნენე: ამ სახელებში **ნენეები** არ არიან (უსტ).

დედე: ჩვენი **დედეები** ზათი აჭარადამ გადმოსულან (მანხ).

ქილისე: ბევრი **ქილისეები** არიან (ჩიხ).

ამ სახელების დამოწმებულ ფორმებში ხდება დისიმილაცია: **ეე>იე**:

დეიები(<დეეები): **დეიებში** ჩადგაო, ვიტყვით (ბაზგ).

თვიები (<თვეები): **თვიების** სახელები არი (ბაზგ).

დელიები (<დელეები): ღმა **დელიებში** წვეალთ (უსტ).

დედიები (<დედეები): ჩვენი **დედიები** აჭარადამ მოსულან (უსტ).

საქმიები (საქმეები): არიან იმგვარი **საქმიები** (ნიოლ).

ნენიები (<ნენეები): მაშინდელი **ნენიების** ხელში რომ იცოდენ (ბაზგ).

დადიები (<დადეები): **დადიები** ერთი ბაჭლის თერეფიდან იქნება, ერთი – ბიჭის თერეფიდან (უსტ).

ანალოგიური შემთხვევების შესახებ ბ. ჯორბენაძე წერს: „... **იებ** ზოგჯერ ერთიან ფორმანტად გაიაზრება და დაერთვის ერთმარცვლიან ფუძეკუმშვად სახელებს – ფუძეში რედუცირებული ხმოვნის საკომპენსაციოდ” (ბ. ჯორბენაძე 1989.:380).

14. ნაცვალსახელი

ზოგი თავისებურებით ხასიათდება ნაცვალსახელი:

გავრცელებულია **ისა**; ჩემი ახრება არი **ისა** (ზაქ); იმგვარი გერმელია **ისა**, ქი (ბაზგ).

დასტურდება ნაწილაკიანი ფორმებიც:

ისაც ავათ გახდა, **ისაც** ემე გიმხდა (ბაზ); **ისაც** აეთიმი იყო (ხოს); **ისაც** [დაილა] ჩვენია (ჩაქ).

ი ბოლოკიდურნიანი იშვიათია:

სერზე **ისი** არი ... დუზია (ჩაქ).

ისი იშვიათია **ც(ა)** ნაწილაკთანაც:

ახლა **ისიც** აღარ მყავს (უსტ.).

გამოთქმულია ვარაუდი: „შესაძლოა... ესე, ისი ... არქაიზმები კი არ იყოს, არამედ ესა, ისა ფორმების ასიმილაციის შედეგი” (ლ. ლეჟავა 1958.:183). საინტერესო ვარაუდია, მაგრამ, ვფიქრობთ, ასიმილაცია ხელს არ უშლის, რომ ესე, ისი არქაიზმები იყოს.

მრავლობითში ნორმაა **ე** ბოლოკიდურიანი ისენი:

კიდენ დადიან **ისენი** (ჩაქ.); **ისენი** ბითევე თურქჩას ლაპარაკობენ (უსტ.); ჩვენში **ისენი** არ არიან (ჩაქ.); ანად მყავდა, ბაბოე მყავდა, **ისენი** მიშველიდენ (უსტ.).

ისინი სპორადულია:

ისინი გენჯები იყვნენ (ბაზგ.).

გვხვდება **ესანი**: **ესანიც** თქვენები არიან? (ბაზგ.).

ისენი და **ესანი** ფორმები შეიძლება **ისინი** და **ესენი** ფორმებისაგან იყოს მიღებული დი-სიმილაციით: **ისინი>ისენი**; **ესენი>ესანი**.

მეორე პირის ჩვენებითი ნაცვალსახელი გვხვდება ოთხი სხვადასხვა სახით:

რა თქმა არი **ეგა**? (ზაქ.); **ეგა** მეზობელია (ზაქ.); **მეგ** წორეა (დ.); **მეგა** ქლიავისა (ნიოლ.); **მეგეც** გაწყდება (უსტ.).

ჩვენებითია **იმგვარი**, **იმგვარო**, **მაგვარი**:

იმგვარო რაცხა გვესმოდა (უ.); **იმგვარი** ემე იყო, ქი...(ჩაქ.); არ გემიგონია **მაგვარი** დანი (უ).

გვხვდება დისიმილაციით მიღებული ფორმა **ემგვარი**:

იქნება აქ **ემგვარი** (ჩიხ.).

პარალელურია **იმდენერთი** და **იმდენეთი** (რ დაკარგული):

ამ ღარჭის **იმდენეთი** ვიყავ, ბევრი არ მახსოვს (ხეგწ.); ზველი ბინა იყო და... **ამდენერთი** იყო სავსე (უსტ.).

შდრ. ჩვენს სისხლსა აუხვალ, რომ **ამდენი ერთი** კაცი ამოვსწყდეთ? (რუსულ. 412,3).

არ. მარტიროსოვს მიაჩნია, რომ ახალ ქართულში შეიცვალა საშუალო ქართულიდან მომდინარე შესიტყვებების – **იმდენ ერთი**, **ამდენ ერთი** შემადგენელი ნაწილების რიგი: **ერთი ამდენი**, **ერთი იმდენი** (ა. მარტიროსოვი 1964.:154).

შავშურში დაცულია ადრინდელი ფორმა.

კითხვითია **რაი//რაჲ//რა**:

ჭალი **რაი** არის? (ზაქ.); **რაჲ** ქვია, გო? (უსტ.); ჰამა, **რაჲ**ნა ქნა? (ბაზგ.); **რა** ვიცი ანი, ვინცხა ყავს, არ ყავს (ბაზგ.).

რა რომელი ნაცვალსახელის ფუნქციითაც იხმარება:

რა ალაგიდან ხართ? (იფხ.); **რა** სოფლიდან ხართ? (იფ.).

რა მიცემით ბრუნვაში საგრცობიანია:

შენ **რასა** წერავ აქა? (ზაქ.).

მრავლობითის ფორმები ფონეტიკაში გვაქვს განხილული.

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი **თელი** მნიშვნელობით იგივეა, რაც **ყველაფერი**, **ყველა**: **თელი** გურჯი არიან რაბათში (დავ.); **თელმა** არ იციან, ზოგმა... (უსტ.); **თელი** იმდერა იქა? (ჩაქ.); აქ **თელითვინ** (=ყველასთვის) იყო იარაღი (ბაზგ.); შორვა **თელზე** ვაკეთებთ (მაჩხ.).

ყველავინ (=ყველა): ნუსხა ჩეთინია, **ყველავინ** ვერ დაწერს (ბაზგ.).

ყველავინ: (ყველავინ+ვინ). **ვინ** შეიძლება უტოლდებოდეს **ვინმე** ნაცვალსახელს იმ მნიშვნელობით, რომელიც მას აქვს სამხრული მეტყველებისათვის დამახასიათებელ უარყოფით კონსტრუქციაში: **ვინმე ვერ დაწერს**.

უარყოფითი ნაცვალსახელები **არავინ**, **არვინ**, **აღარვინ**, **არაფერი**... გვხვდება ზმნის უარყოფით ფორმასთან:

ბუღდას **არვინ** არ თესავს (მაჩხ.); **არვისთან** არ გიგიშვებთ (მან.); **არაფერ** არ ჩავყრი (ბაზგ.); **არაფერი** არ მახსოვს (ბაზგ.).

შავშურში იშვიათია სამხრული კილოებისათვის, განსაკუთრებით აჭარულისათვის დამახასიათებელი გამოთქმები, რომლებშიც განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ახლავს ზმნის უარყოფით ფორმას:

იქ **რამეს არ ჩადებენ** (სვირ.); **რამე არ აქ** (ბაზგ.); **რამე აღარ ვიცი** (ბაზგ.).

ჩვენ მიერ ჩაწერილ შავშურ ტექსტებში ამ კონსტრუქციის ორმოცდაათზე მეტი გამოთქმიდან მხოლოდ შვიდია ისეთი, რომლებშიც განუსაზღვრელი ნაცვალსახელი და ზმნის უარყოფითი ფორმაა, დანარჩენში უარყოფითი ნაცვალსახელი და ზმნის უარყოფითი ფორმაა. ამავე ტიპისაა გამოთქმები, რომლებშიც უარყოფითი ზმნიზედა ზმნის უარყოფით ფორმას უკავშირდება:

საქმეზე **არსად არ იყო** (ბაზგ.); **არსად არ წევსულვარ** (ბაზგ.); **არსად არაფერი არაა** (ხოს.).

ამ გამოთქმების ნაცვლად აჭარულშია:

სადმე არ წევსულვარ, სადმე რამე არაა...

სამხრულ კილოებში, კერძოდ აჭარულში ფართოდ გავრცელებული „ვინმე არ არის“ ტიპის გამოთქმები სამეცნიერო ლიტერატურაში ჩათვლილია თურქული გამოთქმის Kimse yok კალკად: Kimse „ვინმეს“, „ვიღაცას“ ნიშნავს წართქმითი ფორმის შემასმენელთან, ხოლო უკუთქმითი ფორმის შემასმენელთან აქვს მნიშვნელობა „არვინ“ (ნ. გურგენიძე 1973.:79). ნ. გურგენიძის აზრით, აჭარულში არ არის გარჩეული თურქულიდან შემოსული ნაცვალსახელის გამოყენების წესები. მკვლევრის მსჯელობის მიხედვით, სწორი იქნებოდა „ორმაგი უარყოფის შემცველი გამოთქმა „არავინ არ არის“. ზმნიზედებზე არაფერია ნათქვამი.

უკანასკნელ ხანს გამოითქვა განსხვავებული მოსაზრება: დიალექტებში არსებული „ვინმე არ არის იქ“, „რამე არ გადამიხდია ბაზარში“... და სალიტერატურო ქართულის „არავინ არის იქ“, „არაფერი გადამიხდია ბაზარში“ გამოთქმებში ხაზგასმულ ნაცვალსახელთა ფუნქციურ აღრევას განაპირობებს ქართულ ენაში არსებული კითხვით ნაცვალსახელთაგან უარყოფითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების წარმოების წესი. საფიქრებელია, რომ აქ მარტოდენ მარტივი აღრევა არ უნდა გვექონდეს. შესაძლებელია, ამ ფორმებში არქაული ვითარება იყოს დაცული. ამდენად, აღნიშნული საკითხი შესწავლილი უნდა იქნეს ქართველურ ენათა სხვა დიალექტების მიმართაც (ი. ჩანტლაძე 2010.:66-67).

აღნიშნული ტიპისა და სამეცნიერო ლიტერატურაში კალკებად ჩათვლილი სხვა გამოთქმები განხილული გვაქვს შრომაში „კალკების საკითხისათვის სამხრულ კილოებში“ (წინასწარი შენიშვნები) (იხ. მ. ცინცაძე, მ. ფალავა 2005).

რაცფერი მნიშვნელობით უდრის ბევრნაირი, მრავალგვარი:

ბელქი-და **რაცფერი** შეინახეს (უ.); რუსმა გადმაყარა შექერი, **რაცფერი** საჭმელი და აჭარლები გადააბრუნა თავისკე (უ.).

თვით, თავად ნაცვალსახელთა მნიშვნელობით ჩვეულებრივია და ნორმად უნდა ჩაითვალოს **თავეთ**:

ბიბიშვილზე მიყოლილი ვიყავ, **თავეთაც** მიმცეს (ბაზგ.); ღმერთი **თავეთ** დიგვიქნევს (ბაზგ.); **თავეთაც**ნა გახდენ დედამთილი, ხებერი არ აქვან (ხევწ.); თორუნები შარშან მოვლოდენ **თავეთ**, წელს არ მომიდენ (მან.); საქონელი მევდენ და **თავეთ** ვერ მოვდა იშტა (უსტ.); **თავეთ** იქ არიან (ზ.); არ უნდა წახმარება, **თავეთ** იცის იმან (ბაზგ.); **თავეთ** იქ არიან ზიოსში (ბაზგ.); ქალები მოიდენ, **თავეთაც** მოიდა (მან.); ერთი ბაჭალა ახლა გავათხვე, **თავეთ** აირჩია (მან.); თავის ფული **თავეთ** მეიგოს (უ.).

თავეთ არის ამოსავალი ამავე მნიშვნელობის სხვა ფორმებისათვის:

თავითაღა შევა შით (ბაზგ.); ხელით დასაბრუნებელი, ჯერიანისაც გამოსულა, **თავითაღა** ატრიალებს (ბაზგ.); ერთ წელწად პურ არ დავთესდით, **თავთანა** ამოვლოდა ისა (უ.);

დასტურდება ფონეტიკურად სახეცვლილი, თანდებულისანი ვარიანტი:

ახლა წავლენ ბიჭი, ბაჭალა, **თავესთვინ** არიან (ჩაქ).

ანალოგიური აგებულების ჩანს **ჩვენათა** (=ჩვენ თვითონ), **ჩემთანაღა** (=მე თვითონ):

უქუმეთი არ გვეშველება, **ჩვენათა** რაა'ნა ვქნათ? (ნიოლ.); მე **ჩემთანაღა** წამუელ (ბაზგ.).

თავით გვხვდება საბასთან კუთვნილებითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით:

რაც საფრანგეთში მხატვარი, კაცი თუ ქალი გამოსულიყო **თავეთის** ხელით **თავეთის** სახე დახატული იყო (მოგზ. ევრ. 254); **თავთავეთი** სატანჯველი ხელთ ეჭირათ (იქვე 256); ორის **თავეთის** რიგისა წმიდისა სხვა თავი, მრავალი სხვა ნაწილი გვიჩვენებს (იქვე 265); სამოცდათექვსმეტი ვეცხლის წმიდანი იყო შექმნილი, **თავეთთავეთი** ნაწილი ეჭირათ (იქვე.2); ამ თათრებს ხომალდიდამ ამოუშვებ, **თავთავეთის** წავლენო (იქვე 286).

თავეთი „უკუქცევით-კუთვნილებითის მნიშვნელობით მრავლობით რიცხვში მათი“ს გვერდით“ იხმარება ჯავახურში:

წავიდნენ **თავენთ** გზაზე, მივიდნენ **თავენთ** სახემწიფოში (ა. მარტიროსოვი 1984.:57).

უკუქცევითი „თავი“ კუთვნილებით ნაცვალსახელთან ერთად პირის ნაცვალსახელის ნაცვლად უკავშირდება ზმნას:

თავის ანას **უნდოდა ჩემი თავი** (შავშ.).

ამ წინადადებაში „თავის“ „მის“ ნაცვალსახელის მაგივრადაა ნახმარი (=მის ანას).

ბაგალასაც **ამის თავი** უნდოდა (ბაზგ.); კაკლი(ს) ხეჭობოდან გამოსულა და **ჩემი თავი** არ მოჰწონსო (მანხ.); გუუყინავს **შენი თავი** (ბაზგ.); რა? იცის **ჩემი თავი?** (ბაზგ.).

იშვიათია პირის ნაცვალსახელი აღნიშნული სინტაგმის ნაცვლად (ჩემი თავი...): მე ბელქი არ უყვარვარ (ხევწ.).

§2. ზმნა

2.1. პირისა და რიცხვის ნიშნები. მესამე პირდაპირობოექტური პირის პრეფიქსები – **ხ, ჰ, ს** დაცულია უმეტესად მაშინ, როცა ის მიცემით ბრუნვაშია.

ხ: თითო-თითოს **ჩავხყრით**, მივაყრით მიწას (ხოს.); ჩვენი მალე **მოხკვეთავს** (ბაზგ.); ჩალასაც **შევხკონათ** (ბაზგ.).

ჰ: ფხალსაც მოხარშავ, **დაჰკეპავ**, ჩაჰყრი (ხოს.); ერთ თანეს **მოჰკლავ**, მეორე მოვალ (ჩაქ.); **მოჰკლავ**, არ'ნა შეგიტყვან'ნა (ჩაქ.).

ჰ შენახულია დედისეული ბგერების წინაც:

ეს ჯინჭარია, ახლაც **გჰჭამთ** (ჩაქ.); ახლა **გაჰაზირებ**, ზამთარში **დაჰწავ** (წეთ.); დმერთმა გაგაწყნაროს, ასე **დაგჰწყველით** (მანხ.); **აჰწონავ** ერთ ემესა (ჩაქ.).

ს: არ **სწყველო** არავის (იფხ.).

პირველი სუბიექტური პირის ნიშანთან არის მრჩობლი **ჰს:**

მოგჰსწყველდი, მაქინაში **მიგჰსცემდი** (მანხ.).

ზმნის ფორმაში ხშირად არ არის მესამე პირის ობიექტის ნიშანი:

ბახშიში **მიცემენ** (წეთ.); ოსმალომ მიწა **მიცა** (ჩიხ.); ორი მილიონი **მიცეს** (ნიოლ.); ფარა ვერ **მიცა** (ნიოლ.); ჯან **მიცემს**, მოკდება (სვირ.); ბიბერი'ნა გუურიო, რენგი **მიცეს** (სვირ.).

გული **ტკივა**, აგზე **ტკივა**, ჭლიკი, წელი **ტკივა** (სვირ.); იმა **ტკივა** და მე არ **მტკივა?** (ჩაქ.).

ძიმე საქმე არ ასაქმებენ, **მოწყდება** ბაღანა (წეთ.).

იშვიათად ობიექტური წყობის ზმნებში დაცულია მიცემით ბრუნვაში დასმული სახელის ნიშანი:

ხ: ქვიები **ხქონდა** აგზე (ჩაქ.); შვილები **ხყლიათ** (მანხ.); ახლა დოსტორთან **მიხყავან** (წეთ.).

ჰ: კაკლი(ს) ხეჭობოდან გამოსულა და ჩემი თავი არ **მოჰწონსო** (მანხ.); ჩვენში თურქი ლაპარაკი **მოჰწონან** (ჩაქ.).

ჭარბობს უპრეფიქსო ფორმები:

სასაფლაო არ **ქონია** (ჩაქ.); ამას ეკალი **ქვია** (ჩაქ.); ამას სონერი **ქვია** (ბაზგ.); ის დიდი ბუხები, ბონერები არიან, ფუტკრებს **გავან** (ბაზგ.); ხალად იქ, მაჭიხელ, გათხოვილი **ყავდა** (ბაზგ.).

მიცემითბრუნვიანი პირის მრავლობითობა სხვადასხვა ჯგუფის ზმნებთან სხვადასხვა მწკრივში აღინიშნება მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის –ან სუფიქსით მოსალოდნელი თ'ს ნაცვლად:

მრავლობითობის –ან სტატიკური და ობიექტური წყობის ზმნებთან აწმყოში:

დოდოფალი **მოქყყავან** (ბაზგ.); საჩუქარი ვინ **ქყავან** (ჩაქ.); იქაც **გყავან** საქონელი? (უსტ.); რაცხა რომ გასაგნები **გაქვან** (ჩაქ.); ღვინოსაც სვამთ, ფენა **გიყვარან** (ზ.) ახლა სხვა ალაპარაკეთ, ჩემიდან **გეყოფიან** (ჩაქ.); საქმე **გეზარებიან** (ბაზგ.); თქვენ არ **გაქვან** ადეთი? (უსტ.); თქვენ არ **გითვისიან**, არ **გაქვან**? (ხოს.); ამათ **ესმიან** ადეთი (მან.); ამათ ენა იციან, ჰამა არ **უბრუნავან** ენა (ზ.მ.); ჯეიზიც **აქვან** (უსტ.); ზოგ ჩომა არ **ყავან** (ბაზგ.); ვინცხას ქი ჩომა ყავან, თიბვენ (ბაზგ.).

ბოლო ორი წინადადების ნაცვალსახელები „ზოგ“, „ვინცხას“ მრავლობითად არის გააზრებული, რაზეც მიუთითებს ზმნა **თიბვენ** ბოლო წინადადებაში.

მრავლობითობის –ან I თურმეობითში:

მეგენი ზათი **დიგიწერავან** (ზაქ.); ღვინო **უკეთებიან** (უსტ.); გურჯიჯა ვერ **მუუფერებიან** (უსტ.); გაღმა სერები **დოუნახავან** (ივ.); კად ალაგები **უნახავან** (უ); ფეხებით **უტენავან** კანდრაში ფშნილა (ხოს.); ვერ **მუუკვლიან**, დასადიაო... (უსტ.); შიგან სურათები **გუუმურვან**, ცეცხლი **მუუცემიან** და **გუუმურიან** (მან.); აქ რაცხა რომ ძველათ **დუუწავლიან** ... იმათ იჯებიან (ბაზგ.); ძველათ **დუურქმევიან** (ბაზგ.); აქ იყავითო, იმათაც **უოქმიან** (ნიოლ.); იწავლიან და ვერ **დუულაპარაკნიან** (უსტ.); თქვენ საქმე **დაგლევიან** და დამსხდარხართ (ხევწ.); ვერ **უუვლიან** (ნიოლ.); შავშეთიც გურჯი ყოფილა, ჰამა **დავიწყნიან** (ჩაქ.).

–ან იცის ზმნის მყოფადის ფორმასთან:

ძველებ **ეცოდინებიან** ბელქიდა (ჩაქ.); ბაჭლებ **ეცოდინებიან** (ბაზგ.); იმათ **ეცოდინებიან** (ბაზგ.).

შდრ. ამ გურჯებ **ეცოდინება** (უსტ.).

II თურმეობითში დასტურდება –ენ, –ეს სუფიქსები:

რა **დეეშავებიენ** იცი? (მან.); ესენი რომ **წამოგყვანენ**, ახლა იქ ვიქნებოდით (ბაზგ.); **ეთესებოდენ** ლახანა, დაკვირდებოდი ამოვლა (უსტ.).

ეს არ **დეგექციეს**, შარაბი იყო იშტე (უსტ.); იქავრი შარაბები **მიეტანეს** (უ).

–ენ უწყვეტელში:

რა **უხაროდენ** (ივ.); **ემინოდენ** მიღეთ (მან.).

იშვიათად წყვეტილში –ნენ სუფიქსია:

ერთი [თუთა] **დაგჩნენ**; დიდი თუთა **დაშჩნენ** (ხევწ.).

–თ სუფიქსის ნაცვლად ორმაგი სუფიქსით – ანან არის ნაწარმოები **უნდა** ზმნის II და III პირის მრავლობითის ფორმები:

თქვენ გურჯი მღერა **გინდანან**? (უსტ.); ახლა უუუ... ბევრი რაცხა **უნდანან** (ჩაქ.); თუ **უნდანან**, იგზე დაკლენ (ჩაქ.); რაცხა ქი **უნდანან**, მედთხოვენ (უსტ.).

მიცემითბრუნვიანი პირის რიცხვის გამოსატყვის საკითხი ქართულში განხილული აქვს ნ. სურმაგას (ნ. სურმაგა 1989).

პარალელური ფორმებია **არის** და **არი**:

ექვსასი დოლარის ამღებელიც **არი** (ჩაქ.); აქ ყველა ბალახი **არი**, ყველა ჩემიტი **არის** (უ); აქ **არი** თავის ბაბოსთან (ბაქზგ.).

მყავს ზმნაში არ არის სუფიქსი –ს:

ღედაბერიც **მყავ** აგზე (უსტ.); ერთი ღარჭი **მყავ**, ერთი – ბაჭალა (უსტ.); ერთი აქ მეზობელი **მყავ** (მან.).

ვიდ ფუძის ზმნის წყვეტილის მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმაში იხმარება სუფიქსი –ეს:

იმათ ვუთხართ, ჰამა არ **წამოიდეს** (იფხ.).

მოსალოდნელი –ენ სუფიქსის ნაცვლად სუბიექტის მესამე პირის ნიშნად აწმყოს მრავლობითში არის –ან:

აქედან **მიღევან** გოგოს ნათესავები (სვირ.).

ერთპირიან ზმნაში ორი პირის ნიშანია:

ხან-ხან ელექტრიკები **სწყდება** (ჩაქ.); ამეღარეთ, ყალუ არ **სჩანდა?** (სვირ.); ანჯახ გაგობით, **გაჰყინა, გაჰყინა** (ხოს.).

2.2 დრო. მყოფადის გადმოსაცემად ზმნისწინიანი აწმყოს პარალელურად გამოყენებულია კავშირებითის ფორმები (უმეტესად მეორე კავშირებითი). ამ მხრივ ძველი ქართულის ნორმაა დაცული.

I კავშირებითი: რად გითხრა, **ვიცოდე, ვიტყოდე** (სვირ.).

II კავშირებითი:

თუ ქემალამ არ მედწონა, მე **ავართვა** (ბაზგ.); ერთი ჩავალ, ძროხა **ავაძრო**, ახორშია (ხევწ.); ჩვეიდეო, ჭადი **ჩევისხათ, გაჭამოთ** (უ.); შიერი არ იყოთ, საჭმელი **მოქცეთ**, ჭამდე (უსტ.); შინ'ნა მივდეო, პური **მოგართვათ** (მან.); მეც **მოგეკრა** (=შეგეერთდებით) და წვევლით (უ.); სკამები **მოგცეთ**, ემეები დათალეთ და ჭამეთ (უსტ.); რაცხა **გითხრა**, შაირები (დ.).

მყოფადის მნიშვნელობა აქვს ი- პრეფიქსიანი ვნებითის II კავშირებითის ფორმას:

დიობან წვიყვანეთ, ზათი ვერ იცოცხლებენ, **დეიხოცნენო** (=დაიხოცებიანო) (ივ.).

ხაზგასმული ზმნის მყოფადის მნიშვნელობა „იცოცხლებენ“ ზმნითაც ჩანს. ასეთივეა: ფარნუხში არ'ნა გახვიდე? სად **შეიყარნეთ** (=შეხვდებით)(უ.).

მკითხე და **გითხრა** (ბაზგ.); სობად ავანთე და აქ **ადუღდეს** და ჩაი **გიგიკეთო** (ბაზგ.); მე **წვედე**, ყანა **მოვრონიო** (ზ.).

ერთსა და იმავე წინადადებაში მყოფადი გადმოცემულია კავშირებითისა და ზმნისწინიანი აწმყოს ფორმით:

რომელცხა კარზე **მიხვიდე**, იქ დაგაყენებენ (ჩაქ.); **გითხრა**, ჰამა თქვენ ვერ **გვიგნებოთ** (კოკ.); საჭმელი გემშევიან, **მოგართვამთ**, ჭამეთ, ჩაი **გასვათ** (სვირ.).

დიალოგში:

– გაწვიმდეს'ნა.

– **დაგაყენებ!**

– მგონი **არ დამაყენო** (ხევწ.).

ვალ ზმნის აწმყოს ზმნისწინიან ფორმას აქვს აწმყოს მნიშვნელობა:

ჯვარისხვეი ეს არი, ეჰე, გზა **შემოვა** (=შემოდის) (ჩაქ.); ნაფეტვარი სადაა, იცი? ავერ გზა რომ **მოვა** (=მოდის) (დ.).

ასეთი ფორმები ზოგჯერ უდროო, ზოგადი აწმყოს მნიშვნელობით არის გამოყენებული:

ახლა დოხტრები არიან, იქ არევიან არ **წავა** (ჩაქ.); ზამთარში ზოგი **წავლენ** (ჩაქ.); ზათენ აღარვინ აღარ **წავლენ** (ჩაქ.); ზამთარში ბევრი თოვლი **მოვა** აქ (ჩაქ.); ხუთი ქილომეტრი **მივა** (ბაზგ.); ძალი საქმეზე **დავა** (=დადის) (ბაზგ.).

აწმყოს მნიშვნელობა აქვს I თურმეობითს:

ყველაფერს ჩვენ ვიქლით (+ვშერებოლით), ამა ახლა ველარ **გვიქნია** (ვშერებით)(ჩაქ.); დავბერდით, ველარ **გვიქნია** (ბაზგ.); ზოგსა ვსეირობოთ, ზოგი ვერ **გიგვიგნია** (უ.); ახლა უძაღლო ვერ **დავმდგარვარ** (=ვძღვებ) (ჩაქ.).

მყოფადის მნიშვნელობითაა ნახმარი აწმყო:

დღეს ვარ, ხვალ არ **ვარ** (ხევწ.); მღერობენ, ამ დეყეზე არ **მომავონდება** (შავშ.). შდრ. ახლა აღარ **მავონდება** ქი (უსტ.).

ბაღნებმა გურჯიჯა იგნებენ, ვერ **ილაპარიკებენ** (უ.).

2.3. ზმნისწინი. შავშური კილოს ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული თავისებურებაა წა- ზმნისწინის ხმარება მი-ს ნაცვლად:

მეც **წავდივარ**, წრეველ აქ ვიყავ (ზაქ.); არ ვდგები აქ, **წავდივარ** ხოჯისთან ესრთად (ბაზგ.); სამ წელიწადში ერთი თვე წინ **წადის** (მან.); ფეხდაფეხ **წადის**, ახლოა (წეთ.); თაზე **წადიოდა**, მემთვერე იყო (ხოს.); გასათოვლებელ დროში **წავდივართ** (ჩაქ.); თელი **წავდივართ** ისტამბულ (სვირ.); ჩიხორ აღარ **წავდივართ** (ნიოლ.); ისენი **წადიან** (უსტ.); ქალებიც **წადიან** (ბაზგ.); ზოგი რჩებიან, ზოგი **წადიან** (ხევწ.); ქალაქებში ვერ **წადიოდენ** (ჩიხ.).

ერთმანეთის გვერდითაა **წა-** და **მი-** ზმნისწინები: **მიდიხარ**, ვეღარ **წადიხარ** (ბაზ.).

წა- და **მი-** ზმნისწინი მნიშვნელობით უპირისპირდება **მო**’ს:

სიძე **წადის** და **მოდის** (მან); ხანდახან **წადის** და **მოდის** [ელექტრიკები], ზაფხულში იმდენი არ **წადის** (ჩაქ); ონ ბეშ გუნ **წადიან**, **მოდიან** (დ.).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ფუნქციით **წა** (<**წარ**) ზმნისწინი უტოლდება **მი**’ს. სწორედ ამით აიხსნება, რომ „ხშირად ეს ორი ზმნისწინი ერთმეორის შემცვლელად გამოდის” (ა. მარტიროსოვი 1953.:87).

წამო- მნიშვნელობით იგივეა, რაც **მო-**, რომლის ნაცვლადაც დიალექტში ნახმარია **წა-** და რომელსაც იგი კონტექსტში უპირისპირდება:

აქიდან **წადიან**, საღამოს **წამოდიან** (ბაზგ.); **წამოდიან** იქიდან (ბაზგ.).

მი- და **მო-** იშვიათად უპირისპირდებიან ერთმანეთს: ჰო, **მივდივართ**, **მოვდივართ** (ბაზგ.).

მა- ზმნისწინი **მო**’ს ნაცვლად ფართოდაა გავრცელებული შავშურში. ამ მონაცვლეობის საფუძველი ზოგჯერ ფონეტიკურია – ასიმილაცია: თუ **მო** ზმნისწინს მოსდევს **ა-** პრეფიქსი, მაშინ **ოა:** **მო-ა>მაა**; **გამო-ა>გამაა**; **ამო-ა>ამაა**; **ჩამო-ა>ჩამაა**...

მო-ა>მაა: ახლანდელეფს შენ ვერ **მაატყვილეფ** (ხევწ.); პატარამაც წრეველ

მაარჩინა ლიცე (ხევწ.); სოკო ბილა **მააქვან** (ბაზგ.); იმას მახასით

მააჭრიან (ბაზგ.); მაშინ ეს სუჩლი გახდებოდა, შენ **მააპარვიეო** (ჩაქ);

ხეს **მაახტები**, ახვალ (წეთ.); თუ გინდა, მაწონ შეატან, თუ გინდა,

თაფლ **მააწობ** (წეთ.).

გამო-ა>გამაა: იმ კეცებზე პურებ **გამააცხოვდენ** (უსტ.); რუსმა **გამაატყვილა**

აჭარლები (უ.); „**გამააქციე**” „**გამააბრუნე**”, ის თქმადა (მანხ.);

მაქინაიდან ნაღებ **გამაადენ** (ნიოლ.); ამას რაცხას **გამაატანებენ**

(შავშ.); **გამააჭრეინა** დოხტურს (მანხ.).

ამო-ა>ამაა: კაცები ძემეგზე **ამაასხა** (ჩაქ).

ჩამო-ა>ჩამაა: უნდათ **ჩამააგდონ**, ჰამა ვერ გააქანეს (მან).

გადამო>გადმო-ა>გადმაა: მე ვიტყვი, ჰამა თურქია ვიტყვი, ამან

გადმაატრიალოს (ა.); რუსმა **გადმააყარა** შექერი (უ.).

ეს მონაცვლეობა სხვა დიალექტებშიც ხდება, მაგრამ ისეთ ფორმებში, რომლებშიც **მო-** ზმნისწინს მოსდევს I და II ობიექტურ პირთა ნიშნები.

დამოწმებული მასალით ჩანს, რომ შავშურში **მო-** ზმნისწინი თითქმის ყოველთვის იცვლება ზმნის **ა-** პრეფიქსიან ფორმაში.

პირველ და მეორე ობიექტურ პირთა ფორმებშიც არის **მა-** ზმნისწინის მაგალითები შავშურში:

მამპარეს ძაღლი (ჩაქ); შენ ქი მე არ **მამყეები**... (მანხ.); იმან გამოთხარა, **გამამიყვანა** წყალი (ხევწ.); ყართოფად დავთესე, **ამამიყარეს** (ჩაქ); ღმერთმა გაცოცხლოს, კარგად **მაგარჩინოს** (სვირ.).

გაფართოებული ჩანს **გა-** ზმნისწინის ფუნქცია – იგი ხშირად სხვა ზმნისწინის ნაცვლად იხმარება:

გა- **შე**’ს ნაცვლად:

გავწუხდი იქაო, ისტამბულ, არ **გაწუხდე**, მოვალ (ნიოლ.); ესენი ჩემი თანიში არიან, არ **გააწუხო** ესენი-მეთქი (ზაქ); ბევრი არ’ნა **გააწუხო**, ეს **გავაწუხეთ** (ბაზგ.); იქილამ ქი გამოქცეულა, თურქებ **გუწუწუხებია** (უ.); არ **გაწუხდეთ** (ბაზგ.); საქმემ **გამაწუხა**, საქმემ მემერიო, ჩემი ბაბო იტყოდა (მანხ.); აქ **გავწუხდები**, ჩავალ შავშეთში (ჩაქ).

მონაცვლეობაა მიმდებარაშიც:

არ ვარ **გაწუხული** (ბაზგ.).

გა- და **ა**’ს ნაცვლად:

შენ – გაღმა, მე – გამოღმა, გულმა რავარ **გეისვენოსო** (ბაზგ.); ვეღარ **გემისვენია** (უ.); დასივდა ასე ბაყეები, ვეღარ **გევისვენე** (ბაზგ.).

გა- **მო**’ს ნაცვლად:

კვირის ჩხვერაზე **გატყვილდება** ქალი (წეთ.).

გა და/შე ზმნისწინების ნაცვლად:

გაგვირდი, ჩევდე'ნა იქა, ვუშველო (ნიოლ).

შე- ზმნისწინს ენაცვლება **შა**:-

ემინე აბლა, **შამოფ**, **შამოფ** (დ); ბევრი მოყრილობა იქნებოდა, **შამეხვევი** (<შემოხვევი) (დ); ჯინები არ მოვდენო, საბელ **შამაველებდენ** (წეთ); დადე [დოდოფალს] **შამეიყვანს** (ზ); დოდოფალ მოვთხოვო, **შაგვიკაზმენ** (ზ); მამამთილი **შამუა**, ადგე'ნა ფესზე (შავშ.); **შამოიდნენ** (<შემოვიდნენ) ქალები (უ).

ზოგი ზმნა უზმნისწინოდაა წყვეტილსა და მეორე კავშირებითში:

ბითუმ შავი'ნა **იცვა?** (ზაქ); გაწვიმდეს'ნა, არ **მატყვილო** (ბაზგ.); რა ზორი მაქ, პირი **ვიმყრალო** (ბაზგ.).

დიალოგში:

– არ გამომილო (=გადამილო) [სურათი]!

– **ილო**, **ილო**, ნენეჯან! (სვირ).

უზმნისწინოა საწყისიც:

არ არი ჯენნეთში ჰემდა **რიდება** (=მორიდება)(მან).

ფართოდ არის გავრცელებული **და**- ზმნისწინი მოქმედების ინტენსივობისა და ობიექტის სიმრავლის გამოსახატავად:

ახლა ლამაზი სახლები **დავაკეთეთ** (უსტ.); ძველათ სკიები (=სკებს) **დააკეთებდენ** (უსტ.); ყართოფ **დავთლით** (ბაზგ.); ემეები **დათაღეთ** და ჭამეთ (უსტ.); ბლიები **დახმა**, **დახმა** (ჩაქ); იმან ჭალა **დათიბა** (ხევწ.); თუ **დავთიბე** ჭალები, ვიქნები (ზ); ახლა ფენა **დაზენგილდენ** (უ); ჩვენ **დავზარდეთ** [ბავშვები], აკვანში გვიწევან (ბაზგ.); ჭურჭელი **დავრცხა** (ნიოლ.); ზოგი ზროხები'ნა **დავყიდო**, ვერ უარ, ვერა (ხევწ.); საქონელი **დავყიდე**, დავაცოტავე (ზაქ); აქ ბაღვები **დეიზდენ**, წევდენ (მანხ.); დუხელლი თანე დარჭი აწველი (ავვანილი) მყავსო და ბითევი **დეიზარდენო** (ბაზგ.); **დავახვევთ** ზარმას (უსტ.).

და- ზმნისწინის ეს ფუნქცია ჩანს მიმდებობაშიც:

პური'ნა ჩევსხა, **დაკეთებულია** სომუნები (უსტ.); ამ სოფლის რუები **დაკეთებულია** (უსტ.); გოგოები მყავს, აქ არიან **დათხოვილი** (უსტ.).

საიქეთო და სააქეთო რიგის ზმნისწინები უპირისპირდება ერთმანეთს ისეთ ზმნებში, რომელთა მნიშვნელობასთან მიმართულება არ არის დაკავშირებული:

გოგოს უნდა, **მომიპარეო**, ეტყვის (შავშ.); დიმინახა, **მიმიპარა**, კად ბიჭი იყო (ჩაქ); კაცმა **ამომიჩნია**, ის ჩვიდმეტისა იყო (ჩაქ); ჯამე დავასუფეთ, **მივხოცეთ**, **მოვხოცეთ** (უ); ქვას გუუქნეგ [ძროხას], ვერ დაწვევლი, ვერ **გამეიმეტებ** (ივ).

2.4. თემის ნიშნები.

ა.თემის ნიშნები დაერთვის სალიტერატურო ქართულის ზოგიერთ ათემატურ ზმნას:

ბან: სობას აანთობენ, **გააბანებენ** (=დაბანენ) ლამაზათ (სვირ); ორი თანე ხოჯა მოვლენ, **გამაბანებენ** (სვირ).

მღერ: ჩვენი მეზობელი კაცი **მღერობს** (ზაქ); გეცინებენ მეზობლები, რატომ **მღერობსო** (ხევწ.); ყოლთინ **მღერობს** (ბაზგ.); დუგუნში **მღერობენ** ბევრი (ბაზგ.).

იშვიათად გვხვდება **ი** მწკრივის ნიშნით აწმყოში: ქართულა არ **მღერის** (ბაზგ.).

ტან: მერე იშტე **შუუტანებენ** საჭმელ (შავშ.); საჭმელ მოგართმენ, **შემოგიტანებენ** (ბაზგ.); წრეველ ბირ ბუნულზე **ეიტანებენ** (ხევწ.);

იგულისხმება: თივის ფასი გაიზრდება, „აიწევა“ ერთნახევარჯერ.

ამ ჯგუფის (ათემატური) ზმნები ზოგჯერ ორი ვარიანტით – თემის ნიშნით და უნიშნოდ არის წარმოდგენილი:

ყვან: მერე **წეყვანდენ** დოდოფალ (შავშ.); დოდოფალ წყალზე **გეყვანდენ** (შავშ.); იმა **მეყვანდენ** ბაბოს სახში (ჩაქ); რძალ შიგან **შეყვანებენ** (უ); **შეყვანებენ** ოდაში დოდოფალ (შავშ.); ამისი ახლო ქალები

გამოიყვანებენ (შავშ.); მერე **წეყვანებენ** გოგოს (სვირ.); დოდოფალ რომ **მეიყვანებენ**, მაშინ იმდერებენ (ბაზგ.).

ხმარ: დუგუნში **იხმარენ** ყაფსაფე (იფხ.); თუ დეემართა ჩინეგი, საპონ არ **ვიხმარებდით**, პირპილ არ **ვიხმარებდით**, არ **მახმარებდენ** საპონ, არ **ვიხმარებდი** (წეთ.).

წერ: ამ ფუძის ზმნის ფორმები თითქმის მხოლოდ თემის ნიშნით (-ავ) იხმარება, უთემისნიშნოდ იშვიათი, თითო-ოროლა შეიძლება იყოს:

ნუსხას **დაწერენ**, ემედ **დაწერენ** (ბაზგ.); შენ ანთიკურ სიტყვებ ლაპარაკობ და იმა **ვწერო** (ბაზგ.); ცქვიტად **წერავთ**, მე მასე ვერ **დავწერავ** (ჩიხ.); შენ რას **წერავ** აქა? (ზაქ.); თურისტის საქმე ასეა, დეინახავ, **მოწერავ** (ზაქ.); ჩვენ თურქია **ვწერავთ** (უსტ.); ამას **წერავთ** და მემრე ქითაბი'ნა **დაწეროთ**? (ნიოლ.).

-ავ თემისნიშნისეული ვ საწყისშიც არის შენარჩუნებული:

დავჯექ დაზი **წერვაზე** (ზაქ.); **დაწერვას**, კითხვას იწავლიან (დ.); **წერვაზე** არიან (მანხ.).

ბ. პარალელური ფორმებით – თემის ნიშნითა და უნიშნოდ არის გავრცელებული ერთი და იმავე ფუძის ზმნებიც, რომლებიც სალიტერატურო ქართულში თემის ნიშანს დაირთავენ.

თეს: პრასას არ **ვთესავთ**, მაედანოზ ვთესავთ, ჭარხალას **დავთესავთ** (ზ);

ვთესავთ სიმინდ, ლობიოს (წეთ.); უსტამისურ სოფელში სიმინდ **თესენ**,

პურ **თესვენ** (უსტ.); **დათესვენ** და ამოვა (ჩაქ.); ერთ წელწად პურ

დავთესდით (უ.); სიმინ **დავთესთ** (უ.); აქ ყარაყირჩილს **დათესდენ**, ახლა

ალარ **დათესვენ** (უ.).

თიბ: მაგას დათესილი აქ და **თიბავს** (უ.); ტურუშად **თიბავს**, რაზე არ

ვთიბავთ? (ხევწ.); ეს დონჯაა, დათესავ, **მოთიბავ** (ხევწ.); სხვანი

გვითიბავს (ბაზგ.); სხვანი **თიბენ** (მან.); ბითევი **თიბენ** (ნიოლ.);

ჭალებში **თიბვენ** (ხევწ.); ვერ მიმიცლია, ყანას **ვთიბ** (სვირ.).

როგორც დამოწმებული მასალითაც ჩანს, ჭარბობს თემისნიშნიანი ფორმები.

კრ: ერთი ზურნას **უკრავს**, ერთი – დაულს (შავშ.); კაცი მიუზიყეს **უკრავს**

(ბაზგ.); ქედფში ჭიბონ **ვუკრავთ** (ხევწ.); მეჭმედად **უკრავდა** (ივ.); თქვენ

სოფელში ამას **უკრენ**? არ **უკრენ** აქ ამგვარ მუსიკას (უსტ.); გზაში

ჭიბონ **უკრენ** (შავშ.).

შეიძლება, ამ ზმნის მესამე პირის ფორმაში, მრავლობითში სხვა –ავ თემისნიშნიანთა მსგავსად შეეკუმშული იყოს (დაიკარგოს ვ) თემის ნიშანი: **უკრავენ>უკრვენ>უკრენ**.

გ. თემის ნიშანთა მონაცვლეობა.

ერთი და იმავე ფუძის ზმნა წარმოდგენილია სხვადასხვა თემის ნიშნით:

კიდ: ზრუგზე **ვეკიდებდით**, ამევტანდით (უსტ.); ძიმე საქმეს არ ასაქმებდენ,

არ **მოჰკიდებდენ** (ბაზგ.); კურჩხელას **უკიდებენ** აკვანზე (ბაზგ.);

მოიკიდებ, წედებ, მეტან (უ.).

ზრუგმა დაგვაბერა, **ედკიდავ**, გაწორდები (ხევწ.); ზრუგზე **მეიკიდავ**

ფომფას (ჩაქ.); სიმინდ ოდებში ვინახავთ, **დაგვიკიდავთ** (ზ.);

კეთ: ფესტილ გავაკეთებთ ტყიმლიდან, სხლიდან ბექმეზ **გავაკეთავთ** (დაბ.).

რთ: წყალ დაასხამ, რეჰანი **ურთავ**, მოხარშავ (სვირ.); ხახვ **ურთობ** (ბაზგ.);

ზოგი **ურთობენ** (ბაზგ.).

ნთ: ციციინათელას ეტყვიან, ჰო, ღამით რომ **ანთებს** (ბაზგ.); იმას

ციციინათელას ვეტყვით, ღამით **ანთობს** (ჩაქ.); სობას **აანთობენ**,

გააბანებენ ლამაზათ (ბაზგ.).

ლოც: ვინცხას ლოცვა უნდა, **ილოცავს** (ივ.); თურქეთი კად არი, აქ გინდა

ილოცავ, გინდა – არა (ივ.); ვინცხა **ლოცულობს**, ადექით (ივ.); კაცები

ჯამეში არიან, **ილოცებენ** (შოლტ.).

ვლ: ერთ ხელზე ხელსაც **წაავლებს** (სვირ.); ქალები ამას **წაავლობენ** (შავშ.).

სმ: [ძიგარას] მე **ვსვამ** (იფხ.); ჩვენ [ჩაის] ბევრ **ვსვამთ** (ზაქ.); ჩაის **სვავ**? (ხობ.).

რთმ: თანამედროვე ქართულის მივართმევ –**ევ**, -ავ თემის ნიშნებთან ერთად

–ამ ნიშნითაც (არქაული ფორმით) გვხვდება.

-ვე: ერთ-ორ დღე მონჯას **მიართმევ**, მერე თივას **მიართმევ** (უ.); თივა შევეარე, ჩომას **მივართმევლით** (კოკ.); ზამთარში ჩომას **მივართმევ** (ხევწ.).

-ავ: ზოგ **მივართვავეთ** საქონელ (ზ.); მოსაფირები მოვლენ, იმათ **მივართვავეთ** (ხოს.).

-ამ: ერთანე ბაჯალას მოქცემთ, ერთ **ავართვამთ** ყარშიბერი (ჩაქ.); მოვტანთ და მერე **მივართუმთ** ჩომას (ჩაქ.).

მეორე მაგალითში –ამ ნიშნიანი ფორმა შეკუმშულია (**მივართვამთ** > **მივართვამთ**).

სხვადასხვა ზმნებში თემის ნიშანთა მონაცვლეობის მაგალითებია:

[კაკაალ] არ იჯება, ვერ **ასწრობს** ზამთარ (ბაზგ.); გაღმა სერში ქათამი, დამჟღარა და **კაკანოფს**, მე შენ რომ დიგინახავ, გულში **გამაკანკალოფს** (ხოს.);

აავსობ ბედელ (ჩაქ.); კარზე ქი **აავსობთ**, ყოლადა (უსტ.); აკვანს **გაარწობ** (ბაზგ.); **შეპირობია** წასლიხან, ყურბანი'და დავკლაო, **შეპირებია** (უ.).

წინა ოდაში **იძინევედა** (ბაზგ.).

„ჩხვერა“ ფუძის ზმნაში მონაცვლეობს უნიშნო და –ავ თემისნიშნიანი წარმოება:

იტყოდენ, რუსები მოდიანო, მუცელში **დამჩხვერდა**, ამტკივდებოდა (სვირ.); მაყარი დასხდებიან, **დამჩხვერავენ**, რაცხა უნდათ იგზე, ავთ გაგხდითო (შავშ.).

სხვადასხვა ნიშნით გვხვდება –ი სუფიქსიანი ზმნები, რომელთაც ეს ი გადაჰყვებათ სავრცობიან მწკრივებში. ასეთ ზმნებს გ. გოგოლაშვილი უწოდებს „ი ელემენტური ზმნებს“. მკვლევარს ი მიაჩნია არა თემის, არამედ აწმყოს მწკრივის ნიშნად, ხოლო სავრცობიან მწკრივებში –იდ მაწარმოებლის ნაწილად (გ. გოგოლაშვილი 2010.:318).

დავიმოწმებთ რამდენიმეს ამ ზმნათაგან, რომლებიც შავშურში გვხვდება უნიშნოდ, **-ი, -ავ, -ებ** სუფიქსებით:

უსუფიქსოდ:

ძროხას **მოვწვევლთ** (წეთ.); **მოწვევლენ**, ძეს **დაასხმენ** (ბაზგ.).

საცხა ქი ლამაზ **იპოვს**, ის ითხვოს (ხევწ.); ვერ **იპოვ** იმა (ზ.); **იპოვ** ადგილ? (ნაფ.); თავდაღმა ჩუყყევით, იქ იმფო **იპოვთ** (ზ.).

ასწონენ ყანთარით (ა.).

ანას **მიძახს** (მანხ.); ამ ალაგს ქილისეს **ვუძახთ** (ხევწ.).

ი სუფიქსით:

დაწერვას, კითხვას **იწავლიან** (დ.); **იწავლიან** და ვერ დუულაპარაკიან (უსტ.); იქ **გაწავლიან** გენჯები (დ.); ბადვები არ **დეიწავლიან** (უ.); რა ვიცი, თელ **მაწავლიდა** (ზაქ.); წყაროს **აწავლიდენ** (შავშ.);

ამა დირედ **ვუძახით** (მან.); ზემოთ არი ერთი სოფელი, გამეშეთ **ვუძახით** (ბაზგ.); იმა ლაზებ **უძახით** (ხევწ.); აქ რაცხა ემეს **უძახიან** (დ.); ბიჭის მაყრები გოგოს მაყრებსა „გოდ-რიან“ **უძახიან** (შავშ.); ბორელ-მორელ **ყიდი**... უსტა მყავს და ის **ყიდის** (სვირ.); ჩომას **გჰყიდი**, ჰო (ჩაქ.); **ყიდის** ჩასაცმელებს (ზაქ.); ჭრელსაც ვქსოვ, არ **გჰყიდი**, არა, ისე ვაძლევე (მანხ.); [თაფლს] **ყიდიით**, ჭვამთ სახში, **ყიდიით** (ბაზგ.).

სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით –ი უწყვეტელშიც გადაჰყვებათ:

ალაბალექ დიდ ვენახ **უძახიდენ** (ბაზგ.);

... მაშინ მე **დამაბრალიდენ** (ჩაქ.);

მიქონდენ, **ყიდიდენ** (მან.); ბევრი გადმოვიდენ, **ყიდიდენ** (მან.); თაფლი მააქდენ, **ყიდიდენ** (უ.).

–ავ სუფიქსით:

გწვევლავე, ჰო, აბა რად იქნება (ზენ.); ქვას **აწონავდენ** (წეთ.); შეშის კროჭში **ჩავტენავთ** (ჩაქ.); ნადებ აბა ვერ **იყიდავთ?** (ნაფ.); აქ ვერ **იყიდავ** მაგა (ნიოლ.); ზიდვენ, **იყიდავ** (ბაზგ.); მივცემ ფარას, მოვათიბიებ, **გავყიდავ** (ხევწ.).

–ებ სუფიქსით:

კაცხა რაცხაზე ქი ჭკვა უჭრის, იმას **ასწავლებენ** (მან.); **იყიდებ** ფარაზე (ჩაქ.).

გვარი

2.5. გვარი.

ა. შავშურში ერთმანეთს ენაცვლება ვნებითი გვარის ფორმათა პრეფიქსული და სუფიქსური წარმოება.

მოსალოდნელი დ'ონიანი ვნებითი შეცვლილია ე'ნიანით:

წყალსიმერში **გევეთხვე** (წეთ.); თქვენთან'ნა **გევეთხვო** (ხევწ.); ხატიჯე ხალაჲ აქ **გეეთხვა** (მან.); იმის ბავალა აქ **გამეეთხვა** (მანხ.); ბათომიდან ერთი ქალი **გამიეთხვა** აქა, კაცი მუჟკდა, ხამდა **გეეთხვა** (ჩაქ).

თითო-ოროლა დ'ონიანი ვნებითის ფორმაც გვხვდება:

იმან იკითხა, არ **გათხოვდა** (უ.); ათ და ხუთი წლის **გათხოვდა** (კოკ.).

ე'ნიანია მშია ზმნის ვნებითი:

ზარმელი მევიდა, **მეგემშევიან** (ზაქ.); საჭმელი **გემშევათ**, მოგართვამთ (სვირ.); ამათ **მეემშეოდენ** (დ.); ვინცხას **მეემშევა**, ჭამოს (ჩაქ.); **შეგემშია?** მე არ მშია, ჩორბა ამოვჭამე (ბაზგ.).

ე'ნიანია ამ ზმნის ვნებითი ძველ ქართულშიც, გვხვდება „მხოლოდ ნამყო წყვეტილის ფორმით“ (ივ. ქავთარაძე 1954.:75).

ე'ნიანია ასევე **დასახლების** (დაქორწინების, ცოლის შერთვის) შესაბამისი ზმნა:

ეს არ **ესახლება**, ფარა უნდა, კად გოგო ნახოს (ჩიხ.); არ **ეთხვებიან**, ბიჭებიც არ **ესახლებიან** (უსტ.); თექრენ ქი **დეესახლება** (ბ.); ჩემ ბაბოჲ **დეესახლა** (ბ.); აქ დევბადე, **დეესახლე** (უსტ.).

იშვიათად დ'ონიანი წარმოებაც დასტურდება:

მე ბადვი არ მეყოლა და **დასახლდა** (ბაზგ.); ბაბოჲ ორჯერ **დასახლდა** (ბაზგ.); ახლა ჩვენი ღარჭები **დასახლდებიან** (ბაზგ.).

„გაუხარდა“ ფორმის ნაცვლად არის „გეეხარა“:

ძალიან **გეეხარა** (ნიოლ.).

გვხვდება საპირისპირო შემთხვევაც: მოსალოდნელ ე'ნიანს ენაცვლება დ'ონიანი:

დღევანდელი ჭკვა ხვალ **მოგწონდება** (=მოგეწონება)?(ბაზგ.); რაფერ **მოგწონდება** ინსან(ს) ჯენნეთი? (უსტ.); **მოგაწონდება** სოფელი?

ელჩი სამჯელ მოვიდენ, **მოვაწონდი** (წეთ.).

შდრ. თუ არ **მოგეწონებიან** (=მოგეწონებათ), თუ არ გეამა, არ ჭამოთ (შავშ.).

„შეეფერება“ ფორმის შესატყვისი დ'ონიანია:

ჩვენი გურჯიჯა დაზ არ **ფერდება**, თქვენი - **ფერდება** (ზაქ.).

მოსალოდნელი ი'ნიანის ნაცვლად არის დ'ონიანი:

დრო მუა, რომ **ჩაფარდება** (დაიფარება, ჩაიფარება) აქაგრობა, გათოვლდება (ბაზგ.).

ბ. ე პრეფიქსიანია საშუალო გვარის შემავსებელი ფორმები:

ერთი ორითმენი **ეხლენ** (ბაზგ.).

სამი გენჯი ბიჭები იყვენ, ორი ქალი **ახლდა** (ბაზგ.).

ასეთი ფორმა ამ ზმნისა იშვიათია.

ჩქარობ ზმნას დანაკლის ფორმას უვსებს ე'ნიანი ვნებითი:

გეეჩქარე. ცქვიტად წადი (ნიოლ.). მოსალოდნელი იყო: **იჩქარე**, **აჩქარდი**.

ე'ნიანი ვნებითით ვვსება ფორმები **ცურავს**, **ბანაობს**, **უყურებს** ზმნებს:

ჩემი ღარჭი დენიზში მოხარშულა, **ეცურებოდა**, **ებანებოდა** (სვირ.).

ეცურებოდა, **ებანებოდა** იგივეა, რაც **ცურავდა**, **ბანაობდა**.

გვხვდება დ'ონიანი წარმოებაც:

ნიხბით მიაწვები, **გაცურდება** (ნიოლ.); გქელი ემე არი-ა? [გველი] **გაცურდება** (ჩაქ.); ხელგაშლილად **გასამდი** (უსტ.).

ხელგაშლილად ცეკვის სახეა; „გასამდი“ „ისამე“ ზმნის პარალელური ფორმაა.

„**გუყურებთ**“ ზმნის პარალელურია „**გეყურებით**“:

ჩვენ თაზე ამოვდივართ და **გეყურებით** (მანხ.).

გ. ვნებითის ნიჟანსები. ვნებითი გვარის პრეფიქსური წარმოების ზოგიერთი ფორმა შესაძლებლობას გადმოგვცემს:

ყართოფი ორი ჯინსი არი: გარედან წითელი, ი არ **იჭმის**, წარეა (იგ); ღორის ჳორც ჳამენ? ის **იჭმის**? სული უღის (ზაქ).

ღასტურღება –**ებ** სუფიქსიანი წარმოებაც:

ინსნის ხორცი არ **იჭმება**, მეზერში რა'ნა წედღო?(ზაქ).

შესაძლებლობას უნღა გაღმოსცემღეს **იპონება** ჳმნა შემღევ წინაღაღებაში: ეგ თაზე **იპონება** (უ). იგუღისხმება: **მთაში შესაძლებელია პონა**.

მიწნევის ვნებითია „**გვეწეთინება**“, „**გვეწნელება**“: ცოტა გაგნებისან **გვეწეთინება** (უ).

2.6. ჳმნის ფორმათა წარმოება.

ა. –**ავ** და –**ამ** თემისნიშნიან ჳმნებს აწმყოს მესამე პირში მრავლობით რიცხვში თემის ნიშანი ეკუმშებათ ისევე, როგორც ძველ ქართულში:

–**ავ**: არ **შეინახვენ** ჩენი ხაღხი (ხეგწ.); ახღა აკვანში აღარ აწვენენ,

მოკოჭვენ და მიღებენ (ზ.); **მოხარშვენ** ძემი, **გაწურვენ**, გერმელია

(ბაზგ.); ვაღას **გაღაბურვენ** (ზ.); თივას არაბით **ჩაწიკვენ** (ღას.);

ტყეებიღამ შიშას **ზიღვენ** (წეთ.); ჳაღები მიცემული მაქ, **თიბვენ** (ბაზგ.);

გაღმოღიან, **გაქუცვენ** და წაღიან (იფზ.); **იღოცვენ**, **ღამღოცვენ** (უ);

ეეშიღ ხახვ **ღათესვენ** (ბაზგ.); სიზმარ რას ეტყვით თქვენ, ღამით ქი

ნახვენ, სიზმარ? (ზაქ.); ეზან **იკითხვენ** (ზაქ).

–**ამ**: ჩაის **სმენ** (უსტ.); ღღესაც კიღევ სტუმრებსა **ღუუღემენ** (სვირ.); თოკს

წაგაბმენ (მანხ.); ... ცხვარ მოითხოვენ, ყურზე რაცხას **მოაბმენ** (შავშ).

–**ამ** თემისნიშნიანია ახალი ქართუღის **მირთმევა**. მასშიც იკუმშება თემის ნიშანი –**ამ** (ძველ ქართულში გექონღა **მიართუამს**):

ჩომას მიართუმენ (ღას.).

ხშირად აქ იკარგება **უ** ხმოვანიც:

კრეღი გამოწო, იმასაც ემე **გართმენ** (ბაზგ.); აქ **მიართმენ**, ღააყენებენ (ზაქ); ფარას **აგართმენ** (ზ.); საჭმელ **მოგართმენ** (შავშ.); ახღა ბაჳალია, ბევრ ფარას **ართმენ** (ბაზგ.).

იშვიათად ეს წესი არ ირღვევა:

ჩემ ბიჭებმა თქვეს, იმას **იკითხავენ** თიფღისშიო (უ); გურჯულს არ **ღაჳკარგავენ** (მანხ.); **ღანხვერავენ** რაცხა უნღა აგზე, ავათ გავხღითო (შავშ).

ბ. –**ავ** და –**ამ** თემისნიშნიან ჳმნებს ძველი ქართუღისა და ჳოგიერთი სხვა ღიაღექტის მსგავსად შავშურშიც ეცვლებათ თემის ნიშნის ხმოვანი: **აუ** უწყვეტღის I და II პირებში. ამ წესს მიჳყვება სხვა ჳგუფის ჳმნებიც, რომღებიც –**ავ** თემის ნიშანს ღაირთავენ: **ვწერ**, **ყვიღი**, **ეწვეღი**...

უწყვეტელი, I პირი:

იგზე **ვფაჭვეღი** (სვირ.); მის აღაგებსაც ჩვენ ვხმარობღით, ჩვენ **ვთიბვეღით** (ბაზგ.); ბათუმიღან **ეწიკვეღით** ძვეღათ სიმიწღ, მარიღ (ზ.); კაღოს **ვღეწვეღით** (ბაზგ.); ჳურებ **ვაკუთებღით**, **ყვიღვეღით** (ზაქ).

ძველ ქართულში უწყვეტღის მესამე პირსა და სხვა სავრცობიან მწკრივებში –**ევეღ**, –**ემღ** შეცვღიღია **ვიღ**, **მიღ** წარმოებით. შავშურში ეს წესი ღაცული არ არის: ყვეღგან ე ხმოვნიანი წარმოება –**ევეღ**, –**ემღ** ღასტურღება.

მეორე პირის ფორმები არ ღასტურღება, „რაც იმით აიხსნება, რომ წარსული ღროის გაომოხატვეღი მეორე პირის ფორმები საერთოდ ნაკლებად იხმარება“ (ღ. კიენაძე 1961.:261).

უწყვეტელი, III პირი:

სიმიწღ **ეჭყვეღა** (ზაქ.); უწინ ღელეში [წისქვიღი] წყღით **ბრუნვეღა** (ზაქ.); პაწაღ ღარჭიცი გვიან მეღა, **სიწვეღა** ოღაში (ბაზგ.); ისიც ასე **სწერვეღა** (მანხ.); პურ **თესვეღენ**, სიმიწღ **თესვეღენ** (უსტ.).

უწყვეტელში –**ამ** თემის ნიშნის ხმოვანი არ იცვლება. –**ამ** თემის ნიშანი ცვღიღებას არ განიცღის აგრეთვე თუშურში (თ. უთურგაიძე 1960.:47; ბ. ჳორბენაძე 1989.:258).

მყოფადის ხოლმეობითი:

-**ავ**: სოფელში რომ იყო **დვენახველი** (ბაზგ.); გულში არ გიმიარდა, **გნახველით** (მანხ.); მცოდნოდა, **დიოიწერეველი** (უსტ.); ღარჭები ყართოფ **მუუპარეველით** (<მოვუპარეველით) (მან.); ზველათ **დავთესველით** ხორბალ (ჩიხ.); ფურნეში **გამოვწვევლით** (დას.); ერთი დედე მოვდოდა, **იკითხველა** (ბაზგ.); თუ დაკარგე, **მოგაკლევდა** (ხაქ.); ბიჭის თერეფი, თუ უნდა, იმას **დაპკლევდა** იგზე (შავშ.); წვედოდენ და ძველათ **დახოცევედენ** (უსტ.); იწვებოდენ, იწვებოდენ, სიზმარ **ნახვედენ** (ჩაქ.); ამას **დვენახვედენ** (შავშ.); ძროხას გამოუშვებდენ, **მოწველევედენ** (უ).

-**ამ**: აქ კარებ **ჩავაბემლით** (ნიოლ.); ზეინსაც მოჩოშტას **დავდგემლით** (ჩაქ.); მახეს **მუუდგემლით**, ჩავარდებოდა (ჩიხ.); მოჩოშტა არი? იმას **გადმუაცვემლით** თავზე, წვიმამ არ ჩოუაროსო (ჩაქ.); **ჩავსხემლით**, **ჩავსხემლით** გვერვე (ბაზგ.); ვინცხას რაცხა უქნია... **მოსახემდენ** ჩვენთან: სიმღერას **გამოუთქვემდენ** იმა(ს) (ჩაქ.); ღარჭი მეყოლაო, ემე **იხემდენ** (წეთ.); წითელად არი, იმა რას **უხემდენ?** ილაჯ **უხემდენ** (წეთ.).

იშვიათად ზემოთ აღნიშნულ ფორმებში დაცულია -**ავ**, -**ამ** თემის ნიშნები ხმოვაშეუცვლელად:

ღორ, დათვ, მკელ **ვკლავლით** (ჩაქ.); ჩიტის სკინტ **გუულესავლით** (წეთ.); მოცლილ კბილსაც **შვენახავლით** (წეთ.);

ძველათ ბუხარი იყო... ლობიოს **მუუდგამლით** (ჩაქ.); ძროხას ძველათ კალით **დავაბამლით** (ნიოლ.).

-**ვიდ**, -**მიდ** წარმოების ორიოდე შემთხვევაც შეგვხვდა:

[ძროხა რძეს] ჩამოჰყრიდა, ხბოსთვინაც **შეინახვიდა** (მანხ.); ჭიაზე ყაბლი გულ **მიართმიდენ** (წეთ.).

შავშური კილო განსხვავდება აჭარულისაგან, რომელშიც ამ ზმნათა ორმაგი პარადიგმა ფართოდ გავრცელებული: სამივე პირში -**ვედ**, -**ემდ** და **ვიდ**, **მიდ** წარმოება. ეს ვარიანტები სხვადასხვა დიალექტური წრის კუთვნილებადაა მიჩნეული. „ძველ ქართულში ნამყოფ უსრულში შერწყმული უნდა იყოს ორი ვარიანტი... სათანადო დიალექტებში ყველა პირში გვექნებოდა -**ვედ** ვარიანტიცა და **გი-დ** ვარიანტიც” (არნ. ჩიქობავა 1964.:129). ამავე აზრისაა ზ. სარჯველაძე (ზ. სარჯველაძე 1984.:448). სამივე პირში **ვე-დ**, **ემ-დ** წარმოება ჩანს გვიანი პერიოდის ძეგლებში. ზ. სარჯველაძის აზრით, სამივე პირში **ვე-დ**, **ემ-დ** წარმოება სამწერლობო ქართულში დიალექტიზმს წარმოადგენს (ზ. სარჯველაძე 1980.:22). -**ავ**, -**ამ** სუფიქსები მეორეულადაა მიჩნეული. „-**ვე** სუფიქსი უნდა გვექნოდა იქ, სადაც -**ავ** სუფიქსი გვაქვს” (არნ. ჩიქობავა 1964.:128). ამ მხრივ საგულისხმოა აჭარული და ზემოიმერული, რომლებშიც -**ვე** სუფიქსი აწმყოს ფორმებშია დადასტურებული (მ. ცინცაძე, მ. ფაღავა 1998.:70; ქ. ძოწინიძე 1952.:89).

როგორც აღნიშნეთ, შავშურში, ჩვენი მასალის მიხედვით, არ იკვეთება ამ ზმნათა უღლების ორი პარადიგმა საერცობიან მწკრივებში - გავრცელებულია -**ვედ**, -**ემდ** წარმოება.

აწმყოშიც ორიოდე ფორმა -**ვე**, -**ემ** წარმოებისა ინდივიდუალური ჩანს:

ღობიოს არგვენ, მე არ **ვარგევ** (ბაზგ.); ზოგი **სვემს**, ზოგი არა, მე არ ვსვამ (ივ.).

გ. -**ავ**, -**ამ** თემისნიშნისანი მოქმედებითი გვარის ზმნების შესაბამისი ვნებითის ფორმებს მოსალოდნელი -ებ ნიშნის ნაცვლად აქვთ მოქმედებითის ფორმათაგან გადაყოლილი -**ავ**, -**ამ** ნიშნები, ოღონდ შეკუმშული სახით:

შენ რომ მომაგონდები, **გვეხრუკვი** და **გველანძვი** (ბაზგ.); მალე მოდთ, თვარა **გვებუკვი** (ა.); იქ რა **იმაღვის?** (ბაზგ.); კარგა **მეხარშვის** (იფხ.); ეს გუგუშია, ფახირია, **მოიკალვის**, ლამაზი არაა (უ).

შდრ. ლამაზათ **მეფუშვის**, მარილს შეაყრიან, **მეხრაკება** (მანხ.).

ჩვენ მუსლიმანობაში შედთან არ **დვინახვის** (მანხ.);

მექტები **დვიფანტვის** (წეთ.);

აქედან **ჩეებარგვით**, მოგკრეფავთ (უსტ.); თელი **ეებარგვის** თავზე (სვირ.);

ის მღერაში არ **მედაღვის** (უსტ.); არ **მედაღვის**, ძალიანია (ხევწ.); მემრე ის თერეფი **გამეიწურვის**... ჩეიწურვის თემტში (უ);

ახსანამაზზე ბზე ჩეიწურვის (ჩაქ); ზოგი იმ ღამეს დეიფანტვიან (ზ.); აქედან ჩეიბარგვიან დაბას (უსტ.);

მარიობაზე თაზე წეიბარგვიან (სვირ).

ამ ზმნებს მიჰყვება ეყოლვის:

ერთ კაც ეყოლვის შვიდასი ჰური (მან.); უშვილოს შვილი ეყოლვის (უსტ.).

-ამ თემისნიშნიანი ფორმები იშვიათია:

ჩვენი ლაპარაკი თქვენსას არ ედგმის (ზ.).

ოდ საგრცობის წინ გ იკარგება, გვაქვს უთემისნიშნო ფორმა:

ტყეში დევიმალოდით, გვეშინოდა (უ.).

ასეთი ფორმები ძველი ქართულისათვის არის დამახასიათებელი:

ივლტოდა და იმალოდა ადგილითი-ადგილად (სინ.267,9); ვირემდის ერთმანერთსა არა შეეხმით (ამირ.114); დევთა და ვეშაპთა ვერ შეეხმით (რუსუდ.31,20).

დ. ხმოვანმონაცვლე ზმნები. I სერიის ფორმებს ხმოვანმონაცვლე ზმნები აწარმოებენ ე და ი გახმოვანებითა და თემის ნიშნით.

ე ხმოვნიანები დაირთავენ –ავ თემის ნიშანს:

სოკო? მე ვკრეფავ, აქედან ჩეებარგვით, მოვკრეფავ (უსტ.); პურსაც მოვზელავთ (უსტ.); მოვზელავთ, გაგადებთ (უსტ.); დავხრესავთ იმა, შეში გობებში (ჩაქ).

-ავ თემისნიშნიანია ი ხმოვნიანი – II სერიის თემაზე დაყრდნობილი ფორმები I სერიაში:

ტოტები შორ არი და ვერ მოწყვიტავ (დ.); მიხვალ და მეიტან და მოწყვიტავ (უსტ.); რამაზანს იჭირავთ? (უსტ.); დელეებში დეიჭირავ საჩმათ (ხოხ.); ზამთარში ფენა თფილათ იჭირავს ისა (უ.);

ჯონჯოლოს გაგაკეთებთ, მოვხრისავთ (მაჩხ.);

დეიჭირავენ, გამოგზანიან (ბაზგ.); მალე მოთიბენ, ფარას დეიჭირავენ (უსტ.); რემეზანს დეეჭირავთ (ზ.); სობასთან დაუდებოდა და ფეხებ ასე მიაჭირავდა სობას (ბაზგ.);

ნაღებ ხელში დეეჭირეველით (უსტ.); კვერცხ დეეჭირეველით (ჩიხ.); მაშინ სიხი იყო და გეიჭირეველენ (ზ.).

II სერიის ფუძეს –ებ თემის ნიშანი დაერთვის:

ნაღები დინდება, ძალი ცალკე გვერჩევა (ჩაქ); მომდინდება ცრემლები (უ.); რუებ გუუშვებ, დადინდება წყალი (ზ.); საბრი ყაბი ეფსობა, გადმოდინდება (ხევწ.).

ე ხმოვნიანი ფუძეები უთემისნიშნოა:

გობში, ლაილონის გობში მოვზელთ (ბაზგ.); უწინ შეში(ს) გობში ვზელდით (ბაზგ.); გავახმობ, დავხრეს (ჩაქ); ამას დახრეს (ჩაქ);

მოვზელ, მარილ დავაყრი, მოვზელ (ბაზგ.);

სისხლი იდენს, არ დადგება (ბაზგ.); ძროხას მოვწველთ, მემრე მაქინაში გაგადენთ (წეთ.); მაქინაში მივკცემდით, გაგადენდით, ნაღებ ერთ თერეფში ჩავადენდით (მაჩხ.); მაქინას გამოვადენთ, ავადუღებ კარგა ძეს (ზენ.).

ჭარბობს მეორე სერიის თემისნიშნიანი ფორმები.

ამ ფორმების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა. მკვლევართა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ვზილაგ ტიპის ფორმებისათვის ამოსავალია მეორე სერიის ფუძე, რომელსაც დაერთვის თემის ნიშნები: ვზელ>ვზილე>ვზილაგ.

მეორე ვარაუდით, ეს ფორმები „მიღებული უნდა იყოს –ავ ფორმანტის დართვით პირველი სერიის ფუძეზე, ეწინაზე, მონაცვლეობის საფუძველი ფონეტიკურია (ი ე მონაცვლეობა ფონეტიკური რელუქციის შედეგია). აწმყოს წრის მწკრივებში იწინაი ფორმები რელუქციის საფეხურს წარმოადგენენ” (ლ. ნოზაძე 1998.:225).

ბ. გოგოლაშვილის აზრით, აღნიშნულ ფორმებში ორსაფეხურიანი პროცესია: პირველ ეტაპზე ე საფეხურიან ფუძეს დაერთვის თემის ნიშანი: დრეკს>დრეკავს>დრიკა (ბ. გოგოლაშვილი 2010.:329).

ე. ხმოვანპრეფიქსიან და უპრეფიქსო ფორმათა მონაცვლეობა.

შავშურში (საერთოდ სამხრულ კილოებში) ერთმანეთს ენაცვლება ზმნის ხმოვან-თავსართიანი (ა-) და უპრეფიქსო ფორმები ერთი და იმავე ფუძის ზმნისა.

ხმოვანთავსართიანი ფორმები:

ენა არ იხმარე, არ იხმარე, **და-მ-ა-ვიწყდა** (ბაზგ.); **და-მ-ა-ვიწყდა**, გეარა, წევდა (იფხ.); თელი **და-მ-ა-ვიწყდა** ისტამბულ (სვირ); ახლა ყოლა ადგილიდამ თითო კაცი **გა-ფ-ა-გ-ზანოთ** (უ.); რომ დავადებ, ბაბოდს სახში **გა-ფ-ა-გ-ზანი** (უ.); ელჩი სამჯერ მოვიდენ, **მო-ფ-ა-წონდი** (წეთ.); ამ დეყეზე არ **მო-მ-ა-გონდება** (შავშ.); შენ რომ **მო-მ-ა-გონდები** (უ.); ლობია არგვენ, მე არ **ფ-ა-რგავ** (ხოს.); დოდოფალ მოვთხოვთ... შავგიკაზმენ, ვალას **გადა-ა-ბურვენ** (ზ.).

უპრეფიქსო ფორმები.

კარდალა **დამვიწყდა** (მაჩხ.); სათლედიდან მოვდივართ, **დამვიწყდა** (ხევწ.); ავთ ვარ და თელი **დამვიწყდა** (ჯვარ.); ჩუუბარგე, ლამაზათ **გაგზანე**... მე **გაგზანე-მეთქი** (ხევწ.); მაჭახიდან ელჩი **გამოგზანეს** (ბაზგ.); თოკ წაგაბმენ, სიბირიას **გაგზანიან** (მაჩხ.); თითო-თითოს **ჩავხყრით**, მივაყრით მიწას (უ.მ.); იმ დეყე **მომგონდება**, ახლა დამავიწყდება (ჯვარ.); დილაზე ავეყრი, სადამოხე **დავბურავ** (მაჩხ.); ინსანი ხანდახან ვერ **დაკვირდები** (ხევწ.); ეთესებოდენ [ლახანა] **დაკვირდებოდი** ამოვლად (უსტ.).

უპრეფიქსო ფორმები გვხვდება ძველი და გვიანი პერიოდის ძეგლებში:

გულსა ჩემსა შთამივარდა და არასადა **დამვიწყდება** გონებასა (რიფს. 176,19. ვიმოწმებთ ილ. აბულადის ლექსიკონის მიხედვით); **გაგზანენ** ყოვლნი ლაშქარნი (ვეფხ. 461); მე არარას **დავჭკურდი** სენსა (ბალავ. 94,30).

გ. ი ხმოვნიან და უხმოვნო ფორმათა მონაცვლეობა წყვეტილის პირველსა და მეორე პირებში.

წყვეტილის მწკრივის (ზოგჯერ ბრძანებითის მნიშვნელობით მეორე პირში) პირველსა და მეორე პირების მხოლოდობით რიცხვში ერთმანეთს ენაცვლება ხმოვნიანი და უხმოვნო ფორმები ერთნაირი საყრდენი მორფემის მქონე ზმნებში.. ჭარბობს უხმოვნო.

I პირი:

წამოვდე ფეხი, ამეყენიე (უსტ.); დავაქუხე, **მოკაალ** (ხევწ.); ორთად კაც არ **მუუჯექ** (ბაზგ.); **დაჯექ** ჩემ ბაბოსთან (ბაზგ.); აღმართში **მივადექ**, დადგაო (ჩაქ.); იქ არ **გითხარ**, იმ სახშიაო? (ჩაქ.); მუხტრის სახლი მკითხეს და **ვუთხარ** (უ.); ვერ **მოვასწარ** (ჩაქ.); წასულან ბევრი ხანია, მე ვერ **მევესწარ** (კოკ.); მე ეს ქალი ვერ **ვიცან** (ხევწ.).

II პირი:

მოლი ბევრია, **მოჭარ**, მიართვი ჩომას (ზ.); აიშე, **იცან** (ხევწ.); ისტა დაღში მოხარშე, ისტა ცეცხლში **ჩადე** (ხოს.); ქალადლი **დადე** იქა (მაჩხ.); გზაში **დადექ**, არ წამევედეს (ხევწ.); ზედან **დაჯექ**, არ არის საშიში (უ.); სახში **დაჯექ**, არ წახვიდე (ხევწ.); აჰა-და, **მოკაალ** (ბაზგ.).

ხმოვნიანი ფორმები ცოტაა:

I პირი:

ავდექი და წამუელ (უსტ.); ადრე **ავდექი** (უ.); რაცხა ვიცოდი, **გითხარი** (ბაზგ.); მე რომ **ვუთხარი** (ბაზგ.).

II პირი:

ამ გურჯებ კაი ეცოდინება, ერთი-ორი **უთხარი** (ბაზგ.); გეგრეგი **უთხარი**? (ბაზგ.); შვი-ლის-თქვა, ასე **უთხარი** (აზგ.).

ზ. -ვეი დაბოლოებიანი წყვეტილი

-ე სუფიქსიან ზმნებს წყვეტილის I და II პირის ფორმებში (ბრძანებითის მნიშვნელობითაც) აქვს -ვეი დაბოლოება:

საქმე **გადავდევი** (უ.); ჩემი **დენახევი** (ხევწ.); გაღმა რომ **დენახევი** სურათი... (შავშ.);

დავანთევით ცეცხლიო (ნიოლ.); აქა **დავმაღევი**თ (უ.); ართვინ **ვეიდევი**თ, იქაც **ვეიდევი**თ (ზ.მ.);

დიმიგევით ლოგინი (მაჩხ.); მოდო, საქმე **გაავდევი**თ (ივ.); ამას(ს) განა ყური **უვდევი**თ (უსტ.).

იშვიათად მოკვეცილია –ი:

შენც **გეიგევ?** საიდან გეიგენ-მეთქი? (ხევწ.).

შდრ. ჩვენ ნება არ **დავრთვეით** (ყარ.); **გავაღვეით** კოშკის კარი (რუსუდ.); რაც სანახავეები **ვნახვეით**, ვით აღიწერება (მოგზ.); ამ ციხის ამბავი შენ **შემიტყვევ** (ყარ.).

სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა შეხედულებაა –**ე** სუფიქსის გენეზისის შესახებ. მკვლევართა ნაწილს –**ევ** წყვეტილის უძველეს სუფიქსად მიაჩნია (არნ. ჩიქობავა, გ. როგავა, დ. მელიქიშვილი),

ნამყოფს სახეობათა საერთო ნიშნად თვლიდა –**ე** სუფიქსს ვ. თოფურია.

განსხვავებულია გ. გოგოლაშვილის ვარაუდი: –**ევ** წყვეტილის I და II პირებში უძველესი სახეა მხოლოდ იმ ზმნებში, რომლებსაც III სუბიექტურ პირში აქვთ **ო**. დიალექტებში დადასტურებული **გავაკეთვეი**, **ავაშენვეი** ტიპის ფორმები მკვლევარს მეორეულად მიაჩნია (გ. გოგოლაშვილი 2010.:371).

ე სუფიქსიანია შავშურში **ვშერები** ზმნის წყვეტილი:

ჩაღმა **ვქენე** თავი, აღმაც (უსტ.); წაღან ქი **ვქენე-ა?** (უსტ.);

ჰო, ჩვენ **ვქენეთ** და ჩვენ უკან – არა (ჩაქ.); დუგუნი **ვქენეთ**, ვისამეთ (უსტ.).

ამ წარმოების ფორმა II პირისა დაცულია ჯავახურ კილოში: ამ სახენმწიფოში ვარ და რამე **ჰქენე** და მამარჩინეო (ჯავახ.140).

ინდივიდუალური ფორმა ჩანს **ჭამეთენა**: ჰა, **ჭამეთენა**, კარტოფილი მოგართვა (მან). „ნა „უნდა“ ნაწილაკის ნაწილი უნდა იყოს.

თ. II სერიის მწკრივებში პრეფიქსიანი ვნებითის მრავლობითი რიცხვის ფორმებში დასტურდება –**ენ** (>**ნ**) სუფიქსი (წარმოშობით მოქმედებითი გვარის ფორმათა ობიექტის მრავლობითობის ნიშანი):

წყვეტილი:

ღვევჩივინით თურქჩას (მანხ.); **მველაღვინით**, მარა (ბაზგ.); რაც **გვევმთხვენით**, არ გვიმღერია (ბაზგ.).

სად იყავით, **ღვიდაღვინით?** (შავშ.); არ **მვევწარვინით** (=მოვესწარით) იმათ ქი (ჩაქ.); **მვევსწარვინით** ასი, ასი და ათი (უსტ.); ბინ დოხუზ დუზ ალთმიშ (ათას ცხრაას სამოცში) გვევჩინეთ, **გვევჩინვინით** (ჩაქ).

ამ წინადადებაში გვერდიგვერდაა პარალელური, –**ენ** სუფიქსიანი და უსუფიქსო ფორმები.

ი. მეორე კავშირებითში დაცულია ძველი ქართულის წესი: მწკრივის ნიშანი არის არა –**ო**, არამედ –**ე**:

ფარნუხში არ'ნა გახვიდე? სად **შეიყარნეთ?** (უ).

ვილოცოთ, ვიკითხოთ, ღმერთს **ვეხვეწნეთ** (ბაზგ.).

ეგევე ზმნა მანატბელი ნ. ჯიჯანბის წარმოთქმულ ვაიზში მწკრივის ნიშნად **ო**'ს წარმოაჩენს: **ვეხვეწნოთ** გამჩენელს სულ ყოლა ენით (მან).

ასევეა **ვარ** ზმნის მონაცვლე ფუძის ზმნაში: იქ'ნა **ვიყვნეთ** (წეთ).

2.7. I თურმეობითის ფორმათა წარმოება. ვნებითი გვარის ორპირიანი ზმნის

აღწერითი წარმოება ეყრდნობა მიმდევობას საწყისის ნაცვლად:

არ **დაგვივრებულვარ**, არ ვიცო, ჰამა ... (ჩაქ); ვერ **დაგვივრებულვარ** ... ვერაფერი (კოკ.);

ჩვენ არ **მოვწრიღვართ** (=მოვსწრებივართ) (ა.).

ზოგიერთ ზმნას III პირის მრავლობით რიცხვში –**ან** ნიშნის წინ ეკუმშება თემის ნიშანი:

ხოფადან მოსულან ქი შავშეთში, კარგი ადგილები **დუუჭირვან** (დავ.); დარჭები არსად **წამისხმან** (ბაზგ.).

ერთ წინადადებაშია განსხვავებული ფორმები:

დუუკლაგან გურჯებ, შუუნახვან, ახორში **დუუმაღავან** (დავ.).

ზმნის ფუძეში ჩაერთვის **ნ** თანხმოვანი:

შენ საქმე **დაგლვენია** (ჯვარ.); ისე **დუურქმევნიან** (ნიოლ.).

მისცემ ზმნას გადაყვება –**ემ**:

ღმერთს **მუუცემია** [დღე](მან.); ხელიდან ხელში ქვა **მუუცემიან** (სვირ.); ღმერთსა რაცხა **მუუცემია**, ის ჭვამოთო (მან.).

შდრ. ეს ქვეყანა შენდა **მომიცემიაო** (ამირ.121); დია საქონელი **გამიცემია** გლახათათვის (ვისრ.).

ჩივის, იჩივლა ზმნას I თურმეობითში შეესაბამება მიმღეობისაგან ნაწარმოები ფორმა:

თვეები **აჩივლებულან**: ათ-ათი დღე წინ მუუწევიან (მან.).

შდრ. იმისთინ **შუჩივლია**, არ დამანახვესო (ჩაქ.).

2.8. ფუძემონაცვლე ზმნები. -ვედ ფუძეს წყვეტილის I და II პირებში ენაცვლება იზმონიანი ფუძე **ველ** ორივე რიცხვში (სხვადასხვა ზმნისწინით).

I პირი, მხ. რიცხვი:

შველ დეიწყო ტირილი (ხევწ.); **ჩაველ** იქიდან, **მუელ** (უსტ.); ვერ **წაველი** (კოკ.); მე შვიდი წლისა **წაველი** (დ.); ჯარში **წაველი** (ჩაქ.); შარშან ქი **ჩაველი** (ხევწ.); მიერე წელიწადსაც მე **წამუელ** (ბაზგ.); ვერ **გადაველი** მე სიმონეთ (კოკ.); **წამუელ** და **გამუელ**, დავჯექ, **წამუელ** დოხტურთან, **წაველ** თრაფიზონ (სვირ.); მე ჩემთანაღა **წამუელ**, დავტრინკე და **წამუელი** (ბაზგ.).

I პირი, მრ. რიცხვი:

ფესტივალზე **წაველით**, გაწვიმდა და ღამით **ამუელ** (მანხ.); ხასები არ **წაველით** სახში (იფხ.); **წაველით**, ვნახოთ (ბაზგ.); ყურბეთში აღარ **წაველით** (იფხ.); **გეველით**, თივა ვზიდეთ (ხევწ.); **ჩაველით** შოშში (ხოს.); იქ **მიველით** (ხევწ.).

II პირი მხ. რიცხვი:

შენ შეერიდან **მოხველ?** (უსტ.); სად **წახველ?** (ზაქ.); იმის პასუხიდან **გადახველ**, თამამ (უსტ.); მაშინ რატონ **მოხველ** აქა (ზ.); რა იჯებოდა, **შეხველ**, თუ? (ხევწ.); **მოხველი**, კაი დღე არ დავგანახვეო (ხევწ.).

II პირი, მრ. რიცხვი:

თქვენ სიდან **მოხველით?** (უსტ.); დაბას არ **ახველით?** (ზაქ.); ჰიდან **ჩამოხველით?** (ჩიხ.); ქვეშედან ქი **ამოხველით** (ჩიხ.).

მრავლობითში იშვიათია უხმოვნო ფორმა:

შვიდ საათზე **წაველთ**, შეიდნახევარ საათში **ჩაველთ** (ბაზგ.); ფესტივალზე **მოხველთ** ახლა? (წეთ.).

იშვიათად ერთმანეთის გვერდითაა **ვედ** და **ველ** ფუძის ფორმები:

მერე ვეღარ **წვეელი**, მერე ემეში **წვეელ** (ბაზგ.); აქ რომ **გადმოველი**, გამევეცვალე [გვარი], აქ რომ **გადმოველ**, გამევეთხუე (ბაზგ.).

შავშურში ჭარბობს, ნორმის დონეზეა, **ველ** ფუძე.

მთელ შავშურ კილოში დაცულია ბევრის წაყვანა-მოყვანის მნიშვნელობით **სხამ//სხ** ფუძის ზმნის ხმარების წესი:

ბავშები რატომ არ **წამაასხით**, **წამეგესხეს** (ჩიხ.); **წავასხი** ისენი ჰუქუმეთში (ზაქ.); აქ **მოვასხი** ჩემი კაცისთინ (ჩაქ.); იქიღამ **წამაასხეს** ქალები და აქ **მაასხეს** (ბაზგ.); ჩვენები მოდიან იმ წელწად, დიობან **წავასხით** (იფხ.).

ამ წინადადებებში იგულისხმება **ვინ** ჯგუფის სახელები.

იგივე ფუძეა გამოყენებული, როცა კრებითი სახელით აღნიშნული რა ჯგუფის სულიერი სახელია ნაგულისხმევი:

ჩემი დედე ... აქიღამ **წაასხემდა** ჩომას (ბაზგ.); ჩიხორის თავ **ჩავასხით** საქონელი (ბაზგ.); საქონელი (=საქონელს) **ვასხამთ**, რიზეში **გავასხამთ**, იქ ვაკვლევიებთ (ჩაქ.); წადი და მეორედ აღარ **ამაასხაო** [საქონელი] (ჩაქ.).

საინტერესოა ერთ-ერთი შავშელი მოსაუბრის, შუბლაძის (გოჩინთი) განმარტება, რომელიც მან თავის მონათხრობში ჩაურთო:

სახლვარი გეისხნა, მოდიოდენ ქართველები, **მოვასხამდი** სახში („მოვიყვანე“ ერთი თანე, ბევრი „მოვასხი), ქართველებს ერთი რუსი ეხლა...

სხ ძირია შემდეგ წინადადებაში თვალის მრავლობითი რიცხვის გადმოსაცემად: შენ ღამაში თვალები **გასხია**-და (ხევწ.).

ზი, ჯღ, ჯექ ფუძეებს ენაცვლება სხდ:

თელი ემეში **სხედან** (ბაზგ.); ესენი აგზე **დასხდნენ** (ხევწ.); საქმე დაგლევთან, **დამსხდარნართ** (ხევწ.); მოსულან, აქ **დამსხდარან** (დას.); იქ **ისხდნენ** (ჩაქ.).

მიმღეობაშიც ეს მონაცვლეობაა: ქალები იქვე **დამსხდარი** არიან (ხევწ.).

გამონაკლისი იშვიათია:

ჩამოჯექით-და (უ.); ორი თანე აქვერი არიან, იქ **ზიან** (სახლობენ, ცხოვრობენ) (ზ.).

კვდ ფუძეს ზემოთ აღნიშნულ ზმნათაგან განსხვავებით იშვიათად **ხოც** ცვლის: ორნივე **დემეხოცნენ** (ბაზგ.).

2.9. სახელზმნური ფუძის ზმნები. შავშურ კილოში დასტურდება სახელზმნური – საწყისისა და მიმღეობის (უმეტესად მიმღეობის) ფუძის ზმნები უმთავრესად აწმყოს მწკრივში (სათქმელის შინაარსის მიხედვით) –**ობ** თემის ნიშნით:

ქალი **წყენულობს**, რატომ არ მოდისო (მან.); ამა (=ეს) არაბას **წყენულობს**, წამლებს ყლაპავს (ა.); არ **წყენულობენ**, არა (ბაზგ.); არ **წონილობენ** გოდა გოგვები (უსტ.); რა ვიცი, არ **წონილობენ** (ნიოლ.); ისა **პოვნილობს** (უ.); ქართულად ვაგინებ და ვარ, არ **გნებულობენ** (სვირ.); გურჯიჯა **გნებულობს** და ვერ დუულაპარაკნია (ბაზგ.); კიდევ **გნებულობთ** (=გუგებთ) ერთმანეთ, კადა (დ.);

გნებულობთ ზმნის წყვეტილია **გეგვგენით**, რომელშიც –**ენ** ფუძისეულია: ახლა **გეგვენ** (ჩიხ.). შეცდომით ამ ფორმას პრეფიქსიანი ვნებითების მრავლობითი რიცხვის ზმნათა რიგში ასახელებენ, **ენ** მიაჩნიათ მოქმედებითი გვარის პირდაპირი ობიექტის მრავლობითის ნიშნად.

თაფლ არ ვყიდით, ანჯახ **ვყოფნილობთ** (ხოხ.); ახლანდელი დოღარით ვთქვა მე, სამასი და ორმოცდაათი, **ვყოფნილობ** (ჩაქ.); ცოტაც არ არი, მე **ვყოფნილობ**, **ვყოფნილობ** (ჩაქ.);

ბაჯომ ბაჯომს ბაგალას **თხოვნილობს** (წეთ.).

ამავე რიგის ჩანს იშვიათი **ვგდობილობ**:

აღარ **ვგდობილობ** ყურ (უსტ.); იმაზე მიცემული მაქ კლიტე და ის **უყურგდებულობს** ჰო, **ყურგდებულობს**, ჰემ ჩემი მაზლი არი (მანხ.).

შდრ. ჯავახური: წამოდი, კაცო, მაგას რაღა **ყურგდებულობ** (ა. მარტიროსოვი 1984.:115).

ასეთი ზმნა გეხვდება უწყვეტელშიც:

საქონელი ბევრი იყენ და არ **ყოფნილობდენ** ბალახი (უსტ.)

ზმნის ფუძედ გამოყენებულია გაარსებითებული მიმღეობა – **ნამყენი -ებ** თემის ნიშნით:

ფიდან გეიზდება, **დაანამყენებ**, თელი **დაანამყენებ** (ბაზგ.).

იშვიათია საწყისური ფუძის ზმნა –**ებ** თემის ნიშნით:

ვოტკა არ **მერჩოლება** (ბაზგ.); ნეფეს თოფი ექნება, **ესროლებს** (შავშ.); ასე დიმიხახე, **გეხსონება** (სვირ.).

საწყისის ფუძის ზმნაა მეორე კავშირებითში:

უნდა **გელოდინო**, მალე მოდი (ა.).

§3. სახელზმნა

3.1. საწყისი.

„ლოცვის“ მნიშვნელობით იხმარება ზმნისწინიანი „მოლოცვა“:

ლოცვა, კითხვა გენჯებს არ უყვარან, ახალმოზღებსაც, **მოლოცვა** ბერებს უყვარან (უ).

„სიკვდილის“, პარალელურია „მოკდენა“, „მოკდომა“, **სიკვდილი** იშვიათია:

მეშინია **სიკვდილის** (წეთ.);

ბელქიდა **მოკდენამდე** (რ)ჩებიან?(უ.); ბაბოღს **მოკდენამდე** დრომ გიმიარაო (მან.);

ლუემან ექიმს **მოკდომა** ემე უქნია, წამლები უპოვნია, **მოკდომისა** უპოვნია (უსტ.).

ერთმანეთს ენაცვლება გასუბსტანტივებული „**სიმღერა**” და „**მღერა**”:

ამ ქალებმა ფენა **სიმღერა** იციან (უ.);

დედაბრებმა არც სამა ვიცით, არც **მღერა** (მანხ.); ამანაც კაე **მღერა** იცის, ჰე (უსტ.);
დოხ, **მღერა** არ ვიცი (ბაზგ.).

-**ობა** სუფიქსით ნაწარმოებია ნამიმღეობარი საწყისი: ვერ დევჭირე **მარხულობა** (ხევწ.).

იმავე ძირის წარიანი საწყისია მოსალოდნელი –**ობა** სუფიქსი ანი'ს ნაცვლად:

ხრების **ჭედნა** იყო მაისში (ივ.).

ხმოვანმონცვლე ზმნის შესაბამისი საწყისი მეორე სერიის თემას ეყრდნობა:

უკნელან აინაღს **დაჭერვა** უნდა (უსტ.).

ომ სუფიქსიანია **დარჩომა** (დარჩენა), რომელსაც I თურმეობითის ფორმა ეყრდნობა:

ერთი ფეხი ისე **დარჩომია** (ნიოლ.).

3.2. მიმღეობა.

მიმღეობას აწარმოებს სხვადასხვა აფიქსი:

ა. **სასუბიექტო მიმღეობა.**

მ: აქ **მყოფები** თიბვენ (უ.).

მ- პრეფიქსით არის წარმოები **მეითხავი** და **წერ** ფუძის –**ავ** თემისნიშნისანი ფორმის მიმღეობა.

წერავი, კითხავი, დამყურებელი, ღმერთო გოულე ჯენნეთის კარი (მან.).

ხაზგასმულ მიმღეობებში მ- პრეფიქსი დაკარგულია ფონეტიკურ ნიადაგზე.

მე-ე: მე მინდა, ქი გურჯიც'ნა იყოს **გამჭრე** (უ.); ჩვენი **გამგნე** (გამგები) იყო (უ.).

მო-ო: ედღოს'ნა ღარჭმა, ჰამა [ფული] **ამთავო** არ აქ (ბაზგ.).

მა-: ვალ ფუძისაგან სასუბიექტო მიმღეობა **მა-** თავსართით არის ნაწარმოები:

ორი ბილეზუდი'ნა იყოს, ორი **ამაგალი**'ნა იყოს, ორი **ჩამაგალი** (ჩაქ.).

ზოგჯერ მ'ს ენაცვება **ნ:** შავშეთში **მინაგალი** კოთხევია (ჩაქ.).

მ-არ: **მშობიარი** ქალი შემოვა, არ შუშმეგებენ (წეთ.).

მ-არე: ცხელი წყალი ამოდის, **მღუღვარე** (ჩაქ.).

მა-არ: **მაწინარი** [თაფლი] იშტა ისენი არიან – შქერისა და იმისა... (ბაზგ.)

შედარებით პროდუქტულია **მე-ელ** კონფიქსი:

წევდა კაცი ესკერში: შეშა **დამპობელი** არა, კარი **გამღებელი** არა (უსტ.); ექვსასი დო-
ლარის **ამღებელიც** არი (ჩაქ.).

სალიტერატურო ქართულის მიხედვით, ამ მიმღეობებში –**ელ** სუფიქსი არაა საჭირო (**გამღები, ამღები**).

ბევრი **მსაქმებელი** დაჰა ბევრ იღებენ (ჩაქ.).

მო-არქალ: **მოშიშარი** ვარ (მანხ.); ბიჭებიდან ვინ არი **მომღერალები** (ბაზგ.);

მო- პრეფიქსს ამ ფუძესთან ენაცვლება **მე-:**

დოხ, მღერა არ ვიცი, **მემღერალი** ზათი არ ვიყავი (ხევწ.).

მე-ე: ჩვენი გენჯები არ არიან **მოკითხავე, მოლოცავე** (მან.). ლოცვა, კითხვა

გენჯებს არ უყვარან, **მოზღებსაც** (მან.).

მოზღე (<მოზრდე) კომპოზიტის ნაწილია: **ახალმოზღები** გადმოსული იყვენ (ა.);

მოზღე მრავლობითში გულისხმობს **მოზღეებს**, მაგრამ ეს ფორმა შავშურში არ ჩანს.

აქვე შევნიშნავთ, რომ შ. ფუტკარაძეს სალექსიკონო ერთეულად შეტანილი აქვს **მოზღო** (შ. ფუტკარაძე 1993)..

მოზღე ისეთივე მიმღეობაა, როგორიცაა ძველი ქართულის **მოცალე, მოზარე, მოწყე**...

მოზღე აღნიშნავს მოზარდს, ვინც იზრდება. შდრ. მე ახალგაზილი ვიყავი (ჩიხ.).

ერთმანეთს ენაცვლება **მ-** და **მო-** პრეფიქსიანი ერთი და იმავე ფუძის მიმღეობები:

[ჭიპს] ჯამის ქოშაზე ჩამოდებდენ, **მლოცავი** გამოვდესო (წეთ.); **მლოცავი**'ნა იყო (ბაზგ.).

მო-ე აფიქსებიანი მიმღეობას ენაცვლება **მა-ელ** აფიქსებიანი:

ეს დანულია, ღორი ქალია, **მოლაპარაკე** (სვირ.); ჩვენ სიფელში ჰინ თურქა **მალაპარაკებელი** არ იყო (მჩხ.).

ბ. საობიექტო მიმღეობა.

წარსული დროის საობიექტო მიმღეობათაგან შედარებით გავრცელებულია **-ულ** და **-ილ** სუფიქსიანები.

-ულ: ერთ წელიწად იქნება **დანიშნული** (უსტ.); **მოკუეული** არი (სვირ.).

ხმოვანმონაცვლე ზმნის **-ულ** სუფიქსიანი მიმღეობა იწარმოება პირველი და მეორე სერიის ფუძეთაგან:

ხელში **დაჭერული** რა'ნა ისაქმო? (ბაზგ.);

იმ ბიჭ სახლი **დაჭირული** აქ ემეში (ბაზგ.); ოთელი **დაჭირული** ექნებიან (ხეწ.).

ასეთ წარმოებაში **-ებ** თემის ნიშანი არის ჩართული:

ქართველი ან ბლაცყია, ან **მოჭირებული** (უ.).

თუმცა ამ ფუძის ზმნის პირიანი ფორმა მეორე სერიის ფუძით **-ავ** თემისნიშნია (**იჭირავს**).

-ულ სუფიქსიანი მიმღეობაში არ არის მოსალოდნელი **-ებ** თემის ნიშანი:

თელი გათხოვლი, **დასახლული** ყავს (კოკ.); ცხელ წყალს ჩაასხამ, **აღულულ** წყალს (ბაზგ.).

ახლა გურჯიჯა ვინცხას ქი **დავიწყნული** აქვან... (ბაზგ.); ზოგი სიტყვები **დავიწყნული** მაქ (ბაზგ.).

უთემისნიშნოა: **გაცინული** გამოიდა (ივ.).

-ულ სუფიქსიანია **წერ** ფუძის ზმნის საობიექტო მიმღეობა, რადგან ამოსავლად **-ავ** თემისნიშნია პირიანი ფორმა გვაქვს:

თავის **დაწერულ** ტყვილ იტყოდა (დავ.).

-ილ: ეს სახლები **დაყრილია** (=დაკეტილია) (უ.); **მოყორილში** წვიმა წვიმს

(უსტ.); ყალეს ზემოდან ასე **გაღობვილი** იყო (უსტ.); ბიბიშვილზე

მიყოლილი ვიყავ (ბაზგ.).

-ილ ნიშნიაში არ არის **-ებ** თემის ნიშანი: თორუნები **ავსილი** არიან (მჩხ.).

უთემისნიშნოა აგრეთვე **დატეწილი** (=დატოვებული): ორი მყავს **დატეწილი** (ჩაქ.).

შესაბამის ამოსავალ ფორმად შეიძლება ვიგულისხმოთ ძველი ქართულის **დატეწება** (**-ილ** მაწარმოებლის წინ **ნ** არის ჩართული).

სალიტერატურო ქართულის **მ-არ** აფიქსებიანი მიმღეობის ნაცვლად არის ილ სუფიქსიანი: **შეწვილი** ყაბღის გულია (ა.).

ამ წარმოებას ეყრდნობა მესამე სერიის ფორმები:

I თურმეობითი: სამი ძმა მოსულან, იქიდან ამდენი **გახდილან** (სვირ.).

II თურმეობითი: ზრუგის თერევის პერანგი ზედ **ჩაწვილიყო** (ბაზგ.).

ვნებითი გვარის ზმნის I თურმეობითის ფორმაში გამოყენებულია მოქმედებითი გვარის ზმნის ფუძის შესაბამისი მიმღეობა **-ილ** სუფიქსით: ბორები **დახეთქილა** (მჩხ.).

-ილ სუფიქსიანია სალიტერატურო ქართულის **რეცხავს** ზმნის შესაბამისი **რცხ** ფუძის მიმღეობა:

ეს ხალები **გარცხილია**, მეზობლებმა **გარცხეს** (უ.); ჩვენი **გადარცხილია**, თქვენი **გადარცხილია**, არ ვიცი (მჩხ.).

-ულ და **-ილ** მაწარმოებლიან მიმღეობათათვის ერთი და იმავე ფუძის ზმნის სხვადასხვა ფორმაა ამოსავალი, მაგალითები:

-ულ მაწარმოებლიანი მიმღეობა – **გათხეებული** მომდინარეობს **-ებ** თემისნიშნია ვა-რიანტისგან **გათხეება** (<გათხეება>):

აქიდან ბაკალა **გათხეებულა** (<გათხეებულ არს) (უ.).

ბ დაკარგულია: [მაშინ] **გათხეული** არ ვიყავ (ჩაქ.).

-ილ სუფიქსიანისათვის ამოსავალია **გათხოვა**:

მული არ არის **გათხოვილი** (ბაზგ.); მაჭახელ აკრიადამ **გათხოვილი** ყოფილა (ჩაქ.).

დაკარგულია **-ილ** მაწარმოებლის **ი**:

აქ ემეში **გათხოვლი** იყო (ბაზგ.).

-**ილ** სუფიქსიანია **რჩ** ძირის ზმნის შესაბამისი მიმღეობა, რომელსაც ეყრდნობა I თურმეობითი:

გადმოიღენ და **დარჩენილან** (იფხ.); სამი თვისა დეთიმი **დავრჩენილვარ** (მანხ.).

-**ილ** სუფიქსი ერთვის –**იმ** სუფიქსიან საწყისს:

რუსია ქი დაყაფანდა, **დარჩომილი** არიან (ზაქ.); ყაზანი ოქრო ბათუმში ქონდა **დარჩომილი** (უსტ.).

ეგვევი მიმღეობაა ზმნის პერიფრასტულ ფორმებში:

ჩემი ერთი გადასულა და **დარჩომილა** (ზაქ.);

ძველათ **დარჩომილა** (ჩაქ.);

ქმარი იქ გევედო, აქ **დარჩომილიყო** (ზაქ.).

ამ ფუძის ამავე მნიშვნელობის მიმღეობა **მ-არ(აღ)** აფიქსითაც არის ნაწარმოები (ძირეული **რ** დაკარგულია):

რაღ'ნა გაარიგო, დეთიმი სამი წლისა **დამჩარი** (ბაზგ.); სამი წლის **დამჩალი** ვარ დეთიმი (ბაზგ.); არაფერი არ **დამჩალა** (უ.); პაწახან **დამჩალან** იქა (ნიოლ.).

წარსული დროის საობიექტო მიმღეობა იწარმოება **ნა-**, **ნა-არ** და **ნა-ურ** აფიქსებით:

ნა-: იქ **ნაკითხები** აქ არ ყაბულობენ (იფხ.).

-**ებ** თემის ნიშანი უნდა იყოს, ამ მიმღეობის მნიშვნელობაა **ნასწავლები**.

ნა-ურ: თურქს უნდა თავის **ნათქვამურად** საქმე ქნას (ბაზგ.).

ნა-არ: **ნაომარისთინ** ათათურქმა ემე ქნა, მექთები გააწყო (მანხ.).

მომავალი დროის საობიექტო მიმღეობა იწარმოება **სა-**, **სა-არ**, **სა-ო**, **სა-ელ** აფიქსებით:

სა-: აღმა **საწიკი** არ აქ, დაღმა **საწიკი** არ აქ (ჩაქ).

მოსალოდნელი თემის ნიშანი –**ავ** არ ჩანს (შდრ. **წიკავს**).

რაცხა რომ **გასაგნები** გაქვან (ჩაქ).

სა-არ: **გასათხვარი** ყოფილა (იფხ.).

სა-ო: ამის ხე(=ხეს) რომ გაჰხდიან, **სახმარო** კასრ გააკეთებენ (ჩაქ).

ერთმანეთს ენაცვლება **სა-** და **სა-ელ** მაწარმოებლები:

სათიბავებს, **სათიბლებს** ჭაღას ვეცყვით ჩვენ (წეთ.); თამარას სასვენზე ქვა იყო, იქ ეწერა: „თამარ დედოფლის **სასვენებელი**“ (ბაზგ.).

გ. უარყოფითი მიმღეობა.

უარყოფითი მიმღეობა იწარმოება **უ-ელ** აფიქსებით:

უდერდელი იმ დუნიასაა, იქ არიან (მანხ.).

გვხვდება ორმაგად ნაწარმოები უარყოფითი მიმღეობაც:

სანა არ იჭმება, **უმუსლელი** კვახეა (ნიოლ.); ცაცხვის ყვაილი ჩემ ძაღმა მოკრიფა და

მზის **უდუუნახველი** ვახმოფთ (მან.); **უგოვლელი** (<უგაუვლელი) ჰასტანდული რომ იქნებიან, იმა ისე აჭმევენ (ჩაქ).

(**უგოვლელი** – ავადმყოფი, რომელსაც სიარული არ შეუძლია).

§4. ზმნიზედა

ზმნიზედის მნიშვნელობით გვხვდება ზედსართავი „კარგი“ სახელობითის ფორმით:

– რაჟაა ხარ?

– **კარგი** ვარ, **კარგი** (უსტ.).

– რას შობი, **კაა** ხარ?

– აჰმელაა **კაა** არ იყო, ახლა **კააა**, **კაა** ვარ ახლაო (ზ.).

შდრ. რა იჯები, **კარგათ** ხართ? ჩვენც **კარგათ** ვართ (ნიოლ.).

„ბევრი“ იხმარება „ბევრჯერ“, „ბევრად“ ზმნიზედების მნიშვნელობით:

ელჩად **ბევრი** არ მოსულან, ერთი-ორჯერ თავისი ბაბოდ (შავშ).

მოქმედის მონათხრობის შინაარსის მიხედვით ამ წინადადებაში „ბევრი“ იგივეა, რაც „ბევრჯერ“.

მაჭახელი **ბევრი** (=მალიან) შორ არი (ბაზგ.).

„კარგად“ ზოგჯერ იმავე მნიშვნელობისაა, რაც „ხშირად“, „ბევრჯერ“:

ხან-ხან ელექტრიკები წყდება,, ჰო, **კარგად** სწყდება (ჩაქ).

გაორკეცებულფუძიანი კომპოზიტები უმეტესად **და** კავშირის გარეშეა:

კარი-კარ ხომ ვერ დარს? (ჩაქ); ვედრა არ იყო **წინ-წინ** (ზენ.); ახლა ლამაზი სახლები დავაკეთეთ, **წინ-წინ** უთავნო... (უსტ.); ახლა არა და, **წინ-წინ** საცოდვაავი ვიყავით (უსტ.).

„წინ-წინ“ მნიშვნელობით იგივეა, რაც „უწინ“.

სათესლედ გავარჩევდი **ხა-ხან** ასე (ჩაქ); **ხან-ხან** ელექტრიკები სწყდება (ჩაქ); ფარა მიე **ხან-ხან** (ჩაქ); დაჩვევლი ვარ გურჯიჯა, თურქია და **ხან-ხან** ვურევ (უსტ.); რუსები კიდევ **ხან-ხან** დადიან (ჩაქ).

იშვიათად კავშირიც ჩაერთვის კომპონენტებს შორის **და** დისიმილაციით:

ხანდენხან შეშას ვხყრით თავდაღმა (წეთ.); **ხანდენხან** მოდინ აქვერები (უსტ.).

ადგილის ზმნიხედას ერთვის სახელობითის ნიშანი **და**: ზაფხული **იქა** კაა (დავ.).

ამავე ფორმით **აქა** ზმნას ეწეობა აქტანტად – პირდაპირ ობიექტურ პირად:

მემრე **აქა** ბილა წავგართვეს (ხევწ.).

ამ წინადადების აზრი ასეთია: შემდეგ აქაურობაც კი წავგართვეს.

იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს **-ნე** და **-ნა** დართული ფორმებიც:

გამარჯობა, ნენევ, ამოი **აქანე** (უ.);

მიწინააპად მიყვარსო, სოფელში არ არიო და **აქვენა** არი (მან.).

ზმნიხედად ხშირად გამოიყენება ხედსართავის ვითარებითი ბრუნვის ფორმა: **თურქულად** უმდერებენ (უსტ.).

ვითარებითი ბრუნვინიშნისეული თანხმომვანი ზოგჯერ ყრუვდება:

ჩემი სახლი აგია, **ახალათ** ვაკეთეფ (ნიოლ.); ამან **ახალათ** გამეფყარა (=კვირტი გამოიღო) (ჩაქ); **მაღლათ** ვართ (აზგ.); **თურქულათ** ლაპარაკობს, თურქია (ჩაქ).

ზოგჯერ **დ** იკარგება:

ამგვარ ღარტებ **თურქულა** ველაპარაკები (ბაზგ.); ჰემ **გურჯულა**, ჰემ **თურქია** ვლაპარაკიბ (უ.); **ქართულა** „ფარას“ ვეტყვით ჩვენ (ჩაქ); **შენებურა** ამბობ (მანხ.); **იქვერულა** არ იციან (ბაზგ.).

ხმოვანფუძიან სახელთა ანალოგიით ამ ფორმებს ერთვის სახელობითის ნიშანი **და**:

სახლის ემე იმდენი არ იცოდა **ახლანდულად** (ბაზგ.); **თურქულად**, **ქართულად** ვისამეთ (უსტ.); **ლაზურად** არ იციან (ჩაქ); **ურუმარად** გადავდიოდით (მან.); **ურუმარად** დევლაპარიკებდით (წეთ).

ასევეა მომავალი დროის მიმდებობა მიზნის გადმოსაცემად:

სავლელად წევდოდით (იფხ.).

კითხვის ზმნიხედის მნიშვნელობა აქვს უთანდებულო და **ზე** თანდებულისან **რა** ნაცვალსახელს:

რა იციანი, ზეინაბ? (ბაზგ.); **რაზე** ვერ'ნა გააკეთოს? (ჩაქ); **რაზე** წერავთ (ბაზგ.); დედამთილი **რაზე** არ'ნა მიყვარდეს? (უსტ.).

„იმიტომ“ ზმნიხედის მნიშვნელობისაა „იმაზე“:

მე ვისაქმე ოც წელიწად და **იმაზე** ცოტას ვიღებ (ჩაქ).

§5. თანდებულები

-**კენ** თანდებულები **კე**ს სახითაა. დაერთვის იგი სახელებსაც, ზმნიზებებსაც:

აქეთკე ხართ თქვენ (ბაზგ.); ჰადღე, ასე ჩუუყვეთ **ქომლოკე** (ნიოლ.); **ზემოთკე** ვიცით, **ქომლოკე** არ იციან (უ.); რუსმა გადააბრუნა **თავისკე**, თვარა თქვენ **აქეთკე** იყავით (უ.); თორმეტი სოფელი იქეთ დარჩენილა, ექვსი თანე სოფელი **აქეთკე** (უ.); ბრუნდება **იქითკე** ლაპარაკი (უ.).

კენ (>კე) თანდებულები დაერთვის –**გან** თანდებულებით ნაცვალსახელისაგან ნაწარმოებ ზმნიზებას:

თელგნისკე არი გზა (უ.);

თელგნისკე<თელგნისკენ (<*თელგანისკენ): ყველა მიმართულებით.

თვის თანდებულის ვარიანტებია –**თვინ**, –**თინ**:

თვის>თვინ:

თაფლი მააქ... **თავისთვინაც** აკეთებს, **შენთვინაც** აკეთებს (ბაზგ.); ახლაც ვჭკამთ, **ზამთრისთვინაც** ვინახავთ (ჩაქ.); **ზამთრისთვინ** აღუღებენ (ჩაქ.); **არავისთვინ** არ უკბენია (ბაზგ.); **ჩემთვინ** მარტვად დავლევ (ბრ.); ესენი **თავისთვინ** არიან, ჩვენ-**ჩვენთვინ** (ჩაქ.); იმას **კოშისთვინ** ვიტყვი (ჩაქ.); **დათვისთვინ** უთქვამს (მან.).

თვის>თინ:

კარებ ვაკეთებ... **ფუტკრებისთინ** (ბაზგ.); აქ ამოვასხი ჩემ **კაცისთინ** (ჩაქ.); შელოცვა **ჩემთინ** ვიცი (უსტ.); ჩვენი რემეზანი ყოფილა ერთ თვეში **ყოლთინ** (მან.);

შდრ. ღმერთმა რატომ მოგვცა ენა? **ლაპარაკისთვის** (ბაზგ.).

თვის ვარიანტი იშვიათია.

თვის თანდებულის პარალელურად იშვიათად იხმარება ქართული ენის დასავლური კილოებისათვის დამახასიათებელი –**იზა** (<იზდა<ისდა):

ბზე ადგება და **იმიზა** ბზათა ქვია (წეთ.); **ტელეფონებიზა** ამოველით (ბაზგ.).

ვით თანდებულის გაგრძელებული ვარიანტია –**ვენ**:

ამა(ს) **ჩაისავენ** სმენ (ნიოლ.); დედებმაც **ჩვენსავენ** იცოდენ (ჩაქ.); კაკლებია წვრილი **ზივებსავენ** (ბაზგ.); **შენსავენ** ასე შუშკუნ [ქალი] იყო (ბაზგ.).

ერთმანეთს ენაცვლება –**იდან** (<იდგან<ითგან) და –**დამ**:

ჩვენ **კარიდან** გეგხედე (მან.); **იქიდან**, აბა, ასე იქითა **დელიდამ**, ამ ჩვენი სოფლის **გადმიდან** დელე არის (ხოს.); **აქედან**, ოჰო, ბევრია **აქედამ** (ნიოლ.); **დიობანიდამ** მაღლაწა აბრუნდე (ბაზგ.); ერთი აქ მეზობელი მყავ, გაღმა **სოფლიდამა** (მან.).

„ბაზრის“ აღმნიშვნელ თურქულ სახელში – „ჩარში“ (çarşı) **ში** გაგებულება ქართულ თანდებულად და ზოგჯერ –**ში** აღარ ერთვის:

ესენი **ჩარში** დეიბადენ (იფხ.);

შდრ. აიჰანა **ჩარშიში** წვედა (ბაზგ.).

დასტურდება ცალკე მდგომი **შინა** თანდებულები, ოღონდ სახელის ფუძესთან:

ქართულ შინა თურქია შერეულია (ბაზგ.);

თანდებულის ფუნქციით იხმარება სხვადასხვა შინაარსის ზმნიზება.

ფართოდ არის გაგრძელებული თანდებულის მნიშვნელობით **უკან**, რომელიც დაერთვის სახელს და აღნიშნავს დროს.

შვენიშნავთ, რომ **უკან** და სხვა ზმნიზებებიც უმეტესად დაერთვიან სახელის ფუძეს:

ეგა დანიშნულია, ბაირამ **უკან**ნა მეფეანოს (მან.); ათ დღე **უკან** მივალ (ნიოლ.); დილაზე თუ მოკლა, შუადღე **უკან** ჩადებენ (ბაზგ.).

უკან გვხვდება ნათესაობით ბრუნვასთანაც:

მარტი იცი? ნისანი? მარტის **უკან** ქი არის, ნისანი? (ჩაქ).

იშვიათად მიცემით ბრუნვასთან:

სამ დღეს **უკან**ნა მოიდეს (ჩაქ).

მესამე პირის ჩვენებითი ნაცვალსახელის მიცემითი ბრუნვის ფორმა დაირთავს „უკან“ ზმნიზედას:

იმას უკან რუსებმა ნელნელა წამოციმციმდენ (მან.); **მას უკან** გვითხრა (უ.); **მას უკან** მუელ (ჩაქ).

პირველი პირის ნაცვალსახელის მრავლობითის ფორმასთან ბრუნვა არ ჩანს: ჩვენ ვქენეთ და **ჩვენ უკან** – არა (ჩაქ).

როგორც დამოწმებული მაალიდან ჩანს, უკან „შემდგომი, მომდევნო, გვიანდელი ვითარების აღსანიშნავად გამოიყენება“ (შ. აფრიდონიძე 2002.:34).

ორიოდე შემთხვევაში **უკან** ადრინდელ, წინა ვითარებას აღნიშნავს:

ერთი **კვირე უკან** მოსულიყავი, კად იყო (უ.); **შვიდი წლის უკან** დევიწავლე თურქჩა (უ.); **ერთი წლისა უკან** ქირვას დააყენებენ (წეთ).

საინტერესოა მოსაუბრის შენიშვნა: „ორი წლის წინა, ჩვენ „წინ“ ვამბობთ, „უკან“ ჰაღადა მოიდეს, იგია უკან (მაჩხ). ე.ი. რაც უნდა მოვიდეს, ის არის „უკან“.

ადგილის აღსანიშნავად სახელთან გვხვდება **უკნედან**:

კარჩხალის ჰამან **უკნედან**; წითვეთი შავშეთის **უკნედანაა** (ბაზგ.); ჯინალი(ს) **უკნედან** აჭარაა (დავ).

„წინ“ სახელთან ადრინდელ ვითარებას გადმოგვცემს ნათესაობით ბრუნვასთან და ფუქსთან:

ოცი **წლის წინ** ზამთარ-ზაფხულ იქ იქნებოდენ (დას.); ჩემი ერთი ბიჭი ოთხი **დღის წინ** ბათომ იყო (ჩაქ);

თხუთმეტ **წელწად წინ** გაკეთდა გზები (დ).

ზმნიზედის თანდებულად გამოყენების სხვა შემთხვევებია:

იმაზე წინ ჩაქველთა იყო (ჩაქ);

შეხვალ **დელე გაღმა**, ჰო (ზენ.);

მე იქ ვიყავ, **სერ იქეთ** (უ.);

სხვაგან წვიყვანა, **სოფელ გარეთ** (ჩაქ).

შდრ. ჯავახ. გავიდა **სოფელ გარეთ** (არ. მარტიროსოვი 1984.:62).

თანდებულის ფუნქციით თანაობის აღსანიშნავად ნათესაობით ბრუნვასთან იხმარება „ერთად“:

ჩაის ერთათ ყართოფი ფენა გერმელია (ხოს.); **ტომათისის ერთად** დაღით ჩავასხამთ (უსტ.); ხახვ დაწვავ **დაღის ერთათ** (ბაზგ.); დაღში მოხრაკვენ ექშილი **ხახვის ერთათ** (უსტ.); იქიდან მუალთ ამ **ბაღვის ერთათ** (ხოს).

ერთ შემთხვევაში „ერთად“ დაერთვის –თან თანდებულის ნათესაობითს:

წავდივარ **სოჯისთან ერთად** (ბაზგ.).

§6. ნანიცაქი

ა. ხშირია –ა ნაწილაკის ხმარების შემთხვევები. უმეტესად დაერთვის იგი ზმნას და გამოსატავს კითხვას:

ჩვენებურა დევლაპარიკები-ა? იმა გონია, მაგინფესო (ზენ.); ამას წამოყვევი-ა? (ჩაქ); აქ რომ აღარ ვარ, იქ ვარი-ა, რაღა ქნა? (ბაზგ.); ჩვენი ჯამე არი-ა? იქაც ქილისე ყოფილა (უ.); აღარ ვიცით ქი: მოსული არი-ა? დერლი არი-ა? (ჩაქ).

ბ. **უნდა** ზმნა ნაწილაკის მნიშვნელობით შეკვეცილი სახით (‘ნა, ‘და) ერთვის სხვადასხვა სიტყვას:

უნდა>ნა:

წყალი’ნა დაასხა (ბაზგ.); მედბარგოს’ნა რიხეს (წეთ.); იმ ხიდზე’ნა გედეაროს (ჩაქ); მე ახლა აქ თუთა’ნა მეჭამა (ჩაქ); ახლა მე’ნა წვედე (ბაზგ.).

‘ნა ზოგჯერ რამდენიმე სიტყვას დაერთვის ერთსა და იმავე წინადადებაში:

მაღე'ნა ეთქვეს'ნა (ხევწ.); არ'ნა შეგიტყვეს'ნა (ჩაქ.); ვარია'ნა გავრცხა'ნა, დოღურთი'ნა ჩავასხა (უსტ.); ჰო, ახლა'ნა ჩვედე'ნა (ხევწ.); იქ'ნა უთხრათ'ნა (ჩაქ).

უნდა>და შედარებით იშვიათია:

შენზე ათ ტკაველ ზემოში არ'და გვერიო, შენ ქვემოთ ათ ტკაველში არ'ნა გვერიო (მან.); სახში რომ მოვა, შენი ემედ გახდება [გველი], არ'და მოკლაო, იტყვიან (ჩაქ.); რაი'და ქნა? (ბაზგ.); ბაჰალობაა, ფარა ბვერი'და გქონდეს (უ.).

ზოგჯერ 'ნა და 'და ერთსა და იმავე მთქმელთან ერთსა და იმავე წინადადებაშია:

დედამთილმა რძალს'და უყოს რძალობა, მემრე რძალმა'ნა ქნას რძალობა (იფხ.); გუდუურიო'ნა, გუდუურიო'და, დაკეპავ ეჩოდთ (ბაზგ.).

გ. კითხვას გამოხატავს თურქული –**მი** ნაწილაკი:

აღმართი შედარეთ-**მი**? კად არი (ბაზგ.); წუხელი აქ-**მი** იყავით (ა.).

§7. სიტყვანახმოება

შავშურში სხვადასხვა აფიქსებით სიტყვაწარმოების მრავალი შემთხვევა გვხვდება.

ა. –**ობა** სუფიქსით იწარმოება სხვადასხვა სიტყვები. –**ობა** ძირითადად აბსტრაქტული სახელების საწარმოებლად გამოიყენება:

რა ჩეთინია **მარტვობა** (უსტ.); ისწავლი **მუსლიმანობას** (ჩაქ.); **დარჭობის** დროს გვედლოდით ბაჯლები (ჩაქ.); **დარჭობაში** ბოტოტმა შემაშინა მე (ბაზგ.); **კარგობა** მოგცეს ღმერთმა (ჩაქ.); სამ წველწად დედამთილმა რძალს'და უყოს **რძალობა**, მემრე რძალმა'ნა ქნას **რძალობა** (იფხ.); მანამდე **ესკრობა** მოვდა (ჩაქ.).

ბ. –**ობა** სუფიქსიანი სახელი გამოხატავს სიმრავლეს, კრებითობას:

აქ **მეზობლობაში** ფინთობა არ არი (ბაზგ.); ბვერი **მოყრილობა** იქნება, შემეხეხევი (დ.); შარშან ფენა **თაფლობა** იყო (ბაზგ.); ახლა **ტილობა** არ არი, მაშინ **ტილობა** ბვერი იყო, თლათ **ტილობა** გახდა (უ.).

გ. –**ობა** გამოხატავს დროის განსაზღვრულ მონაკვეთს, რაიმე საქმიანობის შესრულების პერიოდს:

ჭალობის (=თიბვის) დრო არ არი (ბაზგ.).

–**ობა** სუფიქსით ნაწარმოებ სახელს აქვს საწყისის მნიშვნელობა:

ქორწილობა დიდი დუგუნია (ზ.); ახლანდელი ცხოვრობა ცოტა ისე იქნება (ბაზგ.).

დ. ადგილის ზმნიხედისაგან –**ურ** სუფიქსით ნაწარმოებ ზედსართავზე –**ობა** სუფიქსის დართვით იწარმოება „იქაურობა“, „იქაურობა“:

მოგწონს **აქვერობა**? (ბაზგ.); **აქვერობა** ცივი ალაგია (მანხ.); დეიწავლი **აქვერობას** (ბაზგ.); **აქვერობა** ლამაზი ყოფილა, თლათ გურჯია (უსტ.);

აქვერობაში ჩვენებურად, გურჯიჯა ვლაპარაკობთ (ბაზგ.);

აქავერობა თურქულზე ახლოა (უსტ.).

აქაურობა – ყველაფერი, რაც აქ არის; აქ არსებულის ერთობლიობა; ეს ადგილები.

იქაურობა – ყველაფერი, რაც იქ არის; იქ არსებულის ერთობლიობა, ის ადგილები (ქველ).

ე. ა სუფიქსით ნაწარმოები სიტყვა ბვერი არ არის:

–**ა** ღნიშნავს რომელიმე საგნის ან მისი თვისების მქონებლობას:

აქ ყველა ბალახი არი, **ყვაფილა** ბალახები (უ.); **სამყურად** (უსტ.); ამ სხალ **წარიას** ვეცყვით (უ.); გაღმა მთას **სარტყელად** ქვია (უ.); **აღთუნად** სიმინდი (უსტ.).

–**ა** სუფიქსით ნაწარმოებია ტოპონიმები: **გვალა** (<მრგვალა), (მან.); **ტიტველა** სერი (ჯვარ.).

–**ა** დაერთვის საობიექტო მიმღებობას, აღნიშნავს ცეკვის სახეობას:

ამ ცეკვას **შემორბენილა** ქვია (სვირ.); კიდევ **დართულად** იციან (სვირ.).

-ა სუფიქსით გეოგრაფიული სახელისაგან არის ნაწარმოები ცეკვის სახელი: **ორთაბათუმურას** ვეტყვით (ზ.).

-ა ზმნიზედისაგან აწარმოებს ზედსართავს:

შიანაა (<შიგანაა) ცარიელია (ჩაქ); „კომ“ ვეტყვით, **შიგანაა** ცარიელია (ჩაქ).

გ –**ურჩულ** პროდუქტული სუფიქსია, რომელიც სხვადასხვა შინაარსობრივი ჯგუფის სახელებს აწარმოებს.

შავშურ კილოში –**ურჩულ** არ განასხვავებს **ვინ** და **რა** ჯგუფის სახელებს; ნორმად ითვლება ამ სუფიქსებით აღამიანთა სადაურობის აღნიშვნა.

გეარეთ დაბა, მე **დაბური** ვარ (ზაქ); გელინი **ზიოსურია** (ბაზგ.); ანე **ჩაქველთური** ქალია (ახალდ.); **უბური** იყო (ბაზგ.); **მაჭენლური** ემეი ყავდენ, ანაა (ბაზგ.); **მაჭინლური** არი ბაიარ შაპინი (ბაზგ.); **მაჭინლური** ბევრი არიან (მან.); **ზეგნური** იყო ზათი, ახალდაბიდან გადმოთხოვილი (ჩაქ);

ბათუმურია ისა, ჯაფერაა (ხევწ.); აქ გადმოდიან **ბათუმური** ბაღვები (იფხ.); ახალი გელინია, **ბათუმური** არ არი, **ქუთაისური** არი (ჩიხ.).

ჩემი კაცი **ჩიხორულია**, **ლიბანური**, ადნი ვართ (ა.); ჩვენ აქ ამ **სოფლური** ვართ (ზენ.);

ჩვენი **სოფლური** არიან, ბიჭიც **ქართულია**, გოგოც **ქართულია** (უსტ.); ვუთხარ, მე **ქართული** ვარ და გიმიშვეს (ჩაქ).

ქართველის აღსანიშნავად იხმარება აგრეთვე **გურჯი**, **გურჯული**:

დედამთილი **გურჯულია** (წეთ).

„გურჯული“ ამავე დროს ქართული ენის აღმნიშვნელიცაა:

რატონ არ დევწავლე **გურჯულიო** (უსტ.).

თურქის აღმნიშვნელია „**თურქული**“:

მეზობელი **თურქულია** (=თურქია) (ჩიხ.); ძველათ ერმენები იყვენ, ბათომ წასულან...

თურქული არი, **გურჯული** – არა (კოკ.).

არის პირიქითაც:

ჩვენში **თურქი** ლაპარაკი მოსწონან (უ).

-**ეთ** სუფიქსიან გეოგრაფიულ სახელს ბაზგირეთი//ბაძგირეთი ჩამოშორდება ეს მაწარმოებელი:

ბაზგირული დედოფალი მოყავან (უ); მე **ბაზგირული** ვარ (ხევწ.); **ბაზგირული** ვინცხა არიო (შავშ).

აქვეა: **ზაქიეთური** გელინი გვყავს, ჩემი **ბაზგირეთულია** (ნიოლ.); ჩვენ **გამეშეთური** მყავარი ვართ (სვირ.); ჩვენი ჯაფერაა ბათუმ არი და **გამეშეთური** ის ემე იყო (ხევწ.); **ზაქიეთური**ა ბესიმაა (ზ.).

-**ევ** მარცვალზე დაბოლოებული სახელისაგან (**ხოხლევი**) სადაურობის სახელში **ევი**, **გ** იკარგება:

ხოხლეური ვარ, დავითაძე (მანხ.).

ვინ და რა ჯგუფის საგანთა სადაურობას აღნიშნავს ჩვეულებრივ –**ურ** სუფიქსი:

ქალი **იქვერი** (<იქაური) ყავს (უ); **აქავრი** ქალი იყო ჩემი ანალული (ხოხ.); **აქვერი** ვარ (უ); გოგო **აქვერი** იყო (ჩაქ); ჩვენი ბაღნები იყვნენ **იქავრი** (უსტ.); შენ ძალი **იქავრი** გყავს (უსტ.); **იქვერი** წყალი დაჰა კაა (ნიოლ.).

-**ურ**//**-ულ** აღნიშნავს **რა** ჯგუფის საგანთა წარმომავლობას:

მე მარტო ეს ვიცი, **ბათუმურაა** სიმღერა (ივ.); ჩვენ ვერ გავაგნებიებთ, თქვენი **მაჭახლურია** (უსტ.); ძიმეთ ეტყვიან, „ფესძიმე“ **იქეთურია** (ბაზგ.); **ჩაქველთური** წყალია (ჩაქ); დაზები არი იქა, **ოსმალური** დაზი არია (ჩაქ); **ბაძგირული** აწავლე (უსტ.).

-**ურ**//**-ულ** სუფიქსი აღნიშნავს კუთვნილებას, რომელიც შეიძლება გადმოიცეს ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაც, ასე მაგალითად: „ხერთვისული დაილა“ იგივეა, რაც „ხერთვისის დაილა“; დაბის ზეიდამ **დაბური** დაილა (უ); **უბური** თა ზათი ღადლა (უ); ზემოთ **ზაქიეთური** დაილა (უ); ციხიყელი ქვია იმ ყალეს, **ჩაქველთური** ყალეა (დას.); **ჩიქუნეთური** დაილების მხრიდან არი გოლი (წეთ.); სორწიო **აგარული** დაილა (დიობ.); **სვირეგნული** დაილა იქაა, ზეით (უ); ნაფურნევი **აგარული** დაილა (დას.); **უსტამისურ** სოფლებში სიმინდ თესენ (უსტ.).

მდრ. **უსტამისის დაილაა** იშტე (უსტ.).

-**ურ//ულ** სუფიქსის ასეთ მნიშვნელობას მოხეურში ადასტურებს ივ. ქავთარაძე (იხ. ივ. ქავთარაძე 1949.: 93).

ზ. -**ელ**: სუფიქსი -**ელ** არ არის პროდუქტიული -**ურ//ულ** სუფიქსთან შედარებით. აღნიშნავს იგი ადამიანთა სადაურობას:

ამ **მაჭახლელებმა**, ამათ იციან (ივ.); თქვენი და **მაჭახლელებისა** და **ბორჩხელებისა** [ლაპარაკი] გავს (ბაზგ.); ბითევი **ბათუმლები** ხართ? (ბაზგ.).

ჩიქუნეთლები გადმოდიოდენ აქა (ზ.); იმათ დაილებში ეფრატლები არიან, მაჭახლელები (ზ.); შენ რუსო, შენ მოსკოველო, რუსჯა გადაგარონია (მანხ.).

-**ელ** სუფიქსით იშვიათად **რა** ჯგუფის სახელი იწარმოება:

ვაშლი აქ ბევრია... წოწოლადა ვაშლი, **მაჭახლელაა** (ზ.).

ასეთი მნიშვნელობით -**ელ** სუფიქსი იხმარება იმერულში (ქ. ძოწინიძე 1973.: 236; შ. ძიბიგური 1973.:149).

თ. **აქ იქ** ადგილის ზმნიზედათაგან -**ურ** სუფიქსით ნაწარმოებ ზედსართავზე -**ურ**, -**ელ** სუფიქსების დართვით - ორმაგი სუფიქსაციით **ვინ**, **რა** ჯგუფის საგანთა წარმომავლობის სახელი იწარმოება:

[სოკოს] იქ იღებენ ბევრი, ჰამა ჩვენ **აქვერელები**... (ბაზგ.); **იქავერელები** [*ქავერელები*] თელი ორითმენები ყოფილან (ჩაქ.); **აქავერელები** (<აქავერელები) გურჯი ვართ (უსტ.); **იქვერულაა** ლაპარაკი სხვანაირია (ხევწ.).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ -**ურ//ულ** და -**ელ** სუფიქსების „ასეთი დაპირისპირება პირვანდელი არ უნდა იყოს. ამ სუფიქსების პირვანდელი ფუნქცია უფრო ზოგადი უნდა ყოფილიყო“. არნ. ჩიქობავას ამ სუფიქსებით სადაურობის აღნიშვნა მეორეულ მოვლენად მიაჩნია (არნ. ჩიქობავა 1942.:119; 137).

„-**ურ** სუფიქსი X საუკუნის ბოლომდის არ გვხვდება თვისების აღმნიშვნელ სახელთა საწარმოებლად. ამ მიზნით იგი შეიძლება შეგვხვდეს XI საუკუნის ძეგლებში, მაგრამ ისიც ძლიერ იშვიათად“. იგი უფრო გამოყენებულია სადაურობის გამოსახატავად (იხ. ალ. მანჯგალაძე 1953.:174, 479).

ი. მეტ-ნაკლები სისშირით გვხვდება -**იან**, -**იერ**, -**ეულ**, **სა-ე** აფიქსებით ნაწარმოები სახელები.

-**იან** აღნიშნავს მქონებლობას:

მე დაჰა **ხნიანი** ვარ თქვენზე (ზაქ.); ზოგი ასე **მაღალჭლიკიანი** არიან (ბაზგ.); ჰემ დუ-შუგი ალაგიც არი, ჰემ **თიანი** (<მთიანი) ალაგიც (ჩაქ.); **გემოანი** (<გემოიანი) მოდის, გერმელია (უსტ.).

იშვიათად -**იან** შეცვლილია -**ეან** სუფიქსით:

ღორღეანი ალაგია (უ.).

-**იერ** -**ელ** სუფიქსის მონაცვლე ჩანს:

სოფლიერმა გააკეთეს ეს ჯამე (ჩაქ.); **სოფლიერმა** კაცმა კითხა (მანხ.).

გამოთქმულია ვარაუდი, რომ იგი შეიძლება მომდინარეობდეს -**ივ** სუფიქსისგან. „ამ სუფიქსის ფუნქციის დაბნელების შემდეგ მისი საშუალებით ნაწარმოებ სახელებს დაერთო -**ერ**, რომელიც განსაზღვრულ შემთხვევებში ცალკე გამოიყენებოდა იმ ფუნქციის გადმოსაცემად, რომელსაც გამოხატავდა პირველი -**ივ**“ (ალ. მანჯგალაძე 1953.:498).

-**ეულ** (**ეგლ**) აგად ზმნიზედას დაერთვის, აღნიშნავს ავადმყოფს, ავადმყოფობას:

მე **ავადეველი** ვარ (ზაქ.); მამა **ავადეველია**, ძმაც **ავადეველია** (ბაზგ.).

სა-ულ//ე კონფიქსი დანიშნულების სახელს აწარმოებს:

ბზის შესატანს **საბზელი** ქვია (უსტ.); ქორი, **საბზესაც** ვეტყვით (მან.).

სა-ე აფიქსებით არის ნაწარმოები ტოპონიმები: **სალებე** (ნიოლ.); **სამელე** (ჯვარ.); **სასკივრე** მთა (უ.); **საბურთიას** თა (უსტ.).

მსხლის ჯიშია **საჭურთაა**: სხალი არი **საჭურთაა**, ჭურში ჩაყრი (ზ.).

უ-ლ უქონლობის სახელის ნაწარმოებელია: **უბადლო** ვერ დავმდგარვარ (ჩაქ.).

კ. გვხვდება თურქული აფიქსებით ნაწარმოები სიტყვებიც:

წაღან ვთქვი'ა **შუქურჯი** (=მაღლიერი) არიან (უ); **მაქინაჯი** (=მემანქანე) ვარ, ყუმაშ ვაქურავ (სვირ.); **თურქჩას** რომ ვლაპარაკოფ, გურჯი ბევრი აღარ ვიცით (ჩაქ).

ერთ წელწად ვიყავ **ნიშანლი** (ბაზგ.);

მესხაძეები სისხაძეები არიანო, **ჰერსლი** კაცები (ა.);

დაღლი – კარაქიანი, ერბოიანი, გაღ. მდიდარი: ამისი სოფელი **დაღლი** არი (შ).

ზათი **შექურლია**, რათ უნდა [შექერი] (ხევწ.);

აღარ ვიცით, ქი მოსული არი-ა? **ფერლი** არი-ა? (ჩაქ);

იმ დუზზე **ღორთქოშალი** (ოთხკუთხიანი) ციხე იყო (ჩაქ).

თურქულიდან შესულ სიტყვას ქართული სუფიქსები დაერთვის:

უღუგუნო იქნება ახლანდელი გენჯები? (მან.); გავაქციე **გენჯობა** (ბაზგ.); **გენჯობა** გეარა (უსტ.);

შერბეთობა ახლა გახდა (ივ.); **ბაჰალობა**, ფარა ბევრი'და გქონდეს (ბაზგ.); ძველი **ფუნრობა** აღარ არი (ბაზგ.); ძველათ **ფუნრობა** იყო (უ); ბევრი **ფეთიმობა** გამოვწიე, ბევრი **ყერიობა** გამოვწიე, ნენეჯან (ბაზგ.); მეხერში რა'ნა წედლო, **ინსნობა**'ნა წედლო (ჩაქ).

III სინტაქსი

§1. მსაზღვრე-საზღვრე

ა. სხვადასხვა სახის მსაზღვრელი უმეტესად პრეპოზიციურია:

რომელმა ქნა? **ბაზგირეთელმა მუზაფერმა** (ხევწ.); **გადმითა სოფელში** რომ არი (ჩაქ);

ერთი დედე მყავდა (ბაზგ.); ჩვენ **თა (<მთა) ადგილზე** ვართ (ზ.).

იშვიათია შერბუნებული რიგი, უმეტესად მაშინ, როცა საზღვრული შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილია:

კახიძეები **ნათესავია ჩემი** (ივ.); ეს **გუგუშია წყლისა** (ბაზგ.); ჩვენი **ციხეა ბაზგირეთისა** (ბაზგ.).

გვხვდება ზმნით გათიშული მსაზღვრელი და საზღვრული:

ერთ საცხა **მეხერ** დეინახევდენ **მკვდრისა** (ჩაქ); **ფხალისას** მოვადუღებთ **ჩორბას** (უსტ.).

დასტურდება განმარტობული მსაზღვრელიც, „როცა მასთან საზღვრული არ არის ნახმარი, მაგრამ იგულისხმება... ასეთი მსაზღვრელი ბრუნვის ნიშანს უსათუოდ მიიღებს” (ა. შანიძე 1973.:94).

მარტო **ჰევასი** ბევრი დაწერა (უსტ.); **ჩვენსამა** თუ იციან ქართული? **ჩემსამ** ქართული არ იციან (ზ.); **იმათამაც** იციან, კაცის თერეფმა (ბაზგ.); კეცი იყო, **ტალახისას** გავაკეთებდით (ბაზგ.); **არვისაც** არ შივაჭმევ, ამა **სხვისას** არ წევეკარები (ხევწ.); **ჩვენსას** იმდენი არ ასხია (ხევწ.); **გადმივსას** თიბავს მუდუროდ (ხევწ.); მისი კაცი **თქვენსაში** გადმოსულია (ბაზგ.).

I პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელით გადმოცემული პრეპოზიციური მსაზღვრელი ხშირად შეუთანხმებელია საზღვრულთან სახელობითსა და მოთხრობით ბრუნვებში (წარმოდგენილის ფუძის სახით):

სახელობითი:

ჩემ ბაბო დეესახლა (ბაზგ.); **ჩემ ბაბო** ავა (წეთ.); **ჩემ პაწად გოგო** მებნევა (ბრ.).

მოთხრობითი:

ჩემ ბაბომ ჩვენი თერეფის უმფო მეწადინა (შავშ.); **ჩემ სიძემ** მოძებნა (მანხ.); **ჩემ მეზობელმა** იკითხა იქავრი (ხევწ.); ცაცხვის ყვაილი **ჩემ რძალმა** მოკრიფა (მან.); ვინ მოქსოვა? **ჩემ ხელმა** (უსტ.); **ჩემ კაცმა** დაჰა კაი იცის (უსტ.); გერმანიაში წემიყვანეს **ჩემ ბაღნებმა** (ივ.); **ჩემ ბიჭებმა** თქვეს (უსტ.); **ჩვენ ჩობნებმა** დემიძახეს (ჩაქ); **ჩვენ გოგებმა**, ისე არ ვიხდებო (შავშ.); **ჩვენ პრეზიდენტმა** რუსჯა აქნა ასწავლოს'ნა (მანხ.).

ზოგჯერ შეუთანხმებელია სახელობით ბრუნვაში მესამე პირის კუთვნილებითი ნაცვალ-სახელით გადმოცემული მსაზღვრელი:

მათ ჰუქუმეთი არ გაძღა (მანხ.).

შეუთანხმებელია ზოგჯერ ზედსართავით გადმოცემული მსაზღვრელი მოთხრობით ბრუნვაში:

მოვლა და მითხრა **წვერიან კაცმა** (ჩაქ.); ელაპარაკა იმან, **დიდ ვინცხამა** (ჩაქ.).

იშვიათად მსაზღვრელი ნაცვალსახელი მოთხრობითი ბრუნვის საზღვრულთან სახელობითშია:

ჩემი ბაბომა იმიყანა (მან.).

ზოგჯერ მოთხრობითი ბრუნვის საზღვრულთან მსაზღვრელი ნაცვალსახელიც მოთხრობითშია:

ჩემმა ნენემ ბევრი იცოდა (შავშ.).

ფუძის სახითაა ატრიბუტული მსაზღვრელი ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში:

ნათესაობითი:

მაზლი მყავს მე **ჩემ კაცისა** (ბაზგ.); **ჩემ დის** კაცთან მიდით (ბაზგ.); **ძველ მუხტრის** ქალია (ჩაქ.).

მოქმედებითი:

იმასაც ყავს **ჩვენ სოფლიდან** (ბაზგ.); **ორ-სამ ადგილიდან** გადმოდის თურმანეთსა გზა (ჩაქ.); **ჩვენ თქმით** არ წავა (ჩაქ.).

პრეპოზიციური სუბსტანციური მსაზღვრელი, გადმოცემული ხმოვანფუძიანი არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვით, უტოლდება პოსტპოზიციურს – დაირთავს ი'ს სახელობით ბრუნვაში:

ჩემი **დედესი ხალაშვილია** (ბაზგ.); გადმიეთ ახლად მყავდა, **ემოსი ქალი** (უსტ.); ერთი დედედ მყავდა **ბაბოსი ბაბოდ** (ბაზგ.); ერთი ბიბოდ მყავდა, **ბაბოსი და** (ბაზგ.); დადე, ამისი დის **ემოსი ქალი**, მოიდა (შავშ.); ჩემი **დედესი გაკეთებულია** (უსტ.).

§2. ქვემდებარისა და შემასმენლის უხითიუხიობა ჩიცხვში

ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში ურთიერთობის მხრივ, შეიძლება ითქვას, მრავალფეროვნებაა. საერთოდ იგრძნობა ტენდენცია ყველანაირ ქვემდებარესთან შემასმენლის მრავლობითის ფორმით გამოყენებისა.

ა. ქვემდებარე მხოლოდობითშია, შემასმენელი – მრავლობითში:

ვინ ჯგუფის სახელთან:

ჩემი **სიმამრი** ახლა იზმით **არიან** (შავშ.); **ბიჭი** ცოტა შეშლილი **არიან** (შავშ.); **სხვამ** არ **შეხედონო**, არ ვასამე (მანხ.); ეფეი გურჯია, **გურჯი არიან** (ჩიხ.); **სოფლიერმა** გააკეთეს ეს საქმე (ჩაქ.).

სოფლიერმა აქ მრავლობითს უნდა გულისხმობდეს: **სოფლელებმა**. მრავლობითის შინაარსი იგულისხმება განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის მხოლოდობითის ფორმაში:

ვინცხამ ამოთხარეს, **დეინოცენ** (ბაზგ.); **ვინცხამაც** იციან, **იღებენ** (ბაზგ.).

რა ჯგუფის სახელთან:

ბეჭედი ... შვა თითზე ვერ გიმიტანია, სახში **არიან**, ვერ მიხმარია (ბაზგ.); **ქერი**, **ბუღდა**... ფურნეში ქი აცხობენ, თეთრი, წითელიც **არიან** (კოკ.).

შემასმენელი მრავლობითშია შემდეგ შემთხვევებში:

ბ. ქვემდებარედ უარყოფითი ნაცვალსახელია **არვინ/არავინ**:

არვინ არ **არიან** იქ ახლა (ჩაქ.); აქ ძველი დერლი **არვინ არიან** (ჩიხ.); აქ **არავინ** არ **დარჩებიან** (მანხ.).

გ. ქვემდებარედ კრებითი სახელია:

ვინ ჯგუფი:

მეზობლებთან დაწვებიან დაპატიჟებული ხალხი (შავშ.); ხალხი ჭალაში არიან, ბიოევი თიბვენ (ნიოლ.).

ბიჭის თერეფის მაყარი ფუღს გაყრიან (შავშ.); მაყარი დასხდებიან ორივე (შავშ.); ჩენი მიღეთი (millet „ხალხი“) იქ გეიზარდენ (მაჩხ.).

მრავალი იგულისხმება სახელებში სოფელი, თერეფი (taraf „მხარე“), იხმარება კრებითის მნიშვნელობით, შემასმენელი მრავლობითშია:

[წყალი] დეგეიშრეს იმ სოფელმა (მაჩხ.); ამ თერეფმა არ იციან გურჯული (კოკ.).

დ. მრავლობითში ითანხმებს შემასმენელს „ხალხი“, რომელსაც მსაზღვრელად ახლავს „ბევრი“:

თურქეთში ბევრი ხალხი ცხოვრობენ (ჩიხ.); ბევრი ხალხი იქნებიან (უსტ.); უცოცხლიან ბევრ ხალხს აქ (ივ.).

ასევეა: ბევრი ალთუნი არიან (კოკ.).

ე. შემასმენელი რა ჯგუფის სუელიერ კრებით სახელთან:

ძველათ ცხვარი იყვენ, ჩომა იყვენ (უ.); ჩომა არიან (ბაზგ.); ჩემი ჩომა გედვიდენ იქა (ჩაქ.); თიდან რომ ჩამოვლენ ჩომა, იმ დროზე (ბაზგ.); თხა ბევრი იყო, ცხვარი ბევრი იყო, საქონელი ბევრი იყვენ და არ ყოფნილობდენ ბალახი (უსტ.); საქონელი მევდენ, დაღამდა, საქონელი მევდენ და თავეთ ვერ მოვდა იშტა (უსტ.).

ვ. ქვემდებარედ ნაცვალსახელია – ზოგი, ზოგ-ზოგი, შემასმენელი მრავლობითშია:

ზოგი კეთდებიან (=იკურნებიან), ზოგი ვერ კეთდებიან (სვირ.); ზოგი იმღერებენ ქართულა (უსტ.); ზოგი რჩებიან, ზოგი წადიან (ჯვარ.); არაფერ არ ჩავეყრი, ზოგი აყრიან (ბაზგ.); ზოგი ურთობენ (ბაზგ.); ზოგი წასული არიან (ბაზგ.); ზოგ-ზოგმა იციან (ბაზგ.); ზიარეთში ზოგ-ზოგი წველენ (ნიოლ.).

ზ. ქვემდებარეა ნაცვალსახელი თელი (ყველა), შემასმენელი მრავლობითშია:

ისე ამბობენ თელი (ჩიხ.); თელი დაანამყენებენ, სანთელ მიაკრენ (ბაზგ.); თელი მისდებიან, ილაპარაკებენ, თელმა იციან (იფხ.); თელმა არ იციან, ზოგმა-და (უსტ.).

ამ ქვემდებარესთან შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი მხოლოდობითშია, ზმნური ნაწილი – მრავლობითში:

თელი კად არიან (სვირ.); თელი გურჯი არიან რაბათში (დავლ.).

თ. ქვემდებარედ არის ბევრი, ცოტა:

მნიშვნელობა არა აქვს, რას აღნიშნავს ეს სახელები.

ბევრი გადმოვიდენ, ყიდიდენ (მან.); ამათი ლაპარაკი (=ლაპარაკს) დაჰა ბევრი ხდებიან (მან.); ახლა აღარ არიან, ბევრი აღარ არიან (უ.); კალად, ქი უხტება, ის არი, ბევრი არიან, ბევრი (ბაზგ.); ჩენი სოფლიდან ბევრი არიან იქა (მაჩხ.); ბევრი წადიან (ჯვ.);

აქა რჩებიან, ჰამა ბევრი – არა, ცოტად რჩებიან (ჩაქ.); ცოტად დარჩენ (ზ.).

ი. ქვემდებარედ ორცნებიანი კომპოზიციია:

ანა-ბაბომაც იციან გურჯიჯა (ბაზგ.); დედამთილ-მამამთილი არ მყავს, მემიკდენ (უსტ.); წადიან რბალ-შვილი (ხევწ.).

კ. ქვემდებარედ რიცხვითი სახელია მხოლოდობითის ან მრავლობითის ფორმით:

ზამთარში ოცდაათი რჩებიან (იფხ.); ორი თანე მომიკდენ (უსტ.); ორი თანე გერმანიაში არიან, ორი - ბურსას (ივ.); ოცი თანე რჩებიან, ოცი კვამლი (ჩაქ.); ხუთი თანე, ათი თანე მოვლენ, დეგეშველებიან (უსტ.); ორი ბაჭალა მეყოლა, ორნივე დემეხოცნენ (ბაზგ.).

ლ. ქვემდებარეს განსაზღვრებად ახლავს რიცხვითი სახელი:

ორი ბაჭალა ჩემი არიან (ხევწ.); ხუთი კომლი რჩებიან (ჯვ.); სამი რაიონი არიან (ჩიხ.); სამი თანე ძმა მოსულან (ჩაქ.); სამი ღარჭი დასახლებული არიან (უ.).

ასეთ მსაზღვრელთან საზღვრულიცა და ქვემდებარედ მრავლობითშია:

ორი-სამი გენჯი ბიჭები იყვენ (ბაზგ.).

მ. რა ჯგუფის უსულო საგნის სახელი მრავლობითშია, შემასმენელიც მრავლობითშია:

სახლები არიან (დ.); ხაპის ჯინსები შავიც არი, თეთრიც არი, შავიც არიან (ხოხ.); თამარას ყაღეები არიან (სვირ.).

იშვიათად მრავლობითის ფორმის ქვემდებარესთან შემასმენელი მხოლოდობითშია:

ბაჯლები ცოცხლობს (უ); იქიდან გამოვდოდა ბულები, დეფიციტობდენ, ვერ მიერევიოდა, შევდოდენ მორევი (ზ.).

ბოლო წინადადებაში ორი შემასმენელი მსოფლობითშია, ორი – მრავლობითში.

§. 3. ქვემდებარე სახელობითშია

იცის შემასმენელთან ქვემდებარე სახელობითშია:

[გურჯული] ჩემი ქალი ჩემზე კაი იცის და თავზე არი (ჩის.); თელი სოფელი თურქია არ იცის (მანხ.); ჩემი ბაღანები, თორუნები არ იციან (უ); ხოჯა იცის გურჯული (ა.); ეს კაცი იცის (ა.); ის ანაა არ იცის, ანაა, ანაიო, ტიროდა (მან.); ბერები კარგა იციან (მანხ.); ჰო, ისაც იცის, ჰო, ისენი იცის (ნიოლ.); ჩემი დედეა ჰარაბ კარგა იცოდა (მან.).

გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარე მოთხრობითშია:

ახლანდელგება რომ მოდიან აქა, ისვენ წადიან (ხევწ.); ეყურბანოს მას ცოლმა და შვილმა (მან.).

§4. დამატების ბუნვა

პირდაპირი დამატება პირველი სერიის ფორმებთან ხშირად სახელობითშია:

ეგა ისლამურია, გავახმობთ, ჩაი ვადუღებთ (უ); წყალი იქიდან ვწიკავთ (უ); ტათლი არ გაკეთებთ (ხევწ.).

შენიშნავთ, თურქული სახელის ტათლი (tatli) დაბოლოება გაგებულია ქართული სახელობითის ნიშნად.

თქვენ ჭამთ ღორი(ს) ხორცი? (ხევწ.); რეჰანი ურთავ, მოხარშავ (ხვ.); ოთხი თანე ქათამი მყავს, ზოგი მოხარშავ (ზ.); ბახშიში მიცემენ (უსტ.); ერთი თენეკე ყაზიალი სამ მარჩილად იღებენ ბათუმ (ზ.); ზველათ სკიები (=სკებს) დააკეთებდენ (უსტ.); საქონელი ბევრი იყვნენ და არ ყოფნილობდენ ბალახი (უსტ.).

ხმოვანფუძიან სახელთან უნდა ვივარაუდოთ სახელობითი ბრუნვა და არა მიცემითის – ს'დაკარგული ფორმა:

ღობიო არგვენ, ჰამა მე არ ვარგევ (ხოხ.).

წინადადებაში დამატებად არის ორი თანხმოვანფუძიანი სახელი, ერთი სახელობითის ფორმით, მეორე – ფუძით:

მარილ დაყრი, ნიორი არ გუურევ (იფხ.); კაკალი ვურევთ ჩვენ, თესლ ვურევთ (ჩაქ.).

მიხვდები ზმნის ფორმებთანაც დამატება სახელობითშია:

ვერ მივხტი მათი ლაპარიკი, თქვენი ლაპარიკი მივხტები (მანხ.); ამათი ლაპარიკი დაჰა ბევრი ხდებიან (მან.).

ჭამიან ფორმასთან, რომელსაც ზოგადი აწმყოს მნიშვნელობა აქვს (ემთხვევა ძველი ქართულის მეორე ხოლმეობითს), დამატება სახელობითშია:

არ ჭამიან ჭადი, პურ ჭამენ (უ).

სწყევლო ზმნასთან დამატება მიცემითშია:

არ სწყევლო არავის (იფხ.).

§5. გახეობა

5.1. ადგილის გარემოება

ადგილის გარემოება ხშირად გადმოიცემა სახელის უთანდებულო მიცემითის ფორმით: ზამთარში **ბურსას** ვარ მე (მანხ.); ახლა მე **ბურსას** ვდგავარ (ნიოლ.); ჩემი ღარჭები ბითევი იქ არიან, **რიხეს** არიან (ჩაქ); **ხევეწრულ** გათხოვილია (ბაზგ.).

ს დაკარგულია: მე **ბათუმ** ორ-სამჯერ ამუელი (ნაფ.); თელი წავდივართ

ისტამბულ (სვ.); ახლა იქ, **ისტამბულ**, შვილთან ვარ (ჩაქ); **ჯამიკარ**

არიან (ბაზგ.); ერთი ბიჭი ყავს **ართვინ** (ჩაქ); **იფხრეველაც** არი მაღარა (ჩაქ).

(ფუძეს ერთვის ც(ა-ც) ნაწილაკი.

მიცემითი ზოგჯერ სავრცობიანია:

წუხელის წევდა **შაეშეთსა** (ბაზგ.); **ბაზგირეთსა** ჩომა აღარ ყოფილა (ხევეწ.); **ბურსასაც** არიან გურჯები (სავრცობი, ჩეულებრივ, ნაწილაკის წინაა).

-ში თანდებულებიანი მიცემითიც გვხვდება ადგილის გარემოებად:

ისტამბოლში ჩავალთ (ჩაქ).

5.2. დროის გარემოება

დროის გარემოება გადმოიცემა წელიწადის დროის აღმნიშვნელი სახელის -ში თანდებულებიანი ფორმით:

ზამთარში თივებ ზიდვენ ჩომასათვინ (წეთ.); **ზამთარშიც** სდგებით აქა? (ჩაქ); **ზამთარში** მიდიან, **ზაფხულში** მოდიან (წეთ.); [სინათლე] **ზაფხულში** იმდენი არ წადის (წეთ).

-ში თანდებულებიანია **დრო**:

ჰა იმ **დროში** მივდივართ, გასათოვლებელ **დროში** წავდივართ (ჩაქ); ჩვენ **დროში** ორ-მოცი წლის ემექლი ხდებოდა, ახლა აღარ არის, ჩვენ **დროში** იყო-და (ჩაქ).

გვხვდება უთანდებულო მიცემითიც:

ჰალა ღარჭობის **დროს** გვედოდი ბაკლები (ჩაქ); ჩვენი ციხეა... რუსის **დროს** გუუკეთებინ (ბაზგ.).

დროის გარემოება გადმოიცემა სხვა საშუალებებითაც:

-ზე თანდებულებიანი სახელით:

მეორე დღეს, **დილაზე**, უკან მოგვეწია (სვირ.); **დილაზე** იპუეს, ჰამა შეჭმული (უსტ.); ოც **წელიწადზე** ვძებნე ალთუნი (ივ.); მე თვის **თხუთმეტზე** მოვალ-მეთქი (ნიოლ.).

აბსტრაქტული სახელის მოქმედებითი ბრუნვისა და -ში თანდებულებიანი ფორმით:

ბატლობით ძალგან ღამაზი იყო (მანხ.); მალე ამართვა ღმერთმა **პატრობაში** (ბაზგ.); მე **პატრობით** (პატარაობაში) ვიწავლე (უ).

დროის აღმნიშვნელი სახელის -ივ ბრუნვის ფორმით:

ისე ახლა ყოლადა, თბილა და **ზამთრივ** ზორია (უსტ.); ზეგანში ვართ ახლა, **ზამთრივ** - ბარში (უსტ.); კიდევ დადიან ისენი [ასკერები], ჰამა **დღივ** არა, **დღივ** არ არიან (ჩაქ).

ერთმანეთს ენაცვლება ხმოვანფუძიანი **ღამის** სახელობითისა და -ში თანდებულებიანი ფორმები:

საქონელი დარჩა **ღამე** გარეთ და ... **ღამეში** ვერ იპუეს (უსტ.).

სახელის სახელობითის ფორმით დროის გარემოების ფუნქციით გვხვდება აგრეთვე **დღე**, **ზამთარი**, **ხანი** (მრ. რიცხვში):

თელი **დღე** რას აკეთებ? (ა.); **ზამთარი** ბურსას ვართ ჩვენ (მანხ.); ჯუმა **დღე** მოდიან (ზ.);

ამ ქილისაში თამარა მოსულა, უკანა **ხანები** აქ უცოცხლია (მანხ.).

სახელის ფუძით, ფუძეებისაგან შედგენილი კომპოზიტით:

რძალი მოდის **გაზაფხულ** აქ (წეთ.); **ზამთარ-ზაფხულ** ესენი აქ არიან (ნიოლ.).

ვლ ფუძის ზმნის საწყისის სახელობითი ბრუნვის ფორმით:

ავლა (=ავლის დროს) შეგვეყრება და განახვებ (ჩაქ.); დაკვირდებოდი **ამოვლა** (უსტ.).

ეს საწყისი –ზე თანდებულთაც გვხვდება ამავე მნიშვნელობით:

ჩავლაზე დაგანახვებ (ბაზგ.).

5.3. მიზნის გარემოება

მიზნის გარემოებად მომავალი დროის ვითარებითი ბრუნვის ფორმაა, ოღონდ ბრუნვის ნიშნის თნხმონითი ნაწილი მოკვეცილია, ა'ზე დაბოლოებულ მიმღებობას ერთვის **დ(<ი)**:

მივალ ნეკრი **საკაფაგა** (უ.); თაბუთის **წასადებელა** შენ მიმოსხველ, მიწის **დასაყრელა** მიმოსხველ (სვირ.); [საქონელ] ვაძლევთ **გასაკვებლა** (ჩაქ.).

§6. უბხადი დამატება

შავშურშიც გვხვდება უბრალო დამატება ნათესაობითის (თანდებულიანი და უთანდებულ) ნაცვლად –**გან** თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით:

მაწვნიდან?... ყველაფერი იქნება **მაწვნიდან** (ჩაქ.); მე **ძველებიდან** არ ვიცი (უსტ.); ის ალაპარაკეთ ახლა, **ჩემიდან** გეყოფიან (ჩაქ.); კოლოფებ აკეთებდენ **შეშიდან** (=ხისაგან) (ზენ.); იმი **პასუხიდან** გადახველ? თამამ (უსტ.); შეშინდა **თქვენიდან** (ჩაქ.); **იმიდან** გვეშინია ჩვენ (ჩაქ.); **დათვიდან** ეშინია (მან.).

ასეთი ფორმები –**გან** თანდებულიანი უბრალო დამატებად ფართოდ არის გავრცელებული აჭარულში.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ –**გან** თანდებულიანი მოქმედებითი დღევანდელი სალიტერატურო ქართულის ფაქტი არაა, დღეს ქართულში გვაქვს –**დან** თანდებულიანი მოქმედებითი (გ. ცოცანიძე 1981:27).

§7. აღნიხითი ნახმოება

შავშურ კილოში ისევე, როგორც საერთოდ სამხრულ კილოებში, ზმნის ორგანულ ფორმათა გვერდით, გავრცელებულია აღწერითი წარმოება:

მე ბევრი საბრი **არ მიქნია** (შავშ.);

ხბო ქნაო, ვიტყვით, **ხბოს იქს** (ჩაქ.);

დილაზე **საუზმარ ვიქთ** (ჩაქ.);

მოვდა, **დღსტობა ვქნათო** (სვირ.);

ონ იქი სენე **მუხტრობა ქნა** (ჩაქ.);

ჩვენ აქ გურჯი **ვაიზებ არ ვიჯებით** (ნიოლ.);

არაბა **ყაზა ქნა** და მალევე წვედა (მაჩხ.); აქ დეიძინებენ, **დუას იქმენ** (იოლ.).

რატომ **ეზიეთი ვწით** (უსტ.);

ავჯობას ვიჯებოდი (ჩაქ.).

ასეთი კონსტრუქციები სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია თურქულის კალკებად (ნ. გურგენიძე 1973:77-78; 80-84; შ. ნიუარაძე 1971:69). ამ ფორმებს ჩვენც განვიხილავთ ერთ-ერთ შრომაში (მ. ფაღავა, მ. ცინცაძე 2005). აქ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ანალოგიური კონსტრუქციები მრავლად გვხვდება ძველსა და გვიანი პერიოდის ქართულ ძეგლებში, ორიგინალურსა და ნათარგმნში. დავიმოწმებთ რამდენიმე ნიმუშს:

გუბრძანე, რადთა **ვქმნეთ ხევის** (ლიმ. 28,21); მრავალნი **კურნებანი ყვნა** (მცხეთ. 36); ხოლო **იქმნა** დიდი **გამარჯუება** მეფისა (მთაწ. 160,4); **თათბირი ვქნათ** (ვისრ.350).

ზმნის აღწერითი ფორმები ბუნებრივ მოვლენად მიიჩნია თ. ვაშაკიძეს. დეტალურად განიხილავს რა ყველა სახის აღწერით კონსტრუქციას ძველ ქართულში, ერთ-ერთი სახის („იქმნა“ მეშველზმნიანი) შესახებ ავტორი წერს: აღნიშნული წარმოება სრულიად ბუნებრივი მოვლენაა ქართული ენისათვის. იგი არ წარმოადგენს უცხო ენათა გავლენის შედეგს (თ. ვაშაკიძე 1993.:155).

შავშურში სხვა აღწერითი კონსტრუქციებია:

დანახული მყავს და მოკლული არ მყავს (ჩაქ.); **მეს** (=მეც) **გაგონილი მაქ** (უსტ.); **გაგონილი გვაქ** ბათუმი და **არ ვართ მისული** (შავშ.).

ზმნის ორგანული ფორმების ნაცვლად (დიმინახავს, არ მომიკლავს, გამიგონია, გაგვიგონია, არ მივსულვართ) გამოყენებულია შედგენილი შემასმენლები.

IV. ექსიკა

§1. შავშუხი ჯიქოს ექსიკა

შავშური კილოს ლექსიკა მრავალფეროვანია და ამდენად საინტერესოც.

საერთოქართულ ლექსიკასთან ერთად დასტურდება სიტყვები, რომლებიც სხვა დიალექტებში არ არის, ან არის, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობით.

1.1. კომპოზიტები. ა. გაორკეცებულფუძიანი კომპოზიტები მიღებულია:

მარტივი გაორკეცებით: **წინ-წინ**, **ხან-ხან**, **მალ-მალე**...

წინ-წინ საცოდვათ ვიყავით (უბე);

სათესლედ გაგარჩევდით **ხან-ხან** ასე (სვირ.);

მალ-მალე იცლის ქალაქს (შავშ.);

მალალი, ასე **წოწოლ-წოწოლა** არი (ბაზგ.);

აქ ყველა მიევა არი – **თევრ-თევრ** ვაშლი...(დავლ.). **თევრ-თევრ** – წვრილ-წვრილი (შ. ფუტკარაძე 1993:465).

ჩვენ ფათუნას ვუძახით, **ფათფათა** (=ბატიბუტი) (ჩაქ.);

კარი-კარ ხომ ვერ დარს(ჩაქ.);

ხელი-ხელ ქვა მუუცემიან (ჩაქ.);

გაორკეცება და კავშირით:

ისენიც ქართველი ყოფილა **წინდაწინ** (უბე); კაკალი **ხანდახან** არ მოდის (იფხ.); მაშინ

ფეხდაფეხ გვეილოდით (ჩაქ.); იქიდან ქი მიდიოდენ ბათუმში **ფეხდაფეხ**(შავშ.).

გაორკეცება დისიმილაციით:

არ გაწვიმდება, **კანკამებს** (<კამკამებს) (ხწრ.); მაგას **ფარფალას** ვეტყვი (ჩაქ.);

ბ. სხვადასხვაფუძიანი კომპოზიტები:

კომპონენტ არსებით სახელთაგან პირველი ფუძის, ან სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი:

ქორ-მიმინო სხვაა (ჩაქ.); ვიცით **ფხალ-ლობი** (იფხრ.); **ბერ-დედაბერი** ვართ (წეთ.); ღმერთმა **ქალ-კაცი** (=ცოლ-ქმარი) ერთ ლოგინზე დაგაბერონ (ჩაქ.); **ბიჭიშვილი** არ ყავდა (იფხ.); **ქვაკიბე** (ტოპონიმი).

მსაზღვრელ-საზღვრულთაგან მომდინარე კომპოზიტები

– პირველ კომპონენტად ზედსართავია ფუძის სახით, მეორე – მიმღეობა ან არსებითი:

მე **ახალგაზდილი** ვიყავ (ჩიხ.); გენჯებს ლოცვა-კითხვა არ უყვარან, **ახალმოზღებსაც** (იფხ.); **დიდნაზვი** (ტოპონიმი, უსტ.).

გამოთქმულია ვარაუდი, რომ **ახალმოზდე** „ახალგაზრდა და მოზარდი სიტყვების კონტამინაციით უნდა იყოს მიღებული“ (ლ. ლეკავა1958:219).

– პირველი კომპონენტი ზედსართავი ან რიცხვითი სახელია (ფუძით), მეორე -ა სუ-ფიქსიანი არსებითი:

[ყაბალი] **თხელქერქა** ლამაზი იქნება, ჩემი სულ **თხელქერქაა**, **სქელქერქას** არ დაეთესავთ (უკან.); **სამყურა** ბალახი (ბაზგ.).

– პირველი კომპონენტი არსებითია, მეორე ზედსართავი ან მიმღეობა:

გურჯების **თავდიდი** (=უფროსი) თამარაა ყოფილა (ნიოლ.); ხაპერაა რომ არი კოში, ესაც არი შიანა ცარიელია, **ყიაწმინდა** (ჩაქ.); **ხელგაშლილა** გასამდი (უსტ.); **წყალ-სასმელსაც** აკეთებენ, ტარიანს (ნიოლ.); **ფესხაბრუნებელა** მივიდოდა(ჩაქ.).

ფესხაბრუნებელა ნიშნავს გათხოვილი ქალის პირველ მისვლას მშობლების სახლში გათხოვებიდან ორმოცი დღის შემდეგ.

– პირველი კომპონენტი სუბსტანტიური მსახდვრელია, რომელსაც მოკვეცილი აქვს ნათესაობითი ბრუნვისნიშნისეული თანხმოვანი **ს**:

აქ **მიწინაპა** მოდის (უ.); ა, **თისარტყელა**, **თისარტყლა**, „**თისარტყელას**” ვეტყვით, რენგ-რენგ დაჰა დეეყულება ასე, აქიდან ე იქ გადავა (ჩაქ.); ჩვენ ვერ გვეტყვიან, **შიშიმკვლელა** გურჯებო (უ.); ასეთია აგრეთვე ტოპონიმები – (რ)**კინიჯვარი**, **ჯამიკარი**.

– პირველი კომპონენტი ჩვენებითი ნაცვალსახელია ნათესაობით ბრუნვაში:

ჩვენც **ამისდროული** არ ვიცოდით გურჯული (წეთ.);

– მსახდვრელია **შუა** პირველ ნაწილად:

შუადრობიხან იქნება მარიობა (უსტ.).

თავის მხრივ, მეორე - **დრობიხან** კომპოზიტია, რომლის პირველ ნაწილს მოკვეცილი აქვს **ს** (დრობიხან<დრობის ხანს).

– კუთვნილებითი ნაცვალსახელი მესამე პოსტპოზიციურ მსახდვრელად ახლავს არსებითს:

ბაბომის არ უნდოდა, ანამისი არ ყავდა ზათი (ჩაქ.); ვერ შეუძლო **ბაბომისმა** (ჩაქ.).

კომპოზიტი რიცხვითი სახელებია:

ხუთმოცი, **შვიდოცი**, ერთი ასი წელიწადი უცოცხლია, **ხუთმოცი**, ბევრიც უცოცხლია უმფო (უსტ.).

გ. შავშურში ფართოდ გავრცელებულია გაორკეცებულფუძიანი ასონანსური კომპოზიტები (როგორც ქართული, ისე თურქული სიტყვებისაგან შედგენილი). შეცვლილია პირველი კომპონენტის პირველი მარცვლის პირველი თანხმოვანი:

ბათუმი-მათუმი იმან იცის (წეთ.); **შერთულებში-მერთულებში** დარეს (მანხ.); **კაცი-მაცი** არ გვეყავს (მანხ.); **ქურთები-მურთები** ყოფილან (ნიოლ.); წყლიანი ადგილები ნახეს, **ტალახიანი-მაღახიანი** (ნიოლ.); იმის შემდეგ **თამარა-მამარა** ვიცით (ნიოლ.); ბევრი საჭმელები იყო: ...**ფაფა-მაფა**...(შავშ.); არაფერი არ იცოდა, მარტვა **ფაჭვა-მაჭვა** ყანაში (ბაზგ.); აქ წიკავდენ **შეშას-მეშას** (დაბაწ.); **ჯიღლები-მიღლები** ჰალა მიყრილია (ნიოლ.); [წყალი] ყანაში გულუშვი, ასე გამეარს **ღობი-მობი** (ზ.).

თანხმოვანთა კომპლექსი **წყ** შეცვლილია **მ** თანხმოვნით მარცვალში:

წყალი-მალი ნახეს, იქ დამსხდარან (უ.); ჩომა-მომა აქ არ არიან (ა).

ხმოვნით დაწყებულ მარცვალს ემატება თანხმოვანი:

არაფერი არ იცოდა... **იგზე-მიგზე** (ბაზგ.);

ასევეა თურქულ სიტყვებშიც:

თურქა-მურქა ისეა (მანხ.); **ყალე-მალე** არ არი (ჯვარ.); **ნანე-მანე** არ გვიყვარს (ჩაქ.); **სუჯი-ბუჯი**, ყველა სოხრაში ფარას აძლევ (ბაზგ.); **ბიბერი-მიბერი**, რეჰანი ურთავ (სვირ.); **ბორელ-მორელ** ვაკეთებ (სვირ.); **დაღლი-მაღლი** ახალია, დაღლის გავაკეთებთ (უსტ.); **ემია-მემია** მყავდა (ნიოლ.).

ერთი რუსულიც სიტყვაც შეგვხვდა: **კულოკი-მულოკი** გვექნება(ბაზგ.).

12. ზოგი სიტყვის მნიშვნელობისათვის ამოსავალი ჩანს ძველი ქართული.

გაგამთელებს: ილაჯია, ავით გახდები, სვამ, **გაგამთელებს** (მან.). **მთელი** მომდინარეობს სიტყვისაგან **მრთელი**, რომელიც ძველ ქართულში ნიშნავდა **ჯანმრთელს**, შესაბამისად: **განმრთელება** – განკურნებას. ვიმოწმებთ ზ.სარჯველაძის ლექსიკონის მიხედვით (სარჯველაძე, 1995:35): ვევედრე ღმერთსა **განმრთელებისათვის** თქუენისათვის (მამ.ცხ.116,21).

ქორი: მევლადე, **ქორში** ვიყავ, თივა შეყვარე, ზამთარში ძროხას მივართმევ (ხევწ.); ამა **ქორ** ვეცყვიო ჩვენ, თივას ვინახავო (იფხ.); **ქორებ** ავაგვებო თივით (ბაზგ.); **ქორი** ააა, მერეგსაც ვეცყვიო... საბქელსაც (ჩაქ).

ქორი ძველი ქართული სიტყვაა, მისი მნიშვნელობაა „ზედა სახლი, ზედა სართული“ (ი. აბულაძე 1973:455). თვით შავშელთა განმარტებით ჩანს, რომ ამ სიტყვის მნიშვნელობა განსხვავდება მისი ძველი ქართულის მნიშვნელობისაგან. „ქორის“ მნიშვნელობას შავშელთაში და მის გავრცელებულობას საქართველოში განიხილავს რ. გუჯეჯიანი (რ. გუჯეჯიანი, 2007:152-158; შდრ. მ. ფაღავა 2010:48); აჭარულში **ქორს** ადასტურებს ვლ. მგელაძე (იხ. ვლ. მგელაძე 2010).

13. შავშური კილო ქართული ენის სხვა დიალექტებთან შედარებით მეტ სიახლოვეს, ბუნებრივია, ავლენს სამცხურ – ჯავახურთან, მესხურთან. ზოგიერთ სიტყვას პარალელი ეძებნება ჯავახურში.

წვე: **წვე** კარგი არ არის, **წვე** წინ ნუ გადიხარ (ა). **წვე** დაუცავს ჯავახურს, სადაც მისი მნიშვნელობაა **ძალიან:** **წვე** გააჭირვა ამ კაცმა საქმე; **წვე** გააზვიადა; **წვე** პატარაა, კაცო (არ. მარტიროსოვი, 1984:252). ამ სიტყვის აღნიშნულ მნიშვნელობაზე მიუთითებს ალ. ღლონტი: **წვე, მწვე** (მესხ.) **ძალიან, ძლიერ, ერთობ** (ალ. ღლონტი, 1984:700). ეს სიტყვა სხვა კილოებში (ლექსიკონების მიხედვით) არ დასტურდება. **წვე** ამავე მნიშვნელობითაა „ყარამანიანში“. „რუსუდანიანში“ 14-ჯერ ნახმარია **მწვედ**, 12-ჯერ – **მწვე. მწვე** გარეგნულად **მე** კონფიქსით ნაწარმოები მიმღეობა ჩანს (შდრ. ძველი ქართული: **მძლე, მწე, მნატრე...**), **მწედ** მისი ვითარებითი ბრუნვის ფორმაა იმავე ზმნიზედური მნიშვნელობით.

დავიმოწმებთ „რუსუდანიანიდან“ რამდენიმე მაგალითს, **მწვე:**

მეც **მწვე** დაგიმადლებო (198,18); თავად **მწვე** გვიამა და მერმე გაგვიკვირდა (408,10); გარედამ ისე ჩანდა ის კარი, მაგრამ **მწვე** სქელი და მძიმე თურმე იყო (451,14).

მწვედ:

ეწვინა **მწვედ** ზაფს (42,34); ის დევი დიდად საზარო სანახავი იყო, მაგრამ **მწვედ** ჯაბანი იყო (446,6); მისი ცხენოსან-მშვილდოსნობა უცხო იყო და **მწვედ** მიკვირდა (423,21).

ნაწილობრივ გადაუხვევთ საკითხს. მიმდინარე (2010) წლის 9 ნოემბრის „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა მ. თავდიშვილის წერილი – „დააყენეთ მოსაბაქედ“, რომელშიც ავტორმა იხმარა „**მწვედ**“: „მე როგორც ობიექტური და ნეიტრალური ფილოლოგი **მწვედ** დამინტერესა ამ ამბავმა...“ ისტორიკოსი, რომელსაც ეს წერილი ეხებოდა, პასუხში **მწვედ** სიტყვას (რამდენიმე სხვა სიტყვასთან ერთად) ბრჭყალებში ჩასმულ „ნეოლოგიზმად“ მიიჩნევს, რაც, როგორც ვხედავთ, არ არის სწორი (თუმცა **მწვედ** არ არის შეტანილი ქეგლის ერთტომეულში (ქეგლ,1986).

გადალაბიჯება ფართოდ გავრცელებული სიტყვა არ არის შავშურში, არც სხვა დიალექტებში.

ურდული მიკრულია, გადავდგი, **გადალაბიჯე** (ნიოლ).

გ – პირველი სუბიექტური პირის ნიშანი დაკარგულია. მესამე პირის ფორმით ეს ზმნა დასტურდება ჯავახურში, **გადალაბიჯებს** – კარები გაიღო და **გადალაბიჯა**. მისი მნიშვნელობა ასეა ახსნილი: დიდი ნაბიჯით გადავა, გადააბოტებს (არ. მარტიროსოვი, 1984:285). **გადალაბიჯა** მიღებული უნდა იყოს ორი მსგავსი შედგენილობის სიტყვის – **გადალაბიჯა** და **გადალაჯა** კონტამინაციით. **გადალაჯებს** – დიდ ნაბიჯს გადადგამს, დიდი ნაბიჯით გადავა რამეზე, **გადააბოტებს** (ქეგლ).

ნაჩარი შავშურში აღნიშნავს **ცუდს**. ასევეა მესხურშიც: მდარე, ცუდი, უხარისხო (ალ. ღლონტი 1984: 415). ნაჩარი გვხვდება ჯავახურშიც: ერთი **ნაჩარი** კაცი იყო (არ. მარტიროსოვი 1984:240). არ. მარტიროსოვი ამ სიტყვის ამოსავლად მიიჩნევს **ლაჩარს, ლაჩარი>ნაჩარი** ლ-ნ სუბსტიტუციით (33). ასეთი ახსნის დაბრკოლებად ჩანს შავშელთა ქართულში დადასტურებული ისეთი მაგალითები, რომლებშიც **ნაჩარი** უმეტესად **რა** ჯგუფის უსულო საგნების მიმართაც არის გამოყენებული:

გურჯები კარგებიც არიან და **ნაჩარიც** არიან (ა.); **ნაჩარი** თუ გაქ ენა და გული(მან.); მაზუთი ევლეო, **ნაჩარი** გამომადგაო (ჩაქ); ჰამან მივხტი, **ნაჩარი** ბენზინი ჩემისხათ'ნა?

გოუგენი, ვუთხარ, მე ქართველი ვარ, **ნაჩარი** ბენზინი არ ჩემისხათაო (ჩაქ); [ყაბადი] ხასი თუ არი, მოხარშავ, ჭამ, თუ ემეა, საძროხე იქნება, თუ **ნაჩარია**, ძროხას დუუჭრი (უ.მ).

თუ გავიზიარებთ, ახსნას **ნაჩარი<ლჩარი**, მაშინ გამოდის, რომ ამ სიტყვის ფონეტიკური ვარიანტის მნიშვნელობა გაფართოებულია.

ჭოჭე: **ჭოჭე** ყოფილა, ვერ გეარდენ, ინსანი ვერ ცხოვრობდა (იგ). ამ სიტყვის მნიშვნელობას აჭარულში განმარტავს პ. ჯაჯანიძე: ჭაობიანი ადგილი (პ. ჯაჯანიძე 1961:330). სხვადასხვა დიალექტის მიხედვით ალ. ღლონტი მიუთითებს **ჭოჭის** რამდენიმე მნიშვნელობას, მათ შორის: წყლიანი ადგილი..., ბლომად დაღვრილი წყალი; დაქცეული და დატბორებული წყალი. სარწყავი წყალი მინდორში რომ დაიფანტება, ის აჩენს **ჭოჭებს** (ალ. ღლონტი 1984:729). ჯავახურშიც არის **ჭოჭი** – ძლიერ დასველებული, ატალახებული, ჭაობიანი ადგილი (არ. მარტიროსოვი 1984:253). ზემოთ დამოწმებულ წინადადებაშიც კონტექსტის მიხედვით სწორედ ეს მნიშვნელობა ჩანს.

შავშურის ერთ-ერთი სოფლის ტოპონიმთა ჩამონათვალში არის „**ჭოჭნარები**“, რომელსაც ახლავს მოსახურის ასეთი შენიშვნა: „წყლიანი ადგილია და ისე დუურქმევნიან. თქვენში არ ეტყვიან? ტალახიანი-მალახიანი... ჰოჰო, ისეთი (ნიოლ). ასე რომ შავშური „**ჭოჭე**“ იმავე მნიშვნელობისაა, რაც სხვა კილოების „**ჭოჭი**“.

მერჩოლება. **რჩოლა** ნიშნავს საქონლის რქენას. შავშურში ამ ფუძის პირიან ფორმას აქვს სულ სხვა მნიშვნელობა. ეს კარგად ჩანს წინადადებაში: ვოტკა არ **მერჩოლება**, ბევრ დაველე (ჩაქ). კონტექსტის აზრია: „ვოტკა არ მაწყენს...“ ასეთი მნიშვნელობა ჰქონია ამ ზმნას ჯავახურში: ალბათ ბალახმა **ერჩოლა** (არ. მარტიროსოვი 1984:232). შდრ. **ერჩოლებიან** – აწყენინებენ (საბა 1949:111).

იმფოსერთი (<უმფროსერთი<უფროსერთი<უფროსი ერთი): ეს კომპოზიტი იშვიათია შავშურში, მისი მნიშვნელობაა „განსაკუთრებით“: ბევრი ხილი გვაქ, **იმფოსერთი** სხალი, ვაშლი, იჯება კარქა (მაჩხ.); **იმფოსერთი** იშვიათია აჭარულშიც. სამხრულში (მურღულის მეტყველებაში) ამ სიტყვას ადასტურებს შ. ფუტყარაძე: **იმფოსერთი** ქალები არიან მუუფერებელი (ინ.); **იმფოსერთი** ვეტყვით, არ დუუმაღაუთ (მ). **უმეტესი, უმეტესად** – ასე ხსნის ამ სიტყვის მნიშვნელობას შ. ფუტყარაძე (იხ. შ. ფუტყარაძე 1993:475).

საგულისხმოა. რომ ეს სიტყვა იმავე მნიშვნელობით, რაც მას აქვს შავშურში, დასტურდება ძველი ქართული მწერლობის გვიანდელი პერიოდის ძეგლებშიც. რამდენჯერმე იყენებს მას საბა, ოღონდ ამოსავალი ფორმით – ცალ-ცალკე სიტყვებად: ძველი ქალაქი ყოფილიყო დიდი და **უფროსი ერთი** გათლილის ქვით ნაგები (მოგ.ზ. 245); რამდენი უანგარიშო სხვა გვიჩვენა! სხვას სახლში – რაცა უცხო ფრინველი, **უფროსი ერთი** ცოცხლის მსგავსი (მოგ.ზ.199); სხვა სამკაულმა გამაოცა: უანგარიშო გვირგვინები, **უფროსი ერთი** აღმასისა (მოგ.ზ.241).

იგივე **უფროსერთი** გვხვდება „ქილილა და დამანაში“: საქმე **უფროსი ერთი** მას ეკითხებოდა (23); სოფელი ესე საზოგადოდ დაუცხ ბრძანებასა ღვთისასა **უფროსი ერთი** საწუთროს საქმე, რაცა ჩანს, მიზეზზედ ჰკილია (33); **უფროს ერთი** დიდებული მოწმენი იყვნეს (73);

„რუსუდანიანში“: შვილო, ესე ყოველი შენია, რომელსა ხედავ და **უმფროსი ერთი** არა გინახავს (364,19).

საგულისხმოა ისიც, რომ პირველ კომპონენტში მ არის ჩართული, თანდართულ ლექსიკონშია: **უმფროსი ერთი** – უფროსი ერთი, უმეტესი, მეტი წილი (774).

ხორომი/ხოხომი: სადამოზა **ხოხომს/ხორომს** გავაკეთებთ, ვხორმავთ (ნიოლ.).

მთის კილოებში პარალელური ფორმაა – **ხორამი**: თივის ბულული; მოხვეტილი თივის გროვა; ცხენზე დაკრული საგზაო თივა ან ჩალა; მესხურშია **ხორომი** – ფეხით დატკეპნილი თივა ოთხკუთხედის ფორმისა (ალ. ღლონტი 1984:760). აჭარულში (ზემოაჭარულში) გვხვდება ხორომი: „დედემ თორმეტი **ხორომი** თივა წიდილო“ ჩავიწერეთ შუახევში. ალ. ღლონტი განმარტავს **დახორომებასაც** – ძნად შეკვრა (ალ. ღლონტი 1984:200). არ. მარტიროსოვი შედარებით ვრცლად აღწერს **ხორომის** შეკვრის პროცესს, ჯავახეთის მკვიდრთა მიერ მიწოდებულს: „თივას გაშლიან, კარგათ გაშლიან, გადაკეცამენ სამჯერ სიგანეზე და ორჯერ

სიგრძეზე, შემოუჭერენ თულოს (ულოს). ვირს ერთს აქეთ და მეორეს იქით გადაჰკიდებენ, შუაში კი მესამეს ჩადებენ”(არ. მარტიროსოვი 1984: 254). სხვა კილოებში არ ჩანს ამ სახელისაგან ნაწარმოები ზმნის ის ფორმა, რომელიც შავშურშია დაცული: **ვხორმათ**.

დახსენება: [ჰაჯერად] ზათი მუსათან ვერაფერ ვერ **დამახსენებს**, შენი ანაჲ ასეო, ვერ იტყვის (ხევწ.). ამ სიტყვებს დედამთილი ამბობს რძლის შესახებ: ქმარს, მუსას, ჩემზე ცუდს ვერაფერს ეტყვისო.

დახსენება ვინმეზე ცუდის თქმაა, ცუდად მოხსენიება. ზმნისწინს (და) ამ ზმნაში აქვს დერივაციული ფუნქცია. აღნიშნული მნიშვნელობით **ხსენება** მხოლოდ და მხოლოდ **და** ზმნისწინით იხმარება. **დახსენება** აჭარულშიც გავრცელებული ლექსიკური ერთეულია.

რანდევი: მომდინარეობს ფრანგული სიტყვათშეერთებისაგან: **rendez-vous რანდე-ვუ** „შეხვედრა, პაემანი” (მ. ჭაბაშვილი 1989:423-587). **რანდევი** მიღებულია ზმნის (rendre) მეორე პირის ფორმისა და მეორე პირის ნაცვალსახელის შეერთებით. შავშურში **რანდევი** ფონეტიკურად შეცვლილია, **რანდევი** სხვა კილოებში არაა, იგი შავშურის „საკუთრება” ჩანს. შავშურში ამ სიტყვის მნიშვნელობის უკეთ წარმოჩენისათვის დავიმოწმებთ შედარებით ვრცელ ადგილს – სიტყვებს ქალბატონისას, რომელსაც ექიმთან შეხვედრა ჰქონია დანიშნული: „ახლა’ნა ჩევ-დე’ნა, მივდე კიდე, კონტროლი მაქ... **რანდევი** აღარ იგვიღია... შარშან **რანდევი** გვქონდა. რანდევი რა არი? ყაფი გახდები, ქი ამუალ დღე’და მოიდეო” (ხევწ.). (ყაფი kayit(di) რეგისტრირება).

ღვ ძირის ზმნა ცნობილი მნიშვნელობის გარდა აღნიშნავს რაიმე **საგნის ხმარებიდან გასვლას**, რომელიმე **ტრადიციული ჩვეულების მოშლას**. „კეცები ადგა, ახლა სობაა” (დავლ.); „ბუღდა არ ითესება, ადგა მად საქმე” (ხოხლ.); ჭიბონი ახლა **ადგა**” (შავშ.). ასეთი მნიშვნელობის გამო ეს ზმნა მხოლოდ წყვეტილის ფორმით იხმარება; არა აქვს აგრეთვე გარდამავალი, მოქმედებითი გვარის შესატყვისი ფორმა. ამიტომ მის საწყისად არ შეიძლება ჩაითვალოს **ადგობა**, ლექსიკონში იგი მხოლოდ **ადგა** ფორმით უნდა შევიდეს.

ამავე მნიშვნელობისაა აგრეთვე **„აწევა”**, რომელიც მოქმედებითი გვარის ფორმით იხმარება:

[ქორწილში] ისამებენ, ფულ აჩუქებენ, ახლა ის **აწიეს**, აღარ იჯებიან (უსტ.); ჩვენში კაი დუგუნი იციან. ყავარზე ადიან, ახლა **აწიეს** (უსტ.), იგულისხმება სასიძოს სახურავზე ასვლის ჩვეულება.

„აწევას” აჭარულში **დაკრძალვის** მნიშვნელობაც აქვს:

ხვალ დილამდე ვერ **ასწევენ** მაგას, მისიანმა დედტიროს და მედჯეროს გული (ხალა, მ.ცინცაძის ჩაწერილი მასალებიდან); ვიცოდე არ **ასწევენ**, დღეს არ წველოდი (ხალა).

სულ სხვა მნიშვნელობა აქვს ამ ზმნის საობიექტო მიმდებარებას - **აწეულია/აწევლი**. იგი აღნიშნავს **ახალდაბადებულის აყვანას**: „დუხელლი (ას ორმოცდაათი) თანე ღარჭი **აწევლი** მყავსო, ერთი კდარი დეიბადაო, ბითევი დეიზარდენო” (ბაზგ.). ეს არის სიტყვები იმ ბებიასა-ლისა, ვინც ფეხმძიმეები მოამშობიარა.

სამხრულ მეტყველებაში გავრცელებულია **გაკეთება** საწყისის შესაბამისი პირიანი ფორმები, რომელთა მნიშვნელობა განსხვავდება ამ ზმნის დღევანდელი მნიშვნელობისაგან. აღნიშნავს იგი **კარგად განდომას, გამოკეთებას, გალამაზებას**:

„მასკან ხელი დემეკრანხხა, ღმერთმა **გამაკეთა** (მტბ.); ღმერთმა **გაგაკეთოს, გაკეთდი**. ინშალა, კარგობა მოგცეს. დოდოფალ გამეყვანთ გარეთ, შევკაზმავთ, ურუბას ჩავაცვამთ, **გაგაკეთებთ**” (ზ.).

გაკეთებული გავრცელებულია აჭარულშიც, იტყვიან ადამიანზე, რომელიც წინანდელზე უკეთ გამოიყურება, გასუქებულია (მ. ცინცაძე, მ. ფალავა 1998:199). „გაკეთებული” ამ მნიშვნელობით გვხვდება „რუსუდანიანში”, „ქილილა და დამანაში”:

დღესა ერთსა ხელმწიფე მოედანს სეირნობდა და მეცხორემ დია **გაკეთებული** ბატკანი მიაართო (რუსუდ. 578); ამა ჭირსა მომარჩინო, **გამიკეთო** ავივე დრო (ქილ.244).

მოელ სამხრულ მეტყველებაში ფართოდ გავრცელებული ლექსიკური ერთეულია **მირთმევა**, რომელიც სალიტერატურო ქართულისა და სხვა დიალექტებისაგან განსხვავებით არ არის **პატივისცემის**, **მოკრძალების** გამომხატველი. იგი საერთოდ **ჭამის** აღმნიშვნელია. ამბობენ: „ამას ძროხას **მივართმევ**” (ხევწ.); „ბზესაც ძროხებ **მივართმევდით**” (ჩაქვ.); „მოლი ბევრია, მოჭარ, **მართვი** ჩომას” (ზ.). ჩვეულებრივ, ჭამის მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას შემდეგ წინადადებაშიც: „მირთმევა გიმიხარდება, ჰემ სვამ, ჰემ **მივართვამით**” (მაჩხ.).

კითხვა საერთოდ ცნობილი მნიშვნელობის გარდა აღნიშნავს **სწავლას**, **განათლების მიღებას** და **შელოცვას**. სწავლის მნიშვნელობით კითხვა ფართოდაა გავრცელებული:

მიღეთი აქ **იკითხავდა**, **ოქულში** (მაჩხ.); **ოთხი** ემე **ვიკითხე** (უსტ.); **ახლაც** ხოჯის ემეში არიან, **აკითხებენ** (ჩაქვ.); **გენჯები** მიდიან, **კითხულობენ**, **აღარ** მოდიან (უ.); **აქიდან** **კითხულობენ** ბევრი, **მარა** იქ **ნაკითხები** აქ არ ყაბულობენ (იფხ.); **ოთხი** წელწადი ვაკითხე; **ევა** **კითხულობს**, **ბელლი** არაა, **საღ'ნა** **იკითხოს** (იფხ.); **ანკარას** ვიყავთ, **ბაღვები** იქ არიან, **კითხულობენ**. **ბაღვებ** **ვაკითხებდი** წერვას, **მათემათიკს** (უ.); **ლოცვა-კითხვა** გენჯებს არ უყვარან (უბე); **ღარჭები** ერთი თანე, **ის** ემე არი, **ხოჯა**, **აკითხებს** (ივეთი); **ბაღნები** **კითხულობენ**, **ფული** არ შემარჩინეს (ივ.); **ლიცეში**, **აქ** ემეში იყო, **ართვინ**, **ართვინ** **იკითხა** (ჩაქვ.); **იკითხა**, **იკითხა** **დოსტორი** გახდა (უ.).

შელოცვის მნიშვნელობითაა **კითხვა** შემდეგ წინადადებებში:

თავი ასტკივდება ... **შვიდი** პირი'ნა **უკითხო** (სვირ.); **არც** **დოსტურმა**, **არც** **კითხვამა** ვერ გააკეთა (ვერ გამოაკეთა, ვერ განკურნა, კარგად ვერ გახადა) (სვირ.); **კიბილები** **აგტკივდება**, **ის** **უკითხავს** (სვირ.); **ვინცხა** ქი მეტყვის, **მიკითხეო**, **უუკითხავ**(მაჩხ.).

„ჩვენებურების ქართულის” ლექსიკონში „ნაკითხი” განმარტებულია, როგორც - „1. წანაკითხი. 2. მცოდნე, განათლებული” (შ. ფუტკარაძე 1993:522).

ცოცხლობა გარდა სიცოცხლისა აღნიშნავს **ცხოვრებას**:

ბათუმში შიგან ხარ? იქ **ცოცხლობ** (სვირ.); **ექვს** თვეს აქ **ვცოცხლობ**, **ექვს** თვეს – **რიხეში** (ჩაქვ.); **ართვინში**, **ორქოში**, **ზემთ** **ვცოცხლობთ** (ხევწ.); **ბაღვები** ყოფს **ცოცხლობს** (უბე); **ამ** ქილისეში **თამარა** მოსულა **უკანა** ხანებში აქ **უცოცხლია** (ზენ.);

ერთი და იმავე პირის მეტყველებაში:

უცოცხლიან ბევრ ხალხ აქ, ვერ გეარდენ, **ინსანი** ვერ **ცხოვრობდა** (ივ.); **იქ** **ცოცხლობენ**, **მცხოვრობენ** **იშტა** (ზენ.); **ისინი** **იზმითში** **ცხოვრობენ**, **მეც** **იქ** **ვცოცხლობ** (ბაზგ.).

„ცოცხლობა” იგივეა რაც რუსული **жизнь** - „ცხოვრება, სიცოცხლე”.

განსხვავებულია ერთი და იმავე ფუძის ზმნის ხმოვანთავსართიანი და უპრეფიქსო ორი ფორმის **ჩა-ვა-სხამ** და **ჩა-ვ-სხამ** მნიშვნელობა. ა პრეფიქსიანი ფორმა ნიშნავს:

ა. ჭურჭელში რაიმე სითხის (რძის, მაწვნის, წყლის, თხევადი კერძის ...) ჩასხმას:

დოღურთი'ნა ჩავასხა, ძე – არა (უსტ.). **იქში** **ჩაასხამ** მოხარშულს (უ.). **ცხელ** წყალ **ჩაასხამ** (ბაზგ.); **ღერვში** **ჩავასხამთ** (ხევწ.); **ტომათისის** ერთათ **დალით** **ჩავასხამთ** (უსტ.).

ბ. ბევრის წაყვანას, საქონლის გარეკვას:

მოლიოდენ ქართველები, **მოვასხამდით** **სახში** (შავშ.); **ჩიხორის** თავ **ჩავასხი** საქონელი (უსტ.).

უპრეფიქსო ფორმა ამ ზმნისა აღნიშნავს ცომის (პურის, მჭადის, ნამცხვრის) შესაბამის ჭურჭელში ჩადებას, საერთოდ ღუმელში შედებას გამოსაცხობად – ზოგადად გამოცხობას:

მე ჭადი'ნა **ჩავსხა**; **კვერებ** **დავაყენებთ**, **მემრე** **თექერენ** **ჩავსხამთ** **სობაში** და **გამუაცხობთ** (ჩაქვ.); **ჩვენც** **ჩავსხამთ** **მაგითანასა** (უსტ.); **იქ**, **სობაში**, **ჩავსხემდით** **გვერვებ** (უსტ.); **უწინ** **კეცში** **ჩავსხემდით**, **იქში** **ჩავსხემდით** (ბაზგ.).

საინტერესოა თვით მკვიდრთა განმარტება: „დაკვრასაც” იტყვიან, „ჩასხმასაც” იტყვიან ჭადზე; ჭადი'ნა **ჩავსხა**. აქ არ იციან „ჭადი'ნა დოუშვა”. ვიტყვით: „ფორმაში ჩავდებ, ჩავსხამ”(ა.).

ამ მნიშვნელობით მხოლოდ ჩა ზმნისწინიანი ფორმა იხმარება. შდრ.: ჩაი არ სვით? **ღეგისხას** (<ღაგისხას) კიდო? (ზაქ); [ბექმეზ] ვადუღებო, ვადუღებო. . . ჯვალში **გადავასხამო** (იფხ.).

სახვისო და სათავისო ქცევის ზემოთ აღნიშნული სხვადასხვა მნიშვნელობის ფორმები ემთხვევა ერთმანეთს: **ჩეგისხა, ჩუუსხი** ფორმებს კონტექსტის გარეშე შეიძლება ჰქონდეს ორივე მნიშვნელობა: **ჩეგსხა**(<ჩაგისხა), **ჩეგისხა**(<ჩაგისხა), **ჩუუსხა**(<ჩაგუსხა) რძე, მჭადი. . . პური'ნა **ჩეგსხა** (უსტ.), სახში შევიდეთ ჭადი'ნა **ჩეგისხა**, მუსაფირ გაგხდი, ჭად **ჩეგისხამ** (უ); კონტექსტით ხაზგასმული ზმნების მნიშვნელობა ნათელია.

დაწვენა - ბანკში ფულის შენახვის მნიშვნელობით არცერთ დიალექტში არ არის დადასტურებული (არცერთი ლექსიკონის მიხედვით). გვხვდება ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმაც: ათ-ათი მილიონი **დავაწვინეთ**; ფული **ვაწვინე**, ემექლი გაგხდი (ჩაქ).

ღორი - საინტერესოა, რომ ამ სახელს ყოველთვის არ ახლავს უარყოფითი შინაარსი:

ჩვენ რა **ღორი** ვართ, გურჯულიც ვიცით, თურქჩაც ვიცით (ბაზგ.); ეს დანულია, **ღორი** ქალია, მოლაპარაკე (სვირ.); თქვენ **ღორი** ყოფილხართ ჩვენზე (იფხ.); ჩვენ მაგარი გურჯი არ ვართ, ბლავვი გურჯი ვართ, **ღორი**'და იყვე (უ); მე მინდა, ქი გურჯიც'ნა იყოს გამჭრე, ამგვარი გურჯები მინდა მე - მაგარი, **ღორი**, კად (უ).

ერთ შემთხვევაში **ღორი** იხმარება **ავადმყოფობის** მიმართ, აღნიშნავს მის ხანგრძლივობას, ადრე განკურნების შეუძლებლობას: პირპილ არ ვიხმარებდით, **გაღორღებაო**, არ მორჩებაო (წეთ).

სამხრულ მეტყველებაში ფართოდ გავრცელებული სიტყვაა **ღარჭი**, რომელიც **ბიჭის, ვაჟიშვილის** აღმნიშვნელია. მისი ანტონიმია **ბაჭალა**, იშვიათად – **გოგო**: ეს მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას შემდეგ წინადადებებში:

შვილი ექვსი თანე მყავს - ოთხი **ბაჭალა**, ორი **ღარჭი** (მტბ.); **ბაჭალაც** შვილია, **ღარჭიც** შვილი (უ.მ.); ორი **ბაჭალა** მყავ და ერთი **ღარჭი** (სვირ.); ერთი **ღარჭი** მყავ, ერთი **ბაჭალა** (უსტ.); ერთი **ღარჭი** მყავს, სამი **ბაჭალა** (მტბ.); ორი **ღარჭი** ყავს, ერთი **ბაჭალა** (მან.); ქითაბში წერია, **ღარჭის** ანად ანადა, **ბაჭალას** ანადც ანადა, ორსავე ანადა (მანხ.); შვილი ოთხი თანე მყავს: სამი თანე **ღარჭი**, ერთი **ბაჭალა** (დ.); ორი თანე ძმას **ღარჭები** ყოლია, ერთ ძმას – **ბაჭალა** (სვირ.); მე **ღარჭი** არ მყავს, სამი **ბაჭალა** მყავს (უ); ორი **ღარჭი** მყავს, ორი **გოგო** (ნიოლ.); იმას ერთი **გოგო** ყავდა, არ ყოლია **ღარჭი** (შავშ.);

ღარჭი რომ **ვაჟიშვილს** აღნიშნავს, ჩანს შემდეგი კონტექსტიდანაც: შენი **ღარჭი** აქ'და დავასახლოთ (ხევწ.); დასახლება ვაჟის დაქორწინებას ნიშნავს.

„**ღარჭს**” ერთგან განსაზღვრებად ახლავს „ბიჭი”: „ჩემი **ღარჭი** პოლიცევში საქმობს, დიდი **ბიჭი**” (ხევწ.).

„**ღარჭს**” ენაცვლება „ბიჭი”:

ერთი **ბიჭი** მყავს იქა, ერთი **გოგო** (ზაქ); ორი **ბიჭი** მყავს, ერთი **ბაჭალა** (ბაზგ.); ოთხი თანე **ბაჭალა** მყავს, **ბიჭი** არ მყავს (ზაქ); **გოგო** ყავს აგზე, **ბიჭი** იქა ყავს (ზაქ); სამი **ბიჭი** მყავს, ორი **გოგო** (ზ.); ბადეები იქ მყავს სამი თანე **ბიჭი** (ზ.); **ბიჭებიდან** ვინ არი მომღერალები (ბაზგ.); ეს ამისი **გოგოა**, ჩემი **ბიჭისა** (ზ.); მე სამი **გოგო** მყავს, მე **ბიჭი** მყავდა, ამართვა ღმერთმა (მან.); ეს შენი **ბიჭია?** (ზაქ)

„**ღარჭის**” „**ბიჭით**” ჩანაცვლებამ გააფართოვა „**ღარჭის**” მნიშვნელობა: იგი აღნიშნავს საერთოდ „**ბავშვსაც**”; „**ღარჭის**” ეს მნიშვნელობა კარგად ჩანს შემდეგ წინადადებებში:

ოთხი თანე მყავს **ღარჭები** - ორი **ბიჭი**, ორი **ბაჭალა** (ზ.); ორი თანე **ღარჭი** ყავს - ერთი **ბაჭალა**, ერთი **ბიჭი** (ჩაქ); დუხელლი თანე **ღარჭი** აწვევლი მყავს, ერთი თანე კდარი დეიბადა, ბითევი დეიზარდენ (ბაზგ.).

ღარჭი, ღარჭები - ბავშვს, ბავშვებს უნდა აღნიშნავდეს შემდეგ წინადადებებში:

ვისი მასწავლებელი ხართ? მე იმისა **ღარტყებისა**-და (ზაქ.); თქვენ ხოჯები ხართ უნივერსიტეტში? **ღარტყებ** ასწავლით, არა? (ჩაქ.); **ღარტყები** დადიან მექთებში (ბაზგ.); ხამთარში **ღარტყები** იქ არიან, ჩემი **ღარტყები** ბითევი იქ არიან (ჩაქ.); **ღარტყები** დიდვანი გვეყავს (ჩაქ.); **ღარტყებმა** იციან, მე ვიცი, ჰამა ბევრი არ ვიცი (უსტ.); წვედა ჩემი კაცი ესკერში, დავრჩი მარტო, შეშა დამპობელი არა, კარი გამღებელი არა... **ღარტყი** გყავს, ტირის... მეიკიდე აკვანი ზრუგში (უსტ.).

„ღარტყი“ „ბავშვის“ მნიშვნელობით ძირეულია წარმოქმნილისათვის ღარტყობა = ბავშვობა: **ღარტყობაში** ერთი დედე იყო (ბაზგ.); **ღარტყობის** დროს გვეილოდით ბაჭლები (ჩაქ.). „ღარტყობა“ საერთოდ „ბავშვობას“ ნიშნავს (იხ. მ. ბარამიძე 2010.:10).

შავშურ კილოში განსხვავებული ჩანს ასევე ერთი და იმავე სიტყვის ორი ფონეტიკური ვარიანტის ლექსიკური მნიშვნელობა: **შეშა/შიშა**. მართალია, ეს სახელები იხმარება დღევანდელ სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებში ცნობილი მნიშვნელობით (შეშა – საწვავი), მაგრამ დაცულია არქაული მნიშვნელობაც: ხე (მოჭრილი, მასალა, მცენარე).

მოპოვებული მასალის მიხედვით, იკვეთება ტენდენცია – „შეშა“ გამოიყენონ ძველი, არქაული მნიშვნელობის გადმოსაცემად.

სრული წარმოდგენისათვის დავიმოწმებთ შედარებით მეტ მაგალითს.

შეშა: შეშით არი თქვენი სახლები? (ჩაქ.); [გველი] აქ, ჩვენ სახლებში, დეფნებში, **შეშის** სახლებში შამუა (ჩაქ.); უწინ **შეში(ს)** გობში ვზელდით (ბაზგ.); დავხრესავთ იმა **შეში(ს)** გობში (ჩაქ.); გობი იყო, **შეშის** გობი, აღარ არის (ჩაქ.); **შეშიდან** აკეთებენ კაპალას (ჩაქ.); კოლოფებ აკეთებდნენ **შეშიდან**, **შეშისა**, ჰო (ზენ.); დალით მოხრაკული გაკეთდება, **შეშის** კროჭში ჩავტენავთ (ჩაქ.); ეს **შეშის** გაკეთებულია, თეფშ ვეტყვით (შავშ.).

ხე იგულისხმება შემდეგ წინადადებაშიც: **შეშასავით** დადიან ფალაზები (ზ.).

შღრ: მივსცენით წმიდასა მას მონასტერსა, რომელნი არიან ესე . . . და ჯუარი სხუად **შეშისა** სხუად ხატი ერთი დიდი **შეშისა** და სხუად ხატები **შეშისა** (ტიპ.34ა 79,11); უქმად და უძრავად ორღანონი იგი მეტყუელებისა ჩუენისანი დუმილისა მიერ **შეშათა** ზედა დავჰკიდენით (მთაწმ.192,26).

შიშა: სობას ჰიჩ არ ვაპარებთ, **შიშა** გვაქ (მტბ.); რუსიე(ს) თერეფიდან **შიშას** არ წვაგდენ, ფიხი ბევრია (ჩაქ.); **შიშას** გავაჰაზირებთ (უ.); **შიშას** მეგტანთ კამიონით (მან.); ტყეებიდამ **შიშას** ზიდვენ (წეთ.); **შიშას** ძველათ მოტანილს ვხმარობთ (მაჩხ.); კაცი წვევიდა ტყეში, **შიშა**ნა ჩამედგანოს (წეთ.); აქ ბევრია **შიშა** (უ.).

საინტერესოა ისეთი შემთხვევა, როცა ერთი და იგივე პირი ამ ორ სიტყვას სწორედ ზემოთ აღნიშნული განსხვავებული მნიშვნელობით იყენებს: ძროხას ძველათ კალით დავაბამდით, **შეშის** კალი გაკეთდებოდა; ხიდან გაკეთებული ასე, მარჯილით მუათრევთ **შიშას** (ნიოლ.).

ორიოდე გადახვევა ჩანს ამ კანონზომიერებისაგან: „მარტვად დახვედა ასე **შეშას**“ (უსტ.); „კად ჰავა’ნა იყოს, კად წყალი’ნა იყოს, კად **შეშა**“ (უ.); „ფიწალს **შიშიდამ** ვაკეთებდით“ (უ.).

ამგვარად, სამხრულ ქართულს შემოუნახავს „შეშის“ არქაული მნიშვნელობა. უამრავი მაგალითია „ჩვენებურების ქართულში“ (მ. ფუტკარაძე 1993:204, 206, 235, 241, 276), რომლებშიც „ხის“ მნიშვნელობით სწორედ „შეშა“ არის გამოყენებული.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „**ხე** სიტყვის მნიშვნელობით თავდაპირველად იხმარებოდა **შეშა**, რომლის მნიშვნელობა შემდეგში თანდათან დავიწროვებულა“ (ივ. ქავთარაძე 1973:02):

მივსცენით წმიდასა მას მონასტერსა, რომელნი არიან ესე . . . და ჯუარი სხუად **შეში-სა**. . . სხუად ხატი ერთი დიდი **შეშისა** და სხუად ხატები **შეშისა** (ტიპ. 34ა79,11); ეგზომ ჯობდა იგი სახლი, რომელ პირველი ვითა ბედითი **შეშისა** ყოფილიყო (ამირ.86).

აღნიშნული ლექსიკური განსხვავებანი საინტერესოა შავშური კილოს ქართული ენის სხვა დიალექტებთან მიმართების თვალსაზრისით.

14. ბუნებრივია, შავშეთის ქართული ლექსიკის მნიშვნელოვანი ნაწილი თურქულია, მაგრამ აქაურმა მკვიდრებმა იციან თურქული სიტყვების ქართული შესატყვისებიც და იყენებენ კიდევ მათ. დავიმოწმებთ მხოლოდ რამდენიმეს.

ანაჲ – დედა: ამ ლექსიკურ ერთეულებთან დაკავშირებით შეინიშნება ტენდენცია: თურქულს (ანაჲ) იყენებენ უმეტესად მაშინ, როცა საკუთარ დედაზე ლაპარაკობენ, სხვა შემთხვევაში კი – ქართულს:

ანაჲ: ანაჲ, ბაბოჲ, ხუთი წლის ვიყავ მომიკდა (უ.მ.); ჩემი ანაჲ რაცხას გააკეთებდა, „ბერეკეთლი იყოსო“, იტყოდა (დ.); მეზნევა, ქი ანა, ჰაჯერაჲ ჰად არიო (ხევწ.); ჩემი ანაჲ და მისი ანაჲ დები არიან (ზაქ.); ჩემი ღარჭი მეზნევა, ქი: „ანაჲ, თოხუმი ევლოთო“ (უ.მ.); ანაჲ ნახე, და ნახე, შვილი ნახე (მაჩხ.); გურჯული მე ანას უკან დევწავლე (წეთ).

დედა: ხომ ფუშიდან გურჯი არ გამოდის, დედი(ს) ფუშიდან? (ჩაქ.); დედამ ქი არ გაგზანა, სახში ასაქმა (ბაზგ.); გედედა იქა, თავის დედამ არ მედწონა (იფხ.); მისმა დედამა, მამამა არ მოდიან სოფელში (ბაზგ.); დედა თხუთმეტ-ოცი წელიწადია, მიმყავს, მომყავს (ბაზგ.); დედა არ ჰყავდა (ჩაქ).

აღლული – ჯამაგირი: აღლული არ მაქ (ბაზგ.). – ჯამაგირი, ფარა აქ, ჰამა ცოტად (ჩაქ).

არაბა – მანქანა: მაშინ ორი არაბა უნდოდენ (ხევწ.). – რე იქნა მანქანა? (ხევწ.); მანქანა სად გაქვან? (ზაქ).

ახრაბა – ნათესი (< ნათესავი): ანაჲ არ მგონია შინ, ახრაბასთანა (ზენ.); ჩემი ახრაბა არის ის (ბაზგ.). – ჩვენი ნათესები იქ არიან (მან).

ბარდალი – ჭიქა: თითო ბარდალი ჩაი სვით (ზაქ.). – ქართველები ჩაისა დიდი ჭიქით სვამენ (მან).

ბაჯოჲ – და: ხალაჲ ანაჲს ბაჯოჲ იყო (ხევწ.). – ბიბოჲ ბაბოჲს და(ჩაქ).

ბაჰალი – ზვირი (ძვირი): ბაჰალია, ჰამა რაი'ნა ქნა? (ბაზგ.). – ზვირი არ არი ემე (წეთ).

ბუღდა – ხორბალი: ბუღდაჲ არ ითესება, ადგა მად საქმე (ხოხ.). – ზველათ ვოე-სეველით ქერ და ხორბალ, აქა ხორბლი(ს) ყანები იყო (ახლდ).

გურჯული, გურჯიჯა – ქართული ენა: აქ, სკოლაში, არ გვასწავლიან გურჯულს (ნიოლ.); ჩვენი ბევრი გადაბრუნებულია, გურჯიჯა აღარ დარჩა (ბაზგ.). – ჩვენი ნახვარი ქართული ენა (ხევწ.).

ზამანი – დრო: ზამანი თუ მოიდა, გზა გედსხნა, იქვერი მიწა მეტანეთ და დამყარეთო (იფხ.). – ზარმლი(ს) დრო მევიდა (ზაქ).

ზამანუნდა – ხან-ხან: ზამანუნდა კონტრაბანდა მოქონდა (წეთ.). – რუსები კიდევ ხან-ხან დადიან (ჩაქ).

თორუნი – ბადიში: აა, ჩემი თორუნი (ბაზგ.). – სამი თანე ბადიში მყავს (ბაზგ.).

ილაჯი – წამალი: (მ)თის ბალახი ილაჯია (ჩაქ.). – წამლებს ყლაპავს (უ).

მაია – (მაწვნის) დედა: მაიას ვურთობ (ბაზგ.); – ვურთავთ დედას, ერთნახევარ კოვზ მაწონს (ა).

მეზელული – სასაფლაო: სოფლის გაღმიდან მეზელულია (ბაზგ.). – იტყვიან, [თამარას] სასაფლაო აქ ქონია (მაჩხ).

მეზერი – სასვენი, სასვენებელი: მეზერში რა'ნა წედლო? (ჩაქ.). – თამარას სასვენზე ქვა იყო, ეწერა: „თამარ დედოფლის სასვენებელი“ (ბაზგ.).

მერდივანი – კიბე: ერთი ხალი ბათუმში მერდივანზე დაგებული მქონდაო (უსტ.). – გატყდება კიბე, ჩავარდები, ნენეჯან (დ).

მექთები, ოქული – სკოლა: მექთები ქი დეიფანტვიან...(წეთ.); ოქულიც იკითხა (ბაზგ.). – აქ სკოლაში არ გვასწავლიან გურჯულს (ნიოლ).

მუსაფირი – სტუმარი: მუსაფირები გყავს (დ.). – სტუმარები მოხვალთ (ბაზგ.).

დაბანი – გარეელი (<გარეული) ღორი: დაბანი აღარ არიან, ძველათ ბევრი იყვენ (უსტ.). – გარეელი ღორებია, ჩვენ არ ვჭვამთ (ხევწ.).

სამა – ცეკვა: ყველა (=ყველანაირ) სამას ვისამებთ (წეთ.); დედაბრებმა არც სამა ვიცით, არც მღერა (მაჩხ.). – აჲ ცეკვა ჩვენებურია, აქ იცეკვებენ (სვირ).

ვისამებო – **ვიცეკვებო**: **ვისამებო**, ზისანდარმა დუჟკარ (უსტ.). – შევდიოდით, **ვიცეკვებოდით** (მან.);

სასამურად – **საცეკვაო**: ეს **სასამურადა**, **ორთაბათუმურად** (ჩაქ.). – „ორთაბათუმურას“ ვიტყვით, **საცეკვაო** მუზიკას(ხევწ.).

სოდალი – **გვარი**: უბეში ბევრი **სოდალი** არი; ჩვენი ძველი **სოდალი** ბაირახტარია (უ.). – ძველი **გვარი** აღარაა, ადგა, ახლა ახალი მოვდა, თურქული (სვირ.).

ფარა – **ფული**, **სათლელი**: მე იმ სოკოში **ფარას** არ მივცემ (ბაზგ.). – აქ **ფული** ვერ თხოვ ვერავის (ჩაქ.); **სათლელი** ედღე? „**სათლელი**“ ფარას ქვია, **ფული**, **ფული**. ქართულა(?) „**ფარას**“ ვეტყვით, „**სათლელსაც**“ ვეტყვით, „**ფულსაც**“ ვეტყვით (ჩაქ.).

ქი – **რომ**: იმ ქალმა თქვა, **ქი...**(ხევწ.). – ამ მანქანით **რომ** დარო (უ.).

ჰუქუმეთი – **(მ)თავრობა**: აგინი გუგუზანიან **ჰუქუმეთთან** (ნიოლა). – ჩვენ ჩვენი **თავრობა** გვაჭმევდა, გვასმევდა(მან.).

ზემოთ დამოწმებული ლექსიკური ერთეულები ეკუთვნის სხვადასხვა მოსაუბრეს, დასტურდება ტექსტების სხვადასხვა ადგილას, ზოგი ჩაწერილია სხვადასხვა სოფელში. გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა თურქული სიტყვა და მისი შესაბამისი ქართული ვარიანტი ერთმანეთის გვერდითაა, ეკუთვნის ერთსა და იმავე პირს. რჩება შთაბეჭდილება, რომ მოსაუბრე ქართულ შესატყვისს განმარტებად ურთავს თურქულს (ალბათ ჩამწერთათვის):

ონ სექიზ სენე აღარ არი – **თვრამეტი** წელიწადია (ბაზგ.); **ონ** ალთი თანე **ბაან** ვარ, **ქალები** (ხაქ.); ბევრი **ისამებუნ**, **იცეკვებუნ** (ზ.); ამ ასკერს ერთი თანე **გურჯი** ახლავს, **ქართველი** ახლავს (ჩაქ.); **შარაბი** იყო იშტე ბევრი ხნის, **ღვინო** უკეთებიან (უსტ.); ამას **კიბეს** ვუძახით ჩვენ, **ქართველები**, **მერდივანიც** ქვია (იფხ.); აქ **ხილი**, **მეივა**, თელი არი (ზ.); **ერბო**, **დადი** – თელი ერთია (ბაზგ.); ...**ყაშული**, **კოვზი**, მაწონში ჩადევ (ა.); ერთი ბადვი **ბოშად** იყო, **ცარიელზე** იყო ოქულიდან წამეყვანე (მანხ.).

თურქულ სიტყვას **boş** აქვს სხვადასხვა მნიშვნელობა: 1. ცარიელი, 2. თავისუფალი. მოსაუბრემ მის შესატყვისად გამოიყენა პირველი – „ცარიელი“.

15. შავშურ კილოში მრავლადაა სიტყვათა მყარი შეხამებანი, რომელთაგან ზოგს აქვს პარალელი ქართული ენის სხვა დიალექტებში, ზოგი კი შავშურის კუთვნილება ჩანს.

ლექსიკის ეს ნაწილი ცალკე კვლევის საგანია. ამჯერად წარმოვადგენთ შავშურში შედარებით გავრცელებული ფრაზეოლოგიზმების ნაწილს (იმ სახით, როგორითაც იხმარეს მთქმელებმა საუბრის დროს).

- ხუჭი არ მიქნია ძილი.
- არ მიათბო.
- ფუხარადან გამოხველ, ფუხარაში ჩავარდები.
- ჭკვა დეიკარბა.
- არ მაქ ყაფაში.
- ძალანჩი დუნია.
- იშმარი მისცა.
- ცოდვა არ დეგედვა.
- ჯან აძლევს.
- სულის ეზიეთშია.
- ისე იქნა („მოკდა“, „გაცდა“ - ფინთია ასე ნათქვამი).
- ამდენი ჭკვა არ მიჭრის, დავთესე.
- რა დორი ხარ!
- დოხტურმა რა ქნას, ღმერთია დოხტური.
- ვერ დევეჭირე რემეზანი.
- ჩემი დერდი წეძლო.
- უსაქმური პურ ვერ ჭამ.
- ზექერია, ზექერია, შენი ვაშლი შექერია.
- ენა დემება.

- ტყვილი ტყვილს იპოვს.
- ღმერთი სად არი, შენი საქმე არ არი.
- კაკლის ხეჭბოდან გამოსულა, ჩემი თავი არ მოწონს.
- გაზენგილებულა და ცხვირი გუუზდია.
- ანი ნახე, და ნახე, შეილი ნახე, მადლიაო.
- ბერი ხარი რქიებ ქვემოთ დედებს.
- უდერდელი იმ დუნიასაა, იქ არიან.
- ეს თავის ქერქშია.
- მაგას ჭკვა დათესილი აქ და თიბავს.
- დუზი გზაა, კვერცი არ გადაბრუნდება.
- ხებერი არ მაქ.
- მე ჩუმი არ გამილია.
- საბრი ყაბი ეივსობა, გადმოდინდება.
- დღე ვარ, ხვალ არ ვარ.
- რაცხა ჭკვაში არ ხარ.
- ყუსურზე არ დიმიჩეო.
- [სახელი არ მახსოვს], ენი წვერზე მიგორავს.
- [დაბერდა], ხაპერში ჭკვას ველარ ჭუჭკავს.
- გემქცა გემო [დაბერდი].
- ევქნიე ხელი.
- გავაქციეთ გენჯობა.
- საქმეში შესულა.
- თელეფონი გუუხსენ.
- იმდენი ჭკვაში მოსულიყო.
- ჭკვაში არ იყო.
- გემო გეველოთ.
- სხვამ თავი ჭამოს, შენ ტიტვირები ილოკე.
- [იციან, ამა] არ ბრუნავს ამათი ენა.
- არ უბრუნავან ენა.
- დაბლაყუნობ, ვერ მოხვალ ჭკვაში.
- ვერ დევეჭირე მარხულობა.
- ხებერი მოგვეცი.
- თავი იპუა (=დაკაცდა).
- იდარე ვიჯები.
- ჩემ ღარჭზე შეიდ წელწად თვალი ქონდა.
- ღარჭზე დაწვა.
- მახლოვდა დაწოლის დრო.
- დღეებში ჩადგა.
- საცხა მიხვალ, იქ ჭამ პურ.
- ყაზა ქნილა.
- პური ვჭამეთ.
- ამართვა ღმერთმა უკან.
- ტელეფონი უკრავს.
- ღმერთი თავით დეგვიქნევს.

§2. თუხუცი ლექსიკა შავშუხში

შავშუთი თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია და, შესაბამისად, შავშური კილო განიცდის თურქული ენის ძლიერ გავლენას. შავშელები უმეტეს შემთხვევაში ორი ენის – ქართულისა და თურქულის მატარებლები არიან. სოფლებში ქართული ენა უფროსი თაობის საურთიერთო ენად დღემდე იხმარება. ბუნებრივია, შავშელთა ქართულ მეტყველებაში თურქული ლექსიკა.

აბლა – (თ. Abła) - „უფროსი და”. ასაკით ცოტათი უფროსი ქალისადმი ზრდილობიანი მიმართვა [ლექსიკონი 2001. 14; შ. ფუტკარაძე 1993.: 373]. „ემინე აბლა, ჩამოდ, შენ რაცხაები იცი” (დ.3). „ემინე აბლა, შამოდ შამოდ!” (დ.).

ადეთი – (არ. Âdet) - „ჩვევა”, „ჩვეულება”, „ადათი”, „ადათ-წესი” (ლექსიკონი 2001.:24; შ. ფუტკარაძე 1993.:374): „დალანჩი ბეშლი მოგვიტანეს. ესენი მემრე ვეიდე, არ არი იქა ადეთი” (ზაქ.); „წინ-წინ გოგოს არვინ არ კითხევდა, მედწონებდა არ მედწონებდა. ის ადეთი უმფო კად იყო, ახლა არ გვიდინგლავს” (შავშ.); „გელინის ლაპარაკი ადეთი არ იყო, ჰამა მე ბევრი საბრი არ მიქნია” (შავშ.)...

ავადველი – ავადმყოფი – (შ. ფუტკარაძე 1993.:374): „ავადველი გახდები გულზე წივიტი-როს, დაახველებენ, ეგა დაალვეიებ” (დ.)...

ალთუნი – (Altın) - „ოქრო”, „ოქროს მონეტა” (ლექსიკონი 2001.:56; შ. ფუტკარაძე 1993.: 377): „ბეჭედი ალთუნი იყო” (შავშ.); „დოდოფაღ მიეცემდით ფული, ჩასაცემელი, ალთუნი, დაზმა” (შავშ.). „ალთუნებიო და ეძებენ, აქ არიანო ამბობენ” (სვირ.); „ახლა ალთუნი’და ამეილო? (ს. უსტამისი). „ოც წელწადზე ვძებნე ალთუნი, მაქინა მქონდა” (ივ.); „ალთუნი აბა არ მექნებიან? ჰამა მაღავთ მაღავთ” (იფხ.)...

ანა – (თ. Anne) – „დედა”. „ანაჲ ბაბოდ ყავდა, დედხოცნენ” (ბაზგ.); „ჩემი ანაჲ და მისი ანაჲ დები არიან” (ზ.); ისე ვერაფერ ვერ დამახსენებს შენი ანაჲ ასე ისეო” (ხევწ.); „ანაჲ მა-ჭახლურია, ჩვენი ძალიც მაჭახლურია” (ზაქ.). „ჩემი ანაჲ და მისი ანაჲ დები არიან” (ზაქ.); „ამის ანაჲ თეფე ქოიდან არი” (ჩაქ.).

თანამედროვე „Anne”-ს ძველი ფორმა „Ana” და ნიშნავს „დედა”-ს (ლექსიკონი 2001.:63; შ. ფუტკარაძე 1993.:380).

ანჯახ – (Ancak) - „მხოლოდ”, „ძლივს”, „სრულიად მარტო”, „მარტოდმარტო”. (შ. ფუტკარაძე 1993.:381; ლექსიკონი 2005.:97): „თურქის იდარეთი იყო და ანჯახ მელლი ემეები”... „ქართველებს უქუშეთი არ ქონდენ. ანჯახ ერთმანეთში ემეღ ვიყავით, არეული და ვიცოდით, ქართველი, ანი!”...

არაბა – (Araba) – 1. „მანქანა”, „ურემი”, „საზიდარი”, „ეტილი”; 2. ავტომანქანა. 3. ვაგონი. 4. ხეობის, ბავშვის ეტილი (ლექსიკონი 2001.:66; შ. ფუტკარაძე 1993.:382). შავშურში იგი ავტომანქანისა და ურმის მნიშვნელობით დადასტურდა: „მე ქი ვერ ამოვალ ზემოთ, თქვენ არაბადო წახვალთ” (ბაზგ.); იშტე არაბა იქ დგება იქა” (ზაქ.); მეიყრებიან ბევრი მილეთი იშელიებენ და ისევე წავლენ არაბადო (დ.); რა იჯები? შენი არაბა ვერ გიცნია: ჩემ დეგან-მა’ნა წივიყვანონ არაბით’ნა” (უ.)...

არხათაში – (თ. Arkadaş) - „მეგობარი”, „ახლობელი”, „ამხანაგი”. „ეს არ წამევიდა ართ-ვინ. არხატაშები ყავს აქ” (ხევწ.); „ერთი ქალი მოიდა, ლაზი იყო, დევინახე, ეს ჩვენი ვინცხა არი მეთქი. არხატაშები არიან, შემეშინა, რაცხა’ნა დავმართონ’ნა” (ჩაქ.)...

³ ნაშრომში მოხსენიებული სოფლების ამჟამინდელი თურქული სახელებია: ბაზირეთი – Maden, დაბა – Demirci, ზაქიეთი – Yağlı, ზოსი – Tepebaşı, ივეთი – Mısırlı, იფხრეელი – Taşkırpi, სვირეანი – Dutlu, უბე – Oba, უსტამისი – Eski kale, ჩაქველთა – Şenocak, ჩხვთა – Akdamla, წეთილეთი – Erikli, ხევწრული – Galayan.

სიტყვა „Arkadaş” ორი ნაწილისაგან შედგება: „Arka” - ზურგი და „Taş” - იგივეა რაც „Daş” تاش და ნიშნავს თანამონაწილეს, სიტყვა-სიტყვით თანამეზურგეს (ლექსიკონი 2001.:69-70; შ. ფუტკარაძე 1993.:384; Kâmüsî 1989.:1039; 119).

ახრება – (თ. **Akraba**) - „ნათესავი”: „ჩხუტუნეთ ქუეყანს ახრებები – ჯაფერ, მენსხურ დელიასანოდლები” (ბაზგ.); „მოკდენიხან უთქუამს ქი ნენესა, გეიხსნება კარები, ჩემი **ახრება** არ დაკარქოთო” (ბაზგ.)...

შემს-ედ-დინის მიხედვით **ახრება** - **Akraba** - براق ძველ თურქულში იკითხება „აყრება”, ხოლო თანამედროვეში გადმოსულია როგორც „აქრება” და ნიშნავს „ნათესავს” (ლექსიკონი 2001.:42; შ. ფუტკარაძე 1993.: 389; Kâmüsî 1989.:23).

ბალდუზი – (**Baldız**) – ცოლის და (ლექსიკონი 2001.:113; შ. ფუტკარაძე 1993.:392; ლექსიკონი 2005.:191): „ბალდუზებიც მოვლენ აქა დიმინახონ’და” (დ.)...

ბარდადი – Bardak - بارجاق – იკითხება როგორც „**ბარდაყი**” (ლექსიკონი 2001.: 116; შ. ფუტკარაძე 1993.:393; Kâmüsî 1989.:261).

ბალვი – „ბავში” შ. ფუტკარაძე 1993.:394): „ბალვი ოთხი თანე ყავს” (ზ.).

ბადრამი – (Bayram) - „დღესასწაული”, „ზეიმი” (ლექსიკონი 2001.:131; შ. ფუტკარაძე 1993.:393): „რემეხან ბაირამი ვიცით, რემეხანს დევჭირავო”.

ბაჯალა – „გოგონა”, „ქალიშვილი” (შ. ფუტკარაძე 1993.:395): „ბაჯალა თახეა წასული, თავდაღმა ჩუყევით, იქ უმფო იპოვო” (ზ.). „ბაჯლები არ მედწონებენ კაცებ, ისე არიან. ჩვენთან ჰემ „გოგოს” ეტყვიან ჰემ „ბაჯალას” (ზ.)...

ბიბერი – (**Biber**) - „წიწაკა”, „პილბილი” (ლექსიკონი 2001.:150; შ. ფუტკარაძე 1993.:393): „ერთი თანე მარლიც ჩუურევო, ბიბერი, ნიორ ემეში ჩუურევ, ჯამში” (ჩაქ.); „გვაქ ყარა ბიბერი, ყირმიზ ბიბერი” (ჩაქ.).

ბითუმ (ბითევი) – (Bütün) - „ყველა”, „ყოველთვის”, „მუდამ”, „ყველაფერი” (ლექსიკონი 2001.:190; შ. ფუტკარაძე 1993.:398): „დედასავით ბითუმ კაინა იყოს” (იფხ.). „ბითევი ბათუმლები ხართ” (ბაზგ.). „აქვერი ბითევი იქ არიან” (ბაზგ.); „იმან ბითევი იცის. აქ ბითევი ქართულია” (ზ.).

გელინი – (თ. Gelin) „რბალი”, „პატარბალი”, „ახალდაქორწინებული” (ლექსიკონი 2001.:515; შ. ფუტკარაძე 1993.:416): „ერთი ბიჭი დავასახლე, ორ წელიწადში მუუკდა ქალი, შვიდი, ვრა წელიწადია, ერთი გელინი მყავს” (ხევწ.); „არ ვიცი, გელინი საიდან’და მეყვეანოთ, გურჯი დაჰა კად იქნება, არ იქნება... (შავშ.)...

გელინლუქი – (Gelinlik) – პატარბლობა, საპატარბლო (ლექსიკონი 2001.:515; შ. ფუტკარაძე 1993.:742). **lik** – მაწარმოებელია, რომელიც დანიშნულების სახელებს აწარმოებს. „გელინლუქის უკან იდო და მეიტანდნენ” (ა.); ჩემი გელინლუქის კაბა მე შევეკერე” (ა.)...

გენჯი – (თ. **Gençler**) - ახალგაზრდა, ჭაბუკი, ყმაწვილი (ლექსიკონი 2001.:518): „დედაბერი თუ მოკდა, არ ვიტირავო, გენჯები თუ მოკდენ, დიდი ტირილი გვაქვან მაშინ”...

გურჯი – (თ. **Gürçü**) - „ქართველი” (ლექსიკონი 2001.:562; ლექსიკონი 2005(1):421): „ჩვენ კად გურჯი არა ვართ, ბლაცყვი გურჯები ვართ” (უ.); „იზმითი ისტამბულ ახლოა. იქ ჩვენი გურჯები ბევრი არიან” (უ.); „გურჯები არიან, ჰამა იქვერი ლაპარაკი და ჩვენებური ლაპარაკი ერთი არაა” (უ.); „აქავრელები გურჯი ვართ, არ ვიცი ქი რაი გითხრა?” (უ.)...

გურჯისტანი – (Gurcistan) - „საქართველო”: „გურჯისტანი იქოვრობა ლამაზი ყოფილა” (ბაზგ.); „გამოგწიოს, წედლოს’ნა გურჯისტანში, ბათუმში” (ბაზგ.); „ერთი ბიჭი დავაქორწილო’და, გურჯისტან არი” (ზ.); „მოდიოდენ გურჯისტანიდან, გამოადლებიეს ფაშაფორთი” (იფხ.); „მოსულები არ ვართ გურჯისტანში არიან ჩვენი ხისიმები” (იფხ.)...

გურჯიჯა/გურჯიჯე – (თ. **Gürçüce**) - „ქართული ენა”, „ქართულად” (ლექსიკონი 2001.:562; შ. ფუტკარაძე 1993.:421; 814): „ჩვენი ბევრი გადაბრუნებულა. გურჯიჯა აღარ დარჩა” (ბაზგ.); „ხველადაც არ იცოდენ შავშეთში გურჯიჯა” (ბაზგ.); „ჩვენც ჰუქუმეთში მოვალთ,

გურჯიჯა ხომ არ ვლაპარაკოფთ” (ჩაქ). „აქოვრობაში ჩვენებურად გურჯიჯა ვლაპარაკოფთ” (ჩაქ)...

Gürcü - „ქართველი”: „აქავრობაში უწინ ზათი სულ გურჯი ყოფილა” (ზაქ)...

დადე – **მდადე** (ქალის მყარი) – [შ. ფუტკარაძე 1993:424]. „დადე, ამისი ემოსი დის ქალი, მოიდა; დადე სამიჯ იქნება, მარა იმდენ ცხენებს ვერ იპოვიდა” (შავშ.)...

დადინგლება – (Dinlemek) - „მოსმენა”, „ყურის გდება”, „გაგონება”, „დასვენება” (ლექსიკონი 2001:349): „ხუთ დდეში აქ დუგუნი იქნება, მაშინნა დუუდინგლო” (ბაზგ.); „სიმღერის ვახტი მაქ? დიმიდინგლე!” (ხევწ.); „თქვენ კასეტები არ გაქვან, მე ვუდინგლო?” (უ).

დედე – (თ. Dede) – 1. „ბაბუა”, „პაპა”. 2. **წინაპარი** (ლექსიკონი 2001: 312; შ. ფუტკარაძე 1993:431): „ღარჭობაში ერთი დედე იყო, მოვდოდა, იკითხევდა წვედოდა” (ბაზგ.). „ჩემი დედე აღარ მყავს, ერთი წელიწადი გახდა” (ზ.); „მე რომ წაველ, დედე შავშეთ მივდოდა” (ხევწ.); „ჩემი დედე ბათუმ გადასულა, ფენა ადგილიაო, იტყოდა” (ხევწ.); „ერთი გოგო გაქცევლა, ჩემ ანას ბაბომ, დედემ გამუთქვა ლესკი” (შავშ.)...

დეველეთი – (Devlet) - „სახელმწიფო”, „იმპერია” (ლექსიკონი 2001:338; შ. ფუტკარაძე 1993:432): „მე წასული ვარ დეველეთიდან (იგულისხმება სახელმწიფო სამსახური – ვ. ჩ.) ერთი შვილი მყავდა მოკდა, ბერი არი სახში” (ბაზგ.).

დენიზი – (Deniz) - „ზღვა”, „დეღვა”, „შტორმი” (ზღვაში) (ლექსიკონი 2001:324; შ. ფუტკარაძე 1993:434): „სარფში დენიზი ქენარში ჩამოსული ვარ მე, მაშინ გახსნილი არ იყო, ახლა გახსნილია” (ზაქ). „ხოჯასთვის უთხრობიან ქი, წვედეთ დენიზი ქენერში და ზიაფეთი ვქნათო” (ზაქ)...

დეყე – არ. „دقيقة” (Dakika) – „წუთი”, „დროის უმცირესი მონაკვეთი”: „ზემთ არაბად ოც დეყეზე ავა” (ბაზგ.); „ერთი დეყე გამასვენე!” (იფხ.)...

დოხტორი – (Doktor) - „ექიმი”, „მკურნალი”, „დოქტორი” (სამეცნიერო ხარისხი): „ერთი გოგო დოხტორია ართვინ” (ზ.); „ასე ავად გახდები, დოხტრები არიან? თქვენებურები არიან” (ხევწ.); „ჩემ მეზობელმა იკითხა იქავრი და ვერ გახდა დოხტორი, ბათუმში იკითხა და აქ ვერ მუუგია” (ხევწ.).

დუა – (Dua) - „ლოცვა” (ლექსიკონი 2001:382; შ. ფუტკარაძე 1993:439): „დუა დაწერე, წყველა რაწა ქნა?!” (ხევწ.); „გათავდა დუა კარგობით” (ხევწ.); „დალოცვა გურჯიჯა არაა, თურქია არი ღმერთის დუა თავზე იყვეს” (უ); „ძალმა იცის დუა ჰამა” (ს. უბე); „ამან დუები კად იცის” (სვირ).

დუგუნი – (თ. Düğün) - „ქორწილი”, „წინადაცვეთის რიტუალთან დაკავშირებული ღხინი”: „დუგუნში მღერობენ გენჯები” (ბაზგ.); „ხუთ დდეში აქ დუგუნი იქნება, მაშინნა დუუდინგლო” (ბაზგ.); „დუგუნია იქ იყავ და უდინგლე” (ბაზგ.)...

ეთრაფში – (Etraf) – მხარეები, გარემო, მიდამო, არემარე (ლექსიკონი 2001:445; ლექსიკონი 2005(1):664]. „იქიდან მომსვლელი კაცები ეტრაფში დაჯდებიან” (ვარდ.)...

ემექლობა – (თ. Emekli) – I. **პენსიონერი, სამსახურიდან გადამდგარი** (ლექსიკონი 2001:424): „ემექლობა გაეხდით, ჩვენ ახლა არ ვმუშაობთ”; „ახლა ოღრეთმენი ქი ხარ, ემექლი გახდები, ფარა არაა იქა?” (მან.)...

ზათი - (არ. zaten/zati) - „საერთოდ”, „სულაც”, „წინათ”, „მთლიანად”, „ბარემ”, **სწორედ** (ლექსიკონი 2001:1519; შ. ფუტკარაძე 1993:456]: „ჩალასაც შევხკონავთ, ჩვენ ძროხებს მივართვამთ, ამა ძროხებიც აღარ აღი ზათი”; „ამა ახლა ზათი აღარც ძროხა არი, აღარც ქერი, აღარ ვთესავთ ზათი”; „ზათინ იშტე, მე რა ვიცი, რას აკეთებს” (ჩაქ).

თაბუთი – (Tabut) - „კუბო”: „ორი თანე ხოჯა მოვლენ, გამაბანებენ. იმა უკან თაბუთში ჩამდებენ, თაბუთის წასადებელად შენ მიმოსველ, მეზერში ჩამდებენ” (სვირ.)...

თანე – (Tane) - „ცალი” (ლექსიკონი 2001:1321; შ. ფუტკარაძე 1993:464]: „დიდ ძმას სამი თანე ბავშვები ყავს, ემეში ყავს” (ბაზგ.); „ორი თანე რუსი იყო” (ბაზგ.); „მეზობლები თელი

მოკდენ თითო **თანე** არიან, ყურბეთში არიან” (უ); „ორი **თანე** ძმას ღარჭები ყოლია, ერთ ზმას ბაჯალა” (სვირ.)...

თერეფი/თარაფი – (Taraf) - „**მხარე**” (ლექსიკონი 2001.:1324; შ. ფუტკარაძე 1993.:466; ლექსიკონი 2005.:1904): „წასული არიან ამ **თერეფი**დამ ბევრი ინეგოლ, ისტამბულ, იზმით” (ბაზგ.); „მაჭიხელის **თარაფი**დამ ბევრი არიან გადმოსახლებული შიგან თურქიეში” (ბაზგ.); „ოთხ **თერეფ**ში წინ პალკონ გადავაშვერიებთ” (წეთ.)...

თექრენ – (tekrar) - „**ხელახლა**”, „**კვლავ**”, „**განმეორებით**” (ლექსიკონი 2001.:1342; შ. ფუტკარაძე 1993.:467; დეველიოლლუ 1998.:1067): „**თექრენ** აქიღამა სელჩუკლი თურქებ გუუწუხებია, გაქცევლა” (დ.)...

თედზე – (თ. Teyze) - „**დეიდა**” (ლექსიკონი 2001.:1360; ლექსიკონი 2005(1):1971): „თედზე ახლა ანადს დას ებნევიან” (ხევწ.)...

თომათესი – (Domates) „**პომიდორი**” (ლექსიკონი 2001.:369): „მეზობელმა ძე მემიტანა, **თომათესი**, კიტრი” (დ.).

თორუნი – (Torun) – „**შივლიშივლი**”, „**შივლთაშივლი**” (ლექსიკონი 2001.:1372); „ოცდაოთხი თორუნი მყავს” (ზ.); „**თორუნი**? ონალთინე მყავს, სამი თანე ბაჯალა იქ მყავს” (სვირ.); „ღარჭი დასახლებული არიან. ზამთარში ანტალიას, აღმანიაში მიდიან. ექვსი **თორუნი** მყავს” (უ.)...

თურქა – (Türkçe) - „**თურქული (ენა)**”, „**თურქულად**” (ლექსიკონი 2001.:1381; შ. ფუტკარაძე 1993.: 471): „იმღერებენ გენჯები, მე ვერ ვიტყვი, მე **თურქა** ვიცი” (ბაზგ.); „აკვანში ჰვლებთ უმღერებენ, ჰამა ქართულად არ არი, **თურქას** ებნევიან” (ბაზგ.)...

თურქულში **ცა, ცე** არის მაწარმოებელი, რომელიც ქართული „ულ“-ის ფარდია.

ინსანი – (არაბ. İnsan) – 1. „**ადამიანი**”, „**კაცი**”. 2. „**ადამიანური**” ლექსიკონი 2001.:458; შ. ფუტკარაძე:475; ლექსიკონი 2005.: 440; დეველიოლლუ 1998.:972]: „**ინსანი** ხანდახან ვერ დაკვირდები (ხევწ.). „ერთ ენაზე დეილაპარაკებ, ერთი **ინსანი** ხარ, ორზე დეილაპარაკებ – ორი”(დ.)...

შეგნიშნავთ, რომ თურქი ამ სიტყვას მრავლობითის ფორმით იყენებს – **ინსანლარ** (**İnsanlar**), ხოლო ქართულ მეტყველებაში კი ისმის **ინსნები**.

იშტე/იშთე – (İşte) – „**აი**”, „**ასე**”, „**სწორედ**”, „**მაშ ასე**”, „**ესეც ასე**”, „**ამრიგად**” (ლექსიკონი 2001.:741; Kâmüsî 1989.:242]; „სად არიან, დაღამდა **იშტე**” (ბაზგ.); „ესენი რომ წამოგეყვანენ, ახლა იქ ვიქნებოდით **იშტე**” (ბაზგ.); „გაჩეხილი მაქ სახლი, მოიდენ **იშტე**, არ მეგვიწონებენ” (უ); „ჩამოვიდენ **იშტა** ბათუმლები” (უ); „ცივი წყალია **იშტა**” (უსტ.)...

ლახანა – (Lahana) - „**კომბოსტო**” ლექსიკონი 2001.:906; შ. ფუტკარაძე 1993.: 493; Kâmüsî 1998.:1232, 1238): „ჩვენთან მოდის **ლახანა**, ლობიო, კიტრი, ყართოფი” (ზ.); „**ლახანას** მოხარ-შავ, კარგა მეიხარშვის, კარქანა გაწურო” (იფხ.)...

(Lahana) – لالا „კომბოსტო”.

ლეჩერი – (Reçer) – „**მურაბა**” (ლექსიკონი 2001.:1186; შ. ფუტკარაძე 1993.:494): „ამა **ლეჩერ** ვეტყვით, ნახე, გერმელია, ჩილექ **ლეჩერია**, „მარწყვი” (დ.)...

მაიდანოზ – (Maydanoz) - „**ოხრახუში**” (ლექსიკონი 2001.:948): „პრასას არ ვთესავთ, ართვინ ვვიდებთ, **მაიდანოზ** ვთესავთ” (ზ.)...

მაჰალე – (არ. Mahalle) – **უბანი** (ქალაქის, სოფლის) რაიონი (ლექსიკონი 2001.:924): „ერთ მაჰალეს ქვადიდი ქვია” (დ.); „ჩემი მაჰალე ზომოა” (ა.)...

მემლექეთი – (Memleket) - „**ქვეყანა**”, „**მხარე**”, „**ოლქი**”, „**რაიონი**” (ლექსიკონი 2001.:958; ლექსიკონი 2005(1):503]: „ესა იქიდან გადმოსულია, ჩენი **მემლექეთიდან**” (ხევწ.)...

მექთეფი – (Mektep) - „**სასწავლებელი**” (შ. ფუტკარაძე 1993.:505): „მემრე **მექთეფში** წავეღვ; „მე **მექთეფში** ორეთმენი ვარ”; „**მექთეფში** ვინც კითხულობენ, იმათ მითხრენ, რომ გურჯიჯა ბაღნებს არ ასწავლოთ”(ბაზგ.)...

მეფვა – (Meyva) - „ხილი“ (ლექსიკონი 2001.:981; შ. ფუტკარაძე 1993.: 504): „აქ ხილი - მეფვა თელი არი: ვაშლი არი მესერად, ოტრილად, საჭურად“ (ზ.); „უბეში მეფვა ბევრია“ (უ.)...

მუსაფირი – (Misafir) - „სტუმარი“ (ლექსიკონი 2001.:99; შ. ფუტკარაძე 1993.: 517): „მუსაფირ დახოვლი ვარ“ (ხევწ.); „მუსაფირ გელდი, აქვერი ვარ“ (უსტ.)...

ნენე – (Nene) – დედა, დიდედა (შ. ფუტკარაძე 1993.: 527; ლექსიკონი 2005(1): 1468): „ლოცვები ნენემ იცოდა, მე არ ვიცო“ (ზაქ.)...

ნისან - (არ. nisan) - „აპრილი“ (ლექსიკონი 2001.:1070; შ. ფუტკარაძე 1993.: 528): „მარტი, მარტი იცით. ნისანი, ნისანი? მარტის უკან. მარტის უკან ქი არი, ნისანი? მაშინ ვიქო მისირ, მაშინ მოვხნით“ (ჩაქ.)...

ოთელი – (Otel) - „სასტუმრო“ (ლექსიკონი 2001.:1109): „თურქების ოთელიც ყოფილა“ (ბაზგ.); „შავშეთ ხართ ოთელში? (ხევწ.); „რა სოდ უთავდებით ოთელში“ (იფხ.)...

ოღრეთმენი (თ. öğretmen) – მასწავლებელი: „ოღრეთმენის ქალი იყო გაღეშდა“ (დავ.)...

ტათლი – (Tatlı) - „ტკბილი“, გემრიელი: „ჰაღვა არ გიმიკეთებია. აქ არ აკეთებენ. ტათლი არ ვაკეთებთ“ (ჩაქ.)...

ტადა – (თ. Dayı) - „ბიძა“ („დედის ძმა“): „ცხოვრება ასეა. ერთი ძმა პატარა არის. ორი წელიწადია ფსიქიატრულად ავადაა. ჩემი ტადაც ასეა, თავი ჩამეიხნო“ (ბაზგ.); „ახლა იმან'ნა დაგაწერიოს, ჩემი კაცის ტადაა“ (საზგ.); „თქვენ ცქვიტად ვერ დართ, ტადა საქმობს აგზე, ჩემ კაცისა ტადაა ის“ (საზგ.)...

შემს-ედ-დინის მიხედვით ტად – طای და Dayı - آيا ერთი და იგივეა და ნიშნავს „დედის ძმას“ (ლექსიკონი 2001.:378; Kâmüsî 1989.: 602, 874).

ქეფინში – (არაბ. Kefen) – სულარა. (ლექსიკონი 2001.:816; შ. ფუტკარაძე 1993.: 601; ლექსიკონი 2005.:1127): „ქეფინში გავახვევთ იმას იშტე... კტარს (წეთ.)...

ქითაბი – (არ. Kitâp) - „წიგნი“, „ყურანი“ (ლექსიკონი 2001.:857; შ. ფუტკარაძე 1993.:602): „კად გიგიხდია ქითაბი“ (შავშ.); „მე ქითაბი მუატანიე, აქვერი ენა სხვაა, მაგითანად არ ეცოდინება“ (უსტ.)...

ქილისა – (Kilise) - „ეკლესია“, „ტაძარი“: „თხარეს, ძველად ყოფილა ქილისა“ (საზგ.); „ნუ გეშინია, აქვერი გზა კადარი, არ შეგეშინდეს, ბიჭო, ქომო არი ქილისე, იმ სერის ძირ-ში'ნა გეარო“ (დ.); „ეს ალაგი ქილისე ყოფილა, დანგრეველა იშტა, ხასაბა არი“ (იფხ.)...

Kilise – Kilise – کلیسا (ლექსიკონი 2001.: 852; შ. ფუტკარაძე 1993.: 602).

ღარჭი – „ბიჭი“, „გაჟიშვილი“, „ჭაბუკი“, „ახალგაზრდა“ (შ. ფუტკარაძე 1993.: 607): „ხუთი თანე მყავს ღარჭები“ (ზ.); „მარტომ გაგდებ, ყუსურ ბახმა. დაუდები იგზე ღარჭებთან“ (ზ.); „ჯესურად, მაზლის ღარჭი, რუსიაშია დასახლებული, იქ იკითხა, წელიწადში ერთი მოდის“ (ხევწ.); „ჩემ ღარჭ ერთად ქვია, ესაც ვგრედ“ (ზაქ.)...

ყაჩ – (kaç) - „რამდენი“ (ლექსიკონი 2001.:757; Kâmüsî 1989.:1017): „ხოფადან ყაჩ კილომეტრია ბათუმი?“ (ბაზგ.)...

ყალე – (Kale) - „ციხე“ (ლექსიკონი 2001.:767; შ. ფუტკარაძე 1993.: 612): „თურქი კაც კლავს და ყალეს არ დაანგრევს?“ (ჩაქ.); „უსტამისის ყალე თამარა დედოფალმა გააკეთა“ (უსტ.); „ქილისე არ არი, ყალე არი“ (უსტ.)...

ყოლა - (Kolay) - „ადვილი“, „ადვილად“, „უშრომლად“: „ხემოდან ჩამოხვალთ ნეჯათთან, იქიდან ყოლაა“ (ბაზგ.); „თქვენი წერა ჩეთინია, ჩენი ყოლაა“ (დ.)...

ყოლაი – Kolay – كولا (ლექსიკონი 2001.:862; შ. ფუტკარაძე 1993.:620; Kâmüsî 1989.:1109).

შექერი – (Şeker) - „შაქარი“, „კანფეტი“ [1. 1294], [2. 630]: „მე შექერ არ ვჭამ, შექერი მჭირს და“ (ს. ზაქიეთი)...

ჩეთინი – (Çetin) - „ძნელი“, „რთული“, „მკაცრი“ (ლექსიკონი 2001.: 264): „ნუსხა ჩეთინია, ყველაგინ ვერ დაწერს“ (ბაზგ.)...

ჩომა - „პირუტყვი“ (შ. ფუტკარაძე 1993.:644]: „მოლი ბევრია, მოჭარ, მიაართვი ჩომას“; „აი იქიდან რუსები მოდიანო, ჭირი, ჭირიო, შეგვატყობიებდა, ჩომას თივას ჩუყურიდითო, ახორ- შიო, ტყეში დევიმალოდითო, გვეშინოდა“(უ.)...

ჩორბა - (Çorba) - „წვინანი“, „შეჭამანდი“ (ლექსიკონი 2001.:288): „მე არ მშია, ჩორბა ამოვჭამე“ (ბაზგ.)...

ჩიჩეგი - (Çiçek) - „ყვავილი“ (ლექსიკონი 2001.:275; შ. ფუტკარაძე 1993.: 643): „ვაშლს ბევრი ჩიჩეგი ესხა, შეცივდა და გაყარა“ (ბაზგ.)...

ჩუნქუ/ჩუნქი - (თ. Çünkü) „რადგან“, „იმიტომ რომ“, „ვინაიდან“ (ლექსიკონი 2001.: 293): „თქვენი თავი ძალვან მიყვარს, ჩუნქი გურჯები ხართ“...

ხალა - (თ. Hâla) - „დედის და“ (დეიდა): „ჩემი დიდი ნენეი შერიფბეგის ხალაი იყო“ (ბაზგ.); „ისა უნუთას ხალადა, აქ მევდა და ზამთარში წადის“ (ბაზგ.); „სიმღერა? – მე არ ვი- ცი. ჩემი ხალაი იმღერებდა“ (ბაზგ.). „ხალადა ანადას დაა“ (ხევწ.)...

შემს-გდ-დინის მიხედვით **Hâla** - ხალა - **خا** **მამიდას** ნიშნავს, ხოლო სალიტერატურო თურქულის ლექსიკონში „**Hâla**“ ზოგან „დეიდას“ ნიშნავს, ზოგან „მამიდას“. აღმოსავლეთ თურქეთში სიტყვა „ხალა“ დღესაც გამოიყენება და ნიშნავს „მამიდას“ (ლექსიკონი 2001.:575; შ. ფუტკარაძე 1993.:666; Kâmüsi 1989.:315). შავშურში **ხალა** დეიდას აღნიშნავს.

ჰაზირი - (არ. hazır) - 1. „მზა“, „მზამზარეული“; 2. „მზად“ (ლექსიკონი 2001.: 602; შ. ფუტკარაძე 1993.:688): „ახლა ვიდეფთ **ჰაზირ** ფქვილ, **ჰაზირ** ფქვილ ვედეფთ, იმა აღარც ვფქვაფთ, აღარც ვთესავთ“; „ლახანას აღარ ვთესავთ, **ჰაზირ** ვიდეფთ ჩვენც“ (ჩაქ); „ანჯახ ჭრიან **ჰაზირსა**“; „ყველაი აქ **ჰაზირ** ვჭამთ“ (დ.); ზარმელი **ჰაზირია**, ჭამეთ“ (დ.)...

ხისიმი - (Hisim) - „ნათესავი“, „ნათესაობა“: „გამოგწიოს, წედლოსნა გურჯისტანში, ბათუმში, გამოგწიოს, კადა, შენი **ხისიმი** დიგინახავს“ (ბაზგ.); „გურჯისტანში არიან ჩვენი **ხისიმები**“ (იფხ.)...

ხისიმი - Hisim - **حسم** - „ნათესავი“ (ლექსიკონი 2001.:613; Kâmüsi 1989.:582).

დაბანჯი - (თ. Yabancı) - „უცხო“, „უცხოები“, „უცხოელი“ (ლექსიკონი 2001.: 1434; შ. ფუტკარაძე 1993.:530): „ე ბუზები ფენა უკბენენ **დაბანჯ**“ (ხევწ.); „მარწყვი მავიწყდება, აქაც არი, **დაბანია**, დარგონა“ (დ.); „ისა დაკვირვებულა, **დაბანჯი** არ იქს-მეთქი“ (შავშ.)... „**დაბანჯი** სიძე არ გვინდოდა“ (შავშ.).

დაილა - (Yayla) - „საზაფხულო საძოვარი“, „იალალი“ (ლექსიკონი 2001.:1470): „ახლა **დაილაში**წა წვედეთ“ (ბაზგ.); „**დაილაში** წვედოდი, ვისამებდი, წამევედოდი“ (ხევწ.); „ჩვენი **დაილა** არი გამიშეთის ზემოთ“ (ხევწ.); „შენ კიდევ გახსოვს, მე გენმიშები აღარ მახსოვს, **დაილაში** აღით, იქ გაწავლიან გენჯები“ (დ.).

დასალი - (Yasak) - „აკრძალვა“, „აკრძალული“: „ჩვენ დროში **დასალი** იყო კითხვა, მო- დიოდენ გვიჭირვედენ“ (სოფ. ბაძგირეთი). „თუ იციან, გეტყვიან, **დასალი** არ არი“ (ზაქ).

Yasak - **ياساق** - იკითხება „დასაყი“ (ლექსიკონი 2001.:1462; შ. ფუტკარაძე 1993.: 532; Kâmüsi 1989.:1528).

დაშლი - (თ. Yaşlı) - „ხანდაზმული“, „ხნიერი“, „ხანში შესული“(ლექსიკონი 2001.: 1465): „ფატყუნენემ არ გამაგონოს, ცოტა **დაშლი** არი“ (ბაზგ.); „ზუელებური სოფლები სახელები არი, **დაშლებსა** ახსოვან“ (დიობ.); „ზოგ მაჰალეში ცოტანი დარჩენენ, იქვერობა აღარ დარჩენენ, **დაშლი** ბებრები ისოცვიან, მიდიან“ (უ.)...

დაღი - (Yağ) - „ცხიმი“, „ქონი“, „ზეთი“, „კარაქი“: „ყაურმას ამდენ-ამდენ დააბრაწებ **დაღში**“ (ზ.); „მერჯიმეგ წყალში მოხარშავ, დაღში **გააბრაწებ**, ნიორსაც გუურევ“ (შავშ.). „ძის დაღში **ვაბრაწებთ**“ (უ.)...

დეგანი - (Yeğen) - „ძმისწული“, „ღისწული“ (ლექსიკონი 2001.:1474; შ. ფუტკარაძე 1993.:534): „ჩვენი **დეგანია**, გედევდა იქა, თავის დედამ არ მედწონა“ (იფხ.); „მემელად ჩვენი **დეგანი** ყოფილა“ (ივ.)...

დეშილი – (Yeşil) - „მწვანე“ ლექსიკონი 2001.:1483): „მე დეშილ თაქსით მუალ“ (დ.).

დეთიმი - „ობოლი“ (შ. ფუტკარაძე 1993.:534): „კაცი მომიკდა, ექსი თანე დეთიმი დამჩა. ეს ძალი მევევანე, აქვერია“ (ზაქ)...

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ შავშელთა ქართულში შეიძლება შეგვხვდეს ისეთი სიტყვა, რომლის ძირი თურქულია, ხოლო მაწარმოებელი – ქართული, მაგალითად – ინსნები, არაბაში, დუღუნში, მექთეფში და ა.შ. მაგალითად:

ინსანები: „იქავრ ინსნებს ვებუცე“. „ესა არ წყენს ინსნებს“ (წეთ)... თურქი ამ სიტყვას, ჩვეულებრივ, მრავლობით რიცხვში გამოთქვამს, როგორც **ინსანლარ – İnsanlar**, ხოლო ქართულ მეტყველებაში ისმის **ინსნები**.

არაბაში: „არაბაში ვიჯექ, გამუელი, ვუთხარ, გენმიშ ოლსუნ-მეთქი“... „არაბაში“ თურქულად გამოითქმის „არაბადა“. **-da** თურქულ ენაში ადგილობითი ბრუნვის მაწარმოებელია, რომელიც გამოხატავს, თუ სად ხდება მოქმედება.

გურჯულად: - „ქართული ენა“, „ქართულად“. **Gürcü** - „ქართველი“ და **ca, ce** – არის მაწარმოებელი: „ოქულეფში გურჯიჯა დერსი იყოს, კაი იქნება“... „გურჯიჯა სიმღერები თუ იცით, ერთი დაამღერეთ“; „გურჯიჯა არ იჯებნებაო“: „ცოტა პატინაი არიან და გეიგნებენ გურჯიჯა“...

დუღუნში: დუღუნში სიმღერას ფენა ამბობენ, ჰამა თლათ თურქჩა არი“ (იფხ.); „გვაქ ჭანჭური, წურილი, ზეითუნვიით, რომ მუა, მოკრეფ, გავახმოთ, შევინახავთ დუღუნებში იხმარენ“ (იფხ.)...

Düğün - دؤغون – იკითხება **დუღუნი**.

ლახანაში: „კომბოსტო“: „სარმას ვაკეთებთ, ლახანაში გავახვევთ, ხორც დავფქვავთ“ (ზ.).

მექთეფში: „მექთეფებში რომ არ აკითხებენ, გურჯიჯა არ იციან“; „ჩუენი ბაღნები მექთეფებში იარებიან“...

ოდაში „ოთახი“: „ახლა ერთ ოდაში არ არიან. ხვალ შეხდებიან ერთმანეთს“ (ბაზგ.)...

ჰაფთაში – (Hafta) - „კვირა“ (ლექსიკონი 2001.: 570; ლექსიკონი 2005.:828): „აქ დობტური იყო და ბირ ჰაფთაში ერთხელ იყო“; „ერთ ჰაფთას იტირებდა“. ნიშნავს კვირას, **de** ადგილობითი ბრუნვის მაწარმოებელი, რომელიც გამოხატავს, სად ხდება მოქმედება. თურქულად იქნება „haftada“ (dasazustebelia)

მეორე სიტუაცია ისაა, როცა ქართულად ლაპარაკისას იყენებენ თურქულ ლექსიკას, როგორც წესი, ჩვეულებრივ, ბუნებრივ მოვლენას. დაგასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

თურქჩა – (Türkçe) - „თურქული (ენა)“, „თურქულად“: „თორუნებმა იციან, აბა არ იციან? თურქჩაც იციან და გურჯიჯაც“; „გენჯები თურქჩას ლაპარაკობენ იაშლები გურჯუჯას ლაპარაკობენ“; „ბაღნებმა კაი იყვნონ სულ თურქჩას ვილაპარაკებდით“; „უწინ მუუთქვამდენ, ჰამა თურქჩაზე“ (ანუ უწინ დაატირებდნენ, მაგრამ თურქულად და ა.შ.). **თურქულში ça, ce არის მაწარმოებელი, რომელიც ქართული „ულ“-ის ფარდია:**

როცა ვსაუბრობთ შავშეთის ქართველთა მეტყველებაში თურქული და ქართული ლექსიკის ურთიერთგავლენაზე, ყურადღება უნდა მივაქციოთ კიდევ ერთ მოვლენას: ზოგჯერ ქართულის გავლენით თურქული სიტყვის ბგერწერა იცვლება. მაგალითად, ერთსა და იმავე სიტყვას იმერხეველი სხვადასხვანაირად გამოთქვამს იმის შესაბამისად, ქართულად საუბრობს თუ თურქულად. მაგ: თურქულად იტყვის „arqadaşimlar uğradi ve köye gittik. ქართულად კი იმავე წინადადებას შემდგენაირად გამოთქვამს – „არხატაშებმა გამომიარენ და სოფელში წავედით“. თუ შევადარებთ ფორმებს **არქადაშ**, და **არხატაშ**, ვნახავთ, რომ „დ“-ს „ტ“ ჩაენაცვლა, **ქს „ხ“**. **არხატაში** ქართულად გამოთქმული **არქადაშია**. ასეთი შემთხვევები მრავლად დასტურდება.

თურქეთის ქართველთა მეტყველების თავისებურებათა შესწავლის ერთ-ერთი გზა თურქიზმებზე დაკვირვებაცაა. კერძოდ, საინტერესოა, რა ცვლილებებს განიცდის თურქული ლექსიკა, რამდენად ინარჩუნებს საკუთრივ თურქულისთვის მახასიათებელ ნიშნებს თურქულთა მეტყველებაში. საინტერესოა, აისახება თუ თურქულისთვის სპეციფიკური ივიოვლენ-

ებილ ლექსიკაზე პირიქით, აისახება თუქართულისთვისიფიკურივიენები თურქულ ლექსიკაზე ჩვენებურთაურქულ მეტყველებაში. ამ მიმართებით კვლევა მომავლის საქმეა. ამჯერად შევეხებით მხოლოდ „გ-ღ“, „ღ-გ“ ბგერათშენაცვლებას თურქულ ენაში და ამ მოვლენას ჩვენებურთა ქართულ მეტყველებაში.

„გ“ თურქულ ენაში ორგვარად გამოითქმის: პირველ შემთხვევაში „გ“ უკანა სასისმიერია და წარმოითქმის თითქმის ქართული „გ“-ს მსგავსად. მეორე შემთხვევაში – წარმოითქმება მაგარი „გ“: „gonce“ (გონჯე) (სევორთიანი 1955.:27).

გარდა ამისა, თურქულში გვაქვს „გ“ ბგერა, იგი აღნიშნავს ისტორიულად არსებულ ფონემას, რომელიც არაბულ ალფავიტში „ღაინ“-ით აღინიშნება და წარმოითქმით ახლოს დგას ქართულ „ღ“-სთან.

თუმცა აქ აუცილებელია დაზუსტება: ეს ბგერა („ღაინ“) წერილობით ძეგლებში დასტურდება, მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო თურქულში აღარ გამოიყენება, სამაგიეროდ შენარჩუნებულია დიალექტებში (სევორთიანი 1955.: 27.).

მაშასადამე, ძველი არაბულიდან შემოსულმა „გ“დარჩა ორთოგრაფიაში. პრაქტიკულად იგი ავსებს თანხმონის ამოვარდნის შედეგად გაჩენილ სიცარიელეს და ქდერს დაახლოებით ისე, როგორც ქართული „ღ“. ამასთან, ისტორიულად არაერთ თურქულ დიალექტში შენარჩუნდა „გ“-ს მსუბუქი (რბილი) ვარიანტი (სევორთიანი 1955.: 28).

განვიხილოთ მაგალითები:

თანამედროვე თურქულში „გ“ ბგერა ჩვეულებრივ ისმის:

Gıybet – (გიღბეთ) - „ზურგს უკან გააკიცხვა“, „გალანძღვა“, „ჭორაობა“ (ლექსიკონი 2001.:530);

Karçı - (ქარჩიგი) – „შვავი“, „ზვავი (თოვლისა) თოვლის დნობის დროს“.

Gaddar – (გადდარ) - „მკაცრი“, „სასტიკი“, „უღმობელი“ (ლექსიკონი 2001.:496);

Gaip – (გაიფ) - „ფარული“, „უხილავი“ (ლექსიკონი 2001.:497);

Peygamber – (ფეიგამბერ) - „წინასწარმეტყველი“ (ლექსიკონი 2001.:1167);

Gazeteci – (გაზეთეჯი) – „გაზეთის გამომშვები“, „მეგაზეთე“;

Gazete – (გაზეთე) - „გაზეთი“...

ჩვენი ყურადღება მიიპყრო „ღ-გ“-ს ბგერათშენაცვლებამ შავშელთა მეტყველებაში (ანალოგიური მოვლენა დასტურდება სხვა სამხრულ კილოებშიც). მაგალითისთვის ავიღოთ სიტყვა „düğün“. იგი იწერება როგორც „ღუღუნი“, მაგრამ წარმოითქმის როგორც „ღუღუნ“.

შავშელების ქართულ მეტყველებაში ამ სიტყვას წარმოთქვამენ როგორც „ღუღუნი“. მაგ:

„ღუღუნ ღუუცადეთ, ღუღუნ და ემესა წვიღებ, სუ ყველაფერსა“ (შავშ.).

ცხადია, ეს საკუთრივ თურქული ენობრივი მოვლენაა შავშურში, თურქული ენის დიალექტებისთვის დამახასიათებელი.

ტაოელთა ქართულში ეს სიტყვა უკვე ისმის, როგორც „ღუღუნი“ მაგ:

„ერთი ბიჭი დავაქორწილოდა გურჯისტან არი, აქავრი ქალი მოყავს, ღუღუნი მექნება“.

აქვე შევნიშნავთ, რომ გამონაკლისები არსებობს: შავშეთში შეიძლება გაიგონო **ღუგუნი**, ტაოში კი - „ღუღუნი“, როგორც წესი, ტაოელი და შავშელი გურჯები განსხვავებულად წარმოთქვამენ ამ სიტყვას.

საინტერესო არის შემდეგიც: როცა გურჯები თურქულად ლაპარაკობენ, ჩვეულებრივ, სწორად წარმოთქვამენ „ღუღუნ“. ქართულად მეტყველებაში კი აუცილებლად ისმის „გ“ ან „ღ“. როგორც აღვნიშნეთ, „გ-ღ“, „ღ-გ“ ბგერათმონაცვლეობა თურქული ენობრივი მოვლენაა, მაგრამ ის, რომ ქართულად მეტყველებისას არ წარმოთქვამენ ღუღუნ, ეს უკვე ქართული ენის გავლენით უნდა აიხსნას. ქართული ენისთვის არაბუნებრივია „ღუღუნ“ ტიპის დიფთონგი. ამიტომაც გურჯების ქართულმა მეტყველებამ ვერ იგუა ტიპური თურქული გამოთქმა.

და კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი. როგორც აღვნიშნე, „გ-ღ“, „ღ-გ“ ბგერათშენაცვლება ტიპური თურქული მოვლენაა; ასეთი ბგერათშენაცვლება დასტურდება ჩვენებურთა მეტყველებაში, ოღონდ მხოლოდ თურქული ლექსიკის ფარგლებში. აქ ეს თვალშისაცემია.

თვალსაჩინოებისათვის მოვიყვან კიდევ რამდენიმე მაგალითს:

„ეგლანჯა“ - „გართობა“, „წვეულება“, „დროის მხიარულად გატარება“. იწერება „Eğlence“, თურქულად წარმოითქმის „ეღილენჯე“, ქართულად ითქმება „ეგლანჯა“: „ბაღვების ეგლენჯა გუაქ“ (შ. ფუტკარაძე 1993.:443.);

„ყაზმალი“ - „ნავთი“. იწერება „gaziyağı“, თურქულად წარმოითქმის „გაზიმაი“, ქართულად ითქმება „ყაზმალი“: „ჰედუდი ჩაჭრამდი ბათუმიდამ მოგეკონდა ყაზმალი, მარილი, პიწკაი“ (შ. ფუტკარაძე 1993.: 613.);

„დუღმე“ - ღილი. იწერება „Düğme“, იკითხება „დუღმე“, ქართულად გამოითქმის „დუღ-მა“: „ერთი დუღმა დაკარქულა“ (შ. ფუტკარაძე 1993.:439.).

„აღჩიჩეგი“ - „მზესუმზირა“. იწერება „Ayçiçeği“, იკითხება „აღჩიჩეგი“, ქართულად გამოითქმის „აღჩიჩეგი“: „აღჩიჩეგი ხელიდადებაზე გაზდილა“ (შ. ფუტკარაძე 1993.:382).

„ღალიბა“ - „როგორც ჩანს“, „როგორც ეტყობა“, „აღბათ“. იწერება (არ. „Galiba“), თურქულად წარმოითქმის „გალიბა“, ქართულად - „ღალიბა“: „მემღექეთო, მემღექეთო, შენ უნახველაი ვეკვები ღალიბა“; „ღალიბა ის იყო“ (შ. ფუტკარაძე 1993.:607).

„ღეფღეთი“ (არ. გეფღეთ) - „უყურადღებობა“, „უცოდინარობა“, „ძილ-ღვიძილი“, „რუ-ლი“. იწერება „Geflet“, თურქულად წარმოითქმის „გეფღეთ“, ქართულად - „ღეფღეთი“: „ღეფღეთი დამაწვა თვალეზე, მივწენა პაწაი“ (შ. ფუტკარაძე 1993.:608.).

„ყაბურღა“ (ქაბურღა) - „ნეკი“, „გვერდი“. იწერება „Kaburga“, თურქულად წარმოითქმის „ქაბურღა“, ქართულად - „ყაბურღა“: „შოლტიკევი ერთი ყაბურღა მეტი აქუნაო“ (იმ.); „ყაბურღაზე მაწვებოდა“ (შ. ფუტკარაძე 1993.: 612.).

„ყავღაჯი“ (ქავღაჯი) - „მოხსუბარი“, „ჩხუბისთავი“. იწერება „Kavgacı“ ქართულად გამოითქმის „ყავღაჯი“: „იმათი ბაღვები ყავღაჯი არიან“ (შ. ფუტკარაძე 1993.:612.)...

„ღ-გ“, „გ-ღ“ ბგერათშენაცვლებას საკუთრივ ქართული ლექსიკაც იცნობს. ამის დამადასტურებელი ფაქტები მურღულის და მაჭახლის ხეობების მკვიდრთა მეტყველებაში დადასტურდა. ქართული ცოცხალი მეტყველებისთვის ეს ჩვეულებრივი მოვლენა ჩანს. მაგ:

გოჭი > ღოჭი: „გემრიელი ყოფილა სომხებისა ღოჭები... ღოჭებ ეტყვიან მას“ (მ. ფაღავა 2003.:181.)

კატორღა > კატორღა: „მემრე კატორღაში რუმ წამიყვანონ, წარბს არ შევიხრი“ (მ. ფაღავა 2003.:181).

ბ. ჯორბენადის განმარტებით, „გ“-„ღ“-ს და „ღ“-„გ“-ს ბგერათმონაცვლეობა იმერულ და ქართლურ დიალექტებში ჩვეულებრივი მოვლენაა ისეთი ფორმების გვერდით, როგორიცაა: ყვეღან – ყოღღან, გააგზაგნა – გააღზანა (იმერული) [10. 340]; ასევე: ღორ-ხბო – გორ-ხბო (ქართლური) (ბ. ჯორბენაძე 1998.:340)...

„გ“ - „ღ“ ბგერათმონაცვლეობის შემთხვევები გვხვდება ძველ ქართულშიც.

მ. ძიძიშვილის აზრით, „გ“-„ღ“-ს ბგერათმონაცვლეობა აგაბოს//აღაბოს (საქმ. მოციქ. თ. 11,28) ბერძნულიდან მომდინარე ფორმებია (მ. ძიძიშვილი 1960.:84). ასევე მოყვანილია საღოღებელი, შდრ. საგოღებელი: ადგილსა, რომელსა საღოღებელ ეწოდების (A 1109, 10, 8). თუ საღოღებელს კავშირი აქვს საგოღებელთან, მაშინ აქაც ღ//გ ბგერათმონაცვლეობასთან გვაქვს საქმე (მ. ძიძიშვილი 1960.: 88).

სამხრულ მეტყველებაში „ღ“-„გ“ („გ“-„ღ“) მონაცვლეობის შემთხვევები დასტურდება როგორც თურქულიდან ნასესხებ სიტყვებში (იმერხეული, ტაოური), ისე საკუთრივ ქართულში (მაჭახლური). აღნიშნული ბგერათცვლილება გვხვდება ქართული ენის სხვა კილოებშიც (იმერული, ქართლური) და ძველ ქართულ სამწერლობო ენაშიც, რაც საყურადღებო ფაქტია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სამხრულ მეტყველებაში დადასტურებულ „ღ“-„გ“ („გ“-„ღ“) თანხმოვანთმონაცვლეობას საფუძველი ქართულ საარტიკულაციო ბაზისშიც აქვს.

თავი VII. შავშეთის ტოპონიმია

ისტორიულ **შავშეთს** მოიცავს დღევანდელი შავშეთის რაიონი, რომელიც თურქულის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედის. მისი ადმინისტრაციული ცენტრია დაბა **შავშათი**. შავშეთის რაიონი მიეკუთვნება ართვინის ვილაეთს (ადმინისტრაციული ცენტრი - ქ. ართვინი). ართვინი ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი იყო.

ართვინის ვილაეთში შავშეთის გარდა შედის ართვინის, არტანუჯის, არქაბის (არხავის), ბორჩხის, იუსუფელის, მურდულისა და ხოფის რაიონები.

შავშეთის რაიონი ართვინის ვილაეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, მასში შედის 67 სოფელი. შავშეთის სოფლები განლაგებულია მდინარეების: **შავშეთისწყლის, მანსურათის, სხლობანის, მერიის, ხანთუშეთისწყლის, ყვირაღას, იმერხევის (იმერხევის-წყლის), ბაზგირეთისწყლის, ჩიხისხევის/ჩხისხევის** ხეობებში.

შავშეთის ისტორიული გეოგრაფიის შესწავლისათვის პირველხარისხოვანი წყაროებია: „ქართლის ცხოვრება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „ტბეთის სულთა მატინანე“, ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და სხვ.

საისტორიო წყაროებში „**შავშეთი**“ („**შეშე**“-ს ფორმით) პირველად მოხსენიებულია ასურეთის მეფის - ტიგლათფილესერ I-ის წარწერებში (И. М. Дяконов 1951.:265-356). ამ წარწერებში აღნიშნულია, რომ ტიგლათფილესერმა გადაიარა 16 უზარმაზარი მთა. მათ შორის უკანასკნელი იყო **შეშე**. ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ (ზარზ.) კი მოხსენიებულია **შეშეთის მთა**, რომელიც გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს ასურულ წყაროებში დასახელებულ **შეშეს** მთასთან. სავარაუდოა, რომ ეს „შეშე“ უნდა იყოს **შავშეთი**. შეშეთში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პროვინცია - შავშეთი უნდა იგულისხმებოდეს.

ანტიკურ წყაროებში (ბერძნული, რომაული) **შავშეთის** „ქვეყანა“ ან ტომი „შავში“ არ მოიხსენიება. პ. ინგოროყვას მიხედვით, „**შავში**“ კლარჯთა ტომის განშტოებაა. ეს სახელი ქართულ წყაროებში VIII საუკუნიდან ჩანს (პ. ინგოროყვა 1954).

შავშეთი, როგორც ჩანს, ჯუანშერის (VIII-IX სს.) „ყოველ კლარჯეთში“ იგულისხმება. შავშეთ-კლარჯეთისთვის განსაკუთრებული ყურადღება ვახტანგ მეფეს მიუქცევია. მისი ბრძანებით არტანუჯში აუგიათ ციხე, ოპიზაში - მონასტერი, მერეში, შინდობანსა და ახიზაში კი - ეკლესიები.

„შავშეთი“ დამოწმებულია აგრეთვე ანანია შირაკაცის „გეოგრაფიაში“. სომეხი სწავლული თავის „სომხურ გეოგრაფიაში“ (VII ს.) ქართლის პროვინციებს შორის ასახელებს შავშეთსაც.

შავშეთი რამდენიმეჯერ არის მოხსენიებული სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში - „ცხოვრება და უწყება ბაგრატონთა“. როგორც ცნობილია, 654 წლიდან ქართლის სამეფო არაბთა ბატონობის უღელქვეშ მოექცა. დამპყრობლების მიერ დევნილი აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა თავშესაფარს დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ეძებდა. არაბებისაგან დევნილი თვით აშოტ ბაგრატონი თავს აფარებს „ჰევსა შავშეთისასა“. სუმბატის გადმოცემით, ეს მხარე აოხრებული იყო.

აშოტ კუხს (გურგენ კურაპალატის ძეს) შავშეთის სოფელ ტბეთში აუგია საეპისკოპოსო კათედრალი. აქვე დაუსვამს პირველი ეპისკოპოსი - სტეფანე: „აშოტ ერისთავთა - ერისთავმან, ძემან გურგენ კურაპალატისამან, რომელსაც ეწოდა კუხი, აღაშენა ტბეთი შავშეთსა და განასრულა იგი ყოვლითა განგებითა, და დასუა პირველად ეპისკოპოსად სანატრელი სტეფანე უწყებითა სულითა წმიდისათა“.

სუმბატ დავითის ძის ცნობებს აკონკრეტებს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. გიორგი მერჩულეს ცნობით, შავშეთ-კლარჯეთში ბაგრატონების დამკვიდრების შემდეგ დაიწყო მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს აღორძინება და აყვავება, ფართოდ გაიშალა

საკვლეო-სამონასტრო მშენებლობა. გიორგი მერჩულეს თხზულებაში მოხსენიებულია მტბეგარი, რომლის რეზიდენცია იყო ტბეთი, გუნათლეს ვანი (ახლანდელი გურნათელი) და სოფელი ნორგიალი.

ადრეფეოდალური ხანის შავშეთის შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის „მატიანე ქართლისა“. მისი ცნობით, ადარნესე ბაგრატიონის (VIII საუკუნის II ნახევარი) სამფლობელოს შეადგენდნენ ძველი ქართული პროვინციები: შავშეთი, კლარჯეთი, აჭარა, ნიგალი, არტაანი, ტაოს კარი, ასისფორსი.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული ონომასტიკისა და კონკრეტულ შემთხვევაში საკვლევი რეგიონის ტოპონიმისათვის ძვირფასი წყაროა „ტბეთის სულთა მატიანე“ (XII-XVII ს.ს.), სადაც მოხსენიებულია იმერხევის ზოგიერთი დასახლებული უბანი. გვხვდება აგრეთვე - ეთ დაბოლოებიანი გვარსახელები, რომელთა დიდი ნაწილი დღესაც დასტურდება. „მატიანეში“ მოხსენიებულ გვარსახელებსა და ჩვენ მიერ შეკრებილ მასალებს შორის ბევრი პარალელის გაკვება შეიძლება: **გამეშისძე - გამეშეთი, ქოქლისძე - ქოქლიეთი, გორგოშისძე-გორგოშისერი, მიქელისძე, მიქელასძე-მიქელეთი** და სხვ.

შავშეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს ყურადღება მიაქცია ვახუშტი ბაგრატიონმა. მის შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ დასახლებულია საკვლევი რეგიონის შემდეგი გეოგრაფიული სახელები: **შავშეთის წყალი, ჭილოვნის ხევი** (ჯერჯერობით ამ ხეობის ლოკალიზება არ ხერხდება), **მდინარე სათლესი** (სათლე ახლანდელი სათლელი - ნ.ც.), **ტბეთი, თუხარისის ციხე**.

მნიშვნელოვანია, რომ ავტორი იძლევა ტოპონიმ „შავშეთის“ ეტიმოლოგიას. ვახუშტის ცნობით, „შავშ“ ფუძე დაკავშირებულია „შავ“ -თან. რადგან **შავშეთი** ტყეებით გამორჩეული ქვეყანაა, სახელიც ამის მიხედვით ეწოდა: „შავშეთი - ვითამ შავში და არა სპეტაკში, მთაკლოვან ტყის გამო“. ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავდა, რომ შავშეთს „ნისლათას“, „ნისლიან ქვეყანას“ უწოდებენო.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული პროვინციები ყოველთვის იყო ქართველი და უცხოელი მკვლევარ-მოგზაურების ყურადღების ცენტრში. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ამ მხარეში იმოგზაურეს დ. ბაქრაძემ, გ. ყაზბეგმა, ვ. ლისოვსკიმ, ა. პავლინოვმა, პ. უეაროვამ. თ. სახოკიამ, ჟ. მურიემ, ზ. ჭიჭინაძემ, ნ. მარმა, ე. თაყაიშვილმა და სხვ. ჩვენს დროში დასახლებული კუთხის შესწავლის საქმეში დიდია შ. ფუტყარაძის, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომელთა და სხვათა წვლილი.

რეგიონის ონომასტიკის შესწავლისათვის მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენენ სხვადასხვა დროს გამოცემული კარტოგრაფიული მასალები: ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი საქართველოს ატლასი (XVIII ს.), კავკასიის ტოპოგრაფიული რუკები (XIX ს-ის ბოლო - XX ს-ის დასაწყისი), ხუთვერსიანი რუკა, 1923 წელს ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით გამოცემული საქართველოს ისტორიული რუკა, საქართველოს რუკა (1931 წ.) და სხვ.

ისტორიულ წყაროებში, მეცნიერთა და მოგზაურთა ნაშრომებსა და დღიურებში დადასტურებული გეოგრაფიული სახელები ზოგჯერ ერთმანეთს არ ემთხვევა და საჭირო ხდება მათი შეჯერება სწორი ფორმის დადგენის მიზნით. ზოგჯერ წყაროებსა თუ მკვლევარ-მოგზაურთა ჩანაწერებში გვხვდება ისეთი ტოპონიმები, რომლებიც საკვლევი რეგიონში დღეს აღარ დასტურდება, ან მათი ლოკალიზება ჭირს. ხშირად ერთი და იმავე გეოგრაფიული პუნქტის სახელი სხვადასხვა ფორმით მოიხსენება, მაგ., სოფელი **კუჭენი** გ. ყაზბეგთან „კუჩენ“, ფორმით გვხვდება, ასევეა ნ. მარისა და ხუთვერსიანი რუკის მიხედვით. 1931 წელს გამოცემულ საქართველოს რუკაზე არის „ყუჩენი“, ზ. ჭიჭინაძესთანაა „კუჭენი“. ამოსავალი ფორმა უნდა იყოს **კუჭენი**...

§1. შავშეთის ტოპონიმის სტრუქტურული ანალიზი

შავშეთში თურქული ენის გაბატონებას შედეგად მოჰყვა ის, რომ უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ენა თითქმის მთლიანად დავიწყებულია ადგილობრივ ქართულ მოსახლეობაში, თუმცა შავშეთის ერთ-ერთ ნაწილში - იმერხევში იგი ახლაც კარგად არის დაცული. ეს გარემოება დამატებით სირთულეებს ქმნის საკვლევი რეგიონის ტოპონიმთა შეკრებისა და შესწავლის საქმეში. თურქული ენა თავის მძიმე კვალს ტოვებს გეოგრაფიულ ნომენკლატურაშიც. ხალხის მესხიერებიდან თანდათან იშლება ძველი ქართული სახელწოდებები და მკვიდრდება თურქულენოვანი ტოპონიმები. აქედან გამომდინარე, საკვლევი რეგიონის და, საერთოდ, თურქეთის შემადგენლობაში მოქცეული სხვა ისტორიული ქართული მხარეების ტოპონიმთა დროულად შეკრება და შესწავლა მეტად საშური საქმეა. მას დიდი ეროვნული მნიშვნელობა აქვს. ამასთან, შავშეთის ტოპონიმის დრმა და საფუძვლიანი შესწავლა ქართულ-თურქულ ენობრივი კონტაქტების ბევრ საინტერესო მომენტს წარმოაჩენს.

შავშეთის გეოგრაფიული სახელები წარმომავლობის მიხედვით იყოფა ოთხ ძირითად ჯგუფად:

1. ქართული ტოპონიმები;
2. თურქული სტრუქტურისა და სემანტიკის ტოპონიმები;
3. ქართულ-თურქული სიტყვებით გაფორმებული ტოპონიმები;
4. ზანური ტოპონიმები;

სულ საკვლევი კუთხის **ორმოცდაათზე** მეტი სოფლისა და ნასოფლარის გეოგრაფიული სახელების რაოდენობა აჭარბებს **სამი ათას** ერთეულს.

რეგიონის ქართული ტოპონიმური სახელები ძირითადად ისევე იწარმოება, როგორც ეს დამახასიათებელია საქართველოს სხვა კუთხეების გეოგრაფიული ნომენკლატურისათვის. მაღალია ქართული ტოპონიმების პროცენტობრივი მაჩვენებელი არაქართული გეოგრაფიული სახელებთან შეფარდებით (71,7%). წარმოების მიხედვით შავშეთის ქართულ ტოპონიმურ მასალაში გამოიყოფა სამი ძირითადი ჯგუფი:

1. უაფიქსო სახელები;
2. აფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები:
 - ა) პრეფიქსური წარმოების სახელები;
 - ბ) სუფიქსური წარმოების სახელები;
 - გ) პრეფიქს-სუფიქსებით ნაწარმოები სახელები;
3. რთული გეოგრაფიული სახელები.

1.1. უაფიქსო სახელები

მარტივი სახელების მეცნიერულ შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთი სახელები ენის ძირითად ლექსიკურ ფონდს განეკუთვნებიან, იშვიათად იცვლიან ფორმას, ნაკლებად განიცდიან ფუძისეულ ცვლილებებს და საინტერესო ინფორმაციას გვაწვდიან გეოგრაფიულ სახელთა უძველესი ისტორიის შესახებ.

ძველ ისტორიულ წყაროებს და ლიტერატურულ ძეგლებში ტოპონიმთა დიდი ნაწილი მარტივი ფუძითაა წარმოდგენილი. ასეთი ტოპონიმების სემანტიკური მხარე ზოგჯერ დაბნელებულია.

შავშეთის ტოპონიმურ მასალებში მარტივფუძიან სახელებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს: **ახო** სათესები (ზიოსი, უბე, ჯინალი, დასამობი, წეთილეთი, ხევწრული), **ბოლო** სათიბი (დაბაწ.), **ბრილი** ტყე, ს. უბანი (სხლობ., დას.), **ღუბე** სათიბი (ზაქ.), **გაკე** სათიბები (დაბაწ., დიობ., კუჭ., სვირ.), **გან** სათიბი, სათესი (დაბაწ., სინკ.), **ველი** სოფელი (შავშ.), **ვენახი** სათესი, სათიბები (დას., ჩაქ., წეთ.), **ზეგანი** ს. უბანი (ჩ.), **კალო** ტყე (ხევწ.), **კონცხი** საძოვარი (დიობ.), **ლარ**, **ლაშე** სათიბები (დაბაწ., კარ.), **მერე** სათესები (წყალს., დიობ.), **მითი** ს. უბანი (ოქრ.), **მურყანი** ტყე (კუჭ.), **ტევრი** ტყე (ტბ.), უბე სოფელი (იმ.), **ფაცხა** სათიბი (წყალს.), **ქარაფი** სათიბი (დაბაწ.), **ქელი** მწვერვალი (კუჭ.), **ღელე** სათიბი, ღელე, ტყე (მამ., ჭუარ., დაბაწ.), **ყანა** სათესი (ხოს.), **ციალი** ტყე (უ.), **წალკოთი/წალკოტი** სათესი, სათიბი (ზაქ., დ.), **წიახტი** წყარო საძოვარი (წეთ., იფხ.), **წმინდა** ნაეკლესიარი. (მიქ.), **ჭოლო** ს. უბანი,

სათიბი (ქვ. სულ., დაბაწ.), ჭოჭე სათიბი, საძოვრები (მანხ., ჩაქ., დ., უ.), ხევი ღელე (იფხ.), ჯვარი/ჯვარი სათიბი, ნაეკლესიარი (სვირ., დიობ., ზ., მიქ.).

ქართულის არმცოდნე შავშელთა თურქულ მეტყველებაში ტოპონიმი ჩვეულებრივ წარმოდგენილია ფუძის სახით (ვან, ლარ, ფონ, ქედ...), რაც თურქული ენის ზეგავლენით აიხსნება, მარტივი ტოპონიმები უმთავრესად გამოხატულია არსებითი სახელით (ახო, მერე, კონცი, ღელე, ყანა, ჭოჭე, ჯვარი...), იშვიათად - ზედსართავი სახელით (წმიდა...). ისინი საზღვრულ-დაკარგული გაარსებითებული სახელებია.

მარტივი ტოპონიმი გამჭვირვალეა, ის თვითონ გვაძლევს ხელშესახებ ცნობას მის წარმოშობაზე, ახასიათებს გარემოს და მიგვითითებს ამ მხარისათვის ან კონკრეტულად ამ ადგილისათვის დამახასიათებელ მეურნეობაზე, ისტორიულ წარსულზე (ახო, ბრილი, ვაკე, ველი, ჭოჭე, ჯვარი...). განვიხილავთ რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს:

ახო. ამ სახელწოდებით რამდენიმე გეოგრაფიული სახელია შავშეთში. ახობის ქვეშ გარკვეული სამიწათმოქმედო სისტემა იგულისხმება. იგი ითვალისწინებს როგორც მუდმივად, ასევე პერიოდულად გამოყენებული სახნავ-სათესი ფართობის შექმნას ტყის გაკაფვის ხარჯზე, ე. ი. ახო ტყეში, ბუჩქნარში გატეხილი ყანაა. თითქმის ერთი და იგივე მნიშვნელობით არის წარმოდგენილი „ახო“ ქართული ენის ლექსიკონებში: საბას მიხედვით ახო არის „საყანური გაკაფული“ (შ. აფრიდონიძე, ფ. მაკალათია 1980.: 83), დ. ჩუბინაშვილის ცნობით - „სახნავად გაკაფული ჭალა“ (დ. ჩუბინაშვილი 1940.:87). ვ. ჯანგიძის ცნობით, სიტყვა „ახო“ AXU ფორმით, როგორც ლექსიკური სუბსტრატი, დასტურდება საინგილოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა მეტყველებაში (ვ. ჯანგიძე 1983.:126). საინტერესოა აგრეთვე აკად. აკაკი შანიძის ცნობა, რომელიც მას აკად. ს. ჯიქიასათვის მიუწოდებია, რომ აზერბაიჯანში, ნუხის რაიონში არის ტოპონიმი ახიები (С. Джикия 1957.: 213).

ღუბე ჰქვია სათიბს სოფელ ზაქიეთში. ადგილის გეოგრაფიული მდებარეობა შეესაბამება ტოპონიმის შინაარსს. **ღუბე**, საბას განმარტებით, არის „დაბალი ადგილი“ (ს.ს. ორბელიანი 1966.: 225), ჩუბინაშვილის მიხედვითაც - „დაბალი ადგილი, ჩოლი“ (დ. ჩუბინაშვილი 1940.:483). **ღუბე** ტოპონიმად დასტურდება ზემო აჭარაში და იქაც დაბალი, ჩავარდნილი ადგილის სახელია (მ. ქამადაძე 1992.: 127).

ველი შავშეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოფელია. იგი მდებარეობს შავშეთისწყლის მარჯვენა შენაკადის შუა წელზე. XIX საუკუნეში აქ ცხოვრობდნენ ბეგები ხიმშიაშვილის გვარიდან, უფრო ადრე კი ეს სოფელი დიდაზნაურთა რეზიდენცია იყო. **ველი** ყურადღების გარეშე არ დარჩენიათ გ. ყაზბეგს, ნიკო მარს და სხვა მოგზაურებსა და მეცნიერებს. ისტორიული ტბეთისაკენ მიმავალმა მგზავრმა აუცილებლად უნდა გაიაროს სოფელ ველში, რადგან გზა ამ სოფელზე გადის. სოფელი გაშენებულია ვრცელ მინდორზე. საბაც ასე განმარტავს მას: „ველი - მინდორი დიდი“ (ს.ს. ორბელიანი 1966.:258).

მერე მარტივი, საზოგადო სახელია. საბას მიხედვით, „მერე მეედანი სწორი ვაკეა“ (ს.ს. ორბელიანი 1966.:207), ხოლო „მეედანი - მეედანი: სხუათა ენაა, ქართულად **მერე**, მინდორი და **ფონი** (ს.ს. ორბელიანი 1966.:204). ივ. ჯავახიშვილი უფრო აკონკრეტებს **მერეს** მნიშვნელობას და გამოაქვს დასკვნა, რომლის მიხედვით „...მერე სწორი, ვაკე ადგილის აღმნიშვნელი ყოფილა, მაგრამ ყოველ ვაკე ადგილს მერე არ ეწოდება, არამედ მხოლოდ წყლის სანაპიროზე მდებარეს; ირკვევა, რომ ტერმინი მთელ საქართველოში გავრცელებულ სახელად გვხვდება“ (ი. ჯავახიშვილი 1934.:127-128). მერე არის იმ სამ სოფელთაგან ერთ-ერთი, სადაც ვახტანგ მეფის ბრძანებით ეკლესია აუშენებიათ.

მერე ხშირად გვხვდება რეგიონის მიკროტოპონიმიაში, თუმცა ასევე ხშირად დასტურდება შემთხვევები, როცა მერე ფუძეს გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად დართული აქვს სუფიქსები: მერე-თა საძოვარი (ივეთი), მერ-ია სოფელი (შავშეთი). ანალოგიური მაგალითების მოტანა შეიძლება დღევანდელი საქართველოს მაკროტოპონიმებიდანაც: მერ(ე)-ევი სოფელი იმერეთში (ჭიათურის რაიონი), მერ(ე)-ია - გურიაში (ოზურგეთის რაიონი), მერე-თი - ქართლში (გორის რაიონი), მერ(ე)-ის-ი - აჭარაში (ქედის რაიონი). მერე შედის კომპოზიტურ სახელებში: მერისწყარო - წყარო (ხობ.).

მარტივი ტოპონიმების ერთი ნაწილის წარმოშობა და ეტიმოლოგია ნათელია, ამასთან ბევრია ისეთი გეოგრაფიული სახელი, რომელთა სემანტიკა გაურკვეველია: **წურნაფი** სათესი (წყალს.), **ქაფარი** ტყე (მიქ.), **კვეთი** ვაკე ადგილი, საძოვარი (უ.), **წიანტი** დაღმართი, წყარო (იფხ., წეთ)... გეოგრაფიული ობიექტის დღევანდელი მდგომარეობა არ შეესაბამება ადგილის სახელის ნამდვილ შინაარსს. სოფელ ჩიხორში მთას, მწვერვალს ჰქვია **მინდორი**, სოფელ წეთილეთში სათიბს - **ვენახი**. სავარაუდებელია, რომ ადრე ამ ადგილას ვენახი იყო გაშენებული. დღეს - სათიბად არის ქცეული. ტოპონიმი „**კალო**“ დავადასტურეთ ტყის სახელად სოფელ ხევწრულში. აქაც შეუსაბამობაა. **კალონ//კალორ** პიროვნული სახელია, რომელიც ახლაც დასტურდება ამ კუთხეში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ტოპონიმი **კალო** აღდგება, როგორც **კალონის //კალორის** ტყე. მ. ქამადაძის მიხედვით, „გვარსახელებიდან მომდინარე ტოპონიმები ხელო აჭარაში აფიქსითაა გაფორმებული. იშვიათ შემთხვევაში ადგილის სახელად გამოყენებულია პიროვნული სახელი ან გვარი მაწარმოებელი აფიქსის გარეშე: **როსტომი** გზა, ტყე (ნენ.), **აბრამაძე** სათ. (ჩირუხის მთა), **ჯიმშერი**, **ჯაყელი** სათიბები (ბ.), **კახაბერი** სახნ. (ოქტ.). და ა. შ. ეს სახელწოდებები რთული შედგენილობის ტოპონიმების ნაწილი უნდა იყოს. ე. ი. თავდაპირველად უნდა გვექონოდა ჯიმშერის სათიბი, ჯაყელის ყანა... მაგრამ დროთა განმავლობაში ტოპონიმს ჩამოშორდა მეორე შემადგენელი ნაწილი და მხოლოდ პირის სახელი თუ გვარი დარჩა გეოგრაფიული ობიექტის სახელად“ (მ. ქამადაძე 1992.:46).

12. აფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები

ა) ტოპონიმთა ოდენპრეფიქსული წარმოება

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია ცნობილი, ოდენპრეფიქსული წარმოება ქართულ ტოპონიმიაში ნაკლები სიხშირით ხასიათდება (თ. ზურაბიშვილი 1961; მ. ქამადაძე 1992; მ. გუგუშიძე 1949).

პრეფიქსებია **ნა-** და **სა-**.

ნა- პრეფიქსი დაერთვის როგორც სახელურ, ისე ზმნურ ფუძეებს და გამოხატავს წინავითარებას, რაც ჩვეულებრივ პრეფიქს-სუფიქსებით გადმოიცემა.

„**სა-**“ პრეფიქსი აწარმოებს მეოფადი დროის მიმდევობას საშუალი და ვნებითი გვარის ზმნებისაგან.

ნა- - ნამყოფ დროის მიმდევობას აგრეთვე საშუალი და ვნებითი გვარის შინაარსით... მიმდევობის წარმოებისას სუფიქსს ზმნის ფუძე არ დაირთავს (ნა-წერი-ი... ნა-გლეჯ-ი, ნა-ჭერი-ი...)“ (არნ. ჩიქობავა 1942.:183). საერთოდ, „ასეთი ტოპონიმები გასუბსტანტივებული ვნებითი გვარის წარსული დროის მიმდევობა“ (პ. ჯაჯანიძე 1976.:109).

შავშეთის ტოპონიმურ მასალაში გვხვდება ორივე პრეფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები:

ნა-: **ნა-კაფი** ტყე, სათიბები (კუჭ., სოფ., ყვირ., ზენდ.), **ნა-ფლათი** საძოვარი, სათიბები (უ., სოფ., სხლობ., ვერხვ.), **ნა-გუთნი** სათიბი, სათესი (ჩ., ხევწ.), **ნა-ბერწი** საძოვარი (ივ.), **ნა-სყიდ-ი** სათესი (წეთ.), **ნა-ნაჭრი** საძოვარი (წეთ.) და ა. შ.

სა-: **სა-ბერწი** ტყე (დ.), **სა-სვენ-ი//სა-სუნ-ი** წყარო, სათესი (წყალს., კარ.), **სა-ქართ-ი** სათესი (წყალს.), **სა-ვარტყი** საძოვარი (წყალს.), **სა-ჯდომ-ი** საძოვარი (წეთ.), **სა-მწყაფი** სათიბი (ივ.), **სა-ჯად-ი//სა-ხად-ი** ტყე (ჩ., მანხ.), **სა-თიბ-ი** ტყე (სხლობ.) და სხვ.

საკვლევ რეგიონში ორივე პრეფიქსით ნაწარმოები სახელები თითქმის თანაბარი რაოდენობითაა. შენიშნულია, რომ **სა-** პრეფიქსი უფრო მეტი პროდუქტულობით გამოირჩევა (არნ. ჩიქობავა 1942.:183).

ოდენპრეფიქსული წარმოების სახელებთან საზღვრული წევრი იგულისხმება, იგი ხშირად დაკარგულია. ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალებში გვხვდება რამდენიმე ისეთი შემთხვევა, სადაც ეს წევრი შენარჩუნებულია. ეს უმეტესად ეხება **სა-** პრეფიქსით ნაწარმოებ ტოპონიმებს: **საბუქრიწვერი** საძოვარი (მან.), **სათიბიწყარო** საძოვარი, წყარო (ბაზგ.), **საპატკნიძირი** გამოქვაბული (ზაქ.), **ნაგუთნითავი** საძოვარი (ხევწ.). ამ თხზულ ტოპონიმში **სა-** პრეფიქსით ნაწარმოები სიტყვის საზღვრული წევრი დაკარგული ჩანს. შეიძლება აღვადგინოთ - **გაღმა საკაფი ტყე**. თუმცა არ არის „გამორიცხული, რომ **ნათიბი**, **სათიბი** და მისთანა სახელები

ზოგჯერ პირდაპირ შერქმეოდა ადგილს და იმთავითვე არ გვეკონოდა საზღვრულები, რადგან **ნა-** და **სა-** პრეფიქსებიანი ფორმები საკმარისად გამოხატავს სახელწოდების ძირითად ზოგად შინაარსს“ (მ. ქამადაძე 1992.:20).

ბ) სუფიქსური წარმოების ტოპონიმები

შავშეთის ტოპონიმიაში განსაკუთრებული პროდუქტულობით გამოირჩევა სუფიქსური წარმოება. ეს სუფიქსებია: **-ა, -ია, -იან, -იენტ, -იეთ, -თ-ი, -თ-ათ, -ათ-ა, -თა, -ებ, -ობ//-ობ-ა, -ურ//-ულ, -ნარ//-ნალ, -ოვან** და სხვ.

-ა სუფიქსი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტოპოფორმანტია საკვლევი რეგიონის ტოპონიმიაში. იგი დაერთვის როგორც მარტივ, ასევე რთულ ფუძეებს. გვხვდება მეორე მაწარმოებლად, აწარმოებს კინობითი, დანიშნულების, წარმომავლობის, ქონების აღმნიშვნელ გეოგრაფიულ სახელებს.

-ა სუფიქსი ტოპონიმებს აწარმოებს არსებითი სახელისაგან: **ბედელ-ა** სათიბი (ახალდ.), **ბოსტან-ა-ი** სათესი (სვ.), **გორ-ა** ტყე (დ.), **გუგულ-ა** სათიბი (ახალდ.), **ველ-ა-ი** საძოვარი (წეთ., წყალს.), **ზურგ-ა** სათესი (მამ.), **იფრან-ა** საძოვარი (წყალს.) **კორტოხ-ა** სათიბი (დაბაწ.), **სარტყელ-ა** სათიბები (ზ., წყალს., უ.). **ფონ-ა-ი** წყარო, დელე, საძოვარი, სათესი (სხლობ., იფხ., დ., ტბ.), **ქედ-ა** ტყე, საძოვარი (ზაქ., იფხ.), **ღარ-ა** ტყე (დ.), **შუბლ-ა-ი** სათესი (ხევწ.), **ჩანჩქერ-ა** ჩანჩქერი (ტბ.), **ხეგ-ა** მთა, სათიბი (იფხ., ქოთ.)... **-ა** დაერთვის სახელებს მეორე სუფიქსად: **ქუიანა** საძოვარი (მიქ.), **ჭედრ-ა-ულ-ა** საძოვარი (დას.), **ჭერ-ულ-ა** სათესი (ზ.), **ჯირკნალ-ა** სათესი (ზ.); ხედსართავი სახელისაგან: **გრძელ-ა/გზელ-ა** საძოვარი, სათიბები (ჩაქ., დ., ზ.), **გვალ-ა** სოფ. უბანი (დას.), **ვერან-ა** სოფ. უბანი (ხანთ.). **ლურჯ-ა** სათიბი (სინკ.), **პატერეკ-ა** სათიბი (ტბ.), **ჩიდილ-ა** ტყე (ზ.); საწყისისაგან: **მაჯღანა** სათიბი (ახალდ.), **ღარღალ-ა-ი** საძოვარი (იფხ.), **ყვირალ-ა** სოფელი, მდინარე (შავშ.), **შიმშილ-ა** სათიბი (მამ.), **ჭიდილ-ა** საძოვარი (წეთ.)... მიმღობისაგან: **მოდრეკილ-ა-ი** საძოვარი (წყალს.), **საგორაგ-ა-ი** საძოვარი (მან.), **ჩაიღულ-ა-ი** სათესი, საძოვრები (სინკ., ზაქ., ჩაქ. მან.)...

-ა სუფიქსი ხშირად დაერთვის რთულ სახელებს: **ბერქედ-ა-ი** სათიბი (წეთ.), **დიდელ-ა** ტყე (დაბაწ.), **კართაგ-ა-ი** საძოვარი (მანხ.), **კილდიკარ-ა** სათიბი (დას.), **კუდმოზუერ-ა-ი** საძოვარი (წეთ.), **პაპასათიბელ-ა-ი** სათიბი (ბაზგ.), **სხალფილ-ა** სოფ. უბანი (სვირ.), **ტყიპირ-ა-ი** საძოვარი (მანხ.), **ფაფასელ-ა** სათიბი (კუჭ.), **ქუაბიკარ-ა** ტყე (ხევწ., წყალს.), **ქუატაბლ-ა** საძოვარი (ხოს.), **ქუაჯამ-ა** სათიბი (წყალს.), **ჭიპირირა-ი** სათესი (იგ.), **ხბოყურ-ა** საძოვარი (ზ.). გვაქვს შემთხვევები, როცა კომპოზიტის ორივე წევრი დაირთავს **-ა** სუფიქსს: **ველ-ა გზელ-ა** საძოვარი (ჭუარ.), **ჩანჩ-ა ღარ-ა** საძოვარი (სხლობ.)...

-ა სუფიქსიანი ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის საზღვრულდაკარგული ფორმა ჩანს: **ონაგირ-ა, აკვან-ა** ტიპის სახელებთან იგულისხმება საზღვრული წევრი: **მთა, სერი, გორი**... ასეთ ტოპონიმებში **-ა** საზღვრულის ერთგვარ ფუნქციას ასრულებს“ (მ. ქამადაძე 1992.:20-21). დასტურდება საზღვრულ-შენარჩუნებული ფორმები: **აკვან-ა სერი** სათიბი (ზაქ.), **ბოდღვერ-ა ხევი** დელე (მან.), **კრიჭ-ა სერი** მთა (იფხ.), **მომწვარ-ა-ს წყარო** (ბაზგ.)... როგორც ვხედავთ, მსაზღვრელი წევრის ბრუნვის ნიშანი უმეტესწილად მოკვეცილია. ტოპონიმების ერთ ნაწილს დაერთვის სახელობითი ბრუნვის ნიშანი **-ი**, რომელიც **ი-ს** სახით არის წარმოდგენილი.

-ია სუფიქსით წარმოებული გეოგრაფიული სახელები შავშეთის ტოპონიმიაში მცირე რაოდენობით დასტურდება. **-ია** აწარმოებს რამდენიმე ოიკონიმს: **ანკლ-ია, მერ-ია, ციხ-ია**, გვხვდება მიკროტოპონიმებში: **ბუჭ-ია** სათიბი (ბაზგ.), **გორ-ია** საძოვარი (ხევწ.), **ვა-ია-ი** საძოვრები (ზაქ., წყალს.), **კიბ-ია** საძოვარი (იფხ.), **ნუკრ-ია** საძოვარი (სვირ.), **ტყ-ია-ი** ტყე (ზაქ.), **ჭა-ია-ი** საძოვარი (ხევწ.).

-ია დაბოლოებიანი სახელები უფრო მეტად დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს ტოპონიმისათვის (კერძოდ, იმერეთი, სამეგრელო): **ანარ-ია, აკვან-ია, რომა-ია, სალ-ია, ფოფრ-ია, ჩახალ-ია, ხიც-ია**... (პ. ჯაჯანიძე 1976.: 110), **ანაკლ-ია, ზღვა-ია, ფოქვა-ია, ტობა-ია, მინდორ-ია**.. (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე 1988.:92). ამ უკანასკნელ ტოპონიმებში საზ-

გასმულია სახელდებული ობიექტების სიმცირე. -ია სუფიქსი საზოგადოდ გამოხატავს გინობითობას, ალერსს: და-ია, ძამ-ია... (ა. შანიძე 1973.:120).

შეზღუდულია რეგიონის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში - იან სუფიქსით ნაწარმოები სახელები: **ატ-იანი//ათ-იანი** ტყე, მთა (სინკ., იფხ.), **ბაზ-იანი** ტყე (სხლობ.), **ლორბლ-იანი** სათიბი (წით.), **კენჭ-იანი** მთა არსიანის ქედზე (აჭარა-შავშეთი), **ლოდ-იანი** სათიბი (სხლობ.), **სოტ-იანი** სათიბი (ზაქ.), **ქუშ-იანი** (← ქვიშიანი) საძოვარი (ტბ.)... -იან სუფიქსი გვხვდება კომპოზიტურ წარმოებაშიც: **წყლ-იანი** ღელე (დიობ.), **ნარ-იანი** ახო სათესი (მან.). „-იან სუფიქსი ქართულში თავდაპირველად იხმარებოდა მხოლოდ წარმოშობის, შთამომავლობის, მიმდევრობის აღსანიშნავად, შემდგომში მისი მნიშვნელობა გაფართოვდა და იგი იხმარება რისიმე ყოლისა და ქონების აღსანიშნავად. სწორედ ამ მნიშვნელობით არის ნახმარი გეოგრაფიულ სახელებში: ვაჩიანი, ვაზიანი, თელიანი, ღელიანი, მუხიანი“ (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე 1988). ეს სუფიქსი აწარმოებს ტოპონიმებს იმის მიხედვით, თუ რა არის ნიშანდობლივი ამ ადგილზე, ან როგორია ადგილი ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით. სახელწოდებებში **კენჭიანი, ლოდიანი, -იანი** სუფიქსი მიგვითითებს კენჭის, ლოდის სიმრავლეზე. -იან რთული სუფიქსია. ივარაუდება მისი მიღების ორი გზა: ა) **-იან >-იან; ბ) -ევან >ევან //-იანი (-ეა კომპლექსის დისიმილაციით →-ია)** (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე 1988.:215).

შავშეთის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში განსაკუთრებით დიდია **-იენთ, -იეთ და -ეთ** სუფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმების ხვედრითი წილი.

-იენთ სუფიქსი - **იანთ** რთული სუფიქსის ფონეტიკურ ნაირსახეობააა მიჩნეული და აღნიშნავს კუთვნილება-შთამომავლობას (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე 1988.:221). -იენთ// -იეთ სუფიქსები იმდენად ხშირად გვხვდება საკვლევი რეგიონის ტოპონიმიაში, რომ ისინი ამ მხარის გეოგრაფიული ნომენკლატურის სპეციფიკურ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. რეგიონის მსხვილ დასახლებულ პუნქტებში შედის ცალკეული უბნები, ე. წ. „მეჭყელე“/“მაჭალე“, სადაც, როგორც წესი, ერთი წარმომავლობის გეაროვნული ოჯახები ცხოვრობენ. ასეთ სახელებს დართული აქვთ კუთვნილება-შთამომავლობის აღმნიშვნელი - **იენთ, -იეთ** სუფიქსიები: **აბრამ-იენთ-ი** სოფლის უბანი (ხევწ.), **ბათ-იენთ-ი** სოფლის უბანი (წყალს.), **დარბაზ-იენთ-ი** სოფლის უბანი (მან.), **კოსოლ-იენთ-ი** სოფლის უბანი (მან.), **კუკულ-იენთ-ი** სოფლის უბანი (უ.) და მიგვანიშნებენ იმაზე, რომ აქ ცხოვრობენ აბრამიდის, ბათაძის, დარბაზიდის, კოსოლიძის, კუკულაძის შთამომავალი. სოფელ ჯოჯღევის უბნებია: **გორგ-იეთ-ი, ლომ-იეთ-ი, მესხ-იეთ-ი**. ეს უბნები შესაბამისად განეკუთვნება გორგაძეების, ლომიძეების, მესხიძეების საგვარეულოებს.

ნიკო მარის მიხედვით, **-ეთ** სუფიქსი „...ითვლება ქვეყნის, როგორც განსაზღვრული ეთნიკური სახელწოდებების მატარებელი მოსახლეობის შემცველი კრებითი ცნების, სახელწოდებათა მაწარმოებლად“ (H.Я. Мapp 1911.:36). **-ეთ** სუფიქსი აკ. შანიძეს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სუფიქსად მიაჩნია გეოგრაფიულ სახელთა წარმოებაში, იგი „უშუალოდ და-ერთვის საზოგადო სახელთა ფუძეს: **ტბ-ეთ-ი, ორბ-ეთ-ი, ქორ-ეთ-ი...** განსაკუთრებით აღსანიშნავია ტომობრივი და ეთნიკური სახელები, რომლებსგან იმავე **ეთ-ის** საშუალებით გეოგრაფიული სახელები კეთდება: **ხევსურ-ეთ-ი, თუშ-ეთ-ი, მთიულ-ეთ-ი...** (ა. შანიძე 1980.:198). არნ. ჩიქობავას მიხედვით, **-ეთ** სუფიქსი „რისამე ანუ ვისამე მრავლად მყოფობის ადგილს ნიშნავს“ (არნ. ჩიქობავა 1926.:308). შავშეთის ისტორიული სოფლის - ტბეთის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი შენიშნავს, რომ მან „მოიგო სახელი ესე მუნ მყოფთა მცირედთა და მრავალთა ტბათაგან“ (ვახუშტი ბაგრატიონი 1973.:678). ე. ი. ტბეთი დაერქვა სახელად ადგილს **ტბების** გამო, **ტბეთი** ტბებიანი ადგილია. ამჟამად ტბეთელები თავიანთი სოფლის სახელს გამოთქვამენ ფორმით - **ტიბეთ** (შდრ. კილდე, კიბილი, ტკიბილი...).

-ეთ აწარმოებს ოიკონიმებს: **ბაზგირ-ეთ-ი, ივ-ეთ-ი, მანხატ-ეთ-ი, მიქელ-ეთ-ი, ტბ-ეთ-ი, წეთილ-ეთ-ი, წითვ-ეთ-ი, ექრობაგ-ეთ-ი**. იგი პროდუქტულია რეგიონის მიკროტოპონიმიაშიც: **ასალმ-ეთ-ი** საძოვარი (ჭუარ.), **გოგოლ-ეთ-ი** სოფ. უბანი (ახალდ.), **ვაკე(ეთ-ი** სათიბი (ზაქ.), **თაუზ-ეთ-ი** ს. უბანი (დაბაწ.), **თეთროზ-ეთ-ი** სათესი (მან.), **კარ-ეთ-ი** მთა, საძოვარი, სათიბი (უ., ზაქ., ხევწ.), **ნადირ-ეთ-ი** ტყე (ივ.), **ორონიკ-ეთ-ი** სათესი (ზაქ.), **პერან-ეთ-ი** ს. უბანი

(დიობ.), **ხილგ-ეთი**-ი სათესი (მოქ). **-ეთ** სუფიქსით გაფორმებულია ფლორისა და ფაუნისაგან მომდინარე ტოპონიმები: **ბარდ-ეთი**-ი სათესი (ჯინ.), **ბაზგირ-ეთი**-ი სოფელი (იმ.), **ზუარ-ეთი**-ი სათესი (მიქ), **კუტალ-ეთი**-ი ს. უბანი (სვირ). ხშირ შემთხვევაში -ეთ სუფიქსი დაერთვის მეორე მაწარმოებლად: **თეთრ-აკეთი**-ი ს. უბანი (ჩინორი), **მადლ-ის-ეთი**-ი მთა (ქოთ.) და სხვ.

შავშეთის ტოპონიმურ მასალაში **-თი** სუფიქსით გაფორმებული ბევრი ტოპონიმი დასტურდება: **-თი** დაერთვის ფუძემოვნიან სახელებს: **ბიბო-თი**-ი სათესი (ზ.), **კვირ-თი**-ი სათიბი (იფხ.), **ლაშე-თი**-ი სამკურნალო წყალი, სათიბი (კუჭ., ბაზგ.), **წყარ-თი**-ი წყაროები (უ.), **ჭალა-თი**-ი სათიბი, საძოვარი, სათესი (ქოთ., უ., ვერხვ.)... **-თი** სუფიქსი გვხვდება თანხმოვან-ფუძიან სახელებთანაც: **კორკ-თი**-ი წყარო (უ.), **ვარდ-თი**-ი სოფლის უბანი (წეთ.), **ბრა-ვალ-თი**-ი სათიბი (იფხ.)...

-თ მრავლობითი სუფიქსით ნაწარმოები სახელები გამოხატავენ სიმრავლეს ან კრებითობას: **აკვან-თ(ა)** სათიბი (სხლობ.), **გომ-თ(ა)** სათიბი, ტყე (კუჭ., კარ.), **ველ-თ(ა)** საძოვარი (მიქ), **ზოლ-თ(ა)** საძოვარი (მამ.), **კატარ-თ(ა)** სათიბი (ჯინ.), **ურჩხ-თ(ა)** სათესი (წყალს.), **ფიქალ-თ(ა)** სათიბი (ქოთ.), **ქუბათ-თ(ა)** სათიბი (ხოს.)...

-თი და **-თ** სუფიქსები დაერთვის სახელის ფუძეს მეორე მაწარმოებლად: **ლეკ-ნარ-თი**-ი სათიბი (ზაქ), **ნატურ-ალ-თ** საძოვარი (ციხ.), **კუჭ-ან-თ** ტყე (წით.).

შავშეთის ტოპონიმიაში პროდუქტულია **-ათ(ი)** სუფიქსი, რომელიც ტოპონიმებს აწარმოებს ძირითადად საზოგადო სახელთა ფუძეებისაგან, იშვიათად ეთნონიმებისაგან და ანთროპონიმებისაგან: **აბაზ-ათი**-ი სათიბი (სინკ.), **აბრამ-ათი**-ი სათესი (მოქ), **აგაზან-ათი**-ი სათიბი, სათესი (წყალს., ვ.), **ბაკ-ათი**-ი სათიბები (ხოს., ჯინ.), **ბასილ-ათ** ტყე (სინკ.), **ბორბალ-ათი**-ი ტყე (წეთ.), **ბუჭ-ათი**-ი სოფ. უბანი, სათიბი (ვ., ხოს.), **გაბლ-ათი**-ი საძოვარი (მამ.), **გობ-ათი**-ი სათიბი (სათლელ-რაბათი), **გოდორ-ათი**-ი ტყე (დაბაწვრილი), **გორ-ათი**-ი მთა (ჩაქველთა), **დავლ-ათი**-ი ს. უბანი (დას.), **დუმ-ათი**-ი კლდე, სათიბი (მორღ., მამ.), **ვან-ათი**-ი საძოვარი (მან.), **ველ-ათი**-ი სათიბი (ჯინ.), **თეთრ-ათ** სათიბი (ვერხვ.), **კაპან-ათი**-ი საძოვარი (უ.), **კუჭ-ათ** სათესი (წით.), **კუდ-ათ** ტყე (ტბ.), **მადალ-ათ** სათიბი (ჭუარ.), **მესხ-ათ** სათესი (ჭუარ.), **სანებ-ათი**-ი სათიბი (დიობ.), **სენ-ათი**-ი სათესი (ზ.), **ფერდ-ათი**-ი სათიბი (ბაზგ.), **ქარაფ-ათი**-ი ტყე, სათესი (ჩინ., სვირ.), **ქედ-ათი**-ი სოფ. უბანი, საძოვარი, სათიბი (სხლობ., მამ., ჭუარ.), **ქოთან-ათი**//**ქეთან-ათი**-ი სათიბები (მოქ, ზაქ), **წყარ-ათი**-ი წყარო (წეთ.), **ჭურ-ათი**-ი სათიბი (ტბ.) **ჯარ-ათი**-ი სოფელი (შავშ.)... **-ათ** დაერთვის მეორე მაწარმოებლად: **გვერდ-ნალ-ათი**-ი სათიბი (ზაქ), **კარ-ის-ათი**-ი მთა (მიქ), **მორჩენალ-ათი**-ი სათიბი (უ.), **ნარ-ის-ათი**-ი საძოვარი (კუჭ.), **ქედ-ის-ათი**-ი ტყე (ტბ.), **ჭერ-ულ-ათი**-ი ტყე (წით.). ძალზე იშვიათია **-ათ-ა** წარმოების სახელები: **მანვილ-ათ-ა** გზა (ზ.), **ნისლ-ათ-ა** მთა, საძოვარი, ტყე (კარ., წით., ციხ.).

-თა სუფიქსი სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია საზღვრულდაკარგული გეოგრაფიული სახელების მაწარმოებლად. **-თა -თან** თანდებულის ფონეტიკური ნაირსახეობაა, რომელიც მიღებულია ბოლოკიდური ნ სონანტის დაკარგვით (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე 1988:186). შავშეთის ტოპონიმიაში დასტურდება მხოლოდ საზღვრულდაკარგული **-თა** სუფიქსით ნაწარმოები სახელები: **ბარ-თა** ტყე (ველი), **ბორ-თა** საძოვარი (იფხ.), **ბზა-თა** სოფ. უბანი (წყალს.), **ბოსელ-თა** ტბე (დ.), **ვან-თა** სოფელი (შავშ.), **მოქვ-თა** სოფელი (შავშ.), **ფიქალ-თა** საძოვარი (ხოს.), **ჩინგ-თა/ჩინგ-ტა** სოფელი (იმ.), მერე-თა საძოვარი (ივ.), **ხანმ-თა** საძოვარი (უ.).

-თა სუფიქსი მეორე მაწარმოებლად ერთვის სახელს“ **ბარ-ელ-თა** სათიბი (ზაქ), **გობიან-თა** სათიბი (ჩართ.), **ლოლ-იან-თა** სათიბი (ხან.), **მაჭარ-ელ-თა** სათიბი (სათ.-რაბ.), **ჩაქველ-თა** სოფელი (იმ.) და ა. შ.

შავშეთის გეოგრაფიულ სახელებში **-ებ** სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები საკმაოდ ხშირად გვხვდება. ამ ფორმანტით მიკროტოპონიმები იწარმოება. არ დასტურდება ოიკონიმებში მისი ხმარების არც ერთი შემთხვევა. ეს ფაქტი გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მიკროტოპონიმი ახლოს დგას საზოგადო სახელთან და ბუნებრივია მხოლოდ მას სჭირდება საზოგადო სახელთაგან გამიჯვნა.

-ებ ფორმანტის ძირითადი ფუნქცია მრავლობითობის აღნიშვნაა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში იგი მიგვანიშნებს სახელდებული ტოპონიმის არა სიმრავლეზე, არამედ სიდიდე-

ზე. აკაკი შანიძე წერს, რომ „ზოგიერთი სახელი მრავლობითი ფორმით არის წარმოდგენილი, მაგრამ მრავლობითის ფუნქცია აღარ აქვს; განსაკუთრებით ხშირია ასეთი ფორმები გეოგრაფიულ სახელებში: რკონი, მსხლები, კოშკები, ქვები... მოწამეთა, ჩხიკეთა, ცაბაურთა და სხვა“ (ა. შანიძე 1973.:80). ფ. მაკალათიას აზრით, „სემანტიკური თვალსაზრისით მრავლობითი სუფიქსებით (-ებ, -ნ, -თ) გაფორმებულ ტოპონიმთა ანალიზისას გასათვალისწინებელია შემდეგი: ა) ტოპონიმში წარმოდგენილია აღსანიშნ გეოგრაფიულ ობიექტზე ადამიანთა, ცხოველთა, მცენარეთა და სხვათა სიმრავლე (ვაშლები, ზარნაძეები...), ან აღსანიშნ გეოგრაფიული ობიექტის მფლობელთა სიმრავლე (მოწამეთა, ჯაბაურთა...). ეს უკანასკნელი სახელები... წარმოშობით საზღვრულწავარდნილი მსაზღვრელი სახელებია; -თა -აღნიშნავს მსაზღვრელის და არა საზღვრულის აღსანიშნ გეოგრაფიული ობიექტის სიმრავლეს. ნომინაციის პერიოდში ტოპონიმი აღსანიშნ ობიექტთა რეალურ სიმრავლეს ასახავდა, რაც მრავლობითის ფორმით წარმოდგენილმა საზღვრულწავარდნილმა ატრიბუტულმა მსაზღვრელმა იტვირთა (**სასვილები** სასვილე მამულები); რიგ შემთხვევაში გაარსებითებული ზედსართავი სახელი თუ მიმღეობა იმთავითვე საზღვრულის გარეშე აღებული (მაღალაები, ნამპალნი...)“ (ფ. მაკალათია 1975.:115).

შავშეთის ტოპონიმიაში **-ებ** სუფიქსი ანთროპონიმული წარმომავლობის გეოგრაფიულ სახელებს აწარმოებს, იშავიათად დაერთვის ეთნონიმურ ფუძეს: **მეგრელები** ს. უბანი (ხევწ.), **მიქაძეები** ს. უბანი (ზაქ.), **უნიალები** ს. უბანი (ზაქ.), **ჩაქურიძეები** ს. უბანი (ზაქ)... ტოპონიმის ფუძედ აღებულია საზოგადო სახელი: **ახლები** სათესი (ჩხ.), **ბუჭები** ტყე (მანხ.), **გვერდები**, სათიბი (წყალს.), **გომები** სათესი (უ.), **ვენახები** სათესი (სვირ.), **კორდები** ტყე (მანხ.), **სორები** გვირაბი (იფხ.), **ყანები** სათესი (წეთ.), **ყლარტყეები** სათიბი (წეთ.), **ხეები** სათიბი (წეთ.)...

აღსანიშნავია, რომ **-ებ** სუფიქსი განსაკუთრებული პროდუქტულობით გამოირჩევა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის (ერწო-თიანეთი, ხევი...) და დასავლეთ საქართველოს (იმერეთი, ლეჩხუმი, გურია, აჭარა...) ტოპონიმიაში (მ. ბერიძე 2001; ვ. ითონიშვილი 1971; პ. ჯაჯანიძე 1976; მ. ალაღიძე 1938; ს. ჟღერტი 1936; მ. ქამადაძე 1992).

-ობ//ობა დაერთვის სახელის ფუძეს და ახასიათებს რაიმე დამახასიათებელი ნიშნის მიხედვით (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე 1988 338). როგორც ა. შანიძე წერს: **-ობა...** სუფიქსი საწყისური (მასდარული) წარმოშობისაა და რთულია: **-ობა**. დღეს მას სახელთან მეტი კავშირი აქვს, ვიდრე ზმნასთან... დამოუკიდებლად **-ობ** სუფიქსი რამდენიმე სიტყვაში იხმარება, ესენია: **მადლ-ობი**, **დაბლ-ობი**, **ფერდ-ობი**, **გვერდ-ობი**, **ბექ-ობი** ანუ **ბეგ-ობი**“ (ა. შანიძე 1973.:131-132). თ. ზურაბიშვილი აღნიშნავს: „გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად გამოყენებულია **-ობ//ობა** ბოლოსართიც, რომელიც საერთოდ აბსტრაქტულ სახელებს აწარმოებს; ტოპონიმურ სახელებში კი მას კრებითი, ქონების მნიშვნელობა აქვს: **კუერცხობი**, **ორჭობი**, **იფნობი**, **ვაშლობი**...“ (თ. ზურაბიშვილი 1961.:151).

საკვლევ რეგიონში **-ობ//ობა** (**//ოფ**) სუფიქსით გაფორმებული ტოპონიმები მცირე რაოდენობით დასტურდება: **გარყილ-ობი//გარყელ-ობა** სოფელი (იმ.), **წითლ-ობი** საძოვარი, სათესი (წეთ., მანხ.), **წიწლ-ობი** საძოვარი (კარ.), **ხე-ობა** ხევი (მან., მანხ.)... **თეთრ-ოფი** ტყე, საძოვარი (სხლობ., დაბაწ.), **წისლ-ოფი** მთა (ტბ.).

-ურ(//-ულ-),-ურა(//-ულ-ა): შავშეთის ტოპონიმიაში საკმაოდ ხშირია **-ურ(//-ულ)**, **-ურა(//-ულ-ა)** სუფიქსებით გაფორმებული სახელები: **ბორჯ-ური** სათიბი (სხლობ.), **თერძ-ული** სათესი (ხევწ.), **კიკიფ-ური** სათიბი (ტბ.), **კონ-ური** საძოვარი (ტბ.), **ფანჩატ-ური** სათიბი (ხანთ.), **წიქარ-ული** საძოვარი (ხევწ.), **ბერაგა-ულ-ა** საძოვარი (სინკ.), **თელეფ-ურ-ა** სათიბი (დაბაწ.), **ხოჭო-ურ-ა** სათიბი (ქოთ.).

გვხვდება ტოპონიმები, რომლებიც ნაწარმოებია **-ოურ** (**//-ოულ**), **-ოურა** (**//-ოულ-ა**) სუფიქსებით: **კოტრ-ოულ-ი** სათიბი (კარ.) **კოტბ-ოური** საძოვარი (სათ.-რაბ.), **კოტ-ოური** (-კოტ-ოური) სათიბი (ხევწ.), **გორგ-ოულ-ი** (-გორგ-ოულ-ი - გორგ-ოური) სათიბი (ხევწ.), **გორგ-ოულ-ი** (-გორგ-ოულ-ი - გორგ-ოური) სათიბი (დ.), **კორძ-ოულ-ა** (-კორძ-ოულ-ა - კორძ-ოურ-ა) სათიბი (მან.), **გორამ-ოულ-ა** (<გორამ-ოულ-ა - გორამ-ოურ-ა) სათესი (დ.).

-იური-:ეს რთული სუფიქსია: -იუ⁺რ (-იუ⁺ულ), რომელიც აწარმოებს კუთვნილება-წარმომავლობის სახელებს და ჩვეულებრივ დაერთვის არსებითი სახელის ფუძეს. საკვლევ რეგიონში ასეთი წარმოების სახელები იშვიათია; აფთ-იური სათესი (გელი), ბოსტ-იური სათესი (მანხ.), ფხიკ-იური ს. უბანი (დას.), ყანდ-იური ს. უბანი (მორდ.)...

-ეურ (//-ეულ, -ეურ-ა (//-ეულ-ა): -ეულ აღნიშნავს წარმომავლობას პირთაგან და ნათესაობითი ბრუნვის ფორმას ერთვის: პატარძლის -ეულ -ი, ერის-თვის-ეული... ეს სუფიქსი შეიძლება პირდაპირ ფუძესაც დაერთოს: მამა-პაპ-ეული-ი, მთ-ეული-ი (→ მთ-იული-ი)“ (ა. შანიძე 1980.:129). შედგენილობით -ეულ- რთული სუფიქსია (←ეუ⁺ულ) რომელიც კუთვნილებას, განკუთვნილებას და წარმომავლობას გამოხატავს: მა-კრატ-ეული-ი ტყე (მიქ.), მადარ-ეული-ი ტყე (ახალდ.).

შავშეთის ტოპონიმურ მასალაში ამ რთული სუფიქსის მეორე შემადგენელი ნაწილის (-ულ) ხმოვანი უ მოკვეცილია და ხშირად დართული აქვს -ა სუფიქსი: -ეუ- (უ)ლ⁺ა→ეულ⁺ა სუფიქსი დაერთვის სახელის ფუძეს: გეგ-ვერ-ა სათიბი (კარ.), მესხ-ვერ-ა სათესი (წეთ.), კეც-ვერ-ი სათესი (დას.), ბერ-ველ-ა სათიბი (მამ.), ლურჯ-ველ-ა სათესი (ახალდ.), მახარ-ველ-ა სათიბი (სხლობ.), მორბედ-ველ-ა სათიბი (დაბაწ.), მუნჯ-ველ-ა სათესი (ახალდ.), ქერ-ველ-ა სათიბი (წეთ.), ყარჩ-ველ-ა სათიბი (ციხ.), ჭერ-ველ-ა საძოვარი (ჭუარ.), ანალოგიური წარმოებისაა იფხრ-ველ-ი სოფელი (იმ.).

-ნარ(//-ნალ), -ნარ-ა (//-ნალ-ა): შავშეთის ტოპონიმიაში პროდუქტულია -ნარ(//-ნალ) ტოპოფორმანტი, რომელიც ხშირ შემთხვევაში გართულებულია ა ხმოვნით. იგი დაერთვის უმეტეს შემთხვევაში მცენარეთა სახელების ფუძეს, აღნიშნავს კრებითობას, აწარმოებს ძირითადად მიკროტოპონიმებს. ივარაუდება, რომ -ნარ რთული შედგენილობისაა: - ნ -არ, სადაც -ნ მრავლობითობის გამომხატველი სუფიქსია, -არ კრებითობისა (პ. ჯაჯანიძე 1975: 318): არყი-ნალ-ი// არყ-ნალ-ი ტყე (წეთ., ხანთ.), ვერხვი-ნალ-ი სოფელი (შავშ.), იან-ნარ-ა-ი საძოვარი (წყალს.), კარწ-ნალ-ი სათიბი (ივ.), მუნ-ნარ-ა ტყე (ქვ. სულ.), მორჩე-ნალ-ა საძოვარი (იფხ.), მომწვ-ნარ-ა-ი სათიბი (ბაზგ.), სხალ-ნარ-ი ს. უბანი, სათიბი (ხევწ., ციხ., ზ.), სოჭ-ნარ-ი ტყე (ახალდ.), ფუტკ-ნარ-ა მთა (ჩიხვ.), ჭოჭ-ნარ-ი საძოვარი (კუჭ.), ჭოლ-ნარ-ი ტყე (ივ.).

-ოვან-//-ოვან-ა: -ოვან სუფიქსი უფრო ხშირად გვხვდება ძველ ქართულში, ვიდრე ახალში. ქართული ენის ზოგ დიალექტში ეს სუფიქსი ახალ ფუნქციას იძენს: „ოვან სუფიქსი არა მარტო აწარმოებს არსებით სახელთა ფუძეს, არამედ გვხვდება ვითარებით ზედსართავ სახელებთანაც. გვაქვს ეკალ -ეკლ-ოვან-ი და მეორე მხრივ, პატარა -პატვრანი ← პატარ -ო-ან-ი“ (პ. ჯაჯანიძე 1975.:358).

-ოვან რთული სუფიქსის პირველი ელემენტის (-ოვ) ფუნქცია ასახსნელია, მეორე ელემენტს (-ან) კრებითობის გამომსახველად მიიჩნევენ (თ. ზურაბიშვილი 1961; რ. ძნელაძე 1981; ი. მაისურაძე 1963). საკვლევ რეგიონის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში -ოვან სუფიქსი უმეტესად თავკიდური (ო) ხმოვნის გარეშეა წარმოდგენილი: ბალ-ვან-ა (< ბალ-ოვან-ა) სოფელი (შავშ.), დედ-ვან-ა (<დედ-ოვან-ა) სათიბი (ახალდ.), ნარ-ვან-ი (<ნარ-ოვან-ი) საძოვარი (ხევწ.), ფატ-ვან-ა სათიბი (ციხ.)... დასტურდება შემთხვევა, როცა სუფიქსის თავკიდური (ო) ხმოვანი შენარჩუნებულია: კატრ-ოვან-ი ტყე (სვირ.). პარალელურად დასტურდება გეოგრაფიული სახელი კატრ-უან-ი ტყე (წყალს.)...

ძველ ქართულში ფართოდ გამოიყენებოდა -ობან სუფიქსი, რომელიც -ოვანის ფარდია. საკვლევ რეგიონში შემორჩენილია -ობან სუფიქსით გაფორმებული რამდენიმე ტოპონიმი; დი-ობან-ი სოფელი (იმ.), სხლ-ობან-ი, მუნ-ობან-ი სოფლები (შავშ.): დიობანი დიდ ადგილს ნიშნავს, სხლობანი არის ადგილი, სადაც ბევრი მსხალია, მუნობანი ანუ მუნოვანი - მუხიანი ადგილი, იგივე მუხნარი.

რეგიონის ტოპონიმიაში საკმაოდ შეზღუდულია -ის, -ენ, -ოთ სუფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები: მამანელ-ის-ი, ქოთეთრ-ის-ი სოფლები (შავშ.), უსტამ-ის-ი სოფელი (იმ.), კუჭ-ენ-ი სოფელი (შავშ.), სინკ-ოთ-ი სოფელი (შავშ.).

გ) პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები სახელები

შავშეთის გეოგრაფიული სახელების წარმოება პრეფიქს-სუფიქსებით საკმაოდ პროდუქტიულია. პრეფიქსებია **სა-** და **ნა-**, რომლებიც სხვადასხვა სუფიქსის დართვით თითქმის თანაბარი რაოდენობის ტოპონიმებს აწარმოებენ. **სა-** თავსართთან სახელში სინშირით გამოირჩევა **სა-ე** პრეფიქს-სუფიქსი, ხოლო **ნა-** თავსართთან ტოპონიმებში **ნა-** ევ და **ნა---** არ (**ნა---**ალ) პრეფიქს-სუფიქსი.

საკვლევი რეგიონის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ასევე ხშირია **სა---**ო, **სა---**ეთ, **სა---**ურ (**ს---**ულ), **სა---**ელ, **სა---** ა პრეფიქს-სუფიქსით გაფორმებული ადგილის სახელები.

სა—ე: **სა-მაცხოვრე** ნაეკლესიარი (მან.), **სა-შეშ-ე** საძოვარი, ტყე (ხევწ.), **საკრაფ-ე** ტყე (მანხ.), **სა-სილ-ე** ტყე (კუჭ.), **სა-თაფ-ე** ტყე (სვირ.), **სა-კეც-ე** სათესი (ზ.), **სა-მერცხლ-ე** მთა, ტყე (სვირ., ივ.), **სა-ბუზანკლ-ე** სათიბი (წეთ.), **სა-მაჩე-ე** ტყე (წეთ.), **სა-ყინულ-ე** სათიბი (წეთ.), **სა-ნაფოტ-ე** სათიბი (მან.), **სა-წილ-ე** ტყე (მამ.), **სა-კანჯ-ე** საძოვარი (მან.) და ა. შ.

„**სა—ო** აწარმოებს დანიშნულების სახელებს სახელადი ფუძეებისაგან, იშვიათად ზმნური ფუძეებისაგან, იგი იმავე დანიშნულებისაა, რაც **სა— ე**. „**სა—ო** ხშირია გვარსახელისაგან ნაწარმოებ ტოპონიმებში: **სა-გურამ-ო** (გურამიშიელებსათვის განკუთვნილი, „გურამიშიელების მამული“), „**სა-ბარათიან-ო**“ ...ამგვარი წარმოება ხდება მხოლოდ ეთნონიმებისა და გვარ-სახელებისაგან: **სა-ქართველ-ო**, **სა-მეგრელ-ო**, **სა-ინგილ-ო**... **სა-ციციან-ო**, **სა-მაჩაბლ-ო**“ (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე 1988: 333, 375). შავშეთში ამგვარი სახელები თითქმის არ დასტურდება. ტოპონიმის ფუძედ აღებულია ჩვეულებრივი საზოგადო სახელი: **სა-სადილ-ო** საძვოვარი (დას.), **სა-ზუნ-ო** სათიბი (ბაზგ.), **სა-მარხილ-ო** სათიბი (დიობანი), **სა-ზამთრ-ო** საძოვარი (წეთ.), **სამ-მარილ-ო** სამ., სათიბი (კარ., დიობ.), **სა-ნადირ-ო** ტყე, სათიბი (დას., მან., წეთ.). იშვიათად გვხვდება ისეთი შემთხვევა, როცა ფუძე რთული სახელია: **სა-ავიდრ-ო** სამ., (მანხ.)...

დანიშნულებას გამოხატავს აგრეთვე სამედიკინტიანი მაწარმოებელი: **სა—ე-ა** (დისიმილაციით **სა—ია**), რომელიც საკმაოდ ხშირად გვხვდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში: ზემოაჭარაში (**სა-ჯინჭრ-ია**, **სა-მაჩე-ია**, **სა-გველ-ია-ა** და ა. შ.) (მ. ქამადაძე 1992:30), ლეჩხუმში (**სა-ბაწრ-ია**, **სა-დათე-ია**, **სა-კატ-ია...**) (მ. ალავეძე 1938), რაჭაში (**სა-კიბ-ია**, **სა-ნისლ-ია**, **სა-ოქრ-ია...**) (მ. ჩიქოვანი 1939:83). ამგვარი წარმოება დამახასიათებელია ფშავის (ფ. მაკალათია 1976:58), ერწო-თიანეთის (გ. ბედოშიელი 1980:33), მთიულეთ-გუდამაყრის გეოგრაფიული სახელებისათვის. შავშეთში ეს პრეფიქსი-სუფიქსი აწარმოებს მიკროტოპონიმებს. ამგვარი წარმოების მხოლოდ ერთი სოფელია შავშეთი: **სა-თაფლ-ია**. ფუძედ აქაც ჩვეულებრივ საზოგადოე სახელია აღებული: **სა-ბროლ-ია** სათიბი (ზაქ.), **სა-თარგმ-ია** საძოვარი (დიობ.), **სა-ქორ-ია** სათიბი, დაილა (წით., ზ.), **სა-ბურთ-ია** საძოვარი (ჩიხ.) **სა-სკ-ია** სათიბი (უ.), **სა-თიბ-ია** საძოვარი (სინკ.), **სა-ჩარხ-ია** საძოვარი (იფხ.) და ა. შ. არის შემთხვევები, როცა **სა- -ია** პრეფიქს-სუფიქსით გაფორმებული ტოპონიმი დაირთავს -თ-ი სუფიქსს, **სა- -ე-ათ-ი** >**სა-ია-თ-ი**: **სა-მერ-ცხლ-ია-თ-ი** (<სა-მერცხლ-ე-ათ-ი) სათიბი (ზაქ.), **სა-ბურთ-ია-თ-ი** (<სა-ბურთ-ე-ათ-ი) საძოვარი (ხევწ.), **სა-ნეგე-ია-თ-ი** (<სა-ნეგე-ე-ათ-ი) <სა-ნეგე-ე-ათ-ი>**სა-ნეგო-ე-ათ-ი**) ტყე (მიქ.) და სხვ.

სა —ეთ: **სა-ყურ-ეთ-ი** სათიბი (ზაქ.), **სა-ფის-ეთ-ი** სათიბი (ყვირ.), **სა-ლებ-ეთ-ი** სათიბი (ივ.), **სა-ხბუ-ეთ-ი** (<სა-ხბო-ეთ-ი) საძოვრები (მიქ., მან.), **სა-ჯურ-ეთ-ი** სათესი (დაბაწ.), **სა-კარკ-ეთ-ი** სათიბი (მანხ.), **სა-ტყე-ეთ-ი** (<სა-ტყე-ეთ-ი) სათიბი (მორდ.). **სა-მაჩ-რთ-ი** სოფელ ტბეთში ჰქვია სათიბს და საზამთრო სადგომს, რომელიც სოფლიდან მოშორებულია 2-3 კმ-ით; უდავოა, რომ გეოგრაფიული ადგილის სახელი მომდინარეობს **მაჩე** სგან. ამას ადასტურებენ ადგილობრივი ინფორმატორებიც. ტოპონიმის ფუძეში მოხდა ბგერთააცვლილება: **ვეურ-ე**. ი. **სამაჩრთი** იგივე **სამაჩეეთია**, ადგილი, სადაც ბინადრობს **მაჩე**.

სა—ურ (**სა---**ულ): **სა-ბად-ურ-ი** ტყე (მამ.), **სა-ყან-ურ-ი** სათესი (მან.), **სა-გუნდ-ულ-ი** (ივ.). დასტურდება ფორმები **სა-ბად-ურ-თ-ა** ტყე (მიქ.), **სა-კანჯ-ულ-ა** საძოვარი (ზ.) და ა. შ.

სა- -ა: **სა-ზელ-ა** (<სა-გზელ-ა) ტყე (მორდ.), **სა-ჩილ-ა** (<სა-ჩილილ-ა<სა-ჩრდილ-ა) სათიბი (დაბაწ.), **სა-ქოთ-ა** ტყე (დაბაწ.).

სა—ელ, სა- -ელ-ა: **სა-მღერ-ელ-ი** სათესი (უ.), **სა-ხუეწ-ელ-ი** (>**სა-ხვეწ-ელ-ი**) გამოქვაბუ-
ლი (ივ.), **სა-ზგირ-ელ-ი** მთა, საძოვარი (ბაზგ.), **სა-ხნ-ელ-ა** (<**სა-ხენ-ელ-ა**) სათიბი (წით.), **სა-
რანწკუნებ-ელა** საძოვარი (ბაზგ.) და სხვ.

სა—ელ ტოპონიმებს უმეტესად აწარმოებს ზმნური ფუძეებიდან.

სა—არ, სა — არ-ა: **სა-ბუზ-არ-ი** სათესი (მაჩხ.), **სა-ბუზ-არ-ა** საძოვარი (ზ.), **სა-ბუდ-არ-ა**
ს. უბანი, საძოვარი, მთა (მორღ., ჩიხ., ჩაქ.), **სა-ყუნდ-არ-ა** მთა (დაბაწ.), **სა-ტყე-(ე)ფ-არ** საძო-
ვარი (წით.), **სა-ყეფ-არ-ა** (<**სა-(ტ)ყე-(ე)ფ-არ-ა**) საძოვარი (ზაქ.). ბოლო ორ მაგალითში სა-
პრეფიქსი ორი, სამი სუფიქსის დართვით აწარმოებს ტოპონიმებს: **სა—ეფ-არ, სა—ეფ-არ-ა.** თ.
ზურაბიშვილი წერს, რომ „ზოგ შემთხვევაში ერთ ფუძესთან ერთდროულად ორი სუფიქსიც
ყოფილა გამოყენებული, როგორც **-ეფ, ისევე -არ, ან -ურ,** სადაც ზოგან **-ეფ-ის -ე** ხმოვანი
ამოვადნლია: **ნადიკვარი, ნაციხვარი, ნატბე(ე)ური** და სხვა“ (თ. ზურაბიშვილი 1961.:154).

სა - იენტ, სა— იეთ: **სა-ლესე-იენტ-ი, სა-მელ-იენტ-ი** სათიბები (ბაზგ.), **სა-ყორნ-იეთ-ი**
სათიბი (ციხ.), **სა-მხვალ-იეთ-ი** სათიბი (ბაზგ.), **სა-ნერგ-იეთ-ი** სათესი (უ.)...

ნა— ევ: **ნა-ფურნ-ევ-ი** მთა, ტყე, დაილა (დას., წით., სინკ., ზ.), **ნა-სახლ-ევ-ი** სათესები
(იფხ., წით., ზაქ., მან.), **ნა-ჯვარ-ევ-ი** (-**ნა-ჯუარ-ევ-ი**), ნაეკლ., სათესი (ზაქ., მან.), **ნა-სესხ-ევ**
ტყე (ველი), **ნადარბაზ-ევ-ი** ნანგრევი (ხანთ.), ნახარ-ევ-ი სათიბი (ზ.), **ნა-საყდრ-ევ-ი** სათესი
(ხევწ.), **ნა-მარმ-ევ-ი** სათიბი (ზაქ.), **ნა-ბოსლ-ევ** სათიბი (ტბ.), **ნა-ასლ-ევ-ი** სათიბი (დიობ.), **ნა-
ურმ-ევ-ი** საძ., (წით.), **ნა-ტბ-ევ-ი** ტბა, წყარო (წით., კარ.), **ნა-ილ-ევ-ი** (<**ნა(და)ილ-ევ-ი**) სათიბი
(ზაქ., დას.), **ნა-ღარ-ევ-ი** სათიბი, ტყე (კუჭ., დაბაწ.).

ნა — არ (//—აღ), ნა — არ-ა (//ნა — აღ-ა): **ნა-ფუზ-არ-ი** (<**ნა-ფუძ(ე)-არ-ი**) სათესი, სა-
თიბი (მიქ., მამ.), **ნა-ოსპარ-ი** სათესი (ხევწ.), **ნა-სელფ-არ-ი** (<**ნა-სელ-(ე)-არ-ი**) სათესი (ბაზგ.),
ნა-ყანგ-არ-ი (<**ნა-ყან-(ე)-არ-ი** (<**ნა-სელ(ე)ფ-არ-ი**) სათესი (ბაზგ.), **ნა-ყანგ-არ-ი** (<**ნა-ყან(ე)ფ-არ-
ი**) სათიბი (ივ.), ნა-მუ-არ-ი ტყე (ივ.), **ნა-ახუ-არ-ი//ნა-ახო-არ-ი** სათესი (ივ.), **ნა-კორდ-აღ-ი** სა-
თესი (წყალს.), **ნა-ციხ-არ-ა-ღ** სათიბი (ივ.), **ნა-ტუს-აღ-ა-ღ** (<**ნა-ტუს-აღ-აღ-ა**) საძოვრები (ბაზგ.,
ხევწ.).

ნა — ებ: **ნა-კალუ-ებ-ი** (<**ნა-კალო-ებ-ი**) სათიბი (მან.), **ნა-ჭარლ-ებ-ი** (<**ნა-ჭალ(ა)რ-ებ-
ი** <**ნა-ჭალა-არ-ებ-ი**) სათესი (მან.). ამ უკანასკნელი ტოპონიმის ფუძეა არა **ჭარ,** არამედ **ჭალ.**

ნა — ავ: **ნა-კორ-ავ-ი** (<**ნა-კორ(დ)-ავ-ი**) სათიბი (ბაღ.) **ნა-ყორ-ავ-ი//ნა-ყორ-ევ-ი** სათიბი
(ჩართ, შავქ.).

ნა - პრეფიქსი სხვადასხვა სუფიქსებით აწარმოებს გეოგრაფიულ სახელებს.

ნა — ავ-ათ-ი: **ნა-წისქვილ-ავ-ათ-ი** საძოვარი (სეირ.), **ნა-სვილ-ავ-ათ-ი** სათიბი (წით.)... **ნა-
ბუეგ-არ-ათ-ი** საძოვარი (ხევწ.)...

ნა — -ულ-ო: **ნა-ჭიბ-ულ-ო** საძოვარი (ხევწ.), **ნა-წიბ-ულ-ო** სათიბი (ხევწ.) და ა. შ.

ნა — ათ: **ნა-ჯიბ-ათ-ი** სათესი (სინკ.), **ნა-ცქვილ-ათ-ი** საძოვარი (წყალს.) და სხვა.

ნა—არ-ებ: **ნა-ფუზ-(ა)რ-ებ-ი** სათესი (წყალს., ხევწ.).

მოპოვებული ტოპონიმური მასალიდან ჩანს, რომ ხშირია, როცა ტოპონიმის სახელდე-
ბაში ერთ პრეფიქსთან ორი და არაიშვიათად სამი, ოთხი სუფიქსი ღებულობს მონაწილეო-
ბას, რაც საერთოდ დამახასიათებელია საქართველოს სხვადასხვა კუთხის გეოგრაფიული
სახელებისათვის (იხ. ფ. მაკალათია 1976.:58-59; მ. ქამადაძე 1992.: 33-34; გ. ელიავა 1977.:31).

13. რთული გეოგრაფიული სახელები

შავშეთის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში რთულ სახელებს მნიშვნელოვანი ადგილი
უჭირავს. საანალიზოდ აღებული 1 535 ქართული ტოპონიმიდან სიტყვათშეერთებით ნაწარ-
მოებია 625 ადგილის სახელი, ანუ საერთო რაოდენობის 40,71%. რთული სახელი ჩვეულებ-
რივ მსაზღვრელ-საზღვრულია. გაბატონებულია პრეპოზიციური წყობა, შედარებით ნაკლები
სიხშირით დასტურდება პოსტპოზიციური წყობის მიხედვით გაფორმებული სახელები. საკ-
მარ რაოდენობით გვხვდება ასევე სამფუძიანი ტოპონიმები, დასტურდება ოთხფუძიანი გეოგ-
რაფიული სახელებიც.

საერთოდ, როცა კომპოზიტიური გაფორმების ტოპონიმებში გამოვეყოფთ ჯგუფებს (მაგ., არსებითი სახელი + არსებითი სახელი., არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი...) პირობითია, რადგან კომპოზიტში წარმოდგენილი ფუძეები ფაქტიურად გაარსებითებულია.

შავშეთის რთულ ტოპონიმებში რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა:

ა) კომპოზიტის ორივე წევრი არსებითი სახელია

მსაზღვრელ-საზღვრულის რიცხვი მხოლოდითია, მსაზღვრელის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებულია: **ბერისახლო** სათესი (ველი), **დოდოფლისწყარო** წყარო (დას., ზაქ.), **კვიცისფენი** სათიბი (სვირ.), **კოდისწყარო** ს. უბანი (სინკ.), **მერისწყარო** წყარო (წეთ.), **სვირევისდედე** დედე (სვირ.), **ქვაბისკარი** სათიბი (დ.), **წისქვილისდედე** დედე (წეთ.), **ჭითისწყალი** დედე (მაჩხ.), **ჯინალის ხიდი** ხიდი (სვირ.) და სხვ.

გენეტიკური მსაზღვრელი -**ებ-იან** ან -**ნარ-თან-იან** მრავლობითშია, საზღვრული წევრი მხოლოდითში. ნათესაობითი ბრუნვის თანხმონითი ნაწილი (ებ-იან მრ.-ში) ზოგჯერ მოკვეცილია: **ბაგათსერი** საძოვარი (ზაქ.), **ბაგათხევი** დედე (ზაქ.), **დევაძეებისწყალი** დედე (უ.), **ვაშლთაყანა** სათესი (ახალდ.), **კაკლებისერი** საძოვარი (დას., ზაქ.), **ლეკებისერი** საძოვარი (დას.), **ტყუბლათწყარო** წყარო, საძოვარი (ზაქ.) და ა. შ.

რთული სახელის ორივე წევრი მხოლოდითშია, ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმონითი ნაწილი (ს) კი მოკვეცილია; ასეთი გაფორმების კომპოზიტები საკვლევ ტერიტორიაზე დღი რაოდენობით დასტურდება: **აბანოხევი** სათიბი (ვ.), **აგაზანყანა** სათესი (მან.), **ბარიდედე** დედე (ხევწ.), **ბერიახო** სათიბი სვირ., დაბაწ.), **ბეჭიკლდე** საძოვარი, კლდე (ბაზგ.), **დართთავი** სათიბი (ხევწ.), **ვარდიყანა** სათიბი (ჩიხ., ზაქ.), **თაფლიწყარო** წყარო (უ.), **თელაწყარო** წყარო (უ.), **თუთიდედე** დედე (ჩიხ.), **კაბითავ** ტყე (ჭუარ.), **კალოსერი** სათესი (მაჩხ.), **კინიჯვარი**, **კლდეკარი** სათიბები (ბაზგ., ხოს., წყალს.), **ლოდივაკე**, **რუთავ** სათიბები (ივ., ტბ.), **მანანთავი** ტყე (წეთ.), **საყდარისერი** სათესი (ივ.), **სერიყანა** სათესი (შავშ.), **ფერდიყანა** სათესი (მან.), **ქალიწყარო** წყარო (წეთ.), **ქვაბიკარი** ტყე (ჩაქ.), **ქურთიტყე** (ივ.), **ჩიტყანა** სათესი (ჭუარ.), **ძაღლიახო** ტყე (ხევწ.), **წისქვილიკარი**, **ხევიჭალა** სათიბები (სვირ., ბაღ.)...

გენეტიკური მსაზღვრელი მხოლოდითშია, საზღვრული -**ებ-იან** მრავლობითში: **კლდითავეები** სათიბი (დას.), **დარბაზიყანები** სათესი (დას.), **რუდედეები** დედე (დას.)...

დასტურდება შემთხვევა, როდესაც მსაზღვრელ-საზღვრულის რიცხვი მრავლობითია: **მოსიენტ ყანები** სათესი (წეთ.) და ა. შ.

ბ) თხზული სახელის პირველი ნაწილი არსებითი სახელია, მეორე – ზედსართავი სახელი.

მსაზღვრელი არსებითი სახელია, საზღვრული - ზედსართავი. ორივე წევრის რიცხვი მხოლოდითია, ხშირ შემთხვევაში მსაზღვრელის ბრუნვის ნიშანი მოკვეცილია: **არდიასწმინდა** (<ანდრიასწმინდა) ს. უბანი, საძოვარი (ჩ.), **გვერდწმინდა** დაილა (ხევწ.), **დაბაკეთილი**, **დაბაწერილი** სოფლები (შავშ.), **ელიასწმინდა** ნაეკლსიარი (იფხ., ზაქ.), **ქვაწითელი** სათესი (მაჩხ.), **ხევწრული** (<ხევწერილი) სოფელი (იმ.) და სხვ.

გ) კომპოზიტის პირველი ნაწილი ზედსართავი სახელია, მეორე – არსებითი.

მსაზღვრელ-საზღვრულის რიცხვი მხოლოდითია, მსაზღვრელად გამოყენებულია ვითარებითი ზედსართავი სახელები: დიდი, პატარა, გრძელი, ახალი, თეთრი, შავი, მაღალი და სხვა. საზღვრული საზოგადო არსებითი სახელია. აღსანიშნავია, რომ ამგვარი გაფორმების ტოპონიმები საკვლევ ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით დასტურდება: **ახალდაბა** სოფელი (შავშ.), **აგჭალა** სათიბი (ჩარ.) **დიდახო** ს. უბანი, სათიბი (ჩიხ., ზენდ.), **დიდმერე** ს. უბანი (სვირ.), **დიდარე** სათიბი (ზ.), **დიდლოდი** საძოვარი (ზ.), **დიდვაკე**, **დიდველი** სათიბი, საძოვარი (წეთ., ზაქ.), **დიდდედე** დედე (ჩიხ.), **ზუელ-კალო** (<ძველი კალო) სათესი (წეთ.), **ზელქედ** (<გრძელი ქედი) მთა (მაჩხ.), **თეთრხევი** სათიბი (ზაქ.), **თეთრიწყარო** წყარო (კარ.), **თეთრიქვა** მთა (ჩიხ.), **მაღალწყარო** წყარო (იფხ.), **მიწრო დედე** (<ვიწრო დედე) დედე (ბაზგ.), **პატარა დედე** სათიბი (ახალდ.), **პაწახიდი** (<პაწად ხიდი) ხიდი (დიობ.), **ფართოდედე** დედე (ბაზგ.), **მაჭალა** (<ღრმა ჭალა) საძოვარი (მიქ.), **შავმთა** სოფელი (შავშ.), **შავტბა** ტბა (კარ.), **შავქეთი** (<შავქედი) სოფელი (შავშ.), **შავიკლდე** კლდე (წყალს.), **შავტყე** ტყე (ხევწ.), **ცივიწყარო** წყარო (დიობ.), **წითელკლდე** კლდე (ზაქ.)...

ხშირად დასტურდება შემთხვევები, როდესაც საზღვრული მრავლობით რიცხვში დგას: **ახალჭალები** სათიბი (წყალს.), **დიდწისქვილები** ს. უბანი, (უ.), **ზუელკარები** (<ძუელკარები <ძველი კარები) საძოვარი (დას.), **ლამაზწუერები** საძოვარი (უ.), **შავმორები** სათიბი (წეთ.) და სხვ.

დ) თხზული სახელის პირველი შემადგენელი ნაწილი ზმნიზედაა, მეორე - არსებითი სახელი.

მსაზღვრელი ზმნიზედაა, საზღვრული - არსებითი სახელი. ორივე წევრის რიცხვი მხოლოდითია. „მსაზღვრელი ფორმაცვლელი სიტყვები აზუსტებენ ამა თუ იმ პუნქტის ადგილმდებარეობას. ეს შემდეგი დროის მოვლენა უნდა იყოს, როდესაც ნიშანთა მსგავსების გამო გაჩნდა რამდენიმე ერთნაირი სახელწოდება, ან ერთი სახელწოდების პუნქტი გაიზარდა ტერიტორიულად, დაიწყო და წარმოიშვა ამ ადგილთა გარჩევის ბუნებრივი აუცილებლობა“ (თ. ზურაბიშვილი 1961:156). მოპოვებულ ტოპონიმურ მასალებში ამგვარი წარმოებისას მსაზღვრელად გამოყენებულია უმეტესად შემდეგი ზმნიზედები: გაღმა, ზედა, ქვედა და სხვ. საზღვრულად კი საზოგადო არსებითი სახელი: ახო, ყანა, ვაკე, ჭალა, მთა და ა. შ.: **ბოლოყანა** სათესი (ანკ.), **გაღმა ახო** ს. უბანი (ივ.), **გაღმა ყანამ** სათიბი (წყალს.), **გადაღმა ყანა** სათესი (სვირ.), **მიღმა წყარო** წყარო (მანხ.), **გაღმა ჭალა** საძოვარი (ბაზგ.), **ზედვაკე** სათესი (ბაზგ.), **ზედვაკე** (<ზედვაკე, ზედა ვაკე) სათესი (ტბ.), **ზედა სულისი** სოფელი (შავშ.), **ზედუბე** (<ზედა უბე) სათიბი (უ.), **ზემობანი** (<ზემო უბანი) ს. უბანი (უ.), **იქეთამ ჭალა** სათიბი (დაბაწ.), უკან ჭალა საძოვარი (დიობ.), **ქვედა სულისი** სოფელი (შავშ.), **ქომომთა** (<ქვემო მთა), **შუაგზა გზა** (სვირ.).

ე) კომპოზიტის პირველი ნაწილი არსებითი სახელია, მეორე - ზმნიზედა.

მსაზღვრელი არსებითი სახელია, საზღვრული - ზმნიზედა, კომპოზიტის ორივე წევრის რიცხვი მხოლოდითია. ასეთი გაფორმების სახელებს ერთ დროს საზღვრული ჰქონდათ, რომელიც დაკარგულია: **ბაღსუკანა**, **ვაკიბოლოს**, **ველიბოლოს** სათიბები (მანხ., ციხ., ველი), **კარჩხლიზირს** (<კარჩხლის ძირს) ტყე (წყალს.), **კილდეზირს** (<კლდის ძირს) სათიბი (ქოთ.), **კილდეშუამ** საძოვარი (იფხრ.), **კუტალაზირს** (<კუტალას ძირს) სათესი (მან.), **რუსიქით** საძოვარი (დ.), **სერუკან**, **ტყიმლიზირს** სათიბები (მანხ., ხევრწ.), **ღობიძირს** სათესი (ტბ.), **ჩიტბიძირას** სათიბი (ივ.), **წყალსიმერი** სოფელი (იმ.), **წყალქუეშამ** საძოვარი (მანხ.) და ა. შ.

გვაქვს შემთხვევები, როცა არსებითი სახელი - თან-იან მრავლობითშია: **კილდეუკანა** (<კლდეთა უკანა) საძოვარი (წით.), **ლევოუკანამ** ტყე, სათიბი (უ.). არის შემთხვევა, როცა საზღვრული წევრი შენარჩუნებულია: **კლდეშუათის წყარო** (წეთ.)...

ვ) თხზული სახელის პირველი შემადგენელი ნაწილი სახელზმნა, დანიშნულების ან წინავითარების სახელია, მეორე - არსებითი სახელი.

შავშეთის ტოპონიმურ მასალაში გვხვდება რთული გეოგრაფიული სახელები, რომლებიც გაფორმებულია სახელზმნით, დანიშნულების ან წინავითარების სახელისა და არსებითი სახელის შერწყმით. კომპოზიტში მსაზღვრელია სახელზმნა, დანიშნულების ან წინავითარების სახელი, საზღვრული კი - არსებითი სახელი. რთული ტოპონიმის ორივე ელემენტის რიცხვი მხოლოდითია, იშვიათად - მსაზღვრელი თან-იან მრავლობითში:

დამპალწყარო წყარო (წყალს.), **დამპალყანა** სათესი (უ.), **კირკატისერი** სათიბი (ივ.), **ნარევიტყე** ტყე (წეთ.), **ნარვალარუ** რუ (წყალს.), **საბურავაწყარო** წყარო (იფხ.), **საბუქეჭალა** სათიბი (ივ.), **სანგლიაფერდი** სათიბი (ზაქ.), **სანიგიხევი** სათიბი (ზაქ.), **საოგრეკლდე** (წეთ.) **სარჩეეთა** ღელე (წყალს.), **სასარცხლისხევი** ღელე (ზაქ.), **საყველასერი** მთა, საძოვარი (კარ.) და ა. შ.

ზ) არსებითი სახელითა და სახელზმნით შედგენილი კომპოზიტები.

ასეთი გაფორმების კომპოზიტებში არსებითი სახელი გენეტიკური მსაზღვრელია, საზღვრული სახელზმნა კი - უმეტესად ნამყო დროის მიმდებარეობა. ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ხშირად შენარჩუნებულია, რიცხვი მხოლოდითია:

ვანისათიბი სათიბი (ჩართ.), **კრავისაპარსი** სათიბი (უ.), **მელის საკუნტარი**, **სერისათიბი** საძოვრები (დას., ჭუარ.), **ურისაკლავი** (<ტურის საკლავი?) საძოვრები (ზ., დას., ბაზგ.), **ქალის**

საფრინავი გზა (სვირ.), **ცხვრის საწოლი** საძოვარი (წეთ.), **ჭუავის საგორებელა-ი** საძოვარი (დას.), **ხარისაკლავი** სათიბი (უ.), **ხარისაწოლი** საძოვარი (წყალს.)... იშვიათად მსაზღვრელ-საზღვრული მრავლობითშია: **სხალთნამწუართა** სათიბი (იფხ.) და სხვ.

თ) რიცხვითი სახელი მსაზღვრელად.

საკვლევ ტერიტორიაზე დასტურდება ისეთი რთული გეოგრაფიული სახელები, რომლებიც გაფორმებულია რაოდენობითი რიცხვითი (ორი, სამი, ოთხი, ცხრა...) და არსებითი სახელით. ასეთი გაფორმების სახელებში მსაზღვრელი რიცხვითი სახელია, ხოლო საზღვრული - არსებითი სახელი. რიცხვი ჩვეულებრივ მხოლოდობითა, იშვიათად - საზღვრული - ნარ'იან მრავლობითში.

სამიჭალა სათიბი (მამანელისი), **სამიხევი** სათესი (კუჭ.), **სამყური** სათიბი (ივ.), **ორბოკა** (←ორბოკელა), **ორგზა** სათიბები (დიობ., ჩართ., წყალს.), **ოთხკილდე** ს. უბანი (სვირ.), **ცხრაწყარო**, **ცხრაწყაროთი** საძოვრები (დიობ., ხევწ.). დასტურდება შემთხვევა, როცა მსაზღვრელი ორწევრიანი რთული სახელია: **ორსულა დელე** დელე (სვირ.), **ორპატიტა წყარო** წყარო (წყალ.) და სხვ.

ი) თანდებულების მონაწილეობით გაფორმებული ტოპონიმები.

თანდებულების მონაწილეობით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი მხარეების: თუშეთის, ფშავის, ხევსურეთის, ხევის, მთიულეთის ტოპონიმისათვის (გ. ბედოშვილი 1972.:15). ასეთი გაფორმება უცხო არ არის არც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიული ნომენკლატურისათვის (მ. ქამადაძე 1992.:42).

საინტერესოა, რომ შავშეთის ტოპონიმურ ფონდშიც გვხვდება თანდებულიანი ტოპონიმები: **ბათანა** (<ტბათანა) სათიბი (დაბაწ.), **გარზეყანები** (<განზე ყანები) სათესი (ივ.), **თავშიყანა** სათესი (დას.), **კალოთანყანა** (<კალოსთან ყანა) სათესი (წეთ.).

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ თანდებულების დართვით ტოპონიმების წარმოება საერთო ქართული მოვლენაა.

კ) ფუძის გაორკეცვით გაფორმებული სახელები.

შავშეთის ტოპონიმიაში დასტურდება ერთი წყება რთული გეოგრაფიული სახელებისა, რომლებიც იწარმოებიან ფუძის გაორმაგებით. ასეთი გეოგრაფიული სახელები საერთოდ იშვიათია ქართულ ტოპონიმიაში, მაგრამ მაინც დასტურდება (H. Я. Мapp 1915.:45). საკვლევ რეგიონში მოპოვებულ ამ ტიპის სახელებში შეერთება ფუძეებს შორის უკავშიროა, იშვიათად - და კავშირიანი. გამოიყოფა სახელურფუძიანი და ზმნურფუძიანი ფუძეგაორკეცვული სახელები: **აღმა-აღმა** სათიბები, ყიშლა (ტბ., ქოთ., კუჭ.), **პირდაპირი** სათიბები, საძოვრები, (იფხ., ქოთ., ზაქ.), **ქედ-ქედი**, **ქედ-ქედა** სათიბები (წყალს., სვირ.). დასტურდება შემთხვევები, როცა კომპოზიტის მეორე ფუძე წარმოდგენილია -ეთ, -თ, -ელ-ა სუფიქსებით: **დურ-დულ-ეთი** (<დურ-დურ-ეთი) ტყე (მან.), **ჭალა-ჭალა-თ** ს. უბანი (მორდ.), **დურ-დუმ-ელ-ა-ი** (<დურ-დურ-ელ-ა-ი, რ//მ თანხმოვანთა შენაცვლებით) დაილა (ხანთ.). ასევე გვხვდება ხმოვანთა შენაცვლებით გაორკეცვის ორიოდ შემთხვევა: **ბრაგი-ბრუგა** სათიბები (ყვირ., ჯინ.), **ვაკე-ვაკი** სათიბი (იფხ.).

გვაქვს იშვიათი შემთხვევა, როდესაც კომპოზიტის პირველი ნახევრის ფუძეში ბგერათ-კომპლექსი (ლუ) ამოვარდნილია და დარჩენილი ფუძის ნაწილი შერწყმულია მეორე ფუძესთან: **დედელა** (<დედე-ლა-დედე-დელა) სათესი (ციხ.).

ღ) სამ- და მეტფუძიანი გეოგრაფიული სახელები.

საკვლევ რეგიონში დასტურდება სამფუძიანი და იშვიათად ოთხფუძიანი გეოგრაფიული სახელები. სამფუძიანი სახელებია: **ახოთგაგეტყე** ტყე (ზაქ.), **ბალთახევედელე** (<ბალთახევის დელე) დელე (ხიხ.), **ბოდღვერახევიდელე** (<ბოდღვერას ხევის დელე), **დიდბლიზირი** (<დიდი ბლის ძირი), **დიდგულიხევი** სათესები (ხევწ., სოხ.), **დიდკალოხევი** (<დიდი კალოს ხევი) სათიბი (ზაქ.), **ვაკეკლდითავი**, **ზემონაგვარის წყარო** წყარო (იფხ., წყალს.), **საკლდეხევი წყარო** წყარო (იფხ.), **სანიოკლდითავი** (<სანიორე კლდის თავი), **ფერიაკლდითავი** (<ფერიას კლდის თავი), სათიბები (იფხ., ივ.), **დელითავიწყარო** წყარო (იფხ.), **შუა დიდი მერე** სათესი (სვირ.), **შოლტისხევისდელე** დელე (წყალს.), **შოლტისხევის მთა მთა** (წყალს.), **შავიკლდეზირი**

(<შავი კლდის ძირი) საძოვარი (წყალს.), ცივწყაროდელე სათესი (წყალს.), წითელმიწიბოლო სათესი (მანხ.)... ოთხფუძიანი სახელებია: ნეფედლოფლის წყაროსთავი საძოვარი (იფხრ.), წითელმიწიბოლოხევი სათიბი (ივ.)...

როგორც მოყვანილი მაგალითებით ჩანს, მრავალფუძიანი ტოპონიმის ყველა შემადგენელი წევრი მხოლოდით რიცხვში დგას. არ დასტურდება მრავლობითი რიცხვის არც ერთი შემთხვევა. თხზული ტოპონიმის გაფორმებაში მონაწილეობს არსებითი და ზეღსართავი სახელი, იშვიათად წარმოქმნილი სახელი და ზმნიზედა. წყობა ძირითადად პრეპოზიციურია. მსახდვრელ წევრებს ხშირ შემთხვევაში მოკვეცილი აქვთ ბრუნვის ნიშანი.

მ) საზღვრული ინდიკატორით გაფორმებული გეოგრაფიული სახელები.

შავშეთის ტოპონიმიაში საკმაოდ ხშირად გვხვდება სიტყვათშეერთებით ნაწარმოები სახელები, რომელთა საზღვრული წევრი ინდიკატორია. ინდიკატორი მეორდება სხვადასხვა სიხშირით. დამოუკიდებლად იგი წარმოადგენს რომელიმე გეოგრაფიული ობიექტის სახელს.

საკვლევ რეგიონში საზღვრული ინდიკატორით გაფორმებული სახელები მნიშვნელოვან ადგილს იჭერს მხარის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში:

ახო (ახოები/ახუები): ბერიახო, გაღმა ახო, გაღმითა ახო, დიდახო, ზეგნი ახუები, ნა-რიანახო, ძაღლის ახო...

ბოლო (ბოლოთი): ვაკიბოლო, ვაკიბოლოთი, ველიბოლო, წითელმიწიბოლო...

გზა (გზები): ორგზა, შუაგზა. წისქვილის გზები...

დაბა: ახალდაბა, ზენდაბა...

დარე: დიდდარე, ტიტადარე...

ვაკე: გორგივაკე, დიდვაკე, ზედა ვაკე, ლოდივაკე, პატარა ვაკე, ჩიჩილვაკე...

ველი (ველოთი): დიდველი, დიდველოთი...

თავი (თავა, თავები): ალაგითავი, ბალათავი, დართთავი, დიდკალოხევეითავი, ვაკე კლდითავი, ვაკითავი, ვახათითავი, ველითავი, თეთრობითავი, კაბითავი, კაპანთავი, კართავად, კვესაური თავი, კლდითავა, კლდითავები, კოდითავ, კორკითავი, ლოდითავ, მახანთავი, ნაგუთნითავი, ნათუხითავი, ნეფედლოფლის წყაროსთავი, რუთავი, საინითავი, სანიოკლდითავი, ფერიაკლდითავი, ფიქალთავი, ქაფითავი, ქვაბისთავი, ქობითავი, ლელითავი, ჩანჩხრითავი, ყავითავა, ყორითავი...

თუალი: წყაროთუალი...

კარი (კარა, კარები): გაღმიეკარი, გულოკარ, გუმისკარი, ზუელკარები, კლდეკარი, კლდეკარა, კობიკარი, კოლოტიკარი, ფელოკარები, ქედიკარი, ქვაბიკარი, ქობიკარი, ქობაკარი, ქუაბიკარა, ქუაბიკარი, წისქვილკარი... **კლდე/კილდე:** ბეჭიკლდე, გაჭრილი კლდე, დათვიკილდე, თეთრკილდე, მუტრუკი კლდე, ოთხკილდე, შავი კლდე...

მთა: ქომომთა, შავმთა, შოლტისხევის მთა...

მერე: დიდმერე, კურტალემერე...

პირი (პირა): კალოპირა, ტყიპირად, ძაღლიპირა, ჭალად პირი...

რე: ნარვალა რე, კორტოხი რე...

საფლაავი: ვირისსაფლაავი, მირისსაფლაავი, ქურთისაფლაავი...

ტყე: ახოთეაკეტყე, ნაშარაგევიტყე, ნარევიტყე, საღრიტყე, საფიატყე, საფურიფერდიტყე, ქელატყე, ქურთიტყე, შავტყე, შუბლთატყე...

ტბა: მანატბა, ფეთადტბა, შავტბა...

ფერდი: სანგლიაფერდი, საფუზრიფერდი, საწოლიფერდი, საწყლიფერდი...

ქედი/ქეთი: ზელქედი, ზელქეთ, კაპელაქედი, კარავათ ქედი, სათავუქედი, უსტამიქედი...

ქვაბი/ქუაბი: დობლაქვაბი, ბელენქუაბი...

ღელე (ღელეები): აღბუღასღელე, ბალთახევეღელე, ბარიღელე, ბლიგორთისღელე, ბრავალთიღელე, ბოდღვერახევიღელე, ბურმაღელე, დიდღელე, დიობნიღელე, ზეგნიღელე, თუთიღელე, თხინაღელე, კაკაბავრიღელე, კარისათღელე, მიწროღელე, ნაღღუევიღელე, ორსუღელე, პატარა ღელე, პაწაღელე, რუთქიღელეები, ქურაღელე, რუსმანაღელე, საინეღელე, სამთიფრიღელე, სარჩევთიღელე, საქოთნიხევიღელე, სვირევისღელე, სხალნარიღელე, ფაშიღელე, ფართოღელე, ყვერელიენტღელე, შოლტისხევისღელე, ჩიხორულიღელე, ცივწყარო-

ღელე, ცხვარალისღელე, წაირთღელე, წისქვილიღელე, წყაროღელე, წყლიანიღელე, ჭეჭეკ-
ლასღელე, ხევწრულიღელე, ხერცუათღელე, ხოსლევიღელე...

ყანა (ყანები): ავაზაყანა, ახალყანა, პოლოყანა, გადამა ყანა, გარზეყანები, გაღმა ყანა, გაღმითა ყანა, გეგერთყანა, დამპალყანა, დოლოყანა, ენდროყანა, ვარდიყანა, ვაშთაყანა, ზედა ყანა, ზემო ყანა, ზმობილყანა, თავშიყანა, კალოთანყანა, კოტრიყანა, ლოდიყანა, მანისყანა, მანოყანა, მოსიენთყანები, მურეშყანა, პატარა ყანა, პეტრიყანა, რუსყანად, სატყანა, სერიყანა, სულიყანა, ფერდიყანა, ქერიყანა, ქურდიყანა, ბურთიყანა, დელეყანა, დელიყანა, შიგნიყანა, შოღლიეთყანა, ჩიტიყანა, წაროყანა, ჭალიესყანა, ჯარბაზიყანები...

ციხე: იფხრეველის ციხე, ჩაქველთას ციხე...

სერი (სერები): ავაზნისერი, აკვანასერი, ახალგზისერი, ბაგათსერი, გორგოშისერი, თო-
კისერი, კაკლებისერი, კალოსერი, კაცსერი, კირკათსერი, კრიჭასერი, ლეკებისსერი, პანტის-
სერი, საყდრისერი, საყველასერი, ფიბლისერები, ქვაკაცასერი, ციკატისერი, ხელთახოსერი, ჯანიბალისერი

ძირი/ზირი, ზირა: აღვილაზირი, აღმადიზირი, აღმათიზირი, ბალიზირა, ბუჯღურაზირი, გოგოლაზირი, დიდბლიზირი, კარჩხლიზირი, კუტალაზირი, ლოლაზირი, საპატკნიზირი, ტყიმ-
ლიზირი, ქუაბთაზირი, ღობიძირა, შავიკლდეზირი, ჩიტიძირად, ციხიზირი, ციხისძირი, წითე-
ლაზირი, ჭოლოზირი...

წმინდა: არღიაწმინდა, გვერწმინდა, ეღიაწმინდა, ინაწმინდა, მარიაწმინდა...

წვერი/წუერი (წუერები): დიობნიწუერი, ერღუათწვერი, ზნელიწუერი, კეფნი წუერი, კოდის წუერი, ლამაზწუერები, პატარ წუერი, ქეთმიწვერი, ხიდიწვერთ...

წყარო (წყალი, წყართი): არჩილაწყარო, ბებერაწყარო, ბიღიხევიწყარო, გაღმა წყარო, გოგრიეთწყალი, გრიალოწყარო, დავითიან წყარო, დამპალწყარო, დევაძეებისწყალი, დოლოფ-
ლისწყარო, ზემონაგვარიწყარო, თაფლიწყარო, თეთრიწყარო, თელაწყარო, იანწართი, კვი-
რაძწყარო, კლარჭაწყარო, კლდეშუათის წყარო, კოდის წყარო, მაღალწყარო, მესრის წყა-
რო//მესრიწყარო, მიქელკარიწყარო, მიღმაწყარო, მომწვარაწყარო, მოსიენთწყარო, მუნთოწ-
ყარო, ორთუალწყარო, ორომაველისწყარო, ორპატიტაწყარო, საბურავაწყარო, სათიბიწყარო, საკლდეხევიწყარო, სადაქორიწყარო, სიაწყარო//სიას წყარო, სინქოფურიწყარო, სუანეთიწყა-
რო, ტყალაბიწყარო, ტყუბლათწყარო, ურჩხთიწყარო, უღელტეხილის წყარო, ქალიწყარო, დელითავიწყარო, შამბალეთის წყალი, ცივიწყარო, ცხრაწყარო, ცხრაწყაროთი, წყაროწყალი, წასადეგიწყარო, წონთიწყარო, ჭიოთის წყალი, ჭოჭეწყალი, ხაფხაფის წყარო...

ჭალა (ჭალები, ჭალათი): აფჯალა//აფჯალა, ახალჭალა, ახალჭალები, გაცმა ჭალა, ვარდაჭალა, ზემო ჭალა, თიფიჭალა, ირმიჭალა, კიჭალა, მაჭალა//დრმაჭალა, პაპუნაჭალა, საბუქე ჭალა, სამიჭალა, უკანაჭალა, ჭალაჭალათი, ჭეთვიჭალა, ხევიჭალა...

ხევი/წვევი: აბანოწვევი, ბაგათხევი, ბოდღვერახევი, ბორცხევი, ბოსტანაწვევი, გღიხევი, დიდგულიწვევი, დიდკალოხევი, დიდვერხევი, დოლაკალოწვევი, ერგახევი, თეთრხევი, იმერწვევი, კარჩხალეთხევი, ნეფიწვევი, საბარახევი, სათხარაწვევი, საკლდეხევი, სამნიხევი, სანიგიხევი, სა-
სარცხლისხევი, საქოთნიხევი, სახელიხევი, ტბიწვევი, უჯანხევი, ქვაბიწვევი, შნახევი//შანახევი, შოღტისწვევი, ჩიხისწვევი, წითელთმიწიბოლოხევი, წითლისხევი, ჭოროხევი, ჭურხევი, ჯვა-
რისწვევი...

ხიდი: დაბურულიხიდი, მოსიეხიდი, პაწახიდი, ჯინალისხიდი...

ჯვარი/ჯუარი: კინიჯვარ, კინიჯუარი...

საკვლევ რეგიონში საზღვრულ ინდიკატორად გამოყენებულია როგორც არსებითი, ასევე ზედსართავი სახელები. მხარის ტოპონიმიაში გავრცელების სიხშირის მიხედვით გამოირჩევა შემდეგი ინდიკატორები: წყარო, ყანა, ღელე, ხევი, თავი, სერი, ძირი... ნაკლებად გვხვდება: დაბა, დარე, მერე, რუ, ქვაბი, ციხე. ინდიკატორია ჰიდრონიმული სახელები (წყარო, ღელე, ტბა, რუ...). მოპოვებული ტოპონიმური მასალების მიხედვით საზღვრული ინდიკატორით ნაწარმოებია 428 ტოპოერთეული, ინდიკატორად გამოყენებულია 33 სიტყვა.

გეოგრაფიული ობიექტის სახელი ერთ შემთხვევაში დამოუკიდებელი ტოპონიმია, იგივე სახელი სხვა შემთხვევაში შეიძლება შეგვხვდეს მსაზღვრელად ან საზღვრულ ინდიკატორად. პირველ შემთხვევაში ტოპონიმი მარტივია, სხვა დანარჩენში - რთული, მეორეული

წარმოების. მაგალითისთვის ავიღოთ **ჯვარი** სათიბი (სვირ.), **ჯვარისხევი** ს. უბანი (სვირ.) და **კინიჯვარი** სათიბი (მაჩხ.)... პირველ შემთხვევაში **ჯვარი** დამოუკიდებელი, მარტივი ტოპონი-
მია, მეორე შემთხვევაში - მსაზღვრული, მესამეში - საზღვრული ინდიკატორია. ანალოგიური
მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება შავშეთის ტოპონიმებიდან...

14. ანთროპონიმული წარმომავლობის ტოპონიმები

შავშეთის ტოპონიმიაში ანთროპონიმული წარმომავლობის გეოგრაფიულ სახელებს
მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

XX საუკუნის დასაწყისში ნიკო მარი შენიშავდა, რომ აქ გვარები ძირითადად მთავრ-
დება - ძე-ზე, აქაური მოსახლეობა, რომელიც უკვე ქართულად არ ლაპარაკობს, დაბოლო-
ბას წარმოთქვამს თურქული ინტონაციით -**ზე**. ნ. მარის მიხედვით, ტბეთში შემდეგი
გვარებია: **ციალიძე, ნიქებეძე, კისერეძე, ავათიძე, მასკულიძე**, ს. ჭუარბში: **ფანჩიძე** და **თურ-
მანიძე**; წითვეთში - **ლასურიძე** და **ხელვიძე**; ს. გარყილობში - **ქადაგიძე**; სოფ. სვირევანში:
ფუტკარაძე, ბურიძე, გათამიძე/ქათამიძე; ს. მერიაში - **ფირპიძე, ირემაძე**, სოფელ დაბაწვრილ-
ში - **კობაძე** და **ხალაძე**; ციხისძირში - **კორდისძე, ყარმუსძე, აბრამისძე**; ს. დასამობში -
ჯარბიძე და სხვ. (H.Я. Мapp 1911). ამჟამად ამ გვარსახელებიდან უმრავლესობა აღარ დას-
ტურდება. მაგ., სოფელ ტბეთში გვარსახელი **ნიქებეძე** შემორჩა სათესს - ადგილს, რომელიც
აღრე ამ გვარის საცხოვრისი იყო. სხვა გვარსახელები, რომლებიც ნ. მარმა დაადასტურა
ტბეთში, დღეს აღარ გვხვდება. ასევეა სხვა სოფლებშიც.

სოფელ დაბაწვრილში ორ სხვადასხვა უბანს ჰქვია **კოპახელარ** („კოპაძეები“) და
ხალახელარ („ხალაძეები“). ამ უბნებში, ნ. მარის ცნობით, ცხოვრობდნენ კოპაძეები და ხა-
ლაძეები. ამჟამად ამ გვარის ხალხი აქ არ ცხოვრობს (ყველა შემთხვევაში დასახელებული
გვარები არ ახსოვთ), გვარსახელი კი შემონახა სოფლის უბნის სახელწოდებამ. მეთურ-
ქულე შავშეთში ხშირად ახსოვთ ძველი გვარები. ქვემოთ მოგვყავს საკვლევ ტერიტორიაზე
აღწერილი ძველი გვარსახელები სოფლების მიხედვით:

მამანელი: კახაბიძე, ნიქებიძე, დუღაბიძე...

ზაქიეთი: ჩაქურიძე, მიქაძე, შობელაძე, შუბლაძე, კოჭოსიძე, ჯარბიძე, ყაბჩინი/ყაბჩინ-
თი...

მიქელეთი: მიქელაძე/მიქელოძე.

დაბა: გოჩლიენთი, ზემოენთი, თათიენთი, სურათიენთი, მიქელეთი, პეტრიენთი, ჯიჯუენ-
თი, ხაჯიენთი, ხოჯიენთი...

დიობანი: ბაირახტიენთი, კაკანი/კაკანიშვილები, გოგოლეთი, მოსიენთი, ჯაფარიძე...

სვირევანი: დავითიძე, ფუტკარაძე/ფუტები, ქოსიენთი, ზახალაძე/ზახალები, მელიქიშვი-
ლი/მელიქოძე, შარაძე, დუღაბიძე, მურემაშვილი/მურეშოლი, ხაჯალიძე, ლაზიშვი-
ლი/ლაზოლი, დარჩიძე, შამათაშვილი/შამათოლი, ბაირახტიენთი/ბაირახტოლი, ბუტი-
ძე/ბუტიენთი, ჭალაძე, ყოსიენთი, ჭივიძე, კახიძე, კუკულაძე/კუკუები...

ჩაქველთა: მოლიშვილი, ჩიმაგეთი/ჩიმაგოსანი, ზედა გაღმიენთი, ლაზიენთი/ლაზიშვი-
ლი...

დასამობი: ჯარბიძე, ხერხაძე, ყურძენაძე, ხაჯიშვილი, ქურდო, ხაჯები...

წეთილეთი: ვარდიძე, მარგაძე, მოსიძე, შუღლაძე, თურმანიძე, წითელაძე, წითლოძე...

სხლობანი: თულაძე, გურიძე, ფუტკარაძე, შალიკაძე/შალიკოლი, ნადირაძე...

ბაზგირეთი: გამეშიძე/ქამაშიძე („სარილოლი“ და „დელიჰასანოლი“), თანთოშვილი...

წითვეთი: დუღაბიძე, ლასურიძე, მჭედლიძე...

ხევწრული: ტალახაძე/ტალახიენთი, თუთიენთი, თედორაძე, მიქელყმაძე, ცეცხლა-
ძე/ცეცხლიენთი, ბურდიკიძე, ჭანჩიკიძე, ფანჩიძე, დავლაძე, გამრეკელიძე, ფუქშები (მაჭახ-
ლიდან მოსულან ძველად), მეგრელები, რევაზიშვილი/რევაზოლი, ზახაძე/ზახაოლი,
კენჭოშვილი/კენჭოლი, გონოშვილი/გონოლები, ფალაზაშვილი/ფალაზოლები, ბელთა-
ძე/ბელტაძე/ბელტიეთი...

ტბეთი: პატარიძე.

შავშეთის ტოპონიმიაში ანთროპონიმული წარმომავლობის გეოგრაფიულ სახელებს აწარმოებს შემდეგი სუფიქსები: **-ძე, -ძე/-ზე, -იენთ, -ეთ, -ებ, -ათ, -ურ/-ულ, -ა-ურ.**

-ძე სუფიქსით გაფორმებული ტოპონიმები გვარსახელისაგან მომდინარე სახელებია. შავშეთის სოფლების ცალკეულ უბნებში ცხოვრობენ, როგორც წესი, ერთი გვაროვნული ოჯახები. სოფლის უბნის სახელწოდებაც სწორედ აქ მცხოვრებთა გვარებიდან მომდინარეობს. ხშირია შემთხვევა, როდესაც ეს მომენტი დარღვეულია, სოფლის უბნის სახელწოდების მატარებელი ოჯახები აღარ ცხოვრობენ, სახელი კი შემორჩენილია, რაც იმის უტყუარი საბუთია, რომ ახლო ან შორეულ წარსულში ეს ადგილები მათი საცხოვრისი იყო. იმერხევის ერთ-ერთ დიდ სოფელში - წყალსიმერში შედის შემდეგი „მეჭელები“ (სოფლის უბნები): **ბაბელიძე, ბასილიძე, ბუჭიძე, ზაქარიძე, კომბაძე, კობიძე, ხილვაძე.** ამ უბნებში არც ერთი **ბაბელიძე, ბასილაძე** და სხვა აღარ ცხოვრობს. სოფელ იფხრეველის უბნებია: **იმნაძე, საღრიძე, ჭურკვესიძე, ჯაფარიძე.** სოფელ კარავათშია „მეჭელე“ - **ფანჩიძე,** სადაც არც ერთი ფანჩიძე არ აღმოჩნდა. სამაგიეროდ ამ გვარის ოჯახები დღეს ცხოვრობენ სოფელ ხევრწურულში, იგივე მდგომარეობაა წეთილეთის „მეჭელეში“, - **დუღაბიძე.** ამჟამად დუღაბიძეები ცხოვრობენ მამანელისსა და წითვეთში. ნიკო მარის მიერ სოფელ ტბეთში ფიქსირებული გვარსახელებიდან (ციალიძე, ნიქებეძე, კისერეძე, აგათიძე, მასკულიძე) დღეს დასტურდება მხოლოდ ერთი - ნიქებეძე, ისიც სათესის სახელად. საკვლევე რეგიონში -ძე სუფიქსით გაფორმებული ყველა გეოგრაფიული ობიექტი ე. წ. „მეჭელეა“, გამონაკლისია **თურმანიძე,** რომელიც მოზრდილი სოფელია.

როგორც ვხედავთ, -ძე სუფიქსით გაფორმებული ანთროტოპონიმები წარმოდგენილია მხოლოდ რიცხვში, იშვიათად ასეთ სახელებს ერთვის -ებ სუფიქსი. გამონაკლისია რამდენიმე ტოპონიმი: **მიქაძეები, ჩაქურიძეები** ს. უბნები (ზაქეთი). შავშეთის მეზობელი ზემო აჭარის ტოპონიმიაში -ებ სუფიქსი ხშირად დაერთვის გვარსახელებიდან მომდინარე ტოპონიმებს... გასული საუკუნის დასასრულისათვის ანთროტოპონიმები მეტწილად -ებ სუფიქსის გარეშე იხმარებოდა. მაგ., გოგაძე, გელაძე, ირემაძე... (ამჟამად გოგაძეები, გელაძეები, ირემაძეები...). ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ზემო აჭარის ანთროპონიმული წარმომავლობის გეოგრაფიული სახელწოდებების ნაწილი XIX ს.-ის 90-იანი წლებისათვის ჯერ კიდევ არაა გაფორმებული -ებ სუფიქსით (მ. ქამადაძე 1992.:16). შავშეთის ტოპონიმიაში ეს პროცესი დღესაც დამთავრებული არ არის. ანთროტოპონიმები აქ უმეტესწილად წარმოდგენილია -ებ სუფიქსის გარეშე.

-იენთ, -იეთ, -ეთ სუფიქსები ანთროტოპონიმებს აწარმოებენ როგორც საზოგადო, ასევე პიროვნული სახელებისაგან და გვარსახელებისაგან:

-იენთ: **აბრამ-იენთ-ი** სოფ. უბანი (ხევწრული; პიროვნული სახელი აბრამი, გვარსახელი აბრამიძე), **ბათ-იენთ-ი** სოფ. უბანი (წყალს., გვარსახელი ბათაძე, შესაძლოა ბათნიძე), **დარბაზ-იენთ-ი, კოსოლ-იენთი** ს. უფნები (მან., გვარსახელები: დარბაზიძე, კოსოლიძე), **კუკულ-იენთ-ი, ხევრ-იენთ-ი** სოფ. უბნები (უ., ხოს., გვარსახელები: კუკულაძე, ხევრაძე) და სხვ.

-იეთ: **აბაშ-იეთ-ი** სათესი ტყე (წეთ.: გვარსახელი აბაშიძე), **ასამბ-იეთ-ი** სათესი (ზაქეთი; გვარსახელი ასამბაძე), **ბალ-იეთ-ი** ს. უბანი (ზ.; ბალაძე), **ბერ-იეთ-ი, გიგ-იეთ-ი** ს. უბნები (ჩიხორი, დასამობი; ბერიძე, გიგიძე/გიგაძე), **გორგ-იეთ-ი, ლომ-იეთ-ი მესხ-იეთ-ი** ს. უბნები (ხოს. გვარსახელები: გორგაძე, ლომაძე/ლომიძე, მესხიძე), **ქოქლ-იეთ-ი, ცეცხლ-იეთ-ი** ს. უბნები (დიობ., მან. გვარსახელები **ქოქლაძე, ცეცხლაძე**) და ა. შ.

-ეთ სუფიქსიანი გვარსახელები საკვევ რეგიონში ხშირია: **გაბილ-ეთ-ი** სათესი (კარავეთი; პიროვნული სახელი **გაბილა**), **გამეშ-ეთ-ი** ს. უბანი (ბაზგ. პიროვნული სახელი **გამეშ-ი/გამეშა**, გვარსახელი **გამეშიძე(>გამაშიძე>ქამაშიძე)**, **მიქელ-ეთ-ი** ს. უბანი (წყალს. სახელი მიქელი//მიქელა, გვარსახელი მიქელაძე), **ნილ-ეთ-ი** ს. უბანი (დას. გვარსახელი **ნილიძე<ლიონიძე <ლეონიძე)**, **სოსან-ეთ-ი** სათიბი (ზენდაბა; პიროვნული სახელი სოსანა, გვარსახელი სოსანაძე).

როგორც ვხედავთ, ანთროპონიმული სახელები შემორჩენილია გეოგრაფიულ სახელებში, გვარსახელები კი აღარ დასტურდება.

საყურადღებოა, რომ -ეთ სუფიქსით გაფორმებული გვარსახელები ხშირად გვხვდება „ტბეთის სულთა მატიანეში“. აბესალამი >აბესლამეთი, გოგოა>გოგლაეთი, ეგნატე>ეგნატეთი და სხვა (მატიანე 1977). პროფ. მხექალა შანიძეს ამ სუფიქსის ასე მრავლად წარმოჩენა ისტორიული დიალექტოლოგიისათვის საყურადღებო ფაქტად მიაჩნია. იგი წერს: „ტბეთის მისახსენებლის მასალები გვიჩვენებს, რომ მსგავსი ფორმები ფართოდ იყო გავრცელებული იმ გეოგრაფიულ არეალზე, რომელიც დღევანდელ იმერხეულ კილოს უკავია“ (მ. შანიძე 1981:53).

შავშეთში საგვარეულო სახელებიდან მომდინარე ტოპონიმებს აწარმოებენ აგრეთვე სუფიქსიები -ათ, -ურ(//-ულ), -ურ-ა(//-ულ-ა).

-ათ: აბრამ-ათ-ი სათესი (მოქ. პიროვნული სახელი აბრამი, გვარ-სახელი აბრამიძე), ბასილ-ათ-ი ტყე (სინკ. ბასილი//ბასილა, ბასილაძე), გაბლ-ათ-ი (<გაბილათი) საძოვარი (მამ. გაბილა, გაბილეთი), გობ-ათ-ი სათიბი (სათლელ-რაბათი. გობაძე), დავლ-ათ-ი ს. უბანი (დას. დავლაძე), კაპან-ათ-ი საძოვარი (უ. კაპანაძე), მესხ-ათ-ი სათესი (ჭუარ. მესხაძე/მესხიძე)...

-ურ(//-ულ), -ა-ურ(//-ა-ულ) ტოპოფორმანტი საკმაოდ პროდუქტულია საკვლევი რეგიონის ანთროპონიმული წარმომავლობის გეოგრაფიულ სახელებში: აბრაული (<აბრამაული) სათიბი (დაბაწ.), ბასილური სათესი (წეთ.), ბაჩაური (მამ.), ბერული ტყე (დაბაწ.), გოგნაური მთა (ციხ.), დავლაური სათესი (დას.), ივანური სათესი (წეთ.), კვესაური ს. უბანი (ჩაქ.), კობლაური სათიბი (კარ.), კოკიშაური ტყე (გურ.), კუჭეტაული სათიბი (დაბაწ.) ლემაური (<ლომაური) სათიბი (ოქრ.), მარამული (<მარიამული) სათიბი (ზაქ.), ნადირაული სათესი (ჭუარ.), შარაბული სათიბი (წეთ.), წეწლაური (<წეწელაური) სოფელი (შავშ.), წიქარაული საძოვარი (ხევწ.) და სხვ. დასტურდება ორმაგი წარმოების ანთროპონიმები: თენიეთური სათესი (ჩაქ.), მიქელეთური სათიბი (ჯინ.), ქედელაური სათიბი (კარ.), ჯიმჭველაური სათიბი (ზაქ.) და ა.შ.

ეს გეოგრაფიული სახელები მომდინარეობენ შემდეგი პიროვნული სახელებისა და გვარსახელებისაგან: აბრამი (აბრამიძე), ბასილაძე, ბაჩა, ბერიძე, გოგნა//გოგინა, დავლაძე, ივანე, კვესა, კობლაძე, კოკიშა, კუჭეტა, ლემა//ლომა, მარიამი, ნადირაძე, შარაბიძე, წეწლა//წეწელა, წიქარა, თენიეშვილი, მიქელაძე, ქედელიძე, ჯიმჭველა...

დასტურდება სხვა სუფიქსებით ნაწარმოები ანთროპონიმებიც: პეტრიელი (<პეტრ-ივ-ული პეტრ-ივ-ური) სათესი (უ.), მესხ-ევრა (<მესხ-ეურ-ა) სათესი (წეთ.), შუშან-ეურ-ი სათიბი (მორდ.), კუჭ-ან-თ ტყე (წით.)...

გვაქვს შემთხვევები, როცა ერთი და იგივე ანთროპონიმის ფუძეზე სხვადასხვა სუფიქსის დართვით იწარმოება გეოგრაფიული სახელები: აბრამი-აბრამიენთი-აბრამათი-აბრაული (<აბრამაული), ე. ი. ანთროპონიმის ფუძეზე დართულია -იენთ, -ა, -ა-ულ სუფიქსები; ბასილი-ბასილიძე-ბასილათი-ბასილური; მესხი-მესხიეთი-მესხათი-მესხევრა; გაბილა-გაბილეთი-გაბლა-თი <გაბილათი>; ბერი-ბერიეთი-ბერული...

საკვლევი ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ისეთ რთულ გეოგრაფიულ სახელებს, რომელთა მსაზღვრელ წევრად გამოყენებულია ანთროპონიმი: არჩილაწყარო წყარო (იფხ.), გორგიეთწყალი ღელე (მანხ.), გორგივაკე საძოვარი (დ.), გორგოშისური სათიბი (წეთ.), დავითიან წყარო წყარო (სვირ.), დოდოყანა სათესი (სვირ.), ენდროყანა სათესი (უ.), კლარჭას წყარო წყარო (წეთ.), კოტრი ყანა სათესი (წეთ.), მაჩოყანა სათიბი (დიობ.), მუნთოწყარო წყარო (ზ.), მოსიეხიდი ხიდი (დიობ.), მოსიენთწყარო წყარო (იფხ.), მურეშყანა, პაპუნჭალა სათიბები (უ., სვირ.), პეტრიყანა სათესი (ჩიხ.), საფიატყე ტყე (წეთ.), სულიყანა საძოვარი (კარ.), ფაშიღელე ღელე (ბახგ.), შუბლატტბე ტყე (ზაქ.), ჭეჭეკლას ღელე ღელე (დას.) და სხვ.

ამ რთული ტოპონიმების მსაზღვრელი წევრი გვიჩვენებს გეოგრაფიული ობიექტის მეპატრონეთა სახელებს, გვარსახელებს და ზედმეტსახელებს. გორგიეთწყალი იგივე გორგაძეების წყალია, რომელიც იღებს სათავეს გორგაძეების უბნიდან, ამიტომ მდინარეც აქედან მიიღო სახელწოდება. ზემომოყვანილ მაგალითებში ჩანს გვარსახელები, პიროვნული სახელები და მეტსახელები: გორგოშიძე/გორგოშაძე, მოსიძე, შუბლაძე, არჩილა, დავითი,

დოღო, ენდრო, მურემა, პაპუნა, პეტრე, კლარჭა, კოტრი, მაჩო, მუნთო, საფია, სულია, ჭეჭეჭ-
ლა და ა. შ.

საკვლევი რეგიონის ტოპონიმიაში ანთროპონიმული წარმომავლობის სახელების მნიშვნელოვან ნაწილს აწარმოებს თურქული მაწარმოებლები: -ლარ, -გილ, -ოღულ//ოღულ-
ლარ, რომელთა შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ..

1.5. მცენარეთა სახელები ტოპონიმებში

შავშეთის ტოპონიმიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მცენარეთა სახელებისაგან მომდინარე ტოპონიმებს.

შავშეთი ტყეებითა და მცენარეული საფარით მდიდარი რეგიონია. ჯერ კიდევ XIX საუ-
კუნის ბოლოს ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავდა, რომ „შავშეთში იზრდება მრავალნაირი ხე, ბალახი,
ყვავილები, ხეხილი. აქ ხილი კარგი იცის, ნამეტურ ჟოლი (ბუოლი)... მოდის პური, სიმინდი,
ქერი, ღომი, ღობიო (მეტად კარგი სცოდნია), კართოფილი, ჭარხალი, მწვანილეულობა,
ერთი სიტყვით, აქეთ კაცი რასაც - კი დარგავს და დათესავს, ყველაფერი ხეირობს, გარდა
ბრინჯისა“ (ზ. ჭიჭინაძე 1913: 265, 267). უფრო ადრე, 1874 წელს, გ. ყაზბეგი წერდა: „შავ-
შეთის ბუნება გაცილებით მდიდარია. მესაქონლეობა და მეხორბლეობა აქ შეიძლება
მნიშვნელოვნად განვითარდეს. შაშეთი აწარმოებს ხორბალს, რომელიც ბათუმის ბაზარზე
ყარსისას სჯობის. მიწის ზღაპირული ნაყოფიერების პირობებში შავშეთი შესაძლოა
გახდეს ხორბლის წარმოების ცენტრი“ (გ. ყაზბეგი 1995:97).

რეგიონის მრავალსახეობიანი მცენარეული სახელები აისახა ტოპონიმებში. არის
შემთხვევები, როდესაც ტოპონიმად წარმოდგენილია პირდაპირ მცენარის სახელი. ე. ი.
ადგილის სახელდება მოხდა მეტონიმის გზით. მაგ.: **მურყანი** ტყე (კუჭ), **ღერწამი** სათიბი
(მიქ)...

ტოპონიმის ფუძედ აღებულია ხე-მცენარეული სახელი:

არყი (Betula): **არყიეთი** სოფ. უბანი (ზ. სულ.), **არყნალი** ტყე (წეთ).

ასკილი (Rosa canina): **ასკილუანი** სათიბი (მან).

ბალი/ბალამწარა (Cerasus Silvestris): **ბაღვანა** (←ბალოვანა) სოფელი (შავშ.), **ბაღსუკანა**
სათიბი (მანხ.), **ბაღთახევედედე** დედე (ჩიხ.), **დიდბლიზირი** (←დიდი ბლის ძირი) სათესი
(ხევწ.)

ბზა (Ruxus sempervirens): **ბზათა** ს. უბანი (წყალს.); შრდ.: **ბზვანი** - სოფელი ვანის
რაიონში.

ვაშლი (Malus domestica): **ვაშლათ** სათიბი (ჭუარ.), **ვაშლთაყანა** სათესი (ახალდ.).

ვენახი (1. მიწის ნაკვეთი, რომელზედაც გაშენებულია ვაზი, ვაზის ბაღი. 2. ძვ. და
კუთხ. (გურ.) ვაზი): **ვენახები** სათესი (სვირევანი – ამჟამად ვაზი გაშენებულია შავშეთის
დაბლობ ადგილებში, უმეტესად მდინარეთა გასწვრივ მდებარე სოფლებში. მუსლიმანური
რელიგიის გავრცელებამდე ეს კულტურა ერთ-ერთი წამყვანი დარგი იყო. ამას ადასტურებს
სხვადასხვა სოფლებში (ტბეთი, წითვეთი, იფხრეველი...) დღესაც შემორჩენილი ქვის
საწნახელები.

ვერხვი (Populus tremula): **ვერხვინალი** სოფელი (შავშ.), **ვერხვანლა** ტყე (ხევრ.).

თელა (Uimus Foliocea): **თელაწყარო წყარო** (უ.).

თუთა (Morus alba), იგივე ბუოლი//ბუოლა: **თუთიდდედე** დედე (ჩიხ.).

კატარი: **კატართ** სათიბი (ჯინ.), **კატრუანი** ტყე (წყალს.), **კატროვანი** ტყე (სვირ.).

ღეკის ხე (Acer piatanioides): **ღეკნართი** სათიბი (ზაქ.), **ღეკთუკანად** ტყე (უ.).

მსხალი (Porus sp. div. cult.): **მსხლობანი** სოფელი (შავშ.), **მსხალფილადი** სოფ. უბანი (სვირ.),
მსხალნარი სათიბი (ხევწ.), **მსხალნარიდედე** დედე (ხევწ.), **მსხალთამწუართი** სათიბი (იფხ.).
ადგილობრივ მსხლის მრავალი ჯიში ხარობს, მათგან ერთ-ერთი **კუტალა** მსხალია, რომე-
ლიც ფუძედ უღევს რამდენიმე გეოგრაფიულ სახელს: **კუტალეთი** ს. უბანი (სვირ.), **კუტალი-**
ზირი (←კუტალიძირი←კუტალის ძირი) სათესი (მან.), **კუტალები** სათესი (ხევწ.). ველურ ანუ
ტყის მსხალს აქ, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, პანტა ჰქვია, დასტურდება
ტოპონიმი **პანტის სერი** მთა (ივ.).

მუსა (Quercus): **მუხნერ** (<მუხნარი) ტყე (ზ. სულ.), **მუსობანი** სოფელი (შავშ.).

ნიგოზი, იგივე კაკალი (Yuglans regif): **ნიგოზარაი** (<ნიგოზიზირაი<ნიგოზის ძირაი<ნიგოზის ძირი) სათიბი (წყალსიმერი).

ტყემალი (Prunus divaricata): **ტყემლიზირი** (<ტყემლიძირი<ტყემლის ძირი<ტყემლის ძირი) სათიბი (ხევწ.).

გეოგრაფიული სახელის ფუძე კულტურულ მცენარეთ სახელია:

ასლი (Triticum diocum): **ნასლევი** სათიბი (დიობ.).

სელი (Linum usitatissimum): **სელავრი** სათიბი (იფხ.), **ნასელვარი** სათესი (ბაზგ.).

სვილი: **სვირევანი** (<სვილევანი) სოფელი (იმ.).

ქერი (Hordeum sativum): **ქერეველა** სათიბი (წეთ.), **ქერიყანა** ტყე (მორღ.).

დასტურდება ბალახ-მცენარეულისაგან მომდინარე ტოპონიმებიც:

ჭილი (Iuncus): **ჭილიეთი** საზამთრო სადგომი (ტბ.), **ჭილაური** საძოვარი (სხლობ.).

ფლორონიმებია საკვლეთი რეგიონის გეოგრაფიული სახელები: **ბარდეთი** სათიბი (ჯინ.), **ბრინჯვალი** სათესი (წეთ.), **ბაზირეთი** (<ბაძირეთი) სოფელი (იმ.), **ნოსპარი** სათესი (ხევწ.) და ა. შ.

როგორც ვხედავთ, მცენარეული სახელები ფართოდ არის წარმოდგენილი რეგიონის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში. გვხვდება როგორც ხე-მცენარეული, ასევე კულტურული და ბალახეული მცენარეებისაგან მომდინარე ტოპონიმები.

1.6. სამეურნეო საქმიანობის ამსახველი ტოპონიმები

შავშეთი მეურნეობის განვითარების მიხედვით ერთ-ერთ დაწინაურებულ რეგიონს წარმოადგენს. აქ განვითარებული იყო მემინდვრეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, მევენახეობა-მელიწვენობა, ხელოსნობა და სხვ. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „და არს ესე შავშეთ ტყიანი, გორა-მთიანი, დელე-დრატოიანი, ვიწრო და მაგარი, ვენახ-ხილიანი. ნაყოფიერებენ ყოველნი მარღვალნი, თვნიერ ბრინჯ-ბამბისა. პირუტყვნი, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი. და ნაყოფიერებს ფრიად მიწა ამის, რაოდენიც იხმარების სივიწროვედ“ (ვახუშტი ბაგრატიონი 1973.:679-186). მეურნეობის ეს დარგები აისახა საკვლევ რეგიონის ტოპონიმიაში.

შავშეთი ისტორიულად გამოირჩეოდა მემინდვრეობით. აქ გავრცელებული იყო პურეულის ჯიშები: **ასლი**, **სელი**, **იფქლი**, **ფეტვი**, **მასა** და სხვა. პურეულის კულტურებთან დაკავშირებული ტოპონიმებია: **ნაპურევი** საძოვარი (დაბაწ.), **ნასლევი** სათიბი (დიობ.), **სელავრი** სათიბი (იფხ.), **ნასელვარი** სათიბი (ბაზგ.), **მასანთავი** ტყე (წეთ.), **ნაკალუები** სათიბი (მან.), **ნაწისქვილავათი** საძოვარი (სვირ.)... ის ადგილი, სადაც ადრე პური, ასლი, სელი ეთესა, **ნაპურევი**, **ნასლევი** და **ნასელვარია**.

მეცხოველეობა შავშეთის მეურნეობის წამყვანი დარგი იყო და არის დღესაც. რასაც ხელს უწყობს რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა და მდიდარი, ნოყიერი მთის ალპური საძოვრები. დასტურდება რიგი ტოპონიმები, რომლებიც უკავშირდებიან ამ დარგს. უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ამ რეგიონში მეცხოველეობამ თითქმის განდევნა მიწათმოქმედება, ყველა სოფელში სახნავ-სათესი მიწები საძოვრად და სათიბებად არის გადაქცეული. სათიბ-საძოვრები ცალკეა გათვალისწინებული როგორც მსხვილფეხა, ასევე წვრილფეხა საქონლისათვის. საძოვრების ასეთი დაყოფა ცნობილია ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში (გ. შამილაძე 1969.:113) და ასახულია სათანადოდ საქართველოს სხვა კუთხეების ტოპონიმიაშიც (მ. ქამადაძე 1992.:57).

სახბუეთი საძოვარი (მან.), **საკრავე** ტყე (მანხ.), **კრავისაფართი** სათიბი (უ.), **ცხვრის საწლი** საძოვარი (წეთ.), **ხბოყურა** საძოვარი (ზ.), **ნაბერწი** საძოვარი (ივ.), **საბერწი** ტყე (დ.), **ხონობაური**, **წიქარაული** საძოვრები (ჯინ., ხევწ.).

ხონობა და **წიქარა** ხარების სახელებია და ეს საძოვრებიც მათთვის არის გამოყოფილი.

შავშეთში ხელოსნობის განვითარებამ თავისი კვალი დატოვა ტოპონიმიაშიც.

სამჯელი ქ. შავშათის ერთ-ერთი უბანია, ე. წ. „მეჭელე“, სადაც ინფორმატორების გადმოცემით, მსხვილი სამჭედლოები არსებობდა ძველად. არ არის გამორიცხული, რომ

სამჯგლის პირვანდელი სახელი იყო **სამჭკელი** ანუ სამჭკედლო: ასე იხსენიება ეს სოფელი გაზეთ „დროებაში“ 1875 წელს (№80).

თიხის დამუშავებასთან დაკავშირებული ტოპონიმებია: **სათიხე** სათიხი (წეთ.), **საკეცე** სათესი (ზ.), **ქთანათი** სათიხი (ზაქ.). თიხის მიღებიანი წყალსადენი გამოყვანილი იყო მახარობის ხევიდან სოფელ ოქრობაგეთში და აგრეთვე სოფელ ანაკერტში (H.Я. Мapp 1911.:10).

დასტურდება გეოგრაფიული სახელები: **სახუეწელი** გამოქვაბული (ივ.), **საჩარხია** საძოვარი (იფხ.), **გოდორათი** ტყე (დაბაწ.), **საწერნაგე** კლდე (ჩიხ.). მეფუტკრეობას უკავშირდება ტოპონიმები **სათაფლია** სოფელი (შავშ.), **სასკია** სათიხი (უ).

როგორც ვხედავთ, საკვლევი რეგიონის სამეურნეო ტოპონიმები სხვადასხვა აფიქსითაა გაფორმებული ან იგი რთული სახელის შემადგენელი ნაწილია. გვხვდება მარტივი ფორმითაც: **ახო** სათესები (ჯინ., ზ., უ). ახო ტყეში, ბუჩქნარში გატეხილი ყანაა, რომელიც შეიქმნა ტყის გაკაფვის ხარჯზე; **ყანახი** სათესი (დას.); **ყანა** სათესი (ხოხ.). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევ ტერიტორიაზე ხშირია რთული ტოპონიმები, რომელთა საზღვრული წვერი არის „ყანა“ და „ჭალა“. ისინი ამ შემთხვევაში ასრულებენ ინდიკატორის როლს:

ყანა (ყანები): ავაზანყანა. ახალყანა, ბოლოყანა, გადამყანა. გარზეყანები, გაღმყანა, გაღმითყანა, დამპალყანა, ვარდიყანა, ზედა ყანა, ზემო ყანა, დოლოყანა, კოტრიყანა, მაჩოყანა, მურეშყანა, პეტრიყანა, ფერდიყანა, ქერიბანა, ქურთიყანა, ღელეყანა, შიგნიყანა, ჩიტყანა...

ჭალა (ჭალები, ჭალათი): აფჯალა//ავჭალა, ახალჭალა, ახალჭალები, გაღმა ჭალა, ვარდაჭალა, ზემო ჭალა, ირმიჭალა, მაჭალა//ღრმა ჭალა, პაპუნაჭალა, საბუქე ჭალა, სამიჭალა, უკანაჭალა...

17. შავშეთის ჰიდრონიმია

შავშეთი მდინარით მდინარეებით. ყოველი მხრიდან მომდინარე პატარა და დიდი მდინარეები ერთ მთლიან ქსელს ქმნიან. ყველა მდინარე მთებიდან და მთის კალთებიდან იღებს სათავეს, რის გამოც ისინი სუფთა და მტკნარია. მათი დინების სიჩქარე სწრაფია ზაფხულობით, ზამთრობით წყლის დონე იკლებს, სამაგიეროდ, გაზაფხულზე მთებში თოვლის დნობისას მდინარეები საკმაო წყალუხვობით გამოირჩევიან.

შავშეთის მთავარი მდინარეებია:

შავშეთისწყალი სათავეს იღებს არსიანის ქედიდან, კერძოდ, საპარის მთის კალთებიდან. მარჯვნიდან მას ერთვის მდინარე მანსურათი, ჯარათისწყალი, ხოლო მარცხენა მხრიდან - მამანელისწყალი, სოფროსწყალი, ხანთუშეთის წყალი, ბალვანისწყალი, კუჭენისწყალი. შერთულის ტერიტორიაზე შავშეთის წყალი ერთვის მდინარე იმერხევს.

შავშეთისწყალი შავშეთის მთავარი მდინარეა. ეს ჰიდრონიმი მოხსენიებულია ჯერ კიდევ ადრეფეოდალურ ხანაში, კერძოდ, ბაგრატ IV (1027-1072) მას იხსენიებს „პირველთა მეფეთა დაწერილ“ სიგელებზე დაყრდნობით მონასტერთა საზღვრების აღწერაში (ქსმ II.: 9).

იმერხევი ანუ იმერხევიწყალი სათავეს იღებს ფაფართის მთებში, კერძოდ, კი დევთუბნის მთიდან. მდინარე იმერხევს მარცხნიდან ერთვის ყვირალა, მარჯვნიდან – ბაზგირეთისწყალი, ჩიხისხევი. მდინარე იმერხევი ზემო წელში ფაფართად იწოდება, ქვემო წელში - ფხიკურად. ასე იხსენიებს ნ. მარი (H.Я. Мapp 1911.:85). XIX საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურაში ეს მდინარე ჭოროხამდე ვრცელდებოდა (B.Я. Лисовский 1987.: 16, 25, 86). უფრო ადრე კი იმერხევი შავშეთისწყლად იწოდებოდა (ქსმ II.: 15, 91, 42).

რეგიონის მნიშვნელოვანი მდინარეებია აგრეთვე **სხლობანი, მანსურათი, ხანთუშეთისწყალი, ბაზგირეთისწყალი, ჩიხისხევი** და სხვ.

როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ჰიდრონიმებს - მდინარეებს, ღელეებს, ტბებს, წყელსატევეებს საკუთარი სახელი არ გააჩნიათ. გამონაკლისი არც ჩვენი საკვლევი რეგიონია. გ. ყაზბეგი წერდა, რომ „მდინარეებს... მთელ თურქეთის საქართველოში, საკუთარი სახელები არა აქვთ: ყოველი სოფელი, ყოველი შესანიშნავი საგანი აძლევს მათ სახელწოდებას... მდინარეებს და ხეობებს ვუწოდეთ მთავარი პუნქტების სახელები“ (გ. ყაზბეგი 1995.:55). სოფლების სახელებით იწოდებიან მდი-

ნარე სათელელისწყლის შენაკადები: **სხლობანი, დაბაკეთილი, შავქეთი** (შავშაქი) და **კუჭენი**. ისინი სოფელ ოქრობაგეთის ქვემოთ ქმნიან მნიშვნელოვან მთის მდინარეს.

ზოგჯერ გვხვდება პირიქითაც, როცა ჰიდრონიმი სოფლის სახელად ქცეულა. ასეთია **ყვირალა**.

გ. ყაზბეგი იძლევა სახელწოდება „ყვირალას“ განმარტებას: „მდინარე ყვირალამაც სახელწოდება მიიღო ქართული სიტყვიდან „ყვირილი“, რაც მყვირალას ზუსტი სინონიმია. ეს სახელი მთლიანად შეესატყვისება მდინარის ხასიათს: ზემო წელში იგი ხმაურით მოექანება ქვიან ფსკერზე, თანაც რეცხავს თიხოვანი ქანების მოყვითალო ფენებს და წყალს ჭუჭყიან იერს აძლევს“ (გ. ყაზბეგი 1995.:75). -ილ სუფიქსი ვნებითი გვარის მიმღებობას აწარმოებს და ჰიდრონიმებშიც, მიმღებური წარმოშობის ტერმინებში, გვხვდება. ხშირად ეს სუფიქსი გამოყენებულია მაკინებელი -ა-ს დართვითაც: ყვირ-ილ-ა (მდინარე ზემო იმერეთში) (ალ. ღლონტი 1979.:31).

საკვლევ რეგიონში პირობითად გამოიყოფა ძირეული, წარმოქმნილი და სიტყვათშეერთებით გაფორმებული ჰიდრონიმები.

მარტივი, ძირეული, ჰიდრონიმებია: **დელე** (ჭუარ., სხლობ.), **ხევი** დელე (იფხ.), **ფონი** წყარო, **წყაროები** წყარო (წეთ.). საკვლევ ტერიტორიაზე მარტივფუძიანი ჰიდრონიმები შედარებით იშვიათია.

წარმოქმნილი ჰიდრონიმების საწარმოებლად სპეციალური სუფიქსები არ გვაქვს. პირობითად გამოიყოფა წარმოქმნილი ჰიდრონიმები: **ნატბევი** ტბა (წით.), **ტბათი** დელე (ზ.), **წყართი** წყარო (უ)...

შავშეთის ჰიდრონიმების დიდი ნაწილი მიღებულია სიტყვათშეერთების გზით. მსახდვრელად გამოყენებულია ადგილის სახელი, სახდვრულად კი – წყალი (წყარო), დელე, ხევი. საკვლევ რეგიონში გავრცელების სიხშირის მიხედვით სწორედ ეს ინდიკატორებია (წყარო/წყალი, დელე, ხევი) პროდუქტული:

წყარო (წყალი): ბებერასწყარო, გრიალოწყარო, თელაწყარო, მაღალწყარო, ცივიწყარო, შამბალეთისწყალი, შავშეთისწყალი, ჭოთისწყალი, ხაფხაფისწყარო და ა. შ.

დელე: ალბუდასდელე, თუთიდელე, თხინადელე, მიწროდელე, პატარა დელე, ქურადელე, წისქვილისდელე, წელიანი დელე, ცივწყარო დელე, ხევწრული დელე, ხოსლევი დელე...

ხევი/ჭევი: ბაგათხევი//ბაგათჭევი, ბრდღვერახევი//ბრდღვერაჭევი, იმერხევი// იმერჭევი, კარჩხალეთხევი//კარჩხალეთჭევი, ჩიხისხევი//ჩიხისჭევი...

ცალკე უნდა აღინიშნოს შავშეთის ტბების სახელები. ამ კუთხეში დიდი ტბები არ გვხვდება. მხოლოდ რამდენიმე პატარა ტბაა. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

1. **ყარაგოლი** (თ. Karagöl “შავი ტბა“), მდებარეობს შავშეთ-არტანუჯის საზღვარზე, ქურდევანის მთების ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. აქედან წყალი სარწყავი არხებით გაჰყავთ სოფლებში.

2. **აქგოლი** (თ. Akgöl “თეთრი ტბა“), სოფელ ვერხვინალის მთებშია. იგი ღრმა და გამდინარეა.

3. **ქიზგოლი** (თ. Kiz Gölü “გოგოს ტბა“) მდებარეობს არსიანის მთებში. (ხალხური გადმოცემით, ამ ტბიდან ხანდახან მზეთუნახავი ქალი ამოდის და თმას ივარცხნის).

4. **ბუღაგოლიც** (თ. Boga Gölü „ბუღას ტბა“) არსიანის მთებშია. ხალხის გადმოცემით ამ ტბიდან ყოველ დილას **ბუღა** ამოდის და ბალახს ძოვს.

5. **დაბაწვრილის ტბა** (თ. Meşeli göllü „მეშელის ტბა“). „მეშელი“ სოფ. დაბაწვრილის თურქული სახელია. ამ ტბას ადგილობრივი მცხოვრებლები „ყარაგოლს“ უწოდებენ. იგი ღრმაა და არაგამდინარე. ტბის ირგვლივ მწვანე მდელოები და ხშირი ნაძვნარი კარგი დასვენების პირობებს ქმნის. შავშეთის ეს ადგილი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დასვენების კერაა.

შავშეთი ისტორიულად ცნობილი იყო სამკურნალო წყლებით. აღსანიშნავია მიქელეთის აბანოები. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გ. ყაზბეგმა აიღო ამ სამკურნალო წყლის სინჯი და ანალიზისათვის თბილისში ჩაიტანა (გ. ყაზბეგი 1995.:77). ცნობილია ველის, მამანელისის, ხანთუშეთის, ბალვანის მინერალური წყლები.

ლაშეთი სამკურნალო წყალს ჰქვია სოფელ კუჭენში. იგი მდებარეობს შავშეთ-არტანის ცენტრალურ გზაზე, პატარა, უსახელო დელის ნაპირას. ლაშე იგივე მლაშეა, თაგვიდური მ დაკარგულია. „მლაშე“ მარილიან წყალს ნიშნავს. შესაძლოა ლაშე მიღებული იყოს **ნაშე** საგან, რომელიც მდინარის რიყიან და ჯავნარიან სანაპიროს აღნიშნავს (ზ. ჭუმბურიძე 1987:460). მლაშე ჰქვია სოფლებს ადიგენისა და დუშეთის რაიონებში, ლაშე - ზემო იმერეთსა და ქართლში. შავშეთის სოფელ ველში დავადასტურეთ სათიბი **ლაშიოფლა**.

1.8. ზანიზმნები შავშეთის ტოპონიმიაში

შავშეთის ტერიტორია მოქცეულია იმ გეოგრაფიულ არეალში, რომელიც უძველესი პერიოდიდან ზანებით (მეგრულ-ჭანებით) იყო დასახლებული. ივარაუდება, რომ ქართული კილოების ერთი ნაწილი და მათ შორის შავშურიც (ბ. ჯორბენაძის მიხედვით, იმერხელი) ქართული და მეგრულ-ჭანური მეტყველების კონტაქტების შედეგად არის ჩამოყალიბებული. ბუნებრივია, რომ ამ კონტაქტებმა დანაშრევი დატოვა ქართულ დიალექტებში. იგი თავს იჩენს როგორც ფონეტიკაში, ასევე მორფოლოგიაში, სინტაქსსა და ლექსიკაში (ბ. ჯორბენაძე 1989:91).

შავშეთის ტოპონიმიაში ზანური ფენა უძველესია. იგი სუბსტრატის სახითაა შემორჩენილია საკვლევ ტერიტორიაზე:

ოხორთი საძ., სათესი (ზაქ., ივ.), **ჯარგუალი** სათიბი (სხლობ.), **ბუჭადღუდი** სათიბი (მაჩხ.). უკანასკნელი კომპოზიტის პირველი ნაწილი **ბუჭად** საკვლევ რეგიონში აღნიშნავს პატარა დელეში ჩადგმულ წისქვილს. **ბუჭადღუდი** კი ნიშნავს წისქვილის თავს, ან ადგილს, რომელიც მდებარეობს წისქვილის თავზე.

საკვლევ რეგიონში გვხვდება ეთნონიმ „ზან“-ით, „ლაზ“-ით/„ჭან“-ით გაფორმებული გეოგრაფიული სახელები: **ზანაგრა** სათესი (წეთ.), **ზიზანაგრი** სათესი (მაჩხ.), **ლაზიენთი** ს. უბანი (ჩაქ.), **ნალაზმევი** ტყე (მამ.), **სამლაზი** სათიბი (დაბაწ.), **ჭანაური** სათესი (ჭუარ.) და სხვ.

მეგრულ-ჭანური სუბსტრატით უნდა აიხსნას შავშეთის შემდეგი ტოპონიმები: **ბაღაჩხურთი** ს. უბანი, სათიბი (ოქრ., ველი), **დღვაბიზელა** ს. უბანი (სვირ.), **ნანაჭირე** საძოვარი (კარ.), **ოჭივარა** სათიბი (ჩიხ.), **ფუჩათ სათესი** (გურ.), **ფურჩხუთი** სათიბი (წეთ.), ჭომათი სათესი (უ.), **ჯანჯირი** დაილა (ბაზგ.), **ჯანჯალთა** ნაეკლესიარი (სხლობ.), **ხუჭაჭინე** სათიბი (ველი) და ა. შ.

შავშეთის ზოგიერთ სოფელში დღესაც ცხოვრობენ **ლაზები**, სოფელ ჩაქველთას ერთ-ერთ უბანს სულაც **ლაზიენტა** ჰქვია. აქ მცხოვრებთა უმრავლესობა ლაზია. ისინი ფლობენ როგორც ლაზურ, ასევე ქართულ და თურქულ ენებს. ინფორმატორების ცნობით, ბევრი ლაზი გაითქვიფა ადგილობრივ მოსახლეობაში, დაკარგა თავისი ენა და ზნე-ჩვეულება. ძველად ლაზური მოსახლეობა კომპაქტურად სახლობდა შავშეთისწყლის და მდინარე იმერხევის აუხების სხვადასხვა სოფელში. მათი რაოდენობა თანდათან კლებულობს. ზანური ენის კვალი კი შემორჩა რეგიონის ტოპონიმიაში.

§2. ქართულ-თურქული ენობრივი უთიუხობების ასახვა შავშეთის ტოპონიმიაში

ქართულ-თურქული ენობრივი უთიუხობის შედეგები თვალნათლივ აირეკლა საკვლევ რეგიონის ტოპონიმიაშიც. თურქული ენის გზით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული პროვინციების ქართულ დიალექტებში შემოვიდა არაბულ-სპარსული და საკუთრივ თურქული ლექსიკა, რამაც შემდგომ პერიოდებში გეოგრაფიულ სახელებშიც კპოვა ასახვა. ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს ზ. ჭიჭინაძე დიდი გულისტკივილით წერდა, რომ „აქაურ სოფლებსა და სხვა გეოგრაფიულ სახელებს შეუცვალეს ქართული სახელი და მათ

ნაცვლად უწოდეს ოსმალური (თურქული). თითო-ორი სოფელს კი შერჩათ აქა-იქ ქართული სახელები, მაგრამ ერთობ მცირედ...

წყლებს და მდინარეებს უწოდეს ოსმალური სახელები და მოსპეს მათი ძველი სახელები, რაც მათ წინეთ ერქვათ...

ადგილებს, მთებს, ხეობებს, ველებსა და კლდეებსაც გამოუცვალეს სახელები და ქართულის მაგიერ უწოდეს ოსმალური სახელები... არ დარჩა არც ერთი კუთხე, ნაშთი, მთა, ბარი, ქვა, ქალი, კაცი და სხვანი რომ ქართულის მაგიერ ოსმალური სახელები არ სწოდებოდათ“ (ზ. ჭიჭინაძე 1913.:236).

ქართული გეოგრაფიული სახელების ოსმალურ ყაიდაზე გარდაქმნა, რა თქმა უნდა, ერთბაშად, ერთი ხელის დაკერით არ ხდებოდა. ეს იყო ხანგრძლივი და რთული პროცესი. „ოსმალთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კი იწყება ადგილობრივი გეოგრაფიული ნომენკლატურის შერყვნა... ეროვნული გეოგრაფიული ნომენკლატურის შერყვნას ჩვენში ხელს უწყობდა: 1. ოსმალთა დაპყრობის შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობის შემცირება (დარჩენილი მოსახლეობის ნაწილი გადასახლდა); 2. ოფიციალურ ენად თურქულის შემოღება და საერთოდ ადგილობრივი მოსახლეობის გამათურქებელი პოლიტიკის გატარება; 3. მოსახლეობის (გამაჰმადიანებული ქართველების) ფანატიკურად განწყობილი ნაწილის მასიური გადასახლება ოსმალეთში; 4. რეგიონებში არაქართული ელემენტის (ქურთები, ბერძნები, თურქები) ზრდა... „ქართულმა გეოგრაფიულმა ნომენკლატურამ ამ ტერიტორიაზე ხმარებული სხვადასხვა სისტემის ენათა ფონზე საგრძნობი ტრანსფორმაცია განიცადა“ - დაასკვნის აკად. ს. ჯიქია (ს. ჯიქია 1958.:25-29).

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, რომ თურქები დაპყრობილ ქვეყნებში ადგილობრივ გეოგრაფიულ სახელებს, როგორც წესი, ხელუხლებლად ტოვებდნენ (ს. ჯიქია 1958.:29). ოღონდ, არათურქული სახელი ფონეტიკურად გადათურქულდებოდა ხოლმე. მაგალითად, ბერძნულმა Brusa-მ თურქულში Bursa მოგვცა, აგრეთვე, ქართული „ახალციხე“, თ. Ahisha-დ იქცა და სხვ.

ამავე დროს ხშირია თურქების მიერ დაპყრობილ ქვეყნებში გეოგრაფიული სახელების თარგმნის შემთხვევები. ამ ფაქტს აღნიშნავს ნ. მარი და წერს, რომ თურქები სომხეთის ტერიტორიაზე გეოგრაფიულ სახელებს თარგმნიდნენ: „в одних случаях употребляемые в речи турок термины оказываются простым переводом армянских названий“ (Н.Я. Марр 1919.:25). იგივე ნ. მარი შენიშნავს საერთოდ სომხურ ტოპონიმიაში თურქული ფენის არსებობას. ცნობილია, რომ თურქები გეოგრაფიულ სახელებს თარგმნიდნენ ბალკანეთშიც.

თურქეთის მიერ დაპყრობილ ქართულ რეგიონებშიც ხშირია ადგილის სახელთა თარგმნის შემთხვევები. ვახუშტი ბატონიშვილი შენიშნავს, რომ „...დასავლეთ არს და შიფაქლუს მთის იქით გურჯი ბოღაზის წეობა ანუ საქართველოს-ყელისა, რამეთუ ოდეს დაიპყრეს ოსმალთა აზრუმ, მიერ ჟამით უწოდეს სახელი ესე“ (ვახუშტი ბაგრატიონი 1973.:141). ქართული **ოქროს ციხე** მოინათლა „ალთუნკალა“-დ (თ. Altun-kal-a-), ქაჯის ციხე - „**შეითანკალა**“ (თ. şeytan-kal-a), ოთხთა ეკლესია - „დორთ ქილისე“-დ (თ. Dort kilise)... ჩვენს მიერ შავ-შეთში მოპოვებულ მასალებშიც არაერთხელ დასტურდება ტოპონიმთა პირდაპირი თარგმნის მაგალითები: **ცხრაწყარო - დოქუზფინარლი** წყარო (კარ.); **შავი ტბა - ყარაგოლი** (თ. kara „შავი“, göl „ტბა“); **ლერწამის ტბა - ყამიშგოლი** (თ. kams, „ლერწამი“, göl „ტბა“), **ქვედა უბანი** - აშალი მაჰალე aṣağī „ქვედა“ mahalle „უბანი“); **ყვითელი ჭალა** - სარჩაირ (თ. şarī „ყვითელი“, çair „ჭალა“); **დიდი ვაკე/დიდვაკე - ბუიუქ დუზ** (თ. Büyük „დიდი“, düz „ვაკე“); **პატარა ვაკე - ქუჩუქ დუზ** (თ. Küçük „პატარა“, düz „ვაკე“); **დამპალი ხიდი - ჩურუქ ქორფუ** (თ. çürük „დამპალი“, köprü „ხიდი“); **შავი მუხა** - ყარამეშა (თ. Kara „შავი“, meşe „მუხა“). **დაჭრილი ქვა - ქესუქ თაშ** (თ. Kes-mek „ჭრა“, Kesik „გაჭრილი“, taş „ქვა“) და ა. შ.

საკვლევ რეგიონში თურქული ენის გაბატონების გამო ქართულ გეოგრაფიულ სახელს ჯერ გაუჩნდა თურქული ვარიანტი, პირდაპირ ნათარგმნი ტერმინის სახით, შემდეგ დროთა განმავლობაში ამ ახალწარმოქმნილმა ფორმამ შეიძინა მეტი სიცოცხლისუნარიანობა და საბოლოოდ შთანთქა კიდევ ქართული სახელი. ამ რთულ და ხანგრძლივ პროცესში შექმნილი ეტაპები (მომენტები) შეიძლება გამოიყოს:

1. ტოპონიმი სუფთა ქართული სახელია (ასე დარჩა დღემდე);
2. ტოპონიმს გამოუჩნდა თურქული ვარიანტი ნათარგმნის სახით (არსებობას განაგრძობს ორივე - ქართულიც და თურქულიც);
3. გაბატონდა თურქული ვარიანტი;
4. ქართული ტოპონიმი მივიწყებას მიეცა ან საერთოდ გაქრა.

1927 წელს თურქეთის ხელისუფლებამ ოფიციალურად გამოუცვალა სახელები ართვის ვილაეთის სოფლებს, მათ შორის შავშეთის ყველა სოფელს, სახელების შერჩევას საფუძვლად სხვადასხვა პრინციპი დაედო:

1. თურქული სახელი თითქმის ანარეკლია ქართულისა:

სოფელ **ბაღვანას** უწოდეს **ქირაზლი**, რაც **ბაღიან** ადგილს ნიშნავს - Kiraz „ბალი“, Li – ქონების აღმნიშვნელი თურქული სუფიქსი, ქართული -იან- სუფიქსის ფარდი. სოფელ **შავქეთს** ეწოდა **ყარაქი** ანუ **შავი სოფელი**. kara- „შავი“, köy „სოფელი“, **ციხისძირს** - **ყაიაღიბი**, კლდის ძირი, kaya „კლდე“, dip „ძირი“, **ველს** - **ჯირითღუზუ**, რაც იგივე **საჯირითო ვაკეს** ნიშნავს და სხვ.

2. სოფლის სახელი მომდინარეობს მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობიდან:

სოფელ **დასამობს** ეწოდა **დერეიზი**, რაც ნიშნავს ხეობის შიგნით. dere „ხეობა“, ici - შიგნით; **სირა-სინკოთს-ჩაიაღზი**, მდინარის პირი, çay „მდინარე“, ağız „პირი“. სოფელი მდებარეობს მდინარე შავშეთისწყლის მარცხენა ნაპირზე. **ყვირაღას** ეწოდა **დემირყაფი**, რაც რკინის კარს ნიშნავს. demir „რკინა“, Kapi „კარი“. სოფელი მდებარეობს ყვირაღას ხეობის სათავეში, საქართველოს სახელმწიფო საზღვართან ახლოს.

3. სოფლის სახელად შერჩენილია ფლორონიმები:

ს. **ვანთას** შეარქვეს **ელმალი**, რაც ქართულ **ვაშლოვანს** ეფარდება. elma “ვაშლი“, li - ქონების აღმნიშვნელი სუფიქსი. ს. **ხენდაბას** - **არფალი**, რაც **ქერიან** ადგილს ნიშნავს. arpa „ქერი“, ასევე ითქმის შემდეგი სოფლების თურქული სახელების შესახებ: ს. **ივეთი** – **მისირლი**, სიმინდიანი ან სიმინდოვანი, misir „სიმინდი“; ს. **მუნობანი** - **უზუმლუ**, **ვაზიანი**, üzüm „ვაზი“; ს. **სათლელი** - **სოდუთლუ**, ალვის ხიანი ადგილი, ალვანი, soğüt „ალვისხე“; ს. **სამჯელი** (ძველი ქართული სახელია „სამჭედი“) - **არმუთლუ** მსხალნარი, armut „მსხალი“. ს. **სვირევანი** - **დუთლუ**. ბუღლნარი ანუ თუთნარი, dut „თუთა“; **ტბეთი** - **ჯევიზლი**, ნიგეზიანი, çeviz „კაკალი/“ნიგოზი“; ს. **ჩართულეთი** - **ჩამლიჯა**, ფიჭვნარი, çam „ფიჭვი“; სოფ. **წეთილეთი** - **ერიქლი**, ქლიავიანი, erik „ქლიავი“ და სხვ.

სოფლების როგორც ძველი, ასევე ახალი, ანუ როგორც ქართული, ასევე თურქული სახელები სინონიმური ტოპონიმებია. ხმარებაშია ორივე სახელი. თუმცა არის საშიშროება იმისა, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ქართული სახელი ხალხთა მეხსიერებიდან ამოიშალოს და საბოლოოდ საერთოდ გაქრეს. აქედან გამომდინარე, დღევანდელი საქართველოს ფარგლებს გარეთ დარჩენილ ქართულ ისტორიულ მხარეებში გეოგრაფიულ სახელთა სისტემატურ აღწერას, ეტიმოლოგიურ კვლევასა და ამ მასალების ფართო საზოგადოებისათვის წარმოჩენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. იქ მცხოვრები ჩვენებურები კი გვეუბნებიან: „გამოუცვალა ჰუქუმათმა (მთავრობამ - ნ. ც.) ძეული სახელი, გურჯული სახელი. მარა ყველამ ვიცით გურჯული სახელი; გენჯები (ახალგაზრდები - ნ. ც.) რაგურ მიექცევიან, არ ვიცი. დეიმახსოვრებენ ჰერაღდა (ალბათ - ნ. ც.) ისინიც. არ დეიკარქვის გურჯი სახელი სოფლისა“ (შ. ფუტკარაძე 1993.:337).

2.1. თურქულენოვანი ტოპონიმები

შავშეთის თურქულენოვან ტოპონიმებში სამი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა:

ა) მარტივი სახელები:

დერე დღე, საძოვარი (ტბ., მორღ.). თ. dere „ხეობა“, „ხევი“. დერე საკვლევ რეგიონში იხმარება როგორც ზოგადად ხევის, ასევე მდინარის, დელის მნიშვნელობით.

თოფრაქ ტყე (სხლობ.). თ. toprak „მიწა“.

დათადი საძოვრები (მამ., მორღ., შავმ., წყალს.). თ. yatak „გომური“ (ნ. გურგენიძე 1973.:25). დათადი იხმარება სადგომის, საწოლის მნიშვნელობით. დათადი ეწოდება პირუტყვის (ხარის, ცხვრის...) ღამის გასათევ ადგილს.

მეიდან სათიბები (დაბაწ., შავქ.). ეს სიტყვა არაბულია, თურქულში შესულია არაბულიდან. თ. meydan „მოედანი“.

სათარ საძოვარი, სათიბი (გურნათელი, სხლობანი). სათარი საბასთან არის შეშა მოთრეული (ს.ს. ორბელიანი 1966.:30), შ. ნიჟარაძე ამ სიტყვას ასე განმარტავს: „თავქვე დასაცურებელი (ხეების), ღარობი“ (შ. ნიჟარაძე 1971). **სათარი** მესხურ დიალექტშიც დასტურდება (ი. მაისურაძე 1963). იგი ხე-ტყის დამუშავებასთან დაკავშირებული ტერმინია და ზოგადად აღნიშნავს იმ ადგილს, სადაც ხეებს (მორებს) მიათრევენ ფერდობზე დასაცურებლად.

ჩაირ სათიბი (დაბაწ.). ჩაირი იმერხეულში აღნიშნავს სათიბს, საძოვარს, ზოგჯერ ზოგადად მდელის მნიშვნელობა აქვს.

ჩერმიქ მინერალური წყალი (მიქ). აქაური მინერალური წყლები ცნობილია მთელ შავშეთში. ს. მიქელეთს დღეს ჰქვია „ჩერმიქ“. სოფლის სახელად აღებული იქნა მინერალური წყარო.

ყიშლა ს. უბანი, საძოვარი (ჯინ., ხანთ.). ყიშლა თურქული დიალექტიზმია, ლიტერატურულია: „kişlak“ და ნიშნავს „საზამთრო სადგომს“.

სირთ სათიბი (დაბაწ.) თ. sirt „ზურგი“, „სერი“. სირთი ჰქვია ამობურცულ, ზურგა ადგილს, პატარა მადლობს.

სირთის საპირისპირო მნიშვნელობა აქვს **ჩოქექს**, რომელიც ჩავარდნილ, ჩაღრმავებულ ადგილს ნიშნავს - **ჩოქექ** ტყე (ჩართ.).

მარტივი ტოპონიმია **სოგუთ** ტყე (ტბ.). თ. soğüt „ტირიფი“ და ა. შ.

ბ) სუფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები

შავშეთის გეოგრაფიული ნომენკლატურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სუფიქსებით გაფორმებულ სახელებს.

პროდუქტიულობით გამოირჩევა შემდეგი სუფიქსები: **-lar\\-ler, -gil, -li, -lik\\-luk(\\-lik\\-lük), -ci** და სხვ.

-lar\\-ler სუფიქსი სახელის მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელია თურქულ ენაში. იგი ტოპონიმებს აწარმოებს არსებითი სახელისაგან:

გოლ-ღარ ტბები (შავქეთი, დაბაწერილი, ვანთა), თ.. გöl „ტბა“. დასტურდება შემთხვევები, როდესაც ეს სახელი აღნიშნავს არა უშუალოდ ტბას ან ტბებს, არამედ ტბასთან მდებარე ტერიტორიას, ტყეს, ან სათესს: **გოლ-ღარ** ტყე (ოქრ.); **დოლაბ-ღარ** გამოქვ. (ველი), თ.. dolap „კარადა“; **თუქან-ღარ** ს. უბანი (სხლ.), თ. dükkân „დუქანი“; **დათახ-ღარ** სათიბი (ხანთ.), თ.. yatak „გომური“ (ნ. გურგენიძე 1973.:25), საწოლი, სადგომი; **მეიდან-ღარ** ს. უბანი, სათიბი (სხლობანი, მამანელისი), თ.. mey-dan „მოედანი“. **ჩოქექ-ღარ** სათიბი, ტყე (მორღ. სოფ.); **ქილისა-ღარ** ნაეკლესიარი, სათიბი (დაბაწ., ვ. ველი, ც.), თ.. Kilise „ეკლესია“.

-lar სუფიქსი დაერთვის ანთროპონიმულ სახელებს:

მაიქ-ღარ ტყე (ჩართულეთი); **მამუქ-ღარ** საძოვარი (ცინ.); **მუთო-ღარ** ს. უბანი (ქოთ.); **ფაფუ-ღარ** სათიბი (ბალ.); **ხაბელ-ღარ** ს. უბანი (სხლობ.).

მაიქი, მამუქი, მუთო, ხაბელა პიროვნული სახელებია. აქ იგულისხმება არა ბევრი მაიქი ან ბევრი მუფო, არამედ მათ კუთვნილებაში მყოფი ადგილები (საძოვარი, ტყე...).

-lar\\-ler სუფიქსი დაერთვის რთულ ფუძეებს:

ორთაქოფრუ-ღარ საძოვარი (დაბაწ.), თურქ. orta „შუა“ Köprü „ხიდი“; **სარჩიფ-ღარ** სათიბი (შავქ.). თ. sari „ყვითელი“, çop „ნაგავი“. ინფორმატორების ცნობით, ამ მიდამოებში იზრდება ყვითელი მცენარე, რომელიც გადამწიფების შემდეგ ერთიანად ღვება და მძაფრ სუნს უშვებს. აქაურთა თქმით, ამ ბალახს არც საქონელი ძოვს და არც ითიბება, ადგილზე ღვება. ამიტომაც დაერქვა ამ ადგილს ასეთი სახელი - „ყვითელი ნაგავი“ (ნ. ცეცხლაძე 2000). **ერმენიზადილ-ღარ** საძოვარი (შავქ.) – „სომხების ფარეხები“. ჰაღილი საქონლის ფარეხია, ღობე შემოვლებული აქვს და დაუხურავია (ნ. ცეცხლაძე 2000).

დასტურდება -lar სუფიქსის ფონეტიკური ვარიანტი ler:

გოლ-ღერ ტბა (კუჭ.), თ. გöl „ტბა“, გოლღერ - „ტბები“, უფრო ზუსტად ტბასთან მდებარე ადგილი; **ღუზ-ღერ** ს. უბანი (ხანთუშეთი), თ. düz „სწორი, ვაკე ადგილი“.

საკვლევ რეგიონში განსაკუთრებული პროდუქტულობით გამოირჩევა -gil სუფიქსი, რომელიც იმავე მნიშვნელობით იხმარება, როგორც ქართული სუფიქსები: -ან (სოსიკოსანი-ი, პეტრეს-ანი-ი...), -ეულ-//ოულ (სოსიკოს-ეულ-ი, პეტრეს-ეულ-ი...). უფრო მიახლოებით -gil სუფიქსი ქართული - იენტ//იეთ სუფიქსის ფარდია. -იენტ - -იანთ რთული სუფიქსის ფონეტიკური ნაირსახეობაა. აღნიშნავს კუთვნილებას-შთამომავლობას. მაგ., **აბდულ-გილ=აბ-ღულ-იენტ-ი**, **აბრამ-გილ=აბრამ-იენტ-ი**, **ბერი-გილ=ბერ-იენტ-ი** და ა. შ. ასევეა -იანთ სუფიქსი, „ოთარაანთ“ რიგის სახელების მსგავსად.

-gil სუფიქსით გაფორმებული სახელები ძირითადად ერთი წარმომავლობის ოჯახებით დასახლებული ტოპონიმებია და აღნიშნავს სოფლის უბნებს, სადაც, როგორც წესი, მხოლოდ ამ გვარის ოჯახები ცხოვრობენ.

-gil სუფიქსი დაერთვის ანთროპონიმებს:

აბდულ-გილ სოფ. უბანი (სხლობ.). ეს იგივეა, რაც აბდულ-ის-ანი-ი, აბდულ-ის-ეულ-ი, აბდულ-აანთ-ი, ე. ი. სოფლის უბანი, სადაც **აბდულა**’ს შთამომავლები ცხოვრობენ; **აივაზ-გილ** ს. უბანი (მამ.); **ალი-გილ** ს. უბანი (ჯინ.); **ბექირ-გილ** ს. უბანი (წით.); **ეზიზ-გილ** ს. უბანი (ბალ.); **მამო-გილ** ს. უბანი (ტბ.); **სუმაშ-გილ** ს. უბანი (წით.); **ყუშო-გილ** ს. უბანი (შავმ.); **ჯუშო-გილ** ს. უბანი (ტბ.); **ჰანო-გილ** ს. უბანი (შავქ.).

აბდულ, აივაზ, ალი, ბექირ, ეზიზ, მამო, სუმაშ, ყუშო, ჯუშო, ჰანო პიროვნული სახელებია.

ტოპონიმის ფუძეა მაღალი ფენის ან სასულიერო წოდების სახელები:

აღა-გილ სო. უბანი (მამ.); **ეფენდი-გილ** ს. უბანი (კუჭ.); **მოღლა-გილ** ს. უბნები (ზენდ., ჭყარ.); **ხაჯი-გილ** ს. უბანი (წით.); **ხოჯა-შილ** ს. უბნები (სხლობ., ჭყარ.)...

აღა და **ეფენდი** თურქულში თავაზიანი მიმართვის ფორმებია: ağa “აღა, ბატონო”; efendi „ბატონი“. მოღლა და ხოჯა კი - სასულიერო პირებია. ხაჯი წმინდა ადგილების (მექა, მედინა) მომლოცავ ადამიანს ეწოდება. «ხაჯწასული» ამ ადგილების მნახველია. ამ სახელებისაგან არის მიღებული ტოპონიმებიც.

-gil დაერთვის მეორე მაწარმოებლად პროფესია-საქმიანობის ამსახველ ტოპონიმებს:

ბალ-ჯი-გილ ს. უბანი (მამ.), თ. bal „თაფლი“, bal-ci „მეთაფლე“, - ci პროფესია-საქმიანობის აღმნიშვნელი სუფიქსია. ე. ი. ბალჯიგილ არის უბანი, სადაც **მეთაფლე** ცხოვრობდა ან ცხოვრობს; **დემირ-ჯი-გილ** ს. უბანი (სხლობ.), თ. demir „რკინა“ demir-ci „მჭედელი“; **ყაჰვე-ჯი-გილ** ს. უბანი (სხლობ.), თ. kahve „ყავა“ და სხვ. **ქურთ-გილ** ს. ციხისძირის ერთ-ერთი უბნის სახელია. ამ უბანში წარსულში ცხოვრობდნენ ქურთები, ამჟამად აქ მხოლოდ ადგილობრივი შავშელები სახლობენ, სახელი კი უბანს ქურთებისა დარჩა; **ჩამურ-გილ** ს. უბანი (შავქ.), თ. çamur „ტალახი“. ინფორმატორების ცნობით, სშირი წვიმების შედეგად „აქაურობა ისე ატალახდება, ფეხს ვერ გადადგამ“ (ნ. ცეცხლაძე 2000); **ყაია-გილ** ს. უბანი (ჯინ.), თ. kaya „კლდე“; **სირთინ-გილ** ს. უბანი სათიბი (დაბაწ.), თურქ. sirt „ზურგი, სერი“. **ყაიაგილი** სოფლის კლდიანი უბანია, **სირთინგილი** - ბორცვიანი.

-li ქონების აღმნიშვნელი სუფიქსია. იგი თურქულ ენაში იმავე ფუნქციით იხმარება, რითაც ქართულში - იან, -ნარ და სხვა სუფიქსები. ძირითადად დაერთვის არსებითი სახელის ფუძეს:

ბოია-ლი სათიბები (სათ.-რბ., სინკ., ზენდ.), თ. boya „საღებავი“, ბოიალი-საღებავიანი, შეღებილი; „წერნავი“ - „საღებავი“, შდრ.: საწერნაქე (ი. სიხარულიძე 1958:94); **სინეგ-ლი** სათესი (ტბ.), თ. sinek „ბუზი“ სინეგლი-ბუზიანი, მწერიანი; **ყავლა-ლი** სათესი (ტბ.), თ. kavga „ჩხუბი“, kavga-li „საჩხუბარი“. ე. ი. სადავო ადგილი; **ქირაზ-ლი** სოფელი (შავშ.), თ. kiraz „ბალი“. **ქირაზლი** ნიშნავს ბალიან ადგილს, ბალვანას (<ბალ-ოვან-ა); **ჩეფერ-ლი** სათიბი (ზენდ.), თ. ceper „ღობე“, ceper-li „ღობიანი“, ღობეშემოვლებული ადგილი“ (ნ. ცეცხლაძე 2000); **ჯევიზ-ლი** ტყე (ყვირ.), თ. ceviz „კაკალი“ ceviz-li „კაკლიანი“ იგივე „ნიგეზიანი“.

ისტორიულ სოფელ ტბეთსაც დღეს **ჯევიზლი** ჰქვია. ეს სოფელი მართლაც გამოირჩევა საუკეთესო ჯიშის კაკლის ბაღებით. **ფინარ-ლი** სოფელი (შავშ.) pinar „წყარო“, „წყაროიანი“, ასე ჰქვია სოფელ სხლობანს.

გეოგრაფიულ სახელებს აწარმოებს სუფიქსი - lik\\-lük, -lik\\-luk, რომელიც დიალექტური ფორმით -luh\\lüğ - ფიქსირდება ტოპონიმებში. შინაარსობრივი მნიშვნელობა თითქმის იგივეა, რაც ქართულ -იან, -ნარ-სუფიქსებს და სა ---ე, სი---ე პრეფიქს-სუფიქსებს გააჩნიათ.

აშლამა-ლუხ სათიბი (ზენდ.), აშლამა- „ნერგი“, აშლამალულ ნერგიანი ადგილი ანუ სანერგე (ნ. ცეცხლაძე 2000); **ბუზ-ლუხ** ტყე (სათ.-რბ.), თ. buz „ყინული“, buz-luk „საყინულე“, ბუნებრივი გამოქვაბული ტყეში, სადაც წლის ნებისმიერ დროს ერთი და იგივე ტემპერატურაა შენარჩუნებული. მის მიმდებარე ტყესაც ამიტომ ეწოდა ეს სახელი; **ქირაზ-ლულ-ი** სათიბი (შავშ.), თ. kiraz „ბალი“, ქირაზლული ბალიანი ადგილი. შდრ.: ქირაზლი; **მეზერ-ლულ-ი** სასაფლაო (მორდ.), თ. mezar „საფლავი“, mezar-lik „სასაფლაო“; **თუზ-ლუქ** სათიბი (შავქ.), თ. tuz „მარილი“. tuz-luk „სამარილე“. ადგილობრივი მცხოვრებლები ამბობენ, რომ ამ ადგილებში მეცხვარეები ცხვარს მარილს აძლევენ. ამიტომაც დაერქვა ეს სახელი ადგილს (ნ. ცეცხლაძე 2000).

საკვლევ რეგიონში დასტურდება -siz უქონლობის აფიქსით გაფორმებული რამდენიმე რთული გეოგრაფიული სახელი:

დიბსიზ გოლლარი ტბები, სათიბი (დაბაკ.), თ. dir „ძირი“, dip-siz „უძირო“, göl „ტბა“, **დიბსიზ გოლლარი** - „უძირო ტბები“; **სუსუსუ ყიშლა** ტყე (სხლობ.), თ. su „წყალი“, -suz იგივე -siz უქონლობის სუფიქსია, **სუსუსუ** უწყლო ადგილია, ამ შემთხვევაში ყიშლა.

გ) სიტყვათშეერთებით ნაწარმოები ტოპონიმები

შავშეთის თურქულენოვან ტოპონიმურ მასალაში დიდია სიტყვათშეერთებით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელების რიცხვი. რთული სახელი, ჩვეულებრივ, მსაზღვრელ-საზღვრულია. წყობა - პრეპოზიციური. მ. კემულარია თურქულენოვან ტოპონიმებს, რომლებიც ერთმანეთთან მსაზღვრელ-საზღვრულის პრინციპით არიან დაკავშირებულნი, განიხილავს სამი იზაფეტური წესის მიხედვით.

პირველ იზაფეტში მსაზღვრელ-საზღვრული უკავშირდება ერთმანეთს ყოველგვარი მორფოლოგიური კავშირის გარეშე: დაშბულად - ქვის წყარო (დაშ. „ქვა“).

მეორე იზაფეტში მსაზღვრელი წარმოდგენილია ფუძის სახით, ხოლო საზღვრული დაირთავს მესამე პირის კუთვნილებით აფიქსს. **ალმაადაჯი** - ვაშლის ხე (ელმა//ალმა „ვაშლი“, ადაჯ „ხე“, -ი მესამე პირის კუთვნილებითი აფიქსი). **ინექლადი** - ძროხის მთა (ინექ „ძროხა“ დადი „მთა“).

მესამე იზაფეტში მსაზღვრელს დართული აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, საზღვრული კი წარმოდგენილია მესამე პირის კუთვნილებითი აფიქსით: **პალიტინინ გუნოდუ** (ფალის „მუხა“, გუნოდ „მზიანი მხარე“, „მზვარე“, **ალმანინ დუზუ** (დუზ „დაბლობი, მინდორი“)...) (მ. კემულარია 1994.:17-18).

ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალებში დასტურდება სამივე იზაფეტის მაგალითები, მაგრამ უფრო ჭარბობს პირველი იზაფეტის შემთხვევები, როცა მსაზღვრელ-საზღვრული მორფოლოგიური კავშირის გარეშეა ერთმანეთთან დაკავშირებული.

1. საზღვრული ჰიდრონიმული ტერმინია (ტბა, წყარო, ხევი...), მსაზღვრელი - არსებითი ან ზედსართავი სახელი.

საზღვრული წვერია ტბა, თ. göl - მსაზღვრელი არსებითი სახელი. მსაზღვრელ-საზღვრული ერთმანეთს უკავშირდება ყოველგვარი მორფოლოგიური კავშირის გარეშე:

ბალიქგოლ ტბები (ქვ. სულ., სხლობ.), თურქ. balik „თევზი“. göl „ტბა“, თევზის ტბა ანუ თევზიანი ტბა; **დევეგოლ** ტბა (ტბ.), თ. deve „აქლემი“, აქლემის ტბა; **დურნაგოლ** ტბა (ქოთ.) - წეროს ტბა (durma „წერო“); **ტავარგოლ** ტბა (ტბ.) - ცხერის ტბა (tavar „საქონელი“, „ცხვარი“); **ქიზგოლ** ტბა (სხლობ.) - გოგოს ტბა (Kiz „გოგო“);

მსაზღვრელი ზედსართავი სახელია:

ყარაგოლ ტბა (მოქ., სხლობ.) - შავი ტბა (Kara „შავი“); **ჩურუქგოლ** ტბა, სათიბი (ტბ., შავქ.) - დამპალი ტბა (guruk „დამპალი“);

მსაზღვრელი სუფიქსიანი სახელია, კერძოდ კი დართული აქვს ქონების აღმნიშვნელი სუფიქსი -ლი:

სოღითლი გოლ ტბა (ახალდ.) - „ტირიფიანი ტბა“ (Söğüt „ტირიფი“); **ქულაქლი გოლ** ტბა (სხლობ.) - ყურიანი ტბა (kulak „ყური“) და სხვ. ამ უკანასკნელს გარშემოწერილობის გამო დაერქვა ეს სახელი.

მსაზღვრელს დართული აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, საზღვრული კი წარმოდგენილია მესამე პირის კუთვნილებითი აფიქსით (-ი):

მეიდან-ინ გოლ-ი ტბა (შავქ.) - მოედანის ტბა; **შერიფ-ინ გოლ-ი** ტბა (შავქ.) - შერიფის ტბა (შერიფი მამაკაცის სახელია)...

საზღვრული წვერია **ფუნღარ**, ლიტ, ფორმა - pinar, რაც ნიშნავს წყაროს, მსაზღვრელი - ზედსართავი სახელი:

სოუხფუნღარი წყარო (შავქ.) - ცივი წყარო, თურქ. Soğuk „ცივი“; **ტაშფუნღარ** სათიბი (დაბაწ.) - ქვიან ადგილზე მომდინარე წყარო (taş „ქვა“); **ყარაფუნღარ** წყარო (ტბ.) - შავი წყარო (kara „შავი“). აქ იგულისხმება ამ წყაროსთან მდებარე ადგილი და არა მხოლოდ წყარო.

საზღვრულია su - წყალი, მსაზღვრელი - არსებითი სახელი. რიცხვი - მხოლობითი:

ყიხსუდ წყარო (ტბეთი) - გოგოს წყარო (kiz „გოგო“); **დერმანსუდ** წყარო (ტბ.) - წამლის წყარო (derman „წამალი“); **სოუქსუდ** წყარო (შავქ.) - ცივი წყარო (Soğuk „ცივი“)...

საზღვრული dere - ხევი, დელე, მსაზღვრელი - არსებითი სახელი:

დეგირმანდერე დელე (გურ.) - წისქვილის ხევი (değirman „წისქვილი“).

მსაზღვრელი ზედსართავი სახელია:

ბუდუქ დერე დელე (შავქ.) - დიდი დელე (buyuk „დიდი“); **ქორდერე** დელე (შავმ.) - ბრმა დელე, ხევი (kör „ბრმა“); **ყურუდერე** სოფელი (მორდელის თურქული სახელი) - მშრალი ხევი (kuru „მშრალი“).

2. საზღვრული - ადგილის ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის აღმნიშვნელი ტერმინია (მთა, ვაკე, ბორცვი, კლდე...), მსაზღვრელი - არსებითი ან ზედსართავი სახელი.

მსაზღვრელ-საზღვრულის რიცხვი მხოლობითია, იშვიათად საზღვრული - მრავლობით რიცხვში დგას:

ტად - თ. dağ „მთა“. ამ სიტყვის მნიშვნელობის ქვეშ იგულისხმება არა მხოლოდ მთა, მთიანეთი (თ. dağlık „მთიანეთი“), არამედ საზაფხულო იალაღები ანუ იაილები მთაში. **ბილბილანტადი** მთა, იაილა (ანკლია, სინკოთი) - ბილბილანის მთა. ბილბილანი მთათა სისტემაა შავშეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით; **დუზტადი** მთა, დაილა (ს., ქოთ.) - ვაკე მთა (თ. düz „სწორი, ვაკე ადგილი“). იაილა, რომელიც მთის მოვაკებულ, სწორ ადგილზე მდებარეობს; **იალანუსნამ ტაღლარი** მთები (ზენდ.) - მარტო ფიჭვის მთები ანუ მარტოხელა ფიჭვის მთები (თ. yalnız „მარტო“, çam „ფიჭვი“). ასევე მთაგრეხილი, მთათა სისტემაა იალანუსნამი, რომელიც შავშეთის არტანუჯისაგან მიჯნავს; **ჯინტადი** მთა (სხლობ.) - ეშმაკის მთა (თ. cin „ეშმაკი, ჯადოქარი“). **დუზ** - თ. düz „სწორი, ვაკე ადგილი“. **ბუდუქ დუზ** საძვ., ვაკე (ტბ., ჯინ.) - დიდი ვაკე (თ. büyük „დიდი“); **ქაუზუქ დუზ** საძოვარი (ტბ.) - პატარა ვაკე (თ. Küçük „პატარა“); **თეფე** - თ. tepe „მწვერვალი, წვერი, ბორცვი“; **ტავშან თეფე** ტყე (მამ.) - კურდღლის მწვერვალი, ბორცვი; **ქილისაგნინ თეფესი** ნაეკლ. (მოქ.) - ეკლესიის მწვერვალი, ბორცვი, სადაც იდგა ეკლესია. ახლა მხოლოდ მისი ნანგრევებია შემორჩენილი; **ყანლი თეფე** მთა, ტყე (კარ., მოქ.) - სისხლიანი ბორცვი (თ. kan „სისხლი“, kanlı „სისხლიანი“). ამ შემთხვევაში მსაზღვრელი წარმოდგენილია სუფიქსით: -li.

დასტურდება შემთხვევები, როცა თეფეს ცვლის **სირთი**, რასაც თითქმის იგივე მნიშვნელობა აქვს. **სირთ** - თ. sirt „ზურგი, სერი“.

დაუდოღლი სირთი საძოვარი (ვ.) - დაუდის ვაჟის სერი, თ. oğlu „ვაჟი, შვილი“.

ქადა - თ. kaya „კლდე“.

ბალქადა ტყე (ვ.) - თაფლის კლდე (თ. bal „თაფლი“). იგივე ძირის მსაზღვრელი წარმოდგენილია - li სუფიქსით; **ბაღლიქადა** სათიბი (გურ.) - თაფლიანი კლდე; **ყარაქადა** საძოვარი (ტბ.) - შავი კლდე (თ. kara „შავი“).

3. კომპოზიციის პირველი ნაწილია არსებითი, ზედსართავი სახელი ან სახელზმნა, მეორე ნაწილი - არსებითი სახელი.

მეჭელე/მაჭალე - თ. mahalle „უბანი“. მსაზღვრელია არსებითი ან ზედსართავი სახელი, საზღვრული - მეჭელე/მაჭალე. მეჭელეს ინსტიტუტი ძალზედ განვითარებულია ისტორიული სამხრეთ საქართველოს ყველა მხარეში და მათ შორის შავშეთშიც. აქაური სოფელი დაყოფილია „მეჭელეებად“ ანუ უბნებად. სოფელი რამდენიმე უბნისაგან შედგება და როგორც წესი, თითოეულ უბანში თითქმის ერთი წარმომავლობისა და გვარის ოჯახები ცხოვრობს. მეჭელეების რაოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ მოსახლეობის რა რაოდენობა ცხოვრობს სოფელში და როგორია მათი განლაგების პრინციპი. სოფელში ჩვეულებრივ არის სამი და მეტი უბანი. მაგ., სოფელ ციხიაში სამი მეჭელეა, დასამობში - 5, ვერხნალსა და შავშეთში - 7, ჭუარებსა და კუჭენში - 10, მამანელისში და ზენდაბაში - 11, წითვეთში - 13, სხლობანში - 26. სოფლის უბნების აბსოლუტურ უმრავლესობას თურქულმაწარმოებლიანი და თურქული შინაარსის სახელები ჰქვია. გამონაკლისია რამდენიმე ქართული გვარსახელისაგან მომდინარე უბნები. მაგ., დულაბიძე და ლასურიძე (წით.), ჩაქურიძეები, მიქაძეები (ზაქ.) და სხვა. ყველა სოფელში, როგორც წესი, არის **აშალი მაჭალე** (თ. aşagi „ქვემო, ქვედა“) - ქვემო უბანი და **იოსარი მაჭალე** (თ. yukari „ზემო, ზედა“) - ზემო უბანი, ასევე ყველა სოფელშია თითქმის **ჯამემაჭალე** (თ. cami „მჩეთი“). ის უბანი, სადაც ფუნქციონირებს მჩეთი, ჯამემაჭალეა. ბევრ სოფელში ჯამემაჭალის ძველი ქართული სახელის დადგენა ვერ მოვახერხეთ, რადგანაც მჩეთები ასწლულებია მოქმედებენ, ძველი ქართული სახელი კი მალე გაქრა. გვაქვს უბნები: **დუზმაჭალე** სოფ. უბანი (მამ.) - ვაკის უბანი, **სირთმაჭალესი** ს. უბანი (მოქ.) - სერის უბანი და ა. შ.

საზღვრული წევრია **იოლ** თურქ. yol „გზა“. მსაზღვრელ-საზღვრულის რიცხვი მხოლოდ ერთია. მსაზღვრელი არსებითი ან ზედსართავი სახელი ხშირად რთულია, იშვიათად - მარტივუდიანი:

დუზიოლ გზა, საძოვარი (მამ.) - სწორი გზა; **ესკიყიშლი იოლ** გზა (სხლობ.) - ძველი ყიშლის გზა; **იენიყიშლა იოლ** გზა (სხლობ.) - ახალი ყიშლის გზა. თ. eski „ძველი“, yeni „ახალი“; **თეფექლი იოლუ** გზა (ახალდა.), - თეფექლის გზა. თეფექლი სოფელ ახალდაბას ჰქვია. სიტყვასიტყვით თეფექლი ნიშნავს ბორცვზე, მაღლობზე გაშენებულ სოფელს; **მეშელიქლი იოლუ** გზა (სხლობ.) - მეშელიქლის გზა. მეშელიქლი სოფელ დაბაწვრილის თურქული სახელია, რომელიც მომდინარეობს სახელიდან meşe „მუხა“, meşelik „მუხნარი“, „მუხიანი“; **აშლი იაილა იოლუ** გზა (სხლობ.) - ქვიანი იაილის გზა, თ. taş-lik „ქვიანი“; **ყირმიზი იოლუ** სათესი, გზა (ტბ.) - წითელი გზა. თ. Kirmiz „წითელი“; **ყურთ იოლ** გზა (ზენდ.) - მგლის ბილიკი. თ. Kurt „მგელი“ და ა. შ.

საზღვრული წევრია **თარლა** (თ. tarla „ყანა, სათესი“). მსაზღვრელ-საზღვრული მხოლოდ ერთ რიცხვშია, იშვიათად - საზღვრული მრავლობით რიცხვში. მსაზღვრელი არსებითი ან ზედსართავი სახელია. საზღვრულ წევრს იშვიათად დართული აქვს მესამე პირის კუთვნილებითი აფიქსი - სი:

არმუთ თარლასი სათესი (მორღ.) - მსხლის ყანა, ანუ ყანა, სათესი, სადაც მსხლების ხეები დგას. თ. armut „მსხალი“; **არფა თარლასი** სათესი (ვ.) - ქერის ყანა, თურქ. arpa „ქერი“; **ბოღოზ თარლასი** სათესი (მორღ.) - ყელიანი ყანა ანუ სათესი, რომელსაც ვიწრო, ყელის ფორმა აქვს. თ. boğaz „ყელი“; **დარი თარლა** სათესი (დაბაწ.) - ფეტვის ყანა, თ. dar „ფეტვი“; **სირთ თარლა** სათესი (ტბ.) - ბორცვიანი ყანა ანუ მაღლობზე მდებარე ყანა. თ. sirt „სერი“; **ტაშლი თარლა** სათესი (ჭუარ.) - ქვიანი ყანა, თ. taş „ქვა“, taşlık „ქვიანი ადგილი“; **უზუნ თარლა** სათესები (ანკ. ჩართ. ვ.) - გრძელი ყანა, თურქ. uzun „გრძელი“; **ქაინაქ თარლა** სათესი (დაბაკ.) წყაროს ყანა ანუ ყანა, სადაც გამოდის წყარო წყალი. თ. kaynak „წყარო“;

ჩოქექ თარლა სათიბი (ჩართ.) - ჩავარდნილ, ჩადრმავებულ ადგილზე მდებარე ყანა, თ. çokek „ჩავარდნილი ადგილი“ და სხვ.

საზღვრული წვევრია **ქოფრი/ქოფრუ** (თ. koprü „ხიდი“), მსაზღვრელი არსებითი ან ზედსართავი სახელია, ორივეს რიცხვი მხოლობითია, საზღვრული წარმოდგენილია მესამე პირის კუთვნილებითი აფიქსის (-სი) ფონეტიკური ვარიანტით: -სუ;

დევრიშოლლი ქოფრუსუ ხიდი (კუჭ.) - დევრიშის ვაჟის ხიდი. დევრიშოლლი თურქული გვარსახელია, რომელიც მომდინარეობს პიროვნული სახელიდან - დევრიში, დევრიშოლლი იგივე დევრიშის შვილია; **თეიფუროლლი ქოფრუსუ** ხიდი (კუჭ.), თეიფურა კაცის სახელია; **ქემერქოფრი** ხიდი (მორღ., სვირ.), თ. kemer „ქამარი“, საკვლევ რეგიონში ამ სახელწოდების ქვეშ იგულისხმება ძველი, თაღოვანი ხიდები, რომლებიც საკმაოდ ხშირად გვხვდება აქ; **ჩურუქ ქოფრუსუ** ტყე, ნაეკლ., სათიბი (მამ., სხლობ., დაბაწ.) - დამპალი ხიდი, თ. çürük „დამპალი“ და ა. შ.

მსაზღვრელია სახელზმნა, უმეტესწილად მიმდებარე ან იშვიათად - ზედსართავი სახელი, საზღვრული კი - არსებითი სახელი: **თაშ/ტაშ** (თ. ტაშ „ქვა“), მსაზღვრელ-საზღვრული მხოლობით რიცხვში დგას:

დელიქლი ტაში ტყე (დაბაწ.) „ნახვრეტიანი ქვა“, თ. delik „ნახვრეტი, ნახვრეტი, ხვრელი“. ამ ტყეში მრავლად არის ამგვარი ქვა და ადგილის სახელდებაც აქედან მომდინარეობს; **თიქილი ტაში** ქვიანი ადგილი, საძოვარი (წეთ.) - დასობილი, დარჭობილი (ვერტიკალურად) ქვები, თ. dikili „დასობილი, დარჭობილი“; **ოთლი ტაშ** საძოვარი (ხან.) - „ბალახიანი ქვა“, თ. ot „ბალახი“; **ქესუქ ტაშ** საძოვარი (ვ.) - „დაჭრილი ქვა“, თ. kesmek „ჭრა“, „დაჭრილი“ და სხვ.

საზღვრულია არსებითი სახელი **ჩაირ**, რაც ზოგადად ნიშნავს საძოვარს სათიბს, მინდორს, მსაზღვრელი - არსებითი ან ზედსართავი სახელი, იშვიათად - ზმნიზედა. მსაზღვრელ-საზღვრულის რიცხვი მხოლობითია:

გოლლი ჩაირ სათიბი (სოფ.) - „ტბიანი საძოვარი, მინდორი“, თ. göl „ტბა“; **დერე ჩაირ** სათიბები (ხან., ტბ., შავქ.) - „ხევის საძოვარი, სათიბი“. თ. dere „ხეობა, ხევი“; **დიბ ჩაირ** სათიბი (ზ. სულ.) - „ქვემო საძოვარი, სათიბი“, თ. dip „ძირი, ფსკერი“; **დოხარი ჩაირ** სათიბი (ტბ.) - „ზემო საძოვარი“, თ. yukari „ზევით“; **ენი ჩაირ** სათიბი (შავქ.) - „ახალი საძოვარი“, თ. yeni „ახალი“; **სარი ჩაირ** იაილა, სათიბი, საძოვრები (წეთ., წყალს., ხოს., მანხ.) - „ვეითელი საძოვარი“, თ. sari „ვეითელი“; **საყათ ჩაირ** სათიბი (ჯინ.) - „მწირი საძოვარი“, თ. sakat „ხეიბარი“; **ტაშლუღ ჩაირ** სათიბი (ტბ.) - „ქვიანი საძოვარი“, თ. taş „ქვა“, taşlık „ქვიანი“; **ქუნუქ ჩაირ** სათიბები (მამ., ველი, დაბაწ.) - „პატარა საძოვარი“, თ. küçük „პატარა“; **ყარამეშა ჩაირ** სათიბი (გურ.) - „შავი მუხის საძოვარი“, თ. kara „შავი“, „მუხა“. იგულისხმება სათიბი, რომლის სიახლოვეს არის მუხნარი; **ჯამი ჩაირ** სათიბი (ყვირ.) - „მეჩეთის კუთვნილი სათიბი“, თ. cami „მეჩეთი“ და ა. შ.

რთული სახელის მეორე შემადგენელი ნაწილია არსებითი სახელი **ორმან** (თ. orman „ტყე“), პირველი ნაწილი არსებითი ან ზედსართავი სახელია, მსაზღვრელი ხშირ შემთხვევაში არის რთული სახელი. მსაზღვრელ-საზღვრული მხოლობით რიცხვშია:

ბაირამოლლი ორმანი ტყე (გურ., ვ.) - „ბაირამის ვაჟის ტყე“, ბაირამი კაცის სახელია; **დემირყაფი ორმანი** ტყე (ჯინ.) - „რკინის კარის ტყე“. დემირყაფი სოფელ ყვირალას თურქული სახელია. თ. demir „რკინა“, kapi „კარი“; **დანუხ ორმანი** ტყე (ხანთ., სათ.-რაბ.) - „დამწვარი ტყე“, თ. yanmak „დაწვა, წვა“; **საყათ ორმანი** ტყე (ჯინ.) - „ხეიბარი ტყე“, თ. sakat „ხეიბარი“. ამ შემთხვევაში იგულისხმება გაჩეხილი, განადგურებული ტყე...

მსაზღვრელია არსებითი ან ზედსართავი სახელი, საზღვრული - არსებითი სახელი დაილა, თ. yaylak „იალალი“, დაილა საზაფხულო საძოვარი და სადგომებია მთაში:

ბილბიდან დაილასი, იალალი (ხანთ., გურ.) - „ბილბიდანის იალალი“; **ესკი დაილა იალალი** (ჯინ., შავქ., კუჭ.) - „ძველი იალალი“, თ. eski „ძველი“; **საჰარა დაილა/სახარა დაილა იალალი** (ბალ., კუჭ.) - „საჰარის/სახარის იალალი; **ტაშლი დაილა** იალალი (სხლობ.) -

„ქვიანი იალაღი“, თ. taş „ქვა“, taşlık „ქვიანი“; **ყარაგოღ** **დაიღასი** იალაღი (მამ.) – „შავი ტბის იალაღი“, თ. kara „შავი“, göl „ტბა“...

საზღვრული წვერია ყიშღა, რომელიც ყიშღაღის სახენაცვალი ფორმაა და ნიშნავს „საზამთრო საღგომს“ (თ. kiş „ზამთარი“), მსაზღვრელი-ზედსართავი სახელი:

აშაღი ყიშღა საზ. საღგომი (ზენდ.) – „ქვეღა საზ. საღგომი“, თ. aşagi „ქვემო, ქვეღა“.

ესკი ყიშღა დაიღა (სხღობ.) – „ძველი საზამთრო საღგომი“, თ. eski „ძველი“. ეს უკანასკნელი, ინფორმატორების ცნობით, საზამთრო საღგომი იყო, შემდეგ კი იალაღის ფუნქციები მიიღო; **ენი ყიშღა** იალაღი (სხღობ.) – „ახალი საზამთრო საღგომი“, თ. yeni „ახალი“. ე. ი. სოფელ სხღობანს ორი საზაფხულო იალაღი აქვს მთაში, ერთი - ესკი ყიშღა, რომელიც ადრე საზ. საღგომი იყო და მეორე - ენი ყიშღა, იალაღი, რომელმაც სახელი ესკი ყიშღას მიბადებით მიიღო; **სუსუზ ყიშღა** ტყე (სხღობ.) „უწყლო საზამთრო საღგომი“, თ. su „წყალი“, susuz „უწყლო“ და სხვ.

საზღვრული წვერია არსებითი სახელი დათაღი, თურქ. yatak „საწოლი“, მსაზღვრელი არსებითი სახელი ან ზმნიზეღა. კომპოზიტის ორივე წვერი მხოღობით რიცხვშია:

აშაღი დათაღი სათიბი (ვეღი) – „ქვეღა საღგომი“, თ. aşagi „ქვემო, ქვეღა“; **ღოსარი**

დათაღი სათიბი (ვეღი) – „ზეღა საღგომი“, თ. yukari „ზევით“; **ოქუზ დათაღი** ტყე (ვ.) – „ხარის საწოლი“, თ. öküz „ხარი“; **მარაღ დათაღი** საძოვარი (კუჭ.) – „ირმის საწოლი“, თ. mazal „ირემი“ და ა. შ.

4. სამ და მეტფუძიანი ტოპონიმები

შავშეთის გეოგრაფიულ სახეღებში გამოიყოფა მრავალფუძიანი ტოპონიმები, უპირატესად - სამფუძიანი, იშვიათად - ოთხფუძიანი სახეღები. თხზული სახეღის ყვეღა შემადგენელი სიტყვა თურქული წარმომავღობის ტოპონიმია. ისინი ერთმანეთთან მსაზღვრულ-საზღვრუღის პრინციპით არიან დაკავშირებული. გვაქვს სახეღები, საღაც მსაზღვრულ-საზღვრული პირდაპირ, მორფოლოგიური კავშირის გარეშე უკავშირდებიან ერთმანეთს, სხვა შემთხვევაში მსაზღვრულ წვერს დართული აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, საზღვრულს - მესამე პირის კუთვნიღებითი აფიქსი -სი. მსაზღვრელიც და საზღვრულიც მხოღობით რიცხვში დგას, იშვიათად საზღვრული მრავღობით რიცხვშია:

გურჯი გეჩიღ დოღ გზა (ხანთ.) – „ქართვეღის ნავაღი გზა“, თ. Gürc „ქართველი“, geçmek „გავღა, გადასვღა“, yol „გზა“; **დერემაჰაღესნინ დერესი დეღე** (ტბ.) – „ხევის უბნის ხევი“, თ. dere „ხეობა, ხევი“, mahalle „უბანი“; **მოღა ოსმანინ ჩაირინ აღთი** სათიბი (შავქ.) – „მოღა ოსმანის მინდერის ქვემო“, თ. alt „ქვეშ, ქვემოთ“; **ქემერ ქოფრუ ჩაირ დეღე** (მორღ.) – „ქვის ხიღთან მღებარე მინდორი“, თურქ. kemer „ქამარი“ köprü „ხიღი“; **ყარაქოინ დაიღასინ გოღღარი** ტბები (შავქ.) – „შავქეთის იალაღის ტბები“. ყარაქოი ნიშნავს „შავ სოფელს“ და იგი შავქეთის თურქული სახეღია; **ყარა ფუნღარ ჩაირ** სათიბი (ჯინ.) – „შავი წყაროს მინდორი“; **ჩაქაღინ სირთ მაჰაღესი** ს. უბანი (მოქ.) – „ტურის სერის უბანი“, თ. çakal „ტურა“, sirt „ზურგი, სერი“, mahalle „უბანი“; **ჯამემაჰაღე ორმანი** ტყე (ვ.) – „მეჩეთის უბნის ტყე“, თ. cami „მეჩეთი“, mahalle „უბანი“, „ტყე“; **იქი სუინ არასი** ს. უბანი, ტყე (ხანთ., მამ.) – „ორ წყაღს შუა“, თ. iki „ორი“, su „წყალი“, ara, aralik „არე, შუაღელი“. ამ სახეღწოდების ქვეშ იღუღისხმება ორ წყაღს შორის მღებარე ტერიტორია, კომპოზიტის მეოთხე წვერი ჩავარღნიღია.

2.2. ქართულ-თურქული ფუძეებით გაფორმებული ტოპონიმები

ქართულ-თურქული სიტყვებით გაფორმებულ რთულ ტოპონიმებში გამოიყოფა სამი ჯგუფი:

- ა) მსაზღვრელი ქართული სახეღია, საზღვრული - თურქული;
- ბ) მსაზღვრელი თურქული სიტყვაა, საზღვრული - ქართული;
- გ) სამფუძიანი ტოპონიმები.

1. მსაზღვრელი ქართული სახეღია, საზღვრული - თურქული:

ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი ქართული სახელია, საზღვრული - თურქული. ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი შენარჩუნებულია, მსაზღვრელად უმეტესად გამოყენებულია სოფლების სახელები. მსაზღვრელ-საზღვრულის რიცხვი მხოლოდითია: **აგარის დაილა, დაბის დაილა, უსტამისის დაილა, ხევწრულის დაილა** იალაღები (წეთ., დ., უსტ. ხევწ.), **ფაფართის დერე** დელე (სვირ.), **ყურელას დერე** დელე (სვირ.).

მსაზღვრელს მოკვეცილი აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი: **ართვინ დოლუ** გზა (სინკ.), **ბალვანა ქოფრუსი** ხიდი (ბაღ.), **ვერხინალ დოლუ** გზა (ვერხვ.), **ხენდაბა ქოფრუსუ** ხიდი (ხენდ.), **მერია დოლუ** გზა (სხლობ.), **მოქეთა დოლუ** გზა (მოქ.), **სინკოთ დოლუ** გზა (სინკ.), **სინია დოლუ** გზა (სხლობ.), **სოფორა დოლუ** გზა (სოფ.), **ხანთუშეთ დოლუ** გზა (ხანთ.), **ხანთუშეთ ქოფრუსუ** ხიდი (ხანთ.) და ა. შ.

მსაზღვრელი არსებითი სახელია, რომელსაც მოკვეცილი აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი (-ის), ან ამ ნიშნის თანხმოდანითი ნაწილი (ს), თურქული საზღვრული წევრი დაირთავს მესამე პირის კუთვნილებით აფიქსებს (-ი ერთვის თანხმოდანფუძიან სახელებს, -სი ხმოდანფუძიან სახელებს):

არსიან ტაღი იალაღი (ციხ.) – „არსიანის მთა“, თ. dağ „მთა“; **არსიან დერე** მდინარე (მიქ.), – „არსიანის მდინარე“; **გოგი დაილა** იალაღი (ივ.) – „გოგის იალაღი“, გოგი პიროვნების სახელია; **თელა ბოღაზი** საძოვარი (ვ.) – „თელის ყელი, სრუტე“, თ. bağaz „ყელი, სრუტე“, თელიანი, ვიწრო ადგილი; **კარისათ ტაღი** მთა (შავმ.) – „კარისათის მთა“; **ტბეთ ქილისესი** ეკლესია (ტბ.) – „ტბეთის ეკლესია“, თ. kilise „ეკლესია“; **უყეთ მაჰალესი** ს. უბანი (ჭუარ.) – „უყეთის უბანი“. უყეთი/უყელი მოუსაველიან ადგილს ნიშნავს; **ჭოლა მაჰალე** ს. უბანი (ზ. სულ.) – „ჭოლას უბანი“, ჭოლა პიროვნული სახელია; **ჭიღოლი ტბა** (დაბაკ.) – „ჭიღის ტბა“; **ჭოჭმაჰალესი** ს. უბანი (ხანთ.) – „ჭოჭის უბანი“, ჭოჭე წყლიან, ჭაობიან ადგილს ჰქვია; **ხარი დათაღი** საძოვარი, სათიბი (ჯინ., ხევწ., მაჩხ., გურ.) – „ხარის ნაწოლი“, თ. yatak „საწოლი“; **ხევი მაჰალე** ს. უბანი (ზაქ.) – „ხევის უბანი“, თ. mahalle „უბანი“ და სხვ.

გენეტიკურ მსაზღვრელს დართული აქვს სხვადასხვა სუფიქსი და მხოლოდით რიცხვში დგას, იშვიათად -ნარ-თან-იან მრავლობითში, საზღვრულიც მხოლოდითშია, ძალზე იშვიათად - მრავლობითში. საზღვრული რამდენიმე შემთხვევაში წარმოდგენილია მესამე პირის კუთვნილებითი -სი/-სუ სუფიქსით. მსაზღვრელს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმოდანითი ნაწილი მოკვეცილი აქვს:

ბაცავრა დერე დელე (ყვირ.) – „ბაცავრას დელე“; **გობიანთა დერესი** დელე (სოფ.) – „გობიანთის დელე“; **გობიანთა ჩაირლარი** სათიბი (სოფ.) – „გობიანთის მინდვრები, საძოვრები“; **დავლათური ქოფრი** ხიდი (დას.) – „დავლათის ხიდი“; **ფიქალთ დერესი** დელე (ქოთ.) – „ფიქალთის დელე“; **ჩიხორული დაილა** იალაღი (დას.) – „ჩიხორის იალაღი“; **ხევწრული დაილა** იალაღი (ხევწ.) – „ხევწრულის იალაღი“; **თენნარა დერესი** დელე (ჯინ.) – „თელნარის დელე“; **თენნარა თარლა** სათიბი (ჯინ.) – „თელნარის ყანა“; **ტალახიეთ ჩაირ** სათიბი (ჯინ.) – „ტალახიეთის მინდორი“; **ვაჩიეთ ქოფრუსუ** ხიდი (სინკ.) – „ვაჩიეთის დელე“; **ვაჩიეთ დერესი** დელე (სინკ.) – „ვაჩიეთის ხიდი“; **ველათ დოლუ** გზა (სხლობ.) – „ველათის გზა“; **ქედათ დოლუ** გზა (სხლობ.) – „ქედათის გზა“; **ჭერნაულათ ორმანი** ტყე (შავმ.) – „ჭერნაულათის ტყე“; **ფიქალთ ჩაირ** სათიბი – „ფიქალთის მინდორი“; **ბელეშეთ დუზი** საძოვარი (სათ.-რაბ.) – „ბელეშეთის ვაკე“; **დედულეთ ორმანი** ტყე (ჯინ.) – „დედულეთის ტყე“; **დედულეთ ჩაირ** სათიბი (ჯინ.) – „დედულეთის მინდორი“; **შიმშილაურ მაჰალესი** ს. უბანი (ვერხვ.) – „შიმშილაურის უბანი“; **შიმშილაურ დერესი** დელე (ვერხვ.) – „შიმშილაურის დელე“; **ჭოლათ მაჰალესი** ს. უბანი (ვერხვ.) – „ჭოლათის უბანი“; **ველთა ორმანი** ტყე (გურ.) – „ველების ტყე“, ველებზე გაშენებული ხელოვნური ტყე; **ქირიან დუზი** ტყე (დ.) – „ქირიანი ვაკე“ და სხვ.

გენეტიკური მსაზღვრელი წარმოდგენილია თურქული ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით -ნინ-/-ინ-/-უნ-. მსაზღვრელ-საზღვრულის რიცხვი მხოლოდითია, საზღვრული - იშვიათად მრავლობითშია, საზღვრულს დართული აქვს პირის კუთვნილებითი აფიქსები -ი და -სი:

გარყელობის დერესი მდინარე (ჭუარ.) – „გარყელობის მდინარე“; **ველათის დუზი** ვაკე (ხანთ.) – „ველათის ვაკე“; **ვანთანინ ქილისესი** ეკლესია (ვ.) – „ვანთის ეკლესია“; **ლეკინ დიბი** სათესი (დაბაკ.) – „ლეკის ძირი“; **მახობიწონინ ჩაირლარი** სათიბი (ოქრ.) – „მახობლის ხევის მდინარეები“; **სოჩუნ დიბი** სათიბი (ჩართ.) – „სოჭის ძირი“; **შავქეთინინ სუდუ** დეღე (ბალ.) – „შავქეთის წყალი“ და ა. შ.

მსაზღვრელი პრეფიქს-სუფიქსებით ნაწარმოები სახელია, საზღვრული-თურქული სიტყვა, ორივეს რიცხვი მხოლობითია:

საირმე ორმანი ტყე (ვერხვ.) – „საირმის ტყე“; **საღორა დიბი** სათიბი (ციხ.) – „საღორის ძირი“; **სახახვია თეფე** მთა, საძოვარი (მორღ.) – „სახახვიას სერი“; **საყორნიეთ ორმანი** ტყე (ჯინ., ციხ.) – „საყორნიეთის ტყე“; **სანადირო გოლი ტბა** (ციხ.) – „სანადირო ტბა“; **საბუდარა ქოფრუსუ** ხიდი (მორღ.) – „საბუდარას ხიდი“. საბუდარა სოფელ მორღელის ერთ-ერთი დასახლებული უბანია, ადრე ცალკე სოფელი იყო; **საბზეღეთ დუზი** ტყე (ანკ.) – „საბძეღეთის ვაკე“; **სარკინეთ ჩაირ** სათიბი (ჯინ.) – „სარკინეთის მინდორი“; **სართუმალა თარლა** სათესი (ჯინ.) – „სართუმალას ყანა“ და სხვ.

მსაზღვრელი სახელზმნაა, საზღვრული - არსებითი სახელი, ორივეს რიცხვი მხოლობითია:

დაწვილი დუზი სათიბი (სვირ.) – „დამწვარი ვაკე“; **ჩაკიდული დერე** დეღე (სინკ.) – „ჩაკიდული დეღე“ და სხვ.

მსაზღვრელი ზედსართავი სახელია, საზღვრული არსებითი სახელი, მსაზღვრელად გამოყენებულია როგორც ვითარებითი, ასევე მიმართებითი ზედსართავები, ორივე მხოლობით რიცხვში დგას:

დიდჩაირ სათიბი (ზენდ.) – „დიდი მინდორი“; **ზუელი მათალი** საძოვარი, სათიბი (ივ., ახალდ.) – „ძველი საწოლი“; **კოკოლა სირთი** სათიბი (ზენდ.) – „კოკოლა სერი“; **პატარა სემთი** სათიბი (ზენდ.) – „პატარა უბანი“...

მსაზღვრელი ზმნიზედაა, საზღვრული - არსებითი სახელი, ორივე რიცხვი მხოლობითია:

ზემო მეჰელე ს. უბანი (ბაზგ.) – „ზემო უბანი“; **ქვემო მეჰელე** ს. უბანი (ბაზგ.) – „ქვემო უბანი“; **შუა მეჰელე** ს. უბანი (დ.) – „შუა უბანი“...

2. მსაზღვრელი თურქული სახელია. საზღვრული – ქართული

მსაზღვრელად გამოყენებულია თურქული ანთროპონიმული სახელი, საზღვრულად - არსებითი სახელი. კომპოზიტი უმეტესწილად ორშემადგენლიანი სახელია, ასეთი გაფორმების ტოპონიმები აღნიშნავენ ადგილის მფლობელთა ვინაობას:

მუსადედეს წყარო წყარო (უ.); **მუსაყანა სათესი** (წეთ.); **იოღუნის ყანა** სათესი (სვირ.); **ფეზულას ვაკე** სათესი (ხოს.); **ჯანდარას წყარო** (ივ.); **პაჯის ახო** სათესი (ველი); **ქუნდუს ხარო** სათიბი (შავქ.); **დაყუფა წყარო** (ზ.); **ალიბაშიწყარო** (ზ.); **ქილდირიზახო** სათიბი (ველი) და ა. შ.

დასახლებულ მაგალითებში მოცემულია პიროვნული სახელები და მეტსახელები: მუსადედე, მუსა, იოღუნი, ფეზულა, ჯანდარა, პაჯი, ქუნდუსა, დაყუფა, ალიბაში, ქილდირიზა.

კომპოზიტის პირველი ნაწილი არსებითი, იშვიათად ზედსართავი სახელია, მეორე ნაწილი - არსებითი სახელი. ორივე მხოლობით რიცხვში დგას.

ალთუნახევ სათიბი (სინკ.) – „ოქროს ხევი“; **ბალუქ ჭოჭი** სათიბი (ზენდ.) – „თევზის ჭოჭე, წყლიანი ადგილი“; **ბოშყანათ** ს. უბანი (ახალდ.) – „ცარიელი ყანები“; **გოღყანა** სათესი (დაბაწ.) – „ტბის ყანა ანუ ტბის ირგვლივ მდებარე ყანა“; **დარეთაფი** სათიბი (სვირ.) – „ბექობის, მადლობის თაფი“; **მადენი** დეღე (სვირ.) – „მადანის დეღე“; **სარი პანტა** სათიბი (დაბაწ.) – „ყვითელი პანტა“; **სარიჭალა** სათიბი (ზენდ.) – „ყვითელი ჭალა“ (შდრ.: სარიჩაირ - „ყვითელი ჭალა, მინდორი“; **ქილისაკარი** ნაეკლესიარი (დას.) – „ეკლესიის კარი“...

გ) სამფუძიანი ტოპონიმები.

საკვლევ რეგიონში გვხვდება ორზე მეტფუძიანი, ძირითადად სამფუძიანი გეოგრაფიული სახელები, რომელთა გაფორმებაში მონაწილეობას დებულობს როგორც ქართული, ასევე თურქული სიტყვები:

ასლანყალეთავი საძოვარი (ხევწ.), „ასლანის ციხის თავი“; აღმართიზირიდერე ღელე (სვირ.), „აღმართის ძირის ღელე“; დიდმერე ქოფრი ხიდი (სვირ.) – „დიდი მერის ხიდი“; ვარდჭალა ღერესი ღელე (მამ.) – „ვარდჭალას ღელე“; ივანთგერმაჭალე ორმანი ტყე (ციხ.) – „ივანანთ უბნის ტყე“; ოთხკილდე ქოფრი ხიდი (სვირ.) – „ოთხი კლდის ხიდი“; ტყიპირა თარლა სათიბი (ჯინ.) – „ტყის პირა სათესი“; ყარაქელი ჭალა საძოვარი (ივ.) – „შავი ქედის ჭალა“; ცივწყაროთ ბაირები სათესი (ჩაქ.) – „ცივი წყაროების საძოვრები“; ჯამიკარის წყარო წყარო (ივ.) – „მეჩეთის კარის წყარო“ ...

სამფუძიან სახელებში პირველი ორი კომპლექსი ასრულებს ერთი მსახდვრულის როლს, სახდვრული ჩვეულებრივ მესამე წევრია, წყობა - პრეპოზიციური. არ ჩანს პოსტპოზიციის შემთხვევები. მსახდვრელ-სახდვრულის რიცხვი მხოლოდითია, იშვიათად სახდვრული მრავლობით რიცხვშია. მსახდვრულ წევრებს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი მოკვეცილი აქვს, იშვიათად - შენარჩუნებული.

2.3. ქართულ-თურქული მაწარმოებლებით გაფორმებული სახელები

შავშეთის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შერეული გაფორმების გეოგრაფიულ სახელებს. ტოპონიმების გაფორმებაში მონაწილეობას ღებულობს როგორც ქართული, ასევე თურქული მაწარმოებელი. ასეთი გაფორმების სახელებში გამოიყოფა ორი ჯგუფი:

ა) სახელწოდების ფუძე ქართულია, მაწარმოებელი – თურქული:

ქართულ ფუძეს დართული აქვს თურქული სუფიქსები: -ლარ, -გილ, -ლულ, -ლი.

-ლარ მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი სუფიქსია თურქულ ენაში. იგი დაერთვის როგორც მარტივ, ისე ნაწარმოებ ფუძეს:

გორა-ლარ საძოვარი (მორღ.) – „გორები“; მინდორ-ლარ საძოვარი (მორღ.) – „მინდვრები“; ნაკაფ-ლარ სათესი (ვ.) – „ნაკაფები“; ნაფუზარ-ლარ სათესი (სხლობ.) – „ნაფუზრები“. ბოლო ორ მაგალითში - ლარ სუფიქსი დართული არის ოდენპრეფიქსით (ნა-კაფ-ი) და პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოებ (ნა-ფუზ-არ-ი ← ნა-ფუძ-არ-ი) სახელებზე; პანტი-რალ სათესი (ჩართ.) – „პანტები“, (ბგერათა გადასმა: - ლარ//-რალ); ჭოჭ-ლარ სათესი (დაბაკ.) – „ჭოჭები“...

-გილ სუფიქსის დართვით შტოგვარის სახელები იწარმოება:

აბრამ-გილ სოფ. უბანი (ც.) – „აბრამიენთი, აბრამაანთი, აბრამის შთამომავლების საცხოვრისი ადგილი“; გაღმე-გილ ს. უბანი (ჭუარ.) – „გაღმიენთი, გაფმა უბანში მცხოვრებნი“; გულ-გილ ს. უბანი (ჭუარ.) – „გულენთი, გულოსანი, გულოს უბანში მცხოვრებნი“; ნადირ-გილ ს. უბანი (ტბ.) – „ნადირაათნი, ნადირადის უბანში მცხოვრებნი“; დათვა-გილ ს. უბანი (მამ.) - დათვის უბანში მცხოვრებნი. „დათვი//დათვა“ ამ მამაკაცის სახელია.

-ლულ:

თიხა-ლულ სათესი (დაბაწ.) – „თიხნარი“; ფინხი-ლულ სათიბი (სოფ.) – „საფინხე, საფინხია“...

-ლი:

ბარათა-ლი სათესი (დაბაწ.) – „ბარაქიანი“; თელა-ლი ტყე (სოფ.) – „თელნარი, თელიანი“...

ბ) სახელწოდების ფუძე თურქულია, მაწარმოებელი – ქართული:

ამ ჯგუფის სახელებში გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი:

1. სუფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები და 2. პრეფიქს-სუფიქსებით გაფორმებული გეოგრაფიული სახელები.

1. სუფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები:

იენთ//იეთ:

გოლდ-იეთ-ი ს. უბანი (ზ.) – „სოფლის უბანი, სადაც ტბაა, ტბის უბანი“; პალჯ-იენთ-ი ს. უბანი (ხოხ.) – „მეთაფლის უბანი“, თ. bal “თაფლი“; ხოჯ-იენთ-ი ს. უბანი (წყალს.) – „სოფლის უბანი, სადაც ცხოვრობს სასულიერო პირი - ხოჯა“; ჰაჯ-იენთ-ი ს. უბანი (იფხ.) – „სოფლის უბანი, სადაც წმინდა ადგილებში (მექა, მედინა) წასული კაცი ცხოვრობს“ და სხვ.

-ებ:

ინჯილ-ები ს. უბანი (წეთ.) – „მარგალიტები“, თ. inci „მარგალიტი“; **ორმან-ები** საძოვარი (ტბ.) – „ტყეები“, თ. orman „ტყე“ და ა. შ.

-ურ-ა:

ფუნდუკ-ურ-ა ტყე, საძოვარი (მიქ.), თ. findik „თხილი“...

-ათ-ა:

სუ-ათ-ა წყარო (ქვ. სულ.), თ. su „წყალი“.

-ურ//ულ:

დერე-ულ სათვის (დაბაწ.), თ. dere „ხეობა, ხევი“...

2. პრეფიქს-სუფიქსებით ნაწარმოები სახელები

ნა— ევ/ნა—ავ:

ნა-ყალ-ევ ტყე (ტბ.) – „ნაციხარი“, თ. kale „ციხესიმაგრე“; **ნა-ქილის-ავი** ნაეკლესიარი (ხევწ.) – „ნაეკლესარი“..., თ. kilise „ეკლესია“.

ნა—იენთ:

ნა-მ-ხოჯ-იენთ-ი ს. უბანი (წეთ.) – „ნახოჯარის, ხოჯად ნამყოფის ყოფილი საცხოვრებელი უბანი“, მ თანხმოვანი ფუძის თავში გაჩენილია...

სა — ე:

სა-ბიშ-ე სათიბი (წეთ.)...

* * *

შავშეთის გეოგრაფიულ სახელებზე დაკვირვება გვიჩვენებს, ტოპონიმის ძირითადი ფონდი ქართულია, თუმცა გასაგები მიზეზებით საკვლევი რეგიონის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა თურქულენოვანმა და თურქული ენის გზით შემოსულმა სახელებმა.

შავშეთის ქართული ტოპონიმური სახელები ისე იწარმოება, როგორც ეს დამახასიათებელია საქართველოს სხვა კუთხეების გეოგრაფიული ნომენკლატურისათვის.

შავშეთის ტოპონიმურ ფონდში გამოვეყოფთ სამ ძირითად ჯგუფს:

1. ქართული ტოპონიმები;
2. თურქულენოვანი ტოპონიმები;
3. ქართულ-თურქული სიტყვებით გაფორმებული ტოპონიმები.

წარმოების მიხედვით შავშეთის ტოპონიმიაში გამოიყოფა მარტივი სახელები, აფიქსებით ნაწარმოები სახელები და თხზული სახელები, პროდუქტულობით გამოირჩევა აფიქსური წარმოება. ხშირად დასტურდება როგორც პრეფიქსული, ისე სუფიქსური და პრეფიქს-სუფიქსური წარმოების მაგალითები.

ოღენარეფიქსებად გვხვდება ნა- და სა- თავსართები. ნა- წინავითარების გამომხატველია, სა- დანიშნულებისა. სა- აწარმოებს მყოფადი დროის მიმღეობას საშუალო და ვნებითი გვარის ზმნებისაგან, ნა- -ნამყო დროის მიმღეობას.

გეოგრაფიული სახელების მაწარმოებლად ხშირად გვხვდება სუფიქსები: -ა, -ია, -იან, -ი-ენ-თ, -ი-ეთ, -ეთ-, -თ-ი-, -ურ//ულ-, -ნარ//ნალ-, -ოვან- და სხვ.

ამათგან განსაკუთრებით დიდია -ი-ენ-თ-, -ი-ეთ- და -ეთ- სუფიქსებით ნაწარმოები სახელების წილი. ისინი აღნიშნავენ კუთვნილება-შთამომავლობას და აწარმოებენ შტო-გვარის სახელებს.

რეგიონის ტოპონიმიაში საკმაოდ შეზღუდულია -ის, -ენ-, -ოთ- სუფიქსებით ნაწარმოები სახელები.

შავშეთის ტოპონიმიაში ხშირია გეოგრაფიულ სახელთა პრეფიქს-სუფიქსური წარმოება. ჩვეულებრივად, პრეფიქსებად გვაქვს წინა ვითარების გამომხატველი ნა- და დანიშნულების სა- თავსართები, რომლებიც ფუნქციით ძალზე ახლოს დგანან ერთმანეთთან.

საკვლევი რეგიონის ტოპონიმიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კომპოზიტებს, რომლებიც ჩვეულებრივ მსახდრელ-სახდრული სახელებია, გავრცელებულია პრეპოზიციური წყობის შემთხვევები. დასტურდება აგრეთვე სამფუძიანი, იშვიათად ოთხფუძიანი სახელები.

შავშეთის ქართულ რთულ გეოგრაფიულ სახელებში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საზღვრული ინდიკატორით გაფორმებულ სახელებს. ინდიკატორი იხმარება სხვადასხვა სიხშირით. ინდიკატორებად გვხვდება როგორც არსებითი, ისე ზედსართავი სახელი. ხშირად დასტურდება ინდიკატორები: წყარო, ყანა, დელე, ხევი, თავი, სერი, ძირი, ნაკლებად გვხვდება: დაბა, მერე, რუ, და სხვ. ინდიკატორია როგორც გეოგრაფიული, ისე ჰიდრონომიული ტერმინი.

საკვლევი რეგიონის ტოპონიმიაში საკმაოდ დიდია მცენარეთა სახელებისაგან მომდინარე გეოგრაფიული სახელების ხვედრითი წილი.

შავშეთი ისტორიულად დაწინაურებული მეურნეობის რეგიონს წარმოადგენდა. აქ განვითარებული იყო მემინდვრეობა, მესაქონლეობა, მევენახეობა-მეღვინეობა, ხელოსნობა. ეს დარგები აისახა საკვლევი რეგიონის ტოპონიმებშიც.

შავშეთში ჰიდრონიმები იწოდება იმ სოფლების, მთების ან სხვა ადგილების მიხედვით, რასაც ჩამოვიღის, ან საიდანაც იღებს სათავეს. რაც შეეხება ტბებს, აქ დასტურდება საკუთარი სახელის მქონე გეოგრაფიული ობიექტები (ყარაგოლი//შავი ტბა, ყიზგოლი//გოგოს ტბა და ა. შ.).

შავშეთი ძველი ზანების (მეგრულ-ჭანების) საცხოვრისიცაა. ამას მოწმობს გეოგრაფიული სახელები, რომლებიც ზანური ენის სუბსტრატს წარმოადგენენ. დღეს შავშეთში დასტურდება ტოპონიმები: ოხორთი, ლაზიენთი, ჭანაური. შავშეთის სოფლის - ჩაქველთას ერთ-ერთ უბანში, რომელსაც ლაზიენთი ჰქვია, დღესაც სახლობენ ლაზები. საერთოდ, ზანური ენის კვალი შავშურ კილოში ნათელია.

თურქული ენის გზით აქ შემოვიდა თურქული, არაბული, სპარსული სახელები. ქრონოლოგიური თვალსაზრისით საკვლევი რეგიონების ტოპონიმებში შეიძლება გამოვყოთ სამი ფენა: უძველესი, ძველი და ახალი.

უძველეს ფენას განეკუთვნება მარტივი სახელები და ქართულში უძველეს მაწარმოებლებად მიჩნეული ფორმანტებით (-ეთ-, -ი-ეთ-, -ი-ენ-თ-, -თა...) გაფორმებული ტოპონიმები, ძველ ფენას - ყველა სხვა დანარჩენი ქართული სუფიქსებითა და პრეფიქსებით გაფორმებული სახელები.

ახალია თურქული ენის ბატონობის დროს შექმნილი გეოგრაფიული სახელები.

ქართულ-თურქულმა ენობრივმა კონტაქტებმა თავი იჩინა რეგიონის გეოგრაფიულ სახელებში. ქართულ ტოპონიმს ჯერ გამოუჩნდა თურქული ვარიანტი ნათარგმნის სახით, შემდეგ თურქული ენის მომძლავრების გამო, გაბატონდა კიდევ. ზოგჯერ ადგილის ქართული სახელი დავიწყებას მიეცა...

მეთურქულე შავშეთის სოფლების ტოპონიმიაში მომრავლებულია თურქულენოვანი სახელები. ერთმანეთის გვერდიგვერდ დაცულია ქართული და თურქული გეოგრაფიული სახელები. ქართული ჯერჯერობით ახსოვთ, თუმცა თურქეთის ხელისუფლებამ ყველა ქართულ სოფელს ოფიციალურად გამოუცვალა სახელი და მიაკუთვნა თურქული ყაიდის სახელი.

სოფელთა სახელების გადარქმევას სამი პრინციპი დაედო საფუძვლად:

1. სოფლის თურქული სახელითი თქმის პირდაპირი თარგმანია ქართულისა;
2. სოფელს სახელი დაერქვა მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით;

3. სოფლის სახელად შეარჩიეს ფლორონიმები.

სუფთა თურქულენოვან ტოპონიმებში გამოიყო სამი ძირითადი ჯგუფი:

1. მარტივი სახელები;
2. სუფიქსებით ნაწარმოები სახელები;
3. სიტყვათშეერთებით ნაწარმოები სახელები.

მეორე ჯგუფში პროდუქტულობით გამოირჩევა შემდეგი სუფიქსები: -ლარ, -გილ, -ლი, -ლიქ// -ლექ// -ლეულ, -ჯი. თხზული გეოგრაფიული სახელები მსაზღვრელ-საზღვრული სახელია, წყობა-პრეპოზიციურია. ამავე ჯგუფის სახელებში გამოიყოფა შემდეგი ქვეჯგუფები:

ა) მსაზღვრელი არსებითი ან ზედსართავი სახელია, საზღვრული - ჰიდრონიმული ტერმინი;

ბ) მსაზღვრელი არსებითი ან ზედსართავი სახელია, საზღვრული კი ასახავს ადგილის ფიზიკურ-გეოგრაფიულ მდებარეობას;

გ) კომპოზიციის პირველი ნაწილია არსებითი ან ზელსართავი სახელი, მეორე ნაწილი - არსებითი სახელი;

დ) მრავალფუძიანი (სამ და მეტფუძიანი) სახელები.

მსაზღვრელ-საზღვრული სახელები ერთმანეთთან დაკავშირებულია იზაფეტური წესის მიხედვით. I იზაფეტში - მსაზღვრელ-საზღვრული ერთმანეთს უკავშირდება ყოველგვარი მორფოლოგიური კავშირის გარეშე. II იზაფეტში მსაზღვრელი ფუძის სახით არის წარმოდგენილი, ხოლო საზღვრულს დართული აქვს მესამე პირის კუთვნილებითი აფიქსი -ი და III პირის კუთვნილებითი აფიქსი -სი; III იზაფეტში მსაზღვრელს დართული აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, საზღვრული კი წარმოდგენილია მესამე პირის კუთვნილებითი აფიქსით. საკვლევ რეგიონში სამივე იზაფეტის მაგალითები დასტურდება, მაგრამ უფრო ხშირია I იზაფეტის ხმარების შემთხვევები. ამ შემთხვევაში მსაზღვრელ-საზღვრული ერთმანეთს უკავშირდება მორფოლოგიური კავშირის გარეშე.

ქართულ-თურქული სიტყვებით გაფორმებულ სახელებში გამოყოფილი გვაქვს სამი ჯგუფი:

1. მსაზღვრელი ქართული სახელია, საზღვრული - თურქული;

2. მსაზღვრელი თურქული სახელია, საზღვრული - ქართული;

3. მრავალფუძიანი ტოპონიმები, რომელთა ფორმირებაში მონაწილეობას ღებულობს როგორც ქართული, ასევე თურქული სიტყვები.

საკვლევ რეგიონში დასტურდება შერეული გაფორმების გეოგრაფიული სახელები. ე. ი. ტოპონიმის ფორმირებაში მონაწილეობს როგორც ქართული, ასევე თურქული ძირები და მაწარმოებლები. აქვე გამოიყოფა 3 ჯგუფის სახელები:

1. სახელწოდების ფუძე თურქულია, მაწარმოებელი - ქართული;

2. სახელწოდების ფუძე ქართულია, მაწარმოებელი - თურქული;

3. ტოპონიმის ფუძე ქართულია, მაწარმოებლები - ქართული და თურქული.

საკვლევ რეგიონში ცალკე გამოყოფილი გვაქვს უცნობი სემანტიკის ტოპონიმები, რომელთა ხვედრითი წილი საკმაოდ დიდია. აქვე აღვნიშნავთ, რომ მათი ახსნა შესაძლებელია როგორც ქართველურ, ასევე უცხო ენათა საფუძველზე.

როგორც ვხედავთ, შავშეთ-იმერხევის ტოპონიმები მრავალფეროვან სურათს იძლევა. საკვლევი რეგიონის ძირითადი ტოპონიმური ფონდი მაინც ქართულია და გეოგრაფიული სახელები ისე იწარმოება, როგორც ეს დამახასიათებელია ქართული ტოპონიმისათვის. ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობების შედეგები შესაბამისად ასახულია რეგიონის გეოგრაფიულ სახელებში.

ბიბლიოგრაფია

თავი I. შავშეთის ისტორიიდან

- ხ. ახვლედიანი 1944 – ნარკვევები აჭარის ისტორიიდან (მე-16-19 სს), ბათ.
„ბათუმის გაზეთი“, №30, 20 აგვისტო, 1911 წ.
„ბათუმის გაზეთი“, №68, 24 სექტემბერი, 1911 წ.
„ბათუმის გაზეთი“, №69, 26 სექტემბერი, 1913 წ.
„ბათუმის გაზეთი“, №83, 14 ნოემბერი, 1913 წ.
„ღროება“ №4, 1881 წ.
ექვთ. თავაიშვილი 1991 - „სამუსლიმანო საქართველო“. „დაბრუნება“, ტ. I, თბ.
ი. გივიაშვილი, გ. კოპლატაძე 2004 – ტაო-კლარჯეთი, თბ.
ვახუშტი 1973 – ვახუშტი ბატონიშვილი, „ადწერა სამეფოსა საქართველოსა“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ქართლის ცხოვრება. ტ. IV, თბ.
ვახუშტი 1913 – ვახუშტი ბატონიშვილი, „საქართველოს ცხოვრება“, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, ტფ.
Özdemir Halit 2002 _ Artvin Tarihi, Artvin.
ქ. ცხ. I, 1955 – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, თბ
ქ. ცხ. II 1959 – ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ.
ს. ჯიქია 1960 – XVIII ს-ის თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ, თსუ შრომები ტ. 91, თბ.
ივ. ჯაფახიშვილი 1971 – ქართველი ერის ისტორია, წიგნი IV, თბ.
ივ. ჯაფახიშვილი 1982 – თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბ.
ე. მამისთვალაშვილი 1981 – საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XVI ს-ის მეორე ნახევარსა და XVII საუკუნეში. თბ.
თ. ჟორდანიას 1897 – ქრონიკები, ტ. II, ტფ.
მ. სვანიძე 1990 – საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბ.
მ. სვანიძე 1971 – საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს. თბ.
F.Kırzioğlu 1998 _ Osmanlılar'ın Kafkas-Elleri'ni Fethi (1451-1590 yy.), Ankara.
Hammer 1998 _ Büyük Osmanlı Tarihi, cilt 5, kitap 3, İstanbul.
Mustafa Danişmend 1971 _ İzahlı Osmanlı Tarihi Kronolojisi, cilt 1, İstanbul.
M. Danişmend 1971 _ İzahlı Osmanlı Tarihi Kronolojisi, cilt 2, İstanbul.
იბრაჰიმ ფეჩევი 1964 – ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ. თბ.
Nebi Gümüş 1999 _ Osmanlı-Gürcistan İlişkileri (XVI yy.), Doktora tezi, Rize.
Başbakanlık Osmanlı Arşivi (BOA), Kamil Kepeci Tasnifi (KKT) 209
Dündar Aydın 1998 _ Erzurum Beylerbeyliği ve Teşkilatı, Kuruluş ve Genişleme Devri (1535-1566), Ankara.
ზ. შაშიკაძე 2002 – ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი XVI ს-ის აჭარის ისტორიისათვის. ბსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, კრებული III, ბათ.
BOA, KK, RD 218
Özder M. Adil 1971 _ Tarihte Çıldır Atabegleri ve Torunları, Erzurum.
თ. ვახტანგიშვილი 1976 – კაპიტალისტური მრეწველობის ფაბრიკულ (მანქანურ) სტადიაზე გადასვლა საქართველოში, თბ.
ქ. მურიე 1962 – ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათ.
თ. სახოკია 1985 – მოგზაურობანი, ბათ.
მ. სიორიძე 1987 – სამთო-მეტალურგიული მრეწველობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და უცხოური კაპიტალი (1978-1921 წწ.), აჭარის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები VIII, ბათ.
Батумь 1906 _ Батумь и его окрестности, Бат.

К. Д. Вейденбаут 1901 _ От Батума до Артвина, Кавказские этюды, I, Тифлиς.

Календар 1912 _ Кавказский Календар за 1912 год, Тифлиς.

А. Френкель 1879_ Очерки Чурук-су и Батума, Тифлиς.

თვი II. შავშეთის სოფლები

დ. ბაქრაძე 1987 – არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათ.

დ. ბაქრაძე 1880 – ბათუმის მაზრა. გაზ. „დროება“, № 78. ტფ.

გაზ. „დროება“ 1881 № 248. თბ.

ვახუშტი 1973 – აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, IV. თბ.

ე. ვეიდენბაუმი 2005 – ბათუმიდან ართვინამდე. თბ.

კ. კოხი 1981 – კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თბ.

შ. ლომსაძე 1975 – სამცხე-ჯავახეთი. თბ.

კ. მაჭავარიანი 1894 – გაზეთი „ივერია“, № 337. თფ.

მ. ფაღავა 2006 – ენობრივი სიტუაცია სამხრეთ საქართველოში და სამხრული მეტყველების დიალექტური შედგენილობის საკითხი. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. V, ბათ.

აღ. ფრონელი 1991 – დიდებული მესხეთი. თბ.

ს. ფირცხალავა 1915 – სამაჰმადიანო საქართველო ანუ ძველი მესხეთი. ტფ.

გ. ყაზბეგი 1995 – სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათ.

მ. ჩოხარაძე 2009 – ქართული ენა და ეროვნული იდენტობის ზოგიერთი საკითხი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. რსუ ქრისტიანული კვლევის ცენტრის სამეცნიერო კონფერენციის („ჩვენი სულიერების ბალავარი“) მასალები, ბათ.

მ. ჩოხარაძე 2010 – ხანძთა, ძიებანი და მოსაზრებანი, გაზ. „აჭარა“, 1991: №/№ 137-139. ბათ.

ა. წულაძე 1991 – ძმური სიტყვა, ბათ.

ზ. ჭიჭინაძე 1912 – ქართველ მაჰმადიანთა გადასახლება ოსმალეთში, მუჰაჯირი, ემიგრაცია, ტფ.

ზ. ჭიჭინაძე 1913 – მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ.

ზ. ჭიჭინაძე 1915 – ქართველების გამაჰმადიანება, ტფ.

შ. ჯაფარიძე 1996 – ნიკო მარის მოგზაურობა შავშეთსა და კლარჯეთში. თბ.

თავი III. შავშეთის მატერიალური კულტურის ძეგლები

არისტაკეს ლასტივერტეცი 1974 – ისტორია, ქართული თარგმანი გამოკვლევით კომენტარითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა. თბ.

თ. არჩვაძე 1974 - თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი წერნაქიანი ჭურჭელი. ფსად, II, თბ.

ვ. ბერიძე 1974 – ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1974

ვ. ბერიძე 1942 – სავანე (XI ს-ის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი). ქართული ხელოვნება, №1, თბ.

ა. ბოხრაძე 1963 – მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, თბ.

გიორგი მერჩულე 1982 – ქართული პროზა, ტ. I, თბ.

ლ. დეკაბრილოვიჩი 1955 – შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ.

ვახუშტი 1941 – აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ.ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ.

პ. ინგოროყვა 1954 – გიორგი მერჩულე, თბ.

დ.კლდიაშვილი 1998 – კლარჯეთის სამონასტრო მშენებლობის სათავეებთან.

გუნათლეს ვანი. ლიტერატურა და ხელოვნება №4, თბ.

გ. ლომთათიძე 1968 – ფეოდალური საქართველოს ქალაქებისა და საწარმოო კერათა ისტორიისათვის.-ფსად, I თბ.

- გ. ღლომთათიძე 1988 – ქალაქი რუსთავი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით. კრ. რუსთავი, თბ.
- მ. ღორთქიფანიძე 1963 – ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ.
- ზ. მაისურაძე 1953 – ქართული მხატვრული კერამიკა, თბ.
- შ. მამულაძე 1993 – აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათ.
- Н. Март 1911** – Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию,... С-П, 1911
- მ. მიწიშვილი 1969 – მოჭიქული კერამიკა ძველ საქართველოში (XI-XIII სს), თბ.
- მ. მიწიშვილი 1979 – მოჭიქული კერამიკის საწარმოო შუასაუკუნეების თბილისში (IX-XIII სს), თბ.
- მ. მიწიშვილი 1976 - ქართული მოჭიქული ჭურჭლის წარმოების ისტორიიდან, თბ.
- ლ. მუსხელიშვილი 1954 – გუდარეხი, თბ.
- დ. მუსხელიშვილი 1980 – საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ.
- ზ. პაპასქიური 1990 – ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პილიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ.
- ჯ. სამუშია 2008 – სვეტის ციხის ლოკალიზაციისათვის.- საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, ტ.IX, თბ.
- მ. ფაღავა 2007 – ხანძთისა და შატბერდის ლოკალიზაციისათვის. ჟ. მნათობი, 1, თბ.
- მ. ფაღავა 2008 – შავშური ჩანაწრები. ჟ. ლიტერატურული აჭარა, 1, ბათ.
- მ. ფაღავა 2010 – კვლავ ხანძთის ლოკალიზაციის საკითხისათვის. კრ. ჩვენი სულიერების ბალავარი, II, ბათ.
- თ. ფუტყარაძე 2010 – შავშეთის ექსპედიციის დღიური. ქართლის ცხოვრება, ტ.I, თბ. 1955
- გ. ყაზბეგი 1995 – სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათ.
- გ. ჩიტაია 1951 – ქართული თონე-მიმომხილველი, II თბ.
- მ. ჩოხრაძე 2010 – გუნათლეს ვანი, გაზ.„აჭარა“, №139, ბათ.
- გ. ჩუბინაშვილი 1936 – ქართული ხელოვნების ისტორია, ტ.I, თბ
- Г.Н. Чубинашвили 1971** – Зедазени, Кликис джвари, Гвиара.-,„Картули хеловнеба”,№7, серия-А, Тб.
- Г.Н. Чубинашвили 1965** – Архитектура Кахетии, Тб.
- დ. ხახუტაიშვილი 1965 – კლდეში ნაკვეთი ქალაქი, თბ.
- დ. ხოშტარია 2005 – კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები, თბ.
- ივ. ჯაგახიშვილი 1989 – ქართული სამართლის ისტორია, წ.II. ნაწ. I, თბ.
- ივ.ჯაგახიშვილი 1983 – ქართველი ერის ისტორია, ტ.II. თბ.
- ვ. ჯაფარიძე 1971 – გართილაყვა, გათხრები დმანისსა და მის მიდამოებში. საქ.სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, II, თბ.
- ვ. ჯაფარიძე 1969 – საქ. სახ. მუზეუმის დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969წლის კამპანიის მოკლე ანგარიში. აკსმ, თბ.
- ვ. ჯაფარიძე 1956 – ქართული კერამიკა, თბ.
- შ. ჯაფარიძე 1996 – ნიკო მარის მოგზაურობა შავშეთსა და კლარჯეთში, თბ.

თავი IV. შავშეთის ეთნოგრაფია

- აჭარის ცსა, ფ. 432, ს. 642, ფ.109-111
- ი. ადამია 1967 – ქართული საცხოვრებელი სახლების უძველესი ტიპები აჭარაში. „ძველის მეგობარი“, № 12, თბ.
- დ. ბაქრაძე 1987 – არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ.
- რ. ბაქრაძე 1994 – საქართველოს მიღმა, ბათ.
- გ. გასიტაშვილი 1985 – კვერი, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, მემინდერეობა, თბ.
- რ. გაჩეჩილაძე 1972 – ქართული მოსახლეობა თანამედროვე თურქეთში, “მიმომხილველი”, ტ.,6-9. თბ.
- ე. დავითაძე 2003 – სოფლის აღმაშენებელი, წ., 4-5. ბ.

- გ. დავითაშვილი 1974 - საცხოვრებელი სახლის ინტერიერის ფუნქციონალური ორგანიზაცია. „ძეგლის მეგობარი“, №34, თბ.
- ექვთ. თაყაიშვილი 1991 - სამუსლიმანო საქართველო, ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, „დაბრუნება“ტ. I. თბ.
- რ. თოფჩიშვილი 2008 - საქართველოს ეთნოლოგია, თბ. ინტერნეტი :<http://www.geogen.ge>.
- გ. კარტოზია 1993 - ლაზური ტექსტები, II, თბ.,
- ნ.კახიძე 1985 - შუამთობის ისტორიიდან. გაზ.„საბჭოთა აჭარა“, 13 ნოემბერი, ბათ.
- ნ. კახიძე 1974 - მაჭახლის ხეობა, ბათ.
- ვ. ლორთქიფანიძე 1998 - ისტორიული მესხეთი, დემოგრაფიული განვითარების პრობლემები, თბ.
- რ. მაღაყმაძე 2002 - ხალხური დღესასწაულები ლიგანის ხეობაში, სტუდენტთა და ახალგაზრთა მეცნიერთა შრომები, IV, ბ.
- რ. მიქაუტაძე, ქ. უორჟოლიანი 2007 - გლობალიზაციის გავლენა ახალგაზრდულ სუბკულტურაზე საქართველოში, ქართველური მემკვიდრეობა, XI, ქ.
- ა. რობაქიძე 1960 - დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში, ბსკი შრ., ტ. I. ბ.
- ჯ. რუხაძე 1999 - ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში, თბ.
- მ. სვანიძე 1996 - ქართველები თურქეთში, ისმეთხადე დოქტორი მეჰმედ არიფი, ქართული სოფლები (თურქეთში), თბ.
- მატიანე 1977 - ტბეთის სულთა მატიანე. გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ.
- თ. ტუნაძე 2000 - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტრადიციული ღია კერები. მესხეთი, ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე.
- თ. ტუნაძე 1996 - დახურული კერის კონსტრუქცია და კერასთან დაკავშირებული სამშენებლო ტრადიციები მარეთის ხეობაში. კულტუროლოგიური და ისტორიული-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში, I, ბათ.
- მ. ფაღავა 2004 - ქართული ენის სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა. სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ.
- შ. ფუტკარაძე 1993 - ჩვენებურების ქართული, ბათ.
- თ. ფუტკარაძე 2005 - საველე ექსპედიციის დღიური, შავშეთი.
- თ. ფუტკარაძე 2007 - საველე ექსპედიციის დღიური, მურღული-ბორჩხა.
- თ. ფუტკარაძე 2009 - საველე ექსპედიციის დღიური, შავშეთი.
- თ. ფუტკარაძე 2008 - საველე ეთნოგრაფიული ექსპედიცია პირინის მაკედონიაში, დღიური.
- თ. ფუტკარაძე, ნ. ვარშანიძე 2001 - შუბანი, ბათ.
- თ. ფუტკარაძე, ს. მოწყობილი, ნ. ფუტკარაძე 2003 - ღორჯომის ხეობის საველე ექსპედიციის ეთნოგრაფიული სექტორისა და სტუდენტთა საველე პრაქტიკის ანგარიში, საისტორიო მაცნე, № XII, ბათ.
- ნ. ღოღობერიძე 1980 - ხალხური გართობა-თამაშობანი გურიაში. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმი. გურია, თბ.
- მ. ჩართლანი 1961 - ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ.
- თ. ჩიქოვანი 1989 - ეთნო-არქეოლოგიური ეტიუდები, თბ.
- გ. ჩიტაია 2000 - შრომები, ტ. II, თბ.
- გ. ჩიტაია 2001 - შრომები, ტ. 4, თბ.
- გ. ჩიტაია, ბ. საზარაძე 1985 - მარცვლეულის გასანიავებელი იარაღები. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, მემინდვრეობა, თბ.
- გ. ჩიტაია 1953 - დასახლების ტიპი მთიულეთში, მსე, VI, თბ.
- გ. ჩიტაია, გ. ჯალაბაძე 1985 - უღლები და აპეურები. საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, თბ.
- თ. ჩხეიძე 1987 - ირანული წარმოშობის საკუთარი სახელები ქართულში. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის სერია, №4, თბ.
- მ. ძიბიშვილი 1960 - ფონეტიკური მოვლენები ძველ ქართულში, თბ.
- თ. ცაგარეიშვილი 1994 - ტერმინ „ეზოს“ გაგების საკითხისათვის. ძეგლის მეგობარი, №34, თბ.
- ნ. ცეცხლაძე 2004 - ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმიიდან. ბათ.

- ზ. ჭუმბურიძე 1992 - რა გქვია შენ? თბ.
- ბ. ჯალაბაძე 2008 - ქართული ხალხური რელიგიის გენდერული ასპექტები. კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XI, თბ.
- შ. ჯაფარიძე 1996 - ნ. მარის მოგზაურობა შავშეთსა და კლარჯეთში, თბ.
- Культурология XX век, Энциклопедия, т. I С-ПБ. 1998
- Н.Я. Марр 1911 - Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзтииского. С. дневником поездки в Шавшетию и Кларджетию, СПб.
- Т. Мамаладзе 1899 - Народные обычай и поверья Гуриицев б СМОМПК, ч.1.Тб.

თავი V. შავშური ფოლკლორი

- ახალი აღთქუმაჲ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი 1963 - ეპისტოლენი წმიდისა მოციქულისა პავლესნი თესალონიკელთა მიმართ II, 3. 10, თბ.
- ახპ - აჭარის ხალხური პოეზია 1969 ტ. I, თბ.
- გ. ბარდაველიძე 1953 - ქართული (სვანური) საწესო-გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ.
- რ. ბაქრაძე 2003 - მოლა ნასრედინი, - საქართველოს მიღმა, ბათ.
- ბატონიშვილი ვახუშტი 1973 - აღწერა სამეფოსა საქართველოსა, - „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ.
- მ. ბექაია 1974 - ძველი და ახალი საქორწილო ტრადიციები აჭარაში, ბათ.
- Г. Бидерманн 1996 - Энциклопедия символов, М.
- კ. გამსახურდია 1959 - „ტაბუ“, რჩეული თხზულებანი, ტ. II, თბ.
- გ. გოცირიძე 1987 - ქორწინება ფერეიდნელ ქართველებში, თბ.
- ე. დავითაძე 1993 - აჭარის სახალხო მეღვინეობა ანთოლოგია, თბ.
- რ. ერისთავი 1875 - ცნობანი ოსმალთს საქართველოზე, - გაზ. „დროება“, №№80, 81, თბ.
- ველია ჩელები 1971 - მოგზაურობის წიგნი. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ, ნაკვ. I, თბ.
- ელ. ვირსალაძე 1968 - ლირიკა, - ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ტ. II, თბ.
- ელ. ვირსალაძე 1978 - შესავალი, - ქართული ხალხური პოეზია, ტ. VI, თბ.
- ზ. თანდილავა 1974 - ლაზარობა და ქვაკაცები აჭარაში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, ტ. I, თბ.
- ზ. თანდილავა 1982 - ხალხური პოეტური ტრადიცია ჭვანის ხეობაში. ხალხური პოეტური ტრადიცია აჭარაში, ტ. VI, თბ.
- თეიმურაზ მეორე 1939 - სარკე თქმულთა. - თხზულებათა სრული კრებული, თბ.
- ფ. კოტეტიშვილი 1961 - ხალხური პოეზია, თბ.
- Н. Я. Марр 1911 - Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, СПб.
- ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი (ნბიფა) საქმეები №№: 14, 46, 65, 84, 91, 107, 134, 136, 150, 162, 166, 170, 171, 175, 182, 183, 185, 226, 245, 269.
- ჯ. ნოღაიდელი 1971 - ნარკვევები და ჩანაწერები, წ. I, ბათ.
- ჯ. ნოღაიდელი 1972 - ნარკვევები და ჩანაწერები, წ. II, ბათ.
- თ. ოქროშიძე 1960 - შელოცვა, - ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ტ. I, თბ.
- „საისტორიო მთაბზე“ 2000-2001 - №№73-74, თბ.
- თ. სახოკია 1898 - რეცენზია ს. მერკვილაძის „ხალხური ანდაზებისა და გამოცანების“ კრებულზე, - ჟ. „მთაბზე“, №8, განყ. II, თბ.
- თ. სახოკია 1950 - მოგზაურობანი, თბ.
- სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, 2006 - ტ. I, თბ.
- ქს. სიხარულიძე 1960 - საქორწილო პოეზია, - ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ტ. I, თბ.
- მ. ფაღავა 2008 - შავშური ჩანაწერები, - ჟ. „ლიტერატურული აჭარა“, №1, ბათ.
- მ. ფაღავა, მ. ცინცაძე 2007 - იმერხეული ტექსტები, - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხრეთ - დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული, ტ. V, ბათ.

- შ. ფუტკარაძე 1993 – ჩვენებურების ქართული, ბათ.
- თ. ფუტკარაძე 1991 – ჩვენებურთა სიმღერა (თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ფოლკლორის ნიმუშები). შეკრიბა და გამოსაცემად მოამზადა ოთარ ფუტკარაძემ. ბათ.
- თ. ფუტკარაძე 2009 – ქორწილი იმერხევში, ბათ.
- Дж. Фрезер 1931 – Золотая ветвь, I, М. – Л.
- ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, 1913 – ტ. II, ქუთ.
- ქართული ხალხური სიტყვიერება. ქრესტომათია, 1970, – შეადგინა, შესავალი წერილი, განმარტებითი ბარათები და შენიშვნები დაურთო ქსენია სისხარულიძემ, თბ.
- ქართ. ხალხ. პ. 1978 – ქართული ხალხური პოეზია, ტ. VI, თბ.
- ქართ. ხალხ. შეღ. 1994 – ქართული ხალხური შელოცვები – კრებული შეადგინა და შენიშვნები დაურთო თინა შიოშვილმა, ბათ.
- გ. ყაზბეგი 1995 – სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათ.
- თ. შიოშვილი 2004(1) – მამულის სიყვარული ქართულ ფოლკლორში, – ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო, წ. II, ბათ.
- თ. შიოშვილი 2004 – თამარ მეფის ციკლის საისტორიო ზეპირსიტყვიერების ზნეობრივი მრწამსი, – ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო, წ. II, ბათ.
- თ. შიოშვილი 2005 – იმერხეული ფოლკლორი, – გაზ. „აჭარა“, №206 (22 468), 2 ნომბერი, ბათ.
- თ. შიოშვილი 2005(1) – იმერხეული ფოლკლორი, – ჟ. „ჭოროხი“, №11, ბათ.
- თ. შიოშვილი 2009 – საცოლის დაკვლევა–შერჩევის ლექს–სიმღერები იმერხეულ ფოლკლორში, – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. XIII, ბათ.
- თ. შიოშვილი 2010 – სულთან სულეიმანი (სოლომონ ბრძენი) აჭარის ფოლკლორში, – ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში, ბათ.
- თ. შიოშვილი 2010(1) – შავშური პატრიოტული ლირიკა, – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, ტ. IX, ბათ.
- ა. ცანავა 1960 – სატირა და იუმორი ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში, თბ.
- წმინდა გრიგოლ ნოსელი 1988 – პასუხი ექუსთა მათ დღეთათ ს. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ედიშერ ჭელიძემ, – საღვთისმეტყველო კრებული, №3, თბ.
- რ. ხალვაში 2007 – იმერხეული ფოლკლორი (სოფელი ბაზგირეთი). – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო–კვლევითი ცენტრის კრებული, ტ. V, ბათ.

თავი VI. შავშური კილო

- ი. აბულაძე 1973 – ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ.
- შ. აფროლონიძე 2002 – ჩვენი ენა ქართული, თბ.
- გ. ახვლედიანი 1949 – ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ.
- მ. ბარამიძე 2010 – შავშური დიალექტის ლექსიკონი. XXX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ.
- ვახუშტი ბატონიშვილი 1973 – ქართლის ცხოვრება IV, თბ.
- თ. გამყრელიძე, გ.
- მაჭავარიანი 1965 – სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ.
- ი. გიგინეიშვილი,
- ვ. თოფურია,
- ივ. ქავთარაძე 1961 – ქართული დიალექტოლოგია, I, თბ.
- გ. გოგოლაშვილი 2010 – ქართული ზმნა, თბ.
- ნ. გურგენიძე 1973 – აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ერთეულები აჭარულსა და გურულში, თბ.

- რ. გუჯჯჯიანი 2007 – ერთი საერთო ქართველური ენობრივი კულტურული ტერმინის შესახებ „ქორი. ქართველური მემკვიდრეობა XI, ქუთ.
- დეველიოღლუ 1998 – Ferit Develioğlu Osmanlıca – Türkçe Ansiklopedik Luğat, 15, baskı, Ankara.
- ვ. თოფურია 1963 – ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები. ქესს, III, თბ.
- Kâmüsi 1989 – Kâmüsi Türki Şemseddin sâmi.
- ლ. კიკნაძე 1961 – უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი. თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, თბ.
- ლ. კობიაშვილი 1976 – არჩილიანის ფონეტიკურ-მოფოლოგიური თავისებურებანი. მაცნე/ე №1, თბ.
- თ. კუკულაძე 1990 – მაჭახლის ხეობის ტოპონიმია. ადღღ, VII, თბ.
- ლ. ლუგავა 1958 – ზემო იმერულის მასალები ერთი სოფლის მცხოვრებთა მეტყველების მიხედვით. იკე, IX-X, თბ.
- ლექსიკონი 2001 – თურქულ-ქართული ლექსიკონი Türkçe-Gürgüce Sözlük. Istanbul.
- ლექსიკონი 2005 – Türk Dil Kurumu Türkçe Sözlük, Ankara.
- ლექსიკონი 2005(1) - Türkçe Sözlük, Ankara 2005 10 baskı.
- ა. მანჯგალაძე 1953 - -ურ სუფიქსისათვის ძველ ქართულში. იკე, V, თბ.
- ა. მანჯგალაძე 1956 - ა ხმოვანზე დასრულებული ზოგი სახელის აგებულებისათვის ქართულში. სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში. თბ.
- Н.Я. Мара 1911 – Георгий Мерчул, Житие св. Григория хандзийского... с дневником поездки в Шавшетию и Кларджию. Кн. Тексты и разыскание по Армяно-грузиской филологии, VII, СПб.
- არ. მარტიროსოვი 1953 – ზმნისწინის შედგენილობა და ფუნქციები ძველ ქართულში. იკე, V, თბ.
- არ. მარტიროსოვი 1964 – ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ.
- არ. მარტიროსოვი 1972 – ქართული დიალექტოლოგიის ისტორიისათვის, თბ.
- არ. მარტიროსოვი 1984 - ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ.
- ვლ. მგელაძე 2010 – სახლი და კარ-მიდამო ზემო აჭარაში. ხ. ახვედიანის სახ. მუზეუმის მაცნე, 3, ბათ.
- დ. მელიქიშვილი 2001 – ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბ.
- შ. ნიჟარაძე 1971 – ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათ.
- შ. ნიჟარაძე 1957 – ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათ.
- ლ. ნოზაძე 1998 – ხმოვანმონაცვლე ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში. ქესს VII, თბ.
- ჯ. ნოღაიდელი 1936 – აჭარა დიალექტოლოგიურად, ბათ.
- გ. როგავა 1963 – მახვილის საკითხისათვის ქართულში. ქესს III, თბ.
- ზ. სარჯველაძე 1980 – ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიული დიალექტოლოგიისათვის (საკითხის დასმა). მრავალთავი VIII, თბ.
- ზ. სარჯველაძე 1984 – ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ.
- ზ. სარჯველაძე 1995 – ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ.
- სეგორთიანი 1955 – Э. В. Севортян, Фонетика Турецкого Литературного Языка. М.
- ს.ს. ორბელიანი 1949 – სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი. ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ.
- ბ. სურმაგა 1989 – ზმნის პირთა რიცხვის აღნიშვნის ისტორიიდან (XVI-XVIII სს ქართული საბუთების მიხედვით). იკე XXVIII, თბ.
- მ. სუხიშვილი 1986 – სუბიექტური პირველი პირის პრეფიქსისათვის ქართველურ ენებში. იკე, XXV, თბ.
– ეს იხლამურია, ჩაის ვაკეთებთ. ანჯახ მოგვრიფე. გავახმო'ნა, ზამთარში ჩაი'ნა გავაკეთო; მოცვი ვიცით, ჰამა იმიდან ჩაი არ კეთდება.

– მე ართვინიდან დოდოფალი მჭეული აქა. ოთხი თანე მყავს ღარჭები – ორი ბიჭი, ორი ბაჭალა. დედ-მამა იქ მყავს.

– ვერ იპოვ იმას. საცხა იქნება, იქითა სახლებში იქნება.

– ამეზღამ აქა ხართ? აქ იყავთ, ჩვენთან იყავთ, ქალები ჩვენთან იყავთ; ჩვენთან კაცი არ არი სახში, ქალებ დაგაყენებთ, ჩვენთან დადექით; ვის ძებნით? იმან ბითვეი იცის. აქ ბითვეი ქართულია. შავშეთ ხართ ოთელში? ბევრი ფარები გაქვთ?

* * *

– თვალეში დიმიბნელდა, ხანდახან ემეს მიჯება იშტე. შენ რაში საქმობ? მე ვაკითხებ წყრილებს; მეკითხებია, ვაკითხებდი კიდევ სამსუნშიგან. ოცდაათი წელწადი ვისაქმე, ახლა ემექელი ვარ. ზაფხულში მჭალ, ზამთარში წავალ; იქ სახლი მაქ. ბადეები იქ მყავს, სამი თანე იქვენა არიან, ორი თანე აკითხებს; ცხრა თანე ბადიში მყავს; ოთხი თანე გათხოვილი მყავს, ორი თანე აქვეერი არიან, იქ ზიან. ორი აქ არიან; ბიჭი, სიძე, იქვერია. ბაჭლები არ მედწონებენ კაცებ, ისე არიან. ჩვენთან „ჰემ გოგოს ეტყვიან, ჰემ ბაჭალას“.

– ჩვენსამა თუ იციან ქართული?

– ჩემსამ ქართული არ იციან. ჩვენი ლაპარაკი თქვენსას არ ედგმის.

– იმათი ემენა ვქნა, იმათი წყალიც’ნა ვადინოთ იქ, წყაროდან, ერთმანეთ მივაკრათ.

* * *

– სამი ბიჭი მყავს, ორი გოგო. ერთი ბიჭი დავაქორწილო’და. გურჯისტან არი, აქავრი ქალი მოყავს. იმის დუგუნი მექნება.

– აქედან წავა სამი-ოთხი მანქანა, წავალთ. იმ სადამოს საჭმელ მოგვართმენ ბოლათ. იმ სადამოს გოგოს სახში პური’ნა მოგვართვან. დოდოფალ მოვთხოვთ, შაგვიკაზმენ, ვალას გადააბურვენ, დადე შამეფყვანს, მისი ძმის ქალი, დადე შამეფყვანს; ჩვენ იმას საჩუქრებს მივცემთ, პირზე აუხდით; იმის მემრე ფულს მივცემთ და ალთუნს; ბევრი ხალხი მეფყრებიან, ისამებენ-იცეკვებენ, იშელიგებენ. მემრე ინას მოლესვენ (ჩვენ წვეილებთ ბიჭის თერეფიდან), დოდოფალ ხელზე წუუსვამენ, იმასაც ერთ საჩუქარ მივცემთ.

– ზოგი იმ ღამეს დეიფანტვიან, დაწვებიან; გათენდება, დილაზე დოდოფალ გამეყვანთ გარეთ, შევკაზმავთ, ურუბას ჩავაცვამთ, გავაკეთებთ. სკივრზე დოდოფალ დააუდუნებენ, საჩუქარ, ფარას აგვართმენ, სკივრ არ მოგვცემენ, უფაროთ არ გვაძლევენ. დოდოფლის რაც-ხაებია სკივრში. ადგება დოდოფალი, იმ სკივრ მოგვცემენ, ჩვენ ავსწევთ, გამევიტანთ კარში, მანქანაში დავდებთ. დოდოფალ გამეყვანთ გარეთ; ჩვენი ბიჭი გამოდებს კლავში, ასე გამეფყვანს, მანქანაზე დააუდუნებენ.

საუბრობდნენ: **იასემინა დუზგუნი (26 წლის)**

ჰაჯერ ალთუნი (80 წლის)

აჰმედ ალთუნი (64 წლის)

ნაზია ხანუმი (64 წლის).

ხევწრჭლი

– ილმაზი ავათ არი? ჰე, ჰე, ავათ არი!

– ად კუტიბალია (პანტა ბალს უწოდა ასე – ჩამწ.). იქ ზადლის საფინავია. პური გადა-ვარდა და ზადლი გადაყვა, იმიტომ ქვია ასე.

– ბათუმი ჰითკენაა ახლა? ბათუმი გურჯისტანია! ალლა რაზი ოლსუნ, გორბაშოვ მადლობა.

– ყუმარი იცოდენ აქა. ყილიჯ ითამაშებდენ, ზარებით. მეიგებდა: დუბეში, დუშეში, დუსე, შეშბეში; წააგებდა: მაგანი, დუბარა, დორთჩარი, დუ-აქი.

– შეჰერში წადიან გენჯები. აქა ფუში არ უძლება კაცსა. ჩვენში ფუხრობა მეტია.

– ერთი მილიარიც რომ მეიგო, ანჯახ იქნები. ფინთი მეგ არის. უწინ აქ დავთესვედით ბუღდას, ქერს, სიმინდს... სიმინდი ალთუნად არის, სხვაც... კოტრებ გეძკეთებს, ქუწუნ მე-ბამს... სიმინდ დაფშნი, კუტუტაე დარჩება, დავწვავთ.

– რაჰათათ იყავ.

ზიოსში ბეჭირად დიდი კაცია.

– ზველი სოფელი დელეში ყოფილა. ჰარი დაკარქულა, გოლის ნაპირში უპოვიათ. მემრე აქა დასახლებულან,- უზონია, უზონია და დაწოლილა.

– ზველ ქითაბებ არ შეინახდენ. გაავრის ქვაალ, რომ თქვან, არ შეინახვენ. ქითაბსაც არ შეინახვენ ჩვენი ხალხი.

* * *

– ჰადდე, ძროხა წეფყანე, ხის ქვეშ ჩააგდე.

– ქალები არიან? პური ჭამე.

– რამდენი წლის ვარ? რა ვიცი. ჩვენ დროში მექთები არ იყო.

– რას ვაკეთებთ? ფასტა დაფარუნ. შექერი, დადი, ცომში ურევენ, თასიაზე ჩაასხმენ, სობაში შევლებთ.

– ქალები იგზე დამსხდარი არიან, გარეთ არიან, თუთს აქანებენ, არხევენ. თეთრი თუთაა. თუთი ჭამე. ბალიც არის იქა.

– ამას მოჩოშტად (მოჩოჩთად ?!) ქვია, ყაბალი.

– შვილების სახელები?–მეჰმედად, ყედირადა. ორი თანე თორუნია–ისმედადა, ოსოდა. ერთ თანეს არ ყავს შვილი. ერთი ბიჭი დავასახლე, ორ წელწადში მუუკდა ქალი, შვიდი, ვრა წელიწადია. ერთი გელინი მყავს;

– ჯესურად, მაზლის ღარჭი, რუსიაშია დასახლებული, იქ იკითხა, წელიწადში ერთი მოდის.

ერთი ჩვეალ, ძროხა ავაძრო, ახორშია.

– აგზე ჩეფყანე, ხის ქვეშ ჩააგდე, გზაში დადექ, აქ არ წამევიდეს. ამა ჯერ ფუნო არ უქნია და თაზე არ წეფყანეთ.

ძროხის სახელები ჩამოგითვალო? ფუტად, აინადა, გუხელადა, ჯილველადა, ფაქოდა, სონგულადა, ფირინჯადა, სეილანადა, ნიკორადა, ლიმონადა, ჩინარადა... ჰადა დედილიენენ (სახელების ჩამოთვლა დასრულდაო–ჩამწ...).

ხარსაც თვარად ქვია, ერთ–ბოზოდა. ორი ხარი გყავს.

* * *

– ესენი აგზე დასხდნენ, სამა ისეირეთ, ემეში გამოწიეთ, იქ დეინახეთ, წადით დუგუნში. მე რა'ნა ვაწავლო ამათ?! იქვერულად ლაპარაკი სხვანაირია.

– სიმინდი სიხია, თხელი'ნა იყვეს-ჰო? კოტორი მისცემს მალე. ჩვენი ღარჭებიც ამოიდნენ, იმან ჭალა დათიბა. მე წევიდე, ყანა მოვრონიო. ისა არ მოსულა? ჰადაა, რა თქვა, რა იჯებო?

არ მიველი, სათიბი დამჩაო.

ორი ძროხა შენ დოდოფლებმა არ მოგიწველონ, სხვამ-და მოგიწველოს?

ასიედ რავარი ქალი იყო: წევიდოდა, ჩამოვდოდა. ერ წელწად მოიდა, რატონ არ მოხველო.

– მეც'ნა წამევიდე, ქომო გამევარე, ისაც წამევიდა. ვინ არი გენჯი ახლა, ასიედ რომ არაა? ვინ მოძებნეს? იმდენი ძაღლები ყავს, გრიალებენ.

– რა იჯებოდა, შეხველ-თუ?

– შევედ, დეიწყო ტირილი.

* * *

– თუთა მიგიტანე, ჭამე და მერე წერე.

– არ მედაღვის, ძალიანია (=ძალა აქვს–ჩამწ.); ასე გვიან რაზე აქანებენ (თუთის ხეზე ამბობს–ჩამწ.); დარჩა ჩემი ჭალები, ახლა ხებერი მომცეს, ვერ'ნა მოვთიბოთო.

– მალენა ეთქვეს'ნა. ცოდვა არი, არ მითხრეს მალე, როდი'ნა მოიდეს!

– ჭალა არა მაქ, არ ვთიბავ.

– რაზე არა გაქ?

* * *

- ათორბე, არ გადმეფაროს.
- ქალები რა იჯებიან?
- ერთი კითხე, ვინ ენდომება სოფელში. ტურუშად თიბავს, რაზე არ ვთიბავთ?
- მე არ ვიცი, გადმიესას თიბავს მუდუროდ. ჭალებში თიბვენ, ოსმანას უთხარ, მოთიბოს; აღმა საწიკი არ აქ, დაღმა საწიკი არ აქ.

* * *

- ინსანი ხანდახან ვერ დაკვირდები: შავშეთიდან მოვდივარ, მივე ფარა, მე'ნა მივცე იქი მილიონი. ჰო, ინსანი ვერ დაკვირდები, იმან'ნა მომცეს ოცი მილიონი. მე მგონია, ოცი მილიონი მომცა, მეგერ ოთუზი მომცა. ბევრ მაძლევე-მეთქი, ბევრ მაძლევე შენ-მეთქი თექრენ უკან მივე. ემერთმეგნია თელი, მე ქარში ვიყავ, ალლა ეთმასინ, მე არავისი ჰარამი არ მინდა, ურაშდა, ურაშდა, ძარები შუქურ, ამა არვისაც არ შივაჭმევე, ის აღეთიც მაქ. ჩემი დევნახევი, უსტანა გიდარი. ამა სხვისას არ წევვეკარები.
- შენც ემე ხარ-და, შენ'და ხოჯა მისინ?

* * *

- ედკიდი, მე ვიქმოდე, მივცემ ფარას, მოვათიბიებ, შევდგამ, მასკვან გავყიდავ, ბირბუზულ აწევ. ბირბუზულზე ქომოთ თუ თივა იყო, მომიგონეთ, ევენ, ბირ მილიონ აყიდეს(?) შარშანწინ, წრეველ ბირბუზულზე ეტანებენ.
- წრეველ ზამთარში ძვირათ იქნება.
- წრეველ ბირბუზულზე ეტანებენ, უყურე აბა!
- ბაზგირეთსა ჩომა აღარ ყოფილა.
- ვინ თქვა?
- ერთი კამიონი არაბად ჩამევიდა იქედამ ჩომათი.
- გო, იმდენი ჩომა ყავან ქი ბაზგირეთსა და ზიოს, ბევრი ჩომა ყავან.
- იმ ქაღმა თქვა, ქი ენ ფუხარას ათი თანე ყავს ბაზგირეთსო.
- ჰო, ჩვენთან შვიდი ძროხა ყავან, შვიდი ხბო არი;
- მაშალა სუფხანელა.
- ჰო, ერთიც ჩემი არი,-ერა.
- ბაზგირეთსა ჩომა ბევრი არიან. იმან ილაპარაკა, ჩომა სავსე არიანო. ერთ შვიდი მოზვი შეგემატოს, ერთ წელწადზე შვიდი მოზვი, შვიდი სული გაყიდო, ახორ დეეტყვება?
- ჩვენ ერთ წელიწად შვიდი სული გავეყიდეთ და სამი, ორი ძროხა დაგვჩენია.
- შვიდი სული ყავან, ეტყვი-„ხუთი, ხუთი“.
- ჩვენ რვა ხბო გყავს, წრეველ ცხრა ხბო გყავს; გეიზდენ იშტე; ცხრა ხბოს გაკვება უნდა!
- ზოგი ძროხები'ნა დავეიდო. ვერ უარ, ვერა.

* * *

- რას წერავ? ჩემზე რამდენით პაწად ხარ? სიმდერის ვახტი მაქ? დიმიდინგლე! იქ გაგხედე გუშინ, იქ მული მყავს-მეთქი და მიტირია და ხებერიც არ მაქ.
- ჩვენც ერთი თუთა დაგვჩა.
- ერთი დაგვჩენ?
- ყორეზე.
- ყორეზე? დიდი თუთა დაშჩენ.
- ვერ ევლა?
- აა! ვერ ევლა და იმიტონ?
- არა, არა, აქანებენ, ადის, ადის.
- ჩვენსას იმდენი არ ასხია, მაშალა!
- წინა სირ ორი თეშტი მოვადუდე.
- რამდენი თანეა თუთა?
- ოთხი.

– წრეველ ბევრი არ ასხია თუთას. ერთ კიდენ მოვადულო-მეთქი და, ერთი ჰაჯერას ჩუუსხი ახლა-და მე ქი უმიანათან ვარ. ხანდახან გავალ ჰაჯერასთან-და.

- მუსად რა იჯება, მუსად?!
- მუსად ემლაქჩია, ებლაყუნება, არი.
- არ შევიდა საქმეში?
- არ შედის, ა?
- არ საქმობს?
- ემლაქჩია-და, საქმობს.
- კადა, კადა, ისაქმოს'და.
- რაი აქვან? ტიტველაჲ ნუ იქნები-და.

* * *

– ბაზგირეთ ააწიეთ? დადექით აქა, დაგაყენებთ.

– ვერ ვიცანი, იგზე თაქსში იჟდა. არაბაში ვიჯექ, გამჭულ, ვუთხარ, გენმიშ-ოლსუნ-მეთქი. აინი ჩემსავეთ გამხდარა, აღარც თმა აქ, არაფერი აღარ აქ, გააყრევია ილაჯმა. მეც ისე ვიყავ, წარბები ბილაჲ არ მქონდა, ბითავე გაყვარე.

– მაშალა, კადა გახდი.

– ჰო, ილაჯებით. შარშან თველზე ქი ჩაველი, შარშანწინ არა; შარშან თველზე ჩაველი, შეველი დოხტორთან, შეველი მითხრა ქი, მაშალა, მაშალა! ადამ ოღმიშდი. ჰო, ახლა'ნა ჩეველ'ნა, მივედ. კიდე კონტროლი მაქ და ემე აღარ იგვილია, ანი! რანდევი აღარ იგვილია და ჩავალ მაშინ. შარშან რანდევი გვექონდა. რანდევი რა არი? ყადი გახდები ქი, ამჟალ დღე'და მოიდგო.

– კონტროლი მქონდა, ერ თვის მემრე'ნა ჩავსულიყავ. იქიდან მიველ, იქ მიველით და კადა ხარო.

– ჩაფარ რას იქს, იცი? ჩაფარ, კდარი შეხვალ, ცოცხალი გამოხვალ, ისე არი-და?! მე რომ რამდენი ვიარე? უუჲ, ისტამბულ, ჰამანქი დუხელი ხასტანიშ ვიარე და ელლი დარჩებოდა. აწვიმდეს'ნა და აქ'ნა დავრჩე მე.

– დაგაყენებ!

– არა, არა, აჩუღია.

– მგონი, არ დამაყენო.

– ძროხა გყავს-ჰო?

– არა მყავს ძროხაჲ, ბაზგირეთ გავგზანე. ისაც'ნა გავყიდო.

– იმდენი ბალახებია, ჰამა, ცხელა და არ ძოვენ.

– ბალახი არი, ჰამა არ ძოვენ.

– არ ძოვს ჩემიც, ჭალაში შიაგდებ.

– ამეზდამ არ გაწვიმდებოდეს, წახვალ. წუხელი გაწვიმდა, თუთები დამიქანა, გაყარა. სა იყავით მაშინ, ბაზგირეთ მიდიოდით?

– შავშეთში ხართ ახლა?

– ოთელი დაჭირული ექნებიან.

* * *

– ცალკე-ნა დააუდუმლო დოდოფალი.

– კადა ისეა.

– თელგან ისეა, თელგან. დედამთილები არ უყვარან, ამა თავეთაც'ნა გახდნენ დედამთილი, ხებერი არ აქვან.

– შენ დედოფალ ეყვარები.

– აა?

– შენ ეყვარები.

– რაზე? მე ბელქი არ უყვარვარ, რა იცი?

– არა, არა, ჰაჯერად კარგია.

– შენიც კარგია, მეც ისე მეჩვენება.

– გუუზლო'ნა და.

– გუუზლო'ნა და. ახლა მოიდა. ჩვენსა არ ამოსულა ჰინ. ჩუუბარგე ლამაზათ, გავეზანე, ავათ იყო, მე ჩუმი არ გიმილია. ჰამა იყვეს ანად, ისაც ანადა-და; მუსას თელეფონი გუუსხენ-და მებნევა ქი:

– ანა, ჰაჯერად ჰად არიო?

– ქომოთ არი-მეთქი. სადამო იყო.

– იქ რატომ არიო?

– იქ დგას-მეთქი!

– შენთან არ ამოდისო?

– მე გავეზანე-მეთქი, ვუთხარ.

ისტა ძალი იყოს, ისტა დედამთილი, საბრი ყაბი ედესობა, გადმოდინდება. ისე არ არი, აბა! ჰო, კაცი, შვილი უნდა იყოს, კაცი მაგარი. ჰო, ზათი მუსათან ვერაფერ ვერ ღამახსენებს, შენი ანად ასეო ვერ იტყვის.

– აფერუმ! ღმერთმა ყველა ყაზიდან გადაარჩინოს.

– ისე ვერაფერ ვერ შეჩივლებს, შენი ანად ასე, ისეო-ვერ ეტყვის იმა, ოდღე ბიშე.

– კარგია იშტე. ღმერთმა მომცეს, ერთს კიდე ყავს.

დღე ვარ, ხვალ არ ვარ, თავეთვინ კარგი იყვნენ-და. დარები შუქურ, ჰერქეშა ვერდი. დღე ვარ, ხვალ არ ვარ.

* * *

– მიველით, იქიდან, გარიდან იშტე, იმან გამოთხარა, გამამიყვანა წყალი.

– არ მიგიდინებენ წყალ?

– შარშან ხოშ არ ჩიმიხმა ყანა?

– არ გამააშეგებინე? არა, ისე, სასმელი წყალი!

– სასმელი წყალი ყანას მადენს?

– დელის წყალი გყავან?

– ჰო. დელის წყალი ჰაჯერამა მივდა და გამოთხარა.

– შორ არი ტრაბზონზე ბათუმი?

* * *

– ყანაში მოდიან-და, ემეები, ღორები.

– თქვენ ჭამთ ღორი ხორცი? არა მგონია, თუ მუსლიმანი ხარ.

– ხოშ თელი მუსლიმნები არ ღოცულობენ?

– ემე იყო და ჩვენი ჯაფერად იქაა და, ბათუმ არი და გამეშეთური ის ემეა და. იმის ბაბოდ იქ წევდა; აქ იყო, მის მემრე გედზდა, რა იქნა, ის მეც არ ვიცი-და. ბელქი-და, რაცხა არ გეწყინოს შენ-და. თიფლიზო, ისე არიო, ჰანი, შენი კაცი-ჩემი კაცი, ჩემი ქალი-შენი ქალი, არ იციანო, ისე გაგონილი მაქ და. იმ ჯაფერას ვკითხე მე, ბათუმურია ისა, ჯაფერად. გამეშეთიდან წასული არიან. ედდა მითხრა, ქი, ჩვენო, ბათუმ მუსლიმანი ხალხი არიან, ისე არაო იქო, თიფლის ახლაგან ალაგ-ალაგო.

* * *

– ზედთაც დაკარგე? ეს არის-და. ეს ის ემე, რაცხა ჭკვაში არა ხარ, გადაქკრავ ამ გარგან! დუუყარე, იგზე არ დადევ?

– დავდევ, არ აღებს.

– აბა, რომელი დაკარგე სხვა?

– იშტე ისა.

– ორი იყო ზათი.

– ჰო, ორი იყო.

– ერთი დაკარგე. სახში დაჯექ, არ წახვიდე!

– ერთათ მობმული იყო კლიტეები?

– არ იყო. ერთ ზამთარში დავეკარგეთ-და.
იქეთ კლიტები, აქეთ კლიტები, ვერ ვიპუეთ ვერსად. მე რომ წაველ, დედემ შავშეთ მივლოდა.

ვეიდა შავშეთ და გააკეთებია. ახლა ჯელ არ მიყოფს კლიტეს.

* * *

- მუსაფირ დაჩოვლი ვარ.
- იდულებს, იდულებს, იქნება ბექმეზი.
- რა ქენით? დააყარეთ? ბექმეზი დუდღება. ზათი შექერლია, რათ უნდა; მედხარშვის, გადავასხამ, გედწურვის, დერგში ჩავასხამთ ან ზეთუნის ბიდონებში.
- ჩემი გოგო თაშია, იმის კაცი ტრაბზონშია.
- თივა ჭალიდან მოგვაქ, ქვეშედან, არ არი შორ.
- საქმე დაგლევიან, დამსხდარხართ.
- დედალა და რას ამბობს, აღარ იცის, სახლი ზემოთ აქ.
- ჩემი ღარჭი შავშეთაა, ქომო მაჰალეში, ექუმბეის სიძეა.
- ესა კვარია, კვარი. არ'ნა დავუდე.
- ახლა კრავი'ნა ქნას, იმან'ნა დაკლას.
- რომელმა ქნა?
- ბაზგირეთელმა მუსაფერამ.
- დოდოფალ ქი მუშედერებენ, ეს არ ვიცი.
- დუა დაწერე, წყევლა რა'ნა ქნა?!
- წყევლა ვიცი, წერე ჰანი:
- ღმერთმა არ გაგახაროს, შავ და უკუდმა წადი!
- ღმერთმა აქვერი ღურბელი არ დაგანახვოს!
- რა ბელა იყავ ჩვენ თავზე!
- გამოგიტყდეს ე კვალი!
- ღმერთმა კად დღე არ დაგანახვოს!
- მოხველი, კად დღე არ დაგანახვეო.
- კიწი ამოგივარდა!
- ხედავ, რავად ლაპარაკი ვიცი?
- დალოცვაც ვიცი:
- ღმერთმა თეთრი ძაზმით დაგაბეროს!
- ღმერთმა ერთ ბალიშზე დაგაბერონ;
- გაკეთდი, ინშალა, კარგობა მოგცეს!
- შენ დღეში სიმწარე არ დედნახე!
- ღმერთმა გიგიქაროს, რაცხა დერდი გაქო.
- გათავდა დუა. კარგობით.

* * *

- მე იქიდან წამოსული ვარ. ტირიან, ავზე ვიარებენ. იქ'ნა ჩვეიდე, ჯერ არ მეჩქარება.
- გამთბარა წყალი, ბელქი გაწვიმდეს, ამევტანოთ ბარე. გაგდებსაც არ ღირს.
- გვევლით, თივა ვზიდეთ. იმისთინ არ მითიბნებია. ვერ შეუძლია, დაბერდა.
- ჯერ რა იქნა, ჰელე. მეც ისე ვებნევი, ჩვენ'ნა მოგვართვა'ნა. ზრუგმა დაგვაბერა.
- ედკიდავ, გაწორდები.
- ახლანდელეებმა რომ მოდიან აქა, ისვენ წადიან; წადიან რძალ-შვილი. რძალი წავა, იქ იუღება, ჩვენ აქ ვსაქმობთ.
- შენ ქყავს ძალი?
- ჭამე თუთა.
- დუუდგი, არ ჭამს.
- ბალი მიყვარს, თუთა – არა.
- ჩემიც დევექანებია, ვინ'და დააქანოს?

- შენი სახელი რა არი?
- იგზე გვისხია, სეტყვამა გაყარა, აქ მუშტიოდენი იყო. რავად სეტყვა იყო!
- ჭამე, ქვებშიც ჩაყარე.
- გევიდნენ, კაცები არ არიან, ერთმანებ ეგვაჯებიან. ჯერ არ მოგლიჯო, არ მოსულა.
- ერთი წელი აღარ მაქ. ჩომამა დაჭრა.
- ქვები დუუწყე.
- უწყე და იყავ.
- ორი გორგალი ევლე ხვითანი, ერთი სხალი მოვკმიჩე. დათვი ასულა ბახჩაში, აგზე მოდის. აქიდან გადმოვდა. წუხელი, ახშალამაზიხან გადადგომია დათვი ზემოდან, ტყიდან; პროხას წვეყუან, მეშინია.
- ეს არი ჩემი სახლი, აბათუბანი; ე ჩემი ნენედა; ე ფენა ლამაზი იყო.
- აღმანიაში რომ წადიან, იწავლიან ენასაც, შენ რატონ არ იწავლე?
- ანჯახ გავთბი.
- ჩემ ბაჯალას ქვია მერიემი.
- ამას პროხას მივართმე.

* * *

- შორ არიან და იქიდან არ მოდიან. სამი ბაჯალა მყავს, ერთი ბიჭი და იქიდან არ მოდიან.
- ჩემი აქ არი, არსად აღარ მიდის.
- ჩვენ სოფელი **თუქშები** ქვია. ზიოსიდან ქი ჩამეიარეთ, იქ მობრუნდები, იქვე მაჰალეა. იგზე ზიოსიდან ჩამეარეთ-და.
- (პაწად, თუქშები არ არიან კად ხალხიო – ნუგზარ ცეცხლაძე)
- რაზე? შენც გეძგეკ? საიდან გეიგენ-მეთქი? რაზე მიხდი-და, თუქშები კად არ არიანო?
- არ გამეგვილო ჩვენ! იმიტონ, ამათ ძიობენ, იქ ნამეჰრამებში'ნა არუნიონ.
- რატომ არ არიან ჰელე თუქშები კად?
- (ტყვილი იციანო, დაღალატება იციანო – ნუგზარ ცეცხლაძე)
- ჰო, არაფერი არ იციან ტყვილი და ჰერსიანი არიან თუქშები. ხალხი ვინ არიან ეს კიდე იქა?
- რატონ არ მუუქციე, მიგექცია. მე ხომ თუქშები არ ვარ, მე ბადგირული ვარ.
- (გამეშეთიდან ხომ არ ხარ? – ნუგზარ ცეცხლაძე)
- არა, ქომო მაჰალედან, ჰამან მიხვალ თუ არა, იგზედან.
- იმა ლაზებ უძახით და. ლაზების ჭკვა შეადღემდე ისაქმებს, შეადღე-უკან – არაო. ლაზები აქ არ არიან. მეგრელი ჩვენ ვართ, იშტე. მეგრელებს გვიძახიან. მეგრელი ინადი გაქო-იტყვიან. მეგრელი და ლაზი ერთი არ არიან, ჰამა ასე იტყვიან.
- (რატომ უძახიან მეგრელებს? – მამია ფაღავა)
- რა ვიცი, არ ვიციო ქი.
- (ძველი გვარები გახსოვს? – მამია ფაღავა)
- არ მახსოვს ძველები, არ მახსოვს. ბაბოსი-ალქანი, მე თამრივერდი ვარ. მე აქედან იქა ვარ გათხოვლი. მამის სახში ვარ.
- შენი ღარჭი აქ'და დავასახლოთ, მაროს, საცხა ქი ლამაზს იპოვს, ის ითხოვს. აგრეა, ჭო? შენ ლამაზი თვალეები გახსია-და. ამ ნენეს ყავს ერთი ბაჯალა.
- ახლანდელებს შენ ვერ მაატყვილეფ.
- კად უქნია: იქვერი აქ არ მოვლენ, აქვერი იქ არ წავლენ.
- ნენეჯან, გატყვილებენ.
- ნამეტრად გეყვარება, იმას „ჯან“ ვეტყვით.
- ახლა რომელ თერეფში'ნა წახვიდეთ?
- ე ბუზები ფენა უკბენენ დაბანჯ.
- ღარჭი ქი წამედყანე, ქალი რაზე არ წამედყანე? ბაჯალაც წამედყვანა!
- მაშინ ორი არაბა უნდოდენ.

* * *

– ხალაჲ ანადს დაა. ბიბოდ-ბაბოდს და. ჩვენ ბიბოს ვუძახდით, ახლა ხალას უძახიან. ესკიდან ისე იყო. თედზე ახლა ანადს დას ებნევიან. ქართულად არ ვიცი.

– წვიმა ქი არ იქნება, მაშინ ვიმღერებთ ჩვენ:

„შეგვეწვინა მზე და თვარე,
ღმერთო, მოგვე წვიმა-წყალი“.

– ართვინში, ორქოში, ზემოთ ვცოცხლობთ.

ჩემი ღარჭი პოლიცევში საქმოფს, დიდი ბიჭი. პატარამაც წრეველ მაარჩინა ლიცე. ახლა უნივერსიტე'ნა იკითხოს, ბახალუმ, მედვო! ეს არ წამევიდა ართვინ. არხატაშები ყავს აქ. ეს დონჯაა, დათესავ, მოთიბავ, გაახმობ, ქორში შედებ.

– თქვენში ჰასტნები არის? ასე ავად გახდები, დოსტრები არიან? თქვენებურები არიან?

– ჩემ მეზობელმა იკითხა იქავრი და ვერ გახდა დოსტორი, ბათუმში იკითხა და აქ ვერ მუუგია. იმათ თურქუში უნდა; იქ რომ იკითხა, აქ ვერ მუუგია; შედის, ცარიელად გამოდის.

– ჩემი დედედ ბათუმ გადასულა, ფენა აღგილიაო, იტყოდა.

„ბათუმ იქეთ კახაბერი,

ჩემ ბაბოდან რა ხებერი?“

– აღრიბასანი აქაც იყო, ღამეში დაგაწვება, მახსოვს, დედედ იტყოდა. ამ ღარჭის იმღენეთი ვიყავ, ბევრიც არ მახსოვს.

– კაცი არ მყავს, გედცინებენ მეზობლები, რატომ მღერობსო. ჩემი კაცი ავით იყო, ორი წელიწადი გახდა, მოკდა.

– რე იქნა მანქანა?

– ჩემი ბაჯალადა, ჩემი დირელია, არ გაგატანო.

– რას დეიარებით, რა ამბავია? აფერუმ, მე იქა ვარ, ჩემი ერთი ფეხი იქ არი, ჩემი ბაღანა იქ დოსტრობას იჯება.

– მანქანა სად გაქვან, ანი? გული არ გეგისკდეს გზაზე!

– ყანაში მოდიან ღორები; გარეველი ღორებია. ჩვენ არ ვჭამთ.

თქვენი ღორები თეთრია;

– ნეგო გიპონია.

საუბრობდნენ: ხანასლი ყაია (ასაკი არ ახსოვს)

ჰაილე შაჰინი

გულდიხან ბელ–67 წლის.

* * *

– მევიდალე, ქორში ვიყავ, თივა შევეყარე, ზამთარში ძროხას მივართმევ. ბევრი ჭალა მაქ, ყანა მაქ.

– ჰიღამ დევწავლე? თქვენი სიმღერები რაგორი არიან? თქვენი სიმღერები რასოდა? ხევ-წურული ანად მყავს, ძმა ერთი თანე.

რამდენი წლის ვარ? ყირხ ბეშ.

მეყოფა, აღარ ვიცი, მამღეროს'ნა. ჩართავ და მე აღარ ვიცი. დაგაწერიეფ.

არაფერი არ მაქ, გამოყრილია, ბზემ დამწვა.

– თქვენთან'ნა გევეთხვო.

– აგინე, აგინე, რაზე არ გეეთხვეო.

– აჰა, თქვენი სიმღერა მითხარ, ჩემი სიმღერები იმღერე. სათლელიდან მოვდივართ, დამვიწყდა.

– არ გამომწიო, ბაყლიანი ვარ, მოგკლავ. ააშე, იცან?

უ, ჩვენი გამზე. მე ეს ქალი ვერ ვიცან (ჩვენ მიერ ჩატანილ წინა ექსპედიციის დროს გადაღებულ სურათებზე ამბობს – ჩამწ.).

– გოზლულები არ მაქ.

– თაზე მივალ.

- დაბლაყუნობ, გიყურებ; ვეღარ მოხვალ ჭკვაში.
- გამამტყუნებენ, სირცხვილია.
- ჩემი შვილი აღმანიაშია. ა, იმ ქალმა ბევრი იცის. ე ჩემი დედა.
- შენც რა კად მიპუე მე. შენი არხატაშია? დაჯე, სა იყო? არ იყო აგზე.
- არ ვიმღერებ, ეყოფა, დაგაწერიე, ეყოფა.
- ესენი შავშეთში ყოფილან, ხოშ ბათუმიდან არ მოდიან?
- მე არ გამომწიო. გამომწიე და წედე ბაყლიანი თავი რასოდ იყო? ჩვენი დედაბერი გამოწიეთ.

ორი ღარჭი მყავს. გამოწიე, ჩემი ბაღნები, ორი ბაჭალა ჩემი არიან.
(მანქანაში)

- ვერ დევჭირე მარხულობა. თელი ევროპა ჭამს, მე რაზე არ ვჭამო (ღორის ხორცზე ამბობს - ჩამწ.). დავაქუხე, მოკვალ (გარეულ ღორზე ამბობს - ჩამწ.). ვერ ვილოცავ).

- ამაში ფულ გაძღვევენ? (ჩვენ გვეკითხება - ჩამწ.). ჩვენი ნახვარი ქართული ენაა. მანქანა გზა არ არი.

შევერებით კიდე.

საუბრობდნენ: ნიგარ ორალი, 45 წლის.

ჯემალ ჩელიქი, 52 წლის.

ზაკიეთი

* * *

- ამასიაში მოსულან მეგერ სამი ეშხია, და ზენგინს უთქვია კი ქალი-ზალი ბაჭალა მოგვიყვანე. სამ კაც წუუსხამ კი. ჩვენებურ კაც უთქვამს, რაზე მიეცი ქალიო? რა მექნაო. წაასხა მეგერ ძალით სამი შვილი, ერთიც თავით - ოთხი. შეჯდენ ცხენებზე, მიყავს. წამოწვიან. ჩამოდთ ძირშიო, ჩამოაგდეს. ქალები მიყავან, ჩუუჯდუნებიან კალთაში. ქალები გუუშითო, ცხენები ქალებ მიეციოთ. მუუცემიან. გეძხადეთო, რაცხა გაცვიან. გუუტიტლებიან. გუუშვეს. ქალები წამაასხეს. ის ვინცხა იყო, ბერი, კარქა უცემიან, იმისი შვილიც უცემიან, რომ დედა წეყვანეს, და წეყვანეს, ქალი წეყვანეს, თქვენ ჩუმი არ გეძდეთო. მოტრიალებულან უკან. ბევრი ისე წასული არიან თოქათ...

- მე მინას ვაკეთეფ ქარხანაში.

- ხანუმი აქ არი და... აგზე გედედარა, მაჰალეა კილო, მიქაძე...

- რამდენი წლისა? სამოცი და ათი?

- ოთხი თანე ბაჭალა, გათხოვილი არიან. თელი ემეში სხედან, ისტამბულ.

- არ ვარ გაწუხული.

- დიხვინა (დიღხუინა? ბალახია)||დიღხინა..

- არა, ჳევწრულიდამ არა, ნაჭვენე დერე, ჳვენინი დერე, წყალი.

- ჩემი ქმარი ჩაქერიეთია (ჩაქურიძე), მაჰმუდ ათეუქი.

- ამათთან შედით აგზე, ჩვენგან გაბუტულია. აქ არ შამუა. ისე იმღერეფს, აბა რას იქს, ყოლთვინ მღეროფს და...

- დონერს გააკეთებენ და, ხორც აასხმენ შიშაზე, ჳად ვეტყვით

- რე იქნა ი ფაჩავრა, რა უყავი?

- სიმინდ ვრცხი, ჳადინა გავაკეთო. გარეცხვენ, მემრენ წაახმობენ, გაფქვენ....

- იქ შავშეთი არია, ისენიც ქართველი ყოფილა წინდაწინ... ქართული დავიწყნიათ, თურქულად ღაპარიკობენ... აღარ უყაბულებიან ქართველობა. ზველათ ბათუმიდამ მოსული აქ ბევრი არიან.

- ქართველობიდამ ეშინიათ, მაგრები არიან.

- იქვერი შარაბები მიეტანეს, წითელი შარაბი. გერმელი იყო.

- ერთი თექი სახლი ჩანს, დაბისაა. მეგრელები ქომოთ არიან. ქართველი მეგრელები ვართო, ბათომიდან.

- აქ ბევრი ქურთი არიან. ის თერეფი ბევრი ემე... ერმენები ისტამბულ არიან. აქ ყოფილან, მემრე წესულან.

– ლაზების ქართველები არიან. თურქებ უყვარან ქართველები, ჰო! ქართველებიც მილ-
ლეთ ვეჭილი ბევრი არიან. ახლა ოსდაექსი თანე არიან მეჯლიშსში.

– ეს პოლისი იყო და ემეკლი გახდა. ზეზე დავდებოთ, ისე ვიმღერებთ.

დოუკარ და ვისამებთ. ქართული? ასე ვისამებთ ართვინში.

შენ რომ მომაგონდები,

გევხრუკვი და გევლანძვი.

მივალ ნეკრი საკაფვად,

დავკაფო'ნა ცხემლები,

შენ რომ მომაგონდები,

მომდინდება ცრემლები.

– დაღველი ყოლაფერი მოგაგონდება-მეთქი.

სობაზე დავდევ გუგუში,

გაღმა დედწყო დუგუნი,

ვეღარ გემისვენია,

როდის'ნა ვქნა დუგუნი.

– მოვბრუნდეთ იქითკე? მობძანდი, უსუფ!

– ახლა საჭმელი მარტო კარტოფილია. ის ბევრი არ დიგვითესავს. კართოფი, სიმინდი, ჭალა... ჩომა გეყავს. საჭმელი გარედამ, საქონლისა გვაქვს. ათი თანე, ოცი თანე საქონელიდან ორ-სამ გაყიდის აქვერი, საჭმელ ედღევს, იცხოვრევს. ზამთარი დიდი იცის.

– ბუკი ხესავენ გეზღება, ემეებ მიცემს ზედამ, ბონჯღალებ. ბონჯღალი ბოლათ თეს-
ლია.

– აქვერი დერებია: ზედვაკე, სარბიელად, ბუჭიად, სვანეთი. აღმა რომ მივა, სვანეთია, სარტყელად.

(რატომ ქვია სვანეთი? – ჩამწ.).

– რა ვიცით. სვანები ჩვენ ვართ, ესენი არიან... მაგდენი არ ვიცით. ახლა გურჯიჯა ვინცხას კი დავიწყნული აქვან, ადგილების სახელები გურჯულია... თურქულსაც ვლაპარაკობთ, ქართულსაც. სამი სიტყვა თქვით-მეთქი, არ გიყაბულებთ...

* * *

– ბათუმშიგან ხართ?

მე ავადეველი ვარ; ხანუმი აქ არი-და. აგზე არი.

ჩვენ იქა გვეოლია ჩაქვიძე, ჩაქურიძე, ერთი ბიჭი არი, მიქაძე. რამდენი წლისა ვარ? სამოცი და ათი. ოთხი თანე ბაჭალა მყავს, ბიჭი არ მყავს. ისინი გათხოვილი არიან; ისინი თელი ემეში სხედან. არ ვარ გაწუხული; ჩემი ცოლია ეს.

– თაზე არ ვარ, დაებერდი, თაში ვეღარ ავალ.

– ქომოდან გამოთხოვილი ვარ, ჯევი მეჭედედან.

– ამათი ღარჭი იმღერებს, ჩვენი მეზობელი, კაცი მღერობს, მიუზიყეს უკრავს, ჩვენზე გაბუკულია, აქ არ იმღერებს.

* * *

– თითო ბარდალი ჩაი სვით.

ზამთრი ისტამბულ ვართ, ერთი ბიჭი მყავს იქა, ერთი გოგო, ერთი აქ არის.

ემეკლი გავხდი, ოცდაექსი წელიწადი ვიმუშავე, ოცდახუთი წელი ემეკლი ვარ.

მედწვი? (ჩაი გადაეველო ფეხზე თორნიკეს მ.ც.) სოუქ სუ გეთურ (მეუღლეს მიმართავს მ.ც.)

ჰინ არ ვურევთ არაფერს, მარტივი ჩაია.

– არ სვამ შენ? თქვენი ჩაიც კადა. ავადეველი ვარ, გზას ვერ მივზღვე. ბევრი გაგაკეთე, თქვენ'და სვათ ესე.

– შენ რას წერავ?

– არა, არა, მე არ დემესხა.

– თურისტის საქმე ისეა - დედნახავ, მოწერავ.

- დეგისხამ! რაზე არ გინდა? „არ მინდა“ – დეგილ.
- სა მიდიან ეგენი, ეგენი უკუღმა მიდიან.
- დაგასხა კილო? (თორნიკეს ესუმრება-ჩამწერი).
- თუ არ მოვკდი და ბათუმში ჩამუელ, შეგეყრები თქვენ.
- იმან არ'ნა სუას? ჩვენ ათჯელ დავლიეთ, რა იქნა ორი?! მე შექერ არ ვჭამ, შექერი მჭირს-და; მე ლიმონ უგრეგ- ამრეველი თუ არი, ოურიეთ.

* * *

- წავასხი ესენი ჰუქუმეთში.
- ვერსად ვერ იპუეს ოთელი.
- ამათ ვიზე გოუკეთა.
- „ჭად“ რას ეტყვით თქვენ, „ჭად“? ჭადი გვინდაო, ედ, მე არ ვიცი, ჭადი რაი არი? დონერ გააკეთებენ-და, დონერ, ხორცსა. იმას შიშებ ააცმენ, ჭად იმას ვეტყვით.

ვარუნიე ტრაბზუნ, დედნახეს ის ემეი, ჩვენაც ზათენ „ავიზეს“ ვეტყვით იმა, ავიზე, ჰე. ავადებე ისენი.

- ქართველი მანაც იცის, მეც ვიცი, ჰამა ბევრი ვერ, ემეო, არაბაზეო დავგაუდუნეო. ჩამოვასხი ემეში დურადზე არაბაში ჩავდე.

- გეჩენ სენე, ონ ალთი თანე ბადან ვარ, ქალები. ისტამბულიდან მოდიან აქეთ აქვან ბევრი. საბას გეჩდუმ.

არ იციან თურქა დემექდა იშტე, არაბა ქი დგება იქა.

* * *

ჩედდე, რე იქნა ფაჩავრა?

ბევრი დავაქციე, დავასხი.

ყაშუღლარი ისენი, გააწორეთ და თითო კილო სვით.

რა გეხათრება, კაცო.

გავაკეთებთ კილო. კილო არიან შიგან.

ჰა ეს არი, ეს არი, ჰამა შინ არი, აჯაბა?

გაწავლო სახლი, იქნება შინ?

რაი გინდა, რაი გინდა?

გავყეგ, სარფში გავყეგ.

დევეშიდობეთ ემეი. ედ კონსულ ვარ და ემეს ვუთხარ, ქი ჩვენებურსა: ესენი, დედი, ჩემი თანიში არიან, არ გააწუხო ესენი-მეთქი. არაო, ეს დევინახო, რაი აქვანო.

დედიმ, ქი ბურდა ბიშე ფარჩა, რაცხეები აქვან-მეთქი, ჩასაცმელი. არ მოუძებნა, უთხრეს ქი, ჰადდე უდურა ოლსუნ, დედი.

- ჩაი არ სვით? დეგისხას კილო? დოუსხი.

- გამევიტანო მიორე?

- მიორეც გამედტანე. მაქში არი?

- თქვენ ღვინოსაც სვამთ, ფენა გიყვარან. არა სვამ შენ? ესენი ბევრ სვამენ.

- მე ბევრ ადგილ ვიმუშავე. ამ, ჩემ სოფელშიც ვიმუშავე.

ჰაჩარი არი ირანი. იქიდან დევიწყე მე ორდან

(რისი მასწავლებელი ხართ? – ვეკითხებით)

- მე იმისა, დარჭებისა და.

ანი, შენ ჩაი?

შენ ბაჯი? ეჩ.

ორი რაი არი, კაცო, ორი? ჩვენ ბევრ ვსუამთ.

თქვენ ჰერადდე ღვინოზე დაჩვეული ხართ.

- ეფეი ვსვი, თქვენი ვოტკაც ვსვი, ვოტკა. მეეტანა ვინცხას კიდე და.

ისაც ვსვი. ართვინ ევიდევით, კილო მეეტანა არაბით ბათუმიდან იქაც ევიდევით.

ნე ვარ?

- ვერ ნახავს, ვერა.
- შენ რასა წერავ აქა? აინი?
- აინი!
- ბეშ თანე ვიარე.
- აღარ არი, მოკდა ის, ჩემი მუღელში.
- (რას გასწავლიდა?)
- რა ვიცი, თელ მაწავლიდა.
- ალთმიშალთი დაშინდე ვარ.
- ზამთარში ისტამბულ ვარ.
- აღით ჰა იქ, ზემოთ და ემე ქენით, კამერა გამედღევით. ჰა იქ, ზემოთ, ვაკეში, გვაქ ემე არის.
- წყალი მოდის, ჩანჩხერი, ჰო, არი, არი. თოვლებია ასე აყოლებს.
- თოვლი მოსულა, ერთმანეთზე დეეყარა, დეეყარა.
- აღარ მახსოვს ქი, დამავიწყდა. მეგენი ზათი დიგიწერავან.
- ერთი ძველი ხოჯა არი, აღიხოჯა, ბაზგირეთსა. ამისი ახრაბა არი ისა.
- ჩემი ახრაბა არი ისა, იმისი ანაჲ და მე ახრაბა ვართ. ჩემი ანაჲ და მისი ანაჲ დები არიან.
- ერთი წედიტხე, ერთი.
- ჩვენი თურქიაზე მოდის ესა.
- ჩვენი, გურჯიჯა დაზ არ ფერდება, თქვენი ფერდება.
- ერთი დეგისხა, ერთი ეს გამოცვალოთ აქში.
- სიძე თქვენ რას ეტყვით? ეს ჩემი ბაჯლის ქმარია. ეს ჩემი ბაჯალაა.
- ქმარი შენი რომელია?
- შენ, კაცო, ცოლი სა გყავს?
- ეს შენი ბიჭია? ღმერთმა მოგცეს.
- ჰაჲდე, ჩვენ წევიდეთ ახლა.
- შენ რაცხადა გკითხო, არ დამალო.
- იმათი ბევრი ხათრი იყო, თუ ახლა.
- ერთი მოსულიყო ერთ სირადა, ედა თქვა.
- კად იყო. რაზე-მეთქი?
- ემეო, ჩვენო საჭმელსაო მეგვიტანდენო საქმის ადგილზეო, დედიმ ქი...
- თელი დურუმი, დედი, დოხუზ დუზ, ბინ დოხუზ დუზ ონ
- ქათამ რას ეტყვით ქათამ? მოგცემდა ბეგი, კვერცი იმისი იყო, ხორცი იმისი იყო, ბურღლა იმისი იყო. თუ დაკარგე, მოგკლევდა-მეთქი.
- ახლა ჩვენ ვსერობთ იმ თქვენ კანალზე. რა გწადია, ჰო ამისი ემოდ არი, ჩემ კაცისა ემოდ, იმა ფენა უყვარს ის კანალი.
- ეს სიძე მეზნევა ქი, მოთიბა და ფარა მომეო, ამაზე მიცდის.
- თუ იციან, გეტყვიან, დასალი არ არი.
- ბათუმში ყოფილან ჩემი ერთი გადასულა და იქ. დარჩომილა.
- იმისი ძმა იქაა, ენ ზედა მაჰალეში, საძვირელში. გადმოსული იყო აქა, ემეში ვიყავ და იქ დევიზახე.
- რა იჯებინ იქა?
- ამღერებენ.
- რავად დაწერე, დევიზახო.
- ჩქარობენ, ჰამა...
- ღამეში სად დადექით?
- რამდენისა ვიქნები შენ თაამენში? ოთუზალთი.
- ფინთი დედამთილი რძალ დააბერებს. კაცი მომიკდა, ექსი თანე დეთიმი დამჩა. ეს ძალი მეყვანე, აქვერია.
- მეც წავდივარ, წრეველ აქ ვიყავ. თუ დავთიბე ჭალები, ვიქნები.

– და მოგიკლა-ჰო? ბითუმ შავი'ნა იცვა? რა თქმა არი ევა? ჩვენთან რასოდ გინდა, ჩეიცვი.

– თქვენ საიდან მოხვალთ?

– შენ გენჯი ხარ, მე დაჰა ხნიანი ვარ თქვენზე. თმა გეგეშავებია, რაზე გაათეთრე?

– გურჯიჯა სიმღერები უთხარ ერთი.

– ბათუმ წვეიდოდენ ჩვენები. რუსია ქი დაყაფანდა, დარწომილი არიან.

– სარფი დენიზი ქენარში ჩამოსული ვარ მე, მაშინ გასხნილი არ იყო, ახლა გასხნილა.

დასალი იყო.

– დაბას არ ახველით? ასე გეარეთ.

– ირმიდორთთანე ბადიში მყავს.

– მე – ონთანე.

– ამა ექსი ბიჭი ყავს. მე ერთი დარჭი მყავს.

– ამა მე დარჭებ ვუბზანი, გავახმობ, დავხრეს. ანად მაჭახლურია, ჩვენი ძალიც მაჭახლურია.

– ნენედ, ნაზიკულად, უმღეროდა, უნანიებდა. ახლა ქი ბაჯალა მყავდა აგზე, დიმიმღერე ქი, დევძინო. ჩვენ მამამთილთან არ დუშმღერებდით, ჩვენ მამამთილ არ დევძელეპარიკებოდით, სირცხვილი იყო.

– დალანჩი ბეშლი მოგვიტანეს. ესენი მემრე ვვიდე. არ არი იქა ადეთი.

– ეგ რა გკიდია შენ, ხაჩი? თელევიზიონში აქვან. შავები აღარ ჩედცვა. ეყოფა. ახლა შავშეთში დგახართ? ისა იქა ქირაზეა ისტამბულში. ჩემ დარჭ ერად ქვია, ესაც ემრედ.

– ნახლიჯან წედქცა და ჩეესო ჩოფი. დოსტურთან წედყვანეს და გოზლულები მისცეს.

– ორი დღეა, ხასტადურ. რა ვიცი, რა ჭირს, გაცივდა. უკითხოთ-ჰო? თურქულა ვიცი. საძველ ამას ჩუუკითხავ, შვიდჯელ ელხემს ჩუუკითხავ, ეს ყურანიდამაა.

– ეგ არ დევძელეპარიკება, ცხვენია, აინია, გოგოც აინია, ბაჯალაც აინია.

– ესა ფენა მოლაპარიკეა. მალოცვია.

– ქვამა რაი'ნა გიყოს?

– თავი ტკივილი გექნება, შეკიკი, დედკიდო'ნა. დღეს ფენა მტკივა. თავის ტკივილი მეც მჭირს. ეს წამალი ჩაყლაპო'ნა?

– ჩვენთან უმფო ბევრი რაცხაები იციან.

– ჭლიკი დემეწვა, ადგ, დავბერდი და ფენა მტკივა. ოთხი წელწაღია, არ ავსულვარ თაში. საქონელი დავყიდე, დავაცოტავე.

– ყანებში მოდიან დათვები. ვერ მოკლავენ ქი. დორი ხორც ჭამენ? ის იჭმის? სული უდის. ცხვარის ხორცი გერმელია.

– არ გიკბენენ? ტყი ღორებია? სუქანი არიან?

– გეარეთ დაბას? ნახეთ? მე დაბური ვარ. სიცხეა შიგან, დავგიანდა, გშიათ. ზარმლი დრო მევიდა, ჩამოდთ თქვენც. ბევრი შორაა.

– ზარმელი მევიდა, მეგემშევიან.

– რა'ნა ვქნა?

– სა წახველ? ეს დაბიდამ არი. გოგო ყავს აგზე, ბიჭი იქა ყავს, იზმითში. ხოჯა არი, აქიდამ იქ არიან, ბევრი არიან.

– ოსმანად იყო, იქიდამ გადმოსული იყო. გოგო ყავდა ლამაზი;

– ქმარი იქ გეეგლო, აქ დარწომილიყო. ამას ცოლი არა ყავს, მოუკდა ცოლი, მოუკდა. ხერთვისში ერთი-ორჯელ გადასული ვარ, აგზე მაჭახელაა, მაჭახელის ხერთვისში ვიყავი. ჩემ ბაბოს ბევრი ნავალი აქ. ზამანუნდა კონტრაბანდა მოქონდა,

შუადღე მოდის, შუადღე'და ვილოცო.

– ვუთხარი, აქ რავაი ცოცხლობ, ფეხი დევიცურდა, რა'ნა ქნა?!

– ცხენი წედქცეოდა, თავი დაარტყა, მოკდაო.

– ჯერ უბეა, უბიდან ფარნუხი, აქ ბითევი ქართველი არიან.

– ეს გააბევრეთ და მედტანეთ.

საუბრობდენ: **მაჰმუდი – 70 წლის.**

შააზიე ათექინი – 62 წლის.

დაბა

* * *

- უბიდან მოსული ვარ. ჩვენი ნესიბა ესაა.
- თქვენი წერა ჩეთინია, ჩვენი ყოლადა.
- ემინე აბლა, ჩამოდ, შენ რაცხაები იცი; მე შვიდი წლისა წაველი, თურქე ვიკითხე.
- დუგუნ რას ეტყვიოთ თქვენ?
- კად გიქნიან, კად, ალლაჰ რაზი ოლსუნ!
- არ გცივა აგზე? მე რომ მცივა ახლა? აგზე დავუდები და ვათობო ჩემ თავს.
- ემინე აბლა, შამოდ, შამოდ!
- შიგან დავუდეთ, ყოლადა დაწერავ.
- გამოგავოთ'ნა?
- ემედ რავაი იყო, თავი არ მაგონდება. მე გურჯიჯა ზათი არ მიმდერია; გენჯობაში ბევრი იმდერებდა, ჩვენ არ გვახსოვს.
- შენ კიდევ გახსოვს, მე გენმიშები აღარ მახსოვს. მაილაში ადით, იქ გაწავლიან გენჯები.
- ტელეფონი უკრავს.
- ცქვიტად წერავთ, მე მასე ვერ დავწერავ. ამათი ლაპარაკი თურქა ერევა, კიდევ ვგნებულობთ ერთმანეთ, კადა.
- ბაზგირეთ დუგუნია, გედევხედეთ'ნა? ჩვენ თუ დეგვიძახებს, წავალთ.
- ჩემი ანად რაცხას გააკეთებდა, ბერექეთელი იყოსო, იტყოდა.
- შვილი ოთხი თანე მყავს: სამი თანე ღარჭი, ერთი ბაჯალა. ლაზები ბოზოს უძახიან. ჩომა არ გეყავს.
- მეზობელი მყავს, იმან დამითესა, ზამთარ აქ არი. აქ კად არ არი. აქ ვართ, მარდობაღ'და დედლიოს იშტე. ნუ გეხათრება, ჭამე. ევა სინია; ბევრი მოყრილობა იქნება, შამეცხევი, ჭამ. ჭამაზე ბევრი ქი მოვა, ათი თანე დავუდება.
- ამა ლეჩერ ვეტყვიოთ; ნახე, გერმელია, ჩილექ ლეჩერია, „მარწყვი“ მავიწყდება, აქაც არი, დაბანია, დარგო'ნა. იქიდან წამევიდე. ბევრია, ბოლათ. ესა ბიშია, სობაზე, აქ შევწავთ, გერმელია. ჩემი კაცი ორითმენია, ონ ბეშ გუნ წადიან-მოდინ, დაწერვას, კითხვას იწავლიან. იმან მემიპარა ცხენზე.
- მოლა კითხულობს იქინდი ზამანი: ვინცხა ლოცულობს, ადექით, ილოცეთ-ამას ამბობს. კაცები ჯამეში მიდიან, ქალები რემეზანში მიდიან ჯამეში. ვინცხას უნდა, მივა; ვინცხას ლოცვა უნდა, ილოცავს, ზამან გელდი.
- ამათ მემშეოდენ.
- ემექლი არ ხდები იქა? აქა წლით არი – ოცდახუთი გახდები, იმა უკან გამხდარან აქა. ქალები მალე ხდებიან. ქალებმა ოცი აათავეს, ხდებიან. ენ წინ ასე იყო, ახლა არა. ლაშეთი შავშეთს ზემოთაა. იქ ქართული არ არი. თქვენ თელი მეგივლიათ.
- გაჰერსიანდე'და ქი, მოგაგონდეს წყევლა.
- მეგ წორეა.
- ციციელი დეგეცეს, მეხი დეგეცესო.
- ღმერთმა გაგბარგოს.
- კათოლიკის შვილო, - ჩვენი ანად გვეტყოდა.
- თუ კად რაცხა ქენი, ვიტყვიოთ; „ღმერთმა გაგახაროს“, „ღმერთმა ბევრი დღე მოგცეს“; „ღმერთმა შვილობით ჩეგიყვანოს“, შორ ქი გაგზავნიან.

* * *

- შიგან შევდეთ. მინდრები მუუტანე აგზე, მუსაფირები გეყავს. აქაც ჩემი განაყრები არიან. მე ვერ წავსულვარ, წელზე დაკრული მაქდა, გეგნუნუნებ, მიელავს. უკანა, წელი ქომოთ დემიელვა და ჩავარდი, მახი დამაკრა, ღამეში ვერ გადაგბრუნებულვარ, ვერ გადმოგბრუნებულვარ, მიელავს.

– ნიხბით ზიბილი იქნა გედემექნია, სანეხვეზე და ჩავარდი დღისით. ესკი მიღეთი არიან, თელი კად არიან; ესენი მოდიან ღამეში, სამი-ოთხი-ხუთი თანე აღლაჰდა რაზიოლსუნ, თელი კად არიან. ისენი მოდიან ღამეში, სამი-ოთხი, ხუთი თანე. აღლაჰდა რაზიოლსუნ, თელი კად არიან. ჩვენ მეზობელმა ძე მემიტანა, თომათესი, კიტრი. ღამით ცოტა მეშინია; ავათ ქი ვარ, მეშინია, სოფლის შუაზე რა მაშინებს! ახლა მარტო ვერ დავდგები. ეს მეზობელია აგზე. აქ რაცხა ემეს უძახიან, მედყრებიან ბევრი მიღეთი, იშელიგებენ და ისვენ წავლენ უკან ჩემი ემიაშვილის არაბადთ ართვინამდე. ართვინს იქიდან დიდი არაბადთ; სამი-ოთხი-ხუთი კვამლი რჩება, ჩომასაც აძლევენ. აქიდან ჩემაზარგვიან.

– შვილი ერთი თანე მყავს, ერთი მომიკდა, თორუნი ერთი დასახლებულია, აქ არი, ისვენნა წევდეს; ერთ ძალს სარედ ქვია, ერთს - გონული. სარეს სიდედრი (დედამთილი-ჩამწ.) ყავს, მეც ვერ ვეტანები, შემეხათრება, დიდ ძალთან ვარ. ეზიეთ ვერ მივცემ. მე თურქია იმფო არ ვიცი; თორუნებმა იციან, აბა არ იციან?! თურქიაც იციან და გურჯიჯაც.

– ტოტები შორ არი, ვერ მოწყვიტავ, მიაბრუნებდე, მოწყვიტავ. გატყდება კიბე და ჩავარდები, ნენეჯან.

– ღმერთმა შინ სელამეთით ჩავასხან, მიგასხან ოღლუშაღთან.

* * *

– დევეითანნა ჩევდეთ.

– საქონელი აქ არ არიან. ჩამევიდა ღვარები.

– ფაბრიკაში ვისაქმე, ემექლი გაგხდი, ოზდახუთ წელწად ვისაქმე; სამ დღეს იქ ვარ, ათ დღეს – აქ. აქაა დევეთი: ზო, დევილი, ზემობანი, ქომობანი.

– თხუთმეტ წელწად წინ გაკეთდა გზები, ელექტრიკი, ტელეფონი რამე არ ქონდენ აქა.

– ნელა წადი, ნელა, ბიჭო, ეს ფინთი ალაგია. ღვარმა არ გადმეაროს. მე არ მყავს აქ არაფერი.

– ნუ გეშინია, აქვერი გზა კად არი. არ შეგეშინდეს, ბიჭო. ქომოთ არი ქილისე, იმ სერის ძირში' ნა გეარო.

– სახლები არიან, აგზე დაჯექი; ჭო, გადი, გადი იქეთ.

– ნაფეტვარაა სადაა, იცი? აგერ, გზა რომ მივა.

– მაწონინა გარეკო ცივ წყალში, იმდენი ვიცი, ჩვენაც ვიცი. მე რომ ვერ ვიკითხე, ბაჯალა ვაკითხე, ის ვაკითხე, მე რომ ვერ ვიკითხე.

– ჩემი სიამამრი ავათ არი. ხუთ წელწადია არ მინახავს.

– ჩემი სიძე არ მიცნობს, მეტი ავათ არი.

– რეები იცით თქვენ? მე დამავიწყდა, რაცხა გითხრა შადრები:

ართვინის ახალ გზაში,

მე დეშილ თაქსით მჭაღ,

არ იტირო, ღამაზო,

წავალ და ისვენ მჭაღ.

დემექ წევდენა, მოიდენა.

იმის იქეთად არა ვიცი.

– ეგა ჩემი სიამამრის ალაგია. ჩუტად ქვია. ძველია ისენი, ძველი. ნაქილისვარი, ნაფეტვარაა. ერთიც არი რაბათში.

– რა ვიცი, ორასი წლის წინანდელი მემიტანო, მიკითხო'ნა? გურჯიჯა ბევრი ვილაპარაკე. ჩემი სიტყვა და თქვენი სიტყვა ერთმანეთ არ უდგება.

– მე ჩამოიდენა, თქვენნა წახვიდეთ.

კარგობით!

საუბრობდენ: **ზექიე ილდიზი – 45 წლის;**

ესმა თორუნჯი – 75 წლის.

შავშათი

* * *

– რავაი ხარ? იქიდან რომ მოსულხარ, კარგა ხარ.

კად გიგიხდია ქითაბი.

– სა დარეთ ახლა? ბაზგირეთ იყავით? ბითევი სოფლები დეარეთ, არა? რა ჰალი გივლიათ! სვირენიდან აქ წამოხველით? ამისი სოფელი დაღლი არი. ცოტა ლამაზი არ არი. ვაკე, ლამაზი ადგილია, აშელიგებენ ახლა.

– ერთი ემედ მოიდოდა, რე იქნა არ ვიცი, ვერ მოიდა.

– ბათუმიდან იყო?

– თიფლისიდან იყო.

– ეს მოიდეს, იმან კარგა იცის. ცქვიტად წერავს, ნახე! პაწად ადგილი გვაქ, ჰამა დიდი გულია. თუ არ მეგეწონებთან, თუ არ გეამა, არ ჭამოთ; ესა მერჯიმეგია, წურვილ-წურვილია, ლობიასავეთ; აქევრი წყალი ფენა კადა. ცოტა დავდო, თუ გეამებათ, მითხარით. ხორცები არ ჩასულა, მედტად, დიგიდვა. ამაში არი კართოფილი, თომათესი, ბიბერი; ეს თუღლია. მერჯიმეგ წყალში მოხარშავ, დაღში გააბრაწებ, ნიორსაც გუურევ.

– ჭამოთ'ნა, აბა! ჯერ რა იქნა, ქათამიც არი. ყუსურზე არ დიმირჩეთ.

ესა შეშის გაკეთებულია, თეფშ ვეტყვით. მაწონი ამოჭამეთ, აქევრი მაწონი გერმელია.

– ერთი იქევრობას დენახევდე! ესენი წამოვდენ, მეიარეს, ჩვენ არაფერი; თურქნა იცი? რომ იქნებოდე აქ, დეწაველი; ერთი ქალი არი, იმან დეწავლა.

– საზღვარი გედხნა, მოდიოდენ ქართველები, მოვასხამდი სახში („მოვიყვანე” – ერთი თანე, ბევრი - „მოვასხი”). ქართველებს ერთი რუსი ესლა, ჩვენი საჭმელები არ მედწონა, წვეიდა, ერთი კონსერი მედტანა, გასხნა კონსერი, დადგა ბეთი სული; ქართველმა უთხრა, ფენჯერზე დადგიო.

* * *

– გოგვები ორი ისტამბულ არიან. ეს ბიჭი ვერ დავაღაგეთ. გეიარა დრომ. იქ მოდიოდენ ბევრი გოგვები, არ მოწონს.

ჩემი გოგვები ჰემ საქმობენ, ჰამა სახლის საქმეც იციან.

– ჩემი გოგო არაბაში იყო; ისა დაკვირვებულა, დაბანჩი არ იქს-მეთქი. მე ბევრი ვიდერდე, არ მინდოდა, ჰამა იმან იმსოდ ლამაზათ ილაპარაკა, წედევანეო, ამანაც უთხრა. ლურჯი თვალეები ასხია; დაბანჩი სიძე არ გვინდოდა; ამა თქვენ გებნევიო, იმას არა. თერბელი მუა, წავა. არ ვაგინე მე, იმსოდ კად სიძე გამოდგა! ჯარში საქმობს. მალ-მალე იცლის ქალაქს. ესენიც ისტამბულში არიან, ბავშვები ყავს, ბადიშები ყავს.

– არ ვიცი, გელინი საიდან'და მევევანოთ, გურჯი დაჰა კად იქნება.

ბიჭი ცოტა შეშლილი არიან (!): მოდიან იქ გოგვები. კად იქნება, არ იქნება...

წინ-წინ გოგოს არვინ არ კითხევდა, მედწონებდა არ მედწონებდა. ის ადეთი უმფო კად იყო. ახლა არ გვიდინგლავს. გოგოს და ბიჭ ერთმანეთი უყვარან, მამას და დედას არ უნდა, გოგოს უნდა, მომიპარეო, ეტყვის.

მოტაცება ზორით არი.

ახლა ისე ყოლადა.

დედ-მამამა „არ მინდა” თქვას, თერამეტი წლის გათავდება, წაყვება გოგო.

* * *

– ეს მოსულა ჩემ სანახავად. მაშინ ადეთი არ იყო. ოდიდან კარში ბილე არ გამემიშევს. გამევიდა გარეთ, ჰემ ხელები დევიბანოთ. აგზე ლაპარაკი მესმის. ბალკონზე ჩემი ახრაბა იყო. ვინ არის-მეთქი. არ ვიციო, ბაძვირული ვინცხა არიო. მიღეთი ედრეოდენ, ჩემ ბაბოს არ იამებოდა.

ჩემი ბაბო ვის ელაპარაკება-მეთქი? არ ვიციო. მე გამევიდე-მეთქი? სა მიხვალო?- ბაბომ. კარები'და დავგავო-მეთქი. შედიო, არაფერი დავგა არ გინდაო. ამას მეგერ უნდოდა ჩემი თავი. არ დამანახევს. ის წვეიდა, არ დუუნახავს, ერთი ემიაშვილი ყავს, იმისთინ შუუნივლია, არ დამანახევსო.

დილა რომ გახდება, ბალკონს დაგვისო, დაბერტყავსო, დედნახავო. არაბაში შესულა, კამიონში შესულა, თავი ანას უნდოდა ჩემი თავი. სხვებიც იყვნენ, მარა ჩემ ბაბომ ჩვენი თერეფის უმფო მეძაინა. ელჩად ბევრი (=ბევრჯერ) არ მოსულა, ერთი-ორჯერ - თავისი ბაბომ. ბაბომ დედნახა, მეეწონა. ოცდაერთი წლის ვიყავ, არა?

– ჩემთან იჯექი, ვილაპარაკოთ.

– მივხდი მეც. წვეიდენ, თექრენ მოიდნენ, მეტანეს მარტო ბეჭედი და დასაკიდებელი. ბეჭედი ალთუნი იყო. ჩვენ მას ერთი ბეჭედი მივეციოთ. ის დაკარგა. ჩვენ გოგებმა, ისე არ გიხდებოდა და... დუგუნამდე გაზაფხულიდან ოქული რომ იწყება, დუგუნამდე ხუთი-ექსი თვე გვეიდა, ჰინ არ დიმინახავს. ჩუმსაც არ ვიღებდი. ჩემ ანას, ბაბოს მოწონდა. ჩვენი სოფელი სხვაა, იმათი-სხვა, ხევწრულს ზემოდან. მოქონდენ ჩასაცემელი. ერთი-ორი-სამი ყათი რაცხა მეტანეს, ისენი მოდიოდნენ.

– მე ველაპარაკებოდი ჩემ დედამთილ, მამამთილ. დოდოფალი არ დედლაპარაკებდა.

– დუგუნი იქნა. ადეთი არი – დუგუნამდე მისი მშობლები მოდიოდნენ. მოიდა დრო, სოფელში წვევლით ბითავი მეზობლები. ბევრი საჭმელები იყო: ყაურმა, ფაფა-მაფა, ფილაგი, ბორელი, ფშინლასაც მაყარი, გამხმარი ქლიავი, ისენი თელი.

მაშინ სოფელში გზა არ იყო.

ნიქაპი: ამას კითხავს, შენ ეს კაცი ქმარად გინდა, თუ არაო.

დაპატიჟებდნენ მეზობლებ, მაყარი იქნებოდა. დადე, ამისი ემოსი დის ქალი, მოიდა; დადე სამიც იქნება, მარა იმდენ ცხენებს ვერ იპოვიდა.

– დოდოფალი წამოყვანამდი დადეები წვეიდოდნენ დოდოფალთან. ქალები ამას დედნახევდნენ, რაცხებს აჩუქებდნენ, ჩვენაც რაცხებს მივცემდით - ფული, ჩასაცემელი, ალთუნი, დაზმა.

– გიგიცივდა შენ ეს, სვი... არა, რაინა დევიდალო?!

– იმას, „იმედს“, ამ დღეებში არ აჩვენებენ, რა დეემართა, არ ვიცი.

ბეველ ინსნებმა იცოდნენ ბათუმი, ჩვეიდოდნენ, მევიდოდნენ. ართვინში ჩასლამდე ბათუმი ახლოა. იქიდან ქი არ მიდიოდნენ ბათუმში ფეხდაფეხ. დილას ავღებოდით, მზი ჩასლამდე მივდოდით. ვაჭრობა იქედან ქონდათ.

– ამას ჩემზე მეტი ცოდნია.

– დადესთან მე შემოყვანეს, დადესთან კულანდელი ადეთით ჩამაცვეს ლამაზათ, წასლიხან ჩამაცვეს ამის ბაჯის მოტანილი. ცხენით წამომიყვანეს. მას რაცხას გამაატანებენ, სკივრი. გამოყვანიხან ეზიეთ მიცემენ მამამთილ. ფარებ ართმენ იმას ხისიმები.

კარების დაკეტვაც არის. ვოქვათ, ამისი დამკეტები იქნება ამისი ძმები, ძმა თუ არა ყავს-ბიბაშვილები.

დედას მუუტანებენ საჩუქარ. წამოყვანიხან დედა, მამა, ძმა, მამამთილიც იქნება.

– ამისი ახლო ქალები გამედყვანებენ, შეაუდუმლებენ ცხენზე, ქორწილი ბიჭის თერეფში იქნება, ერთ ღამეს გათენდება, ბევრი იქნებიან, მეზობლებთან დაწვებიან დაპატიჟებულნი ხალხი.

დადე არაფერ არ აკეთებს. წინ იქნება ბიჭის დადე, შუაზე დოდოფალი იქნება, უკან გოგოს დადე იქნება, გული არ შუუწუხედეს, აწავლის.

– რა გაწავლეს?

მღერობენ, თურქულად მღერობენ, ჩემმა ნენემ ბევრი იცოდა, ამ დეეყზე არ მომაგონდება. გზაში სიმღერა იქნება, მღერობენ, გზაში ჭიბონ უკრენ. ახლა ადგა ჭიბონი. სიმღერა ზოგი მახსოვს.

„ვაკეთკენ მიმავალი,
ქვაზე ფეხი წამოგკარ,
უკნესკენ მინავალი
ჩემ დარ თვალი წამოგკარ.“
„ეს აჯარა ღომია
ჩიქინი ქმარი გყოლიაო,
ის გააგდე და მე მომყევ,
სირცხვილი ნუ გგონიაო“

* * *

„მიხვალ, მოხვალ
შენი ერთი დანახვა
ჯენნეთი გემიხდება”.

* * *

„ დიმიქორდეს თვალები
მე შენთვისინდა გავლემდე”.

* * *

„სადგირელის უკნედან
მიბრუნდები, მობრუნდები.
საცხან ლამაზს დედნახავ
შენ იქ გადაბრუნდები”.

* * *

„გაღმა სერში ქათამი
მივა და მიკაკანებს,
მე რომ შენ დეგინახავ,
გულში გამაკანკალებს”.

ერთი გოგო გაქცევლა, ჩემ ანას ბაბომ, დედემ, გამუთქვა ლესკი.

* * *

„უბედური მადთუ აბლად,
მედყუნა თოფალი ფატყუდ...”

დვინიშნა დოდოფალი – უბეს დუნიშნიან.

* * *

„ნიშნად ბეჭედი მუუტანა,
ბეჭედს ქონდა ლურჯი თვალი.
შენ, მუხსინევ, შენ პირშავო,
რუ უყავ ჩემი დოდოფალი” (გოგოდს ანადა მუხსინედ).

* * *

„დილას ავდექ, შინ არ იყო,
მე რა ვიცი ი ზუნკალი,
ტყვილ-ტყვილა ნუ ფიცავო,
შენ სომეხო, შენ ფოშაო”.

* * *

„წუხელი დილამდე ვიტირე
ლუთბოს კითხეთ ჩემი ჰალი” (ლუთბოდ-მეზობელია).

* * *

ალარ მახსოვს, უკანად დამავიწყდა.
ფადყანა რაღას ზიხარ,
თბილ ოდაში, სობი ძირში,
ამ ზამთარშიც გეგობჯინა
გონოდლებში გოგუები.

* * *

„ზედმეტად ხარჯი წუუვიდენ,
ერთი კოდი წმინდა პური,
დილას ადგნენ გოწოლლებმა,
ვერ მიშუეს,
ერთმანეთში წეიბდუნენ,
მოსაკლავია შაქროს ქალი.“

* * *

„შენ, მუხსინევ, შენ, პირშავო,
რა უყავი დოდოფალი?
ტყვილ-ტყვილას ნუ იფიცავ,
შენ გახადე პეტრას ქალი.“

– ჩვენ კარგა ვიყავით, ჩვენ ისე მუაღამეთ, გაბუკვა არ ვიცით.

წამოსლიხან ბიჭის მაყრები გოგოს მაყრებსა „გოდრიან“ უძახიან. გზა განახევრდება, მაყარი დასხდებიან ორივე. დაჩხვერავენ, რაცხა უნდათ იგზე. ავით გავხდითო, კუჭიო... რაცხა საჭმელი გვინდაო... გოგოს თერეფიდან რაცხა გააკეთებული ექნებიან, რაცხას ქი გააკეთებენ, ქალის თერეფი დუურიგებს.

ბიჭის სახლთან მოახლოვდნენ; რომ მოვლენ სახლთან, ნეფეს თოფი ექნება, ესროლებს. მეფყვანებენ ყვავილ ქვეშედამ დოდოფალ, სიძესაც. ხურდა ფარას შექერთან არეველი დოდოფალ გადააყრის. დოდოფალ ვალა აქ. ამ დროს სიძე დედანახავს (იმდენ ხალხში რას დედანახავს?!).

ქვამს ჩააბრუნებენ, ფეხი არ გეემუროსო, გადაახურვენ, ჩამოახტუნებენ დოდოფალ, მაგარი იყვეს იმასავეთო, ავით არ გახდესო. მემრე ამიდან წამოსული „გოდრიანები“ მოითხოვენ, საჩუქარი რა გაქვანო? ძროხას მოითხოვენ, ცხვარ მოითხოვენ, ყურზე რაცხას მოაბმენ, არ შეიცვალოსო, დოდოფლის არისო. ქალები ამას წაავლობენ ხელ, წეფყვანებენ სახლისკენ (დადეები არა), ფქვილში ჩაყოფიებენ ხელ, ჩამაასმევიანებენ პირზე, არ მახსოვს, მურიან კედელზე. ძველ სახლებში ჯაჭვი იყო. ჯაჭვზე ხელ მიაყოფიებენ. მერე წეფყვანდნენ დოდოფალ თავის ოღაში, მერე იშტე შუუტანებენ საჭმელ, ისინი შევლენ, გავლენ, საჭმელ მოგართმენ, შემოგიტანებენ, ჭამენ, დასხდებიან. ახლა ქალები, კაცები არეველი არიან. მაშინ კაცები ადრი იქნებოდენ.

მეორე დღეს საჭმელი გათავდება. დაღამდება. ბიჭის თერეფის მაყარი (გოგოს-არა) ფულს გაყრიან, სინს მოარუნიებენ. ის იმას უყურებს, ის იმას უყურებს, წინ-წინ ასე იყო. წერვენ. მერე დოდოფალიც საჩუქარ აძლევს, ვინ რამდენი მისცა, იმა და გორ: მოქსოვილი წინდები, ქალების ძაზმა, კაცების წინდები. მევრე დღეს მეფყრებიან ქალები, ითამაშებენ – შენ გაჩუმდი, ვერ გიგირიგებია.

– კაცები ფული გაყრიან, წავლენ. ქალები შეფყვანებენ ოღაში დოდოფალ, მამამთილი პირ ახდის, რაცხას აჩუქებს იგზე; მამამთილ დანა აქ, პირის ახდისას დოდოფალ კითხავს, თავი მოგჭრა, თუ ენაო-ბევრი ლაპარაკი არ იცოდეს ქი. გელინის ლაპარაკი ადეთი არ იყო, ჰამა მე ბევრი საბრი არ მიქნია.

– მეფყრებიან მემრე ქალები, მისი ხისიმები, რაცხას აჩუქებენ, მამამთილი რომ პირს ახდის, დოდოფალ წყალზე გეფყვანდენ, რისთვინ მიყავდენ, რა ვიცი. წყაროს აწავლიდენ. ეს ქალების საქმე იყო.

გერმელათ ვილაპარაკეთ, ახლა ჭვამოთ.

გაწვიმდა, აქ იყავით?

მე გუშინ შინ ვიყავი, კარში არ გამოვსულვარ, მაგარი წვიმა იყო. წუხელი სა იყავით? დედალენით? სოფელში იყავით?

– ამათი დაულ-ზურნა არი, არ მოგვწონს, ფახ! ფახ! ერთი ზურნას უკრავს, ერთი – დაულ. ჩვენთან მუზიკაა, გარმონია.

რას იკითხევდი?

იმას ერთი გოგო ყავდა, არ ყოლია ღარჭი. კულა დოხტურთან მისლა-მოსლა არ იყო; იმან ეფედხან იცოცხლა, მემრე მოკლა. ბვერი ეცოდინებოდა.

ერთი თანე ბიჭი დაასუნათეს, პაწად დასასუნათებელია.

– უთხარი ლექსები, გო.

– ვიცოდე, ვეტყვი-და. უთქმელობა რა თქმადა!

ესა დიდი გოგოს არი, ახლა უმფო დიდია. მაშინ სამი თვე დავჩი ანკარაში.

ეს ბიჭი ახლა ფენა იზდებოდა. ეს გოგო ხელო-ხმელი იყო, მალე იზდებოდა. გაღმა რომ დედნახევი სურათი, ი ჩემი ბაბოდა არი; ეს ენ პაწად გოგო არი ჩემი; ეს ამის დეგანი არი. ესეც ჩემი ბაბოდა არი. ესაც ჩემი პაწად ძმაა.

დეგანი ფენა მიყვარდა, ესა ჩემია წყრილობაში; ეს ჩემი ანადს და არი, ახლა აღარ ცოცხლობს. წინ-წინ ხალას ვეტყოდით. ჩემი გვარი დედგარგა, ამისი გოჩიენთია.

– გესმის? აწიე ტელეფონი და!

– ნუ ეჩქარებით. ოდიები მქონდეს, დაგაწვენთ.

შავშათში, შუბლაძის ოჯახში საუბრობდა ალიე გოჩიენთი

უბე

* * *

– ხვალ ჯუმაა, ვხოცავთ. ჩამოვედთ, მივხოცეთ-მოვხოცეთ, მივალთ.

– უბური თა ზათი დადოა. შავშეთ ზემოთა ქოთეთრისია (<ქვათეთრისია), იქით კიდენ ცეხისძირი (რადაცნაირი დაჭიმვით წარმოთქვა მთქმელმა-ჩამწ.).

მოდი დედეჯან, მოდი...

დაყაფანდა ოქული. ჯინალიდამ არი ხოჯა.

– აქ ყარაყირჩილს (შავთავთავიანს – ჩამწ.) დათესდენ. ახლა ადგა, აღარ დათესავენ. ბზეს ბვერ გაყრიდა. კარებით გაველწევდით. ფიწალს შიშიდამ ვაკეთებდით. გენჯები წივდენ იქით-აქეთ. კარ აღარ ვინახავთ. აღარ მოვკნავთ. სიმინდ დათესთ, ჭყლინტ ვჭამთ.

– უბეში ბვერი სოდადი არი: ლაზოლლი (იქეთნი), თანოლლი (კოლეტეთნი), ყარალოლლი (შარიეთნი), სუსანოლლი, პეტროლლი, მურევეები, ასტანოლლი, იზეთოლლი, ისმეთოლლი, დაჩიეთნი, ბაირახტაროლლი (ქოქლიეთიდამ მოვდენ), უსუფოლლი, ხოჯიენთი... შარმათები, ქოსიენთი, ზაზალევი, ჭივიენთი, მელიქიენთი, დავლაძენი, აიშიენთი, იოღვიენთი, გათენეთი, ფუტიენთი, მურეშენი... ხარზვიენთნი, ფექრიენთნი, ლეზგიენთნი, სარაჯები, დავითენთი...

– სვირევენული დაილა იქაა, ზეთ (ხელით გვაჩვენებს – ჩამწ.); ჩვენი ჯამე არი'ა, იქაც ქილისა ყოფილა.

ყორიენთი - ქვა ამ ალაგსაა. წალკოტი მადარაც აქაა. დაბლა წყაროდა; აქ ღორღეანი ალაგია. უბური მთა არი ბარელთა. დაბლა კიდეა, ქემერიანი კიდე.

– მოხვიდოლით ქი, ვთქვი კი გურჯები არიან, გურჯიჯას ლაპარიკობენ. ეს სახლი ამათი ემოსია, ჩვენი ემოღს განაყარისა, ამათი განაყარისა (გვაცნობს – ჩამწ.).

– მაწონს დალევთ? ადრანსა?

– ემინე მქვია. პაიდე, შიგან შევედეთ! თვენ მუსლიმურად ბძანდებით?"

წასული არიანი'ა? ვერ გიყვარებია და?

ასლან აბაშიძე რომ გააქციეს, მის ალაგზე ვინცხა გვეიდა? ვარშალოშიძე გვეიდა?

– ბათუმი ქა'ზიმ ქარაბექირმა, ათათურქმა მეიგო აქეთკენა და მეგერა რუსმა გადმაყარა შექერი, რაცფერი საჭმელი და აჭარლები გადააბრუნა თავისკე და დარჩათ იქა, თვარა თქვენც აქეთკე იყავით. იქა მაჭხელი არი, ფენა საცოდავთ შვაზე გაყოფილია. თორმეტი თანე სოფელი ა ისე დარჩენილა, გარეთკე, ექესი თანე სოფელი აქეთკე დარჩენილა, ზამთარჩი გეითი არ აქონ, ბათუმიდამ'და მედარონ, ისე ბორჩხას, ართვინ'და ამოდენ კე, გამთელდენ ხასტახანებში. ისთე რუსმა გამაატყვილა აჭარლები და ისე მარადილიც

შვაზე გაყოფილია. იქ ლაზები არიან, ჰო? იქამდე თელი ოსმანლისა იყო. მემრე მემრე გაბევრდენ რუსები. აზერბაიჯანი, ბაქო, თამამ ოსმანლისა იყო, ჰო.

იმაზე ძველათ ამბობ, ჰა? გურჯისტანი თელათ ოსმანლისა იყო, ჰო! იმაზე ძველათაც კიდო თურქეთისა, სელჯუქლი თურქელლი... რუსი ახლა წამოციმციმდა. თუ კოჭლ თიმური არა მოსქოვიც ოსმალისა იყო. რა დროც თიმურმა რომ დაანგრია, და იმას უკან რუსებმა ნელ-ნელა წამოციმციმდენ, ოსმალის თავზე ბელა გუუხდენ. მემრე, მემრე აქად ბილა აგვართვეს. მემრე იმათ ემეში დაწიით. მის სახლისა ემედ იტყოდა, ჩასული ვარო, ად იქიდან რუსები მოდიანო, ჭირი, ჭირიო, შეგვატყობიებდა, ჩომას თივას დუუყრიდითო, ახორშიო, ტყეში დევიმალოდითო, გვეშინოდა.

– სელჩუქების წინათაც სხვადასხვა თურქები იყვენ: აზერი... რუსი ახლა ემე ქნა... მემრე თურქი მოიდა, ოსმანლის მემრე თურქი მოიდა.

– იყვენ თავისთინ ისინი, აბა არ იყვენ? (გურჯებზე ამბობს – ჩამწ.). რუსი აბა ბილა მოვდა და... სილამ მიდიან რუსები? გურჯისტანიდან მიდიან? მისი ალაგი რომ არ არი, მიდიან.

სომეხები ბილა ყოფილან და წამუუსხრეკიან.

ქართველებ უქუმეთი არ ქონიან. არეველი ვიყავით

– თურქის იდარეთი იყო და ანჯახ ელელი ემეები... აქ სომეხები ბილა ყოფილან და წამუუსხრეკიან.

ქართველებს უქუმეთი არ ქონდენ. ანჯახ ერთმანეთში ემე ვიყავით, არეველი და ვიცოდით, ქართველი, ანი! ხომ ქართველი ვართ, ჰო! ლაზები ბილა ქართველები, ძმები არიან, ძველისძველი.

– ზიოსი ქვია გაღმა სოფელს. მაღლა ბაზირეთი.

– აქაც არი მაღარები, ამ სახლი იქეთიღამ, დარეს ვებნევით იმა. ისა ჯენევიზებისა ყოფილა ბილა. ისა მუსლიმანები არ ყოფილან, ხრისტიანები ყოფილან. ჩვენი ემეები იტყოდენ, მუსლიმანები არ ყოფილან. აქა იდარე თურქებისა ყოფილა, დანი ერმანები, სომეხები ყოფილან, ჯენევიზები. ამათ თლათ ჯენევიზებისა ამბობენ. ჯენევიზები ემეები არიან, რუმების ძველები დანი, ბიზანტიელები ემეები... (მთქმელი ცდილობს რაღაც დაახუსტოს, მაგრამ ვერ ახერხებს – ჩამწ.). იმათი საცხოვრებელი ამგვარი სახლი ყოფილა, ჯენევიზებისა. ბევრია ამფერი სახლი. ცხოვრობდენო აქა.

ქომოთ ბილა არი. ჯენევიზების სამცხოვრო არი. აქ ალთუნი ძებნეს, ამა? აქ ალთუნი არ იქნება? (აქეთ შემოგვიბრუნა კითხვა – ჩამწ.).

დევრიშოდლებს გვეტყვიან. გურჯი სოდადი – დევრიშიშილი, იშტა, ამას გვეტყვიან. მე იბრაჰიმიად მქვია. აქა ემეები მცხოვრობენ: ჩაფრასტები, ტივიძები, კორტონაძები, მოლლოდლები, ზორბებიც არიან. ამ ადგილ გორგვიეთი ქვია. იმ მინდორ - ტივიძენი. აყოლებას - კოვიძები (კობიძები? - ჩამწ.) ქვია. აქა შუა მეჭელეს - დოლმები, იმაზე ზომო - კორტონაძენი, ამოხვალ - ზორბები. აქ თურქეთის სახელები არ არი. იმ გაღმა მთას სარტყელად ქვია. აქ ქართული სახელებია ... იმას საბეგი ჯვარი ქვია. ჰერალდა გევეგებებიან ის არი, საგებები ჯვარი. მას აგრათდელე ქვია, იმას - ფრიალო დელე. მაღლა მთას ვაკსელი ქვია, ზაქიეთი. ზომოთ ზაქიეთური დაილაა, დაბის ზედამ დაბური დაილაა, ბოსელთა. ბაძგირეთ ეხვალ, გედემარ ლეკობანი, ლეკობან გედეხვალ მაჭეხელი, მაჭეხელ გედეხვალ, იშტე, ბათუმი.

– არ ვარ გადასული იშტე, ვიცი, ბაბო გადასულა. აქ დადიოდენ მაჭეხელები, გობები მააქდენ, ყიდიდენ, რაცფერა თაფლი მააქდენ, სხალი, ქლიავი, ყიდიდენ. იქ მეფვა მალე მოვლოდა, მააქდენ, ყიდიდენ იშტე. აქაცა თუთა მოდის, ბალი მოდის, სხალიც მოდის, ამა მაჭეხელზე გვიან მოდის. აქ ვერხვები იზდება, სხლები, კატრები, ნაძვები... ვაშლები... ზემოთ ახვალ – სოჭი. ცხრემლა არი, უხრაგი არი, კოც არი, კაკალი ბოლათ არი.

ეს კო არის, ესა. ეს თაფლად სხალია. თავრეჯულად არი, დევაჯრად არი, სხვა არ ვიცი. შავი ბალიც არი, წითელი ბალიც არი.

– ეს გზა ბაზირეთ გასლამდე გადის. თელგნისკე არის გზა. დიობანი, ივეთი, ფაფართიდან გადააჭრი კიდევ მაჭეხელ გადახვალ.

– გოლიდან ვარი ამოიდა? იმგვარო რაცხა გვესმოდა. გოლიდამ ამოსულა თავითალად ვარი. არ გემიგონია მაგვარი დანი. გოლიდამ ამოსულა და სოფლის ვარ დაჭედია, მემრე?

გოლმა გადმოიდა და სოფელი წაღეკა! მამგვარი რაცხიები არ გიმიგონია, რომელი სოფელი იქნა?!

– მარტო ჩვენი დაილის იქეთიდამ და ხემწრტლი დაილის უკნედამ ერთი ჩვენი რუ არი, იმის წინედამ თორმეტი ცალი თექი არი (სახლი ჩასადგამი ალაგები), ედა, ჩვენ ემე გავგონილი გვაქ.

ჩხოკობიხან ახლა ღმერთისთუნ, ბატონისთუნ შეპირობია წასლიხან, ედა, ამოსლიხან ღიორო დავინახო, ყურბანი'და დავეკლო, შეპირებია. ავა ქი ღმერთის თერეფიდამ ემე არ დაფარებულა, ისევ ანთია. არ დაფარებულა და... ახლა ტილობა არ არი. მაშინ ტილობა ბევრი იყო. ამედლო უბიდამ ტილი და აჰა ყურბანიო და... ღმერთსა ეწყინა და... აბა ხომ ღმერთი თვალში თით არ გკრავს; წამოიდენ და მემრე ზამთარში წამოიდა ქარიშხალი, ერთი ბუქი და წამედლო ისინი და ევე ღელეში ჩეიტანა და დაჰა შიშისგან დაილაში ველარ ევდენ და ისვენ დარჩა ფეგები.

იმგვარი რაცხა გაგონილი გვაქ. იმგვარი რაცხაები ბევრია. თქვენთანაც ბევრია. ზეულათ ბევრ ჰექიას იტყოდენ ბერები. ზოგი მახსონს, ზოგი... რა ვიცი. ჩამოჯექით და... საქმეები გვაქ. ემე ვიჯებით და... ჩემიდამ ამდენი კადა, მაგრათ იყავით, ლამაზათ... (ქორწილობა მოიმიზეზა და მოგვშორდა მოუბარი – ჩამწ.).

დიობანში დარეა,
სამი წელიწადია,
დასახლება მწადია”.

* * *

„ვითხუო'ნა შიშმანი
არ გიმიხდე ფიშმანი,
შენაც მე თუ არ მომყევ
გიგიხდები დუშმანი”.

* * *

„სობაზე დავდე გუგუმი,
დათვმა დედწყო ბუბუნი,
რა სული მიწუხდება,
როდი'ნა ვქნათ დუგუნი?”

„შიშმანი” – გასიკვებული, სხვილი. ახლა გახდნენ შიშმანი, არ ეთხვებიან, ბიჭებიც არ ესახლებიან, დალბნენ'ნა. ადრე ასე არ იყო. დედაგაღლეტილები!

საუბრობდა ბინალი თათუიშვილი 62 წლის.

ჩიხვთა

– ზემოთ მიხუალთ თუ ქვეშეთ მიხუალთ? იქედამ ერთი რძალი გვყავს, ოლადაურიდან ხალად გვყავდა. ჩვენ დაილაში ამოდიოდა. იმისი ბაჯლები ვნახე.

– ჩემი ხალადს ემე იყო, ხალად. ჩვენ არ ვართ წამოსულები, მერჯანად ქვიოდა ჩვენ სიძეს.

– აქედან გათხოვილია იქა. ისა თქვენებურებში იქნა დუზბაში. თქვენაც კარგა იყავით, სელამეთით.

საუბრობდა მეჭმედ ილმაზი (პაპოღლი), 68 წლის.

ივეთი

– კაპანი ამეიარეთ? ჩვენებურა პაწად ვიცი.

– უკან თუ გახვალ, მოსაბრუნებელს ვერ ვპოულობთ.

– ხანუმ, ეს ქვაა, ადე, აქ დაჯექი.

– გოგო არ მყავს, ღარჭები ერთი თანე ის ემე არი, ხოჯა, აკითხვებს.

ორი თანე გერმანიაში არიან, ერთი – ბურსას.

– ჩემ ბაბოს დედე აქ ყოფილა. იმნიეთ არი თამარას ციხე.

– ოც წელწადზე ვძებნე ალთუნი, მაქინა მქონდა. შენ არ ჩეგიფლავს, მე ვიპოვნო, მე არ ჩემიფლავს, შენ იპოვნო.

– თურქის მოსლამდე თქვენ ბათუმზე დაბმული ვიყავით;

– ჩამეარდენ, კაცებ ხოცვედენ, კლევდენ. მე გერმანიაში ვიყავ და რადიოს ვუდინგლევდი.



ამ ფაფართის თავში გოგადის დაილა არი. აქიდან ჩვენი ესკერი წევდა. გიოლი აქ არ არი. ხვალ არი დუგუნი, ხვალ სადამ არი.

– მე არ მიმღერია, მღერებელი არიან. მე მარტო ეს ვიცი - ბათუმურად სიმღერა, ერთიც ის არი...

– მე ბაბასი ერთი ბიჭი ვიყავი, იმან მექთებში არ გამგზავნა.

– ამ სოფლის სახელი ძველიდან დარჩენილა, ივეთ უძახიან.

– ეს ჩემი დეგენია, ეს ჩემი დის პრატია. რამდენი ბაღანა მყავს? – ერთი ღარჭი, „პრატი“ თქვი, თელი ერთია - ციცაჲ, ბაჭაღაა.

– გერმანიაში წემიყვანეს ჩემ ბაღნებმა, იქა ვერ მიშველეს. ჩემზე ძალია არიან – ვერ გაქანებულან, გარში ვერ გასულან, მე ჯოხით ვიარები.

– ცოტაი დარჩენენ, აქა სამოცდაათი ოჯახია, ზამთარში ოცდაათი რჩებიან, მე გერ-მანიაში ვარ, წავდივარ.

– ჩემი სიმამრი ახლა იზმით არიან, მისი უსტიები ყავან. ექსი თვე იქ ვარ, ექსი თვე აქ ვარ. იქა დოხტურები არიან, დუურეკავ, მოვლენ. აქა ბევრი თოვლი მოდის, გზები ყაფანდება, ვერ წახვალ დოხტურთან.

– შენ დუუნახველად წერავ?

– ხარების ჭედნა იყო მაისში.

– წყევლა სირცხვილია, დალოცვა ვიცი:

გაცოცხლოს ღმერთმა მამის ოჯახზე;

ღმერთმა კად შვილები მოგცეს.

– ძროხას ვეტყვი, „დადექ, დადექ“, არ დადგება, ქვას გუუქნევ; ვერ დაწყველი, ვერ გამემეტებ.

– ესაა, იქიდან გადმოსულია, ჩვენი მემლექეთიდან.

– ეს, იფხრეველი, ძველი სახელია, ახლა ტაშკოფევი ქვია?

– რა სოფლიდან ხართ? ახლო ყოფილხართ. გურჯიჯა ჩაის რა ქვია?

აჯაფ ქართულია-თუ?

„ჩაი“ ჩინური იქნება.

შერბეთობა ახლა გახდა.

იყავით იქა-ჰო? მეც იქ ვიყავ, დემინახეთ?

– მე არ მისამია, იქ ვიჯექი, მუხტარი, ბაღნები იყვნენ, ღამეში დაილაში ვიყავით, იქ ვისამეთ.

– მეჰმედად უკრავდა!

– მეჰმედად-ჰო? მე იმა არ გეგნევი.

– გამოსწიეთ ერთი. სა მიხვალ, დაჯექ აგზე.

– ჩამოდ აქით, თოხი გქონდეს, დედჭირე. ჩვენ მისირლი არ ვართ, ივეთი ვართ ძველებური.

– დურსუნ ემო, ჩამოდ, ჩამოდ, ჩაი ვსვათ.

– ბაღნები კითხულობენ, ფული აღარ შემარჩინეს.

– ჰა მიხვალ ეზანის დროს მუუსლეელი?

– მე თუ ღამაზათ არ გამუალ, შენ დაგაბრალებ... ნუ მაცინებ!

– ნუ იცინი.

– გაცინული გამოიდა.

– ჩაი სვით, ბიჭებო, ჩაი; გამედღეთ სელიმა.

ეს შეატანეთ ჩაის.

– თქვენ დიგინახეთ. თქვენ ქართული არ დედლაპარიკეთ, მუხტარმა დეილაპარიკა.

– სათავეზე ამოხვიდეთნა?

– მედტად, ავაგსო.

– ამა ეცოდინება, ამა. მაჭიხლელებმა, ამათ იციან.

– პური მიაქ.

– საზღვარი ზემოთ არი.

- მოვსულიყავით'ნა, ადრესი არ მქონდა. ამისი ემიაშვილები ვართ.
- ჩაი დოუსხით, ჭო, ჩაი.
- ჩემ დედესაც ჩემნაირი თვალები ქონდა. ესა აქვერულია.
- ხოჯა ამბობს, მოდო, საქმე გააგდევით.
- ათეისტი არ იქს. არ წავა.
- ზოგი სვემს, ზოგი არა; მე ვსვამ.
- ნამეტარი ძვირია. ფარას ვაგებ; ისენი არ სმენ.
- სამოც წელ ვსვი მე ძიგარად. მღვეელიც არიან და ღუულევეელიც.
- იმის საქმე ისაა, იქვერობა სხვა არი.
- თურქეთი კად არი, აქ გინდა ილოცავ, გინდა არა. წორე ის არი.
- ეძინა? რადა? თვალები არ გაუს.
- კახიძეები არიან-თუ ბათუმში? კახიძეები ნათესავია ჩემი. ჩემი ნენე კახიძეა, ფარნუხიდან გადმოსული. მეგლუდად თქვენი ნათესავია?
- დიობნელებ ინსნიჭამიას უძახიან.
- უცოცხლიან ბევრ ხალხ აქ.
- ჭოჭე ყოფილა, ვერ გეარდენ, ინსანი ვერ ცხოვრობდა.
- სა წვეყვანოთ, დიობან წვეყვანეთო, ზათი ვერ იცოცხლებენ, დედხოცნენო.
- ნელ-ნელა ინსანი გახდენ; მე არ მოვწრებივარ, იქიდან გამოტყენებულან გადმა სერები დოუნახავან, ორი თანე მოკლეს, ერთი თანე გეძქვა. სამი თანე ყოფილან. ოთხასი თანე წამოიდნენ.
- შედურ-ბუდურ მოდიან, წამოსულან, იქიდან დოუნახავან და ედა აქ მოსულან.
- ხახვი'ნა გაჭრა, მარილი'ნა დააყარო.
- ჩვენი ბიბიად გათხოვლი ყოფილა გოგიეთ.
- დღვან იმისი ბიბოძს ბაჭალა გათხოვილა. მემედად ჩვენი დეგანი ყოფილა. გვარი არ მახსოვს, ენი წვერზე მიგორავს. ჩიფნიოლლი მემედად ყოფილა, ეიდა ჯაჩ ეტყოდენ, ლადაბს.
- არ გეექცევი, არა, ქომოთკენ მივლოდი, აგზე გამაჩერეს.
- მე წვედე ახლა. თავრობაში ვიყავ, თავრობაში.
- აქეთ ათი თანედან ცხრა კარში, გარეთ არიან. ბათუმში ერთი თანე უნივერსიტეა?
- აქიდან თახე რომ წახვალ, ქომოთ ჩხოკობაე ქვია, არაბას გზა არ არი, ხარით ადიან.
- ახალისოფელი იცი? ტადად მყავს იქა. ოთხი კვირის წინ იქ ვიყავ.
- აქ არის ჯამიკარი წყალი, წყაროთვალი ჯანარად - ესა ნაცარას ქვეშიდამ გამოდის. გერმელი წყალებია.
- ჩვენთან სხალი მოდის, ვაშლი, ქლიავი, ჭანჭური, ოტურია.
- სხალი არის თავრეზულად, სასელად, ბოსტავანი.
- გვაქ შექერვაშლი, ჯავევაშლი, კარაფილა.
- თუთა ერთი მეტი არაა. ბალია-შავი ბალი. ქვიშნად, ნორმალი ბალი.
- ლობიო არის აგარელად, ხაშრი ლობიო; ჩვენ სოფელში მოსული ლობიოს გემო ქომოთ არ არი.
- მაროლი-ნახვის ერთათ ჩაჭრი, ოურევ და იმას ქვია სალათა.
- ყართოფი ორი ჯინსი არი: ერთი მოხარშავ, ჭამ. ერთ ჩორბაში ჭამ. ერთი გასაბრაწები. ფრჩხილით წამოკარ, თუ თეთრია, კადა. გარედან წითელი - ი არ იჭმის, წარეა.
- ამ სოფლის სახელი - „იფხრეველი“ იქიდან, იმ ხიდიდან არი ართმეველი. საუბრობდა დურსუნ სანჯა - 72 წლის.

იფხრეველი

- ბათუმიდან მოიდა იმისი ახრაბა, ზათი გადადიოდენ, მოდიოდენ. ჩვენი დეგანია, გედევლა იქა, თავის დედამ არ მედწონა: შენ რავაი ლაპარიკი დიგიწაველიაო. ბაბოს დას ზათი ბიბოს ვეტყოდით, ანას დას თეიზას უძახიან. ჩვენი ლაპარიკი თქვენთვინ დეიშურია, თქვენი ლაპარიკი ჩვენთინ დეიშურია.
- ხოფას'ნა ჩახვიდე ქი, ბათუმ'ნა ჩახვიდე.

– რასოდ უთავდებით ოთელში? ხასები არ წვევლით სახში. ჩემი ბაბოძს სახლი აქაა, კაცის სახლი აქაა.

– ზეზე დგას და ცოდვას პატარად, ორი წელწადი აკლია, ოცის გახდეს.

– ჩვენი ბიბიად იყო იგზე და მოკლა.

– ესა ჩემი დოდოფალია. ამა სამი რძალი ყავს. ისენი წასული არიან? ერთი-ისტამბულ, ერთი-რიზეში. მე შინა ვარ.

– რაინა ქნა ჩემი სახელი, რათ გინდა?

– ბინაზ! ოფლე დაფმა. ბაღვები იქვერულია, გურჯიჯა არ ილაპარიკებენ. ალთუნი აბა არ გექნებიან? ჰამა მალავთ, მალავთ! ჩემი მული იქ არი, დეშმინაზად, ბათუმ შეჰერში ვარო. ბაღანა გადმოიდა და ისე ილაპარიკა. იქ ბევრი ნაკითხი აქ, რამე არ ხდება, ვერ შედიან ვერაფერში. ჰექიმი'ნა გამხდარიყო, ვერ გახდა, იქ იკითხეო.

– საიდან ხართ თქვენ, რომელი ადგილიდან? ჩვენი სახელი რა'ნა ქნა, სად'ნა წიგვიყვანოთ? მე დეთიმი ვარ, არ ვიცი; ფასაფორთი არ გვაქ.

– ჩემ მამამთილ ქალი ყავდა, გადმოდიან, გაქუცვენ და წადიან. ნაჩარი ქალები.

– ჰილმაზ, შენ უმფო გცოდნია. ახლა არ მაგონდება ქი. ჩვენ თქვენი ლაპარიკი ვერ მიმხდარვართ ქი ხანდახან. სახში არ დევლაპარიკებთ, აქვერი კაცები არ გეძტანს.

– ჰინ არ მეშინია, ჰმაშლი ვართ, ღარჭები აგზე გამოგვიღე, აგზე ეს გამეფდე!

– თქვენ მარტივად დადიხართ, თუ? ბათუმიდან ნენეები გყავს. ქითაბ გააკეთებ?

– კაცები ყურბეთში წადიან, მოდიან.

– ამა კიბეს ვუძახით ჩვენ, გურჯები. მერდევანიც ქვია.

– ერთი დევე გამასვენე! ჩვენი ბიბიაშვილის ბაღიშია. იი გამოვსწოთ, ე ხელები გა- მოვსწოთ.

– გამოწვევა არ უნდანან.

-- აქ ბევრი ქალები არ არიან.

– ამა ქორ ვეტყვით ჩვენ, თივას ვინახავთ.

-- ამან არ იცის სიმღერა, ბლაცყია, ბლაცყი. მე მურადად მქვია, ამა გიუნად.

-- მოგიტანს, აბა, არ მოგიტანს?

-- ჩვენ გოლში მივალთ, დევბანოთ'ნა. იმათ ვუთხართ, ჰამა არ წამოიდეს.

-- გზა გააკეთეს – მადლი დეგედვა.

– თქვენშიც ცივია? აქვერი წყალი სადმე არაა.

– ბევრი იცის იმა. ესენი მორცხვი არიან, აჩული არ ღარჩე.

– რას წერავ? თურქია უმფო ყოლადა.

– აქიდან კითხულობენ ბევრი, მარა იქ ნაკითხები აქ არ ყაბულობენ, თექრე შედიან.

– მე აქ არ ვარ, წასული ვარ ანკარაში.

– დამავიწყდა, გეარა, წევდა. არ მაგონდება ქი ახლა.

– ივეთ არიან? იქ ვისთან იყავით? სახელი იცით?

– მახველებს, შემცივდა რაცხა, ჩოხა გეგხადე.

– აქ გადმოდიან ბათუმური ბაღვები, სამობენ. თქვენ არ გადმოდიხართ?

აქაც არი ფესტივალი, წადით, დაწერავთ. სა ემეს იჯებით, სა წვებით?

– იქიდან ვინმე გყავან, რომ დადიხართ? რაცხა მოდიან, თეთრი არაბად თქვენია? გზა მიიღევა იგზე, არაბა არ ავა იგზე.

– ესაა თუთა, ჟოლი. ბექმეზ მაადულებენ. დავარყევთ, მემრე ქვაბში ჩავჰყრით, ავადუ- ღებთ. ადუღებ, ადუღებ, მაადუღებ, მოვხარშავთ, ჯვალში გადავსხამთ, გეწურვის, თეშთში ჩავასხამთ, მოვხარშავთ, ჩედუღოს'ნა. ბიდონში, ყველამფერში ჩაასხამ, ყაფად არ დააბურავ.

– წყველა ვიცი: კარი გამოგეძრას, შენ გამოვსილო.

ამან იცის სიმღერა, თქვი გო!

„ის ანჯახ ღმერთმა იცის,

მე რომ შენთვინ ვიწვი.“

* * *

„ტაფაში დავდე დაღი,

ე რა ფენა დემეწვა,

სერი რომ გედვიარე,
ე რა გული დემეწვა.”

– ეს ჩემი ბაჯალაა, ევა. ეს დიდია. ამაზე პატარად არი, ამაზე ქვია. ევა კითხულობს, ბელლი არაა, საღ’ნა იკითხოს.

– ახლა მევბარგეთ, ანკარას ვიყავთ, ბაღვები იქ არიან, კითხულობენ. ერთი დავა-სახლეთ ახლა. თაზე ჩვენი ძროხა არ არი, თითო ძროხა გვეყავს, შინ არი.

– თელი მიხდებიან, ვერ ილაპარაკებენ. ესენი ჩარში დედადნენ, იქ გეზარდნენ. ათი წელწადია ანკარას ბაშქანი გახდა ჩვენი კაცი. ყურბეთში აღარ წავეღეთ, ბითევი აქ ვართ.

– დიდი თოვლი მოვა, ჰამა კადა, ლამაზი. ესა ნაზვია, იმა ციხეს ვებნევით, იმნიეთ ციხეა.

კაკალი ხანდახან არ მოდის, შარშან არ იყო, წელს მესხა.

– ვიცოდე, ვიტყვი.

– ახლა აღარ გადმოდიან, აღარ გადავდივართ.

– რა ალაგიდან ხართ?

– მოდიოდენ იქიდან, გურჯისტანიდან, გამოადებიეს ფაშაფორთი.

– ათი წელწადი ხდება, ვერ წავეღეთ. ჩემ კაცმა არ ქნა, ჯენნეთლიმ, შეშინდა.

ფეშტივალაია, მაშინ’ნა მოსულიყავით.

წყალსიმერიდან რძალი გვეყავს, ღარჭმა მედნონა, დუგუნი ვქენით.

– სამ წელწად დედამთილმა რძალს’და უყოს რძალობა, მემრე რძალმა’ნა ქნას რძალობა. დედასავეთ ბითუმ კაღ’ნა იყოს; სხვის შვილ მეყვან, ახალი მეყვანე, იმა რა იცის სხვის სახში? იმან შედშალა.

– ბირბუჩუდ საათი გახდა.

– ახლა მყავს ბაღში, ხდება და არ ლაპარაკობს.

ხოჯა ქალი ხარ შენ?

– ჰამანქი ქომოთ თურქი არიან. წეთილეთ აღარ ლაპარაკობენ გურჯიჯა, დიდრვანები ლაპარაკობენ, წურილები-არა.

– კამერა არ გაქვან, გამოსწოთ? ჩვენები მოიდენ იმ წელწად, დიობან წავასხით; გამოიარეს ასკერებმა, მეგერ რა გონიან? იზანი გაქვანო?

რა უხაროდენ!

– ნური ანას და იქ მომკლარა. ზამან თუ მოიდა, გზა გედსხნა, იქვერი მიწა მედტანეთ და დამყარეთო. ღარჭები ყავს იქ. მაშინ მისლა-მოსლა ყოფილა, მემრე დავაფანებულა.

თქვენ თელევიზორ ბევრ ვსეირობთ. მოსულები არა ვართ. გურჯისტანში არიან ჩვენი ხისიმები. ადგილები არ ვიცი. გადმოიდენ და დარჩენილან. ბევრი წადიან. ძველათ დუღუმი ყოფილა იშტა, ფენა ალაგი უპოვნიან.

– დმერთს ჯერობთ? იმგვარები არიან, დმერთს არ ჯერობენ.

ქალი არ შედის ჯამეში. არ სწყევლო არავის. დმერთმა ჩენგე დიგიყაფანოს-ამგვარი ვიცით.

– ბაჯალა მყავს ანკარას და მოვა დღეს. ამ თერეფზე ახლო ხართ თქვენ? ჩვენი ანად იტყოდა, საველელად წვედოლითო, გასათხვარი ყოფილა.

– ესა ჩემი დოდოფალია. ამ თვეში’ნა ეყოლოს, ფენა მიყვარს. ფენა ახლოა, გზა არი, იგზედან იგზე გახვალ-და.

– ახლა დეენიშნეთ რძალი ერზუმიდან. ფეხიძიმეზე ვიტყვით, ფუშინაიო. „დასვა ბაღვი, ეყოლა”, შობიარეაო-ვიტყვით.

– ჩემი ბაჯალა მოვა, შავშეთ იყო. თახსით წვედენ.

– შავშეთ ვიყავ, იქიდან მუალ, დამცხა. ქომოიდან’ნა გამოიდნენ.

– გამოგწვევენ, გო!

– ვინცხა მომეკრას, ჯანუმ ძიგარადთ ვარ. სამოცი წელწადია, ვსვამ.

– დუგუნში სიმღერას ფენა ამბობენ, ჰამა თლათ თურქია არი.

– თქვენები ჩამოიდნენ არაბადთ, ახლა მეორები წვედენ.

– ის თივაზე მივა, თივაზე, გიდელად მიაქ.

* * *

– ჩვენ ვიცით ფშუნილად, დალი, ძე, მაწონი, წვანე ლობიო.

იმა დავამტრევთ, გავრცხით, ხახვ ჩავსჭრით დაღში, შედხრაკვის, ჩააყარო'ნა ლობიო ერთ დრამ წყალ შუუყენებ, მარილ დააყრი, ნიორი არ გუურევ. ვიცით ფხალ-ლობიო.

ლობოს მოხარშავ კარქა. წვენ წავწურავთ, გადავასხამთ, იმა ამოვლესავთ ასე ციცხვით (გაქვან ციცხვი?), ლახანას მოხარშავ, კარგა მედხარშვის, კარქა'ნა გაწურო. გარცხა, ეხოთ დანაყე, ლობიოს წვენი, დარჩენილი, დაასხა, ხახვი დაღში'ნა მოხრაკო, ნიორიც'ნა დანაყო, რაცხამდენი გიამება, ლობიოც ჩაყარო.

– თქვენ ღორი ყოფილხართ ჩვენზე (ღორი აქ კარგის, უკეთესის მნიშვნელობითაა. ასე მოგვმართა მოსაუბრემ, როცა ჩვენ კერძის დამზადების ჩვენეული წესი ვუთხართ – ჩამწ.)

– გვაქ ჭანჭური, წურილი, ზეთუნივით. რომ მუა, მოკრეფ, გავახმოთ, შევინახავთ. დუგუნებში იხმარენ ყადსიფე.

საუბრობდნენ: ვესპიე ემირი–87 წლის;
ემინე ხაშაროღლი – 60 წლის.

ჩაქველთა

* * *

– დუნიაზე ქი მოდის, ანადამ-და, გურჯის ასწავლის; ხომ ფუშიდან გურჯი არ გამოდის, დედი ფუშიდან? ასწავლის-და ღარჭ? ფუშიდან თურქი გამოდის, მუსლიმან ოღადი, ჰამა ფუშიდან მუსლიმანი გამოდის, ხრისტიანი გამოდის; ამას უკან ისწავლის ქრისტიანს, სომხობას, მუსლიმნობას, ზოგი მეგრელია...

ქრისტიანი თურქი არ არის, თურქულათ ლაპარაკობს, თურქია.

ჩვენ თურქისაგან გარჩევლი არ ვართ. თან გურჯი ვარ, თან მუსლიმანი ვარ. მაჭიხელი გურჯია.

* * *

უსტამისიდან ამოსულიც არიან. გურჯისტანიდან არ არიან. მე კარგა არ ვიცი, ჩვენი ფოცხოვიდან მოსულან, ოილე...

ი ჩემი დუნგუნია – ჩემი ბაჯალა იმისი დედოფალია.

ეს ანწლია; ყართოფ დავთესავ, სიმინდ დავთესავ, ლობიოს დავთესავ, მოწონთას დავთესავ.

ყველაფერ გააკეთებ, ემეღს; კოტორ მოხარშავ – ჭამ; მოწონთას მოხარშავ – ჭამ და ემეღს გააკეთებ, ლობიოდანაც ჟავეს ჩადებ, ემეღს გააკეთებ, ყველაფერიდან გააკეთებ, ითხოვს ჩემი ბერი, ჟავე ჩადევო. დათესილია-და, იგი მაქ, ცოტა გვიან, არ გათბა-და, ახლათ გამეიყარა, მალე'ნა გამოიდეს ქი, ემე ექნა, ჰალა არ გამოსულა. სიმინდ დავფქვავე, ჭადი. ყველაფერ გააკეთებ, ხავიწ მაადუღებ, ედ, ჭად ჩასხამ, გევრეგ ჩასხამ, იმიდამ შორვასაც მაადუღებ.

მაწვნიდან? გასწურავ, ემე იქნება, დო იქნება, სუზმა იქნება, ყველაფერი იქნება მაწვნიდან.

* * *

ზაფხულში შტრიან, აკმობენ, ზამთრისთვინ ადუღებენ.

– დანი, ზამთარშიც სდგებოთ აქა?

ჩვენ წავდივართ ზამთარში, არავინ არა მყავს შავშეთში, ორნი ვართ, ერთი თექი ბაჯალა მყავს. წადან შენ თქვი, ქი არ დეგველაპარაკო, ერთი ბიჭი ყავს, ართვინ, ხადასტროში საქმობს, იქ არი იშტე, ზათი ერზორუმ იყო. ონ სენე იქ იყვნენ ჩემი სიძე და ახლა იქ მეიქუნენ, შეიღისი (!) იქ წამოიდა და ახლა იქ არიან; იზინი თუ მისცეს, მუა და თუ არა-და – ვერა. ორი თანე ღარჭი ყავს – ერთი ბაჯალა, ერთი ბიჭი. ახლაც ემე, მექთები მარჩინეს, ახლაც ხოჯის ემეში არიან, აკითხებენ.

* * *

– ჩემი დუგუნი მართალი დუგუნი იყო: ჰემ მუზიკა იყო, ჰემ დავლი იყო. მე... ენ წინა ბიჭი იყო ესა-და; ედღა, სულ ენ წინა იშტა. ჩემ დედამთილ ზათი სამი ბიჭი ყავს იმა... იმგვარი დუგუნი'ნა ვქნაო, ქი... სულ წინაეც არიო (ზეგნური იყო ზათი, ახალდაბიდან გადმოთხოვილი, იქიდან უთხოვნიან ხორთლად ბერ... აინი ადეთი არის, აქ მეიხედე, იმ ხიდზე'ნა გედეაროს, იქეთა თერეფიდან, იქიდან გადმოუყვანია იშტა, ის არი იქიდან. სოფელში არ დასახლებულა-და, იქიდან იქ გადმოუყვანია-და იშტა, სულ წინა ბიჭი ეს არი), უთქვამს ქი, იმგვარი დუგუნი'ნა ვქნა ქი... ჩაღლი ორი-სამი ჩეშიტი'ნა მეყვანო'და... ამა მართალი დუგუნი იყო: დავლი, მუზიყა, გარმონი... იმღერეს... ამა მე რა ვიცი, მღერაზე ვერ მუაწყობ.

ელჩებმა დარეს, უთხრეს ქი, ჯერ პატარაია, ე ასეა, ე ისეა იშტა, ერთი ბიჭი იყო, მისცეს.

* * *

მაშინ რაცხას მეტანდა ქი, მეტანდა, არა-და...

ახლა... უუ... ბევრი რაცხა უნდანან: ორი ბილგუზი'ნა იყოს, ორი ამავალი'ნა იყოს, ორი ჩამავალი'ნა იყოს, უთლიან, აბა რაა! უთლის-ჰო.

დუგუნში ბიშ ჩამოურიგებენ, ემეგ, უუ... ტათლის გააკეთებენ, ყაურმას გააკეთებენ.

მამამთილთან ბევრხან არ დეილაპარაკებენ, მე ბევრხან არ ველაპარაკებოდი, მაშინ ადეთი ისე იყო – უსულად ლაპარაკობდენ. თქვენშიც არი? დამძრახება, მამამთილი შამუა, ადგე'ნა ფეხზე, თამამ, აბა, მაასწრო'ნა, ჩეთინია. დედამთილ დოუჯერო'ნა, იმის პასუხიდან გადახველ, თამამ. მაშინ თელი ერთათ იყო: დედამთილი, მამამთილი, მაზლი; ახლა წავლენ ბიჭი, ბაკალა; ახლა დოდოფად ოდას მუუწყობენ, თავესთვინ არიან. მაშინ ბევრი იყვენ.

* * *

– ამას ეკალი ქვია, ზოგს გავახმობთ, ზოგ ამა დავაჭრით, გამუასუფოებთ, მოვადუღებთ ლეჩერს.

– ამის კაცი მუხტარი იყო. შენ ილაპარაკებ, ჩემ კაც ასეო? ის ილაპარაკებდა. ამის სახში იყავით? რა გენჯი ყოფილხართ. ორი სენე? ამის კაც ხასანად ქვია. მეც დავაქო, ჩემი კაცია-და! სხვამ არ დააქოს; ონ სენე იყო მუხტარი, აბა! იმდენ ხან მუხტარი იყო. ჯამაგირი, ფარა ქონდა, ჰამა ცოტად.

ისა თურმანეთია, ესა ჩიმაგეთია, იმა გაღმიეთი ქვია.

* * *

– დოხ, მღერა არ ვიცი, მემღერალი ზათი არ ვიყავი.

იგი იმ კაცის ემოღს შვილია-და... მითხრა ქი... ჯამეს ქი აკეთებენ კაცები, ემეგზე ამასხა, აემეგ უჰაზირებდა-და, მითხრა ქი, მე არ მცალიაო-და, შენ დოუძახე და შენ ასწავლეო ლაპარაკიო, მე ემეგ ვაკეთებო-და.

* * *

– იმგვარად გათოვლდება ქი... ედვსება თოვლი ფენა...

აქაც არიან ისა, ესა.

ჩემი დედე სტამბოლ დადის, ერთი ბიჭი ყავს და იმათან დადის, საქონელი ქექონდა, ჰამა თველზე ქი წავდივართ, ზამთარში, მემრე ვერ გაჰყიდითო, ქი ვაძლევეთ გასაკვებლად, ე, გასაკვებლად მიე, ფარა მიე ხან-ხან და... გაყიდეთ.

* * *

– აქიდან თურმანეთია, ალთმიშ და... ბინდოხუზ დუზ ალთმიშ გევერჩიეთ. თქვენი რაგორია, არ ვიცი, ჩვენი ბინდოხუზ დუზ ალთმიში, ორმოცდაცხრა წელიწადია, გევერჩიეთ, გევერჩიენით, ისენი თავესთვინ არიან, ჩვენ - ჩვენთვინ.

ჯვარისხევი ეს არი, ეჰე, გზა შემოვა. ჩვენი, ჩვენ ბარადს ვეტყვით, ჩაქველთადს ბარადა ეს, ჰო; ეს ჩაქველთის გზა არი, ესეც ბარადა-და; არვინ არ არიან იქა ახლა, ჩვენი დაილა, ისაც ჩვენი. სამთარში ზოგი წავლენ, ბითევი არა, ევეთ.

თურმანეთსა გზა... შავშეთში მინავალი კოთხეგია, კოთხევიდან აბრუნდება. ველიქომა, ველიქოდან გადმოდის, ორ-სამ ალაგიდან გადმოდის თურმანეთსა გზა, ჰამა კოთხევიდან ფეთქო, ახალდაბა ავა, ახალდაბიდან თურმანეთსა გადავა, აქიდან არ გადავა.

* * *

– ძველები, ძველები დედხოცნენ, ახლებმა არ იციან.

– სიმინდ ფქვევდა წკრილო და ფქვილი ხდებოდა; წისქვილი არ იცით თქვენ, წისქვილი? უწინ დელეში იყო, წყლით ბრუნეგდა-და, მემრე აქ ამევიტანეთ.

– რაზე ვერ'ნა გააკეთოს, დედეს გუჟკეთებია და ეს ვერ გააკეთებს?

* * *

ერთ საცხა მეზერ დეინახეგდენ კვდრისას, ზიარეთილო. იწებოდენ, იწებოდენ, ტყვილათ სიზმარ ნახეგდენ (სიზმარ რას ეტყვით, დამით ქი ნახვენ, „სიზმარ“ არ ეტყვით?), ე, მე სიზმარი ვნახე და ასე ყოფილა, ფორტას ებნევიან, ფორტას, უსტამისის თერეფზეა ფორტა, იქ იყო ერთანე, ჰე, იქ წადიოდენ; ჰო, აქიდან გევილოდენ, მაშინ ფეხდაფეხ გევილოდენ, მაშინ არაბა არ იყო, ზათენ აღარვინ აღარ წავლენ იქ, დოსტრები ქი არ იყვნენ, მაშინ გევილოდენ, ახლა დოსტრები არიან, იქ არევენ არ წავა.

დავიქეთი სვირეენის მეჰელეა.

* * *

– რაცხას დაჰკლევდენ, ყურბან, მე რა ვიცი, რას შეეხვეწებოდენ ღმერთს... ბევრი თუ არი, არ გააწვიმო, აგრეა; სა იყავთ გუშინ, ქი გაწვიმდა?

– ახსანამაზზე ბზე ჩეიწურვის, შვიდ დეყე უკან, ბზე'ნა ჩეიწუროს, შვიდ დეყე უკან იფთარია, ეზან იკითხვენ.

გათენებას ერთი-ორი საათი დოურჩება, ემე'ნა ქნა, დასლული'ნა ჭამო, დამით კად რამეს ჭამ, იფთარზეც, დასლულზეც.

* * *

– ახლა მივალთ, შეშა'ნა მევიტანოთ, სამთარში დავსჭარით და, ისა გამხმარა-და, ბუზანკალია, ხარს ეხევა, ფურცელ მოვსტეხავ, ასე ვუბრაგუნებ, პურ ვაჭმევ, თივას ვაჭმევ, დედნახე მოტანილი თივა?

– მამპარეს ძაღლი; დათვმა იქ, დელეში, შეიყვანა; დათვმა და გელეებმა მეერივნენ. ერთი ძაღლი კიდევ მეყვანე-და, წეიყვანეს ისაც. ახლა უძაღლო ვერ დავმდგარვარ; დათვი მოდის და დევენახე დათვი. ძაღლს შეეშინა და იქ შეძრა.

– იცოცხლე, გერმელობით იცოცხლე, გერმელობით წადით, მოდით; კარგობა მოგცეს ღმერთმა.

დაღამდება, გვეინათლებთ; ძიგარად გინდა, მოუკიდებთ. ჩემი (?) ისტამბოლ სახლი დიდი კიბე აქ, ხან-ხან ელექტრიკები სწყდება; გვეინათლებ, გვეიარ; სწყდება, სახლებში სწყდება, ჰო კარგად (=ბევრჯერ, ხშირად – ჩამწ.) სწყდება.

* * *

აშურა

ჰაშურა, აშურა ქვია. შვიდი ჩეშიტი'ნა იყოს, შვიდი ჩეშიტი. შვიდი თანედან'ნა იყოს, ჰო; რაცხა გინდა, შვიდი თანე აათავე-და... ბუღდა'ნა იყოს, კაკალი ვურევთ ჩვენ, თხილ ვურევთ, ემეს ვურევთ... ეე... ყურძნის გამხმარს (რა არი, არ ვიცი, „ყურძნის გამხმარი“ რა იქნება თქვენში?), ლობიოს ვურევთ, სიმინდ მოვხარშავთ, იმა უკან ჩავაყრით, სიმინდსაც ვაყრით. შვიდი ჩეშიტი'ნა აათავო. მერე მარილი, მარილიც შვიდთანე.

– მარილი ბევრი არა, ისე... გაამწარებს'და.

მარილი ცოტა'ნა ჩააყარო.

– შექერი ხასი უნდა, ბევრი. ბევრმა ქი გემო მისცეს. შექერი უნდა, აბა! დარიგება... დავარიგებთ, დარიგება კადა.

– ვოინაა!... ბევრ დავარიგებთ, შვიდთანე'და აათავო. გინდა ოცდაათთანეს მიე, ორმოც-თანეს მიე და შვიდზე ქომოთ არა; შვიდთანე'და აათავო. ჰამა შენ გინდა, დოუფანტე, მად-ლია...

– თქვენ აღულებთ ქი?

* * *

– დოდოფალი თხუთმეტი დღისა გახდა, მივიდოდით იმით, იმა მიეყვანდენ ბაბოს სახში, ეფეიხან იქნებოდა, ჰამა ახლა ისა ადგა, აღარ იჯებინ, ფესსაბრუნებელად მივიდოდა. ყველა წელიწად წვეიდოდა, ყველა წელიწად ფესსაბრუნებელად მივიდოდა ბაბოს სახში, თხუთმეტ დღე დადგებოდა, ჰამა ისა ადგა ახლა. ჰო, სამშობლოს, სამშობლოს მივალო, იტყვიან (მოულოდნელად მთქმელმა შეცვალა ინფორმაცია – ჩამწ.).

სამ დღეს უკან'ნა მივდეს, სამ დღეს უკან'ნა მივიდეს. იმ ღამეს დეიფანტვიან, სიძე'ნა წვეიდეს, ის არ'ნა წვედეს, სიძე არ'ნა დაჟდეს.

დოდოფლობა ახლა ისე აღარ არი... ჰო, ჩვენ ვქენეთ, ჩვენ ვქენეთ და ჩვენ უკან – არა.

– დოდოფალი მოქყავან, საჩუქვარი ვინ ქყავან? გელინ, გელინ, ბიზუმ გელინო (თურქულად ამბობს, შემდეგ ქართულად – ჩამწ.), შენი რძალიო დაჟდეს, ფეხზე არ ადგესო... სიმღერას გამოუთქვემდენ იმა. ჰამა ახლანდელი აღარაფერი აღარ არი. ესენი, გაღმითა სოფლები რომ არი, ბევრია ესენი. რაცხა რომ გასაგნები გაქვან, იქ'ნა უთხრათ'ნა.

საჩუქარი... ემეს გამოუშვებდენ... და ცხვარი, და ყოჩია, ძროხა... ჰო, იმას გამოუშვებდენ და იმისი გახდებოდა, დოდოფლისა, ჰო, დოდოფლისა.

ცხენით მიეყვანეს ქი, ჩამუახტუმლებდენ, იმას ქვეშედან ემე ჰქონდა, ფარდაც დოუგებდენ, იმაზე ჩამუახტუმლებდენ, ჰო იმაზე ჩამუახტუმლებდენ. და ცხვარ გამოუშვებდენ, და ძროხას და... ჰამა ბიჭის თერეფი, თუ უნდა, იმას დაჰკლევდა იგზე, ბიჭის თერეფი.

– ბაჭლის თერეფი (სხვა მოსაუბრემ შეუსწორა – ჩამწ.).

– ჰო ბაჭლი, თერეფი. გამოუშვებენ იმა. თუ უნდნან იგზე დაჰკვლენ იშტა, თუ არა და... დოდოფლისა გახდება.

* * *

– უწინ ელჩები იყო, ელჩები... აბა! იმგვარი ემე იყო ქი, დოდოფალი, ერთ წელიწად არუნიებდენ, არ აძლევდენ, ერთ წელიწად, ორ წელიწად. მე ორ მისლაზე ემე ვქენ... მე გევიპარე, ჩვენ ორთავ ბაჯანალი ვართ, აბა რაა?! (იქ მყოფ ქვისლზე ამბობს – ჩამწ.).

ჩვენ ადნი ბაჯანალი ვართ, ამან მეიპარა.

ერთ-ორ წელიწად არ დეგველაპარაკენ. სიმაგრმა ბარსამხან არბენია ესენი, ჰამა მემრე დეებარიშა.

– გოგოს არ ენდომებოდა, მე წვეყვანდი გზაზე? ამ სოფლის გოგოა,

... გოგო ღამით, ახშანამაზი იყო... ორმოცდაცხრა წელიწადია.

– იმდენი არ არი.

– ორმოცდარვა წელიწადია, ოცდარვა (უჭირს ქართულად რიცხვების დასახელება – ჩამწ.). ოცდათვრამეტი (გაუსწორა ქვისლმა – ჩამწ.).

– ჰო, ოცდათვრამეტი, ოთუხ სექიხ სენე, ოცდათვრამეტი, ჩემიც ორმოცდათერთმეტ... ორმოცდაერთი წელიწადია. მე ოცდაორი-სამი ვიყავ, ოცდაორი წელიწადისა ვიყავ კი. ესკრობას ეტყვიან, ორ წელიწად ესკერი ვიყავ, ჯარი-მია? რას ეტყვიან? ჯარში წაველი, მას უკან მუელ. იმ წელიწადზე ემე ვქენ.

ბაბომის არ უნდოდა, ანამისი არ ჰყავდა ზათი, მომკდარი იყო, დედა არ ჰყავდა.

სხვაგან უნდოდა, ბაჭალასაც ამის თავი უნდოდა, გოგოსაც.

(აქაური იყო? – ჩამწ.).

აქვერი, ჰო.

ა იმისი სახლიც, ამ... პაწა სახლი რომ არი, იმის ზემოდან არი, ჩემი სახლიც ამ უკნედან არი, ამათი სახლი რომ არი, ამ გზის ზემოთ, სერში.

(მოპარულ ქალს სახლში ვერ მიიყვანდი?)

ვერა, ვერა. სხვაგან წიყვანა, სოფელგარეთ.
(შენს სახლში რატომ არ მიიყვანე ბაჯანალი?)
მაშინ ესა სუხლი გახდებოდა, ქი... შენ მაპარეო.
– მე დამაბრალებდენ.
– ამა დააბრალებდენ, ამა!

მემრე დავბარიშდით. ველარ შოუძლო ბაბომისმა, აქა... მესელა... ცოტა... წინ... წინა
ემიები არიან, ვინცხას პასუხი ემე აქ იმას წასწევდენ წინ, ისინი მივიდოდენ, დააბარი-
შებდენ.

„დაბარიშება“ – გაბუკული ვიქნებით და დეველაპარიკებით.

არ დეველაპარიკებით - „გაბუკვას“ იმა ვეტყვით; „დაბარიშება“ - შერიგება, ჰო! „დაბა-
რიშება“ თურქია არი, „გაბუკული“... არ დეველაპარიკები „გაბუკული“ისაა, ბუკი პირსაც ქვია,
ჰამა „გაბუკვას“ არ დეველაპარიკებით, იმას ვეტყვით.

– ეს წარბი, ეს – წამწამად, ესა „თვალის დახუჭვა“, ვინცხას რომ მაატყვილეფ, არა?
(თვალის ჩაკვრაზე ამბობს – ჩამწ.). რაცხა შეგივარდება თვალში, წუელა შეგივარდება.
ამისი ნათქვამი ბევრი რაცხადსთინ იქნება (თვალის ჩაკვრის სხვადასხვა მნიშვნელობას
გულისხმობს – ჩამწ.), „იშმარი მისცაო“. „იშმარი მისცაო“, - ისე ვიტყვით. თვალებს ქი დოუ-
ხუჭავ, ემეს იქ „იშმარი მისცაო“. სხვა სიტყვა არ არი.

– ეს ცხვირი. აქ (ჩადრმავებულ ადგილზე ამბობს – ჩამწ.) არაფერ არ ვიტყვით. „კეხ-
საც“ ვიტყვით, „კეხი“, „კეხი“ ჰო, „კეხი“. ჩავარდნილ ალაგ „კეხ“ ვეტყვით, „კომბოხოსაც“
ეტყვიან. იმდენი არ ვიცო-და.

ცხვირის ნეშტო. ესა ტუჩები (დაწვზე მიუთითა – ჩამწ.), ესა „ტიტვირი“, ესა ლოყა არი,
„ლოყაც“ ითქმის. ეს გურჯიჯა „ტუჩია“. „ტუჩები დოუწითლდაო“, ვიტყვით, გაშავდება –
„გოუშავდაო“ ვიტყვით, გაწითდება – „გოუწითლდაო“. „გოულამაზდა, გოულამაზდა“.

ეს - ყური. მაგას „ქუფელას“ ვეტყვით. (ყურის ბიბილოზე მიუთითა – ჩამწ.). ზათი
თურქიაც „ქუფელა“ არი.

გურჯიჯაც „ქუფელა“ ებნევიან. „ფარფალასაც“ ეტყვიან, ესენი „ქუფელას“ ეტყვიან;
„ყური დოუწიწა“, ჰო „ყური დოუწიწა“. გაჰერსიანდები და ემეს იქ მაშინ და ... „ყური
დოუწიწა“.

ეს ნიკაპი. ეს – თავი. „თავი“ ვეტყვით ამას, „ხაპერ არ ვეტყვით, ესა - „ქელი“. „ქელი“
არ ექნება, ადა თმა (გაუსწორა მეორემ – ჩამწ.).

თმა რომ არ გექნება, „ქელია“.

იმას კოშისთვინ ვიტყვით, ამ კოშისთინ, აგზე თუ ემე აქ (შუბლის ნოჭზე ამბობს –
ჩამწ.). ორი ღარჭი“ნა ეყოლოს, სამი ღარჭი“ნა ეყოლოს...

თქვენ რას ეტყვით? არ ვიცი, ჩვენ „კოშ“ ვიტყვით, მართალია, ტყვილია...

სამი თანე მყავს. „კოში“ ეს არის, შუბლია.

„კოში“ ერთიც ემეს ქვია, დათესვენ და ამოვა, მოწოშტას გავს ცოტა, ხაპი. იმასაც
„კოშ“ ვეტყვით; შიგანად ცარიელია, წმინდა ტარი აქ, იმა „კოშ“ ვეტყვით. იმაჰაც, ამაჰაც
„კოშ“ ვეტყვით. ანი, შენი დათვალო (მერი ცინცადის შუბლის ნოჭებს ითვლის – ჩამწ.),
ერთი, ორი, სამი, ოთხითანე გყავს. ტყვილი, ტყვილი ყოფილა ის.

„თავი“ ვეტყვით. ძველებ ეცოდინებიან ბელქი-და, მე არ ვიცი. ძველებსა ეცოდინებიან.

ე - „ნიკაპი“, ჰო. ე – ყია, ყია. ესა – გული, აგზე გულია. ყირყიტონი შიგან არი. თქვენ
ხოჯები ხართ უნივერსიტეტში? ღარჭებ ასწავლით, არა?

* * *

ბობოლი? გძელი ემე ის არი, სხვა რამეს არა, გველი, გველი, ბობოლი იმა ვეტყვით.
„ფინთიშეს“ ვეტყვით.

„ფინთიშესაც“ ვეტყვით, ჰამა მისი სახელი „ბობოლია“. გძელი ემე არი-ა? გაცურდება.
იმიდან გვეშინია ჩვენ, არავისთვინ არ უკბენია, ჰამა გვეშინია. დემირლიც არიან, დანი, ბევრი
არიან აქა, ყორეებზე იციან... ქვიან ალაგებში იქნებიან, ჭალებშიც არიან.

მე ესლა აქ თუთა“ნა მეჭამა, ჩაველი და... თუთის ძირიდან ერთიც წამოვიდა, ჰამან
დეყეყელა თავი, ასწია; დიდი იყო. ერთი ქვა გევიქნიე, გეიქცა იშტა, ჰამა მოვკალ, არა, არ
ვიცი, გეიქცა. სახში რომ მოვა, შენი ემეე გახდება, არ’და მოკლაო, იტყვიან. კიდევ მოვა

ისაო, ერთთანეს მოჰკლავ, მეორე მოვაო და გიკბენსო. დანახული მაქ და მოკლული არ მყავს.

* * *

ჭიაყელად, მეშველად, ი მეშველად, მეშველადც იმფო მოკლეა ის, ასე ... ონ სანთიმ, ონბემ სანთიმ, ქვიან ალაგეფში არის. ჩვენ სახლებში. ხელივი სხვაა, ხელივი დეშილია,, ამ რენგზე, აგზე წყალი არი აგზე, ამ რენგისია. ე, შენ გაცვია, მაგ რენგისია.

კუდ აქანებს, ჰო; მევიგონე, დამავიწყდა, რა ვთქვი, დამავიწყდა... მეშველად, მეშველად. მეშველად ხელივზე პატარაა, ასე კუდ იქნევს, დარბის სახლებში. ზარალი არა აქ იმა, არავის არც უკბენს. ამ ჩვენ სახლებში, დეფნებში, შეშის სახლებში შამუა. ხელივი, დეგმა არ შამუა, ხელივი უკბენსო, ამბობს, იტყვიან, ჰამა.

კოშხე მიახტებაო.

კოშხე მიახტებაო, ჰამა არავის არ მიხტომია.

(იმას რა ქვია, ყართოფას და იმას რა აფუჭებს?)

ბოტოტი, ბოტოტი ქვია, ილაჯ იმას ვიჯებით, ვფუმფავთ და ვხოცავთ. დერმან ემეს ვიჯებით, დერმან გავათხელებთ, ვიღებთ დერმან-და, ჰო, ფომფაში ჩავასხამთ, ზრუგზე მედვიდავ ფომფას, იმა აქნევ, ასე ვფომფავთ, ასე ემეს იჯება, აშხაპებს ყართოფების ფურცლებზე, ისენი დეიხოცებიან, ჩაცვივიან ძირ.

კალადა, კალადა!

არა, არა, ჩემი ნათქვამი სხვა არი, ბოტოტია, ბოტოტი ხრავს. ხრავს, შჭამს ი ფურცელს... წითელი ბოტოტია, ქერქიანი.

კალადა ქი უხტება ის არი; ჭაღებში არი, ბევრი არიან, ბევრი. ისენიც შჭამენ, ჰამა ჩვენში ისენი არ არიან. გაღმა სოფელში არიან.

* * *

იმას ციციანათელას ვებნევით, ღამით ანთობს... საიდან ანთობს არ ვიცი, ენთება ღამით. იმა ციციანათელას ვებნევით, თქვენც ებნევით „ციციანათელას“?

* * *

ა, თისარტყელად, თისარტყელად, თი-სარ-ტყელად, „თისარტყელას“ ვებყვით. რენგ-რენგ დაჰა დეეყუდება ასე, აქიდან ე იქ გადავა. თქვენ იმა რას ეტყვით? აქაც იტყვიან, აქაც იტყვიან. გადახტები ზედ, ქვეშ, ბიჭი თუ ხარ, ბაჯალა გახდები. ბაჯალა თუ ხარ, ბიჭი გახდები. არ გედეიხტუმლება და იმაზე ამბობენ.

* * *

ეს ჯინჯარია, ჩვენც ვკრეფთ, ჩვენც. ახლაც ვჭკამთ. ზამთრისთვინაც ვინახავთ. გავახ-მობთ, ის კადა. აქ იციან.

– კადაო, იტყვიან.

ზეთ ის იქნება, თოხუმი ზეიდან, დასათესი, იმა მოჰკრეფენ, გაახმობენ იმა და შეხრესენ, ღამაზათ შეხრესენ და შუშეში ემეში ჩადებენ, თაფლ თქვენ ეტყვით. თაფლი!. თაფლის ერადან უურევენ და ჰასტანლული რომ იქნებიან ადანი, უგოვლელი ჰასტანლული, იმა ისე აჭმევენ. დეშილ ფურცელსაც ახმობენ, ადულებენ.

ძველ მუხტრის ქალია, ის ალაპარაკეთ ახლა, ჩემიდან გეყოფიან.

უგოვლელი – ავატყოფი რომ ვერ დადის.

ავატყოფებს უყურებთ, დოხტრები ხართ თუ არა? დოხტრობა არ გაქვან?

– ჩემი სახელი? ნიზამ ბილმიში. გურჯული გვარი არა მაქ. რაცხა არის, არის. ძველები მოსული არიან. ერთი ამბობენ ბათომიდან, ერთი ამბობენ – მაჭიხლიდან, ისე, იმიდან... რა ქვია? ფოცხოვიდან, ფოცხოვიდანო... დედებმაც ჩვენსავენ იცოდენ, არ იციან. სამი თანე ძმა მოსულან აქა, ამ სოფელში დამუდარან, დემურჯი ყოფილან, ჰო, იშტა, იქიდან ამდენი გახდილან იშტა, გაბევრებულან.

* * *

სოფელი ჩაქველთა, ახალი სახელი „შენოჯახ“; ახალი სახელი, ორმოცი წელიწადია ანჯახ არის, შეერქვა. იმაზე წინ „ჩაქველთა“ იყო. სხვა სოფელზე ერთად ვიყავით, მაშინ „ყაფბაშ“ ეტყოდნენ. ჩაქველთა ესკიდან ბერი „ჩაქველთა“, ძველი სახელია, არ გამოცლილა.

„თა“, „ჩაქველ თა“ (გვისხნის – ჩამწ.), ზემოთ ქვა არი მაღალი, მაღალი ქვა არი. ჰემ დუშუგი ალაგიც არი, ჰემ თიანი ალაგი. დაბლაც არი, ჰემ თა არი, ჰემ დაბლა არი. ა იქ არი. გადაღმით არი, ემეა, სოფელია, გურჯისტანის სოფელია, ჰამა ახლოს, ვლაპარაკობთ ჩობნები, ძროხას აძუებენ, ველაპარაკებით ერთმანებ, ჰო, ჰო, დოუძახებთ ერთმანებ, ისენი ლოცულობენ, დოუძახებთ, დეველაპარაკებით, ჰამა აქიდან და აი გაღმითა სახლია, ამ სიშორიეს; მივხდებით, ჰო, მივხდებით. ჩამოიდეთო? – ვეტყვით. არ ჩამოხვიდეთო, ქი დეგიტირვენო და ახლა, ახლა ჩადიან უჩუმალი, წავლენ, დაჯდებიან, დეველაპარაკებიან.

მე დემიჭირეს, რუსების ესკრებმა მე დემიჭირეს, ჩომას ვაძუებდი-და, დემიჭირეს, მოვდენ თოფებით. ბაღვი მეხლა მე, ძველ დროს, თორმეტი წელიწადია. ახლა აღარ, კიდენ დადიან ისენი, ჰამა დღივ არა, დღივ არ არიან. დემიჭირეს და იმან დიდ ვინცხას ვლაპარაკა.

– „რამდენი მეტრო გოუვლია, რა იჯება, რას იჯება?“

– „ჩომას აძუებს, ძროხებ აძუებს“ – ისე უთხრა ჰერალდა, მეტროც გაზომეს, რამდენი გემივლია (რუსები კიდევ ხან-ხანს დადიან).

ჩვენ (=ჩვენმა) ჩობნებმა დემიძახეს, გეიქეცი, ქი მოდიანო, იმათინ, ჰამა ვერ მოვასწარ, ჩემი ჩომა გედვიდენ იქა.

ელაპარაკა იმან დიდ ვინცხამა უთხრა ქი, გოუშვითო. იმ ასკერს ერთი თანე გურჯი ახლავს, ქართველი ახლავს. ისენი წვეიდენ და ცოტა უკან დარჩა ის ქართველი, მითხრა ქი, წადი და მეორედ აღარ ამასხაო, ჩვენებურად მითხრა, იმათთან ვერ მელაპარაკა. ახლა გაყოლადა.

– ჩემი სახელი?

– ზია, ზია ჩოვორჯუ. ექვს თვეს აქ ვცოცხლობ, ექვს თვეს ემეში, რიხესთან, ვსაქმობ. რიზე იცი? ჰაქიმთან საქმობდა. რას ეტყვით თქვენ? თამამ-მი. ვინცხა ქი დასაკოტებელი, გასაშვები, თამამ-მი. ვინცხას რაცხა უქნია, იმას მოასხემდენ ჩვენთან, ჩვენ იმას დეველაპარაკებოლით ყველაფერ, მართლა თუ უქნია ი საქმე, შიგან შევაგდებით (ხელით გეჩვენებს გისოსებს – ჩამწ.). თუ არა-და ილლა გოუშვებით.

– მეც ჩაის ვაკეთებდი, ჩაის ფაბრიკაში ვიყავ.

– ფაბრიკაში იყო.

– მეც ჩაის ვაკეთებდი.

– ახლაც ზამთარში ისტამბოლში ჩავალთ, ზაფხულში – აქა. ზამთარში ღარტები იქ არიან. ზამთარში ბევრი თოვლი მოვა აქა; აქ ორი მეტრო თოვლი მოვა იმაზე აქ არ შეიძლომლება(!) ბევრი რამ. ჩემი ღარტები ბითევი იქ არიან, რიხეს არიან. ამისიც ისტამბოლ არიან. იქ წავდივართ ზამთარში „ნისანი“ რას ეტყვიან?

– „ნისან“ ემეს ეტყვიან... მაისში მოვდივართ, მაისში; მაისში მოვდივართ, იმას უკან...

– „ნისან“ აპრილ ეტყვიან.

– ჰო, აპრილი. ჰა იმ დროში მოვდივართ, გასათოვლებელ დროში წავდივართ.

– ნისანი აპრილია.

– აქა რჩებიან, ჰამა ბევრი არა. ცოტად რჩებიან, ჩვენი არავინ; ოცი თანე რჩებიან, ოცი კვამლი.

– ყველაფერ, ექვს თვე რაცხა გეყოფა, აავსობ ბედელ. გახვალ, ჰამა, შებარგავ კიდევ, გზა გვისხნება, გათოვლდება. ჰუქუმეთი გასხნის, ჰო, გასხნის გზას. გათოვლდა ამაღამ, ხვალ გასხნის, გეგვისხნის. ჰუქუმეთი გეგვისხნის, ჩახვალ, ედღებ შავშეთში, ამოხვალ. იყიდღებ ფარაზე.

– აქა სიმინდი, ბუღდა... ყველაფერ ჩვენ ვიქლით, ამა ახლა ვეღარ გვიქნია, არ ვიჯებით (იმათ ქი ჭამენ, ღორები არიან-და, ღორები).

– ზათი იქ ვიდებთ ფარას, სათლელ. „სათლელი“ ფარას ქვია, ფული, ფული. ქართულა „ფარას“ ვეტყვით ჩვენ, „სათლელსაც“ ვეტყვით, „ფულსაც“ ვეტყვით. „სათლელი ედღე?“ მესელა, ისაც აინი, ისაც აინი.

– ემეკლი ვარ, ოცი წელიწადია ემეკლი ვარ. ახლა აღარ არი, ჩვენ დროში იყო-და. ახლა სამოცდახუთი... ორმოცდათხუთმეტი წლისა, სამოცი წლისა'ნა გახდე. ჩვენ დროში ორმოცი წლისა ემეკლი ხდებოდა, ორმოცი წლისა ვიყავ.

ახლანდელი დოლარით ვთქვა მე, ახლანდელი დოლარით. სამასი და ორმოცდაათი. ვყოფნილობ. ამა ექვსასი დოლარის ამღებელიც არი. ორეთმენები, მემრე ბევრი მსაქმებულები დაჰა ბევრ იღებენ.

მე ვისაქმე ოც წელიწად და იმაზე ცოტას ვიღებ. ცოტადც არ არი, მე ვყოფნილობ, ვყოფნილობ.

* * *

მე ახლა ჯამეში'ნა ჩევიდე. იქც ჩამოდთ, მეიარეთ.

* * *

– ბეთი ხმა აქ ფენა. მე კამიონი მეგონა. ერთი კაცი მოიდა-და კამიონის ხმა იყო. ახლოა... ჩავლაზე დაგანახვებ (გამოქვაბულზე გვეუბნება – ჩამწ.), შეხვალ, ჰამა ისე ბნელეთ არი და იშიდი'ნა წივლო. არ დაგვიკვირვებულვარ, არ ვიცი, ჰამა ეფეხანია, ჰალა ღარჭობის დროს გვეიდოლით ბაჭლები, გათხვეული არ ვიყავ. ახლა ძნელი არ არი ემე, ცოტა აღმართია ჰამა...

საუბრობდნენ: ნიზამ ბილშიში
ზია ჩოვორჯუ
ხასან ბაირახტარი
ფეხმეგულ გუნდაგონი – 60 წლის
ემსალ ირჩი 53 წლის

* * *

აქ ვარ, აქა, არსათ არ წევალ.

შვილები მყავ...

ჩაქველთური წყალია...

რე ვიცი..

ა' ვიცი, ტყვილი რაფერ გელაპარიკო? ა' ვიცი.

ზემო, ემე არიან, თურქები. იქა ბევრი მაჰალეებია...

შენი ოჯალი თურქია.

მალლა თურმანიზე არი, თურქია არი...

დიდი ჯამე არი, სალოცველი, იგზე ვიყავი. ქობლეთ ვიყავი, რაცხაფე ვეწიკებოდი. რიზედან მანქანებ დუუდებლი, ვეწიკებოდი.

ფული ვაწვინე, ემეკლი გავხდი.

აქა, რიდამ რა მოდის... ვაშლი მოვა, კაკალი არი, ყურძენი, სხალი, ყურძენი თეთრი, შავი, ადესად... ქერი მოდის, ვთესვედით, აღარ ვთესავთ, ქართოფ ვთესავთ...

აინი ვართ. აჟარადან გადმოსული ვართ, ბაბამა თქვა. ჩვენი დაილა იგზეა, ჩანს. ჩვენი ძველი სოფალი ბაირახტარია.

ძველი გვარი აღარაა, ადგა. ახალი გვარები მოვდა, თურქული...

ერთი, ორი, სამი თანე მეჰელეა. ამას გაღმეთი ქვია, იმას ლაზეთი, იმას ზედავრი მეჰელე ქვია. იმა მეგრელები, იმა დადიენთი. იმაში არიან, ბათუმში, დადიანები.

აქ დელე ქი ჩადის, რაბათის დელე ქვია. შერთული ქი გამეღარეთ, ყალე რომაა, იგი რაბათია. ყალე ახლა დაანგრიეს, ალთუნი ნახეს. მინდორი ქია, იქა დუზზე დორთ ქოშალი ციხე იყო, დაანგრიეს. ქვაზე ნაწერები იყო... ღამით მეეთხარეს... მეთაბრა ქვია იმ ადგილ. ქვემოდან ქილისა იყო, ზედან ყალე. აქავრელებმა დაანგრიეს, ოქრო ძებნეს... აქ თურქი მაგას არ გედეკითხავს. თურქი კაც კლავს და მაგას არ გედეკითხავს.

ჰასანად ვარ, ბაირახტარი, აქდემირი.

აქავრობებში მაქ ყანა.

მეთაბრას ეტყოდენ ამ ციხეს. აქავრელებმა დარგეს ეს ნიგზები.

ავჯობას ვიჯებოდით. ღორ. დათვ. მკველ კკლავდით. ყოლდამ მოდიან. ახლა დასაღია. ერთი დათვის მოკლა ალთი ბინ ჯარიმაა.

სოფლიერმა გააკეთეს ად ჯამე.

მე არა მყავს შვილები.

ზამთარში შავშეთში ჩავდივარ. ისტამბოლშიც მაქ სახლი, ქირაზე. აქ გავწუხდები, ჩავალ შავშეთში, ამათი ბაბოე ისტამბოლშია.

ამოდ, ჰაიდე, ამოდ, აქ მუა.

საქონელი ვასხამთ: ჩომა, ჯარი ავასხამთ, რიზეში გავასხამთ, თრაპიზონში გავასხამთ, იქ ვაკლევებთ. ძვირი ღირს ხორცი. ქილო, თურქის ფარა შვიდი მილიონი. აქ ცუდათ არ გეძღება, ბათუმურად არაა. აქ ფული ვერა პთხოვ ვერავის, არ მოქცემენ. შენ მაძღარი'ნა იყო. შენთან'ნა მოვიდენ. ორმოცი მილიარდი ასაღები მაქ, ვერ მაძღვეენ...

ჩომას ვყიდი, ჰო...

დაილა გვაქ სარჩიარო. ჩვენაც იქ ვართ. ვლაპარაკობდი ხულებებში, იმათ ეშინოდათ. იქვერი ქალი წეთილეთ არი.

ძველებურიც არი, ახალიც არი. ად სახლი ირმი წლისაა, ოზდარო.

ამ სხალ წარიას ვეტყვით. თოვლი ქი მუა, მაშინ მუა. თავრეჯულად არია, სახელები მე არ ვიცი. ზიზნაური, შექერ ვაშლი, ბერვად... ეს ღობიო თეთრი ღობიოა, ჩორბალუდი. შავშეთი (ღობიო ჯიშია – ჩამწ.) აქ არ მოდის.

აქ მოდიან, იქვერი ენა ვერ ვიწავლეთ...

ამ სოფელში იყო, კაცი მუუკტა, ფარა დაშჩა, მევერედ გეეთხვა.

მღერა? ძველებმა თუ ახლებმა? აბა არ იცოდენ? მე არ ვერეოდი მაქვერ საქმეებში. სიმღერას დუუდინგლავ, ჰექიას დუუდინგლავ, ყოლაფერ დუუდინგლავ იშტა.

შეატანე ბისქვიტი. დალიე ერთიც, ერთიც...

სახში შევალთ, ამადამა დარჩით აქა.

ფესტივალზე არ'ნა გახვიდეთ? ახლა'ნა მოვიდენ თქვენიდამა.

ვოტკა არ მერჩოლება, ბევრ დავლევ. ახლა ალთიშ წლისა ვარ. ვისკი დავლიე.

ად აჭარული ბულუთებია. იმ ბულუთებ ხედავ? იქამდე მისული ვარ აჭარადამ. ჩვენი დაილაც იგზეა. იქედამ გადმაასხი საქონელი.

ყალეზე'ნა ახვიდე, მანქანიდამ'ნა ჩამოხვიდე, ფეხის გზა არი, გედარო'და ციხის იქით, დუზ მეთრო, გზაც არ იქნება, ახვიდე'ნა ყალეში შიგან, ხუთასი მეთრო შეხვალ. მაღარა ციხის იქითაა... იმისი წამოსული წვერი აქ გამოსულია. მაღარა ოსმალლი დევლეთ უხმარია. თამარა ქალი ყოფილა, იმა უხმარია; იქა ქვიებზე მალლა დაზებია, ჩემ მუხთრობი დროში, ჰოდა იქა ჩავტენეთ დინამეთი და გავხეთქეთ ქვა და კლდეში შიგა სილაჰი ამოვლე...

მაღარაში მეც წამულ მალე იყოს, ჰამა, იქ ვედარ ამულ. დაზები არი იქა. ოსმალური დაზი არაა, რუსის დაზ ვეტყოდით. იქ ხეთი კიდევე ძველებური სილაჰი იყო... მოვდა და მითხრა წვერიან კაცმა, ასე წვერი ქონდა, ჰიდამ ხარო, დაჟდა.

ართვინიდამ ვარ-მეთქი, ჩაქველთას ეტყვიან-მეთქი.

რაბათი ახლოა? იმამ მითხრა, იქიდამა ჩამოსული ვარო. ერთი-ორი ადგილი მითხრა ოქრო არიო. ვნახეთ და არ იყო.

თერორი იყო მაშინ. კაცებ კლევდენ-მეთქი და დევლეთი მაძღვედა თოფებ-მეთქი... ფული თუ გაქ, ყველაფერი გაქ. იფხრეულაც არი მაღარა, ყალეც არი, ბრეელი არი. ყოლა მედარეთ?

აქ ესკი ხრისტიანები ყოფილან. ქილისა ქი ყოფილა? იგზე ელიაწმინდა არი. ქილისა არალი. წმინდა ემე არი... ელიაწმინდის იქიდამე, სერზე ისი არი... დუზია, ქუნდი ჯვარი ქვია, დიდი ოლა არი, დანგრეულა და... იქიდამ თელი ჩანს. საზგირელზე ჩვენც გავდივართ.

ა იქ იყო, დარვიეთი არი ერთი გაღმით, იქაც ქილისას ნანგრევები არი ერთი გაღმით. დაბლა რაბათი არია, აქ ამედარეთ, ერმენები ყოფილან, ჰო იქ ქილისები ქვები დამჩადა. იქიდამ წასულან, იმათ ჩვენი ემეები, დიდვანები დაკმარებიან, თურქებიც დუუტოციან და ბათუმ გადასხმაში უშველიან იმათოვინ. აქიდამ ბათუმ წვედლოდითა ჩვენ, იქ ჩვედლოდით, ჩვენი დევლები იტყოდენ, ზოგნი დაკოცილან ერმენები, იქ არ მუუკლიან.

იქ და ქილისა იყო, დადა ასკერი. ზველათ აქ ზათი ქართველების დევლეთი იყო, იქიდამ უყურებდენ.

ნაღები დინდება, მერე ემე... დალი ცალკე გვერჩევა, მემრე მიორე შედგება, ყველი გახდება, ამედღეფ. დავხრესავთ იმა შეში გობებში... შეთბება, დალით მოხრაკული გაკეთდება... შეშის კროჭში ჩავტენავთ...

შენ რას უძახდი?

ჩუმ არ გვევლებდი. დიდი ქი იყო, ვთლიდი, ჩუმ არ გვევლებდი. ის მეტყოდა - ოროსპოო, დედამთილი. მეც ვეტყოდი - ოროსპოო... დემერთმა ჯეჰენემში წიგიყვანოსო... ისე ეტყვიან გონჯი ინსნები დედამთილ. კად იტყვის, გერმელათ გაცოცხლოს, არა დედი (დერდი) არ მოქცეს; დემერთმა ქალი-კაცი ერთ ბალიშზე დაგაბეროს; საცხა წახვალ გზა-კვალი გიგირი-ჩიოს.

დიმინახა, მიმიპარა, იშტა მე, წამავლო ხელი... კად ბიჭი იყო ჰო, მიმღერებდა...

ფესტივალზე მიხვალთ ახლა?

თურქულად არ'ნა იყოს ჰინ?

საქონელი ათი სული არიან. ქორში, საბძელში, იქში ჩავყრით ჩვენ (თივას - ჩამწ.).

თოვლი. უუუ აქ რამდენი გათოვდება? ზამთარში ჩავალთ ახორში, მუალთ სახში...

იმგვარ თავი ტკივა... ნახევარი მეცოდები, ნახევარი არა... ძიგარას ბრალია, აბა რა!

ი დიდი ბიჭია და ად პაწადა.

ღარტები აღარ არიან, გენჯები აღარ არიან, ოქული დაყაფანდა.

აქა ფაბრიკა, არაფერი არაა. არვინ არაა, ღარტიც არაა.

შენი არხატაში რომ იყო, ი რე იქნა? მაშინ ჩვენი ნათესავი ხართ: მოლაშვილი-მოლ-ლოლლი.

მეგრელი ინადიო, ჩვენი ნენე ისე ეტყოდა. აქ რაცხა სოდადია, იქაც არიან.

შარშან იშტე ფალაზად იყო, უხსნიდა თელეფონით...

ამას წამოყევი?

ნახმარიც იყოს მომიტანონა. ამგვარი აკორდიონები ბევრი მქონდა.

ყველა ქართველებ სალამი. ეს სასამურადა ორთაბათუმი, დუჟერა'და, თქვენ ისამოთ'ნა.

თქვენიდამ გადმოსული არი ეს, პაიდე. ჩვენ აქ დევწავლეთ, ახლა მე აქში დუჟკარი, თქვენ გამოგიგზავნო'ნა. მე ჯაპირ ილმაზი ვარ, აკორდიონჯი, გარმონჯი, გვარიც მოლ-ლოლლი მაქ, მოლაშვილი.

დახრესამდე შედეფ, შედნახავ. ანაგორად გააკეთებ კანდრას, ბუზდოლაფში შედეფ.

ბაჯალას რამზე ქვია. ბუზდოლაბი'ნა დედნახოს ჰო!

მაშინ მატლი ჩადიოდა, ისე ჭამდენ. უწინ ერთი-ორი ძროხა იყო. აკეთებდენ, ჭამდენ.

ბექმეზია, ლეჩერს მოჩოჩთად უნდა. ქესტანად ხაპი არი, ერთი მოჩოჩთად არი.

სიმილი კად არი, კად. ყანას დავკნავთ ვარებით. ახლა თრაქტორით. ვარები ამოვწყვი-ტეთ. ახლა დათადში არიან ვარები, აქ არ არიან...

ეჭედებოდენ.

ზაქიეთი, ბელტიეთი, დაბა. გზეები არი.

აბა არ არი'ან, სავსე. ერ თანე ბაჯალას მოქცემთ, ერთ აგართვამთ ყარშიბერი.

ახლა ზმები თავისთივ იკეთებენ. კად იქნებიან დანაწილდებიან. ბაბოე გაარჩევს, გაანა-წილევს. წედიკინდლებენ, მეზობელი მუა, გაარჩევს: სახელ გუუყოფს, მემრე ყოლიფერ გუუ-ყოფს მოზობელი.

შავ ფოშეთში ბალი მაქ,

გოგო შენზე თვალი მაქ,

შენ ანამ არ შეგვიტყვანოს,

ე რასოდ იყბალი გვაქ...

* * *

- მაღარა გასწავლათ, არ წამოგყვა?! იმა ტკივა და მე არ მტკივა? წამოკყვე'და, პასუხი მოგე, წამოკყვე'და. თურმანიზე სოფელია. ზედან შევიართ, ევალთ. უკანიდანაც აღის, აქიდანაც აღის.

გედიკითხო უნდა. ტყვილი ტყვილს იპოვს. თქვენ ტყვილი არ ყოფილიყავით, ტყვილ კაც არ იპოვიდით.

აჲ დედჲ რამდენის იქნება? სამი წელიწადი და დოქსან ბეში იქნება. ჰალა მამე აქეთ. თქვენიტ არ ლაპარიკობდა ამისი ქმარი? იგზე ლაპარიკობდა. ჩვენი მიცემა არ იქნება. ემსალად დაწერე იმ სახშია. იქ არ გითხარ, იმ სახშიაო? ტყვილი ტყვილს იპოვს. უპოვნიან ერთი არხატაში ამათ, ჭლიკები მტკივაო, ვერ წამუალო. შედთანქიბი აშხანაყალარ თირფანს თიბავს, ჭლიკი არ ტკივა და... ჭლიკები მტკივა ჰა? შეშინდა თქვენიდან.

– ჩემი ერთი ბიჭი ოთხი დღის წინ ბათომ იყო. გურჯისტან გაველითო, ერთი-ორი სოფელი ვნახეთ, დაებრუნდითო. მაზუთი ევლეო, ნაჩარი გამომიდგაო. აღმართში არ ეწიკა სულო. დაფათ მომცეს ჰამაო, აღმართში მივადექ, დადგაო. დედლიაო, იმათი აღარააო მაზოთი, ახლა ფრინავს...

ახლა ქი ბენზინში მიველით, დეგვინახეს, სიცილი დედწყესო. ჰამან მივხტი, ნაჩარი ბენზინი ჩემისხათ'ნა, გოუგენი. ვუთხარ, მე ქართული ვარ, ნაჩარი ბენზინი არ ჩემისხათაო. არა, კაცო, არა, კაცოო. თელი იმგვარია იქა?!

– ოთხმოცდაათი წლისაა. რაზე დაბერებულხარ შენა? სექსანია!

– ჯამეში ვიყავი ახლა. ჩაის ფაბრიკაში ვსაქმობდი. აგი დევლეუთის საქმეში, აღლიეში საქმობდა.

არხავე ლაზია. მე არდაშენს ვიყავი. იქიდან გადმოსულან, ლაზურად არ იციან. ამათი ძველები ლაზოდლები ყოფილან, ჰამა მურადოდლებს ეტყვიან. შავშეთშიც გურჯი ყოფილან, ჰამა დავიწყნიან, გადაბრუნებულან.

ორი თორუნი მყავს, გურჯიჯა ატყვებენ, ვერ დუულაპარაკნიან. ჩვენაც გურჯი ვართ, ჰამა თურქჩას რომ ვლაპარიკოფთ'ა, გურჯი ბევრი აღარ ვიცით. რავარ გითხრა, ვერ გვილაპარაკნია.

– ჩვენ მეღეზი ვართ, დოღმა, არეფლი. დოდრი გურჯი თქვენ ხართ, ჩვენ - მეღეზი. ჩვენში თურქი ლაპარიკი მოსწონან. თქვენში გურჯი ჩასაწერია, ჩვენში – თურქი.

– ძველათ გუუკეთებიან, დარჩომილა. შეშით არი თქვენი სახლები? ბაზგირეთ ახველით თქვენ? ფესტივალზე იყავით? აჲ სახლი დაანგრიეს და ახალი გააკეთეს. ამის ემოდსა. ქორი აჲა, მერეგსაც ვეტყვით, საბძელსაც. გადმითა სოფელი რომ არი, ქორს ეტყვიან, საბძელს არ ეტყვიან. ესა ტანტრაბა, ჩვენში – დეფანი.

ამისი ხე რომ არი, გაჰხდიან, გაჰხდიან, სახმარო კასრ გაჰხდიან, ჭურჭელი გაკეთდება, კროჭ ეტყვიან... ხის ტყავიდან რომ გააკეთებენ, კოდს ეტყვიან. აჰწონავ ერთ ემესა, ათი, თერთმეტი რომაა, იმისი სათაგოდა, ენა, სარწყავი. კოლოფი იყო, კასრი იყო, კოდი იყო, კაპილად იყო. კაპილად... წყალ ამოიღებ, დოს ამოიღებ... შეშიდან აკეთებენ კაპილას. ამის ემე და შიანაჲ ხაპერად რომ არი... კოში. ესაც არი. შიანაჲ ცარიელია... ყიაწმინდა.

შავშეთში მინავალი კოთხეგია. ქართული აღარ იციან. ძველები დედხოცნენ, ახლებმა არ იციან.

– ღორები თუთას ჭამენ. დათვი დასაღია, მოჰკლავ, არ'ნა შიგიტყვან'ნა, ღორი სერბესია.

– აქა იქნება თხიები, ქიები ექნება, ისენიც იქნება. ისენი აქ არ დადგებიან, გაღმა კვლდიები რომაა, იქ დადგებიან.

– ზიარეთი სვირეგან არის. დაწვებიან იქ, სიზმარ ნახვენ. ზიარეთი ევლია მეზერია.

– მაშინ ჩვენი ესკერი წასულია. წასული იქა. ისინი, კანეთის ემეზე მომკტარი, კად ინსანიო, იმაზე იტყვიან...

ყურადი იქნებოდა, დედწყებოდა მიწა, გააწვიმეო შეეხვეწებოდა. უსტამისს დაილაზე ვიყავით, სად ახველით ჯანუმ. კარჩხალის ჰამან უკნედან. აქიდან წამუა ჩვენი წვიმა. წვიმა ბორჩხის ბარაჟიდან არი. ახლა დენირელის ბარაჟს აკეთებენ, მაშინ აქ ჩაჲ მუა. ართვინის ამოდდეს'ნა აქამდის. დასამობს ამუა, ჰა. ვიწროზე წამოსულია დედე.

ვინცხას მეემშევა ჭამოს. ლოკანტად დოქ. შიერი არ დარჩები, საცხა მიხუაღ, იქ ჭამ პურ.

კარი-კარ ხომ ვერ დარს?!

აქა მიართმენ, დააყენებენ. რომელცხა კარზე მიხვიდე, იქ დაგაყანებენ. აი იმ სახლის ერთი დედჲ ყოფილა, სობა ბათუმიდამ მუუტანია, აქ ყიდის. ძველათ ბუხარი იყო. ქუთუღებ მუუდებდით, შორიდან ვთბებოდით. ლობიას მუუდგამდით, შორვას ვხარჩავდით.

ბათუმი არ ვიცი და რუსიე თერეფიდაჲ მიშას არ წვავენ. ფინხი ბევრია...

– შენ კაცი არ გახდები, დაქუხე და... მარტო იყო? ბითევე ღორ ვეცყვით. თექათ იყო, თექათ? კად ტყავი ექნებოდა იმა.

გამარჯობა! ხანთუშეთი (ხანრი – ახალი) ვერხენალია, ყარაღაჯს ეტყვიან, მერე არფალია, ბოლოს ხანთუშეთი, იქეთ დებლათი, კვესაური, ზვარეთი...

* * *

– ამისი ანად თეფე ქოიდან არი.

ზამთარშიც აქ ვართ; ახლა აქ ამეარეთ, ჩვენი ყიშლაჲ იყო. ეს ბევრი ნავალია, თელი იცის მან.

– ბათომიდან ერთი ქალი გამდეთხვა აქა, კაცი მუუკდა, ხამდა გეეთხვა, მესამედ-სხვა სოფელში.

– ყალეს ქომოთ რაბათია, ასე ხასად დანგრეული არ იყო. ოქრო ნახეს და ეძებნეს, ქვეები გადაყარეს დელემი; ხალხმა, აქვერელებმა, დაანგრიეს. ოქრო ძებნეს.

– თურქი მაგას არ მედკითხავს, თურქი კაც კლავს და ყალეს არ დაანგრევს?!

– ბევრი იყვნენ ბევრი და ისტამბულ წვედენ.

– მეზობელი, მოკდე, არ აგაყენებს. ისე გახდნენ, წინ-წინ ასე არ იყვნენ; მოკდე, არ შექხედავენ; შეხვიდე, კარებზე არ მოვლენ.

– ონ იქი სენე მუხტრობა ქნა ამან.

– აქ ბაღვები ქი არიან, ისტამბულიდან მოიდნენ. თელმა იციან: „წყალი სვი“, „წყალი“ - „სუ“; „პური ჭამე“.

– ის არი, ცოლი ზეგნებიდან არი, ციხიძირიდან. თურმანებიდან გადმოიდენ, მემიდიოდა, ჩემი კაცი მუხტარი იყო. ახლა დავბერდი. იქ დათვი მოდის, ღორები. ყართოფად დავთესე, ამამიყარეს, ღორები ფენა სუქანია.

– სა'ნა დაქდეთ? თითო ბარდალი სვით. თქვენ დევიდევთ; არ დაგასხათ ფეხზე. წავალთ, მევიტანთ შეშის დასაყრელს, პურ გამოვაცხოთ სობაში. აგზე დავდგი და სვით. იქ მუუტანე, სმენ.

– მარიაჲ იყო, ნანიად, იქ რაცხამფერი მიქონდენ, ყიდიდენ და იმას იჯებოდენ, იქ ისხდნენ [აქ ამოვასხი ჩემი კაცისთინ].

– ფესტივალზე არ ახველით? ახლა იმერხევე'ნა იყოს ფესტივალი. მეარეთ იქავრობა. ჩვენ საქმედან ვერ მოფეებით, სადმე წვევდეთ. ბახჩაც მაქ, ერთ დევეზე ვერ დავდგები.

– დათვმა ირმი კოდი ფათათესი შეჭამა.

– ღამით მუუცადე, საათ ონიქიზე ჩამუელ მე აქა; ვუცადე, ვუცადე, არ მოიდა ერთი შევეხედე, მოდიან, დანგ-დუნგ იჯებიან. ტაშ აგორებდა. ვესროლე,

ირმი ბეშთანე იყო, იქა ჩადიოდა.

– შინ ვიყავ. ერთი შევეხედე, საღამოზე – შუადამეზე ყაფი მოცხო, გუუდე, შამოიდნენ ქალები. თელეები ნაკითხი იყვნენ, ერთი არ იყო ღამაზი, მიერები ღამაზები იყვნენ. არაბით ამოიდნენ.

– ეგა მერჯიმეგია. ხახე დავჭრით, მოხსრაკავთ, მერჯიმეგ ჩავაყრით. ერთ თანე მარილიც ჩუურევთ, ბიბერი, ნიორ ემეში ჩუურევ, ჯავეში. ღამაზი მოდის. აადუდე, გააცივე ისა. ნიორი გერმელი მოდის ქი, ჭვამთ ღამაზად.

ჰალვა არ გიმიკეთებია. აქ არ აკეთებენ, ტათლი არ ვაკეთებთ. მეც ავათ ვარ.

– მე პურ ვაცხო, ხმიადი მაქ, ცოტა ქუფრი.

– ემსო, ჩაი მედტანე!

– ამას მადა აქ. ეს დაღში გამუაცხე, თუ გინდა, მაწონს შეატან, თუ გინდა, თაფლ მააწობ. შენც ჰვლებეთ გააკეთებ. მადა ჩუურიე, გასუქდება, ჩას შეატან, თხილს შეატან ჩაის, ისე გერმელია.

– გვაქ ყარა ბიბერი, ყირმიზ ბიბერი.

– იქავრულები თელი ორითმენები ყოფილან. ერთი ქალი მოიდა, ღაზი იყო დევინახე, ეს ჩვენი ვინცხა არი-მეთქი. არხატაშები არიან, შემეშინა, რაცხა'ნა დავმართონ'ნა. ერთი ქალი მოიდა-და აქა, ჩვენსა. იქ ემეში გათხოვლი იყო, რაბათ. თელეფონ გუუსხნიდი, რავაი ხარ-მეთქი.

– ბახჩაში გამეგვიღე. ჰაიღე, გევედო და სოფლებ დაგანახვებ. გზა-გზა გაგარონიებ, იქა ბახჩა არი, ალმა. ქომოთ ჩეგვესხა, ბევრი ქალები არიან.

– ინსნის ხორცი არ იჭმება, მეხერში რა'ნა წედელო? ინსნობა'ნა წედელო.

ინსანი ხომ არ'ნა ამოთხარო?

– აქ ყალბეზე ახველით?

მადარა მართლა არი!

საუბრობდა ემსელა იჩი-აქთემირი–50 წლის.

მანატა

ახლაჲ ჰა მისვალთ?

– ააგზე მაკითხეს გურჯი ვაიზი და წამედეღეს...

– ერთი ჩაე მაინც გვესვა, პური მაინც გვეჭამა...

– ახლა ააგზე გამოვდა და ხმა არ აქ...

– მიორე მოსლაზე აათავეფ...

– ვერ შესულა შიგა, იტყოდენ წინ-წინ ბერები, დაშლები იტყოდენ, ჰო. რა ვიცით იშტა. ეს დიობანია. წყალსიმერი მიღმაა. აგზე'და შეხვიდეთ'და. გურჯები მექთები კარშია. აქ ჩამოვედენ, აქიდაჲ ჰა. ბერები ახლა ჩამოვედენ. აჲ ჩემი ტაჲა, ამან იცის ჰა. დეთმიშ ალთი გედედარა ა...

ღათვი ანჯავეფს და ისე ჭამს.

აქაური სახელებია: ტყიპირაჲ, ჭოჭები, კონზოლები, გვალაჲ; ტბა ყოფილა დაარქვეს მანატა. ფენა იწვიმებს, ქარიშხალ ვებნევით. ამა რუს ვეტყვით, გულუჭრი, ჭალაში მიცემ, ნაკადი გახდება.

– ზოგი სოკო აღეჩებს. ცხვარაჲ არი... ცეცხლზე გააბრაწებენ, ჭამენ.

– სოდადი დამაბიწყდა.

– დაჩუმიდა, ვერ გიმიგონია.

– სულ ზედთ კი დაბურულია, იმა ჭერ ვეტყვით. ამის ზედთ ერთი ყათია, იმა ზედთ თავანი. დაწოლამდე აგზე ვიჯდებით, დაწოლა უკან წავალთ ოდებში. ამა საღონ ვუძახით. მუთმადი პურის საჭმელი ოდაა. ამა დირედ ვუძახით.

– ჩემი დედა ჭუარებიდან არი, თურქია.

ღურსი ბითთაჲა ამას აწეება, არ იყოს, ჩამოწეება.

– ციხე არ ვიცოდი, დეეწავლე. სამ დღეს ვერ იცოცხლებ, მოკლებიო, ვერ დაქდებო, ვერც ადგებო... რა დეეშავებიენ იცი? ერთი აქიდან გადმოვიდენ, ერთი საქონელ გაგაყიდიეფო, გადმუარეკია ჩომა და არ ევდა. დეეჭირეს, გონჯი კაცია. ფული ვერ იპუა, არ ევდა, მათყვილა.

ჩვენ თაზე ავდივართ, ღუღუდ ვუძახით, წამოვეყვანთ ჩომას. დეფი იყო.

ერთი აქ მეზობელი მყავ გაღმა სოფლიდამა, ქალები იყვნენ, გაკეებილი, გაკეებილი ქალები...

ჩვენ ჩვენი თავრობა გვაჭმევდა, გვასმევდა, მოვდა თქვენი ოზალი და პური გაგვიმწარა.

– აქ ისაქმებ, ჭამ, არ ისაქმებ, არავინ მოგართვამს.

– ჩვენ ყავეს ვებნევით, ამა ფინჯან ვეტყვით. ჩემი გოგოა და გათხოვილია, არდანუჯში, რაცხაფერ მააწყობდა იტყოდა და რაცხა უუხდებოდა, იციო ეტყოდენ. ქართველები ჩაისა დაჰა დიდი ჭიქით სვამენ. ი მალე'და დეიდიოს ქი, გემო გეკლოთ.

– ახლა ჩვენ დარბაზიშიღ გვეტყვიან სოფელში. იქით წევალოთ, ალთუნელ გვეტყვიან.

– ისამებენ, იმდერებენ, ის მიყვარს. ხოჯიები კითხვა არ მიყვარს. ხორომი, ცაკვა (ასე რომ შემოირბენს – გვაჩვენა მთხრობელმა – ჩამწ.), ბარი (ნელა ისამებენ), ჩქარა ისამებენ, ხორომ ეტყვიან.

ჩვენ კარიდან გევხედე,

ჭეჭლოს დაზმა კიღია,

ჭეჭლოს თუ არ მომცემენ,

ლოცვა-კითხვა ცუდია.

ჩვენ კარიდან გავხედე,

ქარიშხალი მუაო,

ჭეჭლოს თუ არ მომცემენ,
ახლიშანი (ყიამეთი) მოვაო.

ქალაქში აველ და ისენი მოიდენ, შვიდი-ვრა კაცი იყვენ, ჯამეში ამოდენ... ამა მემრე დუგუნში ჩემთან დაუდა, არ მავიწყდებითო. ადგენ, უჭმელი, უსმელი არ წახვალთო. გემეკცა გემო, დავბერდი. უწინ, დუგუნში უჩემოთ არ იმღერებდენ. „მოსლა შენი არი, წასლა შენ თქმით არ არი“.

– ჩაბმული ვიქნებოდით, ორი თანე აქიდან ვიტყოდით, ორი - იქიდან. დაშველებიხან ვიმღერებდით. აქავრობა თურქულზე ახლოა და... ბაზგირეთი რომა, იქა ფენა კად გურჯული იციან, თვალი იმაზე დაგვჩება. მაჭიხელი ნახევარი გაყოფილა. წყალ იქითად გურჯისტანია, აქეთად – თურქი. ამათი ლაპარაკი დაჰა ბევრი ხდებიან. თქვენი დაჰა ახლოა ჩვენთან. ევლოდით, რაცხაეფს ყიდიან, შავშეთლები გვეკითხებოდენ, ისენი ეფუად ამბობენ, თქვენ ბევრ იხდითო. ისენი იტყოდენ ათი ლირა, ამათ ესმიან – დეთი (ერთი?).

შავშეთ ევლოდით, მანქანას გავაგდებდი და იმათ ბაზარზე წველოდი, ეფუად ყიდდენ. ახლა ერთთანე ვერ მუუტანიან.

(მასპინძელი გვაცნობს თავის სახლს, სამუშაო იარაღებს... ჩამწ.): მერული, ფოცხი, კიბე, ზენჯირი, საბელი//თოკი, ვარიოზი, თოხი//ენოპინტრა, გოგორა, სახვეწელი, სატეხი, რენდე//თაბლა რენდე, პლანია – შალაშინი, ქუშტარა – გვერდის სასწორებელი, მათხაფი – „ხეში გასახვრეტი ბურღი“, ჩირფი, წერნაქი...

ერთმანეთზე მიახუტებს, შეკრავს.

გიმიძეს!

ნეგო – სუნველად.

კაცსა რაცხაზე ქი ჭკუა უჭრის, იმას ასწავლებენ.

ალაათდინ ალთუნელი (დარბაზიშვილი)

* * *

– ერთიც რად უთქვამს იცი? ჩემი ბაბომა იმიყვანა, ავათ ვიყავი. ამბობდა, იმფერი დრო მუა ქი, კაცმა'და მედბას'და და იფრინოს'და ქი. მიღლეთი სახლების კეთებას მუუხშირებენ ქი, ახირზამანი ახლოაო.

იმდენი არ ვიცი ქი, რად გითხრათ. ჩემი დედე ბათუმ ყოფილა ხოჯათ. შენზე ათ ტკა-ველ ზემოში არ'და გვერიო, შენ ქვემოთ ათ ტკაველში არ'ნა გვერიოთ. ღმერთი სათ არი, შენი საქმე არაა.

– ახლა მემუნნი ხართ შევარდნაბიდამ?! უნდათ ჩამაგდონ, ჰამა ვერ გააქანეს. ბურსასკე არ ჩამოდიხართ? მე გვერიქ ვარ. სხვამ თაფლი ჭამოს, შენ ტიტვირები ილოკე. იმან ფარა ედლოს, შენ იყვირე.

იქ ბევრი არიან, ბევრი. ძველი გურჯები არიან იქა. აქ მარტო ბერ-დედაბერი დავრჩენილვართ. აქიდამ წასულიც არიან ბევრი.

დარბაზიშვილები არიან იქა? თქვენ აჭარაზე ახლოს არ ხართ. ჩვენი ნათესები იქ არიან. იტყვიან, იქ დაჩიძეები არიან შუბანშიო. ჩამოთლიდენ იშტა. გადასლა-გადმოსლაზე ზღვა (ზღვე? – ჩამწ.) დუუდვიან, მარა უჩუმარად გადავიდოდით დამეო, ბაბად იტყოდა.

– ჩვენი ჯიჯანიძეები არიან თუ არა? იქიდან მოსული იქნებიან, იქიდან. ჩვენი ალაგი ზველი არ არი. ჩუნქი რაზე იცი, ბერები ილაპარაკებენ, ჩვენი დედენუმ დედე აჭარადან მოსულა.

ერთი ქილისა რაბათში იყო, ერთი ტიბეთში იყო, მე შევდიოდი ქილისეში ჰამა, ჯამეთ უხმარიათ, ჯამეთ, ეშინოდენ მიღეთ, ჰოდა შიან სურათები იყო და გუუშურვან, ცეცხლი მუუცემიან და გუუშურიან, მერე დაანგრევს. უჩ თანე ფოტოგრაფები იყო. დიდრვანი ფოტოები იყო (დაახუსტა მეორემ – ჩამწ.).

მაჭეხლელები „ფუშ“ უძახიან. ყრალი სული უდინს ანწლის ფურცელ... ცაცხვის ყოვილი... ჩემ რძალმა მოკრიფა და მზისუდუნახველი ვახმოფთ...

ყანაში დავასე ხაშარი,

დედამთილმა გამაბღეზა

და არ ვაჭამე ვახშამი...

თქვენ ლამაზათ თუ იცით, ისე დაწერეთ (გავგაფრთხილა მთქმელმა – ჩამწ.).

სახლ უკნელამ ტყიმალი,
კუნწალ-კუნწალ კიდილო,
იმ გამოვსილ უთხარი,
მე ნუ ჩამომკიდილო.

ზროხა წამეყვანალო რომ თქვით, სუნგალი გაჰკრა, განუშდა.

გაღმა სერში აკრილო,
დასახლება მაკლილო,
ღამაზი ხარ, გოგოჯან,
შენც გათხოვა გაკლილო.
გოგო ეტყვის, თამამო.

რომ კი გაათავებდენ, იმა უკან ვიმღერებდით... ღარჭები შევდოდით, გვეტყოდენ, შემოდით, შემოდით. შევდოდით, ვიმღერებდით, ვიცეკვებდით... ღამით, გძელი ღამეები იქნებოდა, ირღათ ვიზამდით. ღარჭები ყართოვ მუუპარევდით.

ჰა, ჭამეთენა (sic) (კარტოფილი მოგვართვა – ჩამწ.).

მაწონი შევაყენე,
ე რა ჯავე გამოდგა,
გოგო ქი მოვარჯულე,
დედა ჯაზი გამოდგა.
ე რა მე წყალი მინდა,
გრიალოს წყალი მინდა,
შორედან ნუ მიყურებ
და ჩემზე დასალი (sic) უნდა
ჩემ ანას ძალი უნდა.

მელექ ხოჯა ჯიჯანიძე

სოფლის ადგილები? ნაფუზრი თავი, ნასახლევი, ზედვაკე, საკაჯე, სერები, ოქროს საწველები, საბადური, ზნელი, ზაღლიპირია, საყინაური, უხერეთი, ჩხავრეთი, ღურღულეთი, სამთავარიელო, ყამჩიეთი, სარტყელა, რობანეთი, ნაკალევი, ჩახლი ახო, თუთუნები, შავტყეები, ჯავრეთი, ტყიპირა, ჯომყუნა ვაკე, სამელიენთი, ღმადელითავეები, ვაჩანეთური, დიდ ახო, ქათი ჯვარი, ზელ ქეთი (გძელ ქელი? – ჩამწ.). მანატბა ზღვიდამ ათასი და შვიდასი მეთროა, მაღალია. ასი კაცი სოფელშია, ექვსასი გარში.

სელიმ უსტა, ად ქეები ჩავორება მიშველე და!!! ქორი, საბზესაც ვეტყვით. კალოს ვლეწევდით კარებით.

მულემ ჯიჯანიძე

აიჰან კოსოლიძე

* * *

ვიყავით, ჰამა გეპერიფენ, ათ და ხუთ ანჯად ვართ; აგზე იხლამური მაქ, იგზე კიბე გეგჰაზირე, ვახმოთ და ჩაის ვაკეთებთ; ილაჯია, ავათ გახდები, სვამ და გაგამთელებს.

(ოჯახში ვინ გყავთ?)

– ამას ნუ მკითხავ:

ოცდლორ ნუფუსში გაზდილი ვარ, ახლა მარტივი ვარ; თორუნები ბურსას არიან, აღარ მოდიან. ზათი მოდიოდნენ, მიშველიდნენ. საქონელი მყავდა, გავყიდე, აღარ მყავს, ზამთარში წავდივარ. სამი გოგო მყავს. მე ბიჭი მყავდა, ამართვა ღმერთმა უკან. ჩვენთან გაცივდა, სხვაგან იწვიან, ჩემი გოგო მელაპარიკება ტელეფონზე. მე სობას ვანთებ, ანჯახ ვთბები. შიშას მეგტან კამიონით, ჰუქუმეთი იხინს მოგცემს, ათ და ხუთ დღეში მოჭრი, მეტან.

ეგა მეზობელია, გზის ადგილი ჩაწოლილა და აკეთებს. იდარეს ვიჯები, ვხლართავ (გულისხმობს, რომ თვითონ ოჯახობს – ჩამწ.).

ბევრმა იციან, ყურბეთში წასული არ ვარ, მეწავლა. ბახჩა რამდენი მაქ? გაავადე, სხვანი თიბვენ; აგზე ჩემი ძეგანია, იმა მივცემ, თიბვენ.

ორი წელწადია, მარტო ვარ; ჩემნი ლაპარიკი გედედვალა. თაზე ახვალ ერთ საათზე, აქიდან თქვენი ჰუდულია, მაწყვალთა არი. გადახედავ დარჩიძეებს.

ჩვენგან თქვენ ჰუდუდში დარჩნენ, ჩვენ აქ დავრჩით.

კარხალიდან ჩვენი სოფელი ჩანს, მაჭიხლური ბევრი არიან. ხატიჯე ხალად არ გეეთხვა. ყარადენიზი არის თქვენში? რას ეტყვი?

ჩვენ ახორში საქონელ დავაზღვევთ; ზღვა იმა ვებნევით (ასე გვითხრა ჩვენს პასუხზე - „შავი ზღვა“ - ჩამწ.).

- ჩვენი დედე ბათუმიდან მოსულა და აქ დამუდარა;

- შენ დედეს კად აღგილი არ შუურჩევია, წყალი რომ არ გაქ.

- სასმელი წყალი აქვან, სარწყავი წყალი აქვან, გარედან მოყვანილი აქ. ეს ჩემი ემოდს შვილია.

- ემექლი იქნები; თქვენ რუსებმა ემე გიყო.

* * *

ღარტები მყავს, ერთი ბურსას მყავს, ერთი შავშეთშია, სამი ღარტი მყავს. სამი ჩაფვალ, იმა უკნები არიან.

- მივალ, თაზე მივალ; ჩვენი სოფელი ცივია ფენა, გაზაფხულამდი იქნა ვიყო. გზაზე მივალ. კაცი არ მომდევს იქა, მევრე ღარტთან წვედე'დაო.

ერთად ჭვამთ; ბადიშები მყავს, თაზე არიან, ღარტები არიან, გუშინ ჩვენთან იყვნენ.

გურჯიჯა ჩვენი ფენა ჩეთინია.

თხუთმეტი თანე თორუნი არი; ამის კაცი ხოჯა არი.

ოთუზბეშთანე ჩოჯუხლარ აკითხვინა ჩემ კაცმა.

ერთი თანე თორუნი მებნევა ქი, შენი მოხედვა ჩვენი ბორჯია, არავისთან არ გიგი-შეგებთო.

* * *

ჩემი ემოდ და ბაბოდ ბათუმიდან ამოსულან და აქ დამუდარან.

წყალი თიდან მუუშევს და სახში გვაქ, მოსარწყავი არ გვაქ, ღმერთი რწყავს.

დეთმიშუჩ წლისა ხოჯა იყო, ბაღნებ აკითხვებდა, ალოცებდა. მეც მაკითხებდა, ჩემ ბაღნებ მე ვაკითხებდი, დერს მისცემდა, ებბედი ჯამეში არ ჩააკითხებდა.

სიხიში იყო. გორბაჩოვმა გახსნა. აქ ერთი ემოდ იყო, გადმოსული იქიდან. კად იქნა, რომ გედხსნა. რუსებიდან გავშორდით, გურჯებთან ახლოს გავხდით.

თქვენ იქ გვირჩიეთ რუსებიდან, აფრი ხართ, კადა თუ არა? აბაზებთან ეკინდლებოდით, დაბარიშდით?

აქ მევერებით; თორუნები შარშან მოვდენ, თავეთ წელს არ მომივდენ; ერთი ბაკალა ახლა გავათხუე, თავეთ აირჩია, უწინ სხვა იყო.

თავიდან ემელიეთი გავხდი.

რამაზანს ვიჭირავთ, ღმერთი, მარტოაო და, არ გვიხათრებს, ვაკეთებ რაცხაებს.

ჩვენი რემეზანი ყოფილა ერთ თვეში ყოლთინ, თვეები აჩივლებულან, ათ-ათი დღე წინ მუუწვიან, ყველა ათ თვეში მოდის. მეორე თვეებ უტირიან. სამ წელიწადში ერთი თვე წინ წადის.

* * *

ღმერთი წინ არ გვიშვებს ქი. კაცებმა ბუკი კრან მარტივი, რა დროს ვყავართ, ხელი ღიგვისვან.

* * *

იმ ყაზამ ბევრი მიღეთი ემე ქნა; სობას ჰინ არ ვაპარებთ, შიშა გვაქ.

ესენი აქ მოლიან-და... დუმანად, ასლანად, ჩვენი სოდადი დუურქმევიან.

ბევრი გადმოვიდენ, ყიდიდენ; თაქსი ქვეშეთში გადახტა, ამევევანეთ; ერთს არაბა ყავდა, საცქვეტავი შემეშალაო.

* * *

შარშან ფელჯი გაეხდი, ენა დემება, მასკან ხელი დემეკრანხა. დმერთმა გამაკეთა, წყალ მივე და გედსხნა. მაჭახლიდან ორი ხალად იყო: ხატიჯე ხალად და ვაიდე ხალად. მიწიხაპად მივეარსო, სოფელში არ არიო და აქვენა არი მიწიხაპად. არ გეეთხვა, ბაბოს'და მუუარო, ბაბოდს მოკდენამდე დრომ გიმიარო. სახლებ უგვიდა ფართი. ერთი ყათი გეაკეთა. ერთ სახში მივდოდი და ახლა აღარ მივდივარო. ერთ კაცმა მეხსუს მომიჭირა ხელზე. გაბღეხდა და აღარ მივდა. ქალი წყენულობს, რატომ არ მოდისო.

ქალმა კითხა ქი, რაზე აღარ მოდიხარო ჩვენსაო? მეც ვუთხარ, შენ კაც კითხეო.

* * *

ვაიდე ნენედ ჰაჯე წევდა, ჰაჯი გააკეთა, ზიარეთ იჯება-და, მიდის. ორი ღარჭი ყავს, ერთი ბაკალა.

* * *

თელევიზორ გამოდიან თქვენები, ცქვიტად ლაპარიკობენ, ვერ მივმხდარვარ.

* * *

ერთ თანეს ყავდა ორი ქალი. ქალებიც მოკდენ, თავეთაც მოკდა. ქალები არ ეკინდ-ლებოდენ, ლამაზათ იყვნენ, მოკდა.

ძველათ იყო, ახლა აღარ არის, ჰუქუმეთი არ უშვებს. ბიჭი შვილი არ ყავდა, დასახლ-და, მეყოლებო და არ ეყოლა.

მაჭიხლურია, თაზე დავდექით. ერთ პირ წვევდით კარხხალ, ედა... ამბობდა, ქი, მე ბაღვი არ მეყოლა, დასახლდა კაცი, დიმიხახლდა; ის ქალი მოკდა. ერთი ბაკალა ეყოლა, მე გაეზდიო. ის (=იმან) ანად არ იცის, ანად, ანადო, ბარში წასულა და ტიროდა.

ავათ არი, იწვა, გადმეფეანეს, ხმა არ აქ. გურჯიჯა ვაიზია, იმა კითხულობს.

შინ'ნა მივდეთ, პური მოგართვათ.

სამჯერ მეღიეთი გაეხდი; ყაფა აღარ მაქ, ყაფა; მაქინადო ჭლიკი ჩამოთაღეს და თავზე დამაკრეს, ხუთი წელწადი გახდა; დმერთ მუუცემია დღე. მექთებში ერთ თვეს ვაწავლიდი.

* * *

ერთი მერიემად ყოფილა, დათვ მუუპარავს და ბაღვი ყოლია. დათვიდან ეშინია, გაქცევა უნდა და ვერ წასულა. დათვითვინ უთქვამს ქი, წყალზე გიმიშვიო. არ უქნია, გეექცევიო.

– წელზე თოკი მომაბი, წავალ წყალზეო, თოკი მომწიე და მოვალო. ავადაზანზე მუუ-ბამს თოკი და გაქცეულა. ბაღვი გააგდო და გეექცა. ცომი მუუზელია ქალ და არ მოსულა.

დათვ უთქვამს ქი: „ცომი ხე-ხე“ და „ბაღვი ტი, ტი“... ფურნე გახურებული ყოფილა. დათვი გაბღეხებული ყოფილა და ბაღვი ფურნეში ჩუუგდია. ცომი ჩუუსხამს, ფურნე მუუქოლავს და გაქცეულა.

* * *

ეს სოფელი გურჯია, გურჯი. საქმე მაქ-და.

ეგა დანიშნულია, ბექარია, ბადრამ უკან'ნა მეფეანოს.

– აქვერი ვარ.

– სიძე წადის და მოდის; ნიშანი მამამთილმა, დედამთილმა მეტანეს. უღუგუნო იქნება ახლანდელი გენჯები? ახლა ისე აქვან ადეთი.

– ამ სოფლიდანაა; სოფელში ვიყავ, დიმიხახა, გაზაფხულიდან თველამდე ერთი არც შემყრია, ერთპირ შემყეარა. გემეცინა, მასაც გემეცინა. სხვა სოფლებიდანაც წავა. პირ მაზლი ან ვინმე ახდის, ბახშიშ მისცემენ. დადეს'ნა დუუსხნას, ფეხში ფარა აქ დოლოფალ.

* * *

ერთთანე დოლოფალი ყრუ იყო. მამამთილმა კითხა: ენა მოგჭრა თუ თავიო? უთხრეს, არ ესმისო.

– უუჰ! უუჰ! ყვირის.

- უთხრეს, რაც გინდა მათკერიო.
- თავიც მათკრან და ენაც წაჰყვება.

საუბრობდნენ: ფიქპრი ჯიჯანიძე („არსლან“ ახალი გვარი, „ჰუქუმეთის მოცემული“ 80 წლის).
ენდემად ჯიჯანიძე, 60 წლის.

ნიოლეტი (არდიჩლი)

- ჭურჭელი დავრცხა. თქვენ საიდან მოხვალთ ახლა?
- წყალი მოადინო ბოსტანში. მეგა ქლიავია.
- აქვერი ვარ, ჩიხორიდან გადმოსული ვარ. დედის დედემ ბათუმიდან მოვდა.
- ისე ბევრი ლაზებია, ჩვენ გურჯი ვართ.
- წყალი, ორი წელიწადია, მოგვიყვანა ბაშქანმა, ჩვენ წყალი არ გვქონდა, ფერდიდან მოგვიყვანა.
- მცოდნოდა, ვინცხები მოდიან-მეთქი, მოვზელდი. მე არ მიყვარს, კაცებ არ უყვარს. ჩომა არ მყავს. ჩვენი გურჯიჯა თქვენ გურჯიჯას ვერ მიემხდარვართ.
- ურდული მიკრულია.
- გადავდგი, გადალაბიჯე.
- გექჩარე, ცქვიტად წადი.
- „აჩ“ თურქულად არის „ერთ თანე გაადე“.
- მაქინაიდან ნაღებ გამაადენ.
- აქ თელი გურჯი არიან.
- ჭად ჩავსხემდი, ჭვამთ, გერმელია.
- ორი წელიწადი დადგა, თავრობამ მეტანა წყალი. თორმეტ სოფელში მოდის წყალი. სახლებში არი, ზამთარში მოტყდება (გულისხმობს მილის გატეხას – ჩამწ.), გააკეთებენ. იქვერი წყალი დაჰა კადა განა, ბაძვირეთის წყალი კადა, იქა თაა.
- აქაც ვერ იყიდავ მაგა.

საუბრობდა სარე ჩეჩქილ (ინჯე).

* * *

- ახალი სახელია „არდიჩლი“, „ნიოლეტი“ ძველი სახელი. რატომ დაარქვეს, არ ვიცი. მიწის სახელი ა'რი! გიგიმა'რჯოს. რა იჯებით, კარგათ ხართ?! ჩვენაც კარგათ ვართ იშტე, რა ვიცი?!
ყანეფ რა ქვია, ჰო? ნასეფართი, ჭერულთი, ქვავდევრები, ბარნაზილი, ნადრიენტ ჭალები, ღვიანარები (ღვია ეკლიანი იგია, იმ ემეში ბევრი არი და... ისე დუურქმეწნიან), ეფენდიმ: ჭოჭნარები (წყლიანი ადგილია და ისე დუურქმეწნიან). თქვენში არ ეტყვიან? ტალახიანი-მაღახიანი... ჰო, ჰო ისეთი. ღომელათი, გარე ყანები, დანთვიეთ თავი, საღებე (ქვიანი ადგილია და ისე დუურქმეწნიან), გაღმა ჩიხორ ებნევიან, თხილებ უკანად, გვერთ ყანები, მიღმიეთ წინა...

- ვცურავ იშტე, არ მოყვლარჭვი და... შორ არ წევალ.
- მე ახლა ემექლი ვარ, აღარ ვსაქმობ. ისე ხოჯა ვიყავ, ხალხ ვალოცებდი. ახლა ემექლი გაეხდი, აღარ ვარ. არხავი ჰამანქი შეხვალ და დიდი ჯამე არი იგზე, იმ ჯამეში ვიყავი... ლიცვი დავამთავრე, უნივერსიტი არა.
- გურჯი ვაიზები გაგონილი მაქ. ჰამა ჩვენ აქ გურჯი ვაიზებ არ ვიჯებით. იქაც ახველით მანატბაში?! დიობან? გურჯიჯას არ ემეს ვიჯებით ჩვენა...
- ჰაიდე, ასე ჩუუყვეთ ქომოთკე.
- ორი ღარჭი მყავს, ორი გოგო. ისენი ემეში არიან, ქომოთკე. თორუნებიც მყავს ორი თანე. მიორეები არ არიან დაქორწილებული. რა ვიცი, არ წონულობენ. რაცხა თავისი ემე აქვან. უნივერსიტეს კითხულობენ... ჩემი სახლი აგია, ახალათ ვაკეთეფ. კომუნისტეფ გუდუსხვაფერებიან, ჩვენ ჰალა მუსლიმანი ვართ, ელხემდურილა.

თიფლიზისკენ გადახვალ მარტო ხრისტიანი გურჯები არიან. კად გურჯები არიან ჰო. აჯაფ ჩვენი ხრისტიანი ყოფილა კი? მე არ ვიცი. ძველათ ჩვენი დედეს, დედეს, დედეს დედედ ისე ყოფილა იშტე.

– ახლა მე ბურსას ვდგავარ. ბურსასაც არიან გურჯები, აჭარელი გურჯები.

– გამარჯობა, თქვენ ბათუმიდამ ხართ? იქა ახალსოფელი იცით თუ არა?! იქ ბათუმიდამ მოსული ბევრი არი, ბურსა, ინეგოლში დიობანიდან (აქ გამოქცევლან ზამთარში, იმერხევიდან). ჩვენებური ვართ, ქართველი ვართ, ჰამა ბითევათ ვერ ვაფერეთ სიტყვას. რუსჯა, ერმენიჯა, ემეში ქართველიჯა უურევიან, ჩვენიც თურქ გადარეველა და...

– აჭარადან გადმუყვლიან ამ სერებზე, თოვლი ყოფილა ასე (გვანჩვენებს მკერდამდეო – ჩამწ.).

ყურე ყოფილა ერთი ასკერიესი, შეგვცივდაო და კარები დავანგრიეთო, ფენჯრები დავანგრიეთო, დავანთევით ცეცხლივო და დილამდე იქ გავათენეთო, იქიდან გადმოვვლითო დიობანში. დიობანში იყავით? იქედამ ჩამოსულან, იქეც ასკერი არი, ცხრა კაცი ყოფილა, ისინი დუუკავიან ასკერიეჲ ჰამანად, ჰამან ასე მუუტებნიან ფიშტომ აქვან თუ არაო.... არ ვიცი იშტე, ონდანსორად, იქა ისინი სობაზე გუუთბიან – ცეცხლი დუუნთიან ჩვენ ასკრებ. ონდანსორად, გუუგზანიან ართვინში. ართვინშიც დუულაგებიან ერთ ოდაში, საჭმელი მუუცემიან, ონდანსორად, ავინი გუუგზანიან ჰუქუმეთთან. ჰა მიხვალთ, რა გინდანან, ჩვენ უკან წასლა არ გვინდება, რუსი სიბირიას გვავზანისო. იქ არ გვინდაო, ჩვენ აქნა ვიყვეთო. აქ ერთი თურქეთში ემე არი, მუშ; მუში არი ერთი ბათუმსავენ დერი, ერთი ვინცხად ზიად ყოლიან იქა ზველათ წამოსული, იქ წასულან, მუშში, ცხრა-ათი კაცი გადმოსულან იმათსა. პაწახან დამჩალან იქა. იქა ქურთები-მურთები ყოფილან იქა, ვერ უცხოვრიან იქა. წამოსულან ბურსაში. ბურსაში მოსულან, სოფლები ასე დუზ ადგილებში დერი მუუცემიან აქვერ თურქებსა. აქ იყავითო. იმათაც უთქვიან ქი: ჩვენო ასეთ ზალიან დუზზეო ვერ ვიქთო, ჩვენო ასეო, პაწად გვერდიწა იყოსო, ასეო მივეთესოთო. გუუგდიან იი ლამაზი დერი და წასულან ტყეებში, მადლა. ჰოდა, ახლა ჩემი სოფელი ასე ტყეებია, იქ მადლა ასულან, იქ ცხოვრობენ. სოდადები იქ ახლა იგენი არიან იშტე, ლომანავრიდან მოსულები ყოფილან და, უსტაისმეილოდლები არიან, ონდანსორა, ჯინოლლები არიან, კიდო რაცხაები არიან და ამ სირაზე ხაპერში არ მაქ. დანი თქვენ ახლა რა იჯებით, ამას წერავთ და მემრე ქითაბიწა დაწეროთ?

ინეგოლში ვისაქმე. აქვერი ვარ, იქ წევედი. ემიად-მემიად მყავდა იქ. ახლა აქ იხენზე მუედი. ათ დღე უკან მივალ იქა. ესაც ჩემი ძიადა, დანი ვართ. ესაც ჩემი სიმამრის ზმაა, ემექლია.

საუბრობდენ: ნურედინ ქუჩუკი

ენვერ სეჩკი

ომერ სეჩკი

* * *

– ახლა ძიავ, ძველებმა არ იციან. ჩვენ თურქეთში შევრეველვართ, აქ დავრჩენილვართ, იმას მემრე თამარად - მამარად არ ვიციოთ. ვინც აქანად ნაკითხია, მე მესელად ქითებებში ვიკითხე, ჰენ ჩვენ ჰაიდან დავმჩალვართ აქა... აქა ართვინი, შავშეთი... გურჯების თავდიდი თამარა ყოფილა. იშტე, მე იქიდან პაწად ვიცი. ძველებმა არ იციან, ვინცხა რომე ნაკითხია, იმან იცის. თამარას მეხერი საზგირელზეა. თქვენ გცოდნიათ, ხედავ?

– აქ სკოლაში არ გვაწავლიან გურჯულს. თქვენსას კომუნისტების რეჟიმდე ენწინ არ აწავლიდენ, მემრე დეიწყეს. ქართულეფ არ დეილაპარიკოთ, თურქნა იწავლეთო. ჰამა ჩვენ გურჯებიც გამეყვადთ. აქა ბევრი თოვლი არია. აქა მარტო წყალი კად გვაქ, ჰავა კად არი, არ ცხელა. აქ ზაფხულში ემექლები მუალოთ, სახლებ ვიკეთეფთ. აა ამან გედეკთა, ჩემ ძიამ იგზე გედეკთა, ახლა ზაფხულში აქ ვართ, ზამთარში წვევალთ ქვეთ. ძველებურა არ არი. ზველებურა ჰარებ ჩავაბემდით. მამანემი ცოცხალი იყო, ასე გუთანით ემეს ვებნევით ჩვენ, ჯილდა, ჯილდები-მილდები ჰალა მიყრილი გეკონდა, დეეკარქა. ახლა ჰარები მარტო ჩემ სიმამრ ყავს, აძუებენ, თურქებულად ოქუზი...

ჰარი დათალი ახლა გუაქ. ჩვენ დაილებ საქორიად ქვია. იქ გუაქ ჰარი დათალები. გადადმა თერეფი მაჭახელია, გადმოდმა ჩუენი დაილებია. ორი დაილა გეკონდა ჩუენ მამანემის დროში. ვეღარ წაველით, ვეღარ წაველით ის სახლიც ჩაწოლილა. ჩეხორ აღარ წავდივართ.

ზიარეთში ზოგ-ზოგი წველენ, იქა დედინებენ, ღუას იქმენ, ღმერთ შეხვეწებიან. ამა მუსლიმანობიზა იმგვარობად კად არ არი. ჩვენი ყურანი ქერიმში კად არ არი. ჰამა ხალხი რაცხას დედეჯერებენ, ცხვარსავეფ იქ წველენ. ახლა რესმი ხოჯა ვიყავ მე, ხალხს ვეცყოლი, არ გიჯერებენ, კილო მიდიან იქა.

– სიყვარულობა ჩემ ყანიდან ვინცხად ხართ, ისინი არიან. სხვებიც ზმა არი, ძიად არი. კარავათი, ციცვეთი, ჯუარები...

– გზა გაბრუნდება, ჩავა ბრილში. ქალი არ არი სახში. მარტო მე ვარ. ხალხი ჭალაში არიან, ბითევი თიბენ. ჩვენც ახლა'ნა წვედეთ. პური ვჭამეთ, ახლა'ნა წვედეთ. სადამოზა ხოხომს//ხორომს გავაკეთებთ, ვხორმავთ. მერე მოვტანთ და მივართუთ ჩომას.

– მე მექთებში ვიყავ, ოდაჯი ვიყავ. ამა კითხე. ჩვენ ჭალაში ვართ, სახში ვართ. ჩომაც გაყვიდე, სამი თანე მყავს ახლა. ვარი არ მყავს. ბურსას ვსაქმობ, ტექსილში ვართ.

– დიდი ზამთარი გუდად იქნებოდა. სამი-ოთხი წელიწადია აღარ მოდის თოვლი. გზას გაასუფთებენ. ფენა იწვიმა ახლა.

– ვაშლი, სხალი, კაკალი, ქლიავი...თხილი იცის, არ დავრგავთ. უქუმათი არ გვეშველება. ჩვენათად რაი'ნა ვქნათ?

– წუხელი თელევიზიონში ვუყურებდი, ყარადენისი ტიროდა. თხილი ვერ გუყვიდავან. ორი მილიონი მიცეს. ვერ გაყიდა, ფარა ვერ მიცა. ზვირი არ არი ემე. ი შერჩნეს ხელში.

ჩვენც ისე ვიტყვითა, ღობეა. ღობეს ვეტყვით ამასაც (უთითებს ყორეზე – ჩამწ.), ეს ჭერია, ეს მესარი, ესა მუხი.

– ჰაიდე დავსხდეთ, მივდეთ სახში. ქალი არის, ამის ხანში არი. ახალია და იცის ქართულად. ზაქიეთური ხანში გეყავს, ჩემი ბაზვირეთულია. აგზე გელაპარიკებოდა, ამის ბაჯოდა. ეს ჩემი ტადაა.

– ამა ჩაისავენ სმენ (ასკილზე ამბობს – ჩამწ.). გურჯიჯა ეკალ ვეტყვით ჩვენ. ეს დამწვიდება ახლა, მუა, მოკრეფ ამას, ღეჩელ ვეტყვით, გაკეთდება, ხუშბურნე, ან გურჯიჯა ჩიტის ბუკი თქმა არი, ჰა. ჩიტის ჰო.

– ეს ემეა იშტე მოყრილი, ფინხები. ვერ გეგვე.

– ვე' მიუხედი, ჰაა, ხუტუტ ვეტყვით; გამეფხუტუტაო ვიტყვით. ახალათ ქი ფურცელი'ნა მედსხას, იმა ვეტყვით გამეფხუტუტაო. ყვავილიდან ქი გამუა, ვიტყვით, ანე ყვავილი გაყარაო, იმა უკანას მედსხაო ვიტყვით. სანამ არ იტმება, უმუსლელი, კვახეა.

– ვალად ამათ სახელები არ ვიცი. ახლა დოხტრები ამბობენ, ჰამა ჩვენ არ ვიციით... ჯავეს ჩავდებთ, შორვას მუადულებთ... ჯინჭარი, მადიმაქ ვეტყვით, იმისას ვიქთ, ღობიოს ვთესავთ, ჟაუნად, ჰო, ემეა. თელახარჩი ემეს ამედბამს, იმას გაფვცქნით, შევჭამთ, გერმელია. თესლი მოსხმული არ ექნება, შევჭამთ...

ფურცელი ვიტყვით. ფოთელი იმას ვეტყვით, დიდვან ფურცელ მედსხამს, ფოთელ იმას ვეტყვით. ეს სხვილი ყერო, ეს წმინდა ყერო. ბითავად ხე. წალდით გამოვკაფავთ. წალდი ასე ნიღრი აქ, იმით გამოვკაფავთ. ხერხით მუახევთ...

– თივა რად'ნა ვუთხრათ. ქორს ვეტყვით. საბძელსაც ვეტყვით, ქორსაც ვეტყვით. ვერ წვედევი შენი არაბად? დუუდგამდი და გამოგტანდი.

– ეს ტანტრაბაა, ეს მუთბაღია, კარებს დუყურით.

ჭევი. ბაზვირეთი იცით? იმის ზედან მოდის. ასე'ნა ედარო, გეხვალ. თამამ, თაზეა იშტე. ოთხი კილომეტრი იქნება. აქედან, ოჰო, ბევრია აქედამ. მე მესუთი მქვია.

იქ'ნა იყვნეთ? ჩვენ ჩამუალთ და ვისამებთ. ყველა სამას ვისამეფთ: ხორომი არი, ქურთბარი არი, ხელგაშლილა...

ქიზინეთი ამ გაღმა არი. მიწაწვევლთი, ნაგომართი, ვაკეტყე, ჯინჭრავალთი, აღმართთავი, დარე, ბაგათი, ბარდნანეთი, ჭილჭევრი, კოკობათი, გვერდადელე (არ არი ისე დიდი დელე), ამას კარ-მიდამოს ეტყვიან. შესასლელი ტანტრაბაა. ად საწეთურია. ასე დაბალი ასორები იქნება, თხას შეყვრით, იმას საჩეხს ვეტყვით.

ძროხას ძველათ კალით დავაბამდით, შეშის კალი გაკეთებოდა, ხიდან გაკეთებული ასე...

მარჯილით მუათრევთ შიშას. ჭელნებ მუაბამთ, იმით დუუდგამთ ზედან, მუათრევთ. შორ არ წავდივართ. ხედიკები (იცინან თხილამურიც – ჩამწ.) ადგა. ზოგან ხედიკ იტყვიან, ზოგან თხილამურ. ზემოთკე ვიციით, ქომოთკე არ იცინან.

– სანარწყალიდან მიდის სანეხვეზე. ნიხბით მიაწვები, გაცურდება დელუგში. სანათური, ემედ თუ გაკეთებული გაქ, სანათურ ვებყვით.

– დავასხმევიო ჩაი.

– კინათი. თურქი სახელი რაღა, ის არ ვიცით. უხრავი აგზე არ არი

– ლავარძარღვა (მრავალძარღვა – ჩამწ.).

– ჩვენებურები „ჩოხიან“ ეტყვიან, გძელჩოხიანებს. ფიხიო გვეტყვიან ისენი. ფიხი სობადს თავია. ჩვენი ემედ... მიგხდი და... არიან იმგვარი საქმიები.

– კაცი მომეტარა, ერთი ჭლიკი ასე დარჩომია, ახლა მიყავან, ჩადვან'ნა და... აღმართია, აღმართიც ტალახიანია, ახლა ემეში ჩადებუღია, თაბუთში. ოთხ კაც მიყავან. აღმართში ავლენ, დაცურდებიან, უკან ჩამოდიან... ვერ უწვლიან ტალახში. რომ მომეტარა, იმა რიზად ქვია. რომ წიკვენ, ერთ თანე სულიად ქვია. ახლა ის ამბობს, ჭლიკი კი ასე დარჩომია, იმან იცის. ამბობს ქი: იმაო, ჭლიკი-ჭლიკზე გადადებული იქო, ჩვენ აქაო ჩამოიტან, ად, ჩამოიტან, ადო, ვწვალობთო.

საუბრობდენ: ენვერ ფეიზოღლი და ხასან გიუნეში

– რა თქმაა, კი გეტყვიო. ძალიან გეეხარა. ჩემი ცოლისაო დედა და მამა ისტამბოლ მუშაობენო, ფუტკარ უყურებსო. გაწუხდი იქაო, ისტამბოლ და ბათუმში წავალო. მე თვის თხუთმეტზე მოვალ-მეთქი. არ გაწუხდე, მოვალ, დეგეხმარები-მეთქი. სულიკოდ ქვია, სულიკო ჯაიანი. გაგპირდი, ჩევედენა იქა, ვუშველო.

დავლათიდან ტალახს ზიდევდენ და ჭურებს აკეთებდენ. ლახნი ჯავეს ჩადებდენ. წყალ-სასმელსაც აკეთებდენ, ტარიან. ახლა აღარ აკეთებენ. ძველი კაცები დედხოცენ, ახლები აღარ აკეთებენ.

ზაფხულში აქ გერმელია.

ა, ძველი კაცი, ფოცხი მუაქ.

აქათ თავდიდია ესა, ჯუმურ ბაშქანი.

ბრილი გრილი ადგილია, მზე არ მიადგება. ბრილი დუურქმიან. ბრილის ახალი სახელია დონჯალი.

მოგთა (ქმოგთა? – ჩამწ.) შავშეთის სოფელია.

ახალდაბაში ქართული იციან. ციხისძირში ძველებმა იციან, ახლებმა არა. კარავათში (თურმანეთის გვერდით) იციან ქართული.

კოთხევი|ქოთხევი (ამბობენ ორივე ფორმას – ჩამწ.).

ბრილი

– რაცხა შემხტება, იმა დავლევე. ზოგი არ შეიძლება. ჩემთვინ მარტვად დავლევე. ჩემ პაწად გოგოდ მებნევა, მამაო, შენ რომ დავლევე და გერმელი ხდებიო, ამფერი ბითუმ იქნებოდეო, შენ გვერდიდან არ წვევალო.

გალმა სერში თიკნები,

ვეხლები და ვიქნებიო,

შენ ქი მე არ მომყვები,

ბექარ ვიარ, ვიქნებიო.

წამომყევ, ქალო, წამომყევ,

არ წამოგყვები, რად გინდა,

თორმეტ წითელ ვალას დაგიკრავ,

თორმეტ ალთუნ მეგიტანო...

გრილი ბრილზე გადააბრუნეს. ეს ბრილი პაწად ალაგია, ჰამა თაზე გაყოფილია. ჩიხორული დაილა, ბრილური დაილა... აქ დიდ ხალხს უცოცხლიან. მე ათი წლის ვიყავი, აქ ათი კომლი იყო, ორმოცდაათი წლის ვარ, ათი კომლია. დავდივართ იშტე...

ჯემალ ჩელიქი

მეველუდ ჩელიქი

მანხატეო

ზამთარში ბურსას ვარ მე. ერთი ბაღვი ბოშად იყო, ცარიელზე იყო, ოქულიდან წამევეყვანე, ახლა მეც'ნა წვევდე.

საჭმელსა შავშეთ ვიღებთ, აქ არ თესვენ ქი. მარტომ ყართოვ ვთესავთ, სიმინდ არ ვთესავთ, წყალი არ გვაქ. კალოს გაღეწვა უნდა, მაქინა არ არი, ხელით'ნა გაღეწო, ბუღდას არვინ არ თესავს.

თორუნი ონ სექიზ მყავს, შვილი ექვსი თანე – ოთხი ბაჭალა, ორი ღარჭი. დასახლებული არიან. აქ არი ერთი თანე, ჰამა ჩიხვთაში წვედა. ძალი იქაური არი-ა-და, შვილის ქალი. ოთხი წელიწადია, აღარა მყავს კაცი, იმას აგზე (ხელით გვიჩვენებს ლოყას – ჩამწ) შავი რაცხა გამუუვდა და არ იკადრა და წვედა, გამაატრეინა დობტურს. რძალი უარდა, აღლაჰ რაზი ოლსუნ, კად რძალია, უარდა; მე რძალთან ვარ, ბურსას, სიშორე ერთ საათს გასტანს. რომ არ გამეეჭრეინებია, არ ემეს იქმოდა... ემელიეთ ვაქნევიეთ, გამოვარდა, ჯანი მიცემამდი ჭკვა ქონდა.

მეზობლობაში მივალთ, მუალთ, ჰვლებეთ ჩვენებში.

იმ სოფლიდან ვარ, სოხლევიდან. ჩვენ სოფლიდან ბევრი არიან იქა, ბათუმში. ჩემი ემიაშვილები იყვნენ, არ ვიცი იქ ღარჩნენ ქი, ცოცხალი არიან, თუ კდარი არიან. დაყაფანებული არ ყოფილა მაშინ.

ნიაზ დავითაძე ჩემი ემიაშვილია. ერთი მოგეძებნა ფასაფორთით, ჩემ სიძემ მოძებნა, ორი-სამი წელია. ფელჯი გამხდარა. ახლა ფურუნ ასაქმებდა ისა. იქ ესკიდამბერი შოფერი იყო, არ დასახლდა, მაქინას ვასაქმებო. მე არ მემიკითხეს და ქალები არ გადმოსულან ჰინ, ორი ბაჯოდს შილები იყვნენ. ერთი ბაჭალა გადმოდოდა, წვედა ისვენ.

სამი კვამლი რჩებიან, სამი. სხვა არვინ არ არის. ახლა არვინ არ არი ქი, ვინც ღარჩება.

დიდი თოვლი მოდის, შარშან არ გათოვლებულა ბევრი თოვლი, არა, ისე ყავრებზე ევდოდა.

ბუღდას ვთესევი, ლობიოს დავთესევი, სიმინდ დავთესევი, ელლი სენე ვიყავი. ახლები წადიან, დაბადებულები წადიან.

აქ ქი გამოველ, გურჯულა არ მილაპარაკნია. მე აქ გამუელ სამოცი წელია. ჩემი დედამთილი თურქია იყო. აქ არიან გურჯები. კაცი არ მიშლიდა გურჯულ ლაპარაკს, რად'ნა დიმიშალოს! სამი თვისა დეთიმი დაგრჩენილვარ, ონაგორად ანალული არ მყავდა. ანად, ჩემი ანად დუბურუნეს ემოს; ანადს კაცი ჩემი ემო იყო.

ოთხი და მყავს, ერთი ძმა წინა კაციდან. უკანა კაციდან ერთი ღარჭი ეყოლა, მე სულ პაწად ვიყავი, მე იშტე. დიდი იქნებოდა ათი წლის, თერთმეტის. ერთი ღარჭი, ოთხი ბაჭალა ყავდა. ახლა ქი ბაბოს უძახიან, მე ფახილი ვარ, მეც მყოლოდა ბაბოდ.

აქა ორმოცდაათ წელწად ჩვენ ბარაბარ კად ვიყავით.

კაც არაფერ არ ვუძახდი. ბაღვ ვეტყოდი, წად, შენ ბაბოს დუუძახე, მოიდეს. ახლა ჰენე-გობაზე გევედა.

ბაღნები გედზდება, ღარჭ, „ბაღვ“ ვეტყვით. „ბაღვ“ ვეტყვით, პაწად ბაღვი ყავს. შუშანამ ჩემთან გაათენა ორ-სამ ღამეს, ერთად დავწევით. ხატიჯეს ანამ სელამი გითხრაო, ჩემი ხატიჯედ იქ გადმოვდა, ბათუმში, იმათმა წამეიყვანეს ფასაფორთით. იმასთან დადგენ.

ოსმანად ესლა იქიდან გადმოსული იყო. ანას მიძახს, თურქია-მურქია ისეა, რაცხა ბაჭალამ მეიწონა. ჩვენებური ენა გააყოლავეს. ქითაბში წერია, ღარჭის ანად ანადა, ბაჭალას ანადც ანადა, ორსავე ანადა.

მილეთი აქ იკითხავდა, ოქულში.

რემეზანს იჭირავთ?

საჭმელის გაკეთება არ შემეზარება, თექ იყოს. მირთმევა გიმისარდება. ჰემ ჭვამ, ჰემ მივართვამთ.

შორვა თელზე ვაკეთებთ: ჯინჭრის შორვა, ბოლოკის შორვა, ლახნის შორვა, თელ გაგაკეთებთ, ბურღულის შორვა; შორვებში კაკალ არ გუურევთ. ძველათ აქ არც ქლიავი იყო, არც კაკალი. ბალი იყო, კაის იჯება, ბევრი სხალი გვაქ. იმფოსერთი სხალი, ვაშლი იჯება კარქა. აქ თესავს ერთი ღარჭი. იმა დევთესა ჩემი ერთი დრამი ლობიო, ერთი ყართოფი. აქავრობაზე ესტიაჯი არიან.

ვინცბა ქი მეტყვის მიკითხეო, ვუკითხავ.
ქვეშეთ მივალ.

ეს ხოჯა არი, სოფლის ხოჯაა.

ზამთარ საქმე არ არი, ფეხებისთინ ფათიკი ვქსოვთ, „ფათიკ“ ვეტყვით ჩვენ.

ჩემი ბაბოეს ძმიშვილია, ხოხლიური ვარ, დავითაძე. ნიაზი, დავითაძე გადმოვდა აქა, ისმაილ ყარა ჩემი სიძეა, ჰემ ბაჯოეს შვილია. მე ბაჯალა მიცემული მყავს. ოთხმოცის ბილლე იქნება, ხასტანლუდი ქონდა ბევრი, ქონდა ქითბები დაწერილი. იმის ბაჯალა აქ გამეეთხვა და დუგუნში ვიყავი. დუგუნი იყო. ჩემი ბაჯალაც აქ არი, კაცის ერთად ბათუმ იყო, ერთ თვეს დადგენ.

ერთი გეფკითხე, ხებური მოგვეცი ქი, ცოცხალი არიან, არ არიან, ორი-სამი წელიწადია, არ ვიცი.

ისიც ასე სწერევა.

ჩვენ აქ ვიყავით, აქა ბაღვები დეფდენ, წვედენ. ექვსი თანე მყავს, თორუნები არიან, ეს ღარჭიდან თორუნია; ერთი დღეს გაგაგზანეთ, უჩალით წვედა. ახლა ქი წვედა, ის ხოჯაა. იმისი კაციც მოედისია. ჩემი ღარჭი თავისთინ საქმობს, კარებს აკეთებს, ფენჯრებს, ახლა აქ არი, ჩიხვთაში წვედენ, ქალი იქვერი ყავს; ერთი ღარჭი ემექლი გახდა, ის არ საქმობს. თორუნები ავსილი არიან.

ეს კაციც წვეფენეს, ორი ადუმი გადადგა, ჩობანი დედნახა, ბაბოსაც გაეს, ანასაც, ორსავეს გაეს.

აღარ იწავლიან, აღარ! ბარიშობა რომ გამოვიდა, დემელაპარიკა. მამამთილი გურჯია.

დავნიშნეთ და კაცი არ მედწონა, ირმი დოხუზია: დაბანჯი კაცი იყო, ჩვენი მოძებნილი. ძალსა არ უნდა, ამისი ანაჲ ჩემ შილის ბაჯალაა, თორუნია. ჩემ შილსა ბაჯლები ყავან, თავისი თორუნი მეფეანა, მემიაროსო.

ერთი თვე კიდევ დავრჩები, ვძლებ და მარტო ველარ დავმდგარვარ. აქ ერთი მაზლის ღარჭიცაა, იქ ვწვები, მოშიშარი ვარ, ბირემედენი ავთ არ გავხდე, დათვიც შამუა სოფელში, დათვი ძმა გიგვიხდა, დასაღია მოკლა, მოკლავ, ფარა'და გედეიხადო – იგირმომილიარდი, ექვს წელწად დაგაჰფსებენ..

– საიდან მოიდენ ესენი? რას საქმობთ? მე სამსუნ ვარ, მე ქართული არ ვიცი, ორეთმენი ვარ; ჩემი სოფელი ეს არი, ბერები (=ბერებმა) კარგა იციან. ძალი თაზე არი, აქა ბაჯლები არიან. ჩვენი მილეთი იქ გეფზარდენ, აქ არვინ არ დარჩებიან, გურჯულს არ დაჰკარგავენ..

აქ ერთი ქალი არი მოსული ბურსადან, აგზე ღარჭმა გედეარა, მისი ბიბოდა. ახლა ხალას უძახიან, გადააბრუნეს, ესკიდან „ხალა“ ანაჲს ბაჯოედ იყო.

ღამით არ ვანთებთ სობას, დილაზე ცოტა ცივა და ვანთებთ, შიშას ძველათ მოტანილს ვხმარობთ. აქვერობა ცივი ალაგია.

ძაფს ვიღებთ, ჭრელსაც ვქსოვთ, არ ვჰყიდი, არა, ისე ვაძლეე იშტე. მოქსოვილი მქონდეს შენც მოგცემდი, ჰამა არ მაქ მოქსოვილი.

ქვეშა სობაა, ზედა ძველათ „ჩაინიკ“ ვეტყოდით, „დემლიგ“. ჩაის ვიღებთ რიზეს. ბორჩხას არი ჩაი, აქ არ არი; დეშილ ჩაისაც ვხმარობთ, დეგანი მყავს, ის გვიგზანის. იხლამური კად ჩაია, იხლამურის ძირებიც გვაქ, ჰამა ვერ მოგვიკრეფია, ვერ ავსულვართ.

ეს ცივი წყალია, შიგანაც ცივია.

ოცდაათ... სამოც დღე ვიხმარეთ წყალი, დეგვიშრეს იმ სოფელმა, დავა იყო, იმათ ჰუქუმეთი არ გაძდა, ფახილობა რა არის, რაზე იმათი სიმინდი კად მოდის და ჩვენი არ მოდისო, დიგვიშრეს წყალი; ახლა სხვა, ამგვარი წყალი'ნა მეფეანონ, ბორები დახეთქილა და ხამ'და მეფეანონ'ნა.

წრეველ არ უნდა მორწყვა, წვიმს, ორ დღეში ერთს გაწვიმდება, ხანდახან ყურადი იქნება.

* * *

– აგზედან არ გეარეთ, დიგინახეთ, ჰამა გულში არ გიმიარდა, გნახევდით.

ფასაფორთით გამოდით თუ ისე? ახლა დასაღი არაა? ჩემი დედამთილის დედამთილი იქავრი იყო, იქიდან – შუბნიდან. თუნთულად ერქვა სახელად. იშტა იქიდან ყოფილა აქა. მი-

სი კაცი იქა ხოჯა ყოფილა და იქა უთხოვია. იქა ჩემი მამამთილი მომკდარა, ღარჭი არ მყავდაო და თექრენ წუყუყვანიან უკან და იქა გათხოვილა, ემინ-ახმედად ყოფილა, ორი ბაჭალა წუყუყვანია, ერთს ფატყუმედ რქმევიან, ერთს – მერიემად. ღარჭები ყოლია ამ კაც და აქიდან წასული ბაჭლები მუუცემიან, ოღლუები.

დაყაფანდა, ჩვენ აქ დავრჩით, ისინი – იქ.

ფატყუმედს ბაბოდ მალე მომკდარა, ერთ თანე თორუნს ემინ-ახმედად ქვია, მერიემადს ჯინსიდან არიან, ფატყუმეს ცოცხალი არიან, არა, არ ვიცი. ჩვენ ერთი თანე ვიცი. ემინად ახლა მოიდა, არაბა ყაზა ქნა სამსუნ და მალევე წვედა. შვილები ყავს, ჰამა სახელები არ ვიცი. ერთი ბაჭალა, ერთი ღარჭი ყავდა, აქ ქი მოიდა.

* * *

ღოდოფალ დანით ახლიდენ ვალას, მამამთილი ეტყოდა, ენად მოგჭრა, დოსსა თავიო?

* * *

აგზე მესხუს ჭვამ ქი, მილეთი მოიდეს და ერთათ ჭვამოთო. მზისუმზირა გეუნემ ჩინეგია.

დად აკეთებენ, ისე შჭამენ. გურჯიჯა „გეულ“ ვიტყვით, ყაბლი ჩინევი. სობაში წადებენ, ფორმაში ღამაზათ მედშუშვის, მარილს შეაყრიან, მედხრაკება, თორბებში აავსებენ, ყიდიან იშტე.

დალიც აკეთებენ, კარგიაო, იტყვიან.

* * *

„კარდალა“ დამვიწყდა, ფახრიდამ გაკეთებულა კარდალა.

„წოვად“ ვიტყვით, ყორავა სხვაა, ნაღბის წოვად, ქვეშას მოადუღებ, გახდება წოვად, ადუღდება, გაცივდება, გახდება წოვად.

* * *

ახლა იგზე გევედეთ, დავუდეთ. ეს სულ ყანები იყო; ახლა არ თესვენ, ბალახი მოდის; აქ ვინც დგებიან, ყავან ძროხა, ისაც ორი თანე, სამი თანე. ესკიდანბერი ის თერეფი თურქნა ყოფილა.

* * *

ხორცი მამტვრევსო, - იტყვიან, - მეჭედებაო. დამგალა ფეხიო, - იტყვიან. საქმემ გამაწუხა, საქმემ მემერიაო, - ჩემი ბაბოდ იტყოდა, - დემიგევით ლოგინი, დავწვეო.

– ჩემი დეგანია ის, „დეგან“ ეტყვით თქვენც?

(მთქმელი ჩამოთვლის თითებზე – ჩამწ.)

საჩვენებელზე: ამას უთქვამს, ჰადდე პური ჭვამოთო.

შუა თითზე: ამას უთქვამს, ქი: რაი გვაქ, რა ჭვამოთო?

„არა თითზე“: ამასაც უთქვამს: დმერთსა რაცხა მუუცემია, ის ჭვამოთო.

ნეკზე: ამასაც უთქვამს ქი: ევლოთ და ჭვამოთო.

ცერზე: ამასაც უთქვამს ქი: მევაპროთ და ჭვამოთო.

მოპარვაც გულში ჩამუუდვია.

„პარმადი“ თურქნაა, „თითი“ - გურჯიჯა.

ძველათ ფჩხილ არ დავაჭრიდით, ორ წელწად დავუცდიდით, ახლა დედადება, აჭრიან. სარკემიც არ ახედვიებდენ, რისთვინ, არ ვიცი.

– წერვაზე არიან, წერვენ.

არ გეზარებიან?

– წუხელი ჰა იყავით?

კაცი-მაცი არ გეყავს და.

ასი, ტუალეტი ქაღალდი დადევ იქა.

წყევლა კად არალი.

„ნაწნები“ – ორი თანე თუა, „ნაწნავი“ – ერთი თანე.
– პური ჰაზირია, გააჰაზირებენ.
გენჯები თუ იქნებოდენ, იმღერებდენ, დედაბრებმა არც სამა ვიცით, არც მღერა.
– ღმერთმა კად დღე მოგცეს.
ჰაჯერ, ჰაჯერ!
– ღმერთმა ის დუნიაც მოგცეს, ეს დუნიაც.
– ღმერთმა ჯანი სალი მოგცეს.
ჩვენ გურჯიჯა ვართ, დევეჩვიენით თურქჩას, ხან გურჯიჯა და ხან თურქჩა.
ანკარას წავდივართ და ჰემ გურჯულა, ჰემ თურქჩა ვლაპარაკობთ.
ემეში ქი ვიმღერებდი, ამან ბევრი იცის.
ესაც გურჯია.

* * *

გურჯულ აწავლით ბაღვებსა?
– ფესტივალზე წაველით, გაწვიმდა-და... ღამით ამუეღ.
გამეღღე ბაღვები; ად ჩემი ოდა გამეღღე; ეს გუგუშია წყლისა.
შერთულებში-მერთულებში ძარეს.
ახლებმა არ იციან-და გურჯული.
ვინცხა ჩამემიყვანდეს, წამოვალ.
კოშხე მე რამდენი მაქ, ანი... (ნაოჭზე ამბობს – ჩამწ.); მე ხუთი ბაღვი მყავს.
იცინის და „ეპუტნისო ლოყა“, - იტყვიან.
თელს „ბუკი“ ქვია (გულისხმობს სახეს, პირს – ჩამწ.).
ტელეფონი არ გაქვან? იმათი ტელეფონი?
გრილა-და... გრილა, შემცივდა. მუხლები მტკივა, მამტრევეს.
„დედაკავ“ ხემოდან ქვას აძლევს და „დედაკავო“, - ებნევა.
დანახული მყავს, ჩამოდიან დეგნები, გურჯები.
ჩემი ღმერთი ყურძენი ხომ არაა?

საუბრობდა ეზინე სარაჩი, 80 წლის.

* * *

– ორი წლის წინ... ჩვენ „წინ“ ვამბობთ, უ„კან“ ჰვალდა მოიდეს, იგია „უკან“. ჰიდან მოხვალთ თქვენ? გუშინ აქიდან ჩეძარეთ. ჩემი დედამისი თურქულად არი. მამამისი გურჯია. მე უნივერსიტეტ მაარჩინე, ისტამბულ მუფთის მერე ვარ, ძარდიმჯი. ორ დღეს უკან'ნა წევდე, მაზეგ'ნა წევდე. ჩვენ ეშია ბევრი გვაქ... მაქინა არ მაქ. ისტამბულის ენ შუახე მე ვარ. სულთან აჰმედი ჩვენზე მობმულია. მე და მუფთი ხოჯეების ემე ვართ, ბაშქანი. ჩვენზე მობმული ჯამე სამას ოცია. ენ ბევრი ჯამეები ჩემ ალაგშია. ძველი ისტამბოლი ჩვენ ვართ. სტამბოლ უნივერსიტეტი ჩვენ ემეში არი, ბეახეთი ჩვენ ალაგში არი.

– კალო აგზე იყო. აქ გავლევწევდით. არ ვთესავთ და გავყიდეთ ჯარები. ბაღნები გეძქ ცენ, ბურსას საქმობენ, ინეგოლში. ერთი მოდდა და წევდა. სამი თანე არიან. ერთი ბაღალად (შდრ. ბაჯალა) არი, გათხოვილია. ორივედ შვილია.

აქ ხემო სახში არი ჰამა წახვალ? არ მიხვალ შენ ამათთან?

– რაგვარ უსაქმიან, იმგვარეთე ვილაპარაკებ. ბაბოს მარჯილი გუუკეთებია, ჯარის არაბად. ავჯები არიან და ზამთარში იარებენ. გევეზულად ილაპარაკებენ. ვაღლა რა ვიცი მე. რად ვითხრა ახლა? იშტე მატყვილებენ ერთმანებ, გეცინებენ.

ჯინები ამბობენ ქი, სამობენ, ხუთშაბათი, ხუთშაბათი. დაფანტვიხან უთქვიან ქი... ად ჩვენსავევ სამობდა, ხუთშაბათიო თქვა, ჩვენებურია, მოდ გავასწოროთო. გაასწორეს ად კაცი და დედანტენ. ჩამოვდა სოფელში. სოფლიერმა კაცმა კითხა, რაგვარ გასწორდი კუზიდანო. წისქვილში ვიყავ, ვისამეთ, ხუთშაბათი ვთქვით... ჯინებმა გამასწორეს კუზიდან. წევდა ად მეორე კუზიანი კაცი წისქვილში. მოვდენ ჯინები შუაღამეზე, დედწყეს სამა. ისენი ხუთშაბათიო ამბობენ, ად ჯუმაო იძახის. დაფანტვიხან ჯინებმა თქვეს ქი, რად ეღუგი ვუყოთო ამას? მეორე კუზიც დავამატოთო. მოვიდა ად კაცი სოფელში ორი კუზით...

ჯინები ინსნებ დემგვანებიან, შეითნები – არა. ჩვენ მუსლიმანობაში შეთანხმებული არ დეინახვის.

ისტამბოლ ქილისე აქვან ხრისტიანებ.

უნივერსიტეტ ორი წელიწადი გავათავე, იზმით გავათავე.

– ორი ბაღვია და ოთხი თანე ბაჯალა. ახლა თორუნები მყავს. ისტამბულ წვედა დღეს. ყურანი იკითხა, ხოჯა გახდა, მუედისია.

ჩემი ღარჭი ერთი თავისთვინ საქმობს ბურსას. ახლა აქ არი. ქალის სოფელში წვედა. ერთი თანე ღარჭი ემექელი გახდა, აღარ საქმობს.

თორუნები ავისილი არიან, ათი და ვრა. ქართული არ იციან. გეგნებენ, ვერ დუულაპა-რიციან.

– თქვენ სიდავრი ხართ? ბათუმს შიგნედამ? ნულა ლაპააკობთო. მეგემ იმის ბაღვის შვილი მონინდომა ჩვენმა ღარჭმა და... გავხდით დოსტები.

შუუყენებდი მაწონსა, მიეცემდი...

ბურსას ბევრი არიან გურჯები. ბელედეე ბაშქანიც გურჯია.

დოდოფალი მოქყავან,

მეფე თოფალი ქყავან,

საჩუქარი რად ქყავან,

ერთი თოფალი თხად ჰყავანო.

შენებურა ამბობს. მე იმგვარი არაფერი ვიცი. დედამთილი არ არი, მუელია.

დედამთილი იისაო,

მამამთილი ბიისაო,

შვილი შექერ-შხამისაო,

მაზლი ვარდი-გულისაო,

მული – მუხი კუნძისაო... (ბზათაში ჩაიწერა თინამ).

ჩამოგვიკითხა, ნახე?

შენი მუხი მოტეხილია. არ მესობა შენი მუხი.

– კარგათ იყავით. ანნი, ანნი შენ ჩვენზე კად იცი (აგულიანებენ თინას – ჩამწ.). ღმერთმა გაგახაროს; ერთ ბალიშზე დაგაბეროს... იმის სახელი დაწერეთ, ჭო! ღმერთმა კად გეჩიმი მოქცეს.

– შენი ლაპარიკი დაჰა ლამაზია.

კაკლის ხეჭბოდან გამოსულა და ჩემი თავი არ მოჰწონსო.

გაზენგილებულა და ცხვირი გუუზდიაო.

ანად ნახე, და ნახე, შვილი ნახე, მადლიაო.

ბერი ხარი რქიებ ქვემოთ დედებს.

შიმიყვარდი და აღარ დამავიწყდები.

– ესენი ხლისტიანი ყოფილან.

– ჩვენ პრეზიდენტმა რუსჯა აქ'ნა ასწავლოს'ნა. აქა რუსჯა უნივერსიტეტჯა ოქული'ნა გააკეთოს. რუსიეში ბევრი თურქი საქმოფს. ზამთარი ბურსას ვართ ჩვენ. აქა ორი-სამი მეთ-რი თოვლი მოვა. ახლა აღარ თოვს, ერთი მეთრო გათოვდება.

– ამამ არ მამღერა, დიმიშალა. ოქი არ ვისამე, არ ვიმღერე!

ბაჯლობით ძალვან ლამაზი იყო. ამა სხვამ არ შეხედონო, არ ვასამე.

ალელისა-მალელისა, თვალი გეცა ალემისა (თელი მიღლეეთი – განმარტა მთქმელმა – ჩამწ.).

ჩვენი ბაღანები, თორუნები (=ბაღანებმა, თორუნებმა) არ იციან. თურქიაზე გადაბრუნდენ. ოქულში გურჯიჯა არ არი.

– შენიდან არ დედწავლა და ოქულში ძარა?

– ნენემ აქ დედწავლა გურჯული. ყვირალადამ არი გურჯი.

რად გითხრა და?

გალმა სერზე ტყიმალი,

კონწალ-კონწალ ჰკიდიო,

შენ ქი მე მამყვები,

ზუქოდ გადაგკიდიო...

ფინთათა რაცხა და არ ამბოფს ნენედ...

გაღმა სერში ქათამი,
ღამედარა და კაკანოფს,
მე შენ რომ დიგინახავ,
გულში გამაკანკალოფს...
ნისლმა გედედწმინდაო, ვიტყვით.

ქუდი გამოვაქციე,
ნისლი გავაქციე.

ასე გამააქციე (გვაჩვენა – ჩამწ.). გამააბრუნე, ის თქმადა. ჩვენ თქმით არ წავა. ღმერთმა იცის. თუ უნდა ღმერთსა წავა. ჩონ ღმერთი ხელში ვართ, ჩონ ხელში არაფერი არ არი. ის გააწვიმებს, ის დააყენებს, ის წვეფვანს.

ღმერთმა გაგაწყნაროს, - ისე დავგწყვევლით ჩვენ. დავგწყვევლო შენ?! თორუნები გყავს? აფერუმ, ღმერთმა მოგცეს.

ხეზო, კოტიკი. კურდღელსა შვილები ხეოლიაო.

გელის ლეკვი.

ცხვრის შვილი კრავია.

ურბას გუურცხი; გავრცხი.

უკან გამედქვა ხოჯამა.

შემცივდა, დავბერდი და შემცივდა.

ახალი ხარ, პრატ გავხარ.

ჩვენ სოფელში ჰინ თურქხა მაღაპარიკებელი არ იყო. ფოცხველ ნენედ არ ვთლი. რატომ არ'ნა დათვალო?

ისენი ვერ გველაპარიკებიან, ჩვენ გადავბრუნდით....

– იმან გურჯიჯა იცის, ანგლისჯა იცის.

– შენ რუსო; შენ მოსკოველო; რუსჯა გადაგარონია; შენ კათოლიკის შვილო... ღმერთმა გაგაწყნაროს; მშვიდობით არ მოგიყვანოს...

ღმერთმა გაგახაროს; არა დერდი არ მოქცეს; უდერდელი იმ დუნიასა, იქ არიანა.

სიმღერაა და: ქვეშა სოფელში აიშეს იმათ ეცოდინებიან.

თელი სოფელი (=სოფელმა) თურქხა არ იცის. ზაქიეთი, დაბა, ბითავ გურჯია.

– სიმინდი, ქერი, ბუღდა, ლობიო, ლახანა, ხახვი, ნიორი, თომატისი... ბუღდა ჩეშიტ ჩეშიტია. შავი ბუღდა, ფეტვი, ჭვავი, თეთრი ბუღდა.

– კვიცი, ხობო, კოტიკი, კურდღლის შვილი, ცინტალი, ლეკვი, ბოკვერი, გელის ლეკვი, თიკანი, კრავი...

შენ დეილაპარიკეა, გეგგე ერთი უცხო, აბა?!

– ძველათ ბურსას მოვიდენ გურჯები, ვერ მივხტი მათი ლაპარიკი. თქვენი ლაპარიკი მივხტები. ჩვენი დედები ზათი აჭარადამ გადმოსულან...

ჭუჭული, მამალი (იყიფლეფს, გამედღვიძეთ, ვილოცოთო), ინდი (ინდაური – ჩამწ.), ბატი... ბაჭალა ბაჭალაა, ღარჭი ბიჭია. ორივე შვილია, აინი შვილია. ერთი შვილი მყავს, ორი ბაჭალა.

– ქალები შინ არიან. დავგვი, ურბას გავრცხი, საჭმელ გუუკეთეფ...

ხოხლევში ქალები ბევრი აჭარადამ არიან. ჩვენი დაილადან გამოვდივართ ღუღუღზე. ჩვენი კაცი დიგვიჭირეს იქა.

გემასხარები, შორია იქიღამ.

იქ იყნენ და?! გამლელად იყნენ და... დოუშტვინეთ, უკან გამედქვა ხოჯამა. ასკრებმა თოფი მუუღირეს, გაჩერდა. თვალი უუხვიეს, წვეფვანეს, ფარა (რიშვეთი) აართვეს.

ჰუქუმეთში მივა ი ფული? ავუკატი შეიძლება? სუღია კაც იერთვა. ახლა კაცი ქი მოკლა, თოკს წავაბმენ აქა. მოკლა აღარაა? სიბირიას გაგზანიან? ზველათ იქვერობა რაფერ იცოდით? ზველათ კარ იყო თქვენსა? ფარა ბევრი იყო? რატომ გეექვცით?

– ღმერთო, წვიმა მოგვეც. ყურადი არი... რვა თანე თურქი ქალი მოვიდა აქა. ისენი გველაპარიკებიან, ჩვენ ველაპარიკებით, გადავბრუნდით ჰანი. ფოცხოვიდან მოვიდა ნენედ, თურქი იყო, გურჯი არ იცოდა. მექთები არ იყო ზველათ. კავლა კი იქნა, ნაომარისთინ ათა-

თურქმა ემე ქნა, მექტები გააწყო. მე წყალსიმერში ვიკითხე. იქ ვიდექით, შოლტისხევ. აქედან იქ ვერ იარ.

– ზროხის სახელებია: სათუთად, სადილად, ზარმელად, ნაზლიად... ნაზლიჯან, ნაზლიჯან... ვეტყვოდი, ჩემოპყრიდა, ხბოსთვინადც შეინახვიდა, ისე არ მოქცემდა... მოვჰსწველიდი, მაქინაში მივჰცემდით, გაავადენდით. ნაღები ერთ თერეფში... ჩავადენდით, ედვსება, მოვშუშავთ, ერთ დღეს იქნება. მერე ჯონჯოლოს გავაკეთებთ, მოვხრისავთ, კროჭში ჩავტენავთ. მერე წოვას გავაკეთებთ. ფშნილას გავაკეთებდით. ირმი ღირა ღირს. ჩლენილას ვაკეთებთ, ჩვენაც ვიცით. აჭარაში, ჩვენ თაზე ამოვდივართ და ვეყურებით, თირფნით თიბვენ. ხანდახან ელაპარიკებიან, იმათ ეშინიან. ჩვენი თურქი ჯიბგირია, იმა არ შეეშინდება.

– მაწვნი დედადს შევნახავთ, მაწონ შევაყენებთ.

გორბაჩოვს უკან გედრჩივნენ?

ერმენი კაცი... შენი ერმენიო, დააგინებენ. ასკერში ბევრი ერმენები არიან.

საუბრობდნენ: შემსიე ნური ალთინერი

დემურ-ალი ყადა

დემურ ალი ყაია

მაჰმუდ ჩახმახი

ზელიმ ალთუნელი

ზენაგარა

(ეს არის იმერხევის გადაღმა მხარე?)

ჰო, გადაღმა, ჰო, წეთილეთი აქეთა თერეფში რჩება, ველიქოდ არი-ა? წეთილეთი აქითა თერეფში ეარო'და ზემოთ. წეთილეთი ეარო'ნა, შეხვალ. დელეგადმა-ჰო?

მაქ... ჩაქველთა ქი გზა გეირჩევა, ა იმ გზიდან... სეზხელ ... ეს ჩაქველთას ყალეა, ჰო. ბარაა, ზედთკენ წეხვალ, ჩაქველთას მაჰალე ჩანს, ეს აქეთა მაჰალე ჩაქველთასია; აქეთ გზა არი ჩაქველთა, ჰამა აგზე დარჩა. ზემოთ, სულ ზემოთაც იშტე თურმანეთი, ყადაში. სახელებია იქ სულ, გაღმა არი, ჯვარიკვე; ჯვარიკვე ორთავში იციან გურჯი...

მე, ჩვენ აქ ამ სოფლური ვართ, აგარადანა ვარ და ჩიხორიდან ვარ.

მე და ჩემი კაცი ხალაშვილები ვართ.

მე რამე აღარ ვიცი ქი ... დამავიწყდა.

ამა ზენაგარა ქვია.

მე რა ვიცი, რამდენ ხნისა ვარ... ალთმიშ ედი ზოვლი ვარ.

გურჯიჯა ყოლად აფერებ-ჰო?

– ჰო, იმღერებენ, მე რა ვიცი. მეც დამავიწყდა ქი, აღარ დავდივარ. თოვლს ნიჩბით მივერით იქეთ-აქეთ და ამევართ, მივერით ასე, გედევართ. მითესია იგზე... ლობიო, სიმინდი, კიტრი, ტომათესი, ჰამა არ მაქ მე, ზემოთ არი მეტი და... წინა თერეფზე გათოვდა, ჰამან მიეხრუკა. ფართი ვიღებთ, ვჭამთ. შავშეთ ჩემი კაცი ბარაში საქმობს, ართვინ. ედ, იქიდან წამოსლიხან მეტანს. ხვალ არა, ზეგ'ნა მევდეს, წამედლებს იშტე, რაცხა არი.

ჰო, ჰო, ჩვენ შინ ვართ. გყავს ჰო, ოთხი ძროხა. ვწველაგ-ჰო, აბა რად იქნება, მაწონი იშტა, შივაყენებთ. ბევრი რომ იქნება, მაქინას გამოვადენთ, გორჯოლას გავაკეთებთ, ფშნილას გავაკეთებთ, ჰო, კას ვაყენებ რავად... ავადულებ კარგა ძეს, იდულებს ცოტა ბოლათ, არ გადმოიდეს, იდულებს, იდულებს, გადმოვდებთ, ძირს დავდებთ, გაცივდება. ხელ ჩაყოფ, ხელ მოგწვავს, ვურთავთ დედას, ერთნახევარ კოვზ მაწონს, ძეში ვურთავთ, ი შედგება, მოურევთ ასე, შივახვევთ, დაბურავ ყაფად, შეახვევ... უჩ... თუ ცხელა მალე, თუ არ ცივა, ზამთარში დანი... დილაზე აყერი, საღამოზე დაბურავ, შევახვევ. ამ დრო, დანი, დაბურვაც არ უნდა, დედაც ცოტად უნდა. ამ დრო, ანი, ერთი ლიტრა ძეს ამ დრო იმდენი ქი ყაშული, კოვზი დანი მაწონში ჩადევ, ამედლე, შეაყენებ დანი, ნახევარ კოვზი ურთო'ნა. მე ვედროში შევაყენებ. ვედრა არ იყო წინ-წინ.

კროჭებში, ქილაკებში, კოლოფებ აკეთებდენ შეშიდან, შეშისა-ჰო, კოლოფად ლამაზი მახხვევდნენ.

არი, ჰამა ძველია.

ზაჰამ მაჰალე

– მე ჰაჯერად მქვია. მე ისე გეგვამ.

ორი შვილი მყავს, ღარჭი. ერთთანე დასახლებულია, ერთთანე - არა. ანკარას არიან.

(იმას ყავს შვილები?)

ეყოლოს უნდა. აქედან არი. იქ მცხოვრობენ ჰო. იქ მცხოვრობენ, ცოცხლობენ, იშტა. სამი წელიწადია. უნდოდენ-და, დმერთმა ახლა მისცა.

ახალია სახლი, შვიდი-რვა წელიწადი გახდა; აქ ზემოთ გეკონდა იმგვარი სახლი ჰა, აგზე ზემოდან.

გურჯები არიან, ჰო.

ხან ისე ვლაპარაკობთ, ხან-ისე რავარცხა. ჩვენ იმდენი არ ვიცით, დაშლი ვინცხეები-დან, ძველებ... ყურბეთში დაშიერუნ... ყურბეთში ვართ ჩვენ იმფო ბევრი; თქვენ, აქ ვინცხა მცხოვრობენ, იმათიდან-და მოკრიფოთ დანი. ახლა ჩვენ ... ზაფხულში მარტივ მემრე – ანკა-რას.

(რა მოგყავთ ბოსტანში?)

რაცხას ხედავ, თელი არი, რა ვიცი მე, თელი არი. ბენ ტოლებითდა (=ტოლებთან?) ილაპარაკოთ ქი დანი, მე იმდენი არ ვიცი. რა ვიცი, არიან აქა იშტე, ჩვენთან ანკარაში არიან, ახლო არიან. ახლა ახლო არიან და შინ არაღიან, წევდნენ ისა ლოცვაზე, ბაბოდ იქ წევდა, ანად არ მგონია შინ, ახრაბასთანაა, მგონია, თუ არ წასულა, შინ იქნება. თელი ჰო, აქა თელი გურჯებია, ეს მაჰალე ბითევი გურჯები ვართ... ავათ არის, ჰამა იშტა...

რაცხას სვამთ?

ამ სოფლისა ვართ, თურქნა ელლი სექიზ, ზაჰამ მაჰალე (სოფლის უბანია -ჩამწ).

გურჯიჯა ლაპარაკი უნდანან-და. გურჯიჯა სიტყვები, რაცხა... ნე ბილემი (ბუ ქომ... ესკი-ისკი, დელი ისკი...).

იციან, ამა არ ბრუნავს ამათი ენა, მიხდი? იციან, ამა არ უბრუნავან ენა-და. ესაც ჩემი მეზობელია, აგზე, აქ ცხოვრობს, ამ სახში.

ამისი მაჰალე გურჯი არ არი, აქ დეისწავლა. აქ, ქომო მაჰალედან არის ჰე, აგზე ქომოთ მაჰალედან ჰა.

ვუთხარ, არსად არ ჩადვათ-მეთქი და ...

ქომოდ მაჰალე ნახევარი თურქნა არი, ზემოდ მაჰალე... ერთი მაჰალე გურჯი არი, მეგრები თურქნა არიან. ზემო თერეფები თლათ გურჯიჯა იციან, ამ ჩვენ თერეფში არეგლია.

* * *

წვე კარგი არ არის.

წვე წინ ნუ გადიხარ!

მაჰალეები: მოსიძე, მარგაძე, შუღლაძე (აბაშიძე), ვარდიძე; ჯამიკრი დელე, დარბაზ უკანად, კარწინათი, კალო, ქურდი ყანათი, ქვიტაური//ქვატაური (<ქვათაური? – ჩამწ.), დიდ-ვაკე, დაწვილი ტყე, ქილისა. თუთხმეტი სოფლის ქილისა ყოფილა. ტბეთის ქილისა ამაზე ყოფილა მიბმული. თექსმეტ სვეტზე დამდგარი ყოფილა. სამი ყათი მიწის ქვეშ ყოფილა, სამიცი – ზევით.

თეთროზეთი, ბრინჯვალი, რუბანეთი, ქათიჯვარი.

აგარა – აგზე შეჰყრიან და უთქვიან, აგერააო.

ბათუმიდამ გოგო გამოქცეულა, აქ შეჰყრიან, უთქვიან, აგერაო.

ჩვენი გადარცხილია, თქვენი გადარცხილია, არ ვიცი.

ამ ქილისაში თამარა მოსულა, უკანა ხანები აქ უცოცხლია. ერთი კილო იტყვიან, სასაფლაო აქ ქონია. დიდი ქილისა ყოფილა, მიწი ქვეში სამი თანე გზა არი. ჩვენ არ მოვწ-რიღვართ, ერთი წეთილეთ ჩადის, ერთი უხედ თერეფში... ეს ალაგი მარგაძეა.

ცხხეა!

ციხეე მოგიკტეს ამშენებელი,

გარედან ქოშა მიმშენებელი.

წისქვილ პური დავაყარე,

სარეკველად უხდებოდა,

მე რომ იმ ლამაზზე არ მეკონა,

მერაყისგან მოკტებოდა.

ცქვიტათ სამას ცაკვა უთხრეს. ცეკვაოდან ცაკვა გახდა. ქართული ნათესია...

ვეისელ მარგაძე

სულიკო მარგაძე

წეტილეთი

– თქვენთან ერთი ქალი არი, ის ვერ იპუეთ? კად ქალია.

კაცი არი და აქ არ არი ახლა, ზემოთ სოფელშია და ჩამოიდეს'ნა; იზმით ვარ, მეგბარ-გო'და რიზეს, საქმე არ აქ კაც, მეგბარგო'ნა, უსაქმურია, იქ'ნა ვიყვნეთ. ერთი წელწადი საქმე არ აქ, უსაქმურია. „ილდირუმ“ – ბაბოს სოდადი. გურჯული მე ანას უკან დევწავლე.

გევეთხვე წყალსიმერში, იქ არ მივიღვარ, იქა – ანა-ბაბოსთან. კაცის ემოდ არი იქა და იმისი ქალი.

– გავანათლო სინათლე? ხანდახან წადის, მოდის, სულ გვიან მოდის; ზაფხულში იმდენი არ წადის.

ამ სახლის ბაჯალა ვარ, სამი თანე ვართ. ზამთარ-ზაფხულ ესენი აქ არიან. ემედ ყავან ახორში. ზამთარში თივებ ზიდვენ ჩომასათვის ტყეილამ. ტყეებილამ შიშას ზიდვენ. წავლენ, გააკეთებენ, მემრე მეტანებენ, მემრე ჩომას ემეს – ნესხ ზიდვენ ზამთარში.

უთესავთ სიმინდ, ლობიოს, ხასად მოიდესო. ყანას „ჭალას“ ვეტყვით. სათიბავეებს, სათიბლებს „ჭალას“ ვეტყვით. ნაფუზარ „ყანებ“ ვეტყვით „ნაფუზრებ“. ბახჩიებში არაფერი არ მოდის. თუთებს დავარყვით. ჩემ ბაბოე ავა, ასე შეაქანებს, მოვადულებთ, ჩადირებს დავაგებთ, მემრე მოვადულებთ.

ძროხას მოვსწვევთ, მემრე მაქინაში გავადენთ, მემრე შევდლებავთ.

* * *

მე დევნახე კაცი და ისე გევეთხვე. ელჩი სამჯერ მოვიდენ, დეეფიქრაეთო, უთხრეს (ჩვენ არ გამოგვწიო, აქ არ მისცეთ თელევიზიონში, - ოჯახის დედა, ასაკოვანი ქალი გეთხოვს – ჩამწ.), მოვაწონდი. დეემძრახები თუ არა მამამთილ, ის ძველად იყო, ახლა არაა, სირცხვილი იყო. უწუმარად დეეკლაპარიკებლით.

მიგიყვანდენ, ვალას დაგაბურავდენ, დუგუნი იქნებოდა.

* * *

მექთები დეიფანტვის, მუალთ, გედსხნება, წავალთ, ორთვენახეევარში.

რძალი თავის ბაბოსთან წასულია, ჩამოიდეს'ნა; ძმა იქ არი, იზმით, ორ თვეს. რძალი მოდის გაზაფხულ აქ, ზამთარში თავის სახში, მე ჩემ სახში, ხოსლევში.

მეორე ძმა ბექარია, დასახლებული არ არი, ვერ ვიპუეთ გოგო, ოთუზ წლისაა. ჩემი ნენედ, დედედ მანატბაში არიან: ზამთარში მიდიან, ზაფხულში მოდიან.

* * *

ოქულშია პაწად, იქ მექთების წინ ასწავლიან, მემრე მეჩეთში. ერთმანეთს ემეს იჯებიან. ამა ხედავ? ეს ახსი ბიჭია, ხელი არ დუუდგება.

– ესენი არ გინდა?

– აქ უჩალით მოხველით? ახლა სერბესია წასლა-მოსლა.

* * *

მოიდა ერთ ქალმა, მაადულა ბეთმეზი და წედლო.

ჩვენც ამისდროული (ბავშვზე ამბობს – ჩამწ.) არ ვიცოდით გურჯული, მემრე დევს-წავლეთ, ახლა რა'ნა ქნას, გნებულობს.

დედამთილი გურჯულია.

ოქულში ფული არ უნდა, ფეხდაფეხ წადის, ახლოა.

* * *

აგზე ქალია, რაფიე, იგიც გაწავლის, ბათუმი-მათუმი იმან იცის. ბაჯალა ბათუმ ყავს.

ჩემ ბაბოს ბათუმი ფენა უყვარდა. ადესა ყურძენი იცოდა ქი, ბათუმ დაჩოვლი ვიყავით. პატარა არ ვარ, არა, ეთიში გადავძლიე. მეშინია სიკდილის. კაცი წევდა ტყეში, შიშა'ნა ჩამედგანოს. ბათუმიდან ქი ქალი მოვდა და ისაქმა, მეზობელთან იყო, ი ქალი მოიდა, ჰო, რძალიც ეხლა, დაშლი იყო, დედაბერი და ძალი ყავდა.

ზამთარში არ წავდივარ, რძლები არიან წასული, არ მოდიან. საქონელი გყავს, თაზე აღიან. ზათინ ბევრი გყავდა საქონელი, ორი ხბო, ზათი ბევრი; რაი'ნა მყავდეს მე, ბერ-დედაბერი ვართ.

ზოგი მარტივი რჩებიან.

* * *

– ხალა, იქ შეაყარე, სობაში.

– ფინთები არიან, არ მოდიან (ამ მოხუცის ვაჟზე და რძალზე ამბობს მეზობელი ქალი, რომელიც ესმარება მოხუცს – ამზადებს ნამცხვრის ფენებს – ჩამწ.).

* * *

დევნახო, რაი გაქ (გახსნა ნარგიზას ჩანთა – ჩამწ.), დააყაფანო'და. ჰო, ჩავაგდე...

საუბრობდნენ: მუაზეთ გულთექილი, 40 წლის.

საფიე ილდიზი, 70 წლის.

* * *

– (მოჭრილ ჭიპს – ჩამწ.) ჯამის ქოშაზე ჩამოდებდენ, მლოცავი გამოვდესო, მიუდეს-მოუდესო. სხვა სოფელში სხვა ადეთია, ჩვენ სოფელში სხვა ადეთია. მოცლილ კბილსაც შევნახავდით, ღენჭოში შევდებდით კი, დუზი კბილი ამუყუდესო.

– თუ დემართა ჩიჩეგი, საპონ არ ვიხმარებდით. პირპილ არ ვიხმარებდით, გაღორდებო, არ მორჩებო. საპონიც გააღორებს ავატყოფობასო. არ მაკმარებდენ საპონ, არ ვიკმარებდით.

ყაბა-ყურავი – ყურები გუუსივდებოდა. სამი-ოთხი დღე იქნებოდა, მერე დუყუცხრებოდა. კარში არ გუუშვებდით, არ შუუქციოსო. თაფლ, აახველებდენ, მაშინ ვაჭამდით. დაჩხვერდენ, ჩიტის სკინტ გუუღესავდით, გადავაყლაპევდით.

თათარ-ხანა ჩუუყარდებოდა რაცხა, იმასა ჭიპ მუუბრუნებდენ ასე, ბარდალებსა მუუკიდებდენ ასე... ცეცხლ ჩაანთებდენ და დუუყუდებდენ.

ჩვენზე წინამ იცოდენ, ჩვენ იმდენი არ ვიცით. ჭიაზე ყაბლი გულ მიართმიდენ, ის გააყრიებსო...

წითელადც არი. იმას რას უხემდენ? ილაჯ უხემდენ. ჩიჩეგი სხვა არი, წითელი სხვა არი.

ჩემ დიდ ღარჭ აქ და ახველებს. ნიორი ილაჯია, ბაბოე შჭამდა.

„ძიმეთ“ ვიტყვით ჩვენ. ძიმეს საქმეს არ ასაქმებდენ, არ მოჰკიდებდენ. აქა ზრუგში მოკიდვა არი, მოიკიდებ, წედლებ, მეტან. მოწყდებო ბაღანა. ორმოც დღე მელლოგინე ქალს არ ასაქმებდენ. მეზობლებში არ შევდეს, თაგვები ბევრი იქნებიანო, ასე იტყოდენ. თაგვები იქნებიანო, გაჩეჩდებო.

მშობიარი ქალი შემოვა, არ შეუშვებდენ. ქალი რომ იმშობიარებს, დალოგინდაო, ვიტყვით. ჯინები არ მოვდენო, საბელ შამაავლებდენ, ქვას აწონავდენ და ლოგინთან დადებდენ, სხვის ბადვმა არ დაძლიოსო.

კარა – ყურად არი. შეგეშინდება... დაილაში ვარ, კარი გაალო, შემოვდა. ველარ გავქანებულვარ, გავშეშდი სანქი. ერთი საღავათი გვეღე და წევდა. იტყვიან, კარა-ყურად მოვდაო და დამაწვაო გულზე.

დაილაზე დანას შევაკოჭივდით ხოჯას, გელს პირი შეეკოჭებო. ხალად შააკოჭივდა, ჩამოვდოდით, გახსნიდა, ცოდვა არიანო, გელები შიერები დაწყდებიანო.

ზა'თინ ხორთლადათ დგებოდენ, ახლა აღარ დგებიან. ვინცხა გონჯი იქნება, იგი აღგება. ბზათას ამდგარა ვინცხა, იტყოდენ...

– ბზე აღგება და იმიზა ბზათა ქვია, მე ვამბობ.

ჯინი სხვაა, ჯაზი სხვა. ჯაზი ქალიც იქნება, კაციც. სხვის ახორებში შედიან. დედეს ჩულად მუუხურავს, დამქდარა. შემოსულა ჯაზი, შემქდარა ჩომაზე, წუუჭირა ყიაში, იძახა, გიმიში, თქვენ ჩომას აღარ მივეკარებო.

ჯინდარ ხოჯებ ეტყვიან. ახლანდელი კაცი, ქალი ჯინიც გახდა, შედთანიც გახდა, ჯაზიც გახდა.

ფერი, ჯინი ანი არიან. კად იქნება ფერია, გონჯი – ჯინი. ჯინზე გვეთხვები, გალქედები.

– კვირის ჩხვერაზე გატყვილდება ქალი, მერე გამართლდებოდა. პირველი არისო იტყვიან. ზოგი ქმრის სახში დალოგინდებოდა, ზოგი – ბაბოეს სახში. ვინცხა კი დაალოგინებს, ბიბიად ქვია, ებედ. ბიბოდ ბაბოეს დადა. ბიბიამა რაცხა იცის, ისაა. ჩხვერაში თუ იყვირებდა, კაცი გვედლოდა კარში. ზათინ თოფის სროლაც იცოდენ. დარჭი მეყოლაო, ემეს იზემდენ, მიასობდენ, ემესა გააგდებდენ... ერთი წლისა უკან ქირვას დააყენებდენ. ქირვად მეზობელიც იქნება, ხისიმიც იქნება, ტადაც იქნება... ქირვად დასუნათების საქმეს აკეთებდა. სუნნეთ დუგუნ აკეთებენ, მეზობლებ დუუძახებენ, ახრახას, დარჭ დაასუნათებენ, ბახშიშ მიცემენ. ახლა დოხტორთან მიხყავან, ამა სოფელში არიან სუნნეთჯები. ორ დღედ დუგუნი იქნება.

ქირვის შვილებთან დასახლება დასადია, არ ხდებოა, იტყვიან. ტადაშვილი, ბიბიაშვილი ხდებოა ამბობენ. ჰამა ხოჯა ამბობს, ხდებოა. ხალაშვილი ერთი დრამი ამბობენ ხდებოა, ბაჯოდ ბაჯოს ბაჯალას თხოვნილობს.

ძველათ ქითაბის სახელს არქმევდენ, ახლა რადიოში ამბობენ, თელევიზიონში ამბობენ... ორ სახელს არქმევენ: ერთი ახალი (ჭიპის) სახელი, ერთი დედეს (ძველი) სახელი.

ყეფავს (ყვირის).

ყამჩიეთი... დღვაბიზები – მიხყება დიობნამდე.

ხურმა არი და არ ისხამს, ფიჯი ხურმაა. ად ბაწარი აგზე, გზაზე ადის, ხეს მახტები, ახვალ. ხანდესან შეშას ვხყრით თავდადმა. მანქანას დუუდგამთ, ჩამოვტანთ. დელე-დელე ჩამოვხყრით...

ახლა გაპაზირებ ქი, ზამთარში დაპწავ.

* * *

დავლათი (ბახჩიყაფი)

ორი თანე ბაჯალა მყავს, მესამე ბიჭია.

თუთაყურსი, თეთრი თუთა რომ გაწითლდება, ისაა. თეთრს „თუთას“ ვეტყვი. თუთაყურსი გახდება, ზამთარში ჭვამთ. ჩაის შეატან, გერმელია. ბეთმეზ მოვადულებთ, ტყლაპ დაგასხამთ. შვიდ დოხტრის ილაჯია ბეთმეზი.

ჩადირში დავარხვეთ, ქვებ დავდგამთ, თეშტ დავდგამთ, ადუდდება, გადავწურავთ. მუნა, რკო მაგარია, ისაც მაგარია, იხლამური, ყვითელ ჩინეგ ისხამს. სხალიდან, ვაშლიდან ყორავს მოვადულებთ, რა ვიცი, მოდუდდება და მოდუდდება.

ყველამფერი მავიწყდება. თელი გურჯი არიან რაბათში. აქ გზები ცოტა ფინთია, ასფალტი დასხმულია, ლამაზი გზებია. აქ ყველა მეივა არის, თევრ-თევრი ვაშლი. მეივა არი და არი ჯინს-ჯინსი: ქრისტა ვაშლი, თავრეჯულია, ნაშენებია ხეჭეჭურად ვაშლი.

საუბრობდა უზუნ აქდემირი

* * *

– ბაღანა ვიყავ, ერთ დამეზე სამი მეთრო გათოვდებოდა.

– ჭკვით დაწერვა სხვა არი, გულით დაწერვა სხვა არი. ეროლ ორალი (90-იან წლებში ერზრუმის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი – ჩამწ.) მახსოვს. ენვერ კონიუნქჩი (ისტორიკოსი, ერზრუმის უნივერსიტეტის პროფესორი ჩამწ.) მეტყოდა, შენ დაჩუმდიო და თავის დაწერულ ტყვილ იტყოდა. ბესიმა (შავშელია, დაბიდან, ერზრუმის უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი – ჩამწ.) არი. აქევრია, მაღლა სოფლიდამ.

– ქილისე აგზე იყო, გზი ქვეშ. სხვაგინდან მოსული რომ იკრეფენ, ჩვენ ფოშას ვეტყვით.

ზაფხულ იქად კადა.

– ნენე მოყვებოდა, აქ ერმენები იყვნენ. გოუგზანიან ისენი. ზოგი ჩაქველთა სოფელია, სერ გადაღმა თურქები არიან, გადმოსულან დუუკლავან. გურჯებ შუუნახვან, ახორში დუუ-მაღლავან.

– ერთი ბერი იყო ქი იმა ვეტყოდი: ხოფადან მოსულან ქი, შავშეთში, კარქი ადგილები დუუჭირვან. ვეტყოდი, თქვენ შავშეთში არ გადასულხართ, სომეხები გაკრეფილან; იტყვი, ჭკვიანი ვართო, არ გადასულხართ. დარწმინდანი იშტე სოფლებში. შვილო, ჩვენ ვფიქრობ-ლით, ჩვენც'ლა გაგაკრიფონო...

ჯინალი უკნედან აჭარაა. აქ ფარნუხია, აგზე სვირევიანი. გადმოსვალ უბეა, ბრილს უკ-ნედან ერთი აგარაა, წეთილეთ უკან ერთი აგარაა. ამ თერეფში ბითევი ქართველია. წეთვეთი შავშეთის უკანაა. იქ ქართველები აღარ არიან.

ნორგიალი შავშეთში არ არი, არდანუჯ არი. დიდრონები ლაპარიკობენო...

– იქვერი გურჯები წასულან.

ოლთუს ემე არი, გზის გაღმა სარაჲ ყოფილა. ზამთარში იქ ჩამოვდოდაო, თბილი აღა-გიაო.

– აქ ყოლაფერი მოვა, ბერები, დედაბრები არიან. ჩემ მამას დედე აღარ დადგა, მე ზაფხულ სოფელში'ნა მივდეო, აღარ დადგა. ჩვენ სტამბოლ ვდგავართ. ხოხლევისკე ასე წახვალ...

ერთი ავედი, ჰამა არ ვიცი...

სელიმ უზუმი (ყურძენაშვილი)

ჩიხისხევი|ჩხისხევი

* * *

– სადამოზე პრობლემ არ არი, დილას პრობლემ იქნება, მანქანები ბევრია. ქირაში ვარ. გაწვიმდება, პრობლემ იქნება. მანქანა ვერ ჩამოიარს.

ეს არ არი გურჯი, ეს აქვერია.

– ჰიდან ჩამოხველით?

ჩვენებურები მოდიან აქ, რიზეში. პამილორი აქვერია, კიტრიც აქვერია; ჩემი ემიაშვილი აქშია, ქომოთ.

აქ ბევრი არიან გურჯები. ქვემო ყალეზე თქვენ ახველით? ტეფთა ძველი სახელია. იქ ვიყავით ბევრი, იქვერობა ჩვენ დავანგრეთ, ალთუნ ვეძებლით.

ხოჯა ლოცვას ასწავლის, კითხვას, რავაი იკითხვენ.

– რას შობი? კად ხარ?

ის არ ესახლება, ფარა უნდა, კად გოგო უნდა; მე ვებნევი, ჰამა არ იჯებიან. კად ფული'ნა გქონდეს.

– ანჯახ გავთბით, გაჰყინა, გაჰყინა.

– ათა თურქს ბევრი ქალები ყოლია.

ხელი წამეიქნია, დეილია, ახლა გევეგენ.

გურჯიჯა ბილე არ იცის.

ბავშები რატომ არ წამაასხით? წამეგესხეს.

მაწყინარი თაფლი მაჭახელშია, აქ არ არი. თაფლ არ ვყიდით, ანჯახ ვყოფნილობთ.

თითო-ოროლა ძროხა გვეყავს. მეზობლობა კად გვაქ, კად. მეზობელ დანხვერსო, შენ ფუშზე ხელი'და დეიდვა.

ადგილების ძველი სახელებია: ზუბიეთი, მამლიეთი, ზევზათი,... ჰალა არი კილო... სამწყარე, ბადლარი, ხოზაბირ, ბესელარ... გათავდა.

– ძმეები ყავს. ჩემი სახლი აგზედ არი, არაბად არი, ჩემი ქალი (=ჩემმა ქალმა – ჩამწ.) ჩემზე კად იცის და თაზე არი. მაჭახელ დაილები არი, ხერთვისი.

მეცაც წამუალ, თაზე არიან, ნახევარ საათზე ავა არაბა. დანოღლი დაილა, ჩიხთა სოფელია, ქომოლამ ესკი ყალე არი-ა? იქიდან შერთულია, ერთი გზაა.

ერთი გურჯიც მევიდა, ჩემზე კად იცის. გურჯიჯა სიმღერები თქვენ ასწავლეთ.

ჩიხორი ამ სერი გადაღმა არი, ჩიხთა შორ არი. აქ იმდენი იღმერებენ ქი, ვერ დაწერავ.

თოვლი ქი წამოვა, შვავი. „ჩიხი“ ერთია, „ჩიხი“ თურქულია, დაწვილა. ჩიხარი – დაბალი(?) დელე გვაქ.

ესენი ქალაქში არიან, შეჰერში. ბაბომ არ იცის, შენ დეგეპარიკებით.

თქვენ სა მიხვალთ?

გურჯები არიან ბევრი ადაფაზარ, ბურსას, ისტამბულ, ჩვენ ფერლი ვართ. წყალი არ ქონდენ იმათ. ბათუმიდან ვწიკევდით ძველათ სიმინდ, მარილ.

უსტამისის ციხე გურჯებმა ააშენეს, ელლი, ელლი ბეში არ არი. ძველი არაა, ვინ ააშენა? ისე ამბობენ თელი. შავშეთის ქომოდან არი, გაღმა არი, იქ ბევრი ქილისეები არიან; ეფვი გურჯია, გურჯი არიან, ამა არ იციან. ბევრი არიან, ბევრი იყო, დიდი ქალაქებში წვეიდნენ, ახლა სამოცი კვამლია, ორას და ორმოცდაათი იყო.

ბებერები არიან, ახალგაზდები დიდ ქალაქებში არიან, სწავლობენ, საქმობენ. ძველი გვარები ჩვენც დავკარგეთ, კომუნისტები იყვნენ, ჩვენი ძველები ამბობდნენ, ბათუმელები ვართ, ბათუმიდან ვართ; მარადიდიდან ვერ ვუყურებდი. მე რიზეში ვარ, გურჯისტანში ხანდახან მოვდივარ, ბევრი არ ვიცოდი, გეისხნა, ვიწავლე ქართული. რიზეში ლაზები არიან ზოგი, ჰემშილები არიან. სამი რაიონი არიან.

თელ ადამიანებში კარგიც არი, ცუდიც არი. თელი ჰემშილები კარგები, ლაზები კარგიც არიან, ცუდიც არიან, თურქებიც. თურქიეში ბევრი ხალხი ცხოვრობენ: თურქი არი, მოსული არი, ლაზი არი, აფხაზი არი. ჩვენში პრობლემ არ არი, მე ქართველი ვარ, რუსის კულტურა ჩვენთან მეგდა, თქვენ რუსებთან იყავით.

* * *

აკორდონით ქორწილ ვიჯებით, მეზობელი თურქულია, იგი დავლით იჯება, ლაზი – ქემენით.

ქართველებს ჭადი ძალიან გვიყვარს, თქვენც გიყვართ, თურქები არ ჭამენ ჭადს, არ უყვარან. ბევრი არ ჭამს.

– მე ახალგაზდელი ვიყავ, ადრე თელი ერთი იყო, სოფელში იყო, ქალაქებში ვერ წადიოდენ. ეკონომია კად არ იყო; ახლა ეკონომია აიწია. გურჯები ამ სოფელში არ არიან, სხვა ქალაქებშიც არიან... ეს საქმე როგორაა, იცი? გერმანიაში, ფრანგეთში იმის ეკონომია კადა, ჩვენ დაკარგული ვართ, თქვენც დაკარგული ხართ, ჩვენ ერთად ვიყავით; კულტურა აირია, კულტურა დეიკარგა; ჩვენი ენაც ეირია, არაბულია ბევრი, ენა არეგლია, კულტურა არეგლია, ამის მერე ვერ ემეს ვიქ...

რომელი მიღეთიდან იყვეს, ჩემი პრობლემა არ არი. ასე დეველაპარიკებთ.

საქაშვილი როგორ მოგწონს? შევარდნაძე როგორ იყო; ერდოგანი მუსლიმანი კაცია, ესე ეყოფა.

– ჰა მიხვალ?

– ახალი გელინია. ერთი, ორი თვე გახდა, ღარჭები გარეთ არიან, კაცები არიან, გელინი არ წავა, ბათუმური არ არი, ქუთაისური არი.

საუბრობდნენ: მამლიენ ზუმბოლელი (ზუმბაძე);

ზექერია ორალი („თათოლღებ გვეტყვიან“);

ჯემალ აფჯი (აფჯიშვილი, აფეჯოლელი).

* * *

ჩეხისხევის ადგილებია: კოკიბერეთი, ზუბუნთი, წელწათი|წერწათი, დუდბიენთი, ბარები, მოკლითი, ხოზაბირი|სოდაბირი... ბევრია.

სოდადები? არიან ყავეჯოლელი (რიზედან მოსულან, ლაზები არიან), ხოჯიოლელი (ადანადან მოსულან), ჭიკვიები, ზუბოლღები (ყირიმიდან მოსულან)...

მამალიშვილები (მაჭახლიდან მოსულან), ბერიშვილები (ისტაროლღები), ყარსელოღლები (ორი ოჯახია, ყარსიდან არიანო იტყვიან)...

დელიოღლები (ღეჩიშვილები), ფათოღლები (მაჭიხლიდან), გენჯოღლები...

კიკვიები (ლაღაბია, დაბალი კაცები არიან და ისე ეტყვიან), პაპიები...

ქართველები აქ არეულობის დროს მოკრებილი არიან. არეულობა იყო და... ქართველი მუჰაჯირათ წევდა: ერმენები იყვენ აქ, ართვინ ქალაქიდან, ვინცხა ქი იქა წევდა, ოსმანლიმ მიწა მიცა. აქ ძველი ფერლი არავინ არიან...

ქომოთას... ის დუნია ნავალი იყო, რუსიას... ამან აწავლა ქი და უკან გაგზანა... ახლაც ბურსას ჩასული იყვენ.

– ხეს მოჭრიდენ, გაახევიებდენ თახტას. გარე თერეფ „ლამფას“ ვეცოდით, შიგან – ფიცარი. დახას ამოჭრიდით, ტახტას ერთმანეთზე დავარიგებდით, გაკეთდებოდა. ქვეშ ჩომის ახორ, ზეით დასადგომ სახლს გააკეთებდით. სახურავს ყავარს დავახურევდით, მოვხევედით ერთნახევარ მეტრო მორს, შუაზე გავხეთქავდით... თველი ხე არ იქს, გამორჩეველია იყოს. ერთ ხიდან ხუთას ყავარს გამეველებდით.

– საბურთიას დაილაზე დავდიოდით. დათვ, ღორ, გარეულ თხას (კარჩხალში არის), კვერნას დევჭირევდით. მახეს მუდგემდით, ჩავარდებოდა.

ქომო მაჰალე ჰინ თურქია არ დუულაპარიკია.

ჩემი ბაბო ბათუმში ხაფისხანეში ჩაწვა. სამ თვეს იქ იყო. ხოფაიდამ მოსულა, მე პაწად ვყოფილვარ მაშინ. ჯავე არიო და არ უნდა...

დასამობი

სერ იქით ლამაზი არ არი. სინკოთ ქართული, გურჯიჯა არ იციან... ბაბო დასამობი არი, ანე თაზე წევდა.

ცხელადა, სახლებში იქნებიან.

ზოგი რჩებიან, ზოგი წადიან. აგზე გახვალ, გაღმა ნიოლეთია. აქ ზველათ ჭურე ვაკეთებდით, ვყიდევდით. ჯავეს ჩადებდენ, ლახნი ჯავეს. ფურუნში გამოვწვევდით. კეცებ ვაკეთებდით, ქოთან, დერგებსა... არ დააწავლეს თორუნებსა თავიანთი ალამობა.

აგი ზმის ქალია.

– ჩვენზე მოსულ იტყვიან ზველათ ბათომიდა.

– დაკონწიალებაც იქნება.

ახლა გაკრეფილი არიან, აქ არ არიან ბაჭლები. ჩაქველთას არსიანზე აქ დაილა, ჩვენ – კარჩხალზე.

ბაჭლებიდან თორუნი, ღარჭებიდან თორუნი არიან ათი თანე. ნაფურნევი აგარული დაილა. აგარაშიც იციან გურჯული.

აქედამ ჩახვალა? აგარა ჩიხორის მაჰალეა. შერთულზე გამედარ, დასამობი გაღმუხევე, აღმაზენა აბრუნდე... ქოფრი თავიდან ზეითნა აბრუნდე. ჩვენი შემოდის აგზედან, აგარის შემოდის აგზედან (ხელით გვაჩვენებს – ჩამწ.).

იშტა მოსულან, აქ დამსხდარან. ოცი წლის წინ ზამთარ-ზაფხულ აქ იქნებოდენ. ახლა დაბლა ჩავდივართ. თივას არაბით ჩაწიკვენ დაბლა, ჩომას მიართუმენ.

ჭარები ყავდენ, ახლა აღარ ყავან..

უზუმლი ბოხობანია.

ად ხენოდ ცულია.

ესკიდან აქ სომეხები ყოფილან. ისენი გაქცევლან, გურჯები მოსულან ბათომიდა.

– ციხი ყელი ქვია იმ ყალეს, ჩაქველთურ ყალეს. ჩვენ ყალეს – დავლაველები. საისრები სინკოთი თავზეა.

იფხრეველის ყალეს პარეთა (პარეხთა? ბოჯანეთი – ჩამწ.) ქვია.

ჭედლური დელეში ქილისაა, ყალე არაა. დანგრეველია, ეტყვება.

ოპიზა დელე, ბერთასკე თამარა დედოფალს იტყვიან. შენ ეს ქოფრი გააკეთე, მე ეს ყალენა გავაკეთოვო. დავგავჯებიან ერთმანებ თამარა დედოფალი და ი კაცი, ვერ მეგონე...

– კარჩხალი თაზე დუუბამან ნუხ ფეილამბერის გემი, ქვა გახრეტილი ყოფილა და ჰალდა გამუუბამთ სხვილი...

თათარზენად იქნებოდა, გადახტება ხიდან-ხეზე. კაკალ რომ ჭამს, აქა თათარზენას ეტყვიან (ციყვეზე მიგვითითებს – ჩამწ.). ფცქვინი – დიდი თავგია.

ბალახები ბევრია: წმინდა ბალახი. ლავადმარღვა (მრავალმარღვა – ჩამწ.), ლიხვინად, ჭინჭარი, სამყურად, კატარაბალახი...

მსხლები: პაპად, წარიად, ჩიხორელად, ერბოად, ხრაშუნად, თავრეჯულად, სასელად, ხეჭეჭურად, აშილად, ჭურად...

ვაშლები: წითელვაშლი, ზიარეთი ვაშლი, ბუმბულად, სინკოთულად, დემირალმა...

ქლიავი: შავი ქლიავი, თეთრი ქლიავი, ტყუბად, დოდოფლო ქლიავი, სართულად...
ყურძენი: შავი ყურძენი, ადესად, თეთრი ყურძენი...
საუბრობდნენ: მუხამედ უზუნი
ჯეერი უზუნი

ახალდაბა

ახალდაბა ჩონი სოფელია. ახალი ტბათი. ადგილების სახელებია: გაგათური, პაპათი, კაცათი, გოჯელეთი, გომნიგილი, წერი (წვერი), ქილისა, შაული, კოთხევი, ქარიათი, ყიშლები, კვლიზირი, ზირზირათი...

აქ დავთესავთ სიმინდ, ყართოფ, ლობიოს. ზველათ ვთესვედით ქერ და ხორბალ. აქ ხორბლი ყანები იყო.

ხუსეინ კარაპანი

N.B. ახალდაბაში ქართული აღარ იციან. ჩვენმა მოხრობელმა, ხუსეინ კარაპანმა დედისგან იცის ქართული. „ანედ ჩაქველთური ქალიაო“, გვითხრა, ქართული მან მასწავლაო.

ცინისძირი//ცხისძირი

ამ სოფელში ქართული არ იციან. ჩავიწერეთ რამდენიმე ქართული ტოპონიმი: თეთრკვლე, ასნიგილი, ჯინშარლარი (ჭინჭარლარი).

(თემურხან ათაბეგმა ჩაგვაწერინა ეს ტოპონიმები)

აგარა

ერთათ გაზდილები ვართ.

ამდამე ბაზგირეთ დუგუნია, მე არ მივალ აქიდან, აქ არ არიან, თაზე არიან, ჭალებში არიან, კაცებიც ჭალებში არიან, ქალი, კაცი. აქიდან არაბა აღის. ჩომა-მომა აქ არ არიან. ბერი ზემოთ არი ერთი თანე. არ ჩამოიდენ თაზედან.

– თელი დღე რას აკეთებ?

მე ვაკითხებ. ეს კაცი (=ამ კაცმა) იცის.

ბაზგირეთ ახლა დუგუნი იქნას'და. იქ რაი არი, აქაც ისაა. ლიცეში თურქქეა. ჩემი ანად არი-და, სახშია, ჩემი ნენედ აქ არ არი.

ხოჯა ჩემი კაცია, ლიბანი ჩემი ანას მაჰალეა. ჩიხორის თერეფიდან ასე ვარ. აქ ჩემი კაცი იმამია, ხოჯა. ზამთარშიც ვრჩები; ზამთარში მოდი და გამოსწიე, არ ყაფანდება გზა, არ მოდის დიდი თოვლი.

ერთი ბიჭი მყავს, ორი ბაჭალა.

თქვენ რა ხართ?

თურქქა ვიცი.

ჩვენ მაჰალეშია, ჩიხორისკენ, თეთრაქედის ყარშიბერ, ლიბან ეტყვიან, ორთასაც კითხულობენ. ჩემი კაცი ჩიხორულია, ლიბანური. აინი ვართ.

– სამი ღარჭი მყავს, ერთი ბაჭალა, ორიც ბიჭი.

„ბაღანასაც“ იტყვიან, „ღარჭსაც“.

„ვაგლახი“ კად არ არი.

ტელეფონმა დააწკრიალა.

– სოდადი ბილმამ.

რამდენი წლის ვარ? ჰენ ბიშე ბილმამ.

ღარჭებმა იციან, რამდენი წლისა ვარ და მე არ ვიცი, მე ვიტყვი, ჰამა თურქქა ვიტყვი, გურჯიჯა ამან გადმაატრიალოს.

ახალზე ვიტყვით, „კად დღეში ჩეიცვიო“, „ეს ძველი და სხვა ახალი“.

მეც არ ვიცი იმდენი გურჯიჯა.

„ღმერთმა დღე დიგილიოსო“ – დავწყვევლით.

გუდქეოლა ძროხა, ბირთული ვერ მოვაბრუნებდი.

ხბოს მოვაწოვებდი, ჩამოყრიდა, გორჯულას გავაკეთებდი.

* * *

ჩვენმა ასკერებმა დიმიჭირეს, საქონელი გადმოვასხი, ფარა გედევხადე.

გურჯები კარგებიც არიან, ნაჩარიც არიან. გადმოდიან ღარჭები, ახალმოზდები გადმოსული იყვენ. რა იჯებითო? მიწა გადმოგიტანეთ იქიდანო. თხუთმეტი წელი გახდა. დედაბრებ უთქმიან, ბიბო გვყავდა იქა, მომკლარა იქ.

წუხელი აქმი იყავი?

უბრახუნეთ ბევრი, მე არ ვიცი, არა.

„თავი იპუა“, - ვიტყვით, ახალგაზდა ქი დაკაცდება.

„დაკვრასაც“ იტყვიან, „ჩასხმასაც“ იტყვიან ჭადზე.

დააკვრენ, კეცები ადგა, ახლა სობაა.

„ჭადი'ნა ჩავსხა“ – აქ არ იციან თქმა, „ჭადი'ნა დო'შვა“ – იმასაც იტყვიან, „პური'ნა გამუაცხო“.

ვიტყვით: „ფორმაში ჩავდებ, ჩავსხამ“; „სამი ჭიქა მაწონი'და დავასხა“.

ფთხილად შეხედეთ თქვენ თავს. არ დეგვივიწყოთ, ცქვიტად არ წახვიდეთ. ნელ-ნელა წადით.

* * *

– ინეგოლები ვართ. ჩემი ბაბო და იმის ბაბო ყარდაშები არიან, ანადები სხვაა. ბაბო საქმობს ინეგოლში, მე აქ ვარ.

სახში გურჯიჯა არ ლაპარაკობენ.

განაგონი აქ და იმიტომ ლაპარაკობს.

ხოჯა (=ხოჯამ) იცის გურჯული. ხოხლევაც არიან გურჯები. ხისიმები ყავან ბათუმ.

დავდექი, ჰამა შენ იქა პურ ჭამდი. ბაბო მყავდა რიზეში.

ნიაზი კდარია, მე ბურსაში ვარ, იქიდან მოვალ. რიზეში იყო, ხასტანეში იყო. არა, არ გაჭრეს, ეთმიშ ბემ არის.

– რატომ ქვია „აგარა“?

– გადმუხუხედავს, უთქვამს: „აგერა“ და ... „აგარა“.

ჭალებს ვკოლავთ. „მოჭრას“ „კოლვას“ ვებნევით. ასლი გურჯი „კოლვაა“. „მანგალი“ პა-წაა, „თირფანი“ – დიდი. თირფანი სადაც არ მუუდგება, მანგლით ვკოლავთ, ქენერებზე.

გურჯული ჩვენ ბილლე დაგვავიწყდა, ბაღვებ ვებნევით ქი: მილეთი ფარას აძლევენ, ჩვენგან დედწავლეთო.

– გამარჯობა! რა იჯები?

ხაპის ემელია, მოჩონდა.

ყაბადია, ხაპია, „ხაპი“ არ იციან, სხვა სოფლებში „ხაპ“ ებნევიან.

ვთესავთ ყართოფს, თუთა მოდის, ვაშლი, ქლიავი საჭმელია, ესენი – მეივა. შეწვილი ყაბლი გულია, ფურნეში აპაზირებენ, ვყიდით, ასწონენ ყანთარით, გაგზავნიან, გულს მოფხეკენ.

საუბრობდნენ: აიპან გოუნემ,

აისელ სეჩინი,

უმიან სეჩინი,

ზელჩუქ აიდინი,

ერსელ აიდინი...

* * *

თირფანს რავარ'ნა წაავლო?!
ამეზლამ რა იჯები?

შემეხალა (შემეყარა – ჩამწ).

დათვები წითელია აქა, ბრეში. ბოკრები//ბოკერები.

ქონით საპონ მაადულებენ. ზუზუ//ცური.

ბზე ამევდაო, ვიტყვით. ბზე ჩეგდა. მარტო მე ჩიხორიდან აქ გადმოსული ვარ ზედსიქედ.

გაბღეზდებიან, ჰამა მერე იტყვიან: ხოჯა ჰაცხან წესულაო. ჩვენც მივალთ ჰაცხან...

არ გვიგველოთ. უნდა გელოდინო, მაღე მოდთ, თვარა გეგბუკვი. მოხვალ, ერთ ღამე'ნა

ვილაპარაკოთ.



საუბრობდნენ: იზეთ გუნეში
იუსუფ ჩოლახოღლი
ვაჰიდ სეჩკი

ჯვარისხევი

– ანად, ბაბო, დედე, ნენე გურჯები არიან. ყალბ-მაღე არ არი. იქეთკენ არი.
ჩემი კაცის ბიბოდა ესა; გოგვები ერთი გათხოვლი მყავს, აქ გვეთხვა, პაწად კითხუ-
ლობს, ლიცეში, აქა, ქომო, შავშეთში.

– ესა ემოს ძალია. ჩვენც გამოგვწიე.

ქვემოდან ხევი მივა, „ჯუარი“ კაცის სახელი ყოფილა.

ზოგი რჩებიან, ზოგი წადიან; თოთხმეტი კომლი დარჩება.

– რა’და ვქნა, შენ საქმე დაგლეუნია. ფართო ვწეროთ, ფართო დევლაპარაკოთ. შავშეთში
ავა, ღამე ამოვა; გუუყერია თმა. „ქოსას“ არ იტყვიან აქა.

– ჩამეიხსენ, ისე ელაპარაკე.

– დავბერდი. ატყვილეთ ერთმანეთი.

შორიდან რახენა ვქნა, ჩემი ახრებადა; ჩვენი ჯინდარი არ შააწუხო ბევრი.

მე წავდივარ ზამთარში, ჯანი შეწუხებული მაქ, ძალა წევდა, სახლი დეცადა. რა მიხ-
დით, კად გოგოაო?

ხუთი კომლი რჩებიან, ბევრი წადიან.

ღმერთმა შეიღობით ჩაგასხან ადგილზე. იმ დეყე მომგონდება, ახლა დამავიწყდება.

ე, რამდენი არაბები გადიან! გელინი’და დედინიშონ. ქომოთკენ სოფლები არიან.

თვალი მე მტკივა, მე. ამით ვხედავ, ამით ვერ ვხედავ.

ჩევწერეთ, დეილია.

ავათ ვარ და თელი დამვიწყდა.

ძროხები არ გეყავს ქი.

ადის არაბად, იგზე დუზია, შოშე გზაა. ესე ძალია, ძმის ცოლი. ძმა მომიკდა. მეხო-
ბელმა წედლო ნიშანი, აქიდან ბაჭალა გათხვეულია, დარჭი ეყოლა, ასახლებს. ორი დაა-
სახლა, ერთ ახლა ასახლებს, ახალად თხოულობენ.

თელევიზორი მაქ, ჰამა არ საქმობს.

დანჩბენ, დანიჩბენ, გზას გააკეთებენ.

ისტამბულ არ წავსულვარ.

ოქულში დადიან და იქ’და დეწავლონ.

საუბრობდა ზულფეთ გიეთელი, 82 წლის,

სექსან გავლილი ვარო, თქვა.

* * *

დერლები არ არიან აქა. მოსულები ვართ, იშტე.

ადგილის სახელები ბევრია: ტიტველა სერი, შაქვაბები, ონაგირა (მთა), სატრედო,
ზულვართი, თავბრული, სამელე, ვაკეები, ჩონჩხერი, გალიმურევი, თათავრი, აღჩირავლი,
ღართავი, ქორწინად, წინაგამთი, მინდორი, კაკლები.

უწინ აქ სამასი თანე ჯარი იქნებოდა, ერთი ცალი ჯარი დარჩა.

საუბრობდა ისლამ თორუნი

ბზათა

– ჩვენ ბზათას ვიტყვით, დაწერვისან ზათას დაწერვენ.

დიობანიდამ მაღლანა აბრუნდე, იქ გურჯული სოფლებია: ქოქლიეთი, იფხრეელი, ივე-
თი. იქ უფრო ხასათ იციან გურჯული.

შოლტისხევი

შოლტისხევის ადგილებია: სომეხეთი, ქურდიკეთი, ქეფეთი, თათუნთი, კვირიკეთი, მიქე-
ლეთი, ხოჯიენთი, ციციენთი, ბათინეთი....

კაცები ჯამეში არიან, ილოცებენ, მერე ყავეში წადიან. ქალებიც წვედენ ჯამეში; მე პატარად ბაღვი მყავს, ვერ წვევდ. ერთი ბიჭი მყავს, ერთი ბაკალა.

საუბრობდა დემეთი ბოტოლდი.

ხოსლევო

* * *

არ ვიცი, გურჯიჯა ვერ დევლაპარაკებ. გურჯიჯას ვლაპარაკობ, აბა მე თურქა არ ვიცი.

ძონაზე მყავდა და დეეკარგა ძროხა. დელე-დელე აგზე მუელით, ჰა ვებნოთ'და... ბრეში ძროხა არი, გუზელაა ქვია.

ვერ გააგნებდა, სახელ გააგნებდა-და, ცოტა ფთხალი ძროხა არი. მე რა ვიცი, სად'ნა ვებნოთ იშტა; არ ვიცი, ჰითკენ'ნა წვედეთ. აქ შოში არი-და, ქვეშედან შოში მუა იქიდან, ედ იშტა რაცხა შეხტნენ, ვინცხამ წვედენა, დოხლი გზაში ჩადგნენ და იქ ერიქლისკენ წვედენ იქა, ქვეშე სოფლებში, რა ვიცი, სა'ნა ვებნოთ ქი, სა? შევშაღე მე, ა? ამ ბაღვით ჰა აქედან სად'ნა ვებნოთ ახლა, სად'ნა ვებნოთ, შევშაღე. მოხვერი ახლავეს.

– სულეიმანად არი, არაბით მოიდნენ და იმა დევკითხო'ნა.

– დევკითხე-და. შოშით ბელქი წვედენ. შოშის ქვეშედან არი, შოში დელედამ იშტა ჩაველით შოშში, არსად არაფერი არაა. იქიდაამ აბა ასე იქითა დელიდამ, ამ ჩვენი სოფლის გადამიდან დელე არის, იმ დელეში ჩასული, ჰა, იქიდან მუალთ ამ ბაღვის ერთად. ჰა, მევეარეთ იქა, იქიდაამ აქ ამუელით; ესაც ჩემი ღარჭი არის, ახლა ის'და მოიდას, ჩვენ ქი ვერ მუელით ჰო, ჩემი ღარჭია. ვინ გასწავლოს შენ, მე რა ვიცი; ჰო, იმისი ანად ვარ მე. ჩემი დიდი შვილი ეს არი, იმის უკანად ბაკალა არი, გოგო. სამი თანე გოგო... გოგო მყავს, ორი თანე ბიჭი.

მეპარეს, რად ქნეს იშტა ოლმადი, ვერ ვიპუეთ ვერსად. კვალიც არ ეტყობა ქი, მაინ რაცხა მიხედეს. არაბები ქი დავა...

უკანეთის მეჭელე

დენგას ამბობენ. გურჯიჯა ვერ მოგვიფერებია ქი.

– ჰო, ვერ მოგვიფერებია გურჯიჯა. დოდოფალ რომ მუუმდერებენ დენგასო-და.

– ქედფში ვუკრავთ-და, გურჯიჯა, გურჯიჯა არ ვებნევით ჩვენ, გურჯიჯა. თურქა ჰო.

ჩვენი ადნია ღუგუნები...

შორ არ არი, არა; ა იგზე არი, სახლები, ჰა. ჰა აგზე არიან. დელეებში დეფტირავ სანამად, თორით... რა ვიცი მე, ღმა არალი. ამ შოშედს დელეებში ჩახვალ და დეფტირავ, ჰამა აღარ არი ტალული. „ტალული“ თეფზია. სხვა სახელი არ აქ.

– მე არ ვიცი გურჯი.

– მოი, დაჯექ, მოი!

– აგერ ის ვინ არი, თქვენი რა არი? არხატაშია?

– ჩაის სვავ?

– ვერ მიხდება გურჯიჯას-და...

– ჰო!

ჰე, ჰე თავი'ნა დაახუროს.

ახლა მუა ის; მუალ მეო, ასე თქვა.

ჩაი არ'და ასვა?

– ეს ყართოფის ყანაა. ნისანში ვთესავთ. ხარით მოარევთ, ხარით დავარევთ, თითო-თითოს ჩავხყრით, მივაყრით მიწას. იშტა მოვრწყავთ. იი ახლა თველია. თველზე ამოყვრით და ყუებში ჩავხყრით, ყუში ჩავხყრით, ავახსებთ ყუებსა, იმას ვჭამთ იშტა.

იგირმი ოთუზ ემექებ, მოსაფირები მოვლენ, იმათ მივართვავთ, მოხარშავთ, ჩაის გავაკეთებთ, სვავთ. ჩაის ერთათ ყართოფი, ფენა გერმელია, ჩემი დაჰა კად არი.

რა ვიცი, ნახევარ ტონემლი იქნება.

ღობიო არგვენ, ჰამა მე არ ვარგევ.

თქვენ არ გითესიან? არ გაქვან?

იქა ყაბალი, ყაბალი. ადნი, ყარფუზ გავს, გათლი, ძეს დაასხამ, მოხარშავ, ძეს დაასხამ, ჭამ; ძენა დაასხა. იცი ძე? ძე იცი? ძროხის ძე? ისეც მოხარშე, ჭამე, თუ გინდა, ხასი თუ

არი, მოხარშავ, ჭამ. ხასი იქნება და, კარგა ხასი იქნება-და, გერმელი იქნება, არ დამწიფდება ის ყაბალი? თუ ემეა, საძროხე იქნება, თუ ნაჩარია, ძროხას დუუჭრი, თუ არა-და, მოხარშავ, ჭამ. ხაპის ჯინსები არაფერი არ არი, ერთი ჯინსია, ერთი. შავიც არი, თეთრიც არი; თეთრიც არი, შავიც არიან. ქერქი ემე... სქელქერქად, თხელქერქად იქნება. სქელქერქად... ვერ გასხნი-და, მოხარშავ, ჭამ იმა და, თხელქერქად ლამაზი იქნება, ჰამა ჩემი სულ თხელქერქადა, სქელქერქას არ დავთესავთ.

რა ვიცი, კარგიაო, იტყვიან. ყაბალიც ჩინეგია და.

ჩინეგი არ იყოს, ყაბალიც არ იქნება.

აინი ჩვენი გურჯი ხარ შენ.

ბაბო, ანა... ხუთი წლისა ვიყავ, მომიკლა, ფეთიმი დავჩი. ბაბო, ორჯერ დასახლდა, სამი მეფეყანა. აქაერი ქალი იყო ჩემი ანალული და გექცა. აქა ამოიდა და აქ გვეთხვა-და.

ერთი სხვა მედღანჯულიდან მეფეყანეთ ანალული და ის კად იყო, კად იყო, კად. უყვარდა ჩემი თავი.

ექვსი თანე იმიდან ყავს, ორიც ჩვენ, რვა თანე ვართ.

არც ანალული მყავს, აღარც ანა.

ერთი ძმა მყავდა, ერთი ძმა მოკდა და სამი ძმა მყავს.

ერთი ღარჭი მყავს, სამი ბაკალა.

(ბიჭი დასახლებულია?)

– ჰვლბეთ. ოთხი თანე ბაღვი ყავს, ისტამბოლ არი.

სამი თანე ბაკალა მყავს. ერთი სვირეყანაა, ერთიც აქ არი, იქეთა სოფელში, ჯამიეთი არი? ჯამიეთის იქიდან არი. ქვეშედან ქი ამოხველით, ერიქლი ქოდს ებნევიან, ერიქლის ქოდამ არი, აგარა მაჰალესი.

ბაბოს დის ღარჭია, ზორით მისცა ბაბომა, ფეგანიო-და. ისაც ფეთიმი იყო-და. ძველათ ზორით მიცემა იყო, ახლა არაღი.

მე არ გიმიტანებია იმდენი. ერთ ხელ დათად გაატან, ზანდული, სკივრი დანი, სკივრი; ერთიც... ერთი ხელი დათადი, და ჯეჯიმი გექნება, და ქილიმი, და ერთიც ემე, ერთიც ყაბი. ახლა იძლევიან... ყველაფერ აძლევენ. ჩემ ძალმა მისცა ბაკალას ჩამაშურ მაქინა, თელი მისცა, ჰამა ი ზენგილი იყო, მე არ ვარ ზენგილი, რა მიმეცა. ერთი ძალი მყავს, მედტანა იმანაც იშტა დათადი, ბალიშები ხქონდა, იშლამა, იშლამა, თელი ქონდა იშტე. ამა ემე არა, ქილიმი... არაფერი არა, ვერმედი.

თუ აქ გაჩუქებს, თუ არ აქ, საიდან'ნა გაჩუქოს... თუ აქ იშტა – ალთუნ, ბილეზუდ იშტა, მე რა ვიცი... ახლა ბილეზუდ-მილეზუდ არ იძლევიან. ეს ალთუნ ქუფვა, ქემერი ძველათ იყო და ახლა არალი ქემერი, არალი. ბილეზუდები, ალთუნ ქუფე, ალთუნ ფუზუგ, ერთიც ემე იშტა. თუ ზენგილი ხარ, იქ; რა ვქნა. მე ძალი ქი მეფეყანე, არ მქონდა არაფერი; ტყვილი რად ვთქვა, მარტივი ალთუნი, ალთუნ ფუზუგ, ალთუნ ქუფე, ისინი უფლვეი.

ჩემ ღარჭზე შვიდ წელწად თვალი ქონდა ბაკალას. ჰე, შვიდ წელწად და დუუცადა, კითხულობდა ჩემი ღარჭი ოქულში იმამათ, (ფელი სენე) თვალი ქონდა, ჰო.

ბაბოს და იყო, ოთუზ ბემ სენე. ახლა იყრებიან, არ დგებიან დედამთილთან, მამამთილთან. დედამთილთან ვიყავ, ქრივი იყო, არ ყავდა კაცი ჰო. მემრე ავათ გახდა იშტა, მოკდა. თაზე წადიოდა, მემთევერე იყო.

* * *

ყართოფის თესლ ჩადებ. ყიზათმა დაფარსუნ. გურჯიჯა გითხრა? დაღში'ნა მოხარშო, ემე... ყართოფი. გათლი, ისტა დაღში მოხარშე, ისტა ცეცხლში ჩადე. „ყიზათმას“ ვეტყვიო ჩვენ იშტა. დაღში, ემე ყიზათმა, თურქია იშტა. ყართოფის შორვას გააკეთებ, ყართოფში ემე'ნა... რა ქვია... მოსართავს მისცემ, ფშნილას ჩაყერი, დაღ მაასხამ იშტა; ზოგი შიდამ დებენ, ზოგი... ზედამ მაასხამ.

ფხალ-ლობიო იციან აქა. ლობიოს ჩაყერი, ფხალსაც მოხარშავ, დაჰკეპავ, ჩაჰყრი, ფხალ-ლობია იქნება. გერმელი მოდის. ეჩოთ დაჰკეპავ, ეჩო გარცხი, ასეა, ჩაჰყრი, მავლებ იმასაც; გარცხი, ჩაყარე, დაკეპე. ერთი გუნდი გააკეთე, ჩაყარე, ასე პაწ-პაწად. საფანელი ემეს აქ... ანი, ცარიელი თუ გააკეთე ფხალი, მაშინ საფანელ ამოვკრავთ, ფხალ-ლობიოს არ უნდა. ლობიო ჩაყარე, ემე... დაღი და ხახვი დაწვა-და, დაღი და ხახვი.

* * *

– დემიში, სამოცდაათზე ბევრი ვარ... სამოცი... ოცი?... ოთხმოცი.

* * *

იტყვიან არ ისხამსო, ყაბაღმა არ'ნა მედსხასო, - იტყვიან. ბევრი მედსხასო, ისე ამბობენ, არ იქსო წრეველს ბევრი ყაბაღიო, თუ ბევრია, ბევრი მედსხასო.

კიტრი მოდის ფენა, ჰამა თველზე. ჰალა არალი არაფერი, ჰამა ხოშკოკოლამ ჩაწყვიტა, ერთი წამაასხა და ჩაწყვიტა კიტრები და მოჯეჯა, წვედა, დოსხა ისე მედსხამს ქი... ძვილად კალთით მევეტან.

ერთი ისტამბულიდან მევეტანე კიტრის თოხუმი-და. მაშალაც და ისე ქნა. კილამ დემილპეს. ჩემ ღარჭმა თქვა ქი, ანავ, თოხუმი ევლოთო. ფაზარი იყო, ისტამბოლის ფაზარი. ევლევიო, მევეტანეთ, დავთესეთ და... ასე დავაჭახებდი, დანი, დავაღაგე; დაღაგება, ჩვენ ისე ვიტყვიო, კლავით მომქონდა.

* * *

ეს ჭლიკია, ეს ფეხები, ეს მენჯები.

ღუები არი, ჰამა არ ვიცი ქი. ისეც იჯებიან, ჰამა ბევრი ზათინ არ ვიცი. ბავალაც შვილი არი, ღარჭიც შვილია. ტელევიზიონში გააგდეს, ბავალა რაზე გეყოლაო-და.

საუბრობდა ემინე ბალჯი, 80 წლის.

* * *

აქილამ ჰო? ამ სოფელ ხოხლევი//ხოხლოვი ქვია. ორივეს ვიტყვიო. ყანის სახელები ჰო? ეკლუანთი, ქომომთა, ხოხნები, ქვატაბლა... ტყეს? დადექ, მევეგონო! ვერ მევეგონე... დიდ სახლი, კლდი თავი...

ბუღდად არ ითესება, ადგა მად საქმე.

ზეველი გორი მესხაძეებია, იქითებში – ხევრაზე არიან. ქომიენთი არიან, თუშები არიან. მე ენჩარად ვარ, ათაქანი. შუღლაზეები არიან აგარას. დაბლა მაჰალეს მესხიეთი ქვია, ქვემოთ ქომინთი (sic) (ქომიენთი>ქომინთი? – ჩამწ.). ხევრაზეები უკანეთში არიან. ზემოთ ერთი ემეა, ბარაკას ვებნევიო, იქნა ამობრუნდე.

ჭარები წიკავდენ აქა შემას-მემას, გუუკეთებთან ჯამე. ზეგნელები ხოხლევეურ ებნევიან.

საუბრობდნენ: ენჩარ ათაქანი

ნიაზ ათაქანი

დაბაწრული

აქილამ ასე გზა წავაა, ჩვენ თავზე ავა. სორწიო აგარული დაილაა. ფიქალათი, კლდეჭრელი, ყიშლისთავეები, ოფიკევი, კურცხალთები, ქათი ჯვარი (ხატი ჯვარი? – ჩამწ.), სარი ჩადრი (დაილა), კინი ჯუარი, ხოხლოვი დელე, ნაფეტვარი, ბაკათი, ნაკადი (შდრ. ნაკადული – ჩამწ.). დონჯა ბალახი ითესება. სამყური ბალახი ამოვა იშტე. არის კიდო თივა ქერად (გძელი თივაა ისა), ად ზინჭარია. თავზე გეიზდება ხალი, ფანჯარსაც ვეტყვიო.

სხლებია: სასელად, ნასყიდი, შიშველად, პანტად, ოდრეველი, თავრეჯული, წუწულად (წოწოლად)...

ვაშლი: ჯავე ვაშლი, ტბილი ვაშლი, ჯანიანი ვაშლი...

ქლიავი: თეთრი ქლიავი, წითელი ქლიავი, ჭანჭური, ტყიმალი... ჭახე ფესტილ გავაკეთებთ ტყიმალიდან. სხლიდან ბექმეხს გავაკეთავთ. ვაშლიდან ყორავას მოვადუღებთ, გაათხელებ, სუამ.

ად ნაფლატი ადგილი წუმპოა. მესხაძეები სისხაძეები არიანო, ჰერსლი კაცები....

ერთი კაცი აგარადამ წიყვანეს, მოიდა, მოკდა. ურტყეს ბევრი...

ბათუმ სიმინდი კად ყოფილა, კოტორზე ევლოდით არ გატყდებოდაო, დედედ იტყოდა.

ქერად – ყართალია; ყარაბუად – ხარაბუად.

კოკბერეთი//კოკვერეთი

– ფინთი გზაა. ყალბე არ არი აქ.

ვერ დაგვიკვირებულვარ ვერაფერი. გითხრა, ჰამა თქვენ ვერ გვიგნებთ. რძალი ვარ მე ქომოდან გამოთხოვლი.

– დუშ დაშინდა არი, აქვერულვენად არი, დაყუფოდლები.

ჩემი ბაბოე უსტამისიდან მოსულია. თელი დამავიწყდა, არაფერი არ ვიცი. თვალი მეწვის, კად კაცი მყავდა.

– ათ და ხუთი წლის გათხოვდა, ხუთი თანე შეილი ყავს: სამი ბაჭალა, ორი ბიჭი. თელი გათხოვლი, დასახლული ყავს. ამისმა ბაჭალამა ბაჭალა გაათხვა; თორუნის თორუნი ყავს. რავად დუგუნი ქნა, პაწად დუგუნი ქნა. ძველანდელი დუგუნი ქნა.

ენ დიდი ანადა.

– ართვინ წასული ვარ. ჩემზე დიდი არიან.

– ეფეე ილაპარაკეთ.

ჩემი ბაბოე ქართველი იყო.

ესა შენი ბაჭალაა, თუ არხატაში?

გვერდი მეწვის და ვერ მილაპარაკენია. ილაჯ აბა არ ვსვამ?!
ძველათ ფენა გვეშინოდა, გარეთ ვერ გამეგდოდით.

– აქაური ადგილებია: დგანდგალი, ჭალები, ლოთი, უკანხევი, ძახვიენთი, სერიჭალა, მოლიენთი, დარეთავეები, წოწოლაძირი, ოროკდარე – კად ადგილ ეტყვიან, ჭახიენთი - „ჭახე“-კურკიანი. არ ვიცი ქი, რაზე ქვია, ნათელახევი – კად ყანის ადგილი, ირკახიეთი... ბევრი არიან.

დგნალი – ხე, ფურცლიანი, ბევრი დგნალია. მიწაზე რაც მოდის, აქაც მოდის.

ქერი, ბუღდა – ფურნეში ქი აცხობენ, თეთრი, წითელიც არიან; დონჯა ჩაირია, მოთიბავ სამი-ორი პირი, ახმობენ, „ქორ“ ვეტყვით, ცალკე გაკეთებული იქნება, დავჭახავთ, ხარი არ გვეყავს, არ ვინახავთ. ჩომა წინ-წინ ბევრი იყო.

– გაღმა თურმანეთია, ყადა ბაში იყო, შავშეთიდან’ნა ამოხვიდე. ახალდაბა – ძველი „თეფე ქოე“, ციხისძირი – ყაია დიბი. ამ თერეფმა არ იციან გურჯული. გარყრილობი დაჰა შორ ქი არი. ძველათ ერმენები იყვენ, ბათომ წასულან, ბევრი ხანია, მე ვერ მევესწარ. თურქული არი, გურჯული – არა.

ადრე მოსული ვარ. ვერ გადაველ მე სიმონეთ, მომიტანა ვიზა, ვერ წაველი. ბევრი არიან, მუსლიმანი გამხდარან, ჩვენი ქილისები აქ არ არის. ბევრი არი სხვაგან. აქ ზედან ყოფილა, მე არ მახსოვს; აგზე იყო ყორე, ბადვებმა დაანგრიეს, ალთუნ ეძებდენ, ბევრი ალთუნი არიან-და... ერთი კაცი ყოფილა-და...

* * *

მოვჭრიდით ნეკერს, ადარ ვჭრით. ჩომა დავაცოტავეთ, ახლა ადარ გვჭირდება. მე აქ ვიკითხე, ლიცე გავათავე.

– ისაც წვედა.

საუბრობდნენ: ასლი სანჯალი, 100 წლის;
ემინე, სონგულ, ფატა გენჩები;
შაქირ ხოჯიენთლი, 76 წლისა.

მ ა ვ შ უ ხ ი ფ ო ც ხ ც ო ხ ი ნ ა ნ ი ც ი ჰ ი ხ ვ ა ც ი

ტექსტები

შ ხ მ მ ი ს ჰ მ ე ზ ი ა

თოხნური

1. მე ყანა'ნა მეფაჭა
სახწინედან ყანაში.
რა იქს, ხვალაც წამოყევ
ნალაზნევეში ჩომაში.

წველისა

1. დედოვ, დედოვ, ჩამოყარე!
ზიზილა მოვწველოთ, დედო!
სად ხარ, დედო,
ლამაზო დედო,
გერმელო დედო,
დედოჯან, დედო!

2. ალთუნ ყიზავ, ნენოჯან,
ჩამოყარე, ნენოჯან,
ჩამოყარე!

3. ნაზლიჯან, ნაზლიჯან,
ჩამოყარე, ანამჯან!
ანამჯან, ჩამოყარე!

4. ჩამოყარე, ნენოჯან,
ჩამოყარე, სურმელოჯან,
ჩამოყარე, ანოჯან!

თიბვისა

1. ე რა ჰალი ჭალები
დასათიბი'ნა დაგჩეს.
მეჰმური ხოშ არა ხარ,
რაში თვალი'ნა დამჩეს.

ჰ ა ტ ხ ი ო ტ უ ც ი ც ი ხ ი ა

1. თეთრო მამალო,
რატომ არ ყვორი?
ლამაზი ქალო,
რატომ არ ტირი?
ჩვენ სახლი კარზე
იყო ნიშანი,
გადაკარგულა ჩვენი სოფელი.
ბუხრი უკნედან
იყო შეშები,
მოკდნენ ბერები,
დარჩნენ ახლები.

2. გაღმა სერში ქათმები,
მიმოდევან ზერები.
ახალათ'და დევიწყოთ
გურჯიჯა სიმღერები.

3. საკუპრიაზე – ხარებიო,
ქვაკიბეში – ღარებიო.
ჩვენ თქვენთან გამოსვლა გვინდა,
არა გვაქ კი ფარებიო.

4. – სადევრი?
– ბაზგირელი!

– მოდი ჩამართვი ტველი,
სიცოცხლეში ვიაროთ
ჯანჯირი-ბაზგირეთი!

5. დაბა და დევიეთი,
ზემუდამ ზაქიეთი.
ორი დღეა, არა ვარ,
მომსურდა ბაზგირეთი.

6. დაბა და დევიეთი,
ზემუდამ ზაქიეთი.
ორი დღე აღარა ვარ,
მომსურდა ვარდიეთი!

7. აველ ნაციხვარაზე,
გამოჩნდა ჩაქიეთი.
ე რავად გული მეწვის –
დაწვილა ბელტიეთი

8. მაღლა სერში ჩიტები,
დაყარონ'ნა შვილები.
ამ სიმღერას იტყვიან,
ჩვენი ბიზაშვილები.

ანდაზები

1. ანად ნახე, და ნახე, შვილი ნახე, მაღლიაო.
2. ანას შეხედე – ბაჭალა ითხუე, ქენერზე შეხედე – ედე.
3. გონჯობიდან რამე არ გამუაო.
4. გაზენგილებულა და ცხვირი გუუზდიაო.
5. ეს თითები ადნია, ვერ მეიჭრიო.
6. კაკლის ხეჭოდან გამოიდა, კაკლის ხეჭოს აღარ წონულობსო.
7. კაკლის ხეჭოდან გამოსულა და ჩვენი თავი არ მოწონსო.
8. კახაბერი, მე არ შემიტყვია შენი ხებერიო.
9. ლაზების ჭკუა შუა დღემდე ისაქმებს, იმას იქით არაო.
10. მეზობელ ქი დაჩხვერს, შენ ფუშზე ხელი'ნა დეიდგაო.
11. მოსლა შენი თქმით არი და წასლა შენი თქმით არ არიო, - სტუმარს უთხრა მასპინძელმაო.
12. რძალს მული მუხი ესობაო.
13. სახელი იმ დუნიასაც გვინდაო.
14. სხვამ თაფლი ჭამოს და შენ ტიტვირები ილოკეო.
15. უდერდელი იმ დუნიას არიანო.
16. ქართველი ან ბლაცყია, ან – მოჭირებულიო.
17. შვიდი ვირი გაეზარდე, ჩემი ეუქი არ მემეხსნაო.
18. ცხრა მერთელი გვიცდისო.
19. წყევლა წყევარისა არიო.
20. ხორცი არ იჭმება, ქონიც არ იჭმება, ინსნობა კადა.
21. ხოჯების ნათქვამი უნა ქნა და ნაქნარი არ ქნაო.

დალოცვა

ა

- არა დერდი არ მოგცეს!
- ახლებმა იცოცხლეთ!

ბ

- ბევრი ჯანი მოგცეს!
- ბელადან, ყაზადან ღმერთმა შეგინახოს!
- ბაღვები მოგცეს ღმერთმა!

გ

- გაგახაროს!
- გამჩენმა ჯანი საღი მოგცეს!
- გზა-კვალი გიგირჩიოს!
- გზა-კვალი გიგისნას!
- გულში რავარ გაგიარს, ისე მოგცეს ღმერთმა!

დ

- დიდი კაცი გაგზარდოს!
- დუშმანმაც თავითვინ იცოცხლოს!

ე

- ერთ ბალიშზე დაგაბეროს!

ი

- იმასაც (დუშმანს) ინსნობა მიცეს!

კ

- კაი დღე მოგცეს!
- კაი ვიყვნეთ!
- კაი ვიცოცხლოთ!

- კაი იყავით!
- კარგათ იყავ!
- კარგობა მოგცენ!
- კარგ მურადს შეგყარონ!
- კიდევ გველიღსოს ერთმანეთის დანახვა!
- კიდევ მეესწრა ამ დუნიას!

მ

- მამის ოჯახზე გაცოცხლოს ღმერთმა!
- მშვიდობით წადი!
- მშვიდობით წადი, მშვიდობით მოდი!
- მშვიდობით, გერმელობით იყავ!

ნ

- ოჯახთან მშვიდობით მიგასხას!

ს

- საცხან წახვალ, გზა-კვალი გიგირჩიოს!
- სელამით ადი, სელამით ჩადი!
- სიმწარე არ მოგცეს!

შ

- ყაზადან, ბელადან ღმერთმა მოგარჩინოს!
- ყაზადან, ბელადან შეგინახოს ღმერთმა!
- ყველა სიხარული შენ მოგცეს!
- ყველაჲ ემედ გიგიყოლაგდეს!

ღ

- ღმერთის დუა შენ ზეიდან იყოს!
- ღმერთმა ანაჲ-ბაბაჲ მოგცეს!
- ღმერთმა არა დერდი არ მოგცენ!
- ღმერთმა არა სიმწარე არ დაგანახოს!
- ღმერთმა არაფრის დერდი არ მოგცეს!
- ღმერთმა ბევრი გაცოცხლოს!
- ღმერთმა ბაღვები მოგცეს!
- ღმერთმა ბევრათ მოგაგებინოს!
- ღმერთმა ბევრი მოგცეს!
- ღმერთმა ბევრი დღე მოგცეს!
- ღმერთმა ბევრი შვილები მოგცეს!
- ღმერთმა ბევრი ბაღვები მოგცენ!
- ღმერთმა გაგაკეთოს!
- ღმერთმა გაგახაროს!
- ღმერთმა გაგახაროს, არა დერდი არ მოგცეს!
- ღმერთმა გაგზარდოს, შვილოჯან!
- ღმერთმა გამოიდეს ახიდან!
- ღმერთმა გამჩენმა შენს ეზოში სეტყვა არ მიეყვანოს!
- ღმერთმა გერმელობა მოგცეს!
- ღმერთმა გერმელი, საღი ჯანი მოგცეს!
- ღმერთმა გერმელობით ჩაგასხან!
- ღმერთმა გერმელობით ჩაცმა გედირსოს!
- ღმერთმა გერმელობით დაგაფრეწიოს ახალი ურუბა!
- ღმერთმა გერმელთი გამყოფოს!
- ღმერთმა გერმელთი, მშვიდობით ჩემ შვილის უკან დაგაბეროს!
- ღმერთმა გზა-კვალი გიგირჩიოს!
- ღმერთმა გზა-კვალი გიგირჩიოს, საცხა წახვალ!
- ღმერთმა გზიები გიგირჩიოს!
- ღმერთმა გირჩიოს გზა-კვალი!

- ღმერთმა, გულიდან რაც გაქ, ის მოგცეს!
- ღმერთმა დაგანახოს ანად, ბაბად, იმის ერთათ გაგზარდოს!
- ღმერთმა დაჰა ემედ მოგცეს!
- ღმერთმა დერდი გეგიქარვოს!
- ღმერთმა დერდი არ მოგცეს!
- ღმერთმა დიდი კაცი გაგზარდოს!
- ღმერთმა დუშმანი არ მოგცეს!
- ღმერთმა დღით, ომრით გაგაძღოს!
- ღმერთმა ერთ ბალიშზე დაგაბეროს!
- ღმერთმა ერთათ გამცხოვრონ!
- ღმერთმა ერთ კლავზე დაგაბერონ!
- ღმერთმა ვინცხას ამარა არ გაგხადოს!
- ღმერთმა თეთრ საკალში დაგაბეროს!
- ღმერთმა თეთრ დაზმაში დაგაბეროს და შავეები აღარ ჩაგაცვას!
- ღმერთმა თეთრ წვერში დაგაბეროს!
- ღმერთმა ი დუნიაც მოგცეს, ე დუნიაც!
- ღმერთმა გიგიქაროს, რაცხა დერდი გაქ!
- ღმერთმა იმანი ჯენნეთი მიცეს!
- ღმერთმა ისლალი გაგხადოს!
- ღმერთმა კად ბადანა მოგცეს!
- ღმერთმა კად ბადვები მოგცეს!
- ღმერთმა კად დღიები მოგცეს!
- ღმერთმა კად გეჩმიში მოგცეს!
- ღმერთმა კად მურადი მოგცეს!
- ღმერთმა კად კაცი მოგცეს!
- ღმერთმა კად უბით დაგაბეროს!
- ღმერთმა კად ქალი მოგცეს!
- ღმერთმა კად შვილები მოგცეს!
- ღმერთმა კარგი მოგცეს დანი!
- ღმერთმა კარგობა მოგცეს!
- ღმერთმა კაცის პირი დაგანახოს!
- ღმერთმა ლამაზი თვალებით შეგხედოს!
- ღმერთმა ლამაზი ქალი მოგცეს!
- ღმერთმა ლამაზათ გაცოცხლოს!
- ღმერთმა ლამაზათ გაგაცვეთიოს!
- ღმერთმა მაგ სახში გერმელობა მოგცეს!
- ღმერთმა მაგ სახში დაგაბეროს!
- ღმერთმა მემლექეთში ჩეგიყვანოს!
- ღმერთმა მოგცეს ჯანი სადი!
- ღმერთმა მოგცეს!
- ღმერთმა მშვიდობით გარონიოს!
- ღმერთმა მშვიდობით, გერმელობით შენი შვილები შენ მოგცეს!
- ღმერთმა მშვიდობით მემლექეთში გედგიყვანოს!
- ღმერთმა მშვიდობით მიგასხათ შინ!
- ღმერთმა მშვიდობით ჩაგასხან!
- ღმერთმა მშვიდობით ჩაგასხან ადგილზე!
- ღმერთმა მშვიდობით ჩიგიყვანოს!
- ღმერთმა მშვიდობით წეგიყვანოს!
- ღმერთმა მშვიდობით წიგიყვანოს, მშვიდობით მიგიყვანოს!
- ღმერთმა ომრი მოგცეს!
- ღმერთმა რავარცხა იცის, ისე გაგხადოს!
- ღმერთმა რაცხა გინდა, ის მოგცეს!

- ღმერთმა საყვარელი მოგცეს!
- ღმერთმა საცხან წებვალ, კარგობა მოგცეს!
- ღმერთმა სახში მისვლა მშვიდობით გაღირსოს!
- ღმერთმა სახში მშვიდობით მიგიყვანოს!
- ღმერთმა სელამეთით მიგასხან!
- ღმერთმა სელამეთით იგიყვანოს, სელამეთით ჩიგიყვანოს!
- ღმერთმა სიმწარე არ დაგანახოს!
- ღმერთმა სიმწარე არ მოგცეს!
- ღმერთმა სულ ბევრი მოგცეს!
- ღმერთმა ფეხი არ წამოგაკრევიოს ქვაზე!
- ღმერთმა ქალი-კაცი ერთ ბალიშზე დაგაბერონ!
- ღმერთმა ყველა დერდიდან მაგარჩინოს!
- ღმერთმა შენ აგაშენოს!
- ღმერთმა შვილი დაგანახოს!
- ღმერთმა შვილი-კაცი მოგცეს, სიმწარე არ განახოს!
- ღმერთმა შვილები თავამდი მოგცეს!
- ღმერთმა შვილი დაგანახოს!
- ღმერთმა შვიდობით მოგიყვანოს!
- ღმერთმა შინ ჩაგასხან!
- ღმერთმა ჩიტივით გარონიოს!
- ღმერთმა ჩიტივით გაფრინოს!
- ღმერთმა წყალსავენ ბევრი დღე მოგცეს!
- ღმერთმა ხეირ-სელამეთი მოგცენ!
- ღმერთმა ჯანი საღი მოგცეს!
- ღმერთმა ჯენნეთი იმანი მოგცეს!
- ღმერთმა ჯენნეთში წიგიყვანოს!

შ

- შენ დღეში სიმწარე არ დეინახო!
- შენი გულისა მოგცეს ღმერთმა!

ხ

- ხას ქალ შეგყაროს!
- ხელ-ფეხი გიგიეშილოს!

ჯ

- ჯანი საღი მოგცეს!
- ჯენნეთი მოგცეს!

ნ ყ ე ვ ლ ა

ა

- ანტრად გაქციოს!
- არ აღისოსოს!
- არ აცოცხლოს!
- არ გაგახაროს!
- არ გაჭამოს!
- არ მოგიყვანოს!
- არ წიგიყვანოს, არ მიგიყვანოს!
- აღარ მიგიყვანოს!

ბ

- გაგაბენოს!
- გაგაღეჩოს!



- გამოვსილო!
- გამოვსილი შვილო, ნუ მომდევხარ უკნედან!
- გამოვიტყდეს ე კვალი!
- გელეების ნესიბი გაგხადოს!
- გელეებმა შეგჭამინ!
- გელმა შეგჭამოს და მომარჩინოს!

დ

- დაგაქოროს!
- დათვი შვილი ხარ!
- დენიზში ჩაგაგდოს!
- დერდში ჩაგაგდოს!
- დიგიქორდეს თვალები!
- დღე დიგილიოს!

ზ

- ზეირი ზუხუმი გუუხდეს!

თ

- თავი წამეგეწყვიტოს!
- კაი დღე არ დაგანახვოს!
- კათოლიკი შვილო!
- კარი გამოზრას!
- კიწი ამოგივარდა!

ლ

- ლეში მიგიდინდეს!

მ

- მატავრო, ჰა მიხვალ!
- მეზერზე დაგაყარე მიწა!
- მემღეკეთში არ ჩეგიყვანოს!
- მეხი დეგეცეს!
- მიგიდინდეს ლეშები!
- მიწა დაგაყარე შენ!
- მოსვლა არ აღირსოს!
- მოსკოვიშვილო!
- მუდრეგო!

რ

- რა ბელა იყავ ჩვენ თავზე, წამოგიწყდეს ე კვალი! მოხველ და ერთი დღე არ დაგვანახვე!

- რა ჩამომკიდებიხარ, მეზერზე დაგაყაროს მიწა ღმერთმა!
- რუსიეში გადაგარბენიოს ღმერთმა, შე კათოლიკი შვილო!

ს

- საცხა გადაგფუნხოს!
- საცხა წახვალ, გადაგჩეხოს!
- საცხა წახვალ, გზა-კვალი არ გიგირჩიოს!
- სა ჯეჰენემში წახვალ?
- სიციელი დეგეცეს!

ფ

- ფელჯი გაგხადოს!
- ფუში გიგისკდეს!
- ფუშში ცეცხლი ჩიგივარდეს!

ღ

- ღმერთმა ანტრად გაქციოს!
- ღმერთმა არ აცოცხლოს!
- ღმერთმა არ აღირსოს!

- ღმერთმა არ აჭამოს!
- ღმერთმა არ გაღირსოს!
- ღმერთმა არ გაღირსოს არაფერი!
- ღმერთმა არ გაგახაროს!
- ღმერთმა არ მიგიყვანოს!
- ღმერთმა არ მოგიყვანოს მშვიდობით!
- ღმერთმა არაფერი არ გაღირსოს!
- ღმერთმა არემი გიყოს!
- ღმერთმა არ წეგიყვანოს და არ მოგიყვანოს!
- ღმერთმა იქაერი ღურბელი არ დაგანახოს!
- ღმერთმა აქაურობაში არ გარონიოს!
- ღმერთმა აღარ ამოგიყვანოს!
- ღმერთმა აღარ შეიყვანოს!
- ღმერთმა ამ ღვლიებიდან არ ამოგიყვანოს!
- ღმერთმა გააბჯინოს, ზეირი-ზეხუმი გუუხდეს ი კვერცხი!
- ღმერთმა გაგაბჯინოს!
- ღმერთმა გაგაღეჩოს!
- ღმერთმა გაგაპაიკოს!
- ღმერთმა გაგაღეჩოს, ღვინებისაეფ გარონიოს!
- ღმერთმა გაგაქოროს!
- ღმერთმა გაგაწყნაროს!
- ღმერთმა გაგცვიტოს!
- ღმერთმა გაგხეთქოს, ძროხავ!
- ღმერთმა გამჩენელმა აგაყფოს!
- ღმერთმა გამჩენელმა გაგაძადლოს!
- ღმერთმა, გელებმა შეგჭამონ!
- ღმერთმა გკითხოს!
- ღმერთმა დაგაქოროს!
- ღმერთმა დაგფეხოს!
- ღმერთმა დენისში ჩააგდოს, მეფელარტოს!
- ღმერთმა დღე დიგილიოს!
- ღმერთმა დღე დიგილიოს, იორდამ!
- ღმერთმა ერთი დღე არ დაგანახოს!
- ღმერთმა ზეირი-ზეხუმი არ დიგილიოს!
- ღმერთმა თავი წამოგიწვიტოს!
- ღმერთმა იმ ღუნიას წეგიყვანოს ჯეჰენემში და არ მოგიყვანოს!
- ღმერთმა კაი დღე არ დაგანახოს!
- ღმერთმა კაცის პირი არ დაგანახოს!
- ღმერთის კარგი ყული არ ხარ, დერდში ჩავარდი!
- ღმერთმა ლეშები მიგიდინოს!
- ღმერთმა მემღექეთში არ ჩეგიყვანოს!
- ღმერთმა მოგკლას!
- ღმერთმა მოგკლას, გაგაბჯინოს!
- ღმერთმა მოგწვიტოს!
- ღმერთმა მოსლა არ აღირსოს!
- ღმერთმა ნეხვები გაზელიოს!
- ღმერთმა რუსიე გადაგარონიოს!
- ღმერთმა, საცხა წეხვალ, გადაგჩეხოს!
- ღმერთმა სიმწარე მოგცეს!
- ღმერთმა ფელჯი გაგხადოს!
- ღმერთმა ქორი გაგხადოს!
- ღმერთმა შავი დილა გიგითენოს!

- ღმერთმა შენი ოჯახი გააწყნაროს!
- ღმერთმა შენთანა შეილი არ შეიყვანოს!
- ღმერთმა ჩემზე ბეთარი გაგხადოს!
- ღმერთმა, ჩემმა გამჩენელმა, ერთი დღე არ დაანახვოს!
- ღმერთმა ჩენგე დიგიყაფანოს!
- ღმერთმა ხეირობა არ მოგცეს!
- ღმერთმა წიგიყვანოს, არ მოგიყვანოს!
- ღმერთმა ჯანი აგაზრას!
- ღმერთმა ჯანი დაგაძროს!
- ღმერთმა ჯენემში წიგიყვანოს!
- ღმერთმა ჯეჰენემში წიგიყვანოს!

შ

- შავი დღე შეგექცეს!
- შავი წყალი მოგადგეს!
- შავ და უკუღმა იარე!
- შავ და უკუღმა წაი!
- შავ და უკუღმა წადი, ღმერთმა აღარ მიგიყვანოს!
- შე ანტერო, გელეებმა გაგზლიზონ!
- შე ბათომიშვილო!
- შე გამოვსილო!
- შე მოსკოველო!
- შე რუსო!

ჩ

- ჩემზე მეტი ღმერთმა არაფერი არ დაგანახვოს!

ხ

- ხუი წამეგიწყვიტოს!

ჯ

- ჯინჯარი ამოვდეს შენ ოჯახში!

ჰ

- ჰარამი იყვეს, რაცხა გიჭამია!

სამკურნალო ჭელოცვები

1. გათვალულისა

1.1. თვალის დუა

აპარე პარესა,
ტაპიკი პანტისა.
გასკდეს ავი თვალისა!
შენი თვალი მაცემარსა
თვალი უხმებოდა,
ხორცი უშრებოდა!
შენთან მშვიდობა და
კარგად ყოფნა!

1.2. თვალისა

აღელისა, მაღელისა,
თვალიცემია ქაღებისა,
ღარჭებისა, კაცებისა.
ცული ტარი ცულ არგია,
ჩემი კითხვა
ფეგნის ბაჭაღას არგია.

1.3. თვალის დუა

აღელისა, მაღელისა,
თვალი გეცა აღემისა.

2. მატავრისა

2.1. მატავრის დუა

– შე მატავრო, სა მიხვალ?
– ადამიენსა.
– ადამიენსა რა საქმე გაქ?
– ბილი საჭმელად,
ზვალი სახვრელად.
– იმისი ანად,
იმისი ბაბოდ
გელია, დათვია!
არც მოგართვამს ბილსა,
არც მოგართვამს ზვალსა!

კვე მოქონდა შავი გველი,
ავსტარი, დავსტარი
შავტარიან დანით,
ჩაყვარე დიდ კოტობში,
ვადუღე და ვაქაფქაფე,
გვეტანე გაღმა სერზე,
მივეც ქარსა, ნიავსა.
ასეა, ასეა!
სულეიმანის ბეჭელია!
ამინ!

3. სირსვილისა

3.1. სირსვილას დუა

სირსვილად ხნევედა ყანასა,
მიაყრიდა ქვიშასა.
ვარ აპეური გაწყვეტია,
სირსვილას თავი წამოწყვეტია.

4. შეშინებულისა

4.1. შეშინებულისა

აშინა, მაშინა,
სად წვედუ, სად წვედუ,
ცალი ხარი მიმელო,
ენა-პირი შიმიკოჭა.

5. თიისა

5.1. ელისა (თიისა)

ეელი ელინდა,
მელი მელინდა.
თიის ქარი რას მელინდა?
ქეთ-ქეთ ზადლი ჩამორბოდა
ფეკწითელი, ბაუჟი,
შე ურჯულო ელის ქარო,
უკბინე და გოუშვი,
საყვდიმით გოუშვი!
იავ, თიავ, წარვე, კუხვე,

რას ელევი ცასავებ,
რას ბრუნევი კარსავეთ!
ეიარე, დეიარე,
დაალაგდი ქვასავევ!

5.2. ელის დუა

შავი ეელი,
წითელი ეელი,
თეთრი ეელი,
წყალი ეელი.

სამეურნეო მულოცვები

1. ნისლისა

1.1. * * *
ნისლო, წადი ეიყარე,
ბზედ გამევედესო.
ნისლო, ეიყარე, ბზევ, გამოდ!
ნისლო, ეიყარე, ბზევ გამოდ!
ნისლო, ეიყარე, ბზევ, გამოდ!

ცხვარ დიგიკლავ, ბზევ, გამოდ!
შემცივდა, ბზევ, გამოდ!
კალოზე ყონ დიგიკლავ,
ბზევ, გამოდ, გამათბე!

12. * * *
ნისლო, ნისლო, ეიყარე,
ღელე-ღელე შეიარე!
შენ ქალ ღარჭი ყოლია –
ერთი ქორი, ერთი თოფალი.
დროზე მიხვალ, მოგიჩინება,
შენი გოგო შენ დაგჩება.

13. * * *
ნისლო, ნისლო, ეიყარეო,
ცხრა მზი თვალში გედეიყარეო!

14. * * *
ნისლო, ნისლო, ეიყარე,
ცხრა მთას იქით გედეიყარე!

15. * * *
აქედან წადი, ნისლო!

მე კვერცხი არ მიჭამია.
ვინცხამ ქი ჭამაო, იქ წადიო,
იმახთან წადიო!
ქუდი გამოაქციეო,
ნისლი გავაქციეო.

16. * * *
ქუდი გამოვაქციე,
ნისლი გავაქციე.
ღმერთოჯან,
ნისლი გააქციე,
ეიყაროს,
ცხრა მთა იქით გედეიყაროს!

17. * * *
ქუდი გამოაქციე,
ნისლი გავაქციეო.

2. მზისა

2.1. მზე, მზე, გამოდი,
ქატო-მარილ დაგიყრი,
ყონ დიგიკლავ.
თუ ვერ შეჭამე,
მეც ღებეშველები.

3. ნაზარისა (//ლაზარისა (ლაზარობა)

3.1. I
ნაზარ, ნაზარ, ნაგეზარ,
ნაზარ, ბურდა, ნაგეზარ!
ღმერთო, მოგვე წვიმა-წყალი,
შეგვეწყინა მზე და მთვარე!

3.2. II
ნაზარ, ნაზარ, ნაგეზარ,
ნაზარ, ბურდა, ნაგეზარ!
ღმერთო, მოგვე ბზე და მთვარე,
შეგვეწყინა წვიმა-წყალი!
ამინ!

3.2. I
ნაზარ, ნაზარ, ნაგეზარ,
ნაზარ, ბურდა ნეგეზარ!
კოვზი, კოვზი ძალი,
თეფსი, თეფსი ფქვილიშტა.
მოგვეწყინა ბზე და მთვარე,
ღმერთო, მოგვე წვიმა-წყალი!

II
ნაზარ, ნაზარ, ნაგეზარ,
ნაზარ, ბურდა ნეგეზარ!
კოვზი, კოვზი ძალი,
თეფსი, თეფსი ფქვილიშტა.
მოგვეწყინა წვიმა-წყალი,
ღმერთო, მოგვე ბზე და მთვარე!

3.3. I
ნაზარ, ნაზარ, ნაგეზარ,
– შემშირე ბაჯი, რა უნდა?
– ერთი საჰანი ფქვილი უნდა,
ერთი კოვზი ძალი უნდა.
შეგვეწყინა ბზე და მთვარე,
ღმერთო, მოგვე წვიმა-წყალი!

II
ნაზარ, ნაზარ, ნაგეზარ,
– შემშირე ბაჯი, რა უნდა?
– ერთი საჰანი ფქვილი უნდა,
ერთი კოვზი ძალი უნდა.
შეგვეწყინა წვიმა წყალი,
ღმერთო, მოგვე ბზე და მთვარე!

3.4. I
ღმერთოჯან,
მეგვეწყინა მზე და მთვარე,
ღმერთმა მოგვეცეს
წვიმა-წყალი!

II
ღმერთოჯან,
მეგვეწყინა წვიმა-წყალი,
ღმერთმა მოგვეცეს
მზე და მთვარე

4. ჭიანჭველისა

4.1. ღარჭის არაში და ბაჯლის არაში ვინცხა შევა, იმათი ცოდვა შენ ყიაზე; ეგერ თუ ამ ყაფში შეხვეულ! სინორზე ვინცხა ერჩოლება, იმისი ციღვაც შენ ყიაზე!

სატრფიალო ლექს-სიმღერები

1. ეჭლოჯან

ღელეს იქით ჯვალთა,
ეჭლოჯან, ეჭლოჯან!
ის ვერ ემიტანია,
ის ვერ ემიტანია,
შენ რომ სხვას ეყურები,
ეჭლოჯან, ეჭლოჯან,
ის ვერ გემიტანია,
ის ვერ გემიტანია,
ეჭლოჯან, ეჭლოჯან!
სახლი'ნა გაეაკეთო,
გავთალო'ნა დოკანი,
გავთალო'ნა დოკანი,
არ გეგეზარდა, დედავ,
ეჭლოჯან, ეჭლოჯან,
დეგეწვა'ნა აკვანი,
დეგეწვა'ნა აკვანი.
ეჭლოჯან, ეჭლოჯან!
ზემოდან ჩამოიარე,
ზემოდან ჩამოიარე,
ეჭლოჯან, ეჭლოჯან,
ვერ ვიპუე შენთანა,
ეჭლოჯან, ეჭლოჯან!
ე დუნია მევიარე,
ე დუნია მევიარე,
ვერ ვიპუე შენთანა,
ეჭლოჯან, ეჭლოჯან!

2

გაღმა ფერდში თიქნები,
ვეჭლები და ვიქნები.
შენ რომ სხვას უყურები,
ვიტირეფ და ვიქნები.

3

ატინის სერებზე
ვერავინ ვერ ახტება,
მე რომ შენ დიგინახავ,
საჯენნეთო გახდება.

4

გადი ყანი ღარეზე,
გადი-გამოდ, მიყურე,
ე რა ზალუმი იყავ,

ღღისით-ღამით მატირე.

5

გაველ გურთუკლი სერზე,
დავედენა წითელ ქვაზე,
მოდო, გოგოვ, ვიაროთ
ჯანჯირში კლაფი-კლაფზე.

6

გაღმა ფერდში ვაჩაგი,
არ ხარ ფენა ქონეგი.
სახში რომ არ იქნები,
კარში დადევ ლაჩაგი.

7

საფექროში დგიმები,
შენი თეთრი კბილები.
გეიცინე, დეგინახო,
უბეში შეგინახო.

8

ჩარში ფრინავს კუკული,
რაზე ხარ გაბუკული?
გეიცინე, დეგინახო,
უბეში შეგინახო.

9

გეიცინო, დეგინახო,
უბეში შიგინახო.
მემეპარე კარიდან,
აჯაფ სა დეგინახო!

10

გოგლი, გოგლი, გოგოჯან!
გეიცინე დეგინახო,
მარანში შიგინახო!

11

ეჭლოჯან, ეჭლოჯან,
ორ ზიგარას წუუკიდე,
ერთი შენ სვი, ერთი - მე,
ორთავე დაწვილი ვართ,
ერთი შენ თქვი, ერთი - მე.

12

გაღმა სერში თეთრი ქვა,
დავევებ კელი, არ ამყვა.
ე ბათაჯადი სევდა,
საცხა წვეველ, იქ წამყვა.

13

იგერ გაღმა თეთრი ქვა,
ჩამოველ აქ, ჩამომყვა,
შენმა სევდამ, სიყვარულმა,
სადაც წვეველ იქ წამყვა.

14

ფენჯერეზე ორი ქუა,
კელი დაეკარ, არ ამყუა.
ე გამოვსილი სევდა,
საცხა წვეველ, წამომყუა.

15

ღელეს მიაქ ნაფოტი,
კატრის ჩამონათალი,
მოი, ღამაზო, მითხარი
დარის ჩამონათვალი.

16

ნარდინანა

ნარდინანა, ნინაენა,
ნარდინანა, ნინაენა,
ნარდინანა, ნინაენა,
ნარდინანა, ნინაენა,
ღელეს მიაქ ნაფოტი,
აღვის ჩამონათალი.
შედევ, ღელევ, მითხარი,
დარის შემონათვალი.
ნარდინანა, ნინაენა,
ნარდინანა, ნინაენა,
ნარდინანა, ნინაენა,
ნარდინანა, ნინაენა.

17

ხეზე აველ უკველო,
ვერ ჩამუელ უფეხო,
რატომ დიდი შემეყვარდი,
ვერ დავდგები უშენოთ!

18

ჩვენ ჯანჯირის აღმართში,
სამ საათზე ვერ ავალ,
დავწვები შავ მიწაში,
მე შენიდან ვერ გევაღ.

19

ჩვენ ჯანჯირის შუაში
ცივი წყალი ამოდის,
დარ, შენი ნათქვამები
გულიდან არ ამოდის.

20

ამოსულ ბალახ-ბულახში
ამოსულიყო ეკალი,
ამეზღამ შენთან მოვდივარ,
ერთათ'და ვჭამოთ ქათამი.

21

მინდორში, ბალახ-ბულახში
ამოსულიყო ეკალი.
ამეზღამ შენთან მოვდივარ,
ერთათ'და ვტეხოთ კაკალი.

22

მინდორში, ბალახ-ბულახში,
ამოსულიყო იაო,
ამეზღამ შენთან მოვდივარ,
კარი დატოვე ღიაო.

23

ატიანის უკნედან
გაყოლაა მაღრები,
ამეზღამ თქვენთან მუალ,
არ დუუყარო კარები.

24

ტაფაზე დავდე დადი,
ე რა ფენა დემეწვა,
სერი რომ გედვიარე,
ე რა გული დემეწვა!

25

ჩოხა გეიხადე, ჩოხა,
ღელეგი მოგიხდება.
ერთი შენი დანახვა
ჯენნეთი გემიხდება.

26

ზივიანი ღაჩაგი
რა ღამაზათ გიხდება!
შენი ერთი დანახვა
ჯენნეთი გემიხდება.

27

მერეთა, მაჭახელი,
გოგო, რა გაქ სახელი?
გუშინ რო დეგინახე,
ვერ ვიძინე წუხელი.



28

ნაფუზარში სიმინდი
კონწალ-კონწალ კიღია,
უშენ ღამიებში
სულ ვერ დემიზინია.

29

დილადა გამუეღ კარზე,
მიხვიდოდი თი გზაზე.
რა ფენა გიხდებოდა
თეთრი ელბისე ტანზე.

30

ტაფა მოიტანეთ, ტაფა,
მოადუღო'ნა ფაფა,
რა ღამაზათ გიხდება
შენ ტანზე თეთრი კაბა!

31

ზემთ-ზემთ ნუ მიხვალ,
ქომთ ჩამოარდები!
მემრე შენ, შეყვარულო,
ხელში ჩიმივარდები!

32

ზემთ-ზემთ ნუ ახვალ,
ჩატეხილში გედეარ!
არ აჰყვე დუშმანი სიტყვას,
შენაც ჩემიდან გეიარ!

33

ჩატეხილში ნუ ახვალ,
რუსიეში გედეარ,
არ აჰყვე დუშმანის სიტყვას,
მემრე ჩემიდან გეარ!

34

სახახვიას ფერდები,
საკუპრიას გვერდები,
არ გეიარო გოგოჯან,
გეიარ, დიმიგორდები.

35

ნაფუნევის ზედედან,
ატიანი დუზია.
ი ჩემი საყვარელი
ბითეგზე ღამაზია.

36

ბაზგირეთის უკნედან
საზგირელი დუზია,
ერთი გოგო დევნახე,
ბითეგზე ღამაზია.

37

ნაფურნევი ზემოდან
ატიანი დუზია,
ე ჩემი ნაზლი არი,
ბითეგზე ღამაზია.

38

გაღმა სერში ქათამი
დამუდარა და კაკანობს,
მე შენ რომ დიგინახავ,
გულში გამაკანკალებს.

39

გაღმა სერში ქათამი
მივა და მიკაკანებს,
მე რომ შენ დიგინახავ,
გულში გამაკანკალებს.

40

გაღმა სერში თიკანი,
გამოღმა მოკაკანებს,
ერთი შენ დიგინახავ,
გულში გამაკანკალებს.

41

აველ საზგირელაზე,
გაგგორდი, დემეზინა.
ერთ გოგომა გეიარა,
მაშინ გამომეღვიძა.

42

ჯანჯირის ბაწრებიდან
გეიარ, გახვალ ზიარეთ,
სულ აღარ მავიწყდება,
ჩვენ რომ ერთად ვიარეთ.

43

ჯანჯირის ბაწრებიდან
გევიარ, გავალ ზიარეთ,
აღარ მავიწყდება,
ერთათ თუ ვიარეთ.

44

ჯანჯირის ბაწრებიდან
გეიარ, გახვალ ზიარეთ,
ჰინ არ დამავიწყდება,
ჩვენ რომ ერთათ ვიარეთ.

45

ჯანჯირიდან – დანბეგი
გეიარ, გახვალ ზიარეთ,
ჰინ არ დამავიწყდება,
ჩვენ რომ ერთათ ვიარეთ.



46

ჯანჯირი ბაწრებიდან
გაველ საზვირველზე,
სულ აღარ მავიწყდება,
ჩვენ რომ ერთათ ვიარეთ.

47

ღელე-ღელე მივდოდი,
ღელე ბალახიანი,
ერთი გოგო დევნახე
ზუზუტალახიანი.

48

წვიმა წვიმს და ნამი არა,
სულ კაბაში გიმიარა,
ღელე-ღელე გავიარე,
ღელე ბალახიანი,
ერთი გოგო დევნახე,
წელი წმინდა, თმისანი.

49

სახტომელას უკნედან
გაყოლაა კატრები,
ერთი გოგო დევნახე,
არ არიან ბაკლები.

50

სახტომელას უკნედან
გაყოლაა კატრები,
ე რა ჰალი ვიმღერე,
არ არიან ბაკლები.

51

გალმა სერში გელები,
მიმოღევან ზერები,
რას იქს, მეც მიმიქსუე,
ერთი გვექონდეს ჭრელები.

52

ვაკეთ უკან ძელები,
რა ლამაზი ძელები!
გოგოვ, მეც მომიქსუე,
ერთი გვექონდეს ჭრელები.

53

თაზე მიმყავს ორი ხბო,
იქით-აქეთ მექცევა,
მე რომ შენ დევნახავ,
თვალი შენკენ მექცევა.

54

ნარდანი

ნარდანი, ნინადინა,
ნარდანი, ნინადინა,
ნარდანი, ნინადინა,
ნარდანი, ნინადინა,
ნარდანი, ნინადინა,
ეგერ გაღმა ტრელები,
გოგოვ, რას მერიდები.
მაგრე რო ლამაზი ხარ,
შენაც ჩემთვის იზდები.
ნარდანი, ნინადინა,
ნარდანი, ნინადინა,
ნარდანი, ნინადინა,
ნარდანი, ნინადინა.

55

სოჭი ძირში გევიარე,
ლამაზავდა თლათ წიწვი,
ის ანჯახ ღმერთმა იცის,
მე რომენ შენთვის ვიწვი.

56

საყვეარას ფერდები,
საკუპრიას გვერდები,
მე რომ შენ დევნახავ,
ჰენ აღარ დავბერდები.

57

სახახვიას ფერდები
ნისლებით დახვევლია,
ჩემი დარალი გული
ბანდებით შესვევლია.

58

მალლა-მალლა მიფრინავს,
ყვავია თუ ყორანი?
ჩემი დარი მოსულა,
ტყვილია თუ მართალი?

59

ტანტრაბაზე ხელ ვიბან,
გადავარდა საპონი,
მე და შენ გაგვარჩიან,
გადარეველა ბატონი.

60

ახლა მუალ ბარიდან,
რას მიყურებ კარიდან!
დაწვილი ვარ გულიდან,
არ მეტყობა გარედან.



61

ერთი ლექსი ჩამოვწერთ
ამდენ ხალხის ზეგნიდანა,
დაწვილი ვარ შიგნიდანა,
არ მეტყობა გარედანა.

62

ჩევიცვი მატყლი წინდა,
ქვეშიდან ფეხებ **გახრავს**,
ი ჩემი საყვარელი
ბზემოსულ თვარეს გავს.

63

თაზე მივდოდი, თაზე,
ევიარე ჭალებში.
რა ლამაზათ მიყურეფ,
გენაცვალე თვალებში!

64

თაზე მივდოდი, თაზე,
ბუხრუკან, დეგინახე.
ერთი ქადა შევჭამე,
ერთი შენ შიგინახე.

65

გაველ ყანი დირეზე,
მოჩონდა'ნა ჩავარგო.
შენ სოდ ლამაზი გოგო
მე რა სოდ'ნა გავაგდო.

66

ინაწმინდას ცხვარი ძოვს,
იმან რად'ნა მეიწველოს?
შენ გაღმით, მე – გამოღმით,
გულმა რავად მეისვენოს?

67

გავიდე'ნა ტყიაში,
მევიტანო ზეხმელი.
ერთი გოგო დევნახე,
ტანსუქანი, პირხმელი.

68

ხელგაშლილად გაშლილა,
სამა არ დაგიშლია,
გოგო, რავად გიხდება
სამა და ხელგაშლილად.

69

ე დუნია ლამაზო,
ტყვილია და იცოდე.

ე რა ზალუმი იყავ,
ერთ რამე შემიცოდე.

70

აკვანასი ფერდები,
კარეთისა გვერდები,
შენ გავლილ ალაგებზე
გევიარ, მომაგონდები.

71

სახახვიას ფერდები,
საკუპრიას გვერდები,
ჩვენ რომ ერთ ხუიზე არ ვართ,
ჩვენ რა სოდ შევფერდებით.

72

ფოთინების ბუკები,
მოხვალ - ჩეგეხუტები,
წახვალ - გეგებუტები.

73

ართვინის ახალ გზაში
მე ეშვილ ტახსით მუალ.
არ იტირო, ლამაზო,
წავალ და ისევ მუალ.
ავაყუდე მესარი,
ჩემი სიტყვა ეს არი.

74

ფეხზე ჩევიცვი ფოთინი,
ოდნავ წამოდებუდი.
ამეზლამ დევიზინოთ
კელი ჩამოდებუდი.

75

ჯანჯირის ახალ გზაში
სამითანედ ვირაუი,
იმგუარ დერდში ჩამაგდე,
ვერა ვნახე ილაჯი.

76

ვაკეთკენ მიმავალი
ქვაზე ფეხი წამოვკარ,
უკნესკენ მინავალი
ჩემ დარ თვალი წამოვკარ.

77

დელე-დელე ევიარე,
ტურები გამოვყარე,
გუხელებიც დევნახე,
ფუქები ჩამოვყარე.

78

გვევარე-გამევევარე,
ზემოდან ჩამევევარე,
ვერ ვიპუე შენთანად,
ე ღუნია მევევარე.

79

გაღმა სერში ნაზვი დგას,
ნაზვი შიგან წყალი დგას,
ჩემ კარზე რომ გეღარე,
ჰალა თვალეებში დგას.

80

ნაძვი ძირში წიწვეები,
დილაზე ნუ იწვეები,
ადექ და გამომხედე,
ყოლდღე იგზე ვიწვეები.

81

გაღმა ფერდში ნაზვია,
რა ფენა აწვილია!
მოდ, ჩემ გულში ჩამხედეთ,
რა ფენა დაწვილია.

82

ციყელიზირ კლდი ძირში
მივჯექ ერთ ნაძვი ძირში.
ჩემი ძარი დევნახე
გუშინდელ გერმელ ძილში.

83

აველ საბუზარაზე,
მიმევიარე, მოებრუნდი,
არ იტირო, ლამაზო,
შენიდან გადავბრუნდი.

84

მზემა მამადგა, დამცხა,
ევიარე, აველ თაზე.

მიმევიარე დაილებში,
შორედან დიგინახე,
მომაფრინდა თვალეებში.

85

ყალედან ჩამევიარე,
შენ კარზე გამევიარე.
შენ კარზე ქი გევიარე,
რატომ ვერ დიმინახე?!

86

ყვავმან კვერცხი ჩამაგდო,
ჰამან ბუკზე მამაგდო,
შენითანად ლამაზი
აქ რავად'ნა გაგაგდო?!

87

გაღმა ჳარი გავდენე
დაბალი და ქიანი.
ერთი გოგო შევევარე
ლამაზი და თმიანი.

88

ჩაფულეები დიმიცდა,
ოთუხ სექიხ ნუბარა.
ამეზლამ შენთან მუალ,
არ'და მიყო დუბარა!

89

ჭიყლიყ ემოდ, მეველუდ ემოდ,
შავ ტყეშია გელი ბუდე,
მოდ, ქალო, ჩემესუტე!

90

ჭალა მოვთიბე, ჳალა,
დამჩენოდა ნაპირი.
საყვარელო, რად გინდა,
დამჟდარხარ და რას ტირი?

საქორწილო ლექს-სიმღერები

1

საათი მეები კლაფზე,
აველ საზვირელაზე.
იქიდან გადმოგხედე,
გამოგარჩიე კარზე.

2

საათი მეები კლაფზე,
აველ მე კოკოლაზე.
იქიდან გადმოგხედე,
გამოგარჩიე კარზე.



3

საათი მეგები კლაფზე,
გაველ ურის საფლაფზე.
გამოვხედე გაღმიდამ,
გამოგარჩიე კარზე.

4

აველ კოთელა სერზე,
გადავხედე მერე თას.
შენ ჩემი ნესიბი ხარ,
ჩავახედე მითხეთას.

5

იქითკენ მინავალი
ქომოთკენ გადავხედე.
შენ ჩემი ნესიბი ხარ,
ქითაბში ჩავახედე.

6

სახლუკნედამ ტყიმალი,
ეგ ბაჭალა ვინ არი?
ეგ ბაჭალა ვისია?
არ წამამყვება, რად უნდა?

7

თაზე მივდოდი, თაზე,
ხელში ჩანთა მიჭირავს.
ათი წელიწადია,
შენზე თვალი მიჭირავს.

8

გაღმით სერში ყვაავია,
ყვაავია თუ ყართალი?
შენი თხოვნა მწადია,
ტყვილია თუ მართალი?

9

გაღმა სერში აკრიო,
დასახლება მაკლიაო.
ღამაზი ხარ, გოგოჯან,
შენც გათხოვნა გაკლიაო.

10

კატარ შეხედე, კატარ,
ნახარდი მუუცემია.
შენ სოდ ღამაზი გოგო
ღმერთ ჩემთინ გუუჩენია.

11

– ე ღამაზი დუნია,
წყალი მასვი მწყური,
– წყალ გასვამ, შერბეთ – არა!
– მე შენ ვითხოვ, სხვას – არა!

12

ე რა მე ბალი მინდა,
გრილოს წყალი მინდა.
შორედან რო მიყურეფ,
ჩემ ანას ზალი უნდა!

13

წამამყევ, ჯანო, წამამყევ,
არ წამამყვები, რად გინდა?
წამამყევ, ჯანო, წამამყევ,
არ წამამყვები, რად გინდა?
თორმეტ ალთუნ ეგილებ,
ლაილონ წინდებ ჩაგაცვამ.
თორმეტ ალთუნ ეგილებ,
ლაილონ წინდებ ჩაგაცვამ.

14

ელია, ავრუმ ელია,
ე რა წმინდა წელია!
სამი წელიწადია,
დასახლება მწადია.

15

მოყორილში წვიმა წვიმს,
დიობანში დარია,
სამი წელიწადია,
დასახლება მწადია.

16

გაღმა სერში ქათამი
მოჰკაკანებს აქეთ.
ოთხი წელიწადია,
შენზე თვალი მჭერია.

17

შავ ფოშეთში ბალი მაქ,
გოგოვ, შენზე თვალი მაქ.
წიყვანეს, გემითხუეს,
რა ფისი იღბალი მაქ.

18

შავ ფოშეთში ბალი მაქ,
გოგოვ, შენზე თვალი მაქ.
შენ ანამა შემიტყვა,
რა ბეთი იყბალი გვაქ!

19

ვითხოუნა შიშმანი,
არ გიმხედე ფიშმანი!
გიმიხდები ფიშმანი,
გიგიხდები დუშმანი!



20

ვითხუო'ნა შიშმანი,
არ გიმიხდე ფიშმანი!
შენაც მე თუ არ მომყევ,
გიგიხდები დუშმანი!

21

გაღმა სერში ქათამი
მუა და მოკაკანობს.
შენ ქი მე არ მომყევ,
გულში გამაკანკალებს.

22

ართვინის ახალ გზიდან
დეშილი ტაქსი მუა.
შენ რო მე არ მომყევები,
ყიამეთი მაშინ მუა.

23

აველ საზვირელაზე,
ერთი დავაკიჟინე.
მე რომ შენ არ'ნა წამოგყვე,
აქ რაღა დემეჯინე!

24

ცეცხლი ძირში რომ დავჯექ,
დავჯექ და ვეღარ გავთბი.
არ'ნა ვითხუო, გითქვამს,
ეგ პასუხი რავად თქვი!

25

ე რა ფუხრად გევიზდი,
ლობიო შორვა დევისხი.
შენ რო მე არ მითხუე,
შევაღ, ცეცხლში დევიწვი!

26

კარდალაში უმი ზე,
კიდონ ამუელ თაზე.
შენ რო მე არ მომყევები,
დავუდები მე წყევლაზე!

27

ავდექ, ჩაველ ახორში,
დავდექ ზროხის წველაზე.
შენ რო მე არ მითხუო,
დავუდები მე წყევლაზე!

28

აველ გორი წვერაზე,
დავჯექ დაზი წვერაზე.
შენ ქი მე არ მომყევ,
დავჯექ შენთან წყევლაზე!

29

თაზე მიმყავს ორი ხბო,
იქეთ-აქეთ მექცევა.
მე შენ რო ვერ გითხუო,
შავი დღე მემექცევა!

30

თაზე მიმყავს ორი ხბო,
იქეთ-აქეთ მექცევა.
მე შენ რო ვერ გითხუო,
შავი დღე მეგექცევა!

31

ნაცარა თის ზემოდან
აჭახული შეშები.
შენ თუ მე არ მომყევები,
მიგიდინდეს ლეშები!

32

გაღმა ფერდში თიკნები,
ვიცინებ და ვიქნები.
შენ რო მე არ წემიყვან,
ვიტირებ და ვიქნები.

33

მე ლუქუსი ავანთე,
მატყელი'და ვაჩეჩიო.
შენ რომ მე არ მითხუო,
ზმას'და გავათქლეშო!

34

ჩვენ კარიდან გეგხედე,
ჭეჭლოს დაზმა კიღია.
ჭეჭლოს თუ არ მომცემენ,
ლოცვა-კითხვა ცუღია.

35

ჭეჭლოაო კანჭალა,
მივალ ქედი კარჭალას.
ჭეჭლოდ რო მე არ მომცენ,
რა'ნა გქნა ყანა-ჭალას?!

36

თაზე მივალ, თი გზაში,
შარაბი მაქ ჩანთაში.
თვალნაჭირი გიმიოთხუეს,
აღარა ვარ ჭკუაში.

37

ბარში მივდოდი, ბარში,
ერბო დამჩა მარანში.
ნათქვამსაც რომ ვერ ითხოვ,
დაბერდეს უნდა სახში.



38

ავაყუდე მესარი,
ჩემი მღერა ეს არი.
ნათქვამსაც რომ ვერ ითხოვს,
საცოდავი ის არი.

39

ავაყუდე მესარი,
ჩემი მოსვლა ეს არი.
ნათქვამსაც რომ ვერ ითხოვს,
საცოდავი ის არი.

40

სახლუკნედამ მესარი,
ჩემი სიტყვა ეს არი.
ნათქვამსაც რომ ვერ ითხოვს,
დიდი დერდიც ის არი.

41

კუტალეთის წინედამ
დაჩიეთ წისქვილია.
ვინცხა ნათქვამ ვერ ითხოვს,
უეჯლო სიკვდილია.

42

ჭალა მოვითბე, ჭალა,
დამჩენოდა ნაპირი.
გითხუე და არ მომყევ,
დამუდარხარ და რას ტირი?!

43

ჭალა მოვითბე, ჭალა,
დამჩენოდა ნაპირი.
შენ თუ არ მემიწონე,
უკანა ხან რად ტირი?!

44

გადმა სერში ტყიმალი
კონწალ-კონწალ კიდია.
იმ ბაკვალას უთხარი,
მე ნუ ჩამომკიდიას!

45

გადმა სერში ტყემლები
კონწოლ-კონწოლ კიდია.
მე ისმეილას არ მივეყუები,
რალა ჩამომკიდიას.

46

ართვინი ახალ გზაზე
დეშილი კამიონი.
ი ბაკვალა თუ გინდა,
დახარჯე მილიონი!

47

ბაზგირეთის უკნედან
ბათუმის ჰუდუდია.
ადექ, წამომყევ, გოგოვ,
ბაზგირეთ ღუგუნია.

48

ჩიკისხეური ბალი
რა ლამაზათ მოსულა!
ი ჩემი საყვარელი
ღუგუნში არ მოსულა!

49

სობაზე დავდგი გუგუმი,
დათვმა დეიწყო ბუბუნი.
მე და შენ რო შევეყრებით,
მაშინ'ნა ვქნათ ღუგუნი.

50

ტყეში ჩადრა კუკული,
რატომ ხარ გაბუკული?
მე და შენ რომ შევეყრებით,
მაშინ'ნა ვქნათ ღუგუნი.

51

სობი თავზე გუგუმი,
დათვმა დეიწყო ბუბუნი.
როდი'და ვქნათ ჩემი ღუგუნი?

52

სობაზე დავდგი გუგუმი,
დათვმან დეიწყო ბუბუნი.
რა ჯანი მიწუხდება,
რა დროდ'ნა ვქნათ ღუგუნი?

53

სობაზე დავდე გუგუმი,
დათვმა დეიწყო ღუღუნი.
მე რომ შენ გიყურები,
როდი'და იქნას ღუგუნი?

54

სობაზე დავდე გუგუმი,
დათვმა დეიწყო ბუბუნი.
დარი რომ არ იქნება,
რა'ნა ვქნა ი ღუგუნი?

55

უბედური მაითო აბლად,
მეიყვანა თოფალი ფატყუდ.
დილა-სადამ იქ იარა,
დვინიშნა დოდოფალი.



ნიშნად ბეჭედი მუუტანა,
 ბეჭედ ქონდა ლურჯი თვალი...
 – შე მუხსინევ, შე პირშავო,
 რა უყავ ჩემი დოდოფალი?
 – დილას ავდექ, შინ არ იყო,
 მე რა ვიცი ი ზუნკალი!
 – ტყუილ-ტყუილა ნუღარ ფიცავ,
 შე სომეხო, შე ფოშაო!
 – წუხელ დილამდე ვიტირე,
 ლუთფოს კითხეთ ჩემი ჰალი...
 – ფაიყარა, რაღას ზისარ
 თბილ ოღაში, სობი ძირში!
 ამ ზამთარმაც გეგობჯინა
 გონოღლებში გოგოები.
 ზედმეტად ხარჯი წოუვიდენ
 ერთი კოდი წმინდა პური.
 დილას ადგნენ გონოღლებმა,
 ვერ იშუეს ყიოს კვალი.
 ერთმანეთში წვიბზევანენ,
 მოსაკლავია შაქროს ქალი!
 – შე მუხსინევ, შე პირშავო,
 რა უყავი დოდოფალი?
 ტყუილ-ტყუილა ნუღარ ფიცავ,
 შენ გახადე პეტრას ქალი!

56
 ჩაფულები დემიფსდა,
 ახლა ვინ'ნა ემიღოს?
 ამეზღამ'ნა გევიქცე,
 კარი ვინ'ნა გემიღოს?

57
 – დოდოფალი მოხყავანო,
 საჩუქვარი რა ხყავანო?
 – მუნინანი თხა ხყავანო,
 სიძე თოფალი ხყავანო.

58
 – დოდოფალი მოყავანო,
 საჩუქარი რა ყავანო?
 – დორდამელად თხა ყავანო,
 ნეფე თოფალი ყავანო.

59
 – დოდოფალი მოჰყავან,
 ნეფე თოფალი ჰყავან.
 – საჩუქარი რად ყავანო?
 – ერთი თოფალი თხა გეყავანო.

60
 – დოდოფალი მოჰყავანო,
 – საჩუქვარი რა ჰყავანო?
 – ერთი თეთრი თხა ჰყავანო

61
 – დოდოფალი მოყავანო,
 – საჩუქარი რად ყავანო?
 – დასაკლელი თხად ყავანო.

62
 – დოდოფალი მოყავან,
 საჩუქვარი რა ჰყავან?
 – ერთი ქოლოდ თხა ჰყავან,
 ნეფეც თოფალი ჰყავან.

63
 ჰაი, დერელა, დერელა,
 აინალი ფენჯერელა.
 დოდოფალი მოყავან,
 საჩუქარი რად ყავან?

64
 მოლა, მოლა,
 ენგა გელსინო,
 ემეგი ვჭამოთ,
 ყართოფი ვჭამოთ,
 ყათმენი ვჭამოთ.

65
 გამეიარე, ზალო, გამეიარე!
 მამამთილი ბაბოდა,
 დედამთილი ანაია,
 მაზლი ზმა არი,
 მული და არი.

66
 ძალი მოყავან ნაზედიერ,
 სახლი დაგაოს თოზედიერ,
 დედამთილის უკანა სოზედიერ.

67
 დოდოფალო, მოდი,
 სახლი დაგავე!
 არ აათოზო,
 დედამთილით პასუხი არა ქნა!

სასულიერო ლექსები

გურჯი ვაფი

1

ახლა უნდა ვთქვათ გურჯიჯა ენით,
გამჩნეული დევჯეროთ სულით, გულით,
ვეხვეწნეთ გამჩნეულს სულ ყოლა ენით,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

2

კითხვა და ღოცვა მოგვცა მან,
გვასწავლა თელი ჩვენ ფედამბერმან.
ეყურბანოს მას ცოლმა და ქმარმა,
ღმერთო გამჩნეულო, შენ შეგვიბრალე!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

3

ამ დუნდაში ისე ბევრი'ნა ვიყოთ,
მამა-ძმის საქმე ჰემ'და ვიკითხოთ,
რაცხას რომ გვთხოვს, ხელი ვუსაქმოთ,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

4

ამ დუნდაში ჩვენ მოსაფირი ვართ,
პაწა ხან უკან მეზერში წავალთ,
ღმერთის გამჩნეულის უზურზე მოვალთ,
ღმერთო გამჩნეულო, შენ შეგვიბრალე!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

5

ეს ვახტი არის ახირზამანი,
გათავდა დუნდაში კარგი ღინსანი,
ენით იძახის, ვარ მუსლიმანი,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

6

ღოცვა და კითხვა დეიკარქა, წევდა,
ცოდვა და მისდა დუნიაში წევდა,
ქალმა მაგ კაცის უმფოსი გახდა,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

7

ულოცავი ქალი და კაცი თუ არი,
ძალდი და ღორი მასზე კად არი,
დეხბრუკვის ჯგუჳნემში მისი ხელი და
გული,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

8

შეიკერავს თურმე თუღლი ურუბას,
კიდონ აბარებს საბრალო მის ქმარს,

ასე არ იყოს, წამო მოგცემ ფასს,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

9

ჰეზრეთი ფადიმე ამ დუნდას მოვდა,
ის არის ჩვენი სულ ყველასი დედა,
თილას ურუბით იმ დუნდას წევდა,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

10

ჰეზრეთი ფადიმე, დიდი სულთანი,
სულ თელი ქალი მისი ყურბანი,
ფედამბრის გოგო, სული და ჯანი,
ღმერთო გამჩნეულო, შენ შეგვიბრალე!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

11

ახლანდელ ქალებ რა ედერდებიან,
ნამეჳრამ კაცებ არ დევრიდებიან,
ქმარის უიზნოთ სოფლებში დარბიან,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

12

ვაიზ გეგონებენ, ბუკვ მაარიდებენ,
სიმღერის გამეერს თაეპირ დეიჩეხვენ,
მეგებენ ცოდვას, სახლებში მოვლენ,
ღმერთო გამჩნეულო, შენ შეგვიბრალე!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

13

რაფერ ეწეობიან, ამ ტყვილ დუნდაში,
არ დარჩა დუქნებში ხასი ყუმაში,
დარჩებიან ტიტველი შავ მიწის გულში,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

14

ეზარებიან ღოცვა და სუფთობა,
ზიბილია თავამდე მათი ურუბა,
იმ დუნდას გაყვება მისი გონჯობა,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

15

ვინცხა ამ დუნდას მლოცავი არი,
გედება მისთვინ ჯენნეთის კარი,
შეიყრებიან ღამაზათ ცოლი და ქმარი,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

16

სულ ყველას გეიცდის დიდი სიკტილი,
სულის მიცემა არ არის ტყვილი,
მოსწყდება ინსანს გულის კაკალი,
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

17

ეზრავლი მოვა იმ ავატყოფზე,
დაასობს ჩანგალს გულის კაკალზე,
დაასობს თვალებს მაშინ თავანზე,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

18

რათ გინდა ღუნდაში კად სმა და ჭამა,
ბავში გიტირის, დედა და მამა,
მაშინ'ნა გეიყარონ ქმარმა და ქალმა,
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

19

დეიკარქვის სინათლე, თვალიდან წავა,
ქაფირი შედთან ჰემ მაშინ მოვა,
ნესიბი თუ არ გაქ მასინის კითხვა,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

20

გეგონა სიკვდილი ზალიან შორათა,
სავსე გაქ ქისა ჰერამ ფართათა,
ცოდვა-მადლი დევნახოთ იმღუნის თვალითა,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

21

დედლევა სული თუალში და პირში,
ერთ დღეს ვიქნებით მემრე იმ სახში,
მეორე დღეს გამუალთ ყედიმი კარში,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

22

გაყრა ძნელია ამ ღუნდას დედა-მამაზე,
გულის საყვარელ ქონორა ბიჭზე,
გასკდება გული ჰამან იმ დროზე,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

23

მეიყრებიან ხალდი, ჯანას ილოცვენ,
ორ-სამჯელ კალოზე შემოგაყენებენ,
მერე მეზარში მიგვაღაგებენ,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

24

დაგჩება ამ ღუნდაში სახლი და კარი,
ფარა, საქონელი, რაცხა რომ არი,
მეზარში მოვა მუქერ-მეჭირი,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

25

წინ-წინ მოგკითხვენ ღმერთ გამჩენელ,
მემრე – მუხამედ ჩვენ ფედამბერ,
ღუნდაში მოგებულ ჰელალ და ჰერამ,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

26

თუ წაგევა მეზარში შენი იმანი,
მოქცილდება მაშინ ქორი შედთან,
გახდება მეზარი კად გულისანი,
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

27

ჰეზრეთი ყურანით მეზარში მოვა,
ლამაზ ენგილოს სურეთში შევა,
გაგვასინათლებს არსათ არ წავა,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

28

თუ არ გაქ იმანი, ჩახვალ მეზარში,
დაგარტემენ თოფუზს, წახვალ გეზაპში,
არ გაგაქცევენ, წეხვიდე კარში,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

29

არ იქნება ღუნდაში იმსოდ ღეზაბი,
გახდები მაშინ ცეცხლის ქებაბი,
არ მოვა შენთან შენი ბაღნები,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

30

ილოცე, იკითხე, ღმერთი დეიჯერე,
ამ ღუნდას ცხელი ცრემლით იტირე,
ჭკვაში მთი, ღუნდაში კარგა დეფიქრე,
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

31

რამეთი კდარი სამღბუსებიან,
ყველა დღევ შენიდან მადლ ელიან,
მოკდები მადლით მეზარში გელიან,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!



32

მეფერებიან მეზარში კდარი შვილები,
თუ გყავს იმ დუნდას სები ბაღნები,
რომ მიხვალ იმათთან, გულში ჩეკერები,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

33

იმათთვინ ამ დუნდას დეიხრუკა გულმა,
გვარგოს იმ დუნდას ღმერთ-გამჩენელმა,
მეზარი გიგიხდეს ჯენნეთის კოშკად,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

34

მოვლენ მელაიქები, მოგიკვარებენ,
ჯენნეთის კარებ ჰემ გიგიღებენ,
აღარ გაქ შიში მუჟდას გიზამენ,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

35

არის ინსანზე ორ ადგილ შიში,
გეშინოდეს ღმერთიდან ამ დუნდაში,
გადარჩი დერდიდან შენ იმ დუნდაში,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

36

არ შეკამ ჰერამს, ილოცებ ხუთჯერ,
არ შექუღლები დილა-საღამ მეზობელ,
შეიყვარებ მუჰამედს, ჩვენ ფედამბერს,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

37

არ აწყენ დედას, მამას და ხოჯას,
ბითთუმ მუერიდები იმათ ბედვას,
ხიზმეთ თუ უზამ, შენ ედებ დუვას,
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

38

დედ-მამას შენ თუ კარგა შეხედე,
ღმერთი ფედამბერი რაზი გახადე,
თუ შამუყვირიე სა'ნა წეხვიდე,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

39

ილოცე, ინიეთლე, ქენი ჰაჯობა,
შეებრალე ამ დუნდას ფუხარა ყველაი,
ბითთუმ რომ შეხედავ, გახდები კაი,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

40

გული გეისუფთე ღმერთის ჯამეზე,
ნუ მეხასმები ჰემდა ხოჯაზე,

ფედამბერი ვეკილია მუსლიმანებზე,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

41

ზექათი, სედეყე მიეცი ფუხარას ყველას,
დაურიგე ღამაზათ თალეებს და მოლლას,
კარქა შეხედე მუსაფირ ყველას,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

42

მადლი, ნასაკში მოვა თქვენ ხელში,
დადგებით მაშინ მეშერის კარში,
მაშინ გექნება ბევრი თალაში,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

43

დაგიდებენ ცოდვა-მადლის დეფთრებ,
ეწერება აქ რაცხა ისაქმე,
გამოაჩენენ სულ თელ დამალულ ცოდვეფ,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

44

ზოგ მისცემენ დეფთერ მარჯვენა ხელში,
იმა უსაქმია მადლი დუნდაში,
ჰაზირია მისთვინ დერი ჯენნეთში,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

45

ზოგ მიცემენ დეფთერ მარცხენა ხელში,
იმა უსაქმია ცოდვა ამ დუნდაში,
ჰაზირია მისთვინ დერი ჯენნემში,
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

46

ზოგი ჯეჰენნემს უყურებს, ტირის,
ზოგი ჯენნეთის კოშკებზე იცინის,
სასწორი დადგმულია ცოდვის და მადლის,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

47

სახლის თახუმი ერთათ მეიყრებიან,
ზოგი შვილი და დედ-მამა ერთათ შეიყრებიან,
ებბედი ისინი ერთათ იქნებიან,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

48

დამწველ, დამხრუკველ ამეფყანებენ,
ჯენნეთის ზებზებით ტან დაბანებენ,
მადლისდაგვარად ქოშკებზე ავლენ,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

49

ჯენნეთი იცოდე, რაფერი არი,
ერთ კაც ეყოლვის შვიდასი ჰური,
ტკბილათ ცხოვრება და სეფა არი,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

50

მაღალი არიან სეღვი ფიდანზე,
ურუბა შეწყობილია მათ ლამაზ ტანზე,
ფერი ანათლებს მზეზე და თვარეზე,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

51

ამ დუნის ქალი გალამაზდება,
შვიდასი ჰური დიდი იქნება,
ზალიან კარგია იქ საყვარლობა,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

52

ჯენნეთში ბეთი ზათი არ არი,
გალამაზდება თუ არი აქ ნაჩარი,
ისტერ ქალი იყვეს, ისთერ ქმარი,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

53

ხანუმი'ნა იყვეს ამ დუნის ქალი,
ემსახურებიან შვიდასი ჰური,
ჩამოადგება ბუკზე ლამაზი ნური,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

54

არ არის ჯენნეთში დერდი და ტკივილი,
ჰემ არ იქნება ვინმეს სიკვდილი,
არ არის სიბერე, ყველაჲ - ახალი,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

55

არ არის ლოცვა, არს(ცა) ნიეთლობა,
არ არის ჯენნეთში ჰემდა რიდება,
საყვარელია იქ ცოლ-ქმარობა,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

56

რაცა რომ არიან ხისიმ-მაყრება,
ჯენნეთის ქოშკებზე ერთათ მეფერება.
ყოველთვის იქ არი ჰემ ჯუმბუშობა,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

57

ჯენნეთში არის ზეების ირმალი,
ერთ სუჯზე მოდის თაფლი და ძალი,
აღთუნი და შუშე არის იბრილი,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

58

ენა ვერ იტყვის ჯენნეთის საფას,
ხელი არ მედხლება, მიხდი, ამ დუნას.
ჯენნეთი უნდა მეგერ სულ ყველას,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

59

ლოცვა არ გახსოვს სამია თუ ხუთი,
რაფერ'ნა მოგცეს ინსან ჯენნეთი!
გახსონდეს ყოველთვის ღმერთი გამჩენელი,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

60

ლოცვებზე'ნა გქონდეს კარგა ხულუსი,
ილოცე ერთჰალ თუ გაქ გენშიში,
გულში'ნა გქონდეს ღმერთიღამ შიში,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

61

ირზი, ნამუსი თუ გაქ დუნდაზე,
ჯენნეთში შეხვალ, ეხვალ ქოშკებზე,
ნამუსიანათ'ნა იყვე ამ დუნდაზე,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

62

ირზი, ნამუსი თუ არ გაქ დუნდაში,
იმ დუნდას შეხვალ ღორის სურეთში,
გამორეზიდლები მეშერის მედღანში,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

63

ნაჩარი თუ გაქ ენა და გული,
ნუ გეგეკცევა სხვაზე თვალი,
იმ დუნდას დეგეხევევა დიდი კვამლი,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

64

იცოდე იმ დუნდას ამ დუნის ჰესაბი,
თავზე გადაგხდება თელი ჰესაბი,
შენ ამ დუნდას მედგე ცოდვები,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

65

იცოდე ამ დუნდას მაღლი და კარგობა,
შენი ქედფია, თუ გინდა გონჯობა,
ბელქი იმ დუნდას გაქ იგიითობა,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

66

შენ თუ არ ის(ცი) არაფჯა, თურქჩა,
შენ ხოშ გეგონე ვაძი გურჯიჯა,
ვერ იტყვი იმ დუნდას, ვერ დევნახე ხოჯა,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!



67

აღსი ყედისი თელი დაეწერე,
რაცხა რომ გეფგონე, თელი დეფჯერე,
ილოცე, იკითხე, ჰემდა ითმინე,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

68

წერავი, კითხველი, დამყურებელი,
ღმერთო გოუღე ჯენნეთის კარი,

გურჯიჯა ვაფი გათავდა თელი,
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალე!

69

ეს ვაფი აგზე დეფლია თელათ,
ათავდა აგზე ყველაჲ ქემალათ,
ამ დადენაზე მედღეფ სელავათ,
ღმერთო გამჩენელო, შენ შეგვიბრალე!

საყოფიერო ლექს-სიმღერები

1

დედამთილი – იისა,
მამამთილი – ბიისა,
შილი – შექერ-შხამისა,
მაზლი – ვარდი გულისა
მული – მუხი კუნძისა.

2

გაღმა სერში აკრი ხე,
ერთი თოკი დაგრიხე.
დედამთილი გიყვირებს,
ჰამან კიწი მუუგრიხე.

3

დედე-დედე ჩევიარე,
ვერ ავამსე გუგუმი,
დედამთილი გავაბეზდე,
არ მაჭამა ვახშამი.

4

ბოსტანშია ლობიო,
იმა უნდა ხაშარი.
გამოვსილ დედამთილმა
არ მომართუა ვახშამი.

5

ყანაში დავასევე ხაშარი,
დედამთილმა გამაბღეზა,
არ ვაჭამე ვახშამიო.

6

სახლ უკნედან მორია,
დედამთილი ღორია.

7

სახლუკნედან ბიბრები,
დამუდარან დედაბრები.

– ადექით, დედაბრებო,
გამოგზავნეთ ბაჭლები!

8

წყალში მივა დიდი თევზი,
თავს აქანებს, კუდს – არაო.
ახლანდელი ქალიშვილი
სხვას უყურებს, ქმარს - არაო.

9

ე რავად ბუქი მოვდა,
ყავარი'ნა ახადოს.
ვინცხა ჩემ კაც შეხედავს,
ღმერთმა ფელჯი გახადოს!

10

შამ შალახო, შალახო,
თეთრი კაბა აცვია.
მე შენი კაცი ვნახე,
ე რა ბლავვი კაცია!

11

ეს აჯარა ღომია,
ჩიქინი ქმარი გყოლიაო.
ის გააგდე და მე მომყევ,
სირცხვილი ნუ გგონიაო.

12

შავი პირი, თეთრი კბილი,
საყვარელო, რატომ ტირი?
მე შენი კაცი დევნახე,
რა ყოფილა – მრეში ვირი!

13

ავდექ, გაველ ბაღჩაში,
ვაშლ ფურცელი გუუყრია.
სად წვევიდა ჩემი ქალი?
სახლ-კარი დუუყრია!



14

გაღმა სერში ყვავია,
ყვავია თუ ყორანი?
ჩემი ქალი გათხოვილა,
ტყუილია თუ მართალი?

15

ჭალაში'ნა გევიდე,
ვბოები'ნა მუასხა.
ჩემ საყვარელ თვალი ცემს,
უხნები'ნა დავასხა.

16

შავ თხამა თიკანი ქნა,
ერთ კვირეზე გაზარდა.
მე შენ დედაზე ვბუცობ,
მაგ სოდ რა გაგზარდა?!

17

ბაძვირეთი ვის უქია,
მარიობის თვეში უბუქია.

18

ზექერია, ზექერია,
შენი ვაშლი შექერია.

19

გოგოვ, გოგოვ, ფაციაო,
წითელი კაბა გაცვიაო.
ერთი გოგო დევნახე,
ბიჭმა წამოაქციაო.

20

ართვინი ახალ გზიდან
წითელ არაბით მივალ.
არ იტირო, ანაჯან,
წავალ და ისევ მოვალ.

21

ამ ბათუმის პარახოტი
ადეშიდან ბრუნდებოდა.
ჩვენი მონაგები ფული
გოგოებში რიგდებოდა.

22

აველ კოთელა სერზე,
გადავხედე მერე თას,
მე რომ ბაბად არა მყავს,
რაი'ნა ვქნა იმგვარი თას?!

23

სიმღერები მღერაში
ე არ მე სმა ჩემეხნო.

ანა, რაზე გამზარდე,
აკვანშივე მეგეხნო!

24

ველში ავწიე შიში,
დავჭკარგე საქონელში.
იმდენი ქი იკითხე,
რა დახუალ სოხახებში!

25

ყელისერის ზემოდან
ჰარლი მივა, ჰარლი.
მე აქედან წევდე'ნა,
ვატირო'ნა ხალხი.

26

ჰაიდე, წევდეთ მექთებში,
ვაწერიოთ დახები.
მოდ, გუხელ, ვისამოთ,
ვასეიროთ ლამაზები!

27

ქენა, ქენა, ქენენა,
თაში ქალი დიმირნა.
ეუთვალე, არ ჩამოვდა,
გზაში თვალი დიმირნა.

28

მაწონი შევაყენე,
ე რა მჯავე გამოდგა!
ბაჭალა მორჯულე,
ანად ჯაზი გამოდგა.

29

მაწონი შივაყენე,
ე რა ჯავე გამოდგა,
ანად რომ მუარჯულე,
ბაბად გონჯი გამოდგა!

30

შამ შალახო, შალახო,
მოგლეჯილო ბალახო.
თეთრი კაბა გაცვია,
გოგოვ, არ გაატალახო!

31

შამ შალახო, შალახო,
მოგლეჯილო ბალახო.
მეგ ბაჭალა სა მიგყავს,
მეგეწიო, გაგლახო!

32

ჰაიდუ, წევდეთ ბათუმში,
იქ ვიყიდოთ შუშები, კინა.
იმ დავსილთან რატომ იყავი,
წელი-ფერდი აგატკინა!

33

ჰაიდუ, წევდეთ ბათუმში,
იქ ვიყიდოთ შუშები, კინა.
იმ კაციდან მე რა მქონდა,
წელი-ფეხი ამატკინა!

34

ჰაიდუ, წევდეთ ბათუმში,
იქ ვიყიდოთ შუშები, კინა.
იმ ქალის ერთათ რა მქონდა,
წელი-ფერდი ამატკინა!

35

ჰაიდუ, წევდეთ ბათუმში,
ვაწერიოთ დახები.
ადუ, გუზელ, ვისამოთ,
ვასეიროთ ლამაზები.

36

ვეიარე: „- სა იყავ?“
ჩამვეიარე: „- სა მიხვალ?“
არ ველოდი შენიდან,
უკანახან არ მიყავ!

37

სახლუკნედან საშეშე,
მე შენზენა გავლეშდუ.
დიგიქორდეს თვალები,
ტყვილ დუნიაში მომჩეჩე!

38

ხეზე აველ უფეკოთ,
ვერ ჩამუელ უკვლოთ.
დეგიქორდეს თვალები,
ტყვილ დუნიაში მომჩეჩე!

39

სადგირელის უკნედან
მიბრუნდები, მობრუნდები.
საცხან ლამაზს დეინახავ,
შენ იქ გადაბრუნდები.

40

დილას წაველი ტყეში,
მევეტანე მერულიო.
შენი ქმარიც დეენახე,
შალვარი და ბერულიო.

41

გაღმა კუთხე კატარი,
ძირში ცეცხლი ენთობა.
ნუ მიმტყუნებ ჩემო ტაიავ,
ფუშში ცეცხლი მენთობა.

42

ვადმე ჩემო მიმინავო,
ნიინიი, ჰოლორირამმა!
ფაციავ, ჩემო შირინავ,
ნიინიი, ჰოლორირამმა!
მირაღად რომ გამაგზავნე,
ნიინიი, ჰოლორირამმა!
მითხარ, როგორ ვიზინავო?!
ნიინიი, ჰოლორირამმა!

43

ბეთონის სახლი აქვან,
შიგან ფეკ ვერ შიადგამ.
მე ვისმეს არ ვუყურეფ,
ნუსხაფზე ჰელ დავადგამ.

44

მოით, მულეზო, დაჯექით,
სინში შიგან ტათლი მაქ.
მე თქვენ ანას ყოლდე ვსცემ,
კიდონ თქვენი ხათრი მაქ.

45

მე ლენხბერ ვერ მივეყვები,
დილაზე ჰარ ვერ დუუდეფ.
მეჭმური თელზე კადა,
ჰლიკი ჰლიკზე გადავდეფ.

46

გევეარე ბაწარ – ბაწარ,
მეგეწიე, გაგაწარ.
მე რამე არ ვიცოდი,
აქში შენ მე წამაწარ.

47

ქათამი ჰრიახ – ჰრიახ,
მამალი ზერას მიაქ.
ერთი გოგოც დეენახე,
შალვარი ჰელით მიაქ.

48

საზგირელზე – პარეხი,
ქვაკიბეში – დარები.
ჩვენ ეს სიმღერები ვოქვიოთ,
ვაცინეთ ესპაპები.



49

მოსაქცევი ვაკეზე
გუდუუძახე ხუბუები.
კალოზე გედევხედე
სამობენ გოგოები.

50

თაზე მივდოდი, თაზე,
აველ კაპანთი წყალზე.
პოლოტიკა არა მაქ
შენ შმორიან ქადაზე.

51

თაზე მივდოდი, თაზე,
აველ კაპანთი წყალზე.
პოლოტიკა არა მაქ
შენ გაზდილ ბაკადაზე.

52

ჭალა მოვთიბე, ჭალა,
დამრჩა ქენერში წველა.
არ მინდა შენი თავი,
სიდან გემიხდი ბელა!

53

ხერტალი რომ გათალე,
რაზე აღარ მოხვეწე.
ი ბაკალა თუ გინდა,
ილოცე, ღმერთ ეხვეწე.

54

უსტამისურ გზაში
ორი-სამი ვირაჯი.
რა სოდ სევდა იყო,
ვერ ვიპუე ილაჯი.

55

თაზე მივალ, თი გზაში,
შარაბი მაქ ჩანთაში.
გიყურეფ, გაბლაყუნეფ,
ვეღარ მოხვალ ჭკუაში.

56

ძივიანი ლაჩავი
კონწალ-კონწალ კიღია.
ი შენი ჯაზი ანად
მე ნუ ჩამომკიღია!

57

აიღინდა ჩაფულად
ჯანჯად წამოდებული.
დარნე დუშუ, ნი ერსინ?
კელი შამოდებული.

58

ერთი სიგარად მომე
მალთეფის ფაქეთიღამ.
მე ნაზლი არ ვიცნობდი
ყაჰვერენგ ჩაქვეთიღამ.

59

ორი თანე ხოჯა მოვლენ,
გამბანებენ.
იმა უკან თაბუთში ჩამდებენ.
თაბუთი ქვეშ წასაღებად
შენ ქი მოხვალ.
წიმიყვანებენ, მეზერში ჩამდებენ,
მიწად დასაყრელად,
შენ ქი მოხველ.

მითები და ლექსები

1

– მარტო ჩვენი დაილის იქეთიღამ და ხემწრული დაილის უკნეღამ ერთი ჩვენი რუ არი, იმის წინეღამ თორმეტი ცალი თექი არი (სახლი ჩასადგამი ალაგები), ედღა, ჩვენ ემედ გაგონილი გვაქ.

ჩხოკობისან ახლა ღმერთისთუნ, ბატონისთუნ შეპირობია წასლიხან, ედღა, ამოსლიხან ღვიორო დავინახო, ყურბანი'და დაგკლავ, შეპირებია. ავა ქი ღმერთის თერეფიღამ ემედ არ დაფარებულა, ისევ ანთია. არ დაფარებულა და... ახლა ტიღობა არ არი. მაშინ ტიღობა ბევრი იყო. ამედლო უბიღამ ტიღი და აჰა ყურბანიო და... ღმერთსა ეწყინა და... აბა ხომ ღმერთი თვალში თით არ გკრავს; წამოიდენ და მემრე ზამთარში წამოიდა ქარიშხალი, ერთი ბუქი და წამედლო ისინი და ევე ღელეში ჩეიტანა და დაჰა შიშისგან დაილაში ვეღარ ევდენ და ისვენ დარჩა ფეგები.



2

ზათი ინსნებიდან არიან ჯაზები. იმათ კუდები აქვანო. შეითანი ჩვენ დინში, მუსლიმებში, არიან. თუ არ ილოცავ, შეითნის გზაშიო, იტყვიან. ქალები თავზე თუ არ იხურვენ, შეითნის გზაშიაო, იტყვიან.

ჯინები ინსნებ დემგვანებიან, შეითნებ ვერ დეინახავ.

3

ჯინები არი. რომ დეინახვენ, ყურან იკითხებენ.

ერთი კაცი წისქვილში დარჩენილა. შუადამეს ჯინები მოსულან. დეიწყეს სამა ჯინებმა... ჯინები ამბობენ ქი, ხუთშაბათი, ხუთშაბათი... მდერიან. კაციც სამობს და იგიც იძახის – ხუთშაბათი, ხუთშაბათი, ხუთშაბათიო...

დაფანტვიხან უთქვიან ქი ჯინებსა... ად ჩვენსავე სამობდა, ხუთშაბათიო თქვა.. ჩვენებურია, მოდ გავასწოროთო.

გაასწორეს ად კაცი და დეფანტენ.

ჩამოვდა სოფელში. სოფლიერმა კაცმა კითხა, რავარ გასწორდი კუზიდანო.

წისქვილში ვიყავ, ვისამეთ, ხუთშაბათი ვთქვით... ჯინებმა გამასწორეს კუზიდანო, – უთხრა კაცმა.

წევდა ად მეორე კუზიანი კაცი წისქვილში. მოვდენ ჯინები შუადამეზე, დეიწყეს სამა. ისინი ხუთშაბათიო ამბობენ, ად ჯუმაო იძახს. დაფანტვიხან ჯინებმა თქვეს ქი:

– რად ედღუგი ვუყოთო ამას?

– მეორე კუზიც დავამატოთო!

მოვიდა ად კაცი სოფელში ორი კუზით...

ჯინები ინსნებ დემგვანებიან, შეითნები – არა. ჩვენ მუსლიმანობაში შეითანი არ დეინახვის.

4

ტყის კაცი

ტყი კაცი, გელიკაცი, რავარც შენ დიელაპარიკები, ისიც დეგელაპარიკება. მად იქით (ანვენებს წელს – თ.შ.) – კაცი, იმად ქვეშად ბალანი აქ. შენ ქვას გუუქნევ, ისაც გამოვიქნევს.

5

ურისაკლავი

ზველათ დიდი კაცი, მაღალი ყოფილა. ურისაკლავიდან ბაზგირეთ ტბაში წყალ სვემდა. რომ მომკლარა, შეიდათ გუუჭრიან და საფლავში ისე ჩუუდვიან. იმ კაც ური ერქვა.

6

ზულვართი

თამარას დრომდე ერთ ქალსა გოგო ჰყოლია გასათხოვი. ერთ კაცსა მუუტაცია აი გოგო და მიყავს ცხენით. დედამის, ვინცხათან ქი გეძქვა, იმათი თავი არ ყვარებია და დაწყველა ისინი, „დმერთმა ქვა გაგხადოსო“.

ისინი ზულვართის ტყეში ყოფილან და გაქვავებულან. სამი ქვაა: ორი დადე, ერთი დოდოფალი. ეს გოგო ჩაქველთადან ყოფილა.

იმიტომ ქვია ზულვართი.

7

დათემა ბაჯალა მეიპარა. წუუდია სოროში. იმას უკან თაფლ უზიდავს. მემრე იშტა იქ ბადეები ყოლიან. კაცი სოფლიერი მოსულა, ესროლოს უნა დათესა. ორი ტიტვი აღმა ასწია დათემა, აღარ ესროლა. დათვი წასულა და კაც ქალი წამოუყვანია, ბადეებიც წამოუყვანიან.

8

ლუმან ექიმი

ლუმან ექიმი ყოფილა, თელი წამალი მოკლომისა უპოვინა და იშტე ხიდზე გავლიხან გუფრენია ფურცლები და დიეკარკა ბევრი წამლები.

9

ნუს ფეილამბერი

დმერთმა უთხრა ნუს ფეილამბერს, ის, მელაიქი გოუგზანა, უთხრა ქი, გეივსოს უნდა დუნია წყლით, დააწებე გემიო. არ დეიჯერა... თაგემა გემი გახრიტა და... თაგეია, ბობოლი არი... იმან დაჰწვევლა, დაჰწვევლა ისა, რავა იტყვიან: შენ ჩასულ ალაგზე არავინ არ მაადულონო, არ იხმარონ ისაო.

წყალი შევიდა და ბობოლმა კუდი წოუსვა და დააბათლა, იმან დააბათლა.

ახლა, ისაც რა არი, იცი? ზაფხულში ბობოლა ემეს დუშმანია, თაგვისა, თაგვს შეშტამს, ზამთრი თაგვი ემეს შეშტამს, ერთმანეთ...

არიან ასე: იმაზე არი – ეს ქითბებში არი და ხოჯებმა იციან და მე იმდენი არ ვიცი.

10

ჩივისკვე, ნახევას ზემოთ, ძველათ დამ-დამებს უცოცხლიათ. ინსანი ინსანს ქი ჭამს, იმას ეტყვიან დამ-დამ.

იგზე ქი ქვიებში გოლი ყოფილა, კარხხალი ქვიებში შიგან, ქომოდან ქი წყალი ამოდის და იქავენ იკარგვის. აქ გამოდის იმის გრიალი.

ჩემი დიდი დედედ იქიდან წყალ აწვედა და გზიებში აქცევდა სოფელში ჩამოსლამდე და ყურადი წვედოდა და გაწვიმდებოდა ჰამან.

11

შეელი

შეელები გვეცოდებიან და არ ვკლავთ. თხას ვკლავთ, გელს, დათვ, ღორს, გარველ ქათმებ ვკლავთ.

მახვილსიტყვაობა

1

ბაზგირელი ცხვარ აზუებს. ცხვარ დაჩხვერს, გაგორდება. ავათ ეგონება, დაკლავს. ცხვარიც უკნედან კრავ დასვამს.

2

ერთ ბაზგირელ თაზე თხები, ბოტები ყავს შეყრილი ხალხამში. გელი მუა და ბოტ ტიტვირ მააჭამს. დილაზეც კაცი ჩუუსედაგს, კიბილები უჩანს და „– ე ბოტი რაზე იცინისო“? ბოტი იცინისო ეს ეგონებიან. გელ მუუჭმიან, მეგემ.

3

ბაზგირელი ნისლიანში ცხვარ აძუებს. დათვი მუა და მეგემ ცხვარი მიყავს. კაცი თვალ წამოკრავს, ეგონება, ვინცხა მაშინებსო. ეტყვის კი:

– გიცან, გიცან, ქომუბნელი ხარ! ჯამიკარში მოხვალ და შენ დაგამტრეო!

დათვ ეტყვის! იმას თავის კაცი, ვინცხა გონია.

4

ერთი ბერი გოდრით მივა გზაში. კამდონი დეეწევა. შოფერი დუუქდუნებს იმას. ეტყვის კი, გეემახსრება:



- გოდორი არ მეისსნა ქი, ამეზე აამძიმებსო.
- სხვა კაცი ეტყვის ქი:
- რაზე არ იხსნიო სიცხეში, მეისსენი და დადე ემეზეო.
- შოფერმა მითხრა ქი, არ აამძიმოს იმფოვო.

5

დაღის სადნობი

მაჭახლელ უყიდა ერბო ბაზვირეთში. ერბო ჩუუდვიან გუდაში. იმ ალაგზე გასულა, „დაღი სადნობზე“, ჭვირთი ჩამუყიდა, ფიქალზე დუუდგმია, გახმესო. თვითონაც დუუზინია ეთამ ხან. გამუყიდავს, დაღი აღარა. ცხენს შეეკითხა:

- შენ მიჭამე ერბო?

ცხენსაც ბუზები ეხვევიან, ისაც თავ აქანებს. მაჭახლელი ამეღებს მარად და ცხენ მოკლავს.

6

საცინარაჲ

კარხალიდან დაიღისკენ ერთ კაც თაში ჭვირთი მიაქ ცხენით. კლდეში, ბაწარზე გავლაში, ჭვირთი კედელს მოხდა და ცხენი დავარდა, დელეში ჩავიდა, მოკუდა. კაცი ბაწრიდან გადახედავს, ცხენ კბილები უჩანს, ეტყვის:

- იცინე, იცინე, თუ გიგიტეხნია სემერი, დაგაგლეჯ კბილებო. მომკტარ ცხენ ელაპარიკება.

7

ლაზები

ორი ზმა ყანაში წევდენ და მარილი დათესეს. ამ ყანაში მარილი არ ამოვდა. ეს რად გვიჭამსო, წევდენ და დაცვეს. რამე ვერ ნახეს და ერთი კალაჲ მოვდა და ერთ ზმას აჯდება.

- ადნი ეს არი, ჩვენ მარილ გვიჭამს და არ ამოვდა.

რა ვქნათ? მოვკლათო, თქვეს.

ეს კალაჲ შუბლზე მიაჟდა ერთანეს. მეორეს ებნევა ქი, აგზეა და მოკალიო.

ესრის და ზმას მოკლავს.

8

მაჭახლის ჰალი

მაჭახლელეღ დოდოფალი მიყავან. შინედან დაღი ჩუუდვეს ჭიპთან.

- წვიდე და შეგჭირდებო.

დარჭის სახში რომ მივდენ, საჭმელში დაღი ვერ ნახეს.

- ჩვენ გოგოს ჭიპში ჩუუდვეითო, - და წამოაქციეს და კოვზებით იქ ჩხრიკეს.

9

ნესრეთი ხოჯას მეზობლიდან თოკი უთხოვნია. მეზობელსაც უთქვამს ქი, თოკზეო, ქერიო დაფენილი მაქო, არ მუუცემია.

უკან გამეიარა, წამოიდა, არაფერი არ უთხრა.

10

აქ ერთი სოფელია, ახალდაბას ეტყვიან. მაქედამ გოგო დოუქორწილებიან. კაცთან მისლამდი აშინეს, რა'ნა გეშველოს, რა სოდ'ნა გოუზლოვო. რადც რომ კაცი მასთან იმ საქმეზე რომ მივდა, გახედა, რომ სხვა ქალების ნათქვამურად არ იყო, იამა. ფევი მოსაბრუნებლათ რომ მივდა, უთხრა ქალები:

- იმდენი მაშინეთ, რომ მუბარეკმა ისე გერმელათ გაცურდა და წევდაო...

თქმულება-გადმოცემები

1

საზვირელი

ბაზვირეთის დაშლი კაცმა მითხრა, იქავრი (საზვირელას მთაზე ნაპოვნი – რ.ხ.) ძვლები თამარა დოდოფლის ყორუმის ძვლები არიო. თამარა დოდოფალი იმი დუშმნებ მეეკლეს'ნა, და უთქვამს ქი:

– ენწინ მე'ნა მომკლათ, იმითანა ალაგ ჩამფლათ'ნა ქი, ვერ შემეყარნენ ჩემ მეზარზე. მე ქი ჩამფლავთ, თქვენი თავი'ნა დედვოცოთ'ნა!

და ერთ,ანეთი დუუხოციან.

იმ ადგილზე ორი ოდა იყო. ერთანეში – ძვლები, ერთენეში ცარიელაჲ. იმ ემეში დაწერილი ფიქლები ამოვდა. თამარა დოდოფალიც იქ ყოფილა.

2

უსტამისის ყალე ტამარა დოდოფალმა გააკეთა. ქომოთ კვეიდან ხელიდან-ხელში უძლევიან, ქვა ისე ამუუტანიან.

3

აქავრი თამარას ყალეები არიან. ხევიდან დუუმწკრივებია კაცები, ხელიდან-ხელში აძლევენ ქვებ, ჩვენი ყალე ისე უუშენებია. ბაბოჲ ილაპარიკებდა.

4

ამობდენ ქი, ასკრები დუუგზელებიან ქი, კვეიდან კველზე ქვიები ამუუტანიან ყალეზე ჭორუდიდან თამარა დოდოფალი დროში.

ყალეწინედან მეიჰანე არი, ქვიები დუუგზელებიან და დუუკოტიან. აქედანაც კარი აქ იქიდანაც.

ყვრხთანე ოდა იყო. ახლა ჩაწოლილა. შავშეთ ყალე არია, იქამდე გადიოდა თუნელი.

5

სამნი ზმანი ყოფილან, ორ ღარტები ყოლია, ერთ - ბაკალა. ეს სამი ზმა ქი არიან. ამათ ემოს ვეტყვით. ახლა ამ ემოს ღარტებმა ორთავმა ამ ემოს ბაკალაზე თვალი დეიჭირეს. ერთი თანე მეგემ სეფილი გამოდგა, ვერ გაამჟღავნა. მეორე უიანული გამოდგა, იმან გაამჟღავნა. რომელიცხამ ქი გაამჟღავნა, იმან ითხუა. რომელიცხამ ქი ვერ გაამჟღავნა, იმისი ანა დადეთ გააგზანეს. ანამ ზორით ღარტი დუგუნში წვიყვანა. იმან თვალნაჭირი დეინახა, სიმწარე გულზე მოხვდა, ავათ გახდა. ამა შვიდ წელიწად ლოგინში იწვა, არც დოხტორმა, არც კითხვამა ვერ გააკეთა. ერთ დოხტორმა მიხდა, ამას თვალი დუუჭირავს, იმით ავათ გამხდარა.

– ამისი თვალდაჭირული ბაკალა რაგვარცხა კი დოდოფლობაში შეკაზმული იყო, აინი შეკაზმული მეიყვანეთ, ამის ბალიშზე დააჯდუმლეთ, ისე დეინახოს ქი, ჯანი მიეცეს.

იმას შეკაზმებენ, მეიყვანენ, დააჯდუმლებენ. ავადმოფსა უბეში კველ ჩუუყოფს, ერთ ხელსაც ხელზე წაავლებს. იმაზე ყურება-ყურებაში ჯან მიცემს.

6

მანატბა რაზე დუურქმევიან, იცი? რატონ და კაცი მანაა, ქალი – ტბა. უთქვამენ ქი, მანატბასა, კაცის მანა გუუშვი ტბაშიო.

7

სარიჩაირის ქვაკაცები

კოკლეველების და ჩვენ ჰუდულზე არიან ქვაკაცები, ორი თანე. იმ ალაგს ორთვალას ეძახიან, ებნევიან. ორი წყაროა...

საბავშვო ფოლკლორი

საბავშვო თამაში

- ამას (მთქმელი აჩვენებს ცერა თითს – ჩამწ.) უთქვამს: – „აიდე, პური ჭვამოთ“;
 - ამას (აჩვენებს საჩვენებელ თითს – ჩამწ.) უთქვამს ქი: „– რად გვაქ, რად ჭვამოთ?“
 - ამასაც (აჩვენებს შუა თითს – ჩამწ.) უთქვამს ქი: „– ღმერთსა რაცხა მუუცემია, ის ვჭამოთ“;
 - ამასაც (აჩვენებს არათითს – ჩამწ.) უთქვამს ქი: „– ევლოთ და ჭვამოთ“;
 - ამასაც (აჩვენებს ნეკა თითს – ჩამწ.) უთქვამს ქი: „– მევაპროთ და ჭვამოთ“
- და ეს იმაზე პატარად დარჩენილა, მოპარვა ქი გულში შამოუდვია.

შენიშვნები და პაჩინაბები

შრომის პოეზია

შავშეთის სოფლებში შემორჩენილია შრომაში დახმარება, ანუ ნადი, რომელსაც „დაშველებასაც“ ეძახიან („ნადს დაშველებას ეძახიან“ – მოქმელი ეუბ ალთუნი (დათუნაშვილი), მცხოვრები სოფელ უსტამისში) და „ირლათსაც“ („ირლათი“ ნადია, შრომაში დახმარება. „ირლათი ყავსო“, იტყვიან, ვინცხა წაასხამს“ – მოქმელი ალი ილდიზი, 24 წლის, მცხოვრები სოფ. ბაზგირეთში).

იციან ქალების ნადი, ანუ „ირლათი“. სოფელ მანატბის მკვიდრის, 66 წლის ალადინ ალთუნელის, ცნობით, „ქალები დღისით არ მეიცლიან. დამით ირლათები იქნებოდა. იქ კაცები არ მივლენ. მეიყრებიან, ერთი ქალისას გააკეთებენ, მეორე დამეს მეორისას...“). საუბარი ეხება ქალების ხელსაქმეს, ანუ საფეიქრო ნადს.

სამწუხაროდ, ნადური ლექს-სიმღერები ვერ დავაფიქსირეთ.

თონხური

1. მოქმელი ნიგარ ორალი, 45 წლის, მცხოვრები სოფელ ხევწრულში (ჩაღლიანი). ჩაიწერა თინა შიოშიღმა 2009 წლის 9 აგვისტოს ს. ხევწრულში.

წველისა

1. მოქმელი ემინე გენჩი, 72 წლის, მცხოვრები ჩიხისხევის (დანიქლი) მაჰალეში – კოკბერეთში. ჩაიწერა თინა შიოშიღმა 2009 წლის 4 აგვისტოს.

2. მოქმელი აიშე ილმაზი (მოლოდლი), 45 წლის, მცხოვრები ს. ზიოსში. ჩაიწერა თინა შიოშიღმა 2005 წლის 25 ივლისს.

მოქმელის განმარტება: „ზროხას ასე ეტყვი წველის დროს, დუუყვაგებ, კარგა მოიწველის“.

3. მოქმელი ჰუნქერ ქაია, 76 წლის, მცხოვრები ს. მანხატეთში. ჩაიწერა თინა შიოშიღმა 2009 წლის 8 აგვისტოს, ს. მანხატეთში.

მოქმელის განმარტება: „... ასე ვეტყვოდით და ჩამოყრიდა. ხოსთვინაც შეინახედა. ბითამ არ მოგვცემდა“.

4. მოქმელი სალიე გუნეში, 50 წლის, მცხოვრები ს. ზენაგარაში. ჩაიწერა თინა შიოშიღმა 2009 წლის 6 აგვისტოს.

ვარიანტი: „ჩამოყარე ნენოჯან!...“

მოქმელი გულჰან ბალირი, 60 წლის, მცხოვრები ს. დაბაში. ჩაიწერა თინა შიოშიღმა 2005 წლის 28 ივლისს.

მოქმელის განმარტება: „ძროხას ეუბნებიან წველისას“.

* * *

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ წველის ლექს-სიმღერები ყველაზე უკეთ არის შემორჩენილი შავშეთის მოსახლეობაში, რასაც განაპირობებს მესაქონლეობის დიდი ტრადიცია. ერთ-ერთი მოქმელის, ბაზგირეთელი ალი ილდიზის ცნობით, „ძროხას დუუყვაგებენ, ჩამოყაროსო; ზოგ ნარცხ დუუდებენ, ისე მოწველვენ“.

თიბვისა

1. მოქმელი გულსარე დუზგუნი (ჯივანაშვილი), 38 წლის, მცხოვრები ს. ბაზგირეთში. ჩაიწერა თინა შიოშიღმა 2005 წლის 24 ივლისს ს. ბაზგირეთში.

პატრიოტული ლირიკა

1. მოქმელი იუსუფ გუნერი, 12 წლის. მცხოვრები ს. უსტამისში. ჩაიწერა თინა შიოშიღმა 2009 წლის 1 აგვისტოს ს. უსტამისში.

მოქმელს ეს სიმღერა დედისგან უსწავლია. შეასრულა სიმღერით.

ვარიანტი:

ღელე გაღმაა
ჩვენი სახლები,
მოკდნენ ზველები,
დარჩნენ ახლები.
ღამაზო ქალო,
რატომ არ ტირი?
თეთრო მამალო,
რატომ არ ყივი?

მთქმელი ერენ თორუნი (გამეშიძე), 12 წლის, მცხოვრები ს. ბაზგირეთში. ჩაიწერა რამაზ ხალვაშმა 2005 წლის 24 ივლისს ს. ბაზგირეთში.

2. მთქმელი ჰუნქერ ქაია, 76 წლის, მცხოვრები ს. მანხატეთში (დუშილჯი). ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2009 წლის 8 აგვისტოს.

ვარიანტები:

ა

რა მაღალი ყოფილა
ატიანის სერები!
ახლა ჩვენ'ნა ვიმღეროთ,
გურჯიჯა სიმღერები.

მთქმელი სევეგიე თემური (სვარიზაშვილი), 36 წლის, მცხოვრები ს. ბაზგირეთში. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2005 წლის 24 ივლისს ს. ბაზგირეთში.

ბ

გაღმა სერში მელები,
მიმოდევან სერები.
ახალათ'და დევიწყო,
გურჯიჯა სიმღერები.

მთქმელი ბაჰალი ოზიშილი (ჯენიგლი), მცხოვრები ს. ჯოკლევეში. ჩაიწერა შუშანა ფიტკარაძემ 1989 წელს. დაბეჭდილია: შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, 1993:221.

3. მთქმელი სარე ბულბული (თეთრაძე), 70 წლის, მცხოვრები ს. ბაზგირეთში. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2005 წლის 24 ივლისს ს. ბაზგირეთში. მთქმელმა ეს სტრიქონები მოგვიღებქსა ექსპედიციის წევრებს.

4. მთქმელი ჯაფერ თორუნი (გამეშიძე), 38 წლის, მცხოვრები ს. ბაზგირეთში. ჩაიწერა რამაზ ხალვაშმა 2005 წლის 24 ივლისს ს. ბაზგირეთში. დაბეჭდილია: რ. ხალვაში, იმერხეული ფოლკლორი (სოფელი ბაზგირეთი), რსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული, ტ. V, ბათუმი, 2007: 311.

5. მთქმელი ნიგარ ორალი, 45 წლის, მცხოვრები ს. ხევწრულში (ხაღლიანი). ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2009 წლის 9 აგვისტოს ს. ხევწრულში.

ვარიანტები:

ა

დაბა და დევიეთი,
ზემოდან – ზაქიეთი,
ორი დღე აღარ ვარ,
მომსურდა ბაზგირეთი!

მთქმელი ალი ილდიზი, 24 წლის, ცხოვრობს ქ. იზმითში. წარმოსობით ბაზგირეთელია. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2009 წლის 3 აგვისტოს ს. ბაზგირეთში.

ბ

ზემოდან – ჩაქვიეთი,
ქვემოდან – ბელტიეთი,



ორი დღე აღარ ვართ,
მოგვსურდა ბაზგირეთი.
მთქმელი გულსარე დუზგუნი (ჯვიანაშვილი), 38 წლის, მცხოვრები ს. ბაზგირეთში.
ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2005 წლის 24 ივლისს ს. ბაზგირეთში.

ბ

ქომოდან – ზაქიეთი,
ზემოდან – ბაზგირეთი,
ორი დღე არა ვარ,
მომსურდა ბაზგირეთი.
მთქმელი შაჰზენე ბილგინი, 64 წლის, მცხოვრები ს. უსტამისში. ჩაიწერა თინა შიო-
შვილმა 2009 წლის 1 აგვისტოს ს. უსტამისში.

გ

ორი დღე არ ავალ,
მომსურდა ბაზგირეთი.
მთქმელი ზულფეთ გუნეში, 80 წლის, მცხოვრები ს. ჯვარისხევში (თუთლიქო). ჩაიწერა
თინა შიოშვილმა 2005 წლის 6 აგვისტოს ს. ჯვარისხევში.
6. მთქმელი სონერ მოსიძე, 40 წლის, მცხოვრები ს. აგარას უბანში – ვარდიქში
(ვარდიეთში). ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2009 წლის 8 აგვისტოს ვარდიეთში.
7. მთქმელი ნიგარ ორალი, 45 წლის, მცხოვრები ს. ხევწრულში (ჩაღლიანი). ჩაიწერა
თინა შიოშვილმა 2009 წლის 9 აგვისტოს ს. ხევწრულში.
8. მთქმელი იუსუფ ჩელიქი (ცხვარიძე), 18 წლის, მცხოვრები ს. ბაზგირეთში. ჩაიწერა
რამაზ ხალვაშმა 2005 წლის 24 ივლისს ს. ბაზგირეთში.

ანდაზები

1. მთქმელი ჰუნქერ ქაია, 76 წლის, მცხოვრები ს. მანხატეთში. ჩაიწერა თინა შიოშვილ-
მა 2009 წლის 8 აგვისტოს ს. მანხატეთში;
2. მთქმელი ნებიე იშედი, 75 წლის, მცხოვრები ს. სვირევანში. ჩაიწერა თინა შიოშვილ-
მა 2005 წლის 23 ივლისს ს. სვირევანში;
3. მთქმელი დურსუნ სანჯერი, 72 წლის, მცხოვრები ს. ივეთში. ჩაიწერა თინა შიო-
შვილმა 2005 წლის 1 აგვისტოს ს. ივეთში;
4. მთქმელი ჰუნქერ ქაია, 76 წლის, მცხოვრები ს. მანხატეთში. ჩაიწერა თინა შიოშვილ-
მა 2009 წლის 8 აგვისტოს ს. მანხატეთში;
5. მთქმელი ჰუნქერ ქაია, 76 წლის, მცხოვრები ს. მანხატეთში. ჩაიწერა თინა შიოშვილ-
მა 2009 წლის 8 აგვისტოს ს. მანხატეთში;
6. მთქმელი ნებიე იშედი, 75 წლის, მცხოვრები ს. სვირევანში. ჩაიწერა თინა შიოშვილ-
მა 2005 წლის 29 ივლისს ს. სვირევანში;
7. მთქმელი ჰუნქერ ქაია, 76 წლის, მცხოვრები ს. მანხატეთში. ჩაიწერა თინა შიოშვილ-
მა 2009 წლის 8 აგვისტოს ს. მანხატეთში;
8. მთქმელი გულდისხარ ბილინი, 67 წლის, მცხოვრები ს. ზიოსში. ჩაიწერა თინა შიოშ-
ვილმა 2005 წლის 26 ივლისს ს. ხევწრულში;
9. მთქმელი ელჰინა თურანი, 70 წლის, მცხოვრები ს. ხევწრულში. ჩაიწერა თინა შიოშ-
ვილმა 2005 წლის 26 ივლისს ს. ხევწრულში;
10. მთქმელი ზულფეთ გუნეში, 80 წლის, მცხოვრები ს. ჯვარისხევში. ჩაიწერა თინა
შიოშვილმა 2009 წლის 6 აგვისტოს ს. ჯვარისხევში;
11. მთქმელი ალადინ ალთუნელი, 66 წლის, მცხოვრები ს. მანატბაში. ჩაიწერა თინა
შიოშვილმა 2009 წლის 8 აგვისტოს ს. მანატბაში;
12. მთქმელი ჰუნქერ ქაია, 76 წლის, მცხოვრები ს. მანხატეთში. ჩაიწერა თინა შიოშვილ-
მა 2009 წლის 8 აგვისტოს ს. მანხატეთში;
13. მთქმელი გულჰან ბილირი, 60 წლის, მცხოვრები ს. უბეში. ჩაიწერა თინა შიოშვილ-
მა 2005 წლის 27 ივლისს;

14. მთქმელი ალაღინ ალთუნელი, 66 წლის, მცხოვრები ს. მანატბაში. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2009 წლის 8 აგვისტოს ს. მანატბაში;

15. მთქმელი ჰუნქერ ქაია, 76 წლის, მცხოვრები ს. მანხატეთში. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2009 წლის 8 აგვისტოს ს. მანხატეთში;

16. მთქმელი ჰუნქერ ქაია, 76 წლის, მცხოვრები ს. მანხატეთში. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2009 წლის 8 აგვისტოს ს. მანხატეთში;

17. მთქმელი თანერ (თანო) იშეკი (მჭედლიძე). ცხოვრობს და საქმიანობს იზმითში, წარმოშობით ბაზგირელია. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2009 წლის 3 აგვისტოს ს. ბაზგირეთში;

18. მთქმელი გულჰან ბილირი, 60 წლის, მცხოვრები ს. უბეში. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2005 წლის 27 ივლისს;

19. მთქმელი თანერ (თანო) იშეკი (მჭედლიძე). ცხოვრობს და საქმიანობს იზმითში, წარმოშობით ბაზგირელია. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2009 წლის 3 აგვისტოს ს. ბაზგირეთში;

20. მთქმელი დილავერ აქდემირი, 73 წლის, მცხოვრები ს. ჩაქველთაში. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2005 წლის 2 აგვისტოს ს. ჩაქველთაში;

21. მთქმელი ჰუნქერ ქაია, 76 წლის, მცხოვრები ს. მანხატეთში. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2009 წლის 8 აგვისტოს ს. მანხატეთში.

დალოცვა

დალოცვის ნიმუშები ჩაწერილია თინა შიოშვილის მიერ 2005 წლის ივლის-აგვისტოში და 2009 წლის აგვისტოში რსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან არსებული მუდმივმოქმედი ექსპედიციის საველე-შემკრებლობითი მუშაობის დროს ისტორიულ შავშეთში (თურქეთის რესპუბლიკა).

მთქმელები:

1. აიშე ილმაზი, 45 წლის, მცხოვრები ს. ზიოსში;
2. ეჰლინა თურანი, 70 წლის, მცხოვრები ს. ხევწრულში;
3. გულდიხარ ბილირი, 67 წლის, მცხოვრები ს. ხევწრულში;
4. შააზიე აითეკინი, 66 წლის, მცხოვრები ს. ზაქიეთში;
5. აილაი ააზიჯი, 44 წლის, მცხოვრები ს. ზაქიეთში;
6. ზეკიე ილდიზი, 45 წლის, მცხოვრები ს. დაბაში;
7. გუნერ ილმაზი, 26 წლის, მცხოვრები ს. დაბაში;
8. აიშე ქურთი, 52 წლის, მცხოვრები ს. სვირევანში;
9. ნებიე იშელი, 75 წლის, მცხოვრები ს. სვირევანში;
10. ზულეიჰა დემირი, 50 წლის, მცხოვრები ს. უსტამისში;
11. გულშა გულსეკი, 56 წლის, მცხოვრები ს. უსტამისში;
12. დურსუნ სანჯერი, 72 წლის, მცხოვრები ს. ივეთში;
13. სურმელ ილდიზი, 65 წლის, მცხოვრები ს. იფხრევლში;
14. ვეფსიე დემირი, 87 წლის, მცხოვრები ს. იფხრევლში;
15. ფუნარ ალთუნი, 21 წლის, მცხოვრები ს. უსტამისში;
16. ეუბ ალთუნი (დათუნაშვილი), 51 წლის, მცხოვრები ს. უსტამისში;
17. ჰევა ბილგინი, 65 წლის, მცხოვრები ს. უსტამისში;
18. შაჰზენე ბილგინი, 64 წლის, მცხოვრები ს. უსტამისში;
19. ესმა დემირი, 75 წლის, მცხოვრები ს. ჩაქველთაში;
20. ფეხმეგულ გუნდოდანი, 60 წლის, მცხოვრები ს. ჩაქველთაში;
21. ალი ილდიზი, 24 წლის, მცხოვრები ს. ბაზგირეთში;
22. ბედრი დუზჯანი (ზუმოდლი, ზუმბადე), 67 წლის, მცხოვრები ს. ჩიხისხევში;
23. ემინე გენჩი, 72 წლის, მცხოვრები ს. ჩიხისხევში;
24. მესერ უზუნი, 52 წლის, მცხოვრები ს. დავლათში;
25. ფიქრიე ორალი, 70 წლის, მცხოვრები ს. ნიოლეთში (დასამობის უბანი);
26. ზულფეთ გუნეში, 80 წლის, მცხოვრები ს. ჯვარისხევში;
27. აიშე გოგჩე, 55 წლის, მცხ. ს. ბზათაში;

28. იბრაიმ ჩაქმაქი, 55 წლის, მცხოვრები ს. მანხატეთში;
29. ჰუნქერ ქაია, 76 წლის, მცხოვრები ს. მანხატეთში;
30. ალადინ ალთუნელი, 66 წლის, მცხოვრები ს. მანატბაში;
31. ჰერიე აიღინი, 60 წლის, მცხოვრები ს. აგარაში;
32. რაფიე ილდიზი, 86 წლის, მცხოვრები ს. წეთილეთში;
33. ნიგარ ორალი, 45 წლის, მცხოვრები ს. ხევწრულში.

წყველა

იმერხეველთა აბსოლუტურ უმრავლესობას, რომლებიც მართლმორწმუნე მუსლიმები არიან, მიაჩნიათ, რომ წყველა დიდი ცოდვაა. „დაწყველი და შენვე მოგიბრუნდება. კად არ არი წყველა“, - შეიცხადა სოფელ ჩაქველთას მკვიდრმა ესმა დემირმა, რომელსაც ვთხოვე, წყველა დამაწერინე-მეთქი;

„- წყველა კაი არავისთვინ არ არი“, - გვითხრა მანხატეთელმა ჰუნქერ ქაიამ;

„- წყველა წყვეარისა არი“, - თქვა ბაზგირეთელმა თანერ იშექმა.

ზეპირსიტყვიერების ამ არქაული ჟანრისადმი შავშელთა ამგვარი დამოკიდებულების მიუხედავად, იგი მაინც არსებობს ცოცხალ მეტყველებაში, რასაც შემდეგნაირად ხსნიან:

„- თუ გული დაგწვა, მაშინ იტყვიან წყველასო“, - გვითხრა დაბელმა ზექიე ილდიზმა; იგივე გაიმეორა უსტამისელმა ჰევა ბილგინმა: „- თუ გაგვაჰერსიანებს, მაშინ დაწყველი-თო“;

„- ვინცხაზე გაგბლეზდებით, იმად ვწყველითო“, - გაგვანდო 87 წლის იფხრეველმა ქალბატონმა ვეფსიე დემირმა და დაგვარიგა: „- არ წყველო არავინ!“.

წიგნში წარმოდგენილი წყველის ნიმუშები ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2005 და 2009 წლებში შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მუდმივმოქმედი კომპლექსური ექსპედიციის სავლელ მუშაობის დროს ისტორიული შავშეთის მექარ-თულე სოფლებში.

მოქმელები:

1. ფათმა დუზგუნი, 75 წლის, ს. ბაზგირეთი;
2. აიშე ილმაზი (მოლოდლი), 45 წლის, ს. ზიოსი;
3. გულდიხარ ბიღირი, 67 წლის, ს. ზიოსი;
4. ეკლინა თურანი, 70 წლის, ს. ხევწრული;
5. შაახიე ათეფჯინი (ჩაქერიძე), 66 წლის, ს. ზაქიეთი;
6. ზექიე ილდიზი, 45 წლის, ს. დაბა;
7. მუნერ ილმაზი, 26 წლის, ს. დაბა;
8. გულჰან ბიღირი, 60 წლის, ს. უბე;
9. აიშე ქურთი, 52 წლის, ს. სვირევანი;
10. ფიქრიე იშიქი, 43 წლის, ს. სვირევანი;
11. ზულეიჰა დემირი, 50 წლის, ს. უსტამისი;
12. გულშა გულსექი, 56 წლის, ს. უსტამისი;
13. სურმელ ილდიზი, 65 წლის, ს. იფხრეველი;
14. სულთან ალთუნი, 50 წლის, ს. იფხრეველი;
15. ვეფსიე დემირი, 87 წლის, ს. იფხრეველი;
16. დილავერ აქდემირი, 73 წლის, ს. ჩაქველთა;
17. ფუნარ ალთუნი, 21 წლის, ს. უსტამისი;
18. ჰურიე გუნდუსი, 23 წლის, ს. უსტამისი;
19. ჰევა ბილგინი, 65 წლის, ს. უსტამისი;
20. შაჰზენე ბილგინი, 64 წლის, ს. უსტამისი;
21. ესმა დემირი, 75 წლის, ს. ჩაქველთა;
22. ფეხმეგულ გუნდოღანი, 60 წლის, ს. ჩაქველთა;
23. ალი ილდიზი, 24 წლის, ს. ბაზგირეთი;

24. ემინე გენჩი, 72 წლის, ს. ჩიხისხევი (მაჰალე - კოკბერეთი);
25. მეასერ უზუნი, 52 წლის, ს. დასამობი;
26. ფიქრიე ორალი, 70 წლის, ს. ნიოლეთი;
27. ზულფეთ გუნეში, 80 წლის, ს. ჯვარისხევი;
28. იბრაინ ჩაქმაქი (გორგაძე), 55 წლის, ს. მაჩხატეთი;
29. ალადინ ალთუნელი, 66 წლის, ს. მანატბა;
30. ჰერიე აიდინი, 60 წლის, ს. აგარა;
31. რაფიე ილდიზი, 86 წლის, ს. წეთილეთი.

შელოცვები

საქართველოს სხვა კუთხეებში არსებული რწმენა წარმოდგენების მსგავსად, შავშელებსაც სწამთ, რომ შელოცვა აღარ გასჭრის, თუ სხვას ასწავლეს. სიტყვის მაგიური ძალის რწმენაზე დაფუძნებული ეს ქანრი, ტრადიციისამებრ, ჩურჩულით, ინტიმურად სრულდება და მისი ცოდნა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში გადაეცემა მომავალ თაობას. ბაზგი-რეთში მცხოვრებმა 75 წლის ფატმა დუზგუნმა გვითხრა: „– ლოცვები ანემ იცოდა. ვუთხარი ქი, მაწავლე-მეთქი. ე რო გაწავლო შენო, მე რო ულოცო სხვასო, აღარ კვეთავსო, სოღრა გაწავლიო. არ მიკითხა, არ ვიცი იშტე. ჩვენ ზამანში დასადი იყო კითხვა. მოდიოდენ, გვიჭირვედენ. ღარჭობაში ერთი დედე იყო, მოვდოდა, იკითხვედა, ჩამოთლიდა, გვატირებდა. მაშინ ვიცოდი. ხოჯიები მაშინ იყენენ“ (ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წლის 24 ივლისს სოფ. ბაზგი-რეთში).

სამკურნალო შელოცვები

1. გათვალულისა

1.1. თვალის დუა

მთქმელი ნებიე იშელი (პეტროლი), 75 წლის, მცხოვრები ს. სვირევანში (დუთლუქი). ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2005 წლის 29 ივლისს ს. სვირევანში.

მთქმელის განმარტებით, „ინსანი“ ავად გახდება. „თვალი ეცაო“, იტყვიან. უკითხავ და გასწორდება“.

ნებიე იშელი პროფესიონალი შემლოცველია. ასე იცნობენ მას თანასოფლელები. შელოცვების თქმაზე რომ დავითანხმეთ, იქ შეკრებილ ქალებს მიმართა: „მე'ნა დავაწერიო, ლაპარაკი არ გუურიოთ“!

დაიბეჭდა: თ. შიოშვილი, იმერხეული ფოლკლორი. გაზ. აჭარა, №206 (22.468), 2. XI, ბათ., 2005: 8.

1.2. თვალისა

მთქმელი ზულფეთ გუნეში, 80 წლის, მცხოვრები ს. ჯვარისხევიში (თუთლიქო). ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2009 წლის 6 აგვისტოს ს. ჯვარისხევიში.

მთქმელის განმარტებით, შელოცვის დამთავრების შემდეგ შემლოცველმა უნდა შეუბეროს ავადმყოფს; შელოცვა სრულდება სამჯერ: „შუუბერავ, აინი კიდევ ისე უნდა უთხრა სამი პირი“.

ქალბატონმა ზულფეთმა დანანებით ბრძანა, რომ ბევრი შელოცვა იცოდა, მაგრამ გადაავიწყდა. ვერაფრით გაიხსენა „შაკიკის შელოცვა“ და გვითხრა ძველებისგან განაგონი: „შაკიკი რომ არ აგტკივდესო, მზი თვალი რო ახლად ამუა, საცერში უნდა გახედო“.

1.3. თვალის დუა

მთქმელი ფუნარ ალთუნი, 21 წლის, მცხოვრები ს. უსტამისში. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წლის 1 აგვისტოს ს. უსტამისში.

ვარიანტი:

ალერისა, მალერისა,
თვალი გეცა ქალებისა.

მთქმელი რაფიე ილდიზი, 86 წლის, მცხოვრები სოფ. წეთილეთში (ერიქლი). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წლის 9 აგვისტოს ს. წეთილეთში.

მთქმელის განმარტებით, შელოცვის ბოლოს „შუუბერავ“.

2. მატავრისა

2.1. მთქმელი ნებიე იშელი (პეტროლდი), 75 წლის, მცხოვრები ს. სვირევანში. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წლის 29 ივლისს ს. სვირევანში.

მთქმელის განმარტებით „მატავრი რაცხა ერთი ჩიბანი გამუა, ხან ყიაში ატრიახებენ. მატავრი უჭირავ ყიაში და ეს კითხვა იმითვინ კარგია. და ყური ატკივდება, და თვალი ატკივდება, იმითვინ კარგია“.

დაბეჭდილია: მ. ფალავა, შავშური ჩანაწერები. ჟ. „ლიტერატურული აჭარა“, №1, ბათუმი, 2008, გვ. 85.

ვარიანტები

ა

- შე მატავრო, სა მიხვალ?
 - ადამიანსა.
 - ადამიანსა რა'ნა ქნა?
 - ბილ საჭმელად, ძვალ სახრელად.
- თასა წავეღ სანადიროს,
შავი მგელი წყალ მიქონდა.
ჩაეჭარ, ჩაეჭარ, ჩავთიბე,
შენსა კოჭობში ჩავყარე,
ვადულე და ვაქაფქაფე,
გავტად ქარ და ნიავსა.
შენი ფესვანდია,
ცხრა კოჭამდინ გასულია.
არსიან – ქალიან
სულეიმიანი ბეჭეღია.

მთქმელი აიშე ქურთი, მცხოვრები სოფ. სვირევანში (დუთლუქი), 52 წლის. გამოთხოვილია ს. შარაბულიდან (ჩუხური). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წლის 29 ივლისს.

ბ

მატავრისა

- მატავრო, სა მიხვალ?
- ადამიენსა.
- რა საქმე გაქ?
- ზელი საშლელად, ხორცი საჭრელად.
- ჩავყრი ქვაბში,
გაჩახახახებ, გაქაფქაფებ,
დაგაფავ, დაგაფავ!
ჩავყრი ქვაბში,
გაჩახახახებ, გაქაფქაფებ!

მთქმელი ფატმა (ფატყიმე) ილდიზი, 55 წლის, მცხოვრები ს. აგარაში. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წლის 6 აგვისტოს.

ბ

მატავრის დუა

- მატავრო, სა მიხვალ?

– ადამიანსა.
– გეგიყვან სერზე,
შეგობერე, ჩაგაგდე ღელეში,
ვადუღე, ვადუღე, ვაქაფქაფე.
გელ'და დავადეჭო შენი თავი!
შუუბერე, გაგაფრინე
ღელიდან ღელეში,
კლდიდან კლდეზე.
შუუბერე, გაფრინდა, წვედა!

მთქმელი შექერნაზა ყუში (შექროდ ნენე), 81 წლის, მცხოვრები სოფ. დისამომის მაჰელეში – ნიოლეთში. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წლის 4 აგვისტოს ნიოლეთში. მთქმელის განმარტებით, შელოცვის დამთავრების შემდეგ შემლოცველი შეუბერავს ავადმყოფს. შელოცვა სრულდება 3-ჯერ. („შუუბერავ, სამი პირი ჩეიკითხე“).

ღ

– შე მატავრო, ჰად მიხვალ,
ჰად მიბძანდები?
ზვალში ხარ, ბილში გამოდ,
ბილში ხარ, კარში გამოდ!

მთქმელი აიშე გოგჩე, 55 წლის, მცხოვრები ს. ბზათაში. ზამთრობით ცხოვრობს ანკარაში. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2009 წლის 7 აგვისტოს ს. ბზათაში.

მთქმელის განმარტებით, შელოცვის დასრულების შემდეგ შემლოცველი შეუბერავს; შელოცვა სრულდება სამჯერ: „მერე შუუბერო. სამი პირი უნდა უკითხო“.

3. სირსვილისა

3.1. სირსვილის დუა

მთქმელი სეიფეთინ ქურთი, მცხოვრები სოფელ სვირევანში (დუთლოქოდ), 25 წლის. ჩაიწერა თინა შიოშვილმა 2005 წლის 29 ივლისს.

მთქმელის განმარტებით, „წერავ, შუუბერავ; ყელემზე ჰემ დაწერავ“.

დაიბეჭდა: თ. შიოშვილი, იმერხეული ფოლკლორი. გაზ. „აჭარა“, №206 (22.468), 2 ნომბერი, 2005: 8.

4. შეშინებულისა

4.1. * * *

მთქმელი შექერნაზა ყუში (შექრო ნენე), 81 წლის, მცხოვრები ს. ნიოლეთში (დასამობის მაჰალე). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წლის 4 აგვისტოს ნიოლეთში.

მთქმელის შენიშვნით, შელოცვა სამჯერ უნდა შეასრულო, „სამი პირი ჩეიკითხო“.

5. თიისა

5.1. ელისა (თიისა)

მთქმელი ნებიე იშელი (პეტროლდი), 75 წლის, მცხოვრები ს. სვირევანში. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წლის 29 ივლისს ს. სვირევანში.

მთქმელის განმარტებით, ამ შელოცვას შვიდჯერ ასრულებენ. „შვიდ პირ უკითხავ, ნაკითხი წყალსა ფეჭი არ'ნა დაადგა“.

დაიბეჭდა: მ. ფაღავა, შავშური ჩანაწერები. ჟ. „ლიტერატურული აჭარა“, №1, 2008 წ. გვ. 86; თ. შიოშვილი, იმერხეული ფოლკლორი. გაზ. „აჭარა“, №206 (22.468), 2 ნომბერი, 2005: 8.

5.2. ელის დუა

მთქმელი შექერნაზა ყუში (შექრო ნენე), 81 წლის, მცხოვრები ს. ნიოლეთში (დასამობის მაჰალე). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წლის 4 აგვისტოს ნიოლეთში.

სამეურნეო შელოცვები

შავშეთში შემორჩა თითქმის ისეთივე სამეურნეო შელოცვები, როგორც – საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. თუმცა, აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ ამ ძირძველი ქართული კუთხის ძირითადი სამეურნეო ღარგი მესაქონლეობაა, ვერ დავაფიქსირეთ „ღამით გარეთ დარჩენილი საქონლის“, ანუ „მგლის“ შელოცვა, თუმცა ამ შელოცვის თანხმლები მაგიური რიტუალი შემორჩენილია. ს. სვირევანში მცხოვრებმა 31 წლის სევეგი ქურთმა, რომელიც გამოთხოვილია ს. მანატბიდან, გვითხრა: „– დანაზე უკითხვენ დუას, ჩააყაფანებენ, დადებენ, ზროხას მგელი არ შეჭამს“.

ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წლის 29 ივლისს ს. სვირევანში.

1. ნისლისა

1.1. * * *

მთქმელი შექერნაზა ყუში (შექრო ნენეა), 81 წლის, მცხოვრები ს. ნიოლეთში (დასამობის მაჰალე). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წლის 4 აგვისტოს ნიოლეთში.

1.2. * * *

მთქმელი აილაა დაზიჯი, 44 წლის, მცხოვრები ს. ზაქიეთში. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წლის 27 ივლისს ს. ზაქიეთში.

1.3.

მთქმელი გუდღისარ ბილირი, 67 წლის, მცხოვრები ს. ზიოსში. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წლის 26 ივლისს ს. ზიოსში.

მთქმელის განმარტებით „ამ დუას აბლადასე იტყოდ“.

1.4.

მთქმელი გუდღისარ ბილირი, 60 წლის, მცხოვრები ს. უბეში (ობაქო). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წლის 28 ივლისს.

1.5.

მთქმელი აიშე ქურთი, 52 წლის, მცხოვრები ს. სვირევანში (დუთლუქოა), გამოთხოვილია ს. შარაბულიდან (ჩუხური). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წლის 23 ივლისს.

1.6.

მთქმელი შექერნაზა ყუში (შექრო ნენეა), 81 წლის, მცხოვრები ს. ნიოლეთში (დასამობის მაჰალე). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წლის 4 აგვისტოს ნიოლეთში.

მთქმელის განმარტებით, შელოცვა „სამი პირი ჩეიკითხო'ნა“.

1.7.

მთქმელი ზეჟიე ილდიზი, 45 წლის, მცხოვრები ს. დაბაში (დემირჯი). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წლის 27 ივლისს.

ნისლის დროს ქუდს გადმოაპირქვავენ და ისე დატოვებენ, ვიდრე ნისლი არ აიყრება.

ვარიანტი

ნისლი გავაქციე.

ქუდი გამოვაქციე.

მთქმელი ჰეირიე აიღინი, 60 წლის, მცხოვრები ს. ვარდიეთში (ვარდიე. ერიქლი), აგარის მეჰელე. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წლის 8 აგვისტოს ს. ვარდიეთში.

მთქმელის განმარტებით, ნისლიან დღეს ქუდს გადააბრუნებენ და, ვიდრე ნისლი არ გაიფანტება, ასე დატოვებენ. ჰ. აიღინმა ასეთი განმარტებაც გააკეთა: „– ჩვენი თქმით არ წავა, ღმერთმა იცის, ღმერთი თქმით წავა. ჩვენ ღმერთი ხელში ვართ, ჩვენ ხელში არაფერი არ არი“.

2. მზისა

2.1.

მთქმელი სევეგი ქურთი, 31 წლის, მცხოვრები ს. სვირევანში (დუთლუქოა), გამოთხოვილია ს. მანატბიდან (დემირჯი). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წლის 29 ივლისს.

3. ნაზარისა ნაზარისა

მოქმელი ნებიე იშელი (პეტროლი), 75 წლის, მცხოვრები ს. სვირევანში (დუთლუქო). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წლის 29 ივლისს ს. სვირევანში.

ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეების ფოლკლორუს-ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, ისტორიული შავშეთის მკვიდრებსაც, ტრადიციულად, ამინდის მაგიური მართვის ორი ვარიანტი აქვთ შემუშავებული: 1. გამოდარებისა, ანუ წვიმის გადაღებისა და 2. გვალვისა, ანუ წვიმის გამოწვევისა. შესაბამისად ყველა შემლოცველი ფლობს ორ ტექსტს, რომლებიც თითქმის იდენტურია, განსხვავება ოდენ ტაროსის ღვთაებისადმი სათხოვარშია (თხოვენ წვიმას ან მზეს).

ს. აგარის მკვიდრმა, 18 წლის ჰელიმ სეჩქინმა „ნაზარობის“ შესახებ გვიამბო: „გააკეთებდენ ერთ რამეს, ბაგაღასავეთ შეკაზმავდენ ცოცხ, დაბურავდენ ლაჩაქით, წვედოდენ იქით-აქეთ, ეტყოდენ, მოთხოვდენ ჭადი ფქვილ... წყალ მიასხემ-დენ, ამინ იტყოდენ. თელ ალაგ შეიარდენ, ჩასხდებოდენ ერთ ალაგ ბადვები, ჭამდენ: ხავიწი, გვერეგი, ქადა... ვინცხასია, ცოცხ მოიტანებენ, მიცემენ, ვინცხამ მიცა... იმდერებდენ: „ღმერთო, მოგვე წვიმა-წყალი“! წყალ მიასხემებდენ ღარჭებზე, ბადვებზე“. (ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წლის 6 აგვისტოს ს. აგარაში).

შავშეთში, ისევე როგორც აჭარაში, შემორჩენილია ტრადიცია, რომლის თანახმადაც წვიმის გამოსაწვევად ადიოდნენ მთაზე და ქვებს შეულოცავდნენ. 51 წლის უსტამისელმა (ესქიყალე) ეუბ ალთუნმა გვიამბო: „გაწვიმებისთინ თაზე წავლენ. ვინცხად ბოზობა არ უქნია, ჰარამი არ უქნია, იმან ქვიები ჩაყარონ უნდა. ვლენ მოლოცვაზე კაცები, ქალები არა“ (ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2009 წლის 1 აგვისტოს ს. უსტამისში).

ამინდის მაგიური მართვისას, კერძოდ სეტყვის შესაჩერებლად, შავშეთში, საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, იცოდნენ ცოცხის დაბმაც. იმავე მოქმელის განმარტებით, „ხოშკაკალად რო იქნება, კედელზე ცოცხ მიაკრენ, დადგესო ხოშკაკალად“.

ვარიანტები:

ა

ნაზარ, ნაზარ, ნაგეზარ,
ნაზარ, ბურდა ნაეშტარ!
ღმერთიდან წვიმა-წყალი მოგვცეს!
ღმერთო მოგვე წვიმა-წყალი,
მზე და მთვარე მეგვეწყინა,
ღმერთმა მოგვცეს წვიმა-წყალი.

მოქმელი აიშე ქურთი, 52 წლის, მცხოვრები ს. სვირევანში (დუთლუქო), გამოთხოვია ს. შარაბულიდან (ჩუხური). ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წლის 23 ივლისს.

მოქმელის განმარტებით, „ბადვები წავლენ, ცოცხ შეკოჭვენ. იქზე რაცხას მუუმდერებენ; იქიდანაც მიცემენ დაღ, ფქვილ... წყალ მიასხემენ ბადვებ, გაწვიმდესო. გაწვიმდება“.

გამუდმებული წვიმებისას იტყოდნენ:
ნაზარ, ნაზარ, ნაგეზარ!
ნაზარ ბურდა ნაეშტარ,
ღმერთიდან მზე და მთვარე მოგვცეს!
ღმერთო, მოგვე მზე და მთვარე,
წვიმა-წყალი მეგვეწყინა.
ღმერთმა მოგვცეს მზე და მთვარე!

ბ

ნაზარ, ნაზარ, ნაან
ისტარ ყაშულინან დაღ.
ისტარ სანანინან,
უნ ისტარ ჩითმარაში მაშინა.
ცალიმ კარი მიმიღო.

ღმერთო, მოგვე წვიმა-წყალი,
შეგვეწყინა მზე და მთვარე!
ამინ!

მთქმელი შააზიე აითეკინი (ჩაქვრიძე), მცხოვრები ს. ზაქიეთში, 66 წლის. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2005 წლის 27 ივლისს.

ეშხია (თ. eşkiya) ყაჩაღი: „ამასობაში მოსულან მეგერ სამი ეშხია”(ბაზგ.).

ეჩობიტრა თოხი.

ეჩარები ჩქარობ: „ნუ ეჩარებით. ოდიები მქონდეს, დაგაწვენთ”(შავშ.).

ეწიკება ეზიდება: „ქობლეთ ვიყავი, რაცხაეფ ვეწიკებოდი. რიზედან მანქანებ დუუდებლი, ვეწიკებოდი”(ჩაქ).

ეხტიაჯი (თ. ihtiyac) გაჭირვება: „აქავრობაზე ეხტიაჯი არიან”(მანხ.).

ეჯელი (თ. ecel) უკანასკნელი საათი, სიკვდილი.

ვ

ვაიზი (არ. vaiz) დარიგება, სწავლება, ქადაგება: „ააგზე მაკითხეს გურჯი ვაიზი და წამედღეს”(მან.); „ვაიზ გეიგონებენ, ბუკვ მაარიდებენ, სიმღერის გამეერს, თავ-პირ დეიხეხვენ”(მან.).

ვალა (თ. vala) პირბადე, დედოფლის თავსაფარი: „დოდოფალ შეგვიკაზმენ, ვალას გადაა-ბურვენ”(ზ.); „დოდოფალ დანით ახდიდენ ვალას”(ზ.).

ვალი (თ. vali) გუბერნატორი.

ვალაჲ/ვალლა/ვალლაჰა (vallahi) ღმერთმანი: „ვალაჲ, ამათი სახელები არ ვიცი”(ნიოლ.).

ვარია სადღეებელი: „ვარიაში შევდლობავ”(უსტ.).

ვარიოზი (თ. varyoz) დიდი ჩაქუჩი, ურო.

ვახთი/ვახტი (არ. vakit) დრო.

ვახიცუზი (თ. vakitsiz უდროო, არადროული), აქ: ფეხმძიმე: „ვახიცუზი ქალიაო, იტყვიან ძიმეთ რომაა”(ბაზგ.).

ვიზე (თ. vize) ვიზა.

ვრა რვა: „სოფელში ასლამდი მეც მუალ, შვიდი, ვრა ქილომეტრი არი“ (უსტ.).

ზ

ზათა ბზათა, სოფელი იმერხევეში: „ჩვენ ბზათას ვიტყვით, დაწერვიხან „ზათას“ დაწერვენ“ (ბზ.).

ზათი//ზათინ//ზათენ (თ. zatin) 1. მაინც, ისედაც, უკვე: „ბევრი ზათინ არ ვიცი“; „ზათი ვერ იცოცხლებენ“(ივ.). 2. უწინ: „ზათინ ბევრი გეყავდა საქონელი“ (ხოს.); „ადარ მოდიან, ზათი მოდიოდენ, მიშველიდენ“(მან).

ზამანი (არ. zaman) დრო: „ჩვენ ზამანში დასალი იყო ლოცვა“(ბაზგ.).

ზამთრივ ზამთარში: „ზეგანში ვართ ახლა, ზამთრივ – ბარში“(უსტ.); ასე ახლა ყოლადა, თბილა-და, ზამთრივ ზორია“(უსტ.).

ზანდული//ზანდუკი, სკივრი: „ერთი ხელი დათალი გაატანა, ზანდული – სკივრი, დანი, სკივრი“(ჩაქ.).

ზარმელი სადილის მომდევნო ჭამის პერიოდი (შ.ფუტკ.): „... დაგვიანდა, გშიათ. ზარმლი დრო მევიდა...“(ზაქ.); „ზარმელი არი ახლა, ჰა!““(უ.).

ზაქიეთური ზაქიეთელი ქალი: „ზაქიეთური ხანუმი გეყავს“(ნიოლ.).

ზაღლიპირაჲ ძაღლიპირაჲ – მიკროტოპონიმი მანატბაში.

ზე რძე.

ზებზები ზემზემი (თ. zemzem), მექაში, ქაბასთან არსებული ჭის წმინდა წყალი: „დამწველ, დამხრუკველ ამეყვანებენ, ჯენნეთის ზებზებით ტან დაბანებენ...“(მან).

ზეღან ზემოდან.

ზეირი (სპ. zehir(hri)) საწამლაკი, შხამი, მწარე: „ზეირი ზუხუმი გუუხდეს“ (მან).

ზელქეთი ძელქელი<*გრძელ ქელი (მიკროტოპონიმი ს. მანატბაში).

ზემუდამ აქ ზემოდამ: „დაბა და დევეეთი/ზემუდამ ზაქიეთი...“(დ.).

ზენგილი//ზენგინი (თ. zengin) მდიდარი: „ჰამა ი ზენგილი იყო, მე არ ვარ ზენგილი, რა მიმეცა“(ჩაქ.).

ზენჯირი (თ. zincir) ჯაჭვი: „ჩენი ზენჯირი ბარშია“(უსტ.).

ზერა ძერა: „გაღმა სერში ქათმები/მიმოდევან ზერები...“.

ზექათი (თ. zacet) „გადასახადი, მოწყალების გაღება. მუსლიმანი ვაღდებუღია ყოველწლიურად თავისი ოჯახის შემოსავლის ერთი მეორმოდედი გასცეს მოწყალებად ქვრივობლებსა და ღარიბებზე... ზექათი ნაწილდება რამაზნის [მარხვის] ბოლო დღეებში“(შ. ფუტკ.).

ზეალი ძვალი: „მატაერო, ზეალში ხარ, ბილში გამოდ“(ბზ.).

ზიარეთი (არ. zialet) წმინდა ადგილი, სალოცავი: „ზიარეთი არის იქ „კარეთ“ ვებნევით“ (უ.).

ზიბილი (არ. zibil) ჭუჭყი, სიბინძურე: „ეზარებიან ლოცვა და სუფთობა/ზიბილია თავამდე მათი ურუბა“(მან).

ზიგარა//ძიგარა სიგარეტი: „ორ ზიგარას წუუკიდე“.

ზივი //ძივი ძივი: „მერჯიმეგის შორვას გავაკეთებთ, კაკლებია წვრილი, ზივებსავენ“ (ბაზგ.).

ზიზილაჲ რძე ბავშვის ენაზე, მოფერებით: „დედოვ, დედოვ, ჩამოყარე/ზიზილაჲ მოვწველოთ, დედო!“

ზისანდარმა ცეკვაჲ ერთგვარი: „ვისამებთ, ზისანდარმა დუუკარ“(უსტ.).

ზიოსური ზიოსელი ქალი: „გელინი ზიოსურია“(ბაზგ.).

ზნელი ძნელი.

ზოელი (თ. zouli) ძალიან, კარგად: „ალთმიშ დედი ზოელი ვარ“(ზენ.).

ზომდენვე (?): „ზომდენვე იმ დუნიას დეეხვევა დიდი კვამლი“(მან).

ზორი (თ. zor) ძნელი: „ახლა ყოლადა, თბილა-და, ზამთრივ ზორია“(უსტ.).

ზორით (სპ. zorla) ძალად: „ძველათ ზორით მიცემა იყო, ახლა არალი”(ზოს.).

ზუნკალი/წუნკალი ლანძღ. მურტალი. გად. გათახსირებული, ზნედაცემული (შ. ნიჟ. ნ. გურგ.): „დილას ავდექ შინ არ იყო/მე რა ვიცი ი ზუნკალი...”(შავშ.).

ზუნჯი (არ. zikkim) საწამლავე. იყენებენ სალანძღავად, წყველის ფორმულებში.

ზღვა აქ: საზღვარი: „გადასლა-გადმოსლაზე ზღვა დუღღვიან...”(მან.).

ზღვე საქონლის სადგომის იატაკი (საბა).

თ

თაამენი (თ. tahminen) ვარაუდი, აზრი: „რამდენის ვიქნები შენ თაამენში?”.

თაბუთი (თ. tabut) კუბო: „ახლა ემეში ჩადებულა, თაბუთში”(ნიოლ.).

თავანი (თ. tavan) ჭერი: „[ავადმყოფი] გააქცევს თვალებს მაშინ თავანზე”(მან.).

თავი დასაწყისი: „ემედ რავად იყო? თავი არ მაგონდება”.

თავილი უფროსი, ხელძღვანელი, მეთაური: „გურჯების თავილი თამარა ყოფილა”(ნიოლ.); „აქათ თავილია ესა, ჯუმურ ბაშქანი”(ნიოლ.).

თავეთ თავად, თვითონ: „დედამთილები არ უყვარან, ამა თავეთაც’ნა გახდენ დედამთილი, ხებერი არ აქვან”(ხევწ.).

თავეთვინ თავისთვის: „სამი ძმა მყავს, ერთი ართვინ არი, თავეთვინ”(ბაზგ.).

თავი იპუა დაკაცდა, დავაჟკაცდა: „თავი იპუა” ვიტყვით, ახალგაზდა ქი დაკაცდება”(ა.).

თავის ქერქშია თავისთვისაა: „თავის ქერქშია, ბევრი არ’ნა გააწუხოს”(ბაზგ.).

თაზედან მთიდან: „არ ჩამოდდენ თაზედან”(ა.).

თათარზენა ციყვი: „თათარზენად იქნებოდა, გადახტება ხიდან-ხეზე. კაკალ რომ ჭამს, აქა თათარზენას ეტყვიან”(დას.).

თათარხანა კუჭის აშლა: „თათარხანა ჩუუვარდებოდა რაცხა იმასა, ჭიპ მუუბრუნებდენ”(წეთ.).

თალაში (თ. talaş) აქ გარჯა, შრომა, მოუსვენრობა (იხ. შ. ნიჟ.): „... დაღვებით მაშინ მეშერის კარში/მაშინ გექნება ბევრი თალაში...”(მან.).

თალებე (talebe) მოსწავლე, სტუდენტი: „ზექათი, სედევე მიეცი ფუხარას ყველას/დაურიგე ლამაზათ თალებეს და მოლღას...”(მან.).

თალიბი (არ. talep(bi)) მოთხოვნა: „რუს კონსოლუსმა თალიბები გუუკეთა, ქაღალდები”(უ.) (შდრ. შ. ფუტკ.).

თამამ (არ. tamam) 1. მთლიანი, სრული, ზუსტად, ნამდვილად: „აზერბაიჯანი, ბაქო, თამამ ოსმანლისა იყო”(უ.) (შდრ. შ. ფუტკ.); 2. კმარა: „თამამ, ედესო, დააყრუე”(ბაზგ.).

თამარა თამარ მეფე, თამარ დედოფალი: „ამ ქილისაში თამარა მოსულა, უკანა ხანები აქ უცოცხლია”(ხენ.).

თანე (სპ. tane) ცალი: „თორმეტი თანე სოფელი ა ისე დარჩენილა”(დ.).

თანიში (taniş) ნაცნობი: „... ვუთხარ ქი ჩვენებურსა: ესენი, დედი, ჩემი თანიში არიან, არ გააწუხოს ესენი-მეთქი”(ზაქ.).

თახსი/თაქსი ტაქსი.

თახტა//თახთა (თ. tahta) ხე, ძელი, ფიცარი: „ხეს მოჭრიდენ, გაახევიებდენ თახტას”(ჩიხ.) ნ. ტახტა.

თახუმი (თ. takim) ჯიში, გვარი, ნათესაობა: „სახლის თახუმი ერთათ მეიყრებიან...(მან.) (შდრ. შ. ფუტკ.).

თელაში (არ. telaş) მოუსვენრობა, მღელვარება, შიში: „მადლი ნასაქმი მუა ჩუენ ჳელში, ... მაშინ გუექნება ბევრი თელაში...”(მან.).

თელი ყველა, ყველაფერი: „თელმა არ იციან”(უსტ.); „იქამდე თელი ოსმანლისა იყო”(უსტ.).

თელახარჩი (?): „თელახარჩი ემეს ამეიბამს, იმას გაფცქენით, შევჭამთ”(ნიოლ.).

თელეფონ გუუსხნილი დავურეკავდი.

თეიზე/თეზე დეიდა: „... დედამთილი ალთმიშბეშია, თეიზეი, ხალას უძახიან გურჯიჯა”(ბაზგ.); „თეზე ახლა ანადს დას ებნევიან”(ხევწ.).

თელგან ყველგან: „[ფუტკარი] თელგან წავა ჩიხეგისთინ, თელგან წავა”(ბაზგ.).

თელსიზი (telsiz) რადიო, აქ: რაცია: „დიდ ვინცხას ელაპარაკა თელსიზით”(ჩაქ.).

თელობით მავთულით: მოღობილია, თელობით შემოღობეს”(ბაზგ.).

თემენა (თ. temmena) მისალმება ხელის შუბლთან მიტანით, თაყვანისცემა(?): „თემენას აკეთებენ”(უსტ.).

თერბიელი (თ. terbiyeli) აღზრდილი, ნასწავლი: „თერბიელი მუა, წავა”.

თერეზი სასწორი: „თერეზმა დაწონა”(ბაზგ.) გადატ. აჯობა.

თერეფი (არ. taraf) მხარე: „მემრე ის თერეფი გამედწურვის, გადაატრიალევ...”(ბაზგ.).

თერჯიმანი (თ. tercüman) თარჯიმანი: „თერჯიმნად მარტომ წამოგყვები”(უსტ.).

თეფე (თ. tepe) ბორცვი, გორაკი: „ახვალ ზედან თეფეზე”(უსტ.).

თეფერა ხისგან გამოთლილი დაფა, რომელზეც აბრტყელებენ ცომს: „თეფერაზე გააბრტყელებ”(უ.).

თექ ოღონდ: „საჭმელის გაკეთება არ შემეზარება, თექ იყოს”(მანხ.).

თექი (თ. tek) ერთი, მარტო, ცალი: „თექათ იყო, თექათ? კად ტყავი ექნებოდა იმა...”(ჩაქე.).

თექელღემე (თ. tekerleme) ქარაგმული ნათქვამი, კალამბური: „თექელღემე იცით?”(სგ.).

თექრენ/თექრარ (თ. tekrar): კიდევ, კვლავ, ხელახლა: „... ღარჭი მყავდაო და თექრენ წუყუყანიან უკან...”(მანხ.); „ედდა მემრე თექრენ გავაკეთებ იმა”(ბაზგ.).

თეშთი/თეშტი თასი: „ჩედწურვის თეშთში”(ხევწ.).

თვალი ნახვრეტი: „ქვეშედან შუუდგამთ რაცხას, ბიდონიდან, თვალი აქ, გამოდინდება იქში”(ბაზგ.).

თვალის გამოდგმა თვალის დადგმა: „ამ ემოს ღარჭებმა ემოს ბაგალაზე თვალი გამოდგა”(წეთ)..

თვალის დაჭირვა მოწონება: „ამას თვალი დუჭირია”(სვირ.).

თვალნაჭირი თვალდადგმული, მოწონებული: „იმანაც თვალნაჭირი დეინახა”.

თველი რთველი.

თია თიაქარი: „ხედვაკიდან ეკიდე სიმინდი, წამუელ და გამუელ, დაეჯექ, თია გამომივდა”(სვირ.).

თილა ?: „(ჭებრეთი ფადიმე) თილას ურუბით იმ დუნდას წევდა”(მან.).

თირფანი (თ. tirfan) ცელი: „თირფანი სადაც არ მუუდგება, მანგლით ეკოდავთ”(ა.).

თისარტყველა ცისარტყელა: „... თისარტყელას ვეტყვით... რენგ-რენგ დაჰა დეეყუდება ასე, აქიდან ე იქ გადავა”(ჩაქ.).

თოკი საბელი: „წაავლეფ თოკზე, გაარწობ”(ბაზგ.).

თომათესი/ტომათესი (თ. domates) პომიდორი.

თორი (თ. tor) სარტყელი, ბადურად ნაქსოვი სარტყელი (შ. ნიჟ), თევზსაჭერი ბადე: „ღელეებში დედჭირავ საჩმაით, თორით”(ხოს.).

თორომი/თორუმი (თ. tureme) შთამომავლობა, მოდგმა: „ძველებიო, თამარა დოდოფლის თორომებისააო”(უსტ.).

თორუნი (თ. torun) 1. შვილიშვილი: „თორუნები მყავს, ბიჭი გამძულდა. თორუნები მიყვარან”(ზ.);

თოფალი (თ. tofal) კოჭლი: „საჩუქვარი რად ჰყავანო, სიძე თოფალი ჰყავანო”(ბაზგ.).

თოფრახი (თ. toprak (gi)) მიწა: „[კეცებს] თიხისას ავაშენებდით, თოფრახ მოვთხრიდით, იმისას ავაშენებდით”(ჩაქ.).

თოფუზი (თ. tofuz) კვერთხი, გურზი: „თუ არ გაქ იმანი, ჩეხვალ მეზარში, დაგარტყმენ თოფუზს, წახვალ გეზაპში...”(მან.); „ეზრავლი მოვა იმ ავატყოფზე, დაარტყამს თოფუზს გულის კაკალზე...”(მან.).

თოხუმი (თ. tohum) თესლი: „ზეთ ის იქნება, თოხუმი, ზეიდან დასათესი”(ჩაქ.).

თუთაყურსი თუთის სახეობა: „თუთაყურსი თეთრი თუთა რომ გაწითლდება, ისაა”(დავ.).

თუთბარი ერთ-ერთი ცეკვა, ქურთბარი: „თელლი ისამებენ, სორუმ ისამებენ, თუთბარ ისამებენ”(ბაზგ.).

თულლი (თ. türülü) ჯიში, სახე, განსხვავებული, ნაირი, მრავალგვარი: „შეიკერავს თურმე თულლი ურუბას...”(მან.).

თურმანები//**თურმანეთი**, **თურმანიძე**//**თურმანიზე** - სოფელი, ჩაქველთას მაჰალე.

თურქა (თ. türkce) თურქული: „ჩვენ ლაპარიკში თურქა შერეველია, ქართველ შინა თურქა შერეველია”(ბაზგ.).

თურქაზე გადაბრუნდნენ გათურქდნენ.

თხუელი მთხოველი, მათხოვარი: „არ დაგავიწყდეს ღმერთის შვილია/ყველა თხუელი და გაჭირვებული”(მან.).

ო

იბრელი//**იბრილი** (არ. ibrik) სპილენძის ვიწროყელიანი თუნგი: „[ჯენნეთში] ... ალთუნი და შუშე არის იბრილი...”(მან.).

იგზე იქ: „ბაგლის შვილიც ყავდა იგზე...”(ბაზგ.).

იგირმილიარდი//**იქირმილიარდი** ორ ოცი მილიარდი: „... მოკლავ ფარა'და გედეხადო, იგირმილიარდი”(მაჩხ.).

იდარე (თ. idare) 1. მმართველობა, ხელისუფლება: „იქა იდარე თურქებისა ყოფილა”(უ.); „ქართველებს უქუმეთი არ ქონიან... თურქის იდარეთი იყო”(უ.).

ილლა//**ილლე** (თ. illa, illak-i) აუცილებლად: „ილლაქი არი ოქრო”(იგ.); „თუ არა და, ილლა გოუშვებდით”(ჩაქ.).

იზნი, (თ. izin) ნებართვა, შევბულება, განთავისუფლება: „[ქალები] ქმარის უიზნოთ სოფლებში დადიან...”(მან.); „... თხუთმეტი დღე იზინი აქ რაცხა...”(ბაზგ.).

ილაჯი (არ. ilac) წამალი: „იმგუარ დერდში ჩამაგდე/ვერა ვნახე ილაჯი”; „ილაჯია, ავათ გახდები, სვამ და გაგამთელებს”(მან.).

იმაზე აქ იმიტომ: „აქავრულა არ იცით და იმაზე...”

იმა და გორე იმის მიხედვით.

იმის უკან იმის შემდეგ.

იმთიანი (თ. imtian) გამოცდილი: „იმის უკან იმთიანი გავხდი”(უ.).

იმსო ისეთი, ისე, იმგვარად. ნ. სო: „იმან იმსო ლამაზათ ილაპარიკა”(შაგშ.); „იმსო არც ხორცი იქნება, არაფერი არ იქნება”(ბაზგ.).

იმფოსერთი განსაკუთრებით: „ბევრი ხილი გვაქ, იმფოსერთი სხალი, ვაშლი იჯება კარქა”(მაჩხ.).

ინადი (თ. inat(di)) ჯიუტობა.

ინახავს აქ ხედავს (ლდინახავს): „ის ყალე ორ მხარეს ინახავს”(სვირ.).

ინდი ინდაური.

ინსანი (თ. insan) ადამიანი.

ინსნობა (არ. insan) ადამიანობა: „ხორცი არ იჭმება, ქონიც არ იჭმება, ინსნობა კადა”(მან.).

ირზი (არ. irza) რწმენა, მრწამსი: „ირზი, ნამუსი თუ გაქ ღუნდაზე/ჯენნეთში შეხვალ, ეხვალ კოშკებზე...”(მან.).

ირმალი ხევი, ქარაფი?: „ჯენნეთში არის ხეების ირმალი/ერთ სუჯზე მოდის თაფლი და დალი”(მან.).

ირმი დოსუზ ოცდაცხრა: „... კაცი არ მედწონა, ირმიდოსუზია...”(მაჩხ.).

ირდა//**ირღათი** ნადი, იხ. დაშველება: „ირდას ვეტყვით, მევერებით, რაცხაზე'ნა ვიმუშავოთ, დუქმასებთ მეზობლებ... დეგეშველებიან”(უსტ.); „ღამით, გძელი ღამეები იქნებოდა, ირღათ ვიზამდით”(მან.).

ისაც აქ იმანაც: „ის ჩემი და არი, ისაც იცის, ბევრი – არა”(უსტ.).

ისინი აქ იმათ: „ღარჭებმა იციან, ჰო, ისინი იციან”(უსტ.).

ისტა//**ისტემექ** გინდა, გსურს: „[კარტოფილს] გათლი, ისტა დაღში მოხარშე, ისტა ცეცხლში ჩადეგ”(ხოხ.).

ისტარ//ისტარსა (თ. ister) გინდ, თუნდ, თუ გინდა.

იქვერულა//იქვერულად იქაური: „... იქვერულა არ იცით და იმაზე, აქ მაადულებენ, მეც ვიცი...“ (ბაზგ).

იქეთ შემდეგ: „ჩვენი ფესთივალე ოთხი დღე იქეთ იქნება“ (ბაზგ).

იქვენა იქვე: „იქვენა არიან“ (სვ).

იქინდი (თ. iqinidi) საღამოს ლოცვა, ნამაზი შუადღის შემდეგ: „ხოჯა კითხულობს იქინდი ნამაზი“ (დ).

იქს, არ იქს არ ივარგებს, არ შეიძლება: „თელი ხე არ იქს“ (ჩიხ).

იყბალი (თ. ikbal) იღბალი, ბედი: „[გოგო] წყევანეს, გემითხუეს, ფისი იყბალი მაქ“ (უსტ).

იშილი (თ. işik) სინათლე, შუქი: „ბნელეთია, იშილი'ნა წედლოთ“ (ჩაქ).

იშლამა (თ. işlemek) დამუშავება, გაფორმება: „ბალიშები ხქონდა, იშლამა, იშლამა თელი ქონდა“ (ხოს).

იშმარის მიცემა (თ. işmar) ნიშნის მიცემა, მინიშნება: „იშმარი მისცაო“ ისე ვიტყვით. თვალებს ქი დოუხუჭავ, ემეს იქ, „იშმარი მისცაო“ (ჩაქ).

იშტა/იშტე (თ. işte) აი, ასე, სწორედ ასე: „თუ უნდანან, იგზე დაკვლენ იშტა“ (ჩაქ).

იშიარი (თ. işci) მუშა: „იშიარი არი, ერქქარი არი, ანაიჯი არი, არი და, არი იშტე“ (ბაზგ).

იხლამური (თ. ihlamur) ცაცხვი.

იხტიბარი გამოცდილება, მოხერხება. საუბ. საქციელი წაუხდება, შერცხვება (ქეგლ): „სტალინსა იხტიბარი ქი უქნია, ახლა ყოლა ადგილიდამ თითო კაცი უთხოვნია“ (უ).

ბ

კავლა (თ. kavga) დავა, ჩხუბი: „კავლა ქი იქნა“ (მანხ).

კათოლიკის შვილო წყევლაა, გად. ურჯულოს შვილო.

კაკალი მარცვალი: „კაკლებია წვრილი, ზივებსავენ“ (ბაზგ).

კალად კალია: „კალად ქი უხტება, ის არი“ (უსტ).

კალი საქონლის დასაბმელი ხისა. ნ. კაპი: „ძროხას ძველათ კალით დავაბემდით, შეშის კალი გაკეთდებოდა, ხიდან გაკეთდებოდა ასე...“ (ნიოლ).

კალო ადგილი, სადაც ხორბალს ლეწავდნენ: „კალო აგზე იყო, აქ გავლევწევდით“ (მანხ).

კამიონი (თ. kamyon) სატვირთო მანქანა.

კანალი (თ. kanal) სატელევიზიო არხი: „იმა ფენა უყვარს ის კანალი; ჩვენ ვსეირობთ იმ კანალზე“.

კანკამი კამკამი: „არ გაწვიმდება, კანკამებს“ (ხევწ).

კანდრა ხის ჭურჭელი, კაპიწი(?): „ესკი ფეხებით უტენავენ კანდრაში ფშნილა...“ (ბაზგ).

კანსერი (თ. kanser) სიმსივნე, კიბო: „კანსერი იყო და გეცოდინებთან, არ ემე იქნა იშტე“ (ბაზგ).

კად კარგად: „აჰმედად კად არ იყო, გემისკდა გული. ახლა კადა“ (ზ).

კაპანი აღმართი: „კაპანი ამეიარეთ?“ (ივ).

კაპი საქონლის დასაბმელი ხისა ნ. კალი (შდრ. შ. ნიჟ. აჭ. კალი).

კაპილა ხის ჭურჭელი, ხმარობენ წყლის, დოს... ამოსაღებად: „კაპილა ... წყალ ამოიღებ, დოს ამოიღებ... შეშიდან აკეთებენ კაპილას“ (ჩაქ).

კარა-ყურად//ყარა-ყურად, მაჯლაჯუნა: „იტყვიან, კარა-ყურად მოვდაო და დამაწვაო გულზე“ (წეთ).

კარგი ვარ, კად ვარ, კარგად ვარ.

კარდალა სპილენძის ჭურჭელი: „კარდალა დამვიწყდა, ფახრიდამ გაკეთებულა კარდალა“ (მანხ).

კარზე ეზოში: „კარზე ქი ავაგსობთ, ყოლადა“ (უსტ).

კარში ეზოში, გარეთ. ნ. გარში: „კარში წასულია თლათ მილეთი“ (უ); „სახში რომ არ იქნები/კარში დადევ ლაცავი“ (ზ).

კატარი წიწვოვანი მცენარე: „ეს ნაძვია, ეს კატარი“ (უ).

კატარად ბალახია ერთგვარი.

კასეტი კასეტა: „კასეტში გედედღეფს“ (ბაზგ.).

კაშული/ყაშული (თ. kaşık) კოვზი: „კაშული“ თურქნაა, „კოვზი“ (ჩაქ).

კაცი ქმარი: „იქ ჩემ დათან ახვალთ, მისი კაცი თქვენსაში გადმოსულია“ (უ); „კაცი არ მყავს, ნენე. ონ სექიზ სენე აღარ არის-და, თვრამეტი წელიწადია“ (ბაზგ.).

კე კენ: „თქვენც აქეთვე იყავით“ (უ).

კეცის აყუდება კეცის გახურება ბუხარში გაჩაღებულ ცეცხლზე ცომის დაკერის წინ.

კეხი ცხვირსა და შუბლს შორის ჩაღრმავებული ადგილი: „ეს ცხვირი, ჩავარდნილ ალაგ კეს ვეტყვით“ (ჩაქ).

კვამლი კომლი: „[სოფელში] სამი-ოთხი-ხუთი კვამლი რჩება...“ (დ).

კვეთა შელოცვის ზემოქმედება, რგება: „მე რომ გაწავლო შენო, მე რომ ვულოცო სხვებს, აღარ კვეთავსო, სოღრა [=შემდეგ] გასწავლიო“ (ბაზგ.).

კვერცი არ გადაბრუნდება გად. სწორი [კარგი] გზაა: „აქიდან წახვიდე გამიშეთში, დუზი გზაა, კვერცი არ გადაბრუნდება“ (ბაზგ.).

კვეტავს კვეთავს, ჭრის: „ე რო გაწავლო შენო, მე რო ულოცო სხვასო, აღარ კვეტავსო...“ (ბაზგ.).

კითხვა 1. სწავლება: „მე ამათ ვაკითხებ“ (ბაზგ.); „ბაღნებ აკითხებდა... ჩემ ბაღნებ მე ვაკითხებ“ (მან.); 2. სწავლა: „მე აქ ვაკითხე, ლიცე გავათავე“ (კოკ.); „იქ ოქულიც იკითხა“ (ბაზგ.); 3. შელოცვა: „ის არც დოხტურმა, არც კითხავმა ვერ გააკეთა“ (სვირ.); „რა ჭირს, უკითხოთ, ჰო“; 4. ქადაგება: „მოლა კითხულობს“; „გურჯიჯა ვაიზია, იმა კითხულობს“ (მან.).

კინაკეტი ძალაყინი, ღომი: „რას გავლუნავ, ესა დემირია, კინაკეტი“ (უსტ.).

კინდლობა ჩხუბი: „აბაზებთან ეკინდლებოდით, დაბარიშდით?“ (მან.).

კიწი კისერი: „დედამთილი გიყვირებს/ჰამან კიწი მუუგრისე“ (უსტ.).

კო რკო, მუხა: „ცხემლა არი, უხრაფი არი, კოც არი“ (უ).

კოლი ხის ტყავისაგან დამზადებული ჭურჭელი, იყენებენ სარწყავად: „ხის ტყავიდან რომ გააკეთებენ, კოდს ეტყვიან. აჰწონავ ერთ ემესა, ათი, თერთმეტი რომაა, იმისი სათავოა, სარწყავი“ (ჩაქ).

კოკოლა გირჩა: „ე ნაზვია, ე კატარი, ესა კატრი კოკოლა“ (უ).

კოკოტა სიმინდის ტარო.

კომბოხო ნ. კეხი: „ჩავარდნილ ალაგ კეს ვეტყვით, კომბოხოსაც ვეტყვით“ (ჩაქ).

კომში (თ. komşu) მეზობელი.

კონდრაბადი კონდრაბანდა: „ჩემი ბაბა იყო კონდრაბადზე“ (უსტ.).

კონსერი კონსერვი.

კოტიკი ზაქი.

კოტორი/კოტრი ტარო: „(სიმინდი) კოტორი მისცემს მალე“ (ხევწ.); „სიმინდი კოტრებ გეიკეთებს, ქუჩუჩ მედბამს“ (ხევწ.).

კოში 1. თავი (იხ. ხაპერი), შუბლი: „[ნაოჭი] კოშზე მე რამდენი მაქ, ანი“ (მანხ.); „კოში ეს არი, შუბლია“; 2. გოგრა: „კოში ერთიც ემეს ქვია, დათესვენ და ამუა... ხაპი“ (ჩაქ).

კოდვა მოჭრა თივის: „ჭალებს ვკოდავთ. „მოჭრას“ „კოდვას“ ვებნევი“ (ა).

კრედი გამოწილ კრედიტი აიღო: „კრედი გამოწილ, იმასაც ემე გართმენ, არ იჯება, ჰო“ (ბაზგ.).

კრეფა 1. მათხოვრობა: „სხვაგანიდან მოსული რომ იკრეფენ, ჩვენ ფოშას ვეტყვით“ (დავ.); 2. წასვლა, აბარება: „ახლა დაღმა იკრიფებიან“ ნ. გაკრეფა.

კროჭი ხის ჭურჭელი რძის პროდუქტების შესანახად, კასრი: „ამისი ხე რომ არი, გაჰხდიან, გაჰხდიან, სახმარო კასრ გაჰხდიან, ჭურჭელი გაკეთდება, კროჭ ეტყვიან“ (ჩაქ).

კულა ძველად: „კულა დოხტურთან მისლა-მოსლა არ იყო“.

კულანდელი ძველი: „დადესთან კულანდელი ადეთით ჩამაცვეს ლამაზათ...“ (შავშ).

კუნწალ-კუნწალ დახუნძლული: „სახლ უკნედან ტყიმალი, კუნწალ-კუნწალ კიდიო“ (მან.).

კურჩხელა აკვანზე დასაკიდებელი სათამაშო: „[აკვანზე] კურჩხელას უკიდებენ, დანახული გექნება... იმა ექცევა [ბავშვი]”(ბაზგ.).

კუტაბალი პანტა ბალი(?): „ად კუტაბალია, იქ ზადლის საფინავი”(ხევწ.).

კუტუტა მარცვალგაცლილი სიმინდის ტარო. შდრ. აჭ. ხვინტალი: „სიმინდ დაფშნი, კუტუტა დარჩება”(ხევწ.).

ლ

ლაგარძარღვა მრავალძარღვა.

ლაილონი (naylor) ნეილონი: „ლაილონი არ გაწყდება”(უსტ.).

ლამფა გახერხილი მორის გარეთა ნაწილი: „[თახტს]... გარე თერეფ ლამფას ვეტყო-დით...”(ჩიხ.).

ლაპარაკი/ლაპარიკი ენა, მეტყველება.

ლაღაბი (თ. lağap) შერქმეული მეტსახელი: „კიკვიები ლაღაბია, დაბალი კაცები არიან და ისე ეტყვიან”(ჩიხ.).

ლაყლაყი ლაქლაქი, ლაპარაკი: „აგზე ლაყლაყში გამხდარა”(უ.).

ლახანა (თ. lahana) კომბოსტო, მხალი: „[ჭურში] ჯავეს ჩადებენ, ლახნი ჯავეს”(დას.).

ლეგენი (თ. legen) ტაშტი.

ლენჩბერი (სპ. lenciberi) გლეხი, მიწის მუშა: „მე ლენჩბერ ვერ მიყვები/დილაზე ჰარ ვერ დუუდუფ...”(ზ.).

ლესკი ლექსი.

ლენჩეგი ლენჩი(?): „ძივიანი ლენჩეგი/რა ლამაზათ გიხდება”(უსტ.).

ლენჩელი მურაბა. ნ. რენელი.

ლისი გამდნარი ფიჭა, ფაჭა, სანთელი: „... ფაჭას გაადნობ, გახდება ლისი... სანთელი იშტე”(ბაზგ.); „... ჩითებზე ლისი დასხმული გვაქ... (ბაზგ.).

ლისე/ლიცე (lise) ლიცეუმი: „ორთაც იკითხა, ლისეც იკითხა”(ბაზგ.).

ლოგინის დაგება ლოგინის გაშლა: „... ჩემი ბაბო იტყოდა, დიმიგევით ლოგინი, დავწვეო”(მანხ.).

ლოკანტა/ლოქანთა (თ. lokanta) რესტორანი.

ლუპმან ექიმი ლუყმან (<ლოყმან) ექიმი ლეგენდარული ბრძენი წმინდანი (შ. ნიყ): „ლუპმან ექიმს მოკდომა ემედ უქნია, უპოვნია, წამლები უპოვნია”(უსტ.).

ლურსი ფიცარი ირიბად პირწაჭრილი (საბა): „ლურსი ბითავა ამას [ბოძს] აწვება, არ იყოს, ჩამოწვება”(მან.).

ლუქუსი სანთელი: „მე ლუქუსი ავანთე/მატყლი'და ვაჩეხო”.

მ

მაადულებს მოადულებს: „...აქ მაადულებენ, მე ვიცი, დედამთილი ადულებდა”(ბაზგ.).

მადენი (თ. maden) მადანი, ლითონი: „ბელქი-და აქ მადენი ადნეს?”(უ.).

მადიმაქი ჭინჭარი: „ჯინჭარ მადიმაქ ვეტყვით”.

მათხაფი ხეში გასახვრეტი ბურღი (მან.)(შდრ. შ. ნიყ.).

მაკარინა (თ. makarna) მაკარონი

მალაპარიკებელი მოლაპარაკე: „ჩვენ სოფელში ჰინ თურქჩა მალაპარიკებელი არ იყო”(მანხ.).

მალახთო მალახტო, ლობიოს შეჭამანდი. მოხარშულ ლობიოს შეაზავებენ ხახვით, პიმპი-ლით, რეკანით: „მალახთო ფენა მიყვარს. მოგვრეფ ლობიოს, გავტეხ, ჩავაყრი შიგან ხახვ, მოვხრაკავ. მემრე წყალ დავასხამ, ბიბერი-მიბერი, რეკანი ვურთავ, მოვხარ-შავ”(სვირ.)(შდრ. შ. ნიყ.).

მანი (თ. mani) ხალხური სასიმღერო ტექსტი: „არ ვიცი ქი მანები”(ბაზგ.).

მანგალი ნამგალი: „ვთიბავ მანგალით, ახლანდელი მანგლები მაგრებია”(უსტ.).

მანდოლინი დასაკრავი სიმებიანი ინსტრუმენტი: „მანდოლინი ქონდა ამას”.

მაიდანოზი (თ. maydanoz) ოხრახუმი: „სარმას გავაკეთებთ ბრინჯით, მაიდანოზით”(უსტ.).

მართვი მართვე: მართვი ქი გამუა... ხეზე დეეხვევა”(ბაზგ.).

მარიობა მარიამობის დღესასწაული, ტარდება აგვისტოს დასაწყისში და გრძელდება რამდენიმე დღეს: „მარიობას ვეტყვიო ჩვენ იმა, საქორიას დავდივართ” (ზ.).

მარმარი (თ. marmara) მარმარილოს ზღვა: „ჩემი ბიჭი ეცურებოდა, ებანებოდა ისტამბულ, მარმარიში”(სვ.).

მარტივი მარტო: „პირ არ ვურევთ არაფერს, მარტივი ჩაია”(ბაზგ.).

მარული მხალეული. ბოტ. ღორის ქადა. ნ. მერული.

მარჩილი ფული: „თავის ფული თავით მეიგოს”(უ.).

მასკან/მასკვან მას უკან, მას შემდეგ: „მასკან ის ემენა ქნა, ქალი გააბანიო” (ბაზგ.).

მასკე მასკა, ნიღაბი: „მასკე თუ არ გაცვია, დეგეხვევიან [ფუტკრები]” (ბაზგ.).

მატავრი საყმაწვილო დაავადება, ქუნთრუშა: „მატავრი უჭირავ ყიაში და ეს კითხვა იმითვინ კარგია. და ყური ატკივდება, და თვალი ატკივდება, იმითვინ კარგია” (სვირ.).

მაქინა (თ. makin) ხელსაწყო, დანადგარი: „[რქეს] „მაქინაში გაავადენტ, მემრე შევდლებათ” (წეთ.).

მაქინაჯი საკერავ მანქანაზე მომუშავე, მკერავი: „მაქინაჯი ვარ, ყუმაშ ვკერავ” (სვ.).

მატყვილო მომატყვილო: „გაწვიმდეს’ნა, არ მატყვილო” (ბაზგ.).

მაქვს აქ მყავს: „ჩვენ ორი თანე ვართ, ერთი ძმა მაქ”(სვირ.).

მაღარა (თ. mağara) გამოქვაბული: „რომ გათოვდებოდა, გაწვიმდებოდა, ჳარები შევლოდენ მაღარაში”(ზ.); „წალკოტი მაღარაც აქაა”(უ.).

მაყრება ნათესავი (?): „რაცა რომ არიან ხისიმ-მაყრება/ჯენნეთის კოშკებზე ერთათ მეფერება...”(მან.).

მაშალა (არ. maşallar) ღმერთო, დაიცავი (ავი თვალისგან): „ჩვენთან შვიდი ხბო ყავან, მაშალა!”(ხევწ.).

მაჭახლური მაჭახლელი ქალი: „ზათინ იქ რომ ვიყავ, იქ მაჭახლური ემე ყავდენ იქა, ჩემ მეზობელ ანად იმიდან ყავდა, მაჭახლური”(ბაზგ.).

მახასი (თ. makas) მაკრატელი: „მახასით’ნა მოკნაჭო”(ბაზგ.).

მაჰანა (თ. mahane) საბაბი, მიზეზი.

მაჰალე (თ. mahale) უბანი: „იმ მაჰალეში გახვალ, იპოვნი” ნ. მეჰალე.

მეგემ/მეგერ/მეგერა/მეგრემ (თ. meger) თურმე: „ვერ გეიგნა მეგერ”(უსტ.); „მეგემ იმის ბადვის შვილი მეინდომა”(მაჩხ.); „მეგელათ მეგრემ აქ მაჭახლელს ცხენით დადი მიქონდა”; „მეგერა რუსმა გადმაყარა შექერი”(უ.).

მეზარი/მეზერი (არ. mezar) საფლავი: „თუ წავყვა მეზარში შენი იმანი/მოქცილდება მაშინ ქორი შედთან”(მან.); „მეზერზე დაგაყარე მიწა!”(წყევლა).

მეივა (თ. meyva) ხილი: „აქ ყველა მეივა არის”(დავლ.).

მეიმური (თ. memur) თანამშრომელი, მოხელე, მოსამსახურე: „მეიმური გამოდიოდა”(ბ.).

მელაიქი (არ. melek) ანგელოზი (შდრ. შ. ნიჟ. შ. ფუტკ.): მოვლენ მელაიქები, მოგიკვარებენ, ჯენნეთის კარებ ჰემ გიგილებენ...” (მან.).

მელეზი (თ. melez) ნარევი, არეული, იხ. დოღმა: „ჩვენ მელეზი ვართ, დოღმა, არეული. დოღრი გურჯი თქვენ ხართ, ჩვენ – მელეზი” (ჩაქ.).

მელიეთი ნ. ემელიეთი: „სამჯერ მელიეთი გავხდი”(მან.).

მელოდი (თ. melodi) მელოდია, ჰანგი: „მე არ ვიცი მელოდი”.

მემთვერე ვინც მთაში აგარაკზე დასასვენებლად დადის ზაფხულობით: „თაზე წადიოდა, მემთვერე იყო”(ხობ.).

მემლეკეთი (თ. memleket) სახელმწიფო, ქვეყანა, მხარე.

მემნუნი (თ. memnun) კმაყოფილი: „ახლა მემნუნი ხართ შევარდნაძიდამ?”(მან.).

მედანი (თ. meydan) მოედანი: „გამორეხილდები მეშერის მედანიში”(მან.).

მერაყი (თ. merak) დარდი: „... მე რომ იმ ღამაზე არ მეკოცნა/მერაყისგან მოკდებოდა” (ზენ.); „ეიდა რავად დეეწავლო და რავად ქი გურჯი გავხდო მერაყობდა [კაცი]”(ბაზგ.).

მერაყიანი დარდიანი იხ. მერაყლი: „ამა თქვენსავე კარგა მერაყებიანი ინსნები არ მოსულან ქი...”(უ).

მერაყლი (თ. merakli) დარდიანი იხ. მერაყიანი: „ბაბად მერაყლია, აქაო ალთუნი არიო, წაველით, ვნახოთო”(ბაზგ.).

მერაყობა დარდი, ნაღვლობა, წუხილი: „რავად ქი გურჯული დეეწავლო და გურჯი გავხდეო, მერაყობდა”(ბაზგ.).

მერდევანი (სპ. merdivan) კიბე: „...ად ხალი ბათუმში მერდევანზე დაგებული მქონდაო”(უსტ.).

მერთელი (თ. mertek) ძელი საფლაფში მიცვალებულზე გადასახურავი: „იმ ღუნიას დოხუზ მერთელი გვიწევს”.

მერეგი (თ. merək) საქონლის საკვების შესანახი ნაგებობა, საბძელი, ქორი: „ქორი ადა, მერეგსაც ვეტყვიო, საბძელსაც”(ჩაქ.).

მერული ორთითა ან სამითითა, იყენებენ კალოობისა და თიბვის დროს: „თირფანი მაქ, მერულიც. მერული მოსადენკია”(ბაზგ.).

მერჯიმიგი/მერჯიმიქი (თ. mercimek) ოსპი: „მერჯიმიგის შორვას გავაკეთებო, კაკლებია წვრილი, ზივებსავენ...”(ბაზგ.); „ესა მერჯიმიგია, წურილ-წურილია ლობიასავით”(შავშ.).

მესალად (თ. mesele) მაგალითად: „რაცხაზე მესალად ვიმუშავოთ’ნა”(უსტ.).

მექტები (თ. mektep(bi)) სკოლა, სასწავლებელი.

მეშერი (არ. mahşer) მუსლიმანური რელიგიის მიხედვით, ადგილი, სადაც თავს იყრის ყველა ადამიანი საშინელი განკითხვის უამს, მეორედ მოსვლის დროს, საშინელი სასამართლოს დღე (შ. ფუტკ.), მეშერი: „მადლი, ნასაქმი, მოვა თქვენ ხელში/დადგებით მაშინ მეშერის კარში...” (მან.).

მეშველა-ი ხვლიკი: „მეშველად ხვლივზე პატარადა, ასე კუდ იქნევს, დარბის სახლებში”(უსტ.).

მეხსუს (არ. mahsus) განგებ: „მეხსუს მაღაპარიკებენ აგზე, ახლა მივხდი”(ბაზგ.).

მეჰელე ნ. მაჰალე.

მეჰმური/მემდური (თ. memur) ნ. მემური „... მეჰმური ხომ არა ხარ, რაში თვალი’ნა დამჩეს”(უსტ.).

მიბმული შეერთებული: „ტბეთის ქილისა ამაზე ყოფილა მიბმული”(მანხ.).

მიგვიყვანეს აქ მოგვიყვანეს: „წყალი არ ქვქონდა, ახლა წყლები მიგვიყვანეს, ა, იქიდან მიგვიყვანეს, კარჩხლიდან”(უსტ.).

მიტობა ყურადღება, გულთბილობა: „მაზლი მყავს მე ... ჰამა იმან არ მიათბო... ჩემიც აქვერ საქმეზე არ გავზანა”(მანხ.).

მიტესვა აქ დასახლება: „იმთაც უთქვიან ქი, ასეთ ზალიან დუზზე ვერ ვიქთო, ჩვენო, ასეო, პაწად გვერდი’ნა იყოსო, ასეო მივეთესოთო”(ნიოლ.).

მიტხეთა მკითხავის საკ. სახელი: „შენ ჩემი ნესიბი ხარ/ჩავახედე მიტხეთას”.

მიიყვანს აქ: მოიყვანს: „ანად ქი მეგიკდება და თექრენ კი დეესახლება, ბაბოდ მიიყვანს, იმა „ანალუდ” ვეტყვიო”(ბაზგ.).

მიკვრა შეერთება, შერევა.

მილეთი/მილეთი (თ. millet) ხალხი: „კარში წასულია თლათ მილეთი, ზაფხულ მოდიან”(უ); „ესკი მილეთი არიან, თელი კად არიან”(უ).

მილიარი მილიარდი: „ერთი მილიარიც რომ მეიგო, ანჯახ იქნები”(ხევწ.).

მილეთ ვექილი (თ. milletvekil) სახალხო დეპუტატი, დეპუტატი: „ქართველებიც მილეთ ვექილი ბევრი არიან”(ბაზგ.).

მიმიკდენ მომიკვდენ: „დედამთილ-მამამთილი არ მყავს, მიმიკდენ”(უსტ.).

მინდერი, მინდარი (თ. minder) 1. ლეიბი; 2. დასაჯდომი ბალიში: „მინდრები მუუტანე აგზე, მუსაფირები გვეყავს”(უ).

მიორეფულად მეორენაირად, სხვანაირად, სხვაგვარად: „იქ მივივართ, მიორეფულად ლაპარეიკობენ, ის ვერ მოგვიფერებია”(უსტ.).

მიუზიყე აქ: აკორდენი: „... ჩვენი მეზობელი კაცი მდეროფს, მიუზიყეს უკრავს”(ჩაქ.).

მიფუება მიფუტება, მიკვამლება: „ქორუგით დაფუთავთ, მივაფუებთ ასე”(ბაზგ.).

მიწაში თავი ჩაყო გარდაიცვალა, მოკვდა: „ზათი ანამ მოკდა, ანამ მიწაში თავი ჩაყო, ბაბოდც ფინთი გახდა...”(ბაზგ.).

მიყოფა ნ. ხელის მიყოფა.

მიწინააპა-ე კარტოფილი: „აქ მიწინააპა მოდის, ჩომა ყავან”(ბაზგ.).

მიხოცვა გაწმენდა, გასუფთავება: „ჯამე დავასუფთეთ, ხვალ ჯუმა არი, მივხოცეთ, მოვხოცეთ”(უ.).

მლეველი მსმელი.

მოაჯირი (თ. muhacir) მუჰაჯირი: „ზოგი წასული არიან, მოაჯირად წვედენ” (ბაზგ.).

მობმული აქ გაერთიანებული: „ჩვენზე მობმული ჯამე სამას ოცია” (მანხ.).

მოგონება/მოკონება მოხმობა ახალდაბადებულის ჭიპის: „[კაკლის] გულს გაცოხნი... მესამე დღე დაადებ, მალე მოგონდება”(ბაზგ.).

მოგცონ მოგცენ: „კარგობა მოგცონ” (დალოცვა) (ჩაქ.).

მოდენა მორწყვა, წყლის მოტარება: „წყალი მოადინო ბოსტანში”(ნიოლ.).

მოდენება მოყოლა: „კაცი არ მომდევს აქა”(მან.).

მოედისი/მუედისი (თ. mühendis) ინჟინერი: „იმის კაციც მოედისია”(მანხ.).

მოზდი მოზრდილი: „ლოცვა-კითხვა გენჯებს არ უყვარან, მოზდებსაც”(უ.).

მოზიკა აკორდიონი: „ჩემი ბიჭი ამბობფს, ბათუმდა გევედღა მოზიკაღდა ამოვტანოვ”(ზ.).

მოთლა აქ მოღუქება: „მეგდოდენ მაყარი, დაქდებოდენ, მოთლიდენ” (უსტ.).

მოთორი (motor) ძრავა, მოტორი.

მოკვარება მონათება: „მოვლენ მელაიქები, მოგიკვარებენ, ჯენნეთის კარებ ჰემ გიგიღებენ...”(მან.).

მოკუკული მოხრილი.

მოკითხავე მლოცველი.

მოკრეფა მოგროვება: „აქ ვინცხა მცხოვრობენ, იმათიდანღა მოკრიფოთ”(ბაზგ.).

მოლაფვა მოსვრა: „რავად ჭამს, მედლაფა პირი”(ბაზგ.).

მოლი ბალახი: „მოლი ბევრია, მოჭარ, მიართვი ჩომას”(ზ.).

მოლოცავი მლოცავი: „მოლოცავიწა იყო, მადლი მეიკიდო...”(ბაზგ.).

მოპარვა მოტაცება ქალის: „[ქალი] ამან მეიპარა”(ჩაქ.).

მორვევა მოხნა(?): „ეს ყართოფის ყანაა, ხართით მოარვეთ, ხართით დავარვეთ”(ხოხ.). ნ. დარვევა

მორუნიება ჩამოტარება, მოტარება: „სინს მოარუნიებენ”(დ.).

მორჩენა დამთავრება სასწავლებლის: „პატარამაც მაარჩინა ლიცე”(მანხ.).

მოსადენი მოსარწყავი: „მოსადენი წყალი ძველათ მუუყვანიან”(უსტ.).

მოსართავი აქ შესაკმაზი, საკმაზი: „ყართოფის შორვას გააკეთებ...მოსართავს მისცემ, ფშნილას ჩაყრი, დაღ მაასხამ იშტა”(ხოხ.).

მოსაფირი (თ. misafir) სტუმარი ნ. მუსაფირი: „ამ დუნდაში ჩვენ მოსაფირი ვართ, პაწა ხან უკან მეზერში წავალთ...”(ჩაქგ.).

მოსადენკი თივის, ჩალის ასაღები: „მერული მოსადენკია”(მან.).

მოსვლა 1. ხილის, ბოსტნეულის შემოსვლა, დამწიფება: „ჯერ არ მოგლიჯო, არ მოსულა”; 2. შესაბამისობა, დამთხვევა: „ჩვენი თურქჩაზე მოდის”.

მოსკმა ნ. ჯოხის მოსკმა.

მოსულათ აქ: ნელა: „ერთ დრამ მოსულათ ილაპარიკებდენ, გეგზნებთ და დევწავლით”(უ.).

მოფერება მოხერხება, შეძლება.

მოქოლვა ამოქოლვა, დახშობა: „[დათვს] ცომი ჩუუსხამს, ფურნე მოქოლავს და გაქცეულა”(მან.).

მოღალული დაღლილი: „ჩომაში იქნები,... მოხვალ მოღალული”(ბაზგ.).

მოღამება შებინდება. გადატ. ცხოვრების გატარება, დაბერება: „ჩვენ კარგა ვიყავით, ჩვენ ისე მუაღამეთ, გაბუკვა არ ვიცით” (შავშ.).

მოყვარეობა დახრობა: „წყალში მოყვარეულაო, იტყვიან, ლოგინში რომ მოკდება, მოკდაო” (ბაზგ.); „ცურავ იშტე, არ მოყვარეობი” (ნიოლ.).

მოყვარული ყორეშემოვლებული.

მოყვრილობა თავმოყრა, წვეულება: „ეგა სინია, ბევრი მოყვრილობა იქნება, შამეხევევი...” (დ.).
მოშოშთა მსხლის ჯიშია, ხარობს შავშეთში, მას წარიასაც ეძახიან.

მოწონთა 1. გოგრა: „ღეჩერს მოწონთა უნდა. ქესტანად ხაპი არი, ერთი მოწონთა არი”(ჩაქ.); 2. მსხლის ჯიში: „სხალი არის, მოწონთა (მოწინთა) სხალი...”(ზ.).

მოძრა დახურვა კარის: „კარი მუუძარ”(სვირ.).

მოჭირებული ძუნწი: „ქართველი ან ბლაცყია, ან მოჭირებული” (უ.).

მოჭუტული დახუტული: „ერთი თვალი მოჭუტული აქ”(ბაზგ.).

მოჭუტყვა თავის მოყრა: „ბაბოდ მოჭუტყავდა რაცხაეფს, მომიტანდა”(უ.).

მოსარშვა აქ დახრობა: „ჩემი ღარჭი დენიზში მოსარშულა შვიდი წელიწადია” (სვირ.).

მოხოცვა მოწმენდა, გასუფთავება. ნ. მიხოცვა.

მოჯეჯვა გათელვა: „ხოშაკაქალამ ... ჩაწყვიტა კიტრები და მოჯეჯვა”(ხოხ.).

მტრევა ტკივილი: „ხორცი მამტრევეს, იტყვიან”(მანხ.).

მუედისი ნ. მოედისი.

მუთმადი (თ. mutfak(çı)) სამზადი, სასადილო ოთახი: „მუთმადი პურის საჭმელი ოდაა” (მან.).

მუუდას გიზამენ (თ. müjde) მოგახარებენ: „მოვლენ მელაიქები, მოგიკვარებენ/ ჯენნეთი კარებ ჰემ გიგილებენ/ აღარ გაქ შიში მუუდას გიზამენ...” (მან.).

მურადი (არ. murat) სურვილი, იმედი, მისწრაფება: „კარგ მურადს შეგყარონ” (ლოცვა).

მუსაფირი (არ. misafir) სტუმარი ნ. მოსაფირი: „მუსაფირ დახოვლი ვარ”(ხევეწ.).

მუსლიმანლული (თ. müslüman) მუსლიმანი: „მუსლიმანლული ყოფილა”(უ.).

მუქერ-მექირი (?): „მეზარში მოვა მუქერ-მექირი”(მან.).

მუდელიმი (თ. muallim) მასწავლებელი.

მუშტავი მუუდავი, ხარება: „გიმუშტავე, ვერ ხედავ”(ბაზგ.).

მუხი ღურსმანი: „შენი მუხი მოტეხილია, არ მესობა შენი მუხი”(მანხ.).

მუხტარი მამასახლისი.

მუხტრობა მამასახლისობა.

მღერებელი მომღერალი: „მე არ მიმღერია, მღერებელი არიან”(ივ.).

ნ

ნა შეკვეცილი უნდა: „წეთილეთი ეარონა, შეხვალ...”(ზენ.).

ნაზვი ნაძვი: „ესა ნაზვია, იმა „ციხეს” ვებნევით, იმნიეთ ციხეა”(იფხ.).

ნაზლიე ძროხის სახელი: „ნაზლიჯან, ნაზლიჯან, ჩამოყარე, ანამჯან”(ბაზგ.).

ნათესი ნათესავი: „ჩვენი ნათესები იქ არიან”(მან.).

ნათქვამურად ნათქვამი: „თურქს უნდა თავის ნათქვამურად საქმე ქნას”(ბაზგ.).

ნაკადი ჭალაში სარწყავად მიცემული წყალი: „ამა რუს ვეტყვით, ჭალაში მიცემ ნაკადი გახდება”(მან.).

ნაკითხი 1. ნასწავლი: „ნაკითხი იქნებოდა”(ბაზგ.); 2. ნალოცავი, შელოცვილი: „ხოჯების ნაკითხიც არი”(უსტ.).

ნამეჰრამი (არ. namahrem) უცხო, უცნობი: „ახლანდელ ქალებ რა ეღერდებიან/ნამეჰრამ კაცებ არ დეერიდებიან...” (მან.).

ნანე ბოტ. ბადის პიტნა: „ჩვენ ბიბერი, ნანე-მანე არ გვიყვარს”(ბაზგ.); „ყანეფში მოვკრეფთ ნანებს” (ბაზგ.).

ნართი რაც ნართავია, ძაფი: „ეს ნართია; ჰემ ნართია, ჰემ ძაფია” (უ.).

ნასაქმი ნამსახურები: „კაც რომ არ ქონდა ნასაქმი, არ იყო გარეთ...”(ბაზგ.).

ნაფლატი დამსკდარი: „ად ნაფლატი ადგილი წუმპოა”.

ნაფუზარი საკარმიდამო ნაკვეთი. სახლთან, კარმიდამოსთან ახლოს მდებარე (შ. ნიუ): „ნაფუზარ ყანებ ვეტყვით „ნაფუზარებ”.

ნაჩარი (თ. nacar) ცუდი, უვარგისი, უშნო: „გალამაზდება, თუ არი აქ ნაჩარი“ (მან.); „მე ქართველი ვარ, ნაჩარი ბენზინი არ ჩემისხათო“(ჩაქ).

ნენე (თ. nene) 1. ბუბია: „ჩემი ნენე აქ არ არი“(ა.); 2. თავაზიანი მიმართვის ფორმა უფროსი ქალისადმი: „აქა ერთი მილიარი ერთ წელიწად გეყოფა, ჰამა იქა ერთი მილიარი ერთ თვეს არ გეყოფა, ნენე!“ (ბაზგ).

ნეისა (თ. neyse) „რაღა დროისაა“, „რაღას იზამ“: „იგზე არ ჩამოგეყვანა, კაი იყო, მარა ნეისა“.

ნესიბი (არ. nasip(bi)) ხვედრი, ბედი, წილი: „გეგლების ნესიბი გაგხადოს“(წყველა).

ნემტო ცხვირის ნესტო.

ნიეთლობა მარხვა: „ილოცე, ინიეთლე, ქენი ჰაჯობა/შეიბრალე ამ დუნდას ფუხარა ყველა...“(მან.).

ნისანი (თ. nisan) აპრილი: „მარტის უკან ქი არის, ნისანი“(ჩაქ).

ნიქაჰი (თ. nikah) ქორწილი.

ნიღრი წალდის ცხვირი: „წალდ ასე ნიღრი აქ, იმით გამოვკაფავო“(ნიოლ).

ნიშანლი ნიშნიანი, დანიშნული: „ერთ წელიწად ვიყავ ნიშანლი“(ბაზგ).

ნთება ნათება: „იმას ციციანთელას ვებნევით, ღამით ანთობს“(უსტ).

ნური (არ. nur) შუქი, სინათლე: „[ქალს] ... ჩამოადგება ბუკზე ღამაზი ნური“(მან).

ნუფუსი (თ. nüfus) მოსახლე, მოქალაქე: „ბექიროლლი მუსტაფად მოსკოფაში ნუფუსი გახდა“(უ).

ნუხ ფეიღამბერი (თ. Nuh Peygamber) იგივე ნოე ფეიღამბერი, ნოე წინასწარმეტყველი: „კარხხალი თაზე დუუბამან ნუხ ფეიღამბერის გემი“(დას.).

დ

და (თ. ya) ან: „რაცხას ვიგონებთ, და ვმღერობთ, და არა“(უსტ).

დაბანი (სპ. yabani) მხეცი, ნადირი, აქ: გარეული ღორი: „დაბანი აღარ არიან, ძველათ ბევრი იყვნენ“(უსტ).

დაბანჩი/ჯი (თ. yabancı) უცხო: „დაბანჩი სიძე არ გვინდოდა“(შავშ).

დაბანჯობა უცხოობა: „ახლა დაბანჯობა აღარ არის“(ბაზგ).

დავაშ-დავაშ (თ. yavaş-yavaş) ნელ-ნელა: „დავაშ-დავაშ ისწავლი“(ბაზგ).

დაზ-ი (თ. yazi) ნაწერი: „იქა ქეიებზე მაღლა დაზებია“(ჩაქ).

დაზმა (თ. yazma) ჩითი, ნარმა. აქ: ლენაქი, ქალის თავსაბურავი: „ღმერთმა თეთრი დაზმით დაგაბეროს“(ხევწ).

დათალი (თ. yatak) საწოლი: „[გათხოვილ ქალს] ერთ ხელ დათად გაატან...“(ხოხ).

დაილა (თ. yayla) საზაფხულო საძოვარი: „ჩიქუნეთური დაილების მხრიდან არის გოლი“(ზ).

დაღანჩი (თ. yalanci) ტყუილი, მატყუარა: „დაღანჩი დუნია, გავაქციეთ გენჯობა“(ბაზგ).

დამ-დამები კაციჭამიები: „ინსანი ინსან ქი ჭამს, იმას ეტყვიან დამ-დამს“(ბაზგ).

დანი (თ. yani) ესე იგი, მაშასადამე: „დანი, ზამთარშიც სდგებით აქა?“(ჩაქ).

დარაჰმა (თ. yaramak) შესაფერისი, გამოსადეგი, ვარგისი: „გაღავარჩევთ ძროხებისთვინ დარაჰმას, ღამაზებსაც წავიდებდით“(ჩაქ).

დარდიმჯი (თ. yarıdımji) მოადგილე: „ისტამბულ მუფტის მერე ვარ, დარდიმჯი“(მანხ).

დარი აქ საყვარელი, მეგობარი: „ჩემი დარი დევნახე/გუშინდელ გერმელ ძილში“.

დასალი (თ. yasak) აკრძალული: „დათვი დასალია, მოჰკლავ, არ'ნა შიგიტყვან'ნა“(ჩაქ).

დასინი (თ. yasin) „ყურანის“ 36-ე სურის სახელი.

დასლული (თ. yatsilik) მარხვაში [რამაზანში] ღამით [გამთენისას] ჭამა: „გათენებას ერთი-ორი საათი დუურჩება, დასლული'ნა ჭამო“(ჩაქ).

დაღმური (თ. yağmur) წვიმა: „დაღმური არი, წვიმა მოდის“(ბაზგ).

დაშინდა (თ. yaşında) წლის, ასაკის: „აღთმიშ დაშინდა ვარ“(ბაზგ).

დაშლი (თ. yaşlı) ასაკოვანი, ხნიერი: „ჩვენ იმდენი არ ვიცით, დაშლი ვინცხევიდან'ნა მოკრიფოთ“(ა). ნ. ჰაშლი.

დახა (თ. yaki) 1. საყელო: „დახას ამოვჭრიდით, ტახტას ერთმანებ დავარიგებდით... გაკეთდებოდა”(ჩიხ.); 2. პლასტიკი, არტაშანი, თაბაშირი: „... წელი ქომოთ დიმიელვა და ჩავარდი, დახი დამაკრა, დამეში ვერ გადავბრუნებულვარ...”(უ).

ეგანი/ეგენი (თ. egen) 1. ძმისშვილი ან დისშვილი; 2. ნათესავის შვილი: „ეგანი ორთავეა – დისშვილი, ძმისშვილი”(უ); ეგანი ფენა მიყვარდა, ესა ჩემია წურილობაში” (შავშ).

ეთიმი (თ. yetim) ობოლი: „სამი წლისა დამჩალი ვარ ეთიმი”(ბაზგ.).

ეთიმიშუჩ სამოცდაცამეტი: „ეთიმიშუჩ წლისა ხოჯა იყო, ბაღნებ აკითხვებდა...”(მან.).

ელი (თ. yel) ქარი, რევემატული ტკივილი.

ემეკე/ემელი/ემექ (თ.yemek) კერძი, საჭმელი, სადილი: „ემეკებ აკეთებენ... ემექებში გუურევენ”(ბაზგ.).

ენგა (თ. yenge) ძმის ცოლი, ბიძის ცოლი: „ენგას ამბობენ. გურჯიჯა ვერ მოგვიფერებია ქი”(ხოს.).

ერლი (თ. yerli) ადგილობრივი: „ერლი ვარ, ნენი, ერლი, აგზე ჩაირში მივალ,... ჩაირი’ნა ვჭრა”(სვირ.).

ეშილი (თ. yeşil) მწვანე: „ეშილ ჩაისაც ვხმარობ”(მანხ.).

ონჯა (თ. yonca) ბოტ. სამყურა ბალახი: „ონჯა ჩაირია, მოთიბავ”(კოკ.).

ორჩი, ოლჩი (თ. yolcu) მგზავრი: „ორჩი მყავდა, ადრე ავდექი”(უ).

ორდამელა (თ. yordam) გაიძვერა, მოხერხებული: „ორდამელა თხა ყავანო, /ნეფე თოფალი ყავანო”(ბაზგ.).

ოხ (თ. yok) არა: „ოხ, მღერა არ ვიცი”.

ოხა/იუხა (თ. yufka) ცომის ფენა გაბრტყელებული: „ოხას გეყვანო; ასე გააღებ იუხას”(უსტ.).

ოხსა თუ: „ენა მოგჭრა, ოხსა თავიო”(მანხ.).

იუზი (თ. yüz) ასი: „გეძარო’და ციხი იქით იუზ მეტრო...”(ჩაქვ.).

იუზბაში (თ. yuzbaşı) ასისთავი.

იუზუგი (თ. yüzük(ğü)) ბეჭელი: „ეს ალთუნ ქუფეა, ალთუნ იუზუგ”.

იუქი ტვირთი(?): „შვიდი ვირი გავზარდე/ჩემი იუქი არ მემეხსნაო”(ანდ.); „... გუზელებიც დევნახე, იუქები ჩამოვყარე”.

ო

ოდა (თ. oda) ოთახი: „სიმიინდ ოდებში ვინახავთ”(ზ.).

ოთუზ (თ. otuz) ოცდაათი.

ოთელი (თ. otell) სასტუმრო.

ომრი (თ. ömür(mrü)) სიცოცხლე, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა: „გათავდა დუნიაში ომრი დირსანუმ”(მან.).

ორთა (თ. orta) საშუალო სკოლა: „ორთაც იკითხა, ლიცეც იკითხა”(ბაზგ.).

ორთაბათუმურა ხორუმის სახეობა. ცნობილია ხორუმის რამდენიმე სახე: ხიხადირული, მაჭახლური, დელი ხორუმი... მათ შორის იყო ორთაბათუმური. დღეისათვის ორთაბათუმურას ორთაბათუმში აღარ ცეკვავენ, შეუნახავთ იგი შავშეთში: „ორთაბათუმურას ვეტყვით საცეკვაო მუზიკას, დიგიკრათ’ნა, გაცეკვოთ’ნა”(ზ.)

ორთად-ი/ორთაქი (თ. ortaği) პარტნიორი, მონაწილე: „ორთადი კაცთან დეიდგომება?” (ბაზგ.).

ორითმენი/ორეთმენი (თ. öğretmen) მასწავლებელი: „ბათუმიდან იყვენ, ერთი ორითმენი ეს-ლენ” (ბაზგ.).

ოროსპი (თ. orospu) მეძავი: „ის [დედამთილი] მეტყოდა ოროსპო”(ჩაქ.).

ოსმანლი ოსმალეთი: „იქამდე თელი ოსმანლისა იყო”(უ).

ოქუზი (თ. öküz) ჯარი//ხარი: „ჯარს ოქუზს ვეტყვით” (უსტ.).

ოქული (თ. okul) სკოლა: „[უმცროსმა შვილმა] იქ ოქული იკითხა, ლისეც იკითხა” (ბაზგ.).

ოღლუ/ოღულ ვაჟი, ძე, შვილი: „ღარტები ყოლია იმ კაც და აქიდან წასული ბაჭლები მუუცემიან, ოღლუები”(მანხ.).

ოღლუშადი (თ. oğul uşak) ცოლ-შვილი.

ოჯახი/ოჯადი (თ. ocak) ბუხარი: „იმა ოჯახი აქ, ძველებური ბუხარი”(უ.).

პ

პარმაღი (თ. parmak) თითი: „პარმაღი” თურქნაა, „თითი” გურჯიჯა”(მანხ.).

პატრობით პატარაობიდანვე, ბავშვობაში.

პაწა უმცროსი: „ეს დაბერებულია, ჰამა ჩემზე პაწაა”(ბაზგ.).

პირის ახდა: „ქორწილის შემადგენელი რიტუალი, რომელსაც ტრადიციულად მამათილი ასრულებს. „ქალები შეფყვანებენ ოდაში დოდოფალ, მამამთილი პირ ახდის ... მამამთილ დანა აქ, პირის ახდისას დოდოფალ კითხავს: თავი მოგტრა თუ ენაო...ბევრი ლაპარაკი არ იცოდეს ქი” (შავშ.).

პრავტი გოგონა, ქალიშვილი: „...ეს ჩემი დის პრავტი” (ივ.).

პროტოკოლი (protokol(lü)) დიპლომატიური ოქმი.

რ

რა როგორ: „რა ლამაზათ ყარს”(უ.).

რაგაა/რაგარ როგორ: „რაგაა ხარ? იქიდან რომ მოსულხარ, კარგა ხარ”(შავშ.).

რაზი (არ. razi) თანახმა, კმაყოფილი.

რანდევი (ფრ. rendez vous) შეხვედრა, პაემანი: „რანდევი აღარ აგვიღია და ჩავალ მაშინ...” (ხევ.).

რანკა რამკა, ჩარჩო: „ხველათ სკიებ დააკეთებდენ, ამათ რანკებს უძახიან...” (უსტ.).

რასოდ როგორი? როგორ? „ჩვენთან რასოდ გინდა ჩეიცვი”(ზაქ)..

რახი (თ. raki) ერთგვარი არაყი: „ჩვენში რახ ბევრ დავლევეთ”(ბაზგ.).

რახუნი აქ რახა-რუხი, უაზრო ლაპარაკი: „არაფერი არ ვიცი და ვურახუნებ”(ბაზგ.).

რაჰათი (არ. rahat) მოსვენება, სიმშვიდე, მყუდროება: „რაჰათათ იყავ” (ხევ.).

რე რა: „რე იქნა მანქანა?” (ხევწ.).

რემეზანი/რამაზანი (არ. ramazan), მთვარის წელიწადის მეცხრე თვე, როცა მუსლიმანები მარხულობენ (შ. ფუტკ.).

რემეზანის/რამაზანის დაჭირვა მარხულობა: „ავათ ვიყავ, ვერ დევჭირე რემეზანი” (ბაზგ.).

რენგი (თ. renk(ge)) ფერი: „მეშველა დეშიღია, ე, შენ გაცვია, მაგ რენგისაა”(ჩაქ).

რენგ-რენგ ფერად-ფერადად: „თისარტყელას ვიტყვით, რენგ-რენგ დაჰა დეყუღება”(ჩაქ).

რეჩელი (თ. recel) მურაბა: „ამა რეჩელ ვეტყვით”. ნ. ლეჩელი.

(რ)კო მუხა: „ცხემლა არი, უხრაღი არი, კოც არი”(უ.).

როღი როღის: „ბაბოდ აქ არი? როღი მოვა?”(ბაზგ.).

რუსია/რუსიე (rusya) რუსეთი.

რუსიეში გედეარე წყევლაა, მოუსავლეთში წადიო: „ჩატეხილში ნუ ახვალ/რუსიეში გედეარ...?”

რუსჯა (თ. Rusça)1. რუსული ენა: „ჩვენ პრეზიდენტმა რუსჯა აქნა ასწავლოს'ნა”(მანხ.); 2. „რუსჯა გადაგარონია” (წყველა) (მანხ.).

რცხა გარეცხვა: „ჭურჭელი დაერცხა”(ნიოლ.); „ვარია გაერცხა'ნა, დოდურთი'ნა ჩავანსა...” (უსტ.).

ს

სა სად: „სა მიხვალო? – ბაბომ”(შავშ.).

სააბი (თ. sahip) პატრონი, მფლობელი: „რაზე არ ესააბებითო”(უსტ.).

სააბობა (თ. sahiplik) პატრონობა.

საანი/სადანი/საჰანი (თ. sahan) თეფში: „საანი გექნება”(ბაზგ.).

საბელი ბაწარი, თოკი: „საბელ შამააღლებენ”(წეთ.).

საბრი (თ. sabir(bri)) მოთმინება: „ბევრი საბრი არ მიქნია”(შავშ).

საბრი ყაბი (არ. sabir kap(bi)) მოთმინების ფიალა, ჭურჭელი: „იშტა ძალი იყოს, იშტა დედამთილი, საბრი ყაბი ეფსობა, გადმოდინდება”(ხევწ.).

სავლელა სასეირნოდ, მოსავლელად, მოსანახულებლად: „ანა იტყოდა სავლელა ვეკდოდიო”

სათლელი ფული: „ზათი იქ ვიღებთ ფარას, სათლელ. სათლელი ფარას ქვია...”(ჩაქ).

სათიფრი ნ. სათიბი.

საკაჯე საკაქე (მიკროტოპონიმი მანატბაში).

საკუპრია დაილა იმერხევში.

სალონი (თ. salon) სასტუმრო, მისაღები ოთახი, დარბაზი: „ამა სალონ ვუძახიო”(მან.).

სამა ცეკვა: „ყველა (=ყველანაირ) სამას ვისამებო” (წეთ).

სამიელი (თ. samyeli) ცხელი ქარი: „სამიელი ხრავს, ემეს იჯება, ახმოფს... (ბოსტ-ნეულს)”(უსტ.).

სამშობლო გათხოვილი ქალის მამისეული მხარე: „ჰო, სამშობლოს, სამშობლოს მივალო, იტყვიან”(ჩაქ).

სანათური აქ სარკმელი: „სანათური, ემედ თუ გაკეთებული გაქ, სანათურ ვეტყვიო” (ნიოლ.).

სანარწყალი „ბოსლის შუა ადგილას სივრძივ გაღარული ნაწილი, რაზედაც ნებს მიაცურებენ”(შ. ნიუ): „სანარწყალიდან მიდის სანეხვეზე”(ნიოლ.).

სანდალიე (თ. sandalye) დიდი სკამი, ძელსკამი: „დიდ სკამს სანდალიეს ვეტყვიო”(ბაზგ.).

სანეხვე ნეხვის გადასაყრელი ადგილი: „სანარწყლიდან გადის სანეხვეზე”(ნიოლ.).

სანქი (თ. sanki) თითქოს: „სანქი კად არი” (ბაზგ.).

სარეკველა სარეკელა: „წისქვილ პური დავაყარე/სარეკველა უხდებოდა”(მანხ.).

სარმა (თ. sarma) ტომბა: „სარმას ვაკეთებო, ლახანაში გავახვეო...”(ბაზგ.).

სარჩა (თ. salca) ტომბატი: „ხახე ჩუურეეთ, სარჩას ჩუურეეთ”(უსტ.).

სასამურა საცეკვაო, ცეკვა: „სასამურადა ორთაბათუმი, დუუკრა'და, თქვენ ისამოთ'ნა” (ზ.).

სასვენნი//სასვენებელი განსასვენებელი, საფლავი, აკლამა: „თამარას სასვენზე ქვა იყო, მეც დვენახე”(ბაზგ.); „იქ ეწერა: თამარ დედოფლის სასვენებელი”(ბაზგ.)

სასიარულო სასეირნოდ: „ჩვენ'ნა წევდეთ, სასიარულოთ ვართ ამოსული”. ნ. სავლელა.

საუზმარი საუზმე: „საუზმარი დილაზე, ზარმელი, სადილი, ვახშამი”(უსტ.).

საფა/სეფა (თ. safa) ცხოვრებით დატკობა: „ენა ვერ იტყვის ჯენნეთის საფას”(მან.).

საფანელი წვნიანი საჭმლის შესქელების მიზნით გამოყენებული ფქვილი (შ.ფუტკ): „... ცარიელი თუ გააკეთე ფხალი, მაშინ საფანელ ამოვჭკრავო”(ხოს.).

საფინავი ადგილის სახელი ხევწრულში: „იქ ზაღლის საფინავია. პური გადავარდა, ზაღლი გადაყვა, იმიტომ ქვია ასე”(ხევწ.).

საქმე სამსახური, სამუშაო: „ძალი საქმეზე მივა”(ბაზგ.).

საქმობა საქმიანობა: „ასე ხელში დაჭერული რა'ნა ისაქმო”(ბაზგ.); „რას საქმობო?” (მანხ.).

საღანი ნ. საანი: „ეს თასია, ეს საღანი”.

საღი (თ. sağ) ჯანმრთელი: „ემჯამი ჯანი საღი იყოს”.

საღლამი (თ. sağlam) ჯანმრთელი: „ერთი თანე კდარი დეიბადო, რაცხა საღლამი არ იყოლ” (ბაზგ.).

საღლუდი (თ. sağlık(ği)) ჯანმრთელი: „საღლუდი არ არიან, ავატყოფი არიან” (ბაზგ.).

საჩმა (თ. saçma) საფანტი.

საცქვეტავი რაც აცქვიტებს, სიჩქარის კოლოფი? „ერთს არაბა ყავდა, საცქვეტავი შემეშა-ლაო”(მან.).

საწეთური საწვეთური.

საწიკი საზიდავი: „აღმა საწიკი არ აქ, დაღმა საწიკი არ აქ”(წეთ).

საჭათი საათი: „საჭათი შევბი კლაგზე/აველ საზგირელაზე...”(ბაზგ.).

საჰანი (თ. sahan) ნ. საანი, საღანი.

სები (არ. sabi) მცირეწლოვანი, უმანკო: „მეიყრებიან მეზარში კდარი შვილები/ თუ გყავს იმ დუნდას სები ბაღნები...”(მან).

სედეყე (არ. sadaka) მოწყალება.

სეირობა (თ. seyir(yri)) ყურება: „ჩვენ ვსეირობთ იქა, ტელევიზიონში” (უსტ.); „ზოგსა ვსეირობთ, ზოგსა ვერ მივმხდარვართ” (ჩაქ).

სელავათი (თ. selavat) ღოცვა.

სელვი (თ. selvi) კვიპაროსი: „მაღალი არიან სელვი ფიდანზე”(მან).

სელამით (თ. selam, selamet) მშვიდობანად, ბედნიერად: „სელამით აი, სელამით ჩამოი”(უსტ.); „ღმერთმა სელამეთით მიგასხნა” (ღოცვა).

სენე (თ. sene) წელი, წელიწადი: „ონ სენე იყო მუხტარი”(ჩაქ).

სემერი (თ. semer) უნაგირი: „[აცი ამბობს] იცინე, იცინე, თუ გიგიტეხნია სემერი, დაგაგლეჯ კბილებო” (ბაზგ).

სერბესი (სპ. serbes) თავისუფალი, დამოუკიდებელი (შ. ფუტკ), აქ: დაშვებული, ნებადართულული: „ღორი სერბესია” (ჩაქ).

სერთი (თ. serti) „ჭაჭა ზათინ მეტი სერთია”(ბაზგ).

სეფა/საფა (არ. safa) განცხრომა, შვება, ქეიფი, დროსტარება (შ. ნიჟ. შ. ფუტკ. საფა): „[ჯენნეთში] ტკბილათ ცხოვრება და სეფა არი...”(მან).

სეფილი (თ. sefil) მორიდებული, მოკრძალებული, წყნარი: „ერთი თანე სეფილი გამოდგა” (სგ).

სექურიანტი დაცვის თანამშრომელი: „სექურიანტია ფაბრიკაში”(ბაზგ).

სვალი (არ. sual) შეკითხვა, დაკითხვა: „რათ გინდა დუნდაში დიდი ქონება/ დიდი ქონების სვალი დიდია...”(მან).

სიარული სეირნობა: „სიარულზე ამოსული ვართ”(ბაზგ). ნ. სავლელად, სასიარულთ.

სიკვდილი განარჩევენ რამდენიმე სახეს: 1. მოკდა ზოგადად გარდაიცვალა; 2. მოიყლარჭა დაიხრჩო; 3. გაცდა გაბოროტებით იტყვიან ვინმეს გარდაცვალებაზე; 4. ყეზა/ყაზა ქნილა ავარია მომხდარა, უბედური შემთხვევით მომკვდარა.

სილაპი (არ. silah) იარაღი, საჭურველი: „... გაფხეთქე ქვა და კლდეში შიგა სილაპი ამოვდე”(ჩაქ).

სინი (თ. sini) ღანგარი: „ეს სინია, ეს ღანგარი”.

სინწარე სიმწარე: „ღმერთმა არა სინწარე არ დაგანახვოს” (დალოცვა).

სირა (თ. sira) რიგი, ჯერი: „წელის სირა მაქ. ერთი მოსულიყო ერთი სირა და”(უ).

სირათ თანმიმდევრობით, მიყოლებით: „ბითავი სირათ არ ვიცი”(დ)..

სიცციელი ციციელი, ცისიელი, მესი.

სიცოცხლე აქ ცხოვრება: „მე წევდე, ამათ სიცოცხლე ვერ’ნა გაარიგონ. სიცოცხლე ასე არი” (ბაზგ).

სიხი (არ. sik) ხშირი: „სიმინდი სიხია, თხელი’ნა იყვეს, ჰო”(ხევეწ); „მაშინ სიხი იყო და გვიჭირვედენ”(ზ).

სიხიში (თ. sıkışık) დახურული(?): „სიხიში იყო, გორბაჩოვმა გასხნა”(მან).

სმა აქ მოწვევა სიგარეტის: „ჩემი კაცი სვამს, მეც ვსვამ, ვერ გიმიგდია [სიგარეტზე ამბობს]”(უსტ).

სობა (თ. soba) ღუმელი: „ფაფანა რაღას ზიხარ/თბილ ოდაში, სობი ძირში”(შავშ).

სოფ (თ. soy) ჯიში, გვარი, სახეობა.

სხვა სოფ: „თქვენი ღაპარიკი სხვა სოფ არი” (უ).

სოფადი (თ. soyad) გვარი, ჯიში: „უბეში ბეგერი სოფადი არი...”(უ); „ძველი სოფადი არ ვიცი, ახალი დემირი ვარ”(სგ).

სოფლიერი სოფლელი: „სოფლიერმა გააკეთეს ად ჯამე”(ჩაქ); „სოფლიერმა კაცმა კითხა” (მანხ).

სოფლური აქ სოფლელი: „მე, ჩვენ აქ ამ სოფლური ვართ”(ზენ).

სოღრა (თ. sonra) შემდეგ, მერე: „შენ სოღრა გასწავლიო”(ბაზგ).

სოსრა მომსახურება: „ყველა სოსრაში ფარას აძლევ“ (ბაზგ.).

სუზმა (თ. süzme) გაწურული მაწონი: „გაწურავ დო იქნება, სუზმა იქნება“ (ჩაქ.).

სუთ-ი (süt) რძე.

სუთმაქინა (თ. sutmakine) რძის გამოსახდელი მანქანა, სეფერატორი: „იმათ სუთმაქინად არ აქვან“ (უ.).

სულალე (არ. süllale) შთამომავლობა, გვარი, მოდგმა: „იმისი სულალე იქნება“ (უსტ.).

სულ-ი სუნი: „ღორი ხორც ჭამენ? ის იჭმის? სული უდის“ (ზაქ.).

სულთან აშმელი ჯამე სტამბოლში.

სულის ეხიეთი სიკვდილის პროცესი, სულის მიცემა. ნ. ჯანს აძლევს: „ჯანს აძლევს, ვიტყვით, სულის ეხიეთშია“ (ბაზგ.).

სუნგალი გაჰკრა გაჩუმდა: „ზროხა წამეყვანაო რომ თქვით, სუნგალი გაჰკრა, გაჩუმდა“ (მან.).

სუნნეთ დუგუნი (თ. sünnet düğünü) წინადაცვეთის რიტუალის აღსანიშნავი წვეულება.

სუნნეთჯი (თ. sünnetçi) ვინც ასუნათებს, ვინც სუნნეთს (წინადაცვეთას) აკეთებს: „ახლა დოხტორთან მიხყავან, ამა სოფელში არიან სუნნეთჯები“ (წეთ.).

სურა (არ. süre) ყურანის თავი: „ყურანის სურები ეზბერად ვიცი“.

სურეთი აქ სახე: „ჰეზრეთი ყურანით მეზარში მოვა/ლამაზ ენგილოს სურეთში შევა“ (მან.).

სურმელ-ი ძროხის სახელი: „ჩამოყარე, ნენოჯან/ ჩამოყარე სურმელოჯან“.

სუჩლი (თ. suçlu) დამნაშავე: „მაშინ ესა სუჩლი იქნებოდა“ (ჩაქ.).

სუფხანელა (არ. suphanallah) „ღმერთო, ცოდვისაგან მიხსენი“ (შდრ. შ. ფუტკ.).

სუჯი ვინც სარწყავ წყალს მეთვალყურეობს: „ერთ კაც ვიჭირავთ, ფარას ვაძლევთ... იმა სუჯი ქვია“ (უსტ.).

სხვირათი იგულისხმება სხვირათის ხიდი, საშიში ხიდი საიქიოში: „[ბავშვები]... ქარსავენ გეირბენენ იმ წმინდა სხვირათს“ (მან.).

სხმა ჩაყვანა, წაყვანა ბევრისა, ჩარეკვა საქონლის: „... ჩიხორის თავ ჩავასხი საქონელი“ (უსტ.).

ტ

ტათლი (თ. tatlı) ტკბილი, ტკბილეულობა: „ტათლის გააკეთებენ“.

ტალუდი თევზი: „ამ შოშედს დელეებში ჩახვალ და დეფტირავ, ჰამა აღარ არი ტალუდი. ტალუდი თევზია, სხვა სახელი არ აქ“ (ხოხ.).

ტანა (თ. danat) ხბო: „ტანას თურქები უძახიან, ჩვენ ხბუებ ვეტყვით-და, ხბუებ“ (ჩაქ.).

ტანტრაბა/ტანტრაფა დერეფანი: „ამას კარ-მიდამოს ეტყვიან, შესასლელი – ტანტრაბა“ (ნიოლ.).

ტაპიკი ტაბიკი.

ტადა (თ. dayı) ბიძა, დედის ძმა.

ტაში (თ. taş) ქვა: „ტაშ აგორებდა“ (ჩაქ.).

ტახტა იხ. თახტა.

ტელეფონის დაწკრილება თელეფონის დარეკვა.

ტეფთა წეფთა, იგულისხმება წეფთას ციხე: „ტეფთა ძველი სახელია. იქ ვიყავით ბევრი, იქავრობა ჩვენ დავანგრიეთ“ (ხოხ.).

ტვარი (სპ. duvar) ქვის კედელი, ყორე, სახლის საძირკველი (შ. ფუტკ.): „ეს ქვები მეზობელ-მა მოყარა, ტვარი'ნა ააშენოს“ (უ.).

ტიბეთი ტბეთი: „ერთი ქილისა ... ტიბეთში იყო“ (მან.).

ტიტვირი ბაგე, ტუჩი: „სხვამ თაფლი ჭამოს და შენ ტიტვირები ილოკო“ (უსტ.).

ტლაპო თხელი ტალახი (ქეგლ).

ტომათესი ნ. თომათესი.

ტოტვი ტოტი. აქ წინა კიდური: „ორი ტოტვი აღმა აწია დათვმა“ (მან.).

ტოლი სიმინდის ტარო: „კოტორიც ქვია, კოტორი“ „ტოლი“ ერთია“ (ჩაქ.).

უ

უართ ვუართ, ვუვლით: „ჩომა გვეავს, ხარები გვეავს, უართ”(ბაზგ.).

უგოვლეელი უგუვლეელი, გაუვლეელი, „ავატყოფი რომ ვერ დადის”: „... ჰასტალუდი რომ იქნებიან ადნი, უგოვლეელი ჰასტალუდი, იმა ისე აჭმევენ”(ჩაქ.).

უზური (თ. uzul) ნათქვამი, ნანდომი, ნასურვილევი: „ღმერთის გამჩენელის უზურზე მოვალთ”(მან.).

უიანული (თ. uyamk) საზრიანი, მკვირცხელი, მოუსვენარი, გამედული: „ერთი თანე მეგემ სეფილი გამოდგა, მეორე უიანული...”(სვირ.).

უკან 1. წინ: დაწოლა უკან წავალთ ოდებში” (მან.); 2. შემდეგ: „... „უკან” ჰერაღდა მოიდეს, იგია „უკან”: „ორ დღეს უკანა წვედუ, ზეგა წვედუ”(მანხ.).

უკანად შემდეგი, მომდევნო: „ჩემი დიდი შეილი არი, იმის უკანად ბაკალა არი, გოგო” (ბაზგ.); „ადარ მახსოვს, უკანად დამავიწყდა”.

ურაშდა ღმერთმა მაშოროს: „მე არავისი ჰარამი არ მინდა ურაშდა, ურაშდა, დარები შუქურ”(უ.).

ურდული კარის საკეტი კეტი (ხის, რკინის): „ურდული მიკრულია”(ნიოლ.).

ურუბა (თ. urba) ტანსაცმელი: „ურუბა შეწყობილია მათ ლამაზ ტანზე”(მან.).

უსაქმური უმუშევარი: „საქმე არ აქ კაც, უსაქმურია”(წეთ.).

უსულად (თ. usul, usul-usul) ჩუმაღ, ჩუმ-ჩუმაღ: „მაშინ ადეთი ასე იყო, უსულად ლაპარიკობდენ”.

უქუმათი ნ. უქუმეთი: „უქუმათი არ გვეშველებს”(ნიოლ.).

უქუმეთი ჰუქუმეთი/ჰუქუმათი (თ. hükümet) ხელისუფლება, მთავრობა: „ქართველებს უქუმეთი არ ქონდენ”(დ.).

უყურეგდებულებს ყურადღებას აქცევს: „...იმაზე მიცემული მაქ კლიტე და უყურეგდებულებს... ჰო, უყურეგდებულებს”(ბაზგ.).

უშხანა (<ყუშხანა) (თ. kuşhane) ქვაბი: „ამას დახრეს, უშხანაში ჩახყრი”(ჩაქ.).

უჩალი (თ. ucak) თვითმფრინავი: „ერთ დღეს გავაგზანეთ, უჩალით წვედა”(მანხ.).

უხედ-ი ადგილის სახელია იმერხევში: „სამი თანე გზა არი, ერთი წეთილეთ ჩადის, ერთი უხედ თერეფში” (ჩიხ.).

უხლაგა ცომის ფენის გასაბრტყელებელი ჯოხი: „ამას ჩვენ გავაღებთ უხლაგით”.

ფ

ფაზანი ჭურჭელი: „ზეს მაქინაში გავწურავთ, შუუდგამთ ფაზან, ფაზანი ეივსობა”(ჩაქ.).

ფაზარი (თ. pazar) 1. კვირა; 2. ბაზარი: „ფაზარი იყო, ისტამბულ ფაზარი” (ხოს.).

ფათათესი (თ. patates) კარტოფილი.

ფათიკი (თ. patik) ფაჩუჩი: „ფეხებისთინ ფათიკი ვქსოვთ, „ფათიკ” ვეტყვით ჩვენ” (მანხ.).

ფათუნად/ფათფათად ბატბუტი: „ფათუნად, ჩვენ ფათუნას ვუძახით, ფათფათად (ჩაქ.). შდრ. ზ.აჭ. ფათფუთად (შ. ნიჟ.).

ფალაზად (თ. palas ნაცვეთი, ნაგლეჯი ტანსაცმელი, ძველმანი, ძონძი შ. ნიჟ.) ის ვისაც ფალაზები აცვია: „შარშან იშტე ფალაზად იყო”(ჩაქ.).

ფალაზი მეტსახელი ერთი ზიოსური გვარისა: „შეშასავეთ დადიან ფალაზები” (ზ.).

ფამფარა მთის ბალახია ერთგვარი.

ფანთოლი (თ. pantolon) შარვალი.

ფარფარა ყურის ბიბილო: „მაგას „ქუფელას” ვეტყვით, ზათი თურქა „ქუფელა” არი, „ფარფალასაც” ვეტყვით”(ჩაქ.).

ფასაფორთი/ფაშაფორთი (თ. pasaport) პასპორტი.

ფასტა (თ. pasta) ნამცხვარი.

ფაფართის ხეობა იმერხევის ხეობა.

ფაქეთი (თ. paket) პაკეტი.

ფაჩავრა (თ. paçavra) ჩვარი: „რე იქნა ფაჩავრა?”(ზაქ.).

ფაცხა წნული სახლი (საბა): „ერთი ფაცხა სახლი აქ”(ბაზგ.).
ფაჭვა თოხნა, ფხეკა: „მე ყანა'ნა მეფაჭა/სახწინედან ყანაში”.
ფახილი (თ. pahil) გულქვა, ხარბი, შურიანი: „ახლა ქი ბაბოს უძახიან, მე ფახილი ვარ, მეც მყოლოდა ბაბოდ”(მანხ.).
ფახილობა შურიანობა: „მოაგონდებოდა, ფახილობა იყო”(წეთ.).
ფახირი (თ. bakır) სპილენძი. ნ. ბახირი.
ფეგ-ი (თ. pek) ნასახლარი.
ფეიღამბერი წინასწარმეტყველი, აქ მუჰამედი: „კითხვა და ლოცვა მოგვცა მან/გვასწავლა თელი ჩვენ ფეიღამბერმან...”(მან).
ფელჯი (არ. felç(ci)) დამღირებული: „დედამთილი ფელჯი გახდა, ... ჭკეპაში არ იყო და... (ბაზგ.).
ფენა, ფენათ (თ. pena) ძალიან, ბევრი: „მარტოდ დაწი ფენა”(უსტ.); „ო, ფენათ არიან [ლორები]”.
ფენჯერი (თ. pencere) ფანჯარა.
ფერი (სპ. peri) კეთილი სული, ფერია: „ფერი და ჯინი ადნი არიან. კად იქნება ფერია, გონჯი – ჯინი”(წეთ.).
ფერება მოხერხება, შეძლება, შესაბამისობა: „გურჯიჯა ყოლაჲ აფერებ-ჰო?” (ა.); „ჩვენი გურჯიჯა დახ არ ფერდება”(ა.).
ფერვანი (თ. pervane) ხრახნი: „ღუზგარი აქ იმას, ფერვანები აქ იმა”(ბაზგ.).
ფესვანდი ფესვები(?): „... გავატად ქარ და ნივსა/შენი ფესვანდია/ცხრა კოჭამდინ გასულია”(სვირ.).
ფესტილი (თ. pestil) ხილფაფა: „ჭახე ფესტილ გავაკეთებთ ტყიმალიდან”(დაბწ.).
ფესდაფეს ფესით, ქვეითად: „იქიდან ქი მიდიოდენ ბათუმში ფესდაფეს”(შავშ.).
ფეხის დაგლა ფეხის დაჟეჟა, „ფეხის ... ადგილობრივი გასქელება, დაკორჟება, დაკორძება”(შ. ნიჟ.): „დამგალა ფეხიო, იტყვიან”(მანხ.).
ფეხის დაშპენა ფეხის დაცურება: „თუ დიგიშპა ფეხი, მაშინ დედნახავ”(ბაზგ.).
ფეხსაბრუნებლად, იგივეა რაც ფეხნაქცევაჲ: გათხოვილი ქალის მშობლების ოჯახში მისვლა ქორწინებიდან ორმოცი დღის შემდეგ: „ფეხსაბრუნებლად მივიდოდა”(ჩაქ.); „ყველა წელიწად ფეხსაბრუნებლად მივიდოდა ბაბოს სახში, ჰამა ის ადგა ახლა”(ჩაქ.).
ფიღანი (თ. fidan) ნერგი.
ფიდე პურის კვერი: „კაკალ ფიდეს მოვაყრიოთ”.
ფინთი (თ. pinti) ცუდი: „ფინთი გზაა”(კოკ.).
ფინთათ ცუდად: „ფინთათაა რაცხა და არ ამბოფს ნენედ”(მანხ.).
ფინთიშე გველი. იხ. ბობოლი: „ფინთიშესაც ვეტყვით, ჰამა მისი სახელი ბობოლია, გქელი ემე არია?”(ჩაქ.).
ფისათ მწარედ: „ბზიკი ფენა ფისათ გიკბენს”(ხოხ.).
ფიქალი: „ფიქალი დაბურული იყო”(უსტ.).
ფიშმანი (თ. pişman) ფიქრი.
ფიწალი თივის ასაღები ოთხთითა: „ფიწალს შიშიდამ ვაკეთებდით”(უ).
ფიხი ღუმელის ზედა ნაწილი. იმერხეველი ქართველების მეტსახელი, მეთურქულე შავშელისაგან შერქმეული: „ფიხიო, გვეტყვიან ისინი. იხი სობადს თავია...”(ნიოლ.).
ფიჯი (თ. piç გადაჯიშებული მცენარე: „სხლისა ფიჯი იქნება, ვაშლიც არი ფიჯი”(ჩაქ.).
ფოდრა (თ. podra, pudra) პუდრი: „ზოგი ახლა დოხტრებთან ემე აყრიან... ფოდრას აყრიან”(ბაზგ.).
ფოთელი ფოთოლი: „ფოთელ იმა ვეტყვით, დიდვან ფურცელ მედსხამს, ფოთელ იმას ვეტყვით”(ნიოლ.).
ფომფა (თ. pompa) ტუმბო: „დერმან გავათხელებო, ფომფაში ჩავასხამო”(ჩაქ.).

ფომფვა//ფუმფვა ფომფით (ტუმბოთი) ნარგავების შეწამვლა: „მეიკიდავ ფომფას, იმა აქნევ, ასე ვფომფავთ“; „ასე ვფომფავთ, ასე ემე იჯება, აშხაპებს ყართოფს ფურცლებზე“ (ჩაქ.); „ილაჯ იმას ვიჯებით, ვფუმფავთ და ვხოცავთ“ (ჩაქ).

ფოტოგრაფები აქ ფრესკები: „უწ თანე ფოტოგრაფები იყო (ტბეთის ქილისაში)“ (მან).

ფოშა 1. ბოშა, 2. მათხოვარი: „ძველათ [კალათს] ფოშები აკეთებდენ და ევლებდით“ (უ); „სხვაგანიდან მოსული რომ იკრეფენ, ჩვენ ფოშას ვეცყვით“ (დავ).

ფრუწუნი აქ ქარის წივილი, ქროლა: „[სახლები] წინ-წინ უთავნო [იყო], გვიფრუწუნებდა ქარი“ (უსტ).

ფურნე/ფურუნი (თ. firin) 1. თონე; 2. ღუმელი: „ფურნეში გამუაცხობთ“.

ფურჩათ (?): „ლაილონს დავაგებთ, ჩადირს, ფურჩათ“ (ბაზგ).

ფურცელი აქ ტოტი: „ფურცელ მოვსტეხავ, ვუბრაგუნებ“ (ჩაქ).

ფუში სტომაქი, კუჭი: „აქ ფუხრობაა, აქავრ კაც ფუში არ გუუძლება“ (ხევწ).

ფუშიანი ფეხძიმე: „ფეხძიმეზე ვიტყვით, ფუშიანიაო“ (იფხ).

ფუშტი ცუდი: „სკამი დვენგრა, ფუშტი სკამი გუუკეთებია“ (ბაზგ).

ფუხო ხბო: „ამას ფუხო არ უქნია“ (ხევწ).

ფუხარა (არ. fukara) უქონელი, ღარიბი, გაჭირვებული: „ბირქერე ფუხარადან გამოხველ, ფუხარა ფუხარაში ჩავარდები“ (ბაზგ).

ფუხრობა სიღარიბე, გაჭირვება: „ლამბიდან ფუხრობა აღარ არი, ახლა ჯერანებია“ (ბაზგ).

ფუხრული ღარიბული, ღარიბი: „ფუხრული იყვენ“ (ბაზგ).

ფშუნა-ა/ფშნილა-ა ყველის სახეობა: „[ციცით] ჭადი, გევრეგი, ფშუნაჲ, გამდნარი... ზამთარში ჭამე და იყავი“ (უ).

ფცქეინი ვირთხა: „ფცქეინი დიდი თაგვია“ (დას).

ფხალ-ღობილ შეჭამანდი. „ღობილს ჩაყრი, ფხალსაც მოხარშავ, დაჰკეპავ, ჩაჰყრი, ფხალ-ღობიაჲ იქნება. დაღი და ხახვი დაწვა'და ... ჩაყარო'და“ (ხოს). (იხ. შ. ფუტკ. ფხალ-ღობიაჲ, შ. ნიჟ. ფხალ[ლ]ღობია-ა).

ქ

ქალი ცოლი: „ღმერთმა კად ქალი მოგცეს“ (წეთ); „აგი ზმის ქალია“ (წეთ); „... ამის ქალიც ჩემი მულის ბაჰალა არის“ (ბაზგ).

ქალი-კაცი ცოლ-ქმარი: „ღმერთმა ქალი-კაცი ერთ ბალიშზე დაგაბერონ“ (ლოცვა).

ქართველიჯა ქართული.

ქართული აქ ქართველი: „ჩვენ სოფლური არიან, ბიჭიც ქართულია, გოგოც ქართულია“ (უსტ).

ქარი (სპ. kar) სარგებელი, შემოსავალი: „ემერთმეგნია თელი, მე ქარში ვიყავ...“ (ხევწ).

ქაფირი ურჯულო, ურწმუნო, გაიური (იხ. შ. ნიჟ).

ქელი (სპ. kell) მელოტი, ქანალი: „თმა რომ არ ექნება – ქელია“ (უსტ).

ქემალათ (არ. kemal) სრულად, მთლიანად: „ეს ვაიზი აგზე დეილია თელათ/ათავდა აგზე ყველაჲ ქემალათ“ (მან).

ქემენჩა საკრავი ინსტრუმენტი, ქამანჩა: „იგი დავლით იჯება, ლაზი – ქემენჩით“ (ჩაქ).

ქემერი (სპ. kemer) ქამარი, თალი: დაბლა ჳიღია, ქემერიანი ჳიღი“ (უ).

ქეა მამასახლისი, დამცველი, ვექილი: „ქალებმა კაცებ ქეა გუუხდა...“ (მან).

ქენერი (თ. kener) ნაპირი, განაპირა: „იგზე იყვენ, ყანის ქენერზე“ (უსტ).

ქერიმი (არ. kerim) კეთილშობილი, მოწყალე: „ჩვენ ყურანი ქერიმში კად არ არი“ (ჩაქ).

ქესკერე ვერდუმ ონა (?): „... აქ ბაბოს სახში ვარ, აღარ ვარ იმთთან, ქესკერე ვერდუმ ონა“ (ბაზგ).

ქვაკიბე დაილა იმერხევში.

ქვეშეთი ქვემო: „ქვეშეთ მივალ“ (მანხ).

ქი (თ. ki) კავშირი რომ.

ქითაბი (არ. kitap წიგნი: „ხანდახან ქითბებს ემე იჯება, კითხულობს...“ (ბაზგ); „ზველ ქითბებ არ შეინახდენ“ (ხევწ).

ქილიმი (თ. kilim) ფარდაგი: „და ჯეჯიმი გექნება, და ქილიმი“(ჩაქ).

ქილისა//ქილისე (თ. kilise) ეკლესია: „ძველათ ყოფილა ქილისა. თუთხმეტი სოფლის ქილისა ყოფილა“(ა).

ქიმი (თ. kimi) ზოგი: „ე ჩვენ ქიმი ოქულში თურქა დეიწავლიან“(უსტ).

ქირეზა (თ. kiraz/kirez) ივნისი: „ქირეზა მიღვენიხან ამოვალთ“(უსტ)..

ქირვა (თ. kirve) ნათლია: „ერთი წლის უკან ქირვას დააყენებდენ. ქირვად დასუნათების საქმეს აკეთებდა“(წეთ).

ქოილუქ (?): „ჩვენ ჩაირში ახლა ვართ და ქოილუქდა ვჭამოთ“(ჩაქ).

ქოლა//ქოლე (თ. köle) მოსამსახურე, მონა, მოჯამაგირე: „იმათი ქოლა ვყოფილიყავ? რა ზორი მაქ ვექოლაფო?“ (ბაზგ).

ქოლობა მოჯამაგირეობა, მონება: „რათ'ნა ვექოლაფო, ვეხიზმეთქარო“(ბაზგ).

ქოლოდ ურქო პირუტყვი, შდრ. აჭარული დოლა: „ერთი ქოლოდ თხა ჰყავან/ნეფეც თოფალი ხყავან“(ზენ).

ქომობანი ქვემო უბანი: „ეს არი ქომობანი, ზოგი დაფანტული არიან ქომოთ“(უსტ).

ქომოთები ქვემოთ, ქვევითა ადგილები.

ქორი 1. საბძელი: ქორებ ავაგსებთ თივით“(ბაზგ.); „ქორი აა, მერეგსაც ვეტყვით, საბძელსაც“(ჩაქ). 2. ბრმა (თ. kör): „ქორია, მარჯვენა თვალი ჩახუჭული აქ“(ბაზგ).

ქორული//ქორუგი (თ. körük) საბერგელი: „ქორულ ამბობს! ქორუგით დაგფუთავთ, მივაფუფეთ ასე...“(ბაზგ).

ქოფრი (თ. köprü) ხიდი: „შენ ეს ქოფრი გააკეთე, მე ეს ყალენა გავაკეთოვ“(დას).

ქოშა//ქოშე (თ. köşe) კუთხე: „[მოჭრილ ჭიპს] ჯამის ქოშაზე ჩამოღებენ“(წეთ).

ქორეგი მოცეკვავე.

ქუთული//ქუთუგი (თ. kütük) კუნძი, მორი, ჯირკი: „ძველათ ბუხარი იყო, ქუთულებ მუულებდით, შორიდან ვთბებოდით“(ჩაქ).

ქუფე (თ. küpe) 1. საყურე: „ეს ალთუნ ქუფეა“(ჩაქ); 2. ქვევრი: „ბალებში იმდენი შარაბის ქუფებია, მოთხარე, თალლად გამოდის“(უსტ).

ქუფელა (თ. küpela) საყურე: „მაგას „ქუფელას“ ვეტყვით... ზათი თურქნაც „ქუფელა“ არის“(უსტ).

ქუფრი მაგარი: „ხმიადი მაქ ცოტა ქუფრია“(ჩაქ).

ქუნჩი-ი ფონჯი, სიმინდის ქორორი: „...[სიმინდი] ... კოტრებ გეეკეთებს, ქუნჩი მეიბამს...“(ხევწ).

ქცევა ექცევა, ერთობა, თავს იქცევს: „კურჩხელას უკიდებენ აკვანზე, იმა ექცევა“(ბაზგ); „კაცები ... ქალად ექცევიან“(ბაზგ).

ღ

დადო დაილა შავშეთში: „უბური თა ზათი დადო“(უ).

დარჭი 1. შვილი: „ოთხი თანე მყავს დარჭები: ორი ბიჭი და ორი ბაჭალა“(ზ); 2. ვაჟი: „იმას ერთი გოგო ყავდა, არ ყოლია დარჭი“(შავშ).

დარჭობა ბავშვობა: „დარჭობაში ერთი დედე იყო“.

დაჯინი სიბრაზე; მაღაჯინებენ მბრახებენ: „მაღაჯინებენ, არიან, ასე გიმღერითაო“(უსტ).

დეზაბი (არ. gazap) წვალება, დარდი, გაჭირვება: „დაგარტყმენ თოფუს, შეხვალ დეზაბში...“(მან).

დენჭო კუთხე, წიბო: „მოცლილ კბილსაც შევნახავდით, დენჭოში შევდებდით, დუზი კბილი ამუუვდესო“(წეთ).

დერესეთი (არ. arasat) ადგილი, სადაც, ისლამის მიხედვით, საშინელი სამსჯავროს დღეს თავი უნდა მოიყარონ მკვდრეთით აღმდგარმა სულებმა (შ. ფუტკ): „ზამანი მოვა და შეიყრება/იმ დერესეთის წარე მეიდანზე/ამ ტყვილი ქვეყნის ყველა მიღლეთი“(მან).

დერსანუმ (?): „გათავდა დუნდაში ომრი დერსანუმ“(მან).

დვიორო//დიორო ღადარი, ნაკვერცხალი: „და მოხარშავ, და დვიოროზე შეწვა“(ბაზგ).

ღმერა მღერა: „აქ იმდენი იღმერებენ ქი, ვერ დაწერავ“(ჩიხ.).

ღმერთმა ამართვა მომიკვდა: „მე ბიჭი მყავდა, ამართვა ღმერთმა უწინ“(მან.).

ღმერთმა გაგბარგოს წყველა, გად. ღმერთმა მოგკლას(უ).

ღორი მაგარი, ძლიერი, გამტანი (იხ. შ. ფუტკ. ღორაი): „ჩვენ მაგარი გურჯი არ ვართ. ღორი'და იყვე...“(უ).

ღუღუდი/ჭუღუდი (თ. hudut(du)) საზღვარი: „ღუღუდზე ჩვენ კაცი დიგვიჭირეს იქა“(მანხ.).

ყ

ყაბ-ი (თ. kap(bi)) ჭურჭელი: „აღმართზე აღარ ვწიკავთ ყაბებ“(უსტ.).

ყაბადი (თ. kabak) გოგრა, ხაპი (შდრ. შ. ფუტკ.): „ამას მოწოშტად [მოწოშთად] ქვია, ყაბადი“(ხევწ.); „ჭიაზე ყაბდი გულ მიაართმიდენ, ის გააყრიებსო“(წეთ.).

ყაბაყურავი ყაბაყურა: „ყაბაყურავი – ყურები გუუსივდებოდა“(წეთ.).

ყაბულობა (თ. kabul(lu) თანხმობა, დათანხმება: „ვინცხამ ქი იკთხეს, არ იყაბულეს“(უ); „მან მოვდა, დოსტობა ვქნათო, ვიყაბულეთ“(სგ.).

ყადრი ფასი, დაფასება: „მანი ჩემი ყადრი არ იცოდენ“(ბაზგ.).

ყავანი/ყავალი (თ. kaval) სალამური: „რა ლამაზათ ყავან უკრავს“(ბაზგ.).

ყავარი აქ სახურავი: „ფენა, ფენა ბევრი გათოვლდება, ყავარზე ავა თოვლი“(ბაზგ.).

ყაზა (თ. kaza), ყაზა-ბელა უბედური შემთხვევა, ავარია: „ღმერთმა ყველა ყაზიდან გადა-გარჩინოს“(დალოცვა).

ყაზანი (თ. kazan) ქვაბი: „... ყაზანი ალთუნი ბათუმში ქონდა დარჩომილი“(უსტ.).

ყაზიადი (თ. gazyagı) ნავთი: „ერთ თენექე ყაზიად სამ მარჩილად იღებდენ ბათუმ...“(ზ.).

ყათი 1. ხელი: „მოქონდენ ტანსაცმელი. ერთი-ორი-სამი ყათი რაცხა მეიტანეს“(შავშ.). 2.

სართული (თ. kat): „შვიდი ყათი სახლი მაქ იზმით“(ბაზგ.).

ყათირი (თ. katır) ჯორი, აქ ცხენი: „საფუტკრი კარში დააბა ცხენი მაჭეხლელმა. დაკბინა ფუტკარმა. გიმბღეზე ფუტკარიო, მოკლა ყათირი“(ბაზგ.).

ყათმერი (თ. katmer) ფენები, ფენოვანი: „ასე გააღებ ძუხას, ყათმერ გააკეთებ“(უსტ.).

ყალე (არ. kale) ციხე: „შერთული ქი გამეფარეთ, ყალე რომაა, იგი რაბათია. ყალე ახლა დაანგრიეს...“(ჩაქ.).

ყანადი (თ. kanat(di)) ფრთა: „ძერად სხვაა, ასე დიდრვანი ყანადები აქ და ჰავაში ფრი-ნავს“(ჩაქ.).

ყანთარი (თ. kantar) სასწორი: „ასე წონენ ყანთარით“(ა).

ყაბი (თ. kayıt(di)) რეგისტრირება: „ყაბი გახდები, კი ამუალ, დღე'და მოიდეო“(ხევწ.).

ყადსიფე (თ. kaysi) გარგარი. დიალ. kaysefe (შ. ნიჟ. შ. ფუტკ.) ჩირის შეჭამანდი.

ყარაბუა ხარაბუა: „შავი ფერის მოზრდილი მწერი, ტარაკანის მსგავსი“(შ. ფუტკ.).

ყარა დენიზი/ყარა დენისი შავი ზღვა: „წუხელი თელევიზიონში ვუყურებდი ყარადენისი ტიროდა“(ნიოლ.).

ყარაყირჩილი შავთავთავიანი ხორბალი: „აქ ყარაყირჩილს დათესდენ. ახლა ადგა, აღარ დათესვენ“(უ).

ყარდაში (თ. kardeş) ძმა: „ჩემი ბაბოე და იმისი ბაბოე ყარდაშები არიან“(ა).

ყართალი (თ. kartal) არწივი.

ყარშიბერი (თ. karşiberi) მოპირდაპირე: „ავია ჩემი სახლი, ყარშიბერი“(ბაზგ.).

ყაფა (არ. kafa) თავი: „ყაფა აღარ მაქ, ყაფა“(მან.).

ყაფაღლი (თ. kafali) სახურავიანი: „გუგუმი ყაფაღლებიც არიან, ჰამა აღარ იყიდებიან“(უ).

ყაფი ნ. კაფი.

ყაშუდი (თ. kaşık) კოეზი ნ. კაშუდი.

ყაჩ (თ. kac) რამდენი:

ყაჰვერენგი (არ. kahverengi) ყავისფერი.

ყედიმი (არ. kadim) უსასრულო, მუდამ (შ. ფუტკ.): „მეორე დღეს გამუალთ ყედიმი კარში...“(მან.).

ყედისი (?): „აისი ყედისი თელი დავწერე“(მან).

ყეზა (თ. kaza) უბედურება, მარცხი ნ. ყაზა.

ყერიბი (არ. kerip) უპატრონო, ობოლი: „ყერიბი მეზრები“(ბაზგ.).

ყერიბობა უპატრონობა, ობლობა, მიუსაფრობა: „ბევრი დეთიმობა გამოვწიე, ბევრი ყერიბობა გამოვწიე, ნენეჯან“(ბაზგ.).

ყერო ღერო: ეს სხვილი ყერო, ეს წმინდა ყერო, ბითავად ხე“(ნიოლ).

ყეფვა აქ ყვირილი: „ყეფავს ოსმანად, გაჰერსებუღია“(წეთ).

ყეველაგინ ყველა: „ნუსხას ყეველაგინ ვერ დაწერს“(ბაზგ.).

ყია ყელი: „წუჭირა ყიაში“(წეთ).

ყიზათმა/ყიზართმა (თ. kizartma) შემწვარი ხორცი: „ყიზათმას ვეტყვით ჩვენ იშტა, დაღვი ემე, ყიზათმა თურქია იშტა“(ხოს).

ყილიჯი (თ. kiliç) აქ აზარტული თამაში ზარებით: „ყილიჯ ითამაშებდენ ზარებით“(ხევ).

ყირყიტონი ხორხი: „ყირყიტონი შიგან არი“(ჩაქ).

ყირხ გუნ ორმოცი დღე.

ყისმი (თ. kisme) მოდგმა: „სახში ქალი ყისმი არაა...“(ბაზგ.).

ყიშლა (თ. kişlak) საზამთრო საძოვარი მთასა და ბარს შორის: „ყიშლები დაკეთებულ იყო“(უ).

ყიანოზი (თ. kovan) სკა.

ყლარჭვა ხმის ჩახშობა: „ნუ ყლარჭავ, ლამაზათ იმღერე, იმღერე კიდე, ამუშვი ხმა“(ბაზგ.).

ყოვილი ყვაილი: „ცაცხვის ყოვილი ...ჩემ რძალმა მოკრიფა და... ვახმოფთ“(მან).

ყოლა (თ. kolay) ადვილი: „გურჯიჯა ყოლა აფერებთ“(ზენ).

ყონუშობა (თ. konuşmak) ლაპარაკი: „დაჯე, ვიყონუშოთ“(ბაზ).

ყორავა/ო (თ. korava) აქ დადუღებული ხილის (უმეტესად ვაშლის) წვენი, სიროფი (შდრ. შ. ფუტკა): „ვაშლიდან ყორავას მოვადუღებთ, გაათხელებ, სუამ“(დაბაწ).

ყუ (თ. kuyu) ორმო: „თველზე ამოვთხრით და ყუებში ჩავხყრით, ავაგებთ ყუებსა“(ხოს).

ყუმაში (თ. kumaş) ძვირფასი ქსოვილი: „მაქინაჯი ვარ, ყუმაში ვკერავ“(სვირ).

ყურალი (თ. kurak) გვალვა: „ყურალი იქნებოდა, დედწვებოდა მიწა...“(ჩაქ).

ყურბანი (არ. kurban) შესაწირავი, სამსხვერპლო: „ჩხოკობიხან... ბატონისთუნ შეკირობებია, ამოსლიხან ღირო დავინახო, ყურბანი'და დავეკლაო...“(უ).

ყურბეთი (არ. kurbet) უცხო მხარე, უცხოეთი: „ყურბეთში ვართ ჩვენ იმფო ბევრი...“(ზენ).

ყური დოუწიწა ყური აუწია, გად. დატუქსა: „გაჰერსიანდები და ემეს იქ მაშინ და ... „ყური დოუწიწა“(უსტ).

ყუსური (თ. kusur) ნაკლი: „მარტოდ გაგდებ, ყუსურ ბახმა“(ზ).

შ

შანსი (şans) ბედი, ხვედრი: „იქიდან შანსი ისე მქონდა, რა ვიცი“(ბაზგ.).

შარაბი (სპ. şarap) ღვინო: „იქვერი შარაბები მეტანეს, წითელი შარაბი, გერმელი იყო“(ბაზგ.).

შარაფხანე ღვინის სახლი, მარანი: „ყალეს გადმოდმიდან თერეფში დერგები იყო, იმდენი, შარაფხანე იყო თელი...“(უსტ).

შაფხა (თ. şapka) ქუდი: „შაფხა მიეცი“(ბაზგ.).

შეგნება შერჩევა: „შააგენითო, ამოდითო, ადგილი შააგენითო“(უსტ).

შედლობა ათქვეფა.

შეერი/შეჰერი (თ. şehir) ქალაქი: „ჩუენ აქ ვსაქმობთ, შეერშიც ჩავდივარ ბაღნებთან“(ბაზგ.); „შეჰერში წადიან გენჯები“(ხევ).

შეიდისი (şeyda) სიყვარულით შერყეული: „ახლა იქ მეიქუნენ, შეიდისი ქი წამოილა“.

შეიკი (თ. şekik) შაკიკი: „თავი(ს) ტკივილი გექნება, შეიკი დეიკილო'ნა“(ჩაქ).

შეკოჭვა შელოცვა, ცრუ რწმენით მხეცისათვის პირის შეკვრა, საქონელი რომ არ შეჭამოს: „დაილაზე შევაკოჭებდით ხოჯას, გელს პირი შეეკოჭებო, ხალა შეაკოჭებდა“ (წეთ).

შელიგობა (თ. şenlik) მხიარულება: „მეიყრებიან, ისამებენ, იცეკვებენ, იშელიგებენ და ისვენ წავლენ“.

შეთანქიბი (თ. şeytan - ეშმაკი) ეშმაკით: „შეთანქიბი აშხანაყალარ თირფანს თიბავს“ (ჩაქ).

შენი დასმული შენი ნაშობი, შენი შვილი: „შენი დასმული'და მოგცეს ღმერთმა, მალე ამართვა, პატრობაში“ (ბაზგ).

შერბეთი (თ. şerbet) შარბათი, ტკბილი, შაქრიანი წვენი.

შეფადეთი (?): „დიდი ფეიღამბერი ჩვენ გვიზამს შეფადეთს“ (მან).

შექერი (თ. şeker) აქ დიაბეტი, შაქრის დაავადება: „თელი ავათ ვართ, შექერი მჭირს...“ (უსტ).

შექერილი შაქრიანი, დაშაქრული: „რა ქენით, დააყარეთ? ბექმეხი დუღდება, ხათი შექერ-ლია, რათ უნდა“ (ხევ).

შექცევა შებრუნება (იტყვიან ავადმყოფობაზე): „კარში არ გუუშვებდით, არ შუუქციოსო“ (წეთ).

შეყრა შეხვედრა: „შეყრებით კილო“ (ხევწ).

შეშა ხე, შეშა: „ამ ჩვენ დეფნებში შეშის სახლები შამუა“ (ხენ); „შეშით არი თქვენ სახლები“ (ჩაქ).

შეხვრეტა შეხვრევა: „ყართოფს მოგხარშავთ, მაწონს შეხვრეტ, ... ჩაის ვჭამთ“ (უ).

შეხლა შეყრა, შეხვედრა.

შეხრესა დაფშვნა: „იმა მოჰკრეფენ, გაახმობენ, შეხრესენ“ (ჩაქ).

შველა დახმარება, მიშველება: „ჩევედე'ნა, ვუშველო'ნა“ (ნიოლ).

შვილი აქ ვაჟი, ძე: „ერთი შვილი მყავს, ორი ბაჭალა“ (მანხ).

შილი მახლის ცოლი: „ორი ბაჯოდ შილები იყენენ“ (მანხ).

შიშა ნ. შეშა: „ფიწალს შიშიდამ ვაკეთებდით“ (უ).

შიში (თ. şiş) შამფური: ხორცსა იმა, შიშებ ააცმენ, ჭალი იმას ვეტყვით“ (ხ).

შიშიმკვლელა მშიშარა: „ჩვენ ვერ გვეტყვიან შიშიმკვლელა გურჯები“ (უ).

შიშმანი (თ. şışman) მსუქანი, სქელი: „ვითხოუნა შიშმანი, არ გიმხდე ფიშმანი“.

შორვა (თ. çorba) წვნიანი კერძი. ნ. ჩორბა.

შოში//შოშე (<შოსე) გზა, ტრასა: „აქ შოში არი-და, ქვეშიდან შოში მუა იქიდან...“ (ხოხ).

შუადრობა შუა ხანი, მთაზე (დაილაზე) ყოფნის შუა პერიოდი. შდრ. აჭარული შუამთობა: „ჩვენში რა არი იცი? შუადრობისან იქნება მარიობა...“ (უსტ).

შუშე მინის ჭურჭელი: „ლამაზათ შეხრესენ და შუშეში, ემეში ჩადებენ“ (ჩაქ).

შუშეუნ-ი (თ. şuşkun) უენო, ჩუმი „... შენსავენ ასე შუშეუნ, მაღალი ემე ქალი იყო...“ (ბაზგ).

შხაპება სხურება, შესხურება, მისხურება: „აშხაპებს ყართოფის ფურცლებზე“ (ჩაქ).

ჩ

ჩაბერტყვა ჩაყრა: „კროჭი გექნება რაცხა, იქში ედღებ, მუუშვებ, ჩაბერტყავთ, ჩამეგტანთ...“ (ბაზგ).

ჩადება გად. დასაფლავება: „დილაზე თუ მოკდა, შუადლე უკან ჩადებენ, საღამოზე თუ ემე იქნა, დილაზე შუადლემდი ჩადებენ“ (ბაზგ).

ჩადირი (თ. çadir) ბრეხენტი: „ლაილონს დავაგებთ, ჩადირს“ (ბაზგ).

ჩავდარი (თ. çavdar) ჭვაგი, სვილი: „ჩვენ ბუღდას ჩავდარ“ ვეტყოდით“ (უ).

ჩაირი (თ. çayr) ბალახი ნედლი: „დონჯა ჩაირია, მოთიბავ“ (კოკ).

ჩაკითხვა შელოცვა: „სამჯელ ამას ჩუუკითხავ“.

ჩალდი (თ. çalgi) დასაკრავი, მუსიკალური ინსტრუმენტი: „ჩალდი ორი-სამი ჩეშიტი'ნა მეყვანო“ (ჩაქ).

ჩამაშურ მაქინა (სპ. çamaşır makinesi) სარეცხი მანქანა: „ჩემ ძალმა მისცა ბაჭალას ჩამაშურ მაქინა...“ (სოხ.).

ჩამოყრა რძის მოცემა ძროხის მიერ: „ხბოს მოვაწოვიებდი, ჩამოყრიდა“ (ა.).

ჩაპეკლება აქ წვრილად ჩაჭრა: „... ყართოფ დავთლით, სინში ჩავპეკლავთ, დაღ, ფშნილას მუყაერთ... შევდგამთ სობაში, გამოცხვება“ (ბაზგ.).

ჩარში (თ. carşi) ბაზარი: „აიჰანა ჩარშიში წევდა“ (ბაზგ.).

ჩასხმა 1. სითხის (რძე, მაწონი...) ჩასხმა ჭურჭელში: „დოღურთი'ნა ჩავასხა“ (უსტ.); 2. ჩაკვრა მჭადის, პურის...: „კვერებ... თექერენ ჩავასხამთ იშტე სობაში“ (ბაზგ.); „დაკვრასაც იტყვიან, ჩასხმასაც იტყვიან“ (ა.).

ჩაუში სამხედრო პირი, გამრიგებელი: „ერთი ბაგენიდან აბღულა ჩაუში იყო“ (უსტ.).

ჩაფარება დაფარვა: „დრო მუა, რომ ჩაფარდება (დაიფარება) აქავრობა, გათოვდება“ (ბაზგ.).

ჩაქვიელთი ჩაქველთა სოფელი იმერხევში. ჩაქველთა ჩაქურიძეთა საცხოვრისი უნდა ყოფილიყო: „ჩაქველთა<ჩაქუელთა*ჩაქურიელთა//ჩაქურიძე (შდრ. ლეონიძე, თურმანიძე...): „ჩაქურიძეები ცხოვრობენ აქ. ჩაქურა ტანსაცმელიცაა“ (ჩაქ.).

ჩაყაფანება/დაყაფანება დაკეტვა, დახურვა: „დანაზე უკითხვენ დუას, ჩაყაფანებენ, დადებენ...“ (სგ.).

ჩაწოლა 1. სიკვდილი: „ჩემი ბაბო ბათუმში ხაფისხანეში ჩაწვა...“ (ჩიხ.); 2. ჩამოწოლა, ჩამოშლა: „ეგა მეზობელია, გზის ადგილი ჩაწოლილა და აკეთებს“ (მან.).

ჩახვი პარკი: „ჩახვი ჩაასხამ, ჩადეფ გოფში, დახრეტილ გოფში, გედწურვის“ (ბაზგ.).

ჩეთინი (თ. çetin) ძნელი, რთული: „თქვენი წერა ჩეთინია, ჩვენი ყოლადა“ (დ.); „გურჯიჯა ჩვენი ფენა ჩეთინია“ (მან.).

ჩენგე (თ. çenge) ყბა: „ღმერთმა ჩენგე დიგიყაფანოს“, - ამგვარი ვიცით“ (იფხ.).

ჩერჩევე (სპ. çerçeve) ჩარჩო, ბუდე: „ახლა ისე, ლისა-მე, ჩერჩევე რომ არი, მაქინები გვაქ გამოსაწური“ (ბაზგ.).

ჩეშიტი (თ. çesit) სხვადასხვა სახის, სხვადასხვანაირი: „ყველა ჩეშიტი არის, ყველა ჯინსი არის“ (უსტ.); „ჩაღლი ორი-სამი ჩეშიტი'ნა მეყვანო“ (ჩაქ.).

ჩითა (თ. çita) თამასა ხის. ვიწრო და თხელი ფიცარი, ფირფიტა (ქველ): „ჩითებზე ლისი დასხმული გვაქ“ (ბაზგ.).

ჩილექი (თ. çilek) მარწყვი: „ნახე, გერმელია, ჩილექ ლეჩერია, „მარწყვი“ მავიწყდება...“ (დ.).

ჩილევა მოსინვა: „[გუგუმი] მოიკალვის, ჩილეავს, ლამაზი არაა, შავდება“ (უ.).

ჩიფთი (თ. çift) წყვილი: „ორი ჩიფთი მაცვია და კიდევ მცივა“ (ბაზგ.).

ჩიქინი (?): „... ჩიქინი ქმარი გყოლიაო/ის გააგდე და მე წამომყევ/სირცხვილი ნუ გგონიაო“.

ჩიჩეგი (თ. cicek) 1. ყვავილი: „ვაშლს ბევრი ჩიჩეგი ესხა, შეცივდა და გაყარა“ (ზ.); „ეს ჩიჩეგია (ასკილზე ამბობს), ჩაის ვაკეთავთ“ (ა); 2. ავადმყოფობა (ყვავილი): „ჩიჩეგი სხვა არი, წითელი სხვა არი“ (წეთ.).

ჩობანი (თ. coban) მწყემსი: „ვლაპარაკობთ ჩობნები“ (ჩაქ.).

ჩომა საქონელი, პირუტყვი, ძროხა: „ჩომა გყავს, ჯარები გყავს, უართ“ (ბაზგ.).

ჩორბა (თ. çorba) წვნიანი კერძი. ნ. შორვა.

ჩოფი (თ. çop) ნაფორტი, ხიჭვი (ქველ): „ნაზლიჯან წეიქცა და ჩეესო ჩოფი“ (ზაქ.).

ჩოხა მატყლის სამოსელი(საბა): „მახველებს, შემცივდა რაცხა, ჩოხა გეგხადე“ (იფხ.).

ჩოხიანი გათურქებული შავშელების მეტსახელი ქართველთაგან შერქმეული: „ჩვენებურები [შავშელებს] ჩოხიან ეტყვიან, გძელჩოხიანებს“ (ნიოლ.).

ჩოჯუხლარ-ი (თ. çoçuklar) ბავშვები: „ოთუზემთანე ჩოჯუხლარ აკითხვინა ჩემ კაცმა“ (მან.).

ჩულა (თ. çul) ქება, უხეში შალის ქსოვილი: „დედეს ჩულად მუუხურავს, დამედარა“ (წეთ.).

ჩუმი ხმა: „ჩუმი არ გიმიდია; ჩუმსაც არ ვიღებდი“.

ჩუნქი (თ. çünkü, çünki) იმიტომ, რომ, რადგან: „ჩუნქი რაზე იცი?“ (მან.).

ჩლეჩილა ყველის სახეობა: „[რძიდან] ჩლეჩილს ვაკეთებთ“ (მანხ.).

ჩხვერა მუცლის ტკივილი, გვრემა: „მეზობელ ქი დანხვერს, შენ ფუშზე ხელი'ნა დეიდგაო“ (წეთ).

ჩხოკობა „მთაში ზაფხულობით საცხოვრებლად ბარგის წადებას ... და შემდეგ მთიდან ბარად წამოდებას იმერხევში „ჩხოკობას“ ეძახიან“(შ. ფუტკ. შდრ. აჭ. თაბარობა): „ჩხოკობიხან ახლა ღმერთისთუნ, ბატონისთუნ შეპირობია წასლიხან, ედა, ამოსლიხან ღიორო დვენახო, ყურბანი'და დაგკლაო, შეპირობია“(ბაზგ.).

ც

ცაკვა სწრაფი ცეკვა: „ცქვიტათ ცეკვას „ცაკვა“ უთხრეს. „ცეკვაიდან“ „ცაკვა“ გახდა“ (ზენ.).

ციციელი ელვა: „ციციელი ჩამოვარდება, დაჰა იქუხებს“(უ.).

ციციელი დევეცეს წყევლაა, მესი დაგეცესო (უ.).

ცოცხლობა 1. ცხოვრება: „ბათუმში შიგან ხარ? იქ ცოცხლობ?“ (სვ.); 2. სიცოცხლე: „ეს ჩემი ანადს და არი [სურათს გვიჩვენებს], ახლა აღარ ცოცხლობს“(შავშ.).

ცუდათ ამოდ, ტყუილად: „ზოგმა იქ დაუდენ, ზოგმა კი აქ მოვდენ, ცუდეთ დარეს, ჰენ არ იყაბულეს“(უ.).

ცქვიტად//ცქვიტად სწრაფად: „ცქვიტად ლაპარიკობენ, ვერ მივმხტარვარ“ (მან.). „ცქვიტად წერავს“(ა.).

ცხვარა საჭმელი სოკოს სახეობა, ამოდის ხეზე: „ხეზე ემეში ამოდის, ცხვარას ებნევიან, თეთრი ცხვარად, გერმელია, იმსოდ არც ხორცი იქნება“(ბაზგ.).

ძ

ძალი რძალი: „ეს ემოს ძალია“(ჯვარ.).

ძალად ცუდად: „ჩემზე ძალად არიან, ვერ გაქანებულან, გარში ვერ გასულან...“(ივ.).

ძალიანი ძალის მქონე, ძლიერი.

ძე რძე: „იცი ძე? ძე იცი, ძროხის ძე?“ (ხოხ.).

ძველი, ძველები: 1. ასაკოვანი: „ძველებმა იციან, ახლებმა – არა“(ნიოლ.). 2. წინაპრები: „ძველები მოსული არიან“(ჩაქ.).

ძიად ბიძაშვილი: „ესაც ჩემი ძიადა“ (ნიოლ.).

ძიგარაა (sigara) სიგარეტი: „ძიგარაა გინდა, მოუკიდებთ“ (ჩაქ.).

ძოვნაზე აქ საძოვარზე: „ძოვნაზე მყავდა და დეეკარგა ძროხა“(ხოხ.).

ძროხის აძრობა ძროხის ახსნა: „ერთი ჩვევალ, ძროხა ავაძრო, ახორშია“(ზ.).

ძუნკალი სალანძღავი სიტყვაა. ნ. ზუნკალი/წუნკალი: „ძუნკალი კაცია, ტყვილი უთქმია...“ (ჩაქ.).

წ

წაბღუნება წაჩხუბება: „ერთმანეთში წეიბღუნენ/მოსაკლავია შაქროს ქალი“(შავშ.).

წაგველება აუგის თქმა: „მე შენი ქეიფის დრო მაქო, წიგვიგველებს“(ბაზგ.).

წადის მიდის: „სიძე წადის და მოდის“(მან.); „აქედან წადიან, საღამოს წამოდიან აქეთ“(ბაზგ.).

წაკინდლება წაჩხუბება: „კად მეზობლები არიან, აქ არავინ არ წეიკინდლებიან“(ბაზგ.).

წალკოტი მიკროტოპონიმი იმერხევში: „წალკოტი მაღარაც აქაა“(უ.).

წამოსხრეკა გაქცევა: „აქ სომეხები ბილა ყოფილან და წამუუსხრეკიან“(დ.).

წამოციმციმება გადატ. წამოტივტივება, გამოჩენა: „რუსი ახლა წამოციმციმდა, იქამდე თელი ოსმანლისა იყო“(უ.).

წანდილი მოხარშული სიმინდი ან ხორბალი ნიგვზით და თაფლით შეზავებული (შ. ფუტკ.): „წანდილ მოხარშავენ და ჭამენ“(ჩაქ.).

წარიად იხ. მოშოშთად.

წასხმა წაყვანა: „ართვინ ვინმეს საქმე აქ, წაასხამს...“(ბაზგ.).

ვაშრობა აშრობა, გაშრობა: „თოვლი ქი აშრება, მაშინ, გაზაფხულზე, თოვლი
 ვაშრება”(ჩაქ).

ვაწევა გაზზაფხუ: „აქ ცოტა წინა ემიები არიან, იმას ვასწევდენ წინ”(ჩაქ).

ვერვა ვერა: „ვერვაზე არიან, ვერვენ”(მაჩხ).

ვეა ტკივილი: „გვერდი მეწვის და ვერ მილაპარაკნია”(უსტ.); „წელი მეწვისო” –
 იტყვიან”(ბაზგ).

ვეე (<მწვედ) ზმნიზედა, ძალიან: „წვე კარგი არ არის; წვე წინ ნუ გადიხარ”(ა).

ვერილმანი 1. წერილები, პატარები: „ვერილმანი ვიყავით. სამ წლის ვიყავით,
 წვევით”(უსტ.); 2. წერილი: „ვიწრო ყანები „ვერილია”(უსტ.).

ვიკვა ზიდვა: „აღმართზე აღარ ვწიკავთ ყაბებ”(უსტ.).

წინ 1. უკან: „თხუთმეტ წელწად წინ გაკეთდა გზები...”(უ.); 2. ადრე, უწინ, ძველად: „ენ წინ
 ასე იყო”.

წინა 1. ადრინდელი, წინანდელი: „ოთხი და მყავს, ერთი ძმა წინა კაციდან. უკანა კაციდან
 ერთი ღარჭი ეყოლა”(მაჩხ.). 2. უფროსი: „ენ წინა ბიჭი იყო ესა”(ჩაქ).

წინ-წინ ადრე, უწინ: „წინ-წინ რაგად ვიყავით დაილაში”(უსტ.).

წოვა დო: „წოვა” ვიტყვი... ნაღბის წოვა, ქვეშას მუადულებ, გახდება წოვა. ადუღდება,
 გაცივდება, გახდება წოვა” შდრ. შ. ნიჟ.

წონილობს იწონებს: „ღარჭი მყავს დასასახლებელი, არ წონილობენ გოდა გოგებში”(უსტ.);
 „მიორები არ არიან დაქორწილებული. რა ვიცი, არ წონილობენ”(ნიოლ).

წონულობს იწუნებს: „კაკლის ხეჭოიდან გამოიდა, კაკლის ხეჭოს წონულობსო”(სვირ).

წოწოლა ვაშლის ჯიშია, ხარობს იმერხევის სოფლებში.

წრეველ წელს: „წრეველ არ უნდა მორწევა, წვიმს”(მაჩხ.).

წუელა ბალახის ღერო: „რაცხა შეგივარდება თვალში, წუელა შეგივარდება”(ჩაქ).

წუმპო ტლაპო: „აა ნაფლატი ადგილი წუმპოა”(დაბაწ.).

წუნკერი ანხლი, გად. ქალების მოყვარულზეც იტყვიან: „[ამის ცოლი] ... მეტი
 წუნკერია”(ბაზგ.); „მეტი წუნკერია და თავის თავმა დააბერა ეს, ეტყევა, ვერ ხედავ?
 წუნკერია... ეს ქალიც ამან დააბერა, თავის ქალი”(ბაზგ.).

წურილობა პატარაობა, ბავშვობა: „ეგანი ფენა მიყვარდა, ესა [ფოტო] ჩემია წური-
 ლობაში”(შაგშ.).

წყევარი მაწყევარი, ვინც წყველის, იწყევლება: „წყევლა წყევარისა არი”(ბაზგ.).

წყენულობა წყენა: „არაბას წყენულობს, წამლებს ყლაპავს”(უ.).

წყლის მოდინება მორწევა: „წყალი მოადინოდა ბოსტანში”(ნიოლ.).

ჭ

ჭადის ჩასხმა ჭადის დაკვრა, გამოცხობა.

ჭალა 1. სათიბი: „მოლი ბევრი გვაქ აქა, თლათ ჭალობა გახდა”(უ.); „თლათ ჭალობაზე
 გაგდებუღია”(უ.); 2. ყანა: „ყანას „ჭალას” ვეტყვი (წეთ).

ჭალობა თიბვის, ჭალაში მუშაობის დრო.

ჭამა წვნიან საჭმელზე, წამლებზეც იტყვიან: „დეპრესიანის წამლები ვჭამე”(ბაზგ.). ნ.
 ამოჭმა.

ჭადი შამფური: „დონერ გააკეთებენ და... იმას შიშებ ააცემენ, ჭად იმას ვეტყვი”(ზაქ).

ჭედნა ჭიდაობა: „ხარების ჭედნა იყო მაისში”(ივ.).

ჭვამ ვჭამ: „აგზე მესსუს ჭვამ ქი”(მაჩხ.).

ჭიბონი საკრავი ინსტრუმენტი, გუდა-სტვირი: „ჭიბონი დუჟკარით”(უსტ.).

ჭიპის სახელი ბავშვობის სახელი არაოფიციალური: „ახლა ორ სახელს არქმევენ: ერთი
 ახალი – ჭიპის სახელი, ერთი – დედის, ძველი სახელი (წეთ).

ჭკვის დათესვა ჭკუის დაკარგვა: „მაგას ჭკვა დათესილი აქ და თიბავს ჭკვას”(ბაზგ.).

ჭლიკი ფეხი: „ჭლიკი მეტკინა, დიმისკდა...”(ბაზგ.).

ჭოჭე 1. წყლიანი, დატბორილი ადგილი: ჭოჭე ყოფილა, ვერ გეარდენ, ინსანი ვერ ცხოვრობდა (ივ.); 2. ჭოჭნარები (ტოპ. ნიოლეთში): „წყლიანი ადგილია და ასე დუურქმენიან“ (ნიოლ.).

ხ

ხადასტრო (?): „ერთი ბიჭი მყავს, ხადასტროში საქმობს“.

ხაგიწი პურის ფქვილისგან დამზადებული ფაფა: „ხაგიწი მადუღებ“ (ჩაქ.).

ხალი-ი (თ. hali) 1. ხალიჩა, ნოხი: „ერთი ხალი ქონდა და ამბობდა: აჲ ხალი ბათუმში მერდევანზე დაგებული მქონდაო“ (უსტ.). 2. მთის ბალახია ერთგვარი.

ხალა-ა 1. დეიდა, იხ. თეიზე; 2. მამის და: „ახლა ... ბაბოს დას ხალას (ებნევიან)“ (უ.); „თეიზედ, ხალას უძახიან გურჯიჯა“ (ბაზგ.); „ახლა ხალას უძახიან, გადააბრუნეს. „ხალა“ „ანადს“ ბაჯო იყო“ (მანხ.).

ხალაშვილი დეიდაშვილი: „მე და ჩემი კაცი ხალაშვილები ვართ“ (ზენ.).

ხალხამი მსხვილფეხა საქონელის დროებითი სადგომი, ფარეხი დაიღებსა და ყიშლებში: „ერთ ბაზგირელ თაზე თხები ... ყავს შეყრილი ხალხამში“ (ბაზგ.).

ხამდა ხელახლა, ისევ: ბორები დახეთქილა და ხამდა გეყვანონ'ნა“; „ხამდა გეეთხვა“ (მანხ.).

ხანე (თ. hane) სახლი, აქ კომლი: „მარიობაზე თაზე წედბარგვიან, თიებზე. ამ თერეფზე დორთიუზ ხანე გახდა“ (უსტ.).

ხანებური უცხო: „აქვერსაც აქ, ხანებურსაც“ (ბაზგ.).

ხაპერი თავი: „... კიდო რაცხაები არიან და ამ სირაზე ხაპერში არ მაქ“ (ნიოლ.).

ხაპერის ქერქები თავის ქალა: „[საზგირელზე] ... ხაპერის ქერქები ყრია“ (ბაზგ.). **ხაპი** გოგრა: „ხაპის ემელია, მოჩოჩდა“ (ა.).

ხაპერად გოგრის სახეობა: „ხაპერად რომ არი, კოში“ ნ. კოში.

ხარლი (თ. ark(ki)) არხი, სარწყავი არხი: „ხარლი გიგვიკეთეს აქა“ (უსტ.) ნ. პარლი.

ხასი (თ. has) კარგი, გემრიელი: „[ყაბალი]... მოხარშე, ჭამე ... ხასი თუ არი...“ (ხოხ.).

ხასად/ხასათ 1. კარგად: „იქ უფრო ხასად იციან გურჯული“ (ბაზგ.); „ხასად გაგაკეთე, არ უნდა“; 2. მთლიანად: „ასე ხასად დანგრეველი არ იყო“ (უ.).

ხასმება (?): „გული გეისუფთე ღმერთის ჯამეზე, ნუ მეხასმები ჰემდა ხოჯაზე“ (მან.).

ხასტა (სპ. hasta) ავადმყოფი: „ავადყოფია, ანი, ხასტაა დედამთილი-და“ (ბაზგ.).

ხასტანე (სპ. hastane) საავადმყოფო: „ხასტანებში იყო“ (ა.). ნ. პასტანე.

ხასტახანა (სპ. hastahane) საავადმყოფო: „[მაჭახლელებს] ... ზამთარში გეითი არ აქონ... ართვინ'და ამოდენ ქი, გამთელდენ ხასტახანებში“ (უ.).

ხასტანლული (hastalikli) ავადმყოფური, ავადმყოფობა: „ხასტანლული ქონდა ბევრი“ (მანხ.). ნ. პასტანლული.

ხაფისხანე (თ. hapishane) ციხე: „ჩემი ბაბოე ხაფისხანეში ჩაწვა“ (ჩიხ.).

ხაფისხანეში ჩაწოლა ციხეში სიკვდილი.

ხაშარი სარი: „ეს ხაშარია, ღობოს შუუსობ“ (ზ.); „ყანაში დავასე ხაშარი/დედამთილმა გამაბღეზა/არ ვაჭამე ვახშამი“ (მან.).

ხაჩი (თ. hac) ჯვარი: „ეგ რა გკიდია, შენ, ხაჩი?“ (ზაქ.).

ხებერი (არ. haber) ამბავი, ცნობა: „დარჩა ჩემი ჭალები, ახლა ხებერი მომცეს, ვერ'ნა მოვთიბოთო“ (წეთ.).

ხებერის მიცემა შეტყობინება: „ხებერი მომცეს, ვერ'ნა მოვთიბოთო“ (წეთ.).

ხედიკი თხილამური: „ხედიკები ადგა. ზოგან ხედიკ იტყვიან, ზოგან თხილამურ“ (ნიოლ.).

ხელგაშლილა-ა ცეკვაა ერთგვარი იმერხევში: „ხელგაშლილა გასამდი/სამა არ დაგიშლია/გოგო, რაგად გიხდება, სამა და ხელგაშლილა“ (ბაზგ.).

ხელის მიყოფა ხელის ხლება, ხელის მოკიდება.

ხელის აქნევა ხელის ჩაქნევა: „კაციც აღარ მყავდა, მოკდა, ევქნიე ხელი“ (ბაზგ.).

ხელიხელ ხელიდან ხელში: „ხელიხელ ქვა მუუცემიან“ (უსტ.).

ხესაბი (თ. hesabi) ფიქრი, ვარაუდი: „ჩემ ხესაბში არვინ იყო“ (უსტ.).

ხეჩო-ე 1. ხმელი, გამხდარი: „ეგ გოგო ხეჩო, ხმელი იყო, მალე იზღებო“ (შავშ.); 2. ხელეჩო: „აქ ხეჩო ცულია“ (დას.).

ხეჭო ნიგვზის ნაჭუჭი: „კაკლის ხეჭოიდან გამოიდა, კაკლის ხეჭოს წონულობსო“ (სვირ.).

ხვიტი კომბოსტოს (მხლის) ღერო: „ორი გორგალია ეგერ, ხვიტიანი“ (ხევ.).

ხვლიფი ხვლიკი: „ხვლიფი... ექმილია, ამ რენგზე, აგზე წყალი არი, აგზე, ამ რენგისია“ (უსტ.).

ხვრიტა//ხვრეტა ხვრეპა: „მაწონი კოვზით'ნა ხვრიტო'ნა, გემო იმა ქონდეს“ (ზ.).

ხიზანი გაქცეული, გადაკარგული, ღტლოვლი: „გურჯიჯა იტყვიან, ფენა ხიზანიაო“ (უ.).

ხიზმეთქარი (არ. hizmekar) მოსამსახურე: „მე ჩემთანაღაა წამუელ, რათ'ნა ვექლავო, ვეხიზმეთქარო?“ (ბაზგ.).

ხიზმეთქრობა მოჯამაგირეობა, მომსახურება.

ხილვა სკიდან თაფლის ამოღება; თაფლი იხილა სკიდან თაფლი ამოიღო: „[თაფლი] ჯერ არ გვიხილია, მალეა“ (ბაზგ.).

ხისიმი (არ. hisim) ნათესავი: „ხისიმები ყავან ბათუმ“ (ა.).

ხლართვა ჯახირი, წვალება: „იდარეს ვიჯები, ვხლართავ“ (მან.).

ხლისტიანი ქრისტიანი: „ესენი ხლისტიანი ყოფილან“ (მანხ.).

ხნიანი ასაკოვანი: „მე დაჰა ხნიანი ვარ“

ხორთლადი (თ. hortlak) საფლავიდან ამდგარი მიცვალებული, მოჩვენება: „ზათინ ხორთლადად დგებოდენ, ახლა აღარ დგებიან. ვინცხა გონჯი იქნება, იგი ადგება“ (წეთ.).

ხორომი//ხოხომი თივის ბუღული: „საღამოზე ხორომს//ხოხომს გავაკეთებთ, ვხორმავთ“ (ნიოლ.).

ხორმვა ხორომის გაკეთება.

ხორცის მტვრევა ციება: „ხორცი მამტვრევსო – იტყვიან, მეჭყელება“ (მანხ.).

ხოშ კითხვითი ნაწილაკი.

ხოშეკოლა ხოშკაკალა, სეტყვა: „... ხოშეკოლამ ჩაწყვიტა, ერთი წამაასხა და ჩაწყვიტა კიტრები...“ (ხოხ.).

ხოცვა წმენდა: „ხვალ ჯუშაა, ვხოცავთ. ჩამოვედთ, მივხოცეთ-მოვხოცეთ, მივალთ“ (უ.) ნ. მიხოცვა, მოხოცვა.

ხოჯა (თ. hoca) მასწავლებელი, მოძღვარი: „ხოჯა ჩემი კაცია“ (ა.).

ხსენი ახალნამშობიარევის რძე: „ჰო, ხსენ ეტყვიან, ერთ-ორ დღე ისე იქნება და მასკან ძეზე გადაბრუნდება“ (ბაზგ.); „ჰო, ხსენ ვეტყვით, ჰო, ძროხასავენ“ (ბაზგ.).

ხუთმოცი ასი, ხუთი ოცი: „ერთ ასი წელიწადი უცოცხლია, ხუთმოცი“ (უსტ.); „ხუთმოცი და ათი და ხუთი“ (უსტ.).

ხულუსი (არ. hulus) გულწრფელობა, მოწადინება, სურვილი: „ლოცვებზე'ნა გქონდეს კარგა ხულუსი, ილოცე ერჰალ თუ გაქ გენმიში“ (მან.).

ხუტუტი კვირტი: „ეე' მიუხდი, ჰაა, ხუტუტ ვეტყვით, გამედხუტუტაო, ვიტყვით“ (ნიოლ.).

ხუშბურნე ნამცხვრის სახეობა: „გაკეთდება ხუშბურნე, გურჯიჯა „ჩიტის ბუკის“ თქმა არი“ (ნიოლ.).

ხუჭი არ მიქნია თვალი არ მომიხუჭავს, არ დამიძინია.

ხუჯუხი მკაცრი, ფინთი: „ბაბოდც ხუჯუხი მყავდა, ფინთი“ (ბაზგ.).

ჭ

ჭარი ხარი.

ჭარის არაბა ურემი, მარკილი: „ბაბოს მარკილი გუუკეთებია, ჭარის არაბა“ (მანხ.).

ჭევი ხევი, წყალი: „ჭევი მოქონდა შავი გველი“ (შელოცვიდან).

ჭორკი ხევზე გადებული ხე, ხიდი: „ჭორკი ჭევიზე გადებული სამი ხეა, ზედან ტოტებით. თოვლი მუა, გაყინავს და ჭარის გზა გაკეთდება“ (სვირ.).

ჯ

ჯაზი (სპ. caz) კუდიანი, გრძნეული, მკითხავი: „ჯინი სხვაა, ჯაზი სხვა. ჯაზი ქალიც იქნება და კაციც“(წეთ).

ჯანა/ჯანაზა (არ. cenaze) მიცვალებული, ცხედარი: „მეიყრებიან ხალდი, ჯანას ილოცვენ/ორ-სამჯელ კალოზე შემოგაყენებენ”(მან).

ჯანი (თ. can) სული, სიცოცხლე, გად. ჯანმრთელობა: „ემჯამი ჯანი სადი იყოს და”(ხევწ.); „ღმერთმა ჯანი სადი მოგცეს“(ა).

ჯანის მიცემა სულის მიცემა, სიკვდილი: „ჯანს აძლევსო, ვიტყვიო, სულის ეხიეთ-შია”(ბაზგ.); „ემელიეთ ვაქნევიეთ, გამოვარდა, ჯანი მიცემამდე ჭკვა ქონდა”(მანხ).

ჯანჯირი დაილა იმერხევში.

ჯაჩი კაცის მეტსახელი, ლაღაბი: „ჩიფჩიოღლი მემედაჲ ყოფილა, ედა „ჯაჩ“ ეტყოდენ, ლაღაბს“(ივ).

ჯღომა ცხოვრება, მოსახლეობა, სახლობა, ბინადრობა.

ჯეზა (თ. ceza) სასჯელი: „ეშინიან, ვერ მუუკელიან, ჯეზაა და ვერ მუუკელიან, არ კვლენ”(უსტ.).

ჯეიზი (თ. ceyiz) მზითევი: „ჯეიზიც აქვან”(უსტ.).

ჯენევიზი ბერძნების წინაპრები: „ჯენევიზები ემეები არიან, რუმების ძველები... ისა ჯენევიზისა ყოფილა, ბილა”(უ).

ჯენნეთი (არ. cennet) სამოთხე: „ჯენნეთში ბეთი ზათი არ არი”(მან).

ჯენნეთლი სამოთხეში მყოფი, ცხონებული: „ჩემ კაცმა არქნა, ჯენნეთლიმ, შეშინდა”.

ჯერანი (თ. cereyan) ელექტროდენი, შუქი: „ახლა ჯერანებია, ლამბები არაა”(ბაზგ.).

ჯერობა აქ რწმენა: „ღმერთს ჯერობთ? იმგვარები არიან, ღმერთს არ ჯერობენ”(იფხ).

ჯეჯიმი (თ. cicim) ფარდაგი: „...ერთი ხელი დათაღი, და ჯეჯიმი გექნება, და ქილიმი...”(ხობ).

ჯეჰენემი/ჯენნემი (არ. cehennem) ჯოჯოხეთი: „...დედბრუკვის ჯეჰენემში მისი ხელი და გული, ღმერთო, ბატონო, შენ შეგვიბრალე”(მან).

ჯვალი, (თ. çuval) ჯუალი ტომარა: „ღელეში რომ ჯვალია/ის ვერ იმიტანია...”(უსტ.).

ჯიასალი მაწყინარი: „[თაფლი] ... წაბლისა არი, შქერისა არი, ისენი ცოტა ჯიასალია”(ბაზგ.).

ჯინ-ი (არ. cin) ავი სული, ჭინკა: „ჯინები ამბობენ ქი, სამობენ, ხუთშაბათი”(მანხ).

ჯინდარი (არ. cadı) გრძნეული, ჯადოქარი, ვისაც ჯინებთან აქვს ურთიერთობა: „ჯინდარ ხოჯებ ეტყვიან”(წეთ); „შენ ჩემი ჯინდარი ხარ/გულში მითხრა ჯინდარმა”(ზ).

ჯინსი (სპ. cins) ჯიში, გვარი: „ფატყუმედს ბაბოდს ... მერიემადს ჯინსიდან არის...”(მანხ.); „ხაპის ჯინსები არაფერი არ არი, ერთი ჯინსია...”(ხობ).

ჯინს-ჯინსი სხვადასხვა ჯიშის, სხვადასხვა გვარი: „მეივა არი და არი, ჯინს-ჯინსი”(დავ).

ჯონჯოლო ყველის სახეობა. ნ. გორჯოლა: „მერე ჯონჯოლოს გაგაკეთებ”(მანხ).

ჯოხის მოსკმა ცემა; „ჯოხინა მუუსკვა, მუუსდება”(ბაზგ.).

ჯუმა (თ. cuma) პარასკევი.

ჯუმაერთასი (თ. cumartesi) შაბათი: „ჩვენ ჯუმაერთასის ფაზარ ვეტყვიო”(ბაზგ.).

ჯუმბუშობა (სპ. cümbüş) გართობა.

ჰ

ჰა აი: ადით, ჰა, იქ.

ჰავა (თ. hava) 1. ჰაერი: „[ძერას} ... დიდვანი ყანადები აქ და ჰავაში ფრინავს”(ჩაქ); 2. ამინდი: „ღამაზი ჰავეები გამოიდა, აღლაჰა შუქურ”(ბაზგ.).

ჰავესი (არ. heves) ხალისი, სურვილი, მისწრაფება, ინტერესი: „სობაზე დავდეგ გუგუში/დათემა დედწყო ბუბუნი/მე რა მეჰავესება/ როდი'და გქნათ დუგუნი”(დ).

ჰაზირი (არ. hazir) მზა: „პური ჰაზირია, გააჰაზირებენ”(მანხ).

ჰალი-ი (თ. hal(li)) ბევრი: „რა ჰალი გივლიათ”(უსტ.); „რა ჰალი თოვლი იყო”(უსტ.).

ჰალა (თ. hala) ჯერ კიდევ, კიდევ, აბა: „ჰალა არ გამოსულა“(ცაქ); „ჩვენ ჰალა მუსლიმანი ვართ“(წეთ).

ჰალბუქი (თ. halbuki) მაშინ როდესაც, მაინც: „ჰალბუქი ქი იცი დევე-ში დავჩი, იმდენიც არა“(ბაზგ).

ჰალდა (თ. halka) რკალი: „ჰალდა გამუუბამ სხვილი“(დას).

ჰამა//ამა მაგრამ: „ო, მაშინ რა კად იყო, ჰამა ეზიათიც გამევარეთ“(უსტ).

ჰამან (თ. hemen) უცხად, ამ წუთში, სწორედ მაშინ, როგორც კი: „ისინი დუუკავიან აკერებ, ჰამანად, ჰამან ასე“(ნიოლ).

ჰამანქი (თ. hemenki) თითქმის: „ჰამანქი დუზეღლი ხასტანიშ ვიარე“(ხევწ).

ჰაიდე (თ. haydi) აბა! ჰაიდა! „ჰაიდე, წედით ახლა; ნიაზი! ჰაიდე, წამოდ“(უსტ).

ჰაიდი (თ. haygidi) ეი, ჭკუით იყავი: „ჰაიკიდი, ჩემ ხესაბში არავინ არ იყო“.

ჰარამი (თ. haram) არამი: „მე არავის ჰარამი არ მინდა“(ხევწ).

ჰასტანე ნ. ხასტანე.

ჰასტანღული ნ. ხასტანღული.

ჰაუზი (თ. havuz) აუზი, წყალსაცავი: „იქ ჰაუზიც არი, გასაბანებიც არი“(უსტ).

ჰაქიმი (თ. hakim) მოსამართლე: „ჰაქიმთან საქმობდა, რას ეტყვი თქვენ?“ (ჩაქ).

ჰაშურა//აშურა კერძის სახეობა.

ჰაჯი (არ. haci) მექაში სალოცავად ნამყოფი მუსლიმანი: „ვაიდე ნენე ჰაჯ წევდა, ჰაჯი გააკეთა...“ (მან).

ჰევასი ნ. ჰავესი.

ჰეზრეთი//ხეზრეთი უწმინდესი.

ჰელბეთ (არ. elbette) იქნებ, შეიძლება, ნამდვილად: „აკვანში ჰელბეთ უმდერებენ“(ზაქ).

ჰელე (თ. helle) აბა, ჯერ: „ჯერ არ იქნა ჰელე“. ნ. ელბეთ.

ჰემ, ჰემდა (თ. hem) კიდევ: „ილოცე, იკითხე, ჰემდა იტირე“(მან).

ჰემენქი ნ. ჰამანქი: „ჰემენქი ბევრი არი“(უ).

ჰემშირი (თ. hemşire) მედდა, ექთანი.

ჰენეგობა ჩხუბი (?): „ბადვ ვეტყოდი, წად შენ ბაბოს დუუდახე, მოიდეს. ახლა ჰენეგობაზე გევედა“(მანხ).

ჰერალდა//ჰერალდე (თ. heralda) შეიძლება, ალბათ, როგორც ჩანს, ვითომც: „ჰერალდა გეგებებიან ის არი, საგებები ჯვარი“(უ).

ჰერსლი (თ. hırslı) ბრაზიანი: „მესხადეები სისხადეები არიანო, ჰერსლი კაცები“(დაბაწ).

ჰენ//ჰინ (სპ. hic) სრულებით, სავსებით: „... ჰენ არ იყაბულეს“(უ).

ჰაშლი დაშლი, ასაკოვანი, ხანდაზმული: „ჰინ არ მეშინია, ჰაშლი ვართ...“(იფხ).

ჰუდუდი (არ. hudut) საზღვარი: „ბაზგირეთის უკნედან/ბათუმის ჰუდუდია“.

ჰური (არ. huri) სამოთხის ფერია: „ერთ კაც ეყოლვის შეიდასი ჰური“(მან).

ჰუქუმეთი ნ. უქუმეთი: „ჰუქუმეთი იზინს მოცემს“ (მან).

რედაქტორისაგან	5
ნაწილი I.	
თავი I. შავშეთის ისტორიიდან	8
§1. შავშეთი ქართულ მფლობელობაში (ზაზა შაშიკაძე)	8
§2. შავშეთი ოსმალეთის იმპერიაში (ზაზა შაშიკაძე)	15
§3. შავშეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში (ჯემალ კარალიძე)	18
§4. შავშეთი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ (ზაზა შაშიკაძე)	21
თავი II. შავშეთის სოფლები (მალხაზ ჩოხარაძე)	24
§ 1. შავშეთის სოფლები მოგზაურთა და მეცნიერთა ჩანაწერების მიხედვით	24
§. 2. თანამედროვე შავშეთის სოფლები	36
თავი III. შავშეთის მატერიალური კულტურის ძეგლები (შოთა მამულაძე)	41
§1. შავშეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი	42
1.1. სათლელის ციხე	42
1.2. წყეთის (უსტამისის) ციხე	49
1.3. ხანთუშეთის (ყარაღაჯის) ციხე	53
1.4. ქვათეთრისის ციხე	56
1.5. დაბაწვრილის ციხე	58
1.6. ბარაციხე (ჩაქველთა)	61
1.7. იფხრეველის ციხე	63
1.8. ხევწრულის ციხე	67
§2. შავშეთის საეკლესიო ნაგებობანი	75
2.1. გურნათელის ეკლესია	76
2.2. დაბაკეთილის (იაშარქოის) ეკლესია	81
2.3. ახალდაბის (თეფექოის) ეკლესია	83
2.4. ციხისძირის (ყაიადიბის) ეკლესია	84
2.5. საზვირელის ეკლესია	85
§3. შუა საუკუნეების შავშეთის მოსახლეობის სამეურნეო ყოფიდან	87
თავი IV. შავშეთის ეთნოგრაფია (თამაზ ფუტკარაძე)	92
§1. გვარ-სახელები შავშეთში	92
§2. თურქული წარმომავლობის ანთროპონიმები შავშურში	96
§3. დასახლების სტრუქტურა შავშეთში	102
§4. საცხოვრებელი ნაგებობანი შავშეთში	104
§5. ორთვალა კერა	106
§6. შავშური სამზარეულო	108
§7. შავშური ფარცხი // ფორჩხი	111
§8. სამეურნეო ყოფა	112
§9. მეფუტკრეობა	116
§10. მარცვლეულის გასალეწი და გასანიავებელი იარაღ-მოწყობილობანი	117
§11. ხარი არაბა	119
§12. ქორწილი შავშეთში	120
§13. სტუმარ-მასპინძლობა შავშეთში	132
§14. გლობალიზაცია და გენდერული ცნობიერების ასახვა შავშელთა ყოფაში	133
§15. ხალხური დღესასწაული	137
§16. სატრფიალო ცეკვები შავშეთში	140
§17. ლეფიკი – უძველესი ქართული თამაში	141

თავი V. შავშური ფოლკლორი (თინა შიოშვილი)	143
§1. პატრიოტული ლექსები	144
§2. სატრფიალო პოეზია	148
§3. საქორწინო ლექს-სიმღერები	163
3.1. საცოლის დაკვლევა-შერჩევის ლექს-სიმღერები	165
3.2. ნიშნობის ამსახველი ლექს-სიმღერები	169
3.3. საქორწინო სამზადისის ამსახველი ლექს-სიმღერები	171
3.4. საქორწინო ღვინო და მაცრული ლექს-სიმღერები	172
3.5. პატარძლის დასამოდღვრავი ლექს-სიმღერები	177
§4. სასულიერო პოეზია	179
§5. საყოფაცხოვრებო ლექს-სიმღერები	183
§6. შელოცვები	192
6.1. სამკურნალო შელოცვები	192
6.2. სამეურნეო შელოცვები	195
§7. წყევლები	200
§8. დალოცვები	204
§9. ანდაზები	208
§10. თქმულება-გადმოცემები	210
§11. მითები და ლეგენდები	212
§12. მახვილსიტყვაობა	217
თავი VI. შავშური კილო (მერი ცინცაძე, მამია ფაღავა)	219
I. ფონეტიკა	
§1. შავშურის ბგერითი შედგენილობიდან	220
§2. ფონეტიკური მოვლენები	222
2.1. ასიმილაცია	222
2.2. დისიმილაცია	228
2.3. ბგერის დაკარგვა	229
2.4. ბგერათა ჩართვა	232
2.5. სუბსტიტუცია	233
2.6. მეტათეზისი	234
2.7. ბგერათა შერწყმა	235
2.8. კონტამინაცია	236
2.9. ფონეტიკური ცვლილებები ნასესხებ სიტყვებში	236
§3. ტონური მახვილი	242
II. მორფოლოგია	
§1. სახელები	242
1.1. სახელის ფუძე	242
1.2. ბრუნვის ნიშნები, მრავლობითი რიცხვის წარმოება, მავრცობი ხმოვანი	244
1.3. კუმშვა და კვეცა შავშურში	246
1.4. ნაცვალსახელი	248
§2. ზმნა	251
2.1. პირისა და რიცხვის ნიშნები	251
2.2. დრო	253
2.3. ზმნისწინი	253
2.4. თემის ნიშნები	255
2.5. გვარი	258
2.6. ზმნის ფორმათა წარმოება	259
2.7. პირველი თურმეობითის ფორმათა წარმოება	263
2.8. ფუძემონაცველ ზმნები	264
2.9. სახელზმნური ფუძის ზმნები	265

§3. სახელზმნა	265
3.1. საწყისი	265
3.2. მიმდებარეობა	366
§4. ზმნიზედა	268
§5. თანდებული	270
§6. ნაწილაკი	271
§7. სიტყვაწარმოება	272
III. სინტაქსი	
§1. მსაზღვრე-საზღვრული	275
§2. ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობა რიცხვში	276
§3. ქვემდებარის ბრუნვა	278
§4. დამატების ბრუნვა	278
§5. გარემოება	279
5.1. ადგილის გარემოება	279
5.2. დროის გარემოება	279
5.3. მიზნის გარემოება	280
§6. უბრალო დამატება	280
§7. აღწერითი წარმოება	280
IV. ლექსიკა	
§1. შავშური კილოს ლექსიკა (მაია ბარამიძე)	281
§2. თურქული ლექსიკა შავშურში (ვარდო ჩოხარაძე)	292
თავი VII. შავშეთის ტოპონიმია (ნუგზარ ცეცხლაძე)	301
§1. შავშეთის ტოპონიმის სტრუქტურული ანალიზი	303
1.1. უაფიქსო სახელები	303
1.2. აფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმები	305
1.3. რთული გეოგრაფიული სახელები	312
1.4. ანთროპონიმული წარმომავლობის ტოპონიმები	318
1.5. მცენარეთა სახელები ტოპონიმებში	321
1.6. სამეურნეო საქმიანობის ამსახველი ტოპონიმები	322
1.7. შავშეთის ჰიდრონიმია	323
1.8. ზანიზმები შავშეთის ტოპონიმიაში	325
§2. ქართულ-თურქული ენობრივი ურთიერთობის ასახვა შავშეთის ტოპონიმიაში	325
2.1. თურქულენოვანი ტოპონიმები	327
2.2. ქართულ-თურქული ფუძეებით გაფორმებული ტოპონიმები	334
2.3. ქართულ-თურქული მაწარმოებლებით გაფორმებული სახელები	337
ბიბლიოგრაფია	341
შემოკლებანი	353
ტაბულების აღწერილობა	357
Summary	359
ნაწილი II	
შავშური დიალექტის მასალები (მამია ფაღავა, მერი ცინცაძე)	366
შავშური ფოლკლორი (თინა შიოშვილი)	472
შენიშვნები და გარიანტები (თ. შიოშვილი)	505
ლექსიკონი (მამია ფაღავა, მერი ცინცაძე)	569

ტაბულა I




ტაბულა II



ტაბულა III



ტაბულა IV



ტაბულა V

1



2



3



4



5




6



7



8



9



10



11



ტაბულა VI



ტაბულა VII



ტაბულა VIII



ტაბულა IX



ტაბულა X

1



2



3



4



5



ტაბულა XI




ტაბულა XII



ტაბულა XIII



ტაბულა XIV




ტაბულა XV



ტაბულა XVI



ტაბულა XVII



ტაბულა XVIII



ტაბულა XIX



ბაბუღა XX


1



2



3



4



5



6



7



8



9



10



11




12




ტაბულა XXI



ტაბულა XXII




ტაბულა XXIII



ბაზუღა XXIV



ბაბუღა XXV



ტაბულა XXVI



ტაბულა XXVII



ტაბულა XXVIII



ტაბულა XXIX



ტაბულა XXX

1



ტაბულა XXXI



